საქართველოს ეროვნული მუზეუმი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM

ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი

Ethnographic dictionary of the Georgian material culture

Das ethnographische Lexikon der georgischen materiellen Kultur

Le dictionnaire ethnologique de culture matérielle

Этнографический словарь грузинской материальной культуры

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი — 2013

ეძღვნება ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლის
აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხსოვნას



„მადლობა ჩემს ხალხს ასეთი მემკვიდრეობისათვის, მადლობა ყველა უსახელო ხუროსა და ოსტატს, რომელთა მარჯვენამ განადიდა საქართველო, შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური კულტურის საგანძური“.

გიორგი ჩიტაია

პროექტი შესრულებულია საქართველოს სამეცნიერო და რუსთაველის ფონდების გრანტის საფუძველზე №GNSF/ST 06/1-012

პროექტის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი

ელდარ ნადირაძე

„ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონის“ პირველი გამოცემის ტირაჟი იყო მხოლოდ 200 ეგზემპლარი. ბუნებრივია, ასეთი ტიპის ნაშრომისათვის, რომელიც ქართული სკოლის ყველა ბავშვისათვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი, ეს ძალიან ცოტაა. ჩემი ღრმა რწმენით, ასეთი დამოკიდებულება იყო უმთავრესი, რამაც გადააწყვეტინა (ჩემი თხოვნის გარეშე) ვაჟა უსანეთაშვილს ლექსიკონის განმეორებით გამოცემის დაფინანსება, იგი ჩემი მეგობარია, მაგრამ გადამწყვეტი აქ მეგობრობა კი არაა, არამედ მისი მყარი რწმენა ქართული ეთნოკულტურის სიდიდისა და მნიშვნელობისა. მადლობა მას ამისათვის.

„ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონის“ პროექტმა გაიმარჯვა სესფ-ის მიერ გამოცხადებული კონკურსში და ეროვნული მუზეუმის თანამშრომლების ძალისხმევით ეს რთული საქმე წარმატებით დაგვირგვინდა.

ყველაფერი ის რაც ამ ლექსიკონშია მოცემული და განმარტებული საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა ქართველი ხალხის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ურთიერთობის სფეროში.

ლექსიკონში შესული თითოეული ტერმინი ნათლადაა განმარტებული. შესაძლოა ითქვას, რომ ეს მასალები შენივთებულია აქამდე არსებული სხვა დარგობრივი ლექსიკონების, ისტორიული წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე, საერთო შედეგით მილებულია თითოეული ნივთის განმარტება, ისეთი აუცილებელი პირობების გათვალისწინებით, როგორიცაა სიტყვის ფუნქცია, მასალა, უტილიტარული დანიშნულება და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენათა ასპექტები.

ცალკე აღსანიშნავ იმსახურებს ლექსიკონის ვიზუალური მხარე, რომელიც თვალწინ წარმოგვიდგენს იმ უაღრესად მაღალ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო კულტურას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია ქართველ ხალხს, ეს კულტურა უეჭველად იმსახურებს უმაღლეს შეფასებას. დარწმუნებული ვარ, რომ ქართული ეთნოკულტურის გათვითცნობიერების დარგში დიდი ლექსიკონის დანიშნულება. ესაა არა მხოლოდ საინტერესო, არამედ ფრიად საჭირო ნაშრომი გასაკეთებელი ახალგაზრდა თაობის თვითმეცნიერების გაღრმავებისათვის.

დავით ლორთქიფანიძე,
საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

რედაქტორი აკადემიკოსი **რევაზ მეტრეველი**

რედაქციის კოლეგია: **გიორგი არჩაკაძე (ფ.ა.), † ლაშარა ბედუკაძე (ლ.ბ.), ციალა ბეზარაშვილი (ც.ბ.), მარინა ბოკუჩავა (მ.ბ.), † ეკურამ გასიტაშვილი (ე.ვ.), † ნელი გელაშვილი (ნ.გ.), თამარ ეკლაძე (თ.ე.), ანზორ ეოგიანაშვილი (ა.ე.), მაყვალა ზანდუკელი (მ.ზ.), ცისანა კაკაბაძე (ც.კ.), ეკლიკო კვანტიძე (ე.კ.), ლეილა მოლოდინი (ლ.მ.), ელდარ ნადირაძე (ე.ნ.), თებრო ნადირაძე (თ.ნ.), მამუკა ქაფიანიძე (მ.ქ.), † მანანა შილაკაძე (მ.შ.), † ხათუნა ცინცაძე (ხ.ც.), მანანა ხიზანიშვილი (მ.ხ.), სანსული ჯიქია (ს.ჯ.)**

© ელდარ ნადირაძე
© გამომცემლობა „მეცნიერება“, 2013

ISBN 978-9941-10-781-8

[illegible]

წინათქმა

ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, წარმოადგენს ხანგრძლივი შრომის შედეგს, რომლის მსგავსი ქართველოლოგიის სფეროში აქამდე არ განხორციელებულა.

საქართველოს ისტორიის სისავსეს მნიშვნელოვნად განაპირობებს სოციალური ყოფის გამოწვლილვით შესწავლა, დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების გვერდით ადამიანთა ყოფა-ცხოვრების არააშკარა მოდელების წარმოჩენა.

სწორედ ეს მისია აკისრია ნაშრომს. ასეთი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი, როდესაც ვიზა მისცა ს.ჯანაშიას მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების თანამშრომლებს მასზე მუშაობისათვის ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში.

მატერიალური კულტურის სფეროს გამომზეურებას, არსებული სპეციფიკის გათვალისწინებით, სათანადო ადგილი დაეთმო ქართულ ენციკლოპედიაში, მაგრამ მისგან განსხვავებით, ლექსიკონი გვთავაზობს არჩეული თემების უფრო სპეციფიკურ, ფართე და მრავალმხრივ გაშუქებას უხვი საილუსტრაციო მასალით, რაც ნაშრომის ვიზუალურსა და შემეცნებით დონეს განსაკუთრებულად ზრდის.

ყველაფერი ის, რაც ამ ლექსიკონშია მოცემული ქართველი ხალხის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ყოფის ვრცელი სპექტრი ფაქტობრივი განმსაზღვრელია ქართველი ერის ეთნოკულტურული მიღწევებისა, ამ სფეროში მისი წარმატების თუ წარუმატებლობისა, ნაშრომში თავმოყრილი მასალის გაცნობა და გაანალიზება უეჭველს ხდის, რომ ეს კულტურა არის ძალიან მრავალმხრივი, საყურადღებო და მნიშვნელოვანი. ასეთი მთლიანობით აქამდე ეს კულტურა არ ყოფილა წარმოდგენილი.

ლექსიკონის დანიშნულება ბევრად სცილდება წმინდა მეცნიერულ მიზნებს, განსაკუთრებით ფასეულია მისი ზოგადსაგანმანათლებლო მნიშვნელობა, ძალზე დიდია ასეთ ნაშრომებზე საზოგადოების მოთხოვნილებაც. ვისურვებდი ამ ლექსიკონის უცხოენოვანი ვარიანტების გამოცემას, რაც დიდად წაადგებოდა ქართული ეთნოკულტურის პოპულარობას საერთაშორისო მასშტაბით.

როინ მეტრეველი

Preface

Ethnographic dictionary of the Georgian material culture represents the result of long-time research, the kind of which has not been carried out in the sphere of Kartvelology (Georgian language study) so far.

Completeness of the Georgian history is significantly stipulated by thorough study of social life, showing of non-evident models of humans' way of life along with great political events.

Just this mission is vested in the work. Such was the attitude of the Georgian Academy of Sciences to this problem when they gave visa to the employees of Ethnographic Department of S.Janashia Museum for working on it even back in the 90s of the last century.

Exposition of the sphere of material culture with consideration of real specifics was duly covered by the Georgian encyclopedia, though in contrast to it the dictionary offers more specific, wider and comprehensive exposition of selected topics with rich illustrated materials, which especially increase both visual and informative levels of the work.

Everything which is given in this dictionary – wide range of the way of life and household life of the Georgian people – is the actual determiner of the Georgian nation's ethno-cultural achievements, their successes or failures in this sphere, study and analysis of materials collected in the work makes it doubtless that this culture is rather versatile, attracting and significant. This culture has never been presented in such wholeness so far.

Purpose of the dictionary much exceeds just scientific goals, especially valuable is its comprehensive significance, and society's demands for such kind of works are rather high.

Academician Roin Metreveli

Vorwort

Das ethnographische Lexikon der georgischen materiellen Kultur ist Ergebnis der jahrelangen Forschung, derengleich im Gebiet der Kartwelologie (Georgienkunde) noch nicht stattfand.

Die vollkommene Forschung der Geschichte von Geogien ist ohne die detaillierte Forschung des sozialen Daseins in Georgien un vorstellbar und es ist wichtig neben der politischen Ereignisse auch das alltägliche Dasein des Volkes darzustellen. Genau diese Aufgabe beinhaltet das vorliegende Werk.

Zwar wurde der Darstellung der materiellen Kultur von Georgien in "Der Georgischen Enzyklopedie" ihr bestimmtes Kapitel gewidmet, aber im Unterschied zur Enzyklopedie bietet das zahlreich illustrierte ethnographische Lexikon die erweiterte, eingehende und vielfältige Darstellung des Problems.

Also, im Lexikon ist das breite Spektrum des wirtschaftlichen und alltäglichen sozialen Lebens des georgischen Volkes darstellt. Die Bekanntnahme und Analyse dieses ethnographischen Materials beweist, dass die georgische ethnographische Kultur sich als vielfältige und wertvolle Kultur versteht. Bis heute wurde diese Kultur noch nicht mit solcher Vielfaltist und Fülle dargestellt, wie es in diesem Lexikon vorgegeben ist.

Das Lexikon hat nicht nur das wissenschaftliche Bedeutung und ist nicht nur für Fachleute bestimmt, sondern besonders wichtig ist auch sein allgemeinbildender Wert - das Lexikon ist auch für den breiten Kreis der Leser geeignet.

Akademiker Roin Metreweli

Préface

Le dictionnaire ethnologique de culture matérielle ci présenté est le résultat des longues recherches scientifique dont le pareil n'était jamais produit jusqu'à alors dans le domaine kartvelologique.

Il est indispensable d'étudier des mœurs, des habitudes et des comportements des peuples pour mieux présenté l'histoire de Géorgie, d'à coté des mouvements importants politique il faut absolument dégager des modèles de la vie quotidienne des gens.

Cet œuvre porte exactement cette mission. L'Académie Scientifique de Géorgie a donné cette charge à la section ethnologique du Musée National de Géorgie de S. Djanachia dans les années 90 du siècle passée.

Dans l'Encyclopédie Géorgienne il y a assez des articles dédier à la culture matérielle mais ce dictionnaire nous propose l'étude plus ciblé, spécifique et ample des thèmes choisis enrichis par des illustrations qui augmente son niveau cognitif et visuel.

Tout ce qui est présenté dans ce dictionnaire – le large spectre de genre de vie et d'économie du peuple géorgien – est le fait déterminant des succès ethnoculturel de la nation géorgienne. Les données présentées dans le dictionnaire, leurs analyses nous montrent évidement que cette culture est très intéressantes et importantes. Cette culture n'était jamais si pleinement présentée jusqu'à alors.

Le dictionnaire n'est pas envisagé seulement pour le milieu scientifique mais aussi il a la fonction éducative et populaire.

Académicien Roin Metreveli.

Предисловие

Этнографический словарь грузинской материальной культуры является результатом долголетнего труда. В сфере картвелологии подобного рода труд осуществляется впервые.

Полное представление истории Грузии во многом зависит не только от изучения значительных политическах явлений, но и от выявления не вполне явно выраженных моделей бытовых взаимоотношений людей. Именно такую цель преследует указанный труд. Подобное отношение к данной проблеме было выражено Академией наук Грузии еще в 90-ые годы прошлого столетия. Тогда же была дана виза сотрудникам этнографического отдела Музея Грузее им. С.Джанашиа заняться работой над этой проблемой.

Освещение сферы материальной культуры,с учетом существующей специфики, подобающее место заняло в Грузинской энциклопедии. Но в отличние от нее, данный словарь предлагает нам более специфическое, широкое и многостороннее освещение подобранных тем, снабженных обильным иллюстративным материалом, что способствует особенному росту визуального и познавательного уровня этого труда.

Все то, что представлено в словаре, т.е широкий спектр бытовой и хозайственной жизни грузинского народа, является фактическим доказительством его этнокультурных достижений, успехов или безуспешности в этой сфере. Ознакомление с собранным в труде материалом убеждает в том, что эта культура является многосторонней, значительной и заслуживающей особого внимания. Она до настоящего времени не била представленна столь полно и объемисто.

Значение данного словаря во многом превосходит чисто научные интересы. Особенно значительно его общеобразовательное значение. К трудам подобного рода интерес общества высок.

акад. Роин Метревели.

შესავალი

ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი ძირითადად ეყრდნობა ეროვნული ეთნოლოგიური სკოლის მიერ წლების განმავლობაში მიღწეულ შედეგს.

ლექსიკონის მოსამზადებელი სამუშაოები თავდაპირველად დაგეგმილ და შესრულებულ იქნა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის თანხმობით. პირველი ეტაპი მოიცავდა: მასალის შერჩევას, ტერმინების ნომენკლატურის განსაზღვრას, ვიზუალური მასალის მომზადებასა და ფორმატის ზოგადი ტიპის ჩამოყალიბებას, რაც წარმატებით იქნა განხორციელებული. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და განათლების სამინისტროს რეორგანიზაციის შემდგომ, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ეთნოგრაფიისა და ისტორიის დეპარტამენტში, უკვე არსებული მასალების საფუძველზე, 2006 წ. მომზადდა პროექტი და შეტანილ იქნა ახლად დაარსებული „საქართველოს სამეცნიერო ფონდის" მიერ გამოცხადებულ კონკურსში. პროექტმა გაიმარჯვა და მასზე 2006 წ. 2 ოქტომბრიდან 2008 წ. 30 სექტემბრამდე ჯერ სამეცნიერო ფონდის (6 კვარტალი), ხოლო გაყოფის შემდგომ „რუსთაველის ფონდის" (ორი კვარტალი) მეურვეობით მიმდინარეობდა მუშაობა.

ლექსიკონის შექმნა მოტივირებული იყო რეალურად არსებული ცვლილებებით, რასაც ადგილი აქვს ქართულ მატერიალურ კულტურაში. როგორც ცნობილია, მსოფლიო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი დღის წესრიგში აყენებს ეთნოკულტურულ მემკვიდრეობის მიმართ პრობლემატურ დამოკიდებულებას. ქართული ეთნოკულტურა – ესაა უზარმაზარი შემოქმედებითი პროცესი, რომელიც იქმნებოდა საუკუნეთა განმავლობაში. ხალხის ფენაში შექმნილი ეს კულტურა არის განმსაზღვრელი საქართველოს როლისა და ადგილისა მსოფლიოს ხალხთა ცივილიზაციაში. თუ ქვეყანას აქვს პრეტენზია ითვლებოდეს დიდი კულტურული მემკვიდრეობის შემოქმედად ეს, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაადასტუროს ამ ქვეყნის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების განვლილმა გზამ, რომელიც უნდა აისახებოდეს მიწათმოქმედებაში ზოგადად და კერძოდ, ხორბლეულისა და ვაზის კულტურების სელექცია-შეჯვარებაში, ხელოსნურ წარმოებაში, საცხოვრისში, ტანსაცმელში, მუსიკალურსა და კვების კულტურაში, ხალხურ მედიცინაში და საერთოდ, საყოფაცხოვრებო ურთიერთობის თუნდაც არააშკარა მოდელების შემუშავებაში.

კვლევის თანამედროვე დონეზე, რომელსაც მიაღწია ქართულმა ეთნოლოგიურმა სკოლამ, დამაჯერებლადაა წარმოდგენილი ქართველი ხალხის ეთნოკულტურული მიღწევები, მაგრამ სავსებით ცხადად ჩანს, რომ სამყაროს განვითარების პროცესი, საფრთხეს უქმნის ტრადიციული დარგების განვითარებას. უფრო მეტიც, დღეისათვის ამ დარგთა უმეტესობამ ფუნქციონირება შეწყვიტა და მასთან დაკავშირებული საწარმოო ჩვევები და ტერმინოლოგიური ლექსიკა უფუნქციობის გამო გაღარიბდა. დარგობრივი ლექსიკა დღეს უკვე აღარ შეესაბამება თანამედროვე ეკონომიკური და კულტურული განვითარების დონეს. მიმდინარეობს ტერმინთა უნიფიკაციის პროცესი. ერთადერთი, რასაც შეუძლია ამ უარყოფითი მოვლენების გარკვეული კომპენსაცია მოახდინოს და ისტორიული ქმნადობის დოკუმენტირება შეძლოს, ესაა ვრცელი ტერმინოლოგიური საცნობარო ლექსიკონი. ასეთი მოტივაცია და ორიენტირი იყო უმთავრესი, რომელიც წითელ ზოლად გასდევდა ლექსიკონის მუშაობის პროცესს.

ლექსიკონში თავი მოიყარა მატერიალური კულტურის წრეში შემავალ ტერმინთა უდიდესმა უმრავლესობამ: დანიშნულების, მასალის, დამზადების წესის, გავრცელების არეალის, უტილიტალური დონისა და ნივთთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების ასპექტების განხილვით (თუკი ასეთ არსებობს). ლექსიკონში უხვად იქნა გამოყენებული ქართული ლექსიკოგრაფიული დარგის მიღწევები, ს.ს ორბელიანის „სიტყვის კონიდან" დაწყებული ცალკეული კუთხის კილო-თქმათა ლექსიკონებამდე დამთავრებული. ასევე უნიკალური ნივთიერი და საილუსტრაციო მასალა, რომელმაც მუზეუმის ფონდებში შემოსვლა დაიწყო XIX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან და მისი აქტიურობა არ შეწყვეტილა ვიდრე XX საუკუნის ოთხმოციან წლებამდე. ესაა როგორც ექსპონატები, ასევე მხატვრულ-დოკუმენტური ჩანახატები, შესრულებული გერმანელი, ფრანგი, ებრაელი, რუსი და ქართველი მხატვრების მიერ.

წინამდებარე ნაშრომი არ წარმოადგენს მკაცრად განსაზღვრული კლასიკური ტიპის ლექსიკონს. ჩემი, როგორც რედაქტორის მიზანი იყო, მასში შეგვეტანა ისეთი ტერმინებიც, რომლებიც შესაძლოა ცნება „მატერიალურს" არ შეესაბამებოდეს, მაგრამ ისინი ეხმარებიან ამ ცნებასთან დაკავშირებული მოვლენებისა და საგნების უკეთ დახასიათებას. ლექსიკონში შევიტანეთ ზოგიერთი ისეთი უცხოური წარმოშობის ტერმინი და საგანი, რომელიც დროთა განმავლობაში შეითვისა ქართულმა ეთნოკულტურამ და თავის ნაწილად აქცია.

დიდი სურვილი მქონდა, ლექსიკონს დართვოდა ინგლისურ-ფრანგულ-რუსული შემოკლებული თარგმანი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს ვერ მოხერხდა, თუმცა იმედს არ ვკარგავ, რომ მომავლისათვის ეს პრობლემაც დადებითად გადაწყდება, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება ქართული ეთნოკულტურის პოპულარიზაციისათვის.

ლექსიკონის მომზადებაზე მუშაობდა ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების 18 თანამშრომელი და ერთი მოწვეული ეთნოლოგი. მასში შესულია 2086 ტერმინი.

„ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი" წარმოადგენს ამ ტიპის ნაშრომის შექმნის პირველ ცდას, ეს ვითარება არამცირედია საიმისოდ, რომ მას გარკვეული ნაკლი ჰქონდეს. ავტორები დიდი გულისხმიერებით მიიღებენ ყოველ არგუმენტირებულ შენიშვნას და გაითვალისწინებენ შემდგომი მუშაობისას.

ელდარ ნადირაძე

Introduction

Ethnographic dictionary of the Georgian material culture is mainly based on the results got within the years by the national ethnologic school.

Dictionary's preparatory works initially had been planed and fulfilled at Ethnographic Department of S.Janashia Georgian State Museum with consent from the Presidium of the Academy of Sciences of Georgia. The first stage included: selection of materials, determination of nomenclature of terms, preparation of visual materials and formation of general format type, which had been successfully done. After reorganization of Academy of Sciences of Georgia and Ministry of Education, at the Department of Ethnography and History of the National Museum of Georgia in 2006 project was prepared on the basis of existing materials, which was submitted for competition, announced by newly established "Georgian Scientific Fund".

The project was selected and from 2 October 2006 to 30 September 2008 works were carried out on it, first under patronage of Scientific Fund (6 quarters), and then, after division, the "Rustaveli Fund" (two quarters).

Creation of a dictionary was motivated by really existing changes, which took place in the Georgian material culture. As it is known the process of world globalization and integration puts problematic relation towards ethno-cultural heritage on the topic of the day. Ethno-culture represents vast creative process which had been created within the centuries. This culture created within the people's stratum is the determiner of Georgia's role and place in the world nations' civilization. If a country has pretensions to be regarded as a creator of a big cultural heritage, this first of all should be proved by past ways of economic life of the country's population, which should be reflected in agriculture in general and particularly, selection and crossing of grain crops and vine cultures, artisan production, household, clothes, music and food culture, folk medicine and in general, even in collaboration of non-evident models of everyday relations.

At modern level of research which have been achieved by the Georgian ethnologic school, ethnoculture achievements of the Georgian people are presented visually, though it is obvious that the world development process creates jeopardy to development of traditional fields. Even more, to date the majority of these fields stopped functioning, and production skills and terminology vocabulary related to them impoverished because of afunction. Special vocabulary does not correspond any more to modern level of economic and cultural development. Terms unification process goes on. The only thing, which can compensate in some extent these negative phenomena and manage to document historical occurrences is full terminological informative dictionary. Those were principal motivation and guideline, which followed the process of working on dictionary as a main line.

The dictionary gathered the majority of terms which compose the material culture's circle: with study of purpose, material, way of production, spreading area, utility level and faith and idea aspects related to an item (if there are such). Achievements of the Georgian lexicographic field were vastly applied in the dictionary, beginning from dialects of separate regions from S.S. Orbeliani's "Sitkvis Kona" and ending with dictionaries. Also unique substantial and illustrated materials which began entering the Museum funds from the last quarter of XIX century and its activity had not stopped till the 80s of XX century. There are both exhibits and artistic-documentary sketches fulfilled by the German, French, Jewish, Russian and Georgian artists.

18 employees of Ethnographic Department of S.Janashia Museum and one invited ethnologist worked on composition of the dictionary. It includes 2086 terms.

"Ethnographic Dictionary of the Georgian Material Culture" represents the first attempt of creation of such type of work, this circumstance is not a little one for the fact that the work might have certain shortcomings. The authors will accept any and all well-reasoned comments and take them into consideration during further working.

The project author and scientific director Eldar Nadiradze

Einleitung

"Das ethnographische Lexikon der georgischen materiellen Kultur" beruht sich auf den jahrelang gesammelten Forschungsergebnissen der georgischen ethnologischen Schule. Im Lexikon werden auf dem modernen Forchungsniveau die ethnokulturellen Leistungen des georgischen Volkes dargestellt.

Die Vorbereitungsarbeit für das Lexikon wurde an der ethnographischen Abteilung des Staatlichen Dschanaschia-Museums geplant und vollbracht. Auf der ersten Phase wurde das ganze Material gesammelt und sortiert, die terminologische Nomenklatur bestimmt und das visuelle Material vorbereitet. Ausserdem wurde die erste Fassung der Lexikonausstattung entworfen.

Zwischen den Jahren 2006-2008 wurde das Lexikon-Projekt von der Stiftung für Wissenschaftsförderung von Georgien finanziell unterstützt.

Das Zusammenstellen des Lexikons wurde durch jene globalen Änderungen motiviert, die in der ganzen Welt der Fall sind: Die Prozesse der Globalisierung und globalen Integration. Diese Prozesse bilden Probleme bei der Schutz der ethnokulturellen Erbe. Das georgische Volk hat seine Ethnokultur im Laufe der vielen Jahrhunderte geschaffen. Die im Volk entstandene Ethnokultur verleiht Georgien die besondere Stellung innerhalb der Ethnokulturen und Zivilisation der anderen Völker der ganzen Welt.

Wenn das Volk und das Land den Anspruch darauf hat, sich als Schöpfer und Erbe der grossen Kultur zu fühlen und verstehen, dann soll das vor allem durch den von der Bevölkerung des Landes geschlagenen Weg ins wirtschaftliche Gebiet bewiesen werden. Dieser Weg soll in dem seit den jahrhunderten entwickelten Acker- und Weinstockanbaukultur, in der handwerklichen Herstellungskultur, in der Baukultur, Gewandkultur, Musik- und Kulinariekultur, in der Volksmedizin widergespiegelt werden. Das georgische Ethnokultur besitzt genau die jahrhunderte lange Traditionen des obengenanten.

Es ist aber auch klar, dass der Globalisierungsprozess der traditionellen wirtschaftlichen Zweigen mit Aussterben droht. Mehrheit dieser wirtschaftlichen Zweigen wurden schom eingestellt und die mit diesen Zweign verbundenen Herstellungsfähigkeiten und Fachbegriffe sind wegen der Funktionslosigkeit schon verlorengegangen. Es kommt der Prozess der terminologieschen Unifikation vor. Einziges, was diesen Verlust mehr oder weniger kompensieren kann, ist ein umfassendes Terminologie-Lexikon. Genau dies war die Motivation während der Arbeit am Lexikon. Im Lexikon wird die Terminologie aus allen wirtschaftlichen, landwirtschaftlichen Zweigen und dem alltäglichen Leben der georgischen ethnographischen Kultur zusammengesammelt.

Im Lexikon wurden auch die Leistungen der georgischen lexikographieschen Schule breit benutzt - das lexikologisches Material wurde sowohl aus dem bekannten "Georgischen Wörterbuch" ("Sitkwis Kona") von Sulchan-Saba Orbeliani, als auch aus den Wörterbüchern der georgischen Mundarten entnommen.

Im Lexikon wurde auch das seltsame anschauliche und sachliche Material benutzt, das ins Staatlichen Dschanaschia-Museum von XIX Jh. bis den 80-er Jahren des XX Jh.-s landeten. Das sind sowohl Exponate (40.000 Einheiten), als auch Skizzen und Zeichnungen, entworfen von den georgischen, deutschen, französischen, russischen und judischen Malern.

An der Vorbereitung des Lexikons haben 18 Mitarbeiter der ethnographischen Abteilung des Staatlichen Dschanaschia-Museums und ein eingeladener Ethnologe teilgenommen.

"Das ethnographische Lexikon der georgischen materiellen Kultur" ist ein erstes Versuch auf diesem Gebiet und natürlich fern von jeglicher Vollkommenheit. Die Autoren werden jede argumentierte Bemerkung gern entgegennehmen und in den nächsten Lexikon-Auflagen berücksichtigen

Autor und wissenschaftlicher Leiter des Projekts Eldar Nadiradze

Introduction

Le dictionnaire ethnologique de culture matérielle est basé essentiellement sur les résultats des recherches scientifiques de l'école ethnologique nationale.

Les travaux préparatifs du dictionnaire ont été planifiés et réalisé dans la section ethnologique du musée national de Géorgie par accord du présidium de l'Académie Scientifique de Géorgie. Première étape contenait: le chois des matériaux, la détermination des termes, la préparation des matériaux visuels et la formation du format général ; tous ses travaux ont été réalisés avec succès. Après la réorganisation de l'Académie Scientifique de Géorgie et de Ministère d'Education, dans le département d'ethnologie et d'histoire du Musée National de Géorgie sur la base des matériaux déjà existée en 2006 le projet a été préparé et a été présenté au concours du « Fondation Scientifique de Géorgie », récemment fondé. Le projet a obtenu le financement et le groupe des chercheurs ont travaillé dès 2 octobre 2006 jusqu'à 30 septembre 2008 (6 trimestres) d'abord sous le patronage du Fond National et après la séparation sous le patronage du Fondation de Roustavéli (2 trimestres).

La création du dictionnaire a été motivée par des changements réels, qui ont lieu dans la culture matérielle de Géorgie. Comme il est connu, le processus de mondialisation et d'intégration actualise les problématiques du patrimoine ethnoculturel. L'ethnoculturel géorgienne c'est un processus créateur qui avait déroulé pendant des siècles. Cette culture, crée dans le milieu des peuples, est déterminante du rôle et du lieu de Géorgie dans la civilisation des peuples du monde. Si le pays a la prétention d'être créateur du grand héritage culturel, cela doit être prouvé par le chemin passé de son peuple dans le domaine d'agriculture général et , en particulière, dans les sélections et les hybridations des froments et du vigne, dans les entreprises artisanaux, dans les habitations, dans les vêtements, dans les cultures musical et alimentaire, dans la médecine populaire et généralement dans l'élaboration des modèles, même non évidents, des relations de la vie.

Au niveau des recherches modernes atteintes par l'école ethnologique géorgienne les succès ethnoculturaux sont bien présentes. Il est évident que le processus du développement mondial menace du développement du domaine traditionnel. En plus, la majeure partie de ces domaines ne fonctionne plus et des mœurs liées avec eux et la terminologie se sont appauvries sans fonctionnement. Le lexique de ces domaines ne corresponde plus aux niveaux du développement culturel et économique. Le processus d'unification des terminologies a lieu. Une seule chose qui peut compenser cet événement négatif c'est le dictionnaire des terminologies. C'était la motivation majeure qui a accompagné le processus du travail sur ce dictionnaire.

La majeure partie des termes de la culture matérielle est réunie dans le dictionnaire avec l'étude des aspects liés avec des croyances, des objets, des niveaux utilitaires, des règles des préparations, des matériaux, des fonctions et des espaces des diffusions. Les données lexicographiques géorgiennes - dès le dictionnaire de S.S Orbéliani « Sitkvis kona » jusqu'aux dictionnaires des différentes patois géorgiens -, comme des objets et des illustrations faits par les peintres Allemands, Français, Juifs, conservés dans les fonds du musées - réunis dès deuxième moitié du XIX siècle jusqu'a des années 80 du XX siècle- sont abondement utilisées dans le dictionnaire.

Cet œuvre n'est pas un dictionnaire au sens classique. Mon but, comme de rédacteur, était y mettre aussi les termes qui ne correspondent pas, tout à fait, à la notion « matérielle » mais qui aident caractériser mieux des événements et des objets coïncidés avec cette notion. J'avais grand envie d'y ajouter la courte traduction franco-anglo-russe mais c'était impossible pour le moment donné ; j'espère dans l'avenir résoudre ce problème aussi, car cela aura une grande importance pour la popularisation d'ethnoculture géorgienne.

18 personnes de la section ethnologique du Musé National de Géorgie et un ethnologue convié ont travaillé sur le dictionnaire. Dans le dictionnaire il y a 2086 termes.

« Le dictionnaire ethnologique de culture matérielle » est le premier essais de créer un œuvre de ce type-là, c'est pourquoi il est possible d'y trouver des défauts. Les auteurs seront reconnaissants de recevoir des remarques argumentés pour qu'ils les prenaient en considérations dans leurs futures travaux.

Auteur de projet et dirigeant scientifique Eldar Nadiradze

Вступление

Этнографический словарь грузинской материальной культуры в основном опирается на итоги, достигнутые грузинской этнологической школой в течение многих лет.

Подготовительная работа над словарем первоначально была запланирована и выполнена в этнографическом отделе Музея Грузии им. С.Джанашиа, с согласия президиума Академии наук Грузии.

Первый этап работы включал: подбор материалнов, определение номенклатурных терминов, подготовку визуального материала, определение формата общего типа. Всё это успешко было выполнено.

После реорганизации Академии наук Грузии и Министерства просвещения, в Департаменте этнологии и истории Национального музея Грузии, на основе существующего материала, в 2006 году был подготовлен проект и представлен на конкурс, объявленный новооснованным " Грузинским научным фондам".

Проект победил. Работа над ним протекала со 2 октября 2006 года по 30 сентября 2008г. Вначале (в течение шести кварталов) под патронажем "Научного фонда Грузии", а после разъединения этой организации (в течение двух кварталов) _ под патронажем "Фонда Руставели".

Создание словаря было мотивировано реально существующими изменениями в грузинской материалньой культуре. Как известно, процесс мировой глобализации и интеграции на повестку дня ставит проблематичное отношение к этнокультурному наследию. Грузинская этнокультура, являясь результатом огромного творческого процесса, создавалась столетиями и является определителем места и роли Грузии в мировой цивилизации.

Если страна претендует на то, чтобы считаться саздателем большого культурного наследия, то прежде всего она должна это доказать историей хозяйствьенного быта её народа. Это земледелие в общем и в частности, селекция зерновых культур и винограда, кустарное производство, жилье, одежда, музыка, культура питания, народная медицина, и вообще разработка не вполне явных моделей бытовых взаимоотношений.

Грузинской этнологической школой, на современном уровне исследования, вполне убедительно доказаны достижения этнокультуры грузинского народа. Однако, вполне ясно, что процесс развития мирового сообщества создает опасность для развития традиционных отраслей хозяйства, большинство которых в настоящее время прекратило функционирование. Вместе с тем утратили свое значение и связанные с ними, оставшиеся без функции, производственные навыки и лексика. Отраслевая лексика уже не соответствует современному уровню экономического и культурного развития. Идет процесс унификации терминов.

Единственное, что может воспрепятствовать этим отрицательным явлениям и внести определенную компенсацию в этом направлении, является обширный справочно- терминологический словарь. Подобная мотивация и ориентировка являются тем главным, что красной нитью проходила в процессе работы над указанным словарем.

В словарь вошла большая часть терминов, входящих в круг материальной культуры. это термины, обозначающие назначение предмета, материал, правила изготовления, ареал их распрстранения, уровень утилитарности, а также верования, предания, связанные с предметом (если таковое имеется). В словаре широко использованы достижения грузинской лексикографии, начиная со словаря С.С орбелиани "Ситквис кона", кончая словарями диалектав отдельных частей Грузии. Наряду с этим использован уникальный вещественнный и иллюстративный материал, который начал поступать в фонды Музея еще с последней четверти XIX века. Активность в этом отношении не прекращалась до 80-ых годов XX века. В виде экспонатов собрано прибл.40000единиц. Использованы также художественно-документальные зарисовки, выполненные немецкими, французскими, еврейскими, русскими и грузинскими художниками.

Над подготовкой словаря работало 18 сотрудников этнографического отдела муэея им. С .Джанашиа, а также один приглашенный этнолог. В словарь вошло 2086 терминов.

Этнографический словарь грузинской материальной культуры является первой попыткой подобного рода исследования. Не исключено, что в словаре могут быть определенные недостатки. Авторы с благодарностью примут всякое аргументированное замечание и учтут в дальнейшей работе.

Автор и научный руководитель проекта Ельдар Надирадзе



აბა — 1. ფართო და გრძელი წამოსასხამი, აქლემის მატყლისგან ნაქსოვი. 2. საშინაო ხალათის ტიპი.

ლიტ.: ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, 1997.

აბანდო (ქსნ. ხეობა) — ხარის პირის ასაკრავი თოფრა, კალოობისას ხარმა თავთავი რომ არ შეჭამოს. რაჭაში წნელით მოწნულ ასეთ ნივთს „აპირი" ჰქვია.

ლიტ.: ალ. ღლ. ქკთსკ. 1974.



აბანო — ადამიანთა ტანთ საბანელი, საგანგებო შენობა, სადაც ჰიდროტექნიკური ხერხებით მოწყობილ ნაგებობაში შემოედინება თბილი და ცივი წყლის ნაკადები. სპეციალისტები გამოყოფენ სამი ტიპის აბანოს: აზიურს (სადაც შედის ქართული აბანოები), რომაულსა და აღმოსავლურს (სპარსული, თურქული). საქართველოში უძველესი აბანოები აღმოჩენილია: არმაზისხევში, ბაგინეთში, ბიჭვინთაში, ციხისძირში, ურბნისში, სამშვილდეში, თელავში, გრემში, გორში და სხვაგან. საზოგადოებრივი აბანოებისათვის დამახასიათებელი იყო დიდი აუზები, რომლებიც ადამიანთა გემოვნების შესაფერისად სხვადასხვა სტილითა და შემკულობით იყო მორთული. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში მიკვლეული აბანოების განხილვა ცხადად ადასტურებს იმ საზოგადოების მაღალ ჰიგიენურ მოთხოვნილებას, რომლისთვისაც ისინი შენდებოდა. ცალკე აღნიშვნის ღირსია თბილისური აბანოები, რომლებიც განთქმული იყო მთელს მახლობელ აღმოსავლეთში და რუსეთის მმართველობის დამკვიდრებისთანავე მისი არისტოკრატიის დიდი ყურადღება დაიმსახურა. თბილისის აბანოების ღირსებას წარმოადგენდა ბუნებრივი გოგირდოვანი ცხელი წყლები. მიუხედავად მრავალგზის დანგრევისა XIX ს. დასასასრულს თბილისის ერთ უბანში აქტიურად მოქმედებდა მეფე ერეკლეს, ჩარხის, მეითარის, სიონის, ბებუთას, მელიქაანთ, ციხის, ეინალისა და გრილის აბანოები. ჰიგიენური საჭიროების გარდა გოგირდოვან წყალს გააჩნია სამკურნალო თვისება, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მას. თბილისელი მოქალაქისათვის აბანო იქცა თავისებურ გასართობ ადგილადაც, სადაც ადამიანები ისვენებდნენ, ერთობოდნენ და ნადიმობდნენ კიდევაც, აქვე ხდებოდა სასძლოების გასინჯვა, ტუალეტისა და ტანისამოსის ჩვენება, ტანსაცმლის დარეცხვა და სხვ. თბილისური აბანოს განუყრელ პერსონაჟს წარმოადგენდა მექისე, რომელიც კლიენტს სხეულის განბანვის გარდა უტარებდა მასაჟს, რაც კიდევ უფრო პოპულარულს ხდიდა აქაური ტანთბანვის პროცესს.

ლიტ.: გ. გოცირიძე, აბანოები ძველ თბილისში. მსე ტ. XXVI, 2004, ი. ბალახაშვილი, ძველი თბილისი, 1951. ე. ნ.

აბანოზი — მაგარი შავი ხე, კალმუხა, საუკეთესო იყო ავეჯის დეტალებისათვის.

ლიტ.: ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, 1997.

აბგა — პატარა ნივთების ჩასალაგებელი, მხარიღლივ გადასაკიდი ჩანთა ხურჯინის ტიპისა (შალის, აბრეშუმის, ტილოს ან ტყავის). აბგით დაჰქონდათ ხელნაწერი წიგნები და გრაგნილები, საგზალი, ხელსაქმე და სხვ. დასტაქრები აბგაში აწყობდნენ სამკურნალო იარაღებსა და წამლებს. აბგით წამლებს წერილი ვაჭრებიც დაატარებდნენ სოფლიდან სოფლად.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

აბგაჯიბე — ტყავის ჭურჭელი. შურდულის მსროლელი იყენებდა საშურდულე ქვების სატარებლად.

აბდანი // აბუდანი — ცხენის დასაბორკი, დაგრეხილი თასმების თოკი.

ლიტ.: ქელ., 2009.

აბდარი (აჭარ.) — პირი, რომელიც განაგებს ხომალდზე საკვებისა და წყლის შენახვა-გაცემას.

ლიტ: ქელ., 2009.

აბედი — ერთგვარი სოკო, რომელიც წიფლის ხის ტანსაა მიკრული, იზრდება საკმაოდ დიდი. აბედის სოკოს კარგად გამოხარშავენ, მზეზე გააშრობენ და შემდეგ წვრილ ნაჭრებად დაანაკუწებენ. ცეცხლის დანთებისას აბედის ნაკუწს მჭიდროდ დაადებენ ფოლადის ნაჭერს — კვესს (იხ.) და ჩამოარტყამენ ტალს (იხ.) — მაგარი ქანის შედგენილობის ქვას. რკინის ქვაზე ჩამორტყმისას გაყრილი ნაპერწკლები აბედს შეეყრება და რამოდენიმე ასეთი ჩამორტყმის შემდეგ წაეკიდება უალო ცეცხლი, რომელიც საკმარისია დიდი ცეცხლის ასანთებად. კვეს-აბედით ცეცხლის გაჩაღება ადამიანის ერთი უძველესი გამოგონებათაგანია. ეს პრინციპი მოგვიანებით ეფექტურად იქნა გამოყენებული ცეცხლსასროლი იარაღის კონსტრუქციაში.

ე. ნ.

აბეჩხარი მინა — უნაყოფო მიწა, ცუდმოსავლიანი. ეწოდება ასევე გამიზნულად მოუვლელ ვენახს, რომელიც ცოტას ისხამს, მაგრამ ღვინო კარგი დგება.



აბზინდი — სარტყლის, ფეხსაცმლის, ცხენის აღკაზმულობისა და მისთანათა შესაკრავი, უფრო ლითონისა. საქართველოსა და შუა კავკასიის ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრიდან I ათასწლეულის დამლევამდე ფართოდ ყოფილა გავრცელებული ფირფიტისებრი სწორკუთხა აბზინდი, რომელსაც შიდა მხრიდან შესაკრავი კავი აქვს. ხშირად ზედ ამოკვეთილია მითიური ცხოველების გამოსახულებანი და გეომეტრიული ორნამენტები. ძვ. წ. I ათასწლეულის ბოლოს და ახ. წ. I ს-ში საქართველოში გავრცელებულა ბრინჯაოს ჭვირული აბზინდების (საშუალო ზომა 12-12 სმ.) ჩამოსხმა.

აბზინდზე გამოყვანილია ცხოველთა გამოსახულებანი, სადაც ცენტრალური ადგილი უკავია სტილიზებულ ირემს, ხარს, ჯიხვს ან ცხენს, რომელთა ირგვლივ ხშირად სხვა ცხოველთა მინიატურული გამოსახულებებია. სავარაუდოა, რომ აბზინდზე გამოსახული სცენები სიმბოლურ - მაგიურ და მითოლოგიურ სიუჟეტებს ასახავენ. გვიანანტიკური ხანიდან რომაული კულტურის გავლენით მთელ მსოფლიოში გავრცელდა ენიანი აბზინდის ახალი სახეობა. აბზინდის სახესხვაობაა აგრაფი, რომელიც იხმარებოდა წამოსასხამის შესაკრავად. აბზინდს ხევსურეთში საყრელს, ქარშიკს უწოდებდნენ, სამეგრელოში კი — ყუნს.

ლიტ.: გ. გობეჯიშვილი, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

აბრამიანი — საახალწლო ხონჩა (ქართლ.). ახალი წლის დადგომისას ოჯახში აცხობდნენ ბასილას (იხ.) ქანდაკებას, ოჯახის თითოეული წევრისთვის ორ ბედისკვერს, ასევე, შინაური საქონლისათვის დამახასიათებელ ატრიბუტებს (ცური, ფაფარი, სახვნელი, გუთანი, უღელი და სხვა). ახალ წელს, განთიადისას, ოჯახის უფროსი ხონჩაზე დადებდა ღორის თავს, ბასილას პურის ქანდაკებას, ბედის კვერებს, თაფლიან პურებს და ზედ მიაკრავდა ანთებულ სანთელს. ასეთად დატვირთულ ხონჩას გარეთ გაიტანდა, სამჯერ ლოცვით შემოუვლიდა სახლს, შემდეგ მარანსა და ბოსელს მიულოცავდა და ისევ დარბაზში დაბრუნდებოდა, აბრამიანს კერასთან მისდგამდა, მუგუზლით ცეცხლს შეუჩიჩხინებდა, გაცვივდებოდა ნაპერწკლები და წარმოსთქვამდა ოჯახის სალოცავსა და საქონლის გამრავლების ტექსტს. შემდეგ თაფლიანი პურებით ოჯახის ყველა წევრს დააბედებდა. აბრამიანს ქართლში სამ დღეს ინახავდნენ. აბრამიანი საქონლის გამრავლების, განაყოფიერებისა და ბარაქიანობის მომნიჭებელ რიტუალს წარმოადგენდა.

ლიტ.: ს. მაკალათია, ახალწელიწადი საქართველოში, 1927. *ე. ნ.*

აბრაშალი (თბ.) — ძვირფასი მატყლისაგან მოქსოვილი მარმაშებიანი მოსასხამი.

ლიტ.: ქელ., 2009



აბრეშუმი — ძველ ქართულად „ჭიჭნაური", აბრეშუმის ჭიის პარკიდან ამოხვეული ძაფი. მისგან საქსოვ დაზგაზე — საქსელზე იქსოვებოდა დარაია (თავთა//მერდინი, კახ. ქართლ. იმერ. ქიზ.), ჩხირებითა და ყაისნაღებით კი თავსაფრები, წინდები, ტოლაღები, ხელთათმანები, ჩახსაკრავები, სახიანი სარტყლები, ყაითნები, ჩაფარიშები. წმინდა აბრეშუმთან ერთად მზადდებოდა აბრეშუმნარევი ქსოვილები: შალ-აბრეშუმი, ბამბა-აბრეშუმი. აბრეშუმის ნაწარმს ხმარობდნენ საოჯახო მოთხოვნილებებისათვის და გასაყიდადაც. ადგილობრივ ბაზრების გარდა აბრეშუმის ნაწარმი სხვა ქვეყნებშიც გადიოდა. ქართული წერილობით წყაროები და ეთნოგრაფიული მასალა აბრეშუმის წარმოების მდიდარ ტრადიციებს წარმოაჩენს. შორეულ აღმოსავლეთიდან მომდინარე მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო-სატრანზიტო გზის გარკვეულ მონაკვეთზე მდებარე საქართველოში, აბრეშუმის კულტურის შემოსვლა V-VI საუკუნიდან ივარაუდება. ს. მცხეთიჯვარში (ხაშურის რ-ნი) აღმოჩენილია აბრეშუმის სამშობლოს — ჩინეთის იმპერიის ფულის ერთეული, რაც ამ მოსაზრების ერთი მნიშვნელოვანი დამამტკიცებელი ფაქტია.

ლიტ.: ნ. აბესაძე, აბრეშუმის ქსოვილის დამზადების ისტორიისათვის საქართველოში, მსე. ტ.V, 1963.

ლ. მ.



აბშრა (აფხ.) — ერთ ხეში ამოღებული ჭურჭელი, რომელსაც აქვს ხისავე თავსახური და სალტეები სიმაგრისათვის. გამოიყენებეოდა ყველის, ერბოს, ნადუღის და მისთ. შესანახად. გამოიყენებოდა სამეგრელოშიც.

აბჯარი — სამხედრო საჭურველი, რომელიც მეომარსა და მის ცხენს მტრის მჭრელი და საძგერებელი იარაღისაგან იცავდა. უძველესი დროიდან გავრცელებული იყო ხისა და ტყავის აბჯარი. ლითონის აბჯარი ბრინჯაოს ხანაში გაჩნდა. აბჯარი შედგებოდა ჩაფხუტის, ჯაჭვ-კურტაკისა და ლითონის ან ლითონგადაკრული ტყავის სარტყლისაგან. მკლავებზე (მაჯიდან იდაყვამდე) მეომრები 25-30 ცალ ბრინჯაოს რგოლს იცვამდნენ. ფეხების დასაცავად წვივებზე ქეჩას იკრავდნენ, შემდგომში კი ლითონის მთლიან ფირფიტებს ხმარობდნენ. ძველ საბერძნეთში მსუბუქად შეიარაღებულ ქვეითს სელის ქსოვილის რამდენიმე ფენისაგან შეკერილი ქურქი ეცვა. თავზე მსუბუქი ჩაფხუტი ეხურა და ხელთ მცირე ფარი ეპყრა. მძიმედ შეიარაღებული ქვეითის (ჰოპლიტის) აბჯარი შედგებოდა სპილენძის ან რკინის მუზარადის, ჯავშნის, ოვალური ფარისა და საჩერნისაგან (საწვივესაგან). ლითონის სარტყელზე დამაგრებული იყო ლითონგადაკრული ბრტყელი თასმები, რომლებიც კაბასავით ეშვებოდა და მეომარს წელქვევით იცავდა. ასეთი სარტყელი და ჩაფხუტი ჰქონდათ რომაელებსაც, გულმკერდს კი ზედ დამაგრებული ლითონის დაფით იცავდნენ. აბჯრად ხმარობდნენ აგრეთვე ტყავის ტანსაცმელს, რომელზეც ლითონის ფირფიტები ან რგოლები იყო დაკერებული. ამგვარი აბჯრისგან გაჩნდა შემდგომში თორი. აბჯრის ხმარება რომაელებისაგან გალებმაც ისწავლეს. ძველმა გერმანელმა ტომებმა ლითონის აბჯარი VII-VIII სს-ში შემოიღეს. XI ს-ის ევროპაში გავრცელებული იყო ფოლადის ფირფიტებისაგან შეკრული მთლიანი აბჯარი, ხოლო ჯაჭვის აბჯარი — ფოლადის რგოლებით მჭიდროდ ასხმული ბადის შარვალი და პერანგი — ჯვაროსნებმა შეიტანეს აღმოსავლეთიდან (ჯაჭვის აბჯრის ხმარება ჯერ კიდევ ძველმა ასურელებმა იცოდნენ). ამ აბჯრის მუზარადსაც ფოლადის ბადე ჰქონდა, ბადე მხრებს სწვდებოდა და კეფასა და სახეს იცავდა. შემდგომში ჯაჭვის პერანგზე (მხრებზე, კისრის არეში და სხვ.) ზოგჯერ ლითონის ფირფიტებსაც ამაგრებდნენ. XV ს-ის მხედარს ეცვა ჯავშანი, საწვივე, საბარკული და ლითონის ფეხსაცმელი, ხელებზე — ჯაჭვგადაკრული ხელთათმანი. ცხენსაც ჯავშანი იცავდა, შუბლს ლითონის საშუბლე უფარავდა და მკერდზე ფარი ჰქონდა ამოკრული. აბჯარი მეომარს თითქმის ყოველგვარი ციცი იარაღისაგან იცავდა.საასპარეზო და საზეიმო აბჯარი ოქრო-ვერცხლით, პატიოსანი თვლებითა და მდიდრული ქსოვილებით იყო მორთული. მძიმედ შეიარაღებული აბჯროსანი რაინდი ძლიერი ძალა იყო და ხშირად ბრძოლის ბედს წყვეტდა. ცეცხლსასროლი იარაღის სრულყოფასთან ერთად აბჯარმა თანდათანობით დაკარგა მნიშვნელობა.

საქართველოში აბჯარს უძველესი დროიდან ხმარობდნენ. თრიალეთში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოაჩინეს ბრინჯაოს მუზარადისა და ფარაგის ნაშთები (ძვ.წ. III ათასწლეული), ლილოსა და კაჭრეთში — ბრინჯაოს მრგვალი ფარები, სამთავროში — ბრინჯაოს სარტყლები. ვანში აღმოჩენილი ანტიკური ხანის სამარხში დაკრძალულ მეომარს ბრინჯაოს საბარკული და საწვივე ეცვა. ჰეროდოტეს ცნობით (ძვ. წ. V ს.), მოსინიკებს ტყავის მუზარადი ეხურათ და ქსოვილის კვართი (პერანგი) ემოსათ. მოსხებს დაწნული, ხარისტყავგადაკრული, ფათალოს ფურცლისებრი ფარები ჰქონდათ, სხეულს კი სელის კვართით იცავდნენ. ხალიბებსაც სელის კვართი ეცვათ. თავსარქმელად ხესაც იყენებდნენ. ხის მუზარადი ეხურათ მოსინიკებს, ტიბარენებს, კოლხებს. ბერძნული მითის მიხედვით, კოლხეთის მეფე აიეტს ღვთაება არესისაგან ნაბოძები ჰქონია ოთხჯილიანი ოქროს მუზარადი. საქართველოში ნადავლ საჭურველს, მათ შორის მუზარადებს, სალოცავებს სნირავდნენ, მაგ., ქუცანა ამირეჯიბს ჯალალედინის მუზარადი მრავალძალის ეკლესიისათვის შეუწირავს.

ქართველ მეომრებს თავსარქმელად მუზარადი, ჩაფხუტი და ჩაჩქანი ჰქონდათ. ძლიერი დარტყმის შესასუსტებლად ჩაჩქანქვეშ თუშურ ქუდს იხურავდნენ, მუზარადქვეშ - სვანურს.

ტერმინი „აბჯარი" შუა საუკუნეების დამდეგიდან საერთოდ საჭურველს აღნიშნავდა, შუა საუკუნეების მიწურულში აბჯრის შინაარსი „იარაღმა" შეცვალა და აბჯარში მხოლოდ თავდასაცავი საჭურველი იგულისხმებოდა. აბჯარი საქართველოს მთაში, სადაც მას თითქმის უკანასკნელ დრომდე ხმარობდნენ, ფართო გაგებით თავდასაცავი და შესატევი საჭურვლის ერთ „ტანს" (ერთ კომპლექტს) აღნიშნავდა. მასში შედიოდა მუზარადი ან ჩაჩქანი, ჯაჭვის პერანგი ან ჯავშანი, სამკლავეები, ფარი, ხმალი, დაშნა, ურსა(დანა), საჩერნე, საბარკული, საცერული, შემდეგ — თოფიც, დამბაჩაც, მასრებიც და საპირისწამლეც. აბჯრიდანაა ნანარმოები სიტყვები „აბჯრისმტვირთველი", „მეაბჯრეთუხუცესი" და „მეაბჯრე".

ლიტ.: კ. ჩოლოყაშვილი, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

აგვართა — გურიასა და სამეგრელოში მწყემსებისა და მონადირეების სახელდახელო ქოხი.

ლიტ.: ალ. ღლონტი. ქკთსკ, 1974.

აგური — მინერალური წარმოშობის სხვადასხვა მინარევისაგან (თიხა, ტრეპელი, კვარცის ქვიშა, კირი) დაყალიბებული, სწორკუთხა პარალელეპიპედის ფორმის მტკიცე და ყინვაგამძლე, უძველესი საშენი მასალა. ტერმინი „აგური" X საუკუნიდან გვხვდება, მანამდე ალიზის სახელწოდებით იყო ცნობილი. ათონის ივერთა მონასტრის XIIსაუკუნის ერთ-ერთი აღაპიდან ჩანს, რომ საქართველოში მოჭიქული აგურიც მზადდებოდა. ძველი მეთუნეები აგურს ამზადებდნენ გაცრილი აყალო მიწისგან., რომელსაც ერეოდა ქვიშის მესამედი ნაწილი. გაცრილ-დაბეგვილ ფხვიერ მიწას ოსტატები გასუფთავებულ ადგილზე — „კალოზე" დაყრიან და წყლით დაალბობენ. დაზელილი თიხა დაზგაზე თავსდება და იწყება მისი ყალიბით „მოჭრა". გავრცელებულია,როგორც ოთხაგურიანი,ისე ორაგურიანი ყალიბი. შლამგამოვლებულ ყალიბის „თვალში" სააგურე გუნდებს „ჩააგდებენ", ფიცარ-საფხეკს (სინგირს) გადაუსვამენ და ზედაპირს გაასწორებენ. ყალიბს სუფთა გადავაკებულ სააგურე კალოზე წამოაპირქვავებენ. აგური იჭრება და მზეზე შრება. გამშრალ აგურს ქურაში ჩაალაგებენ და გამოწვავენ. აგურის ქურა სხვადასხვა ზომისაა. ორსართულიანი ქურის დაბლა ნაწილში ცეცხლი ინთება, მაღლა ქურაში კი აგური ისე უნდა დალაგდეს, რომ ცეცხლმა ყველა მიმართულებით „იმუშაოს". გამოწვის პროცესი ცეცხლის „მძიმედ" მიცემით, ანუ „დაბოლებით" იწყება, რომელიც გრძელდება ერთიდან სამ დღემდე. აგურის მთლიანად გამოწვას ერთი კვირა სჭირდება. ძველად, უმთავრესად კვადრატული ფორმის აგურს ამზადებდნენ. ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში მისი ზომა 46-54 სმ იყო, სისქე — 10-11სმ. შუასაუკუნეებში აგურის ზომა შემცირდა (21-25 სმ), სისქე — 4-7სმ. 40-50 წლებიდან ქართული აგური ხმარებიდან გამოსულა და მისი ადგილი რუსულ აგურს დაუკავებია. შესაბამისად, აგურის ჭრის ტექნიკაც შეცვლილა, თუმც აგურის მიწის მოთხრა-დაზელვისა და გაშრობა-გამოწვის ტრადიცია ძველებურად გაგრძელდა. ქართული აგურის კეთება ძნელი იყო — დროც მეტი სჭირდებოდა და ძალაც. ერთი კალაპოტით ერთი ქართული აგური იჭრებოდა, რუსული კი — ოთხი.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კახური კერამიკა, 1949. მ. ზანდუკელი, ქართული ხალხური კერამიკა, 1982. ჯ. ჯღამაია, რუსთაველის ხანის საქართველოს სამშენებლო კერამიკა, 1968.

მ.ზ.

აგური სამყურა — მოხრილი მოყვანილობის აგური, რომელიც შენობის გარკვეულ ნაწილთა ასაგებად გამოიყენებოდა. ქიზიყელი მეაგურეების გადმოცემით, „სამყურა" აგურს ქვევრის პირის ირგვლივ

შემოსალაგებლად ხმარობდნენ („ქვევრს პირზე, გარშემო ბაგად უკეთებდნენ"). აღნიშულ აგურს წყლის გამოყვანისათვის საჭირო ფუნქციაც ეკისრებოდა.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კახური კერამიკა, 1947.

მ.ზ.

აგური ფილაქნისა — იატაკის აგური და მისით მოფილაქნება სამშენებლო ხელოვნებაში უძველესი დროიდან იყო მიღებული. საქართველოში არაერთი ეკლესია-მონასტრის თუ სამეურნეო და საყოფაცხოვრებო ნაგებობის იატაკი აგურით იყო გაკეთებული. იატაკის აგური იდებოდა როგორც მხარზე აყენებული, ასევე სიბრტყივ, გააჩნდა ნაგებობის დანიშნულებას. ჩვეულებრივ იატაკის ბურჯად გამოიყენებდნენ ოთხკუთხა, ქართულ აგურს, რომელიც გამოირჩეოდა სიმყარითა და გამძლეობით.

მ.ზ.

ადაბხანა (თბ). — ფეხსადგილი, მარული, ჩეჩმა.

ადიდა/ჰადიდა — საოქრომჭედლო ხელსაწყო, მავთულის გასანვრილებელი ბრტყელი ლითონის ნაჭერი, რომელიც დახვრეტილია სხვადასხვა ზომაზე. ნახვრეტები მიყოლებით თანდათან იზრდება. ყველაზე დიდი ზომის ნახვრეტში ატარებენ მსხვილ მავთულს. შემდეგ თანდათანობით უფრო მომცროებში „გაწურავენ" და იღებენ ნებისმიერი სისქის მავთულს. მავთულის გამოზიდვა ნახვრეტებიდან ხდებოდა ბრტყელპირიანი გაზის მეშვეობით.

ლიტ.: ლ. სოსელია, მესხეთის ოქრომჭედლობის შესწავლისათვის, კრებ. მესხეთ-ჯავახეთი, 1979.

ე. ნ.

ადლი — სიგრძის საზომი ერთეული. წერილობითი წყაროების მიხედვით ადლი თავდაპირველად დასავლეთ საქართველოში (1513 წ. გელათის შენირულობის წიგნი) იხსენიება, XVII ს-დან კი აღმოსავლეთ საქართველოს წერილობით ძეგლებშიც არის დადასტურებული. ადლის წარმომავლობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა აზრი არსებობს. იოანე ბაგრატიონი ადლს აზიელებისგან შეთვისებულ საზომად მიიჩნევდა, არაბულ ტერმინად თვლიდნენ ივ. ჯავახიშვილი და დ. ჩუბინაშვილი. რაც შეეხება ადლის სიდიდეს, სულხან-საბა ორბელიანი ადლის ორ წყრთას უტოლებდა. გიულდენშტედტის ცნობით, ადლი 3 ინგლისურ ფუტსა და 4 დიუმს, ანუ 101,6 სმ-ს შეადგენდა. მეტრულ სისტემაში ადლის ზომა საშუალოდ 101,5 სმ-ით არის განსაზღვრული. ადლის საშუალებით ძირითადად იზომებოდა საკარმიდამო მინის ნაკვეთები, ვენახები. XVIII ს-დან ერცელდება ადლის დაყოფა მტკაველებად, გოჯეულებად, ციდებად, ჩარექებად. კახეთში ადლი 4 მტკაველს უდრიდა.

ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973.

მ.ხ.

ავაზანი — წყლის რეზერვუარები ესთეტიკური დანიშნულებისათვის, ჩვეულებრივ მდიდრული სასახლეების წალკოტებში ავაზანთა გაკეთება მიღებული იყო საქართველოში. ავაზნები შეუმკიათ მარმარილოთი და შადრევნებით. იოანე შავთელს საქართველოს მეფის სასახლეზე ნათქვამი აქვს: „მტილ-სამოთხენი, თვალთ სამოთხენი, ზედ ავაზანთა შექმნულობანი". გვიან პერიოდში, ავაზანები ეწოდათ წყაროებთან არსებულ დიდ გეჯებს, როგორც ხისაგან, ასევე ქვით ნაშენებს, ან ქვისავე ქანში ამოკვეთილთ. ასეთი ავაზნების საუკეთესო ნიმუშები დასტურდება ჯავახეთში, სოფ. საროში. ავაზნები განკუთვნილია როგორც პირუტყვთათვის წყლის დასალევად, ასევე სხვადასხვა საოჯახო და სამეურნეო საქმიანობისათვის.

ე. ნ.

ავანგდასტა— სანაყი თითბრის, მომრგვალებული. ქალაქური როდინი, რომელშიც სანელებელთა გარდა ფერუმარილისათვის საჭირო მასალასაც ნაყავდნენ.

ლიტ.: ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, 1997.

ავგარდანი//აბგარდანი//აბუგარდანი — სპილენძის დიდი ზომის ღრმა კოვზი, ჩამჩა, უქუსლო და მრგვალპირიანი. მასიური, ლულოვანი ტარი მირჩილულია ჭურჭლის ტანზე ორად გაყოფილი ფოთლისებური ბოლოთი და თითო-თითო სამჭვალით. არის მოკალული და მოუკალავიც და უფრო მე-

ტად სადა, უორნამენტო. ავგარდანი მზითვის აუცილებელი ატრიბუტი იყო. საინგილოში ქორწილებსა და სულპურებში (აღაპი) წვნიანის ამოსაღებად ხმარობდნენ. შეძლებული ოჯახები იგივე დანიშნულებისთვის ატანდნენ „ტაშტ-ნურნუმას"; ანუ „ალთაფას", ასევე ტაშტს ტოლჩით ან „იბრიხ-ლენგერს" (აჭარ.).

ც. კ.

ავგაროზი — ნივთი, რომელსაც სამკურნალო ძალა ან მფარველის თვისებები მიეწერებოდა. ეთნოგრაფიულ ყოფაში ავგაროზებად იმ ნივთების გამოყენება ჩანს, სადაც ლოცვები ან ჯადოსნური სიტყვები იყო ჩაწერილი ან ჩამაგრებული.

ტერმინი ავგაროზი უკავშირდება იესო ქრისტეს აპოკრიფული წერილების ადრესატს ედესის მმართველ ავგაროზს. ძველად ნაწყვეტებს ამ წერილებიდან ქაღალდზე დაწერდნენ, ოთხად მოკეცავდნენ და ახალუხის სახელოსთან მიიკერებდნენ. დღემდე, ზოგიერთი მორწმუნე მართლმადიდებელი ქრისტიანი, ავგაროზს, ლოცვებთან ერთად ყოველთვის თან ატარებს, რათა დაიცვას თავი „ხილული და უხილავი მტრისაგან და ყოველგვარი გრძნეულობათაგან".

ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმში ავგაროზების მეტად საინტერესო კოლექციაა დაცული. ყველა ეს ნივთი წარმოადგენს ნაჭერში ან ტყავში გახვეული შელოცვების, მაგიური ფორმულებისა და ლოცვების ტექსტებს. ხალხის რწმენით, დაცვითი ფუნქციის გარდა მათ განკურნების ძალაც მიენიჭებოდა. ეს რწმენა იმდენად ძლიერი იყო, რომ არც სარწმუნოებრივი და არც ენობრივი სხვაობა არ უშლიდა ხელს კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს ერთმანეთის ავგაროზები გამოეყენებინათ. ცნობილია, რომ სვანებს ბალყარეთიდან გადმოჰქონდათ ტყავის ბუდეში ჩასმული შესალოცი ქაღალდი „დუა" და ავი თვალისაგან დაცვის მიზნით ატარებდნენ კისერზე ჩამოკიდებულს ან იკერებდნენ ტანსაცმელზე. ბორჩალოელი თათრები განკურნების მიზნით ქართულ ლოცვა ჩაკერებულ ავგაროზს ატარებდნენ.

მ.ხ.

ავეჯი — საზოგადოებრივი და საცხოვრებელი ბინის მოსანყობი ნივთები, დგამი. ძირითადად არსებობს ორი სახის ავეჯი: საყოფაცხოვრებო და სპეციალური. საყოფაცხოვრებო ავეჯს განეკუთვნება: სკამი, სავარძელი, მაგიდა, კარადა, სანოლი, ტახტი და ა.შ. სპეციალურს — სათეატრო, სასკოლო, საბიბლიოთეკო და სხვა დგამი.

ქართული ხალხური ავეჯი საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა. მას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ქართული ხითხუროობის ხელოვნებაში, გამოირჩევა თავისი კონსტრუქციით, მხატვრული შემკულობით, ახასიათებს ლაკონიურობა, ფუნქციის ზედმიწევნით გათვალისწინება, ეროვნული კოლორიტი.

ქართული ხალხური ავეჯი დანიშნულების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად იყოფა. ესაა: საწოლი, სასხდომი, სატრაპეზო და სათავსებელი ავეჯი. განსაკუთრებით მრავალფეროვანია საწოლად (საძილედ) განკუთვნილი დგამის ნაირსახეობანი: სკამლოგინი, ტახტი, საწოლი, მერხი (მეხი), აკვანი, ლაჭანი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საწოლად იყენებდნენ წნულ ავეჯსაც (ჩაფი, ჯინი). საწოლი ავეჯის აღსანიშნავად ქართულ წერილობით ძეგლებში X ს-მდე „სარეცელი" და „ცხედარი" გვხვდება, შემდეგ „სარეცელს" „ტახტი" ენაცვლება.

სასხდომი ავეჯიდან აღსანიშნავია სამამაცო (საკაცო) სკამი, სავარძელი (საკარცხული, საუფროსო სკამი, მარტო სკამი), კერის სკამები — „ჩიკა", „ჩიტა" (სამფეხა) და სხვ. სკამი წერილობით წყაროებში სასხდომი ავეჯის სხვა სახელებთან (სელი, დასაჯდომელი) ერთად იხსენიება (ვეფხისტყაოსანი, „ხელმწიფის კარის გარიგება" და სხვ.). სიტყვა „სკამი" (სამამაცო სკამი) ძველად „მრავალთ სასხდომელ" ავეჯს აღნიშნავდა. სავარძელი ნახსენებია ოშკის ბიბლიაში. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში გავცელებულ სავარძელთაგან თავისი დანიშნულებითა და დახვეწილი ფორმებით სვანური „საკურცხილი" გამოირჩევა. იგი ოჯახის უფროსის საპატიო სკამი იყო.

სატრაპეზო ავეჯია ხონჩა-ტაბლები. პურობისათვის განკუთვნილი ტაბლა, მაგიდის მნიშვნელობით იხმარებოდა. ეთნოგრაფიულ ყოფაში სხვადასხვა მოყვანილობისა და დანიშნულების სუფრები გვხვდებოდა: ხევსურული ტაბლანი, მთიულური ტაბლა, თუშურ-ფშაურ-მოხევური ხონჩა, რომელიც სამ ან ოთხფეხიანი იყო. თუშეთში ხონჩას დანიშნულების მიხედვით განასხვავებდნენ. „საკეტავიანი ხონჩა" სასტუმრო იყო, სახორცე ხონჩა კი სვანური „ლაზრულ ტაბაგის" მსგავსად მხოლოდ ხორცის დასადებად იხმარებოდა. მთიუ-

ᲐᲖᲐᲠᲬᲔᲨᲐ

ამძარი

ლეთ-გუდამაყარში სამფეხა მრგვალი ტაბლა გვხვდება. ამგვარ სუფრებს განეკუთვნება სვანური „ფიჩქიც“.

მრავალფეროვანია სათავსებელი ავეჯი — კიდობანი, სკივრი, ზანდუკი, ხელყუთები (ტაგრუცი, კროჭი, მაქალოზი), აგრეთვე კედლებში ჩაშენებული თარო-ბუჯერები და სხვა. კიდობანი ხის ავეჯის ყველაზე გავრცელებული სახეობაა. „ვეფხისტყაოსანში“ იგი იარაღის სათავსისა და ტახტრევანის მნიშვნელობითაც იხსენიება. ხევსურეთსა და თუშეთში კიდობანს კარადის მსგავს რამდენიმე განყოფილებიან დგამს უწოდებენ. დღეს კიდობანი უმთავრესად მარცვლეულის შესანახად იხმარება (მაგალითად, „სულადის კიდობანი“).

ქართული ხალხური ავეჯის ერთ-ერთი თავისებურებაა ორნამენტაცია, ანუ „დაჭრელება“. ორნამენტი („ჭრელი“) ავეჯის მეტად დამახასიათებელი კომპონენტია და თავდაპირველად ძველ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდებოდა, დღეს კი მხოლოდ ნივთის დეკორატიულ გაფორმებას ემსახურება. ხალხური ავეჯის ჩუქურთმის ძირითადი მხატვრული მოტივები იყო: „ბორჯღალა“ (მზე), „ხუთა“ (ვარსკვლავი), „ხატი“(ჯვარი) და სხვ.

ხალხური ავეჯის ზოგიერთი სახეობა დაკავშირებული იყო ისეთ ჩვეულებთან, როგორიცაა უფროსების პატივისცემა და სტუმარმასპინძლობა. მაგალითად, ოჯახის უფროსის, საპატიო სტუმრისა და დიასახლისის სკამები კერასთან საპატიო ადგილას იდგა. მამაკაცებისათვის განკუთვნილი მერხის ადგილიდან დაძვრა იკრძალებოდა და ოჯახის გაყრისას ოჯახში რჩებოდა. კერის მარჯვენა მხარეზე საკაცო მერხი იდგა, მარცხენაზე კი საქალო. კერის გამიჯვნა საკაცო და საქალო მხარეებად გამონეული იყო ოჯახში შრომის დანაწილებით.

ლიტ.: ლ. ბედუკაძე, ხალხური ავეჯი აღმ. საქ. მთიანეთში, 1973.

ლ.ბ

ავეჯი//ავეჯობა (იმერ.) – აქ: სახელოსნო იარაღთა ზოგადი სახელი დასავლეთ საქ-ში. ძველ ქართულში ქვის დასამუშავებელ იარაღთა კომპლექტს, ანუ ავეჯს „ჭურჭელნი ქვის სათლელნი“ ეწოდება.

ე. ნ.

ავლა დაგუბებული წყლის გასავლელი გზა.

ლიტ. ი. ვრიმაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, 1997.

ავშარა//ძორაკი – ცხენის აღკაზმულობის ნაწილი. შედგენილია ნვრილად დაჭრილი ტყავის სამი თასმისაგან. აქედან ორი ერთნაირი სიგრძისაა, მესამე კი უფრო მოკლე, ჩასამაგრებელი ნინა ორ თასმაზე. მოკლე თასმა ცხენის აღვირსა და შუბლზე გადასადები და ყელში ამოსადები იყო. ამ უკანასკნელს გუდამაყარში „სანიკბური“ ეწოდებოდა. ტყავების გამოსაკვანძად გამოყენებული იყო „ბახრიპენი“(ხევს.).

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური ნესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

ავშარა – ულაგამო აღვირი, რომელიც შეკერილია ტყავისგან. ავშარა ცხენსა და ვირს ყბებსა და ცხვირზე უკეთდება და მოიხმარება არა მხედრისთვის სამართად, არამედ ცხოველების გადასაყვანად. მაგ., საბალახოდ, გომურიდან გამოსაყვანად და ა.შ.

ე. ნ.

აზარმაცი // ზარმაცი დიდი სიმძიმის ასაწევი იარაღი. შედგება ოთხი ნაწილისაგან: საყრდენი ქვა, ჰორიზონტალურად დადებული გრძელი და მსხვილი ხე, რომლის ნამახულ ნვერზე ვერტიკალურად დგება აზარმაცის ბოძი, ხოლო ამ ბოძის თავზე ჰორიზონტალურად გაიდება „შადაგი“. აზარმაცის დანევით ბოძი შადაგს აწევება და შადაგი კი ასაწევად გამიზნულ სიმძიმეს. აზარმაცის მოხმარება ბოლო დრომდის ფართოდ იყო გავრცელებული ქართლში დარბაზული სახურავის ასაწევად, როცა მისი გატეხილი თავხეების გამოცვლა სურდათ. აზარმაცი ოწინარის ტექნიკური ნაირსახეობაა.

ე.ნ.

აზარფეშა — ტარიანი, ფართოპირიანი დიდი კოვზისებური ღვინის სასმისი, რომლის საუკეთესო, ვერცხლითა და ოქროთი მოჭედილი ნიმუშები ყველაზე მეტად გავრცელებული იყო თბილისში.

აზღუდი — ქალის ზედანელზე უსახელო ჩასაცმელი.

ათექაში — ცეცხლის საჩხრეკი.

ათძალი — ძველებური საკრავი, რომელსაც ჰქონდა ერთი ათეული ძალი, ანუ სიმი. ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია ორძალიანი, სამძალიანი, ოთხძალიანი საკრავები, რაც იმის მაუწყებელია, რომ თითოეული მათგანის ხმოვანების მრავალფეროვნება სიმთა განსხვავებული რაოდენობის გამო სხვადასხვა იყო.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938.

ე. ნ.

აი (თბ.) ქამანჩას დასაკრავი ძუიანი ჯოხი.

აირანი — წყალგარეული მაწონი, უფრო მუსულმანებში იყო გავრცელებული.

აიუმა — აფხაზური მუსიკალური საკრავი, წარმოადგენს თავმომრგვალებული სამკუთხედის მოყვანილობის სიმებიან საკრავს (14 სიმი), რომლის სიმები ცხენის ძუისგანაა დამზადებული. აიუმა ნააგავს სვანურ ჩანგს. ამჟამად ეთნოგრაფიულ ყოფაში არ დასტურდება.

ე. ნ.



აკვანი //არკვან//ონნე (მეგრ.),,**აკავან//ჰენნ** (სვან.)//**ავაკან-აკვან** (რაჭ. ლეჩხ.) ჩვილ ბავშვთა საწოლი. აკვნამდე ჩვილი ბავშვი იზრდებოდა ხოჭიჭში (იხ.). რნევის პრინციპის მიხედვით აკვნის სამი სახე გამოიყოფა: უსაგოგავო, მომრგვალებულფეხებიანი და საგოგავიანი. აკვნის ძველი სახეობა ოთხ ფეხზე მდგარი უსაგოგავო საწოლია, ხოლო საგოგავების პრინციპზე შექმნილი აკვნები მომთაბარე ტომებს უნდა გაევრცელებინათ, რომელიც აღმოსავლეთ სამყაროში ცნობილია ბიშეკის სახელწოდებით. მოგვიანო ხანაში ქართული აკვანი ამ უკანასკნელმა შეცვალა. საქართველოში ძირითადად გავრცელებული იყო საგოგავიან-კამარიანი აკვანი. აკვნის ნაწილებია კამარა-კარბა, სახელური, დირე-გამირი, საგოგავი. სიგრძის დირეს ამკობდა ჩვილის დამცავი ჯვრები, ბორჯღლები, გასხივოსნებული ნრეხაზები და სხვა. აკვნის აუცილებელი ელემენტებია არტახი (იხ.). აკვანზე გადასახვევი ბრტყელი მაგარი ნაჭერი, საბეჭურები მხრების გასაკრავი, მატყლისაგან შეკერილი მუხლთბალიში, „მირგვალაი ქუდი" (გუდამ.)//გორგოლი გვირგვინი (იმერ.) — მიტკალში გამოხვეული თივა თავქვეშ დასადებად (2-3 თვე), რათა ბავშვს თავი და კისერი გასწორებული ჰქონოდა. ნალი ლეიბი ნმ. თივით დატენილი, ჰიგიენური ნახვრეტით და აკვანში ჩასადები შარდსადენი ხის მილით (ბოქმო, შიბაქი (იხ.). გოგონებისათვის მოგრძო, ბიჭებისათვის კი მრგვალთავიანი, სანთელწასმული და მიტკალგადახვეული. შიბაქთან დაფენილი იყო ანწლისა და ბუერის ფოთლები (ზაფხულში), ზამთარში კი მიტკალი მატყლით. განსაზღვრული ერთი ჩაწვენისათვის. ბავშვის აკვანში პირველად ჩაწვენისას ოჯახის უფროსი ქალი აცხობდა გულიან პურებს — ქადა-ტკბილებს, აწყობდნენ ბავშვის თავთან, შუაში და ფეხებთან და ლოცავდნენ ჩვილს. ასევე იქცეოდნენ სახლის გარეთ აკვნის პირველად გამოტანისას. ნამცხვარს არიგებდნენ და უყრიდნენ ფრინველებსაც. სწამდათ, რომ თუ კვერებს მათ შეაჭმევდნენ, ბავშვი მალე აიდგამდა ფეხს. მთის რაჭაში ახალშობილს პირველად ბებია აიყვანდა, თუ ვაჟი იყო, კერაზე თავს მიადებინებდა და სახლის ანგელოზს ბავშვის იღბლიანობას შესთხოვდა. შემდეგ მას ღვინოს აპკურებდნენ ვაჟკაცი გამოვაო. ბავშვის დაცვის თვალსაზრისით გავრცელებული იყო აკვანზე ავგაროზის დაკიდება. საქართველოში უკანასკნელ დრომდე შემორჩა დიდი სალოცავისადმი აკვნის შეწირვის ტრადიცია. შესაწირავ აკვნებს უმთავრესად ნაყოფის მომცემ მსხლის ან კაკლის ხისაგან აკეთებდნენ. სცოდნიათ ასევე ვერცხლის მინიატურული აკვნის შეწირვაც. წესად ყოფილა იღბლიანი აკვნის განათხოვრებაც. ხევსურეთში, გვარს გარეთ აკვნის გატანა იკრძალებოდა

საგვარეულოს ბედ-იღბლის სხვა გვარზე გადასვლის შიშით.

ლიტ.: ე. ბარდაველიძე-ლომია, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში, სსმმ., ტ. IV, 1953. ს. მაკალათია, მთის რაჭა, 1971. ლ. ბედუკიძე, ხის ავეჯი რაჭაში,სსმმ, XIIB, 1997.

ლ. ბ.

აკიდო — 1. მოკლედ აჭრილი ვაზის მტევნებიანი რქა საზამთროდ შესანახად (ჩხასაც უწოდებენ). 2. შტოებიან ტოტზე დაკიდებული ყურძნის მტევნები.

აკლდამა — მიცვალებულთა განსასვენებელი ქვის ნაგებობა როგორც მინისქვეშ, ასევე მიწის ზევით. ხალხურ ქვითხუროობის პრაქტიკაში აკლდამური განსასვენებლის მნიშვნელოვანი ძეგლებია შექმნილი. აკლდამური განსასვენებლების შენებას განაპირობებდა სათანადო ტრადიცია, ეკონომიკური შესაძლებლობა და ქვითხუროობის მაღალი დონე. ეთნოგრაფიულ ყოფაში აკლდამური განსასვენებლების საუკეთესო ნიმუშებია დაცული ქვითხუროობით განთქმულ ცენტრებში დასავლეთ საქართველოში ქოგნარში, ითხვისში, მანდაეთში, ჯიხაიაში და სხვაგან. უძველესი აკლდამური სამარხების საუკეთესო ნიმუშები აღმოჩენილია მცხეთაში.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. ნ.

აკო – ბეღლის ერთ-ერთი დანაყოფის სახელია (თვალი, ხარო, ხვიმირა, საგვერდული). განაყოფები თვლები გამოიყენებოდა: მარცვლეულის, ფქვილის, გამომცხვარი პურის სათავსოდ. ინახავდნენ ჯამ-ჭურქელსაც. პირველად მზადდებოდა დირეები. ჩარჩო იკვრებოდა ულურსმნოდ, შვერილის ბუდეებში ჩასმის წესით. ფიცრები დირეთა ღარებში თავსდებოდა და მჭიდროვდებოდა საჭიკავის საშუალებით. ზოგიერთი აკო წარმოადგენდა ცალკე სათავსს და ოთხ ფეხზე იდგა. ჰქონდა ასახდელი სახურავი. აკოს დასამზადებლად საუკეთესო იყო რცხილა, წიფელი და ცაცხვი. მოხევეთა ყოფაში აკოს სახელდახელო საწოლის ფუნქციაც ენიჭებოდა. გამართავდნენ კარების უკან, აწვენდნენ ახლად დაქორწინებულებს. დამახასიათებელი ყოფილა დიდი ოჯახისთვის.

ლიტ. ბედუკიძე, ხალხური ავეჯი აღმ საქ მთიანეთში, 1973.

ლ. ბ.

აკორდეონი//აკორდიონი (გერმ.) სხვადასხვა კონსტრუქციის პნევმატურენიანი ინსტრუმენტების საერთო სახელწოდებაა, რომელთაც მარცხენა კლავიატურაზე აქვთ მზა აკორდული აკომპანემენტის სისტემა. სახელწოდება ცნობილია 1829 წლიდან. ეს სახელი უწოდა ავსტრიელმა ორგანის ოსტატმა კ. დამიანმა მის მიერ გაუმჯობესებულ გარმონიკას. XIX ს-ის 30-იანი წლებიდან საუკუნის ბოლომდე აკორდეონი გავრცელდა ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში (ავსტრია, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, იტალია, ინგლისი) და აშშ-ში.რუსეთში აკორდეონი გავრცელდა XIX ს-ის ბოლოდან. მანამდე უკვე პოპულარული იყო გარმონიკები, რომელთაც მარჯვენა მხარეს ფორტეპიანოს ტიპის კლავიატურა ჰქონდა. აკორდეონზე მარჯვენა ხელის კლავიატურის დიაპაზონის სხვადასხვა ზომის მიხედვით სამი ოქტავა ან მეტია. მარცხენა კლავიატურა ღილაკებიანია (24-დან 140-მდე), რომელიც სხვადასხვა ტონალობაში იძლევა მზა აკორდს. აკორდეონს აქვს „ენების" კომპლექტი, 2-5 მარჯვენა კლავიატურისათვის და 4-5 მარცხენისათვის. ეს იძლევა ტემბრის გამრავალფეროვნების საშუალებას და ოქტავით ან უნისონურად ბგერების გაორმაგების გზით ჟღერადობის ძალა და ტემბრის შეფერილობა იცვლება.

აკორდეონმა ფართო გავრცელება ჰპოვა არა მარტო თვითმოქმედ კოლექტივებში, არამედ პროფესიულ შემოქმედებაშიც.

საქართველოში აკორდეონი გავრცელდა გარმონიკის შემდეგ, XX ს-დან. გამოიყენებოდა ლხინში დოლთან ერთად. იგი ფართოდ გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოში.

ლიტ.: К. Вертков, Г. Благодатов, О. Яловицкая. Атлас музыкальных инструментов народов СССР, М., 1963.

ე. ბ.

ალა//ალატი//ჩიბე//საფქვილე— ხის მოგრძო ყუთი ნისქვილში მფქველი ქვების წინ, სადაც ჩაიყრება დაფქული მასა.

ალადი (ჯავახ.) — წნელისა და მანებისაგან მოწნული საწოლი.

ალამი - 1. შუბის ფორმის წითლად შეღებილი ხის ჯოხი, რომელზედაც შებმულია სხვადასხვა ფერის ლენტები. ქართველ მთიელთა ალმებზე ეკიდა ნყვილი წინდა, ქუროები, ჩითები და სათამბაქო ქისა. გამოიყენებოდა თუშეთში მიცვალებულის დატირებისას. 2. პატარა ზომის დროშის ნაირსახეობა.

ალაო — დაფუებული წებოსავით ცომი ხორბლისა, რომელსაც გამოიყენებდნენ მოზელილი ცომის ასაფუებლად.

ალაყაფი — ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ალაყაფი უნდა ნარმოადგენდეს დიდ ჩარდახს, რომელშიც დგომა შეიძლება. ძველებური ალაყაფი ნიშნავს კომპლექსურ ნაგებობას, რომელსაც გააჩნია დარბაზი, კარები და აივანი. გვიან შუა საუკუნეებში ალაყაფი დიდი ჭიშკარია, რომელსაც აქვს სადგომიცა და აივანიც. სხვანაირად მას საპატიო შესავალი კარის მნიშვნელობაც ჰქონდა. ალაყაფის კარის ქართული შესატყვისი უნდა იყოს „ბჭის კარი", საიდანაც უნდა მოდიოდეს ჩვენებური „ჭიშკარი".

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, 1946.

ე. ნ.

ალაჩუხი — 1. ნაუცბათევად აშენებული ხის ქოხი. 2. ხარაგა-კარავსავით ჯოხებისაგან შეკრული, ნაბადგადაფარებული, სახელდახელო თავშესაფარი. მწყემსები დაშლილს თან დაატარებდნენ.

ლიტ.: ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, 1997.

ალებასტრი — რბილი, დეკორატიული სანახელაო ქვა, იგივე თაბაშირი. ტერმინი „ალაბასტრი" გვხვდება X ს. მწერლის ბასილი ზარზმელის თხზულებაში. ფართოდ იყო გავრცელებული ალებასტრისაგან ჭურჭლების გამოთლა, ალებასტრისგანვე თლიდნენ ლარნაკებს (იხ.), რომლებიც განკუთვნილი იყო წმინდათა ნაწილების დასაცავად და სანელსაცხებლედ. ხალხური სიტყვიერება ალებასტრს უწოდებს „თაგვმარილას". ალებასტრით არის გამოყვანილი საქართველოს სხვადასხვა ეკლესიათა კანკელები, კარნიზები, სხვადასხვა სამშვენისი. საქართველოში არსებობდა ალებასტრის ძველი საბადოები, რაც მისი გამოყენების სიძველეზე მიანიშნებს.

ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ე. ნ.

ალერდი — ბალახისგან დაგრეხილი თოკი. ზვინს ზემოდან ალერდს გადააკრავდნენ, რათა ქარს არ დაეშალა.

ალერსი — აქ. პერანგის ამხანაგი, საცვალი.

ალვასაზი (კახ.) — თაფლისაგან შემზადებული ტკბილეული. თაფლის დაწურვის შემდეგ დარჩენილ „ხარჯს" გარეცხავდნენ, შემდეგ ადუღებდნენ მანამ, სანამ კარგად არ გასქელდებოდა, ამ მასას დიდხანს ზელდნენ ხელით, ვიდრე მკვრივი ცომის სახეს არ მიიღებდა, შემდეგ დაჭრიდნენ ნაჭრებად და გამხმარს მიირთმევდნენ.

ე. ნ.

ალთაფა — სპილენძის ტარიანი კოკა, რომელსაც აქვს გრძელი ლულა. უფრო მაჰმადიანებში იყო გავრცელებული, ხმარობდნენ ნამაზის წინ.

ლიტ.: ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, 1997.

ალიზი — 1. ქვიშა - ცემენტის ნარევი ხსნარი, რომელსაც იყენებენ ქვის, აგურის ან „ბლოკით" ნაგებობათა მშენებლობისას. 2. გამოუწვავი, მზეზე გამომშრალი ბლოკი, რომელსაც იყენებდნენ საშენ

მასალად. მზადდება თიხის, ქვიშის, თიევის ან ნამჯის ნარევისაგან. ხელით ან ყალიბით. ცნობილია მართკუთხა, კვადრატული, ძირბრტყელა და ამოზნექილ ფორმის ალიზი. ალიზის დამზადება ქართული აგურის ჭრის დროს გამოყენებული ყველა ნესის თანმიმდევრობით მეორდება. განსხვავება არის საშენი მასალის შეზავებაში. საალიზედ განკუთვნილი დალბობილი მინის დამუშავება ცხენების საშუალებით ხდება (ბზენარევ ტალახს კაცი ვერ დაზელს). ალიზის მოჭრის წინ კალაპოტს წყალში ასველებენ, „უწყლოდ ალიზი არ ამოვა". კალოზე დაწყობილ ალიზს სამი დღის შეშრობის შემდეგ „ფეხზე აყენებენ", გამშრალს აგურის მსგავსად „ხარაგად დააწყობენ" და კარგად გახმობის შემდგომ დანიშნულებისამებრ გამოიყენებენ. ასეთი ტიპის ალიზი საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დღესაც გამოიყენება. ანტიკურ ხანაში ალიზი ერთ-ერთი ძირითადი საშენი მასალა იყო. საქართველოში ალიზი ცნობილია ძვ.წ. VI ათასწლეულიდან. მახლობელი აღმოსავლეთის უძველეს მშენებლობაში ალიზით აშენებული ნაგებობების მთელი რიგი კომპლექსებია გამოვლენილი. ალიზი უაღრესად მიღებული მასალა იყო შუამდინარეთის სამყაროში.

ლიტ.: ივ ჯავახიშვილი, მსმკი. 1946. მ. ზანდუკელი, ქართული ხალხური კერამიკა, 1982.

მ. ზ

ალიკაპი – 1. ხის აღვირი. პატარა ლაგამი. 2. მოზრდილი ხბოს პირის ასაკრავი, საძოვარზე გასულ დედას ძუძუ რომ არ გამოსწოვოს.

ლიტ.: ალ. ღლ. ქკთსკ, 1974.

ალისარჩული — ერთგვარი ჯიშის მცენარე, რომელიც გამოიყენებოდა სამღებრო საქმიანობაში. საგანგებოდ თესავდნენ და მის მოყვანას მისდევდნენ იმერეთში, რაჭაში, კახეთში და სხვაგან.

ლიტ.: ლ. მოლოდინი, ღებვის ხალხური ნესები (წითლად ღებვა), სსმმ, ტ. 45, 2003-2004.

ლ. მ.

ალიყული — სათამაშო აკვნის ყღარუნა, ბავშვს რომ თვალი არ ეცეს აკვანზე ჰკიდებენ, სილაქის მნიშვნელობა მიეღია იმ მდგომარეობის გამოსახატავად კაცს რომ შემოულაწუნებენ და ყურები ნუილს, ყღრიალს დაუწყებს.

ე. ნ.

ალმაგი//იალმაგი საომარი სამოსელი, ჯაჭვის პერანგზე გარედან ჩასაცმელი.

ალმასი — ელვარე და უაღრესად მყარი ძვირფასი ქვა, რომელიც ფართოდ იყო გამოყენებული ქართულ საიუველირო ხელოვნებაში. ალმასით არის შემკული მცხეთის ნეკროპოლში აღმოჩენილი ნივთები. შუასაუკუნეების ხატები და ხელნაწერთა ყდები. ალმასი ჩვენში გამოყენებული იყო ტექნიკური მიზნებისათვისაც. კერძოდ, ალმასით იხვრიტებოდა ძვირფასი ქვებისაგან დამზადებული მძივები. ალმასი არის თეთრი (წყლის ფერი), შავი და მოყვითალო, რომელთაგან შავი ფერის ალმასი უფრო ღირებულია. საქართველოში ალმასის დამზადება არ ხდებოდა, იგი შემოჰქონდათ ინდოეთიდან, შემდეგ კი ევროპიდან. ალმასი ასევე გამოიყენება მინის საჭრელად. ალმასის სინონიმს ძველ ქართულ მწერლობაში წარმოადგენს „ანდამატი".

ლიტ.: ვ. ზუხბაია. ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ე.ნ.

ალუდი (თუშ.) – ლუდის თუშური სინონიმი.



ამბარი— ხის ფიცრებისაგან შეკრული ფქვილისა და მარცვლეულის შესანახი დიდი ყუთი. შედგება ორი ან სამი განყოფილებისაგან. ზოგიერთში ას ფუთამდე „სულადი" ჩაეტეოდა.

ვ.ვ.

ამგალი— 1. სამწყსო მეზობლად მდგარი. 2. ქვემო ქართლში დიდი გუთნით ხვნასთან დაკავშირებული კოლექტიური შრომის ფორმა ხვნადღეების განაწილების ნორმირებული, დიფერენცირებული სისტემით. ყოველი წევრის მონაწილეობის ანაზღაურება ხდებოდა ალოებით (1 დღის ხვნა), მისი ამ ამხანაგობაში სახვნელი იარაღით, გამწევი ძალით თუ პირადი შრომით მონაწილეობის შესაბამისად (იხ. მოდგამი).

გარდა ამგალისა, აქ დიდი გუთნით ხვნასთან დაკავშირებული კოლექტიური შრომის ამ ფორმის აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინი მოდგამი. მოდგამი, განსხვავებით ამგალისაგან, გულისხმობდა იმ შემთხვევას,

როდესაც სახნავად ერთიანდებოდნენ „ნათესავები, ერთი წყობის და ერთი გვარის ხალხი“.

ლიტ.: Геладзе Т. Формы коллективного труда в земледелии Восточной Грузии, 1987.

თ. გ.

ამეთისტი//ამეთვისტო— მთის ბროლის იისფერი სახესხვაობა. ცნობილია ღია მეწამული ფერისაც. ამეთვისტონისა და მეათისთონის სახელითაა მოხსენიებული ქართულ ბიბლიაში. საბას განმარტებით, „ამეთვისტომი წითელი და იისფერია, იაგუნდსაც ჰგავს“. ძველი წარმოდგენით ამეთვისტო ადამიანს იცავს სიმთვრალისაგან. საქართველოს ანტიკური ხანის სამარხებში ამ ქვით შემკული სამკაულები საკმაო რაოდენობით გვხვდება. ამეთვისტოთი არის შემკული შუა და გვიანი საუკუნეების საეკლესიო და საიუველირეო ხელოვნების არაერთი ნივთი.

ვ. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ამუდა „საგვემელია, რკინებიან სხმული. ჯაჭვებიანი“(საბა). ამუდა წარმოადგენს რკინის ტარზე დამაგრებულ ჯაჭვებს, ტარის სიგრძე და ჯაჭვების რაოდენობა არ არის განსაზღვრული. ამუდას მუსლიმანური სამყარო გამოიყენებს თვითგვემის ჩასატარებლად. საჭიროების შემთხვევაში საბრძოლველადაც ხმარობდნენ.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული. ტ. I, 1991.

ე. ჭ.



ამულეტი — საგანი, რომელსაც მორწმუნე ატარებს უმთავრესად ყელზე ჩამოკიდებულს ავი თვალისა და ავი სულისაგან თავდასაცავად. მსგავსად სხვა ძველი კულტურული ხალხებისა, საქართველოშიც ამულეტების ტარების ტრადიცია უძველესი დროიდან მომდინარეობს და ფეტიშიზმსა და მაგიას უკავშირდება. უსულო საგნების მიმართ თაყვანისცემა და მათთვის ზებუნებრივი ძალის მინიჭება დამახასიათებელია რელიგიის განვითარების ნებისმიერ სტადიაზე მყოფი ადამიანისათვის. ამ ჩვევების ადრინდელი ფესვები კარგად იძებნება არქეოლოგიურ ძეგლებში. ამულეტებად გამოყენებული ქვის საკიდები ჯერ კიდევ ზედა პალეოლითის ძეგლებშია დამოწმებული.

ფუნქცია-დანიშნულების მიხედვით ამულეტები არსებობს ავი თვალის საწინააღმდეგო, მოსავლის დამცავი, სამკურნალო, სიუხვისა და კეთილდღეობის მომტანი. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია ამულეტების შემდეგნაირი კლასიფიკაცია. 1) ამულეტები, რომლებიც მიეკუთვნება ორგანულ ბუნებას (ადამიანისა და ცხოველთა სხეულის ნაწილების გამოსახულებები, მაგ. ხელი, ფეხი, კბილი, ეშვი) 2) არაორგანული ბუნების ობიექტები (ქვების, ნიჟარების, მძივებისგან გაკეთებული ამულეტები). 3) მატერიალური და სულიერი კულტურის ამსახველი ნივთები (რკინის ნაკეთობები, ქსოვილები, მაგიური სიტყვები, შელოცვები).

ლიტ.: ე. ნადირაძე, მსოფლიო რელიგიები, 2001

მ.ხ

ამქარი — ერთი და იმავე ხელობის ხელოსნურ-ვაჭრული გაერთიანება. სიტყვა „ჰამქარ“ მომდინარეობს სპარსულიდან და ნიშნავს თანამოსაქმეს. განვითარებულ შუა საუკუნეებში ხელოსანთა ასეთ კორპორაციას ეწოდებოდა „თაბუნი“, XVII-XVIII სს. – „ასნაფი“, ხოლო XIX საუკუნიდან „ამქარმა“ მოიკიდა ფეხი.

ხელოსანთა გაერთიანებანი საქართველოში დასტურდება VI ს. ისეთი მნიშვნელოვანი წერილობითი ძეგლის მიხედვით როგორიცაა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, უცხოური ასნაფის დამკვიდრებამდე, ხელოსნური გაერთიანების აღმნიშვნელად საქართველოში იხმარებოდა „ოფიკალი“, ხოლო მასზე ადრე „მუშათუხუცესი“, „ხელოსანთა მომგე“ და „ზედამდგომელი“, რომლებთაც სხვადასხვა სახის მოქმედება ევალებოდათ „საქმის მოქმედთა“, ანუ „მუშაკთა“ მიმართ. საკუთარი ამქრული გაერთიანებანი ჰქონდათ: კალატოზებს, დერციკებს, ჭონებს,

ᲐᲑᲐᲜᲝ

ქალების აბანო თბილისში

ხარაზებს, მეთულუხჩეებს, ბაზაზებს, მეუნაგრეებს, მეთუნუქეებს, მეპურეებს, ხუროებს, დურგლებს, მეთუნეებს, მჭედლებს, ოქრომჭედლებს, მეაგურეებს, თერძებს, მესპილენძეებს და სხვათა.

ამქრის სრულუფლებიანი წევრი იყო მხოლოდ ოსტატი, რომელსაც ჰქონდა თავისი სახელოსნო იარაღები და ნედლეული. იგი იყო მწარმოებელი და ვაჭარ-გამყიდველიც. ამქრის არაწევრს ეკრძალებოდა ქალაქის ფარგლებში მუშაობა. ამქარს სათავეში ედგა უსტაბაში (ოსტატთა თავი), ხოლო მისი მოადგილე იყო აღსაჰყალი. ამქრის უსტაბაშს ირჩევდა და წესდებას ამტკიცებდა ამქრის საერთო კრება.

ამქრის წოდებრივი ორგანიზაცია სამსაფეხურიანი იყო: ოსტატი, ქარგალი, შეგირდი. ოსტატი როგორც მუშა და მასწავლებელი თავის ხელოსნურ გამოცდილებას შეასწავლიდა შეგირდს, რომელიც გარკვეული ხნის შემდეგ იწყებდა ქარგლობას ანუ ნაწილობრივ დამოუკიდებელ მუშაობას, ხელობის სრული დაუფლების შემდეგ იგი ოსტატისაგან დამტკიცდებოდა. თავისი მასწავლებლისაგან მიიღებდა ერთ ხელ სახელოსნო იარაღებს და ამის შემდეგ სრულუფლებიან ოსტატად ითვლებოდა.

თითოეულ ამქრულ ორგანიზაციას გააჩნდა თავისი ფირი და დროშა, რომელზედაც გამოსახული იყო ამ ხელობათა მფარველი ღვთაებანი. ამქარს ჰქონდა საკუთარი საერთო ხაზინა, საიდანაც ფული გაიცემოდა ამქრის თითოეული ხელმოკლე და გაჭირვებაში ჩავარდნილი წევრის სასარგებლოდ.

ამქრული ორგანიზაციის მკვლევართა აზრით, ქართული მასალების სიჭარბე მნიშვნელოვანი საბუთია იმის დასამტკიცებლად, რომ ამქრული ორგანიზაციები საქართველოში – ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი და თავის მძლავრ განვითარებას X-XI ს-ში მიაღწია.

ლიტ.: პ. გუგუშვილი, ამქრული ორგანიზაციები, ქსე ტ.1. 1975. შ. მესხია. საისტორიო ძიებანი, ტ. II, 1983.

ე. ნ.

ანალოღია (ბერძნ.) მაღალი, ოთხწახნაგოვანი ხის მაგიდა. დახრილი ზედაპირით, რომელიც ტაძარში აღსავლის კარის პირდაპირაა მოთავსებული. ტაძარში შესვლისას მლოცველები მასზე დაბრძანებულ ხატს თაყვანს სცემენ და ეამბორებიან. მწუხრის ლოცვისას, სახარების ნაკითხვის შემდეგ, ხატის გვერდით, ანალოღიაზე სახარებას დაასვენებენ. ზეთისცხებამდე მლოცველები ხატსა და სახარებას ემთხვევიან. ზეთისცხების შემდეგ სახარებას კვლავ ტრაპეზზე გადააბრძანებს მღვდელი. ნმ. სახარების ტაძარში გადმოსვენება მოასწავებს მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვრის გამოცხადებას. ნმ. სახარების შუა ეკლესიაში ანალოღიაზე დასვენება კი იმას, რომ მაცხოვარმა მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, ამაღლებამდე ორმოცი დღე დაყო დედამიწაზე და ხალხს ეცხადებოდა.

ანალოღია წინა და უკანა მხრიდან ჯვრებითაა შემკული, ხოლო ზემოდან ლამაზი გადასაფარებელი აფარია (უმეტესად თეთრი ფერის, სიწმინდის ნიშნად). ანალოღიაზე მუდმივად ასვენია ის ხატი, რომელი წმინდანის ან დღესასწაულის სახელობისაცაა ტაძარი. ხოლო დიდი დღესასწაულებისა და წმინდანების ხსენების დღეებში მეორე ხატიც, ვისი ხსენების დღეცაა მოცემულ მომენტში.

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2005. 2004. ლოცვანი და განამრტებანი, 2000.

ხ. ც.

ანაფორა მღვდლისა და ბერ-მონაზვნების ყოველდღიური სამოსი, განიერი და კოჭებამდე დაშვებული, გრძელი და ფართო სახელოებით, რომელიც ხელის მტევნებსაც ფარავს. უპირატესად შავი ფერის. სიმბოლურად შინაგან სიმშვიდეს, აუღელვებლობას, ამა სოფლის ამაო საზრუნავისაგან გათავისუფლებაზე მიანიშნებს.

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2005, 2004.

ხ. ც.

ანახელა — ვარცლზე ანაფხეკი და ხელებზე ანაძრობი ცომის ნაკუწები (აღმ. საქ. მთა).

ანდაზი — თარგი, ქვის რთული ორნამენტის შაბლონი,ფიცრის ან თუნუქისგან გამოჭრილი, არის სხვადასხვა სახის.

ანდამატი — იხ. ალმასი

ანეული — ზაფხულის ნახნავი საშემოდგომო ხორბლის დასათესად. ანეულის ხვნა ძირითადად დამახასიათებელი იყო ქართლ-კახეთის ბარისათვის. აქ მეურნეობის ნამყვანი დარგი მიწათმოქმედება იყო, რომელშიც ერთ-ერთი ძირითადი ადგილი მარცვლეული კულტურების მოყვანას ეჭირა. ცნობილი იყო საგა-

ზაფხულო ხვნა („ახალთესლი" — ქართლ-კახეთი, „ქერობა" — მესხეთი), ზაფხულის ხვნა („ანეული" — ქართლ-კახეთი, „თერძვა" — მესხეთი) და საშემოდგომო ხვნა — „ნაოში".

ანეულის ხვნა ინყებოდა მაისის ბოლოდან და მთელი ივნისის განმავლობაში გრძელდებოდა. ანეულად იხვნებოდა ნასვენები მინა. ანეულად მოხნულ მინის ნაკვეთს შემოდგომით აოშავდნენ, ე.ი. მეორედ მსუბუქად მოხნავდნენ და მოთესავდნენ.

მინათმოქმედების რთულ სისტემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ანეულს ენიჭებოდა. ურწყავში თითქმის სულ ანეულად ხნავდნენ, რადგან ანეულად მინა ღრმად იხვნებოდა და დათესილი ყანა ადვილად იტანდა გვალვას. თავის მხრივ, ღრმად ხვნა დიდი გუთნით მუშობას მოითხოვდა.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, მიმომხილველი, ტ.I, I.949.
Т. Геладзе, формы организации труда в земледелии Восточной Грузии. Тб. *1987 г.*

თ. გ.

ანტიდორი (ბერძ.) — კვეთისას ზიარების საიდუმლოს შესასრულებლად ტარიგის ამოღების შემდეგ დარჩენილი დიდი სეფისკვერის ნაწილი, რომელიც მზიარებლებს ურიგდებათ წყალგარეულ, დამტკბარ ღვინოსთან (სარღვნელი) ერთად. მისი მიღება მხოლოდ უზმოდ შეიძლება. ანტიდორის მიღება არ შეიძლება მოუნათლავთა, სხვა სარწმუნოების მიმდევართა, ეპიტიმია დადებულ და ზიარებისაგან განყენებულ მორწმუნეთათვის.

უძველესი ტრადიციით პირველი ქრისტიანები ყოველი წირვის დროს ეზიარებოდნენ. ისინიც კი, ვინც რაიმე საპატიო მიზეზის გამო ვერ ესწრებოდა ლიტურგიას, საჭიროდ თვლიდნენ ზიარებოდნენ წმიდა ძღვენს. ამიტომაც დიაკვნებს დაჰქონდათ წმიდა ძღვენი ავადმყოფებისა და პატიმრებისათვის, ხოლო ვინც მოგზაურობდა, თან მიჰქონდა.

დროთა განმავლობაში ასეთი სარწმუნოებრივი მოშურნეობა ნელ-ნელა გაქრა. ბევრი მორწმუნე წირვაზეც იშვიათად დადიოდა, ხოლო ტაძარში მყოფთაგან ბევრი არც ეზიარებოდა. სწორედ ამიტომ დაიწყეს დიდი სეფისკვერის იმ ნაწილების დარიგება მორწმუნეთათვის, რომლებიც რჩებოდა უსისხლო მსხვერპლიდან. თავიდან ამ ნაწილებს ეწოდებოდა დალოცვა (ბერძნულად — ევლოგია), იმიტომ, რომ შეწირული იყო და უკვე — ნაკურთხი, დალოცვილი (იმ დროს ევლოგია ერქვა თვითონ საიდუმლო სერობასაც), ხოლო ნაკურთხი პურის დარიგებას ეწოდა ანტიდორეა, რაც ნიშნავს დასაჩუქრებას.

პირველი მოწმობა ანტიდორის ნაწილების დარიგებისა მათთვის, ვინც არ ეზიარება, მიეკუთვნება VII საუკუნეს და მოიხსენიება IX საეკლესიო კრების წესებში.

ლიტ.: С. Е. Молотков, Практическая энциклопедия православного христианина С.Тв.2001;
Что такое просфора, антидор, артос-Сретонский монастырь. 1998.

ბ. ც.

ანტიკმორე (თბ.) — ქსოვილია ერთგვარი.

ანძა — დიდ ნავზე, ხომალდზე აღმართული საგანგებოდ შერჩეული მაგარი ხის ძელი, რომელზედაც აფრებია გაჭიმული და ქარის მეშვეობით ნავი მოძრაობაში მოდის. ძველ ქართულში ანძის შესატყვისი ტერმინებია: „ნაქუსი", „ცაყე", „ხალე", „სახერველი". ანძა ისმება ნავის ფსკერზე მუხის ხეებისგან გაკეთებულ ბუდეებში და მთელი აქცენტი გადატანილია მის მკვიდრად გამაგრებაზე, რათა მტკიცედ იდგეს ძლიერი ქარის ზემოქმედების დროს.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა ძველ საქ-ში, 1987.

ე. ნ.

ანძისფეხი (გურ.) — მსხვილი და გამძლე ხე, საყრდენი, რომელზედაც დგას ოდასახლის სახურავი. იმერეთში გოგას უწოდებენ.

ლიტ.: ალ. ღლ. ქეთსკ, 1974.

ანჯამა — რკინის დედალ-მამალი კავ-ბუდიანი საკვრელები, რომლის მეშვეობით კარები ჩამოიკიდება ჩარჩოზე.

აპეური — ტყავის თასმა ან თხის ბენვისაგან დაგრეხილი თოკი, რომლითაც ხარის ქედზე დადებული უღლის ტაბიკები ყელთან შეიბმება.

აპლადი — თევზსაჭერი ბადის სახეობა ლაზეთში, რომლითაც ზღვის ნაპირთან ბინადარ თევზს იჭერდნენ.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987.

აპოხტი — ხმელი ხორცი. საბას განმარტებით — შაშხი პოხილი//მსუქანი ხორცია, ლორი მეტად პოხილი, ყაღი კი მჭლე. ფშავ-ხევსურულ და მთიულეთ-გუდამაყრული მასალით, „საპოხი" ყველანაირი ცხიმის — ქონის აღმნიშვნელია. აჭარულ-ლაზურში „აპოხტი" ქათმის შაშხია, სვანურში — „აპეხტ" ღორის შაშხს ნიშნავს, საქონლის შაშხს კი „ენჭ" ეწოდება. აპოხტის ნაირსახეობაა თუშური ყაღი. იგი მზადდება ცხვრის, ძროხის, თხის, ნადირის ხორცისგან. სააპოხტე ფერცხლებს, მკერდს, დაჭრიდნენ დიდ ან პატარა გრძელ ნაჭრებად. 3-4 დღე მარილწყალში ამყოფებდნენ და შემდეგ გაკიდებდნენ მზეზე, სანიაოზე. მას შემდეგ, რაც ხორცი გამოშრებოდა, გახმებოდა — „გაყაღდებოდა", შეინახავდნენ. მეორე ხერხით მარილს მოაყრიდნენ და მშრალად ჩადებდნენ ქვაბში, ხის ჭურჭელში ან გუდაში, 3-4 დღის შემდეგ კი გაკიდებდნენ გასაშრობად. „ვეფხისტყაოსანში" შაშხის იდენტურ სიტყვად „ხმელობაა" ნახმარი, რაც იუსტინე აბულაძის განმარტებით არის „დამარილებული ანუ დაშაშხული ხორცი შესანახად გამომხმარი". ტარიელი ამბობს: „მუნ გვიმასპინძლოს ასმათმან, მას უც ხორცისა ხმელობა". ზამთრის საკვების დამზადების მსგავსი წესები ცნობილია კავკასიის სხვა ხალხებშიც.

ნ. ჯ.

არალჩინი — ნაჭრის ქუდი, ჩაჩი.

ლიტ.: ი. გრიშ., ქალაქური ლექსიკონი, 1997.

არაყი — სპირტიანი სასმელი, რომელიც იხდება ჭაჭის, ჭირნახულისა და სხვადასხვა ტიპის ღვინომასალისაგან. საქართველოში ძალზე გავრცელებულია არყის კუსტარული წესით გამოხდა (იხ. არყის გამოხდა)

არდაგი — საბას განმარტებით „წელს ქუევით მოსაფარია", რაც თანამედროვე გაგებით წინსაფარს ნიშნავს. ივ. ჯავახიშვილის აზრით ადრეულ ეპოქაში, არდაგი ნიშნავდა ქვედა საცვალს. ეთნოგრაფიულ ყოფაში არდაგი უფრო მეტად წინსაფრის მნიშვნელობით გაიგებოდა.

ე.ნ.

არკებუზი — ცეცხლსასროლი იარაღი, ფითილიანი თოფის სახეობა, რომელსაც საქართველოში სიათას უწოდებენ. არკებუზი შედგება — კონდახის, ლულისა და ჩახმახისაგან. არკებუზის ჩახმახს ნარმოადგენდა ლათინური „S"-ის ფორმის ბერკეტი, რომლის ერთ ბოლოზე დამაგრებული იყო ფითილი, ხოლო მეორე ბოლო „სასხლეტის" ფუნქციას ასრულებდა. ვინაიდან „S"-ის ფორმის ბერკეტს გველის ფორმა ჰქონდა, აქედან გამომდინარე მან მიიღო მეორე სახელწოდებაც სერპენტინი (ლათ.სერპეუს.—გველი), ამ სახელით ხშირად მთლიან თოფსაც მოიხსენიებდნენ. არკებუზი ფითილიანი თოფების პირვანდელ სახეობებს განეკუთვნება ბომბარდერებისა (იხ.) და კულევრინების შემდეგ. მართალია, სერპენტინის კონსტრუქციამ მსროლელს საშუალება მისცა თავადვე ენარმოებინა გასროლა (მეორე პირის დაუხმარებლად, რომელსაც ფითილი მიჰქონდა საფალიესთან), მაგრამ სწრაფსროლით, მიზანში სროლითა და ტყვიის ხვრეტითი ძალით არკებუზი ჯერ კიდევ შორს იყო სრულყოფილებისაგან. სერპენტინიანი ჩახმახები შეიქმნა XV ს-ის მეორე ნახევარში, რომლებიც თანდათანობით დაიხვეწა და XVს-ის ბოლოს ზამბარიანი ფითილის ჩახმახების სახით მოგვევლინა, ასეთ იარაღსაც ევროპაში არკებუზს, რუსეთში — „пышалъ".

ლიტ.: ЖУК. А. Б. Энциклопедия стрлкового оружия. Москва. *1998,*

დ. ჩუბინაშვილი — ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1984. ბ. ქ.

არმანი (ქვ. იმერ. ზ. რაჭა)//**არამანა** (ლეჩხ.) — კედელთან მიდგმული და დამაგრებული ერთ ან ორგანყოფილებიანი, კარებიანი სათავსი ან თარო (შდრ. ბუჯერი ქვ. რაჭა, ზ. იმერეთი). გამოიყენებოდა გამომცხვარი პურისა და ჯამ-ჭურჭლის შესანახად. კეთდებოდა კერის უკანა მხარეს. არმანზე, როგორც წესი, ვარცლი უნდა მდგარიყო. არმანი და ვარცლი ფიგურირებდა ნმ. შიოს დღეობის ყველიერის ხუთშა-

ბათის დღესასწაულში: ოჯახის უფროსი აიღებდა ორ კვერცხს, ორ განატეხს (კვერს) და წმ. შიოს შესთხოვდა ოჯახის ბარაქიანობას. ლოცვის შემდეგ კვერცხებსა და კვერებს არმანში ინახავდა. ვარცლზე კი ღვინით სავსე ჭიქას დგამდა. ხალხს სწამდა, რომ წმ. შიო გამოიელიდა და თუ მისი მათრახის კუდი ღვინოში დასველდებოდა, მაშინ ოჯახში დოვლათიანობა დატრიალდებოდა, თუ ჭიქა ცარიელი დახვდებოდა ოჯახს წყევლა არ ასცდებოდა. ეს დღეობა განიხილება იმ დღესასწაულთა რიგში, რომელთა უმრავლესობა ბარაქიანობასა და ნაყოფიერებას უკავშირდება.

ლიტ.: ს. მაკალათია, მთის რაჭა, 1987. ა.კიკვიძე, „შუა სახლი" რაჭა-ლეჩხუმში, ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, 1940.

ლ. ბ.

არნადი\\არნაბი (რაჭ.) — კალოს იარაღი, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით: „არნადი-ბზის გასახვეტელია". ნ. ჩუბინაშვილის ცნობით: „არნადი-არნაბი-ტარიანი ფიცარი ბზისა და ხვავის სახვეტი კალოზე". არნადი ნაძვის ან ნეკერჩხლის ხისგან მზადდებოდა. ნიჩაბთან შედარებით არნადს უფრო ფართო პირი აქვს, რათა ბზეში არეული მეტი მარცვლეულის აღება შეძლებოდათ. არნადს სოფელში შინა კაცი აკეთებდა. ბედენის გორა-სამარხებში, კერძოდ, ხის აკლდამაში, აღმოჩენილი ფიცრის ნატეხები არქეოლოგ გ. გობეჯიშვილის აზრით, არნადის ნაწილები უნდა იყოს. ეს თუ ასეა, მაშინ არნადი, ჩვენს ტერიტორიაზე ჩვ. წ. აღ-მდე III ათასწლეულის დასასრულისათვის უკვე გამოიყენებული ჩანს, რაც ქართული პურეული კულტურის უძველესობას უსვამს ხაზს.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხითხუროობა აღმოსავლეთ საქართველოში, 1962. გ. გობეჯიშვილი, ბედენის კულტურა, 1982.

გ. გ.

არონა (მესხ.) — სახვნელი იარაღი. გამოიყენებოდა მოხნული მიწის ხელმეორედ გადახვნისთვის. მასში ორი უღელი ხარი იბმოდა. არონა ისე ღრმად ვერ ხნავდა, როგორც ამ რეგიონში გავრცელებული სახვნელი იარაღი ჯილღა, მაგრამ ჯილღასათვის დამახასიათებელი ფამფალაკის (იხ.) გარეშე სუსტად, მაგრამ მაინც ახერხებდა ჯილღის ფუნქციის შესრულებას. ყურებიანი კბილას შემწეობით იგი აჭრილ ბელტს გვერდზე ყრიდა და ამსხვრევდა, რითაც კბილა ერთგვარად მარტივი ფრთის (დიდი გუთნისათვის დამახასიათებელი ელემენტია) (იხ. დიდი გუთანი) როლში გამოდიოდა.

ლიტ.: გ. ჩიტაია, მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის, სსმმ, ტ. V. 1930.
ლ. ბერიაშვილი, მინათმოქმედება მესხეთში, 1973.

თ. გ.

არტაშანი — აქ: პურის თავთავის საკრეფი იარაღი, რომელსაც გამოიყენებდნენ აჭარაში „ხასი პურის" კრეფის დროს. ესაა ორი გრძელი ჯოხი, რომლის ბოლოები თოკით მოძრავად იყო გაბმული. ეს იარაღი გარკვეულ ანალოგს პოულობს შნაკვთან (იხ.).

ე. ნ.

არტოსი (ბერძნ.) — ნაკურთხი პური, სხვაგვარად მთლიანი სეფისკვერი. ხორბლის თეთრი ფქვილისაგან, მარილისა და ნაკურთხი წყლისგან მოზელილი საფუარიანი ცომით გამომცხვარი, ზემოდან ჯვრის ან ქრისტეს აღდგომის გამოსახულებით. არტოსი აღდგომიდან ბრნყინვალე შვიდეულის მანძილზე, როგორც სიმბოლო უფლის აღდგომისა, აღსავლის კარის წინ ანალოღიაზე ან პატარა მაგიდაზეა დაბრძანებული. ის იკურთხება განსაკუთრებული ლოცვით, ნაკურთხი წყლის პკურებითა და კმეევით მღვდლის მიერ, აღდგომის პირველ დღეს, წირვაზე ამბიონის ლოცვის შემდეგ. ბრნყინვალე შვიდეულში, ყოველდღე, წირვის დამთავრების შემდეგ, არტოსთან ერთად ეწყობა ჯვრით სვლა ეკლესიის გარშემო. ბრნყინვალე შვიდეულის შაბათს, წირვის ბოლოს, ამბიონის ლოცვის შემდეგ, იკითხება არტოსის განტეხის ლოცვა. განიტეხება არტოსი და ჯვრის თაყვანისცემისას მლოცველთ ურიგდება. მორწმუნენი არტოსს პატარ-პატარა ნაჭრებად ახმობენ. ინახავენ სახლში, ხატების კუთხეში სუფთა თავდახურული ჭურჭლით და იხმევენ, როგორც დიდ სიწმინდეს დილით, უზმოზე, სიტყვებით: „ქრისტე აღსდგა". ასევე სულიერი და ფიზიკური უძლურებისას.

მთლიან სეფისკვერს — არტოსს იყენებდნენ ადრეული ქრისტიანებიც. აღდგომიდან მე-40 დღეს უფალი ამაღლდა ზეცად. ქრისტეს მოწაფეები და მიმდევრები ნუგეშს პოვებდნენ საერთო ტრაპეზის დროს ლოცვასა და უფლის ყოველი სიტყვისა და საქმის მოხსენიებაში. ისინი იხსენიებდნენ რა საიდუმლო სერობას, ეზიარებოდნენ უფლის სისხლსა და ხორცს. მაგიდასთან კი საპატიო ადგილას, უფლის იქ უხილავად მყოფობის ნიშნად, დებდნენ პურს. მოციქულთა მიბაძვით პირველმა ქრისტიანმა მოძღვრებმა აღდგომის დღე-

სასნაულზე დაადგინეს პურის დაბრძანება ტაძარში, როგორც ხილული გამოხატულება იმისა, რომ მხსნელი ჩვენთვის სიცოცხლის ჭეშმარიტ პურად გადაიქცა.

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2005, 2004.

ხ. ც.

არღანი — მექანიკური საკრავი, ხელით სატარებელი ორგანის სახეობა. ყუთი, რომელშიც განთავსებულია ულერადი მილაკები ერთ ან რამდენიმე რიგად. აქვს საბერველი და ხის ან ლითონის ნემსებიანი ლილვაკი, რომელიც მოძრაობაში მოდის ყუთის გარეთ მდებარე სახელურის ტრიალით. ამ დროს ნემსები ეხება სპეციალურ მექანიზმს, უშვებს ჰაერს ზედა მილებთან, ამავდროულად ამოქმედდება საბერველი და მექანიკურად ხდება აჟღერება.

ერთ ცალკე ლილვაკზე თავდაპირველად ერთი ნაწარმოები (პიესა, სიმღერა, საცეკვაო და მისთ.) იყო ჩაწერილი. ამიტომ ყოველ არღანს რამდენიმე ლილვაკი ჰქონდა. მოგვიანებით, ტექნიკური სრულყოფის (ნემსების სპირალურად განლაგება) შედეგად მოხერხდა ერთ ლილვაკზე რამდენიმე მცირე ზომის ნაწარმოების განთავსებაც.

ეს მექანიკური საკრავი — ხელით სატარებელი ორგანი გაჩნდა საფრანგეთში XVII საუკუნის ბოლოს და გერმანიაშიც გავრცელდა. მალე მოხეტიალე მუსიკოსების ინსტრუმენტად იქცა. XIX ს-ის ბოლოს ნემსიანი ლილვაკები შეიცვალა ლითონის დეტალებით. ამ სრულყოფის შედეგად შესაძლებელი გახდა პოპულარული სიმღერების, ცეკვების, ოპერებიდან ნაწყვეტების ჩაწერაც კი. რუსეთში ეს მექანიკური საკრავი შემოვიდა XIX საუკუნის დასაწყისში და გავრცელდა «Шарманка»-ს სახელწოდებით. სახელწოდება წარმოდგება ფრანგული ხალხური სიმღერის დასაწყისის სიტყვებიდან („მშვენიერი კატერინა"), რომელიც პირველად გაისმა ამ საკრავიდან.

არღანი მალე გახდა პოპულარული და მასზე შესრულებული ნაწარმოებები (რუსული და ევროპული სიმღერები, ოპერებიდან ნაწყვეტები) ქალაქური ფოლკლორის მასაზრდოებელ წყაროდ იქცა. დაიწყეს მასზე ახალი, ქალაქური სიმღერების (აღმოსავლურ მოტივებზე) ჩაწერა და აჟღერება. შეიქმნა ე.წ. თბილისური რეპერტუარი.

არღნები შემოდიოდა ძირითადად რუსეთიდან, განსაკუთრებით ცნობილი იყო ოდესის არღნები. მასზე კეთდებოდა წარწერები („შენც დაუკარ", „შენც დაუკარ გოგოჯან" და მსგავსი). თბილისშიც გაჩნდნენ არღნის ოსტატები. არღნის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება არ იყო ერთგვაროვანი. მისი ერთი ნაწილი საკმაოდ ნეგატიურად აფასებდა და მასში ქართველების მუსიკალური გემოვნების შერყვნის საფრთხეს ხედავდა. ეს განწყობილება აისახა XIX ს-ის II ნახევრის ქართულ პრესაში.

მ. მ.



არყის გამოხდა — „არაყი არაბულად ოფლს ჰქვიან, ვინადგან იგიცა ქვაბისა ოფლი არს, ხოლო ქართულად არაყსა სახელად იყი ეწოდების", მისი ბერძნული შესატყვისი „რახი, ერთჯერ გამოხდილს ეწოდების" (საბა), ე. ი. ქართული „იყი", არაბული „არაყი" და ბერძნული „რახი", სამივე გამოხდის შედეგად მიღებული პროდუქტებია და „სასმელ არაყს" ნიშნავს.

საქართველოში, მეღვინეობის უძველეს ქვეყანაში, არყის წარმოება უშუალოდ მევენახეობა-მეღვინეობასთანაა დაკავშირებული. საქართველოს ბარში არაყს მეტწილად ხილისა და მეღვინეობის ნარჩენებისგან ხდიდნენ, მთაში კი — მარცვლეული კულტურებისგან.

არყის გამოხდის ხალხურ წესებს საქართველოში დიდი ტრადიცია გააჩნია. იგი ძირითადად ოჯახის საჭიროებას ხმარდებოდა. ყოფაში შემორჩა ის ხერხები, რომლითაც ქართველი გლეხი ოდითგანვე ხდიდა არაყს.

არყის გამოსახდელად ხმარობენ დიდი ზომის სპილენძის ქვაბს, სპილენძისავე ზარფუშს, ხუფს, გეჯასა და მილს, აგრეთვე სპილენძისასა და რკინის სამფეხას.

არყის გამოსახდელ ქვაბს დგამენ წყალთან ახლოს, მდინარის ნაპირას, ღია ცის ქვეშ ან საგანგებოდ მონყობილ ფარდულში. ქვაბში ყრიან მასალას, უმატებენ ცოტა წყალს, რათა ჭაჭა დუღილის დროს ქვაბის ფსკერს არ მიეწვას. ქვაბს ახურავენ ზარფუშს და შეერთების ადგილას გოზავენ ნაცრის ნაზავით ან წყლის ნაზავით. ზარფუშის მილთან შეერთებულია სპილენძისავე მილი, რომელიც გადის ხის, ქვის ან სპილენძის გეჯაში. გეჯაში ჩადის გამდინარე ცივი წყალი, რომელიც აგრილებს მილს, ქვაბი დგას სამფეხაზე ან დიდი ზომის ქვებზე და შენთებული აქვს ცეცხლი. გამოხდის დროს ქვაბიდან ორთქლი გადადის მილში, გეჯაში მოთავსებული ცივი წყლის საშუალებით ორთქლი კონდენსირდება და წვეთ-წვეთად წარმოქმნილი არაყი ჩადის ჭურჭელში. შესაბამის დროს არყის ჩანაცვლება ღვინის მაგიერ ამ უკანასკნელის ეკონომიკურ ხარჯვას უწყობდა ხელს.

ლიტ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული,
ტ. 1, გვ. 60, ტომი II, გვ. 6. *ც. კ.*

არშინი — ზომის ერთეული. დაახლოებით 71 სმ-ს უდრის. აქედან არშინის სახელწოდება მიიღო ხელსაწყომაც, რომელზედაც არშინის დანაყოფები იყო გამოსახული.

არხი — წყლის გასაყვანი საირიგაციო მაგისტრალი, იყენებდნენ როგორც სარწყავი, ასევე სასმელი წყლის მისაღებად. ისტორიულად სარწყავი არხების დიდი სისტემა იყო განთავსებული ტირიფონისა და ალაზნის ველზე. სასმელი წყლის არხების შესახებ სანიმუშო მასალებს იძლევა სხალტბის წყალსადენის შესწავლა. საბას განმარტებით, ქვებისგან აგებულ არხებს რუსხმულები ეწოდებოდა. წყალსადენიანი წყაროს გამომყვანებს ძველ საქართველოში ქუქანკები რქმევიათ.

ლიტ.: ი. ანთაძე, წყლის მფლობელობა და სარწყავი არხი ძველ საქართველოში, 1965.

ე. ნ.

ასალი — ცხენის ზურგსა და გავაზე გადასაფარებელი ხალიჩურად ნაქსოვი ანდა აპლიკაციებით განყობილი ქსოვილი. ყოფაში გაიგივებული იყო ყაჯართანაც, რომელსაც მხოლოდ უნაგირზე გადასაფარებლად ხმარობდნენ. ლიტერატურაში ასალის მნიშვნელობით გვხვდება აგრეთვე „ორთუქი" (ცხენის გავაზე გადასაფარებელი) და „შატროვანი". ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული იყო ოქრომკედით ნაქარგი და ოქროს ან ვერცხლის კილიტებით, ბურთულებით, ზოგჯერ კი ძვირფასი თვლებით შემკული ასალი. ფეოდალურ ხანაში ასეთი მდიდრული ნახელავი ასალები ქართული ოქრომკედის ნაქარგობის სხვა ნიმუშებთან ერთად თურქეთსა და ირანში გაპქონდათ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემონახულია ნაქსოვი ასალები, რომელთაც საპატარძლოები უქსოვდნენ საქმროს ნათესავ მამაკაცებს.



ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

ასამთავა — გობის გასაკეთებელი ხელსაწყოს ერთ-ერთი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს მამოძრავებელ ღერძს. ერთი ნაწილით, რომელზედაც რკინის სამთავაა, მიმაგრებულია ფეხზე. მეორე ნაწილით კი, რომელიც უფრო სქელია, გამაგრებულია საგობე ხეში.

გ.ბ.

ასტამი — გორდა — თაბახზე დარჩენილი ცომის ასაფხეკი, პიბრტყელი, ჩიბუხისებრი საგანი. ხმარობენ ასევე კერიასა და ბუხარში საცეცხლო საქმიანობისათვის. ზოგიერთი ბრტყელპირა ასტამით თონიდან პურს იღებდნენ.

ასაჭყალო//ასაჭყალი — 1. დაბღების გამოსაყენებელი ჭურჭელი. მასში დაბღები ხსნიდნენ კირს, რასაც ფეხსაცმლის საპირის ტყავს უსვამდნენ. 2. უსტაბაშის თანაშემწე.



სარიტუალო ხონჩის – აბრამიანის ფიგურები



ᲐᲑᲯᲐᲠᲘ

ატარი (სამეგრ.) — ჯამისმაგვარი ჭურჭელი ცაცხვის ან თხმელის ხისგან ნაკეთები, ხვენდნენ ჩარხზე. ოჯახში 20-მდე ატარი იყო. ატარს იყენებდნენ ღომისა და პურის საწყაოდაც. გამოიყენებოდა XVI-XVII საუკუნეებში ოდიშში, ატარი 0.4 ლიტრს იტევდა.

ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973.

ატრია//ანტრია (ხევი, გუდამ.)//**მოტლეშილი//მოსმული** (თუშ)— ოთხკუთხედად დაჭრილი მოხარშული ცომი. ხორცთან მოხარშულ ატრიას „ალტამეებ"-ს უწოდებდნენ (ხევს). ძველისძველი კერძია. მოიზილება უხაშო ცომი, ხის „სათხელებელათი" ხონჩაზე გააბრტყელებდნენ. ატრიას ხარშავენ წყალში ხანაც რძეში (ხევი, გუდამ). მზას ესხმევა ხახვსა და კვერცხში გაქნილი ერბოიანი კალტი. ერბოს მაგიერ ნიორწყალიც იციან. როგორც იოლად დასამზადებელი კერძი, განსაკუთრებით ხელმისაწვდომია მეცხვარეების ნაუცბათევი სადილისათვის.

ნ. ჯ.

აუზი — წყლის რეზერვუარი (იხ. ავაზანი).

აფთარი მაღალი საცერულის სახეობა. ერთგვარი საბრძოლო იარაღი. გავრცელებული იყო ხევსურეთსა და აღ. საქართველოს მთიანეთში. საცერულის ეს სახეობა რკინისაგან მზადდება. ესაა რგოლი, რომელსაც ქვემოთ მხრებიანი აშია აქვს, ხოლო ზემოთ მაღალი ნაწვერილი და ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული კბილები. აფთარის კბილების რიცხვი და სიმაღლე ცვალებადია, მისთვის დამახასიათებელია უსწორმასწორო ალესილი კბილები, ამის გამო საცერულის ამ სახეს ლესულაც ეწოდება. ხევსურეთში ლესულას სახედრის ნალისაგანაც ამზადებდნენ. ზომაზე გამოჭრილ ნალს კბილებს გაუკეთებდნენ, შემდეგ ალესავდნენ და საცერულიც მზად იყო. ვინაიდან მაღალი აფთარი ძალზე თხელია, მას ცერზე სწორად დგომა არ შეუძლია, ამიტომ მას ორივე მხრიდან რგოლებს უმატებდნენ.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ხევსურული საცერული, შრომები ტ. II, 2000.

მ. ქ.

აფთი — „მახვილია ბრტყელი და ტარგრძელი"(საბა). ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში აფთი აღარ გვხვდება. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით აფთი ზოგან შედარებულია ალებარდს, ზოგან კი ცულთან.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I. 1991. ივ. ჯავახიშვილი. მქემკი, ტ. III-IV. 1962.

მ. ქ.

აფრა — მაგარი ტილოს ნაჭერი, რომელიც დამაგრებულია ანძაზე და ქარის ზემოქმედებით ხომალდი მოჰყავს მოძრაობაში. აფრა არის სხვადასხვა სახის, მაგ., ოთხკუთხა, პირდაპირი, ირიბი. უძრაობის დროს აფრა აკეცილ მდგომარეობაშია, ხოლო ქარის ამოვარდნის შემთხვევაში მეზღვაურები გაშლიან აფრებს და სასურველი მიმართულებით მიცურავენ.

ე.ნ.

აფხარცა — აფხაზების ორსიმიანი ხემიანი საკრავი. აქვს ვიწრო, ნავისებური კორპუსი. თავი, ყელი და მუცელი მთლიანი ხისგანაა გამოთლილი. საერთო სიგრძეა 70-80 სმ. კორპუსი ამოღრუებულია, თავფიცარი — ბრტყელი. ამოჭრილია სახმო ნახვრეტები (კვადრატული, ნახევარწრიული), თავი მრგვალი ან ოვალურია. სიმები ძუისაა. კორპუსზე ქვედა მხრიდან დაკრულია ფისი, რომელზედაც დაკვრის წინ ხემის ძუას გაუსვამენ ტემბრის ხარისხის ასამაღლებლად. საკრავის წყობა კვარტულია. შემსრულებელი უკრავს მჯდომარე, საკრავი უდევს მუხლებს შორის.

აფხარცა მზადდება ფოთლოვანი ჯიშებისაგან. მასალას არჩევდნენ არა აკუსტიკური თავისებურებების გათვალისწინებით, არამედ დასამუშავებლად რბილი ჯიშების მიხედვით. თავფიცრად გამოიყენება ალვის, ფიჭვის, სოჭის ან ცაცხვის მასალა, 2-3 მმ სისქის. მასზე ამოჭრიან სახმო ნახვრეტებს. ჩამოჰკიდებენ ცეცხლის თაეზე ან მზეზე გამოაშრობენ. სიმები ძუისაა. ხემის რკალად გამოიყენება ადვილად ღუნვადი ხის ჯიშები (თხილი, წყავი, შინდი). როგორც წესი, საკრავს ამზადებდა თვით შემსრულებელი. აფხარცის

ფუნქცია ეპიკური (ისტორიულ-საგმირო) სიმღერების თანხლებაა. ინფორმატორთა ცნობით, ბრძოლაში ყველა რაზმს თავისი მეაფხარცეები ჰყავდათ, რომელთაც საკრავი ცხენის უნაგირზე ჰქონდათ დაკრული. ბრძოლებს შორის დასვენების დროს თხზავდნენ გმირთა სახოტბო და მხდალთა გასაკიცხ სიმღერებს.

აფხარცას მიენერებოდა ტკივილის შემამსუბუქებელი თვისება. დაჭრილისათვის ტყვიის ამოღების დროს ტკივილის შესამსუბუქებლად უკრავდნენ აფხარცაზე. ცნობილია ამ ჟანრის ე.წ. „დაჭრილის სიმღერები", რომლებიც ტრადიციულად აფხარცის თანხლებით სრულდებოდა. წესად იყო ასევე ავადმყოფთან ღამის თევა, მისი გართობის მიზნით აფხარცის დაკვრა, აფხარცის თანხლებით სრულდებოდა სანესო, სიმღერები, დამხრჩვალის სულის დაჭერის სარიტუალო სიმღერა „აფსტაგა". ეს რიტუალი ასეთია: დამხრჩვალს როცა მიაბარებდნენ მიწას, ნათესავები შეიკრიბებოდნენ მისი „სულის დასაჭერად", რათა სული წაიყვანონ და სხეულთან მიაბარონ. ამისათვის ამზადებდნენ გუდას, მოაბამდნენ აბრეშუმის ან ვერცხლის ზონარს, გუდას მიუშვერდნენ მდინარეს სავარაუდო ადგილას, სადაც დაიღუპა კაცი. გუდის ჰაერით გაბერვა ნიშანი იყო იმისა, რომ სული გუდაში შევიდა. გუდას თავს მოუკრავდნენ და გაემართებოდნენ სასაფლაოსაკენ მხიარული სიმღერით. საფლავზე „გუდიდან გამოუშვებდნენ სულს" აფხარცის დაკვრით. ასეთივე წესი სრულდებოდა კლდიდან გადაჩეხილის, ხიდან ჩამოვარდნილის და საერთოდ, არაბუნებრივი სიკვდილით სახლის გარეთ დაღუპულის „სულის დასაჭერად" (ამ რიტუალში ზოგჯერ ჩასაბერი საკრავი აჭარპანიც მონაწილეობს). აფხარცაზე უკრავდნენ მიცვალებულთან, დასაფლავების წინა ღამეს. აფხაზთა ტრადიციით, მამას შვილის დატირების უფლება არ ჰქონდა, ამიტომ აფხარცაზე დამკვრელი ამაში აქსოვდა მთელ ნაღველს, რაც, აფხაზთა რწმენით, აკეთილშობილებს მიცვალებულის სულს და მამის მწუხარებას ამსუბუქებს. აფხარცა ტრადიციულად ნართული თქმულებებისა და საგმირო სიმღერების თანმხლები საკრავია.

ლიტ.: К. Вертков, Г. Благодатов, И. Хашба, Абхазские народные музикальные инструменты,Сухуми, 1967;
М. Хашба, Жанры абхазской народной музыки, Сухуми, 1983.

მ. ბ.

აქანდაზი — 1. რკინის მომცრო ნიჩაბი, ნაცრისა ნაკვერჩხლის გამოსაღები. 2. ნაგვის ასაღები.

აქატი — ნახევრად ძვირფასი ქვა, ქალცედონის სახესხვაობაა, გამოირჩევა ბუნებრივ-ზოლებრივი შეფერილობით. ჯერ კიდევ უძველესი სამყაროს ხელოვნებაში გვხვდება აქატით დამზადებული ნივთები. ფართოდ იყენებდნენ სამშენებლო საქმეში, მაგ., იატაკის მოსაპირკეთებლად. აქატისაგან ამზადებდნენ სხვადასხვა ნივთებს (მაგიდა, ქანდაკება, სკამი, დანა-ჩანგლის ტარები). აქატით შემკულია თრიალეთში მიკვლეული ბრინჯაოს ხანის კულონი, ანტიკური ხანის არაერთი ნივთი. მცხეთის სამთავროში გვხვდება აქატის ბეჭდები, ინტალიები და სხვა. საქართველოში ცნობილი იყო აქატის საბადოები, საიდანაც ხდებოდა ამ მინერალის ამოღება და დამუშავება (ახალციხე, თეძამი, ზუბი, ოფიტარა და სხვა.).

ლიტ.: ე.ზუბხაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ე. ნ.

აქიქი — იუველირი//ბრილიანჩიკი, რომლიც ჩვეულებრივ ოქრომჭედელს წარმოადგენდა, მაგრამ მეფის რუსეთის მთავრობის განკარგულებით თბილისში ისინი ცალკე იქნენ გამოყოფილნი და ვინრო სპეციალობის ხელოსნებად იქცნენ.

მ.ბ.

აღვირედი//რახტი — „ოქროთი დაფენილი და მორთული ლაგამი" (ნ. ჩუბ.), „აღვირედი ოქროს და ილეკროს ლაგამი" (საბა). იხმარებოდა საზეიმო ან სარიტუალო ცერემონიების შესრულებისას.

ნ. ჯ.

აღვირი — შეკაზმული ცხოველების სამართავი მოწყობილობა, რომელიც დამზადებულია ტყავის ფართო თასმებისაგან და პირუტყვს ჩამოეცმევა თავზე. ცხენის აღვირს აუცილებლად უკეთდება რკინის მრგვალი ლაგამი (იხ.), რომელიც რგოლებითაა დამაგრებული აღვირზე, ლაგამი ცხენს ამოედება ყბებში და მხედარი მისი მეშვეობით აძლევს მიმართულებას. აღვირს პრაქტიკული დანიშნულების გარდა სამშვენისის ფუნქციაც ჰქონდა დაკისრებული და მას არცთუ იშვიათად, სხვადასხვა სახეებით ამკობდნენ.

ე. ნ.

აღი (ხევს.) ბრინჯაოს ყალიბი, რომლის მეშვეობით ჩამოისხმებოდა და ფორმაში მოექცეოდა სხვადასხვა საოქრომჭედლო ნახელავი. ზოგჯერ აღის მეშვეობით ორნამენტი მზადდებოდა ციცი კვერვის მეთოდითაც.

ე. ნ.

აღკაზმულობა ცხენისა // საკმაზი // აკაზმულობა // დალახტული // საკმანძი (ქიზ.) // **შეკაზმულობა (კახ.**ფშ.)//(გურ.) //**მართულობა** (ხევს.) „ქვაბს შეიყვანა ტაიჭი, მოჰხადა აკაზმულობა" (ვეფხ.ტ.)... ქართველთა ყოფაში ცხენი უძველესი დროიდან გამოიყენებოდა. მეცხენეობა თითქმის ყველა კუთხეში იყო განვითარებული. ცხენის ჯოგი ჰყავდათ ქვემო და შიდა ქართლში, თრიალეთში, ჯავახეთში, გარე კახეთში, იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში (ვახუშტი). მრავალი მიზეზი არსებობს იმისა, რომ ცხენის აღკაზმულობა, როგორც ერთ-ერთი ძირითადი მომენტი მხედრისა და ცხენის ურთიერთობაში, სრულყოფილად წარმოედგინათ. აკაზმულობის ყველა შემადგენელი ნაწილის ფუნქცია ისეა შემუშავებული, რომ ერთი ნაწილის არასწორმა გამოყენებამ ცხენისა და მხედრის შეუთავსებლობა არ გამოიწვიოს. ამიტომ გათვალისწინებული უნდა იყოს ცხენის ზომები და ზურგის ფორმა. ცხენის აკაზმულობა შემდეგი ნაწილებისგან შედგება: უნაგირი, კეხი, უზანგები, აღვირი, საძუე, სამკერდე, თექალთო, საოფლე, გარსაკრავი ღვედები, ბარგის ამოსაკრავი თასმები, გვერდის საყბეურები, ფრთები, მოსართავები, ბალიშის მომჭერი, სამუცლე, სამუხლე, საბუზე, საყელო, აეშარა, მათრახი.

კარგად აღკაზმული ცხენი, პრაქტიკული საჭიროების გარდა, მხედრის ავტორიტეტულობის მიმანიშნებელიც იყო.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.



აღლუზი (თბ.) — ხალასი, ბაჯაღლო ოქრო, ამაზე მაღალი სინჯის ოქრო აღარ არსებობს.

აყალო — **1.** თიხის განსაკუთრებული ჯიში, რომელიც მუშავდება და მისგან შენდება კერამიკული ნაწარმი. საჭურჭლე ნედლ მასალას იმერეთში „მიწას" უწოდებენ, დაზელილ მიწასაც „მინა" ჰქვია, თიხა კი ეწოდება მხოლოდ გამომწვარ ჭურჭელს — კერამიკას. ზედმეტად „ცხიმიანი" და ზედმეტად „მჭლე" მინა ჭურჭლის დასამზადებლად არ ვარგა, ამიტომ ხელოვნურად ხდება ცხიმიანი მიწის „გამჭლევება" და პირიქით. საუკეთესო საჭურჭლე მინად საშუალო პლასტიკურობის მინა ითვლება. ხარისხის მიხედვით არჩევენ დიდ, საშუალო და მცირე პლასტიკურობის მიწებს. აყალო იზილება როგორც ფეხით, ასევე მანქანითაც. ჭურჭლის დასამზადებლად იმერეთში ორშრიანი „აყალოსა" და „თირის" ნარევს იყენებენ.

აყალო „წებოიანი", „ცხიმიანი", „მსუქანი", „კეჟური", „ფიცხი", „ძარღვიანი" და ხელში კარგად დამყოლი მიწაა. ნითელ-ჭრელი დაჰკრავს, დაზელის დროს კარგად იწელება. აყალო იმის გამო, რომ ნიადაგში ღრმად დევს და წებოვანია, ძნელად სათხრელი მიწაა. თხრის დაწყებამდე საჭიროა მიწის ზედაპირის გადაცლა 10-50 სმ-ის სიღრმეზე. მიწის ახალი საბადოს აღმოჩენას გარკვეული ცოდნა და გამოცდილება სჭირდება. ყოფილა შემთხვევა, როცა ხელოსანს ამ მიზნით რამდენიმე ორმოს მოთხრა დასჭირვებია.

2. ჭურის მინა დასავლეთ საქართველოში, ჭურის დასაგოზ-დასაგლესი თიხა. აყალო სამგვარია; ყვითელი, მონითალო და რუხი. ყველაზე ხარისხიანია ყვითელი აყალო, რომელიც სხვადასხვა ადგილებშია მისაკვლევი და საპოვნი. როცა ასეთ მიწას შეიგულებენ, მოთხრიან ბარ-თოხით, მიიტანენ სახლში და მცირედ დაალბობენ. შემდეგ დაყრიან ფიცრებზე (ბრტყელ ქვაზე, თუნუქზე) და დაზეპავენ კეტით, ისე რომ დაუმუშავებელი არც ერთი მონაკვეთი არ უნდა დარჩეს. დაზეპვისას მიწა უფრო და უფრო ყვითელ ფერს ღებულობს და მოქნილი ხდება. როცა ეს პროცესი დასრულდება, აყა-

ლოს ნაჭერ-ნაჭერ დაადებენ ბადიმებს და გლესენ კვეჟოს მეშვეობით იმ პროცესამდე, სანამ ჭურისთავზე ოვალური ფორმის სახურავი არ წარმოიქმნება. შემდეგ ზედ წყალს მოაშხეფებენ და ხელით გადაგლესენ, ისე რომ ღვინო ჭურში სრულიად ჰაერშეუვალი რჩება. ღია მარნებში აყალოს ყოველ წელს ცვლიან და ზედ აყრიან „ხვარხვალ" მიწას ან ქვიშას, წყალი რომ კარგად გაატაროს და ამავე დროს, ჭურისთავი დაცული იყოს მზისა და სიცხის ზემოქმედებისაგან. ჭურის მოხდის დროს ჯერ მიწას მოაშორებენ, გადაცოცხავენ, შემდეგ ხის ბარით შემოუყვებიან, ნრიულად შემოჭრიან, თუ დიდი ჭურია, აყალოს ორ ნაწილად გაჭრიან, გადაიღებენ და შემდეგ მოხდიან ბადიმებსაც.

ც.კ. ე. ნ.

აყარი — მთიულურ სახლში, კერის ასწვრივ ჭერში დამაგრებული ხის კონსტრუქცია, რომელიც საკიდის მოვალეობას ასრულებს. ესაა დაახლოებით 4.5X1.5 მ ზომის ხისგან შეკრული ჩარჩო, რომელშიც ჩასმულია ხისავე ქიჭოები, ანუ კაპები, რომელზედაც საჭიროების დროს ჩამოიკიდება სველი ტანისამოსი ან გასახმობ-გასაშრობი სურსათ-სანოვაგე (შაშხი, ჩირი, და სხვა.). აყარის ძელებზე დადებული იყო სქელი ფიცრები, რომ ჭერი დაცული ყოფილიყო კერაში ავარდნილი ნაპერწკლებისგან.



ლიტ.: ვ. ჩიქოვანი, მთიულური სახლის კერა, ძმ. №2, 1990.

ე. ნ.

აშალი — აშლის დაშლა (ხევს.) თხელი სარიტუალო პურები, რომელსაც აცხობდნენ ხევსურეთში ბავშვის ავადმყოფობისაგან განკურნების მიზნით. ხევსურები ბავშვის ავადობას აბრალებდნენ სალოცავის დობილებს და მათ საამებლად კლავდნენ თიკანს და აცხობდნენ აშალს. აშალი არის ორმოცამდე თხელი პური, რომლებთაც საწინაოდ ყველიანი ან ხორციანი ქადა უძღვის. აშალს მიიტანდნენ ხატში, დასტურები ამ ძღვენს დააწყობდნენ ხის ტაბაკზე, გაიტანდნენ გარეთ და ხუცესი წარმოთქვამდა ბავშვთა განსაკურნებელ ლოცვას. ამასობაში ერთი დასტური ხმამაღლა დაიძახებს: „აშალი, აშალი", რაზედაც ბავშვები ერთ ჯგუფად შეიკვროდნენ და დასტურისგან გადასროლილ პურებს იჭერდნენ.

ლიტ.: ალ. ონიაური, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1988.

ე. ნ.

აშურა (აჭარ). — საგანგებოდ შემზადებული წვნიანი საჭმელი, რომელიც კეთდებოდა მთვარის ფაზის გარკვეულ ეტაპზე სხვადასხვა შერეული მარცვლეულისაგან, სუპივითაა და შიგ ხურდა ფულსაც ყრიან. ხალხის რწმენით, ვისაც საჭმელში ეს ფული შეხვდება მას სიმდიდრე არ მოაკლდება.

ლიტ.: ი. ზოიძე, რელიგიური წეს-ჩვეულებები აჭარაში, საკანდიდატო დისერტაცია, 2005.

ე. ნ.

აჩაჩა, აჩაჩი — აქ: სახვნელი იარაღი, მსუბუქ სახვნელთა შორის შედარებით რთული კონსტრუქციისა, ჩუთზე (იხ.) ცოტა მოზრდილი და მძიმე, რომელსაც ჩუთისგან გასხვავებით ჰქონდა საკვეთელიც. აჩაჩა გავრცელებული იყო ფშავსა და ქართლ-კახეთში. შედგებოდა: მხრის, ხელნის, ქუსლის, კბილას, ხმალას, სახნისისა და საკვეთლისაგან. აჩაჩის მასალად იყენებდნენ: თელას, იფანს, წიფელს, მუხას.

აჩაჩა ძირითად სახვნელ იარაღს წარმოადგენდა ფშავში. აჩაჩის ეს სახეობა უმთავრესად გამოიყენებოდა თხელფენიან სახნავ ადგილებში და ასევე მთის ფერდობ ადგილებზე.

ფშავური აჩაჩით ხვნასთან დაკავშირებული შრომითი გაერთიანება „ხელნაცვლობის" სახელწოდებით იყო ცნობილი. ამ გაერთიანებაში მონაწილეობდა ორი ოჯახი თითო უღელი ხარით. აჩაჩისათვის საჭირო რკინის ნაწილებიც თითო ნაჭერი შეჰქონდათ და ერთმანეთს დღეების თანაბარი რაოდენობით ეხმარებოდნენ.

აჩაჩა ბარის მიწათმოქმედებაში მხოლოდ მეორე რიგის სამუშაოებისათვის (მიწის ხელმეორედ გადახვნა-აოშვა) გამოიყენებოდა. აქაც შრომითი გაერთიანება („ნაცვალგარდა" — ქართლი, „ხელნაცვლობა" — კახეთი) სანაცვლო ურთიერთდახმარებას წარმოადგენდა. თითო წევრი ამ პატარა გაერთიანებაში შედიოდა თითო ხარით და აჩაჩისათვის საჭირო თითო რკინის ნაწილით.

აჩაჩის ტიპის სახვნელი იარაღი გავრცელებული იყო მთელ კავკასიაში. ტიპოლოგიურად იგი ენათესავება ძველი აღმოსავლეთისა (შუმერულ, ბაბილონურ, ასურულ) და ხმელთაშუა ზღვის რეგიონის სახვნელებს.

ამულეტი





ახალუხი

ლიტ.: გ. ჩიტაია, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში, ენიმკის მოამბე, ტ. XI, 1941.
გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986. თ. გ.



აჩაჩა ფშაური — სახვნელი იარაღის ტიპი. გავრცელებულია ივრის, ფშავის, არაგვისა და თეთრი არაგვის ხეობებში. სახვნელი იარაღის ნაწილებია: მხარი, ერქვანი, ქუსლი, ხმალა, სახნისი, საკვეთელი. იგი სხვა სახვნელებთან შედარებით (კავი, ორხელა) მძიმე და დიდი ზომისაა. მასში ორი უღელი ხარი იყო შებმული.

ფშაური აჩაჩა მესხური არონას, ქსნური გუთნისა და რაჭული სახვნელის მსგავსად ფერდობის დასამუშავებლად გამოიყენება.

მისი „მხრის" მეშვეობით ხდება ერქვანისა და ხმალას ანევ-დაწევა, რითაც ხდება ხვნის სიღრმის რეგულირება. ერქვანით, გუთნისდედა, კვალის მიმართულებასა და ხვნის სიღრმის რეგულირებას ახდენს. ერქვანზე დაკიდებული იყო ქარჩი და საფხეკი (გუთნის კბილის გასაწმენდად). ფშაური სახვნელი იხმარება მძიმე მიწების დასამუშავებლად. იგი ოთხმხრიან სახვნელთა ტიპს განეკუთვნება.

ფშაურ სახვნელში შებმული იყო ყევარი ხარი (ორი წყვილი). მუშაობის პრინციპი: სახვნელის მხარი ისე იყო მოხრილი, რომ დაბოლოება საძირის უღელზე ყოფილიყო მიბმული, ხოლო გახრილობის კუთხეში მოთავსებულ ნაჩვრეტზე გამობმული შოლტკავებით წინა ხარის უღელი უკავშირდებოდა სახვნელს.

ფშაურ სახვნელში დასტურდება ხარის შესაბმელი უღლების ზომების ურთიერთმიმართების დაცვა, რაც ფრთიან გუთანზე არის მიღებული. კერძოდ, საძირეში ხარს მეტი ძალა ადგება, ვიდრე სიმძიმის ნევის ძალიდან რამდენიმე მეტრით დაშორებულ წინა ხარს. ამის გამო საძირის უღელი გრძელი კეთდებოდა, წინა უღელი კი მოკლე. ეს დაშორება აიხსნება, ერთი მხრივ, იმით, რომ მეხრის მოძრაობა ხართან მუშაობის დროს ადვილდება, მეორე მხრივ, გრძელი უღლით სახვნელი მიწის ზედაპირიდან მოცურდება. გამწევი ძალისა და ნევის ძალის ამგვარი განაწილება ხალხის დაკვირვების საფუძველზეა შემუშავებული, რომელიც სხვა ხალხთა სამეურნეო პრაქტიკაში არ დასტურდება.

ლიტ.: გ. ჩიტაია, თიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მოკლე ანგარიში. ენიმკის მოამბე, XI, 1941.
გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948, მიმომხილველი, I, 1949.
გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986.
ა.გ.

აცისკანა — პატარა მაშა, იარაღი კოსმეტიკური საქმიანობისათვის (იხ. ტანტრიაბეჩი).

აჭარპან — აფხაზური ჩასაბერი საკრავი, სალამურის ტიპისა. განეკუთვნება ერთღერიანი გასნერივი ფლეიტის ტიპს. სახელწოდება მომდინარეობს იმ მცენარის სახელიდან, რისგანაც მზადდება — აჭარპანი (დიყი). ზოგჯერ მზადდება ანწლის, გოგრის ღეროს ან სხვა რბილგულიანი მცენარისაგან.

აჭარპანს ამზადებენ მწყემსები. აგვისტო-სექტემბერში მცენარის ღეროს ჭრიან. ამ დროს მოჭრილი მცენარე გამომშრალია და უკეთესად იუღერებს. დამუშავება ხდება დანით. სახმო ნახვრეტებს შორის მანძილებს თითებით მონიშნავენ. ზემოდან აქვს სამი ნახვრეტი, ხოლო ქვემოთ ერთი. ამოაღრუებენ გახურებული შანთით და დადებენ გამოსაშრობად. დაკვრის წინ საკრავს ალბობენ: წყლის ჭავლს შეისრუტავენ და ცოტა ხანს ასე დააყოვნებენ.

შემსრულებლები არიან მწყემსები. ამ საკრავის ერთი საინტერესო თავისებურებაა ის, რომ დაკვრის დროს შემსრულებელი დაკვრას ხმასაც აყოლებს და მიიღება ორხმიანობა. აჭარპანზე უკრავდნენ დამხრჩვალის ან კლდიდან გადაჩეხილის „სულის დაჭერის" რიტუალის შესრულების დროს. მდინარის ნაპირზე მიმავალთაგან ერთი აჭარპანზე უკრავდა. ხალხის რწმენით, საკრავი გაჩუმდებოდა იქ, სადაც გვამი უნდა ყოფილიყო. ამგვარი წესი ცნობილია ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხებში. ამ საკრავზე სრულდებოდა საცეკვაოებიც და სხვა ჰანგებიც. მაგრამ აჭარპანი მაინც მწყემსურ ყოფას უკავშირდება..

ლიტ.: И. Хашба, Абхазские народные музикальные инструменты, Сухуми, 1967.
ბ. ბ.



ახალუხი — მამაკაცისა და ქალის შიდა სამოსელი. მასალად გამოიყენებოდა ბამბის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილები (ყარამანდულა, სატინი, დიმიკიტონი, ქიშმირი, ხამი, ნაშური ე.წ. შავი ფართლეული და სხვ. ახალუხი ფორმით ჩოხისებურია, საყელო დამდგარი აქვს და გულდახურულია. აქვს სწორი სახელოები, გვერდებში შედგმული კალთებით. ჩოხაზე მოკლეა, გულისპირზე აქვს ჯიბე, ზოგჯერ დასარჩულებულია. სეზონის მიხედვით ბამბაფენილი და დალიანდაგებული.

XIX ს. II ნახევარსა და XX ს. დასაწყისში საქართველოში მასობრივად გავრცელდა სამი ფორმის ახალუხი: 1. ქართული, ანუ მოკლე ახალუხი, რომელსაც ჰქონდა ნაოჭი და ქართველ გლეხობაში იყო გავრცელებული. 2. ჩერქეზული, ანუ გრძელი და უნაოჭო, რომელსაც თავადები და წარჩინებულები იცვამდნენ. 3. ქალაქური, ანუ დოშლულიანი, რომელის მომხმარებლები ქალაქის ვაჭარ-ხელოსნები და წვრილი მოხელეები იყვნენ.

ახალუხის უმოკლეს ვარიანტად უნდა ჩაითვალოს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებული მამაკაცის ტანსაცმლის კომპლექტში — „ჩაქურა" (იხ.) შესული წელამდე სიგრძის „ზუპუნა".

ძველად მამაკაცის ჩასაცმელ საგარეო ფორმად, კავკასიაში, ჩოხა-ახალუხის ერთობა ითვლებოდა. წარჩინებულთა ნრეში კი მათ ყოველდღიურად ხმარობდნენ.

თუ მამაკაცებში ახალუხს ჩოხის ქვეშ ატარებდნენ ქალები მას კაბის შიგნით იცვამდნენ.

ქსნის ერისთავის ანას მზითვის წიგნში (1692-1703 წწ.) ორი ახალუხია ნახსენები. ერთი დარაია ბაბთისა, მისის ოქროს ჯაჭვის თვლებით. ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნში (1712წ.) დასახელებულია ცხრა ახალუხი.

საქალო ახალუხების ორი ფორმა გვხვდება: ა) გრძელი და წინ ჩახსნილი; ბ) მოკლე და გულდახშული. გრძელი საქალო ახალუხი მამაკაცის ახალუხის მსგავსია: წელზე მომდგარი, კალთაგანიერი, მაღალი საყელოთი, წინ ჩახსნილი და ღილ-კილოებით შესაკვრელი. სახელოები სწორი, ზოგჯერ ყოშით დაბოლოებული. მეორე ფორმის ახალუხი მოხვევ ქალის კომპლექტშია დამონმებული. ეს არის მოკლე, გულდახშული და უკან ზურგში შესაკვრელი — უსაყელო და გრძელი სახელოებით.

ამ ტიპის საბავშვო ახალუხებს ხევში „კონდოლები" ერქვათ. ორივე ფორმის საქალო ახალუხები გაფორმების მხრივაც იქცევენ ყურადღებას. მთავარ საშუალებებად გამოყენებული იყო ბუზმენტი და ვერცხმკედით მოქსოვილი ყაითანი. ყაითნით ირთვებოდა ახალუხის ნაპირებთან ერთად ნაკერებიც. კალთებზე იცოდნენ აპლიკაციის ნესით სხვადასხვა ცხოველის (ჯიხვი, ცხვარი, ირემი) გამოსახვა. ახალუხი ფართოდ გავრცელებული ტანსაცმლის ტიპია და იგი დიდი ხნის განმავლობაში როგორც კაცის, ასვე ქალის შეუცვლელ სამოსს ნარმოადგენდა.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ქართლელი გლეხის მამაკაცის კოსტიუმი XIX ს-სა. სსმმ ტ. XIX 1957.

ც. ბ.

ახორი — იხ. ბოსელი

ახუმა — აფხაზური მუსიკალური საკრავი, რომელსაც 28 სიმი ჰქონია და წარმოადგენს შუაზე გატიხრულ ოთხკუთხა ჩარჩოს, რომლის სიმები აქეთ-იქით მოქლონებითაა დაჭერილი. შესაძლოა იგი მუხლებზე დადებული თითების ამორტყმით იკვრებოდა, ეთნოგრაფიულ ყოფაში არ დასტურდება.

ე. ნ.

აჯაფსანდალი — მოხარშული საჭმელი, მზადდება კარტოფილის, პომიდვრისა და ბადრიჯნისაგან, შეაზავებენ ხახვით, ერბოთი და მწვანილეულობით.

ლიტ: ი. გრიშ. ქალაქური ლექსიკონი, 1997.

აჯილაკი (სამცხ.)//**აჯლა** (ჯავ.) — 1. საქორწილო მაღალი ტახტი, დამშვენებული ხალიჩებით. გამართული მესხურ-ჯავახური დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში. აჯილაკზე ჯდომისას ნეფეს ნათლია (მეჯვარე) ეჯდა გვერდით, დედოფალს — მდადე. მისი მოწყობის წესს ასრულებდნენ როგორც კათოლიკე და მართლმადიდებელი ქართველები, ისე ებრაელებიც. 2. დაბალი, ფიჩვამოკრული კედლის სკამი მესხეთში.

ლიტ.: თ. იველაშვილი, აჯილაკი სამცხე-ჯავახეთში, ძმ. 55, 1980.

ლ. ბ.

აჯილღა (ქვ. ქართლ.) — სახვნელი იარაღი, ჯილღის ტიპისა. შედგება: მხრის, კბილას, ხმალას, ფრთის, კვალის, მანჭის, სახნისისა და საკვეთლისაგან. აჯილღის სახნის-საკვეთელი პატარა ზომისა იყო და მსუბუქი. მუშაობდა ერთი უღელი ხარით. იგი შექმნილი იყო სამი სხვადასხვა სახვნელის ზოგიერთი ელემენტის შერწყმით. კერძოდ, აჯილღაში მოცემულია დიდი გუთნისათვის დამახასიათებელი ფრთა, კვალის მანჭი, საკვეთელი და სახნისი, არონას დამახასიათებელი გრძელი მხარი და ჯილღასთვის დამახასიათებელი კონსტუქციული სიმსუბუქე, რის წყალობითაც აჯილღა გათავისუფლდა ჯილღისათვის დამახასიათებელი ფამფალაკის აუცილებლობისაგან. ალგეთის ხეობაში მის გამოყენებას ჩამოსახლებულ მთიულებს მიანერენ, თითქოს მათ მთიულურ კავს ფრთა მიუმატეს და ჯილღისაგან განსხვავებით აჯილღა დაარქვეს.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, სსმმ, ტ. IV, 1928.

გ.ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960.

თ. გ.



ბაბაგანი — დაბალზე გადახურული ნაგებობა იმერეთსა და გურიაში.

ბაგთი — სამზითვო ტანსაცმელზე ოქრომკედით ნაკერი მორთულობა.

ბაგილო — მაღლარი ვაზი, უმეტესად ხეზე გაშვებულ ვაზს ეწოდება, ზოგჯერ საგანგებოდ აგებულ ხეების კონსტრუქციაზეა ასული. ასეთს ხეივანსაც უწოდებენ.

ბაბუჯები (ახალც.) — ქოშისებრი ფეხსაცმლის ტიპი. ქალების სახლში სახმარი. საპირედ გამოყენებული იყო ნითელი მეში, ნაწიბურებზე ორნამენტებად „ნახში" (ჩუქურთმა) ჰქონდა გამოყვანილი. „ნახში" ნიშნავს ფეხსაცმლის ფერადი ძაფებით შემკობას. ახალციხელი ხარაზები ბაბუჯებს საგანგებოდ პატარძლებისათვის ამზადებდნენ.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

ბაგა — 1. მოწნული ან ხისგან გაკეთებული, ღარივით ადგილი ბოსელში საქონლისთვის საკვების ჩასაყრელად. ბაგაზეევა გამობმული კანჯოები, რომლითაც საქონელი დაიბმება. 2. წისქვილის ქვის გარშემო ხის ან რკინის რკალი, რათა ფქვისას ფქვილი არ გაიფანტოს.

ე. ნ.

ბადაგი — ყურძნის დადუღებული წვენი//ტკბილი. საბადაგედ იყენებენ შუა წურვისას წამოსულ მოსქო წვენს, რომელსაც მეტი სიტკბო აქვს, გაწურავენ საცერში და სპილენძის ქვაბით ნელ ცეცხლზე შემოდგამენ, თან ციცხვით გამუდმებით ურევენ, ნადუღარი წვენი თავზე მოიდებს ქაფს და ჭუჭყს, რასაც ქაფქირით მოხდიან. ზოგჯერ წვენს დულილით განახევრებამდე მიიყვანენ და მერე გადმოიღებენ ცეცხლიდან. გაცივებულ ბადაგს სათანადო ჭურჭლებში ასხამენ და ინახავენ. მოიხმარენ სადღესასწაულოდ, სამკურნალოდ, სასტუმროდ.

ე. ნ.

ბადახში — ნითელი ფერის ძვირფასი ქვა, რომელსაც მოიპოვებდნენ ტაჯიკეთისა და ავღანეთის მომიჯნავე რეგიონში, პროვინციად ბადახშანის ტერიტორიაზე. ბადახშს საქართველოში ლალთან აიგივებდნენ. როგორც იშვიათი სილამაზის ქვა დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ქართულ საიუველირო ნაწარმში არცთუ იშვიათად გვხვდება ბადახშით შემკული ნივთები. ჩვენთან მეტწილად სპარსეთის გზით შემოდიოდა.

ლიტ.: ე. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ე. ნ..

ბადე — 1. ზოგადი სახელი თოკისგან მოქსოვილი თევზისსაჭერი ხელსაწყოსი. საბას განმარტებით „ბადე არს თევზთა შესაპყრობელი: სათხეველი, ხულიხი, ღრიპონი, ჩიჩქინური, მასე, ზელმა, ხელბადე". ბადე ზოგი დასაგებია, ზოგი სასროლი. ბადე ჩვეულებისამებრ თვალედი (ცხრილისებრი) ქსოვილია, რომელიც მიღებულია ძაფის ჯვარედინად გადანასკვით თანაბარ მანძილზე, ხმარობენ თევზისა და ფრინველის დასაჭერად, გადასაღობად (მავთულის, თოკის ბადე დ ასხვ.), შირმად, თმის სამაგრად, სპორტში და სხვ. ბადური ქსოვა ერთ-ერთი უძველესია ქსოვის ტექნიკასა და კულტურის ისტორიაში. იგი ქვის ხანიდანაა ცნობილი. განათხარი მასალის მიხედვით საქართველოში თევზის საჭერი ბადეების გამოყენება ნეოლითის ხანიდანაა ცნობილი.

საქართველოში სათევზაო ბადეს უმთავრესად სელის ბოჭკოსაგან ამზადებდნენ.ძველი ბერძნული საისტორიო მწერლობის მიხედვით, ანტიკურ სამყაროში სათევზაო ბადის დასამზადებელ ერთ-ერთ

საუკეთესო ნედლეულად კოლხური (ქსენოფონტეს სიტყვით, „წმინდა ფასიანური") სელი იყო მიჩნეული. ამ უძველეს ტრადიციას უნდა უკავშირდებოდეს ის, რომ დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, სამეგრელო, აჭარა, აფხაზეთი და სხვ.) ახლო წარსულამდე სათევზაო ბადეებს სელის ბოჭკოსაგან ამზადებდნენ. სელთან ერთად ბადის დასამზადებლად საქართველოში ძველთაგანვე იყენებდნენ კანაფს, უფრო გვიან აბრეშუმსა და ბამბას, ბოლო ხანებში კი საყოველთაოდ გავრცელდა სინთეზური ბოჭკო.

ბადის საქსოვად ხმარობდნენ სხვადასხვა ზომის კოჭებს, ანუ ფირფიტებს და ხისა და ლითონის ჩხირებს, რომლებსაც ორკაპა და „ენიანი" ბოლოები ჰქონდა. ბადის საქსოვი ჩხირი სხვადასხვა სახელწოდებით იყო ცნობილი — „მაქო" (ზემო ქართლი), „ჩხაში" (გურია, იმერეთი), „ფათქა" (ქვემო იმერეთი) და სხვ. ბადეს ქსოვდნენ უმთავრესად მეთევზე-მებადურები (ზოგან ქალებიც ეხმარებოდნენ). მეთევზეობის ზოგიერთ რაიონში (განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროზე) მებადურის პროფესია მემკვიდრეობით გადადიოდა.

დანიშნულებისა და ფორმის მიხედვით, თევზსაჭერი ბადე სამი სახისაა: წყალგამწური (ტრალი, სასროლი, ფსკერული, ქისაბადე), გამხლართავი (ჩასადგმელი, მცურავი), თევზსაჭერი მახე (ჩასადგმელი, ვენტერი, ხოლიხი).

ხალხურ მეთევზეობაში სათევზაო მრავალ სახესხვაობათაგან ყველაზე გავრცელებულია სასროლი, ანუ სათხეველი, მოსასმელი ანუ გამოსასმელი, საჩხრეკავი, ანუ ხესკელი, ჩასაშვები, ანუ სახოპავი და სხვ. სასროლი ბადე კონუსისებრი მოყვანილობისაა და კიდეზე ტყვიები აქვს დაყოლებული წყალში ჩასაძირად. შუაში კი გრძელ თოკს უბამენ დასაჭერად. მოსასმელი ბადე სწორკუთხაა, გრძელი და განიერი, ერთ მხარეს ტყვიებს უბამენ, მეორე მხარეს კი ტივტივებს. მოსასმელ ბადეს წყლის ზედაპირზე სიგრძეზე შლიან და თევზს ბადის მოსმით იჭერენ. სახოპავი ბადე კვადრატულია, სარებზე ჭიმავენ და წყალში დგამენ. საჩხრეკავი ბადე მრგვალია, გიდელისებრი, ორკაპ ან მშვილდივით მოხრილ ჯოხზეა დამაგრებული. იყენებენ ქარაფოვან სანაპიროზე სათევზაოდ. ერთი და იმავე სახის ბადეები თავის მხრივ გაირჩევა ზომით და ზოგიერთი თავისებურებით.

სათევზაო ბადეს ყოფაში რიტუალური მიზნითაც იყენებდნენ. მას მაგიურ ძალას მიაწერდნენ. ზოგან მშობიარესა და ახალშობილს „ავი თვალისაგან" „დაცვის მიზნით აფარებდნენ. ზემო იმერეთიდან ჩამოტანილი ერთ-ერთი ასეთი ბადე, „მშობიარე ქალის ბადე", საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ინახება. იგი სასროლ ბადეს ჰგავს, საგულდაგულოდ შემკულია ოქროსფერი ფირფიტებით და ტილოსაგან გამოჭრილი ვარსკვლავებისა და ყვავილების აპლიკაციებით. ასეთი ბადის წარმოშობა დაკავშირებულია თევზის კულტის გადმონაშთების ამსახველ ხალხურ რწმენა-წარმოდგენებთან. 2. მშობიარე ქალის ბადე დასავლეთ საქართველოში. გავრცელებული რწმენის თანახმად, მშობიარობის შემდეგ მელოგინე ქალსა და ახალშობილს ავი სულები ეტანებიან, რათა ზიანი მიაყენონ. ამიტომ ქალს ბალიშის ქვეშ ამოუდებდნენ ხანჯალს, ხოლო ზემოდან გადააფარებდნენ ნითელ სათევზაო ბადეს, რომელიც ტყვიების სიმძიმით მჭიდროდ გადაეფინებოდა საწოლს, რათა სულებს ვერ შესძლებოდათ საბანში შეძრომა. ზოგჯერ ასეთი ბადე 40 დღის განმავლობაში ეფარა მელოგინეს. თუ შესაძლებელი იყო ბადე მზადდებოდა ნითელი თოკისგან, რაც მის სარიტუალო მხარეს წამოწევს წინ. ბადე ამავე მიზნით შემკული იყო ფერადი აბრეშუმის ფოჩებითა და ოქროსფერი ფირფიტებით.

ლიტ.: ქ. მირიანაშვილი, დასურათებული ლექსიკონი, 2008.
ლ. ნებიერიძე, პედიატრიის ხალხური წესები საქართველოში, 2006.
ე. ნ.

ბადია — დიდი ზომის, ხის, თიხის, ან სპილენძის საწვნე ჭურჭელი. აქვს ჯამის ფორმა. გამოკვერილია სპილენძის ერთი ან ორი ფირფიტისაგან (ზომაზეა დამოკიდებული). აქვს სხვადასხვა სიმაღლის ღრმა ქუსლი, ბადიის კედლები სწორია, პირისკენ ოდნავ გადაშლილი, პირმოხვეული ან შიპიანი. ...ბადია ძირითადად უორნამენტო ჭურჭელია. მხოლოდ მკრთალად ამოღარული წრეხაზები შემოუყვება. გვხვდება ქართულ წარწერიანი. მაგ. „ქ. მერაბისა". ბადია მზადდება თიხისგანაც. საინგილოში დადასტურებულია, ჯამის ფორმის, ვერცხლის, ღვინის სასმელი ბადიები, რომლებსაც მზითევშიც ატანდნენ, რაც ამ ჭურჭლის პრაქტიკულ საჭიროებაზე მიუთითებს.

ც. ჯ.

ბადიმი — ჭურის ხის სარქველი, პირსაფარი, რომელზედაც დაიგლისება დაზელილი აყალო (იხ.) და ზედ დაეყრება „ხვერეფი"(წმინდა) მიწა. ბადიმისათვის საუკეთესო ხედ ითვლება ნაძვი და ცაცხვი, ასევე, წიფელა და თელა. ბადიმი სამნაირია: მთლიანი (შედარებით პატარა ჭურებისათვის), ორნაწილიანი და

შედგენილი რამდენიმე ნაწილისაგან. ყველა ტიპის ბადიმს შუაში ნახვრეტი აქვს მაჭრის დულილისას ჰაერის გამოსასვლელად. კარგი ხის ბადიმი რამდენიმე წელს გაძლებს. შემოდგომით ბადიმებს მოხდიან, დაფხეკენ, დარეცხავენ, ცეცხლის ალზე მორუჯავენ და სუფთა ნაჭრით გაასუფთავებენ. ბადიმის განსაკუთრებულ სისუფთავეს განაპირობებს ჭურში ღვინის მომატების საშიშროება, რომლის დროსაც ღვინო ბადიმს შესაძლოა მოადგეს და თუ იგი სათანადოდ არაა დამუშავებული ამ თვალსაზრისით, ღვინოს „ხელს" მისცემსს და გააფუჭებს.

ე. ნ.

ბავრუკი — მარილის მსგავსი თეთრი ფხვნილი, რომელსაც ოქრომჭედლები იყენებენ.

ლიტ.: ქელ. 2009.

ბაზაზი — ძირითადად ფართლეულით და საქსოვ-საკერავი ძაფებით მოვაჭრე.

ბაზაზხანა — ფართლეულობის სავაჭრო ფუნდუკი, ქარვასლა.

ბაზანა//ბარდანი (თბ.) — 1. შულოებად ამოხვეული აბრეშუმი, რომელიც 10-15 ფუთ აბრეშუმს შეიცავდა. 2. თხის ბენვით ან მატყლის უხეში ძაფით ნაქსოვი დიდი ტომარა.

ლიტ.: ქელ. 2009.

ბაზარი — სავაჭრო ცენტრი, სავაჭრო სახლი//ქულბაქი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა მოსახლეობის ფართო მასებისთვის სხვადასხვა სახის საქონლისა და სურსათ-სანოვაგის, გაცვლა-გამოცვლისა და ყიდვა-გაყიდვის უმთავრეს ცენტრს. საქართველოს დაბა-ქალაქებში უძველესი დროიდან არსებობდა ბაზრები და შესაბამისად მათთანაა დაკავშირებული ვაჭრობა-ხელოსნობის აღმავლობა. სტრაბონი იცნობს იბერიის ბაზრებს და ზოგადად მაღალი შეხედულებისაა მათზე. საქართველოს ქალაქების ცენტრალური ბაზრების გარდა, საეკლესიო დღეობებსა და დღესასწაულებზე, სხვადასხვა კუთხეში იმართებოდა ბაზრობები, რომელთაგან ზოგიერთი საკმაოდ მასშტაბური ხასიათის იყო.

ე. ნ.

ბაზმა — ერთგვარი სარიტუალო ცეცხლი. ბატონებით დაავადებულ ბავშვს, როცა გადალოცვის დრო მოუვა, ხონჩაზე დადებენ ტკბილეულს, ფერად ნაჭრებს და მათთან ერთად თიხის ჯამზე ანთებულ ცეცხლს, რომელიც უკიდია ნიგვზის ლებნებს და იწვის ლიცლიცა სუსტი, მოცისფრო ალით. იმერეთში არსებობს წყნარი ამინდის გამომხატველი გამოთქმა: „ისეთი ამინდია, ბაზმა არ დაქვრებაო". ეს ხაზს უსვამს ბაზმის ალის სინაზეს და ზოგადად კარგად შეესატყვისება „ბატონების" ჭირვეულ ბუნებას.

ე. ნ.

ბაზმაკი – ქრისტიანულ ეკლესიაში ყოველგვარი სანათის საერთო სახელწოდება, რომლის სანვავად ზეთი იხმარება. იგი მუდმივად ანთია ხატების წინ.

ბაზო — 1.საკარე ფიცრები. 2. ფერდობის დატერასება უკედლოდ.

ბაზუნა (თუშ.) — ხის პატარა ჭიქისებური ჭურჭელი, რომელშიც ერბო ან ერბო-კალტი თავსდებოდა, იგი ძირითადად მწყემსის ჭურჭელი იყო მომთაბარული ცხოვრებისთვის გამოსადეგი.









ბუხარი



ბუხარი

ბათმანი – საწყაო მასის ერთეული, რომელიც ირანიდანაა შემოსული საქართველოში. გამოიყენებოდა მარცვლეულის ასაწყველად. ირანული ბათმანი უდრიდა 3კგ, ხოლო ოსმალური 7,3 კგ. ეთნოგრაფიულ ყოფაში მარცვლეულის საწყაოდ ხმარობდნენ ხის ჭურჭლებს, რომლებშიც გარკვეული რაოდენობის ბათმანი ჩაეტეოდა. აქედან გამომდინარე, დროთა განმავლობაში თავად ჭურჭელმაც ბათმანის სახელწოდება მიიღო.



მ. ხ.

ბათქაში — კირისა და სილის ნარევი, რომლითაც კედელს ლესავენ.

ბაირალი — აქ: ეკლესიის წმიდა დროშა, მაცხოვრის, ღვთისმშობლის, განსაკუთრებით პატივდებული წმინდანთა გამოსახულებით. ჩვეულებრივ ინახება მარჯვენა და მარცხენა კლიროსების ახლოს, საიდანაც დიდ დღესასწაულებზე ჯვრით მსვლელობის დროს გამოაქვთ. ბაირაღი სიმბოლურად მართლმადიდებლობის ამქვეყნად გამარჯვებას მოასწავებს. ასეთი დროშის მატარებელს ბაირახტარი ჰქვია.

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2005. .2004;
მართლმადიდებლის მცირე ლექსიკონი, .2002.

ხ. ც.

ბაკანი//პინა — ღრმა გობი ნაღების მოსაყენებლად, ხევსურეთში მას საზისცვრესაც უწოდებენ, რომელზედაც რძეს ასხამდნენ. ბაკანი პირგანიერი იყო და ერბოს ბურთულების ზედაპირზე დაგროვებას უწყობდა ხელს. ბაკანი და პინაკი სხვა დანიშნულების ჭურჭლებსაც ერქვა და მარცვლეულის საწყაოდ გამოიყენებოდა.

ე. ნ.

ბაკი — საქონლის საზაფხულო სადგომი.

ბაკრუკი — საბას განმარტებით მარილს ჰგავს, ოქრომჭედლები ხმარობენ ოქროს დასადნობად, ელ-ვარე წყალი არის, რომელიც ხაშურის მსგავსად გამოჰყრის. რკინა-მჭედლობაში მას თანუქარსაც უწოდებენ.

ბალავარი//ბალავერი//საძირკველი — ქვის საცხოვრებელი სახლის მინაში ამოშენებული საფუძველი. ბალავარისათვის მიწაში გრუნტ ქანზე დასვლამდე ამოიჭრება 40 სმ-დან 1 მეტრამდე სიგანის თხრილი, რომელიც ამოივსება მასიური ქვებითა და კირის ან ცემენტის ხსნარით (ზოგიერთგან ეხვდებით მშრალი წყობის ბალავრებსაც), რომლებზედაც შემდეგ აიგება კედლები. ბალავარის სიმკვიდრეზეა დამოკიდებული აშენებული სახლის სიმტკიცე.

ე. ნ.

ბალარჯი — ცომის საფუარი.

ბალდუმი (იმერ. ლეჩხ. გურ.) —კურტნის საძუე, ამაგრებს კურტანს, იგი ძუის ქვეშაა ამოდებული, აკეთებდნენ ტყავისაგან ან ქსოვილისაგან.

ბალთა — ტანსაცმლის (ჩვეულებრივ, სარტყელ-ქამრის), ცხენის აკაზმულობის (ავშარა, აღვირი და სხვ.) ლითონის საკვრელი, ფირფიტა, რომლის ზედაპირი თითქმის ყოველთვის შემკულია სხვადასხვა გამოსახულებით, გრეხილით, ფერადი თვლებით. უკანა მხარეს აქვს ქსოვილზე ან ტყავზე დასამაგრებელი ყუნნი. ამავე მიზნით, ბალთას ზოგჯერ უკეთდებოდა ნახვრეტები. საქართველოში ბალთა გვხვდება ბრინჯაოს ხანიდან. ცნობილია არმაზისხევში აღმოჩენილი ოქროს თვალედი (ბადისებრი) ბალთები. ზოგჯერ უენო აბზინდსაც ბალთას უწოდებენ.



ლიტ.: ი. გაგოშიძე, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

ბალიში — 1. თავის დასადები, მოქნილი ტყავის ან ნაჭრებით შეკერილი. მატყლით, ბამბით, თივით გატენილი, ოთხკუთხი ფორმის. იცოდნენ ტყავის ყურ-ბალიშიც. ქართულ არისტოკრატიულ ოჯახებში გამოიყენებდნენ აბრეშუმისა და ხავერდას მოქარგულ ბალიშებს. ბალიშ-მუთაქებს პრაქტიკული დანიშნულების გარდა სამშვენისის დანიშნულებაც ჰქონდა. 2. ცხენის აკაზმულობის ნაწილი. ბალიში კეხზე მაგრდებოდა ერთი თასმით. ამზადებდნენ თხის ან ხბოს ტყავისას. ხევში მას ჯერ სილაგში ამუშავებდნენ, შემდეგ ძროხის გამდნარ ქონში ამოავლებდნენ და ყუთუღში მოქნიდნენ. სვანეთში ორი, ხოლო ხევსა და კახეთში 6 ნაჭრისაგან კერავდნენ. საბალიშე ტყავს ჭრიდნენ „ანდაზით“ (თარგი), რაც ორი სახისა იხმარებოდა: სარტყლისა და საპირის. სარტყელი//ყუები ეწოდებოდა ბალიშის ოთხ კუთხეს, საპირე კი ბალიშის ზედა და ქვედა ნაწილი იყო (ქიზ.). სჭრიდნენ სპეციალური დანის —„შუფრის“ საშუალებით. შემდეგ საპირე-სარტყელი ხვიანდაგით გადაიბმებოდა ერთმანეთთან, მოკერება „ჯალდას“ საშუალებით ხდებოდა, რასაც ახლდა ხის სამკუთხა პატარა ზომის „ხაფსვალი“. ბალიშის ორივე ნანიბურს ჯალდაში ჩადებდნენ, ერთმანეთთან მიახლოებით ადგილას შუაში ჩაატანდნენ დაკეცილ მეშს (ქობა), ხაფსვალით დაამაგრებდნენ და შეკერავდნენ. შიგთავსად სხვადასხვა მასალას იყენებდნენ. სვანეთში-თხის, ჯიხვის ბეწვს, ან ქათმის ბუმბულს, ქიზიყში — აქლემის ბეწვს, მოხევეები — ზღვის სპეციალურ ბალახსაც. ბალიშს გარშემო ამოკერვის დროს, გარკვეულ ნაწილს ამოუკერავს უტოვებდნენ, რომ ჰაერს თავისუფლად ემოძრავა და ხმარებაში არ გამსკდარიყო.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

ბალულა (მესხ.) — ბავშვის საწოლი, ჰამაკივით მოქსოვილი. ბალულა ხეებს შორის იყო ჩამობმული ორკეცი თოკით. ხმარობდნენ აკვნის ნაცვლად. სახლიდან მოშორებულ სახელდახელო თუ სასწრაფო სამუშაოს შესრულებისას.

ლ. ბ.

ბანდარი — საქალო და სამამაკაცო გრძელი სკამი სვანეთში. საქალო ბანდარი უმთავრესად მთლიან ხეში გამოთლილი მარტივი კონსტრუქციის — ნავისებური მოყვანილობის სკამია. სკამის წანვეტილ თავთან მრგვალად ამოკვეთილია ფილის ჩასადგმელი. ოჯახის უფროსი ბანდარის ფილის ჩასადგმელთან იჯდა. აქვე თავსდებოდა ბედნიერ დღეს ლემზირების და სხვათა საზელი ვარცლი („ჯარ“). ბანდარი სტუმარ ქალთა საპატიო სასხდომიც იყო. იგი ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებს თუშურ სადიაცო მერხთან, რომელზედაც ამოკვეთილი — „ამობანკული“ იყო კროჭი (მცირე ყუთი) ან რაიმე ჭურჭლის ჩასადგმელი. ხალხის რწმენით, „ლამარია ლიფანესათვის“ (24 დეკემბერი) განკუთვნილი ტაბაგი და ფიჩქი, რომელზედაც ლემზირებს და ლობიან პურებს აწყობდნენ, მრგვალი უნდა ყოფილიყო. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ერთი ფიჩქი იყო და მიცვალებულთა სულებისათვის იყენებდნენ, მაშინ ლამარია ლიფანესათვის განკუთვნილ სუფრას ქალების „ბანდარის“ მომრგვალებულ ნაწილზე შლიდნენ. სუფრასთან დიასახლისი ლოცულობდა და ლამარიას ოჯახის კეთილდღეობას ევედრებოდა. ლოცვის შემდეგ ლამარიასათვის განკუთვნილ სანოვაგეს ქალები შეექცეოდნენ.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალი წლის ციკლი, 1939.

ლ. ბედუკიძე, სვანური ავეჯი, სსმმ. ტ. XXXVI—B. 1982.

ლ. ბ.

ბანდი — წვრილი თოკი ან თასმა, რომელიც სახლართად და გამოსაკრავად იყო განკუთვნილი.

ბანდული//ხუნჩა — მთაში სასიარულო ქალამანი, რომელსაც ძირი თასმებით აქვს გამოწნული— გამობანდული, რათა ადამიანმა ფეხი მყარად მოიკიდოს თოვლზე.

ბანდული//ჯღანფეხი (ხევი) — ძირგამოწნული ქალამანი. ბანდული ძროხის ან ხარის ტყავისაგან მზადდებოდა. ახლად გატყავებულ საქონლის ტყავს გაასუფთავებდნენ, გააშრობდნენ, შოლტებად დაჭრიდნენ, დააყრიდნენ ნაცარს, შეახვევდნენ 2-3 დღით, გამშრალს მინაზე დაფენდნენ და წვერწამახვილებული ხის კეტით ბენვს გააცლიდნენ, შემდეგ განელავდნენ, გამოჭრიდნენ თარგზე,ხანჯლის წვერით ან სახვრეტათი თვლებს გაუკეთებდნენ და გაბანდვას იწყებდნენ ცხვირიდან. გაბანდვა მდგომარეობდა იმაში, რომ თვლებს თასმებით აბამდნენ — თითო-თითოს, ორ-ორს ან სამ-სამს ერთად. ამის მიხედვით ბანდული იყო ერთთვლიანი, ორთვლიანი, სამთვლიანი.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ.ჯ.

ბარა ქურისა — თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურის კარები, საიდანაც ხდება ქურაში გამოსაწვავად გამზადებული ჭურჭლის შეწყობა. ქურის ბარადან ჭურჭლის შეწყობის დროს ახდილია ქურის „ცა“, ანუ ქურის ბანი — სინათლისთვის, რათა მეჭურჭლე კარგად ხედავდეს როგორ გადაანანილოს ჭურჭელი ქურაში. ჭურჭლის შეწყობის დამთავრებისთანავე ქურის ცა გადაიხურება კრამიტის ნატეხებით და გადაილესება თიხა-ტალახით. ქურის ბარა კი ამოშენდება გამშრალი აგურითა და გაილესება ლამი მინით. ბარაზე დარჩება სამი „სათვალე“ ანუ სათვალთვალლო — ერთი ბარას თავში და ორი ბარას ძირში. სათვალის დანიშნულებაა, მეჭურჭლემ გამუდმებით ადევნოს თვალყური ქურაში ცეცხლის მოძრაობას და მის მოქმედებას ჭურჭელზე.

ლიტ.: ს. ბედუკაძე, მოჭიქული ჭურჭლის წარმოებისათვის შიდა ქართლში. 1953.

მ. ზ.

ბარამბა — 1. ორკაპა ხის ჯოხი, რომელიც იხმარება თევზაობისას სასროლი ბადის ჩაშლილი თვლების გასასწორებლად. 2. კარის საკეტი, სარაზავი (ლეჩხ). 3. ორკაპა ხის ჯოხი, ლობიოს ამოსაზელად.

ლიტ.: ალ. ღლ. ქკთსკ, 1974.

ბარბითი — სიმებიანი საკრავი. აქვს ყელი და ფართო მუცელი, გამოსცემს დაბალ ხმას. სავარაუდოდ უნდა მომდინარეობდეს ამავე ტიპის ბერძნული საკრავ — „ბარბიტონ“-იდან.

ბარდანი//ბარდანა – დიდი ტომარა სხვადასხვა სამეურნეო პროდუქტების (მატყლი, ბამბა, ბზე, ნალობიერი) გადასატანად.

ბართოხა — ხელით სამუშაო სამინათმოქმედო იარაღი, აღნაგობითა და მუშაობის პრინციპით აერთიანებს წერაქვის, თოხისა და ბარის მუშაობის ელემენტებს (დარტყმა, გამონევა, ღრმა ბელტის მოჭრა და გადმოგდება). იგი მარტივი სახვნელის ნინასახედ ითვლება, რომელიც სამუშაო ტარის დაგრძელებისა და ბარის დასაგებ მუხლთან კუთხის შემცირების შედეგად, ხელით სამუშაო იარაღიდან სახვნელისაკენ გარდამავალი ტიპის იარაღს წარმოადგენს. ბართოხა მოყვანილობით რკინის ბარს წააგავს, მაგრამ მოხრილი ტარი აქვს. ბართოხას გავრცელების არეალი მთის ზოლის ის ნაწილია, სადაც მაგარი სტრუქტურის ნიადაგები იყო.

ა. ბ.

ბარი — 1. საქონლის გამხმარი შიგნეული. ძროხის, ცხვრის, თხის ან ნადირის ფაშვსა და ფილტვს გარეცხილ-გასუფთავებულს 2-3 დღით დაამარილებდნენ, ნაწლავს შემოახვევდნენ და გასაშრობად კერის თავზე, მზეზე ან ჩრდილში სანიაოზე დაჰკიდებდნენ. ხმარობდნენ ხინკლის გულად.

2. ხელით სამუშაო სამინათმოქმედო იარაღი. შედგება რკინის ნაწილის, ანუ ბარის, ტარისა და სატერფულისაგან. ზოგჯერ უამისოდაც აქვს სამკუთხა სამუშაო პირი და ვერტიკალურ (შვეულად) მიმართული ტარსაგები.

ბარი გამოიყენებოდა ძირითადად ვაკე ადგილების დასამუშავებლად. უმთავრესად მებაღეობა-მევენახეობაში, აგრეთვე სხვა სამუშაოებზე (მშენებლობა, არხების გაყვანა და სხვ.). ტერმინი „ბარი“,

მკვლევართა აზრით, მომდინარეობს შუმერული სიტყვათაგან mar // maru (ბარი და თოხი), აქადურთან marru. აღნიშნული ტერმინები შეესატყვისება ქართველური ენების ბარი // ბარგი // ბერგი სახელებს. ვარაუდობენ, რომ „ბარი"-ს პარალელური ტერმინია „სათხარი" (შდრ. სულხან-საბა ორბელიანის განმარტება: ბარი—სათხრელი იარაღი).

ბარის ტიპის იარაღები საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან მომდინარეობს. რკინის ბარებს წინ უსწრებდა ხისა და რქის ბარები (და თოხები). ეს უკანასკნელი დასტურდება ნეოლითის ხანიდან, რასაც არქეოლოგები უკავშირებენ ფეტვის კულტურის გაჩენასა და დამუშავებას.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამინათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960.

ა.გ. ნ.ჯ

ბარი-ხისა//ძელბარი(ძვ.)**//ბარჯუკი** (რაჭა)**//ბარული** (ძვ. იმერ.) — ძირითადად გამოიყენებოდა თიხით დაგლესილი ჭურების მოსახდელად. ერთ ხეში გამოთლილი სნორპირიანი ეს იარაღი გამოიყენება ასევე გაყინული მიწის საბარავადაც. დაგლესილ ჭურს, მოხდის წინ, გადაწმენდენ თოხით და გამოაჩენენ თიხას, რომელიც წინასწარ კარგადაა დაზელილი და დაგლესილი ჭურის ბადიმებზე. ხის ბარს ჩაასველებენ სუფთა წყალში და ჭურის თავის გარშემო შემოჭრიან თიხას. შემდეგ გადადებენ გვერდზე და მოხდიან ჭურს. ლითონის ბარის ხის ბარით შეცვლას ის გამართლება აქვს, რომ მოხდის დროს არასწორად წასულ რკინას შეუძლია დააზიანოს ჭურის ფარფლი (თავი), რაც გამორიცხულია ხის ბარით ჭურის მოხდის შემთხვევაში.

ე. ნ.

ბარტყული – კუნკულა, ბერ-მონაზონთა თავსაბურავი, რომელსაც ატარებდნენ დიდი სქემის შემოსვის შემდეგ.

ლიტ.: სმეელ, 2007.

ბარქაში — 1. ღრმა თეფში, დიალექტიკურ მასალებში განმარტებულია როგორც პატარა გობი, ხონი, თაბახი, დიდი თიხის ჯამი, იმერეთის ზოგ რეგიონში საცეხველის სინონიმადაცაა გამოყენებული. ზოგადად ბარქაში წარმოადგენს მრგვალ ან ოდნავ ოვალური ფორმის ხისა და კერამიკის საოჯახო ჭურჭელს, თეფშზე დიდსა და გობზე პატარას. ხმარობენ სუფრაზე მშრალი საჭმლის ან ხილის მისატანად. მას ძველად საეკლესიო დანიშნულებაც ჰქონია. მეფეთა და დიდებულთა სუფრაზე მისატანი ბარქაშები ძვირფასი ლითონებისგანაც იყო დამზადებული. ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ბარქაში XVI ს. დასტურდება. 2. პატარა ხის გობი.

ლიტ.: ზ. ჭუმბურიძე, ბარქაში, კრებულში ოჩხარი, 2002.



ბარძიმი — მაღალფეხიანი სასმისი, ქრისტიანული ეკლესიის „სიწმიდის ჭურჭელთაგანი", იხმარება ზიარების რიტუალის შესრულებისას.

ბარჯგი//ბოძკინტი – აქ: რაიმეს შესაყუდებელი კაპებიანი ხე. მაგ., ხილით დამძიმებული ტოტებისთვის.

ბარჯუკი (რაჭ.) — ქვევრის მოსახდელი ხის ბარი, იგივე ძელბარი.

ლიტ.: ალ. ღლონტი. ქკთსკ, 1974.

ბოხრა





სასიმინდე გელელი და გელელი

ბასილა — საახალწლო რიტუალური პური. აცხობდნენ ახალი წლის წინა ღამეს, წარმოადგენდა ადამიანის გამოსახულებას, რომელსაც ნაყოფიერების მინიჭების მიზნით ფალოსის ნიშანი ჰქონდა გაკეთებული. ბასილას კერს ინახავდნენ წყალკურთხევამდე. ამ დღესასწაულზე ბასილას აიღებდნენ, თოხის ტარზე გადაატარებდნენ და სხვას გაუნაწილებდნენ სიტყვებით — „უხვი მოსავალი მოგვცესო". მეცნიერებაში გამოთქმული აზრით, ბასილა, ბუნების ძალთა აღორძინებისადმი მიძღვნილი სარიტუალო პურია, იგი საახალწლო ხონჩის// აბრამიანის (იხ.) განუყრელ ატრიბუტს წარმოადგენდა.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა დ სუფრის ტრადიციები საქართველოში. 2007.

ე.ნ.

ბასმა — 1. თმის საღებავი შავი ფერისა, რომელიც საქართველოში ირანიდან შემოდიოდა. 2. დაჩითვა, შეღებვის წესი, როცა ქალის ლეჩაქზე ბასმით გამოჰყავდათ ყვავილისა და ორნამენტის სახეები.

ბასტურმა — ჭურჭელში ჩადებული სამწვადე ხორცი, რომელსაც მოყრილი აქვს შავი პილპილი, მარილი, ხახვი და ძმარი. შემწვარი ბასტურმის მწვადი არის რბილი და სურნელოვანი.

ბატიბუტი — ერთგვარი სიმინდის ჯიშია. ტაფაზე მოხალავენ. გაცხელებისთანავე სკდება და თეთრად იპენტება. საჭმელია გასართობად.

ბაქანი — აქ: მესხეთის ტერიტორიაზე ტერასული ნაკვეთების აღმნიშვნელი ზოგადი სახელწოდება.

ბაქმაზი — დადუღებული და შესქელებული ღვინო, რომელსაც ნამლად ხმარობენ.

ბალი (სვ.) — ბეღლის ფუნქციის მქონე ნაგებობა, რომელსაც უსახელურო კიბე ჰქონდა მიდგმული. იხმარებოდა ხორბლის, ქერისა და ფქვილის შესანახად. დაახლოებით ეტეოდა 100-120 კვიდოლი მარცვალი. (კვიდოლი — 3 ფუთი). „ბალში" ჭირნახულს ყრიდნენ — „ლაშდარიდან" — საგანგებო სარკმლიდან, ზოგიერთ თემში „ბალ გუიზის//ტაბლაშ" (ბ.ქვ.სვ.) წმინდა პურის მარცვლის ან ფქვილის შესანახს ეწოდებოდა, რომელიც საკულტო დანიშნულების კვერებისთვის იყო გამიზნული. მისგან გამომცხვარი ლემზირების დანახვა, სუფრაზე მიტანამდე, უფროსი ქალის გარდა ყველას ეკრძალებოდა. კიდობანს უწმინდური ქალი ახლოს ვერ გაუვლიდა. ტაბლაშის ფქვილისგანდ სადღესასწაულო ლემზირებს აცხობდნენ. ლოცვაც კიდობანთან სრულდებოდა.

ლიტ.: ე. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1930.

ნ. გ.

ბაღდადი — 1. ოთხკუთხა აბრეშუმის ქსოვილის ნაჭერი, რომელიც სტიქაროსანს უჭირავს მაზიარებლის ნიკაპთან, რათა ქრისტეს წმიდა სისხლი და წმიდა ხორცი შემთხვევით ძირს არ დავარდეს, ხოლო ზიარების შემდეგ მაზიარებელს ბაგეს მოსწმენდს.

2. ქალის საგარეო თავსაბურავი. მასალად გამოიყენებოდა ღია ფერის საუკეთესო ხარისხის აბრეშუმის როგორც სადა, ისე ყვავილებით მოჩითული ქსოვილებიც. ბაღდადის ძირითადი ფორმა ოთხკუთხედი იყო, თუმცა „ცალფა" სამკუთხა ფორმის ბაღდადებიც ყოფილა ხმარებაში. ბაღდადი თავზე ისე უნდა დაეფინათ, რომ ჩიხტაზე დამაგრებული თავსაკრავი არ დაფარულიყო, მერე ყურებით ნიკაპქვეშ გაინასკვავდნენ და ჩიხტაში ჩადებულ კოპზე ქინძისთავებით დაამაგრებდნენ. მოხუცი და ქერივი ქალები შავი და სადა ფერის ბაღდადებს ხმარობდნენ, ახალგაზრდა და შუახნის ქალები კი ჭრელსა და ღია ფერისას, რომლებიც ლეჩაქს ზემოდან ებურათ. 3. მამაკაცის აბრეშუმის დიდი ხელსახოცი. 4. თხლად შეფიცრული კედელი, რომელიც გაჯით ილესება. 5.საუკეთესოდ გათლილი ქვა.

ლიტ.: მართლმადიდებლის მცირე ლექსიკონი. ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა (ქალის ჩაცმულობა), ანალები, ტ. I, 1947. ნ. გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან, ქალის ქართული ჩაცმულობა XIXს. და XXს. 1967.

ც. ბ. ხ. ც.

ბაყალი — ხილითა და მწვანილეულობით მოვაჭრე.

ბაშლული —(იხ. ყაბალახი).

ბაშტე (თუშ.) — საცხოვრებელი სახლის პირველი სართული, სადაც საქონლის გომური იყო გამართული.

ბაჩაჩა(იმერ.)//**ბოკონი//კვენტ**(რაჭ)//**კველა**(სამეგრ.)//**ჰასკამი//სასკამი** (სვ.)// **კერის სკამი** (აღმ. საქ. მთ.) — ტრაპეზის დროს ხის სუფრასთან დასაჯდომი პატარა სკამი. იყო როგორც უზურგო, ისე სწორზურგა, რკალური მოყვანილობის ზურგსაბჯენით. ემყარებოდა სამ ან ოთხ დაბალ ფეხს. ყველანაირი ტიპის საცხოვრებელი სახლის საჯდომი სკამი.

ლ. ბ.

ბაჩაყურაი — მიცვალებულისადმი მიძღვნილი მრავალტოტა, უგულო ნამცხვარი თუშეთში.

ბაცანკალი//სასთუმალი//სართუმალი// ლათხურმა(სვ.)//**ორთუმელი** (სამეგრ.) — თავსადები ფიცარი, საწოლად განკუთვნილი სკამ-ლოგინების, ლოგინებისა თუ ტახტის აუცილებელი ატრიბუტი. თავსადები ფიცარი ორ სადგარზე დახრილად მიმაგრებულ დირეებში იყო ჩასმული, რომ თავსადებად მოსახერხებელი ყოფილიყო. ეთნოგრაფიული მასალა ბაცანკალს მხოლოდ შიშველ თავსადებად კი არ წარმოაჩენს, არამედ ცხადყოფს, რომ მასზე იდებოდა სასთუმლად გადახვეული ფარდაგი, ნაბადი, ბალიში. ბაცანკალად იგი ამ შემადგენელ ნაწილებთან ერთად აღიქმებოდა. ამის საუკეთესო მაგალითს დღეს სვანური „ლათხურმაშ"-ი წარმოადგენს. ამ ტერმინით დღესაც ფიცრის თავსადებთან ერთად მასზე დადებული ნაბადი, ფარდაგი და სხვა იხსენიება.



ლ. ბ.

ბაცუკაი — ხატობა-ნლისთავისათვის ნაფუარი ერთგვარი პური. აცხობენ სულთკრეფას, ყველიერის ბოლო კვირას სულებთან დაკავშირებულ დღეობაზე, ბაცუკაის აცხობენ ადამიანის მსგავსად. მხარზე გადაკიდებული აქვს ძაფზე ასხმული ბატიბუტი. თავზე ჩარჭობილი აქვს ჯოხი, რომელზეც ჩამოცმულია კვერცხი ან ვაშლი. ნელსა და მკერდზე კიდია კამფეტები ან სხვა რაიმე ხილი. თვალების ადგილას სიმინდის მარცვლები აქვს ჩასმული. სულთკრეფის დამთავრებისას ყველა ოჯახიდან მოაგროვებენ „ბაცუკადებს", ჩააყენებენ სანიშნედ ერთმანეთის გვერდით და პატარა ბიჭები მშვილდ-ისარს ესროდნენ, ვინ რომელსაც მოარტყამს - მისი იქნება.

ე.ნ.

ბაწარი — 1. მატყლისაგან ან ბამბისაგან დამზადებული საქსოვი ძაფი. ბაწრის სისქეს ხელოსანი განსაზღვრავდა. სქელ ბაწარს რამოდენიმე წვერი ნართისაგან ართავდნენ საძახ ტარზე. წვრილ თოკსაც ბაწარს ეძახდნენ. 2. შინ დართული მატყლის ძაფი, მკედი (და არა თოკი), ძაფი სანინდედ (ფშ.). 3.თასმა ჯღანისა (ხევს.).

ლიტ.: ა. ღლონტი, ქკთსკ. 1974.

ბ. ჯ.

ბაჭაჭყი — ტყავის დასამუშავებელი სპეციალური ხელსაწყო. მეუნაგირეები იყენებდნენ ტყავის დასაჭიმად და გასასწორებლად.

ბაჭკო (ფშ. ხევს.) — საწვიმარ-მოსასხამი. თხის ბალნისაგან მოქსოვილი ტომარა, რომელსაც მწყემსები კაპიუშონის მსგავსად ნამოიხურავდნენ თავზე.

ბაჭული — ხაჭოიანი პური რაჭაში. ასეთ პურს შერთულსაც უწოდებენ და ლობიოსაგანაც ამზადებდნენ.

ბახრიპენი (ხევს.) – რქის ხელსაწყო, ცხენის აღკაზმულობის თასმების გამოსაკვანძი.

ბებუთი — ირიბი დანა, ორპირად ლესული. მზადდებოდა გაშუალებითი დაფოლაფების წესით, რაც გულისხმობს რკინის ორ ნაჭერს შუა ფოლადის დაყოლებას, დატენვას. ბებუთი ხელჩართულ ბრძოლაში გამოიყენებოდა. ქართული ბებუთი გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს აღმოსავლურ ყამასთან.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, ქართ. ხალხ. მეტალურგია, 1964.

ა. ბ.

ბეგთარი – „მორკინული საცმელია, საომარი"(საბა). ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული ბეგთარი შედგება ოთხი ფოლადის ნაჭრისაგან—საგულე(წაგრძელებული მართკუთხა ფორმის), რომელსაც მარჯვნივ და მარცხნივ აქვს საფერდეები და საზურგე. ფოლადის ფირფიტები ერთმანეთთან დამაგრებულია წყვილ-წყვილი ტყავის თასმებით, საგულეზე ოთხივე კუთხეში ჩამაგრებულია თასმები, რომელნიც საფერდეებზე იკვრება ენიანი ბალთების საშუალებით, ხოლო საფერდეზე დამაგრებული თასმები საზურგეზე იკვრება ასევე ენიანი ბალთებით. ბეგთარის ჩაცმისას ტყავის ღვედებს (ქაფი) ბეჭებზეც გადაიკრავდნენ საგულედან საზურგეზე. ჩვენს დრომდე მოღწეული ასეთი ბეგთარები ძირითადად აღმოსავლური წარმომავლობისაა, რომლებიც აქტიურად გამოიყენებოდა ქართველ წარჩინებულთა საომარ აღკაზმულობაში. ბეგთარი ხშირად ჯაჭვის პერანგების (იხ.) ზემოდან კეთდებოდა, რაც პოეზიაშიც დასტურდება - „ჯაჭვი-ბეგთარი დევ-ქაჯთა მას დღესა დაიხევისა"(შაჰნ. I.1513-3). ქართული არქეოლოგიური მასალის მიხედვით ბექთარი ლითონის პატარა ფირფიტებით დაფარული, მორკინული, ტყავის ან მჭიდრო ქსოვილის ჯავშანია, ასეთი ტიპის ბეგთარი აქტიურად გამოიყენებოდა განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების ქართულ შეიარაღებაშიც, ეთნოგრაფიულ ყოფაში აღარ გვხვდება.

კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საჭურველი - ჯაჭვი, სსმმ. ტ.XIXB.

მ. ქ.

ბედისკვერი — მომცრო კვერი, რომელსაც ახალ წელს აცხობდნენ იმდენს, რამდენი წევრიც იყო ოჯახში. კაცებს დაუკრავდნენ შოთებს, დედაკაცებს მრგვალ პურებს, ბავშვებს კი — კვერებს. პურში გარედან ჩაარჭობდნენ ერთ კვნიტ შაქარს, ჩამიჩსა და ნიგვზის კბილს. ბედისკვერი ახალი ნლის დღეს, ბედისკვერობა დღეს ცხვებოდა. ერთ მოზელაზე გამოაცხობდნენ, ოჯახის წევრებისა და საქონლის სახელზე და თითოეულს ჯოხით დანიშნავდნენ. ვისი ბედისკვერიც ცხობის დროს „გასუქდებოდა", „სამზეოში" კარგად იქნებოდა, ვისიც „გახმებოდა", ავადმყოფობას ნიშნავდა. ბედისკვერები თანასწორი სიდიდისა იყო, გარდა ერთისა, როემლსაც „ხარის გოგას" უწოდებენ. იგი 5-ჯერ დიდია დანარჩენებზე და მასზე გუთნის ნიშანია გამოყვანილი. „ხარის კვერა" დიდი იმიტომ იყო, რომ „წინათ ბედ-ილბალი ხარებზე იყო დამოკიდებული". ახალ წელს, დილას დიასახლისი მთელ ხიზანს ჩამოურიგებდა თავთავის ბედისკვერს. საახალწლო რიტუალის ჩატარების შემდეგ შეეძლოთ ბედისკვერის გატეხა და ლხინის დაწყება. ძროხების კვერს გომურში გაიტანდნენ, ხორბალს გადააყრიდნენ მუჭით და პატარ-პატარა ნატეხებს შეაჭმევდნენ. ცხვრისას თვითონ შეჭამდნენ და დაილოცებოდნენ.

ლიტ.: ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, ს. მაკალათია, ფშავი, 1934.

ე.ნ.

ბეკეში — ჯუბის მსგავსი თბილი ტანსაცმელი.

ბელ-ბალი (ჯავახ.) — ქალის ნელსახვევი. მასალად იყენებდნენ 3 სმ სიგანისა და 12 მ სიგრძის ჭრელ შალს. ძირითადად ხმარობდნენ ხანშიშესული ქალები და დედაბრები. ბელ-ბალი მესხური ჩასაცმელის ძველი ელემენტია.

ლიტ.: ლ. ბარათაშვილი, მასალები XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან, მსმკი, 1966.

ც. ბ

ბელეში — საყავრე ხის ნაჭერი. შერჩეულ საყავრე მორს შუაზე გააპობდნენ, შემდეგ დაანაოთხლებდნენ, ნაოთხალს კიდევ ოთხად დაჭრიან და ბელეშს მიიღებენ. ბელეშის სიგრძე 1,5 არშინი იყო, მისგან ყავარს ხდიდნენ, ფურცლავდნენ.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური ნესები, 1962.

გ. ბ.

ბელი — აქ: ყავრის სახდელი იარაღი აჭარაში.

ბერა (ფშ.) — 1. მოზღუდულში დატოვებული ვიწრო გასავალი ცხვრის დასათვლელად და მოსაწველად. 2. მრავალთაგან ზეამართული და გადაჯვარედინებული იარაღი (ხმალი, შუბი), რომლის ქვეშაც გაატარებდნენ ხოლმე დამარცხებულ, ტყვედ ჩაგდებულ მტერს. ბერაში გატარება — გადატანითი მნიშ. ვისიმე დამარცხება ან დაშინება და შერცხვენაა; 3. ბავშვთა ზოგიერთ თამაშობაში — მონიშნული, ამორჩეული ადგილი (ქვა, ხე, შენობის კედელი), რომელსაც ბურთს მოარტყამდნენ, სადაც თამაშობის დროს თვალს ხუჭავენ და ა. შ. 4. ბარულ მესაქონლეობასთან დაკავშირებული ეკვივალენტური ურთიერთდახმარება — ახლო მეზობელთა გაერთიანება ერთჯერადი გადამუშავებისათვის აუცილებელი რძის მოგროვების მიზნით. შიდა კახეთში წველის სეზონის დადგომისთანავე სოფელში შეიქმნებოდა რამდენიმე ბერა. თითოეულში ერთიანდებოდა 5-10 ოჯახის საქონელი. ეს ოჯახები საერთო გომურს, ბაკებსა და კარავს აშენებდნენ. ეს სამეურნეო კომპლექსი იმართებოდა სოფლის ახლოს სასოფლო საძოვრებსა და საანეულოდ განკუთვნილ მიწებზე. ბერას მეურნეობასა და წველა-დღვების საქმეს მამაკაცები უძღვებოდნენ. საქონლის მოვლა-პატრონობა მონაწილეების მიერ რიგრიგობით ხორციელდებოდა. ასევე რიგრიგობით იღებდნენ ერთ ჯერზე მთელი დღის ნანველს ბერაში შემავალი ოჯახები. რიგით მწყემსობა და წველა თანაბარუფლებიანობის პრინციპს ემყარებოდა. ბერას წარმოშობა საქართველოს ბარში დიდი ოჯახის რღვევასთან არის დაკავშირებული, როდესაც ცალკეულ კომლთა განკარგულებაში არსებული პირუტყვი არ აღმოჩნდა საკმარისი რძის მეურნეობის დამოუკიდებლად წარმართვისათვის.

ლიტ.: I.Шамиладзе В.М., Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979.

თ. ცაგარეიშვილი, მესაქონლეობის ისტორიისათვის საქართველოში, 1987.

თ. გ.

ბერილი//ბივრიტი — ბაცი, ცისფერი ქვა, რომელიც მომწვანო ფერსაც გადაიკრავს. წმინდა ნინოსგან დამსხვრეული კერპი შემკული იყო ბივრიტითაც. მცხეთის არქეოლოგიურ ძეგლებში ნაპოვნია რამდენიმე ნივთი, რომელნიც შემკული იყო ამ მინერალით.

ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულტურა საქ-ში, 1965.

ე. ნ.

ბერკლი (რაჭა) — ტილოს პატარა ჩვარი, ბერკლის ხმარობდნენ ფინთიხის (ტყვიის) შემოსახვევად, რომ იგი მაგრად ყოფილიყო ჩამჯდარი თოფის ლულაში.

ლიტ.: ალ. რობაქიძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქ-ოს სახალხო მეურნეობაში, ტ.I, 1941.

მ.ქ.

ბერღარი//ბელღარა — წისქვილის დიდი ღარი, საიდანაც წყალი ეცემა ბორბალზე. ბელღარით წყალი გადაყავდათ ხევის ერთი ნაპირიდან მეორეზე.

ბეღელი — სამეურნეო პროდუქტების შესანახი შენობა. ბეღელი წარმოადგენს წმინდად გათლილი ფიცრისგან აგებულ ერთსართულიან ოთხკუთხა ოთახს, რომელიც შედგმულია ქვის დაბალ ბოკონებზე. ბეღელი მთლიანი ნაგებობაა, იმდენად მჭიდროდ აშენებული, რომ მასში მღრღნელებმა ვერ შეაღწიონ. ბეღელს აქვს პატარა კარი და იკეტება ე.წ. დათვა საკეტით. ბეღელი შიგნით დაყოფილიც არის და მთლიანიც. დაყოფილი ბეღლის ცალკეულ თვალში (ხარო, ხვიმირა, საგვერდული) ინახებოდა სხვადასხვა პროდუქტი და მარცვლეული. ბეღელი მეტ-ნაკლებად გავრცელებული იყო საქართველოს ყველა კუთხეში და ძირითადად დამახასიათებელი იყო დიდი მასშტაბის მეურნეობისთვის. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ბეღელი ითავსებდა პატარა ოთახსაც, რომელიც თაფლობის თვეში ახლად დაქორწინებულთა საცხოვრისად გამოიყენებოდა.

ლიტ.: ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, 1976. ე. ნ.

ბეღელ-ოთახი//ბეღლის ოთახი//ხულა — სამეურნეო პროდუქტების შესანახი სამეურნეო ნაგებობა — სათავსი. დიდი ბეღელი ახალდაქორწინებულთა საცხოვრებლის დანიშნულებითაც გამოიყენებოდა. ბეღლის, როგორც მარცვლეულისა და ფქვილის სათავსის გამოყენების ფაქტი დამოწმებულია ქართველი ხალხის ყოფაში. გენეტურად ბეღელი უკავშირდება იმ რიგის ნაგებობებს, როგორიცაა: დიდი კიდობანი, ამბარი, ხარო და სხვა. მსგავსი სათავსები გვხვდება საქართველოს ფარგლებს გარეთაც. მასალის დამუშავების მიხედვით, ბეღელი გვხვდება: ძელური, ფიცრული და სიპისაგან აგებული (აღმ. საქ. მთა). ბეღელი არის დაუყოფელი და დაყოფილი. დანაყოფებია: თვალი, ხარო, ხვიმრა, საგვერდული, აკო, ორმო. დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებისგან განსხვავებით, ქვემო იმერეთის ზეგანზე ოდითგანვე ყოფილა ოროთახიანი ბეღელი, რომლის ოთახებს შორის მკვეთრი ფუნქციური დიფერენციაცია არსებობს. ერთი ოთახი კვადრატულია. ტიხრით თვლებადაა დაყოფილი, რომელშიც მარცვლეულს ინახავენ, ხოლო მეორე სასტუმრო ოთახს წარმოადგენს. მას ბეღელ-ოთახი, ბეღლის ოთახი ან ხულა ჰქვია. ბეღელ-ოთახი მოგრძო სწროკუთხა ფორმისაა. ფასადის მხარეს გაჭრილი კარით. აქ დგას პატარა სუფრა, სკამები. კედლის გასწვრივ გაკეთებულია გრძელი ტახტი. ტერმინი „ბეღელი" ქართულ ენაში მეტად ძველია. ლინგვისტური მონაცემებით იგი ქართულ-ზანური ენობრივი ერთიანობის ხანას მიეკუთვნება.



ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემეი, I, 1964.

ლ. ბ.

ბეყე — წყლის ჭურჭელი სამჭედლოში გახურებული რკინის საწრთობად. მისი სინონიმებია როდი და გეჯა.

ბეჭედი — 1. ქალისა და მამაკაცის თითზე წამოსაცმელი სამკაული. ამზადებდნენ ძვლის, ქვის, მინისა და სხვადასხვა ლითონისგან. უკეთებდნენ სხვადასხვა სახის ძვირფას ქვებს. ესთეტიკური მოთხოვნილების გათვალისწინებით ბეჭდები მზადდებოდა სხვადასხვა ფორმა-მოყვანილობის. 2. ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ხანის საზოგადოებაში ფართოდ იყო გავრცელებული საბეჭდავი ბეჭდები. მათ შუაში ამოკვეთილი ჰქონდათ წარწერა ან გამოსახულება, რომელიც მფლობელის ხელმოწერას ცვლიდა ან ადასტურებდა. ბეჭდის თვალს, რომლის ძვირფას ქვაზე ამოკვეთილი იყო წარწერა, ეწოდებოდა კამეა. საქართველოს სინამდვილეში ლითონის ბეჭდები ბრინჯაოს ხანიდანაა ცნობილი. ანტიკურსა და ფეოდალურ ხანაში ბეჭედი მეფე-მთავართა ერთ-ერთ ინსიგნიასაც წარმოადგენდა, რომელზედაც ამოკვეთილ-ამოკაწრული იყო ჰერალდიკური ნიშნები და ინიციალები. ასეთ ბეჭდებს დოკუმენტების დასამტკიცებლადაც იყენებდნენ. 3. საკანცელარიო მიზნებისთვის, რომელიც ადასტურებს დოკუმენტში ჩამოყალიბებულ აზრს.



ლიტ.: თ. სოსელია, ი. სურგულაძე, ბეჭედი და საბეჭდავები, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

ბეჭი — აქ: ვერტიკალური საქსოვი დაზგის ელემენტი, ხის ან რკინის ზომით მტკაველი სიგრძე-სიგანისა, ჩარხით გამოყვანილი თავით. გამოყენებული იყო ქსელში — ქირცაში ცხემლით გატარებული საზედაო ძაფის მიჯრა-მიმტკიცებისათვის, ანუ ჩასაბეჭად.

ლიტ.: მსშხი ტII, ნან. .II , 1982.

ლ. ბ.

ბიდალი (აჭარ.) — ნაძვის ხისაგან გაკეთებული დიდი კასრი, ყველის შესანახად.

ბიზი — სადგისი

ბილაგი — ტყავის მოსაქნელი ხელსაწყო. შედგებოდა ფიცრის სამი ნაჭრისაგან. ბილაგს თბილისის მედაბღეები იყენებდნენ.

ბისონი — 1. ბიზანტიის მეფეთა შესამოსელი, ძვირფასი ქვებით შემკული, გრძელი და ვიწრო სამოსი. მოძრაობის გასაადვილებლად წინა კალთა მუხლამდე ჰქონდა შეჭრილი, ხოლო ყელთან სამკუთხედად ღრმად იყო ამოჭრილი, ყელთან დაპყვებოდა მარგალიტის მძივები, ალაგ-ალაგ მოოჭვილი იყო ძვირფასი ქვებით, ჰქონდა ნაქარგი ზოლები, ბისონზე ბიზანტიის მეფეები ირტყამდნენ მარგალიტებით შემკულ სარტყელს.

ბიზანტიის კულტურულ სფეროსთან ურთიერთობამ ქართველ მეფეთა ამ რიგის ჩაცმულობაშიაც იჩინა თავი. ქართველ მეფეთა ბისონი მცირედით განსხვავდებოდა ბერძნულისაგან, მაგ., ქართველების ბისონი უფრო ფართო და უფრო მოკლე იყო, ყელზე ზოგჯერ მრგვლად და ზოგჯერ სამკუთხედად იყო ჩაჭრილი. ბისონში გამოწყობილი ქართველი მეფეებიდან აღსანიშნავია: ბაგრატ IV-ის (ატენი), ბაგრატ III-ის (ბედია). გიორგი III-ის (ვარძია, ყინწვისი), თამარ მეფის (ბეთანია და ბერეთუბანი), დავით ნარინის (გელათი), დემეტრე II (უდაბნო) ფრესკები. ბისონი იკერებოდა როგორც მძიმე, ასევე მსუბუქი ქსოვილისაგან. სავარაუდოდ, ბისონის შესაკერად გამოიყენებოდა სტავრა, ატლასი, ზარქაში, სხვადასხვა სახის ოქროქსოვილები და ფერადი ძოწეულები. 2. ძვირფასი, რბილი და თხელი მენამული ან მოყვითალო ფერის ქსოვილი 3. ეპისკოპოსის შესამოსელი. სიმბოლურად აღნიშნავს იმ სამოსელს, ანუ ძოწეულს, ქლამიდს, რომლითაც იესო ქრისტე შემოსეს განსჯისას, ჯვარცმამდე.

ლიტ: ს. ს. ორბელიანი. ლექსიკონი ქართული, 1991.
მართლმადიდებლური მცირე ლექსიკონი, 2002
ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, 1964.
ე.ნ.

ბიქილა — ხის საბეჭდავი რაჭაში, რომლის ზედაპირი დაჭრილებულია სხვადასხვა ორნამენტით და რომლითაც სარიტუალო პურებს უკეთებენ ნაჭდევებს. ბიქილა — საბეჭდავების კარგად დაცული ნიმუშები აღმოჩენილია ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ ძეგლებზე, რაც იმის მაუწყებელია, რომ ამ სარიტუალო საგანს მოხმარების ხანგრძლივი ისტორია აქვს.



ე.ნ.

ბიჩაღჩი — დანების მკეთებელი, მედანე.

ლიტ.: ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, 1997.

ბოგოლა – ხახვის თავების აცმა, რომელსაც დიდმარხვაში ჭერში ბაწრით ჰკიდებდნენ მთელი მარხვის განმავლობაში. ზოგჯერ ხახვების მაგიერ, დაჩერეტილი, მწარე კვახი იყო გამოყენებული. ნაჩვრეტებში (ან ხახვის თავებში) ფრინველის ფრთები იყო გაყრილი მარხვის კვირების შესაბამისად და ყოველი კვირის გასვლის შემდეგ თითოეულ ფრთას აძრობდნენ, რაც ხსნილის მოახლოებას აუწყებდათ.

ე.ნ.

ბოგლანდი (სამც. ჯავახ.) – ვერცხლის ყელსაბამი, რომელშიც ნვრილი ვერცხლისავე ფულები იყო ჩართული.

ᲛᲔᲡᲢᲕᲘᲠᲔ



გლეხური საქორნინო გვირგვინი

ბობღანი — დასარტყმელი საკრავი. საბას განმარტებით, ბობღანი „არს დაფი და დაფთაფი, ტყავისგან შემზადებული საკრავი". ბობღანი ყოფილა სპილენძისაც, შესაძლებელია იგი თანამედროვე საორკესტრო ინსტრუმენტის დასარტყმელი დოლის ნაირსახეობას წარმოადგენდეს.

ე. ნ.

ბოზა — ერთგვარი ალკოჰოლური სასმელი, რომელსაც უფრო მთიულები ამზადებენ.

ბოზბაში — ცხვრის ხორცისგან მომზადებული წვნიანი და დუმაგარეული კერძი.

ბოკონი — 1. (იმერ. გურ.) სახლის საძირკვლის ბურჯი, ბოძი, რომელზედაც ეყრდნობა სახურავი. 2. პატარა სკამი ბავშვებისათვის (ლეჩხ.). 3. ხისაგან დამზადებულიუ რძის სანველი ჭურჭელი, ვედროსებური. 4. ქვის ოთხკუთხად გამოჭრილი ბლოკები, რომელზედაც ეწყობა სახლის საყრდენი ბოძები, წვიმისაგან ძირი რომ არ მოულპეს.

ე. ნ.

ბოლოთრია — აღმოსავლეთ საქართველოში ბორბლიანი ტრანსპორტის ერთ-ერთი სახეობა, გავრცელებული იყო მთისა და ბარის გარდამავალ ზოლში და აქედან გამომდინარე ბრუნვითი მოძრაობა შეხამებულია თრევა-სრიალთან. ბოლოთრიას გააჩნია ტანი, ღერძ-ბორბლები, ხელნები და უღელი. ბოლოთრია ძირითადად გამოიყენებოდა ძნისა და თივის საზიდად.

ლიტ.: მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, 1956.

ე. ნ.

ბომბარდერი – ცეცხლსასროლი იარაღი. ცეცხლსასროლი იარაღის პირვანდელი ნიმუშები (XIV) კონსტრუქციულად არასრულყოფილია, იგი წარმოადგენს ცალკეული ლითონის ფირფიტებისაგან დამოქლონებულ ან მთლიანი ფურცლოვანი მასალისაგან გამოჭედილ, რკინის ან ბრინჯაოს მილებს. მილის ერთი ბოლო დახურული იყო ან ლითონის ღეროთი ბოლოვდებოდა. ასეთი ლულები მაგრდებოდა ხეზე, რომელიც უხეშად დამუშავებულ კონდახს წარმოადგენდა. გასროლის პროცესიც პრიმიტიული იყო: ლულაში იყრებოდა დენთი, შემდეგ იდებოდა ტყვია (ლითონის ან ქვის) და ლულის ზედაპირზე მოთავსებული მცირე დიამეტრის ხვრელთან მიტანილი ცეცხლით (გაღვივებული ფითილი) ხორციელდებოდა გასროლა. ცეცხლის მიტანა ხდებოდა არა მსროლელის, არამედ მისი დამხმარის საშუალებით. ადრეული ხელის ცეცხლსასროლი იარაღი პრინციპულად არ განსხვავდებოდა საარტელერიო იარაღისაგან და ფაქტობრივად მცირე ზომის ზარბაზანს წარმოადგენდა. ასეთი კონსტრუქციის იარაღს ევროპაში — ბომბარდერი და პეტრონელა, რუსეთში — „ручница", ხოლო საქართველოში ზოგადად „ხელმეხი" ეწოდებოდა.

XV ს-ის დასაწყისში ცეცხლსასროლი იარაღის განვითარებაში მცირეოდენი წინსვლა შეინიშნება, ლულები შედარებით დაგრძელდა, კონდახი მოიხარა, საფალიე ნახვრეტმა კი ლულის გვერდით ნაწილში გადმოინაცვლა, სადაც გაუკეთდა პატარა დაფა დენთისათვის. იარაღი აღიჭურვა სამიზნე (კორა) საშუალებებით, ასეთ იარაღს ევროპაში კულევრინები ეწოდებოდა.

ლიტ.: Жук А. Б. Энциклопедия стрелкового оружия Москва *1998 . ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, ტ. III-IV, 1964.*

მ. ქ.

ბონდი — ბაგირზე დაკიდებული საცალფეხო ხიდი.

ბონდერი — კასრების მკეთებელი ხელოსანი. საქართველოში მეკასრეობა ფართოდ გავრცელებული ხელობის დარგი იყო. კასრი გამოიყენებოდა სხვადასხვა სამეურნეო დანიშულებისათვის, განსაკუთრებით — მეღვინეობაში.

ე. ნ.

ბორა — ოქრომჭედლობაში ბორა გამოიყენებოდა ვერცხლის ნაჭრების ერთმანეთთან დასაკავშირებლად. პოტაშს და თანუქარს ერთმანეთში აურევდნენ, ზედ მარილს დაურთავდნენ და ცეცხლზე აადუღებდნენ. დუღილის შემდეგ ჯამის ძირში დალექილი მასა არის ბორა. დასაკავშირებელ ნაჭრებს გაახურებდნენ, ერთმანეთზე დაადებდნენ და ზედ ბორას დააფრქვევდნენ, შემდეგ კვლავ გაახურებდნენ და ნაჭრები ერთმანეთს მიედუღებოდა.

მ. ბ.

ბორანი — მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გასასვლელი მორებისაგან შეკრული ტივი, მგზავრობის უსაფრთხოებისთვის ზოგიერთ შემთხვევაში მოაჯირი ჰქონდა მოვლებული.

ბორანი მოძრაობს ბაგირის გასწვრივ, რომელიც მდინარის ორივე ნაპირსაა დამაგრებული. ბორნით

გადააქვთ ტვირთი, გადაპყავთ ადამიანები და ცხოველები. თბილისში არსებობდა რამდენიმე ბორანი, რომელიც ქალაქის ერთ ნაპირს მეორესთან აკავშირებდა.

ე.ნ.

ბორანო (აჭ.) — ერბო-კარაქში შემწვარი მოხდილი ყველი.

ბორაყი (ხევს.) — დროშა, გასანათლავი ბაირაღი, რომელსაც აქვს ხელკეტი, საკადრები, ქსოვილის ნაჭრები, ბუშტი, შუბის წვერი და ზანზალაკი. (იხ. დროშა ხატისა).

ე. ნ.

ბორდა — უნაგირზე გადასაფარებელი ქსოვილი ან ტყავი, რომელიც შემკული იყო ფერადი ძაფებით.

ბორკილი — აქ.: ცხენის ფეხის შესაკრავი. მზადდებოდა როგორც ლითონის, ასევე ტყავისაგან. ცხენის ბორკილი წარმოადგენდა სამპირი ტყავის ნვრილ თასმებს. ფიცხი, ძნელად დასაკავებელი ცხენის დასაბორკად იხმარებოდა ორი ან სამფეხჩადგმული ტყავის ბორკილი.



ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

ბორნკალი (ხევს.) — ორკეცად მოხრილი მაშისებრი რკინა. ოქრომჭედლობაში იხმარება გამდნარი ვერცხლის ჭურჭლის გადმოსაღებად და ყალიბში ჩასასხმელად.

ბორჯომული//სურამული ცული — ნიღრებიანი ცული. ასეთ ცულს ოჯახში (საოჯახო საქმეში) არ ხმარობდნენ, ტყეში მიჰქონდათ ხის საჭრელად, მორისთვის „ნაცხვირის" გასაკეთებლად. ძირითადად ხმაროდნენ ნიწვოვანი ხეების მოსაჭრელად. ბორჯომული ცული ქართული ცულის სახესხვაობაა და მას ყოფაში პარალელები გააჩნია „მეტიურა"//„ჩენგი"(სამეგრ.)//„მესხურ" — ვიწრო და გრძელ ცულებთან.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1954.

გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, 1962.

გ. ვ.

ბორჯღალა — ქართული ავეჯის დამახასიათებელი ელემენტი. ბორჯღალაში გამოხატულია ბრუნვის იდეა, იგი სათავეს იღებს ბოლოშეხრილი ჯვრებისა და სვასტიკის ჯგუფის გამოსახულებებიდან და განასახიერებს მარადიულ ტრიალს, კავკასიის არქეოლოგიურ მასალებში ბორჯღალით შემკული ნივთები შუა ბრინჯაოს ხანით თარიღდება. ერთი ასეთი საუკეთესო ბორჯღალა გამოსახულია ბორჯომის ხეობაში აღმოჩენილ ბრინჯაოს დისკოზე, რომელიც თარიღდება ძვ.წ.ა. XIII ს.-ით. ბორჯღალების უძველესი ნიმუშები ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გვხვდება: დედაბოძზე, კერაზე, საოჯახო დგამ-ავეჯზე, ბუხარზე, სარიტუალო პურის საბეჭდავებზე და სხვა. შენიშნულია, რომ ბორჯღალა საერთო დეკორატიულ ორნამენტში გამოირჩევა დიდი მოცულობითა და მინიშნებით, რომ იგი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ბორჯღალას ფრთების რიცხვი დაკანონებული არაა. თანაბარზომიერი ფრთები გამოდიან ცენტრიდან ერთი მიმართულებით და წარმოსახავენ ტრიალს, ზოგჯერ ბორჯღალა ჩახატულია წრეში, რაც მას ასტრალურ სიმბოლიკასთან აკავშირებს, კერძოდ, წრე ძველ ხელოვნებაში გაიგებოდა მზისა და ცის მნიშვნელობით (მაგ., ქართულ სინამდვილეში ამის საუკეთესო გამოხატულებაა სიტყვა „ცარგვალი"). ბორჯღალაც



ასეთ შემთხვევაში გაიგება ცისა და განსაკუთრებით მზის მნიშვნელობით და ამდენად, იგი ნათებისა და სიმხურვალის ასტრალურ ნიშანსაც ნარმოადგენს, რომელიც გამუდმებით ტრიალებს თავისი ცენტრის გარშემო. ბორჯღალა არის უნივერსალური სიმბოლო, რომელიც კავკასიის გარდა გავრცელებულია მსოფლიოს მრავალ ხალხთა კულტურაში.

ლიტ.: ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, 1993.

თ. ნ.

ბოსელი — საცხოვრებელი სახლისაგან დამოუკიდებელი საქონლის საზამთრო ნაგებობა. კედელში სარკმელს ატანდნენ სინათლისათვის. ბოსელის იატაკი იყო გათლილი მორები ან სიპი ქვა. („ზღვე", "ბოგა" დას. საქ).

ბოსელში კედლის გასნვრივ არის ფიცრის ან ლასტის ბაგა, სადაც საქონლის საკვები იყრება. ცალკეა მეწველი და მუშა საქონლის ადგილი. ბოსელში ლასტით გამოყოფილია სახბორე, საცხვრე ადგილები. ზოგჯერ ბოსელს ადგამდნენ საბძელს. ბოსელის სახელწოდება ღვთაება ბოსელს და დღესასწაულ ბოსლობას უკავშირდება. ქართლში ბოსელს გომად ან გომურად მოიხსენიებენ.

ბ. ბ.

ბოყვი — 1. მთავარი ფიცრები ოდასახლის კედლების შუა ნაწილებსა და კუთხეებში, რომლის კიდეები ამოღარულია კედლის ფიცრების ჩასალაგებლად. ბოყვები იჭერს მასში ჩანყობილ ფიცრებს და როცა კედლები აღიმართება, მაშინ ბოყვის თავებს ჩამოეცმება სარტყლები და ოთხივ კუთხივ სახლის კედლები ერთიანად გაიჭედება. აქედანაა ტერმინი „ბოყვებიანი სახლი." 2. ხის ქერქის ჭურჭლის ზოგადი სახელი დას. საქართველოში (იხ. ხოკერი).

ე.ნ.

ბოყვიჩა (ლეჩხ.) — 1. მაჩვის ტყავის ჩანთა კაჟიანი თოფის ჩასადებად, შალითა. 2. ნემსების, სათითის, ძაფ-მაკრატლის და მისთ. შესანახი.

ლიტ.: ალ. ღლ. ქკთსკ, 1974.

ბოყუნი (მეგრ.) — ხის ჭურჭელი, მაღალი და ძირჩადგმული. აქვს ხისაევ ხუფი. იხმარებოდა ყველის შესანახად. (საშუალო ბოყუნის სიმაღლე 70 —80 სმ., პირის დიამეტრი 40 სმ.)



ბ.ბ.

ბოღლინო — ღვინოში დამბალი პური, ძირითადად ბერების საჭმელი.

ბოძალი – ორწვერა ისარი.



ბოხჩა — 1. საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთი. ოთხკუთხა ფორმის ქსოვილი. კერავდნენ ან სადა ქსოვილისაგან, ან სხვადასხვა ფერის ნაკუწებისაგან. მასალად იყენებდნენ აბრეშუმს, ფარჩას, შალს, ყალამქარს, ქირმანშალს და იშვიათად ტყავს. ბოხჩის ზედაპირს ქარგავდნენ ოქრომკედით ან მულინეს ძაფებით. ამკობდნენ აგრეთვე მძივებითა და კილიტებით. ბოხჩა ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში თანამედროვე ჩანთის, ხელჩანთისა და საფულის (თეთრეულის, ტანსაცმლის და სხვა მცირე ზომის ნივთების, ფულის სატარებლად) ფუნქციას ასრულებდა. ზომის მიხედვით დასტურდება დიდი, საშუალო და მცირე მოცულობის

ბოხჩები. ძველ ქართულ წერილობით წყაროებში ტერმინი „ბოხჩა" არ მოიხსენიება, მას მხოლოდ გვიანფეოდალური ხანის მზითვის ნიგნებში ვხვდებით. სავარაუდოა, რომ ბოხჩა როგორც აბანოსათვის სახმარი ნივთი, XIX საუკუნის თბილისურ ყოფაში დამკვიდრდა და მისი ამგვარი დანინაურება თბილისური აბანოების პოპულარობას უნდა უკავშირდებოდეს. ბოხჩას რიტუალური დანიშნულებაც ჰქონდა. მას იყენებდნენ სარტყელად უსტაბაშის მიერ შეგირდის ხელოსნად დალოცვისას. ბოხჩას მაჰმადიანი მლოცველები მუხლსაფენადაც ხმარობდნენ.

2. ტყავის ჭურჭელი. იკერებოდა ოთხკუთხა ტყავის ნაჭრებისაგან. ამკობდნენ ტყავისავე მორკალური და დაკბილული ორნამენტებით. ბოხჩა იხმარებოდა სხვადასხვა სატუალეტო ნივთის შესანახად ან გადასატანად. იგი ქალის თანამედროვე ხელჩანთის ფუნქციის მქონე საგანი იყო წარსულში.

ლიტ.: „საქართველოს სიძველენი", ტ. I, III, 1910; ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, 1986; ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

გ.კ. ნ. ჯ.

ბროლი — წყლისფერი მინერალი, ბროლს, როგორც წესი, აწახნაგებდნენ, რაც განსაკუთრებულ სილამაზეს ანიჭებს და მის სხივთა ელვარებას კარგად გადმოსცემს. ბროლის დამუშავებით გამოირჩეოდნენ ჩინელები და ინდოელები. ევროპაში ანტიკური ხანიდან გამოიყენებენ ბროლის ჭურჭელს, ხშირად გვხვდება მეფეთა და დიდებულთა გვირგვინ-ტიარების მორთულობაში. ძველ ქართულში ბროლის შესატყვისი ტერმინებია: „ჭიქა", „ქარნიბა", „დამანა", „გველსალოკა". საქართველოს არქეოლოგიაში ბროლით შემკული დიდი რაოდენობის ნივთებია აღმოჩენილი, რომელთა უმეტესობა ადგილობრივი საბადოების ბაზაზეა დამზადებული.

ლიტ.: ე. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ე. ნ.

ბუდარი — კურტანზე გადასაფარებელი ტყავი.

ბუდნები — ცხენის აკაზმულობის ნაწილი.

ბუდრუგანა — წნელის ან ფიცრის მცირე ნაგებობაა. უმთავრესად კახეთში (ქიზ.) სოფლის მოშორებით, კალოებთან აგებდნენ. იყენებდნენ საცხოვრებლად კალოობის დროს რამდენიმე კვირით მინდვრად გასული ოჯახის წევრები, ასევე ანეულის ხვნაზე — გუთნისდედა და მეხრეები, გვიან კი — საზამთროდ ჩამოსული მწყემსები.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

ბუზიკა — პატარა გარმონი (დამახინჯებული რუსული «музыка»), რომელსაც ლხინში ქალები უკრავდნენ.

ბუკი// ღორღოტო (ქართლ.) // **საყვირი** (რაჭ.) // **სანკერ** (სვან.) **ოყე** (სამეგრ.)— თავის დროზე იგი როგორც სასიგნალო საკრავი თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული. ბუკი—სანკერ შემორჩენილი იყო უკანასკნელ ხანებამდე სვანეთში. ეს არის სპილენძის საყვირი, დაახლოებით 1,5-2 მ. სიგრძისა, კონუსის ფორმის გაგანიერებული ბოლოთი. თავზე ჩასმულია (ჩადულებულია) ჩასაბერი მუნდშტუკი. ბუკის მეგრული სახეობა ოყე ხისა იყო. ბუკი სამხედრო-სასიგნალო საკრავია. მშვიდობიანობის დროს ბუკით მოუხმობდნენ ხალხს (სოფელს, თემს) შესაკრებად. ბუკი არ წარმოადგენს სამუსიკო საკრავს. იგი გამოსცემს მხოლოდ ერთ ბგერას, მაგრამ სხვადასხვა რიტმული ფიგურაციით. აქვს მხოლოდ სასიგნალო და არა ესთეტიკური ფუნქცია. ქართული წერილობითი წყაროების მონაცემების მიხედვით, „ბუკი" მოიხსენიება XI ს-დან. იყო სასიგნალო-

სახმაურებელი საკრავი, მაუწყებელი ლაშქრობის, ზეიმის, დარბაზობის, ნადირობის. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სამეგრელოში სააღდგომო ლიტანიას წინ ორი მებუკე მიუძღოდა. უკრავდნენ აგრეთვე ნათლისღების დღესასწაულზე წყალკურთხევის ლიტანიობის დროსაც.

ლიტ.: ე. ახობაძე, ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული, 1957.

მ.შ.

ბულული — გათიბული და გამხმარი ბალახის პატარა ზვინი, რომელსაც თივის გროვებისას აქა-იქ დააბულულებდნენ, რათა მერე დიდი ზვინი დადგან. მთაში (თუშ-ფშავ-ხევსურეთი, აჭარა, სვანეთი) და მთათა ფერდობებზე ასეთ ბულულებს დგამენ და ზამთარში თოვლზე დაცურებით ჩამოაქვთ ქვემოთ.

ე. ნ.

ბუნაგი (ხევს.) — აქ: სამკურნალო წამლების შესანახი ცილინდრული ფორმის სპეციალური ჭურჭელი. ხარის რქისგან გაკეთებული. აქვს ჩადგმული ხის ძირი, საცობი და პატარა ხერელი ფხვნილის გადმოსაყრელად.

ლიტ.: ნ. მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, 1981.

ე. ნ.

ბუნი – 1. „შუბის ტარი"(საბა). ბუნი წარმოადგენს ხის ტარს, რომელიც სხვადასხვა ზომის არსებობდა. დღევანდელი ქართული ტერმინოლოგიური დატვირთვით შუბი ეწოდება ყველანაირ სატყორცნ-საძგერებელ იარაღს, ხოლო ფეოდალურ საქართველოში ასეთი ტიპის იარაღები ერთიანდებოდა „ლახუარის" ქვეშ. „ლახვარნიცა განიყოფებიან:" ოროლი, გმური, სათხედი, გეონი, შუბი, ხიშტი, ზუფანი, ლიბანდაკი, ამათი განმასხვავებელი ნიშანი შუბის პირის ფორმის გარდა, მათ ბუნის ზომებშია მაგ. ოროლი, შუბი და გმური, —ბუნ-გრძელია, სათხედი — ბუნ-ზომიერი, გეონის ბუნი „მცირედ კაცისა უმაღლესი", ხიშტი — ტარ-კოტა, ზუფანი — ბუნ-წყრთეული და ა.შ. 2. დროშის ტარის დაბოლოება. ზოგ შემთხვევაში ფოლადისაგან დამზადებული, რომელზედაც გამოსახული იყო სხვადასხვა სიუჟეტი და წარწერებიც, უმთავრესად გამარჯვებისა და ძლევის აღსანიშნავი.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I. 1991.

მ. ქ.

ბუნიკი – ბუნიკი წარმოადგენს მრგვალი ან ცილინდრის ფორმის ლითონს, რომელიც ქარქაშის (ხმლის, ხანჯლის, დანის და სხვ.) ბოლოზეა წამოცმული. ბუნიკი შეიძლება იყოს რკინის, თითბრის, ვერცხლის, განსაკუთრებულ შემთხვევაში ოქროსი. ქართული და კავკასიური ხანჯლის ბუნიკები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბოლოსკენ ვიწროა და გირჩის ფორმის ბურთულით ბოლოვდება.

მ. ქ.

ბუღუნდი//ჭიაფერა — ერთგვარი საღებავი, რომელიც მზადდებოდა ხის ჭიისაგან. ასეთი ჭია ჩვეულებრივ ბუდობს მრავალწლიან მცენარეებზე, განსაკუთრებით მუხაზე. ამ მწერებს აგროვებენ, ახმობენ, შემდეგ ფქვავენ და იყენებენ საღებავად. ჭიაფერში შეღებილი ქსოვილები ძონეულის სახელით იყო ცნობილი.

ლ. მ.

ბური//ბურის კეტი// მართხაფი — გრძელტარიანი და ბრტყელპირიანი რკინის იარაღი, რომელიც გამოიყენებოდა კლდის მასივის ამოსახვრეტად მისი აფეთქების მიზნით. ბურის კეტები არიან სხვადასხვა ზომისაა. კლდის გახვრეტას იწყებენ მოკლე ბურებით და ხერელის ზრდასთან ერთად გადადიან გრძელი ბურების მოხმარებაზე. ბურს ამუშავებს ორი ხელოსანი, ერთი ატრიალებს ხელში, ხოლო მეორე უროს არტყამს ზემოდან. ბურის კეტით გახვრეტილში ჩაიყრება „ლაღმი" და ააფეთქებენ ქვის მასივს.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. ნ.

ბურღი — რკინის გრეხილპირიანი ხელსაწყო, რომლითაც ხითხურო-ხელოსნები ფიცრებს ბურღავენ.

იხმარებოდა დიდი და პატარა ბურღები. ზოგჯერ დიდ ბურღებს თავში სახელურები აქვს, რათა ძალა მიატანოს მბურღავმა.

გ.გ.

ბურჭული — ერთგვარი ნალდის სახეობა. მზადდება კარგი ხარისხის ფოლადისაგან. საუკეთესოა სავენახე სარების სათლელად.

ლიტ: ქელ., 2009.

ბულლამა — ბულში მოხარშული უწვნო კერძი, ხახვსა და ერბოს მოხრაკავენ, ზედ დააყრიან დაჭრილ ცხვრის ხორცს და მოხარშავენ უწყლოდ.

ბუჭულა (იმერ.) — ნისქვილის პატარა ქვა, რომელსაც მცირედებეტიანი წყლის პირობებში გამოიყენებენ, ძირითადად, ინდივიდუალური სარგებლობისთვის.

ე. ნ.

ბუხარი — საცხოვრებელი ნაგებობის გასათბობი საშუალება. გათბობის გარდა ბუხარი იქცა სახლის სამკაულად და ამიტომ მისი გაფორმება უფრო და უფრო დაიხვეწა. ქართულ სინამდვილეში ბუხრის მშენებლობის ხერხები და ფორმები შემოტანილია გარედან, მაგრამ საქართველოში არსებულმა ქვითხუროობის მდიდარმა ტრადიციებმა განაპირობა მისი გაფორმების ეროვნული სტილი.



ბუხრის მშენებლობა საქართველოში პროფესიული ხასიათის იყო. სპეციალობა „მებუხრე" სწორედ ამ ნიადაგზე ჩამოყალიბდა. ბუხრის მშენებლობას გააჩნია საგანგებო წესები, რაც გამოიხატება როგორც შენების თავისებურებაში, ასევე საბუხრე მასალის სწორად შერჩევაში; ეს განსაკუთრებით ეხება ბუხრის იმ ნაწილების ქვას, სადაც ცეცხლი ინთება და საამისოდ შერჩეული უნდა იყოს ისეთი ჯიში, რომელიც ცეცხლგამძლეა. საბუხრე ქვა უნდა იყოს სუფთა — უტალო, უარტაშანო. მხოლოდ რკინის იარაღით მოჭრილი და არა აფეთქების გზით მოპოვებული, რადგან ასეთი ხერხი „ლახავს", აზიანებს ქვის სტრუქტურას და მალე გამოვა მწყობრიდან. ბუხარს აქვს: ყვერბი// ტაფა — სადაც ცეცხლი ინთება, ფეხები, ზურგი, წინპირი, სასანთლე// თარო, ყელი, ქუდი//კალამი. ბუხრის ავკარგიანობისათვის უმთავრესია წინპირისა და ზურგის დაყენების ოსტატობა: წინპირის საკვამლე მხარე გულამოღებულია, ბუხრის ზურგი კი ოდნავ უკანაა გადაწეული, რაც ხელს უწყობს კვამლის დაუბრკოლებლივ მოძრაობას ქვემოდან ზევით. ბუხრის წინპირი, სასანთლე და ყელი კეთდება საუკეთესო თეთრი ქვით, რომელიც უნდა იყოს „რბილი" თვისებისა, რაც აუცილებელი პირობაა მხატვრული სიუჟეტისა და ჩუქურთმების გამოხატვისათვის. ფეხებიანი ბუხრების გარდა საქართველოში გავრცელებული იყო კომპლექსური ბუხარი — რამდენიმე ოთახის გასათბობად და დაკიდებული ბუხარი — რომლის წინპირი ჩვეულებრივ ფეხებიან ბუხართან შედარებით გამოწეულია და იქმნება დიდი მოცულობა მძლავრი ცეცხლის დასანთებად. ასეთი ბუხრები ძირითადად სამეურნეო საქმიანობისთვის გამოიყენებოდა. საქართველოში, ბუხრების მშენებლობაში, სრულყოფილად გამოვლინდა ქვითხუროობის უძველესი ტრადიციები და ის მაგიურ აპოთროპეული დანიშნულების სიუჟეტები, რომლებიც ადრეულ ქართულ საცხოვრისში გამოხატული იყო კერასა და დედაბოძზე. ქართული ბუხრის შემკულობაში დიდი ადგილი უჭირავს კოსმოგონიურ გამოსახულებებს, ცხოველურ მოტივებსა და მცენარეულ ორნამენტს — განსაკუთრებით სიცოცხლის ხესა და მარადიულობის სიმბოლოებს — ნაირგვარ ბორჯღალებს, რომლებიც არცთუ იშვიათად ამკობენ ბუხრის „მუხლებსა" და წინპირებს. რაც შეეხება ზოომორფულ მოტივს, საქართველოში არსებულ ბუხრებზე დასტურდება ლომის, არჩვის, ირმისა, ფრინველის გამოსახულებანი. ყველაფერი ეს ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების დანაშრევს წარმოადგენს.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. ნ.



ᲓᲐᲜᲐ







დამგაჩა

ბუხუა//ხვედა — კოჟრიანი ხისგან გამოთლილი, სანავე ხის ლურსმნების დასაჭედებელი ხის ურო.

ბუჯერი — კედელში ჩადგმული ერთ ან ორგანყოფილებიანი ხის სათაესი. ძირითადად იხმარებოდა ჯამ-ჭურჭლის დასაწყობად. ბუჯერი იმერეთში სახლის მარჯვენა — წაღმა მხარეს კედელში იყო ჩადგმული. თუ დაინგრეოდა, მის ფიცარი ძველი ბუჯერის აღდგენას ხმარდებოდა.

იმერეთში, ბუჯერის ანგელოზის პატივსაცემად სრულდებოდა საოჯახო დღესასწაული „მარეშლობა". ხალხის რწმენით, მარეშალი შინაური ფრინველების დამცველი ღვთაებაა. ფრინველების გამრავლების მიზნით, მარეშალისათვის, დაურწყების კვირაში, ქათამი უნდა დაეკლათ ბუჯერთან. დაკვლის ცერემონიალს ოჯახის დიასახლისი ასრულებდა. მასვე ევალებოდა ბუჯერზე სანთლის ანთება, იგი თავდახრილი შესთხოვდა მარეშალს ფრინველების გამრავლებას. ლოცვის დროს ხელში უნდა სჭეროდა ქათმის მარჯვენა ფეხი, ქათმის სისხლის, ბუმბულისა და ძვლების დაწვა აუცილებელი იყო. უცხო პირის დასწრება იკრძალებოდა. ქათმის მარჯვენა ნაწილებს, მლოცველი ბუჯერზე აწყობდა და მეორე დღისთვის ინახავდა. დარანჩენი იმ დღესვე უნდა შეეჭამათ. წილის სხვისთვის მიცემა იკრძალებოდა. თავის წილი ლუკმის ქორ-მიმინოსათვის გადაგდებაც სცოდნიათ. სწამდათ, რომ ამის შემდეგ ქორი წიწილებს არ გაეკარებოდა. მარეშალისადმი მიძღვნილი დღესასწაული ბუჯერთან ლოცვით მთავრდებოდა.

ლიტ.: ა.ყიკვიძე, შუა სახლი რაჭა-ლეჩხუმში, ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, 1940. ს. მაკალათია, მთის რაჭა, 1987

ლ. ბ.

ბჭე — სახლის, სასახლის, ტაძრის შესასვლელი, მისი სინონიმია - კარები და აქედანაა ტერმინი კარიბჭე.

ბჭისკარი — იხ. ჭიშკარი



გაბა (თბ.) — ხელოსნების ერთგვარი საგარეო ტანსაცმელი, ფარჩეული.

გაბრა — ცხენის საწმენდი ჯაგრისი. აკეთებდნენ ცხენის ძუისაგან.

გავალაკი — ერთგვარი საჩრდილობელი, რომელიც მეფე-მთავართა და დიდებულთა ტახტრევანს ან დროებით სამყოფს ებურა, ამზადებდნენ ძვირფასი ქსოვილისაგან, წარმოადგენდა როგორც ოთხკუთხა, ასევე მრგვლად მოწყობილ სახურავს. შემკული იყო სხვადასხვა სამშვენისით.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2000.

გაია — ხისგან გაკეთებული ბავშვის ჩასაყენებელი შესაწევ-გასაწევი მოწყობილობა. საჭიროების დროს შიგ ბავშვს ჩააყენებდნენ. ბავშვი თვითონ ერთობოდა, გაიას ზამთარში შინ ხმარობდნენ, ზაფხულში კი ეზოში გასატან გაიას აკეთებდნენ.

ლ. ბ.

გალა — ნივრისა და ხახვის ასხმა, რომლებიც ფოჩებითაა ერთმანეთს გადაწნული.

გალიბანდი — ყარაჩოხელთა ქუდი, ცხვრის დახუჭუჭებული ტყავისგან გაკეთებული.

გალია — მავთულის ბადე ფრინველთა დასამწყვდევი. დიდი მხეცებისათვის რკინის გალიებს აგებენ.

გალიფე – შარვლის ტიპი, რომელიც იცმევა ჩექმებთან ერთად. ძირითადად მხედართათვის. აქვს ვიწრო ტოტები და ფართო უბე. ხშირად საჯდომ ნაწილზე ტყავი აქვს ამოკერებული. სახელწოდება მომდინარეობს ფრანგი გენერლის გალიფეს მიხედვით, რომელიც ატარებდა ასეთი ტიპის შარვალს.

ლიტ: ქელ., 2009.

განძი (ხევს) — აქ: ზოგადი სახელი სარიტუალო საგნებისა და ვერცხლის ჭურჭლეულობისა, რომელიც ხატისადმია შეწირული. ხატის განძი უდიდეს სიწმინდედ ითვლება. მას ინახავენ მხოლოდ ერთეულთათვის ცნობილ ადგილას. ხატის განძი გამოაქვთ დღესასწაულის დღეს და ასრულებენ სხვადასხვა რიტუალს.

ე. ნ.

განჯინა — კედელში უძრავად ჩადგმული დიდკარიანი თახჩა. ძველი საცხოვრებელი ნაგებობის აუცილებელი ელემენტი. გამოიყენებოდა სხვადასხვა დანიშნულებით. ზოგჯერ პურის კარადასაც ენაცვლებოდა. XX საუკუნის დასაწყისიდან დიდკარიანი თახჩები განჯინის — კედლის კარადის სახელწოდებითაა ცნობილი.

გარა (ფშ. ხევს.) — მრგვალი ხე, სიგრძით ადლნახევარი, რომელზედაც ქსოვის დროს ნართს ახვევენ. ერთი გარა მოძრავია, მეორე უძრავი.

გარმონი//გარმონიკა — კლავიშიან-პნევმატური ინსტრუმენტი. შედგება კორპუსის, საბერველისა და კლავიშიანი მექანიზმისაგან. საბერველი მზადდება გოფრირებული მუყაოსაგან, რომელსაც ორივე მხრიდან გადაკრული აქვს თხელი, მყარი ქსოვილი. ყველაზე რთული ელემენტია სახმო ნაწილი. იგი შედგება ლითონის თხელი ფირფიტისაგან, რომელზეც დამაგრებულია ლითონის „ენები". ერთი ჟღერს საბერველის განევისას, მეორე — შეკუმშვისას. ბგერის სიმაღლე დამოკიდებულია „ენის" ზომებზე (სიგრძე, სიგანე, სისქე). რაც უფრო მოკლე, ვიწრო და თხელია „ენა", მით მაღალია მის მიერ გამოცემული ბგერა: „ენიანი" ფირფიტები მიმაგრებულია ხის რეზონატორზე. მის კედლებში ნახვრეტებია ჰაერის გასატარებლად,

რომელსაც სარქველი აქვს დაფარებული.



შემსრულებლიდან მარჯვნივ კორპუსის გრიფზე მიმაგრებულია ე.წ. მელოდიური სარქველი, მარცხენაზე — ბანის.

გარმონის უამრავ სახეობაში ძირითადად ორი ტიპი გამოიყოფა: 1) გაწელვა-შეკუმშვისას ყოველი ღილაკი სხვადასხვა სიმაღლის ბგერებს გამოსცემს; 2) გაწელვა-შეკუმშვისას ბგერის სიმაღლე არ იცვლება. გარმონის პროტოტიპი კონსტრურებულ იქნა 1822 წელს გერმანელი ოსტატის კ.ფ. ბუშმანის მიერ ბერლინში. ვენელმა ოსტატმა კ. დემიანმა დაუმატა მზა აკორდთა რიგი აკომპანემენტისათვის, რომელთაგან თითოეული გამოიცემოდა მარცხენა ხელის თითით ერთ კლავიშზე დაჭერით (1829ნ). საკრავი მალე გავრცელდა ევროპის ქვეყნებში.

გარმონი//გარმონიკა რუსეთში შემოვიდა XIX ს-ის 30-40-იანი წლებიდან და სწრაფად იწყო გავრცელება იმპერიაში შემავალ სხვა ხალხებშიც. რუსმა ოსტატებმა დაიწყეს მისი საშემსრულებლო საშუალებების გაფართოება რუსული ხალხური სიმღერის კილოებრივი და წყობის თავისებურებების გათვალისწინებით. შეიქმნა სხვადასხვა სისტემის გარმონიკები, რომელთაც სახელები ერქმეოდათ იმ ქალაქების მიხედვით, სადაც მზადდებოდა — ტულის, ლივნის, სარატოვის, ვიატკის, სმოლენსკის და სხვა. XIX ს-ში გარმონი ფართოდ გავრცელდა ჩრდილოეთ კავკასიასა და დაღესტანში. იგი შემოიტანეს რუსმა ჯარისკაცებმა. ეს საკრავი კავკასიაში მალე აიტაცეს და ეროვნული მუსიკის შესაბამისად შეუცვალეს წყობა. ზოგან იმდენად დამკვიდრდა (მაგალითად, დაღესტნის ხალხებში), რომ ეროვნული საკრავის მნიშვნელობა შეიძინა. შეიქმნა ეროვნული ფოლკლორისათვის დამახასიათებელ ბგერათრიგებთან მეტ-ნაკლებად შესაბამისი ე.წ. „აზიური გარმონი". „აზიური გარმონი" ვიატკის ერთრიგიანი გარმონიკის მსგავსი აღნაგობისაა. მარჯვენა კლავიატურისაგან განსხვავებით, „აზიურ" გარმონზე განევა-შეკუმშვის დროს ბგერის სიმაღლე იგივე რჩება. ბანის კლავიატურა შედგება 12 ღილაკისაგან, რომლებიც წყვილებადაა განლაგებული ორ რიგად. თითო წყვილში ერთი ღილაკი გამოსცემს ძირითად ბგერას, მეორე — მის შესაბამის სამხმოვანებას. ორივე რიგში განსხვავებული ჰარმონიული ფუნქციის მქონე აკორდებია.

საქართველოში გარმონი გავრცელდა XIX ს-ის ბოლო ოცწლეულში „ბუზიკას" (დამახინჯებული რუსული «музыка») სახელწოდებით. მალე შეიქმნა „აზიური" გარმონის მსგავსად ქართული გარმონი „ბუზიკა" // „ნიკო-ნიკო" სრულიად თავისებური ხმოვანებით. XX ს-ის II ნახევრიდან გარმონის ადგილი დაიჭირა აკორდეონმა, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში, განსაკუთრებით თუშეთში, იგი შეუცველელი დარჩა. აქ ჩამოყალიბდა გარმონის სიმღერებისა და სოლო დასაკრავების შესრულების თავისებური სტილი. შეიქმნა გარმონის დასაკრავები — პროგრამული ხალხური მუსიკის ნიმუშები („ანიკოს ტირილი", „ნოვა ქალის ტირილი" და სხვა). გარმონზე სრულდება საცეკვაოები, მისი თანხლებითისიმღერები, მაგრამ ესენი ტრადიციული ჟანრებისაგან განსხვავებულია. გარმონი გამოყენებულია ანსამბლშიც, განსაკუთრებით დამკვიდრდა ყოფაში გარმონისა და რიტმული საკრავის დოლის დუეტი ე.წ. დოლ-გარმონი, განსაკუთრებით ცეკვების თანხლებისათვის.

ლიტ.: Г. Благодатов, Русская гармоника, М., 1960; К. Вертков, Г. Благодатов, Э. Язовицкая, Атлас музыкальных инструментов народов СССР, М., 1963; А Модр, Музыкальные инструменты, М. 1959

ბ. ბ.

გეიშა — ქალისა და მამაკაცის ზედა სამოსელი. მასალად გამოყენებული იყო მსუბუქი და ნაზი ქსოვილები. ზოგჯერ უდებდნენ სარჩულს. ქალის გეიშა მოკლეა, წელთან მომდგარი და ქვემოთ თანდათან გაშლილი. სახელოები გამოყვანილი და ბოლოებისაკენ გაგანიერებული. საყელო ოდნავ დაფენილი. გულისპირები ერთმანეთთანაა მისული და ერთი ღილით იკვრება. თუ ქალის ზედა ტანსაცმელი ტალმა (ტოლომა) საზამთრო ჩასაცმელად იყო მიჩნეული, გეიშას გაზაფხულ-შემოდგომობით იცვამდნენ. გეიშა ქიზიყში მამაკაცის წელამდე დასულ ტყავის სამოსელსაც ერქვა, რომელსაც ზამთრობით გლეხობის ის ნაწილი იყენებდა, ვისაც გრძელი ტყავის შეკერვის შესაძლებლობა არ ჰქონდა.

ც. ბ.

გელა (ზ. იმერ.) — ლურსმნის ამოსაღები თავკაპიანი რკინა, სადაც ლურსმნის თავი ამოედება. დურგლის სამუშაო იარაღი, არის სხვადასხვა ტიპის — მძლავრი და სუსტი ლურსმნების ამოსაღებად.



გელაზი — მთლიანი ბორბალი, გამოთლილი ბაზალტის ქვისგან. გელაზი ზეთსახდელის, საზეთე წისქვილის მოძრავი სამუშაო ნაწილია. გელაზი შუაში ოთხკუთხედაა ჩაჭრილი. ნახვრეტში გაყრილ ჰორიზონტალურ ღერძის ერთ ბოლოზე უღელს ამაგრებდნენ და გამწევ ძალას აბამდნენ.

გელაზის გარე პირის დიამეტრი შიდაზე მეტი იყო, რის გამოც სამუშაო პირის ძგიდე ირიბად იყო აჭრილი და ქვის ფილებით მოპირკეთებული წრიული კალოს დახრილობას შეესაბამებოდა. უღელში შებმული გამწევი ძალა ურმის თვალივით ცერზე შეყენებულ ბორბლის კალოს ირგვლივ აგორებდა. გელაზის ქვით ხდებოდა სელის მარცვლის დაქუცმაცება-დაფქვა, დაგელაზება და შემდეგ ზეთის გამოხდა.

გელაზები უმეტესად დიდი ზომისაა. მათი დიამეტრი მეტრნახევრიდან დაწყებული ორ მეტრს აჭარბებდა (ს. ალასტანში გელაზის დ-2მ. 30სმ., ს. ტურცხში 2მ. 12სმ., ს. წყალთბა — 2მ. 25სმ., (სამცხ.-ჯავ.).

გელაზის ზედაპირი შემკული იყო სხვადასხვა რელიეფური მოტივებით. აღსანიშნავია საქართველოს სახ. მუზეუმის ქვის ფონდში დაცული ს. გუნიაყალადან ჩამოტანილი გელაზი. იგი ყურადღებას იქცევს მხედრული წარწერის ფრაგმენტით, რომელშიც გარკვევით ამოიკითხება „გელაზი ჩვენ ავგაროზიშვილებმა" — რაც უნდა მიუთითებდეს ამ ნივთის ან ავგაროზიშვილთა კუთვნილებაზე ან მის გამომკვეთ ხელოსნებზე. ამავე გელაზზე გამოსახულია გუთნეული და მის უკან მიმყოლი კაცი.

გელაზები ძირითადად გავრცელებული იყო საზეთე სელის ინტენსიურად გავრცელების არეალში (სამცხე-ჯავახეთი, თრიალეთი). აღმოჩენილ გელაზთა შორის ყველაზე ადრეულია მესხეთში მიკვლეული გელაზის ნაშთები.

ლიტ.: გ. ჩიტაია, გელაზი, ძმ. №20, 1970. ლ.მოლოდინი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახდელი იარაღები) 1963.

ლ. მ.

გემა — ძვირფასი ქვა, ზედ ამოკვეთილი გამოსახულებით ან წარწერით. გემას, რომელზედაც გამოსახულება სილრმეშია ამოკვეთილი ინტალიო ეწოდება. გემას, რომლის გამოსახულება რელიეფურია — კამეა. ძველად ხმარობდნენ კუთვნილების დამადასტურებელ ბეჭდად (უმთავრესად ინტალიოს), ავგაროზად ან მორთულობად. მოგვიანებით ის უმთავრესად სამკაულია როგორც ბეჭედი, საყურე, გულსაბნევი.

გვიანანტიკური ხანის საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ბერძნულ-რომაული წარმოშობის ძვირფასი ქვები — ინტალიოები და კამეები. გემებზე უმთავრესად ბერძნულ-რომაული ღვთაებებია გამოსახული, თუმცა ზოგიერთ მათგანზე ქართველ დიდებულთა პორტრეტებსაც ვხვდებით და ამასთან, არასაყოფაცხოვრებო სიუჟეტების გამოსახვაც.

ლიტ.: ს. ბარნაველი, საქართველოს საბეჭდავები და სხვა გლიპტიკური მასალები, 1965. ი.გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981.

მ. ბ.

გემი — დიდი ზომის საზღვაო ტრანსპორტი, რომელსაც გააჩნია შიდაწვის ძრავა.

გემნა (ხევს.) — ტყავის მოსაქნელი ხელსაწყო. ხმარობდნენ საგუდე, საკერავი და წვრილფეხა საქონლის ტყავის მოსაქნელად. იხმარება აგრეთვე ტყავის ქონისგან მოსაშორებლად.

გეონი — ხელშუბი.

გეონი – „ხელ-შუბა, მოწლო და სამძგიდე, ბუნი მცირედ კაცისა უმაღლესი." (საბა). სატყორცნ-საძგერებელი იარაღი. გეონი წარმოადგენს 160-170 სმ. სიგრძის ხის ტარს (ბუნი) რომელზედაც დამაგრებულია სამწახნაგა პირი. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში ეს ტერმინი აღარ იხმარება.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I. 1991.

მ.ქ.

გერმა – ბატისა და ქათმის ნაზი ბუმბული, რომელიც ბალიშში იდება.

გეჯა — ერთ ხეში ამოღებული ან თავბოლო გამოყენებული მორი, რომელიც იხმარება წყლისათვის ან ცხოველთა საჭმლის ჩასაყრელად. მთიანეთში გეჯას ფუტკრის სკასაც (იხ.) უწოდებენ, რომელიც ასევე წარმოადგენს გულამოღებულ მოკლე ხის ნაჭერს.

ე.ნ.

გვადრუცი//გუადრუცი — იხ. ტაგრუცი.

გვადუა *(მეგრ.)* — გაცეხვილი ღომის მონარჩენი ჩალა და ღერო, ბზე.

გვარდი//გვარდა//კაბინი (ზემო აჭარ. გურ). — ნაძვის თხელი ყავრისგან დამზადებული მრგვალი ან ოვალური კასრი, რომელშიც რძის პროდუქტებს (ყველს, კარაქს) ინახავდნენ. იყო სასაპანლე, ოთხკუთხა ყუთი, რომელსაც ცხენს გადაჰკიდებდნენ და ასე დაჰქონდათ.

ცაცხვისა და ნაძვის ხისგან დამზადებული გვარდა კარაქს შეფერილობასა და გემოს აძლევდა. ვინც ნაძვის ხისგან ასეთ ჭურჭელს ამზადებდა, მეგვარდეს ეძახდნენ.

გ.ბ.

გვარლი – ბალახისაგან დამზადებული თოკი. ზოგან მას ულოსა და ნირეხს უწოდებენ.

გვიმი ჭისა — ქვის, თიხის ან ხის მრგვალი მილი, რომელიც იდგმებოდა ჭის თავზე წყლის სისუფთავის დაცვის მიზნით. ეთნოგრაფიულ ყოფაში (დას. საქ.) გვხვდება ქვის კარგად დამუშავებული გვიმები, როგორც მთლიანი — ერთ ქვაში გამოკვეთილი, ასევე ორნანილიანი, რომელსაც თავში რკინის სალტე აქვს შემოჭერილი. ქვის გვიმს აქვს თავი და გამონეული „ტაფა“ წყლის ჭურჭლის დასადებად. გვიმის პრაქტიკული და ესთეტიკური დანიშნულება კარგადაა შეხამებული ისეთ მნიშვნელოვან საყოფაცხოვრებო ობიექტთან, როგორიცაა ჭა და მისი ჰიგიენური უსაფრთხოების დაცვის გარანტიას იძლევა.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. ნ.

გვირგვინი — 1. ზოგადი სახელია თავის შემკულობისა, არის სხვადასხვა ფორმისა და მასალისაგან დამზადებული. გამოიყენებოდა უხსოვარი დროიდან მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხებში.

2. გვირგვინი//იალქანი//თაჯი—აქ: რიტუალური თავდასადგამი, ქალ-ვაჟთა საქორწინო თავსაბური. მასალად გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის ფერადი ძაფები (მათ შორის უპირატესობა ეძლეოდა ოქროსფერსა და ვერცხლისფერს) და ხის ნაწილები.

შედგება ხის რგოლისა და თანაბარი მანძილით დაცილებული რამდენიმე გრძელი ტოტისაგან, რომლებიც შედგენილი არიან ფერადი ძაფებით შევსებული ხის პატარა ბურთულებისაგან. ტოტების ბოლოში მძივებით გაწყობილი ფოჩები კიდია. გვირგვინზე შუბლის სწორად ამავე წესით შესრულებული ჯვარია გამოსახული.

როგორც წესი, ჯვარი ეკლესიაში უნდა დაეწერათ და მღვდელი იყო გვირგვინის თავზე დამდგმელი. იქ, სადაც ეკლესია არ იყო, ამ ფუნქციას ხატის მსახურები ასრულებდნენ. თუ მექორწილე წყვილს საკუთარი გვირგვინი არ ჰქონდა, მაშინ დაქირავება უწევდათ. პატარძალს გვირგვინი ქორწილის დამთავრებამდე არ უნდა მოეხადა, გვირგვინების მოხდის ცერემონიალი კი ბევრი ძველქართული წესის თანხლებით სრულდებოდა. ასე, მაგალითად, ფშავში, ქორწილის მესამე დღეს „სანაღმართოს“ გადაიხდიდნენ, დაკლავდნენ საკლავს და სუფრასაც ხელახლა გაშლიდნენ. შუადღისას ნეფიონი ადღეგრძელებდა ნეფე-დედოფალს და მეჯვარე ხანჯლის წვერით ჯერ ნეფეს მოხდიდა თავიდან გვირგვინს და მერე დედოფალს. გვირგვინმოხდილ ნეფეს გაქცევით უნდა ეშველა თავისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მაყრებისათვის ერთი ხელადა არაყი უნდა მიერთმია. გვირგვინის ახდის შემდეგ ქალის მაყრები მოითხოვდნენ სამაყროსა და სამდადოს. თუშეთში, ქორწილის დასასრულს, პატარძალს იმ ოთახში შეიყვანდნენ, სადაც მხოლოდ ქალის მაყრები იყვნენ თავმოყრილი. გვირგვინის ახდის წესის დამთავრების შემდეგ მაყრები მოითხოვდნენ საფურე ხბოს, დედალ თოხლს, ან ძროხას და შემოთავაზებულს ყურს პატარძლის სახელზე აუხვევდნენ, ე.ი. პატარძლის საკუთრებად ცნობდნენ.

გვირგვინის წარმოშობა დაკავშირებული ჩანს დიადემასთან, რომელიც ეტრუსკულ სამყაროშია საძებნელი. პატარძლის გვირგვინს ძველ საქართველოში „იალქანი" ერქვა.

ლიტ.: ც. ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1974.

ც. ბ. ე.ნ

გვირგვინი//გვერგვინი – აქ: საახალწლო სარიტუალო საგანი. ლეჩხუმური საახალწლო გვერგვი ლერწისგან მოწნულ რგოლს წარმოადგენს.



ასტრალურ კულტთან გვერგვის კავშირს განსაკუთრებული სიცხადით ამ საგნის გარეგანი გამოსახულება ამჟღავნებს: გვერგვი — წრე, მის ცენტრში მოთავსებული ჯვრით, რომლის წვრილად წათლილი ბოლოები წრის ნაპირისკენ სხივების მსგავსად ეფინება, მნათობი მზის ფორმასა და სხივოსნობას ასახავს. ამ ვითარებას ცხადყოფს აგრეთვე სვანური გირგედ-ის (სალოცავი ხატი) თავისებური გარეგნული გამოსახულება. გირგედ-ი მრგვალი ფორმის ლითონის საგანია ირგვლივ შემოყოლებული ცხრა ცალი მომცრო რგოლით და ამ რგოლებშუა სამყურა მცენარის სახის სამკაულებით.

ქართველების მზის ემბლემა მოწმდება დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაში ე.წ. „კალპიანი ჩიჩილაკის" სახით. კალპი მზის ისეთივე ემბლემაა, როგორც რაჭველ-ლეჩხუმელების საახალწლო გვერგვი. ამ უკანასკნელის მსგავსად, კალპიც ლერწისგან მოწნული და მცენარეულით შემკული რგოლია. ეთნოგრაფიულ ყოფაში ჩიჩილაკი (იხ.) ბედნიერება-კეთილდღეობისა და დოვლათის სიმბოლური გამოსახულებაა. როგორც ცნობილია, მსოფლიო ხე მრავალ ძველ კულტურულ ხალხში მზესთან იყო ასოცირებული. კალპიანი ჩიჩილაკიც ამგვარ კონცეფციას ასახავს, რამდენადაც აქ მზის სიმბოლო — კალპი მსოფლიო ხის სიმბოლურ გამოსახულებასთან — ჩიჩილაკთან არის შერწყმული და ორივე ერთად (კალპი და ჩიჩილაკი) ზამთრის მზის მობრუნებას მოასწავებს.

ქართველ ხალხში მსოფლიო ხის კონცეფციის ფართოდ გარცელებაზე მიუთითებს აგრეთვე ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული ე.წ. „ბატონების ხე" და მეგრელების „კელაპტარი".

შესაძლებელია, მზის ემბლემის საკითხში სვანური გირგედის, რაჭულ-ლეჩხუმური გვერგვ-ისა და გურული კალპი-ს გვერდით ქართული გვირგვინის ამოყენება. გურია-სამეგრელოს და საერთოდ, დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ხალხური საქორწინო გვირგვინი ლერწისგან მოწნულ რგოლს წარმოადგენდა გვერგვის მსგავსად. განსაკუთრებით საინტერესოა ქართლურ-კახური ნეფე-დედოფლის გვირგვინი, აგრეთვე რგოლის ფორმის, რომელსაც აქვს ოთხი მომცრო ტოტი და რგოლის წინა ნაწილზე გასხივოსნებული ჯვარი. გვირგვინი რძისფერი შუშის მძივებითაა შემკული და მთლიანად ოქროს ან ვერცხლისფერი სირმით არის გადაკრული. თავისი ფორმით, ტოტებით, სამკაულითა და ფერით ქართლურ-კახური ხალხური საქორწინო გვირგვინი მზის გარეგნულ გამოსახულებას, ფერსა და სხივოსნობას ასახავს.

ნეფე-დედოფლის თავზე ამგვარი გვირგვინის დადგმა ოდესღაც მაგიური ზემოქმედების მიზნით ხდებოდა. ახალად დაქორწინებულებს მზის მსგავს საგანს ადგამდნენ იმისათვის, რომ მზის ცხოველმყოფელი ძალა და ნაყოფიერების თვისება ნეფე-დედოფალზე გადასულიყო.

ნ. ბ.





ერდოგვირგვინიანი სახლი

დასტა

გვირგვინი სამეფო — ერთ-ერთი სამეფო რეგალია, მეფობის უმთავრესი ნიშანი. ძველად სამეფო გვირგვინის ნაცვლად დიადემას ხმარობდნენ. ეს იყო ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით შემკული, სხვადასხვა ფერისა და დეკორის აბრეშუმის თავსაკრავი, ანუ ხილაბანდი. მას შუბლზე იკეთებდნენ და უკან იკრავდნენ.

სამეფო თავსაბურავი V საუკუნეში ჩნდება საბერძნეთში. მას სტეფანოზი, ანუ კორონა ერქვა და ქართულად იალქანი შეესატყვისება. სტეფანოზი ვერცხლის ან ოქროს ბრტყელი რგოლი ან რკალია, თვლებითა და მარგალიტებით შემკული. დროთა განმავლობაში მის გვერდებზე გაჩნდა ასევე ძვირფასთვლებიანი ტოტები, რკალის შუა ნაწილში კი ჯვარი. ასეთ თავსაბურავს სტემა ეწოდება. ბიზანტიის მეფეების სტემა ძირითადად ლურჯი, თეთრი, წითელი და მწვანე ფერის იყო. მართალია, იმპერატორები სტემასთან ერთად ძველ სტეფანოზსაც ხმარობდნენ, მაგრამ სტეფანოზი უკვე უბრალო თავსაბურავი იყო და არა გვირგვინი. სტემა დამკვიდრდა, როგორც დამოუკიდებელი მეფობის სიმბოლო, ხოლო სტეფანოზი და სხვა „კორონები" იმპერატორთა ხელქვეითების კუთვნილება გახდა.

აღსანიშნავია ასევე მეფეთა კიდევ ერთი თავსაბურავი — ტიარა, რომელიც მათ დღესასწაულზე და დედაქალაქში ძლევამოსილად შესვლის დროს ეხურათ.

ქართული წყაროები ქართველი მეფეების თავსაბურავს მიტრასა და გვირგვინს უწოდებს. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ დიადემას, იგი ჩვენში საერთოდ არ არის ცნობილი, როგორც მეფეთა თავსაბურავი.

ქართველ მეფეთა სამეფო ნიშნები გარკვეულ პერიოდში ბიზანტიიდან შემოდიოდა, მაგალითად, V-VI საუკუნეებში. ლაზიკის მეფეები ფორმალურად ექვემდებარებოდნენ ბიზანტიას და ტახტზე ასვლისას სამეფო ნიშნებს ბიზანტიის კეისრისგან ღებულობდნენ. ეს იყო „ოქროს გვირგვინი, ძვირფასი ქვებით შემკული".

აღსანიშნავია, რომ ბიზანტიური სამოხელეო სამოსელი და თავსაბურავი საქართველოში IX-XI საუკუნეებშიც შემოდიოდა. როცა ბიზანტიის მეფე საქართველოს მთავარს ან მეფეს ამა თუ იმ პატივს მიანიჭებდა, მათ საპატიო სამოსელსა და სამკაულსაც უგზავნიდა.

ლიტ. ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, 1964.

გ.ა.

გვირგვინი ფოჩებიანი — ქართლ-კახეთში საქორწინო ცერემონიების შესრულების დროს ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი. ქართული გვირგვინი დისკოსებური ფორმისაა. მასზე ჩამოკიდებულია ოთხი, ერთმანეთისგან თანაბრად დაშორებული ფოჩი, რომელიც შედგება ოქროსფერ-ვერცხლისფერი სირმებისაგან გაკეთებული ბურთულებისგან. გვირგვინის ტოტები დაბოლოებულია სამ-სამი მოკლე ფოჩით. მამაკაცის გვირგვინზე, ქალისგან განსხვავებით, ცენტრში ჯვარია მოთავსებული, რომელიც ასევე სირმითაა მოქარგული. მას ნეფე ნაბდის ქუდზე იხურავდა, პატარძალი კი — ჩიხტიკოპზე.

ვ. ბარდაველიძე, ქართული ჩიჩილაკისა და გვერგვის (იხ) შესწავლისას, აღნიშნულ გვირგვინს გარეგნული ფორმის გამო მზის ემბლემად თვლის. ჯვრისწერის დროს კი, მისი ნეფე-დედოფლის თავზე დახურვა უნდა მომდინარეობდეს შეხებითი მაგიიდან, იმ სურვილით, რომ ასტრალური ღვთაების თვისება — შვილიერება და ნაყოფიერება, თვით ნეფე-დედოფალზე გადასულიყო. ზოგი აღნიშნულ გვირგვინს ვაზის კულტს უკავშირებს. მეევნახეობის ძირითად რეგიონებში ქართული ფოჩებიანი გვირგვინი, თავდაპირველად ვაზის რქებისგან იყო. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი, თუშეთი, ხევსურეთი), სადაც არ არის გავრცელებული ვაზის კულტურა, ფოჩებიანი გვირგვინი საერთოდ არ გვხვდება.

საინტერესოა ქართული ფოჩებიანი გვირგვინის ერთი დეტალი — ჯვარი, რომელიც, როგორც აღინიშნა, მხოლოდ მამაკაცის გვირგვინზე ფიქსირდება. სამეც. ლიტ-ში დადგენილია, რომ ჯვარი თავისი წარმოშობით წინ უსწრებდა ქრისტიანულ რელიგიას. ფიქრობენ, რომ „მამაკაცის გვირგვინში ჯვარი ხარის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული. საქორწილო რიტუალში წესად იყო დასაკლავად მომზადებულ ხარის გარშემო ნეფის ცეკვა-თამაში და მის მიერ ხარზე დანის ჯვარედინად დასმა. ასევე აღნიშნული შეხედულების დამადასტურებელია ისიც, რომ ნეფისთვის ქორწილზე უნდა მიეტანათ ხარის ბეჭი".

ამდენად, თავდაპირველად ქართული გვირგვინი ვაზისა და ხარის კულტებთან იყო დაკავშირებული, მოგვიანებით კი მან უკვე მზისა და მთვარის ფუნქციები შეიძინა, რომლის გამოხატულებაცაა ოქროსფერ-

ვერცხლისფერი სირმებით გასხივოსნებული გვირგვინის ტოტები.

ლიტ: ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, 1978.

გ. ა.

გვირგვინი //დიადემა//თაჯი — აქ: 1. ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული, პატიოსანი თვლებით მოოჭვილი თავსამკაული. გვირგვინი სხვადასხვა ტიპისა იყო: დიადემა, ქუდი, შარავანდი, ფოთლებიანი თუ დაკბილული სალტე და სხვა. საქართველოში გავრცელებული გვირგვინები ნაირგვარია: ჭედური რელიეფით, გრეხილურით, გავარსით, ძვირფასი თვლებითა და ტიხრული მინანქრით შემკული. საქართველოში აღმოჩენილი უძველესი ოქროს გვირგვინი ძვ. წ. V ს-ით თარიღდება. იგი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ სამკაულთა ტიპებს განეკუთვნება. დიადემა//გვირგვინი წარჩინებულობის ნიშნად, ინსიგნიად ითვლებოდა.

2. საფლავის ქვებზე ხშირად გეხვდება რელიეფურად ამოყვანილი გვირგვინები. რომელთა სიმბოლური დანიშნულება აქ განიმარტება, როგორც ჯილდო კეთილმორწმუნე ქრისტიანისა, რომელმაც დაიმსახურა იგი თავისი უმწიკვლო ცხოვრებით: „მორწმუნე იყავ შენ სიკვდილამდე და მოგეცემა სიცოცხლის გვირგვინი" (გამოცხ 2:10).

გვირგვინი ზოგადი სახელია თავის შესამკობლისა, არის სხვადასხვა ფორმისა და მასალისაგან დამზადებული. გამოიყენებოდა უხსოვარი დროიდან მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხებში.

ლიტ.:: ი.გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981, ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხ. იმერეთში, 2001.

ე.ნ. მ.ბ.

გვრიჭილა (რაჭა) — საბრძოლო-სანადირო იარაღი. გვრიჭილა ჯოხის ბოლოზე ძუებით ან თასმებით მიმაგრებული ქვების ერთობლიობას წარმოადგენს. საბრძოლო დანიშნულების გარდა, რომლის ტრიალიც დიდ ხელოვნებას მოითხოვდა, გამოიყენებოდა სანადიროდაც, რაჭის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით პურის მკის დროს, მას მწყერზე სანადიროდ იყენებდნენ ბავშვები.

ლიტ.: ა. გიორგობიანი. ქვის კულტი და ქვის საბრძოლო იარაღები, 1977. მ. ქ.



გიდელი — ნნული ჭურჭელის სახეობა. ნვნა კაცობრიობის კულტურის უძველესი მონაპოვარია, იგი ნინ უსწრებდა ქსოვას, რომელიც მისგან განვითარდა. ნვნასთანაა დაკავშირებული აგრეთვე კაცობრიობის კულტურის ისეთი მონაპოვარიც, როგორიცაა მეთუნეობა. მეთუნეობა ყველგან ალბათ იმის შედეგად გაჩნდა, რომ დანნულ ან ხის ჭურჭელს თიხით ლესავდნენ, რათა ცეცხლგამძლე გაეხადათ. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ნვნის აღმნიშვნელი ტერმინია თხზვა. ეს ტერმინი დღეისათვის მხოლოდ აჭარულ დიალექტშია შემონახული.

ნნული ჭურჭლის დასამზადებლად იყენებენ, უპირატესად ტირიფს და მის სახესხვაობებს — ძეწნას, მდგნალს, ნნორს, მანეულს, აგრეთვე — თხილს, შვინდს, უზანს, სიმინდის ფუჩეჩსა და პურის ნამჯას. საქართველოში გავრცელებული ნნული ჭურჭლებიდან ფორმითა და ფუნქციით საყურადღებოა მოგრძო, ძირნანვეტებული უყურო გოდორი — გიდელი. იგი მაღლარი ვენახისა და ხილის საკრეფი ჭურჭელია.

გიდელს ამზადებენ ნნელისა და ტკეჩისგან. გავრცელებულია გურიაში, აჭარაში, სამეგრელოში, ლეჩხუმში, ქვემო იმერეთსა და სხვაგან. გიდელის მთავარი საყრდენი ნაბლის, მუხის ან ქორაფის ღეროა, რომელსაც ცეცხლზე ათბობენ და ოთხივე მხრიდან ტკეჩებს აცლიან. ღეროს შუაში დარჩენილ ხის გულს ჭრიან და მის ქვედა ნაწილს გიდელის ფსკერად ტოვებენ. გურიაში მას კუშტული ჰქვია, ლეჩხუმში — მუჯურო, აჭარაში — კუნჭულო, სამეგრელოში — კურსული. გიდელის საწნავ ტკეჩს ასე ამზადებენ: საშუალო სისქის დანით ჩაჭრიან, მუხლზე მოხრიან და მარჯვენა ხელის შუა თითის დახმარებით თანდათან ზოლებად შლიან. გიდელის ნვნა იწყება ფსკერიდან. გიდელის საყრდენს ნვრილი ტკეჩი ჯვარედინად გადაეწვნება. ნვნა ხორციელდება მარჯვნიდან მარცხნივ. შუა ნაწილში გიდელი ოდნავ ფართოვდება, რისთვისაც მსხვილ ტკეჩს უმატებენ. გიდლის თავსაც მსხვილ ტკეჩს შემოაწნავენ.

თავზე უკეთებენ თოკის სახელურს, რომელზეც ხის კავი — ღვანღვალი — არის მიმაგრებული ტოტზე გიდლის ჩამოსაკიდებლად.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

გინგილა — დიაკვნის ოლარი. დიაკვნის შესამოსლის ნაწილი, გრძელი, ვიწრო ქსოვილი, რომელსაც დიაკონი მარცხენა მხარზე დამაგრებულს ატარებს, ხოლო მისი ბოლო მარჯვენა ხელით უჭირავს ლოცვისას. გინგილა სამღვდელო ხარისხის მადლს, ანგელოზთა ფრთებს, ქრისტეს მსახურების ტკბილ ტვირთს ნიშნავს. დამსახურებულ დიაკვნებს, ჯილდოს სახით, ორმაგი გინგილას ტარების უფლება ეძლევათ, რომელიც ჩვეულებრივზე ორჯერ უფრო ფართოა. გინგილა შედის ასევე იპოდიაკვნის შესამოსელში, რომელსაც ის მკერდზე გადაჯვარედინებულს ატარებს.

ლიტ.: მართლმადიდებლის მცირე ლექსიკონი, 2002. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2005 - 2004.

ხ. ც.

გირგირი (ლაზ.) — დიდი ზომის სათევზაო ბადე.

გირგოლი – ხევსურული ფარის დეტალი, წარმოადგენს რკინის ბრტყელ ფირფიტას, რომელიც ნრიულად შეჭედილია ფარის ზედაპირზე გირგოლების მიხედვით განასხვავებენ ფარის სახესხვაობებს — ერთგირგოლიანი, ორგირგოლიანი და სამგირგოლიანი ფარები (იხ. ფარი).

მ. ქ.

გირკალი//გრკალი//რკალი (ქართლ. ფშ. ხევ.) — რკალივით მოხრილი ჯოხი, რომლის ბოლოები ერთმანეთთან წნელით არის დაკავშირებული, იხმარება საქონლის დასაბმელად.

გიტარა (ესპ. ბერძ.) — სიმებიანი ჩამოსაკრავი სამუსიკო ინსტრუმენტი. შედგება ნელში გამოყვანილი კორპუსისა და ბრტყელი დეკებისაგან. ზედა დეკას შუაში სარეზონანსო ღრუ აქვს, ყელზე — ლითონის საცევები. თავზე სიმების დამჭერი მოქლონებია. გიტარას თავდაპირველად ჰქონდა ნანლავებისაგან დამზადებული სიმები, შემდეგ ლითონისა და სინთეტიკური მასალისაგან დამზადებული.

გიტარის წარმოშობის საკითხი დადგენილი არ არის. ცნობილია, რომ XIII ს-ში გიტარას ოთხი ორმაგი სიმი ჰქონდა. XVIII ს-ში იტალიაში, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში და მოგვიანებით ამერიკაში გავრცელდა ესპანური გიტარები, რომელთაც 5 ორმაგი სიმი ჰქონდა. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა გიტარამ XVIII ს-ის შუა ხანებიდან. ამ დროისათვის იყო გიტარები 6 ცალფა სიმიანი კვარტულ-ტერციული წყობით, თუმცა გაუმჯობესების ცდები გრძელდებოდა. საყოველთაოდ მიღებული გახდა ექვსსიმიანი გიტარა.

საშემსრულებლო საშუალებები მდიდარი და მრავალფეროვანია. ბგერა არის ძლიერი, კარგად ეხამება ადამიანის ხმას და სხვა სიმებიან საკრავებს. ბევრ ქვეყანაში იგი ეროვნულ, ხალხურ საკრავად იქცა.

არსებობს ვერსია, რომ გიტარა საქართველოში შემოიტანეს იტალიელმა მუსიკოსებმა.

ევროპული მუსიკის საქართველოში ფართოდ გავრცელებას დიდად შეუწყო ხელი თბილისში საოპერო თეატრის გახსნამ. არიები და სხვა მუსიკალური ნაწყვეტები, ცალკეული მოტივები მალე აიტაცა ხალხმა. ეს მელოდიები საქართველოში გასამხმიანდა, ქართული ელფერი შეიძინა. XIX ს-ის 80-იანი წლებიდან გიტარა ფართოდ ინყებს გავრცელებას როგორც რუსული ქალაქური რომანსის სააკომპანემენტო საკრავი. ქალაქური რომანსის ლირიკულ ხასიათს, კუპლეტურ ფორმას, მარტივ ჰარმონიულ სტრუქტურას კარგად მიესადაგა გიტარის აკომპანემენტი. ქართველ არისტოკრატთა სალონებში დიდი მონონება ჰქონდა დღესასწაულებსა თუ სალხინო სუფრაზე. ქალაქურ და საოჯახო მუსიკალურ ყოფაში, მოგვიანებით სოფლებში, განსაკუთრებით ქუთაისში და საერთოდ, დასავლეთთ საქართველოს ბარის რეგიონებში შვიდსიმიანი გიტარა გახდა პოპულარული. გიტარამ დიდი ადგილი დაიჭირა ქართულ მუსიკალურ კულტურაში.

ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს აკაკი წერეთლის ლექსზე შექმნილი ვარინკა წერეთლის (ბარბარე სპირიდონის ასული მაჭავარიანი-წერეთლისა — 1874-1948) სიმღერა „სულიკო“, რომელმაც უდიდესი აღიარება და სიყვარული მოიპოვა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. „სულიკო“ აკაკი წერეთლის ლექსზე შეიქმნა XIX ს-ის 90-იან წლებში როგორც სოლო სიმღერა გიტარაზე, 1899 ნ. ჩანერეს ფირზე,

ხოლო 900-იან წლებში კი ნოტებზე გადაიტანა კოტე ფოცხვერაშვილმა. სიმღერა მალე გავრცელდა და გახალხურდა.

ლიტ.: გ. თუშიშვილი, გიტარის სამყაროში, 1989; Б. Л. Вольман, Гитара в Росии, Л. 1961.

მ. უ.

გიშერი – ერთგვარი ძვირფასი შავი ქვა, რომლისგანაც ამზადებდნენ სხვადასხვა სახის სამკაულებს. გიშერი ქვანახშირის სახესხვაობაა. ამ მინერალს უწოდებენ „გაგატსაც. ახასიათებს სირბილე, ადვილად ემორჩილება დამუშავებას. იხმარება სხვადასხვა დანიშნულების ნივთების დასამზადებლად. გიშრის წარმოებას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეთნოგრაფიულ ყოფას იგი ბოლო დრომდე შემორჩა, რასაც განაპირობებდა იმერეთში ძიროვანის და ოკრიბის მდიდარი საბადოების არსებობა. გიშრის დამუშავება ორ საფეხურად იყოფა: 1. გიშრის ნედლეულის მოპოვება 2. გიშრისგან სხვადასხვა ნივთების „გამოქნა". მომპოვებელს და მომჭრელს „მეძებარი"//მომჭრელი ეწოდება. გამთლელს და დამმუშავებელს — გიშრის მთლელი//„ხელოვანი". გიშერი ჰაერზე სწრაფად კარგავს სინოტივეს, ტანში „იბწკალება" — იშლება. ამიტომ გიშრის მჭრელი მას აყალო მინით შემოზელავდა და ისე ამოქონდა საბადოდან. Ggagoზილ „რიყე" გიშერს ისევ მიწაში მარხავდნენ. რადგან მეორედ დამარხული გიშერი შეჩვეოდა ჰაერის ზემოქმედებას. ასეთი მდგომარეობა ამცირებს გიშრის სიფიცხეს და აადვილებს მის დამუშავებას. გიშრის დამუშავების ტექნოლოგია რამდენიმე საფეხურს მოიცავს: გიშრის ნატეხების სახსრებად დახსნა, ზომაზე დაყენება, გაფცქვნა — ცილის შემოცლა, დაკუთხვა — გიშრის კაკლებისათვის ფორმის მიცემა, გახვრეტა, ქვაზე ხეხვით გაპრიალება, ნამზადის მჩვარში გახვევა და ბნელ ადგილზე შენახვა. გიშრის ნივთებიდან აღსანიშნავია სამკაულები, სკვნილები (კრიალოსნები). გიშრის ყელსაბამით ნიშნავდნენ ქალებს. როგორც ნივთიერი, ისე წერილობითი წყაროების საფუძველზე ირკვევა, რომ გიშრის წარმოება სამკაულისა და ამულეტის სახით საქართველოს მიწა-წყალზე თავს იჩენს ჩვ. ერამდე მე-16 საუკუნეში.

გიშრის სკვნილები ფეოდალური ხანის საქართველოში წარმოადგენდა მზითვის აუცილებელ საგანს. მონასტრებსა და ეკლესიებში იყენებდნენ ლოცვა-ვედრების სხვადასხვა კანონიკური წესის წარმოსათქმელთა დასათვლელად.

ქართული გიშერი გაპქონდათ საზღვარგარეთაც. გიშრის წარმოებამ XIXს. I ნახევარში ფართო ხასიათი მიიღო. 1841ნ. ქუთაისში გიშრის ნაწარმის ექსპორტი წელიწადში 2000 მანეთ ნმინდა მოგებას იძლეოდა.

ლიტ. ნ. რეხვიაშვილი., ქართული გიშერი, ჟურნ. „ძეგლის მეგობარი", №24.

ლ. ბ.

გმური — საძგერებელი იარაღი. სულხან-საბას გმური განმარტებული აქვს ცალკე და ლახვარის ქვეშაც. პირველ შემთხვევაში აღნიშნულია რომ „გმური ხელშუბა"—აო, მეორე შემთხვევაში აღწერილია — „გმური არს ლახუარი პირ-ბრტყელი და ბუნგრძელი, რომლითა მაცხოვარსა უგმირეს." საბას არავითარი წყარო დამოწმებული არა აქვს და არც ის ჩანს თუ საითგან უნდა იყოს ეს ტერმინი ამოღებული. ქართულ საისტორიო თხზულებებში გმური არც ერთხელ არ არის ნახმარი, რაც ცხადყოფს რომ საბას ცნობა ან გარკვეულ წერილობით წყაროზე, ან და პირად ზეპირ ცოდნაზე უნდა ჰქონდეს დამყარებული.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, ტ. III-IV 1962.

მ. ქ.

გნდე – „მახვილთა და მანგალთა ყუათა ნაპირსა ნიღრი, რომელიმე გნდესა უწოდენ,"(საბა); ყუა



ყარაჩოხელის ჩოხა გოგაკიანი ქამრით



ᲒᲝᲑᲐᲙᲘᲐᲜᲘ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲥᲐᲛᲐᲠᲘ

დანისა, ხმლისა და სხვ. ქართული ხმლები სწორი, ბოლოში ოდნავ გახრილია, გნდე დაუყვება მოხრის ადგილამდე საიდანაც იწყება შაშარი(ის).

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991.

მ. ქ.



გობაკი — აქ: ყარაჩოღელთა ვერცხლის ქამრის ბალთაზე პირამიდულად ამოყვანილი გობაკი, იმდენად დიდი რომ ზოგიერთში ნახევარი ჩარექა ღვინო ჩავიდოდა. გობაკიანი ვერცხლის ქამარი ყარაჩოღელის ერთგვარ სიამაყეს წარმოადგენდა. შეიძლებოდა ყველაფერი გაეყიდა, მაგრამ ქამარს არ გაყიდდა. თუ გარდაცვლილი ყარაჩოღელის ოჯახს გასვენების ფული არ ჰქონდა, ქამარს გაყიდნენ და აღებული თანხით დაასაფლავებდნენ. ამიტომაცაა ნათქვამი „თავის სამარხი ზედ არტყია ვერცხლის ქამარი".

ე. ნ.

გობელინი — მხატვრული ხელნაქსოვი ხალიჩა, რომელიც გამოიყენება კედლების მოსაფენად, დეკორატიული თვალსაზრისით. გობელინის საქსოვად გამოიყენებოდა მატყლი, აბრეშუმი ან აბრეშუმნარევი მატყლი. ხშირად ურევდნენ ოქროს, ვერცხლს ან სხვა ლითონის ძაფებსაც. გობელენი იქსოვებოდა ხელით, სხვადასხვა ნაწილზე ფერისა და სურათების დეტალების შესაბამისად.

გობელინებზე გამოისახება ისტორიული, ალეგორიული და ყოფა-ცხოვრების სცენები. ხელით ნაქსოვი გობელინები იყოფა 2 ჯგუფად: გოტლისტური — ვერტიკალურ დაზგაზე და ბასილისური — ჰორიზონტალურ დაზგაზე. დღეს გობელინები მისი შესრულების სირთულის გამო აღარ იწარმოება და ამიტომ ხელნაქსოვი გობელინები ანტიკვარული ვაჭრობის საგანია.

თ. ნ.



გობი//გვეები(სვ.)//**ხონი**(ხევი,თუშ.)//**გორდა**(ზ. აჭარ) — დიდი ზომის ამოთლილი, ან ფიცრებით შეკრული ხის ჭურჭელი, უმთავრესად იხმარება ცომის მოსაზელად, სანოვაგის დასაწყობად, ლობიოს, მხლის დასატუკად//დასაკეპად.

გობს ამზადებდნენ „უწენო", "სუფთა" ხეებისგან (ცაცხვი, თელა). იყო დიდი ზომის „ლაშგვერდი გობი"(სვანეთი), მცირე ზომის გობი—"ხელგობა", კარაქის ამოსაღები(ზემო აჭარა) და ა.შ.

გობი, როგორც საზომი ერთეული, ჩანს XVI—XVII საუკუნეებიდან ოდიშში. მასში 18 კგ. მარცვლეული ეტეოდა.

გ.ვ.

გოგა (იმერ.) —1. სახლის სახურავის მთავარი ხე, რომელზედაც მიკრულია სახურავი კოჭები. გადალარტყვის შემდეგ გოგაზე იციან მამლის დაკვლა სახლის გადახურვის აღსანიშნავად.

2. ფშავსა და ხევსურეთში საახალწლოდ გამომცხვარი დიდი სამეკვლეო პური.

გოგრიჭი (რაჭ.) — ქვის სასროლი იარაღი. წარმოადგენს მახრიღლივ გადასაკიდებელ ღვედს, რომელსაც მიბმული აქვს ძუა-ჭაპანი და ზედ ასხმულია გახვრეტილი მრგვალი ქვები, რომლებთაც გოგრიჭები ეწოდება. სასროლად მსროლელი ხმარობდა არა მარტო ბუნებაში შემთხვევით ნაპოვნ გახვრეტილ ქვებს, არამედ ხელოვნურად დამზადებულსაც, ე.ი. გაჩარხულ ქვებს. გოგრიჭები იჩარხებოდა ადვილად დასამუშავებელი ქვის ჯიშებისგან. ამზადებდნენ გამომწვარი თიხისგანაც. გამოწვამდე შუაში ჯოხს უყრიდნენ, რის გამოც ნახვრეტი რჩებოდა, გოგრიჭები მზადდებოდა სხვადასხვა ფორმის: მრგვალი, კვერცხისებური, წვეთურა და სხვა. სცოდნიათ აგრეთვე თიხის გოგრიჭებში კაჟის ქვების ჩაყოლებაც (გამოწვამდე), რომელსაც „ბუძგა გოგრიჭი" ერქვა. ყველაზე უფრო კარგი მიზანში სასროლად წვეთურა ფორმის გოგრიჭი ყოფილა. უკანასკნელ ხანებში ქვის სროლის ეს მეთოდი ბავშვთა თამაშის ელემენტი გამხდარა და მას გოგრიჭობანას უნოდებდნენ. როგორც ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, გოგრიჭს ძველად სერიოზული საბრძოლო გამოყენება ქონია, ეს იარაღი განაფული მეშურდულის ხელში, დიდი

სიზუსტით და ზედიზედ მიყოლებით, ქვის მტერზე დაშენის საშუალებას იძლეოდა, ახლო მანძილზე ცხენზე ამხედრებული მხედრისთვის გოგრიჭი უკვე მოსაქნევ-ჩასარტყმელი საშუალება ხდებოდა. ძუა-ჭაპანის ბრუნვის რადიუსი მსროლელს საშუალებას აძლევდა, შეექმნა დიდი სიხშირის მაბრუნებელი ძალა, რაც გასროლილ გოგრიჭებს მაღალ სანყის აჩქარებას აძლევდა.

ლიტ.: ა. გიორგობიანი, ქვის კულტი და ქვის საბრძოლო იარაღები, გაზ. „რაეო" 1997.

მ. ქ.

ე.ნ.

გოგროხი — ღვინის საწყაო, ხელჩაფის ტიპისა.

გოგუთი – „თავ მრგვალი ჯოხი"(დ. ჩუბინ.) ი. ჯავახიშვილს გოგუთი ნახსენები აქვს საბრძოლო დასარტყმელ იარაღთა შორის და განსამარტავად კვერთხი და გურზი(ის) აქვს მითითებული. წარმოადგენს ხის ტარზე დამაგრებულ ლითონის ან ხისავე სფეროს.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, ტ. III-IV 1962.

მ. ქ.

გოდორი — წნული ჭურჭლის სახეობაა, ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში. გამოიყენებოდა როგორც მარცვლეულის შესანახად, ასევე სხვადასხვა სამეურნეო პროდუქტის გადასაზიდად. აღმოსავლეთ საქართველოში მთიელები ჭირნახულს გოდრებში ინახავდნენ. აქ გოდორი ნაკელისა და ნაცრის ნაზავით იყო ამოლესილი. სქელი ძირი ჰქონდა, ზოგჯერ ფეხებზე იდგა, რომ არ დანესტიანებულიყო. ასეთი გოდრების სიმაღლე 2 მეტრამდე აღწევდა და 40-80 ფუთ მარცვლეულს იტევდა. შეძლებულ ოჯახს 7-8 გოდორი მაინც ედგა.



დასავლეთ საქართველოში მარცვლეულის შესანახად თიხით შელესილი გოდრები იყო გავრცელებული. ზოგადად შესაძლებელია ითქვას, რომ ფიცრის ფსკერიანი შელესილი გოდორი, როგორც მარცვლეულის შესანახი სათავსო, ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში. ასევე ითქმის სხვადასხვა სიდიდის შეულესავი გოდრების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა სამეურნეო საქმიანობისთვის იყო განკუთვნილი.

გოდრის სახეებია გუჯინა(ხევ), გოგროხა (ქართლ.), დიდი გოდორი, გოდრულა(ქსანი, ქართლ.), ყურძნის შესანახი გოდორა (აჭარ. გურ.), თევზის საჭერი გოდორი, გორიცა (გურ.), პატარა გოდორი, ზურგზე მოსაკიდი გოდრულა (კახ), და სხვ.

თ.ნ

გოდორი შელესილი — საქონლის პატივისა და ნაცრის ნაზავისაგან შიგნიდან შელესილი, რომელიც გამოიყენებოდა სულადის (ხორბლეულის-ქრთილეული-პური, ქერი) შესანახად.

გოდროხა//გოგროხა//საკრეფელი — წნელის პატარა მრგვალი გოდორი, პირღია, ყური გვერდზე აქვს. რთველში მოიხმარენ დაკრეფილი ყურძნის მოსაკავებლად და მერე გადააქვთ დიდ გოდრებში.

ლიტ.: სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

გოდორი//პიტაფიცარა (მეგრ.) — საცხოვრებელი სახლი სამეგრელოში, ჯარგვალის გაუმჯობესებული ტიპი. ასეთი საცხოვრისის კედლები აშენებულია მოკლე, გათლილი ფიცრებით. ესაა ერთი მოზრდილი ოთახი, რომელსაც აქვს მიწური იატაკი და გადახურულია ისლით (ან ყავრით). პიტაფიცარას არ უკეთდება ბუხარი და ფანჯარა. ჯარგვალიდან გოდორში საცხოვრებლად გადასვლა გლეხისთვის დიდ წარმატებად ითვლებოდა.

ლიტ.: ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 2006.

ე.ნ.



ლაფარნა



დამლა



გოზაური — დიდი ზომის საღვინე თიხის ჭურჭელი. ტერმინი გოზაური XVIII საუკუნეში გავრცელებული იყო მთელ საქართველოში. გოზაურის დამზადების კერად აღიარებულია კახეთი. დასაშვებია, ტერმინი „გოზაური" უკავშირდებოდეს ჭურჭლის გოზვა-შელესვას საღებავით, ჭიქურით.

გოზაური ძირითადად მრგვალპირიანია, გვხვდება ტუჩიან-პირიანიც. ხასიათდება მაღალი განიერი ყელით, ოვალური მუცლით; უმეტესად ძირსნორია, არის ქუსლიანიც, ბრტყელი, განიერი ყურით.

გოზაური უმეტესად მოჭიქულია, ხატავენ მწვანე თოგალით და აელებენ ფირუზისფერ და ნაცრისფერ ჭიქურში. გოზაურზე გამოსახავენ სხვადასხვა ფიგურებს, მცენარეულ და გეომეტრიულ ორნამენტებს. გოზაურის სხვადასხვა ვარიანტი დაცულია არა მარტო საქართველოს მუზეუმებში, არამედ ბაზელის, სანკტ-პეტერბურგის, ბაქოს, ერევნისა და დაღესტნის მუზეუმებში.

გოზაურმა, როგორც ორიგინალურმა და საინტერესო ჭურჭელმა, ჯერ კიდევ ადრეულ ხანაში მიიპყრო როგორც ქართველ, ასევე უცხო მეცნიერთა ყურადღება.

მ.ზ.

გოთურმა — ხმლის, ხანჯლის, თოფისა და მისთანათა ჩამოსაკიდი.

გომიჯი (ლეჩხ. რაჭ. აჭარ.) — მოგრძო, თხელი პური, ერთ მხარეს სქელი, თხელი პირით, სამეგრელოში ფეტვის მჭადს უწოდებენ.

გომური—საქონლის საზამთრო სადგომი (იხ. ბოსელი).

გონიო — ქვითხუროობაში ქვის კუთხეების სისწორეში გამომყვანი რკინის ან ხის იარაღი. გონიო სამგვარი მოყვანილობისაა, ბედგონიო — ბლაგვკუთხიანი, გონიო — მართკუთხიანი (სწორკუთხიანი) და გონიო — მახვილკუთხიანი.



ე.ნ.

გონჯა — ერთგვარი ტიპის თოჯინა, რომელიც ავდარის გამონვევის სარიტუალო მსვლელობისას კარდაკარ დაჰქონდათ და ღმერთს სასურველ ამინდს შესთხოვდნენ. აქედანაა ტერმინი გონჯაობა.

ე.ნ.

გორა — ღვინის საწყაო ფეოდალურ საქართველოში. ჩვეულებრივ გორა აინყვებოდა კოკით და ერთ კოკაში რამდენიმე გორა თავსდებოდა.

გორდა – ქართული ხმლის სახეობა, რომელზედაც გორდას დამღად ცნობილი ნიშანი იყო გამოსახული. დამღა წარმოადგენს — ორ ნახევარმთვარისებურ, ერთმანეთთან ზურგშექცეულ, დაკბილულ რკალს, შუაში ლათინური წარნერით: „**GENUA**". ეს დამღა როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია ცნობილი, თავდაპირველად ეკუთვნოდათ (XIII-XIV) გენიუს ქალაქ-სახელმწიფოს ხელოსნებს, ხოლო მოგვიანებით (XVI-XVII) მას ავსტრიელი ოსტატებიც იყენებდნენ, ისინი მიზანმიმართულად აღმოსავლეთისათვის მუშაობდნენ. საქართველოში გორდა ხმლები XIII-XIV სს-შივე იყო ცნობილი, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ გენუელ ვაჭრებს შუა საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე გახსნილი ჰქონდათ სავაჭრო ფაქტორიები და სხვადასხვა ნედლეულთან ერთად, ხმლის პირებითაც ვაჭრობდნენ. არსებობს მოსაზრება, რომ გენუელებმა საქართველოდან წაიღეს მაღალი ღირსების გორდა ხმალი და ამ დამღამ შემდგომ საერთო ევროპული აღიარება მოიპოვა, ამ მოსაზრებას ზურგს უმაგრებს ლეგენდა, რომ საქართველოში სოფ. გორდაში ცხოვრობდა ხელოსანი, რომელმაც გამოჭედა საუკეთესო ხმალი, რომელიც შემდეგ გორდა ხმლის სახელით

გახდა ცნობილი (ჩვენთან დღესაც არსებობს სოფ. გორდი, სახელი გორდა და გვარი გორდაძე).

სხვა ლეგენდით ორი ხმლის ოსტატი წაკამათებულან ერთმანეთთან, თუ ვისი ხმალი იყო საუკეთესო, პირველმა — ხმლის მაღალი ღირსების დასამტკიცებლად ცხვარი ერთი მოქნევით შუაზე გაკვეთა, მაგრამ მეორემ არ აღიარა იგი. გაცეცხლებულმა პირველმა მჭედელმა დაიღრიალა გურ-და (რაც ერთ-ერთ კავკასიურ დიალექტზე ნიშნავს „შეხედე") და შუაზე გაკვეთა თავის ხმლიანად „ურწმუნო" ოსტატი. ამ ფაქტის შემდეგ მოკლულის ნათესავებმა ადათის მიხედვით სისხლის აღება გადაწყვიტეს, მაგრამ უხუცესთა კრებამ სხვა განაჩენი გამოიტანა, მათ ვერ გაიმეტეს საუკეთესო ოსტატი სასიკვდილოდ და დაავალეს, რომ ყველა მოსისხლესათვის ასეთივე ხმალი დაემზადებინა. მჭედელმა შეასრულა თავის დავალება და თავის ადრინდელ დამღაზე, რომელზედაც გამოსახული იყო ზედა და ქვედა ყბა (სქემატურად ზურგშექცეული დაკბილული რკალები, ნიშნად იმისა რომ ხმალი ისე კვეთდა რკინას, როგორც კბილები ძვალს), გარშემო დაუმატა წერტილები, სიმბოლურად სისხლის წვეთები, იმის აღსანიშნავად, რომ ხმლები სისხლის საფასურს წარმოადგენდა.

საქართველოში არ მოგვეპოვება შუა საუკუნეების გორდა ხმლის პირები. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში კი დღესაც მოიძებნება ქართული და ევროპული გორდა ხმლები. მათი გარჩევა ერთმანეთისაგან ფოლადის ხარისხითა და მორთულობის დეკორით შეიძლება. გორდა ხმლის პირებს საქართველოში ხშირად ვადაჯვრიან, ტარებს უგებდნენ, მაგრამ ვხვდებით შაშკა(იხ) ხმლის, ანუ „ჭოლაური", „ლეკური" ხმლის ტარზეც. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ გვიანფეოდალურ საქართველოში ქართველი ოსტატები თავიანთ გამოჭედილ ფოლადის პირზე (რომლის რეცეპტიც საიდუმლოდ ინახებოდა და თაობიდან-თაობას გადაეცემოდა), ხშირად სვამდნენ იმ დროისთვის კავკასიაში პოპულარულ გორდას დამღებს. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მთელ კავკასიაში ხმარობდნენ ამ დამღას, ქართული გორდა ხმლები მაინც გამორჩეული და თვითმყოფადია თავისი მორთულობითა და ფოლადის ხარისხით.

ლიტ.: Э. Аствацатурян , ОРУЖИЕ НАРОДОВ КАВКАЗА, москва-пальчик 1995.

მ. ქ.

გორდი — ერთ ხეში ამოღებული ჭურჭელი. ცომეულის საზელად. გამოიყენებდნენ ქართლში.

გორსუმი (ლეჩხ.) — სოლისებური ლითონის იარაღი, რომლის ბოლო ოვალურადაა მოყვანილი, ამ იარაღს იყენებენ ვერცხლის ნაკეთობაზე „კაკლების" (მრგვალი წრეების) ამოსაყვანად.

ე. ნ.

გოჯი — უძველესი ქართული სიგრძის საზომი. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით ის წყრთის 1/16 ან ადლის 1/32 ნაწილია. მეტრულ სისტემაში შეადგენდა 3,165 სმ. შინაარსობრივად გოჯი წარმოადგენს მანძილს ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე. გოჯებით იზომებოდა სახენელი იარაღების ნაწილები, მიწის ხნულის სიღრმე, გოჯის შესატყვისად მოგვიანებით დასტურდება ვერშოკი. რაჭა-ლეჩხუმში გოჯი უდრიდა ორი თითის სიგანეს ან ცერის პირველ სახსრის სიგრძეს, 5,5 გოჯი შეადგენს ერთ მტკაველს.

ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973. ნ. ბრეგაძე, მთის მინათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, 1969.

მ.ხ.

გრე – დერციკების (იხ.) საზომი ერთეული, უდრიდა ნახევარ ვერშოკს.

გრეხილი — ოქრომჭედლობისათვის დამახასიათებელი ხერხია. მსგავსად ფერადი თვლებით შემკობისა, ლითონის ლითონითვე შემკობაც, ინკრუსტაციის სახესხვაობას წარმოადგენს, ამასთან, გარკვეული გემოვნების გამომხატველიცაა. ის ახასიათებს მაღალი ოქრომჭედლური კულტურის ხალხებს. ლითონის ორნამენტის დამზადების ეს წესი, როგორც არქეოლოგიური მასალა მონმობს, წინათ უფრო მაღალ დონეზე მდგარა. ქართულმა ოქრომჭედლობამ დღევანდლამდე მოიტანა ნივთის შემკობის ეს ხერხი.

მ.ბ.



გრდემლი — რკინის საყრდენი ლითონის გამოსაჭედად. არსებობს ორი ტიპისა — „ურქო" და „რქიანი", რომლებიც მრავალი ქვესახით არის წარმოდგენილი პირველი ტიპი უფრო ადრინდელად ითვლება და უახლოვდება უმარტივეს გრდემლს, რომელსაც ჭედური რკინის დამუშავებაში მადნის დასაფშვნელად იყენებდნენ და უკანასკნელ დრომდე შემოინახა.

ურქო გრდემლი წაკვეთილი პირამიდის ფორმისაა. ეიწრო თავით ჩამაგრებულია ხის კუნძში („ქალამანი"). მას „ქართული გრდემლიც" ეწოდება. რქიანი გრდემლი რამდენიმე სახისაა („ორრქიანი. „ცალრქიანი", „დუმიანი" და სხვ.). ე.წ. სამთავა გრდემლი თავმოხრილია, წინ ქიმით გამოიყენება წვეტიანი საგნების დამზადების დროს.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1953.

ა. გ.

გრივი — მასის საზომი ერთეული ძველ საქართველოში, გავრცელებული იყო მახლობელი აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში, ძირითადად გამოიყენებოდა მარცელეული კულტურების ასაწყველად. პირველად ეს ტერმინი გვხვდება გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში, შემდეგ ნიკორწმინდის სიგელში, „ვაჰანის ქვაბთა განგებაში", ზოგადი მონაცემებით გრივი ფუნქციონირებდა V-XIV საუკუნეებში. გვიანი პერიოდის ეთნოგრაფიულ ყოფაში არაა დადასტურებული.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002.



გუდა — ტყავის ჭურჭელი, ადრე მონადირეთა და მომთაბარე მესაქონლე ხალხების ერთ-ერთი ძირითადი ჭურჭელი იყო. ქართულ წყაროებში გუდა-ვაშკარანი ერთი მნიშვნელობითაა ნახმარი, „გაუჭრელად გაძრობილი ტყავი ხვასტაგთა შთასადებლად რისამე" (საბა).

საქართველოში გამოყენებული ტყავის ძირითადი ჭურჭელი იყო გუდა, რომელსაც ფუნქციის მიხედვით ჰქონდა სახელი შერქმეული. ბეწვს შიგნით ან გარეთ უტოვებდნენ, იმის მიხედვით, მკვრივ თუ თხიერ პროდუქტს მოათავსებდნენ გუდაში. პირველ შემთხვევაში ბეწვი შიგნიდან ჰქონდა გუდას, სითხის ჩასასხმელს ბეწვს გარეთ დაუნარჩუნებდნენ, საჭმელი პროდუქტებისათვის გამოყენებული იყო შემდეგი სახის გუდა: საჭამია გუდა, კალტის გუდა, ყველის გუდა, ერბოს გუდა. ყველის ხარისხის ჩამოყალიბებას დიდად უწყობდა ხელს ტყავ-გუდის ვარგისიანობა. გუდა კარგი გამოყვანილი უნდა იყოს, „ლეში" არ უნდა შერჩეს, რომ ყველს სუნი არ დაუტოვოს, ან არ გაამწაროს. გუდა იხმარებოდა ყაურმის შესანახადაც. გუდის თავისებურ ნაირსახეობას წარმოადგენდა საქონლის საშარდე ბუშტი, რომელსაც დაამუშავებდნენ და იყენებდნენ არყისა და ერბოს შესანახად.

გუდა საზომადაც იხმარებოდა: გუდა ყველი, გუდა ერბო და სხვ. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში სიპის ღუმელის მშენებლობისას გუდით მიაქვთ წებოვანი ლურჯი თიხა-მიწა. ფშაველი ქალი მაის-ივნისში ცხვარშიაც მიდიოდა, თუ პატარა ბავშვი ჰყავდა, გუდაში ჩასვამდა და თან გაიყოლებდა.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973. ს. მაკალათია, თუშეთი, 1933.

ნ.ჯ.

გუდანური (ფშ. ხევს.) — ტყავის საბანი. ყოფაში გავრცელებული, ზოგჯერ ქსოვილგადაკრულიც. ძველად საბნის ნაცვლად ხმარობდნენ. ასეთი ტიპის ტყავის საბნები ქართველ მეცხვარეებს ახლო წარსულამდე შემორჩათ.

გუდასტვირი//შტვირი(რაჭ.) **//თულუმი** (მესხ.)**//ჭიბონი**(აჭარ.) — წარმოადგენს გუდისა და ქარახსით (რქით) დაბოლოებული ორი პარალელური ლერწმისაგან (ან დიდგულასაგან) შემდგარ საკრავს.

რაჭული სტვირი შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან — გუდისა და რქისაგან. გუდა ცხვრისაა, ერთგან

დატანებული აქვს ხის პატარა მილი („ხრეკო"), რომლითაც ბერავს (ჰაერით ავსებს) ინსტრუმენტს და დაკვრის დაწყებამდე საცობით („პეპელა") ფარავს.



გუდაში ჩასმულია რქა (სტვირის ბუდე), რომელშიც ჩამაგრებულია ე.წ. დედნები // ლერწმები — თანაბარი სიგრძისა და სისქის ორი ლერწმის ან ხის მილი (მთქმელი // დამწყები და მოძახილი // მებანე). მებანეს უკეთდება სამი თვალი, დამწყებს — ექვსი. რქა (ყანწი) შემკულია ძეწკვებითა და ფერადი შუშის მძივით. გუდას ინახავენ შალითაში (ჩანთა // პერანგი). დაკვრის დროს შემსრულებელს საკრავი მარჯვენა იღლიის ქვეშ აქვს ამოდებული, ბგერას გამოსცემს გუდაზე მკლავის მოჭერით. საკრავი უჭირავს ორივე ხელით და თითების თვლებზე ცვლით გამოჰყავს მელოდია. გუდისათვის გამოყენებულია ცხვრის, თხის ან იშვიათად ხბოს ტყავი, რქად — ხარის ან ჯიხვის რქა. გუდასტვირის როგორც ჩასაბერი საკრავის პრინციპულ თავისებურებას წარმოადგენს, ერთი მხრივ, რეალური ორხმიანობის არსებობა, მეორე მხრივ, მექანიკური ჩამბერავის (გუდის) არსებობა. გუდასტვირი სათანხლებო საკრავია, გამოიყენება სოლოდაც. იგი მოხეტიალე მუსიკოსებთან იყო ასოცირებული, რომლებიც სტვირზე ამღერებდნენ ეპიკურ, ლირიკულ თუ სახუმარო ლექსებს. მესტვირეები მონაწილეობდნენ სახალხო სანახაობა „ბერიკაობაში".

საქართველოში ზოგან ორ ლულაზე გუდის გარეშეც უკრავდნენ. ორმაგი სალამური (ლერწმის ან ასკილის) ქართლში აქა-იქ დღესაც შეიძლება შეგეხვდეს. ამგვარი საკრავი გუდასტვირის ნინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს.

ლიტ.: ალ. მსხილაძე, ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან, 1969.

მ. შ.

გუერდი — უძველესი ქართული საწყაო. პირველად მოიხსენიება დაბადების ქართულ თარგმანში, როგორც ღვინის საზომი („ღვინო შესანირად მეოთხედი გუერდისა").

XV ს-დან მოყოლებული, ისტორიული საბუთების მიხედვით, გუერდი მოხსენიებულია როგორც ღვინის, ასევე მარცვლეულის საწყაოდ. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ძველ ქართულში ტერმინი გუერდი ნახევარს ნიშნავდა. ამ საწყაოს სიდიდედ მან კაბიწის ნახევარი მიიჩნია, რაც დაახლოებით 9 კგ მარცვლისა და ამავე რაოდენობის ლიტრი ღვინის დამტევი უნდა ყოფილიყო. გუერდმა ამგვარი სიდიდე მომდევნო საუკუნეებშიც შეინარჩუნა.

ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973.

მ.ხ.

გუთანი — საქართველოში გავრცელებული რთული სახვნელი იარაღი, რომლის ფუნქციას შეადგენს ხვნის პროცესში ღრმა და განიერი კვალის გაკეთება, ბელტის აჭრა, გადაბრუნება და დაფშვნა. გუთნის გამოყენების შედეგად ნიადაგის სტრუქტურა თხელდება, მცენარეულის ფესვები იშლება. გადაბრუნებულ ბელტზე კარგად მოქმედებს მზე და წვიმა. გუთანს ახასიათებს ასიმეტრიული აღნაგობა, იგი ცალმხრივი იარაღია, ცალფრთიანი, მართკუთხა სახნისით და არატოლფერდა თვლებით, მასში ებმის 8 და მეტი უღელი ხარ-კამეჩი. ძირითადად გამოიყენებოდა გრძელი მინდვრების (ტირიფონი, მუხნარი, ქარელი, კოდა, გარდაბანი, ნითელქალაქი, მცხეთა, თრიალეთი) სახნავად. გუთნით ღრმად მოხნულ ნათესს სინესტეს უნარჩუნებს და შეძლებისდაგვარად აცილებს გვალვის საშიშროებას. გუთანთან დაკავშირებულია კოოპერატიული შრომის ფორმები (იხ. მოდგამი). გუთნის ტიპის სახვნელები გავრცელებულია ამიერკავკასიაში და წინა აზიის ზოგიერთ ქვეყანაში ენის სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ სიტყვა „გუთანი" კავკასიური წარმოშობისაა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მისი ფონეტიკური სახეცვლილებანი საქართველოს ირგვლივ ტრიალებს და სავსებით დასაშვებია, რომ იგი საქართველოში იყოს წარმოშობილი.



ლიტ.: გ. ჩიტაია, გუთანი, შრომები, ტ.I, 1997.

ე. ნ.

გუიზი (სვ.) – საკრალური ხორბლის ფქვილი. ლენვის დროს გადაარჩევდნენ საუკეთესო პურის თავთავების კონას და აგრეთვე იმ მსხვილ თავთავებს, რომელიც ნანვერალში ჩარჩებოდა ხოლმე. დაფქვავდნენ და ცალკე კიდობანში შეინახავდნენ სხვადასხვა დღეობებზე ლემზირების გამოსაცხობად. ამ ფქვილისა და მისგან გამომცხვარი ლემზირების ნახვა და, მით უფრო, მათი შეჭმა, არავის შეეძლო ოჯახის წევრების გარდა. ხოლო ოჯახის წევრებიდანაც არ აჩვენებდნენ იმ პირებს, რომლებიც ახალი წლის წინა ღამეს ოჯახში არ ყოფილან და წეს-ჩვეულების შესრულებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ამგვარად, გუიზ-ი ასეთი სარიტუალო პურის საერთო სახელწოდება იყო და მას ემატებოდა ხოლმე იმ დღეობის ან ღვთაების სახელი, რომლისადმიც იყო განკუთვნილი. მაგ., ბარბლაში გუიზ-ი , ლამარია გუიზ-ი, ლამარია ტაბლაშ და სხვა.

ნ. ბ.

გულავშარა — ცხენის აკაზმულობის ნაწილი, აღვირის მეორე წყვილის ტოტებით მიამაგრებდნენ სამკერდულზე, იმ მიზნით, რომ ცხენს თავის მაღლა აგდება არ დაეწყო.

გულისპირი — აქ: ქალის ქართული კაბის ჩახსნილ ნაწილში ჩასაფენი. დასამზადებლად იყენებდნენ კაბისაგან განსხვავებულ, მაგრამ ფერითა და ხარისხით შეთანხმებულ მასალას. ხშირად იყო მოხმარებული ხავერდისა და აბრეშუმის ქსოვილები. ფერებიდან არჩევდნენ თეთრს, შვინდისფერს, ლურჯს და შავს. XIX საუკუნის ბოლოსათვის გამოყენებული ჩანს აგრეთვე ფაბრიკული, ყვავილებით მოჩითული ქსოვილებიც. კისერთან ზონრით დაკავშირებული, ყელთან მომდგარი და წელს მიტანებული გულისპირი გაფორმებული იყო ოქრომკედის ძაფით შესრულებული მცენარეული და სახეებიანი ნაქარგით. ზოგჯერ ნაქარგს მარტო ფერადი ძაფებითა და მძივებით ასრულებდნენ.

მოქარგულ სარტყელსა და სახელოებთან ერთად, გულისპირი, საქართველოში ფართოდ ცნობილი ქალის ჩასაცმელი კომპლექტის „ქართული კაბის" აუცილებელ ელემენტად ითვლებოდა.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა (ქალის ჩაცმულობა), ანალები, ტ. I. 1974.

ც. ბ.

გულსაფარა — თუში ქალის უბეზე ასაფარებელი გულისპირი. მასალად გამოიყენებოდა სხვადასხვა ფერის ქსოვილი — ქიშმირი, სატინა, რომელსაც წელსა და ყელზერ სამაგრად ზორტები ეკერა. ბავშვის ასაფარებელ ამგვარი ტიპის საგულეს „გულამბარი" ერქვა, ყელთან მინაოჭებული გულსაფარას ნაწილი უბის შიგნით იყო ჩაფენილი, ბოლო კი ზემოდან გადმოიფინებოდა. გულსაფარას დანიშნულება იყო ფარაგას მონაცვლეობა, ზოგჯერ კი მის დამცავ საშუალებას წარმოადგენდა სამუშაოთა შესრულებისას. იგი რამდენადმე ფარავდა ფეხმძიმე ქალის ორსულობას.



ლიტ-რა: გ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1993. ც. ბეზარაშვილი, თუში ქალის ტალავარი, კრ. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967.

ც. ბ.

გუმბათის ხატი — ხევსურული ფარის დეტალი, ოთხკუთხი ფორმის რკინის ფირფიტა, რომელიც დაკრულია ფარის ზედაპირზე (იხ.ფარი).

მ. ქ.

გუმური (მეგრ). — თიხის საცობი (ერთი მუჭის ზომის), რომელიც სათვალთვალოს, ანუ დუთქაშს (გამოსანვაე ქურას შენების დროს კედელში დაატანდნენ რამდენიმე სათვალთვალოს), უკეთდებოდა ჭურჭლის გამონვის პროცესში.

გუმური ისე უნდა მორგებოდა სათვალთვალოს, რომ ქურას „სასუნთქი დარჩენოდა". გუმური ეწოდებოდა აგრეთვე, მომრგვალებულ თიხის ნაჭერს, რომელიც იდება ქურაში ჩადგმულ ქვევრსა და ქურის კედელს

შორის, რათა კედელმა ქვევრი არ დააზიანოს.

გუმური მხოლოდ ერთჯერად გამოიყენებოდა, რადგან ჭურჭელთან ერთად გამომწვარი გუმური იმდენათ ვიწროვდებოდა, რომ მეორედ გამოყენებისათვის უვარგისი ხდებოდა.

ლიტ.: რ. თოდუა, სამეთუნეო ნაგებობანი სამეგრელოში. მსე, ტXX. 1979.

მ. ზ.

გურზი — დასარტყმელი იარაღი. ხის ან ლითონის ტარზე დამაგრებული ლითონისავე თავით, გურზის თავი შესაძლოა იყოს მრგვალი, ეკლებრივი ან ფრთიანი, არსებობს აგრეთვე ძროხისთავიანი გურზებიც, რომელსაც სულხან-საბა უბრალოდ „ძროხისთავიანს" უნოდებს. გურზი ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენამდე მეომრის შეიარაღების ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტს წარმოადგენდა. საქართველოში ყველაზე მეტად გავრცელებული იყო ფრთიანი გურზები, რომელნიც უკანასკნელ დრომდე შემორჩა ეთნოგრაფიულ ყოფაში.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991.

მ. ქ.

გურჩი (თუშ. ფშ. ხევს.) — ქვასანაყი.

გურჯინაი (ხევს.) — წნელისგან მრგვალად მოწნული, უპირო გოდორი, რომელიც გამოტენილია თივა-ჩალაბულათი. დღესასწაულის დროს გურჯინაის აიტანენ მაღალ ადგილას, წაუკიდებენ ცეცხლს და დააგორებენ დაბლა. ეს თამაშობა იმართება ბავშვების პატივსაცემად და გასართობად.

ე. ნ.

გუხუ (მგრ.) — ჭურზე აყალო მიწის დასაგოზი, ერთ ხეში გამოთლილი თავიანი კეტი, ფორმით განსხვავებულია იმერული კვეჟოსაგან, ფუნქციით კი ერთნაირი დანიშნულებისაა.



დედაბოძი



დედაბოძი



დედაბოძი





დიდი გუთანი

დაგასტაგი — ლეიბისა და ქვეშაგების ზოგადი სახელი ძველ საქართველოში. აკეთებდნენ ტყავისა და ნაჭრისაგან. უმთავრესად გატენილი იყო წმინდა თივით.

ე. ნ.

დაგალი//მეპატრაკე — მეტყავე, ტყავის დამამუშავებელი ხელოსანი. საქართველოს ეკონომიკურმა მდგომარეობამ და გეოგრაფიულმა გარემომ შექმნა მესაქონლეობის განვითარებისთვის საუკეთესო პირობები, რამაც ხელი შეუწყო დიდი რაოდენობით ტყავის დაგროვებას, აქედან გამომდინარე, მედაბღეობის მდიდარი ტრადიციის შექმნასა და წარმოჩინებას. მედაბღეობა გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა ქალაქში. თბილისი კი ამიერკავკასიის ქალაქებს შორის ძველთაგანვე გახდა მედაბღეობის წამყვანი ცენტრი. მედაბღეების ამქარი სხვა ამქართა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო. თბილისელი დაბღების მიერ დამზადებული ტყავი სრულიად აკმაყოფილებდა მეწაღეების, მეჩექმეების ქართული, აზიური, ევროპული ფეხსაცმლის მკერავთა, მეუნაგირეთა და სირაჯების მოთხოვნილებას.

ლიტ.: ნ. აბესაძე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, 1986. ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები, 1973.

ნ. ჯ.

დაბახანა — ადგილი, სადაც წარმოებდა ტყავის დამუშავება. საქართველოს დაბა-ქალაქებში თითქმის ყველგან იყო გამართული ტყავის დამუშავების ასეთი ცენტრები, მაგრამ საყოველთაო სახელი ჰქონდა მოხვეჭილი თბილისურ დაბახანებს, რომლებიც განლაგებული იყო გოგირდის ბუნებრივი თბილი წყლების სიახლოვეს, დღევანდელი აბანოების უბანში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე. დაბახანა წარმოადგენდა ნახევრადღია ფარდულის ტიპის ხის შენობას, რომელშიც დადგმული იყო ხის ან ქვის დიდი აუზები, სადაც ხდებოდა ტყავის დალბობა, დამუშავება და გამოყვანა.

ე.ნ.

დაგები — სახელდახელო ნაგებობა, რომელსაც რძის ნანარმის შესანახად რამდენიმე ოჯახი ერთად აგებდა მთაში.

დავითფერული — ქართული ვადაჯვრიანი ხმალი. არსებობს ამ ტერმინის წარმომავლობის სხვადასხვა ვარიანტები. ერთ-ერთი ვერსიით „დავითფერულის" ხმალს, დიდ ქართველ მეფეს დავით აღმაშენებელს უკავშირებენ. მეორე ვერსიით კი XVI საუკუნის იტალიელ მეიარაღე ოსტატებს, ძმებს ანდრეა (1530-1583) და ჯანდონატო (1560-იანი წლები) ფერარებს. ცნობილია, რომ ევროპული ხმლის პირები ძალზედ აქტიურად შემოდიოდა ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ანდრეა ფერარას დამღიანი (როგორც ორიგინალი, ასევე მინაბაძი) ქართული ხმლები, რომელიც ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, ქართულ ეთნორეალობაში ცნობილი იყო „დავითფერულის" სახელწოდებით.

ქართული „დავითფერული" ხმალი შედგება — ტარის, პირისა და ქარქაშისაგან. ოდნავ მოხრილი პირი დამზადებულია ფოლადისაგან, ერთღარიანია, ღარი მიუყვება ვადადან 15-20 სმ დაშორებით. პირის ერთ მხარეს გამოსახულია ლათინური ასოებით წარწერა „ფერარა" და მორბენალი მგელი, ხოლო მეორე მხარეს ასევე ლათინურად „ანდრეა" და ასევე მგელი. ტარი დამზადებულია ხისაგან და მასზე გადაკრულია ყვითელი ხავერდი, რომლის ზემოდანაც გადაჭიმულია სამი ვერცხლის სალტე და ვერცხლისავე „ვაშლი". ტარზე დაგებულია ოქროზარნიშით მორთული ლითონის ვადაჯვარი. ქარქაში დამზადებულია ხისაგან და ტარის შესაბამისად მასზეც გადაკრულია ყვითელი ხავერდი. ქარქაშზე მოცემულია ოქროზარნიშით მორთული ლითონის ორი სალტე და ბუნიკი. გარდა აღწერილი იარაღისა არსებობს აგრეთვე, ორ და სამღარიანი დავითფერულები, ნვერისკენ შედარებით გახრილები, ასევე მორთულობის სხვანაირი დეკორით და ა.შ.

ლიტ.: კ. ჩოლოყაშვილი, „დავით აღმაშენებლისდროინდელი საჭურელისათვის", ეურ. ჯვარი ეაზისა №2, 1989; Трубников Б.Г., ПОЛНАЯ ЭНЦИКЛОРЕДИЯ: ОРУЖИЕ, ВООРУЖЕНИЕ ВСХ ВРЕМЕН II НАРОДОВ.

მ.ქ. ლიტ.: ქელ. 2009.

დაზგა — ზოგადი სახელია სანახელაო და საოსტატო ხელობისათვის მისადაგებული სამუშაო მაგიდისა, რომელსაც აქვს უჯრები მასალისა და სახელოსნო იარაღის შესანახად. დაზგის განვითარებულ სახეობას წარმოადგენს მექანიკური დაზგები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი სპეციფიკურობით და წარმოადგენენ ერთგვარი ტიპის პრიმიტიულ მანქანას, რომლის მეშვეობითაც ხდება ნივთის დამზადება (მაგ., სახარატო, საქსოვი, საოქრომჭედლო და სხვ.).



ე. ნ.

დათვა-ბოყვა (აჭარ. გურ.) — ხალხური საკეტის ტიპი. იხმარება კარების, ნალიის, ბეღლისა და სხვათა დასაკეტად. აკეთებდნენ ხისგან, შედგება ოთხი ნაწილისგან: კბილები, გასაღები, ურდული და ფიცარი, რომელზედაც დამაგრებულია მთელი ეს მოწყობილობა. დათვა-ბოყვა კარების ამყოლზეა მიჭედილი. გასაღების ამოღებით, რომელიც გაყრილია კბილების ზევითა ნაწილისა და ურდულის შუა, ბოქლომი იკეტება, რადგან კბილები დაბლა ეშვება და თავის ბუდეებში ჩადის. გაღებისას კი ისევ გასაღების საშუალებით კბილები მაღლა აიწევა. საკეტის ასეთ ტიპს ანალოგები ეძებნება მახლობელი აღმოსავლეთის უძველეს კულტურაში.



ლიტ.: გ. ჩიტაია, აჭარული დათვა-ბოყვა, შრომები, ტ II, 2000.

ე. ნ.

დათხური (თუშ.) — ერთგვარი საჭმელია. თუშები უმარილო ხაჭოს ორიოდე დღე თბილ ადგილას შეინახავენ, რათა ჩახურდეს. შემდეგ ჩახურებულ ხაჭოს მარილს მოაყრიან, ტაფაზე ერბოს დაადნობენ, შიგ ჩაყრიან და მოადუღებენ. ერბო და ხაჭო კარგად რომ გაუჯდება ერთმანეთს, მარილს მოაყრიან, გადმოიღებენ და პურთან ერთად მიირთმევენ.

ნ. ჯ.

დაირა — დასარტყამი საკრავი. გავრცელებული იყო საქართველოს ბარში, თუშეთში, სამეგრელოსა და რაჭაში. სხვადასხვა რეგიონში საკრავებს შორის განსხვავება არ არის.

საკრავი წარმოადგენს რკალს, რომელსაც ცალ მხარეს გადაკრული აქვს თხელი მემბრანა (ცხვრის ტყავი). რკალზე შიგნიდან დამაგრებულია საჩხარუნებლები — ეჟვნები, ლითონის რგოლები, პატარა ფირფიტები. რკალი ინკუსტრირებულია სადაფით, თეთრი ან შავი ძვლით. დაკვრის დროს საკრავი შემსრულებელს უჭირავს ორივე ხელით. მემბრანას ეხებიან ცერების გარდა ყველა თითით მემბრანის ცენტრსა და ნაპირებში. ზოგჯერ მაჯასაც იშველიებენ, საკრავს დააქნევენ და აჟღარუნებენ.

დაირა ქალების საკრავად ითვლება, რადგან მასზე შემსრულებლები ქალები იყვნენ. ზოგჯერ მოდაირე ერთდროულად უკრავს და ცეკვავს.

შემსრულებლებს დაირა უჭირავს ორივე ხელით. დახელოვნებული შემსრულებელი ახერხებს ხელის დარტყმას, აჟღარუნებას, მაჯის რკალზე მირტყმასა და ჰაერში შეთამაშებასაც.

დაირა არის როგორც სოლო საკრავი, ასევე გამოიყენებენ ანსამბლში ლარჭემთან (სამეგრ.) და ფანდურთან (კახ.) ერთად. მაგრამ აღმოსავლური ანსამბლისათვის კი (დასტა) აუცილებელი თანმხლებია. ქართულ წერილობით წყაროებში ამ საკრავს დაფი ეწოდება. დაირის ფუნქცია არის ცეკვის თანხლება, მისი რიტმის ხაზგასმა.

ვ. ვ.

დალაი //დალი (ხევი) — (აქ.) მანოვარა. თუ ბავშვს დედის რძე არ ყოფნიდა, მაშინ ძროხის რძეს უმატებდნენ, რასაც მანოვარას საშუალებით ახერხებდნენ. დალაი წარმოადგენს ძროხის გამხმარ ძუძუს, რომელიც წამოცმულია გახვრეტილი ყანნის ბოლოზე.

ლიტ.: ე. მაჭავარიანი, ბავშვის მოვლა-აღზრდის წესები მთიულეთში, სმმ XIX-A 1951.

ნ.ჯ.

დამბაჩა — ცეცხლსასროლი იარაღი. დამბაჩა ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ისტორიაში ადგილს იმკვიდრებს XVI ს-დან, მაშინ როცა ხმარებაში შემოვიდა ე.წ. კაჟიანი ჩახმახები, რამაც საშუალება მისცა იარაღის კონსტრუქტორებს თოფის ზომების ისე შემცირება, რომ გასროლა ერთი ხელით ყოფილიყო შესაძლებელი.



კაჟიანი დამბაჩების პერიოდში (XVI-XIX), სხვადასხვა კონსტრუქციულ ვარიანტებთან ერთად (ერთჩახმახიანი და ოთხლულიანი) იქმნებოდა აგრეთვე კომბინირებული დამბაჩები დანებთან და ხმლებთან ერთად.

ქართული კაჟიანი დამბაჩების ადგილობრივი წარმოება, ისევე როგორც კავკასიაში, დაიწყო XVIII ს-დან. კავკასიაში ცეცხლსასროლი იარაღის დამამზადებელ ცენტრებს ძირითადად წარმოადგენდა საქართველო, დაღესტანი და ჩერქეზეთი. ხოლო კონკრეტულად საქართველოში ყველაზე დიდი პოპულარობით თბილისური, ახალციხური და აჭარული დამბაჩა — „მაჭახელა" სარგებლობდა. ამ დამბაჩების განმასხვავებელი ნიშნები დეტალების ფორმებში მოიძებნება, ხოლო ტიპოლოგიურად ისინი ერთ კავკასიურ ტიპს მიეკუთვნებიან.

ლიტ.: მ. ქაფიანიძე, XV-XIX სს. ცეცხლსასროლი იარაღი (საქ. სახ. მუზეუმის იარაღის ფონდში დაცული მასალების მიხედვით), სამაგისტრო ნაშრომი, 2000 .А. В. Жук, энциклопедия стрелкового оружия, 1998г. Э. Аствацатурян, оружие народов кавказа. Москва 1995.

მ. ქ.

დამკვრელთა ამქარი — მუსიკოსთა ამქარი ისეთივე ორგანიზაცია იყო, როგორც ხელოსანთა. ამქარს ჰყავდა თავისი უსტაბაში. ის ანარმოებდა შეგირდის ოსტატად კურთხევას, ამქრობის//საღვთოს მოწყობას. სნავლის კურსის დასრულების შემდეგ შეგირდი ოსტატად უნდა დალოცვილიყო. ოსტატად კურთხევის ცერემონიალზე, ჩვეულებრივ, წინ ბაირაღი მიჰქონდათ, რომელსაც დასტით ან ზურნით მთელი ამქარი მიყვებოდა. თბილისში, ორთაჭალის ბაღებში, იმართებოდა წვეულება, რომელიც რამდენიმე დღე გრძელდებოდა. პირველ დღეს საღამომდე იქეიფებდნენ, საღამოს კი მთელი ამქარი ზურნით სიონის ქუჩამდე მივიდოდა და დაიშლებოდა.

ლიტ.: ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოპემა, თხზულებათ სრული კრებ. ტ. III. 1963. მ. შილაკაძე, ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციები და თანამედროვეობა, 1988.

მ.შ.

დამძმარი — შესანვავად შენახული ხორცი, რომელსაც მოაყრიან მარილს და ქილა//ქოთანში ჩადებენ (რბილი, სახინკლე, სამწვადე). ინახება თავისივე წვენში. განსაკუთრებით გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთაში. ხორცი მოჭიქულ ქოთანში უნდა შენახულიყო. წვენი რომ არ შეიშროს, ქოთანს ზედ ცხვრის ტყავი ან ფაშვი აფარია, სარქველად კი სიპი ადევს, უფრო ჰერმეტულად რომ იყოს დახურული.

ნ. ჯ.

დანა — საშუალო ან მცირე ზომის მჭრელი იარაღია. როგორც წესი, მხოლოდ ცალი მხარე აქვს ბასრი, მაგრამ ზოგჯერ ყუაც აქვს წვერთან ალესილი. დანა შეიძლება იყოს სწორი ან მოხრილი, წელსაკიდი ან ჯიბის დასაკეცი. ძირითადად ყოველდღიურ ყოფაში იხმარება.

ძველად დანას ადამიანი ისე ხშირად იყენებდა, რომ იგი სხვადასხვა ხალხის ტრადიციული სამოსის ნაწილად იქცა. ყველა ერს თავისი გემოვნების, ცოდნისა და საჭიროების შესაფერისი დანა შეუქმნია. ასეთ დანებს ეთნოდანებს უწოდებენ.

ქართველი მუდამ ომის მოლოდინში იყო, ამიტომ წელზე განუყრელად საბრძოლო ხანჯალი (სატევარი) ერტყა, მაგრამ ყოველდღიურ საქმეებში მას ვერ გამოიყენებდა და დანას ხმარობდა. საამისოდ ხანჯლის ქარქაშს საგანგებო ბუდე ჰქონდა, სადაც ვიწრო დანა — „ხანჯლის შვილა" ინახებოდა. ბოლო დრომდე შემორჩა ვაზის სასხლავი დანა — „სასხლევი" ან „სავაზე", დასაკეცი ჯიბის დანა, ჯაყვა — „ციღვი", აჭარული დანა და სხვ. დღემდე თბილისსა და საქართველოს ზოგიერთ კუთხეში კეთდება სნორი, წელსაკიდი ქართული დანა. საბას განმარტებით, დანა „არს უდიდესი ყოველთა ხორცისა მოსათლელი, დანაკი — უმცრო მისსა და ზომიერი", ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით დანა XII ს-მდე საომარი იარაღი ყოფილა, „ეხლა დანას არავინ არ იხმარს საომრად." ქართული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, დამოწმებულია დანების შემდეგი ნაირსახეობა: ბაბასყამა, საყუნელი, ციღვი, წანდელი, ჭიტადანა, დანაკი, ხანჯლიშვილა, გადიხვადი, რაჭული, ურსა, ბებუთი, მეგრული სასროლი დანა — ბოლოფუნჯა, აჭარული, შალთი, სათული, სათირი, გიორგაძის დანა და სხვა.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, ტ. III-IV 1962. სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ, I, 1991. ი. ბაქრაძე, დანა, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

მ. ქ.

დანა საორხელო — შედგება ორი ნანილისაგან: ხის სახელურებისა და მოხრილი რკინის ტანისაგან. გამოიყენებოდა ხის კანის გასახდელად, სოლების სათლელად.

გ. გ.

დანა სასხლავი — ვენახის სასხლავი ნამგალივით ფართოპირიანი და ტანში გახრილი, უძველესი სავენახე იარაღი. უამრავი ნიმუშია აღმოჩენილი სასხლავი დანებისა არქეოლოგიურ ძეგლებზე, რაც დასტურია ვაზის კულტურის მაღალგანვითარებულობისა.

ე. ნ.

დანდაზი//ფარდები//შაბაქა — სახლის აივნის ბოძებს შორის მოთავსებული ხერხით დაჭრელებული ხის ფიცარი. აივნის მორთულობა.

დარაბა — ხის ფიცრებისაგან შეკრული საფარი, რომელიც ეფარება ფანჯრებსა და კარებს ავდრიანობისას.

დარაია(დას.საქ.)//**თავთა//მერდინი** (კახ.) — აბრეშუმის თხელი ქსოვილი. იქსოვებოდა ორ ან ოთხ დგიმიან ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგაზე — საფეიქროზე. ქსოვილის ქსელისთვის გამოყენებული იყო გასანთლული ან გახამებული შულოები, საზედაოსთვის ნაცარწმენდში ან საპონში გამოხარშული ძაფი. ძირითადად იყო სადა თეთრი ფერის. იქსოვებოდა ასევე სახიანი — კუბოკრული//ფუთური//ჭადრაკული (დას. საქ.), უჯრედებიანი (კახ.), ზოლებიანი. დარაიას მოქსოვა ძაფის სათვალავზე იყო დამოკიდებული, რაც დაქსელვის დროს გამოიანგარიშებოდა.

მოქსოვილი დარაია საგანგებოდ გამოიხარშებოდა. დარაია//თავთას ხმარობდნენ მამაკაცის პერანგის, ახალუხის, ყაბალახისათვის; დასავლეთ საქართველოში ქალის თავსაფრებად და საკაბედ. დარაიას ფართოდ იყენებდნენ ყოფაში — საბნის პირებისათვის. მას მზითევშიც ატანდნენ.

ლიტ.: ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957.

ლ. მ.

დარანი//მაღარაი (სამცხ. ჯავახ.) — მიწისქვეშა დასახლება, ერთგვარი თავდასაცავი კომპლექსი მიწის ქვეშ. დარანში იყო ადამიანის საცხოვრებელი, სამეურნეო დანიშნულების სათავსები, საქონლის



დიდი მანდილი



ამქრის დროშა

საბძელ-ბოსლები, რომლებიც გვირაბებით უკავშირდებოდა ერთმანეთს. დარნები დაყოფილი იყო უბნებად, გაყვანილი ჰქონდათ წყალი და ომიანობისას ასეთი დასახლება იქცეოდა ადამიანთა თავშესაფრად, რომელიც შეუმჩნეველი იყო მტრისათვის. დარანების საუკეთესო ნიმუშები დასტურდება სოფლებში: ჭობარეთში, ხიზაბავრაში, დამალაში, იდუმალასა და ჩამძვრალაში, რომელთაგან სამი უკანასკნელის ტოპონიმი უშუალოდ გამოხატავს ასეთი დასახლების ხასიათს. დარნები აგებული იყო ლოდოვნებით და იკეტებოდნენ ქვის დიდი კარებებით. ამ ტიპის დასახლებანი სამცხე-ჯავახეთში XVI ს. თურქმანთა ინტენსიური შემოსევების დროს უნდა გავრცელებულიყო.

ლიტ.: თ. ჩიქოვანი, იდუმალა, 1975.

ე. ნ.

დარბაზი — იხ. სახლი ერდოგვირგვინიანი.



დარბაზი//დარბასი — აქ: ხატის კარის კომპლექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკულტო ნაგებობა საქართველოს მთიანეთში. ესაა „ხელოსნების", „ხევისბერების", „დეკანოზების" სამყოფი შენობა, აგებული ქვისაგან, გადახურული სიპებით. გარდა ჩამოთვლილი პირებისა, დარბაზში შესვლა სხვებს აკრძალული ჰქონდათ. ზოგჯერ დარბაზში ინახებოდა ხატის ჭურჭელი. დარბასში გამოიტანენ საკულტო დროშას და დაილოცებიან.

ლიტ.: ალ. ოჩიაური., ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1988.

ე. ნ.

დარიჯა — საოქრომჭედლო იარაღი. შედგება ლითონის თანატოლი ორი ჩარჩოსგან, რომლებთაც გვერდებზე და ძირში აქვთ პირსაკიდები, ხოლო თავში ყელი და რიჯა. გამოიყენებოდა ქამრის, ხმლის, ხანჯლის, დამბაჩისა და ვერცხლის სხვადასხვა დეტალის დასამრგვალებლად.

დარიჯი//ბაქანი//საქვე//დუქანი//ოროკო – ტერასების აღსანიშნავი ტერმინები მესხეთში. ეთნოგრაფიული მასალებით შესაძლებელი ხდება ამ ტერმინების შინაარსობრივი და ფუნქციონალური კონკრეტიზაცია. მაგ., დარიჯები ძირითადად განლაგებულია მდინარეთა დინების გაყოლებით, ზომიერი დახრილობის ფერდობზე, ნაყოფიერ ნიადაგებზე და მათი ფართობი ბევრად აღემატება საქვეს ფართობს. საქვე უფრო მაღალი ექსპოზიციის ადგილებშია მოწყობილი, მისი ნიადაგი ნაკლებნოყიერია, სჭირდება ქვებისგან გაწმენდა და განოყიერება, საქვე მრავალიარუსიანი ნაგებობაა. დუქანი და ოროკო კი ერთი ან ორტერასიანი ფართობია.

ტერასები შენდებოდა მიწის გამოთხრით — ფერდობის გამოკაფვით, სადაც შემდეგ იგებოდა ქვის კედლები, რომლის სიმაღლეს განსაზღვრავდა ფერდობთა დახრილობა. აშენების შემდეგ ხდებოდა ფართობის გასუფთავება, გაწმენდა, მოსწორება-განოყიერება. ტერასული ნაკვეთების ექსპლუატაციისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მორწყვას. თუ მას ბუნებრივად მომდინარე წყალი არ უდგებოდა მაშინ აქტიურად იყენებდნენ წყარო-ნაკადულებს, რომლებიც ერთი ტერასიდან გადიოდა დანარჩენებზე. ტერასებზე ძირითადად გაშენებული იყო ვაზი და ხეხილი.

ლიტ.: ლ. ბერიაშვილი, ნიადაგის ათვისებისა და დაცვის ტრადიციები საქართველოში, 1989.

ე.ნ.

დასტა — 1. აღმოსავლური ჩასაბერი საკრავების ანსამბლი. შემადგენლობა: ორი ზურნა ან ორი დუდუკი და ერთი დოლი. პირველი მეზურნე — უსტა (ოსტატი) ასრულებს მელოდიას, მეორე მეზურნე — დამქაში მიჰყვება მას გაბმული ბანით. მედოლე მომღერალიცაა. დასტის რეპერტუარი მრავალფეროვანია. ასრულებენ უმთავრესად საყოფაცხოვრებო, ლირიკულ-სატრფიალო, სალაღობო, საცეკვაო მუსიკას.

დასტა საქართველოში აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოვიდა XVII ს-დან. იგი ყარაჩოხელებისა და ქართველი არისტოკრატიის დროსტარების თანმხლები იყო. დასტის რეპერტუარი თბილისში განვითარდა და გამდიდრდა. დასტამ განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა XX ს-ის 30-იან წლებში, როდესაც მომღერალმა ანა ვარდიაშვილმა მედუდუკეთა ტრადიციულ დუეტს მესამე დუდუკი დაუმატა. ამიერიდან დუდუკზე დაინყო სამხმიანი ქართული სიმღერების შესრულება და დიდი პოპულარობაც მოიპოვა. ამგვარად „გაქართულდა" დუდუკი.

თბილისში (და ყველგან სადაც დასტის ტრადიცია გავრცელდა) ქორწილის დაწყება, „მეფის" მოსვლა აუცილებლად ზურნის დაკვრით უნდა აღნიშნულიყო. ღამით, ქორწილის დროს, ზურნას აღარ უკრავდნენ, მაგრამ დილით ზურნაზე „დილის საარი" აუცილებლად უნდა შესრულებულიყო. ზურნაზე საგანგებო ჰანგი „საქორწილო" სრულდებოდა პატარძლის ოჯახში მზითევის გადატანის დროს.

დასტის აუცილებელი მონაწილეობა დასტურდება თბილისისა და შიდა ქართლის ზოგიერთ სოფელში (ცხინვალში, ლიახვის ხეობაში) ქორწილის მეორე დღეს „მეფისა" და მისი მაყრიონის მსვლელობაში ნინაპართა საფლავზე საგანგებო ჰანგის („სამგზავრო") დაკვრით. „მეფეს" იქ უნდა ეცეკვა, ზოგჯერ ჭიდაობაც იმართებოდა. ამ დროს საცეკვაო და საჭიდაო უნდა შესრულებულიყო. უკან დაბრუნებისასა ისევ საცეკვაო იკვრებოდა.

დასტა გამოიყენება მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ ნეს-ჩვეულებებში. თბილისში იცოდნენ პანაშვიდზე „დამკვრელების" — დასტის (უმეტესწილად მეზურნეების) მიწვევა. ამისათვის არსებობს საგანგებო რეპერტუარი („მკვდარზე რასაც იმღერებდნენ, იმას ქეიფში არ მღეროდნენ, იმას თავისი სიმღერა აქვს"). ცხედრის მინად მიბარების შემდეგ სრულდება საგანგებო სამგლოვიარო ჰანგი — მასრაფი. თბილისურ ქორწილში მესაკრავეთა მონაწილეობა მოწმდება ჟ. შარდენის ცნობითაც.

2. ერთად აღებული ხუთი საპირე ტყავის სახელწოდება.

მ.ბ

დასტაგი//დაგი//ლადგი (სვ.) **ბიქილა** (რაჭ.) — 1. პურის საბეჭდავი ხის ნივთი. განსაკუთრებით კარგადაა შესწავლილი სვანეთის მასალების მიხედვით, სადაც ლადგის ხმარობდნენ სარიტუალო სეფისკვერის დასაბეჭდავად. პირველად ასეთი ნივთი შეუსწავლია და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისთვის 1909 წელს გადმოუცია თავად თ. დადეშქელიანს. დასტაგს სვანეთში სხვანაირად საჭვრეთსა და ბეჭდარსაც უწოდებდნენ.

ზოგადად ასეთი საბეჭდავები უძველესიდანაა ცნობილი მსოფლიოს ბევრ ხალხში. საქართველოში საწესო პურების დაჭვრეთა//დაბეჭდვა ნესად იყო მიღებული და მას მაგიურ — აპოთროპეული დანიშნულება გააჩნდა. არსებობს მოსაზრება, რომ ქრისტიანობის განმტკიცების შემდგომ, საბეჭდავის ჩამოყალიბებაზე, გარკვეული როლი ითამაშა ქრისტიანული ლიტურგიის პრაქტიკამ და ამ ნივთის ხანგრძლივი გამოყენება გამოიწვია ტრადიციულ ყოფაში საეკლესიო სწავლების გახალხურებამ.

2. წისქვილის ღარში ჩასადები მოგრძო და ოთხკუთხა ფიცარი წყლის გადასაგდებად, მაშინ როცა წისქვილის გაჩერება სურთ.

ლიტ.: რ. გუჯეჯიანი, ერთი ეთნოგრაფიული ნივთის შესახებ, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ III,2007.

ე.ნ

დასტაკილი — დამუშავებული ჩვილი თიხა, ჭურჭლის კედლის ანაფხეკი, რომელსაც მეჭურჭლეები ჭურჭლის დამზადების დროს აგროვებენ. ანაფხეკს ძირითადად ჭურჭლის ყურისათვის ხმარობენ, რადგანაც მაგრად დაზელილი საჭურჭლე თიხა ყურისათვის არ გამოდგება.

ლიტ.: ლ.ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, 1949.

მ. ზ.

დატეხილი კაბა (აჭარ.) — ქალის შიდა სამოსელი, რომელიც ზუბუნ-ფარაგას პარალელურად

მოიხმარებოდა. მასალად იყენებდნენ ნაზ ქსოვილებს — ყანაოზსა და ყუმაშს. ფერებიდან არჩევდნენ წითელს, მწვანეს, ყვითელსა და ალისფერს. მთლიანი კაბისაგან განსხვავებით, დატეხილი კაბა ორი ნანილისაგან (წელზედა და წელქვეშა) შედგებოდა. სატანი სამნაჭრიანია, რომელსაც სარჩული სჭირდება. ქვედატანს ბოლოზე შემოჰყვება ოქროსფერი არშია, რომელიც კალთის სიფართეს ორჯერ აღემატება. არშია გვიანაა შემოსული ქვ. აჭარიდან და მას ზოგჯერ ბარულსაც უწოდებენ. კაბა გრძელია და ნაოჭიანი, წელის არეში დატანებული აქვს ფარული ჯიბეები. ჩახსნილი გულისპირი ღილებით იკვრება. წესად იყო მიღებული გულისპირის, საყელოსა და სამაჯეების სხვადასხვა ფერის ძაფით შემკობა. საპატარძლო კაბაზე ოქრომკედიც ბევრი იხარჯებოდა და ქსოვილიც. ამასთანავე, კაბის სახელოს ფორმა განსხვავდებოდა ჩვეულებრივი კაბის სახელოსაგან. იგი ნაოჭებიანი და ქალის ხელის მტევნის ზურგს ფარავდა.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათ. 2005.

ც.ბ.

დაფარნა — „სიწმიდის საფარებელი" (საბა). საგანგებოდ გამოჭრილი და შეკერილი გადასაფარებელი. დაფარნა სამია: ერთი დიდი და ორი —პატარა. დიდი კვადრატის ან მართკუთხედის ფორმისაა, პატარები—ჯვრის ფორმის. პატარა დაფარნებით ცალ-ცალკე ბურავენ ბარძიმსა და ფეშხუმს, ხოლო დიდით —ორივეს ერთად.

საღმრთო ლიტურგიის დამკვიდრებისთანავე ხმარებაში პირველად პატარა დაფარნები შემოვიდა, რომლებსაც XIX საუკუნემდე ოთხკუთხა ფორმა ჰქონდა, რომ უფლის წმიდა სისხლი და წმიდა ხორცი დაცული ყოფილიყო. მესამე, დიდი დაფარნა (იგივე პერექელი) V საუკუნიდანაა ხმარებაში და მისი დამკვიდრება ღვთისმსახურებაში წმ. საბა განწმედელს უკავშირდება.

პირველად ტერმინი „დაფარნა" მოხსენიებული აქვს წმ. იოანე მმარხველს (VI ს). იგი მას ქრისტეს „საფლავის საბეჭდავს" უწოდებს. წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელი აღწერს რა ლიტურგიას, დაფარნის შესახებ ამბობს, რომ ისინი ისე ფარავენ ფეშხუმსა და ბარძიმში მოთავსებულ წმიდა ნაწილებს, როგორც ჰაერი დედამიწას.

ქართველები დიდ დაფარნას „ცაი"-ს უწოდებდნენ. სვიმეონ თესალონიკელი მას იმ ლოდის სიმბოლოდ მიიჩნევს, რომელიც ქრისტეს საფლავს მიაფარეს.

XVII საუკუნემდე დაფარნისა და გარდამოხსნის (იხ.) ფუნქცია გაყოფილი არ იყო და გარეგნულადაც ისინი არ განირჩეოდა ერთმანეთისაგან როგორც ზომით, ისე მათზე ამოქარგული იკონოგრაფიული სიუჟეტითაც და ერთმანეთის ფუნქციას ასრულებდნენ. ორივეზე კლასიკური ფორმის „დატირების" კომპოზიცია დომინირებდა. XVI საუკუნიდან დაფარნა და გარდამოხსნა ნელ-ნელა ემიჯნება ერთმანეთს. გარდამოხსნაზე დარჩა დატირების კომპოზიცია, ხოლო დიდ დაფარნებზე ჯერ ჯვრები დაჩნდა, ხოლო შემდეგ მისი სახე დაიხვენა და შემოვიდა შემდეგი სიუჟეტები: „ნუ მტირ მე დედაო", „კუბოთდება", „დიდისა ზრახვისა ანგელოზი".

ლიტურგიის პირველ ნაწილში, კვეთის დროს, როცა ხდება პურისა და ღვინის საზიარებლად შემზადება, დაფარნები იმ სახვევების სიმბოლური სახეა, რომლებშიც ღვთისმშობელმა ახალშობილი მაცხოვარი შეახვია და ბაგაზე მიაწვინა, დიდი დაფარნა კი ის ქსოვილია, რომელშიც ჯვრიდან გარდამოხსნილი მაცხოვრის სხეული წაგრაგნეს.

ნირვის მეორე ნაწილში, კათაკმეველთა ლიტურგიისას, დაფარნათა ხმარება შეჩერებულია.

ნირვის მესამე ნაწილში (მართალთა ლიტურგია), დიდი გამოსვლის დროს, ფეშხუმის დაფარნა ნიშნავს სუდარას, რომელშიც მაცხოვარი შეახვიეს, ბარძიმის დაფარნა-არდაგს, რითაც მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოხსნილი სხეული შეგრაგნეს. დიდი დაფარნა კი ის ლოდია, რითაც მაცხოვრის საფლავი დაბეჭდეს. „მრწამსის" გალობისას ბარძიმ-ფეშხუმის თავზე მღვდლის დიდი დაფარნის რხევა სულიწმიდის ძალისა და მადლის ფრქვევას და მაცხოვრის აღდგომას მოასწავებს.

თითოეული დაფარნის ხმარებისას ლიტურგიაზე მღვდლის მიერ განსხვავებული ლოცვები წარმოითქმება.

საქართველოში არსებობდა უძველესი ტრადიცია დაფარნების შეწირვისა ეკლესია-მონასტრებისათვის. როგორც ამ მდიდრულად შემკული დაფარნების წარწერები გვამცნობენ: ისინი „ცოდვილი სულის საოხად",

„ორსავე შიგან ცხოვრებასა წარმართებისათვის“ ან „ძეთა და ასულთა აღსაზრდელად“ გაუკეთებიათ. ქართული დაფარნები ქარგულობის უბრწყინვალეს ნიმუშს წარმოადგენენ.

ხ. ც.

დაღი//დამღა — ერთგვარი ნიშანი, რომელიც ამოიტვიფრებოდა ან ამოიწვებოდა რაიმე ნივთზე ან ცხოველზე მისი პატრონის საკუთრების ნიშნად.



ცხენის დადაღვა ფართოდ იყო გავრცელებული სამეგრელოში, როგორც ცხენის ქურდობის საწინააღმდეგო საშუალება. მაღალი წოდების წარმომადგენლებს, თითოეულ თავადს ან აზნაურს თავისი საკუთარი დაღი ჰქონდა შემუშავებული. ცხენს დაღავდნენ როცა ორი წლისა გახდებოდა. სამეგრელოში დადაღვამდე ცხენს ამოჭრიდნენ სარსესა და სახოპს. სარსე — ესაა წერტილოვანი ძვალი ცხვირში, რომელიც ცხენს ძოვას უშლის, სახოპი კი არის სასის ქვემოთ ზედმეტი ღრძილი. შემდეგ ცხენს ააჭრიან კუდის თავზე ე.წ. „ძვარეს“, რომელიც ქავილს იწვევს და ცხენს არ ასვენებს. შემდეგ ცხენს დადაღავენ მარცხენა მხრიდან, იქიდან საიდანაც ჯდებიან. მდაღველი, რომელიც გამოცდილი სპეციალისტი უნდა იყოს ამ საქმისა, აიღებს დაღის ნიშნიან გახურებულ შანთს და ამოუწვავს ტყავს ცხოველს, შემდეგ დადაღულზე ძროხის ქონს წაუსვამენ. იმის გამო, რომ ქურდები ხშირად ახერხებდნენ დაღების გადაკეთებას, მეპატრონეები ცდილობდნენ ძნელად გადასაკეთებელი დაღები შეერჩიათ, ზოგჯერ ამავე მიზნით ერთ ცხენს ორ-სამ დაღსაც უკეთებდნენ.

ლიტ.: ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 2006.

ე. ნ.

დაშნა – 1. „მოკლე ხმალი, მოკლე საკიდარი“(საბა). დაშნა წარმოადგენს მოკლე, ცალლესურ ხმალს, რომელიც ხანჯალზე დიდია, ხოლო ხმალზე პატარა. დაშნა ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, ხევსურეთში. ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ხევსურები ხმალ-ხანჯალთან ერთად ხმარობდნენ აგრეთვე „ხმალ-დაშნას“, რომელსაც სახელოში ან ზურგზე ტანსაცმლის ქვემოდან შეფარულად ატარებდნენ. ე.ი. „ხმალ-დაშნა“ მალული იარაღია, იგი გამოიყენებოდა, მაგ., შუღლის დროს, იმ შემთხვევაში, როდესაც ხევსურს სხვა იარაღი არ ჰქონდა, მაგალითად სტუმრობის დროს, როდესაც წესის მიხედვით იარაღს მასპინძელი ჩამოართმევდა, ის დაშნის, უბისფარისა და საცერულების ამარა რჩებოდა.

2. ყავრის გამოსახდელი ხმლისებური იარაღი.

ლიტ.: В. И. ЭЛАШВИЛИ. 'Парцкаоба ' 1956. *სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991.*

მ. ქ.

დაჯდა ხელადა — თიხის საღვინე ჭურჭელი. გამოიყენება წყლის მოსატანადაც. იტევს 3-4 ლიტრს. მისი დამზადება მხოლოდ კახეთში სოფ. ბოდბისხევშია დადასტურებული მეჭურჭლე მეკოკიშვილის მიერ. ჭურჭელს სახელწოდება შეერქვა ფორმა-აღნაგობის მიხედვით. ხასიათდება არაჩვეულებრივი სიფართოვის ძირით, განიერი მუცლით, პატარა ტუჩით. იგი მკვიდრად დგება მყარ ზედაპირზე და დაჯდა ხელადაც ამიტომ ჰქვია.

მ. ზ.

დგიმი//ზინგი (სამეგრ.)//**ლელჯშარ** (სვ.) – ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის („საქსელე“, „სამექსლეო“, „საფეიქრო“, „ოშუალე“, „ლაჯშარ“) ელემენტი. ქსლის გამყოფი და საზედაოს გასავლები. დგიმი მოქსოვილი იყო კედის (კანაფი), ბამბის ან აბრეშუმის დაფაფული ძაფისგან. იქსოვებოდა ორ პარალელურ ჯოხზე ჯვარედინად გადახლართული ძაფით. დგიმი თოკებით იყო ჩამოკიდებული საფეიქროს



ხატის დროშა



დოქის ტიპები

ჩიტებზე//გინგილებზე//გამერზე (სამეგრ.). ქვევიდან მიბმული ჰქონდა თოკის საფეხურები და მასზე ფეხის დაჭერით მოდიოდა მოძრაობაში.

ლიტ.: მსშხი. ტ. II, ნაწ. II, 1982.

ლ.მ.



დედაბოძი — დედაბოძი მთლიანი ხისაგან გამოთლილი დიდი, თავფართო სვეტი, ქართული დარბაზული სახლის საყრდენი, რომელსაც ეყრდნობოდა გვირგვინიანი გადახურვა. დედაბოძზე იყო გადებული სახლის განივი კოჭი, თავხე. ბოძსა და თავხეს შორის სიმძიმის გასანაწილებლად დებდნენ ე. წ. „ბულაურას", ანუ „დათვას", ხის გრძელ ბალიშს, რომელიც დედაბოძთან ერთად მთლიან ელემენტს ქმნიდა. დედაბოძზე გამოსახავდნენ ორნამენტებს, ფრინველებს, ცხოველებს, ადამინის ხელს, სხვადასხვა ტიპის ჯვარს, რადიკალურად განსხვავებულ მზეს, ბორჯღალს, კონცენტრულ წრეებს, ვარსკვლავებს და სხვ.

ხალხის წარმოდგენით, დარბაზული სახლის კერა, დედაბოძი და გვირგვინი ერთ კომპლექსს შეადგენდა და ოჯახის წმიდათაწმიდად იყო მიჩნეული. ყველა რიტუალი სახლში დედაბოძისა და კერის გარშემო სრულდებოდა.

დედაბოძის წარმოშობაზე არსებული ხალხური თქმულებები მიუთითებენ, რომ მისდამი თაყვანისცემა უკავშირდება ჩვენში ოდესღაც გავრცელებულ ხის კულტს (ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, ღვთაება კერაში ამოსული, გველშემოხვეული ხის სახით გამოეცხადებოდა თავის საყმოს) და სიცოცხლის ხის მოტივს. ძველ ქვეყნებში და კერძოდ, კავკასიაში სიცოცხლის ხე წარმოდგენილი ჰქონდათ ცის საყრდენად, მნათობთა სადგურად და ღვთაებათა მშობლად. სწორედ ასეთი ხის ყველაზე სრულყოფილი სიმბოლო ჩვენში დედაბოძი იყო. ხალხური წარმოდგენით, იგი ისე ებჯინებოდა გვირგვინს, როგორც სიცოცხლის ხე ცას. არქეოლოგიური მონაცემებით, საცხოვრებლის წმინდა სვეტების თაყვანისცემა საქართველოს ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ადრე, სამინათმოწმედო ხანაში ყოფილა გავრცელებული.

ლიტ.: ი.სურგულაძე, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

დედანი (ქართლ.)//**ლერწამი** (რაჭა) — გუდა-სტვირის ნაწილი. მარჯვენა დედანს სამი თვალი აქვს, მარცხენას — ექვსი. გარდა ამისა, მარჯვენა დედანის კუთხეში ამოჭრილია საბანე თვალი. დედნებს დიდგულა ხისაგან ამზადებენ. ხმარობენ ჭერმის ან ასკილის ხეს. უმჯობესია ჭერამი, რადგან უფრო წმინდა ხმას გამოსცემს. დედნებში ხშირად ცოცხის წვრილ ღერებს აწყობენ. ისინი დედნის ბოლოს ბუსუსებით თავდება და ხელს უწყობს ხმის ვიბრირებას. ენები მოთავსებულია დედნების ქვემოთ. მასზე ამოჭრილია მგრძნობიარე ენა, მესტვირე იღლიით აწვება ჰაერით სავსე გუდას. ჰაერი ეცემა მგრძნობიარე ენას, საიდანაც ხმა მიდის ლერწმებში. ენები გარედან არ ჩანს. დაკვრის დროს ლერწმებში „სული რომ არ გაიპაროს, ბოლოებს სანთლით გალესავენ. მარჯვენა დედანს „მობანე" ეწოდება. მარცხენას—"დამწყები", „მთქმელი". დაკვრის წინ დედნებს შეამოწმებენ და საჭიროების მიხედვით ააწყობენ—დედნებს „ასწევ-დასწევენ". ისინი ჩამჯდარია ხის ბუდეში, რომლის ბოლოზე წამოცმულია ყანწი-ქარახსა (იხ.).

ლიტ.: ნ. ჯიქია, გუდასტვირი, მმ, ტ. XXXII-B 1976.

ნ.ჯ.

დედასპური — პურის სახეობა, რომელიც ძირითადად შიდა და ქვემო ქართლში იყო გავრცელებული. გარეგნულად ნახევარმთვარეს წააგავს, ყუა სქელი და პირთხელია. ადრე დედასპურს მახობელას ურეკდნენ, რაც პურს სურნელებას მატებდა და ოდნავ ფერსაც უცვლიდა. პურის ეს სახეობა ყურადღებას იქცევს თავისი სახელითაც. არსებობს მოსაზრება, რომ დედასპური მას ეწოდა დედოსაგან, ანუ საფუვრისაგან. ხალხური გადმოცემით კი, იგი დედის ხელით გამომცხვარია და რადგან დედა პურს გვაჭმევს, სახელწოდებაც მისგან მიიღო. მოცემულ შემთხვევაში ქალური საწყისის, დედის ბუნების გააზრებასთან გვაქვს საქმე. ისე,

როგორც დედაბოძი, დედასამშობლო, დედამინა, დედაენა, დედასპურიც დედის ბუნების მნიშვნელობას გამოკვეთს.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. 2007, ს. ცაიშვილი, ზოგიერთი მოსაზრება დედასპურის შესახებ, ლიტ. ეტიუდები, 1984.

ე. ნ..

დედა ხე — სატივე მორებს შორის შუა ხე, რომელზედაც ორთაყვირს ჭოლოკინია დასმული.

დედოფალა — ბავშვის სათამაშო, გართობისა და თამაშისათვის განკუთვნილი. დიდ როლს ასრულებდა ბავშვის ფიზიკური წვრთნისა და სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბებაში. დედოფალაში აირეკლებოდა ცალკეული ეთნიკური ჯგუფებისა და ასევე მთელი ხალხის სარწმუნეობრივი წარმოდგენები. ნივთიერი კულტურისა და ჩაცმა-დახურვის ელემენტები. დედოფალებით ძირითადად ერთობოდნენ გოგონები, რომლის მეშვეობითაც თანდათანობით შედიოდნენ ქალური ცხოვრების სფეროში. დედოფალა ხელს უწყობდა ქალის მომავალი, გარდაუვალი მოვალეობის პირველად აღქმასა და ათვისებას სათანადო ჩვევების შემუშავებას. ადამიანთა მიმსგავსებით გაკეთებული დედოფალები უხსოვარი დროიდან არსებულა. საქართველოში დედოფალები გამოუყენებიათ მაგიური წეს-ჩვეულებების შესრულების დროსაც, რომელსაც შესთხოვდნენ გამრავლებას, შვილიანობას, წვიმის მოყვანას, ასეთი დედოფლების სახელი იყო: „ლაზარე", „გონჯა", „საწვიმარი გუგა" აფხაზეთში — „ძივოუ". დედოფალებს იყენებდნენ ავადმყოფობის მოცილების მიზნით, მაგ: ქართლში, წითელა ბატონების, ან ყივანახველას დროს გააკეთებდნენ დედოფალას, მორთავდნენ, პატარა ჯიბეში შაქარს ჩაუდებდნენ და გადააგდებდნენ შორს ავადმყოფობის მოცილებისა და გასტუმრების მიზნით.

ლიტ.: ნ. ღოლობერიძე, დედოფლების კატალოგი, 1968.

ე. ნ.

დემური — დაბლის იარაღი, ტყავის საფხეკი, ოდნავ მოხრილი, ნამგალივით. აქვს რკინის პირი და ხის ტარი. აქეთ-იქით ნაავლებდნენ ორივე ხელს და ისე ფხეკდნენ ტყავს.

ლიტ: სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1973.

დენთი — ფეთქებადი ნივთიერება. გამოიყენება ცეცხლსასროლი იარაღისათვის. კაჟიანი თოფების ეპოქაში (XVI-XVIII), სანამ ტყვიის განვითარება სრულყოფილ დონეს მიაღწევდა (XIX ს-ის I ნახ. უნიტარული ვაზნა) და დაიწყებოდა მისი ქარხნული წარმოება, საქართველოშიც დენთს ადგილობრივად ამზადებდნენ. დენთის დამზადებისათვის საჭირო იყო — ყინვარი (გვარჯილა), ჩექა (გოგირდი) და ნახშირი. ხევსურეთის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ყინვარსა და ნახშირს ადგილზე ამზადებდნენ, ხოლო გოგირდი შემოჰქონდათ. საჭირო ნედლეულის მომარაგებისა და მათი შეზავების შემდეგ, იწყებოდა თოფისწამლის გატეხვა დენგში (ხის ან ქვის დენგი), რაც საკმაოდ შრომატევადი საქმე იყო. თოფისწამლის გატეხვის დროს ხშირად იყენებდნენ ჭაშნიკს, თუ თოფისწამალი არ აკმაყოფილებდა ძირითად მოთხოვნას (ძლიერი და უცაბედი აფეთქება უმნიშვნელო ფერფლით), მას უმატებდნენ გვარჯილას, რითაც წამლის სიფიცხეს ზრდიდნენ. მეტისმეტად ფიცხი წამლის შემთხვევაში კი უმატებდნენ გოგირდს, რაც დაბლა სწევდა სიფიცხეს. თოფისწამალს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირად აჭაშნიკებდნენ, მაგ., სვანეთში ჭაშნიკს ხელისგულზე იდებდნენ, დიდოეთში — მარცხენა ხელის ცერის ფრჩხილზე, ხოლო რაჭაში ამისთვის თეთრ ქაღალდს იყენებდნენ.

ქართული ეთნოგრაფიული მასალით დადგენილია, რომ საქართველოს მთიანეთში თოფისწამალი თითქმის ყველგან (ხევსურეთში, რაჭაში, სვანეთში, დიდოეთში და სხვ) მზადდებოდა. ხოლო რაც შეეხება დიდ ქალაქებს, განსაკუთრებით თბილისს, XVIII საუკუნის 70-იან წლებში თბილისში არსებობდა თოფისწამლის დასამზადებელი სარეწაო, რომელიც ისაია თაყუაშვილს ეკუთვნოდა. სამწუხაროდ, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას აღნიშნული ქარხანა მთლიანად განადგურდა. ერეკლე მეორემ 1796 წელს თაყუაშვილს ახალი

მინები (სოლოლაკის მიდამოებში) უბოძა დენთის წარმოებისათვის, მაგრამ ეს ინიციატივა რუსეთის ანექსიამ გააუქმებელყო.

ლიტ.: ალ. რობაქიძე, „თოფისწამლის დამზადება პირაქეთ ხევსურეთში", ანალები ტ. I, 1947.

მ.ქ.

დერგი — დიდი ზომის თიხის ქილა, გამოიყენება იყველის, მარცვლეულისა და მზა პროდუქტის შესანახად. გავრცელებულია მთელ საქართველოში. მას „სახორბლე" და „საფქვილე" დერგებსაც უწოდებენ. ანალოგიური ფორმისა და დანიშნულების ქილები აღმ. საქართველოში ცნობილია „ქოცო ქილის", „მწნილის ქილის", „ძირის ქილის" (კახეთი), „საქალაქო ქილის", „საარაგვო ქილის" (ქსნის ხეობა), და „ყველის ქილის" სახელწოდებით. დერგების მრავალფეროვანი ნიმუშები უხვად ფიქსირდება საქართველის არქეოლოგიურ ძეგლებზე რაც ამ ჭურჭლის ინტენსიურ გამოყენებაზე მიუთითებს.

მ.ზ..

დერციკი — ტანსაცმლის მკერავი. საქართველოში ოდითგანვე დიდი ყურადღება ექცეოდა ტანსაცმლის დამზადებასა და მის გაფორმებას. XIX ს. ნახევარსა და XXს. დასაწყისში მცხოვრებ მამაკაცთა უმეტესობა ისევ ტრადიციულ ჩოხა-ახალუხით იმოსებოდა, ამიტომ ამ ტანსაცმლის დამამზადებელ დერციკთა რაოდენობა საგრძნობლად დიდი იყო, განსაკუთრებით ქალაქებში. ამ მხრივ აღმოსავლეთ საქართველოში პირველობდა თბილისი, გორი, თელავი, სიღნაღი, ახალციხე; დასავლეთ საქართველოდან ქუთაისი, ზუგდიდი, სოხუმი და სხვ. ბუნებრივია, ქალაქებს შორის გამორჩეული ადგილი თბილისს ეჭირა. 1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის მიერ დაქცეული თბილისი აღდგა, აშენდა და XIXს. 20-იანი წლებისათვის იგი კვლავ იქცა ამიერკავკასიის მნიშვნელოვან სავაჭრო-კულტურულ და სახელოსნო ცენტრად. ხელოსანთა უბანი ძველ თბილისში გოგირდის აბანოების სიახლოვეს მდებარეობდა. აქ — „პატარა სირაჩხანის" აღმართზე საქმიანობდნენ სხვადასხვა ხელობის ოსტატები.

თბილისური ხელოსნების მნიშვნელოვან დარგს ფეიქრობა შეადგენდა. აქაურ სახელოსნოებში იქსოვებოდა როგორც ბამბის (ლაინი, ჩითი, ტილო), ისე აბრეშუმეულობა—დარაია (თავთა, ჩესუნჩა, მერდინი), ყანაოზი და სხვ. XII ს. თურქი მოგზაურის ევლია ჩელების ცნობით, თბილისელი ხელოსნები აქტიურად ეწეოდნენ აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილების იმპორტს. XVII ს. რუსი მოგზაურების დაკვირვებით, თბილისური ქსოვილი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ორიგინალური ფერადოვნებითა და შემკულობით.

ქართველი დერციკები ამზადებდნენ ქართულ ტანსაცმელს, ისეთ სახეობებს, როგორიცაა: ჩოხა-ახალუხი, ხონჯრიან განიერი შარვლები, ქულაჯა, ყაბალახი, ჩიხტა, თავსაფარი, ქუდები, ნვივსაკრავი და სხვა.

დერციკი-ხელოსნები ამქრებში იყვნენ გაერთიანებული და მოიცავდნენ უფრო ნვრილ გაერთიანებებს, მაგ: მექუდეთა ამქარში სამი ტიპის მკერავები მუშაობდნენ. ზოგი ფაფახს კერავდა, ზოგი ნაბდის ქუდებსა და ნანილიც შალისა და ტილოსას..

ამქარში გაერთიანებული დერციკები დაკვეთაზედაც მუშაობდნენ და ბაზრისათვისაც, ხელოსნური ნაწარმი კარგად საღდებოდა დიდ დღეობებზე.

ისე როგორც ყველა ამქარს, დერციკებისასაც თავისი მფარველი წმინდანი ჰყავდა, რომელთა გამოსახულება ღერბსა და ემბლემასთან („ფირი") ერთად მათ დროშას ამშვენებდა. ეს იყო ღვთისმშობელი, მაკრატელი და ნახევარადლიანი.

ქალაქელი დერციკები ხშირად იყენებდნენ ქალების შრომას. მათთან მიჰქონდათ გამოჭრილი ტანსაცმლის ელემენტები, რომელთა შეკერვა და სათანადო გაფორმება გარკვეული საფასურით შინმოხელე ქალებს უნდა შეესრულებინათ. ტანსაცმლის გაფორმებისათვის საჭირო ბაბთა-არშია-ზონრების შემოქმედნიც ქალები იყვნენ. განსაკუთრებული მოთხოვნილება იყო სირმებსა და ბუზმენტებზე. იქსოვებოდა ორგვარი ჩაფარიშები: უბრალო და სახიანი, რომელთაც განსხვავებული გამოყენება ჰქონდათ. უბრალო—ჩოხის შიდა ნაკერების დასამაგრებლად იხმარებოდა, სახიანი კი — ქალის საგარეო შარვლის — „შეიდიშის" ტოტების მოსავლებად. სახლებში მოსაქმე ქალთა უდიდესი ნანილი ქალაქებში იყო თავმოყრილი, ჩვეულებისამებრ ნვრილ მოვაჭრეებს ჰქონდათ ზონრების, ყაითნის, ფოჩების, ბაფთების, თასმების, შესაკრავების, ზორტების, სირმების, ბუზმენტების, ზეზების, მოქარგული არშიების და ამგვარი საგნების საგრეხი და საქსოვი პატარა სახელოსნოები.

ქალები ეწეოდნენ ლეჩაქების დაბასმვასა და დაქარგვას, შუბლსაკრავებსა და სარტყელ-გულისპირებზე ნაქარგის ამოყვანას, რაც ერთგვარი გაჯიბრების ხასიათს ატარებდა. ოჯახური წარმოების ასეთი ფორმა ტრადიციული იყო საქართველოსათვის.

ტანსაცმლის შექმნასა და გამოყენებასთან დაკავშირებულია ისეთი პროცესები, როგორიცაა თარგების დამზადების ტექნიკა, ჩაცმა-დახურვის წესები, ტანსაცმლის ტარების მანერა და სხვა. ქალაქელი დერეფნების ნაწარმი აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებებს..

მთიელ ქალს, საოჯახო ყოველდღიური საქმიანობის გარდა, სატანსაცმლე მასალისა და ხალიჩ-ფარდაგების ქსოვაც ევალებოდა. ფარდაგ-ხალიჩის ქსოვა საძნელო საქმე იყო და ყველას არ ეხერხებოდა, მაგრამ ქსოვილების ქსოვას თითქმის ყველა ზრდასრული ქალი ფლობდა. ამასთანავე, ჩხირებითა და ყაისნაღით იქსოვებოდა წინდა-პაიჭები, ხელთათმანები, თავშლები, ითელებოდა ნაბადი და სხვ. აღნიშნული საქმიანობის შესასრულებლად შემოდგომაზე ქალებს ოჯახში არსებული მატყლიდან გამოეყოფოდათ წილი. მატყლთან დაკავშირებული საქმიანობა კი ხევსურეთში ასე ყოფილა განაწილებული: ოქტომბერში მატყლის გარეცხვა-გაშრობა; ნოემბერ-დეკემბერში — გაჩეჩვა; იანვარში — დართვა; თებერვალში — დაძახვა ჯარაზე; მარტ-აპრილში შალის — „ტოლის" ქსოვა. ასე რომ, გაზაფხულზე, მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე, ქალს ამ სახის სამუშაო დასრულებული უნდა ჰქონოდა.

ჩამოთვლილ სამუშაოს მთიელი ქალები თავად ასრულებდნენ, მხოლოდ ზოგიერთი პროცესის შესასრულებლად მიმართავდნენ კოლექტიური დახმარების მარტივ ფორმებს — მუშა ქალების შეკრებას, უმეტესად მატყლის ჩეჩვის დროს. ასეთ თავყრილობას ხევსურეთში „მჩეჩლები" ეწოდებოდა. სხვაგან მუშა ქალების დაძახება დართვის დროსაც სცოდნიათ.

გოგონებს 6 წლის ასაკიდან აჩვევდნენ მუშაობას, ჯერ მატყლის ჩეჩვა-დართვის წესს შეასწავლიდნენ, მერე ქსოვას. 8-10 წლის გოგოს უნდა სცოდნოდა წინდა-პაიჭების ქსოვა, 14-15 წლისა კი დამოუკიდებელი მოსაქმე ხდებოდა მთის პირობებში არსებული საქალო ხელობის თითქმის ყველა წესს დაუფლებული, რაც ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენდა.

ძველი წესებით ტანსაცმლის დაჭრა-შეკერვა გულისხმობს წინასწარ მომზადებული თარგის გარეშე დუქარდით (მაკრატელი) ტანისამოსის გამოჭრასა და ხელით მის შეკერვას. მასალის დაჭრისა და ზომის აღების დროს თუშ-ფშავ-ხევსურნი გამოიყენებდნენ ბუნებრივ საზომ ერთეულებს: „მხარი", „წყრთა", „მტკაველი", „ხელი", „ტაში", „ციდა", „ღვინჭი", „ორ თითის სიბრტყო", „გოჯი". ხელით კერვის ტექნიკაც სათანადო დონეზე ყოფილა აყვანილი: „დადანდვლა" // „ნემსის კუდით კერვა" // „დანემსვა", „კუდიქცეული", „ისკუნტალი" // „ხელუკულმართა", „მხვევრაი", „დუმბარა" და სხვ. სამოსელი ჯერ უნდა დაებლანდათ — („დადანდვლა"), შემდგომ კი მაგრად შეეკერათ — „გვირისტი".

შესაკერ მასალას ჯერ გადაზომავდნენ მტკავლით, მაკრატლის წვერით წააჭრიდნენ მცირედ ან ძაფით ნიშანს დაადებდნენ. დაჭრის დროს აუცილებლად დაილოცებოდნენ: „ბედნიერებაში გაცვითეო, ეს ერთი და ორი ათასი სხვაო: ტყის ფოთოლმთაც გექნება მრავალიო, მამა ყიდვაში, დედა კერვაში, შენ ხევაშიო, ან მშვიდობაშიო, და-ძმების სიცოცხლეშიო, ქმარ-შვილთან გახარებაშიო..."

თუ ქალი კარგად ფლობდა ჭრა-კერვის წესებს, იგი მონაფეებსაც იზიდავდა. საქართველოში ასეთ ქალს „ოსტატი" ეწოდებოდა და მას განსაკუთრებით ბევრი მოსწავლე დაბებსა და სოფლებში ჰყავდა.

ოსტატთა შორის მრავლად იყვნენ მღვდლებისა და მასწავლებელთა ცოლები, რომლებიც ჭრა-კერვასთან ერთად მონაფეებს წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ. ზოგიერთ ოსტატს რამდენიმე მონაფეც ყავდა. სწავლების ვადა ერთნაირი არ იყო, ზოგჯერ რამდენიმე წელს გრძელდებოდა. დახარჯული შრომის საფასურიც ცვალებადი ყოფილა — ხან ფულით, ხშირად ნატურით და ზოგჯერ შრომით გადახდის გზითაც.

ტანსაცმლის ელემენტების დამზადებასთან ერთად ოსტატი დიდ დროს ანდომებდა გაფორმებასაც. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა „ქართული კაბის" შესამკობელი ელემენტების—სარტყელ-გულისპირებისა და თავსაბურავ შუბლსაკრავების ქარგულობას.

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული ცოდნა-გამოცდილების შედეგად, ადგილობრივი ნედლეულის ბაზის ტრადიციული ხერხების გამოყენებითა და დამუშავებით, სავსებით იკმაყოფილებდა ტანსაცმელზე არსებულ მოთხოვნილებას და საუკუნეთა განმავლობაში გამოიმუშავა ჩაცმულობის თავისებური ორიგინალური ფორმა, მისთვის დამახასიათებელი ფერადოვნებითა და შემკულობის განუმეორებელი სტილით, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ისტორიის მამას ჰეროდოტეს, რომლის მიხედვითაც ქართველ მთიელთა ტანსაცმელი გამოირჩევა საუკეთესო გამძლეობით,

კარგი მოყვანილობითა და უაღრესად ლამაზი შემკულობით. ამ მოსაზრების საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს უმაღლეს ესთეტიკურ დონეზე დამზადებული ხევსურული ტანსაცმელი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიო ხალხთა კოსტიუმებს შორის.

ც. ბ. ე. ნ.

ᲓᲕᲠᲘᲢᲐ — (აქ.)ყველის დედო, ყველის ამოსაყვანი ნაერთი, რომელსაც ამზადებდნენ ღორის მაჭიკისა და ძმრისაგან.

ᲓᲘᲐᲓᲔᲛᲐ — ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით შემკული აბრეშუმის დიდებულთა თავსაკრავი, რომელსაც შუბლზე იკეთებდნენ და უკან იკრავდნენ, დიადემა გვირგვინის ნაირსახეობას წარმოადგენდა.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, 1962.

ე. ნ.

ᲓᲘᲐᲓᲘᲛᲐ — ბიზანტიელი კეისრების სამოსელის ელემენტი, რომელიც ძალზე გავრცელებული იყო ქართველ მეფეთა ჩაცმულობაშიც. ესაა ლოროსის (იხ.) განვითარებული სახე. წარმოადგენდა გრძელ ქსოვილს, რომელიც ლოროსის მსგავსად წელსა და მხრებზე ამოტარებით წინ იყო დაშვებული. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით დიადიმა დროთა განმავლობაში ისე დამძიმდა ძვირფასი ქვებით, რომ მისი შემოხვეული ტარება შეუძლებელი გახდა და ამიტომ დაყვეს ნაწილებად. ქართველ მეფეთა მორთულობაში გეხვდება დაშვებული და მეორე, რომელიც გულზე გადაჯვარედინებულადაა წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ბიზანტიის მეფეთა ჩაცმულობა დიდ გავლენას ახდენს მისი კულტურული ძლიერების ქვეშ მოქცეულ სამყაროზე, ქართველ მეფეთა ბისონებიცა და დიადიმებიც თავისებური ორიგინალობით გამოირჩევა. მეფეებისა და დედოფლების გარდა ქრისტიანულ სამყაროში დიადიმებით გამოხატავდენ მიქაელსა და გაბრიელ მთავარანგელოზებს.

ლიტ.: ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, 1964.

ე. ნ.



ᲓᲘᲓᲘ ᲒᲣᲗᲐᲜᲘ — მიწის სახვნელი იარაღი. იგი რამდენიმე სახელით არის ცნობილი: ქართული გუთანი, დიდი გუთანი, დიდი ქართული გუთანი, ხის გუთანი, შავი გუთანი, პაპას გუთანი. ყველა ეს სახეობა მეტ-ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს განსხვავება ან მათ კონტრუქციაში მდგომარეობს, ან მასალაში, რომლითაც გუთნებია დამზადებული. მუშაობის პრინციპი კი ყველა მათგანისათვის ერთია.

დიდი ქართული გუთნის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: „რვილი" (მოხრილი გრძელი ძელი, რომელზედაც მიმაგრებულია სახნისი, საკვეთელი, ფრთა და სხვა ნაწილები გუთნისა, ზომით დაახლოებით 320-340 სმ.), „მანჭები" (სახელურები), „ფრთა" (ბელტების გადასაბრუნებელი ფიცარი), „ხმალა" (აერთებს რვილსა და გუთნის სხვა ნაწილებს ერთმანეთთან, რითაც გუთანს სიმტკიცეს სძენს), „ქუსლი" (ხის ნაწილი, რომელზედაც სახნისი იყო წამოცმული), რკინის „სახნის-საკვეთელი", „ფამფალაკი" (ღერძი, რომლის ბოლოებში გაყრილია სხვადასხვა ზომის გოგორები — „კვალის გოგორა" და „ველის გოგორა").

გუთნის ხის ნაწილები მაგარი ჯიშის ხისგან მზადდებოდა (მუხა, იფანი, თელა და სხვა).

დიდი ქართული გუთნისათვის ისევე, როგორც საერთოდ ქართული სახვნელებისათვის, დამახასიათებელი იყო მრუდე რვილი. გუთნის ტიპის ევროპული სახვნელი იარაღები, რომლებიც გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში, ხასიათდებოდა პირდაპირი მხრით. რვალის სიმრუდე, რომელიც ქართულ სახვნელებს

ახასიათებს, ერთხელ კიდევ ადასტურებს ქართული გუთნის თვითმყოფად ხასიათს.

ფრთა და სხვადასხვა ზომის გოგორებიანი ფამფალაკი არის ის ნაწილები დიდი გუთნისა, რომლებიც მარტივ სახვნელ იარაღებს არ გააჩნიათ.

დიდი ქართული გუთნის არსებობა დასტურდება XI-XII საუკუნეებში. იგი ღრმად ხნავდა (35 სმ. სიღრმეზე), ბელტს (50-60 სმ. ზომისას) ჭრიდა, აბრუნებდა და შლიდა. სწორედ ეს იყო მისი უპირატესობა სხვა სახის სახვნელ იარაღებთან შედარებით. XIX ს-ის II ნახევრიდან აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ჩნდება ქართული გუთნის გაუმჯობესებული სახეობანი. ასეთებია ე.წ. მუხრანული გუთანი და კაკაბური გუთანი.

დიდი ქართული გუთანი დაკავშირებული იყო მიწათმოქმედების საანეულო სისტემასთან (იხ. ანეული). იგი საყოველთაოდ იყო გავრცელებული ქართლ-კახეთის ბარში, ნაწილობრივ ქართლის მთის წინა ზოლში. მესხეთში დიდი გუთანი მხოლოდ ყამირის მოსახნავად გამოიყენებოდა. იშვიათად გამოიყენებოდა ზემო იმერეთის ვაკე ადგილებში მემამულურ მეურნეობებში.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გავრცელებული ხის გუთნები ნიადაგის თავისებურების მიხედვით ზომით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. მაგალითად, გარეკახეთსა და ივრის ხეობაში უფრო დიდი ზომის გუთნები იყო ხმარებაში, ვიდრე ქართლში, შიდა კახეთსა და ქიზიყში. ქართლის მთის წინა ზოლში ქართლის ბართან შედარებით უფრო პატარა ზომის გუთნები იყო.

გამართული ხის გუთანი საკმაოდ ძვირად ღირებულ სახვნელ იარაღს წარმოადგენდა. შედარებით იაფი ჯდებოდა გუთნის ხის ნაწილი, რომელსაც ხშირად გლეხები თვითონ თლიდნენ. თითქმის ყველა სოფელში იყვნენ ამ საქმის მცოდნე გლეხები. შედარებით დიდ სოფლებში იყვნენ ისეთი ხელოსნებიც, რომელთათვისაც ეს ხელობა ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა. ისინი, ჩვეულებრივ, რამოდენიმე სოფელს ემსახურებოდნენ.

შედარებით ძვირი ჯდებოდა გუთნის რკინის ნაწილები, სახნისისათვის საშუალოდ ერთი ფუთი რკინა იყო საჭირო, საკვეთლისათვის კი — ნახევარი.

გუთნის აუცილებელ ნაწილს შეადგენდა ჯამბარა (იხ.) — ტყავისაგან დაწნული ღვედი, რომლის საშუალებითაც გუთანი მიბმული იყო ფაფმფალაკზე. XIX ს-ის II ნახევარში ქართლ-კახეთის ზოგიერთ ნაწილში იგი რკინის ჯაჭვმა შეცვალა.

გუთანში გამწევი ძალის შესაბმელად გამოიყენებოდა ულელი ტაბიკებითა და აპეურებით (იხ.).

ჯამბარა-ღვედის საშუალებით ულლები ერთმანეთთან იყო დაკავშირებული. თითო ღვედი 3-4 ულელს აკავშირებდა. ღვედის დასაწვნელად საჭირო იყო 2 კამეჩის, ან 3 ხარის ტყავი. ღვედების ოსტატებად ხევსურები ითვლებოდნენ. ქართლში ადგილობრივადაც ამზადებდნენ ღვედებს. გადმოცემით, ღვედი 25-30 წელი ძლებდა.

ღვედები ძირითადად ქართლისათვის იყო დამახასიათებელი. კახეთში ზოგჯერ ღვედების ნაცვლად იყენებდნენ საყევარ-ულლებსა (საყევარი-ძელი, რომელიც 2 ულელს აერთებდა) და ჯაჭვებს.

როგორც ჩანს, გამართული ხის გუთანი საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. ალბათ ამიტომ საბუთებში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის მოხსენიების დროს გლეხის ოჯახში სახვნელი იარაღების ნაწილებზეა ხოლმე უმეტესად ლაპარაკი და არა გამართულ სახვნელ იარაღზე — გუთანზე. გლეხთა შორის მხოლოდ შეძლებულებს გააჩნდათ საკუთარი, ყოველმხრივ გამართული გუთანი. ქართლ-კახეთის სოფლებში გამართული გუთანი საშუალოდ კომლების 10-12% ჰქონდა.

დიდ გუთანში აბამდნენ 6-12 ულელ გამწევ ძალას. გამართული გუთანი და მუშა საქონელი შეადგენდა გუთნეულს. დიდი გუთნის მუშაობას სჭირდებოდა გუთნისდედა და 3-6 მეხრე.

ისეთი ოჯახები, რომლებსაც ჰქონდათ გამართული გუთანი და ჰყავდათ გამწევი ძალისა და მუშახელის საჭირო რაოდენობა, ძლიერ მცირე იყო. ამდენად, საგლეხო კომლთა უმნიშვნელო ნაწილს შეეძლო მინის მოხვნა საკუთარი ძალებით. ეს უმთავრესად დიდი, გაუყრელი ოჯახები იყო, რომლებიც XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისისათვის სპორადულად იყო შემორჩენილი. ამიტომ პატარა ოჯახები, როგორც წესი, ხვნის დროს მიმართავდნენ შრომით გაერთიანებას დიდი გუთნის გარშემო (იხ. მოდგამი).

ხვნასთან დაკავშირებული იყო გარკვეული რწმენა-წარმოდგენები და ადათ-ჩვეულებები. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ხვნა-თესვის დაწყებასა და დამთავრებასთან დაკავშირებულ ცერემონიალს.

ქართლ-კახეთის ბარში ანეულის წინ იმართებოდა „სასოფლო საღმრთო"//„გუთნის საღმრთო". ქართლის ზოგიერთ სოფელში ამას ამაღლებას უკავშირებდნენ.

ხვნის დაწყების პირველ დღეს გარკვეული წესები სრულდებოდა, რომელთა დიდი ნაწილი მაგიური

დუქანი - სასადილო

დედოფალა

ხასიათისა იყო. პირველად რომ „გაიტანდნენ გუთანს“ მინდორში, ხვნის დაწყებამდე გუთნისდედას წინა ხარისათვის კვერცხი უნდა დაეკრა თავში სიტყვებით: „ასე გასკდეს იმისი თვალი, ვინც შენ ავი თვალით შემოგხედოს“-ო. ეს წესი ყველგან დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს ბარში. მესხეთში ამ დღეს სახნისზე სანთელს დაანთებდნენ, საკმეველს დააკმევდნენ. მერე მეხრე აიღებდა კვერხცს, სამჯერ შემოუვლიდა გარს შებმულ გუთანს, მესამედ შემოვლისას ესროდა კვერცხს წინა ხარს სიტყვებით: „რომელმაც ავი თვალით შემოგხედოს, ასე გამოუვარდეს თვალი“-ო.

დიდ ხუთშაბათს გუთნისდედას ღამით უმძრახს ტყემლის ტოტი უნდა მოეჭრა და ტაბიკად ჩაერჭო უღელში, რომ „საქონელს თვალი არ სცემოდა“. ამავე მიზნით ხვნის პირველ დღეს ხარს კუდზე წითელ ძაფსა და ტყემლის ყლორტს აბამდნენ. პირველად გუთანს რომ შეაბამდნენ, იმ დღეს მეზობელს არაფერს მისცემდნენ, არც ათხოვებდნენ.

ქართლის ზოგიერთ სოფელში ხვნის პირველ დღეს წინა უღლის შუაში პატარა ბაირაღი კეთდებოდა, აუცილებლად წითელი. ზოგჯერ ამ დღეს წინა ხარებს ზარებს აბამდნენ, ხარს თავზე, რქაზე „ფუნჯებისაგან“ (ბალახია ერთგვარი) დაწნულ გვირგვინს ჩამოაცვამდნენ. ყველა გუთნეული ცდილობდა, სხვაზე უკეთესად გამოსულიყო. ამ შეჯიბრს „განგაშს“ ეძახდნენ.

ხვნა რომ დამთავრდებოდა, იმ დღეს წინა უღელს ბაირაღს გაუკეთებდნენ და სოფელში ისე ბრუნდებოდნენ.

ლიტ.: Г. С. Читая. Земледельческие системы и пахотные орудия Грузии. Вопросы этнографии Кавказа. 1952г *გ.ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, მიმომხილველი, 1949. ტ. I. გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამინათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960.*

თ. გ.

დიდი მანდილი//ორმანდილი//ორკეცი მანდილი// გაყრილი მანდილი — თუში გათხოვილი ქალის თავსაბურავი, თავსახურ კუჭურაზე გადმოსაფენი. მასალად გამოიყენებოდა წმინდა შალი, შავი და ლურჯი ფერის სატინა ან ლასტიკი. მანდილის სამკუთხა ფორმის მისაღებად დიდი განის მასალას ორად გადაკეცილი ნაწილიდან ერთ-ერთ ოთხკუთხედ დიაგონალზე ჩამოეჭრებოდა ნაჭერი, რომელიც სწორი ნაპირით აეკერებოდა ხელუხლებელ ქსოვილს. ამდენად, დიდ მანდილს მხოლოდ ერთ მხარეს, პატარა ყურისკენ ექნებოდა ნაკერი.



ძველად დიდი მანდილების მორთვა იცოდნენ. განსაკუთრებული მონდომებით საპატარძლო მანდილებს ამკობდნენ. ზურგში გრძლად ჩაშვებულ ბოლოს ჯერ ფუნჯს დააკერებდნენ, ზემოთ ბუზმენტს, შემდეგ ჩაფარიშს, მერე ისევ ვერცხლიფერ ან ოქროსფერ ბუზმენტით გაილამაზებდნენ.

გათხოვილი ქალი მანდილს მუდამ ატარებდა. ძველად უნამუსო ცოლს ქმარი თავიდან მანდილ-კუჭურას მოხდიდა, ზედ დააფურთხებდა და გადააგდებდა, რადგან სწამდათ, რომ ქალის თავსაბურავი ნარმოადგენდა არა მარტო თავის დასაცავ საშუალებას, არამედ ადამიანის ღირსების ნიშანს. ამიტომ თავდაუბურაობა შეურაცხადად იყო მიჩნეული.

ლიტ.: გ. ბოჭორიძე. თუშეთი, 1993. ც. ბეზარაშვილი, თუში ქალის ტალავარი. კრ. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967.

ც. ბ.

დიკირი – ორსანთელა. ორსანთლიანი ფიგურული შანდალი, შუაში ლენტით შეკრული ორი კელაპტრით, რომლითაც მღვდელმთავარი ღმრთისმსახურებისას ხალხს აკურთხებს. სიმბოლურად მოასნავებს ქრისტეს ორბუნებოვნებას — ღმრთაებრივსა და კაცობრივს.

ლიტ.: С.Е. Молотков. Практическая энциклопедия православного христианина. С.ПБ. 2001

ბ. ც.

დიპლიპიტო — დასარტყმელი საკრავი. კონუსის ფორმის თიხის ან ხის ორი (ზოგჯერ სამი, იშვიათად ოთხი) ტყავგადაკრული ქოთანი ერთმანეთზე თასმებით გადაბმული. ქოთნების სიმაღლე თანაბარია. ქოთნები შეღებილია წითელ ან ყვითელ ფერებად და მოხატულია საღებავებით, გამოყვანილია

მცენარეული ორნამენტი. დიპლიპიტოზე უკრავენ სპეციალური ჯოხებით — ჩილიკებით // „თხის ფეხუნებით", რომლებსაც თავები მომრგვალებული აქვთ. დიპლიპიტო ცეკვების თანმხლებია. შედის აღმოსავლურ საკრავთა ანსამბლის (საზანდარი) შემადგენლობაში. ეთნოგრაფიულ ყოფაში დამონმებულია ხის დიპლიპიტოც.

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა, 1940. К. Вертков, Г. Благодатов, Э. Язовицкая. Атлас музыкальных инструментов народов СССР. М., 1963.

მ. შ.

ДИШИ — კლდეზე მოკიდებული მარილივით ფხვნილი, რომელსაც ააფხეკენ და საღებავში შეურევენ. ხევსურეთში მას ლები ეწოდებოდა, სვანეთში კი — ჯერაბი. ღებვისას ხმარობდნენ როგორც ფერმჭერ საშუალებას.

ლ. ბ.

ДИШЛИ — ქვის სათლელი რკინის იარაღი, აქვს მძიმე ტანი, კბილებით ასწორებს, თლის ქვის ზედაპირს და ზედ ხაზებს ტოვებს. ზოგიერთი დიშლი სწორპირიანია და გამოიყენებდნენ როგორც სამშენებლო ქვის, ასევე საოჯახო ჭურჭლის სათლელად. დიშლი და ტარაღი ორივენი ქვის სათლელად გამოიყენებოდა, ოღონდ ტარაღი უფრო სუფთად თლის.



ე. ნ.

ДО — შედღვებილი მაწვნის შემდეგ, კარაქის მასას გამოყოფილი მომჟაო სითხე, რომელსაც იყენებდნენ საჭმელად. დულილით შესქელებულ და მწვანილებით შეკაზმულ ამ რიგის საჭმელს დომხალი ჰქვია.

ДОБИЛО – მაღლარი ვაზი, ბაბილოს სინონიმი (იხ. ბაბილო).

ДОТИКУНТА//КАРАБА (ქართლ.) — სადღვებელის „აკვანი", დოთქუნთაზე დგამენ სადღვებელს და რყევით იღებდნენ კარაქს.



ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, „ქსნის ხეობა", 1975.

გ. ბ.

ДОЛАБИ — იხ. წისქვილის ქვა

ДОЛБАНДИ – 1. ქალის გარედან ჩასაცმელი. მასალად გამოყენებულია სქელი და მუქი ქსოვილები, დოლბანდის სიგრძე ქალის მუხლებს სცილდებოდა. ჰქონდა სწორი კალეთები და წინ მთლიანად ჩახსნილს ხშირად გვერდებსაც შეუხსნიდნენ, რომელთა ნაპირებს აბრეშუმის ზონრებით დააკავშირებდნენ. განიერი და მოკლე სახელო ხან სწორი იყო და ზოგჯერ ირიბად აჭრილი. დოლბანდს მხრებზე ღრმად ეფინებოდა დიდი საყელო, რომლის შესაკრავად ღილ-კილოები იხმარებოდა.

2. თხელი ქსოვილის მრგვალად დახვეულ თავსაფარ-ჩალმა. ატარებდნენ მაჰმადიანი მამაკაცები.

. ლიტ.: ნ. გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან, ქალის ქართული ჩაცმულობა, XIXს. და XXს. დასაწყისი, 1967.

ც. ბ.

ДОЛИ — დასარტყამი ინსტრუმენტი. აქვს ცილინდრული კორპუსი, რომლის ორივე მხარეზე ტყავია

გადაკრული და დამაგრებულია თასმებით. ტრაფარეტული ზომები არ გვხვდება. კორპუსის სიმაღლე ისე შეეფარდება ზედაპირის დიამეტრს, როგორც 3:1.



უკრავენ ხელებით ან პატარა ჯოხებით, რომლებსაც ზოგჯერ გაგანიერებული ბოლო აქვთ. დაკვრის დროს დოლი შემსრულებელს უჭირავს მარცხენა იღლიის ქვეშ. ჯოხებით დაკვრის შემთხვევაში ერთ ჯოხს საკრავის ერთ მხარეს ურტყამენ, მეორე ჯოხს — მეორე მხარეს. დაკვრის ასეთი წესი უფრო ხშირად გურიასა და აჭარაშია გავრცელებული. დოლის ძირითადი დანიშნულებაა ცეკვის თანხლება, მისი მეტრისა და რიტმის ხაზგასმა. მასთან ერთად ზოგჯერ ერთიანდება რომელიმე ერთი საკრავი — სალამური, ჭიბონი, ჩონგური. დოლის ტიპის საკრავი ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით შუა საუკუნეებში იყო დაფდაფი.

ლიტ.: გრ. ჩხიკვაძე, ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა, 1948. ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938.

მ. შ.

დოლის პური – ხორბლის სხვა ჯიშებს შორის საუკეთესოდ ითვლებოდა დოლის პური. გამოირჩეოდა უხვმოსავლიანობით, სხვა ჯიშებზე უკეთ უძლებდა არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებს, ამინდის ცვალებადობას, ტემპერატურის მერყეობას. ახასიათებდა მარცვლის ჩაცვენისადმი მდგრადობა. თავთავი სხვა ჯიშებზე მსხვილი და მძიმე ჰქონდა. დღიურ მიწაზე მოსავალი შეადგენდა 8-10 კოდს (კოდი 10 ლიტრა — 50კგ) მატულობდა ზელაში. ცომი ძარღვიანი, გამწევი, „ღვედიანი" იყო. ცხვებოდა გემრიელი სურნელოვანი პური, რომელსაც სირბილეს მატებდა მის ნათესებში მინარევი ჭვავი, ამიტომ თესლშეყოლილ ჭვავს დოლის პურის ყანიდან აღარ აცლიდნენ. დოლის პურის ბზეც საუკეთესოდ ითვლებოდა საქონლის საკვებად. ადგილობრივნი მას „მთავარ პურს" უწოდებდნენ. მოიხსენიებდნენ „დედალი პურის" სახელითაც.

რიტუალური დანიშნულებისთვის — „სანათუროდ" (ზედაშედ) ინახავდნენ. მის მარცვალს კორკოტისა და ნანდილისათვის იყენებდნენ. თიანეთის რაიონში, ისე როგორც სხვა კუთხეებში, ნათესის გვალვისგან დასაცავად გავრცელებული იყო წყლის მოხვნის ჩვეულება. ამ რიტუალს ქალები ასრულებდნენ. თეთრწყაროში ამ წესის შესრულების დროს ქალები სკაბრეზული სიტყვების წარმოთქმით ერთმანეთს ასხამდნენ წყალს სარცხვინელ ადგილებში, ლეჩხუმში ქალი ქვედა საცვალს იხდიდა და ყანაში მოაფრიალებდა სარეველას მიმართ გინებით. კახეთში საკმარისი იყო კაბის კალთის შეხება, რომ სუფთა ყანა ამოსულიყო, სარეველა გამქრალიყო. ხალხის რწმენით ეს რიტუალი ზრდიდა მოსავლის ბარაქიანობას.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულახის რაიონში, სმმ ტ. IV, 1928.

ე.ნ.

დოლური – ტყავის გამოსაყვანი ხის დიდი კასრი. თითო მსხვილფეხა საქონლის ტყავის დასამუშავებლად დოლურში ჩაყრიდნენ 1კგ ქიმიურ ნივთიერებას — ქლორპიკრინს, ერთ კგ სიმჟავეს, ოთხ კგ შაქარს და გაავსებდნენ წყლით. ამ ნაზავში ჯერ ხელით ატრიალებდნენ ტყავს, შემდეგ წყლის ძალით ან ელექტროდენით. დოლურს შიდა მხარეს დამაგრებული ჰქონდა მოკლე ჩხირები, რასაც ტყავები ეხებოდა და სუფთავდებოდა. დოლურში ტყავის დამუშავების ხარისხით განსაზღვრის მიზნით ტყავს პატარა ნაჭერს მოაჭრიდნენ და ჩააგდებდნენ ადუღებულ წყალში, თუ ტყავი დაიჭმუჭნებოდა იმას ნიშნავდა, რომ იგი არ მომკვდარა და ხელმეორედ დამუშავებას მოითხოვდა. სხვადასხვა დროს ტყავის დამუშავების მიზნით გამოუყენებიათ ხის, თიხის, ცემენტის თაღარ-აუზები, ბოლოს კი ხის დოლურები. დოლურის შემოღებით გაადვილდა ადამიანის შრომა. ხისა და თიხის თაღარებსა (იხ.) და ცემენტის აუზებში ტყავები ხელით მუშავდებოდა. დოლურების გამოყენებით ტყავის დამუშავების საქმეში გაუმჯობესება მოხდა, რითაც მანუფაქტურული წარმოება ფაბრიკულით შეიცვალა.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

დორა//დორიკა – ღვინის საწყაო, თიხის ჭურჭელი, ასევე ჭურიდან ამოღებული ღვინის მოსაკავებელი. დორა ლეჩხუმსა და რაჭაში ღვინის უმთავრესი საზომი იყო. გამოირჩევა დახეულობით, გადმოსასხმელად მეტად მოხერხებული ყელ-პირით, მხარგაშლილია, მუცელი მსხლისებური და ძირი სნორი

აქვს. ორი მომცრო ბრტყელი ყური მიძერწილია შუა მუცელზე.



დორის ნახევარს „დორაკსა" და „მენახევრესაც" უწოდებენ. ჭურ-ქვევრის ტევადობას „დორას" მიხედვით საზღვრავენ: სამდორიანზე პატარა ჭურჭელი ყვიბარია, 3-9 დორას შემცველს ქვევრს უწოდებენ, 10 დორიანზე დიდს კი — ჭურს. ტერმინი „დორა" 1519 წლის საბუთშია მოხსენიებული. XVIIს-ის „იმერეთის კათალიკოსის სიაში", აღნიშნულია, „მართებს საჩხეურს სამოცდა შუდი დორა".

ლიტ.: ლ. ფრუიძე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, 1974.

მ. ზ.

დოსტაქანი — ღვინის სასმისი ღრმა თასი.

დოქი თიხისა// ხელადა — თიხის საწყლე და საღვინე ჭურჭელი, ამზადებდნენ კარგად შეზავებული სუფთა მიწისაგან, აქვს ბრტყელი, მრგვალი ძირი — „ფსკერი", ზომიერად გამობერილი მუცელ-„გვამი"; წვრილი მაღალი ყელი და ლამაზად გამოყვანილი, მაღლა აშვერილი „ნიკარტი", მრგვალი ყური მიძერწილია შუა ყელიდან მხარზე ან შუა გვამზე. დოქის რამდენიმე სახელწოდება მოწმდება: „საღვინე", „საწყლე". „თუნგულა", „ხარა დოქი"(დიდი ზომისაა), „ლიტრა" „ყურმილიანი" იგივე „საწოვრიანი" დოქი და სხვა. საღვინე დოქები „ნიკარტიანი" უნდა იყოს, წყლისათვის განკუთვნილი დოქები კი მრგვალტუჩა. დოქები მრავალფეროვანი სახისაა, შემკობის თვალსაზრისით მათში სჭარბობს დალოცვა-დღეგრძელობის შემცველი წარწერები, ზოგი დოქი წითლადაა გამომწვარი, ზოგი კი მთლიანად ჭიქურითაა დაფარული და დამშვენებული სხვადასხვა მხატვრული სიუჟეტებით.

ლიტ.: ც. კაკაბაძე, შროშული საღვინეები, 1971, ძმ. №24.

ც. კ.

დოლონაკი //ჯაფა — ტყავის მოსაქნელი რკინის ხელსაწყო. ბლაგვპირიანი. დასამაგრებლად ჰქონდა ფეხები, რომლითაც მიწაში ჩასობილ ხის ბოძზე ამაგრებდნენ. მაჯაგანში მოქნილ ტყავს დოლონაკში უფრო უკეთესად ამუშავებდნენ.



ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები, 1973.

ნ. ჯ.

დოშაკი — სანოლი ლეიბი, ქვეშსაგები.

დოხანი (ხევს.) — ნაწილობრივ მოხარშული და ერთმანეთში არეული სიმინდი, ლობიო და წმინდა ხორბალი. ზოგჯერ სვილსაც ურევდნენ, რომელსაც იყენებდნენ საკვებად.

ე. ნ.

დროშა//დროშაკი — მატერიალური კულტურის უძველესი მონაპოვარი, რომელიც ცოცხლობს და მოქმედებს დღევანდელ დღემდე. დროშა არის სახელმწიფოს სიმბოლიკის ნიშანი, ძალაუფლების გამომხატველი, ბრძოლისას ჯარის ნაწილების განმასხვავებელი, რელიგიური საკულტო საგანი და სხვადასხვა სპეციფიკური დანიშნულების მქონე სიმბოლო. დროშის სინონიმს ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში წარმოადგენს ბავრაყი, რაც საბა ორბელიანის განმარტებით, სამღვდელო დროშას აღნიშნავს, განსხვავებით სხვათაგან, სვანების დროშა ლემ-ად ინოდებოდა (იხ. ლემი). დროშის ძირითადი ნაწილებია — ტარი, ბუნი, კალთები და ზოგჯერ ბუდეც, სადაც მას ინახავდნენ.

ქართველები შორეულ ხანაში ცხოვრობდნენ წინა აზიის ხალხთა არეალში, ნაზიარებნი იყვნენ მათ კულტურულ მემკვიდრეობას და საფიქრებელია, რომ მათაც შუმერების, ასურელების, ბაბილონელებისა და სხვათა მსგავსად უნდა ჰქონოდათ თავიანთი დროშები როგორც გამარჯვების აღმნიშვნელი, ასევე



არყის გამოსახდელი ჭურჭელი



ვარდული, ძულბაძი



რელიგიურ კულტთან დაკავშირებული. არქეოლოგიური მასალები ადასტურებენ, რომ წინაქრისტიან ქართველთა დროშებზე გამოსახული იყო ნაყოფიერების ღვთაებები, ციური სიმბოლოები და ზოომორფული არსებანი.

პირდაპირ ცნობას ქართული დროშის შესახებ გვაწვდის VI ს. ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი: როდესაც ბიზანტიის კეისარმა ნათე მეფედ დაამტკიცა, ამით გახარებული ლაზები აღმართული დროშებით მიაცილებდნენ მას. წმ. ნინოს შატბერდისეული ცხოვრების წიგნის ავტორი დიდი მხატვრული ოსტატობით წარმოადგენს სადღესასწაულოდ გამოსული დროშებაღმართული ხალხის ჯარობას. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, როცა ქართველი დიდებული ვისიმე მფარველობას ცნობდა, თავის სამფლობელოს ცენტრალურ ადგილას, თავის დროშასთან ერთად, მფარველის დროშასაც აღმართავდა.

აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, გაერთიანებული საქართველოს ხანაში სახელმწიფო სამეფო დროშის გარდა არსებობდა მეფის პირადი დროშებიც. სახელმწიფო დროშა იწოდებოდა სეფე დროშად. ლაშა-გიორგის მემატიანის ცნობით, საქართველოს მეფის სასახლეზე დროშა იყო აღმართული. სამეფო დროშების გარდა იყო დროშა ამირსპასალარის, კარის მოხელეების, საქართველოს ცალკეული კუთხეების მმართველების, საქართველოს მეფის ჯარის, ყმადნაფიცი სახელმწიფოების და საეკლესიო დროშები. „ძეგლი ერისთავთა“-ს ცნობით (XV ს.), ერისთავებს დროშა მეფეთაგან ებოძებოდათ ხოლმე. გარდა ჩამოთვლილისა, საგანგებო დროშები იყო განკუთვნილი საზეიმო შემთხვევებისთვის (მეფის კურთხევა, გამოსვლა, აღლუმი, ასპარეზობა), როგორც ამირანდარეჯნიანშია ნათქვამი: „სცემდეს ბუკსა და დაბდაფსა, წამოაყენეს დროშანი მრავალნი და ზმა იყო დიადი“. სტეფანოზ ორბელიანის მოწმობით, საქართველოს ამირსპასალარის განკარგულებაში იყო 12 სადროშო და თითოეულის ქვეშ 1000 კაცი იდგა.

ისტორიული დროშები, დროშის დღევანდელ გაგებასთან რამდენამდე განსხვავებული აგებულებისანი იყვნენ და ძირითადად წარმოდგენილი არიან შემდეგი სახით: 1. დროშა, რომლის ალამი ქსოვილის იყო. 2. დროშა, რომელიც შედგებოდა ბუნზე დამაგრებული ლითონის დისკოსგან. 3. ცხოველის სახის დროშები. 4. ლაბარუმები — მრავაკუთხედი ფირფიტა, რომელიც დამაგრებული იყო ბუნზე და ზოგჯერ შიგ ხატი იყო ჩადგმული. 5. დროშა-ჯვრები — საეკლესიო დროშა, რომელიც წარმოადგენდა ბუნზე დამაგრებულ ჯვარს. ქრისტიანული პერიოდის დროშებზე გამოსახული იყო ღვთისმშობელი ყრმით, იესო მაცხოვარი, წმ. გიორგი, მთავარანგელოზები, ადგილობრივი წმინდანები. სამეფო დროშის თავები ძირითადად წარმოადგენდა ჯვარს, იყო ასევე შუბის წვერის ფორმის და ხუთკუთხედი ფიგურის ფორმის დროშები. ზოგიერთი დროშა შემკული იყო ფუნჯებით. შუა საუკუნეებში ქართულ სამხედრო დროშებზე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა წმინდა გიორგის გამოხატვა. საქართველოს გაფურჩქვნის ხანიდან შემორჩენილია გიორგი III-ის დის (XIს.) რუსუდანის შეკვეთით გაკეთებული ლითონის დროშაკის თავი, რომელიც ოქროქანდაკების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს. XII-XIV საუკუნეების წყაროებში იხსენიება გორგასლიან-დავითიანი ბაგრატიანური სამეფო ე.წ. სეფე-დროშები. თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობით, დავით სოსლანის რაზმს სინდეთზე ლაშქრობის წინ უძღოდა „დროშაი იგი გორგასლიანი, რომელი სინდეთს მოსპეტაკდებოდა“. Eეს დროშა იყო თეთრი — ჩალისფერი. სომხური წყაროების მიხედვით ქართველ მეფეებს ჰქონდათ თეთრალმიანი წითელი დროშა, ხოლო ამირსპასალარებს წითელალმიანი თეთრი დროშა. ივ. ჯავახიშვილი ამ წყაროებზე დაყრდნობით ასკვნიდა, რომ საქართველოს მეფის დროშას ბუნი თეთრი ჰქონდა, ხოლო ალამი წითელი. ინტერესს იწვევს მემატიანის აღნერილი მეფის კურთხევის ცერემონიალი, სადაც აღნიშნულია „დასცეს საყუირსა, ვითარცა ოდესმე სოლომონისთუის და დადგეს სუიანი ტახტი ვახტანგეთი... აღმართეს სკიპტრა დაფერილი, ძელი ჯუარისა და მასთანა დროშა დავითისი, არაოდეს მობერილი წინააღმდგომთაგან ნიავთა“. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, მის ყოველ ადმინისტრაციულ ნაწილს, გააჩნდა თავისი დროშა. ამ პერიოდის დროშებიდან აღსანიშნავია ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის 1711 წლით დათარიღებული დროშა, რომელიც რუსეთში ლტოლვილ მეფეს თან წაუღია. შემდგომში ეს დროშა მეფის შთამომავლის ასულისგან — გრაფინია ტოლსტოისგან მემკვიდრეობით რგებია თავად გოლიცინს, რომელსაც შეუნირავს მოსკოვის საგარეო საქმეთა არქივისთვის. დროშა საქართველოში დაბრუნდა 1922 წელს და ამჟამად საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება. ესაა სწორკუთხა ფორმის (2მ.14სმX1მ.70სმ)

სამი გრძივი ნაჭრისგან შეკერილი თხელი აბრეშუმის დროშა, რომელზედაც გამოსახულია გრძელკისერა ფრინველები, მზე, მთვარე, მცენარეული ორნამენტები, ჯვრები, მედალიონები, ანგელოზები, წმ. ნინო, დავით წინასწარმეტყველი, ლომები, კვერთხი, შურდული, ხმალი, სკიპტრა და ასომთავრულით შესრულებული სხვადასხვა ხასიათის წარწერები. მოგვიანო პერიოდის დროშებიდან აღსანიშნავია: სოლომონ I, გიორგი XII, პაპუა მოურავის (ხელოვნ. მუზ.), იულონ ბატონიშვილის (ხელოვნ. მუზ.), გერის ეკლესიის, გურიის ერისთავის (ხელოვნ. მუზ.), ნაკურალეშის, მჭადიჯვრის (ხელოვნ. მუზ.), მუხრანბატონის (დაკარგულია), მაღალაანთ ეკლესიის დროშა და სხვა. ქართული ჯვრიანი დროშების არსებობას ადასტურებს როგორც ქართული, ისევე უცხოური წყაროები, რაც ფაქტობრივად საფუძველი გახდა საქართველოს სახელმწიფოს დღევანდელი დროშის შექმნისათვის. პაპუნა ორბელიანის ცნობით: „ბრძანა მეფემ დროშათა გაკეთება. გააკეთეს ვითარ ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა ოთხი ჯვრითა მოცული“.

ლიტ.: ს. ბარნაველი, ქართული დროშები, 1953. ივ.ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1913. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 1905.

ე. ნ.

დროშა ამქრისა — საქართველოს ქალაქებში ხელოსნობის თითქმის ყველა დარგის ამქარს გააჩნდა საკუთარი დროშა, რომელიც გამოპქონდათ სადღესასწაულო დღეებში და ხმარობდნენ ასევე თავიანთ სახელოსნო-სარიტუალო წეს-ჩვეულებების შესასრულებლად. დროშებზე ძირითადად გამოსახული იყო მფარველი წმინდანები და რეალური თუ ლეგენდარული პირნი, რომელთა სახელებიც, რაღაც ნიშნით, დაკავშირებული იყო ამა თუ იმ დარგის აღმოჩენებთან. მაგ., მჭედლის დროშას ამკობდნენ ლითონის პირველი გამჭედელნი ბიბლიური იავანი და თობელი, ხარაზებისას ელია, ხუროებისას ნოე და მისი კიდობანი, სარაჯებისას ყურძენი და ა.შ. წმინდა გიორგი იყო უნივერსალური პერსონაჟი, რომელიც ხელოსანთა უმეტეს დროშებზე იყო გამოსახული, როგორც მრავალი ხელობის გამჩენი. ეს ვითარება ქართველთა უძველესი სარწმუნოების ფესვებს ააშკარავებს და ამ სფეროშიც კი გვევლინება იმ დიდი პოპულარულობის უშუალო დასტურად, რომელიც წმინდა გიორგის ეჭირა ქართველთა რელიგიურ პრაქტიკაში. ამ მომენტის ანალოგი ქართველთა უძველესი სარწმუნოების გადმონაშთებშია დადასტურებული. მაგ., ასეთია სვანეთში — სოლანი, მეგრელებში — სოლომი, ხევსურებში — პირქუში, აფხაზებში — შშა.



ლიტ.: ნ. აბესაძე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, 1986.

ე. ნ.

დროშა ხატისა — ქართველ მთიელთა საკრალური ნივთი. მთიელთა დღესასწაულის უმთავრესი ატრიბუტი. ხატ-ჯვარიონის დიდი სიწმინდე. ხატის დროშების აღნაგობა და შემკულობა მცირედი განსხვავებულობით ხასიათდება, იდეურად კი ერთი იდეის მატარებელნი არიან. ხატის დროშას გააჩნია მოჭრელებული და ზოგჯერ ვერცხლის დეტალებით შემკული ხის ტარი, რომელიც ბოლოვდება ნვერზე წამოგებული ჯვრით ან უიმისოდ. დროშაზე შებმულია პატარა ზარ-ზანზალაკები, ხალხისაგან შეწირული ფერადი ნაჭრები. ზოგიერთ თემში დროშა დაშლილი ინახება და „დროშათ აბმას“ ხევისბერი დღესასწაულის წინ ახდენს. „დროშათ აბმა“ არის რიტუალური პროცესი, რომელსაც ხევისბერი უბრად ასრულებს. ზოგ დროშას დღესასწაულის დროს გარეთ გამოაბრძანებდნენ, ზოგს კი — არა. დროშის ამბმელ-გამომტანი კურატის სისხლით უნდა განიწმინდოს, რომ ღირსი იყოს მისთვის ხელის შეხებისა. სხვა ადამიანებს ეკრძალებათ ხატის დროშისათვის ხელის შეხება.

გამზადებულ დროშას ხელოსანი „დარბასის“ კარში გამოიტანს, შემოივლის ზარების ნკარუნით და იწყებს ხუცობას.

ლიტ. ე. ნადირაძე, ქართული ლუდი, 2011. ე. ნ.

დუდუკი — ხის ჩასაბერი აღმოსავლური საკრავი. წარმოადგენს ცილინდრულ ღეროს, დამზადებულს თუთის ან ჭერმის ხისაგან. საერთო სიგრძეა 28-31 სმ. თავში ჩასმულია ლერწამი. ამათგან ერთი გაკეთებულია ქვემოდან. ლულაში ჩადგმულია ლელის ან ლელქაშის ბრტყელი ორმაგი მილაკი, ე.წ. ყამიშები.



დუდუკს აქვს ხავერდოვანი, რბილი ტემბრი, მდიდარია დინამიკური ნიუანსებით (ძლიერიდან ძალიან სუსტამდე). დუდუკი ძირითადად საანსამბლო საკრავია. როგორც წესი, დუეტში ერთი მედუდუკე — უსტა (ოსტატი) ასრულებს მელოდიას, მეორე — დამქაში უბანებს. დუდუკები აშუღების სიმღერების თანმხლებიც იყო.

დუდუკი პოპულარული საკრავია სომხეთში, აზერბაიჯანსა და დაღესტანში. არიან პროფესიონალი შემსრულებლები. შედის ხალხურ საკრავთა ორკესტრების შემადგენლობაში.

საქართველოში დუდუკი გავრცელდა XVIII ს-დან, თბილისში. მალე მოიპოვა პოიპულარობა. მოგვიანებით გავრცელდა თბილისის მიმდებარე სოფლებსა და რეგიონებში. აქ შეიქმნა თბილისური საშემსრულებლო სტილი, საკრავმაც მოდიფიცირება განიცადა, რის საფუძველზეც დამკვიდრდა ე.ნ. „ქართული დუდუკის“ ცნება.

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა, ქუთაისი, 1925. ი. გრიშაშვილი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოპემა, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1963.

მ. შ.

დუვაღი *(აჭარ.)* — ქალის საქორწილო თავსაბურავი. კონუსისებური, მუყაოს ზემოდან დასაფენი ძვირფასი ქსოვილი. წითელი ფერის ქსოვილს, რომელსაც ხოჯა შეკერავდა პატარძალს გადააფარებდნენ თავზე. სტუმრების გასტუმრებამდე არ მოიხსნიდა.

სასიძოს სახლში პატარძლის ქალის ძმა ან ნათესავი ვაჟი მოხსნიდა დუვაღს და ქალიშვილების ჯგუფისაკენ გაიქნევდა, ვისაც მოხვდებოდა, ის გახდებოდა ვაჟის საცოლე.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005.

ც.ბ

დუმბული — საბას განმარტებით, დუმბული არის მცირე ნაღარა, ეთნოგრაფიულ ყოფაში მსგავსი საკრავი დამოწმებული არაა.

დურა-ტყავი – ცხვრის ტყავის ქურქი, აგრეთვე ცხვრის ტყავისაგან შეკერილი საბანი. ხევსურს „უგდია სახლში რამდენიმე ლაჭანი, ნნული ჯინა ჩალით ან თივით დაგებული და ზედსახურად თითოში არის დურა-ტყავი“.

დურგალი — ხითხუროს შემცვლელი გვიანდელი ტერმინია. დურგალი აშენებდა ხის სახლს და ყველაფერი — კარი, ფანჯარა, იატაკი, კარი, მას უნდა დაემზადებინა და გაემართა.

ე. ნ.

დურკი – ცაცხვის ხისაგან დამზადებული გულამოღებული ჭურჭელი. მომცრო კასრს ნააგავს. კარგად ინახავს რძეს.



ბ.ბ.

დუქანი — სავაჭრო სახელოსნო ნაგებობა, რომლის სინონიმი უძველეს ქართულ ძეგლებში არის „საფარდული" და „სამოსასყიდლო", ამათთან ერთად, XI-XII სს. წერილობით ძეგლებში გვხვდება დუქნის შესატყვისი უცხოური ტერმინი „ქულბაქი". დასაელეთ საქართველოში დუქნის მნიშვნელობით ტერმინი „ხულაც" ყოფილა გავრცელებული. დუქნის შიგნით უშუალოდ მიმდინარეობდა სახელოსნო საქმიანობა, ხოლო მის წინპირზე გამოფენილი იყო სახელოსნო ნაწარმი და მათი რეალიზაციაც აქვე ხდებოდა. არქიტექტურული თვალსაზრისით დუქნები სხვადასხვანაირი ფორმისა იყო: მაგ.: ორსართულიანი დუქანი, დუქანი-საცხოვრებლით, დუქანი დარაბებიანი და სხვა. დუქნები ზოგი ქვითკირისაგან იყო ნაგები, ზოგი კი ხისაგან. პირველი დამახასიათებელი იყო აღმოსავლეთის, ხოლო მეორე დასავლეთ საქართველოსათვის. ქალაქის დუქნები ერთი ქუჩის პირზე ჩარიგებულ შენობებს წარმოადგენდა და არქიტექტურული თვალსაზრისით საკმაოდ მოწესრიგებული იყო.

მოგვიანებით დუქანი ეწოდა სასადილოსაც.



ლიტ.: შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ II, 1983.

ე. ნ.

დუშაყი — დაგრეხილი წნელი.

დუშლული – უსახელო, სანიადაგოდ სახმარი დალიანდაგებული დაბამბული ქართლში.

ღღიური — (ქართ. კახ.) მიწა, რომელსაც 8-10 წყვილი ხარ-კამეჩი დიდი გუთნით ერთ დღეში მოხნავს. (იხ. მოდგამი, დიდი გუთანი).

ე. ნ.













ზოომორფული ძეგლები



თავსაბური რაჭული

ებანი – 1) ქნარის ტიპის სიმებიანი საკრავის სახელწოდება, რომელიც XIX ს-მდე იყო ყოფაში საქართველოში. მისი ზუსტი აღნაგობა ცნობილი არაა. 2) თანმხლები საკრავის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი.

ლიტ.: გრ. ჩხიკვაძე, სამუსიკო საკრავი ებანი და მისი რაობა.— მსე, VII, 1955:51-64;

მ. ბ.

ეგვტერი – ეკლესიის მოშორებით მდგარი პატარა სამლოცველო, საჟამნო. ზოგჯერ სახელობითი, სადაც მისი ამგები იყო დაკრძალული.

ევლოგია — მორწმუნეთა მიერ მოსახსენიებლებთან ერთად შეწირული სეფისკვერი, რომელიც წირვის დამთავრებისას, ჯვრის მთხვევის შემდეგ, კვლავ მორწმუნეებს ურიგდებათ. მისი მიღება დილით მხოლოდ უზმოდ შეიძლება. მლოცველთ ნაწილი ევლოგიისა შინ მიაქვთ, რათა მომდევნო დღეებში დილის ლოცვების შემდეგ იხმიონ ნაკურთ წყალთან ერთად. ევლოგიის წინ საჭიროა სათანადო ლოცვის წარმოთქმა: „უფალო ღმერთო ჩემო ჰყვენ ესე წმიდა ძღვენი შენი და წმიდა წყალი შენი, მოსატევებელად ცოდვათა ჩემთა, განსანათლებლად გონებისა ჩემისა, განსამტკიცებლად ცოდვათა ჩემთა, განსანათლებლად გონებისა ჩემისა, განსამტკიცებლად სულიერთა და ხორციელთა ძალთა ჩემთა, საკურნებელად სულისა და ხორცისა ჩემისა, დათრგუნვად ვნებათა და უძლურებათა ჩემთა, განუზომელისა მოწყალებისა შენისა გამო, ლოცვითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისათა და ყოველთა წმიდათა შენთათა, ამინ“.

ლიტ.: მართლმადიდებლის მცირე ლექსიკონი, 2002 , ლოცვანი, 2000.

ხ.ც.

ეთილი — აქ: ტყავის გასასწორებელი ხელსაწყო. წარმოადგენდა მრგვლად გათლილ ხეს, რომელსაც გამოშვერილ ნაწილზე სპილენძის, მარმარილოს, ან ლითონის ნაჭერი ჰქონდა დამაგრებული. ეთილს აქეთ-იქით ნაავლებდნენ ორივე ხელს და უსვამდნენ ბეწვის მხრიდან ტყავს მის გასწორებამდე. ეთილი ტყავს სინესტეს აცლიდა და გამძლეობას მატებდა.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

ეკლესია — ქრისტიანთა სამლოცველო სახლი.

ელარჯი — ერთგვარი საჭმელი, განსაკუთრებით გავრცელებულია სამეგრელოში. ადუღებულ წყალში გახსნიან სიმინდის ფქვილს და შიგ ჩაჭრიან ბლომად ჭყინტ სულგუნს, შემდეგ იწყებენ ჩოგნით ზელას და კარგად რომ მოიხარშება, ღომივით გასქელდება. ელარჯი საპატიო სტუმრის მისართმევ კერძად ითვლებოდა სამეგრელოში.

ლიტ.: ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 2006.

ე. ნ.

ელეგი//ელეღი//კანთარი(რაჭ.)**საბეჭური**(ლეჩხ.)**დუშლუღი//** (კახ.) — უსახელო, მამაკაცის ჩასაცმელი. მასალად გამოიყენებოდა აბრეშუმი, შალი, მაუდი, ხშირად წინა და უკანა ზურგი სხვადასხვა ქსოვილისაა. დასარჩულებული იყო ფერადი ბამბის ქსოვილით.



მისი ნაწილებია: წინა ორი კალთა და ზურგი. წინ მთლიანად ჩახსნილი და ღილ-კილოებით შესაკერელი. „ჟილეტის“ ტიპის ეს უსახელოებო ჩასაცმელი იყო საყელოიანი და უსაყელოც, გულისპირზე ჯიბით მორთული იყო სირმით და ზოგჯერ აპლიკაციითაც. უსახელებო ელეგს მეორენაირად „საზაფხულო ზუბუნსაც“ უწოდებდნენ.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი. ქართული გლეხის კოსტიუმი XIX ს. სსმმ ტ XIX-A და XIX-B, 1957. ც. ბ.

ემბაზი – საბანელი, განსაწმედელი, ნათლისღებისათვის განკუთვნილი ქვის, ხის ან ლითონის დიდი თასის მსგავსი (შეიძლება ოთხკუთხა ფორმისაც იყოს) ჭურჭელი. სამი პატარა შანდლით სანთლებისათვის, რომლებსაც ნათლობის საიდუმლოს ჩატარებისას ანთებენ. „ემბაზის შვილი" ნიშნავს მონათლულს. ნათლობის საიდუმლოს გარკვეულ მომენტში ემბაზში ჩასხმულ ნაკურთხ წყალში მღვდელი სამგზის შთაფლვითა და ლოცვით ნათლავს ერისკაცს. ბავშვის მონათვლა შესაძლებელია დაბადებიდან მე-9 ან მე-40 დღეს, (ხოლო ჯანმრთელობისთვის რისკის შემთხვევაში დაბადებისთანავე), რომელსაც მონათვლის შემდეგ შეუძლია წირვა-ლოცვაზე დასწრება, აღსარებისა და ზიარების საიდუმლოებებში მონაწილეობა. მონათვლისას ადამიანს უფლისგან დაედგინება მფარველი ანგელოზი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე და გარდაცვალების შემდეგაც უხილავად იცავს მის სულს უწმინდურ ძალთაგან.

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2005.

ხ. ც.

ენდრო — საღებავი მცენარე. ხალხურ სამღებრო საქმიანობაში იხმარებოდა საღებავად. ენდროს ძირებში გამოირჩეოდა გარეთა კანი, ცილი და მოყვითალო შუაგული. მასთან შერეული სხვადასხვა დასადედებელ-ფერმჭერის საშუალებით (ნაცარი, შაბი, გამხმარი შვინდის ნახარში, მურყნის ქერქის ნახარში და სხვა) ღებულობდნენ წითელი ფერის ფართო სპექტრს. ენდროთი იღებებოდა ბამბის, შალის, მატყლის მრავალფეროვანი საფეიქრო ნაწარმი. იგი იძლეოდა უხუნებ, მდგრად ფერებს.

ენდრო საქართველოში უძველესი დროიდან იყო ცნობილი. ინტენსიური წარმოების გამო საექსპორტო საგანსაც წარმოადგენდა. საქართველოდან იგი აქლემებით გაჰქონდათ აღმოსავლეთ ქვეყნებში. ქართული ენდრო წარმატებით უწევდა კონკურენციას საერთაშორისო ბაზარზე აზიურ და კაპრის ენდროს. ამის გამო ენდრო XIXს. 60-იან წლებიდან რუსეთის მიერ „კოლონიალურ" მცენარეების გაშენების პროექტში იყო შესული, რისთვისაც მისი მოშენების საგანგებო აგროტექნიკური ღონისძიებები იქნა შემუშავებული. მისი პლანტაციები გაშენებული იყო საქართველოს სხვადასხვა ადგილას (თელავი, სიღნაღი, აწყური, ქუთაისი). XIXს. 70-იან წლებიდან ხელოვნური საღებავის —ანილინის მიღების შემდეგ საფუძველი გამოეცალა ენდროს მოხმარებას და გაშენებას. ამჟამად ველური სახითაა გავრცელებული ქართლ-კახეთსა და იმერეთში.

ლ.მ.

ენქერი – ეპისკოპოსთა, არქიმანდრიტთა და სხვა დამსახურებულ სამღვდელო პირთა სატარებელი, მარჯვენა მხარეს ლენტით დასაკიდი ოთხკუთხოვანი რომბისებური ფორმის ქსოვილი ჯვრის გამოსახულებით. სიმბოლურად ნიშნავს ღმრთის სიტყვის სულიერ მახვილს, რომელიც იარაღის მსგავსად მარჯვნივ დაიკიდება. ენქერი მღვდელს მიეცემა ჯილდოდ.

სარტყელზე ჩამოკიდული ენქერი ქრისტეს ხელსაწმენდს ნიშნავს, ის აგრეთვე მოასწავებს პილატეს, რომელმაც ხელები დაიბანა, შეიმშრალა მასზე და თქვა: „უდანაშაულო ვარ" (წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელი).

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2005. წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელი „საეკლესიო თხრობა და საიდუმლო ჭვრეტა", გაზ. „საეკლესიო სინნმინდენი", №1, 2000.

ხ. ც.

ენძა (რაჭ.) — წვრილი ბაწარი, რომელსაც კალატოზები ხმარობდნენ კედლის სწორად გასაყვანად, იგივე ლარი.

ლიტ.: ალ. ღლ. ქკთსკ, 1974.

ეჟვანი – საუღარუნო პატარა ზარაკი, რომელიც შეებმებოდა დროშებსა და ალმებს, სარიტუალო თუ სატრანსპორტო ეტლებს, საქონელს. ხმარობდნენ სხვადასხვა ტიპის ეჟვნებს, რომელთაგან გამოირჩევა მრგვალი უენო ეჟვანი, მას შიგნით რკინის ბურთულა აქვს მოთავსებული და პატარა შენძრევაზედაც კი ხმას გამოსცემს. სარიტუალო თუ საბრძოლო დროშებზე ეჟვნების შებმა და მათი ხმაური გამოკვეთდა არსებული მდგომარეობის საკრალურ ბუნებას. ეჟვანს პრაქტიკული დანიშნულებით გამოიყენებდნენ ეტლებზე, აბამდნენ საძოვარზე გაშვებულ საქონელს, დაკარგვის შემთხვევაში, მათ ხმაურზე უფრო იოლად რომ მოეძებნათ. ბრინჯაოს ხანის მასალებში მოიპოვება დიდი რაოდენობით ეჟვნები, რაც იმის მაუწყებელია, რომ ამ ნივთს ფართო რელიგიური და პრაქტიკული დანიშნულება ჰქონია.

ე.ნ.



ელეგი



ელეგი

ერბო – გადამდნარი კარაქი. კარაქის ერბოდ გადადნობა ხევსურეთში — „კარაქთ დაძირების“, ფშავში — „ერბოს გადადნობის“, ხევში — „კარაქის გადნობის“, თუშეთში — „კარაქის გამოდნობის“, მთიულეთ-გუდამაყარში — „კარაქის გარჩევის“ სახელით არის ცნობილი. ერბოს მომზადებისას გადღვებილ კარაქს ქვაბში ნელ ცეცხლზე გადაადნობდნენ, განურავდნენ და იმავე ქვაბში ჩააბრუნებდნენ. დროდადრო წყალს ან რძეს (რძე „კარაქის ძირისად“ იყო კარგი) ჩაუმატებდნენ და კვლავ ცეცხლზე შემოდგამდნენ. როცა ადუღდებოდა ქერის, სვილის ან სიმინდის ფქვილს ჩაყრიდნენ (4კგ. კარაქზე ერთ მუჭ ფქვილს). ქერის ფქვილი ერბოს კარგად „ნურავდა“, სვილისას — ძლიერი, მსუყე ერბო გამოჰყავდა. დაახლოებით ერთი საათის დუღილის შემდეგ კასრებში გადაასხამდნენ. მეორე ხერხით, სითხეს აადუღებდნენ ქაფის დაკარგვამდე. გადმოდგმულსა და შენელებულს მარილს მოაყრიდნენ, წყალს აპკურებდნენ და თან ურევდნენ. ერთ-ორ საათს ქვაბში თავდახურულს ამყოფებდნენ. როცა ერბო „დაინკრინტებოდა“ (მთიულეთი) და კარაქის ლექი ქვაბის ფსკერზე დაილექებოდა, საერბოე კასრში გადანურავდნენ. როგორც წესი „ერბო ზეთს მაიდგამს“ და იმას „ნურულ ერბო ჰქვიან“ (ხევსურეთი). მოზრდილი ადამიანისთვის წლიურად ფუთნახევარ ერბოს ანგარიშობდნენ. ერბო გამოიყენებოდა ყველა სახის ხინკლის (გარდა ხორციანისა) ამოსანებად, კერძებში — ჩასახრაკ-ჩასაშუშად, ქადისკვერების ამოსავლებად, ხავიწის დასამზადებლად, სტუმრებთან ჯამით სუფრაზე ჩასადგმელად და სხვა. ერბო ფულის მაგივრობას სწევდა და ძირითადად მასზე იცვლებოდა ხევსურთათვის საჭირო საქონელი. საქართველოს მთიანეთში ერბოს გამოიყენებდნენ სარიტუალო მიზნებისთვისაც. პირველ შედღვებილ ერბოს ცალკე შეინახავდნენ და იმით დამზადებულ ქადას არყის ზედაშესთან ერთად ხატში მიიტანდნენ ძროხების „შესახვეწად“, ხევისბერი „ჯვარად გასჭრიდა“ ერბოს და დაამწყალობებდა: „წყალობა მოგცეს ამ ხატმაო, რისაც კარზე მახვედ, წყალობა გამოგაყოლოს კაცისაო, საქონლისაცაო. შენ იყოს მწყალობელი და შენი ოჯახისაო“ (ხევს.). ამ ერბოთი დამზადებულ ქადას, აგრეთვე, გაიხმარდნენ დღეობებზე სტუმრის პატივსაცემად.

ლიტ.: ლ. კაიშაური, მთიულეთის დარგობრივი ლექსიკონი, 1967.
გ.ჩიტაია, ხევსურული სახლის „სენე“, ანალები, I, 1947.
ნ.ჯ.

ერდო — ერდოგვირგვინიანი სახლის ბანში ამავალი ღია ადგილი, საიდანაც შემოდის სინათლე და ადის კვმალი.

ერეჯიბი — კაჟიანი თოფის სახელწოდება. ტერმინი მომდინარეობს ოსტატის სახელიდან. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ერეჯიბი, ანუ ირაჯიბი იყო ადიღეელი ოსტატი, რომელიც XVIII ს-ში მოღვაწეობდა და ამზადებდა საუკეთესო თოფებს. ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება, რომ ერეჯიბი (XVIII-XIX) ამზადებდა შაშხანის ტიპის ხრახნულლულიან იარაღს მასიური ლულებითა და კონდახებით, რომელთაც ირმის რქით აპირკეთებდა, ასეთი თოფები მის სახელს ატარებდა და ძალიან ძვირადაც ფასობდა. Eერეჯიბი საქართველოშიც იყო გავრცელებული. ამ თოფის სახელწოდება გვხვდება ხალხურ პოეზიაშიც.

ლიტ.: Э. Аствацатурян _ ОРУЖИЕ НАРОДОВ КАВКАЗА. 1995.

ერქვანი – ძველად ამ სახელწოდებით ცნობილი იყო სახვნელი იარაღი ჯილღა (იხ.). თანამედროვე ქართულ ენაში „ერქვანი“//„ვერქვანი“ აღნიშნავს სახვნელი იარაღის სახელურს.

თ. გ.

ეტრატი — ეტრატი - ტყავისაგან დამზადებული საწერი მასალა. საქართველოში X-XI საუკუნემდე სამწიგნობრო ხელოვნებაში გამოყენებულ საწერ მასალას ტყავისაგან ამზადებდნენ. XI საუკუნიდან თანდათანობით ხმარებაში შემოდის ქაღალდი. ეტრატზე შესრულებული უძველესი ქართული ხელნაწერები - პალიმფსესტები V-VIII საუკუნეებით თარიღდება (პალიმფსესტი - ეტრატის ფურცელი, რომელიც ძველი ტექსტის გადაფხეკის შემდეგ ხელახლა არის გამოყენებული საწერ მასალად).

ცხოველის (ცხვრი, თხა, ხბო) ტყავისაგან დამზადებულ საწერი მასალას მცირე აზიის ქალაქ პერგამონის მიხედვით პერგამენონი ეწოდა. მისი ქართული შესატყვისია ''ეტრატი". იგი ქართულ წერილობით ძეგლებში X საუკუნიდან დასტურდება. პარალელურად გვხვდება "წიგნი ტყავისა " (X ს., XI ს.). სულხან-საბა ორბელიანს ეტრატი განმარტებული აქვს, როგორც "ტყავის ქაღალდი, წიგნის ტყაეები".

ქართულ ხელნაწერებზე დარული ანდერძ-მინაწერების მიხედვით, ეტარატის დასამზადებლად ბატკნის, თიკნის და ზოგჯერ ირმის ტყავსაც იყენებდნენ. საწერი ეტრატისაგან განსხვავებით, ყდის შესამოსად,

ძროხის ან სხვა რომელიმე ცხოველის შედარებით სქელ და უხეშ ტყავს ხმარობდნენ.

ტყავს რეცხავდნენ, ამუშავებდნენ ნაცრით, ნაცრისა და კირის ნარევი ან კირიანი წყლით, შემდეგ აცლიდნენ ბეწვის და ხორცის ფენას, ამისთვის გამოიყენებოდა სპეციალური ხელსაწყოები - ვარაჩო და დემური. კვლავ რეცხავდნენ და მიღებულ სუფთა დერმას, ჭიმავდნენ ხის ჩარჩოზე. გაჭიმულ დერმას აშრობდნენ და თან ამუშავებდნენ მრგვალპირიანი დანითა და პემზით ერთგვაროვანი გლუვი ზედაპირის მიღებამდე.

ეტრატისაგან დამზადებულ ხელნაწერს ორგვარი ფორმა შეიძლება ჰქონოდა. ერთი მათგანი რვეულებად შეკრული და ყდაში ჩასმული ხელნაწერი წიგნი - ფურცლებად დაჭრილ და დაკეცილ რვეულებს შეიცავდა, ხოლო მეორე - გრაგნილი, ერთი მეორეზე გადაკერებული ან მიწებებული ფურცლების დახვევით ანუ გრაგნვით მიიღებოდა. გრაგნილის შემადგენელ ფურცლებს ,,კეფი'' ერქვა.

დ. გოგაშვილი, ეტრატი — სანერი მასალა და მისი დამზადების წესი, მრავალთავი, XX, თბ., 2003.
ლიტ.: შ. მესხია, საისტორიო ძიებანი ტ.I, 1982.
ე. ნ.

ეშმა — ქალცედონის, არაგამჭვირვალე, მკვრივი სახესხვაობა, რომელიც დამუშავების შემდეგ იძენს ფერთა მრავალფეროვან გამას, ამ ქვისგან ამზადებენ ლარნაკებს, ფიალებს, ადრეულ ხანაში ეშმას იცნობდნენ იასპის სახელწოდებით. საქართველოში ეს მინერალი ნეოლითის ხანიდანაა დადასტურებული, ხოლო მისი დამუშავება და ესთეტიკური მნიშვნელობით გამოყენება უამრავი სახის ძეგლზეა დადასტურებული.

ლიტ.: ე. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.
ე. ნ.



ეჩო - ხის მოხელის სათლელი იარაღი. ყოფაში გავრცელებულია სინონიმები: ეჩო (ქართლ. კახ.), ხელეჩო//ღორეჩო (იმერ.), ღორაჩო (ქიზ.), ეჩუა (გურ.), ქესარი (აჭარ.), ეჩვაი//ხელეჩვაი (ფშ.), ქოთქოთო და ა.შ. შედგება ლითონის პირისა და ხელტარისაგან, არის პატარა ეჩო — ხელეჩო და დიდი — თოხეჩო, ფეხეჩო, მძიმე ეჩოები. ეჩო თავისკენ მიითლის ნაფოტს და მთლელისკენ ისვრის. რაც თავისებურად არის ასახული ხალხურ სიტყვიერებაში: „...განა კაცი ეჩო არის, სულ თავისკენ მიითლიდეს".

გ. ბ.

ეჰრამი//ჩარჩაბი (მესხ-ჯავახ.) — ჩადრის სახეობა. თხელი შალის თეთრი ქსოვილის. 1 ან 1,5მ სიგანისა და 3მ სიგრძისა. ამ ქსოვილს ამზადებდნენ სომეხი ან ებრაელი ხელოსნები ქ. ახალციხეში. ეჰრამს ატარებდნენ შეძლებული ფენის წარმომადგენელი ქალები. ოსმალთა ბატონობის დროს გათხოვილი ქალის ჩაცმულობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი, ქალის ტანზე სრულად მორგებული. ორი ფართო მანი ერთმანეთზე გადაკერებული. წინა მხარეს წელს ზემოთ გახსნილი. სახლის გარეთ ჩასაცმელ ამ ელემენტს ზოგჯერ წინ ბოლომდე ჩახსნიდნენ კიდეც.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005, ლ. ბარათაშვილი, მასალები XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან. მსმკი, 1966.
გ. კ.

თავსაბურავის ტიპები ფეოდალურ საქართველოში



თავსაკრავი

ვაგაკეტი//(ამკეტი) — დიდი ქვების ასაწევ-გადასაბრუნებელი მრგვალი რკინის მასიური იარაღი. სამი-ოთხი არშინის სიგრძის და წონით ხუთ ფუთამდე. ერთი თავი წვერიანი აქვს, მეორე გაბრტყელებული. მისი საშუალებით დიდი ქვის ლოდები დაიძვრება კლდიდან. მისი სიგრძის წყალობით შესაძლოა ორმა-სამმა კაცმა 2-3 ტონიანი ქვა გადააბრუნოს.

ე.ნ.

ვაზი – 1. აქ: ქვის ძეგლებზე გამოსახული ვაზი, ქართველთა წარმართული რელიგიისა და ქრისტიანობის ერთი უდიდესი სიმბოლო. ქართველებისათვის, როგორც უძველესი სამიწათმოქმედო ერისათვის, ვაზი ოდითგანვე შეადგენდა თაყვანისცემის სიმბოლოს. ვაზისა და მტევნის გამოხატვა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა საყოფაცხოვრებო ხასიათის საგნებზე, მემორიალური კულტურის ძეგლებსა და საეკლესიო არქიტექტურაში.

ვაზისა და მტევნის გამოსახულება გვხვდება როგორც ამოკაწვრის წესით, ასევე მაღალი რელიეფით გამოყვანილი. ზოგჯერ საფლავის ლოდზე გამოსახული მიცვალებული ვაზის ლერწებშია გახვეული. ქრისტიანობამ კიდევ უფრო გააღრმავა ამ მცენარის სიმბოლური ხასიათი, რასაც განაპირობებდა ვაზის სახარებისეული განმარტება: „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი და მამაჩემი მევენახეა", „მე ვარ ვაზი, ხოლო თქვენ ლერწები ხართ", „ამით იდიდება მამაჩემი თუ გამოიღებთ უხვ ნაყოფს" (იოანე: 15;1,2,5,7,8), არა მხოლოდ ქრისტე, არამედ მოკვდავი ადამიანებიც ხშირად გაიგივებული იყვნენ ვაზთან „დანერგულიცა ვართ, ვითარცა ვენახნი საყურძნესსა ქრისტესა, რამეთუ იგი თავად არის ვენახი ჭეშმარიტი". ქრისტიანებისათვის ვაზის გამოსახულებას უნდა ვუცქერდეთ, როგორც ზიარების სიმბოლურ გამოხატულებას. საფლავის ქვებზე ვაზისა და მტევნის გამოსახულება ნიშნავს ზიარებას ქრისტესთან, იგია მუდმივობის გარანტია და ასახავს მიცვალებულთა კავშირს ცათა სასუფეველთან.

2. მცენარე, რომლის ნაყოფისგან — მტევნისგან აყენებენ ღვინოს. საქართველო მიჩნეულია ვაზის უძველეს სამშობლოდ, რაც დადასტურებულია არქეოლოგიური მასალებით. საქართველოში დაფიქსირებულია 500 მეტი ვაზის ჯიში.

ე. ნ.

ვალა (აჭარ.) — ქალის თავსაბურავი. დუვაღის ზემოდან დასახურავი ოთხკუთხედი ფორმის წითელი თავსაფარი. მასალად გამოიყენებოდა ფაბრიკული ქსოვილები, მოხმარების დროს ირიბად აიკეცებოდა.

ლიტ.: ლ. ბარათაშვილი, მასალები XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან. მსმკი, 1966.

ც.ბ

ვარაყი – მოვარაყება — სხვადასხვა დანიშნულების ნივთის შესამკობად ოქროს ან ვერცხლის თხელი ფენის გადაკერა. ფეოდალურ ეპოქაში ავარაყებდნენ საომარ იარაღებს: ხმალს, ხანჯალს, ფარს, დამბაჩას, თოფს, უნაგირს და სხვა. ვარაყით არის აგრეთვე შემკული ძველი ქართული ხელნაწერი წიგნები. ვარაყით ამკობდნენ ფაიფურის ჭურჭელსაც.

მ. ბ.

ვარაჩო – გამოიყენებოდა ტყავის დამუშავებისას, წარმოადგენს უბრალო ხეს, რომლის ერთ ბოლოს დებდნენ მიწაზე, მეორეს მიაყრდნობდნენ კედელს.ზედ ტყავს გადაპკიდებდნენ და დემურით ფხეკდნენ ბალანას და ლეშს.

ლიტ.: სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

ვარდული//ქულბაქი — ლაზური სახლის შუა ჭერში მიკრული სამშვენისი, პლასტიკური რელიეფით შესრულებული, მრგვალი ფორმის ფართო დისკო, რომლის ორნამენტული დეკორი დატვირთულია მცენარეული ორნამენტით, განსაკუთრებით მსხმოიარე ვაზის მოტივით. ვარდულში განსახირიებული ოსტატის ხეზე კვეთილობის შემოქმედებითი შესაძლებლობა, ხოლო მისი სიმბოლური შინარსი დატვირთულია ბარაქიანობის, ნაყოფიერების, ზოგადად ქვეყნიერებისა და კერძოდ, ოჯახის სითბოსა და სინათლის მინიჭების სიმბოლიკით. ვარდული ყველაზე მეტად დამახასიათებელი იყო ლაზური სახლისათვის (იხ. ლაზური სახლი).

ლიტ.: თ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური საცხოვრებელი.

ე. ნ.

ვარია (ხევს.) — ნაღების დასამზადებელი ხის ან თიხის ჭურჭელი, რომელიც ფართო მასშტაბის სამეურნეო საქმიანობისთვისაა დამახასიათებელი. ვარია ცილინდრული ფორმის მთლიანი ხისგან გამოთლილი გულამოღებული და ორმხრივ დახურულია, რომელსაც ზემოდან შუა ადგილას ოთხკუთხად ან მრგვალად ამოჭრილი პირი აქვს. ვარიის ტანს აქვს ნაჩვრეტი — ლულა, საიდანაც გადმოედინება დო. ვარია დღვების დროს ჭერში თოკითაა ჩამოკიდებული და მდღვებავი მას ერთი მხრიდან მეორისკენ თანაბარზომიერი ბიძგებით ამოძრავებს. ვარიის ფსკერის ზომა თანაბარი არაა. მისი ერთი მხარე პატარაა, მეორე კი დიდი, რადგან წინააღმდეგობა მეტი ექნეს სადღვებ რძეს და მალე შეიდღვიბოს. ვარია ზოგადად განიერი უნდა იყოს, რომ რძემ დიდი გაქანება მიიღოს და არ შეიხუთოს. ყოფაში გამოყენებული ყოფილა სპილენძის ვარიაც, რომელიც უფრო მეტად იცავდა თანაბარ ტემპერატურას, მაგრამ ნაღებს სპეციფიკურ გემოს აძლევდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გვხვდება თიხის სადღვებელი ვარიებიც, რომლებიც ეყრდნობოდა აკვნისებურ საგოგავებს და მდღვებელს მისი მეშვეობით მოჰყავდა მდგომარეობაში. ეს სადღვებელი მიეკუთვნება ვერტიკალურ სადღვებთა ტიპებს და იგი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს მთიანეთში (იხ. დოთქუნა//კარაბა, ჩხუტ-ბრუნელი).

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ე. ნ.

ვარიოზი — ქვის სამტვრევი მასიური რკინისთავიანი იარაღი. იხ. ურო.

ვარსკვლავი – აქ: საღმრთისმსახურო ნივთი, ერთ-ერთი წმინდა ნივთთაგანი, რომელიც წარმოადგენს ერთმანეთთან შუაში ხრახნით შეერთებული ბოლოებმოხრილი ლითონის ორ ფირფიტას. ეს ფირფიტები ისეა შეერთებული, რომ შესაძლებელია როგორც მათი დაკეცვა, ისე გაშლაც. ჯვრის სახით ვარსკვლავი ფეშხუმზე წმინდა ტარიგის ზემოდან იდგმება, რათა მას (ტარიგს) დაფარნა არ შეეხოს.



ვარსკვლავი იმ ვარსკვლავის სიმბოლოა, რომელმაც აღმოსავლელი მოგვები ბეთლემში ქრისტეს დაბადების ადგილთან მიიყვანა თაყვანსაცემად. ვარსკვლავი დაკეცილ მდგომარეობაში ნიშნავს უფალ იესო ქრისტეს განუყოფელ ორბუნებოვნებას, რომელიც ცალ-ცალკეა და ამავე დროს, განუყოფელიცაა. გაშლილ მდგომარეობაში კი გამოხატავს ბეთლემის ვარსკვლავს (შობა) და ჯვარს, უფლის წამების იარაღს, რომელზე ვნებითაც მან კაცობრიობის ცოდვები გამოისყიდა. ისევე, როგორც ვარსკვლავი აერთიანებს უფლის ორბუნებოვნებასა და ჯვარს, ასევეა გაერთიანებული პროსკომიდიაშიც (კვეთა), ერთდროულად უფლის დაბადება და სიკვდილი. ღმრთისმსახურებაში ვარსკვალავის შემოტანას ძველი ავტორები ერთსულოვნად მიანერენ წმ. იოანე ოქროპირს (V ს.)

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2005, 2004, მართლმადიდებლის მცირე ლექსიკონი, 2002. Настольная книга священнослужителя, т. 4, М. 1983.

ხ. ც.

ვარცლი — პურის ცომის მოსაზელი ნავისებური ხის ჭურჭელი. ძირითადად ორი სახისაა. ერთი დიდი ზომის, ფეხებიანი, სადაც ერთდროულად 30-40 კგ ცომი მოიზილებოდა დიდ ოჯახში, ასევე ქორწილისა და ქელეხის დროს. ვარცლი ღრმა ჭურჭელია, განკუთვნილია საფუარიანი ცომისთვის და მისი კონსტრუქცია მისადაგებულია ფუების, ამოსვლის პროცესთან. ვარცლის მეორე ტიპს ხელვარცლი ეწოდება და ყოველდღიურად მოიხმარებოდა. ასეთი ვარცლის სიღრმე და სიგანე იმ ზომის უნდა ყოფილიყო, რომ შიგ საცერი თავისუფლად ჩატეულიყო. ხელვარცლს მცირერიცხოვან ოჯახში ხმარობდნენ. ზოგიერთ ვარცლს იმხელა ფრთები ჰქონდა, რომ პურის გუნდის მომზადება მასზევე ხდებოდა. ვარცლი გავრცელებული იყო მთელ საქართველოში, მაგრამ სხვადასხვა სახელწოდებით. მაგ., მესხეთში — გობი, სვანეთში — ჯარ, რაჭაში — ორე. ვარცლის გავრცელების არეალები ძირითადად ემთხვევა იმ რეგიონებს, სადაც მემინდვრეობაში ძირითადად პურეული კულტურები იყო გავრცელებული.

პურის ცხობა ოჯახში საპატიო მოვალეობად ითვლებოდა და მას ტრადიციულად ოჯახის უფროსი ქალი უძღვებოდა. დიასახლისად დალოცვაც ვარცლთან ერთად ხდებოდა.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ე. ნ.

ვაშკარანი – ზოგადი სახელია შთასადებელთა ჭურჭელთა ნაქსოვთა, ანუ ტყავისათა (საბა). ესენი არიან: ბალანტი, გუალაგი, გუდა, ველავარაკი, თალია, თალისი, მაფრაშა, მანდიკი, მახალი, მახალიკი, პარკი, საცალო, ტომარა, ქისა, პავარაკი, საქუფთე, ურნატა, ტუნკია, ჩახვი, ჩალთა ანუ შალითა, შულდაკი, ხალთაგუდა, ხურჯინი, აბგა, ჯალდანი, კუზდანი გინა ამიანური.

ლიტ: ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961.

ვენახი – აქ: ზოგადი სახელი მრავლად დანერგული ვაზისა.

ვეძა — მინერალური წყალი. აქედანაა ტოპონიმი ვეძისი.

ზალნაკი//წაკანი — „სველი პურმარილი" (ფშ.) ერთგვარი საჭმელია ფშავში. ადუღებულ წყალში ჩაყრიდნენ დაფხვნილ ხაჭო-ყველს, ჩააჭრიდნენ ხახვს და დადგამდნენ. წამოდუღების შემდეგ პურს ჩაალბობდნენ და ჭამდნენ.

ლიტ.: მსშხი, ტ. I, 1976.

ზამბურაკი — ჩახმახიანი და განიერტუჩიანი დიდი თოფი, უფრო სათოფურებიდან სასროლი, ამისათვის ციხის თოფად იწოდებოდა. ხელში მძიმე დასაჭერია, მსროლელები ერთმანეთზე დაყრდნობითაც ისროდნენ.

ზანგალები (მესხ-ჯავახ.) — პაიჭები კაცის. მზადდებოდა მატყლის ძაფისაგან, იქსოვებოდა წინდის ჩხირებზე. ძირითადად შავს ან წაბლისფერს ამზადებდნენ, რომელთაც ბოლოში ამოსადები ჰქონდა გაკეთებული. იყო უსახო და სახიანი პაიჭებიც. მესხეთის დიდებულები ატარებდნენ კარგი ხარისხის ჩექმებს. გლეხობას კი ღაზლისაგან შინნაქსოვი პაიჭები ეცვათ. პაიჭებთან ერთად ხმარობდნენ ასევე შინნაქსოვ წინდებს. ფეხსაცმელებად წუღები ან კოხუნჯები ჰქონდათ.

ლიტ.: ლ. ბარათაშვილი, მასალები XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან. მსმკი, 1966.

ც.ბ

ზანდუკი — სახურავიანი ხის ყუთი. თუნუქის გარსაკრავი სალტეებით შეკრული. გამოიყენებოდა ქალის ტანსაცმლისა და სამკაულების შესანახად. იყო სამზითვო და ქალის პირად საკუთრებას წარმოადგენდა. ოჯახის გაყრის დროს წილში არ შედიოდა. ქვრივის გათხოვების შემთხვევაში ზანდუკი ოჯახში რჩებოდათ. თუ ქვრივი მოახერხებდა განაწყენებული მაზლებთან შერიგებას, სამზითვო ზანდუკი მას უბრუნდებოდა. ზანდუკი ნყაროებში XVIIIს-დან იხსენიება.



ლიტ.: ვ. ითონიშვილი, მოხევეების საოჯახო ყოფა, 1970.
ვ. ართილაყვა XVI-XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1965.

ლ. ბ.

ზანზალაკი — მომცრო ზარი.

ზაოტი//ზაოდი — აქ: კახეთის სამეურნეო ცხოვრებაში დამკვიდრებული არყის სახდელი საწარმო, რომელიც ჩვეულებრივ იმართება შემოდგომით ღვინის დადუღების შემდგომ, ამოღებული ჭაჭიდან. ზაოტი წარმოადგენს ჩვეულებრივ კუსტარულ საწარმოს (იხ. არყის გამოხდა), სადაც გლეხებს მორიგეობით მიაქვთ ჭაჭა და ხდიან არაყს ზაოტის მესაკუთრის თანდასწრებით. ზაოტობას ახასიათებს საზეიმო ხასიათის შეხვედრები, რომლებიც ჩვეულებრივ სრულდება საშემოდგომო ლხინით.

ე.ნ.

ზარადი – „ზუჩის ჯაჭვი" (საბა). ზარადი წარმოადგენს ჯაჭვის ბადეს, რომელიც გარშემოკრულია საომარ თავსაბურავებზე, მუზარადსა და ჩაჩქანზე (იხ. ჩაჩქანი). ზარადის თითოეული რგოლი (ჭიეუ) უმეტეს შემთხვევაში უფარეშოა, ანუ რგოლის თავები უბრალოდ მიახლოებულია ერთმანეთთან.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ.I. 1991.

მ. ქ.

ზარადინი — ოქრომჭედლის იარაღი, მრავალპირიანი მაშის მსგავსი.

ზარაკი — პატარა, ხელით დასაწკარუნებელი ზარი. ადმინისტრაციულ სისტემაში ხელქვეითის// კლერკის გამოსაძახებელად.

ზარაფხანა – მონეტების, ორდენების, მედლებისა და სხვა სახელმწიფო ნიშნების დამამზადებელი სახელმწიფო საწარმო, რომელიც ფართოდ იყენებს მოვერცხლვისა და საიუველირო მინანქრით ლითონის ნაკეთობათა დაფარვის ხერხებს. ზარაფხანა შეიქმნა ეროვნული სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად, როცა მონეტების მოჭრა სახელმწიფო მონოპოლიად იქცა. საქართველოს ტერიტორიაზე მონეტას ჭრიდნენ ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან. ქართული სახელმწიფოს ზარაფხანები იყო თბილისში, დროგამოშვებით: დმანისში, ანისში, არტანუჯში, ზაგემში, უფლისციხეში, ქუთაისში, ცხუმში, ზუგდიდში და სხვა.

ბ. ბ.

ზარბაბი — ძვირფასად ნაქსოვი აბრეშუმი, ოქრომკედით ნაკერი.



ზარბაზანი — ქვემეხი (ქართ.) წარმოადგენს სპილენძისაგან ან ბრინჯაოსაგან დამზადებულ ლითონის მილს, რომლის ერთი ბოლო ამოლუქულია, ზემოდან კი საფალიე ნახვრეტი აქვს. ხშირ შემთხვევაში ზარბაზნების შუა წელზე სახელურებია დამაგრებული, ხოლო ზედაპირი სხვადასხვა რელიეფური ორნამენტითაა მორთული.

XV-XVIII საუკუნეების ქართველმა მეფეებმა კარგად იცოდნენ არტილერიის მნიშვნელობა, მაგრამ XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე მაინც ვერ მოხერხდა ქართული ზარბაზნების წარმოების შექმნა. ამ საქმის განვითარებისათვის, დიდი გასამჯელოს დაპირებით, მეფე ერეკლემ მადნის ბერძენი ოსტატების ოსმალეთიდან გადმოყვანა მოახერხა, რომლებმაც 1774 წელს ახტალასა და ალავერდში სპილენძისა და ვერცხლის მოპოვება-გამოდნობის საქმე განავითარეს.

ერეკლე II-ის ინიციატივით, თბილისში ჯერ კიდევ 1749 წელს, ააგეს საარტილერიო ქარხანა (ჯაბახანა), სადაც ციხის თოფებს, ზამბულაკებს, თოფ-იარაღსა და ზარბაზნებს ასხამდნენ.

შემდგომში, მეფე ერეკლემ ისარგებლა საქართველოში გენერალ ტოტლებენის მეთაურობით ჯარის შემოყვანით და მას საარტილერიო საქმის ქართველი სპეციალისტების მომზადება სთხოვა. ტოტლებენის ბრძანების საფუძველზე, 1769 წლის ნოემბრიდან 1770 წლის თებერვლამდე პოდპოლკოვნიკი ს. ჩოლოყაშვილი, რუსეთის მთავრობის წარმომადგენელ ანტონ თარხან-მოურავთან ერთად ტფილისში იმყოფებოდა. ისინი ერეკლე მეფის ხალხს ზარბაზნებისა და მორტირების გაკეთებასა და გამოყენებას ასწავლიდნენ.

ქარხანა მდებარეობდა ძველი თბილისის გარეუბანში — კოჯრის ძველი გზის დასაწყისის, დღევანდელი კ. ლესელიძის, შ. დადიანის, ლ. ასათიანის ქუჩის მიდამოებში.

აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში ვახტანგ VI-საც ჰქონდა მცდელობა საარტელერიო საქმე ქარხნული წესით ეწარმოებინა, მისი დავალებით „საარტილერიო წიგნი“ რუსულიდან ვინმე მიხეილ ელიევიჩის 1725 წელს ქართულად გადაუთარგმნია. ვახტანგ VI-ის მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. შემდგომში ამ სახელმძღვანელოთი სარგებლობდნენ მეფე ერეკლე და გიორგი თარხან-მოურავი.

1776 წელს განახლებული საარტილერიო ქარხნისა და არტილერიის უფროსი გიორგი თარხნ-მოურავი იყო, რომელმაც მეფე ერეკლეს ზარბაზნები დაუმზადა. იგი ამ თანამდებობაზე 1780 წლამდე მოღვაწეობდა. ერეკლე მეფეს არ აკმაყოფილებდა ზარბაზნის ადგილობრივი წარმოება და თბილისის საარტილერიო ქარხნის უახლოესი ტექნიკის მიხედვით გარდაქმნა განიზრახა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ზარბაზნების წარმოება ევროპასა და რუსეთის არმიებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. გლუვლულიანი ზარბაზანი ფოლადის დაღარულლულიანით შეიცვალა.

საქართველო სამხედრო კადრების ნაკლებლობას განიცდიდა XVIII საუკუნის 60-იან წლებში, ერეკლე მეორემ საარტილერიო საქმის შესასწავლად რუსეთს პაატა ანდრონიკაშვილი მიავლინა. პაატამ რუსეთის

არმიის არტილერიის ოფიცრის წოდება მიიღო. 70-იანი წლების პირველ ნახევარში სამშობლოში დაბრუნებულს საარტილერიო საქმის ხელმძღვანელობა დაევალა. იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოს სამხედრო წარმოების გარდაქმნას. ეს იყო პირველი მცდელობა საქართველოში სამხედრო წარმოების ევროპულ ყაიდაზე გადასვლისა. 1780 წელს პ. ანდრონიკაშვილმა არტილერიის უფროსობა მიიღო.

1790-1794 წლებში ერეკლე II-მ იარაღის ქარხანა კიდევ უფრო მაღალ დონეზე ასწია, რადგანაც იცოდა, რომ ირანიდან მოახლოებულ საფრთხეს თავისი მცირე ლაშქრის სამხედრო აღჭურვილობით ვერ გაუმკლავდებოდა. დამატებით შეისყიდა 19 ევროპული ყაიდის ქვემეხი, მოიწვია არტილერიის ინგლისელი სპეციალისტი, მისი დახმარებით გააუმჯობესა ქვემეხების დამზადების საქმე. თბილისში მანამდე არსებული ქვემეხების ჩამომსხმელი ქარხანა, 90-იან წლებში ქვემეხების დამზადების ინგლისურ წესზე გადავიდა. ამ დროს პაატა ანდრონიკაშვილი ცოცხალი აღარ იყო. მის საქმეს აგრძელებდნენ გაბრიელ არეშიშვილი და გიორგი გურამიშვილი. რუსეთში გაზრდილმა ამ სპეციალისტებმა 1790-1794 წლებში არტილერიის წარმოებისა და გამოყენების ინგლისური წესებიც შეისწავლეს. ქართული არტილერიის სრულყოფაში მონაწილეობდა, აგრეთვე ავსტრიელი ოსიპ ვეტინგი.

საარტილერიო საქმის განვითარებისათვის დენთის (იხ.) დამზადება საჭირო აუცილებლობას წარმოადგენდა. XVIII საუკუნის II ნახევარში თოფისწამალს გარკვეულწილად მოქალაქე ხელოსნები ამზადებდნენ და ვაჭრობდნენ კიდეც, რაც მეფემ აკრძალა და წარმოების უფლება მხოლოდ ერთ პირს - თაყუაშვილს უბოძა. მეფის ნებართვით მან 1770 წელს თოფის წამლის ქარხანა ააშენა. ამრიგად, გვარჯილისა და დენთის დამზადება-ვაჭრობას ერეკლე II თავად აკონტროლებდა.

თოფისწამლის სარეწაო, ისევე როგორც ზარბაზნების ქარხანა აღა-მაჰმად-ხანის შემოსევამ იმსხვერპლა. შემდგომში კი ქართული იარაღწარმოება რუსეთის იმპერიალისტურ გეგმებში აღარ შედიოდა და ქართული ქვემეხების ისტორიაც დასრულდა.

XVIII საუკუნის II ნახევრის ზარბაზნების საბრძოლო მახასიათებლები შემდეგნაირად წარმოგვიდგება: 1757-1796 წლებში საარტილერიო ქვემეხების კალიბრი მერყეობს 76 მმ-დან 245 მმ-მდე. (პაატა ანდრონიკაშვილის მოღვაწეობის პერიოდში 120 მმ-დან 152 მმ-დე), სროლის მანძილი კი 20-22 გრადუსიანი კუთხით გასროლისას 1066 მ-დან 2980 მ-მდე განისაზღვრებოდა. შესაბამისად, პაატა ანდრონიკაშვილის ხელმძღვანელობით დამზადებული ზარბაზნები მიახლოებით იგივე ტექნიკური მახასიათებლებისა უნდა ყოფილიყო.

ლიტ.: მ. ქაფიანიძე, ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ისტორიისათვის, ეთნოლოგიური ძიებანი ტ.III, 2007

მ.ქ.

ზარდახშა — ძვირფასეულობის შესანახი პატარა ყუთი. მისი შიგთავსის შესაბამისად ზარდახშები იმკობოდნენ ძვირფასი მასალით. თბილისურ ყოფაში განსაკუთრებით გავრცელებული ჩანს ირანული ტიპის ზარდახშები, რომლებიც დაფერილია ოქროს ნყლითა და ინკრუსტაციითაა შემკული.



ე. ნ.

ზარი – ლითონის სარეკი. ძირითადად ცილინდრული ფორმისა, რომელსაც აქვს ენა. მისი მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოკვეთა ქრისტიანობამ, როგორც ცნობილია, მკვდრეთით აღდგომის იდეა ქრისტინაული მორალის ქვაკუთხედს წარმოადგენს. იგია რწმენის ძირითადი საყრდენი, რომელსაც მოელის მორწმუნე თავის დროზე. ამ აუცილებელი აქტის მაუწყებელი გახდება ზარი, მან უნდა მისცეს ნიშანი სიკვდილისგან დახსნისა და მარადიული არსებობისა. ზარი წარმოადგენს ყველა საეკლესიო დღეების, დღესასწაულებისა და სალიტურგიო წესთმსახურების შესრულების აუცილებელ ატრიბუტს. შუა საუკუნეებში ზარისთვის გაჩნდა საგანგებო შენობა — სამრეკლო.



ე. ნ.



თასი სარიტუალო

თასი

ზარიჩინი — ოქრომკედნარევი ფართლეული.

ზარფუში — არყის გამოსახდელი ქვაბის სპილენძის ხუფი//სახურავი//ლაფრანი. კვერავდნენ სპილენძის რამდენიმე ფურცლის//ფირფიტისაგან. ზარფუშს აქვს წინ გაშვერილი მილი, რომელიც თავში განიერია, ბოლოში კი ვიწრო, რათა იოლად შევიდეს წყლიანი ტაშტის მილში. სპილენძის მრგვალღერა სახელური//ყური მირჩილულია ზარფუშის ტანზე და დამაგრებულია სპილენძის მანჭვლებით. არყის გამოხდისას ზარფუში მჭიდროდ ეხურება ჭაჭაჩაყრილ ქვაბს. ადუღების შემდეგ მასში დაგროვილი ორთქლი ზარფუშის ყელიდან გადადის წყლიანი ტაშტის მილში და გადაიქცევა სითხედ. ზარფუშები არსებობდნენ, როგორც სპილენძის, ასევე თიხის, მაგრამ უფრო კარგი და მისაღები იყო სპილენძის ზარფუში.

ლიტ.: ც. კაკაბაძე, სპილენძის ქართული ჭურჭელი, ეთნოლოგიური ძიებანი, I, 2000.

ც. კ.

ზარქაში — ოქროს ან ვერცხლის სხეპლა.

ზედადგარი//ზესადგამი — რკინის ფეხებიანი სადგარი, რომელზედაც დაედება ქვაბი საარყე, საფელამუშე, საწყლე და ა.შ. შეიძლება იდგეს როგორც ბუხარში, ისე მის გარეთ.

ზედაშე – 1. შესაწირავი ღვინო. ყურძნის მოსავლის საუკეთესო ნაწილიდან პირველი ნაწური, რომელიც დაყენებული და შეთქმული იყო სალოცავის სახელზე, რათა სალოცავს კარგი თვალი დაეჭირა შემომწირველზე, ემფარველა და მისი მოსავალი ბარაქიანი და დოვლათიანი ყოფილიყო. საზედაშე ტკბილის ჭურში ჩასხმის დროს სანთელს აანთებდნენ, დაილოცებოდნენ, ღმერთს წყალობას შესთხოვდნენ და მიართმევდნენ ხატს მაშინ, როცა დღეობა მოვიდოდა. საზედაშე ღვინოს მოიწევდნენ როგორც კერძო ვენახებიდან, ასევე ხატის ზვრებიდანაც. სახატო, ანუ სალოცავის მიწებს გლეხები ამუშავებდნენ მორიგეობით. ნაწილს ამ მოსავლისას სალოცავის სახელზე ჩაასხამდნენ, ნაწილს კი თვითონ გამოიყენებდნენ. გავრცელებული იყო ასევე სალოცავის ვენახების კოლექტიური დამუშავება, რომლის დროსაც მოსავალი მთლიანად ეწირებოდა მას და შეწირულ ღვინოსაც ერთობლივად მოიხმარდნენ. არცთუ იშვიათად სალოცავთან არსებობდა მარანი, სადაც ღვინო ჩაისხმებოდა და დღესასწაულზე მოიხმარებოდა. შეწირული ღვინის გასესხება, გაყიდვა ან სხვა დღეებში მოხმარება შეუძლებელი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ხატი განყრებოდა და ამის მოქმედთ ზიანს მიაყენებდა.

საზედაშე ღვინის დაყენების ტრადიცია უეჭველია, რომ წარმართული ეპოქიდან იღებს სათავეს და უეჭველად ღვინის კულტს უკავშირდება. ქრისტიანობამ კიდევ უფრო გააღრმავა ეს ჩვეულება და პრაქტიკულად იგი გამოიხატა სააღაპე ვალდებულებასთან დაკავშირებით, რომლის დროსაც გლეხი ვალდებული იყო ეკლესია-მონასტრისათვის სააღაპე შესაწირავთან ერთად მიეტანა ღვინოც. საზედაშე ქვევრების მოვლა-პატრონობასა და სარიტუალო საქმიანობაში მხოლოდ მამაკაცი მონაწილეობდა. ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ მევენახეობა-მეღვინეობა მხოლოდ მამაკაცის საქმე იყო, მამაკაცია გამძღოლი ამ მეურნეობისა და იგი უდგას სათავეში მევენახეობის კულტურას.

2. ზოგადი სახელწოდება სალოცავის მიწებზე მოწეული ჭირნახულისა, რომლის ყველაზე საუკეთესო ნაწილს სწირავდნენ ხატს, საზედაშე პურეულს ინახავდნენ დღესასწაულის დადგომამდე, შემდეგ დაფქვავდნენ, გამოაცხობდნენ სარიტუალო პურებს და დაიყენებდნენ დღესასწაულს.

ლიტ.: ნ. თოფურია, ღვინის ზედაშეები, მსე ტ. XII-XIII, 1963.

ე. ნ.

ზედგანი (ხევს.) — ქადების გამოსაცხობი რკინის რგოლი, რომელიც ჭერში დამაგრებული რკინის საკიდით, ჩამოკიდებულია ცეცხლზე და ზედ დადებულია სიპი ქვა. ცეცხლის დანთებისას ქვა ხურდება, მასზე დააკრავენ ქადას. ქადა რომ მომაგრდება, დიასახლისი შემდეგ გადმოიღებს, ჩაფლავს ცხელ ღადარში, სადაც გამოშუშდება და კარგად გამოცხვება.

ე. ნ.

ზევიჩი//ძევიჩი — ხარაზის იარაღი. ტყავის საჭრელი დანა. უტარო, ერთი მხარე განიერი აქვს, მეორე — ვიწრო, ტარზე ხელის მოსაკიდებელად ტყავი ან გაცვილული ძაფი აქვს შემოხვეული.

ლიტ.: სტ. მენთეშაშვილი ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

ზეზურგი – ზურგის შუა ხაზი. საქონლის ტყავის ზურგის გაყოლებაზე სიგრძივ აჭრილი. ყველაზე უკეთესია საქალამნედ.

ზეთსახდელი//საზეთე — სელის ზეთის სახდელი საწარმო. ზეთის ხდის ეტაპების შესაბამისად ზეთსახდელში წარმოდგენილი იყო: 1. ღუმელი, 2. საზეთე წისქვილი, ანუ გელაზი, 3. წნეხი. აქვე იყო ზეთის ხდის პროცესთან დაკავშირებული ხელსაწყოები — საცრები, მარცვლისა და წყლის საწყაოები, წყლის ჭურჭელი, თოხები, ნიჩბები.



ზეთსახდელები ძირითადად ლოკალიზებული იყო საზეთე სელის გავრცელების ზონაში (სამცხე-ჯავახეთი, თრიალეთი).ზეთსახდელის კედელთან მიშენებულ ქვის ღუმელზე ხდებოდა სელის მარცვლის მოხალვა. მოხალული მარცვალი ზეთსახდელის წისქვილშივე იფქვებოდა. საზეთე წისქვილი ზეთსახდელის ცენტრში იყო გამართული. საზეთე წისქვილს შეადგენდა სამუშაო ნაწილი დოლაბი — გელაზის (იხ.) ქვა და ქვის კალო. წისქვილში გადამუშავებულ დაზელილ-დაგელაზებულ მასას დსაწნეხად წნეხში გადაიტანდნენ.

XIX ს. ზეთსახდელები კერძო საწარმოებს განეკუთვნებოდა. აქ გამოყენებული იყო დაქირავებული შრომა. ზეთს ხდიდნენ და ყიდდნენ კიდევაც. XVII-XVIII ს. გვიანფეოდალურ საქართველოში ზეთსახდელების მფლობელებად გვევლინებიან სამეფო კარი, ცალკეული ფეოდალები და ეკლესია-მონასტრები.

ისტორიული წყაროების მონაცემებითა და გელაზის ქვის ნაშთების მიხედვით ზეთსახდელები ფართოდ იყო გავრცელებული. იგი შედიოდა სამონასტრო მეურნეობის კომპლექსში (ათონის ივერთა მონასტერი, შიო მღვიმის მონასტერი, ქვენიფნევის ეკლესია, კიმოთეს უბანი, უბისის ეკლესია, კაბენის მონასტერი, დუშეთის ნიკოლოზ სასნაულმოქმედის ეკლესია და სხვა).

ჯავახეთის ახალქალაქის ციხის გარეთ ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ზეთსახდელის კომპლექსის ნაშთები X საუკუნითაა დათარიღებული.

ადრეული ხანის ანალოგიური ზეთსახდელის არსებობა ივარაუდება პალესტინაში, ბირ-ელ-ყუთის უდაბნოში. 430-იან ნლებში პეტრე იბერის მიერ დაარსებულ ნმ. თედორეს სახელობის ქართული მონასტრის სამეურნეო კომპლექსში.

ლიტ.: ლ. მოლოდინი ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (ხალხური ზეთსახდელი იარაღები), 1963.

გ. ჩიტაია, გელაზი, ძმ. №27, 1970.

ლ. მ.

ზეი — მამაკაცის ჩოხის მოსართავი ზონარი, რომლის დასამზადებლად გამოიყენებოდა დაბალი ხარისხის ფერადი აბრეშუმის ძაფები. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ აბრეშუმის ძაფების ფერების შერჩევას. ზეიში ჭარბობდა ოთხი ძირითადი ფერი: ლურჯი, ყვითელი, წითელი და მწვანე. ამ ფერის ძაფებს ერთად შეგრეხავდნენ და ჩაფარიშთან ერთად ჩოხის ნაპირების მოსართავად ხმარობდნენ.

ლიტ.: ნ. აბესაძე, ხელოსნური ნარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, 1986.

ც. ბ.

ზეიდალი – ჯაჭვის პერანგის ნაირსახეობა. ზეიდალურ ჯაჭვს „თვითო ჯაჭვის თვალი მრთელი და უფარეშო აქვს და თვითო რიგი ფარეშოვანი"(საბა), ე.ი. ჯაჭვის რგოლების (ჭიკუ) ერთი მწკრივი უფარეშოა, მხოლოდ თავებმიახლოებული, ხოლო მეორე მწკრივი ფარეშოვანი, ანუ დამოქლონებული, მოქლონები მოქცეულია პერანგის შიგნითა მხარეს, ჭიკუ „ლბილი და გარდაგრეხით ძნიად გასატეხელი"-ა. ზეიდალური ჯაჭვი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს მთიანეთში, კერძოდ, სვანეთსა და ხევსურეთში. (იხ. ჯაჭვის პერანგი).

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული ტ. I, 1991.

მ. ქ.

ზერანი (იმერ.) — პურის ცომისაგან გამომცხვარი ადამიანის პატარა ფიგურა. როცა ადამიანს

უუმური//მოყოლილი მონახდომი შეეყრებოდა, მოიყვანდნენ ქალებს, გამოაცხობდნენ ხაჭაპურებს და იმდენ ზერანს, რამდენი ადგილიდანაც შესაძლოა აპყოლოდა მას უუმური. თეფშზე დაყრიდნენ მარცვლეულს, ქინძის თესლს, ნაცარს, აურევდნენ ერთმანეთში, ხელით აზელდნენ, სამჯერ შემოავლებდნენ ავადმყოფს ზურგზე და მკერდზე. შემდეგ დააყრიდნენ ხელებზე, ფეხებზე და თან ავ სულს მოუწოდებდნენ, რომ დაეტოვებინა ავადმყოფი. შემდეგ ამას ყველაფერს აიღებდნენ ზერანითურთ და ავადმყოფის მითითებულ ადგილებთან მუჭით დაყრიდნენ, თან ეშმაკეულს მიმართავდნენ, ჭამეთ, სვით და ნადითო.

ლიტ.: ლ. ნებიერიძე, პედიატრის ხალხ. ნესები საქართველოში, 2006.

ე. ნ.

ზელა — სვანური სახლის „ქორ"-ის (იხ.) სხვენი, სადაც განლაგებულია ოჯახის საცხოვრებელი „დარბაზ", იქვე ინახავდნენ თივასა და სანოვაგეს.

ლიტ.: ნ. ბრაილაშვილი, საქართველოს ეთნოგრაფია, 1990

გ.კ.

ზენარი — აქ: ნახვრეტებიანი გრძელი ფიცარი, რომელიც ურმის ჭალებს ჩამოეცმებოდა და ქმნის ერთიან სივრცეს ტვირთის მოხერხებულად ტრანსპორტირებისათვის.

ზილფი — ქალის თმის კავები.

ზინდანი — ქვაბის მჭედელთა გრდემლი, სპილენძეულობის გამოსაკვერად. ზინდანს იყენებენ ქვაბის საკეთებლად, თუნგის ყელის გასასწორებლად, თუნგის ძირის გამოსაკვერად, ქვაბის გვერდის დასაყენებლად, ტაშტის საკვერავად, ფორმაზე მოსაყვანად, ტაფის გასაკეთებლად და ა. შ. მას მოძრავ გრდემლსაც უწოდებენ.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი ქართული ხალხური მეტალურგია, 1963.

ც. კ.

ზირანდაზი — პატარა ხალიჩა, ფეხქვეშ გასაგებელი პატარა ორხოვა.

ზისცვარი (ხევს.) — რძე. ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, განსაკუთრებით დაწინაურებული იყო რძის პროდუქტების დამზადება. ხევსურეთის მეურნეობის სპეციფიკურობას, განსხვავებით თუშების, ფშაველებისა და მოხევეებისაგან, ძირითადად მსხვილფეხა მესაქონლეობა შეადგენდა. ამიტომ ნარმატებით განვითარდა აქ რძის პროდუქტების დამზადების კულტურა, განსაკუთრებით ერბოსი, რომელიც საუკეთესოდ ითვლებოდა. ხევსურული ძროხა კარგადაა შეგუებული აქაურ კლიმატურ, გეოგრაფიულ პირობებს და მიუხედავად მცირეტანიანობისა, მისი რძე მაღალი ცხიმიანობით ხასიათდება. რძის პროდუქტების საუკეთესო დამცველი იყო ხევსურული სახლის სენე, სადაც ჰაერის ცირკულაცია კარგად ხდებოდა და რძე და მისი პროდუქტი დიდი ხნის განმავლობაში არ ფუჭდებოდა.

როგორც მარანი ღვინის დასამზადებელი და შესანახი ნაგებობაა, ხოლო ბეღელი მარცვლეულის საკუჭნაოა, ასევე ხევსურული სახლის სენე რძის პროდუქტების დასამზადებელი და შესანახი ადგილია.

ე. ნ.

ზისწვენი//სისწვენი — ადუღებული და განურული სალუდე ტკბილი, რომელიც მიიღება წყლისა და ფორის შერეული ნაზავის დულილისგან.

ზოდი – გადამდნარი ლითონის მასა, რომლისაგანაც აკეთებენ სხვადასხვა ნამზადს, ეს ტერმინი გადასულია სოფლის ტოპონიმშიც. მაგ., სოფელი „ზოდი" (იმერ.)

ე. ნ.

ზოდი-კვერი — აქ: სპილენძის შენადნობი. ყალიბში — კალაპოტში გაცივებულ თხევად სპილენძს „ზოდი" ეწოდება. ერთ ყალიბში ერთ ჯერზე ამოღებული სპილენძის სითხე უნდა ჩაისხას, ზოდი „ფურჩიანი" გამოდის და გაბრტყელებისას „ფურცლად", ორად იხსნება. ზოდს ყალიბის ფორმა ეძლევა ოსტატის სურვილისამებრ. ზოდის გადმოღება ყალიბიდან გაცივებისთანავე შეიძლება, მაგრამ ოსტატი მას

ზედვე ტოვებს მომდევნო ქურის გამოდნობამდე, რადგან ზოდი ყალიბს ცხლად ინახავდა. ცივ ყალიბზე თხიერი სპილენძის დასხმა არ შეიძლება, აფეთქდება. თუ ზოდი ძნელად შორდება ყალიბს, მას გრდემლზე გადმოაპირქვავებენ და ზემოდან ჩაქუჩს დაუკაკუნებდნენ და ასე აცილებდნენ. ზოდს გარედან მოშავო-მონაცრისფერო ფერი აქვს, ცეცხლისაგან არის გაშავებული, შიგნიდან კი მონითალოა. კალაპოტი არის თიხის, რკინის. სხვადასხვა ფორმის: მრგვალი, ოთხკუთხა, ოვალური, გრძელი.

გეოგრაფიული ტერმინი ზოდის (სოფ. ზემო იმერეთში, ჭიათურის რ-ნი) შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული არქეოლოგ ჯურხა ნადირაძეს. მისი აზრით, „ზოდი მელითონეობასთან დაკავშირებული ტერმინზე აღმოცენებული ტოპონიმია; რაც ქვეყნის მეტალურგიის უძველესი ტრადიციის მანიშნებელია".

ლიტ.: ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, 1975.

ც.ქ.



ზოომორფული ძეგლი – საფლავის ქვის ძეგლი, რომელიც წარმოადგენს ცხვრისა (ბატკანი, ვერძი, ყოჩი — ნატურალური ზომის) და ცხენის სკულპტურას, რომლის კვეთისა და მიცვალებულის საფლავზე დადგმის დიდი ტრადიცია არსებობდა ზემო და ქვემო ქართლში. ასეთი ძეგლების რამდენიმე ათეული ნიმუშის დაფიქსირება ამჟამადაცაა შესაძლებელი დასახელებულ რეგიონებში. ზოომორფული ძეგლების გავრცელების არეალია ირანი, თურქმენეთი, სირია, თურქეთი და ამიერკავკასიის ქვეყნები — საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი. საქართველოში დაფიქსირებულ ზოომორფულ ძეგლებში გამოხატულია ქრისტიანული რელიგიისათვის დამახასიათებელი სიმბოლოები — ფრინველი, ვაზი, ნაყოფი, ჯვარი, ქართული წარწერა-ეპიტაფიები, ასევე სახელოსნო და სამეურნეო ნივთები — განსაკუთრებით სახვნელი იარაღის ის ტიპები, რომლებიც გავრცელებული იყო ადგილობრივ. ეთნოგრაფიულ ყოფაში უშუალოდაა დამოწმებული და აღნერილი ქართველი ხელოსნებისაგან ზოომორფული ქანდაკების კვეთის პროცესები. ადვილი შესაძლებელია, რომ ზოომორფული ქანდაკების კვეთის ტრადიცია საქართველოში აღმოსავლეთის მუსულმანური ქვეყნებიდან იყოს შემოსული, მაგრამ ადგილობრივ განვითარებულმა ქვითხუროობის ტრადიციებმა შეძლო ამ ძეგლებში ქართულ-ქრისტიანული სტილის დამკვიდრება და ეჭვმიუტანელი ფაქტია, რომ ისინი დამზადებული არიან ქართველი ქვითხუროებისაგან თავიანთი საჭიროებისთვის.

ლიტ.: ე. ნადირაძე, საქართველოს ზოომორფული ძეგლები, 1996.

ე. ნ.

ზოსტერი — ტყავის სარტყელი, ხშირ შემთხვევაში მოოქვილი იყო თვალმარგალიტით და სახიანი ბალთები ჰქონდა.

ნ. ჯ.



ზუბუნი//ლაგზუბუნი (სამცხ.-ჯავახ. აჭარ.) — კაცის ზედა სამოსელი. მასალად გამოიყენება შავი ან მოშავო ფერის ფარჩა. მთის სოფლებში ორმაგი ქსოვილისაა და შედგება საპირესა და სარჩულისაგან, რომელთა შორის მატყლი ან ბამბაა ჩაფენილი. ახალუხისებური თარგის, ქალის ზუბუნისაგან განსხვავებით მხოლოდ მკერდამდე ჩახსნილი და ღილებით შესაკრავი. საყელო, გულისპირი და სამაჯეები მოქარგული. ატარებდნენ როგორ ქრისტიანები, ისე მაჰმადიანები. ლაგზუბუნი მოკლეა და წინ იკვრება აბრეშუმის ღილ-კილოებით ან ლითონის ღილებით. ხშირად საგულე ღიაა და მოჩანს პერანგის მოქარგული ნაწილი. წელზე ირტყამდნენ ფერად სარტყლებს.

ლიტ.: ლ. ბარათაშვილი, მასალები XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან. მსმკი, 1966.

ც.ბ.

ზუბუნ-ფარაგა // გრძელი ზუბუნი (აჭარ. სამცხ.ჯავახ.) — ქალის ზედა სამოსელი. იკერება



თონე



თხილამურები

შინნამზადი (სელი, კანაფი, აბრეშუმი) და ფაბრიკული ქსოვილებისაგან (ხავერდი, მანთინი, ყანაოზი, ყუმაში, ფარჩა), ხშირად ორმაგი ქსოვილის საპირესა და სარჩულისაგან და საჭიროებისას მათ შორის ბამბასაც უფენდნენ.

ზუბუნ-ფარაგა ფორმით ახალუხის მსგავსია: აქვს წინა ორი სატანი თავის ფარაგებით, ზურგი, სახელოები, საყელო. მთლიანი, ნელში გაუკერავი და ბოლომდე გახსნილი. ფარაგებს შორის ღიობია დატოვებული, საიდანაც მოჩანს პერანგის მოქარგული საყელო. ასევე ქარგავდნენ გულისპირსა და სამაჯეებს. წელზე შემოიკრავდნენ ყვითელ ან წითელ სარტყელს. ზუბუნ-ფარაგა. სეზონის მიხედვით ატარებდნენ— გრძელსახელოებიანს და დაბამბულს ზამთარში, უსახელოსა და დაუბამბავს ზაფხულში. ზუბუნი, როგორც საქალო ჩაცმულობის ფორმა საქართველოს გარდა დასტურდება: ანატოლიაში, აზერბაიჯანში, უდმურტებში, ჩუვაშეთში, სომხეთში, ბულგარეთში, სერბეთსა და ხორვატებში.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005, ლ. ბარათაშვილი, მასალები XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან. მსმკი, 1966.

ც.ბ.

ზუმბა//ზუმპა — ლითონის წვრილი ჯოხი ან კომბინირებული (ხე, ლითონი), რომლითაც წმენდნენ თოფის ლულას შიგნიდან, ზედ დახვეული ნაჭრით. იხმარებოდა თოფის გასატენადაც. თოფის განვითარების პარალელურად ნარმოიქმნა ზუმბის საჭიროება და ხმარებაში შემოდის XVI საუკუნიდან

ზუპუნა — მოკლე ახალუხი, მამაკაცის სამოსელის კომპლექტის („ჩაქურა") ერთ-ერთი ელემენტი. კერავდნენ აბრეშუმის, ჩითის, ბამბის და მაუდის ქსოვილებისაგან. ზოგჯერ გულისპირი და ზურგი განსხვავებული ქსოვილისა იყო. ასარჩულებდნენ ნარმით.

ზუპუნა ტანზე მჭიდროდ იყო მორგებული. გულისპირზე ეკერა ორი ზედნადები პატარა ჯიბე. ჰქონდა მაღალი, დამდგარი საყელო და ვინრო და სწორად მიკერებული სახელოები. წინ მთლიანად ჩახსნილი ღილ-კილოებით ან დუგმებით იკვრებოდა. კალთა-სახელოთა და საყელოს ნაპირები ყაითანშემოვლებული და ზოგჯერ სირმითაც გალამაზებული. სიციევში დაბამბულ-დალიანდაგებული ზუპუნებიც სცმიათ.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ქართლელი გლეხის კოსტიუმი XIX საუკუნისა სსმმ, ტ.XIXA 1957; ლ. ბარათაშვილი, მასალები XIX ს. ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის, ტ1. 1966

ც. ბ.

ზურგი — საზომი. გამოიყენებოდა თივის, სელის, ფეტვის, კანაფისა და ღვინის საზომად. იგი ისეთი სიმძიმის ტვირთი იყო, რომლის მოკიდებაც შეეძლო ერთ ადამიანს, ამდენად, მისი სიდიდე დამოკიდებული იყო ადამიანის ფიზიკურ მონაცემებზე. ზურგის შესახებ ცნობები მოიპოვება XV-XVIII სს-ის ისტორიულ საბუთებში. XIX ს-ში დაფიქსირებულია აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაშიც.

ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973.

მ.ხ.

ზურმუხტი — მუქი ლურჯი ფერის მინერალი. რადგან ბერძნულად მას „სამარგდო" ჰქვია, ძველ ქართულშიც მის ერთ-ერთ სინონიმად სამარაგდონია დამკვიდრებული. ზურმუხტის საბადოები საქართველოში არაა და იგი იმპორტული წარმოების საგანი იყო, რაც განსაკუთრებით ზრდიდა მის ფასს. ანტიკური მცხეთის მასალებში ბევრია ზურმუხტით შემკული სამკაულები. თამარ მეფის ტახტზე აყვანის ცერემონიალისას, მეფე გიორგიმ, „დაადგა გვირგვინი ოქროსა თავსა მისსა ოქროსა მის ოფაზისა აღმკული იაკინთითა, ზმირითა და სამარაგდითა მიერ". ზურმუხტი თავისი ულამაზესი ფერის გამო არაერთხელ ქცეულა პოეტური მჭერმეტყველების საგნად. იგი ნაცნობი და საყვარელი ფერი იყო ქართველთათვის.

ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965 ე.ნ.

ზურნა — ჩასაბერი საკრავია კონუსური ფორმისა, ამზადებდნენ ჭერმის ხისაგან. სიგრძით 32-38სმ-ია. ზედა მხარეს 7 თვალი აქვს, ქვედა მხარეს ზედა პირველი თვალის ოდნავ ქვემოთ — ერთი. ზედა მხარეზე, სადაც გაგანიერება იწყება, პატარა წვრილი ნახვრეტია. საკრავი ინკრუსტირებულია მინანქრითა და ლითონის ან ვერცხლის რგოლებით. ზედა ბოლოში ჩასმულია ხის მილაკი, რომლის ბოლო აღნევს მესამე ნახვრეტამდე. ჩაბერვის ადგილას კეთდება თითბრის ღერი. მასზე მაგრდება მრგვალი ან ოვალური ფირფიტა (ძვლის, სადაფის ან ლითონოს), რომელსაც აყრდნობს შემსრულებელი ბაგეებს. ზურნის ლერწამი

დუდუკისნაირია, მაგრამ უფრო მოკლე (20მმ სიგრძის).



ზურნის ბგერათა რიგი დიატონურია, დიაპაზონი — ერთნახევარი ოქტავა. ზურნის ბგერა არის მკაფიო, გამჭოლი, ჭყვიტინა. ზურნაზე დაკვრა ფიზიკურ დაძაბვას, სუნთქვის რეგულირების ფლობას მოითხოვს. შემსრულებელმა დიდხანს უნდა გააგრძელოს ბგერა. ესაა მეზურნის საშემსრულებლო მანერის თავისებურება.

ზურნა, როგორც წესი, საანსამბლო საკრავია, დუდუკის მსგავსად, დუეტში, ერთი მეზურნე (პირველი) — უსტა (ოსტატი) ასრულებს მელოდიას, მეორე — დამქაში — უბანებს გაბმული ბგერით ძირითადი ტონის (ან რომელიმე სხვა საყრდენ) ბგერაზე. დუეტი ზოგჯერ რიტმული ინსტრუმენტებით (დოლი, დაირა) არის შევსებული.

ზურნა პოპულარული საკრავია სომხეთსა და განსაკუთრებით აზერბაიჯანში. იგი ადრე გამოიყენებოდა სამხედრო, სალაშქრო საკრავად. შეუცვლელია სახალხო თამაშობებზე, შეჯიბრებებზე, დოღში, მამლებისა და ყოჩების ჩხუბში და, რაც მთავარია, ქორწილში, სომხებში — დასაფლავებაზეც.

ზურნა XVII-XVIII ს-დან გავრცელდა თბილისში. მოგვიანებით გავრცელდა თბილისის მიმდებარე სოფლებსა და რეგიონებში, განსაკუთრებით იქ, სადაც არაქართული მოსახლეობა იყო.

მ.მ

ე. ნ

ზუფანი – სატყორცნ-საძგერებელი იარაღი. საბას განმარტებით ზუფანი სასროლი მოკლე შუბია, ნყრთეული შუბი, ხოლო ლახვრის ქვეშ განმარტებული აქვს — „ზუფანი არს ლახვარი მსგავსი გეონისა, ბუნ-ნყრთეული შორით სასროლი, რომელ არს ლიბანდაკი". შაპნამეში ზაალზის ტყორცნის ძალის გამოსაცდელად ნათქვამია: „ოთხი ფარი დაარჩივეს, იქ დაუდგეს ზაალს წინა, მან ზუფინი შემოტყორცა, ყუელას შიგან გაირბინა, მინაშიგა დაიკარგა, ეძებს, არსად არ აჩინა." ამ სტრიქონებიდან ცხადად ჩანს, რომ ზუფანი შუბივით საძგერებელი იარაღი კი არ ყოფილა არამედ სატყორცნი, რომელსაც დიდი განმკვეთელობის ძალა ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ ზუფანი ძველ ქართულ ლიტერატურულ ნყაროებში არ გვხვდება, გარდა შაპნამესა და სულხან-საბას ლექსიკონისა. ამ ტერმინის სპარსული ფორმა ჟუფინია, რაც შუბს ნიშნავს, ხოლო ქართული ზუფანი სატყორცნიც არის და საძგერებელიც. ზუფანი ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში არ ფიქსირდება, ამიტომ სავარაუდოა, რომ „ზუფანი" იარაღის უცხო სახელი იყო და საქართველოს ყოფა-ცხოვრებისა და საჭურველის ისტორიისათვისაც მოგვიანებით და, ამასთანავე, ხანმოკლე დროით გამოჩენილიყო.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, ტ. III-IV 1962. სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991.

მ. ქ.

ზუჩი – საომარი თავსაბურავი, იგივე მუზარადი. (იხ.მუზარადი)



ზღავი//ზღვე — სიპის ბრტყელი, დიდი ქვებით მოკირწყლული გომურის//ბოსლის იატაკი. ერთმანეთზე კარგად მიჯრილი და მკვიდრად მორგებული. ამავე მიზნით გამოიყენება სქელი ფიცრები და მასაც „ზღვე" ეწოდება.

ე. ნ.

ზღუდე — დასაცავად შემოვლებული გალავანი, მტკიცე კედელი, რომელიც იცავდა რაიმე მნიშვნელოვან ობიექტს.

ზღურბლი — შესასვლელი კარის ქვედა ნაწილი. ზღურბლზე მდგარი ადამიანი არც შიგაა და არც გარეთ, იგი თავისებური საკრალური ადგილია. ხალხის რწმენით, სახლში მოსულ ადამიანთან მისალმება და ხელის ჩამორთმევა უნდა მოხდეს ზღურბლის გადმოლახვის შემდგომ. მასზე გადაბიჯება მიპატიჟების გარეშე არ შეიძლება.

ლიტ.: ქელ. 2009.





თაბახი – ტაბაკი, თეფში, ლანგარი, გობის მსგავსი ხის ჭურჭელი. ხეენდნენ წიფლის, ლეკისა და თელის ხისგან.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, თაბახი, ქსე, ტ. IV, 1976.

გ. გ.

თაბუნი – ხელოსანთა ჯგუფი, ამხანაგობა, იგივე ამქარი.

თაგვისარა — ერთგვარი ეკლიანი მცენარე, რომელსაც მჭიდროდ შეჰკონიან და იყენებენ ქვევრის სახეხად. დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოსათვის.

თავანი (გურ. აჭარ. იმერ. კახ.) — არე სახლის ჭერსა და სახურავს შორის. სხვენი, ქორედი. ზამთარში ინახავენ სხვადასხვა სანოვაგეს, გამოიყენებდნენ დასაწოლადაც.

ე. ნ.

თავლა — საკარმიდამოში სამეურნეო ტიპის ნაგებობა, რომელიც ძირითადად ასოცირდება ცხენის, ვირის, ჯორის სამწყვდეეთან. როგორც ცალკე ნაგებობა თავად-აზნაურთა და შეძლებულ გლეხთა ფენას გააჩნდა. ასევე გამოიყენებოდა თივისა და სხვადასხვა სამეურნეო იარაღების შესანახად. გომთან და ბოსელთან შედარებით, თავლა უფრო სუფთად დაცული სადგომს წარმოადგენდა.

თავლაშვარი (თბ) — ხარაზის ხელსაწყო, გასალესი ქვა.

თავრიელი — საქონლის (ძროხის, ხარის) თავის ტყავი, რომელსაც საქალამნედ გამოიყენებდნენ.



თავსაბურავი ქალისა — საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულია ქალისა და მამაკაცის მრავალფეროვანი თავსაბურავი. ამათგან ყურადღებას იქცევს კომპლექსი „თავხურა", რომელიც ქართველი ქალის ეროვნული ჩაცმულობის — ქართული კაბის აუცილებელი ელემენტია და თითქმის მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. ამ კომპლექსში შედიოდა ჩიხტიკოპი, თავსაკრავი, ლეჩაქი. ბაღდადი, შუბლის ქინძისთავები და სხვ. ქალის ამ საერთო ქართულ თავსაბურავთან ერთად იყო ადგილობრივი თავსაბურავები: ხილაბანდი, ფშაური ჩიქილა, ხელსახოცი, თავჩითა, ხევსურული სათაურა და მანდილი ასევე თუშური კუჭურა, შუბლსაკრავი, კოპენა, ჩიქილა, აჭარული თეფელუღი და სხვ.

ხ ი ლ ა ბ ა ნ დ ი — ბამბის თეთრი ქსოვილის სამკუთხა თავსაფარია, თავზე წასაკრავი. მასთან ერთად (შენყვილებულად) იხმარებოდა სხვადასხვა ფერის ქსოვილის ოთხკუთხა მოსახვევი, რომელსაც მოსამყუროებულად, ანუ უბეურად მოკეცილს იხვევდნენ ხილაბანდის ზემოდან.

ლ ე ჩ ა ქ ი — თხელი გამჭვირვალე ქსოვილისაგან (ტიული, მარმაში) დამზადებული სამკუთხა თავსაფარია. კიდეებზე მაქმანი აქვს შემოკერებული. მოქარგული ან დაბასმული (ბასმით ანუ თეთრი წებოთი მოხატული). ეს სახელწოდება გავრცელებულია კავკასიისა და შუა აზიის ხალხებში. ლეჩაქს ძველ ქართულად ჰქვია „ჩიქილა", „კუბასტი", „მაკინაკი", „მაკნანი".

ჩ ი ხ ტ ი კ ო პ ი — ეს თავსაბურავი ორი ნაწილისაგან შედგება: ჩიხტისა და კოპისაგან. ჩიხტი არის თავზე დასადები მუყაოს ან ხის ბრტყელი რკალი თხემისკენ დაქანებული, რომელზეც გადაკრულია შუბლსაკრავი, ანუ თავსაკრავი. თავსაკრავი ფარჩის ან ხავერდის სხვადასხვა ფერის ქსოვილის ვინრო ოთხკუთხა ზოლია, მოქარგული ან შემკული შუბლის ქინძისთავით, ზოგჯერ მძივებით. კოპი არის ბოლოებწანვეტებული, ბამბით გამოტენილი ფერადი ფარჩის ან აბრეშუმის ქსოვილის ნახევარრკალი. მას

დებენ ჩიხტის შიგნით, რათა ზედ ქინძისთავებით ლეჩაქი დაამაგრონ.

ბ ა ღ დ ა დ ი — სახიანი ფარჩის ან აბრეშუმის ქსოვილის ოთხკუთხა მანდილია, რომელსაც ჩიხტიკოპისა და ლეჩაქის ზევით იხვევენ.

მ ა ნ დ ი ლ ი — შავი სატინის ან ქიშმირის გრძელტოტებიანი სამყურა მოსახვევია. მას თუშები იმაგრებენ კუჭურას ზევით. კუჭურა მიტკლისგან იკერება. ის ჩიხტისმაგვარია, მაგრამ მიკერებული აქვს თავზე მისამაგრებელი სალტეები. კუჭურა გატენილია ბამბით ან მატყლით და შემოვლებული აქვს ქინძისთავის დასაბნევი გრეხილი. თუშები მანდილის ზევიდან იხვევენ გრძელ, ოთხკუთხა, ორფა შავი ქსოვილის ზოლს.

არის ხევსურული მანდილიც. იგი სათაურასთან ერთად იხმარება.

ს ა თ ა უ რ ა — ხევსური ქალის თავსაბურავის ნაწილია. ესაა გასათხოვარი ქალის თავსადები — ნახევარრკალის მოყვანილობის, მაღალი წინდაცერებული და მდიდრულად ნაქარგი. გათხოვილი ხევსური ქალი მას უმატებდა ხევსურულ მანდილს. ეს მანდილი შინნაქსოვი შალისგან — ტოლისაგანაა დამზადებული. ოთხკუთხაა, ცალ მხარეს აქვს ფოჩი, მისი ბოლოები მოქარგულია.

თ ა ვ ჩ ი თ ა — ფშაველი ქალის სამკუთხა თავსაკრავია. მის ზემოდან იხვევენ ქიშმირის ოთხკუთხა და ირგვლივ ფოჩებშემოვლებულ სახიან ხელსახოცს.

ჩ ი ქ ი ლ ა — (ლეჩაქი) ფშაური თავსაბურავის შემადგენელი ნაწილია. იგი აბრეშუმის გრძელი სამყურა თავშალია. შეკერილია ორი ნაჭრისაგან. ზემოდან დაუყვება ფერადი აბრეშუმის ზოლები — სრელები. ირგვლივ შემოკარებული აქვს ფესვი — ფოჩი. ჩიქილის ზემოდან იხვევენ ოთხკუთხა, შუაზე გაკეცილ და რამდენჯერმე გადახვეულ მოსახვევს.

დასავლეთ საქართველოში ტრადიციული თავსაბურავისაგან გამოირჩევა რაჭველი ქალის თავსაბურავი. ის მხოლოდ მთის რაჭის სამ სოფელშია (ღები, ჭიორა, გლოლა) გავრცელებული.ამ თავსაბურავის ნაწილია ჩიქილა — თეთრი მიტკლის სამყურა თავსაფარი, რომელსაც ორი ტოტი მიკერებული აქვს. ჩიქილის შუა ნაწილის ქვედა მხარეს შემოკერებულია აბრეშუმის ძაფის ფოჩებგამობმული ჩიმჩიყი — ბადე. ჩიქილას ზემოდან ეხვევა რამდენჯერმე გადახვეული ოთხკუთხა, ფოჩებშემოვლებული ქსოვილი — თ ა ვ ს ა უ კ ო — ნ ი, ხოლო მეჩხერ თმას აერთებს კოპენების გასაკეთებელი გრძელი ხელსახოცი.

ლ.მ.

თავსაბური — ზოგადი სახელი ქალთა და კაცთა თავდასახურთა. ძველად თავსაბური თავდასაცავი საშუალებაც იყო. იგი მიანიშნებდა ადამიანის მდგომარეობასა და წარმომავლობაზეც. თავსაბური ადამიანის ღირსების მანიშნებელიც იყო და უიმისოდ სიარული სირცხვილადაც ითვლებოდა.

ე. ნ.

თავსაია — თავდაუბურავი ქალი, ე.ი. მანდილმოუხვეველი, უბაღდადო, მხოლოდ ჩიხტიკოპისა და ლეჩაქის ამარა. ამ წესის გამოყენება მხოლოდ ახალ პატარძლებს შეეძლოთ.

ლიტ.: სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

ც.ბ.

თავსაკრავი – ჩიხტას წინა მხარეზე გადასაკრავი დაქარგული ნაჭერი. მასალად გამოყენებულია ხავერდი ან სხვა ძვირფასი ქსოვილი (შავი, თეთრი, შვინდისფერი, ლურჯი და სხვა). პატარძლები თეთრ თავსაკრავებს ხმარობდნენ, მოხუცები და ქვრივები — სადასა და შავს, ხოლო შუახნის ქალები კი ნაქარგით დამშვენებულ თავსაკრავებს. ჩიხტაზე ბოლომდე არმისული სიგრძის ვიწრო ნაჭერს ნაპირები გადაკეცილი უნდა ჰქონოდა. ჩიხტაზე მას უბრალო ქინძისთავებით ამაგრებდნენ. გაფორმების მხრივ არჩევდნენ ორგვარ თავსაკრავებს: 1. ნაკერი, ანუ მოქარგული და 2. სადა, ანუ „საია". თავსაკრავის მოსაქარგად გამოიყენებდნენ როგორც ოქრომკედს, ასევე ფერად ძაფებსაც. მოწონებით სარგებლობდა ოქრომკედით ნაკერები. ქარგულში ჩართული იყო სხვადასხვა ზომისა და ხარისხის მძივები თუ ოქროსფერი ლითონის პატარა ფირფიტები — „კილიტები", რომელთა დასამაგრებლად მოიხმარდნენ ოქროვან ძაფს. მოქარგვის სახეები იყო ტოტიანი, ვარდიანი, ბროწეული, ჯაჭვი და სხვა.





მჭედლის იარაღები



მჭედლის იარაღები

გაფორმების მხრივ ასხვავებდნენ: ოქრომკედით ნაკერს, მძივის თავსაკრავს, კილიტიანსა და მარგალიტიანს. ეს უკანასკნელი დიდი მონონებით სარგებლობდა. სადა ხავერდის თავსაკრავებზე მარგალიტის ან ფირუზის თვლიანი ქინძისთავები ეკეთათ. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში გავრცელდა ალმასის თვლებით შემკული ბაღჩის ტიპის ოქროს ქინძისთავები — „ჯილა". ლეჩაქთან ერთად, მოქარგულ თავსაკრავებსაც, პროფესიონალი ოსტატები ამზადებდნენ.

ცუ. ბ.

თავსაფარი — ქალის ყოველდღიურად მოსახმარი სამკუთხა ნაჭერი. სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული. იცოდნენ თავსაფრის მოხვევის რამდენიმე ხერხი. სამგლოვიაროდ იხმარებოდა შავი თავსაფარი, რომელიც ზოგჯერ მთლიანად ფარავდა სახეს.

ცუ.ბ.

თავშალი „იაზმა"— გათხოვილი ქალის თავსაბურავი, ძირითადად შეძლებულები ატარებდნენ. მესხეთ-ჯავახეთში ქმრიანი ქალები მუქწითელსა და მწვანეს აძლევდნენ უპირატესობას, მოხუცებიც კი თალხი ფერის სქელ თავშლებს ხმარობდნენ. ხმარებაში იყო ნაზი მატყლის ნაქსოვი თავშლებიც, რომელთაც ზამთარში იყენებდნენ. საზაფხულოდ ფერადი მარმაშის თავსაფრები მოსწონდათ. განსაკუთრებით მაჰმადიან გოგონებს.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005, ლ. ბარათაშვილი, მასალები XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მსმკი, 1966.

ცუ.ბ

თავხე — მთავარი კოჭი სახლის გადახურვისას, რომელზედაც მიემაგრება დანარჩენი სახურავი კოჭები (იხ.გოგა).

თაზანა – თაზისა და ჩონგურის დასაკვრელი ხის ნკირი.

თათი —აქ: კაცისა და ქალის ნაქსოვი ფეხსამოსი აღმ. საქ. მთიანეთში. მასალად გამოიყენებდნენ შალის ძაფს. თათების ძირითადი ნაწილის მოსაქსოვად იყენებდნენ სისვისა და კრაველის ძაფს, მატყლის სიმცირის დროს კვირტსაც (იხ.), დასველებულ თათს კალაპოტზე გადაჭიმავდნენ და ძირად ტყავს გამოაკერებდნენ. ნაზი ნაქარგობით, ლამაზი ორნამენტაციითა და გამძლეობითაც გამორჩეული თუშური ჩითებისაგან განსხვავებით, ხევსურული თათები ორგვარი ფორმისა ყოფილა — მაღალი და დაბალყელიანი. ქსოვას იწყებდნენ წვერიდან უმეტესად ხვეული ქსოვით („დაშატვა"), რომლითაც გამოპყავდათ სხვადასხვა სახე. ორმაგი ნაქსოვი ორნამენტის გამოყვანის საშუალებაც იყო და სითბოს კარგად დამჭერიც. ამგვარი წესით იქსოვებოდა თათების გამოსაჩენი ადგილები: ზურგი და ყელი. თათების დანარჩენი ნაწილები ძირი და კოჭი (ქუსლი) ცალპირი ქსოვით სრულდებოდა. წვერი და ქუსლი, შიბის დაკერვის წესით, აბრეშუმის ფერადი ძაფით დაიქარგებოდა. ნაქარგს მძივ-ღილებითაც დაამშვენებდნენ, სირმასაც იხმარდნენ. საკაცო თათები უფრო შიბიანია, საქალო კი ნაცვალ-ნაშატებიანი. კვირტისგან მოქსოვილ ჭრელ თათებს ქალამანში იცვამენ. თათების ყელზე ჭრელი ზონარი — „შილიფანია" შემოკერებული და ხშირად გრეხილი ბაწარიცაა გამობმული შესაკვრელად.

ლიტ.: ვ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1993.

ცუ. ბ.

თათი ამოკერებულ-გამოკერებული — ხევსური კაცისა და ქალის ნაქსოვი ფეხსამოსი. მასალად გამოიყენებდნენ შალის ძაფს. თათების ძირითადი ნაწილის მოსაქსოვად იყენებდნენ სისვისა და კრაველის ძაფს, მატყლის სიმცირის დროს კვირტსაც (იხ.) დასველებულ თათს კალაპოტზე გადაჭიმავდნენ და ძირად ტყავს გამოაკერებდნენ. ნაზი ნაქარგობით, ლამაზი ორნამენტაციითა და გამძლეობითაც გამორჩეული თუშური ჩითებისაგან განსხვავებით, ხევსურული თათები ორგვარი ფორმისა ყოფილა

— მაღალი და დაბალყელიანი. ქსოვას იწყებდნენ წვერიდან, უმეტესად ხვეული ქსოვით („დაშატვა"), რომლითაც გამოჰყავდათ სხვადასხვა სახე. ორმაგი ნაქსოვი ორნამენტის გამოყვანის საშუალებაც იყო და სითბოს კარგად დამჭერიც. ამგვარი წესით იქსოვებოდა თათების გამოსაჩენი ადგილები: ზურგი და ყელი. თათების დანარჩენი ნაწილები ძირი და კოჭი (ქუსლი) ცალპირი ქსოვით სრულდებოდა. წვერი და ქუსლი, შიბის დაკერვის წესით, აბრეშუმის ფერადი ძაფით დაიქარგებოდა. ნაქარგს მძივ-ღილებითაც დაამშვენებდნენ, სირმასაც იხმარდნენ. საკაცო თათები უფრო შიბიანია, საქალო კი ნაცვალ-ნაშატებიანი. კვირტისგან მოქსოვილ ჭრელ თათებს ქალამანში იცვამენ. თათების ყელზე ჭრელი ზონარი — „შილიფანია" შემოკერებული და ხშირად გრეხილი ბაწარიცაა გამობმული შესაკვრელად.

ლიტ.: გ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1993.

ც. ბ.

თათმანი – აქ. უთითებო ხელთათმანი, რომელსაც იყენებდნენ მუშაობისას.(იხ. ხელთათმანი)

თალაბულუხის სარტყელი — კაცისა და ქალის წელსარტყამი აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში. მასალად გამოიყენებოდა ფაბრიკული აბრეშუმის ქსოვილები. სარტყელი სამკუთხა ფორმისაა. საქართველოში აჭარის გარდა მხოლოდ სამცხე-ჯავახეთში გვხვდება, რომელსაც ქალები და მამაკაცები დაქორწინების შემდეგ ატარებდნენ. მსგავსი სარტყელები გავრცელებული იყო ანატოლიაში.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათ. 2005.

ც.ბ.

თალათინი — 1. ძვირფასი ტყავი, რბილი და მოქნილი, „ნატა". 2. ტყავის თასმა სამართებლისა და მისთ. პირის ასაწყობად.

ლიტ.: ქეგლ, ტ. IV, 1955.

ნ.ჯ.

თალხი — იგივეა რაც ქარსი (იხ.). საბას განმარტებით, „თალხი ქვა რაიმე არს ჭიქასავით", რომელსაც იყენებდნენ სარკმელთა და სანათურთა მინის ნაცვლად".

თამადა//ტოლუმბაში — ქართული სუფრის თავი და წარმმართველი. ფორმით, შინაარსითა და დანიშნულებით ამ ინსტიტუტის გამოკვეთილ პერსონაჟს მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. თამადას ევალება სადღეგრძელოების თქმა და პურობის წესის თანმიმდევრული დაცვა. მასზეა დამოკიდებული ოჯახის, გვარისა და საერთოდ, ესთეტიკურ ღირებულებათა წარმოჩენა, გარდაცვლილთა მოგონება, დამსწრეთა დაფასება და პატივისცემა. თამადა თავად უნდა იყოს ინტელექტუალური, ავტორიტეტული, ღვინის სმისას გამძლე.

ტერმინები „თამადა" და „ტოლუმბაში" არაქართულია და მხოლოდ XIX საუკუნეში შემოსულა ჩვენში. სამაგიეროდ არსებობს ამ ინსტიტუტის მოთავის ძველი ქართული სახელწოდებანი: „პურის უფალი", „წინამძღოლი", „მზრალი", „მემზირი", „მხნის თავი", „დუდ მახვენჯი", „ტაბგვა თხვიმი". ამ სახელწოდებათა ქვეშ მოაზრებული ადამიანები უძველესიდანვე ახორციელებდნენ ყველა სარიტუალო, საოჯახო თუ საზოგადოებრივი სუფრის გაძღოლას და პურ-მარილს აზიარებდნენ მრევლს. სადღეგრძელოების სისტემას ასევე საფუძველს უდებდნენ წინაქრისტიანული კულტის მსახურნი (ხევისბერი, დეკანოზი, ხელოსანი, ქორა მახვში), რომლებიც წარმოთქვამდნენ სადიდებელ ტექსტებს, რაც დროთა განმავლობაში სადღეგრძელოთა ფორმებს აყალიბებდა. ამიტომაა, რომ დღესაც სადღეგრძელოთა დიდი ნაწილი სემანტიკური ნიშნითაა დატვირთული. სადღეგრძელო სიტყვასთან ერთად, სასმლის მიღების სიმბოლურ აზრსაც შეიცავს. სადღეგრძელო ჟანრობრივად მაგიური სიტყვების სპეციფიკური, განვითარებული ფორმაა, რომელიც რელიგიური რიტუალიდან იღებს სათავეს და რომელსაც უძველესი ტრადიცია გააჩნია. ქართული სუფრა თავისი თამადით არაერთი

მკვლევარისა და მოგზაურის ყურადღების საგანი გამხდარა. ამ მხრივ, სანიმუშოდ შეიძლება დასახელდეს XVII ს. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც თბილისში დაესწრო ქართლის მეფისნულის ქორწილს და თავისი თვალით იხილა ქართული სუფრის სისტემური ხასიათი და საკვირველი წესრიგი. შარდენის თქმით, „სუფრაზე სამი ევროპელი ვიყავით და ჩვენ უფრო მეტს ვხმაურობდით, ვიდრე ყველა ის ასორმოცდაათი კაცი, რომელიც სეფაში იყო". ბუნებრივია დავასკვნათ, რომ წესრიგიანობით გამორჩეული ასეთი თავშეყრა ვერავითარ შემთხვევაში ვერ ჩაივლიდა „ხელმძღვანელის", „წინამძღოლის", „პურის უფლისა", თუ „მზრალის" გარეშე. თამადის კულტი დღემდე შემორჩა ქართულ სუფრას და ნებისმიერი ტიპისა და დანიშნულების სუფრა არ ჩაივლის მის გარეშე.

ლიტ.: გ. ბანძელაძე, სადღეგრძელო, 1991. გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა, 2007.

ე. ნ.

თანგირა — 1. უყურო მოზრდილი სპილენძის ქვაბი, არასანიადაგოდ სახმარი, „ზედადგარზე დაიდგმის." 2. წყალგაყვანილობაში ერთგვარი წყლის გამანაწილებელი თიხის ჭურჭელი, რომელსაც აქვს ორი ან სამი მილი. ნაკადის სხვადასხვა მხარეს ნასაყვანად

ე. ნ.

თარაზო — სიზუსტის იარაღი მშენებლობაში. თარაზოს შიგნით ჩასმული აქვს ორი პატარა სინჯარა ჩვეულებრივი წყლით სავსე, რომელთაგან ერთი აზუსტებს ჰორიზონტალურ სისწორეს, ხოლო მეორე პარალელურს.

ე.ნ.

თარგი – აქ: ხის ჩუქურთმების გამოსაყვანი შაბლონი. ხის მოხელეს ჰქონდა ქაღალდის ან ხის თარგი აივნის ფარდების დასაჭრელებლად, კოვზის, როდინის, ქაფქირისა და ა.შ. დასამზადებლად.

გ. გ.

თარი — აღმოსავლური სიმებიანი ჩამოსაკრავი ინსტრუმენტი. საკრავის კორპუსი რვიანის ფორმისაა. მზადდება თუთის ხისაგან, პატარა ზომის თარები მთლიანი ხისაგან, დიდი ზომისა — ორი ცალკეული ნაწილისაგან. ზედა მხარეს გადაკრულია მემბრანა (ბუშტი ან თევზის ტყავი). ყელზე აქვს 11-დან 26-მდე საქცევი, ნაწლავის სიმების მასალისა. თავი ვიწრო კოლოფია, რომელშიც სიმების დამჭერი ხის მოქლონებია ჩასმული.

ხშირად კორპუსი, ყელი და თავი სადაფითა და ძვლით არის ინკრუსტირებული. სიმები ლითონისა და თითბრისაა, რაოდენობა — 5-დან 14-მდე.

თანამედროვე თარი 5-6-სიმიანია. იყოფა ორ ჯგუფად: ძირითად და დამატებითად. დაკვრის დროს საკრავი შემსრულებელს უდევს მუხლებზე, მიბჯენილი გულთან და ბგერის ვიბრირების მიზნით დროდადრო არხევს. ბგერა აქვს ძლიერი, დიდი საშემსრულებლო შესაძლებლობანი: რთული მელოდიები, ჩქარი, მაღალი მელოდია, დაბალ რეგისტრში ტემბრი რბილი და ხავერდოვანია.

თარი არის სოლო, საანსამბლო და საორკესტრო საკრავი. განსაკუთრებით ხალხურ პროფესიულ ანსამბლში — საზანდარში. საზანდარის ძირითადი რეპერტუარი იყო ციკლური ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოებები — მუღამები, რომელშიც თარს და სოლისტ-მომღერალს გადამწყვეტი როლი აქვს. თუ ანსამბლში ხემიანი საკრავი ქემანჩაც შედის, უკრავენ უნისონში, წამყვანი არის მეთარე. საზანდრები ასრულებენ აგრეთვე ტესნიფებს (სიმღერები ინსტრუმენტული თანხლებით, სატრფიალო შინაარსის პოეტურ ტექსტებზე), საცეკვაოებს.

აზერბაიჯანში თარი სიმფონიურ ორკესტრშიც მონაწილეობს (უ. ჰაჯიბეკოვის ოპერაში „ქორ-ოღლი"), დაიწერა კონცერტი თარისა და ორკესტრისათვის (გ. ხანმამედოვი). თარი ფართოდ გავრცელებული საკრავია ირანში, აზერბაიჯანში., სომხეთში, დაღესტანში, ცენტრალურ აზიაში (თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი).

საქართველოში თარი შემოდის XVIII ს-დან, აღმოსავლურ ინსტრუმენტულ ანსამბლ საზანდართან ერთად. თბილისში განსაკუთრებით მიღებული იყო აზერბაიჯანულ (თათრები) მოსახლეობაში.

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა (მოკლე ისტორიული მიმოხილვა), ქუთაისი, 1925.

მ. ბ.

თარო — ჭურჭლის დასაწყობი სათავსი. თარო კედელთან მიდგმულია და დამაგრებული ან ჩამოკიდებული. სხვადასხვა ნივთთა დასაწყობ-შესანახად. ხევსურეთში თარო — „ისკორტა" კერის თავზე იყო ჩამოკიდებული და მასზე მამაკაცის კუთვნილ ნივთებს ანყობდნენ. თუშეთში თარო სადიაცო მეხზე იყო დაშენებული, ისე, რომ მისი სასხდომად გამოყენებაც შეიძლებოდა. ზოგიერთ სადიაცო მეხს თავსა და ბოლოში კროჭი — საწვრილმანო მცირე ყუთი უკეთდებოდა. ქართლში „მარიაშალობას" თაროს ანგელოზისათვის ფრინველის დაკვლა სცოდნიათ. წესად იყო თონეში გამომცხვარი პირველი პურის თაროზე დადება ანგელოზისათვის, რომელიც მლოცველს მეორე დღეს უნდა შეეჭამა.

ლ. ბ.

თარფი — 1. მოწნული ლანგარი, თაბახი, რომელსაც დღესასწაულის დროს ხილით გავსებულს დადგამენ მაგიდაზე.

2. მოწნული ლასტი თევზთა საჭერად.

თარჯი — ნიშანი, რომელსაც ხის მჭრელები დაადებენ ტყეში შეგულებულ ხეს, როგორც თავის საკუთარს (იხ. ნიშანი).

მ.მ.

თას-განძი – საკულტო, სახატო ჭურჭლის ერთობლივი სახელწოდება. იგი ებარა ხევისბერს// მეგანძურს, ადამიანს, რომელსაც თემი ირჩევდა. იგი საიდუმლოდ ინახავდა განძის სამყოფელს და გამოჰქონდა მხოლოდ დღესასწაულის დროს სათანადო რიტუალების შესასრულებლად.

ლიტ: ქელ. 2009.

თასი — ფიალა. არის დაბალქუსლიანიც და უქუსლოც. იგი აუცილებელი სარიტუალო ჭურჭელია საქართველოს მთიანეთის ხატ-სალოცავებისა. ამ წმინდა სასმისით ხატის ყმები წმინდა სასმელს ეზიარებიან. იგი ითვლება სალოცავის სიმბოლოდ. ასეთი თასის ყველაზე ძვირფასი სარიტუალო ჭურჭელია სახუცო კოჭობი (იხ.). წესად იყო მიღებული ხატებისათვის თასების შეწირვის ჩვეულება.

ლიტ.: ქელ. 2009.

თასმა – ტყავის თხლად აჭრილი ნაწილი. გამოიყენება ქალამნების შესაკერად და საერთოდ, ყველა საჭირო სათასმე საქმეში.

თაფლ-ხავინი – ერთგვარი საჭმელი. ესაა ორი ნილი წყალი, ერთი ნილი თაფლი და ერთი ნილი ფქვილი. წარმოიქმნება თხელი მასა, რომელსაც გამოაცხობენ და მიირთმევენ.

ე. ნ.

თაღარი – 1. ტყავის დასალბობი ჭურჭელი. მუცელზე გადაჭრილ ქვევრს ჰგავს. თაღარი მზადდებოდა: ხის, თიხის, ქვისა და ცემენტისაგან. ამათგან უფრო გავრცელებული იყო თიხის თაღარი. მასში დაბლები ანყობდნენ ტყავს დაასამუშავებლად ან შიგ აყენებდნენ სხვადასხვა საღებავს. თაღრებს ჭონებიც ხმარობდნენ. იხ. დოლური) 2. მარცვლეულის საწყაო, დიდი ზომის პირფართე თიხის ჭურჭელი. საქართველოში დამკვიდრდა ირანიდან, სიტყვა „თაღარი" პირველად გვხვდება XIII ს-ის ხოჯაყოფილის მიერ ნათარგმნ „წიგნი სააქიმოი"-ში. როგორც საზომი-საწყაო ირანში, თაღარის ნონა განსაზღვრული იყო 100 თაერიზული მანით (მანი=812გ.), რაც შეესაბამება 83,2 კგ-ს. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, თაღარი 30 ლიტრას უდრიდა. XIX ს-ში თბილისის მაზრაში თაღარი შეადგენდა 3 კოდს, ე.ი. 30 ლიტრას. კოდის ზრდის გათვალისწინებით, თაღარის ტევადობა XVIII-XIX სს-ში საშუალოდ 90-100 კგ.-ით განისაზღვრებოდა. 3. საწნახლიდან გადმოსული



ტკბილის მოსაკავებელი თიხის ან ქვის ჭურჭელი (იხ.ისარნა).

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართული საფას-საზომმცოდნეობა. გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან. 1973.

ე.ნ. მ.ხ.

თახახა//თახთახა — თხელი ლავაში. თონეში გამომცხვარს გაახმობდნენ, და მერე წვენში „ჩააბუბუბუებდნენ". ჩვილ ბავშვებსა და ავადმყოფებს აჭმევდნენ. მსუბუქი და ადვილი მოსანელებელია.

ლიტ.: სტ. მენთეთაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

თახჩა — კედელში დატანებული ნიში, რომელიც XVII საუკუნიდან მკვიდრდება ქართულში. ანა ქსნის ერისთავის მზითვის წიგნში ნახსენებია ფარდები თახჩისათვის, ანუ „თახჩაფუხები". თახჩა-ნიშები საცხოვრებელი სახლის კედლებში იყო დატანებული, რელიგიური დანიშნულების თახჩაში ინახებოდა ხატები. XIX ს. დიდკარიან თახჩას განჯინასაც უწოდებდნენ. მეცნიერნი და მწიგნობარნი ნიშ-თახჩებში ინახავდნენ თავიანთ სამუშაო ნივთებს, ამ მხრივ საილუსტარციო მასალას წარმოადგენს XII საუკუნის ჯრუჭის ოთხთავში დაფიქსირებული მარკოზს მახარებლის კარადა, რომლიც სამწერლო ნივთების შესანახ თახჩა-ნიშს წარმოადგენს.

ლიტ.: ვ. ართილაყვა, XVI-XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1965.

ე. ნ.

თეგი — რკინის საჭრელი იარაღი, სატეხის მსგავსია.

თეე – საპატიო პირთა საწოლი ძველ საქართველოში.

თერცხანე – ნავსაშენი და ნავსადგომი ლაზეთში, რომელიც გაშენებულია ზღვის წყნარ ნაპირზე.

თეფში — საერთო სახელია სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული სამზარეულოჭურჭლისა. ეთნოგრაფიულ ყოფაში ყურადღებას იქცევსლითონის თეფში,რომელიც იკვერებოდა როგორც სპილენძის, ასევე თითბერისაგან. სპილენძის თეფშებია: ღრმა, ფრიალა, ქუსლიანი, უქუსლო, გადაშლილპირიანი, პირმოხვეული, ფარფლიანი, უფარფლო, სახურავიანი ან უსახურავო. თეფშები ძირითადად სპილენძის ერთი ფირფიტისაგან იჭედებოდა. ყოველთვის ორმხრივ იყო მოკალული, იხმარებოდა წვნიანისათვის, მშრალი კერძეულისათვის, ხილისათვის და ა.შ.

ც. ჯ.

თეფში – (აქ) ლიტურგიაზე კეთილშობილი მეტალისგან დამზადებულ ორ მომცრო თეფშს იყენებენ. ერთი მათგანი, რომელზეც ჯვარია გამოსახული და გარსშემოუყვება წარწერა: „ჯვარსა შენსა თაყვანის ვსცემთ, მეუფეო და წმიდასა აღდგომასა შენსა ვადიდებთ", გამოიყენება ჯვრის გამოსახულებიანი დიდი (ხუთიდან ერთ-ერთი) სეფისკვერიდან ტარიგის ამოსაკვეთად, ხოლო მეორეს, რომელზეც ღვთისმშობელია გამოსახული ყრმითურთ და აქვს წარწერა: „ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ", იყენებენ დანარჩენი სეფისკვერებიდან ნანილების ამოსაკვეთად. ეს თეფშები სიმბოლურად ეკლესიის მსახურებას გამოხატავენ.



ლიტ.: С.Е. Молотков _ Практическая энциклопедия православного христианина. С.ПБ.2001

ხ. ც.

თექა – მოთელილი მატყლისაგან დამზადებული საფენი, ქეჩა. გამოიყენებოდა შესამოსად, კარვებისათვის, საწოლად და საფენად. საქართველოში თექის საუკეთესო ოსტატები თუშები იყვნენ.

ე.ნ.

თექალთო//თოქალთო — ცხენის აღკაზმულობის ნაწილი. მზადდებოდა ტყავისა და ნაბდისაგან. შედგება ორი ნაწილისაგან—ზედა და ქვედა პირი. ზომას ვარაუდით იღებდნენ—კეხის სიგანეზე უფრო დიდს. ხშირ შემთხვევაში თექალთოს ბოლოში ორი წვრილი თასმა უმაგრდებოდა ტვირთის შესაკრავად. ნაბდის თექალთო ხან ცალკე, ხან კი ტყავისას ქვეშ ეფინებოდა, ზოგ თექალთოს ერთი მხარე ტყავისა, მეორე კი ნაბდისა ჰქონდა. მას საოფლის შემდეგ ცხენის ზურგზე აფენდნენ და ზედ ადგამდნენ უნაგირს.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

თეჯანი (ქართლ.) —ცხვრის ტყავის პარკი გამოყენებული რძის ან მაწვნის ჩასასხმელად.

თვალი (ქართლ. კახ.) — აქ: ხის ფერსო-სოლებით ასხმული ბორბალი. ურმის თვალი შედგება: ხუნდის, მორგვის, ფერსოსა და სოლებისაგან.

ლიტ.: მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, 1956.

თივთიკი — თხის ბეწვისგან დამზადებული რბილი და ნაზი ქსოვილი.

თითისტარი — ძაფის დასაგრეხი ხელსაწყო. თითისტარი წარმოადგენს მუცლიანი და წვრილთავებიანი ჯოხისა და ქვის ან თიხის კვირისტავის (იხ.) ერთობლიობას. საჩეჩელზე დამუშავებული მატყლის ფთილას გამოუწყობენ წვერს, მოახვევენ თითისტარს, მერე დააბზრიალებენ და ფთილიდან გამოიძახება დახვეული ძაფი. ესაა უძველესი საფეიქრო მოწყობილობა, რომელიც ადამიანმა გამოიგონა ცივილიზაციის გარიჟრაჟზე.



ე. ნ.

თიკვი — ფერადი ქსოვილის არასიმეტრიული ნაკუწებითა და ზონრებით შემკობილი შესამოსელი ან საფენი. ზოგჯერ ეს ნაკუწები ერთმანეთზეა გადაკერებული, ზოგჯერ კი რაიმე ნეიტრალურ ფონზეა დაკერებული. თიკვის კეთების ხერხების აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინები: „ზიკი" და „ნაფთულა," თიკვის ტექნიკის საშუალებით მთიულები ამზადებდნენ მამაკაცის საშუბლეს (ოფლისაგან დასაცავად), ტრადიციული სამოსის ნაწილებს, საბნებს, საფენ-საღამურებს, კედლის საფარებს, თიკვებს იყენებდნენ ჩითების კერვისას, ტანსაცმლის ნაკერის დასაფარავად და სხვა.

ლიტ.: ნ. აზიკური, თიკვი და ნაფთული ქართულ ხალხურ ქსოვილსა და შესამოსელზე, მსე ტ. XXVI, 2004.

ე. ნ.

თიკრუნა (ხევს.) — დამუშავებული ტყავის ჭურჭელი, აქვს ორი ყური ხელის ჩასავლებად. ხევსურები ხმარობენ წისქვილში საფქვავის წასაღებად.

თილისმა — ნივთი, რომელსაც ზებუნებრივი ძალა მიენიჭებოდა. თილისმა ცრუ რწმენის მიხედვით ჯადოსნური და გრძნეული ნივთია, იგი ამულეტის მნიშვნელობითაც იხმარება, თუმც მისგან განსხვავებით იგი არა მარტო იცავს ადამიანს ავი თვალისა და ავადმყოფობისაგან, ამასთანავე, შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვათა არსებობაზე და თავის სურვილს დაუმორჩილოს ყოველივე. ამდენად, თავისი დანიშნულებით, თილისმა ამულეტებზე უფრო აქტიურ ხასიათს ატარებს. თილისმა, რადგანაც იგი ჯადოსნურია, უცხოს არ დაანახვებენ და საგულდაგულოდ მალავენ, ამულეტს კი, პირიქით, ყველას დასანახად ატარებენ.

ქართულ ზღაპრებსა და მითოლოგიურ გადმოცემებში ჯადოსნური თვისებების მატარებელი ნებისმიერი ნივთი შეიძლება თილისმად ჩაითვალოს. მაგ., ქვა, ბეჭედი, ქუდი, ხალიჩა და ა.შ. მათი მფლობელები

სასწაულ საგმირო საქმეებს სჩადიან. ამირანს აქვს ალმასის ჯადოსნური დანა, რომელიც გველეშაპს გაუფატრავს მუცელს და ზევით ამოვა, კოპალა დიდი ძალის მქონე ლახტით ებრძვის და ამარცხებს დევებს, ეთერი სამი ჯადოსნური ვაშლის ჭამით ჩაესახება მამამისს კანჭში და სხვა.

მ.ხ.

თირი – მსუბუქი და ადვილად სათლელი სამშენებლო ქვა, შიგადაშიგ ცარიელი რგოლები — „თვლები'' დაუყვება.

თიხა//კეცი// — განსაკუთრებული ჯიშის საგანგებოდ აზელილი მინა — ჭურჭლეულისა და სამშენებლო მასალის დასამზადებლად. სიტყვა „კეცით" ჩვენ დროში „თიხის" სახელწოდებით ცნობილ მინის ჯიშს აღნიშნავდნენ, „თიხას" კი ჩვეულებრივ ტალახსა და აზელილ ჭურჭლის მინას უწოდებდნენ.

XVII-XVIII საუკუნეების ძეგლებში „თიხა" თანამედროვე გაგებით იხსენიება, მის პარალელურად სიტყვა „კეცი" გვხვდება. თიხის პირვანდელი მნიშვნელობა მეჭურჭლეობამ დღევანდლამდე უცვლელად შემოინარჩუნა, ხოლო „კეცმა" თავისი კვალი საცხობ „კეცის" სახელწოდებაში შეინახა.

ლიტ.: მ. ზანდუკელი, ქართული ხალხური კერამიკა, 1982.

მ. ზ.

თლაზევიჩი — ხარაზის იარაღი. თავმომრგვალებული დანა, ხისტარიანი, იხმარება საძირე ტყავის ლეშკის გასაცვლელად

ლიტ.: სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

თლაშო (თბ.) — არყის სასმელი ნორმირებული ჭიქა.

თმასატანა – ფერადი ძაფებისაგან დაწნული თოკი, რომელსაც ახალგაზრდა თუში ქალები თმაში ჩაიწნავდნენ.

თოგალი („მაია") — სპილენძის ჟანგი, იხმარება თიხის ჭურჭლის ჭიქურქვეშა მოხატულობისათვის, ამავე დროს, იგი მწვანე ჭიქურის კაზმის აუცილებელი შემადგენელი მასალაა. თოგალს მაიასაც უწოდებენ. თოგალი სპილენძის დამუშავების შედეგად წარმოქმნილი ნარჩენია.

თიხის სპეციალისტი თოგალს გააშრობს და „თონის ცალზე" (იხ.), ანდა ტყვიის საწვავ ქურაში დანვავს. თოგალი შავია, ცეცხლს რომ შეუკეთებენ განითლდება, ცეცხლიდან გადმოღებული ნაცრისფერი ხდება. დამწვარი თოგალი, ანუ „მაია" ჭიქურის შემადგენელი ნამლებიდან წისქვილში ყველაზე ბოლოს უნდა დაიფქვას, შემდეგ წისქვილი კარგად უნდა გაირეცხოს, რადგან მისი ფერი სხვას არ შეერიოს. თაღარში ჩაყრილ დაფქულ თოგალს, ზომაზე დაასხამენ წყალს ისე, რომ დოსავით იყოს, ოდნავ სქელი. გახსნილ-გამზადებული თოგალით ჭურჭელზე მოხატვა ხდება საგანგებო ყალმით, კახელი ხელოსნები ვირის ფაფრის გარდა კამეჩის ბალნით ან ცხენის ძუის ფუნჯით სარგებლობენ. შროშელი მეჭურჭლეები ჭურჭელს, ჯოხზე დახვეული ბამბის საშუალებით ხატავენ. მოხატვის დროს მეჭურჭლე უნდა ფრთხილობდეს, რათა ზედმეტი რაოდენობით წასმული თოგალის სითხე ჭურჭელზე არ ჩამოიღვენთოს.

სიტყვა „თოგალი" ეტიმოლოგიურად უნდა უკავშირდებოდეს ბიბლიაში მოხსენიებულ თუბალს, რომელიც იყო სპილენძისა და რკინის მჭედელი, ქართველური მოდგმის ერთ-ერთი უძველესი ტომი თუბალები — განთქმული იყვნენ მელითონეობით.

ლიტ.: ს. ბედუკიძე, მოჭიქული ჭურჭლის წარმოებისათვის შიდა ქართლში, მმ, ტ XIX-A XXI-B. 1957.

მ. ზ.

თომი — „საბანდულე მოლი, წურილი თივა" (საბა) თომს ჩააფენდნენ ბანდულებში. თომი ისე ათბობს ფეხს ზამთარში, როგორც არც ერთი სხვა ბალახი. ამიტომაც ყოველი ოჯახი დაინტერესებული იყო შემოდგომაზე ერთი მარხილი თომი მოემარაგებინა. თომი სვანეთის გარდა ცნობილია რაჭაშიც.

ე. ნ.

თონის ცალი — სამნაჭრიანი თონის ერთი ნაწილი, რომელსაც აღარ იყენებდნენ თონისათვის და მათზე ხდებოდა ჭიქურის შემადგენელი ერთი ელემენტის — ტყვიის ნაცრისა ანუ „ტყვიის მტვერის" დანვა.

თონის ცალი მეჭურჭლეების მიერ ადრე გადაიდგმებოდა ნაპირებზე, მოზელილი საჭურჭლე თიხის გუნდით კიდეები შემოუშენდებოდა, რათა მორევის დროს მასზე დაყრილი ტყვია არ გადაფანტულიყო. თონის ცალს ქვემოდან ცეცხლი შეენთებოდა. მასზევე ხდებოდა „ტყვიის მტვერის" გაცივება.

ლიტ.: ს. ბედუკაძე, მოჭიქული ჭურჭლის წარმოებისათვის შიდა ქართლში, მ.მ .ტXIX-A XXI-B, 1957.

მ. ზ.



თორაკია — ოქროთი შემკული გერბის ფარი, რომელიც აღიქმება როგორც ტანსაცმლის ნაწილი და რომელსაც ატარებდნენ დედოფლები, მაღალი წრის ქალები და გვხვდება აგრეთვე წმინდათა ჩაცმულობაშიაც. ესაა მახვილპირიანი ფარის ტიპის ნიშანი, რომელზედაც ხშირ შემთხვევაში გამოსახულია ჯვარი და მდიდრულადაა შემკული. ქართულ ხელოვნებაში თორაკიათი წარმოგვიდგებიან ზედაზნისა და ატენის ქტიტორები, ასევე წმინდანები, განსაკუთრებით ეკატერინე და ელენე. თორაკიანი გამოსახულებები გვხვდება კრიხის, ბოჭორმის, მაცხვარიშის, ვარძიის, ანანურისა და სხვათა მხატვრობაში.

ლიტ.: ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, 1964.

ე. ნ.

თორი//თავსაჭირი//თავსაკრი — ქალის თავსაბურავიდან ლეჩაქის დასამაგრებელი საშუალება. მასალად იყენებდნენ მუყაოს, რომელზედაც კაშკაშა ფერის ძვირფასი ქსოვილი: ფარჩა, ხავერდი და ატლასი იყო გადაკრული. სხვა სახის თავსაჭირი ქსოვილის გაორმაგებული და გასამმაგებული ნაჭრისაგან მზადდებოდა. ხმარებაში იყო ბადისებურად ნაქსოვიც, უკან გადაშვებული ორი ტოტით, რომელსაც ხის ხელსაწყოთი (კინთი) ქსოვდნენ. ამათგან განსაკუთრებული ყურადღება თორს ეძლეოდა, რომლის წინა მხარე და გვერდები საგანგებოდ იმკობოდა, პატარა მძივებით გამოსახავდნენ მზეს. ზოგიერთზე ათი წითელი ან ყვითელი მზეც იყო გამოსახული. მზეთა შორის არსებული სივრცე კი სამ-სამი კილიტის მსგავსი ვერცხლისფერი ლითონის სამკაულია. თავსაკრავი XVII ს. საქართველოშიც ცნობილია. განსაკუთრებულად გავრცელებული იყო კახეთში, ქართლში და საქართველოს ზოგიერთ სხვა კუთხეშიც. იქ, სადაც ქალის „ქართულ კაბას" ატარებდნენ.

აჭარასა და სამცხე-ჯავახეთში დამოწმებული თორი ზოგადქართული ტრადიციების ადგილობრივ მოდიფიკაციას წარმოადგენს.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005,

ც.ბ



თორნე//თონე — თიხისაგან დამზადებულ პურის საცხობი. პურის გამოცხობისას თორნეში ხმელი ფიჩხისა და შეშისაგან ცეცხლს ჩაანთებენ, როცა კედლები გავარვარდება, ზედმეტ ნამწვებს ამოიღებენ ნაკვერჩხლებს შუაგულში შეაკალთავებენ და ზემოდან კრამიტის ნაჭრებს დააფარებენ, შემდეგ გამზადებულ პურის გუნდებს გააბრტყელებენ და ზემოდან ქვემოთ მწკრივად შემოაცხობენ კედელზე. გავსებულ თორნეს თავს დაახურავენ და ასე 15-20 წუთის შემდეგ პური უკვე გამომცხვარია. ერთ საშუალო თორნეში 15-20 პური გამოცხვება.

ე. ნ.

თორნი – საომარი, გულმკერდის საცავი იარაღი. „თორნი არს მთელი რკინა, პოლოტიკი ტანსაცმელი"(საბა). თორნი წარმოადგენს რკინა-ფოლადის მთლიანს ან ორნაწილიან გულმკერდისა და ზურგის დამფარველ ჯავშანს. გვიანფეოდალური ხანის ქართველი წარჩინებულები ხშირად გამოიყენებდნენ საომარ აღკაზმულობაში თორნს. ჯავშნის ამ სახეობის გენეტიკური ფესვები ანტიკურ სამყაროშია საძიებელი.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ.II. 1993.

მ.ქ.

თუშური კაბა

ქართული კაბა (კაცის)

თოფი//(თუფანგ(თურქ.)//(**ხელმეხი**(ქართ.) — ცეცხლსასროლი იარაღის ტიპი, შედგება კონდახის, ჩახმახის, ლულის, ზუმბის და საპირისწამლისაგან. ევროპული ისტორიული დოკუმენტები ცეცხლსასროლი იარაღის წარმოშობას XIV ს-ის პირველი ათწლეულით ათარიღებენ. მიუხედავად ამისა, XIII ს-ში არსებობდა არაბული ცეცხლსასროლი იარაღი „მოდფა" (იხ.). ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით კი ცეცხლსასროლი იარაღი პირველად მოხსენიებულია XVს. უკანასკნელი მეოთხედის მოვლენებთან დაკავშირებით. აქვე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თემურ ლენგის ლაშქარი პირველი შემოსევის დროს იყენებდა ე.წ. „რადანდაზებს".



ცეცხლსასროლი იარაღის (თოფის) განვითარების ისტორია შეიძლება დაიყოს რამდენიმე ეტაპად 1. თოფი ფითილიანი 2. თოფი გორგოლაჭიანი 3. თოფი კაჟიანი 4. თოფი ფისტონიანი 5. სახაზინო დასატენი ნემსიანი შაშხანა, რომელმაც სათავე დაუდო თანამედროვე იარაღის ჩამოყალიბებას.

საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში, ფითილიანი (პატრუქიანი) თოფები თითქმის არ იწარმოებოდა. ადგილობრივი მოსახლეობა (ძირითადად წარჩნებულნი) იყენებდა ოსმალეთიდან შემოტანილ ცეცხლსასროლ იარაღს. ხოლო XVII-XVIII ს-დან ვითარება იცვლება, საქართველოში და ზოგადად კავკასიაში იწყება ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება და XVIII ს-ში უკვე ყალიბდება კაჟიანი თოფების კავკასიური ტიპი, რომლის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია თურქულმა ცეცხლსასროლმა იარაღმა. ამ პერიოდის საქართველოში უკვე ვხვდებით სხვადასხვა დასახელების კაჟიან და ფისტონიან (XIX) თოფებს, ისეთს როგორიცაა: სიათა, მაჟარი, ოსტამული, მაჭახელა, თოფხანე, ნალფარა, ერეჯიბი, ბაზალა, ჯაზაირი, ხარა, ჩარმა, ხორასანი, ქოფაჩი, ფილთა, არშავიანი, ბურა, ძეგლიგი, თურგანი, ხირიმი, მოგვიანებით ყარაბინი, უნგრული და ინგლისური თოფები.

ლიტ.: Э. Аствацатурян, оружие народов кавказа, Москва 1995г. *მ. ქაფიანიძე, XV-XIX სს. ცეცხლსასროლი იარაღი 2000.*

მ. ქ.

თოფი გორგოლაჭიანი – ცეცხლსასროლი იარაღი. XV ს-ის ბოლოსათვის ფითილიანი თოფების გაუმჯობესების ყველა შესაძლებლობა ამოიწურა. საჭირო იყო სიახლე, რომელიც ბიძგს მისცემდა იარაღის შემდგომ განვითარებას და ასეთი სიახლე მალე გამოჩნდა საათისმექანიზმიანი ჩახმახების სახით, რომელიც ნაპერწკლის მიღების ახალ წყაროს იძლეოდა. ეს მოწყობილობა ზოგიერთი ცნობის მიხედვით, 1504 წელს ნიუნბერგში გამოიგონეს, სხვა წყაროებით კი ფლანდრიაში. ასეთი კონსტრუქციის ნახაზები ლეონარდო და ვინჩის ხელნაწერებშიც მოიპოვება.

ევროპაში დიდი პოპულარობა მოიპოვა ასეთი თოფის ნიუნბერგულმა ტიპმა. ყოველი გასროლის წინ (ლულაში დენთისა და ტყვიის ჩატენვის შემდეგ) საჭირო იყო გასაღებით გორგოლაჭის (დაქოქვა) შეყენება, საფალიე დაფაზე დაიყრებოდა დენთი და დაეფარებოდა ჩახმახის ყბა მასში დამაგრებული კაჟით. სასხლეტი რკალის გამოკვრისას გორგოლაჭი სწრაფად დატრიალდებოდა და მასზე დაბჯენილი კაჟიდან მიიღებოდა ნაპერწკალი, რომელიც მიხვდებოდა ლულის ხვრელში და იწვევდა დენთის აფეთქებას.

ასეთი კონსტრუქციის გამოგონებამ იარაღის ხმარება უფრო მოხერხებული გახადა. დატენილ იარაღს აღარ სჭირდებოდა მბეუტავი ფითილი, ასე რომ, გასროლის პროცესზე ამინდი გავლენას ეეღარ ახდენდა, ამასთანავე, შესაძლებელი იყო იარაღის საბრძოლო მზადყოფნაში ტარებაც.

გორგოლაჭიან სჩახმახებს თავისი ნაკლოვანებებიც გააჩნდა, ეს, პირველ რიგში, მისი სიძვირე იყო, კონსტრუქციის სირთულის გამო დაბინძურების დიდი ალბათობაც ჰქონდა, გარდა ამისა, გასაღების დაკარგვის შემთხვევაში თოფს ფუნქცია ეკარგებოდა.

მიუხედავად ამისა, გორგოლაჭიანი ჩახმახების უპირატესობა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო ნაკლოვანებაზე, სწორედ ამიტომ, ასეთი ჩახმახიანი თოფები დროთა განმავლობაში სულ უფრო ვრცელდებოდა. საქართველოში და კავკასიაში გორგოლაჭიანი თოფები არ მზადდებოდა, რადგან ჩვენში ძალზედ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ე.ნ. კაჟიანი ჩახმახები, რომელთა გამოგონება თითქმის გორგოლაჭიანი მექანიზმის თანადროულად მოხდა.

ლიტ.: ლიტ.: მ. ქაფიანიძე, XV-XIX სს. ცეცხლსასროლი იარაღი (საქ. სახ. მუზეუმის იარაღის ფონდში დაცული მასალების მიხედვით), 2000 .А. В. Жук, энциклопедия стрелкового оружия, 1998 г.

მ. ქ.



თოფი კაჟიანი — ცეცხლსასროლი იარაღის სახეობა, რომელიც წარმოიშვა XVI ს-ის დასაწყისში თითქმის გორგოლაჭიანი მექანიზმის პარალელურად. კაჟიანი ჩახმახები, უფრო სრულყოფილი იყო ვიდრე გორგოლაჭიანი, მასში ნაპერწკლის მიღება ხდებოდა კაჟის კვესზე (ფოლადის ფირფიტა) დაცემის შედეგად. კაჟიანი ჩახმახების კონსტრუქციული სქემა იმდენად მარტივი იყო, რომ იგი ყველანაირი ცვლილების გარეშე მიიღეს მთელ მსოფლიოში. ისინი საუკუნეთა მანძილზე დარჩა სხვადასხვა ქვეყნების შეიარაღებაში.

კაჟიანი ჩახმახების კონსტრუქცია მეიარაღეებს საშუალებას აძლევდა სწრაფსროლა გაეუმჯობესებინათ, ამ პერიოდიდან ჩნდება ორლულიანი და ორჩახმახიანი, ერთლულიანი და ორჩახმახიანი, ოთხლულიანი და ერთჩახმახიანი ცეცხლსასროლი იარაღები.

საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღის წარმოების დაწყება კაჟიანი თოფების მოგვიანო პერიოდს ემთხვევა (XVII-XVIII). თავდაპირველად ქართული, უფრო ზუსტად კავკასიური ტიპის თოფის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია თურქულმა იარაღმა. ადგილობრივი წარმოების პირვანდელი ნიმუშები ძალზედ წააგავდა თურქულ თოფებს, ხოლო შემდგომ, XVIII ს-ის ბოლოდან, დაიხვეწა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა კავკასიური ტიპი კაჟიანი ცეცხლსასროლი იარაღისა, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა როგორც რუსეთში, აგრეთვე მახლობელ აღმოსავლეთშიც.

ლიტ.: მ. ქაფიანიძე, XV-XIX სს. ცეცხლსასროლი იარაღი (საქ. სახ. მუზეუმის იარაღის ფონდში დაცული მასალების მიხედვით), მ. ქაფიანიძე, სამაგისტრო ნაშრომი, 2000. А. В. Жук, энциклопедия стрелкового оружия, 1998г.

მ. ქ.

თოფრა — პატარა ტომარა, რომელშიაც ჩაყრიან შვრიას და აქმევენ ცხენს.

თოქმაჩი — თითბერზე მომუშავე ხელოსანი, რომლებიც ამზადებდნენ ქვასანაყებს, შანდლებს, საეკლესიო ნივთებსა და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საგნებს.



თოხეჩო (ქართლ. კახ. მესხ. ჯავახ.) — ხის სათლელი, პირბრტყელი და თოხივით მოხრილი, დიდი საორხელო ხელჭურჭელი, ყოფაში გავრცელებულია შემდეგი სახელწოდებებით: „მძიმე ეჩო“ (ქართლ-კახეთი), „თოხ-ეჩო“ (აჭარ., მესხ.-ჯავახ.), „დიდი ეჩო“(ქსნის ხეობა), „ფეხეჩო“ (ქართლ-კახ., მესხ.-ჯავახ.).

„თოხეჩო“ შედგება ეჩოსა და ტარისაგან. ეჩოს პირი ლითონისაა, ალესილია და ტარისაკენ მოხრილი. თოხეჩოს იყენებდნენ ურმის ხელნების, კევრის ფიცრების და ა.შ. გასათლელად.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, 1962.

გ. გ.

თოხი – უმნიშვნელოვანესი სამიწათმოქმედო იარაღი, იჭედებოდა რკინისაგან. აქვს ყუა, ტანი, პირი და ხის ტარი. ეთნოგრაფიულ ყოფაში გავრცელებული იყო თოხების უამრავი ნაირსახეობა, დამზადებულნი ნიადაგისა და სამეურნეო კულტურების დამუშავების გათვალისწინებით.

სადაურობის მიხედვით თოხი იყო იმერული, მოხევური, თრიალეთური, კახური, მეგრული, ინგილოური, ხევსურული. აგებულების მიხედვით: სწორმხრიანი, ოთხკუთხა, ფოთლისებური, მხრებდაშვებული, ნისკარტიანი, ნაფოტა, მოქანდული, მხრებგაშლილი, შალთა, ხელეჩოსებური, ყუამილიანი, უყუო, ყუიანი. ფუნქციების მიხედვით: საბელტე, საჩორკნი, კეკო, საფხვიერებელი, სამარგლავი და სხვა. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში დიდი რაოდენობითაა დადასტურებული ნაირგვარი ტიპის თოხები.

ზოგადად, მსოფლიო არქეოლოგიის პრაქტიკაში სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი უძველეს სამარხებში იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს. ამის საპირისპიროდ საქართველოს სამარხულ ინვენტარში ასეთი ნაშთების დაფიქსირება ხშირად ხდება, მაგ.: ერგეტის ერთ კოლექტიურ სამარხში (ძვ.წ. VII ს.) აღმოჩენილ იქნა 28 სახნისი, 27 ნამგალი და 142 თოხი, რაც კიდევ ერთი საბუთია საქართველოს, როგორც მიწათმოქმედების ერთ-ერთი უძველესი ეპიცენტრის მიჩნევისათვის.

თოხი ქართული ოჯახის უმთავრესი სამეურნეო იარაღი იყო. მისი დამზადება ხდებოდა ადგილობრივი მჭედლების მიერ. თოხის მჭედლები ხშირად თოხს თავიანთ ნიშანს, დამღას ან სულაც სახელს ანერდნენ რითაც ღიად აცხადებდნენ პრეტენზიას ხელობის ავკარგიანობაზე. ასეთ თოხს ჰქონდა როგორც ავტონომიური, ასევე საბაზრო ღირებულებაც. თოხი დღესაც რჩება ქართველი მეურნის ყოველდღიურ, სანიადაგო, სამეურნეო იარაღად.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმ. საქართველოში, 1986. ო. ჯაფარიძე, მინათმოქმედების იარაღები დასავლურ ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, 1953.

ე. ნ .ა.გ.

თოხი ბოსტნის — ბოსტანში სახმარი თოხი, გათვალისწინებულია ერთმანეთთან ახლოს დარგული ნარგავ-ჩითილების გასამარგლავად. ამიტომ მისი პირი პატარაა და მოხრილი, რათა მუშაობისას ეფექტურიც იყოს და არც ნარგავ-ჩითილები დააზიანოს.



ე.ნ

თოხი ქისტური – მიწის დასამუშავებელი იარაღი. ქისტები უწოდებენ „ცელს". გავრცელებულია ფშავსა და თერგის ხეობაში. იყენებდნენ მარცვლეული კულტურებისა (სიმინდი, ლობიო) და კარტოფილის მოსავლელად. იარაღი მსუბუქია და გამოიყენებოდა აგრეთვე დიდი ღუმელებიდან ღადარის გამოსახვეტად.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986.

ა. გ.

თოხ-წერაქვი — ხელით სამუშაო უნივერსალური იარაღი თუშეთში. მისი საშუალებით წარმოებდა მოხვნის დროს დარჩენილი ხარვეზების ჩათოხნა, ბელტების დაფშვნა, დაჩერკნა. თოხით სამუშაო ქალების მიერ სრულდებოდა. ამზადებდნენ ადგილობრივი მჭედლები. ცნობილი იყო ამ მხრივ სოფლები: დიკლო, ბოჭორნა, ომალო.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986.

ე.ნ.

თოხმახი (თბ.) – ხორბლის დასანაყი ხის ჩაქუჩი. თოხმახის განსაკუთრებული სახეობა გამოიყენებოდა ქვაფენილების დასაგებად.

თრიმლის პური — (ქიზიყ) თხელი, გამხმარი პური. თრიმლის საჭრელად წამსვლელებს მიაქვთ საგზლად. არ ფუჭდება და ადვილი მოსანელებელია.

თრიმლი და მოთრიმვლა — მრგვალფოთლიანი მცენარე, შემოდგომით ფოთლები უწითლდება. იხმარებოდა ტყავის წარმოებაში ნამზადის დასარბილებლად. მოთრიმვლა ტყავის დამუშავების ერთი ეტაპია. მთრიმლავ ნივთიერებათა აღმოჩენამდე დაბღები ტყავს ამუშავებდნენ თბილისის გოგირდოვან წყაროებში. რის გამოც თბილისი ითვლებოდა ამიერკავკასიის ქალაქთა შორის მედაბღეთა ცენტრად. თრიმლის გამოყენებამ უფრო ეფექტური გახადა ტყავის დამუშავება, ტყავის თრიმელა ხდებოდა დაბახანაში. თბილისის ერთ-ერთი დაბახანა 1957 წლამდე მუშაობდა ძველი წესებით. დაბახანაში სამი განყოფილება იყო: პირველში ტყავის პირველადი დამუშავება ხდებოდა; მეორეში ტყავს ბენვის გაცლა, მესამე განყოფილებაში კი ტყავების დათრიმვლა წარმოებდა. საქონლის ერთ ტყავს კირნარეე წყალთან ერთად დაფქულ თრმილს აყრიდნენ. სამუშაოს გაადვილებისათვის თაღრის (იხ.) კედელზე ორივე მხარეს ამაგრებდნენ ორ გრძელ ხეს, მათზე დაყრდნობით ფეხებით ზელდნენ შიგ ჩაწყობილ ტყავებს. შემდეგ ერთი ღამე ტოვებდნენ თაღარში, დილით ერთ საათს კიდევ დაამუშავებდნენ, დემურით გაასუფთავებდნენ და გასაწურად კეტებზე გადაკიდებდნენ. შემდეგი მოქმედება იყო ტყავზე წყლის პკურება და გაშრობა. ერთი დღე-ღამე ხეებზე გაფენდნენ გასაშრობად. დილისათვის თუ გაშრებოდა, ჯაგრისით გაწმენდნენ. ბრტყელპირა ჩაქუჩით ტყავის ნაპირებს გაასწორებდნენ. დროთა განმავლობაში ტყავის გასწორების მეთოდის გაუმჯობესების მიზნით

ეთილი (იხ.) გამოუყენებიათ. ის ტყავს უფრო კარგად ასწორებდა და ლესავდა კიდეც, გარდა ამისა, ტყავი დიდდებოდა, ეთილი ტყავს სინესტეს აცლიდა და გამძლეობას მატებდა.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

თრუხო (ქიზიყ.) — ცელის პირის სალესი ქვა, ხორხოშელა, მოლურჯო, ხმარობენ მშრალად, დაუსველებლად.

თულო – თივისაგან დაგრეხილი მსხვილი თოკი.

თულუხი//თასუხა — წყლის საზიდავი ტყავის ჭურჭელი. ამზადებდნენ კამეჩისა და ხარის ტყავისგან, (15 წელს ძლებდა). მოცულობით რუმბის მეოთხედი იყო. ჩადიოდა რვა ფუთი წყალი. ზემოთ ფართო ნახვრეტი ჰქონდა, ქვემოთ უფრო ნვრილი. ფართო ნახვრეტის საშუალებით თულუხჩი (იხ.) მდინარიდან წყალს ასხამდა თულუხში, ხოლო ნვრილი ნახვრეტიდან ჩამოუსხამდა მომხმარებელს. იშვიათად თულუხებში ღვინოს, ზეთსა და ნავთს ასხამდნენ.

ნ. ჯ.

თულუხჩი — თულუხით წყლის მზიდავი, მეთულუხეს ზოგან მეწყლესაც ეძახდნენ. დიდი ხნის მანძილზე თბილისი მარაგდებოდა მტკვრის წყლით, დამტარებლები კი თულუხჩები იყვნენ. თულუხჩი ან თავად ატარებდა წყლით დატვირთულ თულუხს მხრებზე მოკიდებულს ან ცხენს ვირსა და ჯორს აჰკიდებდნენ. წყლის აღების პროცესი რთული იყო. ამიტომ სამხედრო უწყებამ ჩულურეთში, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გვერდით დადგა წყალსაქაჩი. ეკლესიასა და წყალსაქაჩს შორის მდინარეზე ვიწრო ჩასასვლელი ბილიკი იყო გაკეთებული წყლის მზიდავთათვის. მათ მოსახლეობისათვის ქუჩა-ქუჩა დაჰქონდათ წყალი. უნაგირის კეხზე თულუხს წყვილად გადაბმულს გადაჰკიდებდნენ და ტყავის თასმით ამაგრებდნენ. წონასწორობისათვის თულუხჩი ხან ერთი და ხან მეორე თულუხიდან ასხამდა წყალს. თბილისში წყლის ფასი იცოდნენ, რადგან ქალაქში ჭა იშვიათად იყო. წყლის მოტანაში მომხმარებელი თულუხჩს „შაურს“ უხდიდა, მაგრამ არა ყოველ მოტანაზე: თულუხჩი თავის საანგარიშო ჯოხზე ყოველ მისვლაზე ნაჭდევს აკეთებდა და ყოველ 20 მისვლაზე მიიღებდა ერთ მანეთს. 1887 წელს, თბილისში გაიხსნა ქალაქის წყალსადენი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, XX საუკუნის დასაწყისამდე, მეთულუხჩეობას არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

ე.ნ.

თუმაქი — ცხენის გავაზე გადასაფარებელი ყაჯარი.

ნ. ჯ.

თუნგი — აქ: სპილენძის თუნგი, წყლის საზიდი, მოსაკავებელი და ასადუღებელი ცალყურა ჭურჭელი. თუნგების უმრავლესობა მოუკალავია, უორნამენტო ან შემკულია უმნიშვნელოდ. თუნგი არის ნისკარტიანი, მრგვალტუჩა, ბრტყელძირა, მრგვალძირიანი, თავსახურიანი ან უთავსახურო. თუნგები იკერებოდა სპილენძის ფირფიტებისაგან. საქართველოში თუნგის რამდენიმე სახეობა მოწმდება. მაგ., „გიგიმ“ (ჯავახეთში), „გუგუმი“ (აჭარაში). ჯავახეთში რამდენიმე ზომის გიგიმს ხმარობენ. დიდი ზომის გიგიმში ადუღებენ ჩაის და სუფრაზე მისატანად პატარა გიგიმში გადაასხამენ, „რადგან სუფრაზე სახმარ ჭურჭელს ცეცხლზე არ იხმარდნენ“.

ლიტ.: ე. მახარაძე, აჭარული და აღმოსავლური კერძების სამზარეულო სუფრა, ბათუმი, 1988.

ც. კ.

თუნგულა — პატარა თუნგი. იმერეთში თიხის პატარა დოქსაც თუნგულას უწოდებენ.





კარადა

ყოშიანი კაბა

თუში//თურში — მძიმე ტვირთის საზიდი ტრანსპორტი, ზოგჯერ საგანგებოდ ამზადებენ ქვისა და ხის საწნახლების, ქვევრების ე.წ. საგანძურების (იხ.) საზიდად. თუში შერეული ტიპის საზიდს მიეკუთვნება და ახლოს დგას აჩაჩა ურემთან. თუშს აქვს ძლიერი ზესადგარი ღერძები ტვირთის დაწოლას რომ გაუძლოს, მისი ბორბლები პატარაა და მასიური, ზოგჯერ კი ბორბლების მაგიერ მსხვილი მორები აქვს. თუში დამოწმებულია ზემო იმერეთის სოფლებში (გორისა, მერჯევი). ასეთი ტიპის საზიდავი „თურშის" სახელწოდებით მთიულეთში ქვის საზიდად გამოიყენებოდა.



ლიტ.: გ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, 1956.

ე. ნ.

თუშური სახვნელი//თუშური აჩაჩა — მინის დასამუშავებელი იარაღი, შედგება 4 ნაწილისაგან: ქუსლი, ერქვანი, მხარი, სახნისი. ქუსლი სოლისებური მოყვანილობის ხის ძელია. მასალად შერჩეულია მაგარი ხე (წიფელა, რცხილა, ნეკერჩხალი). მას აქვს ნაჩვრეტი, რომელშიც იდგმება სახვნელი მხარის ბოლო და ერქვანი. მხარი მზადდება ნაძვისაგან. ერქვანი 7სმ-ის სიმაღლის სწორი ჯოხია. სახვნელის მეოთხე ნაწილი რკინის სახნისია, განეკუთვნება უფრთო სახნისთა ჯგუფს. სიგრძე 26-30 სმ., სიგანე 14 სმ. სახნისს ამზადებდნენ ადგილობრივი მჭედლები ან იძენდნენ ბარში. სასახნისე რკინა ძნელი მოსაპოვებელი იყო და ადგილობრივი მეურნენი განსაკუთრებით უფრთხილდებოდნენ, გაცვეთისთანავე მჭედელთან მიჰქონდათ, რომელიც სხვა რკინის ნაჭერს დააკერებდა, ანუ „დარკინავდა". სახვნელის თუშური სახეობა განეკუთვნება სამმხრიან სახვნელი იარაღების ტიპს, რომელიც გავრცელებულია მთელი კავკასიონის ცენტრალურ რაიონებში. ამ ტიპს განეკუთვნება ორი სახეობა — მთლიანი და შედგენილი მხარით. ეს უკანასკნელი ცნობილია მოხეური, აფხაზური, მეგრული, გურული, სვანური, ხევსურული და ოსური სახვნელების სახით.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986.

ა.გ.

თუშფალანგი — სითხის საწურ-საფილტრავი. ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება როგორც ლითონის, ასევე თიხის თუშფალანგები. აგებულების მიხედვით გვხვდება ქუსლიანი, უქუსლო, პირგადაშლილი და თავმომრგვალებული. თუშფალანგი განეკუთვნება სამზარეულო ჭურჭელთა რიგს.



ც.კ.

თხეველი (ძვ.) — სასროლი ბადით თევზის ჭერას ეწოდება, ხოლო მესათხევლე — მებადურია, მეთევზე.

თხიერი – ზოგადი სახელწოდება საქონლის ტყავისგან დამზადებული მოკუპრული და მოუკუპრავი ჭურჭლისა (რუმბი, კოლოტი, ტიკი, ტიკჭორა, გუდა და ა.შ.).

თხილამურები — თოვლზე ან ჭაობიან ადგილზე გადასაადგილებელი მოწყობილობა არის ორი სახისა — სასიარულო (საბიჯებელი) და სასრიალო. სასიარულო თავის მხრივ ორგვარია — თოვლისა და ჭაობისა.

სასრიალო თხილამურებს განეკუთვნება სპორტული (სარბოლო, სასლალომო, სახტომი), ტურისტული, სანადირო და სპეციალური დანიშნულების თხილამურები.

სასიარულო თხილამურები გავრცელებული იყო საქართველოს მთისწინეთსა და მაღალმთიანეთში. ქართული ხალხური თხილამურები სხვადასხვა მოყვანილობისა იყო (გირკალისებრი, მრგვალი, ელიფსური, ოვალურჭვინტიანი) და დამზადების ტექნიკითაც განსხვავდებოდა. გირკალისებრი თხილამურები გავრცელებული იყო ხევსურეთში, მრგვალი — უმთავრესად სვანეთში, სამეგრელოში, ლაზეთში, აფხაზეთსა და მთიულეთში. ელიფსური — ქართლში, აჭარაში, რაჭაში, ნაწილობრივ სვანეთში, სამეგრელოსა და იმერეთში, ხოლო ოვალურჭვინტიანი — აჭარაში, გურიასა და ლაზეთში. საქართველოს მთიანეთში ცნობილია ადგილობრივი წარმოშობის თხილამურები. ამ მარტივ სასრიალო თხილამურებს სვანეთში „ლაჩირხალალი" ჰქვია, თუშეთში — ქოკები, მთიულეთში — კაგდები და სხვ. ქართული ხალხური თხილამურების დიდი კოლექცია დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების ფონდებში. ამ ტიპის თხილამურების გამოყენება საქართველოსა და კავკასიაში ძველი ბერძნული საისტორიო მწერლობაშიცაა დამოწმებული. საქართველოსა და კავკასიის გარდა სასიარულო (საბიჯებელი) თხილამურები ძველთაგანვე ფართოდ იყო გავრცელებული შუა აზიის მთიანეთში, ციმბირში, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკის ცივ ზოლში. რუსეთის ჩრდილოეთისა და სკანდინავიის ქვეყნების მოსახლეობა უხსოვარი დროიდან იყენებდა სასრიალო თხილამურებსაც, როგორც გადაადგილების ერთ-ერთ აუცილებელ საშუალებას.

ლიტ.: ფ. ნავერიანი, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

თხლე//მთხლე — ღვინის დანალექი ჭურში. მარხვის დროს პურის ფქვილში ურევდნენ, წამოადუღებდნენ და ჭამდნენ. აქედანაა „თხლის შეჭამადი".





იაგუნდი — მინერალთა გარკვეული ჯგუფის ზოგადი სახელწოდებაა. ზოგჯერ იაგუნდის ქვეშ საერთოდ, ძვირფასი ქვები იგულისხმებოდა.

ლიტ.: ე. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

იაილა — საგაზაფხულო საძოვრების სახელი მთიან აჭარაში, სადაც მწყემსებს მონყობილი აქვთ გათლილი ფიცრის ერთსართულიანი და ორსართულიანი სახლები. ორსართულიანებში პირველ სართულზე გომურია გამართული, მეორეში კი საცხოვრისი მერძევეობასთან დაკავშირებული სამეურნეო მონყობილობით. ეს სახლები კარგად დაცული და გამართულია როგორც სამეურნეო სისტემით, ასევე ჰიგიენური თვალსაზრისით.

ე.ნ.

იალაგი (მესხ-ჯავახ., აჭარ.) — ქალისა და მამაკაცის ჩასაცმელი. მასალად იყენებდნენ ფარჩას, ხავერდს. თარგით ფუსთანის მსგავსია, მხოლოდ სახელოების გარეშე. იკვრება ფერადი ღილებით, ელეგის საყელოსა და საგულეს ნაწიბურები წელამდე ე.წ. გილაბდონით იკვრება, რაც სილამაზესთან ერთად სიმაგრესაც მატებს. გილაბდონზე სადაფის ან ვერცხლის ღილებსაც აკერებდნენ. ელეგი ზუბუნზე ადრე ჩანს გავრცელებული. შემდგომში მიედგა სახელოები, უკან, წელის არეში, ნაოჭები გაუკეთდა, გულისპირი შემკულია აბრეშუმის საგულეთი.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005, ლ. ბარათაშვილი, მასალები XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან. მსმკ, 1966

ც.ბ

იალმაგი//ალამაგი — ჯაჭვის პერანგის ზემოდან ჩასაცმელი, „სამოსელი არს საომარი, ჯაჭვთა გარეგან საცმელი"(საბა). ვინაიდან ჯაჭვის პერანგი უხეშია და მას აქვს ბევრი ნაწიბური, რომელსაც შესაძლოა ქსოვილი დაეზიანებინა, ამიტომ სავარაუდოა, რომ იალმაგი, ანუ ალმაგი ყოფილიყო ტყავის ჩასაცმელი, ან ბეწვეული, წარჩინებულთათვის ძვირფასბეწვიანი, ტყავკაბა, ხოლო დაბალი ფენებისათვის უბრალო ტყაპუჭი.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I. 1991.

მ. ქ.

იალქანი – იხ. აფრა.

იარაღი — თავდასხმის მოსაგერიებლად და ბრძოლის საწარმოებლად განკუთვნილი საომარი იარაღების ზოგადი სახელწოდება. როგორც ტერმინი იგი უკვე XV-ს-დან ჩნდება და თანაარსებობს აბჯართან ერთად. მომდევნო ხანებში უკვე დამკვიდრებული სიტყვაა. საბას განმარტებით „იარაღი... არს ჭურჭელნი ხელოვანთა სახმარნი რკინათა თუ ძელთაგან, მეომართა აღსაკაზმავი, გინა ცხენთა". საგულისხმოა, რომ თუ აბჯარში იგულისხმებოდა მხოლოდ საბრძოლო იარაღნი, თავად იარაღში — გარდა ამისა, შედიოდა აგრეთვე სახელოსნო ნივთნიც.

ქართველი მთიელები იარაღს, თავის პრაქტიკული საჭიროების გამო, ძალზე აფასებდნენ და ამავე დროს, მრავალ ზებუნებრივ ძალას მიაწერდნენ. ამიტომაც მან აქტიურად შეაღწია ხალხის ყოფიერებაში და სულიერ ცხოვრებაში. ხშირი იყო ტაძრებში იარაღის შეწირვის შემთხვევები. ტაძარში იარაღის შეწირვის ერთ-ერთ მიზანს, მისი საიმედო ადგილზე შენახვა წარმოადგენდა, რათა ხალხს დიდხანს დამახსოვრებოდა — ვის ეკუთვნოდა ეს იარაღი, როდის და რატომ შესწირეს იგი ხატს. საკულტო სალოცავში იარაღის შეწირვა ატარებდა სარწმუნოებრივ შინაარსს. მომავალი დედა, როცა მშობიარობისთვის ემზადებოდა, ბალიშის ქვეშ ხანჯალს იდებდა, რათა არ მიეშვა ავი სულები ახალშობილთან (ყველა მთიელის წესია). ზოგან მშობიარეს

ხანჯალი ხელში ეჭირ (ფშავი), ხოლო მეუღლე, ან რომელიმე ახლო ნათესავი იარაღით ხელში ახლომახლო იმყოფებოდა, რათა სროლით გადაედევნა უწმინდური და შეემსუბუქებინა ქალისათვის მშობიარობის სიმძიმე. მეორე მხრივ, ახალშობილისთვის გაეცნო მამაცობის პირველი გაკვეთილი. ამავე მიზნებით, ბავშვის აკვანს აბამდნენ ხმალს ან დაშნას, ანდა თავქვეშ უდებდნენ დანას. ბავშვის ავადმყოფობის შემთხვევაში წყალში დებდნენ ხმალს, ხოლო შემდეგ ბანდნენ ბავშვს ამ წყლით.

იარაღს არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა „ჯვრისწერის" დროს. ტაძრისა და სასახლისაკენ მიმავალ გზებზე ახალდაქორწინებულებს აუცილებლად შეიარაღებული ახლობლები და ნათესავები, მაყრები აცილებდნენ, რომლებიც განასახიერებდნენ ყოველნაირი უბედურებისაგან დამცველ ძალას, ანუ მაგიური ძალის მფლობელს. მომავალში იგი გადაიქცა ქორწილის ჩვეულებრივ დამატებად. ამასვე განეკუთვნება ფართოდ ცნობილი ტრადიცია—ახალდაქორწინებულთა გავლა გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ. ფშავში ახალდაქორწინებულები სახლში შესვლამდე ცივი იარაღით გარს უვლიდნენ სახლს და ურტყამდნენ კედლებს. თუშეთში პატარძალს კარებთან უნდა გადაებიჯებინა ხანჯალზე ან ქუდზე. მოახლოებული სტუმრები კი თოფის სროლით ამცნობდნენ სოფელს ამის შესახებ. სვანური ქორწილის დროს ხდებოდა ქალიშვილის სახლში მალულად „ტყვიის შეგდება" ანდა თოფის გასროლა მის კარებთან შემდეგი წამოძახილით: „დღეის ამას იქით ეს ქალიშვილი ჩვენია."

საბრძოლო იარაღს დაკრძალვის დროსაც იგივე მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგ., ხევსურეთში გარდაცვლილს მარჯვენა ხელში აჭერინებდნენ ხმალს, მარცხენაში—ანთებულ სანთელს და წარმოთქვამდნენ: „მშვიდობიანად იმგზავრე იმქვეყანაში, გზა შენთვის ხსნილია, შენი სულისთვის გზა ნათელია, ნუ დარჩები სიბნელეში, არ შეშინდა, ხმლით მოიგერიე მტერი, იყავ გულმაგარი," ხოლო დატირების დროს ჭირისუფლები გარდაცვლილის ხანჯალს ან ხმალს დებდნენ და მასზე დაიტირებდნენ. დასაფლავების შემდეგ, რამდენიმე ხნით იკრძალებოდა შრომა და თოფის სროლა. ამ წესის დარღვევა ლაჩრობად ითვლებოდა და ხშირად შუღლში გადადიოდა. ასეთი წესი იყო მთელს ხევსურეთში, არხოტის გარდა, რადგან არხოტი მდებარეობდა სასაზღვრო ზოლში, თოფის სროლის აკრძალვა კი სახიფათო ხდებოდა, სროლა მხოლოდ დაკრძალვის დღეს არ შეიძლებოდა.

საბრძოლო იარაღს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვაუკაცის კაი ყმად გამოცხადების დროსაც. როდესაც ყმაწვილს უსრულდებოდა 15 წელი, ხევსურები მას საზეიმოდ გადასცემდნენ ოჯახის საბრძოლო იარაღს. მას წინ უძღოდა ფეხონზე ყმაწვილის ღირსებებზე საუბარი და საერთო ნება-სურვილი — „დროა, ამ ვაუკაცმა აისხას იარაღი." წლების განმავლობაში საბრძოლო იარაღი, ხანჯალი და ხმალი, წარმოადგენდა ქართული ეროვნული ტანსაცმლის (ჩოხის) აუცილებელ ელემენტს. ხევსურულ ტანსაცმელში კი ყოველთვის გათვალისწინებული იყო ადგილი საბრძოლო სათითენისათვისაც (საცერული), ქართულ ჩოხას ჰქონდა ხმლისა და ხანჯლის ჩამოსაკიდი ადგილები, უფრო გვიან გაჩნდა სავაზნე ჯიბეები.

მთიელებში ის მხარე, რომელსაც საუკეთესო ხარისხის საბრძოლო იარაღი ჰქონდა და გამოჩენილი იყო თავისი გამარჯვებებით, სარგებლობდა შესაბამისი ავტორიტეტით. ის ოჯახი, რომელსაც ასევე გააჩნდა საუკეთესო საბრძოლო იარაღი, დიდი პატივით სარგებლობდა. თანაბარი ფიზიკური და საბრძოლო მომზადების დროს, საუკეთესო იარაღის ქონა ხშირად გადაწყვეტდა ორთაბრძოლის ბედს.

საბრძოლო იარაღის დიდ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს ის გარემოებაც, რომ გაცვლითი ოპერაციების დროს იარაღი ფულის ეკვივალენტურ ფასეულობად ითვლებოდა. მთიელთა წესის მიხედვით, ოჯახის გაყრის დროს გარდაცვლილი მამის ქონება ძმებს შორის თანაბრად იყოფოდა, მაგრამ ეს წესი არ ეხებოდა საბრძოლო იარაღს, „მამის ერთი მთავარი იარაღი" გადაეცემოდა მხოლოდ უფროს ვაჟს.

ლიტ.: ი. ყეინაშვილი, ქართული საბრძოლო სისიტემები ტრადიცია და ისტორია 2002. ს.მაკალათია, ხევსურეთი, 1984.

ე.ნ. მ. ქ.

იატაგანი — ცივი იარაღის ტიპი. ცალლესული. XVI საუკუნიდან ცნობილია, როგორც იანიჩარების იარაღი, მაგრამ გარდა თურქეთისა იატაგანს ახლო აღმოსავლეთის, ბალკანეთის და სამხრეთ ამიერკავკასიის ჯარებშიც ხმარობდნენ. მის ზოგიერთ სახეობას ორმაგათ გაღუნული, ტალღოვანი პირი აქვს. ეს იარაღი უვადაჯვროა. ტარი გაკეთებულია



ძვლისაგან ან ლითონისაგან, რომელიც ბოლოში ფართოვდება და ორკაპა სახეს ღებულობს. პირი ქარქაშში ორკაპა ნაწილამდე ჩადის. იატაგანის ქარქაში ძირითადად ტყავგადაკრული ხისაგან კეთდებოდა.

მ.ქ.

იაფინჯი — (იხ. ნაბადი).

იაღლოჯი (იმერ). — სახლის ბალავრის სისწორის მოსაყვანი გადაჯვარადინებული თოკების კომბინაცია, მისი შესატყვისია დიაგონალი და ხაჩირი.

ე.ნ.

იერიში — უნაგირზე გადასაფარებელი მოქარგული ქსოვილი. ქალი-ოსტატი შეგირდის განვრთნაში არ იღებდა გასამრჯელოს, სამაგიეროდ გათხოვების დროს ნეფე მას გადაუხდიდა 10-20 მან. და მოითხოვდა ცხენის მორთვას პატარძლისაგან. პატარძალი, გარდა იერიშისა, ქარგავდა ყაჯარსაც (იხ.) და სამკერდულს (იხ.). ყველა ამ ნაქარგს—მიართმევდნენ ნეფეს პატარძლის ხელსაქმის ცოდნის დასამტკიცებლად.

იზმირი//იზბირი — რკინის პირთხელი, ხისტარიანი იარაღი, იხმარება სატეხით ამოჭრილის გასასუფთავებლად.

ილარი — ყურის საჩხრეკი ჯოხი, რომელიც მზადდებოდა სხვადასხვა მასალისაგან: ძვალი, რკინა, ხე.

ილახი — ორკაპა ხე (სიგრძე დაახ. 2,50 მ.), რომლის საშუალებითაც დიდი გუთანი მინდორში გაპქონდათ. ილახის ერთ თავს ფამაფალაკზე გამოაბამდნენ, ორკაპით კი იგი მიწაზე მოეთრეოდა. ამ ორკაპზე გუთანს დააკრავდნენ და ასე გაპქონდათ სოფლიდან მინდორში. თუ მინდორი ძალზე შორს იყო, მაშინ გუთნის გატანა ურმით იცოდნენ.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960.

თ. გ.

ილეკრო (ძვ) — ძვირფას ლითონთა ზოგადი სახელი.

ილიკი — ხარაზის ხელსაწყო. ძაფის დასაგრეხი თითისტარი. ატრიალებდნენ თავდაყირა.

ლიტ.: სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

ილიტონი — ოდიკის შესახვევი აბრეშუმის ან სელის ოთხკუთხა ქსოვილი, „შესახვეველი". სიმბოლოა, როგორც ახალშობილ მაცხოვრის სახვევებისა, ასევე გულისხმობს იმ სინდონს, ანუ არმენაკს, რომლითაც შეგრაგნეს ჯვრიდან გარდმოხსნილი და საფლავად დადებული სხეული ქრისტესი. სვიმეონ სოლუნელის თქმით: „ილიტონი წმინდა ტრაპეზზე არის ქრისტეს სიკვდილისა და აღდგომის ნიშნად". მოციქულებმა ქრისტეს აღდგომის შემდეგ მის სამოსთან და სახვევებთან ერთად იხილეს სუდარაც, რომელიც განსაკუთრებულად იყო დახვეული. ზუსტად ასევე, იხვევა ილიტონიც და მასზე მაცხოვრის ნაცვლად დასვენებულია სახარება.

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2005- 2004. Архиепископ Вениамин, Новая Скрижаль, М. 1999.

ხ. ც.

იმერული კავი — იგივე დაბალი კავი, სახვნელი იარაღის სახეობა ქუსლში ჩამჯდარი მხარით. იხმარებოდა ფერდობ ადგილთა სახნავად.

ლიტ: ქელ, 2009.

ინგლისი — ჭურჭლის ერთგვარი შესამკობელი მასალა. ინგლისი მოვარდისფრო ოქროსფერი მიწაა. იგი „თირზე" ღრმად არის მიწაში და „აწკრიალებს". ერთი ფუთი ინგლისი საკმარისია ერთი საპალნე ჭურჭლის „მოსაინგლისებლად". შროშაში ინგლისს საკარმიდამო ნაკვეთებში თხრიან. კარგად აშრობენ, ახმობენ მზეზე, ნაყავენ ხის როდინებში და ცრიან წმინდა საცერში — „სამტკიცეში". შემდეგ ყრიან თიხის ჭურჭელში ალბობენ და ზელენ ხელით

თხლად— „ლაღედ". წყალს უმატებენ მანამ, სანამ თხელი ფაფის სისქეს არ მიიღებენ.

ლიტ.: ც. კაკაბაძე, შროშული კერამიკა, 1982.

ც. კ.

ინდიტია — ნათელი, სადღესასწაულო ფერის ფარჩის, გადასაფარებელი ტრაპეზსა და სამკვეთლოზე. სიმბოლურად საღმრთო მეუფებისა და დიდების ბრწყინვალებას მოასწავებს.

ლიტ.: С.Е. Молотков. Практическая энциклопедия православного христианина. С.ПБ. 2001

ხ. ც.

ინდური (იმერ. რაჭ. ლეჩხ. ქართლ.) — საწნახლის წინ გამოშვერილი ღარიანი პირი, საიდანაც დაწურული ყურძნის ტკბილი (სითხე) გადმოდის.

ინკრუსტაცია — ნაკეთობის დეკორირება სხვადასხვა მასალის ნატეხების ჩასმით. ინკრუსტაცია ფართოდ გამოიყენება ოქრომჭედლობაში. საქართველოში უკვე ადრეანტიკურ ხანაში გვაქვს ინკრუსტირებული ნივთები. ძალიან პოპულარული იყო ტიხრული ინკრუსტაცია ანუ ოქროს ნივთებზე, ოქროსავე ტიხრებით შექმნილ ბუდეებში ფერადი ქვების ნატეხების ან პასტის ნაჭრების ჩასმა.

ლიტ.: ი. გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981.

მ. ბ.

ირანჭკა (ზ.იმერ). — ჩიტის მახე.

ისარი — მშვილდით (იხ.) სასროლი. ისრის შემადგენელი ნაწილებია: ზრო, თბე (ფრთა), კილო და ისრისპირი. სულხან-საბა ასახელებს ცხრა სახის ისარს: საყალნო — ფრთე-დაბალი და პირ-ნვრილი, რომელსა ყიფჩაღნი და თურქნი იქონებენ; სარჩა — ზომიერი ისარი, ფრთე-მობრტყე და პირმობრტყე; ქეიბური — მისგან უგრძესი პირ-დიდი და ფრთე-მაღალი; ქიბორჯი — ისარი სარჩის მსგავსი პირ-განპებული, მომცრო; ბოძალი — ისარი ქეიბურის მსგავსი პირ-დიდი განპებული; ყოდალი — ისარი სარჩის ტოლი სამფრთოსანი, უპირო, ნვერ-მრგვალი; ღრჯა — ყოდალისა უგრძესი, ნვერ-მნვეტი ჯვარედად ჩხირ-დასხმული; სეფქა — ფრთე-მაღალი, გრძელი, გრკალ-შემობმული; გეზი — უფრთო, უპირო ისარი; წინწკიტელა — ყრმათა ისარცუდასა ჰქვია. სამალი — არს ღარი რკინისა სატყორცებელი და ისარი მტკაველზედ მეტი, მის ღარით სასროლი. და ბოლოს აღნიშნავს „სხვანიც რამ ისარნი არიან რომელსამე ბორბალად უწოდებენ და სხვასა სხვასა..." ქართულ ისტრიულ წყაროებში დასახელებულია ისრის სხვა სახეობებიც, მაგალითად — „უტევანი" (სწრაფ და შორს გასატყორცნი ისარი), ასევე „წამლიანი ისარი", „მოწამლული ისარი", „პირ-ალმასი ისარი", „ჩალხისა ისარი" და ა.შ. საქართველოში აღმოჩენილი ყველაზე უძველესი ისრის პირები ზედა პალეოლითის ხანას მიეკუთვნება და ძვლისგანაა დამზადებული, ნეოლით-ენეოლითში ჩნდება კაჟისა და ობსიდიანის, ხოლო მოგვიანებით სპილენძის, ბრინჯაოსა და რკინის ისრისპირები. ამ პერიოდის ისრის ზროები არ არსებობს მათი ორგანული წარმოშობის გამო.

ისრის ზროს სიგრძე დამოკიდებული იყო მშვილდის ზომაზე, საშუალოდ იგი 50-75 სმ-მდე მერყეობდა. ისრის პირებს მრავალნაირი ფორმა ჰქონდა — პირგანპებული, რომბისებური, პირმობრტყო, ფოთლისებური და სხვ. ასეთი მრავალსახეობა მიუთითებს, რომ ისინი სხვადასხვა დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა, ზოგი — ძვირფასბეწვიან ცხოველზე სანადიროდ (რომ ტყავი არ დაზიანებულიყო), ზოგი სათევზაოდ, ზოგი აბჯრის გასახვრეტად, ზოგიც სასწავლოდ და ა.შ. მაგ. ბრტყელპირიანი ისარი რომელსაც სულხან-საბა სარჩას უწოდებს, გამოიყენებოდა თევზაობის დროს, გასროლისას ისრის ბოლო (კილო) მშვილდზე ან საბამზე თოკით იყო გამობმული. ისარი ქეიბური კი იხმარებოდა დიდ ცხოველზე სანადიროდ, რათა მსხვერპლი სისხლისაგან უცებ დაცლილიყო და ა.შ. მრავალფეროვანია ასევე ისრის ზროზე ფრთების განლაგებაც. არსებობდა ორ, სამ და ოთხფრთიანი ისრები მაგ., ყოდალი — სამფრთიანია. განასხვავებდნენ აგრეთვე დაბალ და მაღალფრთიან ისრებსაც მაგ. სეფქა — ფრთა-მაღალია, საყალნო — ფრთა-დაბალი და ა.შ.

ისრის დამზადება ცალკე ტექნოლოგიურ პროცესებს მოითხოვდა, რის გამოც „მეისრეობა" ცალკე ხელობად ჩამოყალიბდა და მას ჯოლბორდი ერქვა

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული,1991; ალ. გვახარია, „კვლავ უტევანის შესახებ", ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, 1991. ელაშვილი ე. მშვილდოსნობა, 1959

მ. ქ.



ქართული კაბა

ქართული კაბა



სვანური კაბა

ყურთმაჯიანი კაბა



ისარნა//სატკბილე — ყურძნის დაწურვისას ტკბილის მოსაკავებელი ჭურჭელი, საიდანაც შემდეგ ტკბილი გადააქვთ ქვევრებში. თიხის ისარნა არის უყუროცა და ყურიანიც. საკმაოდ სქელკედლიანი ჭურჭელია ხამი კერამიკისგან გაკეთებული. გვხვდება როგორც ბრტყელძირა ასევე კონუსურიც,აქვს ოდნავ დაქანებული კედლები (თუ ისარნა უყუროა), ან ოდნავ გამობერილი მუცელი „გვამი" (თუ ისარნა ორყურაა). ისარნას პირი ფართო, გადმოკეცილი ფარფლით მთავრდება.ისარნა//თაღარი ჩვეულებრივ საწნახელის წინ დგას, საიდანაც ტკბილი ჩამოედინება, იქედან კი ანაწილებენ ჭურებსა და ქვევრებში. აღსანიშნავია, რომ ისარნა სხვა დანიშნულებითაც იხმარება: მაგ., ვენახის შესაწამლი შაბიამნის ხსნარის მოსაკავებლად და დასამზადებლად. ზოგი მეჭურჭლე დიდი ზომის ისარნას მიწის დასალბობადაც იყენებენ. მოჭიქული ჭურჭლის ხელოსნები კი ისარნებში სხვდასხვა ფერის ჭიქურს ამზადებენ. კახეთში იგი გამოყენებული ყოფილა სხვადასხვა საღებავის ჩასაყენებლად, ხოლო დაბაღები ტყავს ანყობენ დასამუშავებლად, იყენებდნენ აგრეთვე საწყაოდაც. ზემო იმერეთში სოფ. თავასაში დამოწმებულია შუა საუკუნეების ქვის დიდი საწნახელი და ქვისავე ისარნა.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, I კახური, 1949.

მ.ზ.

ისრიმი — აქ. მკვახე ყურძნისაგან დამზადებული საწებელი, საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ისრიმის სინონიმებია: „ბუოქი", „მკვახე", „ულოქა", „შემოუსვლელი" და სხვა. დასავლეთ საქართველოში მიღებული იყო ისრიმის წვენში ჩაწყობილი შემწვარი წიწილის კერძი. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ისრიმის გამოყენებას საკვებად გამონვეული იყო ზედმეტად მსხმოიარე ვენახის განტვირთვით.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. 2007.

ე. ნ.

იჩლული (აჭარ.) — ქალის გარეთა სამოსელი. მასალად გამოიყენებოდა ზოლიანი ან სადა ფარჩა. მისი მოხმარება სეზონური იყო. იგი მოკლე და წელს მწვდომი სამოსელია, წინ ჩახსნილი, მთლიანი ზურგით. აქვს საყელო და მხრებთან მიდგმული სახელოები, რომელთა ბოლოები შეხსნილია და ყოშით (იხ.) დასრულებული. ზედატანის ჩახსნილი ნაპირების შესაკერელად გამოყენებულია ლითონის ღილები. დასარჩულებულია ბამბის უბრალო ქსოვილით. შემკულია სირმის გრეხილებით. მასალის ხარისხი და გაფორმების მაღალი დონეც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი შეძლებული ფენის ჩასაცმელი იყო. იჩლულს სამცხის ზოგიერთი კუთხის გარდა ანალოგი საქართველოში არ ეძებნება. მსგავსებას ავლენს ანატოლიურ „იჩლიკთან", მაგრამ განსხვავებაც ამკარაა. ეს, პირველ რიგში, სახელოთა ფორმას შეეხება აჭარული იჩლულის სახელო სამაჯეთი კი არ ბოლოვდება, არამედ „ელორით" (ყოშით) და შესაბნეეებიც გააჩნია.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005

ც.ბ.

იჯაგაი (თუშ.) — ლუდის ხარშვის დროს სისწვენის მოსაკავებელი მაღალი, ცილინდრისებური ჭურჭელი. როცა სისწვენი მოიხარშება და გაიწურება, ლუდის ქვაბი უნდა გასფუთავდეს ლუდის ხელახალი დუღებისათვის, ამიტომ პირველანადუღარი მასა იჯაგაიში დადგება, ქვაბი გაირეცხება და შემდეგ მთელი სისწვენი იჯაგაიდან გადაისხმება ქვაბში.

ე. ნ.



კაბა — (აქ) მამაკაცისა და ქალის ტანსაცმლის სახეობა ძველად. არის სხვადასხვა სახისა: მკერდდახშული, ღილებიანი, გულზე საყელოგადაფენილი, ვიწრო და გრძელსახელოებიანი, ენიანი და ყურთმაჯებიანი, ყოშებიანი, მკერდღია, გულისპირიანი. ფეოდალური ხანის ქართულ მხატვრობაში კაბების უამრავი ტიპია დადასტურებული. კაბა ამჟამად ქალისა და სასულიერო პირის სამოსს ეწოდება.

ლიტ: ქელ. 2009.

კაბა-კარდი – კაცის სამგლოვიარო ტანსაცმელი. გლოვის დროს საქართველოში კაცთათვის მიღებული იყო ქამარ-ხანჯლის გარეშე შავი ჩოხების ტარება. სპეციალურ ტანსაცმელს, რომელსაც ამ დანიშნულებით იყენებდნენ, ზ. იმერეთში „კაბა-კარდი" ერქვა, აღ. საქართველოში კი „კაბა", რომელიც იყო ახალუხის ტიპისა ყოველგვარი გაწყობის გარეშე.

ც. ბ.

კაბა ყოშებიანი — მამაკაცისა და ქალის ჩასაცმელი, ნაოჭასხმული კაბა ღია სახელოებით, რომლებიც ფარავენ ხელის მტევნებს.

ლიტ.: ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, 1997.

კაბდო — 1. მინის საზომი ერთეული, მინის საზომი საშუალებებიდან კაბდო ყველაზე ძველ და ამავე დროს, მერყეე ერთეულად არის მიჩნეული. კახეთის სხვადასხვა კუთხეში კაბდოს ქვეშ სხვადასხვა ზომის ერთეული იეარაუდებოდა. XIX ს-ის მონაცემებით სიღნაღის მაზრაში ეს საზომი 12 მტკაველს, მტკაველი კი 24,86 სმ-ს შეადგენდა. აქედან კაბდოს ზომა საშუალოდ 3 მეტრს აღწევდა. ქიზიყში საფარცხი კაბდოს საშუალო ზომა 3 მ იყო, თუმცა აქვე დასტურდება მცირე ზომის 1,5 მ-ის კაბდო, რომელიც სახედარით ფარცხვისათვის იყო განკუთვნილი. 2. ბზის სახვეტი იარაღი. 3. ფიცარი, რომელსაც ფარცხი აქვს გამობმული ბელტების საფშვნელად და ხნულის გასასწორებლად.

ლიტ.: ალ. ღლონტი. ქკთსკ, 1974. გ. ჯაფარიძე, ნარკვევები... 1973.

მ.ხ.

კაბიჩა — ხის ერთგვარი საწოლი.



კაბინი//კაბინეული — მარცვლეულის საწყაო ხის ჭურჭელი. ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, კაბინი ერთ კოდს უთანაბრდებოდა. ქართულ მეტროლოგიაში კაბინი შეცვალა კოდმა. საწყაოს ეს ერთეული საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული. აჭარაში ძირითადად რძის პროდუქტების შესანახად გამოიყენებოდა. კაბინეული ჭურჭლისთვის საუკეთესო იყო ცაცხვისა და ნაძვის ხის ყავარი. საკაბინე ყავარს ადუღებულ წყალში ხარშავდნენ, რის შედეგადაც მასალა „დამყოლი" ხდებოდა, რაც ფორმის მიცემისთვის აუცილებელი იყო და ამავე დროს, კარგავდა სიმწარეს და აცლიდა ფისს. ოსტატი ცხელ მასალას თავის ნებაზე მოღუნავდა და ყავრის თავებს მაშებით შეკრავდა. ჭურჭლის თავებს სადგისით დახვრეტდა და ნაძვის ფესვისგან დამზადებული თასმით გაკერავდა, ჩაუდგამდა ძირს და ნაძვისავე ფისით გამოგლესავდა. კარგი ნახელავი ჭურჭელი სითხეს არ გაატარებდა და გამზადებული იყო სახმარად. ასეთი წესით მზადდებოდა კაბინეული ჭურჭლის ტიპები, როგორიცაა: საწველელა, გვარდა, კოთხო, სანაღბე, სამატყლე, საწვრიმალო და სხვა. ემპირიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ასეთი ტიპის ხის ჭურჭელი საუკეთესოდ ინახავს პროდუქტს,





კარდალა ქვაბის ტიპები









ᲙᲝᲠᲘ

არა მარტო ადგილზე, არამედ ტრანსპორტირების დროსაც. აჭარლები იმდენად დახელოვნებული იყვნენ კაბინეული ჭურჭლის კეთებაში, რომ მათ შეკვეთები მოსდიოდათ მეგრელი მეჯოგეებისგან. მათი ნახელავი საკმაოდ წარმატებულად იყიდებოდა არა მარტო აჭარასა და გურიაში, არამედ ახალქალაქისა და ახალციხის ბაზრობებზე.

ლიტ.: ალ. დავითაძე, კაბიწეული, „ძეგლის მეგობარი", №59, 1982.

ე. ნ

კაბურა — კაბის ზემოდან ჩასაცმელი ქალის სამოსი ხევსურეთში. წინ გახსნილია, ბეჭებსა და წელში გამოყვანილი.

ლიტ: ქელ, 2009.

კავი – პრიმიტიული სახვნელი იარაღი, ძირითადად გავრცელებული იყო მთიან რეგიონებში. შედგება მხარის, კბილას, ერქვნისა და სახნისისაგან. კავის ვარიანტებია ჩუთკავი და კავწერა, რომელიც გამოიყენებოდა ნიადაგის გასაწერად, რათა შემდგომ გუთანს უფრო გაიოლებოდა ხვნა.

კავი იმერული – მარტივი სახვნელი იარაღი. შედგება: მხრის, ერქვანის, ქუსლ-კბილასა და სახნისისაგან. ბარში გავრცელებული კავი ზომით ბევრად ჩამოუვარდებოდა იმერეთის მთის სოფლებში გამოყენებულ კავს. ამის მიზეზი ის იყო, რომ იმერეთის მთისა და ზეგანის მშრალი ნიადაგები შედარებით მძიმე დასამუშავებელი იყო, ვიდრე ბარის ნესტიანი მიწები. ამდენად, იმერეთის მთისა და ზეგანის სოფლებში უფრო მძიმე სახვნელებს იყენებდნენ, ვიდრე ბარში. კავით მუშაობას ორი კაცი სჭირდებოდა: „მეხრე", რომელიც „კავს ეკიდა" და „წინძღოლი", რომელიც ხარებს უძღვებოდა.

იმერული კავის სახესხვაობას წარმოადგენს გურიასა და ლეჩხუმში გავრცელებული, ასევე „კავის" სახელწოდებით ცნობილი, სახვნელი იარაღი. ეს იარაღები ერთიანდება სახვნელის კოლხურ ტიპში. იგი ხასიათდება 90°—ით მოხრილი მხრით, რომელიც ჩადგმულია ქუსლში და არ გააჩნია საკვეთელი. კოლხური სახვნელების ერთ-ერთ ფორმად მიჩნეულია მოხეური სახვნელის ტიპი, რომელსაც, თავის მხრივ, ანალოგები მოეძებნება შუმერისა და ბაბილონის ძვ. წ. აღ. IV ათასწლეულის სამიწათმოქმედო კულტურაში.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1990.
თ. გელაძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები საქართველოში, კრ. მასალები იმერეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1978.

თ. გ.

კავშირი — აქ: ოქრომჭედლობაში მისარჩილავი საშუალება. შედგება: 2 წილი მისხალი ვერცხლი, ერთი წილი თითბერი. მოადულებდნენ ერთად, შემდეგ ვალცში გაატარებდნენ და გააკეთებდნენ მავთულად. ვერცხლის ნაკეთობათა ფუცლების დასაკავშირებლად გადაბმის ადგილებში, მის პატარა ნაჭერს დაადებდნენ, დააყრიდნენ ბორას, გაატარებდნენ ცეცხლში და ფურცლები ერთმანეთზე მიდუღდება.

ე. ნ.

კავწერა//სანერა (ხევს.) — მარტივი სახვნელი (მინის გასაწერი იარაღი). ამ იარაღის საშუალებით ხდებოდა ყამირებისა და ბორტვების (დიდი ხნის დაუმუშავებელი მინა) განერა. კავწერით მინის დანერა-დაკვალვის შემდეგ იმავე კვალზე მეორე სახვნელ იარაღს — ხევსურულ „სახვნიელს" გადაატარებდნენ. „დანერილი" ბორტვი ადვილი სახნავი იყო. როგორც კავწერას, ისე სახვნიელის მოძრაობა დაბლობიდან მაღლა გარდიგარდმო სვლით წარიმართებოდა. ორი სხვადასხვა სახვნელით მუშაობა ხვნის ეფექტურობას განაპირობებდა.

კავწერის გამოყენება მისადაგებული იყო მთის ზოლის მეურნეობასთან და მის ბუნებრივ პირობებთან (ხრიოკი ნიადაგი, მთაგორიანი რელიეფი). როგორც ვარაუდობენ, ეს დამხმარე ფუნქცია შედარებით გვიან უნდა შემუშავებულიყო, მისი თავდაპირველი დანიშნულება კი ხვნა უნდა ყოფილიყო.

ხევსურული კავწერას ტიპის მარტივი სახვნელი საქართველოს სხვა კუთხეშიც ყოფილა გავრცელებული, კერძოდ, თუშეთში (იხ. საკვეთელი), სვანეთში (იხ. ლაღრავ), სამეგრელოში (იხ. ჯაში ოხონალი, ოღარაი). ანალოგიური სახვნელების არსებობა დასტურდება ევროპის ქვეყნებშიც — ვლახეთში, დასავლეთ გერმანიაში და შვედეთში. იქაც ამ იარაღის ფუნქცია მინის განერა იყო. ხევსურული კავწერა სხვა მისი ანალოგიური

სახვნელებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი აგებულებით ყველაზე მარტივი იყო და დიდი ზომის წერაქეს წააგავდა. იგი ხელით სამუშაო იარაღიდან სახვნელისაკენ გარდამავალი იარაღის ერთ-ერთ ფორმად არის მიჩნეული.

ლიტ.: Г. С. Читаия, Земледельческие системы и пахотные орудия Грузий. Вопросы этнографии Кавказа, *1954. გ. ჯალაბაძე, მამინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986.*

თ. ბ.

კათხა — 1. თუშეთში არყის ხის ქერქისგან დამზადებული ჭურჭლის სახელია, რომელშიც მეცხვარეები ხაჭოსა და მარილს ინახავდნენ. 2. ქალის თავსაბურავის ნაწილი, ჩიხტის სახესხვაობა. მასალად გამოიყენება მუყაო და ქსოვილი როგორც უბრალო, ისე კარგი ხარისხისა. მას ატარებდნენ მხოლოდ გათხოვილი ქალები. 3. ფეხიან ხის სასმისი. ცნობილია, რომ ქართველ ტომებში დიდი ყურადღება ექცეოდა რიტუალურ სმასა და სარიტუალო სასმისებს, რის გარეშეც არც ერთი საზოგადოებრივი ნადიმი თუ სარიტუალო ქმედება არ სრულდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში რომლის ყოფის ორგანული ნაწილია ლუდის კულტურა, სასმისთა ისეთი ნაირგვარი ტიპები წარმოიშვა როგორიცაა: კათხა, კოში, ტარკოშა, კონჩხა, თასი, მოდიმოღმართა, სამთვალა, ბარძიმი, სირჩა და სხვა. კათხა ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში. ეთნოგრაფიულ ყოფაში მისი ნაირგვარი ვარიაციები დასტურდება. ზოგ კათხაში 5-6 ლიტრი სასმელი ჩადიოდა, ზოგი კი მხოლოდ ერთ ღვინის ჭიქას ეტეოდა.

ე. ნ.

კაკაბი — აქ: გუთნის ნაწილი, რომელიც მანჭუას ქუსლში ამაგრებს.

კაკანათი — ჩიტების დასაჭერი ხაფანგი.

კაკვი — (აქ.) ვაზის გადაწვენის დროს მიწაში გადაწვენილ ლერწს ჯერ ასეთი პატარა ჯოხით ამაგრებენ და მერე მიწას მიაყრიან.



კალათი – სამეურნეო საქმიანობაში სანიადაგო, მოწნული ჭურჭელი. პირგაშლილი, ყურიანი, სხვადასხვა ფორმის, ძირითადად ოთხკუთხა ძირით. გამოიყენებდნენ აგრეთვე ზურგის კალათასაც რომელსაც სამხრეები ჰქონდა მობმული. გავრცელებული იყო მთელ საქართველოში. კალათი გამოიყენებოდა სხვადასხვა სანოვაგისა და წერილმანი ნივთების ცასალაგებლად.

ე. ნ.

კალანჩხა (ქართლ-კახ. იმერ. ლეჩხ.) — პატარა კალათა, ყანაში საჭმლის ან ხილის წასაღებად.



კალაპოტი — იგივე ყალიბი, რის საშუალებითაც სხვადასხვა ფეხის ზომა განისაზღვრებოდა. ძველად კალაპოტის მაგივრობას ასრულებდა დაფხვნილი მიწა, გაცრილი ნაცარი. ხარაზი ნაცარზე მუშტარს ფეხს ადგმევინებდა, ნაცარზე აღბეჭდილი ფეხის ანაბეჭდს თოკით ზომავდნენ. ამ წესის შემდეგ ქაღალდის თარგები შემოულიათ, ბოლოს კი ხის კალაპოტები. სახარაზო სახელოსნოში ბევრი კალაპოტი იყო სხვადასხვა ზომის ფეხის სიდიდის გამოსახატავად, ფეხის

ზომისთვის ზოგან გეომეტრიული ნიშნები იყო გამოყენებული, ზოგან კი ტერმინები.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

კალატოზი — ქვიტკირის მაშენებელი. ქვითხუროს იდენტური პროფესიაა. უძველეს ქართულ წერილობით ძეგლებში კალატოზების და კალატოზთუხუცესების დეფინიციით გამორკვეულია ამ დარგის შინაგანი სტრუქტურა და ხელობის აქტიური ხასიათი — (იხ. ქვითხუროობა). გვიან პერიოდში კალატოზმა მიიღო სახლის მაშენებლის მნიშვნელობა, რომლის მოვალეობაში შედიოდა კირის, მინის ან ცემენტის ხსნარით ქვის სახლის აშენება.

ე. ნ.

კალაფატნი (ძვ.) – ნავის მოქმედნი, ნავის მკეთებელნი (საბა).

კალდიმი – ხმლის ერთ-ერთი სახეობა. ხმალი კალდიმი დიდი პოპულარობით სარგებლობდა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოსა და ჩეჩნეთში. საბას განმარტებით „ესე ხრმალნიცა მრავალგვარნი არიან სხვადასხვა თემთა ქმნილთაებრ და რომელიცა ხრმალი ძველი, გრძელი, განხრილი, მზეველი და სრულია, გლუვი იყოს თუ გამოფერდილი, ანუ ღაროსანი, გორდა თუ კალდიმი, — ამას ქართველი ყვარობენ." ქართველების საყვარელი ხმლის „კალდიმის" დამღას წარმოადგენს ჯვარის ფორმა, რომელიც სფეროზეა გამოსახული, ხმლის მეორე მხარეს უმეტეს შემთხვევაში მგელის დამღაც გვხვდება. კალდიმი სწორი, ან ოდნავ გახრილი, ცალლესული და ცალღარიანი ხმალია, ღარი პირს ვადადან 20-30 სმ სიგრძემდე დაუყვება, პირის სიგრძე 80-83 სმ.-ია. კალდიმის პირებზე დაგებულია როგორც ვადაჯვრიანი, ასევე ე.ნ. „შაშკას" (იხ.) უვადაჯვრო ტარები.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II, 1993. Аствацатурян , оружие народов кавказа, санкт-петербург. 2004.

მ. ქაფიანიძე, ქართული ხმლების ტიპოლოგიისათვის. სემმ ტ. I, 46ბ, 2010. მ. ქ.



კალო – პურეულის სალეწი ადგილი, რომელიც გამართული იყო სწორ ადგილას, წრიული ფორმით, იყო როგორც ღია, ასევე დახურული კალოები. (საქ. მთა, ხევს.), კალოსათვის იყენებდნენ მიწური სახლის ბანსაც. ხორბლეულს ლეწავდნენ კევრით (იხ.), ქვის დაკბილული მორგვებით (ჭარჭარა) ან შინაური საქონლის გადატარებით. კევრში აბამდნენ ხარებს, კამეჩებს, ცხენს. კალოს ზედაპირი იფარებოდა პურეულით, რომელზედაც წრიულად დაჰყავდათ კევრი. ლეწვის დროს ძნებს (იხ.) ხშირად აბრუნებდნენ ნიჩბით, რათა მარცვალი გაყროდა გალეწილ მასას. დაგროვილ ხვავს ანიავებდნენ არნადით (იხ.), გალეწილ ხორბალს ჯერ ცხავში ატარებდნენ და მერე ცხრილში, სარეველებისაგან რომ გაეთავისუფლებინათ. მარცვალი გადაჰქონდათ შესანახად სახლში და აბინავებდნენ ბეღლებსა და ხაროებში (იხ). ხევსურები დახურულ კალოში ზამთარშიაც ეწეოდნენ პურეულის გალეწვას.

კალო მიჩნეული იყო წმინდა ადგილად და გარკვეული ადგილი ეჭირა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებში.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, აღმ. საქართველოს სამინათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960.

ე. ნ.

კალო ხატისა (ხევს.) — კალო, სადაც სახატე მამულებში მონეული მოსავალი გაილეწებოდა. ეს იყო კარგად მოსწორებული და დატკეპნილი ადგილი, თუ საჭიროება მოითხოვდა, გვერდები ქვებით პქონდა გამაგრებული, კალოსთაეზე ძნები ეწყობოდა და მას საძნოვარი ეწოდებოდა. 20-25 ძნიდან ერთი კალო გაილეწებოდა, ხოლო დღეში 3 კალო. საკულტოდ გალეწილ ქერს ხევსურეთში „ქერ-ოქროს" უწოდებდნენ. კალოს ძირითადად დასტურები ლეწავდნენ და კალოობის დამთავრების შემდეგ ლუდით კალოზევე ხატიონისა და ხატის სადიდებლებს წარმოსთქვამდნენ.

ე. ნ.

კალპი – წნული რგოლი, რომელიც მაგრდება ჩიჩილაკის წვერზე (იხ. ჩიჩილაკი).

კალტი — შრატის წამოდუღებით მიღებული ხაჭო, რომელსაც ამარილებდნენ და ინახავდნენ კოდში ან ქილაში. გავრცელებული იყო ფშავში.

ლიტ.: ქელ, 2009.

კამარა – აქ: სამხედრო დანიშნულების კოლხური ნავი დაახლ. 15 მეტრის სიგრძისა, სადაც ეტეოდა ოცდაათამდე ადამიანი და სამეკობრეოდ მოხერხებული იყო. რომაელმა ისტორიკოსმა ტაციტუსმა ეს ნავები აღნერა კოლხეთში ანიკეტის აჯანყებასთან დაკავშირებით. კამარას საჭიროების შემთხვევაში ფიცრების შემოკვრით თაღისებური ფორმა ეძლეოდა, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს მის სახელი (კამარა//თაღი), კამარა საუკეთესი სამანევრო თვისებებით გამოირჩეოდა.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ზღვაოსნობა საქართველოში, 1987.

ე. ნ.

კანაფი — მცენარე, რომლისგანაც ამზადებენ საკვებ ზეთს და ასევე გამოიყენებდნენ როგორც საბოჭკოე კულტურას. (წნავდნენ თოკებს, ქსოვდნენ ტილოს და ა.შ.), საქართველოში ბევრგან იყო გავრცელებული, განსაკუთრებით სვანეთში. ქართველები მოხალული კანაფის მარცვალს როდინებში// ქვიჯაში ნაყავდნენ, საცერში ატარებდნენ და მიღებულ მასას ხელით ზელდნენ ან ტომარაში ჭყლეტდნენ. საგულისხმოა, რომ კანაფის თესლს საკულტო მნიშვნელობაც ჰქონდა. კანაფისგულიანი ქადები სარიტუალო დღეებში ტრადიციულ საკვებად ითვლებოდა, ასეთ პურებს განეკუთვნებოდა სვანეთში „გიმბშარ ლუკენე" და „ღიმიმბაშ ქუთ". კანაფი ფართოდ მოიხმარებოდა ხალხურ მედიცინაშიც.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. 2007. ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, 1976.

ე. ნ..



კანდელი — სანათი, ლამპარი, საკიდარი ბაზმა (საბა). ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში მსახურების ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი. ეკლესიაში კედელზე, ხატთან ჩამოკიდებული სანათი, ლამპარი, ჩვეულებრივ მინისა. ჩასმული ლითონის ბუდეში, რომელიც დაფანჯრულია და ჯვრით ბოლოვდება. კანდელში ასხია ზეთი და ლითონის უღელში ჩამაგრებული ბამბის ძაფის პატრუქი ანთია. ღმრთის მსახურებისას ანთებენ ტაძრის ყველა კანდელს, კანკელის ხატებთან აუცილებელია თითო კანდელი. ტრაპეზის უკან დგას შვიდსანთელა, ანუ შვიდტოტა (იხ. შვიდსანთელა), რომელიც შვიდი კანდელის ერთობლიობას წარმოადგენს.

ძველ აღაპებში მიუთითებდნენ, თუ რომელი ხატის წინ უნდა დანთებულიყო კანდელი სააღაპე პირისთვის და რამდენი ზეთი უნდა დახარჯულიყო საამისოდ. არსებობს დაუშრეტელი კანდელიც, რომელიც განსაკუთრებით დიდი სიწმინდეების წინაშე მუდმივად ანთია. კანდელი სიმბოლოა თვალშეუდგამი საღმრთო ნათელისა, ამიტომ ის კრძალვითა და ლოცვით უნდა აინთოს სანთლიდან. ცნობილია ათონის ივერთა მონასტრის ივერიის ღვთისმშობლის ხატის წინ მდებარე სასწაულთმოქმედი კანდელის შესახებ, რომელიც მონასტრის საძმოს მოახლოებული უბედურების შესახებ აუწყებდა ხოლმე — რაიმე ხილული ზემოქმედების გარეშე თვითონ იწყებდა მოძრაობას ან ტრიალს.

ლიტ.: მართლმადიდებლის მცირე ლექსიკონი, 2002; საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2005.

ხ. ც.

კანჯრ — 1. კაუჭი, ზოგჯერ ჯოხზე წამოცმული, რისი მეშვეობითაც ითრევენ სხვადასხვა ნივთს (მაგ., ზღვაში) ან ზედსამაგრად ხმარობენ. 2. საზღვაო ტიპის ნავი.

კაპარი — ხორბლისაგან გამოხდილი მჟავე სასმელი. ხევში მას ქალების სასმელად თვლიდნენ. ქალის ოჯახში, ნიშნობის დამთავრებისა და მძახალთა წასვლის შემდეგ, ნათესავებსა და მეზობელ ქალებს იწვევდნენ. ამ პურობაში მამაკაცები არ მონაწილეობდნენ. კაცები სადედამთილოს მიერ მოტანილ არაყს

შეექცეოდნენ. ქალები კი მასპინძლების მიერ დაყენებულ კაპარს სვამდნენ.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, 1978.

გ. ა.

კაპარჭი — „ისართ ქარქაში“ (საბა), ისრების ჩასანყობი ბუდე, რომელიც მშვილდ-ისრის პატრონს მხარიღლივ ჰქონდა თასმით გადაკიდებული.

კაპური (ქვ. რაჭ.) — ქალამნის ტიპი. კაპური ქალამნის საქალამნე ტყავს ორად გაკეცავდნენ და თავბოლოს წვრილი თასმით ამოუკერავდნენ. გარშემო თვლებს გაუკეთებდნენ, შიგ საბამს უყრიდნენ და ჭიმავდნენ.

ნ. ჯ.

კარადა-ვარცლი (მთ.-გუდამაყ.)//**ლაშად** (ზ. სვ.)//**კორთა** (ქვ. სვ.) — კომბინირებული სათავსი, იდგა საცხოვრებელში — „შინაში“, კეთების პროცესი იწყებოდა დირეების გამოთლით. ჩარჩო იკვრებოდა შვერილის ბუდეში ჩასმის წესით. მაგრდებოდა ხის სამსჭვალებით („ფარეში“, „ნკირი“). კარადა — ორი ნაწილისაგან შედგებოდა: ზედა —კარიანი გამოიყენებოდა ჭურჭლისა და საჭმლის შესანახად, ქვედა— ვარცლის დასადებად.

ლ. ბ.



კარადა//კართანულა (თუშ.) — ავეჯის სახეობა. თავდაპირველად კარადა კიდობნის ნაწილს შეადგენდა და მასთან შეთავსებით იყო. კიდობანთან გაერთიანებულ კარადას ორი კარი ჰქონდა, ორივე ერთ ვერტიკალზე იყო აბმული. კიდობანთან შეთავსებული კარადა, რომელიც ჯამ-ჭურჭლის შესანახს წარმოადგენდა, დროთა ვითარებაში გამოეყო მას და ყოფაში დამკვიდრდა კართანულას სახელწოდებით.

ლ. ბ.

კარადა კედლისა//ნალო (ზ. იმერ. ქართლ. შიდ.კახ.) — კედელში ჩამაგრებული ხის დიდი კარადა. ინახავდნენ ლოგინებს. იხმარებოდა სხვა დანიშნულებითაც, ზოგჯერ ჭურჭლის კარადასაც ენაცვლებოდა.

ლ. ბ.

კარავი — უძველესი საცხოვრისი, რომელიც გავრცელებული იყო და ბოლო დრომდე შემორჩა მეჯოგე-მომთაბარე ხალხებში. კარვის ტიპი, მაღალი ხარისხი და ესთეტიკური სახე განპირობებული იყო მისი მომხმარებლის სოციალური სტატუსით. კარვის მშენებლობაში გამოყენებული იყო ხის მასალა (ჯოხი, ძელი, ლატანი), ლერნამი, თოკი, ტყავი, ქეჩა, შინნაქსოვი შალი, აბრეშუმი, მაუდი, ტილო და სხვ. შუა აზიის მომთაბარე ხალხებმა შექმნეს არა მხოლოდ საცხოვრებელი, არამედ ადმინისტრაციული ინსტიტუტების შესაფერისი კარვები. კარავი წარმოადგენს უაღრესად მობილურ ნაგებობას, რომლის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე დაუბრკოლებლად ხორციელდება. კარავი კარგად შეესაბამებოდა მომთაბარული ცხოვრების სოციალურ სტრუქტურას.



ე.ნ

კარაკული — იგივეა რაც კრაველი

კარანიჩი//კარანჩი — ხარაზის იარაღი. უტარო დანა საძირის ნაპირების შემოსაჭრელი. ტარის ნაცვლად ხელმოსაკიდზე ტყავი ან გაცვილული ძაფი იყო შემოხვეული. ცალი მხარე განიერი ჰქონია, ცალი — ვიწრო.

ნ. ჯ.

კარანჩხა (გურ). — ორკაპიანი, გრძელი ჯოხი, რომელსაც კაპებს შუა მოთავსებული აქვს კალათი, იხმარება ხილის მოსაკრეფად.

მ. ბ.

კარაპა — ნავის ტიპი ძველ საქართველოში, რომელიც გარეგნულად კატარღის მსგავსია, მაგრამ მასზე მცირე ზომისაა.

კარაპეტი//კარპეტი — ხარაზის ხის სამკუთხა იარაღი. მასზე ფეხსაცმლის საპირეს დადებდნენ, ფარძვალით დაიჭერდნენ და გაკერავდნენ.

ლიტ.: სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

კარასეული — მასისი საზომი ერთეული. ხის სასმისად ჩანს ჰაგიოგრფიული ლიტერატურის ძეგლებში. ბერებს ღვინო ტრაპეზობის დროს კარასეულით განესაზღვრებოდათ, დადგენილი არაა თუ რამდენს იტევდა ერთი კარასეული. მისი სინონიმებია: „კარასოვული" და „კარასოული".

ე. ნ.

კარაქი — ცხიმი, რომელიც მიიღება რძის ან მაწვნის შედღვებით. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი ცნობილია სარძევე მეურნეობისათვის საჭირო კარგი პირობებით. კავკასიის მთის ბალახი ხშირი და ნოყიერია. ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებმა რძის გადამუშავების საქმეში, ყველისა და კარაქის დამზადებაში, მაღალ ოსტატობას მიაღწიეს. ქართველ ტომთა შორის კარაქს საყოველთაო გავრცელება არ ჰქონია. გურულები, მეგრელები, იმერლები, აფხაზები და სხვა იშვიათად ამზადებდნენ. სამაგიეროდ კარაქის დამზადების მაღალი ხელოვნება ძველთაგანვე ცნობილი იყო ხევსურებსა და აჭარლებში. ამ საქმეს ინტენსიური ხასიათი ჰქონდა სამცხეში, ქსნის ხეობაში, ქიზიყში. საგულისხმოა, რომ კარაქის მიღება-გამოყენება მსოფლიოს ბევრმა ხალხმა არ იცოდა (მაგ., ბერძნებმა, რომაელებმა, გერმანელებმა). ძველ ქართულ წყაროებში კარაქი რძის მნიშვნელობით აღინიშნება. მაგ., „დაუტევეს სხუანი ძუძუნი სავსენი კარაქითა". კარაქის დასამზადებლად რძეს ხის ან სპილენძის საწველეში მოწველიდნენ და ბაკნებში ან პინებში ჩაწურავდნენ. შემჩნეულია, რომ ხის ბაკანი ნაღებს კარგად აყენებდა, მაგრამ „ეგ წუნი" ჰქონდა, რომ მალე ამუავებდა რძეს. სპილენძ-თითბრის ჭურჭელი კი კარგად ინახავდა, არ ამუავებდა, მაგრამ ნაღებს ნელა იღებდა. თუ რძე დამუავდებოდა ბაკანში, ნაღები მოიხდებოდა, მაგრამ ყველი არ გაკეთდებოდა. რძე რომ არ გაციებულიყო, ბაკანს გოდორს დაახურავდნენ და ზედ ტილოსაც მიაფარებდნენ. საზეურში//სარძეულში ნაღების გადასატანად ჯერ ბაკნის „ნაპირთ თითს გაუსვამდნენ" და მერე „ნახდიდნენ". საზეური ხისაც იყო და სპილენძისაც. იტევდა სამ-ოთხ ვედრო ნაღებს. საზეურს გვერდზე, ძირთან, საგანგებო შუშუტი აქვს დატანებული. „წანაღებულ" რძეს „საკუსე ქობში" ჩაასხამდნენ, ნაღებს ვარია//ყუიკაში (იხ.) ან ჩხუტშიც დღვებდნენ. დღვების პროცესში დროდადრო წყალს ასხამენ: როცა რძე ცივია — ადუღებულს, შემდეგ კი ცივ წყალს. სიცხეში თბილ რძეს ხშირ-ხშირად უნდა ცივი წყლის ჩამატება, რძის გასაგრილებლად, რომ არ განყალდეს. ოთხი ვედრო ნაღები ორ კგ. კარაქს იძლევა.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ხევსურული სახლის სენე, ანალები, I, 1947.

ნ. ჯ.

კარახანა (ხევს.) — ზოგადი სახელია ლუდის სავსე სასმელი ჭურჭლისა, რომელიც პატივისცემის ნიშნად მიერთმევა ადამიანს.

ე. ნ.



33360



ᲙᲝᲠᲬᲮᲝ



კარდალა — სანიადაგოდ სახმარი სპილენძის მოკალული ქვაბი, მისთვის დამახასიათებელი ვინწრო ძირით. არსებობდა რამდენიმე ტიპისა, როგორც პატარა, ასევე საშუალო მოცულობისა. კარდალა განეკუთვნება „ყურიან“ ქვაბთა რიგს. მას ძირითადად ჰკიდებდნენ ბუხარში ჩამოშვებულ ნაჭაზე (იხ.). იმერეთში კარდალას ძროკუნჭელასაც უწოდებენ.

ც.ქ.

კარმიდამო — ზოგადი სახელი ადამიანის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებისა იმ ტერიტორიის ჩათვლით, რომელზედაც ისინი არიან განლაგებული. კარმიდამოს პარალელური ცნებებია: ეზო-კარი, ეზო-სახლი, ეზო-გარემო, სახლ-კარი, სახლ-კარ-მიდამო, ეზო კუთხე. კარმიდამოში შედის სუფთა და შავი ეზო. სუფთა ანუ თეთრი ეზო გამოირჩევა წმინდა მოლით, მოვლილი ხეხილით, ქვის სკამითა და მაგიდით, ჭით, ლამაზი ღობით და ზოგადად დიდი ესთეტიკური სილამაზით, შავი ეზო, ანუ საჩეხი უფრო ხშირად სახლის უკანაა მოწყობილი და მასში განთავსებულია ბოსელი, საქათმე, საღორე, ფარეხი, თავლა. აქვე ჩეხავდნენ და აწყობდნენ შეშას, აქვე იყო სანაკელე და ფეხსალაგი//ჩეჩმა. შავ ეზოში ამწყვდევდნენ საქონელს.

ლიტ.: კ. კახიანი, იმერული კარმიდამო, 1969.

ე. ნ.

კარულა — შარდის სადიაგნოსტიკო ჭურჭელი, გამჭვირვალე მინისგან დამზადებული. კეერცხიეით ძირი და ფართო პირი აქვს.

კასრი (ქართლ.) — დამორილი, ცილინდრის ფორმის ძირჩადმგული, სალტით შემორტყმული ხის ჭურჭელი. იხმარება სანოვაგისა და სითხის სათავსად.

გ. ბ.

კატარლა – საბრძოლო ხომალდი 20-26 მ სიგრძისა, 50 ნიჩბიანი, ჰქონდა აფრა.

კბილის საყარი — რკინის ხერხის კბილების გადასაყრელი // ასაწყობი, შედგება ტარისა და ორი კბილისაგან, იხმარებოდა ხერხის (სისო, საცალხელო და საორხელო) კბილების გადასაყრელად. ხერხის კბილები მუშაობის დროს ბლაგვდება, მხერხავი კბილის საყარში თანმიმდევრობით დებს კბილებს და ქლიბის მეშვეობით აფხავებს (ალესავ) მათ. კბილებს შორის ალესვის შედეგად „ჩაფრასტი“ ჩნდება. თუ „ჩაფრასტი“ გაქრა ხერხი ვეღარ იმუშავებს.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხითხუროობა საქართველოში, 1963.

გ. ბ.

კედები – თავებში ჯაჭვგაბმული ორი გრძელი კეტი, რომელიც შემოეჭირება ხაკის ტომრებში გასაწურად ჩასხმულ სალუდე ნახარშს, თანაბარი მოჭერით სქელ მასას დაწნეხავს და გამოადენს წვენს. ჯოხები რომ არ გაიშალოს და დაჭიმულ მდგომარეობაში იყოს, მოჭერილ კედებს თავზე წამოაცვამენ „მალახას“ იმავე წნელის რგოლს.

ე. ნ.

კევრი (ქართლ. კახეთ. სამცხ.-ჯავახ. რაჭ.), **ფსკვერი** (ზ. რაჭ), **კიავირ** (სვ.), **კელი** (ქ.იმერ.) — ხორბლეულის სალეწი. კევრს, როგორც თავთავის სალეწ სამეურნეო იარაღს, დიდი ხნის ისტორია აქვს. მზადდებოდა უპირატესად ფიჭვის ხისაგან, რომელიც ადვილი სათლელია და კოხებსაც კარგად იჭერს. შეგულებულ-შერჩეულს მოჭრიდნენ, გაქერქავდნენ, დამორავდნენ და ხის სოლებით გააპობდნენ. საკევრე ფიცრებს დიდი, საორხელო ხელეზოთი გათლიდნენ, „სამუშაო პირზე“ სატეხით „საკოხე ბუდეებს“ ცერად

ამოიღებდნენ, რომელშიც მაგარ კოხს (ქვებს) ჩასვამდნენ. კოხები ბუდეში ისე იყო ჩაწყობილი, რომ მათი საჭრელი პირი (ფხა) გარეთ რჩებოდა, რათა თავთავი კარგად გალეწილიყო. კევრის ფიცრებს ერთმანეთზე მიაწყობდნენ და რიკით შეაერთებდნენ, ზურგზე კი ორ უღელს დააკრავდნენ. სათავო უღელზე ღვედს გამოაბამდნენ, რომლის საშუალებითაც გამწევ ძალას (ცხენს, ხარს) ჩაუბამდნენ. კევრები ძირითადად, ხე-ტყით მდიდარ ხეობებში მზადდებოდა და სამიწათმოქმედო რაიონებში იყიდებოდა. გამზადებული კევრი კალოზე გაჰქონდათ. კალო ეწყობოდა შემაღლებულ ადგილზე (სახლის ბანზე, ეზოში, ყანასთან ახლოს). მიწას დატკეპნიდნენ, გაფოცხავდნენ, მორწყავდნენ და ბზეს მოაყრიდნენ, ლეწვისთვის არჩევდნენ მზიან დღეს, რადგან ამ დროს თავთავი უკეთესად ილეწება. ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ქარის მიმართულებასაც.



კალოში პირველად წინა ნელს დამზადებული თავთავისაგან შეკრულ ჯვარს ჩაშლიდნენ (იხ.ვარსკვლავი) — „ახალ მოსავალს მიაგებოსო", მერე ბჯას (ძნის ზვინს) თავთავით შიგნით ჩაშლიდნენ, სქლად ჩააფენდნენ და ზედ კევრებს შეაყენებდნენ. კალოზე სამი-ოთხი კევრი მუშაობდა, იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ძნა იყო ჩაშლილი.

კალოსა და ნალენ ხვავს ავი თვალი რომ არ სცემოდა, ლეწვის მონაწილე აიღებდა რკინის ნაჭერს და ქვას ურტყამდა. როდესაც მორჩებოდნენ კალოობას, იცოდნენ მცირე ლხინის გადახდა ანუ „კალოს ქორწილი" (მესხეთ-ჯავახეთი), „კალოკრეფიანობა" (ქართლი), „კალოს დალოცვა" (იმერეთი), „ლიკლაური" (სვანეთი). კალო ძველთაგანვე წმინდა ადგილად მიაჩნდათ, კალოზე დატოვებულ ნივთს ხელს არავინ ახლებდა.

ხოვლეგორაზე (კასპის რაიონი) არქეოლოგებმა გათხრების დროს მიაკვლიეს კარგად გათლილ-გამოყვანილ და კოხებით განყობილ ოთხ კევრს, რომლებიც ძვ. წ. XII-XI საუკუნეებით თარიღდება, საყურადღებოა, რომ კევრის ნაშთებთან ერთად არქეოლოგებმა ადამიანის ჩონჩხიც ნახეს, ე.ი. კევრზე მიცვალებული ყოფილა დასვენებული. როგორც ჩანს, მიცვალებულის კევრზე დასაფლავების ჩვეულება უძველესია და ჩვენი ხალხის დიდ სამიწათმოქმედო კულტურაზე მიუთითებს.

საინტერესოა, რომ ასეთი ძველი, ეფექტური სალეწი იარაღი, როგორიცაა კევრი, ბევრ სხვა ქვეყნებში გვიანობამდე არ იცოდნენ.

გ. გ. ე. ნ.

კეკვი (იმერ.) — 1. ნიშანი, რომელსაც დასარღვევი სახლის ფიცრებს უკეთებენ ერთმანეთისაგან გასარჩევად, ახალ ადგილას მისადაგებულად რომ მოარგონ ერთმანეთს. 2. მოხრილთავიანი ჯოხი რაიმეს დასანაყად.

კეკოლა (ლეჩხ.) — ხის მოხრილი ჯოხი. თიხის ჭურჭელზე ყურის მისამაგრებლად საჭირო იარაღი. გავრცელებულია ლეჩხუმის რ-ში. მოხრილ ჯოხს თავზე თიხის გუნდას მიაკრავენ, ახლად ამოყვანილი ჭურჭლის სველ ყელში ჩადებენ და იმ ადგილას მიაბჯენენ, სადაც ყურის მიბმაა ნავარაუდევი, რაც ხელს უწყობს ჭურჭელზე ყურის სიმყარეს.

ლიტ.: ფ. გარდაფხაძე, მეჭურჭლეობა და მექვევრეობა ლეჩხუმში, მუზეუმის მოამბე XIV-B 1947.

მ.ზ.

კემუხტი — ცხენის, ხარის ან მისთ. გავის ტყავი, მწვანედ ან შავად შეღებილი. იყენებდნენ ქოშების საპირედ, მისი უფრო ხორკლებიანი ნაწილით კი ქარქაშებს მოსავდნენ.

ლიტ; ქელ, 2009.

კენჭაობა (ქართ. კახ. იმერ.) — ბავშვთა თამაშობა კენჭებით. ნ. კეცხოველის მიერ ქართლში ჩაწერილი მასალით თამაში ხუთი კენჭით მიმდინარეობს და არის 76 სახეობის, რომლებსაც ყველას თავ-თავისი სახელი მოეპოვება, ესენია: 1. თითოლა, 2. ოროლა, 3. სამოლა, 4. თოფა, 5. კაფა, 6. კაფების ერთიორა, 7. თოფობილის ერთოირა, 8. ჩუმჩუმა, 9. ნკატუნა, 10. წიწმატა, 11. ფოცხოლა, 12. ბოლოკა, 13. კოჭობა, 14. უკან კაფია, 15. გულა, 16. გულა უკან კაფია, 17. ყელა, 18. ყელა უკან კაფია, 19. ნიკაპა, 20.

ნიკაპა უკან კაფია, 21. ტუჩა, 22. ტუჩა უკან კაფია, 23. ენა, 24. ენა უკან კაფია, 25. კბილება, 26. კბილება უკან კაფია, 27. დინგა, 28, დინგა უკან კაფია, 29. ცხვირა, 30. ცხვირა უკან კაფია, 31. ლოყა (მარცხენა), 32. ლოყა მარცხენა უკან კაფია, 33. ლოყა (მარჯვენა), 34. ლოყა (მარჯვენა) უკან კაფია, 35. თვალა მარცხენა, 36. თვალა (მარცხენა) უკან კაფია, 37. თვალა მარჯვენა, 38. თვალა (მარჯვენა) უკან კაფია, 39. შუბლა, 40. შუბლა უკან კაფია, 41. ყურა მარცხენა, 42. ყურა (მარცხენა) უკან კაფია, 43. ყურა მაჯვენა, 44. ყურა (მარჯვენა) უკან კაფია, 45. თავა, 46. თავა უკან კაფია, 47. ოჩხორა, 48. ოჩხორის თოფა, 49. ერთხელ ნაცვლია პირველნაირად, 50. ერთხელ ნაცვლია მეორენაირად, 51. ორხელ ნაცვლია პირველნაირად, 52. ორხელ ნაცვლია მეორენაირად, 53. სამხელ ნაცვლია პირველნაირად, 54. სამხელ ნაცვლია მეორენაირად, 55. ცხენის ზურგა, 56. საბძელა, 57. ბატების ჩარეკვა, 58. ბატების გამოყვანა, 59. დაბლა ბოძა, 60. შუა ბოძა, 61. მაღლა ბოძა, 62. მაკრატელა, 63. საცერა, 64. მოზელა, 65. გამოცხობა, 66. ამოყრა, 67. ბაჯბაჯა, 68. ხეხია, 69. ზედადგარა, 70. ჩიტისკენკია, 71. ლურსმანა, 72. ნემსა, 73. თითოლა გამოთავებისა, 74. ოროლა გამოთავებისა, 75. სამალა გამოთავებისა, 76. თოფა გამოთავებისა.

კენჭაობის თითოეული ეტაპი მოითხოვს სიფხიზლეს, ხელების ვირტუოზულ მოძრაობას, დაკვირვებას, სისწრაფეს. კენჭებს მაღლა ისვრიან, თითებზე აჯენენ, ხელითვე გაკეთებილ ღრმულში ყრიან, თითებშუა აძვრენენ და ა. შ. საკმარისია, ერთმა კენჭმა მიზანს ვერ მიაღწიოს, რომ შეცდომის დამშვები თამაშს წყვეტს და ახლა მისი მოწინააღმდეგე აგრძელებს.

ზოგიერთი ბავშვი ისე იყო დაოსტატებული კენჭაობაში, რომ მთელ 76 ხერხს თავიდან ბოლომდე შეუცდომლად ჩაატარებდა. კენჭაობა თვალისა და ხელის სისწრაფის ერთგვარ დემონსტრირებას წარმოადგენდა და საუკეთესოდ უვითარებდა ბავშვს ამ თვისებებს.

ე. ნ.



კერა — რკინის სადგარი საცხოვრებელი ნაგებობის ცენტრში, სადაც ცეცხლი ენთო. შემდგომში ამ ადგილმაც მიიღო კერის სახელწოდება. მისი მდებარეობა განსაზღვრავს საცხოვრებლის შინაგან გეგმას და საზოგადოდ, საცხოვრებელი ნაგებობის მთელ სისტემას. ამავე დროს, კერასთანაა დაკავშირებული ისეთი საოჯახო რკინის ნივთები, როგორიცაა: ქვაბის საკიდი ჯაჭვი, სამკვრე, საქორწინო კანდელი, ხათრითი, შამფური, საკეცე, ასტამი. კერა ყურადღებას იქცევს თავისი კონსტრუქციითა და ფუნქციით. რკინის კერა ოჯახის სიძლიერისა და სიმტკიცის სიმბოლოს წარმოადგენდა და მასთან დაკავშირებული იყო დიდი ოჯახის სოციალური სისტემისა და მაგიურ აპოთროპული დანიშნულების მრავალი მნიშვნელოვანი ნეს-ჩვეულება. კერა ძირითადად დარბაზული ტიპის შუაცეცხლიანი სახლებისთვის იყო დამახასიათებელი. საქართველოს ზოგიერთ კუთხეში (იმერ. გურ.) ამავე დანიშნულებით გამოიყენებოდა ქვის კერა. ტიპური რკინის კერა გრეხილი ტანისაა ნაწილობრივ ან მთლიანად შედგება ფეხებისა და მათ შორის ჩადგმული ბრტყელი 5-6 სმ სიგანის ლარტყისგან, რომელსაც გამირი ეწოდება. გამირებს შორის მოქცეული სივრცე განყობილია გრეხილი რკინის რიკულებით. კერა კონსტრუქციის მხრივ მეტად მოხერხებული ნივთია, კარგად მორგებული თავის ფუნქციას. სახლის ინტერიერში მას ესთეტიკური დატვირთვაც გააჩნია, რასაც აძლიერებს ზოგიერთ ნიმუშზე გამოყვანილი გამოსახულებები.

კერა გვარის, ოჯახის გამაერთიანებელი ცენტრი, მარადიული ცეცხლის სიმბოლო იყო. ამიტომაცაა, რომ ქორწილის ყველაზე მნიშვნელოვანი ცერემონიალი კერასთან იმართებოდა. ჯვრისწერაც ხშირად კერასთან ხდებოდა, როდესაც ნეფე-დედოფალს კერის გარშემო შემოატარებდნენ, შემდეგ დალოცავდნენ და გვირგვინს უკურთხებდნენ. ნეფე-დედოფლის კერიასთან გარშემოტარებას ადგილი ჰქონდა როგორც პატარძლის, ასევე ნეფის ოჯახში. პატარძალი ახალ ოჯახში მისვლისას კერიაზე ფეხს უსვამდა, რაც სიმბოლურად გამოხატავდა კერის კულტისადმი მსხვერპლშეწირვას. ამავე ჩვეულებაზე მიგვანიშნებს ხალხური ლექსი:

„ახალი პატარძალი ვარ,
ფეხი დავუსვი კერასა“-ო

აღნიშნული რიტუალის დროს სვანეთში ასრულებდნენ საქორწინო სიმღერებს: „სადამ“-სა და

„ორი ოხა“-ს. იმავე მომენტთან იყო დაკავშირებული იმერეთში საკმაოდ ცნობილი სიმღერა „ღმერთო ბედნიერი ქენი“, ხოლო სიმღერები: „ჯვრის წინასა“, „ჯორული“, „დიდება“ — ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს კუთვნილებას წარმოადგენდა. ახალი კერიის დადგმის დროს კერაზე ქონს უსვამდნენ, დიდ ცეცხლს ანთებდნენ, ხორციან და ყველიან დიდ პურებს აცხობდნენ, რომ დაბედებოდათ ხვავი და ბარაქა. სვანეთში გავრცელებული იყო აგრეთვე კერიის მარხულობა, რაც გამოიხატებოდა კერაზე ცხობის გარკვეული დროით აღკვეთით. მარხულობის პერიოდში კერას საჭმელი არ უნდა „დაენახა“. სვანეთში დადასტურებულია ჩვეულება, როცა ხორცეულის კვირაში, ჭამის დროს, კერაზე ნაბადს გადააფარებდნენ, ხოლო ჭამის დამთავრების შემდეგ გადახდიდნენ. იყო შემთხვევები, კერა გარეთ გაპქონდათ, რომ არ „დაენახა“ სახსნილო საჭმელი. ჭამის შემდეგ ნარჩენებს გადამალავდნენ. მის მიმართ ისე იქცეოდნენ, თითქოს კერია ცოცხალი არსება ყოფილიყო.

ნ. გ. ა. გ.

კერა თიხისა — ცეცხლის დასანთები და შესანახი ადგილი საცხოვრებელში. მისი გამოყენება ადამიანმა ისწავლა განვითარების ადრინდელ საფეხურზე. საქართველოში უძველესი კერა (გარკვეულად განლაგებული ქვები, ორმო, რომელსაც ცეცხლის კვალი ეტყობა) გვხვდება ადრინდელ მუსტიეს ხანაში (წოფი), გვიანდელ მუსტიეს ხანაში (ჯრუჭულის მღვიმე) და ზედა პალეოლითის მთელ რიგ ძეგლებში (დევისხვრელი და სხვ.), შულავერში, იმირში და ხრამის დიდ გორაზე (ძვ. წ. VI-V ათასწლ.). ხრამის დიდ გორაზე კერებში ნაპოვნია თიხის ანთროპომორფული ქანდაკებანი (ერთ მათგანში 17). გამომწვარი თიხის კერები გვხვდება მტკვარ-არაქსის კულტურის (ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრული, III ათასწლეულის დამდეგის) ძეგლებში (ოზნი, ქვაცხელები, გუდაბერტყა, ამირანის გორა და სხვ.). ნრიული ფორმის თიხის გამომწვარ კერას შიგა მხარეს აქვს რამდენიმე შვერილი სადგამის ფუნქციით.

კერებს იყენებდნენ გასათბობად, საჭმლის მოსამზადებლად, ამავე დროს, ის ოჯახის წმინდა, საკულტო ადგილი იყო. იქ სრულდებოდა სხვადასხვა რელიგიური რიტუალი, ცდილობდნენ, მასში ცეცხლი არ გამქრალიყო.

კერები გვხვდება გვიანდელი ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. II ათასწლეულის დამლევი — I ათასწლეულის დამდეგი) ნამოსახლარებში (ხოვლეგორა, დიღომი). ფეოდალური ხანის თიხის კერებია ურბნისში (IV- VIII სს), დმანისში (XI-XIII სს.) და სხვ. ქვით ნაგები კერები — არახლოზე (XII-XIII სს.), ქოჩულოში (XII-XIII სს.) და სხვ. გვიანდელ ფეოდალურ ხანაში კერას ზოგჯერ თონე ცვლიდა. საქართველოში თონისმაგვარი უძველესი კერები აღმოჩენილია სამადლოსა და ციხეგორაზე (ძვ. წ. IV-III სს.).

დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა კერის სხვადასხვა ფორმა — მრგვალი, სწორკუთხედი, ორმოსებრი, მიწის ზედაპირზე გამართული და ა.შ. მრგვალ საცხოვრებელში კერები ჩვეულებრივ შუა ადგილზე იყო (ნენცები, ევენკები, და ჩრდილოეთის სხვა ხალხები), სწორკუთხედებში — კედლის ახლოს, ზოგჯერ შესასვლელის პირდაპირ (გარდამავალ ტიპადაა მიჩნეული კედლისპირა კერა, რომლისაგან შემდგომში ბუხარი განვითარდა).

ლიტ.: ნ. ვაჩეიშვილი, მ. ჩართოლანი, დასურათებული ლექსიკონი. 2008.

კერამიკა — თიხისა და მისგან შექმნილ საგანთა ზოგადი სახელია. ძველი საბერძნეთის მკვიდრნი მეკეცე ოსტატს „keramens“ -უწოდებდნენ. ბერძნული „კერამიკა“ ქართული მეკეცეობის, ანუ მეთუნეობის შემცველი ტერმინია.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კახური კერამიკა, 1947.

მ.ზ.

კერკი — კურკოვანი ხილის გამხმარი ნაყოფი, რომელსაც ინახავენ საზამთროდ.

კეცი თიხისა — „კელამიტა“, „ჩაჩამუტა“. ცომეულის გამოსაცხობი. მზადდება საქართველოს ყველა კუთხეში როგორც მეთუნე ხელოსნების მიერ, ისე შინაური წესითაც — უმორგვოდ. კეცს აკეთებდნენ ქალებიც და კაცებიც.

კეცს მიწაც ცოტა უნდა და ადვილი გასაკეთებელიც არის. დაზელილ თიხას ფიცარზე მრგვალად

გაათხელებენ, სველი ხელით ნაპირებს ამოუქნიან, ამოუხვევენ და გამონვავენ. პურის ან მჭადის გამოცხობისათვის კეცებს დააპირქვავებენ ძლიერად ანთებული ცეცხლის მუგუზლებზე და გაახურებენ განითლებამდე, შემდეგ გადმოიღებენ საკეცით, სინითლე რომ გადაუვლის, ზედ დააცხობენ ცომს და მიუფიცხებენ ნაკვერჩხლებს. სხვა წესით — ცომჩაკრულ კეცს ზემოდან მეორე გახურებულ კეცს დააფარებენ და ასე გამოაცხობენ. ამ წესით კეცებში წვავენ წიწილებს და სხვადასხვა სახის საკვებს (მაგ. კვახის მარცვალი, წაბლი, თხილი, კაკალი). ტერმინი „კეცი" ძველად თიხის მნიშვნელობითაც იხმარობდა.

ლიტ.: ფ. გარდაფხაძე, მეჭურჭლეობა და მექვევრეობა ლეჩხუმში, სსმმ, ტ. XIV B. 1947.

მ. ზ.



კეცი ქვისა – მჭადისა და პურის გამოსაცხობი. ქვის კეცების დამზადებას ძირითადად მისდევენ იმერეთში (სოფ. ბესიაური), გურიასა (სოფ. ვანი) და სამეგრელოში (სათანჯაოს მთის კარიერი). კეცისათვის საჭირო მადანი წარმოადგენს რბილ ქანს, რომელიც ფერით მოლურჯო//მორუხო//მოლიბეროა და ადვილად ითლება რკინის სათლელით. მადნიდან მას ამოტეხავენ ნერექოთი, მოაცლიან უხეშ დანამატებს, გათლიან ჩხოტით, მოსაყვანით და საბოლოოდ გაასუფთავებენ საფხეკით. საკეცე ქვის ჯიში ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ დიდხანს შეინარჩუნოს მხურვალება და სრულყოფილად აცხობდეს. ქვის კეცები იყო სხვადასხვა ზომის. მათ წარმოებას შინამრეწველობის ხასიათი ჰქონდა, გაჰქონდათ ბაზარზე გასაყიდად და იკმაყოფილებდნენ საოჯახო მოთხოვნილებასაც.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. ნ.

კეცეული — ზოგადი სახელია კეცში გამომცხვარი პურებისა.



კეხი — ლიტონი ხისაგან გამოთლილი ვირის სასაპალნე (იხ. უნაგირი), ამზადებდნენ ფიცრებისგანაც, ტახტას ზოგჯერ ლითონის მრგვალ სახელურსაც უკეთებდნენ. საბა კეხს განმარტავს როგორც „შეუმზადებელ უნაგირს". საქართველოში იგი ყველგან მზადდებოდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თუში ხელოსნები. ზაფხულში თუშები შერჩეულ ხის ჯიშებს გააკოპიტებდნენ, ზამთარში დაამზადებდნენ, ხოლო გაზაფხულზე გაყიდდნენ. იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა — ფრთები და თავები. ფრთები თელის ხისაა კარგი, თავები კი თხმელისა. საკეხე ხეს სიმაგრე რომ შემატებოდა, წყალში ხარშავდნენ. თავისებური ორიგინალობით გამოირჩეოდა კერამიკული ნანარმის გადასატანი კეხი.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ.ჯ.

კვანჩხა — ორიგინალური ტიპის სასმისი. კვანჩხას ამზადებდნენ როგორც ხისგან, ასევე ლითონისაგან. ესაა ორი, ცილინდრული ფორმის ერთმანეთზე მიტყუპებული პანაწინა ქვევრები, რომელნიც შიდა ნახვრეტით უერთდებიან ერთმანეთს, კვანჩხას აქვს ტარი ან თითის გასაყრელი რგოლი. ზოგიერთი კვანჩხა წარმოადგენს სარიტუალო ნივთს და განკუთვნილი იყო წმინდა სასმელის საზიარებლად. არსებობს ღვინის, არყისა და ლუდის კვანჩხები. კვანჩხას როგორც ზიარი ტიპის ჭურჭელს, ანალოგი ეძებნება მარანთან, და შვილებიან ლიტრასთან. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ვერცხლის კვანჩხები — შემკულნი სხვადასხვა სიუჟეტებით. კვანჩხა განეკუთვნება კავკასიურ სასმისთა უძველეს ტიპს.

ე.ნ.

კვართი — გრძელი პერანგი. კვართი იყო როგორც სამღვდელო, ასევე სამეუფე. წარმოადგენდა ვიწრო სახელოებიან ტანსაცმელს. კვართისთვის იყენებდნენ სხვადასხვა სახის ქსოვილს. ქართული საეკლესიო ტრადიციით, ქრისტეს კვართის ადგილსამყოფელად მცხეთაა დასახელებული. კვართი საქართველოში ჩამოუტანიათ ქრისტეს ჯვარცმის მოწმე ქართველ ებრაელებს.

ე. ნ.

კვატუში (რაჭ.) — ნავისებური, დაბალქუსლიანი, სახელურიანი ხის ჭურჭელი, გამოიყენებოდა ღვინის სასმისად. უმეტესად კვატუში დაჭრელებულია, ამოღარული ზოლებითა და ტეხილი ხაზებით. გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოს მთიან ზოლშიც.



ვ. ვ.

კვანარახი — მნიფე ტყემლის წვენი, რომელსაც დუღილით შეასქელებენ და ხმარობენ, როგორც საჭმელად, ასევე შეჭამანდის შესაკმაზავად.

კვანია (იმერ.) — თიხის პატარა ქოთანი ლობიოს სადუღებლად.

კვაჭახურის ქვა (იმერ.) — იგივე ყურის, კუთხის ქვა, გამოყვანილი სწორად, ამ ქვის სისწორის მიხედვით, იგებოდა მთელი კედელი, ლეჩხუმში „მუხუროს" უწოდებენ.

კვეკვერი//ჭვეჭვერი (მგრ.) — ახლად ამოყვანილი უმარილო ყველი. აღმ. საქართველოს მთიანეთში ასეთ ყველს „კუშკანას" უწოდებენ.

კვეჟო (იმერ.) — ჭურისთავის საფარებელი აყალო მიწის საგლესი ხის პატარა ურო (იხ. საგოზელა).



კვერკვეში (ზ.რაჭ.) — ხის პატარა ურო, ოთხკუთხედთავიანი, რომელსაც სცემენ ლეკურაზე (იხ. ლეკურა) და ხდიან ყავარს.

ლიტ.: მსშხი, ტ. II. 1981.

კვერი – პატარა ჩაქუჩი, ზოგჯერ ერთსახოვანი და ზოგჯერ განსხვავებული თავების მქონე. გამოიყენებოდა ხელოსნობაში. ჰქონდა სხვადასხვა ფუნქცია. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში კვერი ნიშნავს „საგვემელ იარაღს", რომლითაც წარმოებს „კვერვა" ან „სანგვა". ქვითხუროობაში გამოიყენებოდა პირდაკბილული კვერიც, რომელსაც ახასიათებს ყურუმი//მასიური ტანი, კუთხოვანი მოყვანილობა,

გამართული მხრები, აქვს ხის მრგვალი ტარი. მისი ფუნქციაა ქვის გათეგვა, ქვის მოლესილი ზედაპირის დაკბილვა. მისი პირები დაკბილულია (20-25 კბილი). კვერის ნაირსახეობაა ჩეკი//უჩარდა, რომელიც თავისი წამახული კბილებით ასრულებს ქვაზე საჩეკავ სამუშაოს.

ე. ნ.

კვერი სულგუნის — სარიტუალო კვერი, რომელსაც წნავდნენ სულგუნის ძაფებისაგან. შემკული იყო სხვადასხვა სახის მოტივით. ძირითადად გავრცელებული იყო სამეგრელოს მეჯოგე-მესაქონლეებს შორის. მასში გამოხატულია განაყოფიერებისა და გამრავლების იდეა.

კვერი სადგინის (თუშ.) — მრგვალი ფორმის პური, რომელსაც შუაგულში ჩარჭობილი ჰქონდა მიტკლის ნაკუწშებშებმული პატარა ჯოხი, ამ კვერებს თუშეთში ურიგებდნენ იმ მხედრებს, რომლებიც მიცვალებულთა სულების სახელზე გამართულ დოღში იღებდნენ მონაწილეობას.

ე. ნ.

კვერი-ჩაქუჩი — მცირე ზომის კვერი, ჩაქუჩის იდენტურია. მესპილენძე ხელოსნის აუცილებელი ხელსაწყო. კვერი ორნაირია: მაღალთავიანი და დაბალთავიანი. იციან რისთვის რომელი კვერი იხმარება. რკინის ჩაქუჩთან ერთად ხელოსნები ხის ჩაქუჩითაც სარგებლობენ. ხის ჩაქუჩი ქვაბისა და თუნგის ზედაპირის გასასწორებლად, გადაკერებული ადგილების შესალამაზებლად იხმარება. ყოველი ხელოსანი 4-5 ცალი კვერით და ამდენივე რაოდენობის ჩაქუჩით სარგებლობდა.

ც.ქ.

კვერნა//ყვერნა — ურმის ხელნას საბრუნავ ნაწილში ჩაყრილი ორი მრგვალი ჯოხი, რომლებიც ღერძს ნაცურებისაგან იცავს.

ლიტ.: მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, 1956.



კვესი — რკინა-ფოლადის ნაჭერი, რომელიც ტალზე ჩამორტყმისას გაყრის ნაპერწკლებს და აანთებს აბედს (იხ.)

კვიდოლა — მარცვლეულის საწყაო ლეჩხუმსა და სვანეთში. ლეჩხუმში ის 2,5 ფუთს იტევდა, რაც დამრგვალებულად 40 კგ-ს შეადგენდა, სვანეთში კი — 2 ფუთს (32,7 კგ). სვანეთში კვიდოლას, რომელსაც ქუფსაც უნოდებენ, მარცვლეულის გადასაზიდადაც ხმარობდნენ. ქუფი დღესაც არის დადასტურებული სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში. მონნულ კვიდოლას მარხილზე დადებენ, შიგნიდან სელისგან დამზადებულ ქსოვილს გამოაკრავენ მარცვალი რომ დააკაოს. ქუფი გამოყენებული იყო პურის რეცხვის დროსაც. მარხილზე შედგმულ ქუფში პურის მარცვალს ჩაყრიდნენ, წყალს მიუდგამდნენ და გარეცხავდნენ.

ლიტ.: ნ. ბრეგაძე, მთის მინათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, 1969. გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობა სვანეთში, სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1970.

მ. ხ.

კვირისტავი — თითისტარის მამოძრავებელი ქვის ან თიხის მრგვალი და შუაში გახვრეტილი საგანი, რომელიც წამოცმულია თითისტარზე. კაცობრიობის ერთი უძველესი გამოგონებათაგანი. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში უამრავი კვირისტავებია აღმოჩენილი, რაც ჩვენში მატყლის დამუშავების ხანგრძლივ კულტურაზე მიუთითებს.

ე.ნ.

კვირტულა — ფარდაგი, რომელიც ჩეჩვის შემდეგ დარჩენილი დაბალხარისხოვანი ძაფით იქსოვებოდა.

თ. ნ.

კვიჟი — პატარა, დაუვარგებელი ნაყოფი (მაგ., კვიჟი ბია//კომში, იმერ. კვიჟი ტარო).

კიდობანი — სამეურნეო დანიშნულების დგამი, რომელშიც ინახებოდა მარცვლეული, ფქვილი ან გამომცხვარი პური. შესაბამისად არსებობდა ერთბუდიანი, ანუ ერთთვლიანი კიდობანიცა და კომბინირებული — ორ ან სამთვლიანი.



კიდობანს მჭიდროდ აგებდნენ თელის, ცაცხვის, ვერხვის, ნაძვის ან ფიჭვის მასალით. იყო კვადრატული ან წაგრძელებული ფორმის. კიდობნის ოთხივე სვეტს მუხის ხისაგან თლიდნენ და ორ მხარეს ღარავდნენ ფიცრების ჩასაწყობად.

ჩვეულებრივად ოჯახს რამდენიმე კიდობანი ჰქონდა: გამომცხვარი პურის, ხორბლის ფქვილის, ფეტვის, ქონისა და ა.შ. შეძლებულ ოჯახს ათამდე კიდობანიც კი ჰქონია. კიდობანი სხვადასხვა სიდიდისა იყო, ზოგი კი იმოდენა, ზედ კიბით ადიოდნენ. ასეთი კიდობანი ხშირად ბეღლის ფუნქციასაც ასრულებდა. კიდობნის ტევადობაც განსხვავებული იყო. ზოგი ოც ფუთ პროდუქტს იტევდა, ზოგი 120 ფუთს.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მთიან კუთხეებში ჰქონდათ საკულტო დანიშნულების კიდობნები, სადაც სარიტუალო კვერებსა და მსგავსი დანიშნულების მარცვლეულს ან ფქვილს ინახავდნენ.

კიდობნებს ამკობდნენ ორნამენტებით, განსაკუთრებით მათ წინა მხარეს, მაგალითად, გეომეტრიული გამოსახულებებით, ბორჯღალებით, ჯვრებითა და ა.შ.

კიდობანი სამზითვო ავეჯიც იყო და რძლის პირად საკუთრებას შეადგენდა. შემკული იყო ძირითადად გასხივოსნებული წრეხაზებით — ბორჯღლებით.

საინგილოში კიდობანი, რომელიც დედაბოძის მარჯვენა კუთხეში იდგა, უფროს მამაკაცს ეკუთვნოდა. კიდობანი საახალწლო რიტუალის დროს წმინდა საგნად იქცეოდა. ოჯახის უფროსი მასზე ანთებულ სანთლებს მიაკრავდა და ილოცებდა.

სვანეთში ერთ-ერთი დღეობის დროს („ქორა ლიმზირ") ქალები აცხობდნენ კერისათვის შესაწირ პურს — „კიხვს", რომელსაც „გვემში" — ბეღელში მდგარ კიდობანში ინახავდნენ — ბარაქა იცისო, მეორე დღეს კაცების დაუნახავად გვემში შედიოდნენ, იღებდნენ კიდობნიდან შესაწირ პურს და მიწაზე დამსხდარნი შეექცეოდნენ. ეს იყო მოსავლიანობისა და ბარაქიანობის გამომწვევი ერთ-ერთი რიტუალი. ამ მიზნით იყო, რომ კიდობნები უმეტესწილად იხატებოდა სხვადასხვა სახის ჭრელებით და მაგიურ აპოთროპული დანიშნულების მოტივებით. ბარაქიანობის მონიჭების იდეამ შექმნა განსაკუთრებული მოკრძალებული დამოკიდებულება სანოვაგის ამ ტიპის სათავსის მიმართ. მთელ საქართველოში (განსაკუთრებით მთიან ნაწილში) მეტ-ნაკლები სიხშირით გავრცელებულია მოჭრელებული კიდობნების საუკეთესო ნიმუშები, სადაც უმაღლეს დონეზეა წარმოდგენილი მხატვრული ხითხუროობის ეს დარგი.

ტერმინის „კიდობანი" სკივრის, ზანდუკისა და ლარნაკის ძველი ქართული შესატყვისია, რომელიც წერილობით ძეგლებში IX-X საუკუნიდან ჩანს.

ლიტ.: ლ. ბედუკაძე, ხალხური ავეჯი აღმ. საქართველოს მთიანეთში, 1973. ვ. ართილაყვა XVI—XVIIIსს. მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1965. ნ. ზოშიტაშვილი, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

ლ. ბ.

კილანტარი (მეგრ.) — კელაპტარის თავისებური ტიპი, რომელსაც გამოიყენებდნენ მიცვალებულის წლისათვის ცერემონიალის ჩატარებისას. კილანტარი წარმოადგენს სწორად და მრგვალად გათლილ გრძელ ჯოხს, რომელსაც ზოლებად შემოხვეული აქვს შავი და თეთრი ფერის გასანთლული მიტკალი. გარშემო იქით-აქეთ პატარა სანთლები ჰქონდა დამაგრებული. წვერზე ედგა ფრინველის ქანდაკება. წლისთავზე კილანტარს ეზოში გაიტანდნენ და მიზანში ესროდნენ თოფს ფრინველს. ვინც მოახვდრებდა გამარჯვებულად ის ითვლებოდა და ჯილდოს მიიღებდა.

ლიტ. ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 2006 ნ. ე. ნ.



კოჭოზი



კულა

კინთი — ბამბის საპენტი ჯოხი.

კირი – საშენი მასალა, რომელიც ადრეულ პერიოდში ცემენტის მოვალეობას ასრულებდა. ქვიშითა და კირხსნარითაა აშენებული საქართველოს საერო და საფორტიფიკაციო ნაგებობანი. ცემენტის გამოყენებამდე კირი წარმოადგენდა ძირითად საშენ ხსნარს, რომელსაც გამოიყენებდნენ სამშენებლო საქმიანობისას. კირი მზადდება საკირეში, კირქვის მასა გამოიწვება საგანგებოდა მოწყობილ ღუმელში. წყლის დასხმის შემდეგ იწყება მისი დაშლის პროცესი. დაშლილი კირი და ქვიშა შემდეგ შეიზილება ერთად და მიიღება სამშენებლო ხსნარი.

ე.ნ.

კირითხურო (ძვ.) — ქვითკირის ნაგებობის მაშენებელი.

კირკაჟი — მოხარშული და ამოუზელავი ლობიო, მარილითა და ნედლი ხახვით შეკაზმული.

კირკიმალი (რაჭ.) — თავგახეთქილი გრძელი ჯოხი, რომელსაც ბავშვები ღობეში გაყოფენ ყურძნის მოსაპარად.

კიშტე//საკალტე — მოწნული, გრძელი, ოთხკუთხა ლასტი, რომელზედაც გაწურულ, მოზელილ და დამარილებულ ხაჭოს კვერებს აწყობენ. კიშტე კერის თავზე ეკიდა. ფშავში მას საკალტე გოდორსაც უწოდებენ.

იტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

გ. გ.

კიჩო — ხომალდის უკანა დაბოლოება.

კიჩოს ანძა — სამნავიან ხომალდზე უკანა ანძა.

კლიტე — კარების ჩასაკეტი მოწყობილობა, იყო როგორც რკინის ასევე ხისაც. ქართულ საცხოვრისსა და სამეურნეო ნაგებობებზე დაფიქსირებულია კლიტეთა სხვადასხვა ტიპები, რომელთაგან ზოგიერთი თავისი არქაულობით გამოირჩევა (იხ. დათვა-ბოყვა).

ე.ნ.

კობული – 1. ბელტების დასაშლელი იარაღი 2. მრგვალთავიანი კეტი, რომლითაც ყურძენს ტენიან საწნახელში.

ლიტ. ქელ. 2009

კოდალა (იმერ.) — ქართული ცულის ერთ-ერთი სახეობა. მისი ნანილებია: ლითონის მოგრძო პირი (წინა და უკანა ნიღრებით) და ხელტარი.

იხმარება ხის მოსაჭრელად, დასაჩეხად და მორზე „ნაცხვირის ამოსაღებად".

გ. გ.

კოდალი – საბავშვო, ნვერნაუმახავი ისარი გურიასა და იმერეთში.

ლიტ. ქელ. 2009

კოდი — მთლიან ხეში გამოთლილი დიდი ზომის მარცვლეულისა და ფქვილის შესანახი ჭურჭელი. კოდისთვის საუკეთესო იყო ცაცხვის ხე, რომლის ნამორს ამოხოწავდნენ სატეხებითა და სახვეწებით, გამოუყენებდნენ ფიცრის ძირს, გამოაშრობდნენ კარგად და დადგამდნენ სახლში ან სამეურნეო სათავსში. ტერმინი კოდი ქართულ-ზანური ფუძე ენის ერთობის ხანას განეკუთვნება, რაც ამ სამეურნეო ჭურჭლის უძველესობაზე მიუთითებს.

კოდი სხვადასხვა სიდიდს იყო და ზოგიერთი მათგანი 0,5 ტონა მარცვლეულს იტევდა. პატარა კოდს

საწყაო ფუნქციაც ჰქონდა და ხევსურეთში მისი ტევადობა 48 კგ. შეადგენდა.

აღმ. საქართველოს მთიანეთში კოდს იყენებდნენ ლუდის დასადუღებლადაც.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ე. ნ.

კოდი ლუდისა — ლუდის საფუებელი ხის დიდი კოდი, რომელიც დგას საკოდეში. იქ მიიტანენ ჩხუტებით სვიამიცემულ და გაფილტრულ სისნვენს, გაავსებენ კოდს (ან კოდებს), გადააფარებენ სუფთა ფარდაგს და შეუქმნიან სათანადო პირობებს, სადაც 6-7 დღის განმავლობაში დაიდუღებს ლუდი. კოდთან ხდება ლუდის სარიტუალო დალოცვა, ჯვარ-ხატიონის დღეგრძელობა, ხევისბერი კოდიდან ლუდს პირველად ამოიღებს სახუცო კოჭობით, კოდზედაც და თასზედაც სანთლებს მიაკრავს და იტყვის ჯვარ-ხატიონის სადიდებელ ლოცვას.

ე. ნ.

კოვზი — საქართველოში ნაირნაირი სახისა და დანიშნულების კოვზები იყო გავრცელებული როგორც ხის ასევე ლითონის. ხანგრძლივი დროის მანძილზე მოსახლეობა ძირითადად ხის კოვზებს მოიხმარდა, რომლისთვისაც სათანადო ჯიშის ხეები ადრიდანვე შეურჩევიათ და ფუნქციის მიხედვით გამოუყენებიათ. კოვზების ჯგუფში ერთიანდება მარტივად გათლილი ჯოხებიც, რომლებსაც კერძის დამზადებისას იყენებდნენ, ასეთ ჯოხებს მთიანეთში სარეველს უწოდებენ და რძის მოსარევად ხმარობენ. დასავლეთ საქართველოში მას სუთი//კირზა//სარსარა, სარხე (სვან.) ჰქვია. ამავე ჯგუფში შედის ტოტებიანი ჯოხები — სამკაპა//ფუცხი. ეს უკანასკნელი საბას განმარტებით „არის კაკოედი რკინა ხორცთა ამოსაღებელი". ტოტებიანი ჯოხები გამოიყენებოდა ფაფის, ფელამუშის, ლობიოს დასამზადებლად. ამ უკანასკნელი შეჭამანდისთვის, მისი პოპულარობის შესაფერისად, ასეთი ჯოხები უფრო მრავალფეროვანი იყო: მაგ: ლაფეხა//ლაფერთხა (რაჭა,ლეჩხ. სვან.), ბურეჭყი (გურ), სამკაპალა//კიბორჩხალა (იმერ.) და სხვა.

საქართველოს მთიანეთში ძალზე გავრცელებული იყო ბრტყელპირიანი კოვზები და მათ სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელები აქვთ. მაგ., ჩეკი, ჩოგანი, ხოწი, საკეპელა, კიზი, ლაფერა და განსაკუთრებით ორიგინალური ხევსურული ორნაწილიანი კოვზი — ე.ნ. საფაფე//სარეველა. ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავალგან დასტურდება დახვრეტილ კოვზთა წყება ე.ნ. ქაფქირები და სახინკლენი. მათი ნახვრეტების ფუნქცია დასამზადებელი საჭმლის პრაქტიკიდან გამომდინარეობს. მაგ., საქართველოს მთიანეთში ხინკლის ქაფქირს ერთი დიდი ნახვრეტი აქვს, ხაჭოსას 3-4, ხოლო ხორცის საქაფ-ამოსაღებს რამდენიმე. ქაფქირის მოყვანილობისაა ხის კოვზი ქიტი, რომელიც ღრმაა, დაუხვრეტავი და წვნიანი კერძის საჭმელად გამოიყენება. ზოგადად მთელ საქართველოში გამოიყენებოდა ტარიანი და მოგრძოპირიანი სხვადასხვა სიდიდისა და მოყვანილობის კოვზები ნაირნაირი სახელებით. მაგ. ახვაფი (ხევს), ქიტი, ქიტურა, ქიტკოვზი (თუშ.), კონჩხა//კოჩხო (ფშავ. ხევ.) და სხვა. კოვზები იყო მრგვალი და ოვალური. იცოდნენ ხის, კამეჩის, თხის და ცხვრის რქისაგან კოვზების გამოთლა.

საკოვზე რქას ხერხავდნენ, ცეცხლზე შეარბილებდნენ, დანით გათლიდნენ, ჭოპოანით გაფხეკდნენ. ხმარობდნენ ძირითადად მწყემსები.

ლიტ.: მ. ხარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, ძმ, 1988, №1.

ე. ნ. ვ. ვ.

კოთხო — ხის სასმისი. ამზადებენ ხის ქერქისაგანაც, დასავლეთ საქართველოში კოთხო მარცვლეულის საწყაოს წარმოადგენდა და ჩვეულებრივ 1/4 ფუთს იტევდა.

კოიტი (იმერ.) — ქუდის ტყავის სარჩული.

კოკა — 1. საშუალო ზომის თიხის ჭურჭელი. 2. საწყაო. ქართლსა და კახეთში გავრცელებული კოკა დასავლეთ საქართველოს ყოფაში ხმარებული საწყაო ჭურჭლის — ჩაფის ანალოგიურია. კოკის როგორც საწყაო ერთეულის მოცულობა მერყეობდა რაიონების შესაბამისად.

მ.ზ.

კოკა ხისა — ხისაგან დამზადებული სანყლე ჭურჭელი. ძირითადად ამზადებდნენ კატრისა და ნაძვის ხისაგან. ხის კოკა სამ პატარა ფეხზეა შედგარი და გააჩნია გვამი // ტანი და სახელურები. ამზადებდნენ ისე, როგორც კუტალს (იხ.). ხის კოკა და კუტალი განსაკუთრებით გავრცელებული იყო მოსახლეობის ისეთ ფენებში, რომლებთაც ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდათ სპილენძის სანყლე ჭურჭლის დასამზადებლად.

ხის კოკებს საქართველოს მრავალ რეგიონში ამზადებდნენ (ქართლი, კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი და ა.შ.) სოფ. მამულაანში (ქვ. ქართლი) ამ ხელობით გამოირჩეოდნენ თაყნიაშვილები, რომლებიც მეტსახელად „მეკოკიანთ" ეძახდნენ.

გ. ბ.

კოკალი //კოკორე — აბრეშუმის თესლიდან გამოჩეკილი ჭიის//„მურის" კეცის ფორმის დასასმელი. აკეთებდნენ ნაცარმოყრილ მიწაზე თბილი წყლით მოზელილი ნაკელისა და ბზის ნარევით. დასავლეთ საქართველოში (გურია, იმერეთი, სამეგრელო) ჭია კოკალზე ერთ კანს იცვლიდა. კოკლებს მაგიდაზე ან ხის გრძელ სკამებზე ერთმანეთზე შედგამდნენ — ააკოკოლებდნენ ან ერთმანეთის გვერდით ათავსებდნენ. ჭიას რომ არ შესცივნოდა, შალით ფუთავდნენ და კერასთან ახლოს დგამდნენ. კოკლებზე სამ-ოთხ დღეში გამოდიოდა პირველი ასაკის ჭია.

ლიტ.: ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957.

ლ. ბ.

კოკოზა — სათევზაო გოდორი, ნოწოლა მოყვანილობისაა, პირი შიგნით აქვს ჩაბრუნებული. დაწნულ კოკოზას ჩქერებში დგამდნენ, გვერდებზე დიდ ქვებს შემოუწყობდნენ. თევზი კოკოზას ჩაბრუნებულ „ყელში", ანუ „პირში" თავისუფლად შედის, მაგრამ იქიდან ვეღარ გამოდის.

ლიტ.: თ. ჩიქოვანი, მესხეთი, 1979.

გ. ბ.

კოკონცხა (იმერ.) — წვრილძირიანი კონუსური ფორმის გოდორი, რომელიც გამოიყენება ჭაჭიანი ჭურიდან ღვინის ამოსაწურად. ინვნება გათლილი თხილის ტკეჩებისგან. ღვინის გადაღებისას როცა ფსკერისკენ ჩასული ჭაჭის მასა ორშიმოს აღარ უშვებს სიღრმეში, მაშინ ჭაჭაში ჩადებენ კოკონცხას, მაგრად დაანვებიან და მასში შესულ ნვენს პატარა ორშიმოთი ამოიღებენ.



ე. ნ.

კოკოშა — 1. სახვნელის ნაწილი, მოხრილი ხე, რომელიც მასრის თავშია გაყრილი და ხელს უწყობს ხნულის გაღრმავებას. 2. ვერცხლის გრძელტარიანი სასმისი ხევსურეთში. 3. მცირე ხაპი ღვინისა და წყლის ამოსაღებად სათლიდან (იმერ.) 4. ორყურიანი თიხის ჭურჭელი, რომელშიაც აკვნიდან გამონადენი ბავშვის შარდი ჩაედინება.

ლიტ. ქელ. 2009.

კოლოტი — ტყავის ჭურჭელი, რომლითაც ღვინოს გადაიტანდნენ. საკოლოტედ შეარჩევენ ასაკოვან ხარს. დაკლავენ ზაფხულის დამლევს, სანამ საზამთრო ბალნით შეიმოსებოდეს. გაატყავებენ დიდი სიფრთხილით, რომ არსად გაიჭრას, შემდეგ ტყავს ნედლი ჯოხებით გასხიპავენ, დაჭიმავენ, ბოლში გამოიყვანენ, ორი სამი თვის შემდეგ, გამხმარ ტყავს დაალბობენ, ბალანს გააცლიან, დაზელენ და ბალანგაცლილი პირით შიგნით მოქცეულს გვირისტით შეკერავენ. ხმარების შემდეგ გამოაშრობენ და მშრალ ადგილას ჩამოპკიდებენ. საშუალო კოლოტი ჩვეულებრივ 10-15 ფუთ ღვინოს იტევდა.

ლიტ.: ლ. ფრუიძე, მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში, 1974.

ნ.ჯ.

კომბალი — აქ. მწყემსის ჯოხი, რომელსაც თავში აქვს პატარა კაუჭი ცხვრის დასაჭერად.

კონკილა// ქვეშამდგე (იმერ.)// **ქესადგუმე** (მეგრ.), //**ბოჯგი** (აჭარ.) — ურმის თავის დასაყენებელი. როცა ხარებს გამოუშვებენ, ხელნაზე დამაგრებულ კონკილას უღელთან შეუდგამენ და ურემი ჰორიზონტალურობას შეინარჩუნებს.

ე. ნ.

კონტულცი (ქართლ.) — მოკლე, ორტაბიკიანი უღელი, რომელსაც აქვს „საქედური", მას უმეტესად ჯიუტ მოზვერს ადგამდნენ, რათა მოზვერი „გამოქნილიყო", მოთვინიერებულიყო.

მ. ბ.

კონჩოლი — სამარხვო საჭმელი ერთგვარი. ზეთში ჩაყრიან ხახვს, ჩაფშვნიან პურს, დაასხამენ ძმარს და მიირთმევენ.

კონჩხა (ხევს.) // **კოჩხო** (ფშ. თუშ.) — მრგვალი, ღრმა, ყურიანი უფეხო ხის სასმისი. გამოიყენებოდა წყლისა და რძის სასმელად. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მისი ანალოგიური სასმისებია: ქვიშინა (ლეჩხ.), კვანჩხი (რაჭ,), ჩაყვა (სამეგრ.)

საუკეთესო კონჩხა მზადდებოდა პანტისა და ველური მსხლის ხისაგან. მონადირეების კონჩხა ტარში გახვრეტილი იყო, ქამარზე იკიდებდნენ და ხმარობენ წყლისა და არყის დასალევად. ერწო-თიანეთში კონჩხას ყურიან ხის ჭიქასაც უწოდებენ. ზოგჯერ ორი კონჩხა მილით ერთმანეთსაა შეტყუპებული და ერთი რომ იცლება მეორედან გადაედინება.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ე. ნ.

კოპაჭური – თავკომბალა ჯოხი, თიხის ჭურჭლის შენებისას შიგნიდან უხვედრებენ რბილი ნაკეთობა რომ არ დაინგრეს.

კოპე//ხრიკა (გურ.) — ჭურიდან ღვინის ამოსაღები ჭურჭელი. კეთდება მწარე გოგრისგან ანუ ხაპისგან (იხ. ორშიმო). ორშიმოსგან განსხვავებით კოპეს ტარი შუა ადგილზე გამჭოლად ეგება და გასაჟონი ადგილები სანთლით ამოივსება. რაჭასა და იმერეთში კოპეს ხრიკა ეწოდება.

ლიტ: მ. გეგეშიძე, მეღვინეობის ხის იარაღ-ჭურჭელი დას. საქართველოდან, სსმმ, ტ. XIX, 1956.

ე. ნ.

კოპი (დას. საქ.) — ჩიხტაში ჩასადები „ქართული თავხურვის" ელემენტი. მასალად გამოიყენებოდა რბილი და ღია ფერის ქსოვილები, უპირატესად სატინა და ატლასი. ნახევრად რკალისებური ფორმის მისაღებად ვიწრო და ირიბ ნაჭერს ბამბით გამოტენიდნენ ისე, რომ მისი შუა ნაწილი, ბოლოებთან შედარებით მომსხო ყოფილიყო. კოპსა და ჩიხტას გვერდებზე ქინძისთავებით ლეჩაქ-ბაღდადებს ამაგრებდნენ. ჩიხტასთან ერთად კოპიც საოჯახო პირობებში მზადდებოდა, ლეჩაქ-ბაღდადებად კი ოსტატის ნახელავს ამჯობინებდნენ.

2. ქალამნის ნაწილი, წვრილი თასმა, რომელიც ღვედისგან არის გაკეთებული და ქალიმბაღის ამოსასხმელად გამოიყენებოდა.

ც. ბ. ნ.ჯ.

კოპიტი (შ. ქართ.) — ქართული ცულის ერთ-ერთი სახეობა.

კოპური (იმერ.) — ირგვლივ ნაოჭასხმული ქალამანია.

კორაკინა//კოროვანი (კახ.) — მოწნული გოდორი, მასში ჩასვამენ ახლად დაბადებულ ბატკანს. კორაკინა იმ სიმაღლეა, რომ ვერც ბატკანი ამოხტება იქიდან და ვერც სხვა ჩაუხტება. ცოტა რომ მოჩიტდება, საბატკნეში გადაიყვანენ.

ლიტ.: სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943,

კორვა\\ კორუა \\ კარვა (რაჭ. სვ.) — ხის საწყაო ფქვილისა და მარცვლეულისათვის.



ᲙᲝᲕᲖᲘ



კოვზები საკოვზით

კორთაი (ხევი) — სათავსი. სახლის-სამყოფოს კუთხეებში ამოჭრილი ბრტყელი ქვებით მოპირკეთებული. იხმარებოდა სხვადასხვა ნივთების დასადებად.

ლიტ.: ვ. ითონიშვილი, ხევი ძველად და ახლა, 1967.

ლ. ბ.

კორთეი (საინგ.) — ჯამ-ჭურჭლის დასაწყობი ხის თარო, მიდგმული კედელთან და დამაგრებული.

ლიტ.: მ. ჯანაშვილი, საინგილო, 1911-1913.

ლ. ბ.

კორკოტი — ხორბლისაგან დამზადებული ფაფის საკვები. მზადდებოდა კანგაცლილი დაღერღილი მარცვლისაგან. ეს კერძი, ისე როგორც წანდილი (იხ.), საწესო-სარიტუალო საკვებია. ამზადებენ შობას, სულთმოფენობას, კვირაცხოვლობას, მიცვალებულის „თავზე", „ორმოცზე", „წლისთავზე". გამოთქმულია მოსაზრება, რომ მიცვალებულის სახელობაზე და ახალი წლის დღესასწაულზე მომზადებული კორკოტი ბუნების აღორძინებისა და მთელი წლით სიკეთის დაბევების პრაქტიკული იდეით იყო გამსჭვალული.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში, 2007. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმ. ისტორიიდან, 1941.

ე. ნ.

კორნე – სწორი ფიცარი, რომელსაც ჰქონდა მოწნული გვერდები. აკვანში ჩაწვენამდე ერთი კვირიდან ათ დღემდე ჩვილს ამგვარ საწოლში აწვენდნენ (იხ. ხოჭიჭი).

კორჩიოტა — იმერეთსა და შიდა ქართლში ნისქვილის პატარა ქვების სახელია. ბუჭულაზე უფრო მცირე (იხ. ბუჭულა).

კოტორი//კოთორი — ხის გადანჭერი, პატარა მორი ყავრის დამზადებისთვის ვარგისი.

კოტორი — აქ: ყველისა და ხაჭოს ხაჭაპური თუშეთში, რომელსაც გარედან ერბო აქვს წასმული.

კოტოში — რქის ჭიქა, სისხლის მოსაზიდი ჭურჭელი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, კოტოში მიზიდვით სისხლის გამომღებელი ჭურჭელია. ძველად კოტოშად მოკლედ გადაჭრილ, ვიწრო და ბოლოგახვრეტილ საქონლის რქას ხმარობდნენ. ამჟამად კი ჩვეულებრივ მინის ქილას იყენებენ. რქის კოტოში, სვანურად „კობ" ყანნის მსგავსი ჭურჭელი, ოღონდ ბოლო აქვს მოკვეთილი. რქას ნუნს წააგდებინებდნენ, ცხელ წყალში ან ნაღვერდალში დაალბობდნენ, გათლიდნენ, შემდეგ გაფხეკდნენ, შიგნიდან გამოასუფთავებდნენ ხვენით და სასურველ ფორმაზე გადაჭრიდნენ. საქონელს ავადმყოფობის დროს, დაჟეჟილ არეს ბასრი დანით მსუბუქად დაუსერავდნენ. რქის კოტოშის გახვრეტილი ბოლოდან ჰაერს ამოწოვდნენ და ნახვრეტს გამდნარი სანთლით დაგმანავდნენ. კოტოშის შიგნით ვაკუუმი იქმნებოდა, რის შედეგადაც იგი მჭიდროდ მოეკიდებოდა ხორცს და სისხლს შეინოვდა, დასერილი არიდან ცუდი-არამი სისხლი გამოვიდოდა. რქის კოტოში საქართველოში თითქმის ყველგან იყო გავრცელებული. მას იყენებდნენ როგორც საქონლის, ასევე ადამიანის დაჟეჟილი სხეულის სამკურნალოდ.

ლიტ.: ნ. მინდაძე, ქართული ხალხური სამედიცინო ტრადიციები კახეთში, 2005.

მ.ხ.

კოში — სალუდე ქვაბიდან წვენის (სისნვენის) გადასაღები ხის ტარიანი ჯამისებური ჭურჭელი. საპატიო სტუმარს კოშით მიართმევდნენ ლუდს, რაც დიდ დაფასებად ითვლებოდა.

ე. ნ.

კოშკი — კოშკი გალავანშია ჩაშენებული ან ცალკე დგას. იგი ვიწრო და მაღალია. საქართველოში ორიდან რვა სართულამდე კოშკებს აგებდნენ. კოშკი არის გეგმით



კვადრატული, ცილინდრული, ზურგიანი (გეგმაში მისი ერთი მხარე ნახევარწრიულია), სწორუთხა, მრავალკუთხა, წრიული. სიტყვა კოშკი ქართულ წყაროებში XI ს-დან გვხვდება, მანამდე ასეთ ნაგებობას უწოდებდნენ გოდოლს, სვანეთში „მურყვამს." კოშკი დროის მიხედვით აღჭურვილი იყო სალოდეებით, სათოფეებით, საზარბაზნეებით.

ფეოდალურ ხანაში მთავარი სიმაგრე ციხე-ქალაქი იყო, მაგრამ ციხეების გარეშე ის თავის მოვალეობას ვერ შეასრულებდა. ციხე სახელმწიფოს ეკუთვნოდა, ხოლო ციხე-დარბაზი — კერძო პირს, ფეოდალს. ამ სიმაგრეებს სჭირდებოდა მაკავშირებელი, რომლის როლსაც ცალკე მდგარი კოშკი ასრულებდა. ამით ქვეყანაში იქმნებოდა თავდაცვის ერთიანი ჯაჭვი. თუ სახელმწიფო ძლიერი და ერთიანი იყო, ჯაჭვი მოქმედებდა და მტერი შეუმჩნევლად ვერ დაესხმებოდა. ციხეები და მათი მაკავშირებელი კოშკები ისე იყო განლაგებული, რომ ერთმანეთს უცქეროდა. ასეთი განლაგებისას საზღვრებზე მტრის გამოჩენისას იქვე მდგარი ციხის კოშკზე აინთებოდა კოცონი. მომდევნო კოშკის გუშაგი ცეცხლის დანახვისთანავე თვითონაც აანთებდა კოცონს და ასე, კოშკიდან კოშკს, სიმაგრიდან სიმაგრეს გადაეცემოდა სიგნალი, რომელიც სწრაფად აღწევდა ცენტრამდე. ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენის შემდეგ ცეცხლს თოფი და ზარბაზანი ცვლიდა. კოშკური კულტურა განსაკუთრებით განვითარდა სვანეთში (იხ. მურყვამი).

ლიტ: პ. ზაქარაია, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

კოჩაბანდი (ქვ.რაჭ.) — ხის სანოლი. კოჩაბანდი ხის სვეტებიანი საერთო საწოლია. გასდევდა კედლის 3/4 ნაწილს. სვეტები ეყრდნობოდა „ძირა კოჭებს", რომელზედაც დაგებული იყო კოჩაბანდის იატაკი, ხოლო „თავ-კოჭებზე" ჭერი. საწოლის წინა სვეტები თაღებიანი იყო. თაღებისა და სვეტების ზედა ნაწილს ჩუქურთმები ამკობდა. კოჩაბანდი შეძლებული, გაუყოფელი, დიდი ოჯახების საწოლი იყო. ღარიბ ოჯახებში კოჩაბანდის შემცვლელს სკამ-ლოგინი წარმოადგენდა, რომელიც აგრეთვე მთელი კედლის გაყოლებაზე კეთდებოდა. დიდი ოჯახის პირობებში ასეთი საწოლი იყო ორი — კაცებისა და ქალებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ საწოლი არ იყო დაყოფილი, მასზე ყველას ჰქონდა მონიშნული თავისი ადგილი.

ლიტ.: ა. კიკვიძე, „შუა-სახლი" რაჭა-ლეჩხუმში, ენიმკის მოამბე, ტ. V-VI, 1940. ლ. ბედუკიძე, ხის ავეჯი რაჭაში, სსმმ, XLII-B. 1997.

ლ. ბ.

კოჭი — გრძივი ძელები, რომლებიც დატანებულნია სახლის კედელში და რომლებზედაც დაიგება იატაკი და ლამფა.

კოჭი//კოჭაობა—კოჭით თამაში. ცხვრის კოჭს აქვს ოთხი მხარი: ალჩუ, თოხანი, თაფი, ჭიკი. გადაგდებისას რომელ მხარესაც დაჯდება, იმის მიხედვით განისაზღვრება მოგებული.

ე.ნ.

კოჭობი — საჭმლის გასაკეთებელი სადულარი ჭურჭელი. ქოთანზე მომცრო. აქვს ფართო პირი და ყურები ხელში მოსამარჯვებლად. კოჭობით ყანაში გასული მუშებისათვის კერძიც მიჰქონდათ.

მ. ზ.

კოჭობი სახუცო — ლუდის სასმისი, ვერცხლის სარიტუალო თასი, რომელსაც შებმული აქვს ხალხისგან შეწირული სხვადასხვა სამკაული: მონეტები, ყაწიმები, შიბები-ძეწკვები და სხვა. სახუცო კოჭობი წმინდა ჭურჭელია და სასმელი ჭურჭლებიდან მხოლოდ იმითაა ნებადართული კოდიდან ლუდის ამოღება. თუ ადამიანი ცოდვილია, თავის თავს ვერ მისცემს ნებას სახუცო კოჭობიდან ლუდი დალიოს. არის წესი, როცა განსაკუთრებული კრძალვის ნიშნად კოჭობს მიწაზე დადებენ და მუხლებზე დამდგარნი ლუდს დახტუნებით დალევენ. ამ ჭურჭლის საკრალურ დანიშნულებას ხაზს უსვამს ის გარემოებაც, რომ მას

წელიწადში ერთხელ გამოაბრძანებენ, რასაც ხალხი მუხლმოდრეკით შეხვდება. ეს თასი თავისი სიმბოლური არსით ზეციური წარმოშობისაა და ციდანაა ჩამოსული, ღვთისშვილთა ნიშანს წარმოადგენს და მისგან აღმოცენდება ჯვარ-ხატი. „ეს ცით მოსული ხატი" (ანუ ჯვრის ნიშანი), რომელიც ეკვრის სახუცო კოჭობის კიდეს, მტრედის სახით ეცხადება საყმოს. თასს განსაკუთრებული ძალა ენიჭება ხევისბერის ხელში, ხოლო მასზე მიკრული სამკაულები დიდი პატივისცემის ნიშანია. სახუცო კოჭობიდან თემის წევრები მოსეამენ ლუდს, რითაც სიმბოლურადაა გამოხატული თემის ერთიანობის იდეა.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ქართული ლუდი, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ III, 2007.

ე. ნ.

კოხი — მაგარი შედგენილობის ჯიშის ქვა, რომლისგანაც სხვადასხვა ნიეთს ამზადებენ. კოხი სინოტივეს არ ინარჩუნებს, ხავსი არ ეკიდება, არის თეთრიცა და ლურჯიც, მონითალოცა და მოყვითალოც. წითელი და თეთრი კოხებით მოჭედილი იყო კევრები.

ე. ნ.

კოხუჯი (ხევი) //კვანძური(კახ.)//ჯღანი(ჯუთა, ხევს.) — უხეში ქალამნის ტიპი. ასეთი ქალამნის ამოსხმის დროს საკერავი თასმა ხელში იგრიხებოდა, რათა ხმარების დროს კოპს (იხ.) მეტი სიმაგრე ჰქონოდა. ერთ თვალში გაყრილი კოპი უკანვე ბრუნდებოდა და კოპები გრეხვით ერთმანეთზე იდებოდა. ერთი კოპი ნაჩვრეტში გადიოდა და ასე მეორდებოდა ქალამნის ამოსხმის დასრულებამდე. კახელები კოხუჯს უწოდებდნენ უშნოდ ამოსხმულ, გაცვეთილ და გამხმარ ქალამანს.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

კრაზანა — ერთგვარი მცენარე, რომელსაც ჭურის სარეცხად ხმარობენ შემოდგომის პირას, როცა ეს მცენარე ზრდა-განვითარებით მთლიანად დასრულებულია მოჭრიან, შეკრავენ მაგარ კონებად და რთვლამდე შეინახავენ. ჭურების რეცხვის წინ წყალში დაალბობენ „კაცის მაჯის სიმსხოზე" თავბოლოშექცევით დაალაგებენ. შუაგულში მანეულის „ღვლეჭს" მოუჭერენ, შემდეგ წრიულად მომშვილდავენ, კანაფს დაამაგრებენ და მისი გაფშეკილი მაგარი ბოლოებით ხეხავენ ქვევრის ზეადაპირს.

ე. ნ.

კრამიტი — სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების გადასახური. მეკრამიტეთა საქმიანობა კრამიტის თიხის გახმობა-დალბობით იწყება. დაზელილ თიხა გაბრტყელდება და მოსუფთავებულ სოხანეს თხლად დაეკვრება. გაბრტყელებული თიხის შუაგულში მარცხენა ფეხს დააბჯენენ და მარჯვენა ფეხის ქუსლის ცემით ირგვლივ შემოვლას დაიწყებენ. ქუსლისავე დახმარებით თიხას ნანილებად დაჭრიან და შლამმოყრილ დაზგაზე გუნდებს დააწყობენ. ამის შემდეგ ხდება ხელით დარჩევა, რათა საკრამიტე მასა განთავისუფლდეს მინარევებისაგან. აქედან იწყება კრამიტის მოჭრა ყალიბის საშუალებით. ყალიბი ხისაგან გაკეთებული მოგრძო ჩარჩოა, რომელსაც ერთი მხარე ფართო, ხოლო ბოლო ვიწრო აქვს. ყალიბში გაყვანილსა და ზედაპირგადასწორებულ თიხას ე.ნ. ქობუნაზე (იხ. ქობუნა) გადაიტანენ. საქართველოში ადრე სწორი ქართული კრამიტი იჭრებოდა, შემდგომ პერიოდში ქართული კრამიტი შეცვალა ღარიანმა კრამიტმა. ღარიან კრამიტს ამობურცული ზურგი აქვს, რომლის ერთი ნაპირი ბრტყელია, მასზე კარგად რომ მოთავსდეს მეორე ცალი. ღარიანი კრამიტი შუაზე გაჭრილი მილის ფორმისაა. ორ ერთმანეთთან მიჯრით მონყობილ ამოყირავებულ კრამიტს ზემოდან დამხობილი აქვს მესამე კრამიტი. სახლის გადახურვა ძველად სწორი და ღარიანი კრამიტის მონაცვლეობა-შერწყმით ხდებოდა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მარტო ღარისებური კრამიტი იჭრებოდა. საქართველოში არსებობს „ქსნური კრამიტიც", რომელსაც იტალიურ კრამიტსაც უწოდებენ. საკრამიტე ქარხანა სოფ. ქსანში იტალიელს აუშენებია და სახელიც

აქედან მომდინარეობს. სოფ. ქსანში დამზადებული კრამიტი მთელ საქართველოში ვრცელდებოდა. როგორც ცნობილია, თავდაპირველად კრამიტი და აგურიც საკულტო დანიშნულების ნაგებობებისათვის იყო განკუთვნილი. არქეოლოგების აზრით, კრამიტი სამეფო, გაბატონებული წრისათვის განკუთვნილი ნაგებობების გადასახურავად იხმარებოდა. ეთნოგრაფიულ ყოფაში შემოგვრჩა მოკალული, ანუ მოჭიქული კრამიტიც. რომლითაც იხურებოდა საკულტო ნაგებობები. ამგვარი კრამიტის გავრცელების ფაქტი დასტურდება ბაგინეთის, ვანისა და ურეკის არქეოლოგიურ ძეგლებზე. მოჭიქული კრამიტით გადახურული ყოფილა ალავერდის ტაძარი და ლურჯი მონასტერი ქ.თბილისში. ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის კერამიკის ფონდში დაცულია სოფელ შროშიდან ჩამოტანილი ლურჯად მოჭიქული კრამიტი.



ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კახური კერამიკა. მ. ზანდუკელი, ქართული კერამიკა, 1982. ა.ბოხოჩაძე, რუსთაველის ეპოქის სამშენებლო კერამიკა ძველ საქართველოში, 1968.

მ. ზ.

კრიალოსანი — 1. სალოცავად ასხმული მარცვალნი, „ესე არს მძივნი, ანუ ხეთა ნათალნი ძაფსა ზედა“ (საბა). გამოიყენება ლოცვის კანონის შესასრულებლად. წარმოდგება ბერძნული „კირიე ელეისონ“-იდან, რაც ნიშნავს „უფალო, შეგვიწყალენ“. მძივთა რაოდენობის ჩაყრით, წარმოთქმული ლოცვების რაოდენობა განისაზღვრება. 2. ქალთა სამკაული, რომელიც მზადდებოდა ძვირფასი ქვებისა და მინისაგან. 3. მოხუცთა გასართობი, თითებით სამარცვლავი.

ლიტ.: ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული I, 1991. მართლმადიდებლის მცირე ლექსიკონი, 2002.

ხ. ც.

კროცი//კროლი (იმერ.)— ნაჭუჭგაცლილი, საღი კაკალი.

კროჭი//კროჭა (თუშ. ფშ.) — ქალის სამკაულებისა და ხელსაქმის იარაღების ყუთი. ჰქონდა გასაწევ-გამოსაწევი სახურავი. უკეთდებოდა ასახდელი სახურავიც. შემკული იყო უხვი ორნამენტებით.



ლ. ბ.

კუბასტი — დიდი თავსაფარი.

კუბდარი — დაკეპილი ხორცითა და სანელებლებით შეზავებული პური, სვანური სამზარეულოს კულტურული მონაპოვარი. უაღრესად დიდი ადგილი ეჭირა საკულტო დღესასწაულებში, როგორც სანესო-სარიტუალო პურს.

ე.ნ

კუბო – საბას მიხედვით, „კუბო არის ქალთა და კაცთა ჩასაჯდომელი, აქლემთა ასაკიდებელი, გინა ხელით სატარებელი“. ვეფხისტყაოსანში ნათქვამია: „იგი მზე შესვეს კუბოსა, არს მათგან განაკრძალები“. ძველი ქართული ენის ლექსიკონში იგი განმარტებულია „სასძლო, საქორწინო სახლად“. ქრისტიანულ მწერლობაში ღვთისმშობლის საფლავი „ყოვლად დიდებით მოსილი საქორწინო პალატია“. კუბოს განმარტება, როგორც საქორწინო პალატისა უნდა იყოს ძველი ცნება ამ ტერმინისა. სავარაუდოდ, შემდეგში დაუკავშირდა სიკვდილს და მიცვალებულის ყუთის ჩასასვენებელ ტერმინად იქცა.

ე. ნ.

კუდბანარა — ქვის სატყორცნი იარაღი. წარმოადგენს ბანარშებმულ ფილთაქვას, რომლის გასროლის დროს ქვას თან ბანარი მიჰყვება. შურდულთან შედარებით ამ კუდბანარას უარყოფითი მხარეებიც

გააჩნია — გასროლილი ფილთა ისე შორს ვერ გაიტყორცნებოდა, რადგან ქვას თან ბანარიც მიჰყვებოდა, და მეორეც, შეიძლებოდა, ბანარი რამეს გამოსდებოდა და ქვის მოძრაობა შეეფერხებინა. კუდბანარა მეშურდულეს უკანასკნელ იარაღს წარმოადგენდა, როდესაც ბრძოლა ტრიალ მინდორზე მიმდინარეობდა და ქვის საშურდულე მარაგი ამოიწურებოდა, მეშურდულე კუდბანარას გამოიყენებდა.

მ. ქ.

კუთო — ბრინჯითა და კარტოფილით შემზადებული წვნიანი კერძი.

კულა — 1. ხისგან გაკეთებული ღვინის ორიგინალური სასმისი, რომლისთვისაც საუკეთესო მასალა იყო ძელქვის, ბზის, ურთხელის, კაკლის ხე. კულას აქვს მასიური ოვალური ტანი და გრძელი ყელი. ყელთან პატარა რქა აქვს სმისას თითის გამოსადებად. კულიდან ღვინო რაკრაკით გადმოედინება. კულებს არცთუ იშვიათად ამკობდნენ ვერცხლის დეტალებით და ძვირფასი ქვებით. კულას ამზადებდნენ მწარე კვახისაგანაც, რომელიც ორშიმოს მსგავსად მუშავდება (იხ. ორშიმო). ასეთ კულას ყელში უდგამენ ხის ტიხარს ღვინო რომ ძუნწად მიანოდოს და ღვინის სმის პროცესი გაახანგრძლიოს. ხშირად კვახის კულას ამკობდნენ ნარნერებითა და ორნამენტებით, არცთუ იშვიათად უკეთებდნენ ინკრუსტაციას სხვადასხვა ქვებით (მაგ., გიშერი). 2. ქვებით აგებული ოთხკუთხი სვეტი, რომელიც მოხევეთა სახლში დედაბოძის მოვალეობას ასრულებდა.

ე. ნ.

კულაბა — ბზის ჯოხი, ამ ხელსანყოთი ხელოსნები კალაპოტში ჩადებული წულის ძირს ლესავდნენ.

კულონი — ერთგვარი ოვალური ფორმის სამკაული. ზოგჯერ აქვს საკიდრები. კულონს ძირითადად აკეთებენ ოქროსა და ვერცხლისაგან. ხშირად აჟურულად დამუშავებული კეთილშობილი ლითონისაგან, ხმარობენ ძეწკვზე დაკიდებულს.



კულონი საქართველოში მიღებული სამკაული იყო ისტორიულადაც. არქეოლოგიურ ძეგლებში მიკვლეული კულონები შემკულია საქართველოსთვის ტრადიციული ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებით. ესენია: ალმასი, ლალი, ზურმუხტი, საფირონი, ამეთვისტო და სხვა. ზოგჯერ კულონს ავგაროზის დანიშნულებაც ჰქონდა. მაგ., II-IVსს-ით დათარიღებულ წილკნის არქეოლოგიურ გათხრების შედეგად ნაპოვნ ოქროს კულონს, რომელიც შემკულია ამეთვისტოს ინტალიოთი და მარგალიტით, ინტალიოს ზურგზე, შელოცვების ტექსტით მაგიური შინაარსის წარნერაა ამოკვეთილი. ამგვარი ავგაროზ-აბრაზაქსები ძალიან პოპულარული იყო ანტიკური ხანის დასასრულს და მათი ანალოგები მრავლადაა აღმოჩენილი საქართველოში.

ლიტ.: ი. გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981; ს.სელივანკინი, პ.სერენკო, პ. ციპლაკოვი, საიუველირო საქონელი და საათები, 1958.

მ. ბ.

კუნჭულა — გიდელისებურად მოწნული ჭურჭელი, ხეზე ასული ყურძნის საკრეფად ხმარობენ.

კუპატი//შიგნითა//შიგნითადი(თუშ)**//ძეხვი**(ქართ.ენ.)**//მძეხვი**(ფშ.)**//ჭიჭნაგური** (ინგ.) — კარგად მოხარშული, ნვრილად დაკეპილი და სუნელებით შეზავებული ხორცი, რომელსაც ჩატენიან, ცხოველისავე კარგად გასუფთავებულ-გარეცხილ ნაწლავში. ნაწლავში ჩატენილ ძეხვს მოუკრავენ თავ-ბოლოს, რითაც დაცულია გაფუჭებისგან. სამეგრელოში კუპატს ძირითადად ამზადებენ შიგნეულობისგან.

ნ. ჯ.

კუპრიელი – მოკუპრული ტყავის ჭურჭლის ზოგადი სახელია. გატყავებულ და დამუშავებულ ტყავს ხელოსანი კარგად გარეცხავს, გაპარსავს, მზეზე გამოაშრობს, ჭიპთან და უკანა ნახვრეტთან ხარატულებს

დაუყენებს, ნინა ფეხებზე მასრებს მოარგებს, ხოლო უკანებს თასმით შეუკრავს და ბალანგაცლილ ზედაპირს ცხელ კუპრს თანაბრად წაუსვამს. ტყავი რომ გაშრება, გადმოაბრუნებს, მოკუპრულს შიგნით მოაქცევს და კუპრიელი მზადაა ღვინის გადასატანად. ხმარების შემდეგ კუპრიელი უნდა გაიბეროს და ასე უნდა იქნეს შენახული.

ე. ნ.

კურტაკი — „არს სამოსელი მეომრისა საჩინო ჯაჭვთა გარედან საცმელი"(საბა).

კუს ერბო — ერთგვარი საჭმელი მთიულეთში „დათლილ ყველს მაუკიდებდნენ ერბოზე", ზოგჯერ ნიორსაც ჩააჭრიდნენ.

კუტალი — ძირჩადგმული, ცილინდრისებური სამ დაბალ ფეხზე შემდგარი ხის (ნაძვის // კატრის) ჭურჭელი, რომელსაც აქვს მილი, ყელი, ტანი // გვამი და სახელური. კუტალი ითლებოდა ორი მტკაველი სიგრძის ხისაგან, მის ტანს ხოწით ამოთლიდნენ, ხოლო ყელს შამფურით ჩასწვავდნენ. ნედლ კუტალს ფიჭვის ხმელ ძირს ჩაუდგამდნენ. კუტალის დიდი რაოდენობით ამზადებდნენ მესხეთ-ჯავახეთის სოფლებში, განსაკუთრებით გამოირჩეოდა გოდერძისა და წინუბნის კუტალები. წყლით ავსებულ კუტალს სახელურით ზურგზე მოიკიდებდნენ, აქედანაა წარმოშობილი იმერულ დიალექტში შესული სიტყვა „მოკუტალება".

გ.გ.

კუნუბი – გარშემო შემოვლებული არშია, ხერხის კბილებივით ოკრობოკრო.

კუჭურა — გათხოვილი თუში ქალის მანდილის ქვეშ სატარებელი თავსადგამი (ადრე მის მაგივრობას თმების განსაკუთრებული ვარცხნილობა სწევდა). მასალად გამოიყენებდნენ უბრალო ბამბის ქსოვილებს, უპირატესად თეთრ „ამერიკას" და მატყლს. ნაწილები: თავისკვერი//გორილაი, ბოძები, ზოლტები და ყაპყატოი. აქედან ზედა წრე, შუა და უკანა ზოლტები მატყლით იყო გატენილი. დანარჩენები ორკეცი მატერიისაგან სოლისებურად იკერებოდა. მათი სიგრძეც განსხვავებულია. თუში ქალი მამაკაცის თანდასწრებით კუჭურას არ გამოაჩენდა. ჩიხტის ფუნქციის მატარებელი ეს უჩინარი თავსახური გათხოვილ ქალს ნიადაგ უნდა ეტარებინა და სიკვდილის შემდგომ, საფლავშიც თან უნდა გაეყოლებინათ.

ლიტ.: გ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1993. ც. ბეზარაშვილი, თუში ქალის ტალავარი, კრ. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967.

ც. ბ.







კუტალი







კალათა



ლაბარი (ხევი) — სახლის გადახურვისას გამოყენებული სვილის ნამჯა, რომელზედაც აყრიან მინას და შემდეგ ტკეპნიან.

ლიტ.: ქელ. 2009.



ლაგამი — აღვირზე რგოლებით დამაგრებული ორნანილიანი მეტალი, რომელიც ცხენს ამოედება პირში და მისი მეშვეობით მხედარი ცხენს აჩერებს ან აძლევს მიმართულებას. ზოგჯერ ლაგამს უკეთებდნენ ხორკლებს, რათა მართვის პროცესი უფრო ეფექტური ყოფილიყო.

ლაგამ-აღვირი ხშირად შემკული იყო ძვირფასი თვლებითა და ვერცხლის სევადით.... „ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა" (ვეფხისტყ.). საბა ლაგამს საკბილავს უწოდებს. ქართველ არქეოლოგთა ვარაუდით, ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრიდან ჩნდება ლითონის ლაგმები; ბრინჯაოსაგან დამზადებული ეს ლაგმები დაკბილულია, რაც იმის მანიშნებელია, რომ ასეთი ლაგამასხმული ცხენი ძნელად დასამორჩილებელ-გასახედნავი უნდა ყოფილიყო.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ცხენის აღკაზმულობა. კრბ. ოჩხარი, 2007.

ლაგერი — მდინარეზე ნავის სამართი გრძელი და მსხვილი კეტი.

ლაგვანი — პირფართო სარწყული დოქი.

ლავაში — თხელი პური. ამგვარი ფორმის პური ფართოდ იყო გავრცელებული მთელს წინა აზიაში. კავკასიაში ცნობილია ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და აისორული ლავაშები. ქართული ლავაში შედარებით სქელი, სომხური კი ძალზე თხელი და გრძელია. შესაბამისად ქართული ლავაში მზადდება საფუვრიანი ცომისგან, სომხური კი უსაფუვროსაგან. ამ ტიპის აზერბაიჯანული „ფათირი" და ებრაული „მაცა" რიტუალური საკვებია. შესაძლებელია ითქვას, რომ ამ სახის პურეულს ადრეევ გამოეყო ქართული ლავაში და თვითმყოფადი სახე შეიძინა. ქართული ლავაში თონეში ლაფათით (ტარიანი დაფა, რომელსაც ზედ ბალიში აქვს გადაკრული) ჩაიკვრება და მისი ვარიაციული სახელწოდებებია ფაფხაჭა, უდიერი, მუცელგანიერი, მადაური, იყალთოური, გარეჯული და სხვ. ისე როგორც შოთმა (იხ.), ლავაშმაც დროთა განმავლობაში სარიტუალო დანიშნულება შეიძინა. მას აცხობდნენ მიცვალებულის სახელზე. იცოდნენ ლავაშის მკვდრის გულზე გადატეხვა და შემდეგ ღვინოში ჩამბალი ნატეხების შეჭმა, რაც აიხსნება ქრისტესთან ზიარების სიმბოლურ გარდასახვად.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. 2007

ე. ნ.

ლაზგა//ლარდა (სვან) — სამყოფი. ძველი საცხოვრებელი ნაგებობები სვანეთში. ძირითადად ორნაირი სახის იყო. პირველი წარმოადგენდა რთულ კომპლექსს, ხოლო მეორე მარტივს, ერთშენობიანს. რთულ კომპლექსურ ნაგებობათა ანსამბლში შედიოდა: სახლი — „ქორ", კოშკი-„მურყვამ," საგაზაფხულო სამყოფი „ლუფხვილდ"//„კეშგ"//„გუბანდ", ბოსელი, დერეფანი. ამ ნაგებობათა გარშემო შემოყოლებული იყო ქვითკირის ზღუდე — გალავანი „ძღვილდ". მარტივი, ერთშენობიანი საცხოვრებელი მოიცავდა ერთ სახლსა და კალოს.

რთული კომპლექსური ნაგებობის სამსართულიანი სახლი — „ქორ" გამოყენებული იყო ადამიანის საცხოვრებლად, საქონლის სადგომად და სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულებისთვის. ტიპურ სვანურ სახლს მიდგმული აქვს დაბალი კოშკი, რომლის პირველ სართულზე, ხის კიდობნებში ინახავდნენ ადამიანთა საკვებ პროდუქტს, მეორე სართულზე ინახავდნენ თივას — საქონლისთვის. ზოგჯერ ორ სვანურ სახლს შორის გასასვლელში მოწყობილი იყო სამჭედლო.

სვანური სახლის მრავალნაგებობიანი კომპლექსის არსებობა გათვალისწინებული იყო დიდი ოჯახის

ინტერესებიდან გამომდინარე. აქ რამდენიმე თაობის წარმომადგენელნი თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობდნენ და საერთო ორგანიზაციული გეგმის მიხედვით ეწეოდნენ სხვადასხვა სახის სამეურნეო საქმიანობას. საცხოვრებელი სახლის კომპლექსში ყველას თავისი ადგილი ჰქონდა დასაძინებლად მიჩენილი და მათი იზოლაცია შეძლებისდაგვარად იყო დაცული, ოჯახის წევრთა საერთო შესაკრებელს კი წარმოადგენდა ვრცელი დარბაზი — „მაჩვიბი" (იხ.), სადაც დაბრძანებული იყო ოჯახის უფროსი „ქორა მახვში" და განაგებდა სხვადასხვა საქმის გეგმაზომიერ წარმართვას.

ლიტ.: მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1961.

ნ. გ.

ლათასმურა — ტყავის დასაჭრელებელი ხელსაწყო. იგი ადრე რქისა ყოფილა, მოგვიანებით — ხისა. ლათასმურას კბილებში მოთავსებულ ტყავს დანის პირით დაჭრიდნენ საჭირო ზომისას.

ნ. ჯ.

ლათბა (თუშ.ხევს.) — ლუდის გამოხდისას სისწვენის მოსაკავებელი, გეჯისებური დიდი ზომის ჭურჭელი როგორც ხის, ასევე სპილენძისა. ლათბას შეკერავდნენ სპილენძის ფირფიტებისაგან, ისევე როგორც ლუდის ქვაბს. (იხ. ქვაბი ლუდისა). ხის ლათბას აკეთებდნენ ნავისებურად, ცაცხვის ან მურყანის ხისგან.

ე. ნ.

ლაინი — არაბ. „ლაინ" ან „ლეინ" ნიშნავს რბილს, ნაზს. შინაური წესით ოთხ დგიმით დამზადებული ბამბის ქსოვილი — ნარმა შეღებილი მუქლურჯად ლილაში. წმინდად დართულით იკერებოდა ახალუხი, ასევე საცვლები და პერანგები. იგი მოიხმარებოდა საბნისა და ლეიბების პირებადაც. (ქიზიყი, იმერეთი, თუშეთი, ფშავი). XVIII ს. ლაინის კაბა და ახალუხი კარგ ჩასაცმელად ითვლებოდა.

ლიტ.: მსხში ტ. II 1981.

ლ. ბ.

ლაკვა\\ღრუდო — კლდეში ამოჭრილი დიდი ქვევრისებური წყლის რეზერვუარი. საუკეთესო ნიმუშები დადასტურებულია დავითგარეჯის უდაბნოში—ლავრაში, ნათლისმცემელში, დოდოს რქაში. აქაური ბერები პიტალო კლდის მასივზე ჭრიდნენ ღარებს, რომელთა მეშვეობითაც წყალი ჩაედინება ლაკვებში. ლაკვები დაცული იყო კარგად მორგებული სახურავებით. ისინი, რომლებიც დასალევად გამოიყენებოდა, ცალკე სენაკში იყო ამოჭრილი. სათავსს ჰქონდა კარები, რომელიც იკეტებოდა. თითოეული ლაკვის ტევადობა ხუთიდან ათ ტონამდე წყალს მოიცავდა. ერთი ძლიერი წვიმის შედეგად ივსებოდა პირთამდე. უდაბნოს პირობებში ეს იყო უაღრესად რაციონალური ხერხი წყლის შეგროვებისა. გარეჯული ლაკვები აღმოსავლური მეუდაბნოებისათვის დამახასიათებელ კლასიკურ ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს წარმოადგენენ.

ლიტ.: ე. ნადირაძე, თ. ნადირაძე, უდაბნო საღვთოდ შემოკრებულთა, 2001

თ. ნ.

ლაკუმი (ლაზ.) — ჭოროხულ ნავზე ნიჩბების დასამაგრებელი.

ლალი — გამჭვირვალე წითელი ფერის ქვა, ისტორიულ წარსულში ლალი წარმოადგენდა იმპორტულ ქვას, რომელიც ძირითადად აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოჰქონდათ, მისი სახელიც არაბულ-სპარსული წარმოშობისაა, ხოლო ევროპულ ქვეყნებში რუბინი ეწოდება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძვირფასი ქვა ძნელი საშოვნელი იყო, ქართული ოქრომჭედლობის არაერთი ნიმუშია შემკული ლალის თვლებით, მაგ., ბორში აღმოჩენილი ანტიკური ხანის ერთ ყელსაბამს 29 ცალი ლალის ქვა ამკობს. ლალის გამოყენება საქართველოში გაიზარდა შუა საუკუნეებში, განსაკუთრებით საეკლესიო ნივთებში. ქართულ მწერლობაში ლალი იქცა ბრწყინვალე წითელი ფერისა და სილამაზის სიმბოლოდ. ღვინოც კი, ასე სანუკვარი პროდუქტი, ქართველს ლალისათვის შეუდარებია.

ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ე. ნ.

ლამპარი — ზეთიან-პატრუქიანი სანათი, სხვადასხვა სიდიდისა სხვასხვა სოციალური გარემოსთვის შეთანწყობილი.

ლამპარის კვერი — ბედის კვერზე (იხ.) მოზრდილი კვერი. აცხობდნენ ახალი წლის შესახვედრად. ერთი კვირა გაუტეხავს ინახავდნენ. წყალკურთხევის წინა დღეს — ლამპარის კვერს საცერში ჩადებდნენ და აჰკიდებდნენ ბიჭს, რომელიც გარეთ დანთებულ ცეცხლს სამჯერ შემოუვლიდა ყვირილით: „საფუარი მფუანი, სახლი ბარაქიანი". ამის შემდეგ ტყისკენ გაიხედავდა და იტყოდა — „ასეთი ყანა მოგვივიდესო". შემდეგ სახლში კოჭლობით შევიდოდა, დაიჩოქებდა და დაიძახებდა: „მომეშველენით, კეთილმა ნელმა ნელი მომწყვიტაო", მოვიდოდნენ, საცერს მოხსნიდნენ, ლამპარის კვერს დაჭრიდნენ და შეჭამდნენ".

ლიტ.: ნ. თოფურია, ღვინის ზედაშეები, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII-XIII, 1969, ნ. ბრეგაძე, მთის მინათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, 1969.

ნ. ჯ.



ლამტვარალი — სვანური სახლის მაჩვიბის გასანათებელი საშუალება რომელსაც კიდებდნენ კერის თავზე, „შგილზე". შედის სვანური კერის კომპლექსში.

გამოიყოფა მარტივი და რთული კონსტრუქციის ლამტვარალი. მარტივი კონსტრუქციის შედგება სამი ღერძისგან, რომლებიც აერთიანებს რკინის ორ მრგვალ დაბრტყელებულ რგოლს. ზედა რგოლი გუმბათისებური ფორმისაა. ქვედაზე კი რამდენიმე წვრილი რგოლი ისეა დარჩილული, რომ კვარი კარგად დაიდოს, ხოლო ნახშირი და ნაცარი კი ძირს ცვიოდეს. შუა ღერძზე ჯაჭვია მიბმული, რითაც ლამტვარალს შგილზე ჰკიდებდნენ.

რთული კონსტრუქციის ლამტვარალს რვა გარეთა ღერძი აქვს. ღერძები დაგრეხილია. სამი რგოლი ზევითაა და სამი ქვევით. შუა ღერძი ყველაზე გრძელია და გარეთა ღერძებამდე რკინის მრგვალი ჯოხებია გადებული. ღერძების გადაკვეთის ადგილები ზოომორფული ფიგურებითაა შემკული.

დასაკიდი ლამტვარალის გარდა სვანეთში დასადგმელი ლამტვარალიც გვხვდება, რომელსაც ძირითადად დროებით საცხოვრისში იყენებდნენ.

დასაკიდ ლამტვარალს სოფლის მჭედელი ამზადებდა: რკინას დაკვერავდნენ 70სმ-ის სიგრძის ოთხკუთხედებად („ლევთხუვე") — 4 ან 5 ცალი სვეტებისთვის და ერთი რგოლისთვის („გირგველდ"). თანაბრად დაკვერილ რკინის ზოდს გაახურებდნენ, ერთ ბოლოს მუხრუჭით დაამაგრებდნენ, მეორეს მარწუხით დაატრიალებდნენ და დაგრეხდნენ. სვეტები უთუოდ დაგრეხილი უნდა ყოფილიყო. რაც უფრო მდიდრულად იყო შემკული ლამტვარალი, მით მეტად ფასდებოდა. უბრალო ლამტვარალის ფასი ერთი თხა იყო, მდიდრულად შემკულის კი — ერთი ძროხა. ლამტვარალზე დასანათებ კვარს ოქტომბერ-ნოემბერში ამზადებდნენ. შემოდგომაზე დამზადებულ კვარს ცეცხლი, რომ კარგად მოჰკიდებოდა ახმობდნენ და მომავალ წელს იყენებდნენ. კვარი მზადდებოდა ფიჭვის ძირების და მორებისგან, მაგრამ ეს უკანასკნელი დაბალი ხარისხის იყო და მხოლოდ მაშინ იყენებდნენ, როცა ოჯახს ფიჭვის ძირების საკმაო მარაგი არ ჰქონდა.

ფიჭვის ძირის ამოთხრა მეტად შრომატევადი საქმე იყო და ამიტომ შრომის ორგანიზაციის კოლექტიურ ფორმას მიმართავდნენ. ზოგ დიდ ოჯახში კვარის 2-3 წლის მარაგი ჰქონდათ. ფიჭვის მორის კვარი ნაკლებ სინათლეს გამოსცემდა, ფესვის კვართან შედარებით. ამიტომ ხშირად შერეულ კვარს ანთებდნენ მაჩუბი რომ ზომიერად განათებულიყო. საუკეთესო კვარს „ცუბ"-ს უწოდებდნენ.

დასანთებად კვარის დაპობა კაცის საქმე იყო, მისი სახლში შემოტანა კი ქალების და ბავშვების. ოჯახი კვარს ფრიად მომჭირნედ ხარჯავდა, ვინაიდან მისი დამზადებისათვის ხანგრძლივი შრომა იყო საჭირო.

ლამტვარალის შესამკობად გამოყენებული იყო შინაური და გარეული ცხოველების სტილიზებული გამოსახულებები, რაც ქართველი ხალხის უძველეს რწმენა-წარმოდგენებს უკავშირდება. ეს ქმედებები მაგიური მნიშვნელობის იყო და ხალხის რწმენით ნაყოფიერება-გამრავლებასა და ოჯახის დოვლათიანობასთან იყო დაკავშირებული.

ლიტ.: მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1961.

ხ. ც.

ლამფა — 1. ჭერზე აკრული, ღარამოღებული, გაშალაშინებული ფიცარი. 2. ნავთის სასხმელი შუშიანი სანათი, რომელსაც აქვს ფითილი და მისი ასაწევ-დასაწევი ბურთულა.

ლაოდი (ლაზ.) — ნავში შესული წყლის ამოსახაპი ჭურჭელი.

ლაჟვარდი — ძვირფასი ცისფერი ქვა, რომელიც უძველესი დროიდან გამოიყენებოდა საიუველირო ხელოვნებაში. მისგან ამზადებდნენ ბეჭდებს, თვლებს, ყუთებს ამულეტებისთვის. გვიან შუა საუკუნეებში ლაჟვარდით ამკობდენ ავეჯს, ბუხრებს, ლარნაკებს. „ლაჟვარდი" სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ლურჯ ცას, ხოლო მისი ქართული შესატყვისია „ცაფერი" „ცისფერი ქვა". ლაჟვარდით შემკული ნივთები ნაპოვნია მცხეთაში — არმაზისხევის ნეკროპოლისში. საშუალო შუა საუკუნეებში ლაჟვარდს საღებავადაც იყენებდნენ, მაგალითად, კედლის მხატვრობაში.

ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ე. ნ.

ლარბიალ ბანდარ (სვან.) — ვარცლის დასადგმელი სკამი. ამ სკამის თავში უფროსი რძალი — მერბიელი (პურის მცხობელი) ჯდებოდა. მას ებარა ოჯახის პურეულის მარაგი და მასვე ეკისრებოდა პურის ცხობა. სვანურ ქორნილში კერის გარშემო სამჯერ შემოტარების დროს პატარძალს მარჯვენა ხელში მისცემდნენ პურის ფქვილით სავსე კარვას (ხის ყუთი), რომელშიც იდო სამკაულები: ჩაფრასტები, ბეჭედი და სხვა. პატარძალს მარცხენა ხელში ჩვილი ბავშვი ეჭირა. შემოტარების შემდეგ დედამთილი ან უფროსი რძალი რძით ხელებს დააბანინებდა. ამ ცერემონიალის შემდეგ დასვამდნენ „ლარბიალ ბანდრი თხუიმზე" — სკამის თავში, კალთაში კი პატარა ბიჭს ჩაუსვამდნენ — „ბიჭი დაგებადებაო".

ლიტ.: რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, 1939. მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან 1961.

ნ. ვ.

ლართხი — (ქართლ, კახ. ფშ.) წვრილი და გრძელი ლატანი, ურმის უბის საფარი.

ვ. ვ.

ლარი —1. მთის კალთის სიგრძეზე განლაგებული სახნავი ფართობი. შემაგრება და ჯებირი ლარს არ უკეთდება: იარუსულად განლაგებული ნაკვეთები ერთმანეთისგან ბალახითა და ბუჩქნარით დაფარული დაკორდებული ზოლითაა გამიჯნული. ლარების ნარმოშობა განაპირობებს სათესი ადგილების მოპოვების საჭიროებას მცირემინიან პირობებში.

2. საკრავი ინსტრუმენტის (ფანდური, ჩონგური, გიტარა) სიმი, რისთვისაც ადრე ცხოველის ნაწლავებსაც იყენებდნენ.

3. მარტყლის საპენტი მესხეთსა და რაჭაში. მსხვილად დაგრეხილი ლარი მაგრდება ოდნავ მოღუნულ ხის ჩარჩოზე და ხელის გამოკვრით პენტავენ მატყლს.

4. კალატოზთა წვრილი და მაგარი თოკი, რომელსაც გაასწორებენ თარაზოთი და მისი მიხედვით იჭერენ მშენებარე კედლის სისწორეს.

ე. ნ.

ლარნაკი — წმინდანთა ნაწილების დასაცავი ურნა, ვაზა, ყუთი. ილარიონ ქართველის გარდაცვალების შემდგომ „შემსგავსებულნი გალობითი დაკრძალეს ხორცნი იგი მოღვაწისანი, ხოლო საღმრთონი იგი ნაწილნი წმიდისა ილარიონისნი, საღმრთოდ შებურნეს და პატიოსნად დაკრძალეს ლარნაკსა შინა ქვისასა და დადგეს ეგუტერს შინა საყოფელსა მისსა". თავად ილარიონმა დავით გარეჯელის წმინდა ნაწილებისათვის „შეჰქმნა ლარნაკი მშვენიერი, რომელსა შინა ან მდებარენი არიან პატიოსანნი ნაწილნი წმიდისა მამისა დავითისნი", სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში ბასილი ამბობს: „მოვიწიე ზედა წმიდისა სამარხოსა მისს და ვიხილე საფლავი მისი ადგილსა ფარულსა, რომელსა ყოველნი უძლურნი მოიღებდეს დღითი-დღე კურნებასა, ამისთვისცა ბრძანებითა უფალთაითა ხელ ვყავ შევმზადე ლარნაკი ქვისაი და აღვაღე საფლავსა მისსა და დავსხენ წმინდა ნაწილები ლარნაკსა შინა ახალსა და აღვმართეთ მას ზედა ჯვარი". სამივე შემთხვევა ადასტურებს, რომ ლარნაკი არის მიცვალებულის წმინდა ნაწილების დასაცავი ყუთი, ურნა, ვაზა, რომელიც კეთდებოდა ქვისაგან, ხისაგან, ძვირფასი მეტალისგან, იდგმებოდა საფლავზე, ეკვდერში ეკლესიაში და

წარმოადგენდა მორწმუნეთა სათაყვანებელ ობიექტს. მოგვიანებით, ლუსკუმისა და ლარნაკის მიბაძვითაა წარმოშობილი საფლავის ლოდის, როგორც ლუსკუმის (იხ.) განსახიერების და მასზე აღმართული მატურის — როგორც ლარნაკის იდენტიფიკაციის წესი, რამაც მოგვცა კომბინირებული საფალვის ძეგლი.

ლიტ.: ე. ნადირაძე, საქართველოს მემორიალური კულტურა, 2001.

ე. ნ.

ლარ-ჩილფი — ხის მოხელე მორს ლარით დაჩილფავდა (აღნიშნავდა), რომლის მიხედვითაც უნდა გაეპო, გაეხერხა თუ გაეთალა სხვადასხვა საჭიროების ფიცრები. ლარი // რალი (რაჭ) // ჩილფი (ქართ.კახ. იმერ.) // ჩირფი (აჭარა) // ნახშირ-ბაწარი (თუშ.) წარმოადგენს რამდენიმე წვერად შეგრეხილ ძაფს, რომელსაც ამოავლებდნენ შავ „წერნაქში". გადაჭიმავდნენ დასამუშავებელ ფიცარზე და ლარს დაბერტყავდნენ, რასაც „ლარის" დაკვრას // „ხის დაჩილფვას" ეძახდნენ. „ლარის დაკვრით" აღინიშნებოდა გასახერხი ან გასათლელი ადგილი და შემდეგ იმის მიხედვით გაითლებოდა ხე.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური ნესები, 1962.

გ. გ.

ლარჭემი//სოინარი — ლერწმის მრავალღერიანი სალამური. ცნობილია სამეგრელოში (ლარჭემი, წარმოდგება სიტყვიდან „ლერწამი"), გურიაში (სოინარი, ბერძნული სიტყვიდან „სოლინარი") და ლაზეთში („ოსტვინონი").



საკრავი შედგება ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი სხვადასხვა სიგრძის მილებისაგან.

ყოველ მილს თავისი სახელწოდება აქვს: „კრიმანჭული", „მოძახილი", „გადატანილი", „წყება", „საშუალო", „ბანი" (გურია); „მეჭიფაშე", „მაჭყაფალი", „მაღალი", „მაბანე", „მეშხუაშე" (სამეგრელო). ეს სახელწოდებები სიმღერების ხმების სახელწოდებებია და გამოხატავს არა ბგერის ჰარმონიულ ფუნქციას, არამედ მის რეგისტრულ მდებარეობას. ღეროები ლერწმისა, ზევით ღია, სადაც შემსრულებელი ჩაბერავს, ხოლო ქვედა ბოლო წაკვეთილი, რაოდენობაა 5-6, სიგრძე — სხვადასხვა. ღეროები განლაგებულია ერთმანეთის გვერდით შემდეგნაირად: ცენტრში გრძელი ღეროები, ხოლო ნაპირებისაკენ კლებადი სიგრძით. ასეთი განლაგება დასავლეთ საქართველოში მკაცრადაა დაცული და მსოფლიოს სხვა ხალხებში ცნობილ მრავალღერიან საკრავთა შორის ანალოგი არ ეძებნება. ლარჭემის ლერწამს ჭრიან ივლისის ბოლოს, უფრო ადრე მოჭრილი ნესტიანია და საკრავს კარგი ხმა არ ექნება. ლერწმის ერთი ღერო საკმარისია საკრავის ყველა მილის დასამზადებლად. ყოველი მილისათვის მცენარის ერთი მუხლი გამოიყენება. მილის სისქეში განსხვავება არ ასრულებს არსებით როლს, რადგან ბგერის სიმაღლე ღეროში არსებული ჰაერის სვეტის სიმაღლეზეა დამოკიდებული, რისი ცოდნაც ემპირიული გზით არის მიგნებული ხალხური შემსრულებლის მიერ. ამიტომ ბგერის სიმაღლის რეგულირება ხდება ღეროს სიგრძით. ღეროების სიგრძე რეგულირდება სმენით. ლარჭემზე სხვადასხვა მწყემსური მელოდიები სრულდებოდა. უკრავდნენ საცეკვაოებსაც ქორწილსა თუ სხვა დღეობებში. სამეგრელოში არსებობდა მელარჭემეთა შეჯიბრების წესი — „ნირზი", რომლის დროსაც ორი მელარჭემე ექვსღერიან ლარჭემს შუაზე ყოფდა და ერთმანეთს გამძლეობასა და ოსტატურად შესრულებაში ეპაექრებოდა. ცნობილია აგრეთვე, რომ სოფ. ჩქვალერში (წალენჯიხის რაიონი, დიდ ხუთშაბათს, ეკლესიიდან ბრუნდებოდნენ ლარჭემის, დაირის და სპილენძის ბუკის (ოყელია) დაკვრით. ეს საკრავი სახალხო დღესასწაულებზე, სოფლის ლხინებსა და ქორწილებშიც ჟღერდა.

გურიაში სოინარი სასიგნალოდაც გამოიყენებოდა. კვერნაზე სანადიროდ წამსვლელი სხვადასხვა სოფლის მონადირეები სოინარის დაკვრით აძლევდნენ ნიშანს ერთმანეთს. ხშირად ფრინველების გალობასაც ბაძავდნენ. ყოფილან სოინარის ისეთი ოსტატები, რომლებსაც დაკვრაზე ბულბულიც გამოეპასუხებოდა ხოლმე.

ეს საკრავი ამჟამად ყოფიდან თითქმის გამქრალია.

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ხალხური სამუსიკო საკრავების აღნერა და გაზომვა, 1940. В.К. Стешенко-Куфтина. Древнейшие инструментальные основы грузинской народной музыки. Флейта Пана. Тб., 1936.

ვ. ბ.

ლასკარი (სვან.) — სადღეობო დაჯგუფება, რომელიც შედგებოდა მეზობლად მოსახლე ერთი ან რამდენიმე გვარის ოჯახებისგან.

ლასტი — 1. შვინდის ან თხილის ტოტების წნული (2 ან 3 მეტრის სიგრძის და 1 მ სიგანის) მეაბრეშუმეობაში გამოყენებული იყო კოკალიდან მესამე ასაკის აბრეშუმის ჭიის გადასარიგებლად. ლასტზე დააწყობდნენ თუთის ფოთლებს და ზედ აბრეშუმის ჭიას დასვამდნენ. ლასტებს აწყობდნენ მარანში, საბძელში—ბოძებზე გადებულ ლატნებზე, სხვენზე — პირდაპირ ფიცრებზე ან ოთახში ჭერიდან ბაწრებით ჩამოაბამდნენ. 2. საწნახელში იცოდნენ ლასტების ჩაფენა, რათა ტკბილს ჭაჭა არ გაჰყოლოდა. (იხ.ტოპკირი)

ლიტ.: ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957.

ლ. მ.

ლასტი//კიშტეი (თუშ.) — კალტის გასახმობი. ოთხკუთხედი კალათი. თუშეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი კიშტე გვხვდება ძველ ქართულ წყაროებში, როგორც პროდუქტის შესანახი — „ერთსა ჰქონდის კიშტეი სავსეი პურითა", „მიჩუენა მე უფალმან ორი კიშტეი ლეღვ".

ლიტ.: ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 1973.

ნ. ჯ.

ლასტიკი — სატინის მსგავსი შავი ფერის ფართლეული. იყენებდნენ საახალუხედ.

ლაფანი (ქართლ.) — ვენახის შესაკონავი, შესაყელი სახვევი. ამზადებენ ცაცხვის ქერქისაგან. ლაფანს დაალბობენ, შემდეგ წვრილ-წვრილ ძაფებად დაჩქლეთენ. კახეთში ასეთ სახვევს ხარალს, იმერეთში აკაციის ქერქისას — ქვთელოს, ხოლო რაჭაში თელის კანისას — ჭონი ჰქვია.

ე.ნ.

ლაფარა (იმერ.) // **ჩოტი** (რაჭ.) — პატარა საფხეკი, გამოიყენება მუშაობისას მიწით დამძიმებული ბარისა და თოხის გასაწმენდად. აკეთებდნენ როგორც ხის, ასევე ლითონისაგან. ლაფარას ხმარობდნენ ჭურისთავის მოხდის შემდეგ, ფარფლებზე დარჩენილი აყალო მიწის მოსაფხეკად და ბადიმების გასაწმენდად.

ე. ნ.



ლაფაჩა — დაბეწვილი ძვირფასი ტანსაცმელი. საქართველოში X ს-ში ჩნდება და მალე გამოდის ხმარებიდან. „ნიკორწმინდის სიგელში" აღნიშნულია; „ყანაში მიეეც ლაფაჩაი სტავრაისი და მელიის ტყავი შიგან ამოკერებული". ამ შემთხვევაში ლაფაჩის ზედაპირი სტავრის ქსოვილისა ყოფილა და სარჩული მელიის ტყავისა ჰქონია.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, III-IV, 1962.

ნ. ჯ.

ლაფერთხა// ლაფერა(აჭარა) /ჯიშხა(სვან) // **სამკაპალა // კიბორჩხა**(იმერ.). — სამი ან ოთხტოტა ჯოხი, გამოიყენებოდა როგორც სარევად, ასევე მასის (მაგ. ლობიოს) გასაქნელად.











ლოდი







ლოდის დეტალები

ლაღმი//ლაღუმი — ქვის მასივის ასაფეთქებელი ნივთიერება, შავი წამალი, ძირითადად შინნამზადი, რომელსაც სხვადასხვა მინარევებისაგან ამზადებდნენ. იყენებდნენ ქვითხურობაში. ბურის კეტით (იხ) გახვრეტის შემდეგ, ნახვრეტში ჩაყრიდნენ ლაღუმს, დაატანებდნენ წამალში შეზელილ, გამხმარი მცენარის უჯანგარის ღეროს, რომელიც ასრულებდა ფითილის მოვალეობას, დატკეპნიდნენ, წაუკიდებდნენ ცეცხლს და ააფეთქებდნენ.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხ. ქვითხურობა იმერეთში, 2001.

ე.ნ.

ლაღრავი (სვ.) — მარტივი სახვნელი იარაღი (მიწის სანერი). შედგებოდა: მხრის, საკვეთელისა და სახელურისაგან. მხარი მრგვლად ან ოთხკუთხედად გათლილი ხე იყო, დაახლოებით 250 სმ. სიგრძისა. თავში უკეთდებოდა რიკი, უღელზე მისაბმელი თოკის გამოსადებად, ხოლო ბოლოსკენ განყობილი იყო საკვეთლითა და სახელური ჯოხით. ლაღრავში ერთ უღელ ხარს აბამდნენ.

საკვეთელის გამოყენებას მიმართავდნენ გაბალახებული ან ყამირი მიწების დამუშავებისას. ჯერ მიწის ნაკვეთს ლაღრავით დაკანრავ-დახაზავდნენ და შემდეგ სვანური სახვნელით (ღანწუიში) მოხნავდნენ. ლაღრავი დამოუკიდებელი სახვნელის სახით არ გამოიყენებოდა, თუმცა სავარაუდოა, რომ იგი თავდაპირველად ამ დანიშნულებას ასრულებდა.

სვანური ლაღრავის ანალოგიურია ხევსურული კავწერა, სანერა (იხ.), თუშური საკვეთელი (იხ.), მეგრული ჯაში ოხონალი, ოღარაი (იხ.), ამ ტიპის იარაღები ცნობილია დაღესტანში, გერმანიაში, შვედეთში. მათი გამოყენება ხდებოდა ხრიოკი და მწირი ნიადაგის პირობებში.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობა სვანეთში, კრბ. სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1970

თ. გ.

ლაჩქიმი — მარხილისებური საზიდი ტრანსპორტი, რომლის თავ-ბოლო წნელებითაა გამაგრებული. ძირითადად გამოიყენებოდა მთიდან თივის ჩამოსატანად.

ბ.ბ.

ლაჭანი (ფშ. ხევს.) — ხის საკაცო საწოლი. ძირითადად ძირგამოწნული. ამგვარ საწოლში თივას ყრიდნენ და ზედ საგებელს — ლოგინს (ნაბდებს, ტყავებს) შლიდნენ. წნულის ძირი ხელს უწყობდა ჰაერის მოძრაობას და მასში ჩაგებული ქვეშაგებლის მშრალად შენახვას უზრუნველყოფდა. მიწის იატაკის სინესტის გამო საწოლი ფეხებზე იდგა.

ლიტ.: ლ. ბედუკიძე, ხალხური ავეჯი აღმ. საქართველოს მთიანეთში 1973.

ლაჭუნდირი — მოჩუქურთმებული ტიხარი სვანურ სახლში, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფდა ადამიანთა საცხოვრებელსა და საქონლის სადგომს. მოჩუქურთმებული იყო მაგიურ-აპოთროპეული დანიშნულების სიუჟეტებით, რომელიც ეძღვნებოდა ბარაქიანობის, მოსავლიანობისა და გამრავლების იდეას. სვანური ლაჭუნდირები ხალხური ხითხუროობის უნიკუმებს წარმოადგენს (იხ. ლეჭუნდირი).

ლიტ.:ქელ 2009.

ე.ნ.

ლახვარი — 1.ხის, ლითონის ან ძვლისტარიანი და ორპირიანი სამკუთხა დანა, რომლითაც მღვდელი აღასრულებს პროსკომედიაზე წმიდა ქმედებებს სეფისკვერების კვეთის დროს. სიმბოლურად იმ ლახვარს წარმოადგენს, რომლითაც ერთმა რომაელმა მხედართგანმა „ჯვარცმულ მაცხოვარს გვერდსა მისსა უგმირა". „ლახვრით განწმენდა" იმასვე გულისხმობს, რასაც წინასწარმეტყველის მიერ თქმული: „დასაკლავად წაიყვანეს, როგორც კრავი" (ესაია III, 7).



2. საძგერებელი იარაღი. ლახვარი ქართულია რაც სიტყვა „ხვრეტადან" მომდინარეობს. ლახვარი სხვადასხვა ზომისა იყო, ბოლოს თანდათან დაპატარავდა. ლახვრის ასეთი ცვლილება შესაძლოა დავუკავშიროთ მისი საბრძოლო ფუნქციის დაკარგვას. ლახვრის ქვეშ საბა აერთიანებს საძგერებელი საჭურვლის ყველანაირ, მისთვის ცნობილ სახეობას: ჰოროლს, გმურს, გეონს, სათხედს, ხელშუბას, შუბს, ხიშტს, ზუფანს და ლიბანდაკს.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემეი ტ. III-IV, 1962. *ხ.ც. მ. ქ.*

ლახტი — უტარო მათრახი. გრძელი და მაგრად დაწნული. გამოიყენებოდა ბრძოლის დროს. ასეთი ტიპის უნდა ყოფილიყო წყაროებში მოხსენიებული ტაჯგანაგი.

ლიტ.: სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

ლახუტი — საზედაშე პატარა ქვევრი სამეგრელოსა და ლეჩხუმში.

ლაჯშარ (სვ.) — დგიმ-სავარცხლიანი ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის ერთ-ერთი სახეობა. შალისა და კანაფის ქსოვილების საქსოვი. იქსოვებოდა სახიანი ქსოვილებიც. მისი ანალოგიური საქსოვები იყო „ქსელი", „საფეიქრო" (რაჭა), „საქსელი" (იმერეთი), „საოშუალო" (სამეგრელო), სამექსელო (აჭარა). ასეთივე საქსოვები დადასტურებულია ჩრდ. კავკასიაში ბაქსანის ხეობაში, ჩერქეზეთში. ამ ტიპის საქსოვი დაზგების გამოყენება უძველესი დროიდან ივარაუდება. საქართველოში მათი არსებობა კოლხური სელის საქსოვად დამუშავების ტრადიციებიდან უნდა მომდინარეობდეს.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, სსმმ, XVIII-B, 1954.

ლ. მ.

ლაპიჭვარი (სვ.) — ტყავის მოსაქნელი ხელსაწყო. სვანეთში ცხვრის ტყავის მოსაქნელად შემდეგ ხერხს მიმართავდნენ: ფიცრის ორი ნაჭრიდან ერთს მიწაზე დადებდნენ, მეორე მასზე ვერტიკალურად იყო დამაგრებული. და ზედა მხარე დახორკლილი ჰქონდა. დარბილებისას ტყავს ხორკილიან პირზე გადადებდნენ და ორივე ხელით ჭიმავდნენ ხან ერთ და ხან მეორე მხარეს.

ლიტ: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები, 1973.

ნ.გ.

ლეიბი —საწოლ-საგებელის ნაწილი, კერავდნენ ტყავისაგან, ნაჭრისგან და ტენიდნენ მატყლითა და ბუმბულით.

ლეკვერთხი — მაღალყელიან პაიჭზე შემოსაჭერი თასმისენიანი საკვრელები, იდენტურია მუხლაკრავისა და წვივსაკრავისა.

ლეკურა — ბლაგვი, დანისებური იარაღი. როცა ყავარს ხდიან, ლეკურას, ნაღარევში ჩაურჭობენ, ეროს დაარტყამენ და ავარდება ყავარი.

ლეკური — ხმლის ტიპი. (იხ. შაშკა)

ლელნამი — რკინის (ან ხის) გრძელი და სწორი იარაღი, სისწორის საზომი.

ლემზირი (სვან.) — რომელიმე ღვთაების ან მფარველი არსების სახელზე შესაწირი პური.

ლემზირ გიმ (სვან.) — სარიტუალო პური, ე.წ. მიწის კვერი. აცხობდნენ ქალები ახალ წელს ნმინდა მარიამის (ლამარია) სახელზე. მამაკაცებისა და გარეშე პირთათვის აკრძალული იყო არა მარტო მისი ჭამა, არამედ დანახვაც კი. აღნიშნული ლემზირი ყველიანი იყო. ამავე დღეს, ცხვებოდა მარილიანი და ნიგვზიანი კვერები ე.წ. „ზენახ ლემზირები".

ნ. გ.

ლემზირ დულ (სვან.) — სარიტუალო პური, ცხვებოდა აღდგომის მომდევნო ხუთშაბათს. ამ დღეს ოჯახში მხოლოდ ქალების ლოცვა სრულდებოდა. შესაწირ კვერებს „დულებს" უწოდებდნენ. „რამდენი დული-ც ცხვებოდა ოჯახში, იმდენი შეჯგუფული ღეროები (ე.წ. „კვამბ") ემატება ყანასო" — ამბობდნენ სვანები. გამომცხვარ დულ-ებს კერიას უკანა ფეხთან სწირავდნენ ლამარიას სახელზე.

ნ. გ.

ლემზირ კალვ (სვან.) — კალოს კვერი. აცხობდნენ უშგულში წმ. მარიამის ეკლესიის გვერდით მდებარე საკულტო ნაგებობაში. აქ იმართებოდა ე.წ. მიწისკენ ვედრება „ჩუბავ ლიმზირ"). იკრიბებოდნენ მთელი სოფლის ქალები. წინასწარ შეგროვილი პურის ფქვილისა და ყველისგან აცხობდნენ ლემზირებს

სპეციალურად გამართულ ქვის კერაში, რომელსაც „ქოროლსაც“ უწოდებდნენ. ასეთი კერა იდგმებოდა რამდენიმე (სამი, ოთხი). ქალები აცხობდნენ იმდენ ლემზირს, რამდენი სულიც იყო თითოეულ ოჯახში. მხოლოდ ერთ ლემზირს („მაჩა ლემზირ“) გამოაცხობდნენ ზედმეტად. პურის მცხობელი ქალი („მერბიელი“) კერს „მეზირის“ (ადგილის დედა) სახელზე შეავედრებდა და მინაში საგანგებოდ გაკეთებულ ხვრელში ჩადებდა. შემდეგ ქვას მიადებდა და დახურავდა სხვებს, რომ არ დაენახათ.

ნ. ბ.

ლემზირ კიხვ-ი (სვან.) — ქალების მიერ კერასთან შესაწირი პური, რომელიც ცხვებოდა ქორა ლიმზირის (სახლის ლოცვა) (იხ) დროს.

ნ. ბ.

ლემზირ მენნიაშ-ი (სვან.) — სარიტუალო პური, ე.წ. ხარების მკვებავი კერი, ცხვებოდა ბარბალობას. ეწირებოდა წმინდა ბარბარეს ხარების გამრავლებისათვის. ამავე დღეს ცხვებოდა მწველავის კერიც — „ლემზირ მეშგალიაშ“ — ყველანაირი მეწველი ცხოველის გამრავლებისათვის. რიტუალის მთავარი მონაწილე იყო ოჯახის უფროსი მამაკაცი, რომელიც ლოცვა-ვედრების წარმოთქმის შემდგომ თავადვე მიირთმევდა შენაწირ ლემზირებს.

ნ. ბ.

ლემზირ ქორა (სვან.) — სახლის მფარველის სახელზე შესაწირი კერი. ამ რიტუალის შესრულების დროს ქალების მიერ ორი სახის შესაწირი პური ცხვებოდა. ერთი — სახლში მყოფთათვის („ქორა მერდესათვის“), სახლის კედელში ჩასადებად, ხოლო მეორე — კერა ლემზირ — კერიის კერი, კერიის ფეხებთან შესაწირად.

ქორა მერდესათვის განკუთვნილი ლემზირი პატარა იყო და მას კოკორალ-ს უწოდებდნენ. პურის მცხობელი ქალი (მერბიელი) პატარა კერს წაიღებდა სახლის კუთხეში დატანებულ ხვრელთან,რომელიც ქვით იყო დახურული და აქ ევედრებოდა ქორა მეზირ-ს (იხ) ოჯახის ბედსა და ბარაქას და ძროხების წველადობის გადიდებას, შედებდა შიგ ლემზირს და ისევ დახურავდა ქვით, იმ რწმენით, რომ ქორა მუზები ანუ სახლის მჭამელი აუცილებლად შეჭამდა მას.

მეორე ლემზირ-ს კერიასთან შეავედრებდა დაჩოქილი მერბიელ-ი. კერიას წინა მარჯვენა ფეხის გარშემო სამჯერ შემოავლებდა და თან ევედრებოდა, რაც შეიძლება ხმადაბლა, ოჯახის ბარაქისა და ძროხების წველადობის გადიდებაზე. ამ ლემზირს მხოლოდ ქალები შეექცეოდნენ.

ნ. ბ.

ლემზირ ღვინძილ-ი (სვან.) — ყველის გულიანი პური, რომელსაც ქალები აცხობდნენ და სწირავდნენ მინას.

ნ. ბ.

ლემი (სვან.) — სვანეთის ერთობლივი ხევის დროშა. გადმოცემით, წინ უძღოდა სვანეთის ლაშქარს ბრძოლის დროს. წარმოადგენს ყვითელი აბრეშუმისაგან შეკერილ ზოომორფულ (მგელი// ლომი) გამოსახულებას. მისი მფლობელი იყო ხევის უფროსი, რომელსაც ეწოდებოდა მელემე. დროშას გამოაბრძანებდნენ ხოლმე დღესასწაულ „ჰულიშ“//„ულიშობისას“, რომლის დროსაც იმართებოდა დოღი. მხედარი ამ დროშით ხელში წინ მიუძღვებოდა დოღს, ცხენის ჭენებისას დროშა იშლებოდა და ლომის (მგელი) თავს წარმოაჩენდა. აღსანიშნავია, რომ მგელი სვანებისთვის ტოტემურ ცხოველს წარმოადგენდა, მას მიენერებოდა ყოველმხრივი ზებუნებრივი ძალა. სვანების წარმოდგენით მგლები მფარველობენ და ეხმარებიან ადამიანებს და მათი მოკვლა ტაბუირებული იყო. დროშა ლემი წმინდა დროშად ითვლებოდა. იგი უშუალოდ უკავშირდება ტოტემური რწმენებისა და პრაქტიკის უძველეს სამყაროს. საქართველოს ეროვნულ მუზეუმსა და მესტიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში ინახება XIX საუკუნეში შეკერილი დროშა ლემი, რომლის ვერცხლის ბუნი XI საუკუნისა უნდა იყოს.

ლიტ.: მ ჩართოლანი, ქართული ხალხური მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1961.

ე. ნ.

ლერგიმ — გრძელი, ზურგიანი სკამი სვანეთში. დასაჯდომი ავეჯის ერთ-ერთი ნიმუში. ავეჯის ასეთი სახე გავრცელებული იყო მთიულეთსა და ხევში. სვანური ლერგიმი წარმოადგენს 2-დან 4 მეტრამდე

სიგრძის ზურგიან სკამს, რომელზედაც დიდი ოჯახის წევრები სხდებოდნენ, ასეთი სკამები გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი შემკულობით, სადაც წმინდა ესთეტიკური დანიშნულების ჭრილის გარდა, დიდი ადგილი აქვს დათმობილი რელიგიური შინაარსის მოტივებს — განსაკუთრებით კარგადაა დამუშავებული მნათობთა სემანტიკა, რაც სვანთა კოსმოგონიური რწმენის არსებობაზე მიუთითებს. ამ ტიპის სვანური ავეჯის ფორმები დასტურდება შუაფეოდალური ხანის ქართულ ხელნაწერთა მორთულობაში.

ლიტ.: ვ. ართელაყვა, XVI-XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1965.

ვ. ნ.

ლესა (ლაზ.) — გოდრისებრი თევზსაჭერი მოწყობილობა, რომელიც მხოლოდ ლაზეთში იყო გავრცელებული.

ლესერ-ი (სვან.) — ხორბლის წმინდა ფქვილისგან („გვიზ") გამომცხვარი ყველიანი პური. ამ პურის გამოცხობა მისი სიდიდის გამო ქალებს არ შეეძლოთ. კაცი მოზელდა და დააგუნდავებდა ცომს, შემდეგ გახურებულ ფიქალის ქვაზე დადებდა და ზემოდან ღველფს გადააყრიდა. ლესერ-ი ცხვებოდა ახალ წელს სალასკაროდ.

ნ. ვ.

ლესკარი — დიდი ზომის ჯვრიანი პური, რომელიც განკუთვნილია სალასკარო-სათემო დღესასწაულისათვის.

ლიტ.: ქელ. 2003.

ლეშგნი (სვან.) — რიტუალური პური, რომელსაც აცხობდნენ ფქვილის შესანახი კიდობნის პირველად ახდის დროს. „ლეშგნი" დიდი ზომის პურია, რომლის ჭამის დროსაც ოჯახის წევრებს ფეხქვეშ დანა და ნახშირის ნაჭერი უნდა სდებოდათ.

ნ. ვ.

ლეჩაქი — ქართველი ქალის თავსაბურავის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია (ჩიხტიკოპთან და ბაღდადთან ერთად). ამზადებენ სხვადასხვა ფერისა და ხარისხის თხელი ქსოვილისაგან (ტული, ბლონდი, ატლასი, მარმაში და სხვ.). ლეჩაქს ტოლფერდა სამკუთხედის ფორმა ჰქონდა და გარშემო არშიას ავლებდნენ. ადგილობრივი სალეჩაქე არშიებიდან გამოირჩეოდა „თელავური" და „კახური" არშიები. XIX საუკუნის საქართველოში გავრცელებული იყო სამნაირი ლეჩაქი — სადა, ნაკერი (აბრეშუმით ან სირმით ნაქარგი), დაბასმული (ბასმით — თეთრი ნებოთი მოხატული). სადა ლეჩაქს მოხუცი და მგლოვარე ქალები იხურავდნენ, დაბასმულს — ახალგაზრდები. სახელწოდება „ლეჩაქი" კავკასიისა და შუა აზიის ხალხებში იყო გავრცელებული. ძველ ქართლში მის ნაცვლად გვხვდება: „კუბასტი", „მაქნანი", „მაკინაკი", „ჩიქილა". ქართულ წერილებით ძეგლებში ლეჩაქი XVII ს-დან მოიხსენიება, მაგრამ უფრო ადრეული პერიოდის კედლის მხატვრობისა და მინიატურების მიხედვით ჩანს, რომ ბადურად ნაქსოვი თავსაბურავები XII ს-ის საქართველოშიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული (იხ. ქალის თავსაბურავი, ჩიქილა).

ლიტ.: ც. ყარაულაშვილი, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

ლეჭუნდირი (სვან) — ხის ტიხარი „მაჩვიბ"-ში. იგი ყოფს საქონლის სადგომს საცხოვრებელი ბინისგან. სვანური მაჩვიბი „ლეჭუნდირი"-ს წყალობით გაყოფილია ისეთ სადგომად, სადაც ერთსა და იმავე დროს ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული არიან საქონელი და ადამიანები და ამავე დროს, მჭიდროდ და ორგანულად არიან დაკავშირებულნი.



სვანური „გვალი" (გომური) ლეჭუნდირითურთ პრაქტიკული ორიენტაციის შენობაა, რომელსაც ტიხარი და ბაგა ისე აქვს მოწყობილი, რომ საკვებს საქონელი ფეხით ვერ გათელავს და ამდენად, ოჯახს საკვების მარაგი ეკონომიურად ეხარჯება. ამ თვალსაზრისით გვალ-ი დაწინაურებული მეურნეობის მანიშნებლად მოჩანს.

ლეჭუნდირი გვალით სვანური მაჩვიბის განუყრელი ნაწილია, რომელიც მაჩვიბის კედლებს ზურგად და

კედლებად იყენებს. ამავე დროს, მისი კამარებიანი ნაწილი ერთი მთლიანი, მჭიდროდ შეკრული ტიხარია, რომელსაც კარი არ გააჩნია, ამიტომ საქონელს ადამიანის სამყოფში მოხვედრა არ შეუძლია, ადამიანს კი შესაძლებლობა აქვს გვალ-ში შესვლის გარეშე მისი ბინიდან პირუტყვს მუდმივად თვალყური ადევნოს, საბლით კამარასთან დააბას, ბაგაში საკვები ჩაუყაროს და სხვა. რაც შეეხება საქონელს, იგი ადამიანის ბინის ატმოსფეროთი სუნთქავს, სითბოსა და სინათლეს ღებულობს, ადამიანის ბინაში იკვებება, გუალ-ს ორნამენტული კამარებიანი ხის კედლით მაჩუბისაგან დამოუკიდებელი საკუთარი სახურავი და კარი გააჩნია.

ლიტ.: მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. 1959.

ნ.გ.

ლიბანდაკი — საძგერებელი იარაღი. სულხან-საბას ლიბანდაკი განმარტებული აქვს ლახვრის ქვეშ „ბუნ-წყრთეული შორით სასროლი, რომელ არს ლიბანდაკი." ამ საძგერებელი საჭურველის ნამდვილი სახელი ალებარდია, რომელიც ზემო გერმანული helmbarte-საგან არის წარმომდგარი. ის მართლაც შუბისმაგვარი საძგერებელი იარაღია, მაგრამ პირსამძგიდობის გარდა, მას წვეტიანი თავის ქვევით, ცულ-თოხის მაგვარი საჭრელ-საჩხვლეტიც ჰქონდა.(ივ. ჯავახიშვილი). ის ჰალებარდი, რომელიც ჯავახიშვილმა განმარტა მართლაც ცულ-თოხიანია და ბუნგრძელიც, ხოლო საბას განმარტებული ლიბანდაკი მცირე ზომისაა და სასროლი, ხოლო სასროლად ცულ-თოხიანი შუბი არცთუ საიმედოა მიზანში მოსარტყამად (მისი სროლა მხოლოდ ნაჯახივით შეიძლება ბზრიალით), რაც იმას ადასტურებს, რომ ჯავახიშვილისეული „ალებარდი" და საბასეული „ლიბანდაკი" სხვადასხვა იარაღია, მით უმეტეს, რომ ლიბანდაკის ქვეშ საბა კიდევ ერთ ტერმინს „ისარს" ასახელებს, რაც ალებარდისთვის მიუღებელია.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემეი, ტ. III-IV 1962. სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ, I, 1991.

მ. ქ.

ლილა — ინდიგო, მცენარეული წარმოშობის საღებავი, იღებდნენ ინდიგოს შემცველი მცენარის ფოთლებიდან. საქართველოში შემოჰქონდათ აღმოსავლეთის ქვეყნებიდან (ინდოეთი, ირანი, თურქეთი). ლილის-ინდიგოს საღებავის გავრცელება საქართველოში გვიანფეოდალური ხანიდან ივარაუდება. ლილა-ინდიგოს იყენებდნენ ლურჯად ღებვისათვის. საოჯახო ღებვაში ლილა განსაკუთრებით ფართოდ მოიხმარებოდა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ფშავი, მთიულეთი, ხევსურეთი), გამორჩეულად ინტენსიური მომხმარებელი იყო ხევსურეთი. ხევსურული ჩაცმულობის — მამაკაცისა და ქალის ტალავარის ბევრი ელემენტი იღებებოდა ლურჯად. ღებვის ტექნიკაც სათანადოდ იყო შემუშავებული. აყენებდნენ ლილის ხსნარს და შესაღებ მასალას შიგ ყრიდნენ, ფერჭერისათვის იშველიებდნენ ნაცრის ნაყენს და საქონლის შარდს. მტკიცე, მდგრადი ფერის მიღების უზრუნველსაყოფად პრაქტიკულ ღონისძიებებთან ერთად შემუშავებული იყო მაგიურ-რელიგიური ქმედებები.

ლიტ.: მსშხი ტII, ნან.II, 1982

ლ. მ.

ლილახანა (სპარს.) — სამღებრო სახელოსნო. ლილიხანა ცალკე ნაგებობაში იყო გამართული: მასში, ერთ მხარეს მიშენებული იყო ქურა, ქურაში ჩატანებული იყო ქვევრები, ქვევრებს შორის აგებული ცეცხლის სანთებში დანთებული ცეცხლის კვამლი ქვევრებს უვლიდა და საღებავს ათბობდა. სამღებრო ინვენტარს შეადგენდა წყლის მოსაკავებელი — ქვევრი თაღარი, საღებავისთვის თიხის ჯამები, სატყეპელა და სხვ. სახელოსნოს სიდიდე დამოკიდებული იყო ქვევრების რაოდენობაზე. ღებვა ხდებოდა ოდნავ შემთბარი საღებავის ხსნარით, ზაფხულში საერთოდ გათბობას არ საჭიროებდა. მტკიცე, მდგრადი ფერის მიღებისათვის საღებავს უმატებდნენ ფერმჭერად ხმარებულ ნახშირს და კირის ნარევს. შესაღები მასალის საღებავში დაყოვნების ხანგრძლივობის მიხედვით მიიღებოდა სხვადასხვა შეფერილობა — ტონი. მუქი ფერის მიღების შემთხვევაში გასაბაცებლად თაფლს უმატებდნენ. შესაძლებელი იყო ფერიდან ფერზე გადაყვანაც: ყვითლისა მწვანეზე, მაგარი ნითლისა უფრო ბაცად. და ა,შ,

ლილიხანაში ძირითადად ბამბეული და შალის ფეიქრული ნაწარმი იღებებოდა. ლილიხანები გვიანფეოდალურ საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული. XVIIIს. ქართლ-კახეთში 60 ლილახანა მოქმედებდა.

ლიტ.: ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, 1967. მსშხი, ტ.II, 1982.

ლ. მ.

ლიპი — სნორი და ბრტყელთავიანი ხელკვერი, რომლითაც რკინეულს ზედაპირს უსწორებენ.

ლიტის ჭურჭელი — ღამისთევის ლოცვაზე, დიდი დღესასწაულების ნინ პურის, ხორბლის, ღვინისა და ზეთის საკურთხეველად სპეციალურად განკუთვნილი ჭურჭელი, მინის ან კეთილშობილი ლითონისგან დამზადებული. შედგება ლანგრის, სამი პატარა თასის ან ჭიქის და სამი სასანთლისაგან. საკურთხეველად გამზადებულ პურს, ხორბალს, ღვინოს და ზეთს დებენ ლიტის მაგიდაზე შუა ეკლესიაში, ანთებენ სანთლებს, დიაკვანი სამჯერ შემოუკმევს გარშემო საცეცხლურით, მღვდელი ამბობს ლოცვას.

ცისკრის ლოცვის დასასრულს, ლიტიის დროს, ნაკურთხ ზეთს მღვდელი შუბლზე სცხებს მლოცველებს ჯვრის სახით, ხოლო ნაკურთხ ხორბალს და ღვინოში ჩამბალ პურს ურიგებენ. ეს ქმედება მოგვაგონებს მაცხოვრის მიერ ხუთი პურით ხუთი ათასის დაპურებას და ქრისტიანთა უძველეს ტრადიციას —ეკლესიაში პურის, ზეთის, ღვინის მიტანას, რომლითაც ლოცვის დასასრულს მლოცველები ტრაპეზობდნენ.

ხ. ც.

ლიტრა//ნიტრა —1. წყლის ან ღვინის დასალევად განკუთვნილი თიხის ჭურჭელი გავრცელებულია საქართველოს ყველა კუთხეში. ყელის სივიწროვის გამო წყალი რაკრაკით გადმოედინება, რის გამო „რაკრაკა" ლიტრასაც უწოდებენ. ტერმინი ნიტრა გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, ასევე რაჭაშიც, სადაც ნიტრა ჭინჭილაზე მოზრდილი დოქია. 2. მასისა და სითხის საზომი ერთეული. ერთი ლიტრი უდრის 1000 გრამს.. ლიტრა საწონს გარდა სანყაოდაც გამოიყენებოდა. ლიტრით აიწყვოდა მარცვლეული და სითხე. XIX საუკუნის მონაცემებით საწყაო ლიტრა თბილისის მაზრაში 3,2კგ-ს უდრიდა, ხოლო თელავის მაზრაში — 4,5-5კგ-ს.

ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973.

მ. ხ.

ლიფლიფა — ღამის სანათი. გამოიყენებოდა როგორც შენობების, ასევე ქუჩების გასანათებლად. ესაა მრგვლად გაკერილი და გასანთლული ნაჭერი, რომლის თავი ჩამაგრებულია სპილენძის თავსახურში, ხოლო ძირი წარმოადგენს სანთლის დასამაგრებელს. ლიფლიფა ჩვეულებრივ გარმონივითაა დაკეცილი, ანთებისას კი გაშლიან და ჩამოჰკიდებენ საკიდზე. ქუჩის ლიფლიფები იკიდებოდა ბოძებზე და მათ შეღამებულზე აანთებდნენ.

ე.ნ.

ლიფლიფანა — დაირაზე ასხმული ჯინჯილები, რომლებიც დაკვრისას ხმას გამოსცემენ.

ლოდი — აქ: საფლავის ქვის ლოდი, ყველაზე უფრო გავრცელებული მემორიალური კულტურის ძეგლი, რომელიც გამოიყენებოდა უძველესი ხანიდან და მოიცავს უამრავ ნაირსახეობას — დაწყებული დაუმუშავებელი ქვიდან, დამთავრებული რთული სიუჟეტებითა და ბრწყინვალე ორნამენტებით შემკული ქვებით. ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება ლოდების ნაირსახეობანი: მაგ., ზანდუკისებური, აკვანისებური, მშვილდისებური, ჰორელიეფიანი ლოდები, ასევე—ფიქალქვა, კუბო ქვა, ტაგრუცი და სხვა. ჩვეულებრივზე ფართო ლოდები ორი მიცვალებულისათვის იყო განკუთვნილი (ძირითადად ცოლ-ქმრისათვის), რომელთა ზედაპირზე მათი ფიგურები გამოიხატებოდა ანდა გამყოფი ხაზი იყო გავლებული, რაც უფრო საცნაურს ხდის, რომ იგი ორი ადამიანისთვისაა განკუთვნილი. გვხვდება მაღალი ჰორელიეფით ამოკვეთილი ლოდები. ასევე ლოდები, რომლებთაც ბაზილიკებისა და ეკვდერების ფორმა აქვთ მიცემული, ცრუ თაღებისა და სარკმელების შემკულობითურთ. ლოდების ფორმებში ძირითადად გამოიკვეთება სამარხი კუბოსა და ეკლესიის დეტალები, ასევე ეკლექტიკური ნაზავი სხვადასხვა



არქიტექტურული ფორმებისა. ლოდების შემკულობაში დიდი ადგილი უჭირავს სამეურნეო, სახელოსნო და საბრძოლო იარაღებს, ციურ სხეულებს, მცენარეულ და გეომეტრიულ ორნამენტებს, ქრისტიანული რელიგიის ისეთ უმნიშვნელოვანეს სიმბოლოებს, როგორიცაა — ცხვარი, მტრედი, ვაზი, ყურძენი, ნაყოფი, თევზი. საფლავის ლოდებში არეკლილია წარმართული რელიგიური რწმენა-წარმოდგენების დანაშრევებიც.

ლიტ.: ე. ნადირაძე, საქართველოს მემორიალური კულტურა, 2001.

ე. ნ.

ლოროსი — ბიზანტიელი კეისრების სამოსელი. ეს იყო ოქრონემსული, თვლებით განყობილი, გრძელი ქსოვილი, რომელიც წელზე შემოიხვეოდა, მერე გადაიტარებდნენ მხრებზე და მისი ერთ წვერს მარცხენა მკლავზე გადაიგდებდნენ. ბიზანტიის იმპერიის ბოლო პერიოდში ლოროსის განვითარებულ სახეობას ეწოდა დიადემა.

ე. ნ.

ლოხმა//ლომა — წყალში გათქვეფილი თიხა., „თხელი ლაფი". ჭურჭლის ჭრის დროს ოსტატები ხელებს ლოხმაში ისველებენ, რათა ჭურჭლის ამოყვანის დროს ხელი ჭურჭელზე თავისუფლად ცურავდეს. ულოხმოდ ჭურჭელზე მუშაობა შეუძლებელია. „ლოხმა" მოთავსებულია მოზრდილი თიხის ჯამში.

ლიტ.: ფ. გარდაფხაძე, მეჭურჭლეობა და მექვევრეობა ლეჩხუმში, 1947.

მ. ზ.

ლუდი — ნაკლებალკოჰოლური სასმელი, რომლის დამზადების ტრადიციები უძველესიდან არსებობდა საქართველოში, განსაკუთრებით მის მთიან ნაწილში — ხევსურეთში, მთიულეთ-გუდამაყარში, ხევში, თუშეთში, ფშავში და შიდა ქართლის მთისწინეთში. ლუდის სამშობლოდ მიჩნეულია შუამდინარეთი, რომლის დამზადების კულტურა მესამე ათასწლეულისათვის უკვე ძალზე განვითარებული ჩანს. საქართველო, როგორც წინა აზიის კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული ქვეყანა, ადრე უნდა გასცნობოდა ლუდის დამზადების წესებს. ამ მოსაზრების დამადასტურებელი ფაქტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ურარტუს არქეოლოგიური გათხრებისას მიკვლეული თიხის ჭურჭელი, რომელშიც ლუდისათვის საჭირო, ფეტვისა და ქერის დაალაოებული მასა იყო მოთავსებული. საქართველო, როგორც ხორბლეული კულტურების წარმოშობის ერთ-ერთი უძველესი ეპიცენტრი, ადრიდანვე იყო შემზადებული ლუდისათვის საჭირო ნედლეულის წარმოებისათვის.

ლუდის კულტურა უაღრესად გამოიკვეთა საქართველოს მთიანეთში გავრცელებული სალოცავი ჯვარ-ხატების სარიტუალო დღესასწაულებთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით ჩატარებული ნებისმიერი სარიტუალო ქმედება სრულდებოდა ლუდის თანხლებით და იგი მიღებული იყო როგორც წმინდა სასმელი.

საქართველოს მთაში, მეტ-ნაკლები ინტენსივობით, ბოლო დრომდე შემორჩა ლუდის დამზადების ტრადიცია. ეს განსაკუთრებით ითქმის თუშეთის შესახებ, სადაც ზაფხულის დღესასწაულებზე ასულ მოსახლეობას ვალადა აქვს მორიგეობით გასწიოს შულტობა ე. ი. დაამზადოს ლუდი და მასპინძლობა გაუწიოს სტუმრებს. ასეთმა წესმა განაპირობა ის, რომ დღესასწაულმა შემოინახა ლუდი, ხოლო ლუდმა განამტკიცა დღესასწაულის სარიტუალო პრაქტიკა.

ლუდს საქართველოს მთაში ადუღებენ კერძო მოხმარებისთვის, მაგრამ მისი მასშტაბური ხასიათიი სრულყოფილად წარმოჩნდა ჯვარ-ხატებთან არსებულ სალუდეებში, სადაც ლუდის წარმოებას ფართო ხასიათი ჰქონდა. ჯვარის სალუდე წარმოადგენდა ქვის ნაგებობას, სადაც მოთავსებული იყო დაახლოებით 500-600 ლიტრის ტევადობის სალუდე ქვაბები (იხ. ქვაბი ლუდის), რომლებიც შეკერილნი იყვნენ სპილენძის ფირფიტებისგან და უძრავად იყო ჩაშენებულნი საცეცხლეს კედელში. მთიელებს სახატო მინებზე მოპყავდათ ქერი, აკეთებდნენ მისგან ფორს (იხ.), ხარშავდნენ, ფილტრავდნენ, კაზმავდნენ სვიით (იხ.) და აფუებდნენ საკოდეში (იხ.). ლუდის დადუღების ინვენტარში შედის სალუდე ქვაბი, ლუდის დასაყენებელი კოდი, ლუდის სისწვენის მოსაკავებელი — ლათბა//ისარნა (იხ. ლათბა), ქვაბიდან სისწვენის ამოსაღები კოში//ტარკოშა (იხ. კოში). ლუდის საწყაო ტუჩიანი და სახელურიანი ხის ჭურჭელი ჩხუტი (იხ.), ლუდის გასაფილტრი

— თხის ბეწვისგან დამზადებული ხაკის ტომარა და ამ პროცესთან დაკავშირებული იარაღები კედები, პირსაკრავები, მალახა, ასევე კოჭობი და სასმისების სახეობანი.

ლიტ.: ა. ლეკიაშვილი, ქართველ მთიელთა მეურნეობის ისტორიიდან (საკანდიდატო დისერტაცია), 1953. ე. ნადირაძე, ქართული ლუდი, 2011.

ე.ნ.

ლულა — ცეცხლსასროლი იარაღის შემადგენელი ნაწილი. ლულა ცეცხლსასროლი იარაღის განვითარებასთან ერთად იხვეწებოდა. თავდაპირველად ის შიდა სივრცით გლუვი (გლუვლულიანი) იყო, შემდგომ (XVI ს.) დაწახნაგებული, მოგვიანებით კი — ხრახნიანი (შაშხანა).

თოფისა და დამბაჩის წარმოებაში ყველაზე რთული ლულის დამზადება იყო, რაც მეიარაღე-ხელოსნის დიდ ცოდნასა და დახელოვნებას საჭიროებდა.

სალულე რკინას სათანადო სიგრძით გრდემლზე გააბრტყელებდნენ და მოხაპრავდნენ (ე.ი. მილისებურ ფორმას მისცემდნენ). შემდგომ ლულას მთელ სიგრძეზე ნახევარი სანტიმეტრის სისქის გახურებული ფოლადის მავთულს შემოახვევდნენ. ამგვარად დამზადებულ ლულას სიბნელეში შეადუღებდნენ, რადგან ცხელი ლულა სიბნელეში კარგად ჩანს და ამასთან ის ნაწილიც რომელიც უნდა შედუღდეს. მომდევნო პროცესი ლულის მოხვენა ანუ ლულის ხვრელის წმინდად გაბურღვა - გაფართოება და მისთვის ხრახნის გაკეთება იყო. ლულის გაბურღვა ხდებოდა დაზგაზე, რომელსაც „თოფის ჩარხი" ეწოდებოდა. თოფის ლულებს ხრახნილს სათანადო ყალიბის საშუალებით უკეთებდნენ. რიკები კბილების მიხედვით ოთხნაირი იყო. პატარაკბილებიანი, რომელიც ლულას ოდნავ გაღარავდა, მომდევნო მსხვილკბილებიანი ღარს გააფართოვებდა და ა.შ. ლულას უმეტეს შემთხვევაში რვაწახნაგიან ფორმას აძლევდნენ. ამის შემდეგ წყალნარევი შაბის ხსნარში „ხარშავდნენ", რისთვისაც გამოყენებული იყო გრძელი, ცილინდრისებური ფორმის ჭურჭელი (ყუბერი, აჭარ.). ეს პროცესი ბუხრის ან ქურის ცეცხლზე სრულდებოდა და რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. გამოხარშვის შემდეგ რკინისა და ფოლადის გარდიგარდმო შემოხვეული მავთულები ლულას ბზინვარებას აძლევდა. ასეთ ლულიან თოფს აჭარაში „კაჭკაჭლი თოფი" ერქვა და საკმაოდ ძვირად ფასობდა.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებით, დაახლოებით ასეთივე წესით ამზადებდნენ თოფის ლულას არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ჩრდილო კავკასიაშიც. განსხვავებული წესი ყოფილა სამეგრელოში, სადაც თოფის ლულა რკინის გრეხვის წესით უმზადებიათ.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, ქართული ხალხური მეტალურგია, 1964. ნ. კახიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა ტ. II, 1974.

მ. ჯ.

ლულაქაბაბი — საკუთრივ ნიშნავს შამფურის მწვადს. მერე და მერე აკეპილ დამუშავებულ ხორცს, რომელსაც ნამოაცვამენ შამფურზე, შეწვავენ და ლავაშში გახვეულს ხახვითა და კონახურით მიირთმევენ.



ლურჯი სუფრა — ქართული ტრადიციული სუფრის ერთ-ერთი ნიმუში. ამზადებდნენ ბამბის ან სელის ქსოვილისაგან. ნახატის რეზერვაცია აღმოსავლეთიდან შემოსული ცივი, კუბური წესით სრულდებოდა, რომლის მიხედვითაც ცხიმნარევ, სანთლიან ქსოვილზე საჩითავი (იხ.) ყალიბებით ფიგურებს გამოსახავდნენ. ამ წესით სუფრებს სხვადასხვა წესით ღებავდნენ რუსეთსა და ევროპაში, საქართველოში კი მხოლოდ „ლურჯ სუფრებს" „ჩითავდნენ".

სელის ქსოვილისაგან დამზადებული სუფრები ბაცი ლურჯი ფერისაა, მისი თეთრი ნახატები ოდნავ ბუნდოვანი, სტილით არქაული, რაც მის ძველ წარმოშობაზე მიუთითებს. შედარებით ახალია ბამბის ქსოვილისაგან ნამზადი სუფრები, რომლებიც მკვეთრი ლურჯი ფერისაა, ნახატები კი — კაშკაშა თეთრი.

სასუფრე ქსოვილის მხატვრული გაფორმება ოსტატის გემოვნებით სრულდებოდა, თუმცა იგი არასოდეს არღვევდა „დაჩითვის" სპეციალურ სქემას. ასე მაგალითად, აღმოსავლური „მანი" სუფრის ძირითადი მოტივია, არშიებზე „როზეტები" და „ვარსკვლავებია" მოყოლებული ერთმანეთის მონაცვლეობით. ხშირ შემთხვევაში ქსოვილის ცენტრში „მედალიონს" გამოსახავდნენ, მის გარშემო კი ადამიანის, ცხოველებისა და ფრინველების ფიგურებს. ვხვდებით დანა-ჩანგლის მოტივებსაც. საყურადღებოა სუფრაზე „დაჩითული" ნადირობის სცენები, უპირატესობა ენიჭებოდა რქებდატოტვილი ირემის „დაჩითვას" დროშით, რომელზეც



ლუდის სასმისები





ლურჯი სუფრა

მზე, ხან ჯვარი, ხანაც ადამიანი იყო გამოსახული. გარდა დეკორატიული დანიშნულებისა, მოტივებს რიტუალური დატვირთვაც გააჩნდათ, რაც ხალხის მსოფლმხედველობიდან მომდინარეობდა. „ლურჯი სუფრა" საზოგადოების ყველა ფენისათვის იყო ხელმისაწვდომი.

ლიტ.: ნ. ბრაილაშვილი, ლურჯი სუფრა, 1971.

გ.კ.

ლუსკუმა — მიცვალებულის ჩასასვენებელი ქვის ყუთი. ადრექრისტიანულ ხანაში ლუსკუმას კიდობანის, ყუთის, მიცვალებულთა სამარხის მნიშვნელობა აქვს. საბასა და ჩუბინაშვილთან კი მაღლა ნაგებ საფლავადაა განმარტებული, რაც გულისხმობს საფლავის ქვას, რომელიც თავისი ფორმით წააგავს მიწისქვეშა ქვის განსასვენებელ ლუსკუმას. არსებობს ლუსკუმის სხვა ვარიანტი ე.წ. სარკოფაგი (იხ.). ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არცთუ იშვიათად ლუსკუმა და ლარნაკი (იხ.) ერთმანეთთანაა გაიგივებული. მაგრამ მათ შორის ფუნქციური განსხვავება მაინც შეინიშნება და გაცილებით მეტი მაგალითია იმის დამადასტურებელი, რომ ლუსკუმა მოიაზრებოდა, როგორც ქვის ყუთი, რომელშიც მიცვალებული იმარხებოდა (ზოგჯერ რამდენიმე). ლუსკუმას ეხურებოდა თავი, იმარხებოდა როგორც მიწაში, ასევე იდგმებოდა ეკლესიის საძვალეებსა და სახელობით ეკედერებში. ლუსკუმაში განისვენებდნენ მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები. გვიანფეოდალურ ხანაში განსაკუთრებით გახშირდა ლუსკუმის ფორმის მსგავსი საფლავის ლოდების დადგმა სასაფლაოებზე. გ. ჩიტაიას მიაჩნდა, რომ ლუსკუმა და სარკოფაგი მიცვალებულთა სამარხავი ერთი და იმავე ტიპის განსასვენებელია.

ლიტ.: ე. ნადირაძე, საქართველოს მემორიალური კულტურა, 2001. გ. ჩიტაია, ქვის კუბო ქვემო ალმედან, ენიმკის მოამბე, ტVIII, 1940.

ე. ნ.

ლღენ-ი (სვან.) — სპილენძის დიდი ზომის ქვაბი, სამსხვერპლო საკლავის მოსახარში. ლღენ-ის საუკეთესო ნიმუში დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. იგი სპილენძის 52 ფურცლისაგან შეკერილი უზარმაზარი ქვაბია. ფირფიტები// ფურცლები ერთმანეთზე მირჩილულია და გადაკერებულ// დამაგრებულია სპილენძის დიდი ზომის „მანჭვლებით", იგივე „კოპებით", ანუ „ფოლაქებით", რომლებიც სიმეტრიულად არის განლაგებული ქვაბის ზედაპირზე. მისი ზომებია: სიმაღლე — 128 სმ; გარშემონერილობა — 3 მეტრი; პირის დიამეტრი — 90 სმ; იწონის — 100 კგ-მდე.



ლღენი თემის საკუთრებას წარმოადგენდა, მას ეკლესიის მინაშენში („ლადბაშ") ინახავდნენ. სათემო დღესასწაულის „ბაცხ"-ის დროს ლღენში ხარშავდნენ მიცვალებულის სულის მოსახსენებლად განკუთვნილ საკლავს. ეტეოდა ერთი დიდი ხარი ან რამდენიმე ძროხა.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, 1939. მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1961.

ც. კ.

მაგიდა — საოჯახო ავეჯის სახეობა. ტერმინი ჩნდება XVIII საუკუნეში. ადრეულ ეპოქაში მისი შესატყვისი ტერმინია ტაბლა. ფეოდალური ხანის საქართველოში დასტურდება სამი სახის მაგიდის არსებობა: მაღალფეხიანი, დაბალფეხიანი და საფენი სუფრები. იყო აგრეთვე ე.წ. პიუპიტრებიანი მაგიდები, ანუ საწიგნეები, რომლებზედაც იდებოდა საეკლესიო თხზულებანი და მკითხველები მრევლისათვის კთხულობდნენ სახარებას ან დავითნს. ასეთი მაგიდების მრავალფეროვანი ტიპები დამოწმებულია ძველ ქართულ ხელნაწერთა მორთულობაში. ჩვეულებრივი სასაუზმო მაგიდების პროტოტიპები დასტურდება უბისისა და გელათის მხატვრობაში, უცხოელ მოგზაურთა აღწერილობაში, საოჯახო ინვენტარში.

ლიტ.: ვ. ართილაყვა, XVI-XVII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1965.

ე. ნ.

მაგიდა ქვისა – დასავლეთ საქართველოში საცხოვრებელი კომპლექსის ერთ-ერთი ატრიბუტი. სუფთა ეზოებში მაგიდების გამართვის ტრადიცია უძველესიდან დამკვიდრებულა. ასეთ მაგიდებს დგამდნენ დიდი ხის ქვეშ, ქვისავე სკამებით და მის პრაქტიკულ დანიშნულებასთან ერთად ესთეტიკურ მხარესაც ყურადღებას აქცევდნენ, რადგან მათზე სასტუმროდ გაშლილი სუფრა სტუმრის მიმართ პატივისცემის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმა იყო. განსაკუთრებულად დიდი მაგიდა პატრონის თავის გამოჩენის ობიექტადაც იქცეოდა, ამიტომ არცთუ იშვიათად ქვის მაგიდებს ამკობდნენ სხვადასხვა სიმბოლური გამოსახულებებით.



ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. ნ.

მაზმანი — თოკების მგრეხავ-გამკეთებელი.

მაზრაკი – სატყორცნ-საძგერებელი იარაღი. საბას განმარტებით მაზრაკი შუბია. მაზრაკი არაბული მიზრაკისაგან უნდა იყოს წარმომდგარი, რომელიც შუბსა და ხელშუბასაც ნიშნავს (ივ. ჯავახიშვილი).

ეთნოგრაფიულ ყოფაში მაზრაკი არ ფიქსირდება, როგორც ჩანს, ეს ტერმინი დროთა განმავლობაში დავიწყებას მიეცა.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, III-IV 1962. სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991.

მ. ქ.

მათარა — პატარა სამგზავრო წყლის ჭურჭელი, რომელსაც ჩვეულებრივ იკიდებენ ქამარზე. ჩუბინაშვილის განმარტებით, მათარა ნატისაგან შეკერილი სამგზავრო სასმისია, ხოლო თუშები მათარას წყლის სასმელ კოჩხოს უწოდებენ და მას მეცხვარეები ხმარობდნენ. მათარა ერქვა აგრეთვე ქამარზე დასაკიდ ტყავის ჭურჭელს, რომელსაც ამზადებდნენ მსხვილფეხა პირუტყვის უკანა ფეხზე გახდილი ტყავისგან. მათარა ძველად ტყავის კეთდებოდა, ახლა ხის, ლითონის ან მინისაა, რომელიც მოთავსებულია ტყავის ან ქსოვილის ბუდეში. იხმარებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ე. ნ.

მათრახი — „ცხენის საწკეპი" (საბა). ამზადებდნენ სარაჯები და მწყემსები. საქართველოში მათრახის დამამზადებელი რამდენიმე გამორჩეული ცენტრი არსებობდა (დუშეთი, ზუგდიდი, სენაკი, აჩიგვარა). მათრახი მზადდებოდა ტყავის, ცხვრის ნაწლავების — „ძალის" და საქონლის ასოსგან. შედგება ტარისა და ტყავის დაუწნავი ან წნული ენისაგან. სამათრახე შოლტები, ანუ „ხვიანდაგი" (ქართლ.) საქონლის წელის ტყავისგან მზადდებოდა. სამათრახე ტყავს ყუთუღში (იხ.) ამუშავებდნენ, შემდეგში სპეციალური

ჩხირებითა და მჭრელი დანით „ხვიანდაგებად“ დაჭრიდნენ, დააკრავდნენ ხეზე, გააშრობდნენ და დაწნავდნენ. სვანები მათრახის შიგნითა გულისათვის ცხენის ძუას ხმარობდნენ. განსაკუთრებული წესით აკეთებდნენ ცხვრის ნაწლავების — „ძალის“ მათრახებს. პირველ რიგში ცხვრის ნაწლავებს კარგად გარეცხავდნენ, ჯერ ხეზე გამოაბამდნენ, თავში



კანაფს მოუჭერდნენ და ნელ-ნელა დაბლა ჩამოსწევდნენ, ნაწლავი რომ დახვეწილიყო, შემდეგ მას ერთი მტკაველის სიგრძის ჯოხზე გადაახვევდნენ, რითაც ელასტიკურობას იძენდა და მერე რამდენიმე შეერთებულ წვერს დაწნავდნენ. ერთი რიგი მათრახებისა მორთული იყო ფოჩებითა და ფუნჯებით. ფუნჯიანი//ფოჩიანი მათრახის დაწვნის დროს დამატებით წვრილი თასმები ჩაეწვნებოდა. საქართველოში გავრცელებული იყო, აგრეთვე, ხარის ასოსგან დამზადებული მათრახები. საქონლის დაკვლისა და გატყავების შემდეგ ასოს დანით მოაჭრიდნენ, გარსს გააცლიდნენ, სიმძიმით დაჭიმავდნენ. ასოს შუაზე გაყოფდნენ და დაგრეხდნენ. საქართველოში დასტურდება საბრძოლო მათრახი, რომელიც ჩვეულებრივი მათრახისგან განსხვავებით მსხვილი და ენაბრტყელი იყო. ასეთ მათრახებში მტრისათვის ზიანის მისაყენებლად მავთულები ყოფილა ჩაწნული. მათრახის ტარი ხის, ძვლისა და ლითონის უკეთებიათ. სატარედ ხმარობდნენ შინდის, რცხილისა და ჯაგის ხეს. ტარზე ორი წვერი თასმა ჰქონდა დამაგრებული თითების ან მაჯის გასაყოფად. ტარზე ხელის უკეთ წასავლებად ზოგჯერ ტყავს ან გასანთლულ მუშამბას შემოახვევდნენ. მათრახის ტარს საგანგებო შემთკვეთისთვის ამკობდნენ ინკუსტრაციით, სევადითა და ზარნიშით. ძველ საქართველოში არსებობდა დასასჯელი მათრახი, რომელსაც „ტაჯგანაგი“ ეწოდებოდა. აფხაზეთში, აჩიგვარა იყო მათრახების ცნობილი ცენტრი.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

მაკრატელი — მატერიისა და ლითონის საჭრელი სათითეებიანი ხელსაწყო. ერთმანეთისგან განსხვავდებიან სიდიდე-მოყვანილობით. ხმარობენ თერძები, ოქრომჭედლები, მეთუნუქეები და ა. შ.



მაკუკი — აფრიანი ნავის ტიპი ფეოდალურ საქართველოში, რომელიც მოძრაობდა როგორც აფრით ასევე ხოფებითაც. დაახლ. 17-20 მეტრი სიგრძის.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987.

მალათი — ნაჭერზე დასაქარგავი, ზოლ-ზოლად დაჭრილი ოქროსა და ვერცხლის თხელი, ნაზი სხეპლები.

მალაქიტი — ერთგვარი მწვანე ქვა, რომელიც სპილენძის მადანთან ერთად მოიპოვება. გამოიყენება სამკაულთა შესამკობლად. ძირითადად მოიპოვებოდა ინდოეთსა და ციმბირში. მალაქიტის ფირფიტები გამოუყენებიათ ოქროს სამაჯურის შესამკობად ანტიკური ხანის მცხეთაში.

ლიტ.: ე. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ე. ნ.

მალახა (ხევს.თუშ.) — წნელის რგოლი, რომელიც ლუდის ფორის განურვისას ნამოეცმება კედებს და ხელს უწყობს მათი დაჭიმული მდგომარეობის შენარჩუნებას.

ე. ნ.

მანა — 1. ხის ლურსმანი, რომლითაც ნავის ფიცრებს ამაგრებდნენ. გარდა ამისა, ნავის დეტალების დასაჭედად იხმარებოდა სხვადასხვა ზომის ლურსმნები: ჯიბუკი, ყაირი, ნიხაჩო, კოსტალა, კოტა. 2. წნული ჭურჭლის მთავარი ნაწილი, საყრდენი, რაზედაც იწნება.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1986.

ე. ნ.

მანგალი — 1.ტყავის ზედაპირზე ხორცის მოსაცილებელი რკინის თხელპირიანი იარაღი. 2. ნამგლის (იხ.) ძველქართული სახელი. აქედანაა წარმოშობილი ტოპონიმი „მანგლისი“.

მანდილი — ქალის კომპლექსური თავსაბურავის ერთ-ერთი ელემენტი, გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთი და თუშეთი). გრძელი, ყელსახვევის მსგავსი ხევსურული მანდილი შინნაქსოვი შავი ან ლურჯი შალისაგან (ტოლი) მზადდებოდა და სათაურასთან ერთად იხმარებოდა. ხევსურული მანდილი 2 სახისა იყო: „ცალქერქა“ და „ორქერქა“. „ცალქერქას“ ერთი ბოლო ფესვით მთავრდებოდა, მეორე კი „შიბით“ ან „ნაჭრელით“, ჰქონდა ნაქარგი. მანდილის შუაში „სამხატი“ (3 ჯვარი) იყო ამოქარგული, თავზე მოხვევისას „სამხატი“ შუბლზე უნდა მოქცეულიყო. თუშური სამკუთხა მანდილი შავი ქიშმირის ან სატინისაგან მზადდებოდა. ერთი ყური შედარებით პატარა ჰქონდა. ხევსურეთსა და თუშეთში მანდილი გათხოვილი ქალის სავალდებულო თავსაბურავად მიაჩნდათ. გაუთხოვარი ქალისათვის მისი ტარება არ იყო სავალდებულო. თუში ქალი მანდილს ხმარობდა ცალკე ან კუჭურასთან ერთად. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მანდილი დიდი პატივისცემით სარგებლობდა: მოჩხუბართა შეტაკების დროს მათ შორის მანდილის ჩაგდება შეწყვეტდა შუღლს.

ლ. ბ.

მანეული//მარნეული//მარნა — წვრილი ტირიფი ვენახის სარზე ასაკრავად. ხმარობენ ვაზის შეყელვისას. დასავლეთ საქართველოში ტირიფის წნორის წანელს კაპიჭს უწოდებენ.

ე. ნ.

მანიათი (ლაზ.) — ერთგვარი ტიპის თევზსაჭერი ბადე, რომელიც მილით იქსოვებოდა.



მანიაკი — ოქრომკედი, ძვირფასი ქვებით და მარგალიტებით შემკული ტანსაცმლის ფართო საყელო, რომელიც ფარავდა მხრებსა და გულისპირს. მათი ყველაზე ადრეული ნიმუშები ცნობილია ეგვიპტესა და ასურეთში. ბიზანტიელებმა მანიაკები სპარსელებისაგან გადმოიღეს თანამდებობის პირთა განმასხვავებელ ნიშნად. უმაღლესი თანამდებობის პირები ძვირფასი ქვებით შემკულ მანიაკებს ატარებდნენ, დაბალი მოხელეები კი — აბრეშუმის ქსოვილისას. ქართულ ტანსაცმელზე მანიაკები XI ს. გვხვდება. ქართულ ფრესკებსა და ოქრომჭედლობის ნიმუშებზე მანიაკები შესაძლებელია ორ ჯგუფად დაიყოს. I. სამეფო, დიდებულებთან დაკავშირებული მანიაკები, მაგ., ბორენა დედოფლისა — ატენის ფრესკაზე, ბაგრატ III-სა ბედიის ფრესკაზე, თამარისა — ვარძიის და სხვა. მსგავსი მანიაკები აქვთ მიქაელ და გაბრიელ მთავარანგელოზებს. II ჯგუფში ერთიანდება მანიაკები, რომლებიც გვხვდება სამხედრო და საერო პირთა სამოსზე.

ლიტ.: ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, 1964.

ე. ნ..

მანიკა — აქ: ღვინის ასაწყავი ერთგვარი თიხის დოქი, რომელიც გამოიყენებოდა ასაწყავად. დაახლოებით ორი კვარტი ტევადობისა.

მანტია — მღვდელმთავართა და მონაზონთა უსახელო ზედა შესამოსელი, რომელსაც მოსასხამის სახე აქვს და კისრიდან ფეხებამდე მთელს სხეულს ფარავს. მონაზონთა მანტიას შავი ფერისაა და ანგელოზთა ფრთების სახეს წარმოადგენს, ამიტომ როგორც თვით მას, ასევე მონაზვნობას საერთოდ, ანგელოზთა ხატი ეწოდებათ. მანტია, ასევე ღმრთის მფარველ ძალასა და მონაზვნურ სიმდაბლესაც მოასნავებს. სამღვდელმთავრო მანტია როგორც ფერით (ცისფერი, მწვანე, ლილისფერი, იისფერი), ასევე მასზე დამაგრებული სამხრეებითა და ლენტებით განსხვავებულია.

ლიტ.: С. Е. Молотков, Практическая энциклопедия православного христианина. С. Пб. 2001г.

ხ. ც.













ქვის მაგიდები





მარანი

მანჩა — ხორბლისა და ფქვილის შესანახი სახურავიანი მცირე ზომის კიდობანი. ასეთი ყუთი დაახლოებით იტევდა 40 კგ ფქვილს. აკეთებდნენ ცაცხვისაგან, რადგან ეს ხე კარგად ინახავს ფქვილს. აქვს სახურავი და საკეტი. მანჩაში მარცვალს ზემოდან ყრიან, ხოლო წინა კარიდან იღებენ. მანჩა მოიაზრება ისეთ სათავსად, როგორიცაა ამბარი, ლაზამბარი და ხალამბარი. ყველა ესენი კი მცირე ბეღელის ფუნქციის მატარებელნი არიან.

მანჩა იდგა საცხოვრებლის მარჯვენა მხარეს თაროს (ბუჯერი) გვერდით. მანჩის ადგილიდან დაძვრა ხალხის რწმენით იკრძალებოდა. დიდი თუ მცირე ზომის საფქვილე — მანჩა კიდობნებში — ნალის ჩაგდება იცოდნენ, რაც ხალხის რწმენით დოვლათიანობას უზრუნველყოფდა.

ლიტ.: ლ. ბედუკიძე, ხის აეეჯი იმერეთში, მიეშ, 1979.

ლ. ბ.

მანჭვალი//სამსჭუალი – რკინისა და ხის ლურსმნის ზოგადი სახელი ძველ ქართულში.

მანჯანიკი//ჯარა — აბრეშუმის ძაფის ამოსახვევი. მანჯანიკი წარმოადგენს ორკაპა ჯოხს, მის საყრდენში ჩამაგრებული კოჭიდან ძაფი ჩარხის ტარის დატრიალებით ბორბალზე ეხვეოდა. მანჯანიკის მეორე სახეობაში ორკაპა ჯოხი და კოჭის საყრდენი ფიცარი მიწაში ცალ-ცალკე იყო ჩასმული. მესამე სახეობა შედგებოდა ბოძზე დადგმული ჩიხრიხის-ჩარხისა და ორკაპა ჯოხისგან, მასში გაყრილი კოჭითა და მასრით. ჩარხის დატრიალებით მასრიდან ძაფი გადადიოდა კოჭზე და ეხვეოდა მასზე. მანჯანიკის დაწინაურებული სახეობაა მანჯალიხი. მანჯანიკის ამ ტიპებიდან პირველი სამი კახეთსა და ქიზიყში იყო გავრცელებული, მანჯალიხი კი — საინგილოში.

ლიტ.: ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957.

ლ.მ.

მაუდაგი (თუშ.) — ბატკნის ტყავი, შავად ან წითლად შეღებილი და დახუჭუჭებული.

მარანი — ღვინის სახლი, სათავსი, სადაც ხდება ყურძნის დაწურვა, ღვინის დაყენება და შენახვა. ქართველი გლეხის საკარმიდამო კომპლექსში მარანს გააჩნია როგორც პრაქტიკული, ასევე საკრალური დანიშნულება. 864 წელს გადაწერილ სინურ ხელნაწერში მარანი განმარტებულია, როგორც ღვინის შენახვისათვის განკუთვნილი ნაგებობა და ეს ფუნქცია არ მოსცილებია მას დღემდე. საქართველოს ბუნებრივმა პირობებმა განაპირობა მარნების თავისებურებანი. აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული ცხელი ჰავის გამო მარნები დახურულ, ქვიტკირის ნაგებობებს წარმოადგენენ. ზოგჯერ ასეთი მარნები საცხოვრებელ კომპლექსს ებჯინებოდა, ზოგიერთ შემთხვევაში კი დამოუკიდებელ ნაგებობას წარმოადგენდა, დიდად გავრცელებული იყო საცხოვრებლის სარდაფში მარნების მოწყობა.

ძველად მარნები ციხე-სახლებისათვის შეუფარებიათ, მტრისაგან რომ ყოფილიყო დაცული. მეღვინეობით განთქმულ ზემო ხოდაშენში, ხაშმში, რუისპირში და სხვაგანაც დადასტურებულ იქნა სათოფურიანი მარნები, რაც მეტყველებს მარნის, როგორც თავდაცვითი ნაგებობის გამოყენებაზე. ასეთი მარნები გაყოფილი იყო ორ ნაწილად, ერთში ყურძნის საჭყლეტ-საწური საშუალებანი იყო, ხოლო მეორეში ღვინის დასადუღებელ-დასაყენებელი ქვევრები. მარნებში ხშირად ფიქსირდება დედაბოძი — ერდოგვირგვინიანი და ბანიანი საცხოვრებელი სახლის მთავარი ელემენტი, რომელსაც პრაქტიკული დანიშნულების გარდა ღრმა სიმბოლური დატვირთვაც გააჩნდა. ქართლური და კახური ქვითკირის მარნებში ხშირად ვხვდებით წითელი აგურით გამოყვანილ აღმოსავლური სტილის თაღებიან ნიშებს, სადაც განთავსებულია სხვადასხვა სახის სასმის-სანყაოები და ღვინის დაყენებასთან დაკავშირებული სამეურნეო ნივთები.

ქართული მარნების ხუროთმოძღვრებაში აშკარად შეიმჩნევა საცხოვრებელი სახლის ელემენტები, რაც თავისთავად ხაზს უსვამს მარნის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. თავისთავად მარნისათვის „ღვინის სახლის" შერქმევა შესანიშნავი განმარტებაა იმისა, რომ ადამიანის გარდა ღვინოსაც ჰქონია სახლი.

ამიერკავკასიაში უძველესი მარნები აღმოჩენილია ძველი ურარტუს ტერიტორიაზე და ზოგიერთ მათგანში არქეოლოგებმა ასამდე ქვევრი დაითვალეს. ელინისტური ხანის მარნები აღმოჩენილია კოლხეთის

უმდიდრეს ქალაქ ვანში, ასევე იბერიის დედაქალაქ მცხეთაში, რომლის ერთ მარანში 5.500 ლიტრის ტევადობის ქვევრებს მიაკვლიეს. ერთ-ერთ ქვევრში აღმოჩენილმა ჩამხმარი სითხის ანალიზმა აჩვენა, რომ აქ ოდესღაც საფერავის ტიპის ღვინო მდგარა. უკანასკნელ ხანს იშვიათი კონსტრუქციის მარნები აღმოჩნდა მეღვინეობით განთქმულ ნეკრესის ერთ-ერთ ნასახლარზე. საინტერესოა, რომ კლდის ქალაქ ვარძიაში 25-ზე მეტი მარანი იქნა აღმოჩენილი 200-მდე ქვევრით.

დასავლეთ საქართველოში ტიპიური მარნის ჭურებიანი ნაწილი, სადაც ღვინო ინახება, ღია ცის ქეშია განთავსებული, ხოლო თავად სამეურნეო ნაგებობა წარმოადგენს ღია ტიპის გადახურულ ნაგებობას, სადაც მეღვინეობასთან დაკავშირებული ინვენტარია განთავსებული. აქვეა საწნახელი და სატკბილე ისარნა. მარნის ასეთი განლაგება დაკავშირებულია როგორც ნახევრად ტკბილი ღვინოების დაყენების პრაქტიკასთან, ასევე განპირობებულია დასავლეთის ტენიანი ბუნების გათვალისწინებით, რაც კარგად იცავს ჭურში ჩასხმულ ღვინოს და უნარჩუნებს საუკეთესო თვისებებს.

მარანი თავისი დიდი პრაქტიკული დანიშნულების გამო, უძველესიდანვე იქცა საკრალურ ობიექტად და ხშირად მასში სრულდებოდა სარიტუალო ქმედებანიც. ახალ წელს საახალწლო ხონჩით მიულოცავდნენ მარანს და ღმერთს შესთხოვდნენ დოვლათსა და ბარაქას, მარანში შეიყვანდნენ ახლად დაქორწინებულ ნეფე-დედოფალს და მიულოცავდნენ გაბედნიერებას, მარანში შეიპატიჟებდნენ საპატიო სტუმარს და დაალოცვინებდნენ ოჯახს. მარანში იდგა პრეისტორიული ადამიანის რელიგიური წარმოდგენების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სიმბოლური ხატის სიცოცხლის ხის იმიტირებული გამოხატულება — დედაბოძი, რომელსაც ქრისტიანობის დროსაც არ მოჰკლებია თაყვანისცემა და მარანში მისი გამოჩენით, ღვინის სახლის მნიშვნელობა კიდევ უფრო იქნა გაძლიერებული.

ლიტ.: ლ. სუმბაძე, ქართული მარანი. ლ. ფრუიძე, მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში (რაჭა), 1974. ნ. თოფურია, ქართული მარანი, მსე, ტ. VII, 1955.

ე. ნ.



მარანი – აქ: ღვინის შესასმელი თიხის ჭურჭელი. სხვადასხვა ვარიაციით გავრცელებულია მეჭურჭლეობით განთქმულ საქართველოს ყველა კუთხეში. მარანი წარმოადგენს ორსართულიან სასმისს, რომლის პირველ ნაწილს დაფანჯრული ქუსლ — სადგარი აქვს, ხოლო მეორე სართულად თავზე მოვლებულია საზიარო მილაკი მასზე დამაგრებული ჩარექიანებით. ერთ ჩარექში ჩასხმით მარნის მილაკი და ყველა სასმისი თანაბრად შეივსება, ხოლო მსმელი ღვინოს მიირთმევს ჯგუფურ ჭურჭლებს შორის ჩასმული ზოომორფული ცხოველის პირიდან. ყველა ჭურჭელს ერთი საერთო ხვრელთა სისტემა გააჩნია და სმის დროს მარანი ერთიანად იცლება. მარანი ქართული სუფრის დამამშვენებელ სასმისად ითვლებოდა. მისი საკრალური და რიტუალური დანიშნულება კარგადაა გამოკვეთილი შემკულობაში. მარნის სიმბოლიკაში ჩადებულია კოლექტიური სერობის საკრალური ხასიათი. იგი განასახიერებს მარნის, როგორც ღვინის სახლის მიკრომოდელს. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული ეს სარიტუალო ჭურჭელი გარკვეულ გენეტიკურ ნათესაობას იჩენს წინა აზიის სამეურნეო კულტურულ წრესთან. მარნის მრავალჭურჭლიანობაში გიორგი ჩიტაია ხედავდა წარმართული ხანის სალოცავების ერთჯერადად დალოცვის იდეას.

ლიტ. გ. ჩიტაია, შრომები, ტ. მე-2, 2000. მ.ზ. ე.ნ.

მარაო — სახის საგრილობელი, გასაშლელ- დასაკეცი სანიავებელი საშუალება. გავრცელებული იყო როგორც აზიის, ასევე ევროპის ქვეყნებში. მარაოს კლასიკური ნიმუშები, რომლებიც მზადდებოდა ლერწმისა და აბრეშუმის მასალით, შექმნილია ჩინეთსა და იაპონიაში. მარაო დროთა განმავლობაში ქალის კოსტიუმის ერთგვარ ელემენტად იქცა. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში უცხოურ მარაოებთან ერთად დასტურდება ადგილობრივი მასალით დამზადებული მარაოები. დამუშავების ტექნიკით განსაკუთრებით გამოირჩევა ჭილის მარაოები.

ე.ნ.



ლია მარანი





მაჩუბი





მაჩუბი





მაჩუბი

მარგალიტი — ზღვის ძვირფასი ქვა, რომელიც უძველესიდან გამოიყენებოდა საქართველოში. მარგალიტი ძირითადად თეთრი ფერის ქვაა, მაგრამ გვხვდება მტრედისფერიც, მოყვითალოც, მოლურჯოც და მონითალოც კი. განსაკუთრებით ძვირფასია სფეროსებრი მოყვანილობის მარგალიტი, ზოგიერთი მარგალიტი სიდიდით მტრედის კვერცხის ზომებს უახლოვდება. მარგალიტს ძირითადად მოიპოვებდნენ ძველი აღმ. ზღვების სანაპიროზე. განსაკუთრებით მდიდარი იყო სპარსეთის უბე. საქართველოში არჩევდნენ მარგალიტის სახესხვაობებს: წვრილ მარგალიტს „ჭიოტა" ჰქვია, საშუალო ზომისას — „ხოშორი", დიდი ზომისას „ობოლი", ხოლო ბევრ მარგალიტს ერთად „აკუმი". მარგალიტით შემკული ნივთები აღმოჩენილია ქრისტიანობამდელ სამარხებში. მცხეთაში აღმოჩენილ იქნა მარგალიტით შემკული ბეჭდებისა და ყელსაბამების დიდი რაოდენობა. ისტორიული საბუთების მიხედვით VI ს-ში, როცა ხაზარებმა თბილისი გაძარცვეს, მტერს ხელში ჩავარდნია დიდი რაოდენობით მარგალიტით შემკობილი სამკაული და საეკლესიო ჭურჭელი.

ლიტ.: ე. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ე. ნ.

მარგილიანი ხელსაფქვავი – ხელსაფქვავის ერთ-ერთი განვითარებული სახეობა. წარმოადგენს ორი თანაბარი დიამეტრის ზედა და ქვედა ქვას. ჩვეულებრივი წისქვილის მიხედვით ქვედა ქვა უძრავია, ხოლო ზედას სახელურის საშუალებით ადამიანი ამოძრავებს. ხელსაფქვავს წინ გაკეთებული აქვს პატარა ყუთი (ალა, ჩიბე, საფქვილე), სადაც ფქვილი იყრება (იხ. ხელსაფქვავი).

ე.ნ.

მართხაფი — ქვაზე ხვრელთა ამოსაჭრელი პირბასრი და პირგაბრტყელებული გრძელტანიანი და დაკუთხულტანიანი რკინის იარაღი (იხ. ბურის კეტი)

მარნი-გოგორა — ნაძვის ხისაგან გამოთლილი, მთლიანი ან სამ ფიცრიანი // ნაჭრიანი გოგორა, საძნე და ჩოჩიალა ურმებისათვის. მარნი-გოგორა შედგება გვერდის ფიცრების — „ბარტყებისა" და შუა „დედანი" ხისაგან. მ-გ-ს დიამეტრი 1მ 20 სმ-ია, მას იყენებდნენ მესხეთ-ჯავახეთში, იმერეთში, აჭარასა და სხვ. მ-გ-ა სოლებიანი ბორბლის წინამორბედია და საქართველოში ბრინჯაოს ხანიდან გამოიყენებოდა ხალხურ ტრანსპორტში.

ლიტ.: მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, 1958.

ვ. ვ.

მარტო შკამი (ხევი) — საუფროსო სავარძელი, რომელიც კეთდებოდა ოვალური მოყვანილობის ზურგ-საბჯენით. დასაჯდომი ფიცარი ნახევარსფერული ჰქონდა, იდგა სამ ფეხზე, დიდ ოჯახებში ზოგჯერ რამდენიმე „მარტო შკამი" ჰქონდათ. ერთი თუ ოჯახის უფროსს ეკუთვნოდა, დანარჩენებს სხვა უფროსები იკავებდნენ. მარტო შკამი ხევში, როგორც სხვაგან, წარმოადგენდა უფროსი მამაკაცის უფლებრივ ატრიბუტს. გამონაკლის შემთხვევაში მას სტუმარსაც უთმობდნენ ხოლმე. სავარძელი მიჩნეული იყო ისეთ ნივთად, რომელთანაც დაკავშირებული ყოფილა როგორც ოჯახის უფროსის, ისე საზოგადოებაში სოციალურად აღზევებული პიროვნების პრიორიტეტი.

ლიტ.: ე.ითონიშვილი, ხევი ძველად და და ახლა, 1941.

ლ. ბ.

მარცახი – თევზსაჭერი მოწყობილობა, საბას განმარტებით, „ბარჯი სამკბილი ჩანგალსავით".

მარწუხი — 1. ტუჩიანი, რკინის საჭერი, მესპილენძე-ხელოსნის სამუშაო იარაღი. გრდემლთან და ურუოსთან ერთად მესპილენძის ძირითად ხელსაწყოს წარმოადგენს. მის გამოგონებას ხალხი 363 ხელობის უფროსს და მჭედლობის მფარველ წმ. სოლომის//სოლომონს მიაწერს. მარწუხით შეპყრობილი ლითონი გრდემლზე ურუოთი და კვერით იჭედებოდა. ხელოსანი 3-4 სახის მარწუხს ხმარობს: დიდსა და პატარას, სახელურიანსა და უსახელუროს. ზოდის ასაღებად, ზოდის გადმოსაღებად, კალაპოტის ასაღებად და სხვა.

2. ქვის დასამუშავებელი იარაღი. ხის ტარიანი და ლითონისპირიანი. იგი ქვას ასუფთავებს ზედმეტი „ხოკებისგან". მარწუხი ტარით უჭირავს ერთ ხელოსანს და უმარჯვებს ზედმეტ ხოკებს, მეორე კი თავზე ადგას, ყუას სცემს ურუოს და აყრევინებს „ხოკებს".

3. საეკლესიო-სარიტუალო ნივთი. მარწუხით აზიარებენ მორწმუნეებს, მისი საშუალებით ბარძიმიდან სიმბოლურად იღებენ ქრისტეს წმინდა სისხლსა და ხორცს. ასეთ მარწუხს (კოვზს) ამზადებენ პატიოსანი ლითონების: ოქროს ან ვერცხლისაგან, სახელურის დაბოლოება ჯვრის გამოსახულებისაა. სიმბოლურად ნიშნავს ლერწამს, რომლითაც ჯვარცმულ მაცხოვარს, როცა წყალი ითხოვა, მიანოდეს ნაღველნარევ ძმარში დასველებული ღრუბელი, აგრეთვე ნიშნავს მარწუხს, რომლითაც სერაფიმმა, „აღიღო" რა უფლის სამკვეთლოდან ნაკვერცხალი, შეახო ისაია წინასწარმეტყველის პირს და განწმიდა იგი ცოდვათაგან. ეს საღვთისმსახური ნივთი დაადგინა წმიდა იოანე ოქროპირმა თავისი პატრიარქობის ჟამს, IV საუკუნეში. მანამდე ზიარებას მღვდელი ხელით აძლევდა მორწმუნეს.

ც.ჯ. ხ.ც.

მარხილი — ხალხური ტრანსპორტის ტიპი. მარხილი ყოფაში სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება: მარხილი (ქართ. კახ. იმერ.), ლეკ მარხილი (ზ. აჭარ.), გოგრა (აჭარა), თუში (მთიულეთი, ფშავი, თუშეთი), ლაჩქამი (მთიულეთი, ქსნის ხეობა), მანჯაკი და ა.შ.



სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, მარხილი „არს ურმის მსგავსი და უგოგორო, თოვლზე სათრევი". იგი სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. ესენია ა) კავები, ანუ ფეხები (ტოტები — თუშეთი, ღო — მთიულეთი), ბ) მარხილის ტანი (ანუ ნერჩი — ფშავი, კვატუში — ლეჩხუმი) და გ) ხელნა.

მარხილის დამოუკიდებელი ნაწილია უღელი.

მარხილს აქვს ორი კავი, ანუ ფეხი, ოთხი კოჭი (ჭალა — რაჭა), ნემსაფიცარი (თავჯოხი — მთიულეთი), წინა და უკანა კოფო და ორი ხელნა. მარხილის ტანი, სადაც შეშა, ფიჩხი, თივა და სხვ. თავსდება, მარხილის ფეხებს ეყრდნობა. მარხილის ფეხები წინა ნაწილში ერთმანეთთან „ნემსი ფიცრითაა" შეერთებული. „ნემსიფიცრის" წვერები მარხილის ფეხების გარეთ გადის, მათზე ჩამოცმულია ხელნები, რომლებიც უშუალოდ მარხილის უღელს უკავშირდება.

მარხილის „ფეხებისათვის" არჩევდნენ მოკაკულ თავმოღვედილ (თუშეთი), ე.ი. ბუნებრივად მოხრილ ხეს, რცხილას ან არყს, კავები (ფეხები) ძირში სქელი (მსუქანი) უნდა ყოფილიყო, სრიალის დროს გვიან რომ გაცვეთილიყო. ფეხებს სატეხით დახვრეტდნენ, ამოიღებდნენ (ვერტიკალურად) ოთხ „საკოჭე ადგილს", ნაჯახით გამოჰყავდათ ნემსაფიცარი, მრგვალი თავჯოხი. დამზადებული ნაწილებით შემდეგ მარხილს აწყობდნენ.

მარხილზე ტვირთის დასამაგრებლად იხმარებოდა ღვლეჭი (ალაჭა — რაჭა) ანდა ორკაპა შინდის ხე. მარხილის დამზადებას ორი დღე უნდოდა და XX საუკუნის დამდეგისათვის ორი კოდი ქერი ღირდა. იგი გამოიყენებოდა ძნის, თივის, შეშის, ფიჩხისა და სხვათა საზიდად. ამის მიხედვით იყო „შეშის", „თივის", „ძნის" და ა. შ. მარხილები, რომლებიც ურთიერთისაგან სიდიდის (ტევადობის) მიხედვით განსხვავდებოდა. ქართულ წერილობით წყაროებში ხშირად მოიხსენიება მარხილი. მაგ., XIII საუკუნის ძეგლი გვამცნობს: „მუნ შეჰკაზმა ქვაი დიდი და მძიმე ფრიად და დადვა მარტო მან მარხილსა ზედა". „მოხსნეს მარხილნი უღელსა მას ხართასა" და ა.შ.

თუ ბარის ან გარდამავალი ზოლის სოფლებისათვის მარხილი სეზონური სატრანსპორტო სახეობაა და მას მოსახლეობა ურემთან ერთად იყენებდა, მთის ზოლის მოსახლეობისათვის იგი უნივერსალური საზიდი საშუალება იყო, აქ მარხილს ზამთარ-ზაფხულ ხმარობდნენ.

ლიტ.: მ.გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, 1956.

გ.ბ.

მარჯანი — სანახელაო წითელ-სტაფილოსფერი ქვა, იშვიათად გვხვდება აგრეთვე თეთრი, შავი და ყვითელი ფერისაც, წითელი მარჯანი კეთილშობილი მარჯნის სახელითაა ცნობილი. მარჯნისაგან ამზადებდნენ მძივებს, სამაჯურებს, ქინძისთავებს, გულსაკიდის თვლებს და ა.შ. მარჯანს ძირითადად მოიპოვებდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზში. ძველ ქართულ წყაროებში მარჯანს ზოგჯერ ძონი//ძონეული ეწოდება. მარჯნის მძივები და ამ ქვით შემკული სხვადასხვა ნივთი უკვე ბრინჯაოს ხანიდან გვხვდება საქართველოში. მისი მოხმარება მომდევნო პერიოდშიც ძალზე მიღებული ყოფილა.

ე. ნ.

მასათი — ყასბების დანის სალესავი მრგვალი რკინა, რომელიც მუშაობისას ნელზე კიდიათ.

მასე – ერთგვარი ტიპის თევზსაჭერი ბადე.

მასრა//ქილა (იმერ.) — მოგრძო მილისებური ფორმის ხის ნივთი, რომელიც იდება ჩოხის გულისპირზე დაკერებულ სამასრეებში. ძველად მასრაში ინახებოდა ერთი გასროლა თოფის წამალი. მოგვიანებით მასრა ჩოხის სამკაულად იქცა და განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამასრეებიდან გამოსაჩენი მასრის თავების გაფორმებას, რომლის დასამზადებლად იყენებდნენ რქას, სპილოს ძვალს, ეერცხლს. რქისაგან დამზადებულებს „შავ მასრებს" უწოდებდნენ, ხოლო სპილოს ძვლისას თეთრს. აკეთებდნენ აგრეთვე „ვერცხლის მასრებს".

XIX ს. მეორე ნახევარსა და XX ს. დასაწყისში მასობრივად ჩანს ათვისებული რქისთავიანი მასრები. ამისათვის გამოუყენებიათ ირმის ან კამეჩის რქები, რომლებსაც საგანგებოდ რთავდნენ ურთხელის ხის ნაწილებით.

ლიტ.: მსშხი, ტ III. ნაწილი I, 1983.

ე. ნ.

მასხალი – დამზადებული ნივთების გასაწმენდი. ოქრომჭედლების იარაღი.



მატური – საფლავის ძეგლის ტიპი, რომელშიც იგულისხმება მრავალფეროვანი „ფეხზემდგომი" ძეგლები. დ. ჩუბინაშვილის განმარტებით, მატური არის „სასაფლაოზე მცირე გალავანი ერთის ნათესავის მიცვალებულისთვის", ე. ი. საგვარეულო სასაფლაო. ასეთი განმარტება იძლევა ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ მატური ადრეულ ხანაში გაიგებოდა, როგორც საგვარეულო სასაფლაოს აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი, ხოლო მოგვიანებით იგი იქცა „ფეხზემდგომი საფლავის ძეგლების" კრებსით სახელად. ქვითხუროობის თვალსაზრისით მატურებში გამოვლენილია ძალზე მაღალი დონე, რთული ტექნიკური სიძნელეებით დაძლეულია ქვის დამუშავების ყველა ნიუანსი. განსაკუთრებით დამახასიათებელია გეომეტრიული სნორი ხაზები, ოთხკუთხოვანი ან მრგვალი კოლონადები, თაღური და როტონდისებური გადახურვები. ზოგადად მათ იერში დომინირებს ეკლესიების, ეკვდერებისა და სამრეკლოს არქიტექტურული მოდელები. ზოგი მატური შესრულებულია ყრუ მოდელირებით, ზოგიერთები კი წარმოადგენს „ბანიან" და „ფარღია სამრეკლოიან" ეგზემპლარს, რომლებიც მორთულია ცრუ ნიშებით, ღიობებით, თახჩებითა და მომთავრებულნია ქვისა და რკინის ჯვრებით. ხშირად მატურებზე ვხვდებით საკმაოდ ვრცელ წარწერა-ეპიტაფიებს, ქრისტიანული რელიგიის ისეთ სიმბოლოებს როგორიცაა: მტრედი, თევზი, ნაყოფი, ვაზი და მტევანი, ანგელოზები, ასევე სამეურნეო და სახელოსნო იარაღებს, ბოთლს, ყანწს, შეკაზმულ ცხენს, ირემს, საკურთხს და სხვა. მატურთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელია ნიშები საკურთხის დასადებად და სანთლის დასანთებად, გარდაცვალებულთა სურათები და სხვა.

მატური არის უმნიშვნელოვანესი მემორიალური ძეგლი, რომლშიც გამოხატულია როგორც ქვითხუროობის მაღალი დონე, ასევე ქრისტიანული სიმბოლიკის კვლევისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მასალები.

ლიტ: ე. ნადირაძე, საქართველოს მემორიალური კულტურა, 2001. ს. ბედუკაძე, ქვის დამუშავება მთიულეთში, მსე, ტ. V, 1951.

ე.ნ.

მაფრაშა – ხალიჩური ნაწარმის ერთგვარი ტიპის სათავსი, რომელიც ძირითადად მართკუთხედად იყო მოქსოვილი და გამოიყენებოდა თეთრეულის საოჯახო ბარგისა და მისთანათა შესანახად. როგორც საჭირო და ფუფუნების ნივთთა შესანახ საგანს შეეფერება, იმისდაგვარად შემკული იყო სხვადასხვა სახის მცენარეული და გეომეტრიული მოტივებით. მაფრაშა ხალიჩური ნაწარმის ერთ გამოკვეთილ დარგს ქმნის და ამ მხრივაცაა საინტერესო.

ე.ნ.

მაქალოზი — ხის ოვალური ფორმის სახურავიანი ყუთი, რომელსაც გამოიყენებდნენ სანვრილმანო — საოჯახო ნივთების შესანახად.



ე.ნ.

მაქაცი// ჩინჩხი (ხევს.) — საწური, შტოებისაგან შეკრული კონა. შუაში როგორც ჩიტის საბუდარი ისეა ამოღარული.

მაქო — აკ. აბრეშუმის ძაფის დასახვევი ხელსაწყო, რკინის. თავ-ბოლოში წყვილი კბილებით.

ც.ბ.

მაღლარი ვაზი — ზოგადი სახელია მაღლა ასული ვენახისა, ადრე ასეთი მაღლარი ვენახები გასული იყო ხეზე და არც კი ისხვლებოდა. დროთა განმავლობაში მაღლარების გაშენება საგანგებო ხისა და რკინის კონსტრუქციებზე ძალზე გავრცელებულ ჩვეულებად იქცა. საქართველოში მაღლარი ხეივნები ყველგანაა გავრცელებული, ამისათვის საგანგებოდაა გამოყენებული ღია ჭურისთავი — მარნები, გზისპირები, ეზოები, მაღლარი ვენახი შესაწამვლად და გასაფურჩქვნად ძნელია, სამაგიეროდ არ სჭირდება შესარვა, მოსავალიც უხვი იცის. მაღლარი ვენახის კლასიკური ტიპია ტალავერი (იხ.) ხოლო მისი უძველესი შესატყვისია „ბაბილო" და „დობილო".

ე. ნ.

მაყაში — ერთგვარი ტიპის მაკრატელი, რომლითაც ხდება სანთლის ჩაქრობა და მომწვარი პატრუქის ნაწილის მოჭრა, ანუ „ცხვირის მოხოცვა". მაყაში მზადდებოდა სხვადასხვა სახის ლითონისაგან. მაყაში ხშირადაა მოხსენიებული ზირანდასთან, ლანგართან და ნატთან ერთად, რომელთაც სანთლის ანთება-ჩაქრობისათვის გამოიყენებდნენ. მათი შეტანა მზითვის წიგნში ამ კომპლექტის მნიშვნელობას გამოკვეთს.

ლიტ. ც. გაბოძე, სასანთლე-შანდალი, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. IV. 2009 ე.ნ.

მაშარაბი//მაშარაფი — ნადუღარი ბრონეულის წვენი, რომელსაც ხმარობენ საწებელად ხორცთან და განსაკუთრებით მოხარშულ თევზთან.

მაშრაფა — ქილის ფორმის სპილენძისყურიანი მოკალული ჭურჭელი.



მაჩუბი — სვანური სახლის („ქორ") პირველი სართული. „მაჩუბ"-ი ოჯახის საზამთრო საცხოვრებელს წარმოადგენს, ხოლო მეორე სართული („დარბაზ") — საზაფხულოს, სადაც ზამთრობით საქონლის საკვების მარაგი ინახება.

მაჩუბ-ში შესასვლელად გამოიყენებოდა სახლის კედელზე გარედან მიშენებული გრძელი დერეფანი („ჰაგამ"). იგი უმეტესად ქვითკირისაა, მაგრამ გვხვდება მორებისაგან აშენებულიც. მაჩუბ-ი განკუთვნილია როგორც ადამიანის საცხოვრებლად, ისე საქონლის სამყოფად. მაჩუბ-ის ის კუთხე, სადაც სახლის კარი არის დატანებული, გამოყოფილია ხის მორებით ან სქელი ფიცრებისაგან აგებული ე.წ. ბაგ-ით. ბაგ-ის ფართობი შეადგენს დაახლ. 3X3 მ. მასში დგას კიბე, რომლის ზემოთ, ჭერში დატანებულია ხერელი („ლები"), რომელსაც აქვს სახურავი. კიბის საშუალებით მაჩუბიდან ადიან მეორე სართულზე. ლებიდან ადის კერიაში კვამლიც, მაჩუბს აქვს აგრეთვე დარბაზიდან თივის ჩამოსაყრელი („ლანუნალ"). ბაგს ორი კარი აქვს. ერთი შედის ადამიანის საცხოვრებელში, ე.ი. მაჩუბის ცენტრალურ ნაწილში, სადაც კერიაა გამართული; მეორე კი გადის საქონლის სამყოფში.

მეთუნეობა



მეთუნეობა

საქონლის სამყოფი მაჩუბის სამი კედლის გაყოლებაზეა მოთავსებული: ხარების სამყოფელი — „ლახან“, ძროხების სამყოფია — „ლაფურ“. მათ ორივეს ერთად „გვალ“ ეწოდება. სადგომის ხის ტიხრებში საქონლის თავის გამოსაყოფი კამარებია გამოჭრილი და მათ წინ საქონლის საკვების ჩასაყრელი ბაგაა მოთავსებული. გვალის თავზე ხშირად ოჯახს ფარეხი აქვს გაკეთებული, სადაც თხა-ცხვარს ამწყვდევს. აღნიშნული კედლების სიგრძეზე მოთავსებულია ოჯახის წევრთა საწოლები. საწოლების წინ სვეტებია აღმართული, მათზე დამაგრებულ კავებზე (წამ) ჩამოკიდებულია იარაღი, ტანსაცმელი და სხვ.

მაჩუბ-ის მეოთხე კედელზე გაკეთებულია კარადა („ლაშად“). იგი ორი ნაწილისაგან შედგება: ქვევით— ერთიანია. აქ პურის მოსაზელი ვარცლის („ჯარ“) შესადგმელია ამოჭრილი. ზემოთ კი ორი კარი აქვს და გამოიყენება ჯამ-ჭურჭლის შესანახად. კედლის კუთხეში არის მარანი, რომელშიც დგას რამდენიმე ქვევრი („კეც“) არყისათვის.

მაჩუბ-ს აქვს ორი პატარა და ერთი დიდი ფანჯარა („ლახვრა“), რომლებსაც ხის დარაბებით ხურავდნენ. ერთი პატარა ფანჯარა აღმოსავლეთის კედელშია. მას სალოცავ ფანჯარას („ლიმზერ ლახვრა“) უწოდებენ, მასზე ჯვრები იყო გამოსახული

მაჩუბის შუაგულში გამართულია კერია. კერიის ირგვლივ მკვეთრად იყო გამიჯნული მამაკაცებისა და ქალების სამყოფი ადგილი, ქალს, რომელიც განაგებდა საოჯახო მეურნეობას, მისი საქმიანობისათვის აუცილებელი ადგილი ეკავა კერასთან. ეს იყო კერის უკანა მხარე, სადაც წარმოებდა პურის ცხობა, რძის ნაწარმისა და საჭმლის დამზადება. ამ მხარეს იყო მოთავსებული ის ხელსაწყო-იარაღები და ჭურჭლეულობა, რომელიც ქალს ესაჭიროებოდა საოჯახო მეურნეობაში. კერასთან იყო ქალების სალოცავი ადგილი. კერის აღნიშნულ მხარეს დედაკაცების სამყოფი („ლაზურალ“) იყო.

სამამაკაცო ადგილის თავში იდგა ოჯახის უფროსის („ქორა მახვშ“) საჯდომი სკამი („საკურცხილ“). მის გვერდით ზურგიანი ფართო, გრძელი საჯდომი სკამი („ლერგიმ“), რომელზედაც ოჯახის სხვა კაცები სხდებოდნენ უფროს-უმცროსობის მიხედვით.

საქალებო მხარეს — ოჯახის უფროსი ქალის („მერბიელ“) კუთვნილი სკამი („ლარბიალ ბანდრი თხუმ“) და დაბალი, გრძელი სკამი („ბანდარ“) იდგა, რომელზედაც ქალები იმავე წესის დაცვით სხდებოდნენ.

კერიის ორი მხარე („კაცხაშ“) მამაკაცებს ეკუთვნოდა. აქ მოთავსებული იყო მსხვილფეხა საქონელი, რომელთა მოვლაც მამაკაცის მოვალეობა იყო. ამ მხარესვე იყო გაკეთებული სალოცავი ფანჯარა, სადაც მხოლოდ მამაკაცები ლოცულობდნენ. აქვე ჰქონდათ თავიანთი საბრძოლო იარაღი, რომ უეცრად თავდამსხმელ მტერს შეჰგებებოდნენ და დაეცვათ ქალები და ბავშვები, გადაერჩინათ კერა, როგორც ოჯახის ცენტრი და კეთილდღეობის სიმბოლო.

ლიტ.: მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1961.

ნ. გ.

მანანური – რეცხვის შემდეგ ჭურში ჩარჩენილი წყლის ამოსამშრალებელი, გრძელ ჯოხზე შებმული სუფთა ნაჭერი (იხ. ოსირო).

მანიკა (ლეჩხ.) — ღვინის ასაწყავი ერთგვარი თიხის დოქი დაახლ. ორკვარტიანი.

მაჭკატი(თუშ.)//**ლუხუმი**//**ლოკუმი** (აჭარ. ლაზ.) — ერთგვარი კერძი წყლისა და რძის ფქვილმოკიდებული ნაზავი, რომელსაც დაასხამდნენ გახურებულ კეცზე, ან „ზედგანის“ სიპზე, რის შემდეგ ის გაიშლება და ყველივით ნასვრეტები გაუჩნდება. გამომცხვარს ასტამით გადააბრუნებენ, დაუმატებენ ერბოს და მიირთმევენ.

მახარა — წყლის საზიდი მოწყობილობა. აჭარის, გურიის, სამეგრელოსა და ლაზეთის მთიანეთში დავაკებული ადგილები დაფერდებულთან შედარებით გაცილებით მცირეა, მაგრამ ფერდობებზე კიბე-კიბედ ხელოვნური სავარგულები — ლარები და ოროკებია გამართული. ბაქან-ბაქან მოწყობილ სავარგულებზე — ტერასებზე — ხეხილი და ვაზია გაშენებული. აჭარაში — ხევხუვიანი რელიეფის გამო გლეხკაცი იძულებული იყო, შორიდან გამოეყვანა სარწყავი წყალი, რომელიც ალაგ-ალაგ ხევებზე გადებულ ხის ღარებში — ბელღარებში მოჩხრიალებდა და თავის ძირითად საქმესთან — მორწყვასთან — ერთად კოხტა ბუჭულა (პატარა) ნისქვილებსაც ატრიალებდა.

ხსენებული რეგიონების მთიანეთში სოფლები ძირითადად მდინარეებისა და ნაკადულების პირასაა გაშენებული. ამიტომ იქ სასმელი წყალი არ ჭირს, მაგრამ ზოგჯერ ოჯახის ახალი განაყარი თავისი

სამოსახლოს ადგილმდებარეობის გამო სასმელ წყალს შორდებოდა. წყლის მაღლა ამოტანა კი ჭირდა, თუ ნაკადული ან წყარო დაბლა ხრამში იყო. ქართველმა კაცმა ეს საკითხი მახარას საშუალებით გადაწყვიტა. მახარა წყლის ქვემოდან ზემოთ ამოსატანი მექანიკური მონყობილობაა.

მახარას ასე მართავდნენ: კარ-მიდამოს სიახლოვეს, ან თუნდაც ეზოში, ხის ჯოჯგინაზე ხელით სატრიალებელ მორგვ-ბორბალს ამაგრებდნენ, თითქმის ისეთს, როგორიც ჭის გვიმზეა დადგმული. შემდეგ ქვემოთ ნაკადულთან ან წყაროსთან მინაში მსხვილ მარგილს მყარად არჭობდნენ (მარგილი მუხისა უნდა ყოფილიყო, ვინაიდან იგი ტენიან ადგილას იდგა), მარგილსა და ჯოჯგინას ერთ ფეხს მაგარ ბაგირს აბამდნენ და ჭიმავდნენ. შემდეგ თითქმის ბაგირის სიგრძის თოკს მორგვ-ბორბალზე ახვევდნენ. ბაგირზე რკინის კავიან გორგოლაჭს ჰკიდებდნენ და მორგვზე დახვეული თოკის თავისუფალ წვერს გორგოლაჭის კავზე ნასკვავდნენ. წყაროს წყალს ხის ღარს მიუმარჯვებდნენ და მახარაც მზად იყო. თუ წყალი დასჭირდებოდათ, ხის ვედროს — სათლს გორგოლაჭის კაუჭზე ჰკიდებდნენ და მორგვ-ბორბალს უკუღმა დაატრიალებდნენ; ამ ხერხით სათლი ღარის პირს მიადგებოდა. როცა წყლით აივსებოდა, მორგვ-ბორბალს ნაღმა დაატრიალებდნენ და წყალიც მაღლა ამოდიოდა. წყლით მომარაგების საქმე ტექნიკური თვალსაზრისით თითქმის თანამედროვე საბაგირო გზის დონეზე იყო მოგვარებული. მახარა ფრიად ორიგინალური და მოხერხებული ტექნიკური საშუალებაა, რის გამოც მას აქა-იქ ახლაც იყენებენ.

ლიტ.: თ. ჩიქოვანი, დასურათებული ლექსიკონი, 2009.

მახათი – ხისტარიანი და რკინისტანიანი დიდი ნემსი, რომელიც იხმარება ტყავის სახვრეტად.

მახალი//მანდიკი — უნაგირის წინა კეხზე გადასაკიდებელი ჭურჭელი, „უფრორე აბრეშუმისაგან ნაქსოვი“ (ჩუბ.).

მახოხი — ქინძითა და ნივრით შეზავებული ქატოს მყავე შეჭამანდი. გავრცელებული იყო ქართლში.

ლიტ. ქელ., 2009

მახჩი — ნალის ლურსმნის გამკეთებელი მჭედელი-ხელოსანი. ისევე როგორც ნალჯის (იხ.), მახჩის პროფესია ჩამოაყალიბა ნალბანდობის ხელობის ფართო წარმოებამ. მახჩი დღეში დაამუშავებდა დაახლ. 16 კგ რკინას, საიდანაც გამოვიდოდა 500-550 ცალი ლურსმანი.

ლიტ.: ნ. აბესაძე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, 1986.

ე. ნ.

მაჯაგანი – ტყავის მოსაქნელი. მაჯაგანით მოიქნებოდა წვრილფეხა საქონლის ტყავი. იგი 4 ნაწილისაგან შედგებოდა: მაჯაგანის ხე და პირი (ლითონის), ღვედი, სატერფე და კაპი. მაჯაგანის ხეს გათლილი და მოკაული თავი აქვს, მასში ჩასმულია ლითონი. ხე ბოლოში ჩაჭედილია, რითაც ღვედის საშუალებით იმაგრებს ფეხის ჩასადგმელ რგოლს, რასაც ადრე ტყავისას, მოგვიანებით კი ლითონისას ამზადებდნენ. უკიდურეს შემთხვევაში რგოლი შეიძლება ყოფილიყო წნელისაც. დასამუშავებელ ტყავს ჯერ კისრით დაჰკიდებდნენ ხეზე და ამუშავებდნენ, შემდეგ ბარკლით, დუმითა და ფერდით. მომუშავეს მარცხენა ხელით ტყავი ეჭირა, მარჯვენათი — მაჯაგანის ხე, მარჯვენა ფეხი მაჯაგანის სატერფე კაპში ჰქონდა შედგმული, როცა მას მარჯვენა ხელით მაღლა ასწევდა, ფეხსაც ააყოლებდა, შემდეგ დაბლა დასწევდა, მაჯაგანის პირს ტყავის ნაწილს ჩამოჰკრავდა და ასე აწარმოებდა ტყავის მოქნას. ტყავმა უნდა იტრიალოს, სანამ არ დამუშავდება. უნდა გახდეს ბუმბულივით, „თვალად თეთრი“ და ხელის შეხებით რბილი. ამის მისაღწევად მაჯაგანს ასჯერ მაინც აუსვამ-ჩამოუსვამდნენ ტყავს (ხევი). ადრე მაჯაგანში გამოსაყვან ტყავს მუხლებზე დაიფენდნენ, ოდნავ მოხრილ რკინის დანას უსვამდნენ და ამ გზითაც მოჰქნიდნენ მას. დაბახანაში თრიმლით დამუშავების დროს იყენებდნენ იმავე იარაღს, რასაც მედაბღეები „დემურს“ უწოდებდნენ. ქვ. სვანეთში რკინის დანის ნაცვლად სცოდნიათ არჩვის ან ღორის ყბის ძვლის, ან დაბკილული ხის ხმარება. მაჯაგანში გამოყვანილი ტყავით ტანსაცმელს, თავსაბურავებს, პაჭიჭებს და მისთანათ იკერავდნენ.



ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

მაჯიგარო — ღვინის თხლისაგან დამზადებული სამარხვო საჭმელი.

მგდანი – კირნყლით სავსე ჭურჭელი, სადაც ტყავებს ყრიდნენ დასალბობად, რომ მერე კარგად გაესუფთავებინათ.

მებაირალე//ბაირახტარი — აქ: ხელოსნები დღესასწაულის დროს გამოიტანდნენ ბაირაღს და ძლიერ მამაკაცს ჩააბარებდნენ, კარგად რომ ეტარებინა, ბაირახტარს წელზე შემოხვეული ჰქონდა მოქსოვილი ქამარი, რომელშიც ბაირაღის ტარი მაგრდებოდა.

მეგოძირი – გზათაგასაყარი. ძველი ბერძენი ავტორების ცნობით, კოლხებს წესად ჰქონიათ ასეთ გზაჯვარედინებზე ქვისა და ხის სანიშნობლების მონყობა, რომელიც მგზავრს გზის მიმართულებას აცნობდა. მათივე ცნობით, ასეთ სანიშნობლებს „კვირბები" რქმევიათ და ადგილობრივი დამწერლობით მათზე საცნობარო წარწერა ყოფილა ამოკვეთილი. ზემო იმერეთში, ხარაგაულის რაიონში, არის სოფელი ნებოძირი, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს. მისი დასახელება მიანიშნებს იმ ძველი გზისმაჩვენებლის შესახებ, რომელიც აქ უნდა არსებულიყო.

მედალიონი — სხვადასხვა ფორმის ყელის სამკაულია. ატარებენ ჩამოკიდებულს. მედალიონები შეიძლება იყოს მრგვალი, ოვალური ან გულის ფორმის. ამზადებენ ძირითადად ოქროსას ან ვერცხლისას. მედალიონი შეიძლება იყოს თვლებით შემკული ან უთვლებო, ტიხრული მინანქრისა, ფილიგრანული, გლუვი და სხვ.

ლიტ.: В.И. Марченков, Ювелирное дело, 1984. *ს.სელივანკინი, პ. სერენკო, პ. ციპლაკოვი, საიუველირო საქონელი და საათები, 1958.*

მ. ბ.

მეზირ-ი – ოჯახის მფარველი, კარგი ბედისა და ბარაქის მიმნიჭებელი. სვანების წარმოდგენით, ყოველ სახლს თავისი მფარველი ძალა ჰყავდა და იგი ცოცხალი არსების — ხბოს, თაგვის, უხსენებლის, ქათმის და სხვა სახით სახლში იმყოფებოდა. მეზირ-ის რწმენასა და მასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს სვანები „ქორა ლემზირ"-ს (სახლის ლოცვა) ან „ქორა სახ"-ს (სახლის წესი) უწოდებდნენ.

ნ. გ.

მეთუნეობა — ნივთიერ კულტურაში უაღრესად ფართო ადგილი უჭირავს მეთუნეობასა და სამეთუნეო ნანარმს. იგი დაკავშირებულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობის თითქმის ყველა სფეროსთან.

საქართველოში კერამიკის ისტორია უხსოვარ დროში იღებს სათავეს, კერამიკის წარმოების დაწყება კაცობრიობის ახალი ეტაპის მაუწყებელია. გარკვეული ხანიდან თიხის ჭურჭელი საოჯახო ყოფის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად იქცა. ამან განაპირობა კერამიკული ფორმების შესაბამისობა მის ფუნქციასთან. ამიტომაა არქეოლოგიურ მონაპოვართა ფორმები ასეთი ლამაზი და მრავაფეროვანი. ენეოლითის ხანიდან მოყოლებული სამამულო კერამიკამ განვითარების რთული გზა განვლო. ტექნიკის განვითარებას თან ახლდა ფორმების, ფერებისა და მხატვრულად გაფორმების ხანგრძლივი ცონდა და გამოცდილების დაგროვება. უკვე ძვ. წ.ა. დასასრულისთვის საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული მევენახეობა-მეღვინეობასთან, მემინდვრეობა, მესაქონლეობასა და მშენებლობასთან დაკავშირებული სამეთუნეო დარგები, რომელთა განვითარების უწყვეტობა დღევანდლამდის მოიტანა ქართულმა ხალხურმა კერამიკულმა წარმოებამ.

მეთუნეობის ტექნიკა თანდათან ვითარდებოდა. თავდაპირველად ქალის მიერ ხელით ნაძერნი თიხის ჭურჭელი ღია ცეცხლზე იწვებოდა, შემდეგ გაჩნდა სამეთუნეო იარაღი — მორგვი, რაზედაც ჭურჭელი კეთდება. ჩარხის გაჩენამ საკმაოდ შეამსუბუქა ხელოსნის შრომა, კერამიკული წარმოება ქალიდან მამაკაცის ხელში გადავიდა. ჩარხმა მეთუნეობა კაცობრიობის ისტორიაში პირველ მექანიზებულ დარგად აქცია.

კერმიკული ცენტრების აღმოცენება მარტო არსებული შესაფერისი თიხის საბადოებით კი არ განისაზღვრება, არამედ შემოსავლის ახალი წყაროს ძიებითაც. კერამიკული წარმოების ცნობილი კერების

შემოწმებით დასტურდება, რომ ამ სოფლებში მოსახლეობას ვარგისი მიწის უმნიშვნელო ფართობი ჰქონდა, რის გამოც მიწათმოქმედება საჭირო შემოსავლის მხოლოდ ნაწილს იძლეოდა. ამ გარემოებამ კი კერამიკული წარმოება საქართველოს ზოგიერთ სოფელში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საარსებო წყაროდ გადააქცია.

ძლიერ ტრადიციებზეა დამყარებული XIX-XX საუკუნეების ქართული ხალხური კერამიკული წარმოება, რაზეც მეტყველებს თიხის ჭურჭელის დამზადების კერები: ქიზიყში — ბოდბისხევი, ანაგა, ვაქირი; გარე კახეთში — ნინოწმინდა, კაკაბეთი; შიდა კახეთში — თელავი, რუისპირი, იყალთო, ველისციხე; ქართლში — თბილისი, მცხეთა, არაგვისპირი, ცხავატი, გორი, მეჯვრისხევი, ვანათი, ქემერტი, დმანისი, ნაღვლი; იმერეთში — შროშა, საწაბლე, მაქათუბანი, გეზრული, ბოსლევი, ჯოყოეთი, დიდწიფელა, ჩხირაული, რიონი, ვარციხე; გურიაში — აკეთი, აცანა, ნაგომარი; ლეჩხუმში — საირმე; რაჭაში — ონი, შეუბანი, ლაჩთა; სამეგრელოში — ნამიკოლოვო, გურძემი; აფხაზეთი — გუდაუთა; აჭარა — ხეცუბანი. ცხოვრების პირობების გარდაქმნასთან დაკავშირებით აღნიშნულ წარმოების სახელგანთქმულ ცენტრებში დღეს მეთუნეობა უკიდურესად დაეცა და მხოლოდ რამდენიმე ცენტრიღა ფუნქციონირებს.

ქართული მეთუნეობის ძირითადი სახეებია: 1. წყლის ჭურჭელი; 2. რძის პროდუქტებთან დაკავშირებული ჭურჭელი; 3. მევენახეობასთან დაკავშირებული ჭურჭელი; 4. სამზარეულო ჭურჭელი; 5. ჭურჭელი პურეულისთვის; 6. საამშენებლო კერამიკა; 7. სპეციალური დანიშნულების საგნები.

თიხის ჭურჭლის დამზადებისა და მისი შემკულობის მიხედვით მასალის კლასიფიკაცია შემდგენაირად ჯგუფდება: 1. ნითელი ჭურჭელი; 2. მონერნაქებული ჭურჭელი; 3. მოჭიქული ჭურჭელი; 4. ზეთის საღებავით მოხატული ჭურჭელი.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კერამიკული წარმოება საქართველოში, 1995.

მ. ზ.



მეთუნუქე — შავ და ფერად თუნუქზე მომუშავე ხელოსანი. ეს ხელობის ახალი დარგია და უშუალოდ დაკავშირებულია ფურცლოვანი თუნუქის მასიურ გავრცელებასთან. ამ დარგმა თავისი პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე სწრაფად იწყო აღმავლობა. შავი ფერის თუნუქისაგან კეთდებოდა სახლის სახურავები, ღუმელები და სხვ. ფერადისაგან კი სანათები, ჩაიდნები, ჭრაქები, შანდლები, ვენახის შესაწამლი მანქანები. მეთუნუქეები ქალაქის ბაზრებში მუშაობდნენ და იქვე ყიდდნენ თავიანთ ნაწარმს.

ლიტ.: ნ. აბესაძე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, 1986

ე. ნ.

მელანი — უძველესი საწერი საშუალება. ერთგვარი სითხე, რომელიც მზადდებოდა სხვადასხვა ტიპის ორგანული და არაორგანული ნივთიერებებისაგან. ადამიანები ფლობდნენ მელნის დამზადების სხვადასხვა ხერხს. მელანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხელნაწერთა დაცვა-შენარჩუნებისათვის, ამიტომ ცდილობდნენ დაემზადებინათ ისეთი მელანი, რომელიც კარგად გაუძლებდა დროსაც და ბუნებრივ პირობებსაც. ქართული ხელნაწერები ძირითადად შესრულებულია შავი და წითელი მელნით, რომლის მიღების რეცეპტები იმდენად ყოფილა დახვეწილი და გამძლე, რომ უმეტესობა ამ ნაწერებისა დღესაც კარგად იკითხება. ისიცაა, რომ უხარისხო მელნის გამო ზოგიერთი ხელნაწერი აღარ იკითხება და ბევრი ძვირფასი ცნობა სამუდამოდაა დაკარგული. საგულისხმოა, რომ მცხეთაში აღმოჩენილ იქნა ელინისტური ხანის სამელნე და საწერკალმები, რაც იბერიის სამწერლობო საქმიანობის უეჭველ დადასტურებას წარმოადგენს.

ე.ნ.

მელული//მერული (რაჭ.) — წიფლის ხისგან დამზადებული დაკბილული ნიჩაბი. ძირითადად იხმარება საწნახელში ყურძნის წურვისას ჭაჭის მასის მისაწევ-მოსაწევად. მელულს იყენებდნენ ახლად გალეწილი ბზის გასანიავებლადაც.

მუზარადი



მოჭიქული ჭურჭელი

მემარნე — მარნის გამგე, ღვინის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი. დიდი საღვინე მეურნეობის პირობებში მემარნე აუცილებელ თანამდებობას წარმოადგენდა. მემარნეს ზრუნვის საგანს შეადგენდა ჭურების რეცხვაზე კონტროლი, მისი ხელმძღვანელობით ხდებოდა ყურძნის დანურვა, ღვინის დაყენება, გადაღება, დახარისხება და სხვა. ღვინო ინახებოდა მარანში მემარნის მეთვალყურეობით და როცა მას მოითხოვდნენ სახარჯავად, მაშინ მემარნე ღვინოს ჩააბარებდა მეღვინეს, რომელიც ამოწმებდა ღვინის ღირსებას და ამ დროს გამოირკვეოდა, თუ როგორ შეასრულა თავისი მოვალეობა მემარნემ, თუ ღვინოს რაიმე ზადი აღმოაჩნდებოდა, მაშინვე მემარნეს დაედებოდა ბრალი. დასტურლამალში ნათქვამია: „როცა მეღვინეს ღვინოს მიაბარებდეს მემარნე, მიმღებმა ნახოს თუ ან ნყალნარევი ან ქვევრის-გემოვანი ან უხელობითა ნამხდარი იყოს, ის ღვინო გამოართუან და ერთი იმთონი მემარნეს სხვა ნაართვან თავისი" ე.ი. ორმაგად უნდა ეზღვევინებინათ მოვალეობის ცუდად შესრულებისათვის.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მსმკი, 1964.

ე. ნ.

მენახშირე — პირი, რომელიც ნახშირს გამოწვავდა და დაჰქონდა გასაყიდად როგორც სამჭედლო საქმიანობისათვის, ასევე გასათბობად. (იხ. ნახშირი).

მენელსაცხებლე (ძვ.) — ნელსურნელოვანი, კოსმეტიკური ნივთიერებების დამამზადებელნი ძველ საქართველოში. ერთ-ერთი უძველესი ხელობა იყო როგორც ქრისტიანთა, ასევე მუსულმანთა შორის. ძველად ამ დარგს „ხელოვნებაᲐ ნელსაცხებლისაᲐ" ეწოდებოდა.

ე. ნ.

მეპრატაკე — ძველად „ტყავის მოქმედს", ანუ ტყავის გამომყვანს ეწოდებოდა.

მერდინი (მოხ. მთიულ.) — 1. შინნაქსოვი აბრეშუმის თხელი თავსაბური, ჩიქილა, მანდილი. 2. გურიაში წმინდა საცერს, სამტკიცს უწოდებენ.



მერხი//მეხი – სამამაკაცო საჯდომი გრძელი სკამი საქართველოს მთიანეთში. გვხვდება მკლავიანი, უზურგო, ზურგიან გვერდებიანი. ჰქონდა ძლიერი მუხის დირეები, რომლებიც ფეხის ბუდეებში მაგრდებოდა. მათი ოთხივე ფეხის მრგვალ თავებზე მზის სიმბოლო — ბორჯღალა იყო ამოკვეთილი. სოციალური თვალსაზრისით, მერხი მამაკაცების დასაჯდომს წარმოადგენდა. იდგა კერის მარჯვენა — საკაცო მხარეს საუფროსო სავარძლის შემდეგ. კერის მარცხენა მხარე საქალოდ იყო ნოდებული. ქალებს საკაცო სკამზე დაჯდომა ეკრძალებოდა. ისინი ისხდნენ დაბალ სამფეხა „კერის სკამებზე", ბალიშებზე — „ქუნთებზე" (ხევი) ან დაბალფეხიან გრძელ უზურგო სკამებზე. კერასთან საკაცო და საქალო ადგილების გამოყოფა მკაცრად იყო დაცული ჭამის დროსაც კი. მამაკაცები შემოუსხდებოდნენ მათ ნინ დადგმულ ტაბლებს, დედაკაცები თავიანთ დაბალ მაგიდასთან შეექცეოდნენ საჭმელს. ზურგიან-გვერდებიან სკამებიდან ყურადღებას იქცევს სვანური „ლერგიმ"-საკაცო სკამი, რომელიც ამ ტიპის სასხდომების განვითარებული სახეობაა. მასზე ამოკვეთილ ორნამენტებს შორის კომპოზიციური ადგილი ბორჯღალას უჭირავს. როგორც აპოთროპეულ ნიშანს, მას ვხვდებით ავეჯის ყველა სახეობაზე. დიდი იყო ლერგიმის როლი რიტუალებშიც. ბოლო დრომდე „მესარობის" (ხორციელის შაბათი) დღესასნაულზე სრულდებოდა შესანირავი ზვარაკის (ღორის) დაკვლა მაჩუბში — საცხოვრებელში მდგარ მერხზე. სისხლი მერხქვეშ შედგმულ ბაკანში (ჯამში) გროვდებოდა. სისხლის დანახვა უცხოთათვის იკრძალებოდა. მსგავს მინიშნებასთან გვაქვს ადგილი ხევსურეთშიც, მართალია, აქ საკლავს სკამზე არ კლავდნენ, მაგრამ მერხისთვის სისხლის პკურება სავალდებულო იყო.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, მიმიმხილველი I, 1949. ი. სურგულაძე ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, 1986. ლ. ბედუკიძე, ხალხური ავეჯი აღმ. საქართველოს მთიანეთში, 1973.

ლ. ბ.

მესპილენძეობა — მესპილენძეობას საქართველოში ღრმა და თვითმყოფადი ტრადიციები გააჩნია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართველი ტომები ლითონის დამუშავებით უძველესი დროიდანვე იყვნენ ცნობილი. მოსინიკური სპილენძი, ხალიბური რკინა და სვანური ოქრო ცნობილი ყოფილა მათი მოპოვებისა და დამუშავების ადგილებიდან გაცილებით შორს. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი ტომები მოიპოვებდნენ და ადნობდნენ ლითონებს, კარგად იცნობდნენ სპილენძის მადანს. გადასადნობად გამოიყენებოდა სულფიდური მადანი. მოგვიანებით, გასაუმჯობესებლად იყენებდნენ სხვადასხვა ქიმიური შედგენილობის (თუთია, დარიშხანი და სხვა) მინარევებს. სპილენძის მოპოვება-დამუშავებას ხელს უწყობდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მდიდარი საბადოები, რომელთა შორის აღსანიშნავია ჭოროხის ხეობა დასავლეთ საქართველოში და ალავერდის საბადო — აღმოსავლეთ საქართველოში. სპილენძი და ბრინჯაო გამოიყენებოდა საბრძოლო, სანადირო და სამეურნეო იარაღების დასამზადებლად, იხმარებოდა აგრეთვე სამკაულებისა და საკულტო ნივთების გასაკეთებლად. სპილენძისგან ამზადებდნენ საოჯახო ჭურჭელსაც.

დღეისათვის ქართულ ხალხურ მეტალურგიაში სულფიდური მადნიდან სპილენძს არავინ ადნობს. ხდება სპილენძის ჯართის გამოდნობა, რაც გულისხმობს სპილენძის ძველი, ხმარებიდან გამოსული ჭურჭლის ხელმეორედ გამოდნობას.

ც. ჯ.

მესტვირე — გუდა-სტვირზე დამკვრელი, რომელიც სოფლიდან სოფელში დადიოდა. იგი დაუპატიჟებელი, მაგრამ ყველა სახალხო შეკრების სასურველი სტუმარი იყო. მონაწილეობდა სადღესასწაულო და საოჯახო წეს-ჩვეულებათა შესრულებაში. მხნეობას მატებდა მშრომელ კაცს და სიხალისე შეჰქონდა მის ერთფეროვან ცხოვრებაში. იგი „ბეჩავს კაცს ატარიელებდა“ (ვაჟა). ქორწილის დროს მაყარივით აუცილებელი წევრი იყო ლხინისა. მექორწილეები „იმის სტვირის დაკვრაზე როკვას დაიწყებდნენ, მესტვირე მრავალს ქებას შეასხამდა მექორწილეებს, სხვადასხვა სიმღერის ხმებში, რომელიც ამისათვის მიიღებდა საჩუქარს ყველასაგან“. მესტვირე ნათლობის შემდეგ გამართულ ქეიფშიც სუფრის დამამშვენებელი ყოფილა. ხატობებზე იერიბებოდნენ საუკეთესო მომღერალ-მესტვირეები. მათი საშუალებით ხალხში გადადიოდა ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშები. ბერიკაობისას მესტვირე ბერიკულს უკრავდა. მოხუცები იხსენებდნენ ცნობილ მესტვირეებსა და მოჭიდავეებს, ისმებოდა მათი სადღეგრძელო. მესტვირე სამგლოვიარო ჰანგზეც უკრავდა, ჭირისუფალი კი მესტვირის ხმაზე ტიროდა. მესტვირე ხალხური პოეზიის მიხედვით შაირსიტყვათა მომღერალია. მესტვირე სტვირზე დამღერებით გადმოსცემდა ადამიანთა სოციალური ყოფის ამბებს. მათ გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი საახალწლო მილოცვათა ტექსტების შექმნაში.

ლიტ.: ა. ცანავა, ქართული მესტვირული პოეზია, 1953. ი. გრიშაშვილი, ძვ. ტფილისის ლიტერატურული ბოპემა, 1927.

ე. ნ.

მესტი — რბილლანჩიანი, კოჭთან მომდგარი დაბალყელიანი ფეხსაცმელი. ზოგჯერ მესტზე იცვამდნენ წულას (იხ.) და უწოდებდნენ ნულა-მესტს.

მესტბაბუჩი (ახალც.) — მესტებისა და ქოშების მკერავი-ხარაზი.

ე. ნ.

მეტიურა — ქართული ცულის ორიგინალური სახეობა, შედგება ორი მთავარი ნაწილისაგან: ყუა და ტანი. მეტიურას ტანი სწორია, შუბლი ოდნავე გამოწეული, „ნიღრი“ დაქანებული, ყუის ბუდეში ხის ტარი ზის. გამოიყენებოდა ძირითადად ხის მოსაჭრელად და სატიეე ხეების დასამუშავებლად („ნაცხვირის“ ამოსაღებად). მეტიურა თავისი ფორმით, ტანის მოყვანილობითა და ფუნქციით განათხარ ბრინჯაოს ცულებს ე.წ. „კოლხურ ცულებს“ უახლოვდება. მეტიურა და მისი მსგავსი ცულები — „ჩენგი“ და „კოდორა“ უმთავრესად წიწოვანი ტყით მდიდარ რეგიონებშია გავრცელებული.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხითხუროობა აღმოსავლეთ საქართველოში, 1982

მ. ბ.

მეში (მოხ.) //**კალთა** (ფშ. ხევს.) — უზანგის ზემოთ მოთავსებული ოთხკუთხედი ტყავი, რომელიც იცავდა მხედრის ფეხს ცხენის ოფლისა და ბალნისაგან.

ლიტ.: ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, 1925.

მეჩეთი — მუსულმანთა სალოცავი სახლი, რომელსაც ჩვეულებრივ აქვს მაღალი კოშკი-მინარეთი საიდანაც სამღვდელო პირი-მოლა მორწმუნეებს მოუწოდებს ლოცვისათვის.

მზითევი — ქალის პირადი საკუთრება, რომელსაც ატანდნენ გათხოვებისას. ძირითადად შეადგენდა სამზარეულოდ სახმარ, საწოლ, შესამკობელ საგნებს. თბილისში სცოდნიათ მზითევის საჯაროდ გადატანა, რისთვისაც საგანგებოდ ქირაობდნენ მზითვის წამღებთ. არისტოკრატიულ ოჯახებში ჩვეულებრივად იწერებოდა მზითვის წიგნები, სადაც ჩამოთვლილი იყო ყველა ის ნივთი, რომელთა გატანებაც ჰქონდათ განზრახული პატარძლისთვის ქმრის ოჯახში. შემორჩენილია რამდენიმე „მზითვის წიგნი" (მაგ., ანუკა ბატონიშვილის), სადაც დაწერილებითაა წარმოდგენილი სამზითვო საქონელი.

ე.ნ.

მიდიმოღმართა (ხევს.) — ხის, ნავისებური, სახელურიანი სასმისი, რომლის სახელურს ზოგჯერ ზოომორფული დაბოლოება ჰქონდა, ამ სასმისს უფრო სარიტუალო დანიშნულებით იყენებდნენ.

ე. ნ.

მიზრაფი — თავმსხვილი დასარტყმელი ჯოხი ბრძოლის დროს.

მილი თიხისა — 1. წყალსადენისათვის, რომელსაც ამზადებდნენ თიხისგან და ძველ საქართველოში წყლის გაყვანის ყველაზე გავრცელებული საშუალება იყო. თიხის წყალსადენი მილები კარგად იცავდა წყალს გაჭუჭყიანებისა და მინარევებისაგან. ზამთარში ყინვაგამძლეა, ხოლო ზაფხულში გრილი. იშვიათია კუთხე საქართველოში, სადაც წყლით სარგებლობისათვის კერამიკული მილები არ ყოფილიყო გამოყენებული. გარეგნული ფორმით იგივეა, რაც დღეს გავრცელებული კერამიკული მილები. წყლის მილის კეთება მორგვზე ან ჩარხზე წარმოებს. დაზგაზე თიხის გუნდას დააკრავენ, გაასწორებენ და „ნაგულს" ამოუღებენ. გულამოღებულ გუნდაში ხელის მოძრაობით მილს სიმაღლეზე აიყვანენ და თანდათან აწვრილებენ. პირიდან მცირეოდენი მანძილის დაშორებით სიმაგრისათვის მილს ირგვლივ რგოლი უკეთდება. ოდნავ შემშრალ მილს ძირს გამოაჭრიან, რომ მასში მეორე მილის პირი კარგად მოთავსდეს. გახმობის შემდეგ ქურაში გამონვავენ.

ხალხური გადმოცემით, გორის რ-ნის სოფ. ერედვის თავზე კარგი საძოვრები ყოფილა, სოფ. დიცელებს იქ ცხვარ-ძროხა უზაფხულებიათ, რძის ჩამოტანას სიძნელეები ახლდა და თიხის მილებით დიცში რძე უწოდებიათ. მსგავსი ლეგენდა ზემო სვანეთშიც არის გავრცელებული. ორივე შემთხვევაში თიხის მილის ფართო პრაქტიკულ საჭიროებაზეა მითითება.

2. მილი საკვამლე — თიხისა, იმავე წესით მზადდებოდა, როგორც წყლის მილი, მისგან განსხვავებით მუხლის ადგილას ერთ მხარეს, ქუდის მსგავსი დახრილი სახურავი უკეთდებოდა წვიმა-თოვლისა და ქარისაგან დასაცავად.

ბ. ზ.

მინანქარი — ერთგვარი ქანია, რომელსაც მოიძიებენ, გაწმენდენ, დაფქვავენ, შეაზავებენ კომშის წვენთან, აადუღებენ, შემდეგ შეაცივებენ, გარეცხავენ და კვლავ აადუღებენ ბორასთან ერთად. იყენებენ საიუველირო საქმეში.

ბ. ბ.

მისხალი — მასის საზომი ერთეული. გავრცელებული იყო ებრაულსა და არაბულ მეტროლოგიაში. მისხალით აიწონებოდა ძვირფასი ლითონები: ოქრო და ვერცხლი.

ბ.ხ.

მიტრა — მომრგვალებული ფორმის მაღალი თავსაბურავი, რომელიც ხატებითა და ძვირფასი ქვებით მდიდრულადაა შემკული. მას ღვთისმსახურების დროს მღვდელმთავრები, არქიმანდრიტები და დეკანოზები (მიტრით დამსახურებულ დეკანოზებს აჯილდოვებენ) ატარებენ. კათალიკოს-პატრიარქის, მიტროპოლიტე-

ბისა და მთავარეპისკოპოსების მიტრები ჯვრებით გვირგვინდება. მიტრა სიმბოლურად იმ გვირგვინს მოასწავებს, რომლითაც მართალნი ცათა სასუფეველში შეიმკობიან.

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2005.

ხ. ც.

მინა თირი — საჭურჭლე მინის შემადგენელი ნაწილი. იგი მოთეთრო ფერის „ულალო", „უძალო", „ტინტლი", ნმინდა მინაა. ხელით ადვილად ისრისება. თირი ნებოვანიც არის და მშრალიც. რომელსაც ნებოვნება აკლია, შლაში ეწოდება. საჭურჭლედ ნებოვანი თირის ჯობს, ცოტა რაოდენობით აყალოს შერევა სჭირდება. თირი მინისაგან განსხვავდება ხელოსნები ცალკე გამოყოფდნენ საჭურე და საკრამიტე მინას.

ც. კ.

მკის ჯვარი — თავთავისაგან დაწნული ჯვარი, რომელსაც მკის დამთავრების შემდეგ მესვეური (მეთაური მუშა) დაწნავდა, სამკალის პატრონის სახლში მიიტანდა და გადასცემდა დიასახლისს სიტყვებით — „ეს ძველი და სხვა ახალიო, ღმერთმა კიდევ ბევრს დაგვასწროსო". „ამინ!" — იტყოდა დიასახლისი და გამოუტანდა მამალს. მკის ჯვარს დიასახლისი ბოძზე ან კედელზე დაკიდებდა ანდა ბეღელში ჩააგდებდა,მომავალ წელს კი ახალი მოსავლის ლეწვისას პირველ კალოში შეურევდნენ.

კახეთში გავრცელებული ჩვეულების მიხედვით, „თესლის გატანის დღეს მას ფშვნიდნენ, „ღვინით აზიარებდნენ", თესლში შეურევდნენ და იტყოდნენ — „ასე კაკალივით მარცვალი მოვიდესო".

ნაცვალგარდას (შრომითი ურთიერთდახმარება) მონაწილეები მკის დამთავრების შემდეგ აწყობდნენ საერთო სუფრას. თითოეული მონაწილე მიდიოდა მამლით, რომელსაც ის ოჯახის დიასახლისისაგან იღებდა, როცა მას მკის ჯვარს გადასცემდა. ამ მამალს ჯვარის მამალი ერქვა, ხოლო მამლის ხორცით მოწყობილ სუფრას „ჯვარიმამლობა".

ლიტ.: გ.ჯალაბაძე მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1990

მკუპრავი — ტყავის ჭურჭლის მომკუპრავი. ტყავის ჭურჭლის ფართო გამოყენების გამო საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მკუპრავობა გავრცელებული ხელობა იყო. კუპრი საქართველოს ბევრ რაიონში მოიპოვებოდა. კუპრის დამუშავება შემდეგნაირად ხდებოდა: კუპრს ადუღებდნენ სპილენძის ქვაბში მეხუთედის დარჩენამდე. მისი ხარისხი დამოკიდებული იყო დუღების ხანგრძლივობაზე, რაც მეტად ადუღებდნენ, კუპრი უკეთესი გამოდიოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ღვინის ჭურჭლის დაშაბვა და მოკუპვრა, რათა დიდხანს გაეძლო და ღვინოს სუნი არ მისცემოდა. გამზადებულ კუპრს ტყავზე ჩამჩით ასხამდნენ და ხელით ზელდნენ, ტიკის მოკუპვრის დასრულების შემდეგ ორი დღით ნიავზე ამყოფებდნენ გასაშრობად. გამშრალს ცხვრის ან ძროხის გაუმდნარ ქონს წაუსვამდნენ და დღე-ღამის განმავლობაში მასში წყალს ასხამდნენ, რათა სუნი გასვლოდა. სითხის ჩასხმა ტიკში კისრიდან ხდებოდა, ჩამოსხმა კი ფეხიდან. ფართოდ იყო გავრცელებული ჭურების მოკუპვრაც.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

მოდგამი//ამბაზი//მონდავი//მეკომე//ალოვნობა//გადაბმა//მონამგლეობა — ხვნასთან დაკავშირებული შრომითი გაერთიანება აღმოსავლეთ საქართველოს ბარში. აღმოსავლეთ საქ-ს ბარში მიწა იხვნებოდა მრავალხარშებმული მძიმე სახვნელი იარაღით — დიდი ქართული გუთნით. სახვნელი იარაღის ეს ტიპი გათვალისწინებული იყო ვაკის ნიადაგის რელიეფისათვის და კარგად პასუხობდა მის სპეციფიკურ პირობებს. საქართველოს ამ რეგიონში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ანეულს (იხ.) ანეულად მიწა ღრმად იხვნებოდა, რაც ნიადაგის სინესტეს ინახავს. ეს კი, თავის მხრივ, დიდი გუთნით მუშაობას მოითხოვდა. ამ იარაღით მუშაობასთან დაკავშირებული იყო შრომითი კოოპერაცია ხვნა-დღეების განაწილების ნორმირებული, დიფერენცირებული სისტემით — ყოველი წევრის მონაწილეობის ანაზღურება ხდებოდა ალოებით (ერთი დღის ხვნა), მისი ამ ამხანაგობაში იარაღით, გამწევი ძალით თუ პირადი შრომით მონაწილეობის შესაბამისად.

გამართული დიდი გუთანი (იხ.) საკმაოდ ძვირად ღირებული სახვნელი იარაღი იყო. მასში აბამდნენ 6-12 უღელ გამწევ ძალას. ეს დამოკიდებული იყო გუთნის სიდიდეზე. აღმოსავლეთ საქართველოს ბარის სხვადასხვა ნაწილში გავრცელებული დიდი გუთნები ნიადაგის თავისებურების მიხედვით ზომით განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. დიდი გუთნით მუშაობას სჭირდებოდა გუთნისდედა და 3-6 მეხრე. გლეხთა ოჯახების მხოლოდ ნაწილს შეეძლო მიწის მოხვნა საკუთარი ძალებით. ეს უმთავრესად დიდი, გაუყრელი ოჯახები იყო, რომლებიც XIX ს-ის ბოლოს — XX ს. დასაწყისისთვის სპორადულად იყო შემორჩენილი. პატარა ოჯახები კი, როგორც წესი, ხვნის დროს შრომით გაერთიანებას მიმართავდნენ. რამდენიმე ოჯახი აერთებდა ინვენტარს, მუშახელს და გარკვეული ხნის განმავლობაში რიგრიგობით ხნავდა თავის მიწას. ყველა სოფელში კომპლექტებოდა ხვნასთან დაკავშირებული კოოპერაციის გარკვეული რაოდენობა.

დიდი გუთნის ხვნასთან დაკავშირებული შრომითი გაერთიანება ცნობილი იყო მოდგამის, ამბაზის, მონდავის, მეკომეს, ალოვნობის, გადაბმის, მონამგლეების, ამგლის სახელწოდებით. მათ შორის ყველაზე პოპულარული იყო მოდგამი, რომელიც საყოველთაოდ იყო გავრცელებული ქართლ-კახეთსა და მესხეთში.

მოდგამის წევრებს შეარჩევდა გუთნის პატრონი, რომელიც, როგორც წესი, გუთნისდედა და, ამდენად, მოდგამის ხელმძღვანელი იყო. XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში მოდგამის წევრების შერჩევისას ნათესაობის პრინციპს მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ანეულის მოდგამისათვის მზადება ხვნის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე იწყებოდა. ამ მოსამზადებელ პერიოდს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მოდგამის მუშაობა დიდად იყო დამოკიდებული მუშახელის სწორად შერჩევაზე, მეხრეების ფუნქციების განაწილებაზე, ასევე გუთნის აწყობასა და ხარ-კამეჩის სწორად განლაგებაზე გუთნეულში. გასათვალისწინებელი იყო სახნავი მიწების ადგილმდებარეობა და სხვა. წინასწარ უნდა განსაზღვრულიყო ყოველი წევრის მონაწილეობა შრომით თუ ინვენტარით, ხვნის რიგი და ა.შ. ყოველივე ამის ორგანიზატორი და მთელი შემდგომი მუშაობის ხელმძღვანელი გუთნისდედა იყო.

ხვნის დროს გუთნისდედას „გუთანი ეჭირა". 8 უღელი ხარ-კამეჩის პირობებში უმთავრესად 4 მეხრე იყო — 2 დღისა და 2 ღამისა. დღის მეხრეებს ევალებოდათ ხვნის დროს ხარების გაძღოლა. ღამის მეხრეების მოვალეობას შეადგენდა, გარდა ხვნის დროს საქონლის გაძღოლისა, ხარ-კამეჩის გარეკვა საბალახოდ და მისი მოვლა-პატრონობა დილით გუთანში შებმამდე. ღამის მეხრეებად, ჩვეულებრივ, გამოცდილ გლეხებს აყენებდნენ. შედარებით ადვილი იყო დღის მეხრეების საქმიანობა. დღის მეხრეებად შედარებით ახალგაზრდები იყვნენ. ამათგან ერთ-ერთის (წინა მეხრე) მოვალეობას ხშირად 12-14 წლის მოზარდი ასრულებდა ხოლმე.

როგორც მოდგამის წევრების, ისე მუშა საქონლის შრომის, დასვენებისა და კვების რეჟიმი მტკიცედ იყო დადგენილი.

მხვნელთა მძიმე შრომას სიმღერა ახალისებდა და აადვილებდა. სიმღერას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი გლეხი. გუთნისდედები ცდილობდნენ მოდგამში ჰყოლოდათ კარგი მომღერალი, რომელსაც ზოგჯერ სიმღერისთვის ზედმეტად უხნავდნენ ერთ დღეს. ხვნასთან დაკავშირებული სიმღერები შრომის პოეზიის სახეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და თემატურად მრავალფეროვანია. ეს სიმღერები ქართლ-კახეთში „ოროველებად" არის ცნობილი.

მოდგამის დაპურება იმ ოჯახს ევალებოდა, რომლის მიწაც იხვნებოდა. ხვნის დროს მინდორში მიჰქონდათ სადილი და სამხარი. თუ სახნავ-სათესი მინდორი სოფელთან ახლოს იყო, ჯერი ოჯახის წევრს, მეტნილად ქალს მიჰქონდა. მოდგამში ქალის მონაწილეობა ამით იფარგლებოდა. როცა სახნავი შორს იყო, მაშინ საჭმელი გუთნისდედას მიჰქონდა დილით იმ ოჯახიდან, ვისი მიწაც იხვნებოდა. ქიზიყსა და გარე კახეთში ამისთვის გუთნისდედას ცხენი ჰყავდა, რაშიც ხვნადღე ერგებოდა. ზოგიერთ სოფელში, რომელსაც სახნავ-სათესი მინდორი განსაკუთრებით შორს ჰქონდა და ამიტომ მოდგამის ყველა წევრი მთელი კვირის განმავლობაში მინდორში იყო, გუთნისდედა შაბათს, სამუშაოს შემდეგ წამოვიდოდა, კვირას დაუვლიდა იმ



ოჯახებს, რომლებისთვისაც მომავალ კვირას უნდა ეხნათ და იმათგან წაიღებდა სურსათ-სანოვაგეს იმის მიხედვით, თუ ვისთან რამდენი დღე უნდა ემუშავათ.

გუთნისდედა ვალდებული იყო ხვნა დაპირებულ ვადაში დაემთავრებინა. თუ რაიმე მიზეზის გამო მოდგამის მუშაობა რომელიმე დღეს ჩაიშლებოდა და მოდგამის რომელიმე წევრს ვერ დაუმთავრებდნენ დანყებულ სამუშაოს, გუთნისდედა ვალდებული იყო ეს სამუშაო სხვა დღეს დაესრულებინა. თუ მეხრეებს ერთმანეთთან რაიმე სადავო აღმოუჩნებოდათ, ესეც გუთნისდედას უნდა მოეგვარებინა. უკიდურეს შემთხვევაში მას შეეძლო მოდგამის ურჩი წევრი ამ გაერთიანებიდან გაეძევებინა, მაგრამ ამ უკანასკნელის მიერ უკვე განეული შრომა უნდა აენაზღაურებინა. გუთნისდედას თვალყური უნდა ედევნებინა, რომ მეხრეებს სხვისი საქონელი არ დაეჩაგრათ. ეს ყველაფერი მოითხოვდა მისგან გარკვეულ ორგანიზატორულ ნიჭს და ცოდნა-გამოცდილებას. გუთნისდედას სოფელში პატივს სცემდნენ. მისი განსაკუთრებული მდგომარეობა ისტორიულად მომდინარეობდა. გუთნისდედის გარკვეული შეღავათები ოფიციალურ დოკუმენტებშია ასახული. ერეკლე II განჩინებაში მორიგი ჯარის შესახებ აღნიშნულია, რომ როდესაც ხვნის დრო იყო, გუთნისდედას შეეძლო თავის მაგივრად თავისი „ბადალი" გაეგზავნა.

გარეკახეთის სოფლებში გუთნისდედები წელიწადში ერთხელ ხვნის წინ გამართულ საღმრთოზე ირჩევდნენ უფროსს (უსტაბაში). ეს იყო ერთ-ერთი გუთნისდედათაგანი, რომელიც სხვებთან შედარებით უფრო გამოცდილი იყო და სოფელში ავტორიტეტით სარგებლობდა. მას გუთნისდედებთან ერთად უნდა დაედგინა ხვნის ჩატარების ვადები. მის მოვალეობად ითვლებოდა ხვნის წინ საღმრთოს ორგანიზაცია, ხვნის მთელი პერიოდის განმავლობაში მოდგამის მუშაობისათვის თვალყურის მიდევნება. თუ მეხრეები უკმაყოფილონი იყვნენ, მასთან შეეძლოთ ეჩივლათ. მასვე უნდა მოეგვარებინა ყოველგვარი უსიამოვნება, თუკი ამას ადგილი ექნებოდა. ერთადერთი საზღაური ყოველივე ამის გამო იყო ის პატივისცემა, რომლითაც უსტაბაში სარგებლობდა სოფელში. ზოგიერთ სოფელში მისი ფუნქციები შეზღუდული იყო და მხოლოდ საღმრთოს ორგანიზაციით იფარგლებოდა.

მოდგამის წევრებზე განაწილებული ალოების გარდა, ეს გაერთიანება მიწას უხნავდა სოფლის მენახირეს (სამენახირეო ალო), მეველესა და მჭედელს (მჭედლის ალო). ხვნის ხანგრძლივობას ზოგან ზრდიდა ისიც, რომ იქ ხნავდნენ სოფლის თანამდებობის პირთათვის. ბევრგან წესად იყო მიღებული ხვნა მიწათმფლობელთათვის ტყით, წყლით, საძოვრებით და სხვა სავარგულებით სარგებლობისათვის. ზოგან ქვრივ-ობოლთათვისაც იცოდნენ ხვნა. ზოგიერთ სოფელში ყველა მოდგამი თითო ალოს ყიდიდა და ამ ფულით საღმრთოს იხდიდა.

ცალკეულ რეგიონებში მუშახელისა და საქონლის რაოდენობა, ალოების განაწილების ნორმები არ იყო ერთნაირი, მაგრამ ყოველი კონკრეტული ადგილისთვის მტკიცედ იყო დადგენილი. შიდა ქართლში გუთნისდედას შრომაში 2 ალო ერგებოდა, ღამის მეხრეებსაც — ორ-ორი, დღის მეხრეებს — თითო. ერთ უღელ ხარსა და კამეჩში მათ პატრონებს თითო ალო, გუთნის პატრონს 2 ალო. აქედან ერთი ალო ივარაუდებოდა სახნისასთვის, ნახევარი — საკვეთელისათვის, ნახევარი გუთნის ხის ნაწილისათვის. გუთანი, სახნის-საკვეთით, როგორც წესი, გუთნისდედას ეკუთვნოდა. გუთანს 2 ღვედი (ტყავისგან დაწნული ღვედი, რომლის საშუალებითაც უღლები ერთმანეთთან იყო დაკავშირებული) სჭირდებოდა. თითო ღვედში მის პატრონს ნახევარი ალო ერგებოდა. ასევე ჯამბარა-აპეურების პატრონსაც ნახევარ ალოს უხნავდნენ. უმრავლეს შემთხვევაში ღვედები და ჯამბარა — აპეურებიც გუთნისდედისა იყო.

მოდგამის მუშაობასთან დაკავშირებული იყო გარკვეული რწმენა-წარმოდგენები და ადათ-ჩვეულებები. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ხვნა-თესვის დაწყებასა და დამთავრებასთან დაკავშირებულ ცერემონიალს. ქართლ-კახეთის ბარში ანეულის ხვნის წინ იმართებოდა „სასოფლო საღმრთო". კახეთის იმ სოფლებში, სადაც სათემო მიწათმფლობელობა იყო შემორჩენილი, სასოფლო საღმრთო განსაკუთრებული ორგანიზებულობით ხასიათდებოდა. ყოველ მოდგამს, ასევე ოჯახს, რომელიც დამოუკიდებლად ხნავდა, უნდა გაეყიდა თითო ალო (ფულს წინასწარ იღებდნენ). ამ თანხით ყიდულობდნენ საკლავს, ღვინოს და ხვნის დაწყებამდე ერთი დღით ადრე სასოფლო საღმრთოს მართავდნენ. სოფელი ეკლესიასთან შეიყრებოდა და პარაკლისის გადახდის შემდეგ საღმრთო სუფრა გაიშლებოდა. გუთნისდედები დალოცავდნენ მეხრეებს, უსურვებდნენ ერთგულად ემუშავათ და კარგად დაემთავრებინათ ხენა-თესვა. მხვნელ-მთესველთა გარდა, აქ მოწვეულები იყვნენ: სამღვდელოება, მეცხვარეები, რომლებიც ცხვრით შეეწეოდნენ, მენახირეები, მეველეები. მოხუცებსა და ავადმყოფებს ულუფას სახლში უგზავნიდნენ. გარე კახეთის ზოგიერთ სოფელში საღმრთოს ორგანიზაციას გუთნისდედა ახდენდა.

მოდგამთან დაკავშირებული წესები, მტკიცედ გამომუშავებული ჩვეები მიუთითებენ იმაზე, თუ რამდენად ჰქონდა შესისხლხორცებული ეს ინსტიტუტი ქართველ გლეხობას.



მერხი



მერხი

შრომის ორგანიზაციის ისეთ ფორმაში, როგორიცაა მოდგამი, ნათლადაა გამოკვეთილი ქართველი ხალხის სამინათმოქმედო კულტურის მაღალი დონე, ყველა იმ მიღწევით, რაც საერთოდ გაიარა სახვნელმა იარაღმა და შრომის ორგანიზაციის ფორმებმა თავისი განვითარების უშორეს გზაზე.

ლიტ.: Т. Геладзе. Формы коллективного труда в земледелии Восточной Грузии. 1987.

თ. გ.

მოვი — აბრეშუმის თხელი ნაზი ქსოვილი, რომლისაგანაც იკერებოდა საცვლები, მზითვის წიგნებში ხშირადაა ნახსენები მოვის პერანგი და საწმერთული.

მოთალი – განსაკუთრებულად მომზადებული ყველი, რომელსაც ინახავენ ცხვრის გუდაში.

ე. ნ.

მოლა (ლაზ.) — ერთგვარი მძიმე ქანი, რომელსაც ლაზები ბადის საწაფად იყენებენ. ამ ქანს ღუმელში გამოწვავენ, გახვრეტენ და მიაბამენ ბადეს.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987. ე. ნ.

მოლოზმა (ლაზ.) — ბადის სახეობა ლაზეთში, რომლის ნაპირებში (ღონა) უყრიან ნეკის სიმსხო ბაწარს და ზედ ასხამენ მოლას. ღონაში შესული თევზი გამოსასვლელს ვეღარ პოულობ სდა იოლი დასაჭერი ხდება.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987.

ე. ნ.

მონარეობა — (კახეთი, შიდა ქართლი, თუშეთი, ფშავი, ერწო-თიანეთი, მთიულეთი, ხევი) — მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის დიდმასშტაბიანი ფორმა —მეცხვარეების გაერთიანება. იგი დაკავშირებული იყო მესაქონლეობის ერთ-ერთ ფორმასთან — მთა-ბარობასთან. ეს უკანასკნელი გულისხმობდა ძირითადი დასახლებისაგან ტერიტორიულად მოწყვეტილი ცხვრის ფარებისა და მომვლელი პერსონალის მუდმივ მოძრაობას ცენტრალური და სამხრეთ კავკასიის საზაფხულო საძოვრებიდან აღმოსავლეთ საქართველოს საზაფხულო-საშემოდგომო და საზამთრო საძოვრებისაკენ, და პირიქით. მესაქონლეობის ასეთი მობილური ხასიათის მიუხედავად მთა-ბარობა სტრუქტურულად მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურ და ორგანიზაციურ კავშირში იყო მიწათმოქმედებითა და მეურნეობის სხვა დარგებით დასაქმებულ ძირითად მოსახლეობასთან. საქონლის მოვლასთან დაკავშირებულ სამუშაოთა წლიურ ციკლს ოჯახის ერთეული წევრები — მამაკაცები უძღვებოდნენ, რომლებიც ამ მიზნით მონარეობის შრომის ორგანიზაციის ფორმაში იყვნენ გაერთიანებულნი.

მონარეობა იყო სეზონური გაერთიანება. მასში დაახლოებით თანაბარი რაოდენობის ცხვრის პატრონები ერთიანდებოდნენ, რაც განაპირობებდა მათ თანაბარუფლებიანობას. მონარეობაში გამორიცხული იყო დაქირავებული შრომა. ფარას, რომელშიც 3000 ცხვარი შედიოდა, უნდა გაძღოლოდა 15-20 მწყემსი, რაც საბოლოო ჯამში განსაზღვრავდა მონარეების წევრთა რაოდენობას. 1000 სულზე ნაკლები ფარის გადარეკვა ეკონომიკური თვალსაზრისით გაუმართლებელი იყო, ხოლო ფარაში 3000 სულზე მეტი ცხვარი ფარის გაძღოლას აძნელებდა. მხედველობაში იყო მისაღები ის გარემოებაც, რომ ასეთ მრავალრიცხოვან ფარას ემატებოდა დაახლოებით 50-60ცხენი, 20-30 სახედარი, 80-100 თხა.

X|X ს-ის ბოლოს—XX ს-ის დასაწყისში მონარეობა ძირითადად ტერიტორიულ-მეზობლურ გაერთიანებას წარმოადგენდა. მონარეების ორგანიზაცია აპრილიდან, ცხვრის საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვის წინ იწყებოდა. გაერთიანებულ მონარეებს შორის ისეთ პირს, რომელსაც გააჩნდა მეცხვარეობის ორგანიზაციის დიდი გამოცდილება, იცოდა ცხვრის გადასარეკი მარშრუტები, ერკვეოდა საძოვრების ავკარგიანობაში და ა. შ .ბინის თავად — სარქლად ირჩევდნენ. მას ევალებოდა ცხვრის გადარეკვის ორგანიზაცია და შემდეგ საძოვარზე ყოფნის პერიოდში მუშაობის ხელმძღვანელობა.

საძოვრებზე მონარეებს შორის შრომა განანილებული იყო. გამოყოფილი იყო მესანველაევ (მეწველი საქონლის მწყემსი), ასევე, მებატკნე, მეთოხლე, მებერნე, მებინავე. ამ უკანასკნელს შეშისა და წყლის მიტანა და ბინის დასუფთავება ევალებოდა. ყველის დამზადება სარქლის მოვალეობას შეადგენდა. მას მეკოდე ეხმარებოდა. სარქალი გამოჰყოფდა ბარგობად გასაგზავნ მწყემსებსაც, რომელთაც კვირაში ერთხელ ყველი ცხენებით ბარში უნდა გადაეზიდათ და უკან დაბრუნებისას მარილი და სხვა სურსათი ამოეტანათ..

მონარეკენი შემოსავალს მეწველი ცხვრის რაოდენობის მიხედვით იყოფდნენ. ასევე, ხარჯებსაც (მარილი, ხალი, მგზავრობის დროს გზების და ხიდების შეკეთება და სხვა) ცხვრის რაოდენობის მიხედვით ინაწილებდნენ.

სექტემბრის ბოლოდან მეცხვარეები საზამთრო საძოვრებისკენ იღებდნენ გეზს. ზამთრის საძოვრებზე გადასვლისთანავე მონარეობა იშლებოდა. მონარეობის საზამთრო გაერთიანებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ იმ მეცხვარეებთან, რომლებიც ცხვარს საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ საზამთრო საძოვრებზე მიერეკებოდნენ. როგორც საზაფხულო საძოვრებზე ცხვრის გადარეკვას, ასევე იქიდან დაბრუნებას საგანგებოდ აღნიშნავდნენ.

მონარეობა დამყარებული იყო თანაბარუფლებიანობის პრინციპზე, რასაც მისი წევრების საქონლის დაახლოებით თანაბარი რაოდენობა განსაზღვრავდა. გამორიცხული იყო დაქირავებული შრომა. მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ტრადიციული ფორმის პარალელურად X|X ს-ის || ნახევარში სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად ჩნდება და მნიშვნელოვან ადგილს იჭერს დიდფარიან მეცხვარეთა მეურნეობები, რომლებიც ძირითადად დაქირავებული მწყემსების შრომას ემყარებოდა. ამ პროცესს დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა სასოფლო თემის მხრიდან, რომელიც ყოველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ დაეცვა ნერილი მეპატრონეები დიდფარიან მეცხვარეთაგან. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ყველა თემი ცდილობდა საძოვრის გადასახადი ცხვრის რაოდენობის მიხედვით გაენაწილებინა, რითაც აიძულებდა დიდფარიან მეცხვარეებს შეემცირებინათ თავისი ფარები.

ლიტ.: ნ.აზიკური. შრომის ორგანიზაციის ფორმები თუშეთის მეცხვარეობაში. მსე, XX|,თბ;1981; გ. ბოჭორიძე. თუშეთი, თბ;1993

Харадзе Р. Л. Грузинская семейная обшина Т. Б. 1960

თ. ბ.

მონდავი//მანდავი — 1. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებულ მარტივ სახვნელებთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმა. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში მიწათმოქმედების პატარა მასშტაბები განსაზღვრავდა ხვნასთან დაკავშირებულ შრომის ორგანიზაციის მარტივ ხასიათს. ხვნის დროს შრომითი გაერთიანების სიმარტივეს ხელს უწყობდა აგრეთვე იქ გავრცელებული მარტივი აგებულების სახვნელი იარაღი და მისთვის საჭირო გამწევი ძალისა და მუშახელის მცირე რაოდენობა. ამ მიზეზების გამო ხშირ შემთხვევაში ოჯახი დამოუკიდებლად ხნავდა მიწას, მით უმეტეს, რომ XX ს-ის დასაწყისშიც იქ გადმონაშთის სახით შემორჩენილი იყო საოჯახო თემი (დიდი ოჯახი).

მაღალმთიან ზოლში (ხევსურეთი, თუშეთი, ხევი) იქ გავრცელებული მარტივი სახვნელებით (კავწერა, კავის ტიპის სახვნელები, რომლებშიც ერთი უღელი გამწევი ძალა იბმოდა; მუშახელს შეადგენდა 2 ნევრი — მხვნელი და მეხრე) ხვნისას დგებოდა შრომითი გაერთიანება ორ ოჯახს შორის. ეს იყო არაეკვივალენტური ურთიერთდახმარება — აუცილებელი იყო გამწევი ძალით თანაბარი მონაწილეობა. ხვნა-დღეების განაწილება არ იყო რეგლამენტირებული. თითოეულ ოჯახს უხნავდნენ იმდენს, რამდენიც მას სჭირდებოდა.

შედარებით დაბალ ზოლში გავრცელებული უფრო განვითარებული სახვნელებით (ფშაური აჩაჩა, მთიულეთ-გუდამაყარში მოქმედი ორხელა. გამწევი ძალა — 2 უღელი ხარი, მუშახელი — 2 ადამიანი) ხვნისას მონდავი იყო ეკვივალენტურ ურთიერთობაზე დამყარებული შრომითი გაერთიანება — მანდავის ნევრები ერთმანეთთან დღეების თანაბარ რაოდენობას მუშაობდნენ, მათი ამ გაერთიანებაში თანაბარი მონაწილეობის (იარაღით, გამწევი ძალით, პირადი შრომით) საფუძველზე.

პირველად ის მიწა უნდა მოეხნათ, რომელიც „საწინაო" იყო. სამუშაო დღის განმავლობაში საქონელს ერთხელ უშვებდნენ უღლიდან. ეს დრო ემთხვეოდა სამხარს. საქონლის საკვები, ჯერი და თესლი იმ ოჯახიდან მიჰქონდათ, ვისი მიწაც იხვნებოდა. მინდორში ჭამა ორჯერ იყო მიღებული სადილი და სამხარი. ვახშმობდნენ იმის სახლში, ვისი მიწაც იხვნებოდა იმ დღეს. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ქალი მემინდვრეობასთან დაკავშირებულ ყველა სამუშაოში იღებდა მონაწილეობას. ხვნის დროს შრომა განაწილებული იყო ქალებსა და კაცებს შორის. ჯერის, თესლისა და საქონლისათვის ჩალის წაღება ქალების მოვალეობას შეადგენდა. მონდავში მეხრეებად როგორც ქალი, ისე კაცი შეიძლებოდა ყოფილიყო. თუშეთში ქალი მხვნელის მოვალეობასაც ასრულებდა. ქალის მონაწილეობა ხვნაში განსაკუთრებით დამახასიათებელი იყო თუშეთისათვის, სადაც სამიწათმოქმედო საქმიანობა ქალის კომპეტენციაში შედიოდა და სადაც საერთოდ ქალის შრომის სფერო გაცილებით დიდი იყო, ვიდრე საქართველოს სხვა რომელიმე კუთხეში.

ხვნა-თესვასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი ხვნა-თესვის დაწყებასა და დამთავრებასთან დაკავშირებულ ცერემონიალს. უქმე დღეებსა და კვირაობით მუშაობა აკრძალული იყო. შაბათს მუშაობას ადრე ამთავრებდნენ. კვირა-უქმის „შენახვას" გლეხები მკაცრად იცავდნენ არა მარტო ხვნის, არამედ სხვა სამუშაოების დროსაც წესის გამტეხს ხალხი რისხავდა. ყოფილა შემთხვევები, როცა უქმე დღის გატეხისათვის ოჯახი მოუკვეთიათ. სამუშაო დღეს რომ სოფელში ვინმე გარდაცვლილიყო, ხვნას შეაჩერებდნენ.

ტერმინი მონდავი // მანდავი, გარდა აღმოსავლეთ საქართველოს მთისა, ცნობილი იყო აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს ბარის იმ ადგილებში, სადაც ინტენსიურად ხდებოდა მთიელთა ჩამოსახლება.

XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში მონდავი // მანდავი არ იყო შეპირობებული ნათესაური კავშირით. თუმცა ის ფაქტი, რომ ეს სიტყვა (მონდავი // მანდავი) აღნიშნავს როგორც შრომით გაერთიანებას, ასევე ძმათა ცოლებს, მეტყველებს შრომით გაერთიანებაში ადრე არსებულ ნათესაურ პრინციპზე.

2. ძმათა ცოლები (თუშ. ქსნ. ხ.), 3. ხატის მსახური, დასტური (ფშ.).

ლიტ.: Геладзе Т. Формы коллективного труда в земледелии Восточной Грузии. 1987.

თ. ბ.

მონი (ლაზ.) — ნიჟარებისგან გაკეთებული მძივი, რომელსაც ლაზი მეზღვაურები განსაკუთრებულ მაგიურ ძალას ანიჭებდნენ.

მორგვი//ბორბალი — აქ: თიხის ჭურჭლის დასამზადებელი ხელსაწყო. საქართველოში ჭურჭლის დასამზადებლად დღეისათვის ორგვარი კონსტრუქციის მორგვი გამოიყენება, პირველი, უფრო ძველი და პრიმიტიული — „ხელის მორგვი" და მეორე, უფრო განვითარებული „ჩარხი", ანუ „ფეხის ჩარხი". ხელის მორგვი შედგება მრგვალი დისკოსაგან (მორგვის თავი ანუ მორგვი), „სამფეხისა" (მორგვის ფეხისა) და „ჭიჭლაკის", ანუ „მორგვის ძუძუსაგან". ჭიჭლაკზე მორგვის თავია ჩამოცმული და ხელის ან ფეხის შეხებით ორივე მიმართულებით მოძრაობს. მორგვის ძირი და თავი კოპიტის ან ნიგვზის ხისაგან მზადდება, ჭიჭლაკი კი ბზისაგან. სამეთუნეო საქმეში მორგვის გამოყენებამ სრული გადატრიალება მოახდინა. ეს იყო ტექნიკური პროგრესი, რომლის დროსაც ხელოსანს შესაძლებლობა ეძლეოდა ორივე ხელი ჭურჭლის ამოყვანა-შენებისათვის გამოეყენებინა. მორგვის გამოყენებამ შეამსუბუქა ხელოსნის შრომა და შესაძლებლობა მისცა მას დაემზადებინა თხელკედლიანი, ერთგვაროვანი და სიმეტრიული თიხის ჭურჭელი, გაიზარდა აგრეთვე გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა და ხარისხი. ცნობილი არქეოლოგის, გ. ჩაილდის შეხედულებით, მორგვის გამოყენებით მეთუნეობა კაცობრიობის ისტორიაში პირველ მექანიზებულ დარგად იქცა.



ლიტ. ლ. ბოჭორიშვილი, კახური კერამიკა, 1949. მ. ზ.

მოსართავი — ტყავისაგან დამზადებული, „უნაგირის მოსაჭირებელი" (საბა). მოსართავებისათვის ტყავს ყუთულში დაამუშავებდნენ და შემდეგ შუფრით (დანა) ზოლებად დაჭრიდნენ. სამეგრელოში მოსართავებს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მკეთებელი ხელოსნები არსებობდნენ, მეუნაგირეებიც ამზადებდნენ. ერთი ხარის ტყავი ყოფნიდა ხუთი უნაგირის მოსართავს. ტყავს 4 ნაჭრად ჭრიდნენ, წყალში რეცხავდნენ, შემდეგ (დარაბა//სახელოსნო) სპეციალურ ხელსაწყოში — ბაჭაჭყაში დაჭიმავდნენ, ძროხის ქონით დაამუშავებდნენ და ზელდნენ. ამის შემდეგ თბილ წყალში გარეცხავდნენ, გააშრობდნენ და ისევ ბაჭაჭყაში გაასნორებდნენ. ასე დამზადებულ ტყავის საუკეთესო ნაწილს მოსართავებად, ხოლო სხვა ნაწილებს ლაგმისა და ბუდნებისათვის ხმარობდნენ. მოსართავი რამდენიმე სხვადასხვა დანიშნულების თასმაა. საჭირო იყო სამი მოსაჭერი — წინა, შუა და უკანა. წინა მოსართავი ცხენის აღმართზე ასვლის დროს უნაგირს იცავდა უკან დაცურებისაგან. შუა-ბალიშს კეხზე ამაგრებდა, ხოლო უკანა — დაღმართზე ჩასვლისას წინ წაცურებისგან იცავდა. მოსართავები უნაგირზე ორი მხრიდან მაგრდებოდა—ცხენის მარცხნივ ბალთებით იკვრებოდა, ხშირ შემთხვევაში ვერცხლის ნაწილები ჰქონდა.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973. ნ. აბესაძე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, 1986.

ნ. ჯ.

მოსასხამი — აქ: ხევსური ქალის ერთგვარი ტიპის სამოსი. მძივებითა და ულარუნებით შემკული, ცრუსახელოებიანი მოსასხამი. ხევსურული ტალავარის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში, გამოიყენებდნენ სადღესასწაულოდ.

მტევანი – აქ: საფლავის ქვებზე გამოსახული მტევნები, როგორც ნაყოფისა და ნაყოფიერების სიმბოლო. ქრისტიანული სიმბოლიკით მტევანში განსახიერებულია მაცხოვრისა და წამებულ წმინდანთა სისხლი, ასევე მორწმუნის ნაყოფიერი მოღვაწეობა.

ე. ნ.

მტკაველი — უძველესი სიგრძის საზომი. დამოწმებულია დაბადების ქართულ თარგმანში. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით მტკაველი არის „ცერი და ნეკი გაჭიმული". ლეჩხუმში მტკაველით მინის ხნულის სიღრმესაც ზომავდნენ. რაჭაში სახვნელი კავი ზომით 10 მტკაველი მაინც უნდა ყოფილიყო. ადლის სისტემაში მტკაველი მის მეოთხედ ნაწილს შეადგენდა. XVIII ს-დან მტკაველის ნაცვლად უფრო ხშირად იხმარებოდა ჩარექი, რომელიც ასევე ადლის მეოთხედი ნაწილი იყო.

ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973. ნ. ბრეგაძე, მთის მინათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, 1969. მ.ხ.

მუზარადი — თავდასაცავი საჭურველის სახეობა. გამოიყენებოდა ბრძოლის დროს თავდაცვის მიზნით. არქეოლოგიური მასალის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ბრინჯაოს მუზარადები, ხოლო გვიან საუკუნეებში მას რკინისა და ფოლადისაგან დამზადებული მუზარადები ცვლის. შუა საუკუნეების საუკეთესო ქართული მუზარადები საქართველოდან ევროპაში გაიტანეს მუზეუმის უცხოელმა თანამშრომლებმა. გვიანფეოდალური ხანის ქართული საბრძოლო თავსაბურავები ძირითადად ოთხი სახისაა—ჩაჩქანი (ჯამის ფორმის), კვერცხისებური მუზარადი, ფაფანაკის ფორმის და ჩაბალახი. ქართული მუზარადები დამზადებულია ფოლადისაგან, კვერცხისებური თავსაბურავი ბოლოსკენ წაწვეტებულია და მთლიანობაში ძაბრისებულ ფორმას ღებულობს, წვერი უმეტეს შემთხვევაში ოთხწახნაგა შუბისპირით ბოლოვდება. ზედაპირზე უმეტესად გამოსახულია სხვადასხვა ორნამენტები და ვარდულები. მუზარადს წინა მხარეს აქვს საცხვირე (ცხვრის დასაცავი), რომელიც საჭირო მდგომარეობაში ხრახნის საშუალებითაა მიმაგრებული. მუზარადზე უკანა მხარეს, ყურებისა და კისრის დასაცავად, გარშემო დამაგრებულია ჯაჭვის მჭიდროდ ნაქსოვი ბადე (ზარადი). მუზარადს შიგნიდან გამოკრული ჰქონდა ნაბადი, ვინაიდან შიშვლად რკინის დაფარების შემთხვევაში, შესაძლოა მოწინააღმდეგის დარტყმა მებრძოლისათვის სავალალო შედეგით დამთავრებულიყო. მეომრები სვამდნენ გამარჯვების სადღეგრძელოს დამარცხებულთა მუზარადით. ხშირად მტრის მუზარადი ეკლესიისათვის შეუწირათ. მუზარადი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მას საბოძვრად, საჩუქრადაც გამოიყენებდნენ (იხ. აბჯარი). გარდა ამისა, საქართველოში წარჩინებული ვაჟკაცი იარაღის ხარისხითაც ფასდებოდა, „მანუჩარმა... ოქროიანი მუზარადი თავს დაირქვა" ან „ლიპარიტის... ოქროთ მოჭედილსა ფარსა მისგან და მუზარადისა მიერ სხივნი სცვიოდენ ვითარცა მზისა მიერ" და სხვ.

ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში, ხალხურ პოეზიასა და წერილობით წყაროებში უფრო ნაკლებად გვხვდება ტერმინი „მუზარადი". ქართველები მას უმეტესად „ჩაჩქანს", ასევე „ჩაფხუტსა" და „ჩაბალახს" უწოდებენ. მაგ.: „ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი" ან „საჩქაროდ გადაიხურა ჩაჩქანი ზარადიანი" და სხვ.

ლიტ.: კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საჭურველი (ჩაჩქანი), სსმმ ტXIX-A XXI-B, 1957.

მ. კ.

მუთაქა — საბან-საწოლის ელემენტი, ნაჭრის ან მოქნილი ტყავისაგან შეკერილი, რომლის შიგთავსი იყო ბუმბული, თივა, ბამბა, იკერებოდა თავისა და ბალიშქვეშ ამოსადებად.

მუჟირა//მუჯირა (სვ.რაჭ.) — მუჟირა წარმოადგენს შვინდის ხის კეტს რომლის სიგრძე 150 სმ-მდეა (d-3სმ-მდე). ერთ ბოლოში დამაგრებულია რკინის „წვეტი" (საკუთრივ მუჟირა), ხოლო მეორე ბოლოში ხელის მოსაკიდებელი ქანჩა აქვს გაკეთებული (ან ბუნებრივად შეზრდილი), უფრო ზუსტად ეს ბოლო ორკაპა სახეს ატარებს. მუჟირა მონადირეებისათვის მეტად საჭირო იარაღია: უპირველეს ყოვლისა, იგი სანდო საბჯენია კლდოვან ადგილებში სიარულის დროს, შეუდარებელი იარაღია ყინულიან ქარაფზე საფეხურების ამოსაკვეთად, ძალიან კარგად ასრულებს მაგარი საყრდენის ფუნქციას თოფისთვის სროლის დროს, ასევე დაჭრილ ნადირთან ხელჩართულ შეხვედრისას სასიკვდილო იარაღს წარმოადგენს გამოცდილი მონადირის ხელში. სვანეთში ბავშვების სხვადასხვა სახის სათამაშოთა შორის მუჟირას მიზანში სროლაც არის დამოწმებული, რაც იმის დასტურია, რომ მუჟირა ოდესღაც სასროლ იარაღადაც ყოფილა გამოყენებული.

ლიტ.: ალ. რობაქიძე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნეობაში, 1941.

მ. ქ.

მუჟუჟი – ძმრითა და ნივრით შეზავებული ღორის მოხარშული ფეხები.

მუჟლუნდი//ჭიაფერა — ერთგვარი საღებავი, რომელიც მზადდებოდა ხის ჭიისაგან. ასეთი ჭია ჩვეულებრივ ბუდობს მრავალწლიან მცენარეებზე. განსაკუთრებით მუხაზე. ამ მწერებს აგროვებენ, ახმობენ, შემდეგ ფქვავენ და აყენებენ საღებავს. ჭიაფერში შელებილი ქსოვილები ძონეულის სახელით იყო ცნობილი.

ლ. მ.

მურყვამ-ი (სვან.) — კოშკი. ქვის მრავალ-სართულიანი თავდასაცავი და სამეურნეო ნაგებობა. ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, რომ კოშკების მშენებლობა შრომატევადი იყო და 2-3 წელიწადს მაინც გრძელდებოდა. კოშკის ასაგებად საჭირო ყოფილა 9 საკირის გამოწვა. საშენ მასალად გამოიყენებოდა რიყისა და კლდის ქვა. რიგ შემთხვევაში ფიქალი, დუღაბად კირი და ქვიშა. სართულებისათვის ცალკე ამზადებდნენ საგანგებო ხსნარს, რომელიც ჩვეულებრივი დუღაბისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მას უმატებდნენ რძეში შეზავებულ ჭვავის ფქვილს, რაც კედელს აქცევდა მტკიცედ და თეთრ-მოყვითალო ფერსაც აძლევდა.



სვანური კოშკები მოცულობით დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. მათი საერთო სიმაღლე 25-35 მეტრია. კოშკები არის ოთხკუთხოვანი, კვადრატის ფორმისა (4X4; 5X5მ) და სიმეტრიულად მაღლა აზიდული. კოშკი უმეტესად 5-6 სართულს მოიცავს. გვხვდება 4-5-სართულიანიც. ამ უკანასკნელი რიგის კოშკებს პირველ სართულში აქვთ დილეგი („ლამტყვირ"), რომელსაც შესასვლელად პატარა კარი აქვს. მომდევნო თითოეულ სართულს, ერთიმეორეზე დადგმული ოთხკუთხა ოთახები აქვთ, თითოეულში ასასვლელად ქდეებიანი კიბეა გამოყენებული. ბოლო სართული დამშვენებულია ქონგურებით, კუთხიდან

კუთხემდე სამ-სამი და იშვიათად ორი პატარა სარკმლით. კოშკის რიგ სართულებზე დატოვებულია საისრე-სათოფური ხვრელები, რომლებიც გარედან ვინროა და მაღალი, შიგნით კი ფართო. კოშკების სახურავი ორქანობიანია და ფიქალი ქვით ან ყავრით არის გადახურული.

კოშკებს, უპირველეს ყოვლისა, თავდაცვითი — საბრძოლო და საყარაულო (სადარაჯო) მნიშვნელობა ჰქონდა. სვანებს თავის დროზე კარგად შეეძლოთ კოშკიდან ისრის ტყორცნა და თოფით სროლა, კოშკის ზედა სართულიდან კი ქვის დაშენა. 1876 წელს, როდესაც რუსის ჯარს წინააღმდეგობა გაუწია სოფ. ხალდეს მცხოვრებლებმა, კოშკებს ზარბაზნები დაუშინეს. ბ. ნიჟარაძის (რომელიც ამ ამბების მოწმე იყო) გადმოცემით, ზარბაზნებმა ვერაფერი დააკლო მათ. ხოლო როდესაც ლაღუმი ჩაუდეს ოთხივე კედელში და ააფეთქეს, რამდენიმე მათგანი დაუნგრევლად, ძირიანად წამოიქცა მიწაზე.

კოშკის დამცველებს შეეძლოთ თვეობით გაეძლოთ მტრის ალყისთვის, რასაც ხელს უწყობდა კოშკებს შორის ურთიერთდამაკავშირებელი საიდუმლო გვირაბების და საცხოვრებელი სახლებიდან კოშკში შესასვლელი კარების არსებობა. კოშკების მე-2 და მე-3 სართულზე ჩაკირული ქვევრები და კიდობნები გამოიყენებოდა წყლისა და სურსათ-სანოვაგის შესანახად.

კოშკს ოჯახი საყოფაცხოვრებო თვალსაზრისითაც იყენებდა. იქ ზაფხულში ინახავდნენ პროდუქტებს და იძინებდნენ კიდეც.

სვანეთში დღემდე დაცული 200-ზე მეტი კოშკისა და ნაკოშკარის უმეტესი ნაწილი XI-XII საუკუნეებშია აშენებული, ხოლო მათი მშენებლობის საწყისი ეტაპი კი VI-VII საუკუნეების ბიზანტიურ წერილობითი წყაროებით დასტურდება.

ფეოდალური ხანის ვრცელ პერიოდში სვანეთში ქვითკირით საცხოვრებელი სახლებისა და გამაგრებული ციხეების მშენებლობა მაღალ დონეზე მდგარა. კოშკის ადრინდელ საწყის ფორმად მიჩნეული ციხე-სახლი (კოშკიანი საცხოვრებელი სახლი) ბოლო დრომდე შემოინახა უშგულის ეთნოგრაფიულმა ყოფამ.

ლიტ.: მ. ჩართოლანი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1961.

ნ. გ.

მუსანდარა — ლოგინის დასაწყობი, რომელიც მოწყობილია გრძელი და ფართო ტახტის ბოლოში.

მუშა — ჯოხი, რომელიც იხმარებოდა ულოთი (ძნის შესაკრავი დაგრეხილი სველი ნამჯა) ძნის შესაკრავად. მზადდებოდა მაგარი ჯიშის ხისგან. სიგრძე უდრიდა დაახლოებით 50 სმ- ს, სიმსხო—2—2.5 სმ-ს. მისი ერთი ბოლო კონუსური წვერით თავდებოდა. წვერთან ახლო მცირე ჭდე ჰქონდა გამოყურთმაჯების დროს ნასკვის გასამართავად. მუშის საშუალებით ძნის შეკონვა რამდენადმე ჩქარდებოდა და ხელიც არ ზიანდებოდა.

ლიტ.: გ.ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამინათმოქმედო იარაღების ისტორიიდან. თბ; 1960

თ. გ.

მუში (ხევს.) — ცაცხვის ხის ქერქისგან დაწნული საბელი. გაზაფხულზე, როცა ხეს წყალი ჩაუდგება, ააძრობენ ქერქს, შედარებით ნაზ კანს წყალში ჩაალბობენ და 20 დღის განმავლობაში ამყოფებენ. შემდეგ დარბილებულ ქერქს ძაფებად დაშლიან, მერე საბრუნავზე დაახვევენ და დაამზადებენ თოკებსა და საბლებს. ხევსურები სალაყბოზე, საერთო მუსაიფისას ამზადებდნენ მუშს. მათი დაწნული მუშის საბელი კარგი გამძლეობით გამოირჩეოდა

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ხალხური მეურნეობის ისტორიიდან ხევსურეთში, მსე VII, 1955.

ე. ნ.

მუშტა — თერძების იარაღი, ტყავის გასასწორებელი, უტარო, თავიანი მეტალის ნივთი (ძირითადად თითბრისა და ხისა), რომელიც ხელოსანს მუშტში უჭირავს და მისი მრგვალი და ფართო თავით ტყავის დაჭმუჭნულ ნაწილებს ნელი დარტყმით ასწორებს.



ხევსური ქალის მოსასხამი (ნინა მხარე)

ხევსური ქალის მოსასხამი (უკანა მხარე)

მუჭეული//მჭელეული — ნამჯა, რასაც მკელი ერთი ნამგლის გამოსმაზე მუჭაში დაიჭერს და მომკის, იგივეა, რაც ხელეური (იხ.)

მუჭუ (სვან.) — კოვზი რქისა, საწვნე კოვზის მსგავსი. მზადდებოდა ხარის რქისაგან. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში კოვზს ყოჩის რქისგანაც ამზადებდნენ. ამ კოვზებს ძირითადად მეცხვარეები ხმარობდნენ. 3-5 წლის ყოჩის რქას გაათბობდნენ ცეცხლზე და დანით გათლიდნენ. ერთი რქიდან ხშირ შემთხვევაში ერთი კოვზი გამოჰყავდათ. თუ რქა დიდი იყო, მაშინ შუაზე გახერხავდნენ და ორ კოვზს გათლიდნენ. რქის კოვზებს იყენებდნენ მანონში სახმარად, ერბოს ან კარაქის ამოსაღებად, არაჟნისა და ნაღების მოსახდელად. დმანისის ნაქალაქარზე აღმოჩენილია XII საუკუნის რქის კოვზები, რომლებიც მთლიანი რქისაგან არის გამოთლილი. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ხის ფონდში რქის კოვზების მრავალფეროვანი კოლექციაა დაცული.

ლიტ.: ჯ. სონღულაშვილი, ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიიდან, 1964. თ. კერესელიძე, ძველის ნივთების კატალოგი, 1974.

მ. ხ.

მუხლსაფარი — თუში ქალის წინსაფარი. მასალად გამოიყენებოდა ხავერდის ფერადი ნაჭერი, ასევე ქიშმირი, სკლატი (მაუდი) ან ფერადი ფარჩა (კუბოკრული „ტვინო“ ან „ჭრეკუ“ აბრეშუმი). ქალის ნელიდან ბოლომდე დაშვებული მუხლსაფარა შედგებოდა კალთისაგან — (ბოლო), რომელიც ნაკეცებით ან ნაოჭით იყო მიწყობილი და ჩამაგრებული „სათაურაში“. სათაურაზე გამობმული ნაჭრის ზონრებით — „ყურები“ შეიკვროდა. ხშირად დასარჩულებული (უფრო აბრეშუმისა) იყო.

მუხლსაფარას ბოლოზე მოსართავად აკერებდნენ „ჩოთქს“ ან ოქრომკედის გრეხილის ზორნაკს ან ყაითანს. საგანგებოდ მორთული და კარგი მასალისაგან დამზადებული მუხლსაფარა თუში ქალის ჩაცმულობის გალამაზებას ისახავდა მიზნად.

ლიტ.: გ. ბოჭორიშვილი, თუშეთი, 1993. ც. ბეზარაშვილი, თუში ქალის ტალავარი, კრებ. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967.

ც.ბ.

მუხურო (ლეჩხ.) — კუთხის ქვა. ორ მხარეს სწორად გათლილი, დაგონიავებული. ქვის სისწორეში ოდნავი ცდომილება კედელს „ბრუნდად წაიყვანს“, ამიტომ ქვის გამართვა, მისი დამუხუროება ქვითხუროობაში რთული პროცესია და ვინც მას არ ფლობს ქვითხუროდ არ ჩაითვლება.

ლიტ.: ე.ნადირაძე, ხალხ. ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე.ნ.

მუჯურო//კვიტიტი//ქვევრის სკამი — ქვევრის კეთებისას მისი ქვედა ნაწილის — ქუსლის ჩასადები ხის სკამი. ჭურის კეთებისას, როცა მას ერთ მტკაველ სიმაღლეზე აიყვანენ, მორგვიდან გადმოირებენ და ჩადებენ მუჯუროში, გარკვეულ სიმაღლემდე მუჯუროში მიმდინარეობს ქვევრის შენება, შემდეგ კი მიწაზე სრულდება.

მ.ზ.

მშვილდი — საბრძოლო და სანადირო იარაღი, ისრის სასროლი. საქართველოში უხსოვარი დროიდან იცნობდნენ მშვილდ-ისარს, ხოლო ადრებრინჯაოს ხანაში, ხმარებაში ყოფილა როგორც დიდი (ადამიანის სიმაღლე), ასევე პატარა ზომის მარტივი და შედგენილი მშვილდები. ამ პერიოდიდან მოყოლებული XV-XVI სს-მდე, ვიდრე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ფართო ხასიათს მიიღებდა, მშვილდ-ისარი წარმოადგენდა შორ მანძილზე სროლის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას, ძველთაგან მომდინარე შურდულთან და შედარებით გვიან გაჩენილ არბალეტთან ერთად. თუმცა თოფის გამოგონების შემდეგაც მშვილდი დიდხანს ინახავდა საბრძოლო და სანადირო იარაღის ფუნქციას. ეს იარაღი მეომრებს საშუალებას აძლევდა ბრძოლა ეწარმოებინათ 150-200 მეტრამდე რადიუსში, თუმცა რეალურად ეფექტური დისტანცია 50—100 მეტრი იყო. შუა საუკუნეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ე.წ. თურქული, მონღოლური, ინგლისური და სხვა სახეობების მშვილდები. ყველაზე შორსმსროლელს თურქული შედგენილი მშვილდები წარმოადგენდა, რომელთა სარეკორდო მაჩვენებლებიც 500—800 მეტრზე ადიოდა, მაგრამ ეს ამ იარაღის „სპორტული“ მაჩვენებელია და არა საბრძოლო. საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული თურქული

და მონღოლური მშვილდები, თუმცა ადგილობრივადაც მზადდებოდა.

ქართული მშვილდები, მათი დამზადების მასალის მიხედვით ორი ძირითადი სახისაა: მარტივი (ხის) და შედგენილი (ხე, რქა, ძვალი, ლითონი). მშვილდი კეთდებოდა ადამიანის გაშლილი მკლავების სიგრძე, მარტივი მშვილდი შედგება ხის ტოტის და მის ორივე ბოლოზე მიმაგრებული დაწნული თოკისაგან, რომელსაც ხევსურეთში „„საბამი“ ეწოდებოდა. საბამი ჩვეულებრივ რქოსანი საქონლის ტყავისაგან ან ნაწლავებისაგან მზადდებოდა, გამოიყენებდნენ მცენარეულ ბოჭკოსაც, უკანასკნელ ხანს ამ მიზნით დაწნულ კანაფსაც ხმარობდნენ.

მშვილდი უფრო ხშირად შოთხვის, თხილის, იფნისა და დგნალისაგან მზადდებოდა. სამშვილდეს ერთი კვირა გამოაშრობდნენ, შემდეგ გამოსაყვანად დებდნენ ნაკელში ან ცხენის მჩორეში ერთი-ორი კვირით. ზოგი მას ალუდის (ლუდის) სახარშ ქვაბში ხარშავდა, ზოგიც არყის ბუყში (ბუყი — არყის გამოხდის შემდეგ დარჩენილი ნაძირალი). გამოხარშვის შემდეგ გააცლიდნენ ქერქს და შუაში „სახელურას“ დაუტოვებდნენ. შემდეგ გოზანებს (გოზა — სახელურასა და კილონს შორის ადგილი) გვერდებს ჩაუთლიდნენ ელასტიკურობისთვის და ბოლოში გაუკეთებდნენ სამკუთხა ფორმის ჭდეებს, რომელსაც „კილონი“ ეწოდებოდა. კილონი საბამის დაჭიმვას ემსახურება. საბამი მშვილდის ერთ ბოლოში მკვიდრადაა დამაგრებული, ხოლო თავში მარყუჟი აქვს გამონასკვული, რომლის საშუალებითაც ხდება მშვილდის „ჩამოყრა“ ან დაჭიმვა.



მარტივი მშვილდის კატეგორიაში ერთიანდება ერთი მერქნისაგან დამზადებული მშვილდები, რომელთაც გაიარეს ან არ გაუვლიათ მუშა მდგომარეობაში მოყვანამდე სხვადასხვა დამუშავება (ნაკელში, მჩორეში, ლუდში, ბუყში და სხვ), მათ რიცხვში შედის აგრეთვე ისეთი მშვილდები, რომელთა გოზანების გასაძლიერებლად დახვეული აქვს ტყავი, ნაწლავი, ლითონის მავთულები ან სხვა სარტყელები (ასეთ მშვილდებს ზოგიერთი მკვლევარი რთული მშვილდების კატეგორიაში განიხილავს). მარტივ მშვილდებს, საბას განმარტებით, „ბზაკალი“ ეწოდება.

შედგენილი მშვილდის კატეგორიაში ერთიანდება ისეთი მშვილდები, რომლებიც შედგება სხვადასხვა მასალისაგან (ჩანართებისაგან — ძვალი, რქა, რკინა, ხე და სხვ). ამ მხრივ საინტერესოა ვახუშტის ცნობა გუდამაყრელთა შესახებ: „მშვილდმომქმედნი, აკეთებენ რქისაგან მჯიხვისა, თხისაგან და ხართაგან“. საბას განმარტებით, რქისაგან დამზადებულ მშვილდს აჯის მშვილდი ეწოდებოდა. ამავე კატეგორიას განეკუთვნება ორი ან სამგოზა მშვილდებიც.

საყურადღებოა აგრეთვე საქართველოში ჯილა მშვილდების არსებობაც, საბას განმარტებით — „ტყეთა შინა სასხლეტად მორთვენ მშვილდ-ისართა. რა ნადირნი გავლიან, შესძრავს, დასხლტება, მოჰკლავს“, ე.ი. ჯილა მშვილდი, მახე მშვილდია.

მშვილდს მხარზე ან მხარიღლივ გადაკიდებულს ატარებდნენ, არსებობდა აგრეთვე მშვილდის „შთასადებელი“ რომელსაც — „ხილიფა“ ეწოდება, ხოლო საისრეს ისრის ქარქაში — „კაპარჭი“.

მშვილდის მოზიდვის თავისებურებათა თვალსაზრისით, სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ექვსი სხვადასხვა წესი: მარტივი, მეორეული, მესამეული, ხმელთაშუაზღვისპირული, მონღოლური და ვუტეს წესი, ხოლო საქართველოს ეთნოგრაფიული მასალის, კერძოდ თუშური მონაცემების მიხედვით დადგენილია მშვილდის მოზიდვის შემდეგი ვარიანტები: 1. წიკუთ მოწევა; 2. უბრალოდ მოწევა; 3. მჯილით მოწევა; 4. ჯიგვური და 5. მუჯუგნით მოწევა. ამათგან ქართული წიკუთ მოწევა, ჯიგვური და მუჯუგნით მოწევა საერთოდ უცნობია ზოგადი მშვილდის მოზიდვის კლასიფიკაციისათვის.

ლიტ.: ვ. ელაშვილი, მშვილდოსნობა, 1959. ს. მარგიშვილი, შუა საუკ-ის სამხედრო ხელოვნება და საქ-ლოს სამხედრო-პოლიტიკური ისტორია IX-XV სს. ნაწილი I. 2008.

მ.ქ.

მშვილდ-ისარი (ხევს.) — აქ: საბავშვო მშვილდი, რომელსაც აკეთებენ შოთხის ან არყის ხისგან. ისარი ეკლისაა. მშვილდს მუშის (ცაცხვის ხის ლაფანი) ან კანაფისგან დაწნულ საბამს გაუკეთებენ. საბამი მშვილდს ერთ მხარეს მუდმივად აქვს გამობმული. მეორე მხარეს კი თავისუფალია და როცა დაჭიმვა სურთ, მაშინ დაამაგრებენ მეორე თავზედაც. ასეთ მშვილდს ხევსურები გამოიყენებენ ბავშვთა სავარჯიშოდ. ცომისგან გამომცხვარ ვაცის ფიგურას დადგამენ შორს და ავარჯიშებენ ბავშვებს. ვინც პირველ ისარს მოარტყამს, პურის ვაციც მას დარჩება.

ე. ნ.

მცხავჯი — ბადის საქსოვი იარაღი, რითაც კამბალას საჭერი ბადე იქსოვება.

მძივი — სამკაულის ტიპი. ერთ ძაფზე აცმული და ყელზე ჩამოსაკიდებელი. ამზადებდნენ ვერცხლის, ოქროს, ჭიქის, ბროლის, თიხის, პასტის, ქვის მასალისაგან. ძვირფასი ლითონისაგან მძივების დამზადებისას ოქრომჭედლები იყენებდნენ თითქმის ყველა ხერხს: ჭედვა, რჩილვა, გრანულაცია, ფილიგრანი და სხვა. მძივებს ამზადებდნენ ისეთი ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებისგან, როგორიცაა: ამეთვისტო, სერდოლიკი, აქატი, ონიქსი, ოპალი, აკეთებდნენ მარჯნის, მარგალიტის და მინის მძივებსაც. საქართველოში ძალზე პოპულარული იყო გიშრის მძივების დამზადება, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში — ოკრიბაში, ამ ხელობას სულ ცოტა ძვ. წ. VII ს-დან მისდევენ. ქართული გიშერი და გიშრის ნაწარმი უცხო ქვეყნებში გაპქონდათ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. მძივი ძალზე გავრცელებული სამკაულია. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი მძივები ძვ. წ. XIX-XVIII საუკუნეებით თარიღდება. გიშრისა და სერდოლიკის მძივებს ავი თვალისგან დაცვის თვისება მიეწერებოდათ.

ლიტ.: ი. გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981.

მ. ბ.

მწვადი — შემწვარი ხორცის სახეობა. „ლუკმა-ლუკმა“ დაჭრილ ხორცის „ჩირებს“ აასხამენ შამფურზე და მარილმოყრილს ნაკვერჩხალზე ატრიალებენ. კარგ მწვადს უნდა ჰქონდეს ჭენჭი (საბა), მწვეთი (გუდ. მთ.), მცვარი (ერწო), (აქედან: „ცვრიანი მწვადი“ - შეწვის დროს მწვადიდან განადენი ქონის წვეთები). სუფრაზე შამფურით მიიტანენ და ხელით ჩაცლიან ჯამებში. იციან აგრეთვე, ნაცარ-ნაღვერდალში შეწვა. ხორცის შეწვის ეს მარტივი ხერხი ადამიანთა მოდგმისთვის საერთოა და ალბათ, ამიტომაც მწვადს თითქმის ყველა ერი თავის ეროვნულ კერძად მიიჩნევს. ნანადირევის მწვადების შეწვა ადგილზე, სიპზე სცოდნიათ, ან „დეკას“ ფოთოლს დაანაცრებენ, დეკის ტარისგან შამფურს გააკეთებენ და შეწვავენ. კახელები ნალმის ნაკვერჩხალზეც წვავენ.

ე. ნ.

მჭედლობა — ხელოსნობის დარგი. ქართველი არქეოლოგებისაგან დადასტურებულია, რომ 3500 წლის წინ ქვემო ქართლში მცხოვრები ადამიანი იცნობდა რკინას, თუმცა მან ჯერ კიდევ არ უწყოდა ამ მადნისაგან მაგარი შენადნობის გაკეთება. ძვ. წ. V ს. საქართველოში უკვე რკინა-ფოლადის დამუშავება მაღალ დონეზეა. მსოფლიო მელითონეობის ისტორიაში უდიდესი წვლილი შეიტანეს ქართველური მოდგმის ტომებმა: ხალიბებმა, მოსხებმა, ტიბარენებმა, თუბალებმა, მაკრონებმა და მოსინიკებმა. მელითონეობის დიდი ცენტრები არსებობდნენ მტკვრის ხეობაში, სვანეთში, ჭოროხის ხეობაში, შავიზღვისპირეთში, რომელსაც ბერძნები პონტოს უწოდებდნენ. ინგლისელი მეცნიერი, მეტალების ისტორიის ერთი დიდი სპეციალისტი, ფორბსი თვლიდა, რომ „საკაცობრიო მნიშვნელობის მოვლენას — ფოლადის აღმოჩენას დასაბამი მიეცა პონტოში“. ამავე დარგის მეორე დიდი მეცნიერი ეიჩისონი მივიდა დასკვნამდე, რომ „ადამიანის მიერ რკინის დამზადების ხელოვნება პირველად ჩაისახა და განვითარდა ხალიბების მიერ.“ თავად ბერძნები საუკეთესო რკინას ახლაც „ხალიბოს“ ეძახიან. ამავე ტომებმა მიაგნეს, გადაამუშავეს და გააუმჯობესეს კალის, თითბირის, სპილენძის, ვერცხლის, ტყვიისა და ოქროს მეტალები. სპილენძისა და ბრინჯაოს სახელწოდება ევროპულ ცნებაში შევიდა მოსინიკების (ფუძე mes) მიხედვით, რომელნიც ევროპელი მეცნიერების, კარპენტიესა და პშევორსკის აზრით, „სპილენძ-ბრინჯაოსა და თითბირის პირველხარისხოვანი მნარმოებლები იყვნენ მთელს მსოფლიოში“. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ მსოფლიოს უდიდეს წიგნში — ბიბლიაში, ქართველთა ეთნარქი თუბალი დასახელებულია, როგორც რკინისა და რვალის მჭედელი. ქართული არქეოლოგიური აღმოჩენები ყველა ამ შეხედულებას დოკუმენტური სიზუსტით ადასტურებს.

ისტორიული განვითარების პროცესში მჭედლობა მოიცავდა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ხელობას — რკინა-მჭედლობას, მესპილენძეობას, ოქრომჭედლობას, ნალბანდობას. მჭედლობის როგორც დარგის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის აუცილებელია სათანადო ნედლეულის ბაზა. საქართველოს ტერიტორიაზე ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება ამ დარგის სხვადასხვა ინტენსივობით არსებობა თითქმის ყველა რეგიონში.

ფეოდალურ ხანაში ლითონის წარმოება და მასთან დაკავშირებული სამჭედლო საქმე ვითარდებოდა

და ფუნქციონირებდა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარების შესაბამისად. ხელოსნობის ეს დარგი შრომატევადია, მოითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს, ტექნიკური პროცედურების თანმიმდევრობაში სიზუსტეს, ნედლეულით უზრუნველყოფას. დარგის განვითარება პერიოდულად ფერხდებოდა ქვეყანაში შექმნილი მძიმე ვითარების გამო. XVII-ს-ში ერეკლე მეორემ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები დარგის ასაღორძინებლად. (ახტალის და ალავერდის მადნების დამუშავება და სხვ), რაც 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ კვლავ შეწყდა. რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ იყო ცდები მელითონეობის აღდგენისა, მაგრამ ამას ფართო მასშტაბები არ შეუძენია. მიუხედავად ამისა, მჭედლობა როგორც ხელოსნობის დარგი, განაგრძობდა არსებობას როგორც ქალაქად, ასევე სოფლად.

საქართველოში რკინა-მჭედლობის დარგში დასაქმებულ პირთა პროფესიულ დონეზე მიუთითებს სპეციალიზაცია-დიფერენციაციის არსებობა. აქ გამოიყოფა: საძიებო საქმის მწარმოებელი — მაძიებელი, მადნეულის ხარისხის შემმოწმებელი (ამომცნობი), საბადოდან გამოტანილი მარაგის „გამონწველის" (მინარევებისაგან გათავისუფლება) მწარმოებელი, მზიდავი, მკმაზავი (ვინც ამზადებს მასალას ბრძმედში ჩასაყრელად), მბერავი (საბერველთან მომუშავე), მეუროე (ვინც ამტვრევს მადანს), მენახშირე (ნახშირის დამამზადებელი), მჭედელი (მთავარი ფიგურა, ნაწარმის დამზადებას), გამსაღებელი.

მჭედლის სამუშაოს მთელი ციკლი მოიცავს რამდენიმე საფეხურს და ცალკეულ პროცესს: მადნის გამოხურება, გახურებული მადნის დაწურვა, ნაწური რკინის გადადუღება, ხალასი რკინის დაკერვა, საჭედური რკინის „დაგვარება" (სასურველი ნივთის ზომისა და ფორმის შესაბამისი რკინის ჩამოჭრა ზოდიდან), გამოჭედილი საგნის წრთობა.

მჭედლობა საქართველოში შინამრეწველობის ხასიათს ატარებდა.

მჭედლობას, როგორც ხელოსნობის დარგს, თბილისსა და სხვა ქალაქებში თავისი ორგანიზაციული ფორმა ჰქონდა. აქ არსებობდა მჭედელთა ამქარი თავისი სტრუქტურითა (ოსტატი, შეგირდი, ქარგალი) და ატრიბუტებით (დროშა, ფირი), დღესასწაულებით, წეს-ჩვეულებებით (ოსტატად დალოცვა, ქარგლის ხელდასმა).

ხელოსნობის აღნიშნული დარგის სიძველეზე მეტყველებს რკინასთან, მჭედელთან და სამჭედლოსთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები (რკინის ნივთი — როგორც ავი თვალისაგან დამცავი და ბოროტი ძალების საწინააღმდეგო საშუალება, გრდემლი, კვერი, მარწუხი — საკულტო საგნები. დიდ ხუთშაბათს გრდემლზე კვერის დაკვრა და სხვ).

მჭედლობის უძველესი კულტურა, რომელიც სათავეს იღებს გვიანი ბრინჯაოს ხანიდან დღემდე არ შეწყვეტილა და თუმცა შესუსტებულად, აქა-იქ კიდევ განაგრძობს არსებობას.

რკინის საგნების ცხელი ჭედვით მკეთებელი ხელოსანი. მჭედელი საქართველოში რამდენიმე სახელით არის ცნობილი: მჭედელი (იმერეთში), „რკინაში ჭკადუ" (სამეგრელოში), „ბერეჯმშკიდ" (სვანეთში), „დემურჩი" (ახალციხეში). მჭედლები ჭედდნენ და აწრთობდნენ როგორც საბრძოლო, ისე სამეურნეო იარაღებს. სამეურნეო იარაღებია: სახნისი, დანა, ნაჯახი, წალდი, თოხი, ნამგალი, გაზი, ორხელი, ნაჭა, სამფეხი, ხაფანგები, ე.წ. „აბდანი" ანუ „აბუდანი" ცხენისათვის, გარეული ცხოველისათვის. მჭედლის პირველი ნახელავი ნაჯახისა და თოხის ყუა იყო, ბოლო კი „ნაჭა" და ცხენის ბორკილი.

ნაჭის გამოჭედვა ერთგვარ გამოსაცდელ ნაშრომს წარმოადგენდა მჭედლის ცხოვრებაში. მჭედლის დალოცვა ოსტატის მიერ საქართველოში ხდებოდა გრდემლთან, სადაც შესთხოვდნენ 363 ხელობის უფროსს-სოლომონს, რომ ახალ ოსტატს ხელი მომართვოდა მომავალ საქმიანობაში.

მჭედლები მუშაობდნენ ქალაქებში, დაბებში, სოფლებში. ისინი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. მათ, როგორც მაგიური ძალის მქონე რკინის დამმორჩილებლებს, ხალხი პატივს მიაგებდა. თვით მჭედლები წმინდად იცავდნენ სამჭედლოსთან დაკავშირებულ რიტუალებს, შაბათ დღეს მუშაობას ადრე ამთავრებდნენ, გრდემლზე სანთელს დაანთებდნენ და კვერის რამდენიმე დარტყმით ლოცვას ასრულებდნენ. სამჭედლოში გრდემლი წმინდა ადგილად ითვლებოდა. სოფლად თუ რაიმე ცუდი ამბავი მოხდებოდა, დამნაშავეს გრდემლთან დასწყევლიდნენ. ხალხის რწმენით, ამგვარი წყევლა აუცილებლად ასრულდებოდა.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1953. ნ.რეხვიაშვილი, ქართული ხალხური მეტალურგია, 1964.

ე.ნ. ა. გ.

მხალი — ზოგადი სახელია საჭმელად ვარგისი ისეთი ბალახ-ბალჩეულობისა, როგორიცაა ისპანახი, ჭარხალი, ჭინჭარი, სატაცური, ღვალო, მუაუნა, ჯიჯილაყა, დანდური, არჯაკელი, კალნაბი, კეჟერა და ა.შ. ხევში მას ხიმხალს, თუშეთში სანებელს, ხოლო იმერეთში ფხალს უწოდებენ. მცენარეული კულტურის ეს სახეობა ზოგი უმად იჭმევა, ზოგი მოთუშულ-მოხარშული, მათგან ამზადებენ შეჭამანდს, ურთავენ პურში (მხლოვანები), ახმობენ საზამთროდ გალებად დაწნულს, იყენებენ სამკურნალოდ. მხალეული განსაკუთრებით





მურყვამი









მურყვამი

მარხვის პერიოდში მოიხმარებოდა. ბალახეულით კვება გავრცელებული იყო ბერ-მონაზვნობაში და მისი მიმდევრები „მძოვრებად“ მოიხსენებოდნენ. მხალი და მხალეული ომიანობისა და მოუსავლიანობის დროს ძირითადი საკვების შემცველს წარმოადგენდა.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქ-ში. 2007.

ე. ნ.

მხარი — სიგრძის საზომი ერთეული, პირველად მოიხსენიება „დაბადების“ ქართულ თარგმანში. მხარი საკმაოდ გავრცელებული საზომი იყო საქართველოს ყველა კუთხეში, რაზეც მეტყველებს X-XIX სს-ის წერილობითი წყაროები. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, მხარი 4 წყრთას შეადგენდა, რაც საშუალოდ 2 მეტრს უდრის.

XIX ს-ის ბოლოს მხარი, როგორც მიწის საზომი, საჟენმა შეცვალა, რაჭა-ლეჩხუმში მხარი უდრიდა ორი გაშლილი ხელის სიგრძეს—8-10 მტკაველს. კახეთში ვენახის გასაზომად დღესაც გამოიყენება ე.წ. მხრის გაშლა, რაც საშუალო კაცის ორივე გაშლილი ხელის სიგრძეს უდრის, ზომაში დაახლოებით 170 სმ-ია. სამეგრელოში მხარის შესატყვის ტერმინად დამოწმებულია „ორგია“.

ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973. ნ. ბრეგაძე, მთის მინათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, 1969. გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986.

მ.ხ.

მხერვალი — ნაოსნობასთან დაკავშირებული ძველი ქართული ტერმინია და აღნიშნავს ხომალდის მესაჭეს, „ნავის მავლინებელს“ (საბა).

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987.

მხრალი//ხრილი – ნორჩი ხის ქერქი, თოკად ინვნება.



ნაალი — ნალი — საწოლი ლეიბი, დოშაკი, მატრასი.

ნაბადი — მოთელილი მატყლისაგან დამზადებული წინ გახსნილი უსახელებო წამოსასხამი. XIX ს-ის ქართველ და კავკასიის სხვა ხალხთა ეროვნული კოსტიუმის ელემენტია. აქვს მთლიანი ზურგი და კალთები, ამოღებული ყელი და განიერი მხრები, დანიშნულების მიხედვით მზადდება მოკლე ან გრძელი, მსუბუქი ან მძიმე, დაბალ ან მაღალხაოიანი. XIX ს-ში საუკეთესო ნაბადის წარმოებით განთქმული იყო ჩრდილო კავკასია, ყაბარდო-ჩერქეზეთი, დაღესტანი და ოსეთი; ამიერკავკასიაში — საქართველო (იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი და დუშეთი). ნაბდის წარმოების ქართული ხალხური ტრადიციები ბოლო დრომდე კარგად იყო შემონახული. მაგალითად, სოფელ ჯვარის (სამეგრელო) ერთ-ერთ უბანში — ჩქვალერში, ქალები ოჯახებში თარგის მიხედვით საუკეთესო გრძელბეწვიან მთლიან ნაბდებს თელავდნენ. ამ შრომატევად სამუშაოში შედიოდა მატყლის რეცხვა, ჩეჩვა, „გაწვერგულება", შეთელვა და სხვ. XIX ს-ში ჩოხა-ახალუხთან ერთად ფართოდ გავრცელდა ყუბანისა და თერგის კაზაკობაში, როგორც სამხედრო ამუნიციის ნაწილი, რომელმაც ხელი შეუწყო ქართულ-კავკასიური წარმოების ნაბადზე მოთხოვნილების ზრდას. სამცხე-ჯავახეთში ნაბდის ერთ-ერთ ტიპს „იაფინჯი" (იხ.) ეწოდებოდა.

ლიტ.: დასურათებული ლექსიკონი, 2008. *ე.ნ.*

ნაბდის წნელი (სამეგრ.) — ნაბდის შესაკრავი, ტყავისა, შავი ფერის გარშემო შემოვლებული აქვს ტყავისავე დაწნული თასმა და შავი ფერის აბრეშუმის ძაფის გრეხილი.

ნ. ჯ.

ნადბაში (სვ.) — მრგვალი კვერი. სვანეთში ქორწილის დროს საპატარძლოს თავისი სახლიდან ქმრის ოჯახში მიჰქონდა ნახევარი ფუთი მოზელილი ცომი. ოჯახში შესვლის წინ, იგი ჯერ უნდა შესულიყო ნადბაშში — ეკლესიის მინაშენში და აქ უნდა გამოეცხო მრგვალი კვერები — ნადბაშები. ამ კვერებს ეკლესიაშივე აკურთხებდნენ და რამდენიმე დღის შემდეგ პატარძალი მათ ახლობლებს დაურიგებდა. აღნიშნული რიტუალი დაკავშირებული უნდა იყოს ოჯახის გამრავლება-დოვლათიანობასთან.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, 1978.

გ. ა.

ნავი — 1. წყლის პრიმიტიული ტრანსპორტი, როგორც ერთ ხეში ამოღებული, ისე შედგენილი. მოძრაობის ნიჩბებითა და ჭოკის მეშვეობითაც. 2. საქართველოში გავრცელებული მცირე მოცულობის ნავისებური ტიპის ტრანსპორტის ზოგადი სახელი. 3. იგივეა რაც საწნახელი. 4. წყლის გეჯა, პირუტყვთა დასარწყულებელი. 5. ეკლესიის შენობის ნაწილი. 6. კვერის წინა, აწეული მხარე.

ლიტ.: ქელ. 2009.

ნავი დაჭედილი – ზოგადად ყველა იმ ნავის სახლია, რომლებიც ფიცრებითაა შეკრული.



ნავი ლაზური – იხ. ფელუკა

ნავი ოდიშური – დაჭედილი ნავის ტიპი, სამეგრელოსა და ქვემო იმერეთის მოსახლეობა გამოიყენებდა რაიონის აუზში სანაოსნოდ.





მუსიკალური საკრავები

UCOPE

ნავი პიტაფიცარა – მოკლე, გადაკერებული ფიცრებისგან შეკრული ნავი. ლაზები ასეთ ნავს „ფათალიას" უწოდებდნენ, ხოლო გურულები „ხეჭეპას".

ნავი ცალფა – დაუჭედავი, ერთ ხეში ამოღებული ნავი. იგივე ვარცლი, ნუშა, მორა, ტრანსპორტის ერთი უძველესი ფორმა ტივთან ერთად. ცალფა ნავი შიდა წყლებში ყველაზე მოსახერხებელი ტრანსპორტი იყო და მას ფართოდ გამოიყენებდა შავიზღვისპირეთის მოსახლეობა სხვადასხვა საქმიანობის შესასრულებლად.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987.

ნავი ჭოროხული — ბრტყელძირიანი ნავი, რომელიც მისადაგებული იყო მდინარე ჭოროხის თავთხელ წყალს. დაახლოებით 20-25 მ. სიგრძის, რომლის ტვირთზიდვა 200 ფუთამდე ტვირთს შეადგენდა.

ლიტ.: კუტალეიშვილი ზ., ნაოსნობა საქართველოში. 1987.

ნავტიკი — ერთგვარი საკომუნიკაციო საშუალება. გაბერილი ტყავის ტიკი, რომელზედაც ზემოდან დაკრული იყო ფიცრები მდინარეზე გადასასვლელად. „მცირე ტივი, ანუ ლასტი, ქვეშედამ გაბერილის გუდებით, წყალში გასავალად" (ნ. ჩუბ.). ნავტიკიდან თევზაობდნენ კიდეც. ადრე თბილისში, მუხრანის ხიდის ადგილზე, იყო მცურავი ნავტიკის ხიდი, მას „მუხრანსკის" ხიდსაც უწოდებდნენ. ნავტიკებს სამხედრო მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ქართველებმა ერთ-ერთ მდინარეზე მეომრები ნავტიკით გადაიყვანეს. ხშირად გორიდან ატენური ღვინო თბილისში ნავტიკებით მოჰქონდათ.

ნ.ჯ.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური ნესები საქართველოში, 1973.

ნავჩოჩიალა – ნუშას (იხ.) ტიპის ნავი იმერეთში.

ნაზუქი — ტკბილი პურის სახეობა, რომელიც ფორმით პატარა დედასპურს (იხ.) ნააგავს. მზადდება საფუვრიანი ცომისაგან, რომელიც რძეში, თაფლსა და კვერცხშია მოზელილი. გამოუმცხვარ ნაზუქს ზემოდან უსვამენ ათქვეფილი კვერცხის გულს, რაც გამოცხობისას წითელ ფერს აძლევს. ძირითადად ამზადებდნენ დღესასწაულის დროს. საუკეთესო ნაზუქებს აცხობდნენ შიდა ქართლში.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქ-ში. 2007.

ე. ნ.

ნალბანდი — საქონლის რკინის ნალით დამჭედავი. იმისათვის, რომ საჯდომ და მუშა საქონელს საჯაფო სამუშაოთა შესრულებისას ჩლიქები არ დაუცვდეს, ლურსმნებით აჭედებენ რკინის ნალებს. დაჭედვისას კარგად გაბანრულ ცხოველის ჩლიქის ძირებს ბრტყლად მოუსწორებენ დანით და დააჭედებენ ნალებს. ნალბანდს დიდი დაკვირვება მართებს, ლურსმანი გაატაროს ჩლიქის უგრძნობ ნაწილში და არ შეახოს საქონლის საღ ხორცს, თორემ დაჭედილი პირუტყვისათვის იგი მუდმივი ტკივილის წყაროდ იქცევა და შესაძლოა, ამით სამუდამოდ დახეიბრდეს. ჩლიქში გვერდულად დარტყმული ლურსმნის წვერი მის ზედაპირზე გამოდის, რომელსაც ჩლიქებზევე გადაკეცავენ. ნალსა და ლურსმანს ძირითადად მჭედელი სჭედდა, ზოგ შემთხვევაში კი თვით ნალბანდები ამზადებდნენ. დიდი სამუშაოების დროს სანალბანდო საქმიანობაში ქვედარგები ყალიბდებოდა. მუშა საქონელი წელინადში 4-5-ჯერ იჭედებოდა, რაც განაპირობებდა სანალბნდო საქმიანობის შეუწყვეტელ ხასიათს.

ე. ნ.



ნალი — ცხენის, ხარის და ვირის ფლოქვებზე დასაჭედი რკინა, რათა ცხოველს სიარულისა და ჯაფის დროს ფლოქვები და ჩლიქები არ გაუცვდეს. ცხენისა და ვირის ნალი სქელია და რკალისებური, ხოლო ხარისა ბრტყელი

და ნახევარწრიული. ნალი იკვრება საგანგებო ლურსმნების საშუალებით.

ე.ნ.

ნალია – ღომის თაველის საშრობი ნაგებობა, გარდა ღომისა, საჭიროების დროს სხვა მარცვლეულსაც აშრობენ. ძირითადად გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში (გურია, სამეგრელო, იმერეთი). ნალია წარმოადგენს მოლობილ//მორაგულ ორფერდად გადახურულ, ნახევრად ღია ნაგებობას, რომელიც იდგა ხის ან ქვის სვეტებზე. ნალიაში გადებულ ჯოხებზე ღომი ეწყობოდა ხელეურებად და ქვეშიდან უნთებდნენ ნელ ცეცხლს, რომ ზომიერად გამომხმარიყო.

ლიტ.: ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, 1976.

ე. ნ.

ნალო — მძიმე ტვირთი, თრევით მისატანი როგორც ხარებისაგან, ასევე კაცთაგან. ზოგჯერ დაღმართში მოუბამენ დატვირთულ ურემს, რომ არ დაქანდეს. ფიჩხის ნალო ხარებით შეპქონდათ შუა ცეცხლზე დასადებად.

ნალჯი — ნალის მკეთებელი ხელოსანი. საქონლის დაჭედვის აღმავალი პროცესი მოითხოვდა ამ სფეროში შრომის დანაწილებას, ამიტომ ჩამოყალიბდა ცალკე პროფესია ნალჯისა, რომელიც მხოლოდ ნალებს ამზადებდა.



ნამაზლიკი — მცირე ზომის სალოცავი ხალიჩა, რომლის ერთ მხარეს გამოსახულია მაპრიბის გუმბათი. ზოგჯერ ასეთი ტიპის ხალიჩებს „საჯადასაც“ უწოდებენ, აღნიშნული სახის საფენები მაპმადიანურ სამყაროში ფართოდაა გავრცელებული.

თ. ნ.

ნამგალი — ხელით სამუშაო პურეული კულტურების სამკალი იარაღი. მზადდებოდა საქართველოს მჭედლობის ცენტრებში. ნამგალი ძირითადად მზადდებოდა ე.ნ. ნაკუნი რკინისაგან — ჯართისაგან. ქურაში მჭედელი ჯართს ერთ ზოდად შეადუღებდა, ნამგლისათვის საჭირო ნაწილს ჩამოაჭრიდა, ჯერ სიგრძეზე გაჭიმავდა, შუაზე გააპობდა და ფოლადს ჩაუდებდა, შემდეგ სანამგლე რკინა-ფოლადს კვლავ ქურაში დაადუღებდა. როცა რკინა სათანადოდ გახურდებოდა და ყვითელ ფერს მიიღებდა, ქურიდან გადმოიღებდა, გრდემლზე დადებდა და კვერის ცემით ნამგლის ფორმას მისცემდა, „პირს გამოუყვანდა“. შემდეგ ეტაპზე ხდება პირისა და ტარის გამოყვანა. ნამგლის პირი წყალში წრთობის შემდეგ რომ არ გამრუდებულიყო, მომზადებული ჰქონდათ ნამგლის ფორმის ყალიბი და ძროხის ქონწასმულს ზედ დააკრავდნენ. ამ ხერხით იარაღის თხელი პირი აღარ მრუდდება და ფხა-ალმასიანი გამოდის. წრთობის სხვადასხვა წესები მჭედლის გვარში საიდუმლოდ რჩებოდა და მომავალ თაობას მემკვიდრეობით გადაეცემოდა. მათ დამღაც საგვარეულო ჰქონდათ (მაგ., მეჯვრისხეველ მჭედელ მაზანაშვილების დამღა ე.ნ. „კურდღლის კანჭი“ იყო, რომელიც დღემდე არსებობს მათ მიერ გაჭედილ რკინის იარაღებზე). ნამგალს, როგორც სხვა იარაღს, მჭედელი უკეთებდა დამღას, რაც ხშირად მოხელის გვარისა და სახლის ინიციალებით შემოიფარგლებოდა, ზოგჯერ სხვადასხვა ნიშნებს დაადაღავდა. მჭედლის დამღა თაობიდან თაობაში გადადიოდა. ოჯახის გაყრის შემთხვევაში ამ ნიშნით სარგებლობის უფლება გვარის განაყრებს ჰქონდათ. საქართველოში ცნობილია სხვადასხვა სახეობის ნამგალი: სამკალი, სათიბი, სასხლავი, საჩეხი და სხვ. საქართველოს ტერიტორიაზე ნამგლის არსებობა უძველესი დროიდან დასტურდება. ყველაზე ადრინდელ ტიპად კაჟის პირიანი ნამგლებია მიჩნეული.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, აღმ. საქართველოს სამინათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960.

ა. გ.

ნამგოლი (ხევს.) — სალუდე წვენში ჩახარშული სვიის ნარჩენები, რომლისგანაც წვენი იფილტრება მის ფუებამდე.

ნანია (მეგრ.) — ღომის გამოსაშრობი ძარა, რომელსაც ძირი გამოწნული აქვს და მაღალ ბოძებზეა შემდგარი.

ნარგილე — აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული ნარკოტიკული ნივთიერების მოსაწევი ყალიონი, რომელიც წყლის ჭურჭლისა და მილის კომპლექტითაა წარმოდგენილი. ნარგილეთი გართობა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა არისტოკრატიულ წრეებში.

ნარდი – კამათლებითა და ქვებით სათამაშო, უაღრესად გავრცელებული აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ნართი — თითისტარზე (იხ.) ან ჯარაზე დართული მატყლი, რომლისაგანაც მიიღებოდა საქსოვი ძაფი. თანაბრად დართული და დაგრეხილი ნართისაგან კარგი ხარისხის ქსოვილი მზადდებოდა.

ლიტ.: ც. ყარაულაშვილი, ქსოვის ხალხური წესები კახეთში, 1985

ბ.ჯ.

ნატი//ნატა – ტარსიკონი, მოქნილი ტყავის ხალი, ტყავის ქვეშსაგები, ფეხქვეშ გასაგები. „მან ქალმან ქვეშე დაუგო ვეფხის ტყავისა ნატები; მას ზედა დაჯდა იგი ყმა, სულთქვამს ჭირ-მონამატები“ („ვეფხ.ტყ. 267).

ნაფთული — სხვადასხვა ფორმისა და ფერის ნაჭრის ნაკუწები, რომელსაც ხევსურები იყენებდნენ ტალავარის შესამკობად (იხ. თიკვი).

ნაქუსი — ანძა.

ნაჩხორეხი (თუშ.) — ყველიანი ნყალი. ერთგვარი საჭმელი. ერბოში მოხრაკულ ხახვს დაასხამენ ნყალს და აადულებენ. შემდეგ ჩააჭრიან ყველს, შეანელებენ ათქვეფილი კვერცხით, მოურევენ და ნამოადულებენ. არის ერთგვარი სახელდახელო საჭმელი.

ე. ნ.

ნაჭა — შუაცეცხლზე ქვაბის ჩამოსაკიდებელი ჯაჭვი. ნაჭა შედგება რკინის რგოლებისაგან. რგოლები გრეხილი, მსხვილი რკინისაგანაა დაწნული და უფრო ხშირად რვიანის ფორმა აქვს. ჯაჭვის ერთი ბოლო მრგვალი მასიური რგოლით ბოლოვდება, რითაც იგი ჩამოკიდებულია ჭერზე საგანგებოდ მონყობილ ხის საკიდზე. ნაჭის მეორე ბოლო, ე.ნ. ქვაბის საკიდი, რკინის სქელი ფართო ნაჭერია, რომლის ზედა თავი ორყურაა, ყურის ბოლოები ან თავისუფლად არის დარჩენილი, ან მირჩილულია ტანზე. ყურებში გაყრილია ჯაჭვის მეორე ბოლო. საკიდის ქვედა ნაწილი შემოკეცილია ზემოთ, რაზეც ქვაბის სახელური იკიდება.



ნაჭა მზითვის აუცილებელი ატრიბუტი და ახალი ოჯახის, ახალი კერიის შექმნის სიმბოლო იყო სამეგრელოში. სვანეთში ნაჭა კერასთან ერთად წმინდა ნივთად ითვლებოდა და მისი ოჯახიდან გატანა მიუღებელი იყო, რადგან ნაჭა გვარის, ოჯახის, სახლის სიძლიერის სიმბოლო იყო.

ნ.ვ.



ნახშირი – რკინამჭედლობაში ქურის გასახურებლად ხის ნახშირი ერთადერთი საშუალება იყო. ნახშირის დაწვის ორი ხერხი არსებობდა: ნახშირის დაწვა ორმოში და ღია ცის ქვეშ ორმოს გარეშე. ორი კაცი მიდიოდა სამი დღით. მიჰქონდათ წერაქვი, თოხი, ბარი, ნაჯახები დიდი და პატარა, ბირდაბირი — ხერხი და ნიჩაბი. ითხრებოდა 2 მ სიგრძის, 1 მ სიგანის და 1,5 მ სიღრმის ორმო. ერთ ორმოში ოთხი ჯანაბირი ნახშირი უნდა გამოსულიყო. ორმოში ხმელი შეშით ცეცხლს ჩაანთებდნენ და გაჩაღების შემდეგ აყრიდნენ მსხვილ შეშას. ორმოს ძირში შეშა თანდათან ნახშირდებოდა, ზემოდან კი ახალ შეშას აყრიდნენ. ასე გრძელდებოდა სანამ ორმო პირამდე არ გაივსებოდა ნახშირით. შემდეგ ზემოდან აფარებდნენ ხის მორებს, აყრიდნენ მიწას და ჰერმეტულად ხურავდნენ, რომ ჰაერი არ ჩასულიყო. ასე რჩებოდა ორმო ორი კვირის განმავლობაში. გაციების შემდეგ ნახშირს ეზიდებოდნენ სახელოსნოში. ერთ ორმოში ოთხი ჯანაბირი ნახშირი ამოდიოდა.

მეორე ხერხია ნახშირის დაწვა ღია ცის ქვეშ — „კოცონურად" ორმოს გარეშე. ამ მეთოდით ძირითადად წაბლის ხის ნახშირს წვავდნენ. წყალთან ახლოს, თანაბარი სიგრძის წაბლის ხის მორებს აწყობენ „ხურდუმებად" ზვინივით. შუაში უტოვებენ ხვრელს, ზემოდან აგდებენ ცეცხლმოკიდებული რეზინის ნაჭერს და ცეცხლი ღვივდება. გვერდებიდან შესული ჰაერი წვას უწყობს ხელს. ინთებოდა უზარმაზარი კოცონი, რომელიც ჩანავლების შემდეგ უამრავ ნახშირს ტოვებდა. შემდეგ ამ მასას ასხამდნენ წყალს და აცივებდნენ. ნახშირის დაწვას აწარმოებდნენ როგორც მჭედლები, ასევე საგანგებო პროფესიონალი მენახშირეები, რომლებთაც შემდეგ მოჰქონდათ იგი და ყიდდნენ როგორც ხელოსნებზე ასევე მოქალაქეებზე.

ც. ჯ.



ნაჯახი — ხელით სამუშაო საჭრელ-სათლელი იარაღი, ცულის სახესხვაობა. მზადდება მჭედლის მიერ. ფართოდ გამოიყენება სადურგლო საქმეში. ნაჯახი ქართული ცულისაგან მხოლოდ ქვედა ტანის მიხედვით განსხვავდება. მისი პირი (საჭრელი პირი) თითქმის სწორხაზოვანია. დამზადების წესებში გამოყოფენ მისი გაჭედვის ორ წესს — ძველსა და ახალს. თითოეულს საფუძვლად უდევს ერთი პრინციპი — „დედანის" დამზადება და მისგან მთლიანი ტანის ჩამოქნა. (იხ. ცული).

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1953.

ა. გ.

ნერჩი – ხომალდის ხერხემალი.

ნესტარი — აქ: სისხლის ძარღვის გასახსნელი რკინის იარაღი. ბასრპირიანი, ცალგვერდზე წახრილი ოთხკუთხა ფორმისა. მისი ერთი მხარე ოდნავ მოხრილია და მთავრდება მოკაუჭებული წვერით. ნესტარი იყო სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის, ზოგჯერ ხისტარიანი, ზოგჯერ უტარო. იყო გახვრეტილი დასაკიდებლად.

ე. ნ.

ნესტვი — სალამურის ტიპის ჩასაბერი საკრავი.

ნეფისკვერი — საქორწინო რიტუალური პური ხევსურეთში. ის ფორმით დისკოსებურია და მის კიდეებზე ძაფზე ასხმული მძივები გასხივოსნებულ მზეს მოგვაგონებს. ჯვრის პურის მსგავსად ისიც დღის მნათობის — მზის ამსახველ ემბლემას წარმოადგენს. ნეფისკვერს პატარძლის ოჯახში შესვლის წინ ნეფის ტაბლაზე აუცილებლად დებდნენ და, როგორც წესი, უნდა შეეჭამათ ქორწილის მესამე დღეს. აღნიშნული რიტუალი, როგორც ფიქრობენ, ღვთაებრივ ძალასთან ზიარების გამომხატველი გადმონაშთია, რომელიც ხდებოდა იმისათვის, რომ მზის ცხოველმყოფელი ძალა და ნაყოფიერების თვისება ნეფე-დედოფალზე გადასულიყო. შემდგომში დამატებული რამდენიმე წესი (კვერის მეჯვარისთვის მირთმევა, ნეფე-პატარძლის წინ მისი დადება, კვერით კერის გარშემო შემოვლა, მათ წინ ფულიანი ვაშლების დაწყობა) კი დიდი ღმერთის გულის მოგებას ისახავს მიზნად, ახალად შექმნილი ოჯახის საკეთილდღეოდ.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, 1978.

გ. ა.

ნეფის ტაბლა – ხევსურეთში ქორწილის დღეს, პატარძლის ოჯახში შესვლის წინ, შლიდნენ ნეფის ტაბლას. დიასახლისი მასზე ანყობდა მძივებითა და წითელი ნაჭრებით მორთულ ჯვრის პურს, ჯვრის ფორმის 3 მოსანთოს (რაზეც სანთელს ანთებდნენ და დეკანოზი ლოცავდა), აგრეთვე მძივებით მორთულ, ხის ჯვრებით განყობილ და სანთლებით გაჩირაღდნებულ არყის ბოთლებს, რომლებზეც ჩამოცმული იყო ნეფის კვერები.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, 1978.

გ. ა.

ნეჭა — სუფთად ნაქსოვი ჭილობი.

ნიგა//ნოგა (სამეგრ. იმერ.) — პირგანიერი, მრგვალი, ფსკერჩადგმული ხის ჭურჭელი. მუცლის ქვემოთ ორმაგი სალტეთი გამაგრებული. კიდეებში ნახვრეტები აქვს, სადაც მორკალული სახელურის თავებია გაყრილი. იხმარება წველის დროს რძის ჭურჭლად. იყო „ტუჩიანი" და „უტუჩო" სარძეევე ნიგები. ძირითადად მწყემსები ამზადებდნენ.

გ. გ.

ნიზამი – ტყავის დასამუშავებელი დემურის ტიპის ბლაგვპირიანი იარაღი, რათა ბეწვის გაცლისას ტყავი არ დააზიანოს. ძველად დაბახანებში ტყავზე ბეწვს აცლიდნენ ნაცრით, ან ხმარობდნენ ამ მიზნით მტრედისა და ქათმის სკორეს. დროთა განმავლობაში ბეწვის გაცლა ხდებოდა ნიზამის საშუალებით.

ნ. ჯ.

ნიფხავი (ძვ.) — წელს ქვევით სხეულის დამფარავი სამოსელი, საცვალი. წარმომდგარია ძველი ქართული სიტყვა „ნეფხვასაგან", რაც სიცივეს, ყინვას ნიშნავს. ნიფხავი სიცივეში, ყინვაში ჩასაცმელი იყო და ისევეა ნაწარმოები როგორც „საწვიმარი", „სამზეურა" და სხვა. სანეფხვეოც ამ შემთხვევაში ყინვა-სიცივისგან თავდასაცავს წარმოადგენდა. მისი შემცველელი „პერანგის ამხანაგი" და პერანგის ტოლი, როგორც საცვლის აღმნიშვნელი ტერმინები, გაცილებით გვიანაა წარმოშობილი.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, 1962.

ე. ნ.

ნიშანი — აქ: სანიშნო თარჯი. ტყეში მოწონებულ-შეგულებულ ხეს „ნიშანს"// „თარჯს"// „თანჯს" ადებდნენ. ხის ტანზე ნიშნის დადებას „დანიშვნა"// „დათანჯვა"// „დაჯვარვა" და ა.შ. ეწოდებოდა. ხის დასაკუთრება ხდებოდა ნიშნებით („ჯვარი", „სამფოჩა ჯვარი", „ცალქიმა" და ა. შ.). ოჯახის გამრავლების, დანაწილების დროს „ფუძისეული" ნიშანი უცვლელი რჩებოდა. ვისთანაც მამა იცხოვრებდა ოჯახის ნიშანიც მას ეკუთვნოდა. ხის დანიშვნა საქართველოს ბევრგან დასტურდება.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, 1982.

გ. გ.

ნიში – 1. კედელში ამოჭრილი თარო. იყენებდნენ ჯვარ-ხატების დასაწყობად. სალიტერატურო ქართულში ძველთაგანვე დაფუძნებული ტერმინია. 2. ქვებით მოზღუდული სალოცავი ადგილი საქართველოს მთიანეთში.



ნიჩაბი, ნიჩაფი (თუშ.)//**აჩათანა** (ფშ.) — სამეურნეო ხის ხელსაწყო. ითლებოდა თელის ან ცაცხვის ხისაგან. შედგება ტარისა და პირისაგან. საშუალო სიგრძე 140 სმ, ნიჩბის პირის სიგრძე 42 სმ, სიგანე — 21 სმ. ნიჩბით კალოობის დროს მარცვალს ანიავებდნენ. XI საუკუნის ქართული წერილობითი ძეგლი გვამცნობს: „რომლისა იგი ნიჩაბი ველთა მისთა და განინდოს კალოი თვისი და შეკრიბოს იფქლი

მისი“. ნიჩაბი არნადთან (იხ.) შედარებით უფრო მომცრო იარაღია. საწნახლის ნიჩაბი არის თითებიანიც (იხ.მელული) და მთლიანიც. როდესაც საწნახელში ყურძენი კარგად დაიჭყლიტება, ნიჩბით უკანა მხარეს მიჰყრიან//შეაგუნდავებენ, ძირში ნიჩაბს გაურჭობენ და ჭაჭას ზემოდან დაუწყებენ დაწბელვას. ამ დროს ნიჩაბი ასრულებს პრიმიტიული საწბერის მოვალეობას.

გ.გ. ე.ნ.

ნიხაჩო – ხის დიდი ლურსმანი, ნავის შიდა ნაწილების დასაჭედად.

ნიხი (თუშ.) — ლუდისებური სასმელი, უფრო დაბალი ხარისხის, რომელიც მზადდება შვრიისაგან და თუშები სამეურნეო საქმიანობისას სახარჯო სასმელად გამოიყენებენ. სასიამოვნო, მოტკბო სასმელია.

ე.ნ.

ნობა — დასარტყამი ინსტრუმენტი დაფდაფის ტიპისა. გამოიყენებოდა ქორწილებში და კოლექტიური ნადირობისას ნადირთა სარეკში შესამწყვდევად.

ნოქსირია — აბრეშუმის ძაფის გადასახვევი ხელსაწყო. აქვს ხის მრგვალი საყრდენი და მასში ჩამჯდარი ვერტიკალური ჯოხი, რაზედაც მაგრდება ჯვარედინი ჯოხები, მკლავები. მკლავები ღერძის გარშემო ტრიალებს და იხვევს აბრეშუმის ძაფს.

ლიტ.: ქელ. 2009

ნულლი — 1. დაშაქრული ნუშის გული. 2. ატმის ჩირი ნიგვზის გულით.



მეუნაგირეების დუქანი

მეძუძეების დუქანი



ობსიდიანი — ვულკანური მინა. ქართულად „აქლემის თვალს“ და „ცის ნატეხას“ უწოდებენ. საქართველოში ეს მინერალი ადგილობრივ მოიპოვება. გამოყენება ჰქონდა ჯერ კიდევ პალეოლითში, ხოლო ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანაში ამ ქვით სამეურნეო იარაღებსაც ამზადებდნენ. საქართველოში არაერთგანაა აღმოჩენილი ობსიდიანის საბადოები და მისი დამუშავება და გატანა საექსპორტოდ ხდებოდა.

ე. ნ.



ოგაფა (მეგრ.) — მარტივი სახვნელი იარაღი. შედგებოდა: მხრის (აგაფა, დედო), ქუსლის („ჩაფლა“), ერქვანისა და სახნისისაგან („კინა“). ასეთი სახვნელები გავრცელებული იყო თითქმის მთელ საქართველოში (გურია, იმერეთი, ლეჩხუმი, სვანეთი, ხევსურეთი, თუშეთი). ყველა ეს სახვნელი ერთიანდება კოლხური ტიპის სახვნელებში. მათთვის დამახასიათებელია 90°-ით მოხრილი მხარი და ხშირ შემთხვევაში უსაკვეთლობა. კოლხური სახვნელი მიჩნეულია ეტრუსკული სახვნელის ანალოგიურად. ოგაფა მარტივი სახვნელი იყო, რომელსაც უმთავრესად გლეხი თვითონ აკეთებდა, სახნისს კი მჭედელი ჭედდა. ოგაფაში გამწევ ძალას წარმოადგენდა ერთი უღელი მუშა საქონელი, უმთავრესად ხარი, იშვიათად კამეჩი; მუშახელს — ერთი ან ორი კაცი — „მახონალი“, რომელსაც კავი ეჭირა, და „მანჯღვერი.“ ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაში იყო საჭირო, თუ ხარი კარგად არ იყო გახედნილი.

ოჯახს, რომელსაც ჰქონდა ოგაფა და უღელი გამწევი ძალა, დამოუკიდებლად შეეძლო ხვნა. იმ შემთხვევაში, როდესაც მუშა საქონელი საერთოდ არ ჰყავდათ, ან ცალი ხარი ჰყავდათ, მიმართავდნენ შრომის ორგანიზაციის ფორმას „დოცალუას“, რომელიც ანალოგიურია სვანეთში გავრცელებული შრომის ორგანიზაციისა (იხ. ღანნუში).

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მიწათმოქმედება სამეგრელოში, მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1979.

თ. გ.

ოდიკი — ნაკურთხი არდაგი, ძღვენის დასაგებელი ტრაპეზზე, წმიდა ძღვენის ქვეშ, ოთხკუთხა ფორმის სელის ან აბრეშუმის ნაჭერი, რომელზეც უფალ იესო ქრისტეს საფლავად დადებაა გამოსახული. ოთხივე კუთხეში მახარებელთა სიმბოლური გამოსახულებით: მათე, მარკოზი, ლუკა და იოანე; ნიშნად იმისა, რაც ნათქვამია მახარებლებზე: „ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა მათი და კიდეთა სოფლისათა სიტყვანი მათნი“. ოდიკს ქვედა მხრიდან აუცილებლად ჩასვენებული აქვს რომელიმე წმიდანის ნაწილი, ნიშნად იმისა, რომ I საუკუნეში მორწმუნენი საღმრთო ლიტურგიას, დევნის გამო, საფლავებზე ღამით ატარებდნენ. როცა მღვდელს ჰქონდა ოდიკი, ტრაპეზზე ლიტურგიის ჩატარებაც კი აუცილებლობას არ წარმოადგენდა, ოდიკს ნებისმიერ ადგილას დააბრძანებდნენ და ჩაატარებდნენ წირვა-ლოცვას. ოდიკს აქვს წარწერა, თუ რომელმა მღვდელმთავარმა რომელი ეკლესიისთვის აკურთხა ის და რომელ მღვდელს გადასცა. ამით მღვდელმთავარი გადასცემს თავის ძალასა და კურთხევას თითოეულ ტაძარს.

თანამედროვე ეკლესიაში ოდიკი ტრაპეზის საკუთრებას წარმოადგენს და ორივე მღვდელმთავრის მიერ იკურთხება.

ოდიკი სიმბოლურად მაცხოვრის კუბოსა და წამებულთა სამარხებს გამოხატავს, რომლებზეც აღესრულებოდა ლიტურგია I საუკუნეში.

ლიტ.: მოკლე განმარტება ლიტურლიისა შეკრებილი დეკანოზ გრიგოლ მანსვეტოვის მიერ. ჩყნბ. წელსა ქ. ტფილისს. Г. И. Скляревская, Словарь православной церковной культуры. С. Пв.2000.

ხ. ც.

ოდიშური ნავი — საქართველო უძველესი საზღვაო ქვეყანაა. ნაოსნობაც უძველესი საქმიანობა იყო ქართველებისათვის. ამას ადასტურებენ ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები, გეოგრაფები, მწერლები (ჰომეროსი, პინდარე, ევრიპიდე, აპოლონიოს როდოსელი, ჰეროდოტე, სტრაბონი, პლუტარქე). ბერძენი მწერალი და მეცნიერი აპოლონიოს როდოსელი თავის „არგონავტიკაში" — მოგვითხრობს: როცა ბერძნებმა — არგონავტებმა — საქართველოდან ოქროს საწმისი და მეფის ასული მედეა გაიტაცეს, მეფე აიეტმა გამტაცებლებს უზარმაზარი ფლოტი დაადევნა, მისი ბრძანებით, „კოლხებმა მყისვე მოამზადეს ხომალდები, ააფრიალეს აფრები და იმავე დღეს შესცურეს ზღვაში. კაცი იტყოდა, ეს ხომალდთა ლაშქარი კი არა, ფრინველთა ურიცხვი გუნდი არის და ზღვას დაჟრიამულებსო", ეს ამბავი ეხება ძვ. წ. XIII საუკუნეს.

საქართველოში ნაოსნობას ხელი შეუწყო ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ, აგრეთვე ძვირფასი ჯიშის ნავსაშენი ხე-ტყის სიმრავლემ, საუკეთესო ხარისხის სელმა, კანაფმა, ცვილმა და ა.შ. ჩვენს ლიტერატურულ თუ საისტორიო ნაშრომებში უხვადაა შემონახული სხვადასხვა სახის წყალწყვისა და დანიშნულების ხომალდების, მათი ცალკეული ნაწილების, ქარებისა თუ წყლის დინებების, ზღვის მფარველი ღვთაებების ქართული სახელები, ძველი ქართული სანაოსნო ტერმინები, მაგალითად: აფრა (ანუ საბერველი), აფქიო (ანუ აფრა), ბადე, ელესა (მეზღვაურთა სიმღერა). ეღე (ნავის გვერდების ფიცრების შემაკავშირებელი), თეთროსანი (ქართველ მეზღვაურთა წარმართული ღვთაება), კამარა (საბრძოლო ხომალდი), ლარსა (მეთევზეთა მფარველი ღვთაება), მხერვალი (მესაჭე), ნერჩი (ნავის ძირი), ნიში, ანუ ნუშა, ოლეჭკანდერი, ხეჭება (დიდი საბრძოლო ხომალდი) და ა.შ.

სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაში" ზუსტად განმარტავს ზოგი ქართული სანაოსნო საშუალების სახეობას. იგი წერს: „ნავი, ეს ზოგადი სახელი არს ყოველთა ნავთა. ხოლო მცირესა ნავსა ენოდება ნუშა: მისსა უდიდესსა ვარცლი, კოპანო, კარაპა, კარჭაპა, ხუმალდი, კარაფითა, ოჩხომელი, ოლეჭკანდერი და კატარღა. ერთი მეორის უდიდეს-უდიდესნი არიან. ხოლო ხომალდი და დრომონი უდიდეს ყოველთა."

„ოდიშური ნავი" გავრცელებულია სამეგრელოში (მეტ-ნაკლებად გურია-იმერეთში). იგი კიჩოჩანეული და ცხვირაწეული დაცურავს და შორიდან ქართულ ჭვინტიან ქალამანს მოგვაგონებს. სიგრძით 12-15 მეტრია, იტევს დაახლოებით 40-80 ფუთ ტვირთს. ემსახურება 5-7 მენიჩბე (მეხოფური), მართავს მესაჭე (მხერვალი). აქვს სამკუთხა აფრაც. ოდიშური ნავით გადაჰქონდათ შეშა, თივა, გადაჰყავდათ მგზავრები, საქონელი, იყენებდნენ სათევზაოდ. ოდიშური ნავის პრაქტიკული მნიშვნელობა საჩინო გახდა ბოლოდროინდელი წყალდიდობებისას, როცა მისი შემწეობით სამაშველო სამუშაოებს ასრულებდნენ.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

ოთურა — ცალფა ნავის გასათლელი ცული.

ოთურგი — (თბ.) ხანჯლის თასმა, რომელშიც ქამარი გაეყრება და წელზე ჩამოიკიდება.

ოთხძალი – სიმებიანი საკრავი (იხ. ათძალი).

ოკათური (მეგრ.) — მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის დიდმასშტაბიანი ფორმა — მსხვილფეხა საქონლის მეპატრონეთა გაერთიანება. შრომის ორგანიზაციის ეს წესი დაკავშირებული იყო მესაქონლეობის ერთ-ერთ ფორმასთან — მთა-ბარობასთან. მთა-ბარობა გულისხმობდა ძირითადი დასახლებისაგან ტერიტორიულად მოწყვეტილი საქონლის ჯოგისა და მომვლელი პერსონალის მუდმივ მოძრაობას ცენტრალური კავკასიის საზაფხულო საძოვრებიდან დასავლეთ საქართველოს საგაზაფხულო-საშემოდგომო და საზამთრო საძოვრებისაკენ და პირიქით. მესაქონლეობის ასეთი მობილური ხასიათის მიუხედავად, მთა-ბარობა სტრუქტურულად მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკურ და ორგანიზაციულ კავშირში იყო მიწათმოქმედებითა და სხვა დარგებით დასაქმებულ ძირითად მოსახლეობასთან. საქონლის მოვლასთან დაკავშირებულ სამუშაოთა წლიურ ციკლს ოჯახის ერთეული წევრები — მამაკაცები უძღვებოდნენ, რომლებიც ამ მიზნით ოკათურის შრომის ორგანიზაციის ფორმაში იყვნენ გაერთიანებული. ალპური საძოვრების სიშორე საქონლის საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვისას დიდ სიძნელეებს უქმნიდა მეჯოგეებს. მაგალითად, ენგურის ხეობის ზემო წელის სოფლების მესაქონლეებს კოლხეთის დაბლობის საზამთრო საძოვრებიდან სვანეთ-აფხაზეთის მთებამდე უნდა გაევლოთ. გარდა ამასთან დაკავშირებული სიძნელეებისა, ოკათურის აუცილებლობას ქმნიდა ამხანაგობის მრავალრიცხოვანი (დაახლ. 800-1000 სული საქონელი) ჯოგისათვის საძოვრის გარკვეული ფართობის დაქირავებისა და ექსპლუატაციის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მხარეც. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში ოკათური ძირითადად ტერიტორიულ მეზობლურ გაერთიანებას

წარმოადგენდა. ოკათურის ორგანიზაცია უშუალოდ საქონლის საზაფხულო საძოვრებზე გადარეკვის წინ იწყებოდა. ამხანაგობა ირჩევდა მეთაურს (დუდი კოჩი), რაც ამ პირის ასაკითა და მეურნეობრივი გამოცდილებით იყო განპირობებული. მას ევალებოდა ყველა საორგანიზაციო საკითხის მოგვარება, წესრიგის დაცვა და ა.შ. საზაფხულო საძოვრებზე ასვლის პირველსავე დღეს ხდებოდა ჯოგის დაყოფა ცალკეული სახის საქონლის (მეწველი დედა საქონელი, ცხენის ჯოგი, თხის ჯოგი, ბატკნების, ცხვრის, ხარის, ხბოს და ა.შ.) მიხედვით, მათთვის საძოვრის შესაბამისი უბნის გამოყოფა და მწყემსების განაწილება ცალკეული სახის საქონელზე. გამოიყოფოდა აგრეთვე მეხელე ყველისა და საჭმლის დასამზადებლად და საერთო ყველის მოსავლელად, ნაცვალი — მეხელეს დამხმარე პირი შეშის მოსატანად, ჭურჭლის დასარეცხად და ა.შ. მეთიე//მეკერძე — მწყემსებისათვის კერძის მიმტანი და მაჯინუ — მონადირე, რომელსაც აგრეთვე საქონლის ნადირისაგან დაცვაც ევალებოდა. აღნიშნულ პირთაგან განსაკუთრებით საპასუხისმგებლოდ მეხელეს მოვალეობა ითვლებოდა, რადგან მეგრელ მესაქონლეთა ერთ-ერთ ძირითად შემოსავალს ყველი წარმოადგენდა, რომელიც ნაწილდებოდა ცალკეულ წევრთა მეწველი საქონლის რაოდენობის მიხედვით. დამზადებული პროდუქტი პერიოდულად ცხენებით ბარში ჩაჰქონდათ გასაყიდად. შემოდგომაზე, ალპურ საძოვრებზე აცივებასთან ერთად, ოკათური იშლებოდა. მისი წევრები ნაწილდებოდნენ და თავიანთი ჯოგებით მთის ძირის საშემოდგომო საძოვრებზე ინაცვლებდნენ და ნოემბრის ბოლოს — დეკემბრის დასაწყისში საზამთრო საძოვრებს აღწევდნენ. ოკათური, ისევე, როგორც მონარეობა (იხ.), დამყარებული იყო თანაბარუფლებიანობის პრინციპზე, რასაც მისი წევრების საქონლის დაახლოებით თანაბარი რაოდენობა განსაზღვრავდა. აქაც, ისევე, როგორც მონარეობაში, გამორიცხული იყო დაქირავებული შრომა. მესაქონლეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ტრადიციული ფორმების პარალელურად XIX ს. II ნახევარში სოფლად კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან დაკავშირებით, ჩნდება და მნიშვნელოვან ადგილს იჭერს დიდფარიან მეცხვარეთა (აღმოსავლეთ საქართველო) და მსხვილი მეჯოგეების (სამეგრელო) მეურნეობები, რომლებიც ძირითადად დაქირავებული მწყემსების შრომას ემყარებოდა.

ლიტ.: ნ. აზიკური, შრომის ორგანიზაციის ფორმები თუშეთის მეცხვარეობაში. მსე XXI, 1981. ვ. შამილაძე, მესაქონლეობა სამეგრელოში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა, II, 1974.

თ. გ.

ოლაგე (მეგრ.) — ეზოებად დაყოფილ კარ-მიდამოში ერთი ეზოდან მეორეში გადასასვლელი პრიმიტიული კიბე.



ოლარი – სამღვდელო შესამოსელის ნანილი, სხვა შესამოსელზე აღმატებული. წარმოადგენს ორნაწილიან ფართო ლენტს, რომელიც ქედზე ჩამოიცმება და მკერდზე თავისუფლადაა დაშვებული. იგივეა, რაც დიაკვნის ორარი, ანუ გინგილა. ოლარი მღვდლის საბუხარებთან, ანუ სამაჯეებთან ერთად ერთნაირი ქსოვილისგან იკერება. ამკობენ ნაქარგი ჯვრებით და ვაზის, თევზის ან სხვა მსგავსი სიმბოლური გამოსახულებებით. ქსოვილი ხშირად ღვინისფერი ან ნითელი ფერისაა, ოქროს ან ვერცხლის ძაფებით იქარგება. ბოლოვდება ფოჩებით და შუაში ლამაზი ღილებითაა შეკრული.

ოლარი რომ მღვდლის სამოსს თავიდან ბოლომდე ჩამოუყვება, სიმბოლური ნიშანია იმის, რომ მღვდლობა თავისი ღვანლით მსახურებაში წარმოადგენს უმაღლეს თანამდებობრივ საფეხურს და აღმატებულია დიაკვანზე და რომ მღვდლობამდე იგი დიაკვანი იყო და დიაკვნის გარეშეც შეუძლია ღმრთისმსახურების აღსრულება. ოლარი ნიშნავს ასევე მღვდელზე გადმოსულ სულიწმიდის მადლს. ოლარის გარეშე მღვდელი, ისევე როგორც გინგილის გარეშე დიაკვანი ვერანაირ ეკლესიურ მსახურებას ვერ აღასრულებს.

ეპიტრაქელიონი (იგივე ილარი) არის სახე ფაკელისა, რომელიც კისერზე შემოახვიეს ქრისტეს და რომლითაც საწამებლად მიმავალ უფალს წინ ეწეოდა მღვდელმთავარი. ეპიტრაქელიონის მარჯვენა მხარე ის ლერწამია, რომელიც მოიცხარებმა მარჯვენა ხელში ჩაუდეს ქრისტეს. მარცხენა მხარე კი გულისხმობს ბეჭებით ჯვრის ტვირთვას (წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელი).

ლიტ.: Бенжамин, Архиепископ Нижегородской и Арзамаский. Новая скрижаль.1992; *წმ. გერმანე კონსტანტინოპოლელი — საეკლესიო თხრობა და საიდუმლო ქვრეტა. გაზ. „საეკლესიო სიწმინდენი", №1, მაისი, 2000.*

ხ. ც.

ოლე (მგრ.) — აქ: მოწნული ლასტი ღომის გასაშრობად, რომელსაც ჩამოჰკიდებდნენ, შუაცეცხლზე დააყრიან ღომის თავთავს და ნელ ცეცხლზე აშრობენ.

ლიტ.: ს. მაკალათია, სამეგრ. ისტ. და ეთნოგრაფია, 2006.

ე. ნ.

ოლეჭკანდერი — შუა საუკუნეების საქართველოში (სამეგრელო) ფართოდ გავრცელებული აფრებიანი ხომალდი, რომელიც 200-დან 300-მდე მგზავრს გადაიყვანდა. გამოირჩეოდა სისწრაფითა და კარგი მანევრირებით.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1986.

ე. ნ.

ომბოხი — ფეხის ხის პრიმიტიული პროთეზი.

ომოფორი//ომფორი – მღვდელმთავრის შესამოსლის ნაწილი. წარმოადგენს გრძელ და განიერ ლენტისებურ ქსოვილს, რომელიც კისერზე, საკოსის (იხ.) ზემოდან აქვს შემოხვეული ეპისკოპოსს. მისი ერთი ბოლო (მარცხენა) წინაა ჩამოშვებული, ხოლო მეორე მკერდზე ქვემოდან ზემოთაა ამოტრიალებული და მხარზე ზურგისკენ ეშვება. ომოფორი სქელი ქსოვილისგან იკერება. შემკულია ნაქარგი ჯვრებით, გარს შემოუყვება ლენტი და ბოლოვდება ორსავ მხარეს ფოჩებით. ომოფორის გარეშე ეპისკოპოსი (მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი), ისევე როგორც მღვდელი ოლარის გარეშე, მღვდელმსახურებას ვერ აღასრულებს.



ომოფორი მსგავსია ბიბლიური პირველი მღვდლის, აარონის სამოსელისა, რომელსაც სჯულისეული მღვდელმთავრებიც ატარებდნენ. მათ მარცხენა ბეჭზე გრძელი სუდარები ეხვიათ რაც ქრისტეს მცნებათა უღელს მოასნავებდა.

ომოფორი აღნიშნავს უფლის განკაცებას, სიტყვის განხორციელებას ქალწულ მარიამისგან, გამოხატავს გზააბნეულ კრავს (ან ამ კრავის ტყავს), რომელიც მწყემსმა კეთილმა მოძებნა, კისერზე შეისვა და მიათვალა თავის ფარას. ნიშნავს ჯვარსაც, რადგან ქრისტემ სწორედ ბეჭზე იტვირთა თავისი ჯვარი.

ლიტ.: Законъ Божии, Московская патриархия, 1972. Бениамин, Архиепископ Нижегородской и Арзамаский. Новая скрижаль, 1992.

ხ. ც.

ონჯარო — მომცრო საწნახელი დასავლეთ საქართველოში. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, სიტყვა ონჯარო დაკავშირებული უნდა იყოს ჭყლეტვასთან. სხვა კილოკავებში ონჯარო პატარა გობსაც ნიშნავს. ყურძნის საჭყლეტ საუკეთესო ონჯაროებს ისტორიული არგვეთის თემში ამზადებდნენ.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მსმკი, 1964.

ე. ნ.

ოპალი — კვარცის ნაირსახეობა, ფერით თეთრი, მყარია და მბზინვარე. მოიპოვებოდა როგორც აზიაში, ისე ევროპაში. ანტიკური ხანის საქართველოში გემმების საკეთებლად გამოუყენებიათ.

ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ე. ნ..

ორგანი — ძალებიანი საკრავი, რომლის თანხლებით სრულდებოდა ფსალმუნები და საგალობლები.

ორგო — 1. მთლიანი ხის ბადიმი. (იხ.) 2. ხის, ქვის ან თუნუქის გობისებური ნივთი, რომელსაც სამეურნეო ნაგებობების ბოძებს ახურავენ ზემოდან, რათა ბოძებზე აყოლით მღრღნელებმა ვერ შეაღწიონ ნაგებობაში.

ე.ნ.

ორთაყვირი – ტივის სამართავი გრძელი ხე, ნიჩაბივით პირი აქვს.



ნალბანდის იარაღები



ნავტიკი

ორთითი — კალოზე ძნის ასაწენი ხის იარაღი, ორთითი ითლებოდა დგნალის // ფოხვის (თუშეთი), თხილის (ქსნის ხეობა) ხისგან, აქვს ტარი და თითები (ფშავ. ხევს). თითებს, ცეცხლის ალზე მოტუსავდნენ, ხმარებაში, გამძლე რომ ყოფილიყო.

გ. გ.

ორთომელი (თბ.) — სპილენძისა და ხისგან დამზადებული სასმური.

ორთოხი — მიწის დასამუშავებელი იარაღი, რომელსაც ერთი ფართო პირი მიწის დასამუშავებლად ჰქონდა განკუთვნილი, მეორე კი, უფრო ვიწრო და ძლიერი, ყამირისთვის. ასეთი თოხები გამოიყენებოდა ახლად გატეხილი ახოს დასამუშავებლად, როცა მიწაში ჯერ კიდევ იყო დარჩენილი ხეთა ფესვები და მათ ამოძირკვას ვიწროპირიანი თოხი სჭირდებოდა. ასეთი ორმაგი სამუშაოს შესრულებისას ორთოხი ერთობ მისადაგებულ და მოხერხებულ იარაღად წარმოგვიდგება.

ე. ნ

ორკოპე//კოპე//ხრიკა//ხეპარა – მწარე კვახისგან დამზადებული ჭურჭელი, რომლითაც ჭურიდან ღვინოს იღებენ (იხ. ხრიკა).

ორომი — 1. ხის ოვალური, მრგვალი, ხონჩის მსგავსი ფიცარი, რომელზედაც აწყობდნენ თონეში ჩასაკრავ ცომის გუნდებს. ორომს იყენებდნენ ცომით სავსე ვარცლის გადასაფარებლად. იყო ფეხებიანი და უფეხო ორომები. 2. მჭადისა და პურის გასაპრტყელებელი, მრგვალი და სახელურიანი.

გ. გ.

ორპოტიკა — სანავე ჭოკი, რომლითაც მართავდნენ ნავს თავთხელ ნყლებში.

ორღანო — 1. ზოგადად მუსიკალური ინსტრუმენტის აღმნიშვნელი ტერმინი; 2. საბერველიანი საკრავი.

ლიტ.: მ. შილაკაძე, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების ერთი ადგილის გაგებისათვის. — ანალები, 1999, №2, გვ. 23-25; ივ. ჯავახიშვილი; ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938.

ც.კ.

ორშიმო — ჭურიდან ღვინის ამოსაღები ტარიანი ჭურჭელი. ორშიმოდ იყენებდნენ ბარდიან მცენარეს, ე.ნ. მწარე კვახს (აყირო), რომელიც ითესება თესლით და ისხამს ოვალური ფორმის ნაყოფს. ზრდაში შესულ მცენარეს სჭირდება საყრდენები, რომ მასზე ავიდეს და ნაყოფი კარგად განვითარდეს. შემოდგომით დავარგებულ ნაყოფს მოწყვეტენ, გაახმობენ, გამოყრიან შიგნიდან კურკებს და გამოასუფთავებენ. შემდეგ მდუღარე წყალში გამოხარშავენ სიმწარე რომ დაუკარგონ, ამოუჭრიან სატარეს, გაუკეთებენ თხილის ტარს და ხმარობენ ღვინის ამოსაღებად. ორშიმო გავრცელებული იყო მთელ საქართველოში. ორშიმოს ტევადობა ზოგჯერ 6-7 ლიტრამდეც მიდიოდა, თუმცა ხელში მოსახმარად მოხერხებულია სამ და ოთხლიტრიანი ორშიმოები. საშუალოდ, ერთი მარნისათვის, რამდენიმე ორშიმო იყო საჭირო. ღვინის ამოსაღები, ღვინის გადასაღები, ამოსაწური, თხლის ამოსაღები და ა.შ. ორშიმო ადვილია დასამზადებლად, მოსახმარად მარჯვეა და ხმარებაში გამძლე. მეთუნეობით განთქმულ ცენტრებში თიხის ორშიმოებსაც ამზადებდნენ.

ე. ნ.

ორჩხომელი — საქართველოში გავრცელებული აფრიანი სათევზაო ხომალდი.

ორჩხუში — ჭურის სარეცხი ხელსაწყო სამეგრელოსა და გურიაში იგივე სარცხი//სარცხლი (იხ.), წარმოადგენს გრძელ სარზე დამაგრებულ ძმერხლის მაგრად შეკრულ კონას, ან სიმინდის ფუჩეჩს.

ორძირა — წყლის საზიდავი სპილენძის ჭურჭელი ხევსურეთში, ცილინდრული ფორმის ორმხრივ დახურული. აქვს დიდი და პატარა ნახვრეტი — ერთი წყლის ჩასასხმელად, მეორე — გადმოსასხმელად. ორძირას ხევსური ქალები თოკებით მხრებზე იკიდებდნენ. ასეთი ტიპის წყლის საზიდ ჭურჭელს რაჭაში „სადგომელი" ჰქვია, ხოლო სვანეთში „ოხარი"//„ვოხარი".

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური.... 1988.

ე. ნ.

ორხელა — 1. სახვნელი იარაღი. შედგებოდა: მხრის, ქუსლის, ორხლის, კოკოშის, სახნისისა და საკვეთლისაგან. მხარი წარმოადგენდა მოხრილ ხეს. ჰქონდა ნაჩვრეტი, რომელშიც საკვეთელი იყო ჩამაგრებული. მხარს წინ ძირიდან ამოეკვროდა კოკოშა, რომლის საშუალებით შესაძლებელი იყო ხვნის სიღრმის რეგულირება. თუ სახნავი ნიადაგი გამოგვალული იყო, ორხელის მოკიდება რომ გაადვილებოდათ, კოკოშას მოხსნიდნენ. თუ ნიადაგი რბილი იყო, იმისათვის, რომ ორხელა ნიადაგში ზომაზე მეტად ღრმად არ წასულიყო, კოკოშას გაუკეთებდნენ. ქუსლა ფორმით დიდ სოლს წარმოადგენდა, რომელიც საშვრიეთი მთავრდებოდა. საშვრიეზე სახნისი წამოიცმოდა. ორხელა წარმოადგენდა სამი შტოსაგან შედგენილ ერთიან ხის ტოტს, რომელიც ტანით ჩასმული იყო ქუსლში. გამწევი ძალის შებმა ორხელაში კვანტების ან ღვედის საშუალებით ხდებოდა. ორხელაში, ჩვეულებრივ, 4-5 უღელი გამწევი ძალა იბმოდა. მუშახელს შეადგენდა გუთნისდედა და 2-3 მეხრე.

ორხელა განსაკუთრებით მთის წინა ზოლის მეურნეობისათვის იყო დამახასიათებელი. ორხელას პარალელურად ამ ზოლში გავრცელებული იყო დიდი გუთანიც, რომელიც უმთავრესად საანეულო ხვნისათვის გამოიყენებოდა.რაც შეეხება ორხელას, იგი წარმოადგენდა ძირითად სახვნელ იარაღს საგაზაფხულო და საშემოდგომო ხვნის დროს. ორხელას ქართლის ბარში აოშვის და იშვიათად საგაზაფხულო ხვნის დროს იყენებდნენ.

როგორც მთისწინა ზოლში, ისე ბარში ორხელათი მუშაობის დროს მიმართავდნენ კოლექტიური შრომის ფორმას მოდგამს, რომელიც 12-13 დღეს გრძელდებოდა. ორხელას მოდგამისათვის დამახასიათებელი იყო ხვნის ნორმირებული სისტემა, მეტ-ნაკლებად დიფერენცირებული (შდრ. მოდგამი).

ორხელას ტიპის სახვნელი იარაღი ცნობილი ყოფილა ძვ. წ. | ათასწლეულიდან.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამინათმოქმედო იარაღის ისტორიიდან, თბ., 1960.

თ.ბ.

ორხელი— ჯამისებური, ხის ორტარიანი მარნის იარაღი, რომელიც იხმარებოდა ჭურიდან ნარჩენი ღვინის, მთხლისა და ნარეცხი წყლის ამოსაღებად. ორხელი არის თიხისა და ლითონისა. ყველაზე მეტად ლითონის ორხელია გავრცელებული. ორხელი ჯამისებურადაა მოყვანილი და მისადაგებულია ჭურის ძირის ფორმას, რათა მაქსიმალურად მოხერხებულად ამოიღოს ძროში ჩარჩენილი სითხე. იარაღს აქეთ-იქით ასხია პატარა ყურები, რომლებშიც ამოებმება ერთ ტარზე შებმული ორი თოკი. მეორე ტარის თოკი ამოეცმება ძროში. სითხის ამოღებისას, ძროში ამობმულ ტარს ასწევენ, ორხელი დაყირავდება და ამოხაპავს სითხეს, მეღვინე მეორე ტარით გაასწორებს, გავსებულ ჭურჭელს ჭურიდან ამოიტანს და გადააქცევს.



ე. ნ.

ორხოვა (თბ.) — ორპირად ნაქსოვი ხაოიანი ხალიჩა.

ოსირო (რაჭ.) — ჭურის სამშრალებელი, ძროში დარჩენილი წყლის ამოსაწმენდი, გრძელ ჯოხზე შებმული სუფთა ნაჭერი.

ე. ნ.

ოფიჭა (იმერ.) — არყის ტოტებისაგან შეკრული კონა, რომლითაც რეცხავენ ჭურს, საცხის თავისებური ტიპი, ბლის კანისაგან დამზადებულ სარეცხსაც იმერეთის ზოგ რეგიონში ოფიჭას უწოდებენ.

ოფურჩე – ჩალის შესანახი, ნახევრად ღია ნაგებობა სამეგრელოში.

ლიტ.: ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია, 2007.

ოქრომკედი — ერთგვარი ხარისხის ძაფი, რომლითაც იქსოვებოდა ტანსაცმლის სამშვენისები. ამზადებდნენ ყაზაზები (იხ). ოქრომკედი ძირითადად ორი სახისა იყო — აბრეშუმისა და ბამბის ძაფის. არსებობდა ვერცხლის, თითბრისა და სპილენძის ოქრომკედიც. ოქრომკედის დამზადებისას მეტალის ნაქლიბში ატარებდნენ ძაფს, შემდეგ კი ოქროს ვარაყში ამოავლებდნენ. ოქრომკედით ირთვებოდა ახალუხები, ჩაფარიშები, ბუზმენტები და სხვ.

ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ ტერმინს — „ოქრონემსულს" — მოგვიანო ხანის ძეგლებში „ოქრომკედით ნაკერი" შეესატყვისება. ოქრომკედით მძიმედ ნაკერი ან ნაქსოვი ფარჩის აღსანიშნავად იხმარებოდა აგრეთვე ტერმინები „დიბა" და „ადიმი". საინგილოში ოქრომკედით ნაქარგს — „ზარბაბს" უწოდებენ. ოქრომკედით ქარგვის ძველი ქართული ტრადიციები (მდიდარი ორნამენტი, მხატვრული სიმბოლიკა, სიუჟეტური კომპოზიცია, შესრულების მანერა) კარგად იყო შემონახული XIX ს. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში. ქარგავდნენ უმთავრესად ხავერდზე, ატლასზე და სხვ. ძვირფას ქსოვილებზე ოქრომკედით ნაქარგ სახეებში ხშირად ურთავდნენ მარგალიტს, ფერად მძივებსა და ზოგჯერ პატიოსან თვლებსაც. ოქრომკედით ნაქარგობა ძველთაგანვე საექსპორტო საგანი იყო. XIX ს. დამდეგს ირანსა და ოსმალეთში გატანილი ქართული ოქრომკედული ნაქარგობა საუკეთესო ნახელავად ითვლებოდა მთელ აზიაში და ყველაზე ძვირად ფასობდა. ოქრომკედით ნაქარგობის მთავარი მოტივებია უმთავრესად ნაყოფიერებასთან დაკავშირებული მცენარეული ორნამენტი (ვაზის ფოთლები და მტევნები, ხორბლის თავთავები და სხვ.), ანთროპომორფული და ზოომორფული გამოსახულებანი. ოქრომკედით ნაქარგობის უბრწყინვალეს ნიმუშებს წარმოადგენენ ქართული დაფარნები.

ლიტ.: მსხში ტ. II, ნან. II 1982. შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. I 1982.

მ. ბ.

ოქრომჭედელი — ძვირფასი ლითონებისა და ქვებისაგან სამკაულებისა და სხვა ნივთების მკეთებელი ოსტატი.

ლეგენდები ოქრომჭედლების შესახებ ცნობილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ყველა შემთხვევაში ოქრომჭედლის პიროვნება უღრმესი არქაიკის შემცველ მოვლენებთან კონტექსტში ვლინდება. სარიტუალო სიმღერაში ოქრომჭედლის საქმიანობის ასახვა პირველად მესხეთ-ჯავახეთში გვხვდება. სიმღერა სრულდება დიდმარხვის დადგომის წინ, ერის კვირა ღამეს, ბერიკაობის დროს. კალოზე ფერხულს დააბამდნენ. ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, მკლავებს გადააჭდობდნენ და იწყებდნენ წრიულად საფერხულო სულას. იმღერდნენ „მუხა ძონწილას", სიმღერას იწყებდა ოთხი კაცი წრის ერთი ბოლოდან, მეორე ოთხეული იმეორებდა:

„პირველად ღმერთი ვახსენოთ და მერე ყოვლადწმინდაო!"
„მუხის ნადგომსა შენ ბიჭო, მამლი მუხასაო,
ჩიტის ნალი მიშოვნია, ჩემო მჭედელოო,
მჭედელო, მჭედელო, ჩემო მჭედელოო!
ერთი გუთანი გამიკეთე ჩემო მჭედელოო!
რითა და რითა, შენ ბიჭო, მამლი მუხასაო!
რაც რო იმას გადარჩება, ჩემო მჭედელოო!
ერთი სახნისიც გამიკეთე, ჩემო მჭედელოო!
რა რო იმას გადარჩება, ჩემო მჭედელოო!
ერთი ჩეკიც გამიკეთე ჩემო მჭედელოო!
რაც რო იმას გადარჩება ჩემო მჭედელოო!
ერთი თოხიც გამიკეთე, ჩემო მჭედელოო!
მჭედელო, ჩემო მჭედელო, ოქროს მჭედელოო!

აღნიშნულ საფერხულო სიმღერაში ოქრომჭედლობა თითქოს უფრო ძველ დარგად გამოიყურება, ვიდრე მჭედლობა. ამ მხრივ საგულისხმოა ამირანის თქმულების ერთ-ერთი რაჭული ვარიანტი, რომელიც

„შუბლმზიანი“ ამირანის მამად ოქრომჭედელს ასახელებს.

არქეოლოგიური და ისტორიული მონაცემები მიუთითებენ, რომ ოქრომჭედელთა შორის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემორჩენილი სპეციალიზაცია ძველთაგანვე უნდა მომდინარეობდეს: ოქრომჭედელი, ვერცხლის მუშაკი, მინანქრის ოსტატი, ამ უკანასკნელთან დაკავშირებულია სირმის ოსტატიც (სირმა ტიხრული მინანქრის აუცილებელი ელემენტია) და ოქრომქანდაკებელი. საინტერესოა ახალციხეში დამკვიდრებული ოქრომჭედელთა აღმნიშვნელი ტერმინები: 1. „ჩივთიხი“ — ჩივთის საქმის ოსტატი, ანუ ვერცხლის ფილიგრანის ოსტატი. „ჩივთი“ არის პატარა მსხვილბოლოებიანი პინცეტი, რომლითაც ხელოსანი სახეების მიხედვით აწყობს გრეხილს. ტერმინი „ჩივთიხ“-იც პინცეტის დასახელებიდან მოდის.

2. „ყვინჩა“ — თითბერსა და სპილენძზე მომუშავე ოსტატი. 3. „ხალფა“ — ქვეოსტატი.

„ჩივთის“ ხელოსნებს ჰქონდათ ალბომები ორნამენტის ნიმუშებით, რის მიხედვითაც შემკვეთს შეეძლო შეერჩია ნივთის სასურველი მოყვანილობა და ორნამენტის სახე.

არსებობდა ოქრომჭედელთა პროფესიული გაერთიანებები, როგორც თბილისში, ისე ახალციხეში. პროფესიული გაერთიანება „ასნაფი“, რომელიც ახალციხეში არსებობდა, ორგანიზაციასაც წარმოადგენდა, სადაც ახალი ხელოსნის სწავლება-ჩამოყალიბება ხდებოდა. „ჩივთის“ ოსტატი იყვანდა მოსწავლეს და გარკვეული საფასურის ფასად ხუთი წლის განმავლობაში ხელობას ასწავლიდა. ოსტატსა და მოსწავლეს შორის გარკვეული უფლება-ვალდებულებები არსებობდა, რომელთაც მკაცრად იცავდა ორივე მხარე. საწყის ეტაპზე მოსწავლე ხელოსანსა და მის ოჯახს ემსახურებოდა, შემდეგ გადიოდა სახელოსნოში, სადაც ხელობას სწავლობდა და „ხალფად“, ქვეოსტატად იქცეოდა, ხუთი წლის შემდეგ კი ოსტატი ხდებოდა. „ყვინჩების“ სწავლის პერიოდი სამი წელი იყო. ოქრომჭედელთა სამოქმედო ასპარეზი მრავალმხრივია: საოჯახო საჭიროებისათვის განკუთვნილი ნივთების გაკეთება და შეკეთება, საბრძოლო იარაღისა და ცხენის შეკაზმულობის შემკობა, საკულტო დანიშნულების საგანთა და მრავალსახოვან სამკაულთა (კაცისა და ქალის შემკულობის) დამზადება და სხვა.

მ.ბ.

ოქრომჭედლობა — ოქრომჭედლობას საფუძველი ეყრება მელითონეობის უძველეს პერიოდში, რითაც ასე გამოირჩეოდნენ ჩვენი უძველესი წინაპრები — მოსინიკები, მოსხები, ტიბარენები, ხალიბები და თუბალები. ამ უკანასკნელს ბიბლიაში რვალის მჭედლის პრიორიტეტი აქვს მიკუთვნებული. ურარტუს მეფე არგიშთს, დიაოხში ლაშქრობისას (ძვ. წ. VIII ს.), ნადავლად აუღია 41 მინა ოქრო (დაახლ. 20 კგ.), 37 მინა ვერცხლი და ათი ათასი მინა სპილენძი, რაც იმის მანიშნებელია, რომ ადრეკლასობრივ საქართველოს ტერიტორიაზე ამ მეტალების მოპოვებისა და დამუშავების მაღალი კულტურა არსებულა. ამას დავუმატებდით არგონავტების დაინტერესებას ოქროს საწმისით და მინის დასამუშავებელ სახნისს, სპილენძის ჩლიქებიანი ხარებით — როგორც უმკვეთრეს საბუთს ძველი კოლხეთის წარმატებული მელითონეობისა. ოქრომჭედლობა, როგორც ლითონის დამუშავების დახვეწილი ხელოვნება, შესანიშნავად გამომზეურდა საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში, რომლებმაც ცხადი გახადეს სამკაულის განვითარების სახელოვანი გზა და აგრეთვე დაადასტურეს საზოგადოების მაღალი ფენის არსებობა, რომელთა ესთეტიკური მოთხოვნილებების გათვალისწინებითაც დაუმზადებიათ ისინი.

სამკაული ადამიანის ცხოვრების თანმდევი ატრიბუტია და ისეთივე ძველია, როგორც თავად ადამიანი, თუმცა ვერავინ განსაზღვრის იმ დროს, როცა უბრალო საგანი პირველად აიღო მან და თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით მუდმივ სამშვენისად გაიხადა.

ოქრომჭედლობის ისტორია ფაქტობრივად, ესაა სამკაულის განვითარების ისტორია და ბრინჯაოს ხანაში უკვე გამობრწყინდა ამ დარგის უმნიშვნელოვანესი ნიმუშები: გულსაკიდები, საყურეები, ყელსაბამები, დიადემები, ბეჭდები. სამკაულმა იმთავითვე განსხვავებული სახე მიიღო, ერთი იყო წმინდა ესთეტიკური, მეორე — ძალაუფლების (სამეფო გვირგვინი, სკიპტრა, ტიარა) და მესამე — რელიგიური დანიშნულების (ამულეტი, ავგაროზი, ჯვარი) აღმნიშვნელი.

საქართველოში ოქრომჭედლობას აღმავალი ხასიათი მიეცა ძვ.წ. II ათასწლეულში, რომლის უბრწყინვალესი ნიმუშია საყოველთაოდ ცნობილი თრიალეთური კულტურის ვერცხლისა და ოქროს ნივთები. რომლებშიაც



მეგრული ოგაფა





გამოვლენილია განვითარებული ოქრომჭედლობის ყველა ხერხი: გავარსი, გრანულაცია, მორჩილვა, გრეხილი, დაფანჯვრა, ღრუსივრციანი ნივთების დამზადება (ერთ-ერთი რთული ეტაპი ნებისმიერი დროის ოქრომჭედლობისა), თვლებით ინკრუსტაცია. ამ რიგის უბრწყინვალესი ნიმუშია თრიალეთში აღმოჩენილი ერთ-ერთი უძველესი გავარსიანი, ოქროს ყელსაბამი — სარდიონისა და აქატის დაზოლილი ქვებით. საინტერესოა, რომ სხვადასხვა ზომის ღრუსივრციანი ოქროს მძივები, უბადლო ტექნიკითაა დამუშავებული და დახვეწილი ხელოვნებითაა განყობილი. ეს ნივთი, მისი დროის სხვა მასალასთან ერთად, საფუძველს უყრის ქართული ოქრომჭედლობის აღმავლობას, რაც განსაკუთრებით გაძლიერდა ძვ.წ. II ათასწლეულში და გამოიხატა თრიალეთის ორი — ვერცხლისა და ოქროს თასების დამზადებაში. დღემდე ამ ნივთების შესახებ, რომლებიც საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოქროს ფონდის უნიკუმებს წარმოადგენს, უამრავი მეცნიერული თუ საცნობარი ხასიათის მასალებია გამოქვეყნებული, მაგრამ მათ მიმართ გამოჩენილი ინტერესი არათუ იკლებს, უფრო მეტად იზრდება და ეს თასები იმსხურებს ასეთ ყურადღებას არა მხოლოდ მათი მაღალმხატვრული ესთეტიკური ღირებულებების გამო, არამედ რელიგიურ-სიუჟეტური მოტივებითაც, განსაკუთრებით ეს ეხება ვერცხლის თასს, რომელზედაც გამოსახულია ნიღბებიანი სატომო ღვთაებანი. ეს ეპოქა ინახავს ქართველური მოდგმის ტომთა საიუველირო ხელოვნების უმაღლეს დონეს. ფაქტობრივად, უძველესი ცნობები კავკასიის, როგორც მელითონეობის დიდი კულტურის მქონე მხარის შესახებ, ამ მასალებითაც დასტურდება, თუმცა ეს ტრადიცია თუ II ათასწლეულის ბოლოს ოდნავ სუსტდება, I ათასწლეულში უკვე მთელი სიძლიერით იფურჩქნება, მაშინ როცა საფუძველი ეყრება ქართული სახელმწიფოს წარმოშობას.

ოქრომჭედლობის უხვი მასალები მიკვლეულ იქნა ფარცხანაყანევში, ყაზბეგში, ჭუბურხინჯში, ცხინვალში, მაგრამ თავისი კლასიკური სახით მან გამოანათა ვანისა და საირხის არქეოლოგიურ მასალებში, საიდანაც ათეული წლების განმავლობაში განუწყვეტელ ნაკადად მოედინება საოქრომჭედლო ნაკეთობათა შედეგერები.



ასეთ ნაკეთობათა რიგს მიეკუთვნება ძვ.წ. V ს. დიდემა ოქროსავე სასაფეთქლეებით, რომელიც წარჩინებული ადამიანის შემამკობელი უნდა ყოფილიყო. დიადემათა ასეთი ტიპი თავისი სხივანა სასაფეთქლეებით, ყველაზე დახვეწილი ფორმით საქართველოშია წარმოდგენილი, რაც იმის მაუწყებელია, რომ იგი ადგილობრივი ოქრომჭედლობის სკოლის კუთვნილებაა. ამავე ეპოქის მშვენებას წარმოადგენს ვერძისთავიანი სამაჯურები, სხივანა საყურეები და ოქროსავე ყელსაბამი ფრინველების გამოსახულებით. ყველა ეს ნივთი უმაღლესი ოსტატობის ნიმუშია, განსაკუთრებული ოსტატობითაა შესრულებული ყელსაბამის ფრინველთა პატარა ფიგურები, რომლებთაც პანანინა თვალების მაგივრად ჩასმული აქვთ ცისფერი პასტის ინკრუსტირებული ნაწილები. რაც შეეხება ვერძისთავიან სამაჯურებს, ისინი აქემენიდური ხანის ნიმუშებთან იჩენენ მსგავსებას, რაც სხვა ამ რიგის მასალასთან ერთად მოწმობს, რომ საქართველოს საიუველირო ხელოვნება იცნობდა როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ოქრომჭედლობის მიღწევებს და მათ იყენებდა თავისი ნაციონალური და თვითმყოფადი სტილის ჩამოყალიბებისათვის.

საგულისხმოა, რომ როგორც ვანში, ასევე საირხეში ოქროს ნივთებთან ერთად, აღმოჩენილია საოქრომჭედლო იარაღები და ოქროს დასამუშავებლად გამზადებული ფირფიტები, რაც უშუალოდ მიუთითებს ადგილობრივი ხელოსნური პროცესის შესახებ.

მსოფლიო ოქრომჭედლობის შედეგრადაა მიჩნეული ასევე ვანში აღმოჩენილი ყელსაბამად ასხმული 31 ოქროს კუ, რომელთაგან ერთი დიდია, დანარჩენი 30 კი პატარა. თითოეული კუ წვრილი გავარსის ორნამენტითაა შემკული, თვალებად ინკრუსტირებული პასტები აქვს ჩასმული. ისინი ზოგადად თავისი ფორმით საუკეთესოდ გამოხატავენ ამ უწყინარ ცხოველთა მშვიდ ხასიათს.

საგულისხმოა, რომ ვანის აღმოჩენებს ეთანადება და ეთანხმება ზემო იმერეთში — საჩხერეში, მოდინახეზე და განსაკუთრებით საირხეში აღმოჩენილი ოქროს ბრწყინვალე ნიმუშები, ეს მასალები თავისი მხატვრული გადაწყვეტითა და ტექნიკური ნიშნით ადგილობრივი ოქრომჭედლობის ნანარმად წარმოგვიდგება და ზოგიერთ სკეპტიკოსს, ვისაც ჯერ კიდევ არ სურს ოქრომრავალი კოლხეთის ხელოსანთა ინდივიდუალურობა ირწმუნოს, სანინააღმდეგოს მტკიცებისათვის არგუმენტს აღარ უტოვებს. იბერიასა და კოლხეთის გამყოფ ზოლზე მყოფი საირხისათვის, რომელთაც საკმაოდ ასცდა ბერძნული კოლონიების გავლენა, საიუველირო ხელოვნებაში გამომუშავებული აქვს თავისი თვითმყოფადი სტილი, რომელიც გვერდს უმშვენებს ვანის მასალებს და ორივენი ერთად ქართული ოქრომჭედლობის ავტონომიურობას წარმოაჩენს.

ქართული ოქრომჭედლობის მიღწევას წარმოადგენს ე.წ. ფარაკიანი საბეჭდავები, რომლებიც სათავეს,

მართალია, საბერძნეთში იღებს მაგრამ მისი ქართული მინაბაძები ერთობ ოსტატურად არის შესრულებული, ასეთი ბეჭდები გამოიყენებოდა წარჩინებულობის ნიშნად, რომელიც ფართოდ გავრცელდა ძვ.წ. V-IV ს-ში. ის იხმარებოდა ასევე საბეჭდავად, მათ ფარაკებზე ამოტვიფრული იყო რელიგიური შეხედულებით ნასაზრდოები ფიგურები. ოქრომჭედლობის ოსტატობა სრულიადაა განსახიერებული ახალგორის რაიონის სოფ. საძეგურში აღმოჩენილ წყვილ სასაფეთქლე საკიდებში, რომელიც ძვ. წ. IV ს-ით თარიღდება. ესაა ძველი ქართული ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუში, რომელიც სიუჟეტური თვალსაზრისით აქემენიდური ხელოვნების შტრიხებს ატარებს, მაგრამ ხელობის თვალსაზრისით პირწმინდად ქართული ნახელავია.

ქართულ ოქრომჭედლობაში ელინისტურმა კულტურამ მოიტანა ნაკეთობათა ფერადი ქვებით შემკობის წესი.

ოქრომჭედლობაში ახალი ეტაპი დადგა გვიანანტიკურ ხანაში. ეს იყო პოლიქრომული სამკაულის გავრცელება, რომელთა საუცხოო ნიმუშები აღმოჩნდა მცხეთაში. მცხეთაში აღმოჩენილი ოქრომჭედლობის ნიმუშები თავისი მხატვრულ-ესთეტიკური ღირსებით თავისუფლად იმკვიდრებენ ადგილს მსოფლიო საიუველირო ხელოვნების უბრწყინვალეს ნიმუშთა შორის.

ქართულმა ოქრომჭედლობამ დიდი წარმატება მოიპოვა ჭედურობასა და მინანქარის დამუშავებაში. ჭედურობის უდიდესი ხელოვნება განსაკუთრებით გამოიკვეთა განვთარებული ფეოდალიზმის ეპოქის ისეთ აღიარებულ ხელოვანთა შემოქმედებაში, როგორებიც იყვნენ ბექა და ბეშქენ ოპიზარები.

ოქრომჭედლობა მთელი სისრულით გამომჟღავნდა საბრძოლო იარაღებში, რომლებიც თავდაცვითი და თავდასასხმელი ფუნქციის გარდა, ადამიანის სამშვენისის მოვალეობასაც ასრულებდა. ამ დარგში კავკასიური იარაღი უაღრესად დიდი დახვეწილობითა და იმ დონის ორიგინალობით გამოირჩევა, რომ მისი აღრევა მსოფლიოს ნებისმიერ იარაღებში ფაქტობრივად შეუძლებელია. ოქრომჭედლობის დახვეწილი ოსტატობა გამოვლინდა ხმალ-ხანჯლებისა და თოფ-დამბაჩების მორთულობაში, რომელშიაც გამოყენებულია ოქრომჭედლობის ყველა ხერხი. როგორც ცნობილია კავკასიის ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობა გამუდმებულად იმყოფებოდა საბრძოლო მდგომარეობაში, ამიტომ იარაღის მიმართ დამოკიდებულებამ აქ იმდენად მძაფრი ხასიათი შეიძინა, რომ იგი ფაქტობრივად მუდმივ სატარებელ საგნად იქცა. იგი ადამიანის მენტალურობის მაჩვენებელადაც იქცა და მისი ესთეტურად მაღალი დონე ამ ვითარებამაც განაპირობა. კავკასიის ხალხთა ისტორია იარაღისადმი ფანატიკური სიყვარულის მრავალ მაგალითს იცნობს და ეს არცაა გასაკვირი, რადგან პრაქტიკულმა საჭიროებამ, დროთა განმავლობაში მის არსებობაში ჩადო გენეტიკური კოდი იარაღის დაუშრეტელი სიყვარულისა.

სწორედ ამ ვითარებამ განაპირობა იარაღ-საჭურვლის უმნიშვნელოვანესი ცენტრების გაჩენა კავკასიაში, რომელთაგან თბილისი ყველაზე სახელოვანი იყო. თბილისური იარაღ-საჭურვლის სამჭედლო სახელოსნოები აქ რამდენიმე ქუჩას მოიცავდა, სადაც ერთმანეთს ერწყმოდა კულტურის სხვადასხვა ელემენტი და იკვრებოდა ერთი დიდი მდინარება თბილისური ხელობისა. საინტერესოა, რომ იარაღის წარმოებაში მუდამ შეინიშნება ხელოსნური მეტოქეობის ელემენტები როგორც მტკიცე ფოლადის გამოდნობის, ასევე გერეგნული შემკულობის თვალსაზრისით, რისი შედეგიც იყო სახელგანთქმული ოსტატების დაწინაურება. თბილისის გარდა ოქრომჭედლობის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა: ქუთაისი, ახალციხე, სენაკი, ზუგდიდი, თელავი, სიღნაღი და სხვ.

ლიტ.: ი. გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981. ლ. სოსელია, ოქრომჭედლობის შესწავლისათვის მესხეთში, კრ. მესხეთ-ჯავახეთი, 1971. შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, 1956.

ე. ნ.

ოქსინო – ძვირფასი ქსოვილის სახეობა. საბას განმარტებით, ოქსინო არის ოქროქსოვილი ხავერდი, ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ოქსინო ოქრონემსულით მოქარგული ქსოვილია, რომელიც ძვირფას, საპატიო მისართმეველ-საჩუქარს წარმოადგენდა.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქმკი. 1962.

ე. ნ.

ოყა — წონის ერთეული, უდრიდა სამ გირვანქას ანუ 1200 გრამს.

ოჩვეჩვე (სამეგ.) — ყველის სანური, გულამოღებული ხის გრძელი ჭურჭელი.

ოჩხარი — 1. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში გავრცელებული ჩვეულება — დაზარალებული



პალატიანი ოდა





პალატიანი ოდა

მეცხვარის დახმარება. დაზარალებული მეცხვარე მართავდა სადილს, რომელზედაც მოწვეული სტუმრები ასაჩუქრებდნენ, შეეწეოდნენ იმდენი ცხვრით, ვისაც რამდენი შეეძლო. 2. ხელმოკლე (ჩვეულებრივ, რაიმე უბედური შემთხვევის გამო დაზარალებული) კაცის კოლექტიური დახმარება საქონლით, მარცვლეულით, ფულით. ეს გარკვეული წესის შესრულებასთან იყო დაკავშირებული. გაჭირვებული კაცი არაყს გამოხდიდა და მეზობელ სოფელს მიაშურებდა. იქ შედარებით შეძლებულ ოჯახში გამართავდა წვეულებას. ოჯახის უფროსი მოიხმობდა თანასოფლელებს. აცნობებდა მათ, რომ მის ოჯახში იმართებოდა ოჩხარი. თავს მოიყრიდნენ გლეხები, რომელთაც შესაძლებლობა ჰქონდათ რითიმე დახმარებოდნენ გაჭირვებულს. წვეულების დროს ყოველი მათგანი დახმარებას ჰპირდებოდა, რითაც შეეძლო: ზოგი საქონლით, ზოგი ხორბლით, „ვისაც რა მოჭარბდებოდა". მეორე დღეს ოჩხარის მომწყობი თვითონ ჩამოივლიდა სოფელს და შეაგროვებდა დანაპირების მიხედვით. 3. შრომითი დახმარება გასამრჯელოს გარეშე, სამუშაოს პატრონის მიწვევით, გულუხვად გამასპინძლებით. ანალოგიური ფორმაა ნადი. 4. მეზობლების მიერ გაჭირვებული ოჯახის შრომითი დახმარება. შრომის ორგანიზაციის ანალოგიური ფორმაა: სამადლოდ დახმარება (ერნო-თიანეთი), შებრალებითი შველა (მთიულეთი), შემწეობა (გურია,) შენწოობა (სამეგრელო), სანიჭარი (მესხეთი). 5. საერთო ხარჯით გამართული ნადიმი, ლხინი, ჩვეულებრივ შემოდგომაზე, როდესაც ჭირნახულს დააბინავებდნენ. 6. მასობრივი ნადირობის შემდეგ მოწყობილი საერთო სასოფლო ლხინი (რაჭა).

ლიტ.: ზ. ბილანიშვილი, ოჩხარი, კრ. ძველი საქართველო ტ.II 1913. Геладзе Т. Формы коллективного труда в земледелии Восточной Грузии. 1987.

თ. ბ

ოჩხი – მდინარეში ქვებით მოზღუდული ადგილი თევზთა საჭერად. გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში. „ოჩხი თევზთ საბუნაგო" — საბა. წყალში ორმოს ამოთხრიდნენ, მერე ამოაშენებდნენ მრგვალ, ორპირ კედელს, ოჩხში შესული თევზი უკან ვერ გამოდიოდა და მას ხელით იჭერდნენ. ოჩხს დგამდნენ შემოდგომით, ზამთარში კი ხსნიდნენ.

ოჩხები შენდებოდა გვარების მიხედვით, მდინარის გარკვეულ ადგილებში. ზოგიერთ ოჯახს ორასამდე ოჩხი ჰქონდა ჩადგმული.

ოჩხუჟი (იმერ.) — ჭურის სარეცხი//სარცხლი. შავი ბლის კანს დაჭრიან ოთხკუთხედად, ხის ტარზე მჭიდროდ წამოაცვამენ თავსა და ბოლოში და ხის კოტებით გაამგრებენ, რომ რეცხვის დროს ქერქები ერთმანეთზე მჭიდროდ იყოს მიტყუპული და არ დაიშალოს.

გ. ბ.

ოწინარი — სიმძიმეთა ასაწევი ტექნიკური ხელსაწყო. საბას განმარტებით, „ძელი შემზადებული ადვილად დიდთა ქუათა ასაღებლად და მაღლა ოსტატისა თანა მისატანებლად". ხშირად ჭასთანაც აკეთებენ წყლის ამოსაღებად.

ე. ნ.

ოჭიორა — 1. ბავშვის ფეხის ადგმისათვის დამხმარე ხელსაწყო, არის მოძრავიცა და უძრავიც.

2. რეცხვის დროს ჭურის თავის დასაცავი მოკლე ფიცარი, რომელსაც შუაში ნახვრეტი აქვს გაკეთებული და შიგ სარცხის ტარია გაყრილი. ჭურის რეცხვისას სარცხის ტარი ნახვრეტში მოძრაობს და თიხის ჭური დაცულია უცაბედი შემთხვევისაგან.

ლიტ.: ლ. ფრუიძე, მეღვინეობა საქართველოში. 1974.

ე. ნ.

ოხარი//ვოხარი – ცილინდრის ფორმის ფსკერჩადგმული ნყლის ჭურჭელი. ფიჭვის ოხარში წყალი ცივად ინახებოდა და გემოც კარგი ჰქონდა. გამოიყენებოდა აღმ. საქართველოს მთიანეთში.

ვ. ბ.



პაიჭი//პაჭიჭი — საცვეთი. წვივის შესამოსელი. მზადდებოდა ტყავის და ქსოვილისაგან. ძირითადად მეცხვარე და მესაქონლე ხალხი ხმარობდა. ხევში პაიჭები ცხვრისა და თხის ტყავის მზადდებოდა, სვანეთში კი — ჯიხვისა და არჩვის ტყავისგან. ძველად ორი სახის პაიჭებს ხმარობდნენ. ერთ მათგანს სამუხლე პაჭიჭს უწოდებდნენ, ჩამცმელს მუხლებს ზემოთ სწვდებოდა და მას იყენებდნენ ზამთარში, მეორეს, უფრო მოკლეს, ახალგაზრდები იცვამდნენ. პაიჭებს ძირითადად ქალები ამზადებდნენ და მამაკაცის გარდა თავადაც ხმარობდნენ. ხევში ბოლო დრომდე შემორჩა ტრადიცია პატარძლის მიერ ახალი პაიჭების დამზადებისა მაზლისა და მამამთილისთვის, რასაც მონდომებით კერავდა და ამკობდა მცენარეთა სახეებით. პაიჭის შემკობაში ვლინდება ქალის ხელსაქმის ოსტატობა. პაიჭის წვივზე დასამაგრებლად ამზადებდნენ ჭრელი აბრეშუმის ზონრებს — ჩახსაკრავებს(იხ.), რომლებზედაც არცთუ იშვიათად სხვადასხვა სახის სახოტბო სიტყვები ან პატრონის სახელდება იყო ამოქარგული.

ნ.ჯ.

პალანი//ფალანი — ვირის კურტანი. შეკერილ ტილოში ჩაიყრებოდა ბზე ისე, რომ შუაში ჩაზნექილი ყოფილიყო და ტვირთი მოხერხებულად მოთავსებულიყო მასზე.

ნ. ჯ.

პალატი – შუაფეოდალურ ხანაში პალატი გაიგებოდა სასახლის, დიდი დარბაზის მნიშვნელობით, ქართულ წყაროებში არაერთგზის გვხვდება სამეფო პალატი. ეთნოგრაფიულ ყოფაში პალატი აღნიშნავს ოდა, სახლის პირველ სართულს, რომელიც აშენებულია ქვის კედლებით, პალატი წარმოადგენს მკვიდრად ნაშენ ნაგებობას, რომლის კუთხეები, ფანჯრები და კარებები ხშირად გამოყვანილია კარგად გათლილი ქვის ბლოკებით: პალატს იმერეთსა და ლეჩხუმში მეორე სართულად ადგას ოდა (იხ.).

ე. ნ.

პალდუმი//ფალდუმი — ვირის კურტნის „საძუე" ვირის ბარკლებზეა მოდებული და გავის ირგვლივ მიუყვება. ორივე წვერი დამაგრებულია პალანზე (იხ.), კუკუხოზე. გარდიგარდმო გასდევს თასმა, მისი წვერები კი გავასთანაა დამაგრებული, რომ პალდუმი ქვემოთ არ ჩავარდეს და ფეხებს არ მოედოს.

ნ. ჯ.

პალუსტაკი (თბ.) — ქორწილის მესამე დღეს სუფრაზე მიიტანდნენ პალუსტაკს — ერთგვარ ნუგბარს, რომელიც დამზადებული იყო ფქვილის, თაფლისა და კარაქისგან, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ახლად შეუღლებულნი კმაყოფილნი არიან. პალუსტაკის ქორწილზე მიტანის წესი, სავარაუდოდ, მხოლოდ თბილისური ქორწილისათვის დამახასასიათებელი რიტუალი იყო.

გ. ა.

პანაღია — 1. მცირე ხატი ღმრთისმშობლისა, რომელსაც მღვდელმთავრები მკერდზე ატარებენ ნიშნად მწყემსმთავრული ღირსებისა. არსებობს აგრეთვე პანაღიები მაცხოვრის, წმ. სამების და სხვა წმინდანთა გამოსახულებით. 2. სეფისკვერი, რომლიდანაც პროსკომედიაზე ამოკვეთილ იქნა ნაწილი ღვთისმშობლის პატივსაცემად. სადღესასწაულო დღეებში მონასტრებში ლიტურგიის შემდეგ სრულდება პანაღიის ამაღლების წესი, როცა ღვთისმშობლის სეფისკვერი ტაძრიდან მონასტრის ძმათა მიერ გადაბრძანდება სატრაპეზოში, სადაც ტრაპეზის დასრულების შემდეგ მღვდელმსახური ლოცვითა და დიდებისმეტყველებით სეფისკვერს ხატების წინ აამაღლებს, რის შემდეგაც მას ყველა იგემებს. ეს წესი ტრაპეზზე მაცხოვრისა და დედაღმრთისა დასწრების ნიშნად სრულდება.

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2005. .200-4.

ხ. ც.





ორხელა



ოქრომჭედლობის ნიმუშები

პანდარი-ტახტი (ხევი) — ხის განიერი საწოლი. პანდარი „სამყოფლოში“ (ოჯახის საცხოვრებელი ოთახი) კედლის გასწვრივ კეთდებოდა. დამახასიათებელი იყო მრავალსულიანი ოჯახისთვის. პანდარის მოცულობა ოჯახის წევრთა შემადგენლობით განისაზღვრებოდა. საოჯახო თემში მცხოვრებ თითოეულ ძმას თუ ბიძაშვილს თავისი პანდარი ჰქონდა, რომელშიც მისი ცოლშვილი იძინებდა. პანდარს ახლდა ხის სასთუმალი, რომელიც ზედ დადებული ბალიშით, დაკეცილი ნაბდით ან „კვირტისგან“ ნაქსოვი საფენით, ტახტის აუცილებელი ნაწილი იყო. საგებლად ხმარობდნენ ნაბადს, დასახურად კი „გუდანურს“ ანუ საბანტყავს. პანდარზე მხოლოდ ახლად შეუღლებული ცოლ-ქმარი არ იძინებდა. მათთვის განკუთვნილი იყო ბოსლის გვერდზე გამოყოფილი ოთახი „საწვალაი“, რომლითაც სარგებლობდნენ ერთი წლის მანძილზე.

ლიტ.: ვ. ითონიშვილი, მოხევეების საოჯახო ყოფა, 1970.

ლ. ბ.

პარაპათი — სათრეველი თევზსაჭერი ბადე ლაზეთში, რომელსაც შუა ნაწილი ტომრისებურად აქვს გამოყვანილი.

პატრონტაში//სამასრე//სასწრალო — ვაზნების სატარებელი. ძირითადად ტყავისაგან მზადდებოდა და მხარიღლივ იკიდებოდა. პატრონტაშების ისტორია კაჟიანი თოფების ეპოქაში (XVI-XVII) იწყება, სავარაუდოდ იმ პერიოდიდან, როდესაც თითო გასროლა დენთი დოზირებულად ცალ-ცალკე ჭურჭელში თავსდებოდა. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მხარიღლივ გადასაკიდებელი პატრონტაშები თანდათანობით კავკასიური კოსტიუმის, ჩოხის უცილობელ დეტალად იქცა და მკერდზე განთავსებული სამასრეების სახით მოგვევლინა. კავკასიაში, ჩოხის სამასრეებს XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც (ფისტონიანი თოფების პერიოდი) პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო შემდგომ ხანებში წმინდა დეკორატიული ხასიათი შეიძინა.



მ. ქ.

პაყვა – მოკლე ფიცარი, რომელიც ნავის მკერდების ამოყვანისას იხმარება მოკლე ადგილებში.

პერანგი — კაცთა და ქალთა შიგნი, ზედა ტანზე ჩასაცმელი თეთრეული//ზედა საცვალი.

პერანგის ტოლი – ქვედა საცვალი (იხ. ნიფხავი). ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნში (1712 წ.) მოხსენიებულია „პერანგის ტოლი ფერადი ცხრა, დარაია ბაბთისა ცხრა და შეიდიშისა ცხრა“. უძველეს ქართულ ძეგლებში ნიფხავის სინონიმ ტერმინად ნახმარია „საბარკული“, „საწმერთული“ და „წეივსაცმელი“.

ე. ნ.

პინა//პინაკი (ძვ.) — ცაცხვის ხისგან გამოხონილი ჯამისებური ჭურჭელი.“ძელის ჯამი.“ იყო დიდი//თაფხა და პატარა პინები. დიდი პინები (მთიულეთი) „ნაღების მოსაყრელად“ გამოიყენებოდა. პინაში იცოდნენ ყველის „მოყველება“ (ქართლი). იყენებდნენ საწყაოდ (ფშავი), რვა კგ მარცვალი ჩადიოდა.

პატარა პინებს კერძისათვის, კარაქისათვის, ნახევარ-ჩარექიან პინებს ღვინისა და ლუდის სასმისად გამოიყენებდნენ. გამოხოწილ პინებს მარცვალზე, ლობიოზე ჰყიდდნენ. „ერთ პინაზე ორი ჯამი მოდიოდა“.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხის ჭურჭელი. 1988.

გ. ვ.

პირბადე//პირფადი//პირსაფარი – ქორწილის დროს პატარძლის პირსახის დამფარავი ქსოვილი. ამ მიზნით გამოყენებული იყო თხელი ქსოვილის ნაჭრები, ან მზა თავსაფრები, ზოგჯერ ბადისებურად ნაქსოვიც.

ამ წესს XX საუკუნემდე საქართველოს მთიანეთის ბევრ კუთხეში მისდევდნენ. თუშეთში პატარძალი პირველად ნიშნობაში გამოჩნდებოდა, ქორწილის დროს იგი, პირჩამოფარებული, ცალკე ოთახში ელოდებოდა საქმროს მაყრებს. ეჯიბი მიჰგვრიდა ნეფეს და პატარძალი ეკლესიაში პირბადიანი მიპყავდათ. საქორწინო რიტუალის ისეთი წესებიც, როგორიც იყო დედ-მამის ოჯახთან გამოთხოვება, ახალ ოჯახში მისელა, კერის გარშემო სამჯერ შემოტარება, პირჩამოფარებულ პატარძალს უნდა შეესრულებინა. ფშავშიაც ასრულებდნენ ამ წესებს. საინგილოში არამარტო პატარძალი იყო ვალდებული, პირბადე ჰქონოდა, არამედ ნეფესაც სახე

ნაბდით უნდა ჩამოებურა და თანაც მთელი ცერემონიალის დროს უმძრახად ყოფილიყო. პირბადის ტარება XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში დროებითი აქტი იყო და მისი გამოყენება გვირგვინების ახდის წესთან ერთად მთავრდებოდა. ეს წესი გვიანფეოდალურ საქართველოშიც მოქმედებდა.

ლიტ.: გ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1993. ც. ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1974.

ც. ბ.

პიტაფიცარა – საცხოვრებელი სახლის ტიპი სამეგრელოში (იხ. გოდორა).

პოლოტიკი – რკინის ფირფიტა, რომელიც დაკრულია თავდასაცავ აბჯარზე — ჩაჩქანზე, ჯაჭვის პერანგზე ან ჯაჭვის შარვალზე, ბრძოლის დროს უკეთესი თავდაცვის მიზნით. „რკინის ფიცარი ბრძოლაში მკერდთა და ღლიათა დასაკრავი."(საბა)

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, 1991.

მ. ჯ.

პოლორჭიკი//ხარატული — ტიკის ნახვრეტში შედგმული ხის მრგვალი ნაჭერი, მასრა.



პური – ადამიანის უმნიშვნელოვანესი საკვები პროდუქტი. საქართველო ითვლება პურეული კულტურების მოშინაურების ერთ-ერთ უძველეს კერად. აღმ. საქართველოს ბარში შეიქმნა პურეული კულტურების მდიდარი ჯიშები და მასთან დაკავშირებულმა შრომის ორგანიზაციამ დახვეწილი ფორმა მიიღო, რაც ზოგადად ხელისშემწყობი გახდა იბერიის სახელმწიფოს აღმავლობისა. დასაფქვავ ხორბალს ჩვენში სულადს უწოდებდნენ, ხოლო დაფქვილს — ფქვილს. არსებობდა სხვადასხვა ხარისხისა და თვისებების ხორბალი, რომელთაგანაც ნაირ-ნაირი პური ცხვებოდა. პურის გამოსაცხობად, სადაც თონეც არის და ფურნეც, უფრო ხშირად ფურნეს ხმარობენ, თუმცა თონის პური უფრო უყვართ და საპატიოდაც ითვლება. ფურნეში ყველანაირი ჯიშის პური ცხვება. პურის მცხობელ ქალს თუ თონეში სახე ეწვის, ფურნეში გამოცხობისას, ამისგან დაზღვეულია. ამასთან ერთად, თონის პურს გამძლეობაც ნაკლები აქვს: სამი დღის მერე შრება, ფურნისა კი ერთი კვირა ძლებს. ფორმის მიხედვით პურები ცხვებოდა მრგვალი, გრძელი, ოთხკუთხედი, ადამიანისა და ცხოველის გამოსახულებით და გულიანი ნამცხვრები. დანიშნულების მიხედვით იყო რიტუალური, საოჯახო, სასტუმრო. რიტუალურს განეკუთვნება მიცვალებულის კულტთან დაკავშირებული, ღვთაებათა თაყვანსაცემად, ბუნების ძალთა აღორძინებასთან დაკავშირებით და სხვა რიგის ქადა-კვერები. პურის მრავალსახეობა დღესაც შეიძლება აღინუსხოს ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით. პურის სახეობებს სხვადასხვა ფუნქციის შესრულება ჰქონდა დაკისრებული. იგი ყოველდღიურად ჯალაბთ სანაყრი იყო, სტუმრის დაპურების ძირითადი საშუალება. სახატო, სათემო, საოჯახო, ლხინისა თუ მწუხარების სუფრის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. ცნობილია, რომ მთიელთა სანუკვარი საჭმელი ხორცეული იყო, მაგრამ პურის უპირატესი მნიშვნელობა არსებობისთვის ხევსურულ ხმითნატირალის ერთ-ერთ ნიმუშში კარგად ჩანს:

„ქალო! რომელი გირჩევ ქმარიო,
ქისტაური თუ ჩარგალელიო.
ქისტაურ პურსა არ მოგაკლებსო —
ნადირის ხორცსა ჩარგალელიო.
ქალმა ქისტაურ დაირჩიეაო
ხორცი რად მინდა უპუროდაო".

მთაში უპურობა არცთუ იშვიათი მოვლენა იყო. ამიტომ პურისათვის სხვაგან გასვლა მიღებული წესი იყო. მაგ., მოხევეთათვის პურეულის მომარაგების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა რაიონში სამუშაოდ წასვლა, რასაც მოხევეები „ქოითკე პურობ სიარულს" ეძახდნენ. სახნავი მიწის ნაკლებობა და უმოსავლო წლები აიძულებდა ხევსურს (განსაკუთრებით არხოტის თემის სოფლებში), რომ პურის მარცვალში სხვადასხვა თესლი შეერია. სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში განსაკუთრებით იყო გამოკვეთილი სქესის, ასაკისა და სამუშაოს ხასიათის მიხედვით დიფერენცირებული პური და პურის ნამცხვარი. საინტერესოა, რომ გამომცხვარი პური საქართველოს ზოგიერთ სოფელში

სამოხელეო გადასახადში შედიოდა. პურისათვის ერთი სახის ხორბლის ფქვილი გამოიყენებოდა ან ნარევი. ძველ საქართველოში „გლეხნი ხმარობდნენ ოდესმე ქერჭრელ პურსა, ე.ი. ხორბალსა და ქერსა ერთად დაფქვიან და გამოაცხობენ" (კალმასობა). „წმინდის" პური დელიკატესს წარმოადგენდა და მხოლოდ განსაკუთრებულ დღეებში მოიხმარდნენ სუფრაზე. ქართველები როგორც მიწათმოქმედებასთან მჭიდროდ დაკავშირებული ხალხი, პურის ერთ-ერთი პირველი მომხმარებლები არიან მთელს მსოფლიოში. პურისადმი დამოკიდებულება ჩვენში ყოველთვის სარიტუალო რანგში იყო აყვანილი. მას მოწიწებით ეპყრობოდნენ და უფრთხილდებოდნენ. სუფრაზე პირველად ღვინო და პური მიპქონდათ, რომელსაც კი არ ჭრიდნენ, არამედ ხელით ტეხავდნენ, ხოლო თუ ძირს დაუვარდებოდათ, აიღებდნენ და აკოცებდნენ. პურის ცხობა ტრადიციულად საოჯახო რიტუალს წარმოადგენდა, ხოლო თონე წმინდა ადგილად იყო მიჩნეული. სწამდათ, რომ პურის ცხობისას მიცვალებულთა სულებიც იქვე ტრიალებდნენ, ამიტომ ცომის ზელისას და თონის კურთხევისას მათ აუცილებლად ახსენებდნენ. გამომცხვარ პურებს აგრილებდნენ ხის ვარცლში და შემდეგ ინახავდნენ ხისავე კიდობნებში, რომელთა ხარატული ორნამენტიკა ერთ-ერთი საუკეთესოა ხალხურ ხელოვნებაში. საქართველოში პურის რამდენიმე ათეული სახეობაა დადასტურებული, რომელთა ცხობის ტექნოლოგიასა და ფორმებში მკვეთრადაა გამოხატული ამ უპირველესი საკვები პროდუქტის წარმოების უხვი ემპირია და დიდი კულტურა.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ქართული თორნე, მსე II, 1951. ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, 1969.

ნ. ჯ.

ე. ნ.

პური სატაბლო (ხევს.) – თხელი პურები, რომლებსაც ხატის მიწების მოხვნის დასრულებისას სათითაოდ გაამწკრივებდნენ ფიცრებზე, ზედ მოხარშულ ხორცს დადებდნენ და ჩამოურიგებდნენ მემუშაკეთ.

ე. ნ.

პურის ოთახი (აღმ. საქ.) — სოფლად, გლეხის საცხოვრებელი სახლის ერთ ნაწილს წარმოადგენდა „პურის ოთახი", რომელიც დარბაზის გვერდით იყო. „პურის ოთახი" მოწყობილი იყო საცხობლით, სადაც კეცები ელაგა, აქვე იყო ვარცლი, თაბახი, ხონჩები, საცრები, ცხრილები, ცხავი და სხვ. აქვე იდგა ფქვილის დიდი ამბარი და პურის შესანახი განჯინები.

ე. ნ.

პური ქართული — ქართული პურის სახეობანია: მურასა, საგარეჯო, პირგაჭრილი, კაკალა, შოთის პური, დედოს // დედას პური. ეროვნებათა შორის ერთ განმასხვავებელ ნიშნად უნდა ჩაითვალოს პურის განსაკუთრებული ფორმა და მისი გამოცხობის თავისებურებანი. ქართული პურის სახეობანი ძირითადად თორნე // თონეში (იხ.) ცხვებოდა. ქართული პური გრძელი და ოვალური ფორმისაა, ზოგიერთი ხმლისებური მოყვანილობისაა (მაგ. „საგარეჯო"). სოფლებში პატარა თონეებს ხმარობდნენ, ქალაქებში — დიდს. ქართული პურის მცხობელი მარჯვენა ხელის გულზე დაიდებს ახალი მთვარისებურად აჭრილ პატარა გაბრტყელებულ გუნდას, მარცხენათი თონის პირს მიეჭიდება, გადაეკიდება გავარვარებულ თონეში და გახურებულ თონის პირს ტყაპუნით ამოაკრავს ცომს. ამნაირად რომ შეავსებს თონის კედლებს, მერე მის ზედაპირს ხის თავსახურს გადააფარებს და 15-20 წთ შემდეგ თონიდან ასტამ-საფხეკით ცხელ-ცხელ ლავაშებს ამოყრის. თხელ; ქართული პური კარგად გამოშუშებულია, საჭმელად სასიამოვნო, გემრიელი და დიდხანს ინარჩუნებს სირბილეს. ქართული პურის სახეობანი ერთმანეთისაგან მცირედი ნიუანსებით განსხვავდება, ზოგადად კი ერთ — ერთი ტიპის ნამცხვარს მიეკუთვნება და თავისი გამორჩეული ფორმით დღემდე ინარჩუნებს ამ სახელწოდებას.

ლიტ.: ი. ბალახაშვილი, ძველი თბილისი, 1951.

ე. ნ.

პურის ცხობა – ხაშიანი ცომის გაფუებას 2-3 საათი მაინც უნდა, რასაც გებულობენ ხელის დაჭერით. რაც უფრო ახალია ფქვილი, მით უფრო „მარდად ფუვდება". საპურე ცომი ღუმელ-ფურნეში და კეცში რომ „შასხან", ჩვილი უნდა იყოს და კარგად გაღვივებული. თონეში ჩასაკრავი კი მაგრად მოზელილი და არც ძალიან გაღვივებული. ფურნისაგან განსხვავებით, თონე „აზიზია" და თუ რომელიმე პირობა კარგად არ არის დაცული პური ჩავარდება. ერთ საპურე ცომს „საფხეკელათი" მოჭრიან, ვარცლში მოაგუნდავებენ კვერებად. იმის მიხედვით, თუ რომელ საცხობში აცხობენ, მისცემენ სასურველ ფორმას.

თონეში პურს ხელით ჩაკრავენ, ლავაშს კი — „ლაქათით" (ნიჩაბი). ვარცლი უსათუოდ თონის მარჯვნივ

უნდა დაიდგას, რომ ცომი მარჯვენა ხელით მარჯვნივ „შემაირტყას" თონეში. მარცხენას, თუ საჭირო იქნა, შეაშველებენ, ისე კი, კარგ მცხობელს მარცხენის მიშველიება არც სჭირდება. პურები ოთხ ნრედ ჩაიკვრება (დიდ თონეში — 6 ნრე), თითო ნრეში ჩვეულებრივ 4-5 პურია, როცა თონე ძალიან ცხელია, „თახად" ჩაყრა იცის. ჩავარდნილი პურის ძირს სველ ხელს გაუსვამენ და კვლავ მიაკრავენ. გამომცხვარი პურის „მოხდას" ძირიდან იწყებენ და თანდათანობით ზევით აპყვებიან. თონის კედლიდან პურს ასტამის ბრტყელი ბოლოთი ააცლიან, „კინჭოტს" (ასტამის წვეტიანი ბოლო) პურის ზედა ნაწილში გაურჭობენ და ფიცარზე ერთმანეთის გვერდზე დაანყობენ.

ნ. ჯ.

პნკალი (კახ.) — ნნელის ტკეჩი, რომლითაც წნავენ კალათს. შინდის, თხილისა და მისთანათა შტოებს სიგრძივ ხლეჩენ შუაზე და ამ ნახევარს პნკალს უწოდებენ.

ლიტ.: ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1973.







ᲘᲐᲠᲘᲜᲐᲕᲔᲚᲘᲡᲐ





საოქრომჭედლო იარაღები და ოქრომჭედლობის ტიპური ნიმუშები საქართველოში

ჟაკანი — მსხვილი ტყვია, რომელსაც იყენებდნენ გარეულ, მსხვილფეხა ნადირზე სანადიროდ.

ჟამის სანირი//ღამის სამთელო (ხევს.) — სარიტუალო შესანირავი პურები — სამი დიდი ხავიწიანი ქადა — ერთმანეთზე დაწყობილი და მათზე დადებული 9 უბრალო თხელი პური. ღამის სამთელოს დასტურები მოიტანენ, დააწყობენ ტაბლაზე და დალოცავს ხევისბერი.

ჟანგარო — შავი საღებავი, შემზადებული თავშავა ბალახის, რკინის ნიდისა და ჟანგიანი რკინების ნაყენით. საღებავ — ჟანგაროს სხვადასხვა ვარიანტში კაკლის, ბროწეულის ან თრიმლის ფოთოლიც გამოუყენებიათ. ჟანგაროს რეცეპტის ყველა ვარიანტის უცვლელ კომპონენტს თავშავა განეკუთვნება.

ჟანგაროთი ღებვა ხანგრძლივი პროცესი იყო (ათი, დღე, ორი კვირა), ღებვა წარმოებდა ქვევრებში დაყენებული საღებავით, ღებვის ციკლი წესითა და ჰაერზე გაქარვის საშუალებით მიღებული შავი გამოირჩეოდა ფერის ხარისხითა და მდგრადობით.

ჟანგარო შავი საღებავის სახელით მხოლოდ ქიზიყშია ცნობილი.

ლიტ.: ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943. ლ. მოლოდინი, ხალხური ღებვის წესები ქიზიყში, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. I, 2000.

ლ. მ.

ჟაფარაი (ინგ.)//**ჯაფა** (კახ.) — ტყავის მოსაქნელი, ჭონის იარაღი, რკინის, ოთხკუთხი მოყვანილობისა. ერთი პირი ნამგალივით მოხრილია შიდა მხარეს, პირში გამოატარებდნენ ბატკნის ტყავს და ხახუნით მოქნიან.

ნ. ჯ.

ჟიბჟიბია (დას. საქ.) — მარილიანი სარიტუალო პური. ცხვებოდა შავ ორშაბათს მარხვის დაწყებისას, მითოსური გმირის „ჟიბჟიბიას" სახელზე.

ჟიპიტაური — შინნახადი მდარე არაყი. ჟიპიტაურის გამოხდას ანარმოებდნენ ძირითადად მთიელები, მათ შორის საქართველოს მთაში მცხოვრები ოსები.

ჟირი//ჯირი//ბჟირი (მეგრ.)— გარეული ცხოველის (ირემი, შველი) ტყავი ორფად.

რანგი (იმერ.) — ერთგვარი სასმელი. ერთ წილ თაფლს გაურევდნენ 8-9 წილ წყალში, ადუღებას დააცდიდნენ და ღებულობდნენ მაჭარივით ტკბილ სასმელს. გარეცელებული იყო სვანეთშიც. გამოჩენილი მეცნიერის ჰუბერის აზრით, ჰუნები თაფლის სასმელს კავკასიის მეშვეობით გაეცნენ.

ლიტ.: ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, 1960.

ე. ნ.

რანდა — სადურგლო, გრძელი შალაშინი, ფიცრის კიდეების სისწორეში მოსაყვანი.

რანტა (ოქრომჭ.) — ფოლადის ხისტარიანი იარაღი, იხმარება დაქლიბული ნივთების გასანმენდად, დასახვენად, ნაქლიბების ზოლები რომ წაშალოს და გააპრიალოს.

მ. ბ.

რაფა — სარკმელთან მიმაგრებული გრძელი ფიცარი, რომელსაც პატარა ნივთების დასადებადაც გამოიყენებდნენ.

რაფათა — თონეზე პურის მისაკრავი ბალიში. მეპურე ხელით გაბრტყელებულ პურის ცომს რაფათაზე დადებს, ერთს კიდევ მიასწორ-მოასწორებს, მერე თავით თონეში გადაეკიდება, რაფათიან ცომს გაიქნევს და პურის გუნდას ოსტატურად მიატყეპებს გახურებული თონის ზედაპირს. თბილისში მყოფმა რუსეთის იმპერატორმა გახურებულ თონეში მთელი ტანით გადაყუდებული რაჭველი მეპურე რომ ნახა და ეს ჯოჯოხეთური სიცხე იგრძნო, რაც მის თავს ტრიალებდა, მეპურეებს გადასახადი შეუმცირა.

ე. ნ.

რიგით მენახირეობა — სოფლის ან უბნის საქონლის სანაცვლოდ მწყემსვა. თითოეული კომლი რიგრიგობით ეწეოდა მწყემსობას. დღეების რაოდენობას განსაზღვრავდა საქონლის რაოდენობა. შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა ძირითადად გავრცელებული იყო საქართველოს მთიანეთის იმ რაიონებში, სადაც მესაქონლეობა შინაალპური ფორმისა იყო, ე.ი. საზაფხულო საძოვრები მოსახლეობის მუდმივ დასახლებას არცთუ ისე შორი მანძილით იყო დაშორებული და ამის გამო ზაფხულობით დასახლებიდან საქონლის გარეკვას არ მოითხოვდა (ლებაისკარი, შატილი, უშგული და სხვა). მწყემსობის ეს ფორმა შედარებით იშვიათად გვხვდება ბარის სოფლებშიც, სადაც საქონლის მოვლა-პატრონობა უშუალოდ ძირითად სამეურნეო ბაზრებზე — სოფლისა და სოფლისპირა საძოვრებსა და გასადევარზე ხდებოდა. შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებით იყო ცნობილი: ძროხაჯერი, ქირით მენახირეობა, რიგით მწყემსობა, რიგ-რიგა, გაჯერება, ხარავანი.

ლიტ.: ე. შამილაძე, მესაქონლეობა სამეგრელოში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა, II, 1974.

თ. გ.

რიგის პური (თბ.) — დიდი ნადიმი. რუსეთის მმართველობის შემოსვლამდე თბილისში წესად ყოფილა რიგის პურობა, ანუ ნაცნობ-მეგობრებისთვის მორიგეობით სუფრის გამართვა, სამ თვეში ერთხელ თუ მოუწევდა თითოს. გართობისა და ერთმანეთთან დაახლოების საუკეთესო წესი იყო.

რიკთოფა (რაჭა) — ქვის სასროლი საშუალება, წარმოადგენს ბოლოში გაპობილ ხელჯოხს, რომელსაც ქვის ჩასადები ადგილი ჰქონდა ისე, რომ ქვას იჭერდა ოდნავ გამოშვერილი კბილებით. ასეთ ხელჯოხში ქვას ხელით დებდნენ, მკვეთრი ბრუნვითი მოძრაობის დროს ჯოხს უცბად გამოჰკრავდნენ უკან და კბილებიდან გასხლეტილ ქვას მსროლელი სასურველი მიმართულებით გაისროდა.

ლიტ.: ა. გიორგობიანი, სტ. ქვის კულტი და ქვის საბრძოლო იარაღები, გაზ. „რაეო", 1997.

მ. კ.



საოქროვჭედლო სახელოსნო



პაჭიჭი

რიკტაფა (რაჭა) — ქვის სასროლი საშუალება. ძალიან ჩამოჰგავს რიკთოფას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ქვა ჯოხში მყარად იყო ღეელეჭით ჩაჭედილი და მსროლელი ხშირად ჯოხსა და ქვას ერთად ისროდა.

ლიტ.: ა. გიორგობიანი, ქვის კულტი და ქვის საბრძოლო იარაღები, გაზ. „რაეო", 1997.

მ. ქ

რიკული — დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ოდა სახლის აივნების მოაჯირის ხარატული დეტალი. რიკულებიანი სახლის საუკეთესო ნიმუშები შექმნეს ლაზმა, იმერელმა, მეგრელმა, რაჭველმა და გურულმა ხის ხელოსნებმა. ქართულ ხალხურ ხის არქიტექტურაში რიკულმა მიიღო ესთეტიკური სამშვენისის უაღრესად ქართული ფორმა. რიკული ფართოდ დამკვიდრდა ქალაქის არქიტექტურაში.

ე. ნ.

რიჯა (ოქრომჭ.) — გამდნარი ლითონის გასაციებელი ჭურჭელი.

რკინის კოვზი – (აქ.) ბურით (იხ.) გახვრეტილი ქვის მტვერის ამოსაღები ტარიანი, პირშემოკეცილი ნივთი, რომელიც საგანგებოდ ამ სამუშაოსთვის არის გამოჭედილი.

ე.ნ.

რკინის სოლი — ქვის საპობი იარაღი. ცნობილია სამგვარი სახის: ბრტყელძირა სოლი ფიცხი და მაგარი ქვის საპობად 2) წაკვეთილპირიანი ბრტყელი სოლი რბილი ქვის საპობად 3) მრგვალი და წვერიანი სოლი.

ლიტ.: ს.ბედუკაძე, ქვის დასამუშავებელი იარაღები და საშუალებანი, სსმმ, XXII-B. 1961.

რკინა წედისის – რკინის ადგილობრივი სახეობა რაჭაში, სოფელი წედისის (ზემო რაჭა) მიხედვით, აქაური რკინა გამოირჩევა განსაკუთრებული ღირსებით, მაღალი ხარისხით. მისგან დამზადებული ნანარმი („ხელადი") დაფოლადებას არ საჭიროებდა. ამასთან, სოფელი წედისი იმდენად ინტენსიურად ადნობდა რკინას, რომ ამარაგებდა სხვა რეგიონებსაც (ქართლი, იმერეთი, ზოგჯერ ჩრდილო კავკასიაშიც გადადიოდა).

წედისური რკინის გამოდნობა ძველი ტრადიციების მატარებელი იყო, რომელმაც XX საუკუნის შუა ხანებამდე მოაღწია.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1953.

ა. გ.

რობაგი — ჭილოფის საქსოვი ვერტიკალური დაზგა, გავრცელებული იყო სამეგრელოში. ჩვეულებრივი ოთხკუთხა ვერტიკალური ჩარჩო, აღჭურვილი იყო ქსლის გამყოფი — „ორცხონდით" — სავარცხლით. ქსელის ძაფები დაჭიმული იყო დაზგის ქვედა ხიდზე ჩასმულ კაუჭებზე, ქსელიც ზედვე უწყვეტად იქსელებოდა. საზედაო ძაფის გატარება ქსელში უშუალოდ ხელით ხდებოდა. რობაგზე ჭილოფის ქსელისათვის გამოყენებული იყო სელის ნართი, რაც კოლხური სელის წარმოების უძველესი ტრადიციიდან უნდა მომდინარეობდეს. ამავე დროს ივარაუდება, რომ რობაგი ვერტიკალური საქსოვის უძველესი სახეობაა და მისი წარმოშობა-განვითარება ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის პარალელურად ხდებოდა.

არქეოლოგიური მასალის მონაცემები (სელი, ქვისა და თიხის კვირისტავები, საქსოვი დაზგის შვეულები, ქოთნის ძირზე შემოხვეული ჭილოფის ანაბეჭდი) საქართველოში ჭილოფის ქსოვის უძველესი დროიდან არსებობაზე მეტყველებს.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, სსმმ, XVIII-B. 1954.

ლ.მ.

როგო (იმერ.) — ჭურის დასაფარებელი მრგვალად გათლილი ქვა. ერთგვარი ბადიმი.

როდინი — ხის ამოხარატებული ჭურჭელი შესანელებელთა დასანაყად. მისი სახეობებია ქვიჯა, ფილთაქვა. როდინში სანელებლები ინაყება ხის ან ქვის სანაყით.

ე.ნ.



როვროვი (ოქრომჭ.) — ფოლადის მორკალულწვერიანი იარაღი, რომლის შემწეობით ვერცხლის ნაკეთობაზე ამოჰყავთ სხვადასხვა სახეები.

მ.ბ.

როფი — ხეში ან ქვის მასივში ამოჭრილი ორმო, სადაც ასხია წყალი საქონლისა და ფრინველთა დასარწყულებლად.

რუბი — მარცვლეულის საწყაო ჭურჭელი. უდრიდა კოდის მეოთხედს.

ლიტ.: ქელ. 2009.

რუმბი — ტყავის მოკუპრული ჭურჭელი. 25-30 ფუთი ტევადობისა, საუკეთესო რუმბები მზადდებოდა ასაკოვანი ხარის ტყავისაგან. რუმბები გამოიყენებოდა ღვინის გადასატანად და ამ თვალსაზრისით ერთობ მოხერხებული ჭურჭელი იყო, თუმცა, შორ მანძილზე გადატანისას ღვინო „ილახებოდა" და ამავე დროს, კუპრის სუნსაც ღებულობდა. რუმბი, კოლოტის (იხ.) მსგავსად, ტყავის მოკუპრულ ჭურჭელთა რიგს განეკუთვნება.



ე. ნ.

რუხი//ხათქაში (რაჭ.)//**კანარა** (ქართ.კახ.) — დასამუშავებელი ფიცრის სისწორის მოსაზომი, რომელსაც გვერდი ისე აქვს მოთლილი, რომ ფიცარს ნაპირიდან მიუყენო და წამოსდო, რუხს ლურსმანი აქვს დარჭობილი, როდესაც უნდათ ფიცარზე ნაპირის გამყოლი სწორი ხაზი გაავლონ, რუხს მოსდებენ ფიცრის ნაპირზე და სიგრძლივ ამოძრავებენ. რუხი ფიცარს გახაზავს.

ბ. ბ

რქა — რქის ნივთების გამოყენებას ადამიანმა ცივილიზაციის გარიჟრაჟზე მიჰყო ხელი. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში უხვადაა დადასტურებული ამ მასალისაგან გაკეთებული ნივთები. ეთნოგრაფიულ ყოფაში რქას ფართო გამოყენება ჰქონდა. მისგან ამზადებდნენ სხვადსხვა საოჯახო და საყოფაცხოვრებო ნივთებს (საპირისწამლე, ხმლის, ხანჯლის დანის ტარები, კოვზები, ყანნები, კოტოშები, ყალიონები და ა. შ.).

ე.ნ.



საბაკნიაი (ხევ.) //**საჯამე** (ფშ.) — ოვალური კალათა, ჯამ-კოვზთა შესანახი. იქსოვებოდა ყაპყატოსაგან. ყაპყატო ფშავ-ხევსურეთში ეწოდება ხის ქერქს. „ვერ ნახავ ერთ მძივს, ან ღილსა, ეთერის ლერწამ ტანზედა; მხოლოდ ყაპყატოს კალათა გადაუგდია მკლავზედა“ (ვაჟა).



საბანი — 1. ლოგინის ნაწილი, მკვრივი ქსოვილი ან ნაჭერში გამოკერილ-დალიანდაგებული ბამბა ან მატყლი. საბნის წინპირს გამოკრული აქვთ აბრეშუმის ან ატლასის ნაჭერი. ხევსურებთან დადასტურებულია ხალიჩურად ნაქსოვი, მაღალხაოიანი საბნები. 2. ნაბდის საყელოების შესაკრავი თასმა (სამეგრ.)

ლიტ.: ქელ, 2009.

საბარკულა//ბარკულა — თუში ქალისა და კაცის ქვედა საცვალი. მასალად გამოიყენებოდა ბამბის ან აბრეშუმის ქსოვილები. ამ ტიპის ქვედა საცვალს კაცისას თუშეთში „შარვალსაც“ უწოდებდნენ, მისი ნაწილებია: „სათაურა“, „ტოტები“, „ადლი“. ტოტები ორტოლად ჩაშვებულ ნაწილებს ერქვა, ადლი კი სამკუთხედის ფორმის ორმაგი ნაჭერი იყო. ტოტების შეერთების ადგილას უბეშედგმულია. სათაურად გადაკეცილ ნაწილში გაყრილი იყო შალის ძაფებით მოქსოვილი ზონარი — „ხონჯარი“, რომელიც წინ ან გვერდზე შეიკვროდა. 2. აბჯრის შემადგენელი ნაწილი, რომელიც რკინისაგან იყო დამზადებული და მეომრის ფეხის ზედა ნაწილის (ბარკალი) დაცვას ისახავდა მიზნად. თ. ბაგრატიონის ცნობით- მას ვერც ხმალი და გინა ისარი ვერას აკლებდა.

ლიტ.: გ. ბოჭორიძე თუშეთი, 1993. ც. ბეზარაშვილი, თუში ქალის ტალავარი, კრ. თუშეთის ეთნოგრაფიული შესნავლისათვის, 1967.

ც.ბ.

საბარცხელი — აქ. სამეთუნეო ხელსაწყო, იხმარება ჭურჭლის კეთებისას შიგა მუცლის გამოსაწევად, ხოლო გარეთ—ასაჭრელებლად.

საბელი — 1. თოკ-ბაწრის ნაირსახეობათა ზოგადი სახელია. საბელი მზადდება თივისაგან, ხის ხრალთაგან, ხვასტაგთ წელების, ღაზლის, ტყავისა და ა.შ. 2. მინის საზომი ერთეული ძველად. „ოქროს საბლით მოზომილო, შენ პატარ გორის ციხე“. (გ. ლეონიძე)

ნ. ჯ.

საბერველი — სამჭედლოს ინვენტარი, დაკეცილი ტყავის გვერდების მქონე მონყობილობა, რითაც ცეცხლს უბერავენ გასაღვივებლად. ყოფაში დამოწმებულია საბერველი ორი ტიპი — ქართული და რუსული (რომელიც XIX ს-დან შემოდის).

ქართული საბერველი ორპირია, აქვს ორი სახელური და ორი საქშინავი, საიდანაც განუწყვეტლივ ხდება ჰაერის მიწოდება და ჩაბერვის ძლიერებით ხასიათდება. საბერველთან საჭიროა ერთი კაცის დგომა, მან ორივე ხელით უნდა იმუშაოს, რადგან დაბერვა ერთი განსაზღვრული ადგილიდან ხორციელდება. რუსული საბერველი ბერვას წყვეტილად ანარმოებს. მისი უპირატესობა ისაა, რომ ქურასთან მდგარ მჭედელს შეუძლია სხვის დაუხმარებლად ცალი ხელით ქურასთან იმუშაოს, მეორე ხელით საბერველი აამოქმედოს.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1953. ნ. რეხვიაშვილი, ქართული ხალხური მეტალურგია, 1964.

ა. ბ.

საბერკაცო ქუდი — შავი ცხვრის ტყავის გრძელბენეიანი ბუხრის ქუდი, რომელსაც მოხუცები იხურავდნენ. ასეთივე ქუდი იკერებოდა თეთრი ცხვრის ბენეისაგანაც და მას ახალგაზრდები ატარებდნენ.

საბეჭავი//სავარცხელი — მასიური, მრგვალი ან ოვალურთავიანი ხელსაწყო, რომელსაც აქვს

სავარცხლის მოყვანილობა და კბილები, რომლის მეშვეობითაც საქსელზე ხდება ნაქსოვი ძაფის ერთმანეთზე მიბეჭვა-მიმტკიცება. ყოველი ნაქსოვი ხაზის გავლების შემდეგ საბეჭავი ერთ მთლიანობაში აქსოვს ქსოვილს.

საბეჭური (ძვ.) — ბეჭებზე მოსასხამი, სამხრე, ლევიტონი. 2. კაცის პერანგის მოქარგული უკანა ნაწილი ხევსურეთში. 3. ტანსაცმლის სარჩული ბეჭებთან (იმერ.)

საბლუჯი – ხევსურული ფარის დეტალი, რომელიც დამაგრებულია ფარის უკანა მხარეს, ძირითადად წარმოადგენს დაწნული ტყავის თასმას, რომელიც გამოსკვნილია ოთხ რგოლზე (იხ. ფარი).

ბ. ჯ.

საბძელი — საქონლის საკვების შესანახი ნაგებობა. სამეურნეო კომპლექსის ერთ-ერთი აუცილებელი შენობა, ხისა ან ფიცრისა. გამოირჩეოდა დიდი ტევადობით. საბძელში ინახავდნენ მესაქონლეობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამეურნეო იარაღსაც.



გ.გ.

საგანძური — ქვითხუროობაში ქვის განსაკუთრებულად დიდი ნივთი, რომელიც განძად დარჩება ოჯახსა და საგვარეულოს. იმერეთში დადასტურებული ეს სახელი ეწოდება ქვის საწნახელს. როგორც ცნობილია, ქვის საწნახელები, საქართველოში მრავალგანაა დადასტურებული. საგანძური ქვის დამუშავების ცენტრებში გვხვდება და წარმოადგენს ორიდან ოთხ მეტრამდე სიგრძის მთლიანი ქვის ნივთს. საგანძურ-საწნახლისთვის შეარჩევენ უძარღვო, უტალო, დედა ქვას. ასეთი ქვა იშვიათია და ამიტომაც ძნელად მოიპოვება. თუ გადააწყდებიან შემთხვევით, სხვა ნივთისათვის „აღარ გააფუჭებენ" და იწყებენ მისგან საგანძურის გათლას. თერჯოლის რ-ნის სოფელ სეფარეთში ასეთი საგანძური გაუკეთებია საბა ბერძულს, რომელშიც ერთჯერად 200 ფუთი ყურძენი იწურებოდა. საწნახელი კეთდებოდა 2-3 თვის განმავლობაში. შემდეგ 12-15 უღელი ხარით ლაშკინით//თუშით//მარხილით რამდენიმე დღის განმავლობაში ეზიდებოდნენ დანიშნულების ადგილზე რომ მიეტანათ. საგანძურის გაკეთება მნიშვნელოვნი იყო და მის ტრანსპორტირებაში მთელი სოფელი იღებდა მონაწილეობას. თერჯოლის რ-ნის სოფ. თავასაში აღმოჩნდა გვიან შუა საუკუნეებში დამზადებული ქვის საწნახელი ისარნით, რომელიც ამ სამეურნეო საგნის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

ლიტ.: ნადირაძე ე. ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. ნ.

საგდებელი — ქამანდი, მოსაშვეტად მოწყობილი ცხენის საბელი, გრძელი თოკი, რომლის ერთ ბოლოს შორს ისვრიან საქონლის შესაპყრობად ან რისამე დასაჭერად „ან, ვინცა ვიცით უკეთუ შეტყორცნა საგდებელისა" (ვეფხისტყ.).

საგოზელა//კვეჟო — ჭურისთავზე აყალო მიწის დასაგლესი პატარა ურო. ზოგჯერ ერთ ხეშია გამოთლილი, ზოგჯერ კი გახვრეტილ პატარა მორში გაყრილია ხის ტარი. ასეთ შედგენილ საგოზელას შესაძლოა ორივე თავში სიმაგრისთვის რკინის სალტეები ჰქონდეს შემოსალტული.

ე. ნ.

საგულე — (აქ:) მოხევე ქალის კაბა. მასალად გამოიყენებოდა ღია და მუქი ფერის ფარჩა და ქიშმირი. საგულე, თარგით ახალოხისებურია, გრძელი და უსაყელო, წელზე მომდგარი და ნინ მთლიანად ჩახსნილი. ზედატანი ტანზე მორგებული და ქვედატანი რამდენიმე კალთისაგან („ფარდა") შემდგარი. ხევში ორგვარი ტიპის საგულეები იყო გავრცელებული. მოხუცები ატარებდნენ ძველებურ კუჭნაოჭიან და შეხსნილი სახელოებით შედგენილ საგულეებს, ხოლო ახალგაზრდები ნაკეცებიან და ჩვეულებრივ სახელოებით შეკერილ საგულეებს. კუჭნაოჭიან საგულეებს ნაოჭი მარტო უკანა მხარეზე უკეთდებოდა. საგულის ჩახსნილი ნაპირები ერთმანეთს მხოლოდ უახლოვდებოდა. საგულეზე ატარებდნენ სხვადასხვა ზომისა

ჩოდნი



საგანძური (ქვის საწნახელი)

და ფორმის სარტყელებს, ამათგან დიდი მონონებით სარგებლობდა, „ჩაფრასტანი“, რომელიც ოქროში დაფერილი დაფანჯრული ვერცხლის ორი ნაწილისა და ქსოვილის ბრტყელი ზოლის შეერთებით მიიღებოდა. დიდი ყურადღება ექცეოდა საგარეო საგულის მორთვას. ნაპირებს რთავდნენ სირმის, ბუზმენტის ან ხავერდის ზოლებით, ხან ოქრომკედის ძაფით, რომლის გულისპირზე ჩამოყოლებულ გრეხილს „ბალთა“ ერქვა. სახელწოდება „საგულე“ მოხსენიებულია ქსნის ერისთავის ასულის ანას (1692-1703წ.) მზითვის წიგნში, ხოლო ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნში (1712წ.) „კაბა-საგულე“-ა ნახსენები.

ც. ბ.

სადავე — ტყავი, „ცხენის აღვირის საპყრობი თასმები“ (თ. ბაგრ. იხ აღვირი).

ნ.ჯ.

სადაფი//ღინჭილა — მოლუსკთა და ზღვის სხვა ცხოველთა კალციუმიანი ნიჟარა. გამოირჩევა ფერთა თამაშით, ელვარებით, ტალღოვანი გადასვლებით. სადაფის ან მისი შემკულობით ამზადებდნენ ამულეტებს, მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ღილებს, ყუთებს, სათუთუნეებს, საბრძოლო იარაღის ტარებს და ა.შ.

ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ე. ნ.

სადგისი — ტყავის სახვრეტი, ხისტარიანი და რკინისწვერიანი ხელსაწყო.

სადიაცო — ხევსური ქალის კაბა. მზადდებოდა ადგილობრივი შალისაგან. აქვს უბე-კალთა და ზურგნი. გვერდებში აზლოტები. კაბის სიგრძეს კოჭებამდე აგრძელებს ქოქომონი. სადიაცოს გულისპირი მარცხნივაა ჩაჭრილი, მარჯვნივ დარჩენილ ნაწილს „ფარაგა“ ეწოდება და იკერება ღილ-შატით. საკინძის ჩაყოლებაზე ნაქარგს „ზიკი“ და „სამწყვეტლო“ ჰქვია. მათ გარშემო შემოუყვება ზოლებად ნაქსოვი ჭრელა. სადიაცოს დიდი ნაწილი მოქარგულია შალის ფერადი ძაფებით და დაკრული აქვს ვერცხლის სამკაული. სადიაცო ხევსური ქალის „სანამუსო“ სამოსი იყო და შვილის გაჩენამდე გულისპირი გაუხსნელი უნდა ყოფილიყო. გლოვის დროს სადიაცო უკულმა ეცვათ, რათა სამხიარულო ჭრელები დაეფარათ.

ლიტ.: ლ ბოჭორიშვილი, ხევსურული ტალავარი, მსე, ტ VII 1956.

ც. ბ.

სადღვეგელი— კარაქის დასამზადებელი ჭურჭელი. ამზადებდნენ სხვადასხვა მასალისაგან (ხე, თიხა, ტყავი, ლითონი). თავდაპირველად ტყავისა უნდა ყოფილიყო და რძის ჭურჭლად უნდა ეხმარათ. შემდეგ, როცა ამ ჭურჭლით მომთაბარეობისას (საცხოვრებლად ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლისას) რძე გადაპქონდათ და იგი შემთხვევით კარაქად შეიდღვიბა, უკვე სადღვებელად გამოიყენეს. ტყავის ჭურჭელს — გუდას (ოთხში ამოღებული ცხვრის, თხის, ხბოს ტყავისაგან დამზადებული პარკი) რძის ნანარმის დასამზადებლად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ხმარობდნენ. თუშეთში გემრიელ და სახელგანთქმულ ყველს დღესაც გუდაში ამზადებენ და მას „გუდის ყველი“ ჰქვია. ტყავის სადღვებელი გვიანობამდე მხოლოდ მომთაბარე მესაქონლეებს შემორჩათ, მიწათმოქმედნი კი ძირითადად ხის, თიხის ან ლითონის სადღვებელს იყენებდნენ.



თიხის სადღვებლის რამდენიმე სახეობაა ცნობილი: ქართლური სადღვებელი ექვსყურიანია, ქიზიყური ორყურიანი, დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია ერთყურიანი სადღვებელი. დასტურდება სამ და ოთხყურიანი სადღვებლებიც. სადღვებლის გამოყენების ორი ვარიანტი არსებობდა — ჩამოსაკიდებელი და სადგარზე ან ბალიშზე დასადები. თიხის სადღვებელი ხასიათდება გადაშლილი მრგვალი პირით, განიერი

ყელით, დაქანებული მხრებით, ცილინდრული ფორმის მუცლით, სწორი ძირით. სადღვებელში ასხამდნენ მისი ტევადობის მიხედვით ნახევრად სავსე რძეს, რათა ამ უკანასკნელს მოძრაობის მეტი საშუალება ჰქონდეს. ჩამოსაკიდი თიხის სადღვებლები მაღალია, აქვს ნვრილი ყელი, ძირი ვიწრო. ერთი ბოლო თავშეკრული ყელით მთავრდება. მეორე მხარეს დოს ჩამოსასხმელი ნაჩვრეტია დატანებული. ყურების ერთი ნახევარი ძირთან არის მირჩილული, მეორე ნახევარი ყელთან. ყურებში ჩამოსაკიდი თოკებია გაყრილი. ხელის დახმარებით, მოძრაობის გზით კარაქი იდღვიბება. რაც შეეხება სადგარზე დასადებ სადღვებელს, რძის ჩასხმის შემდგომ თავზე საქონლის ფაშვს გადააკრავენ, პატარა ბალიშზე დადებენ და ყურების მეშვეობით თანაბრად ამოძრავებენ. პირის დაბლა, ამოჭრილი ხვრელი ხის საცობით იხურება. დღვებისას დროდადრო შემოწმების მიზნით თითს ჩაყოფდნენ, თუ რძე „კუნძა-კუნძა მოხვდებოდა" კარაქი მზადაა. ქართული თიხის სადღვებლებიდან რაჭული სადღვებელი უძველესი ფორმის უნიკალურ სახეობას წარმოადგენს.

კარაქის დამზადებაში ქართველები ძველთაგანვე იყენენ დახელოვნებული. მცხეთის სამთავროს ბრინჯაოს სამარხებში ნაპოვნია ძვ. წ. V საუკუნეზე ადრინდელი თიხის სადღვებლები, რომელთა მსგავსსაც დღესაც იყენებენ მთიულეთში. კარაქს საქართველოს ყველა კუთხეში არ ამზადებდნენ. მისი დამზადების წესს მთიანი რაჭისა და აჭარის გარდა არც იცნობდნენ დასავლეთ საქართველოში. სამაგიეროდ აღმოსავლთ საქართველოში, განსაკუთრებით კი მთიანეთში (ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, მთიულეთი) კარაქის დამზადების ხელოვნება მაღალ დონეზე იდგა. ხევსურული და ფშაური ერბო (გადამდნარი კარაქი) განთქმული იყო შესანიშნავი თვისებებით ისევე, როგორც თუშური ყველი და მეგრული სულგუნი.

საქართველოში ხე-ტყით მდიდარ ქვეყანაში, ფართოდ იყენებდნენ ხის სადღვებელს. ხე და თიხა უძველესი დროიდან ყველაზე ხელმისაწვდომი და იაფი მასალა იყო გლეხისათვის.

ხის სადღვებელი ორი სახისაა. ერთია ჰორიზონტალური, ცილინდრული, მთლიანი, გულამოღებული, ორივე მხარეს დახურული გათლილი ხის მორი ე.წ. „ვარია". ვარიას რძის ჩასასხმელად და კარაქის ამოსაღებად შუა ნელში ზემოთ ამოჭრილი აქვს ოთხკუთხა ან მრგვალი ნახვრეტი — „ვარიას პირნი". ზედ ძროხის გამხმარი ფაშვის ნაჭერი აფარია. ქვემოთ ფსკერზე გაკეთებული ნახვრეტიდან, რომელსაც ჩხირი აქვს დაცობილი, გამოდის დო — კარაქის ამოღების შემდეგ დარჩენილი მომჟავო სითხე. ვარიას თოკით შენობის ჭერზე ჰკიდებდნენ და ხელით არნევდნენ რძის ასადღვებად.

ხის მეორე სადღვებელია „ჩხუტ-ბრუნელი". ეს ვერტიკალური მთლიანი ხის ცილინდრული, გულამოღებული მორია, რომლის ცალი მხარე დახურულია (ფსკერი აქვს), მეორე მხარე — ღია. მასში უმი (მოუდუღარი) რძე ფირფიტებიანი ჯოხის — „ბრუნელის" — ზემოდან ქვემოთ მოძრაობისას იდღვიბება. ჩხუტ-ბრუნელი ვარიასთან შედარებით მომცროა.

ვარიასა და ჩხუტ-ბრუნელის დასამზადებელი ხე უმეტესად შემოდგომაზე და ზამთარში იჭრება. ასეთი ხისაგან დამზადებული ჭურჭელი არ სკდება. ვარიას დასამზადებლად ცაცხვის ხეს არჩევენ, რადგან გასათლელად ადვილია (რბილია). სკდება. ვარიის დამზადებისას ყველაზე ძნელი იყო გვერდების ამოვსება. აქ ჩასასმელ ფიცრებს წინასწარ თლიდნენ და ახმობდნენ. მათ ვარიის ნედლ გვერდებში სვამდნენ. გაშრობისას სადღვებლის ნედლი გვერდები ხმელ ფიცრებს მჭიდროდ ეკვროდა და იქიდან სითხე ველარ ჟონავდა.

საერთოდ, კარაქს უმი რძისაგან ამზადებდნენ, მაგრამ ხევსურეთში, სადაც ძველად ბევრი საქონელი ჰყავდათ, რძეს დიდ ბაკნებზე — გობებზე ასხამდნენ: რძე აქ ნაღებს მოიდებდა, ხევსურები ნაღებს აგროვებდნენ, შემდეგ ასხამდნენ ვარიაში და მისგან ამზადებდნენ კარაქს.

მ. ხაზარაძე, დასურათებული ლექსიკონი. 2008.

საექიმო იარაღები — აქ: ხალხური მედიცინის მონაპოვარი, ნივთიერი მასალა, რაც ათვალსაჩინოებს ამ დარგის განვითარების პრაქტიკულ ფორმებს და წარმოადგენს მის საილუსტრაციო მასალას. სამთავროს სამაროვანში მიკვლეულ იქნა ტრეპანირებული თავის ქალები, რომლებიც X-XI საუკუნეებით იქნა დათარიღებული. ზოგადად ჩამოყალიბებულია აზრი, რომ ტრავმების მკურნალობის პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებული იყო საქართველოში, რაც ძირითადად წარმოებდა საექიმო იარაღების დახმარებით. ქართული სამედიცინო იარაღების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული XI ს .„უსწორო კარაბადინში", XIIს. „წიგნი სააქიმო"-ში და XIV ს. ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნში". აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთმა წარმოშო ხალხური ქირურგიის მდიდარი ემპირიული გამოცდილება, რომელიც

ვითარდებოდა ისეთი საექიმო იარაღების მეშვეობით, როგორიცაა: ასტამი, სატეხი, ფიჩქი, სახოკი, დანა, ხმალიკა, ბორწკალი, მაშა, ილარი, ნესტარი, საფხეკი, ხვეწი, კოტოში, არტახი და სხვა. ცნობილია, რომ ხევსური დასტაქრები თავიანთი დამზადებული საექიმო იარაღებით აკეთებდნენ საკმაოდ რთულ ოპერაციებს, მათ შორის თავის ქალის ტრეპანაციას.

ლიტ.: პ. ფირფილაშვილი, ნარკვევები ძველი ქართული მედიცინის ისტორიიდან, 1985ნ.

ე.ნ

სავარცხელი — აქ: ქვის დასამუშავებელი რკინისკბილებიანი იარაღი, სათლელის (იხ.) ნაირსახეობა. გარეგნულად სათლელი, სავარცხელი და საკოდელი ერთნაირი ფორმისაა, მაგრამ ერთმანეთისაგან განსხვავდება, როგორც მეტალის ხარისხით, ასევე ფუნქციით, რაც მხოლოდ საცნაურია ქვითხუროსათვის და შეუმჩნეველი უბრალო თვალისთვის. სავარცხლის კბილები დაჭრილია, სრულტანიანია და რბილის ქვის სათლელად გამოიყენება.

ლიტ: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე.ნ.

სავარცხელი//საბარცხალი(იმერ.)**//ორცხონჯი//აბხად** (სამეგ.)**//ლაცხნირ**(სვან.) — დგიმ-სავარცხლიანი, ანუ ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის სამუშაო აპარატის ნაწილი, შედგენილი მჭიდროდ ჩაწყობილი ჩალამ-კალამის, ლერწმის, თხილის ან ასკილის წმინდათ გამოთლილი წკნელით და ძაფით მოხლართული ჩარჩოსაგან. ლაფათინში (სავარცხლის ბუდე) ჩადგმული სავარცხელი დგიმის მოძრაობით პირგახსნილ ქსელში მაქოთი გატარებული საზედაო ძაფის მიჯრა-მიმტკიცება-ჩაბეჭვისათვის იყო განკუთვნილი. ქსოვილის შესაბამისად გამოიყენებოდა სხვდასხვა სახის სავარცხლები: მომსხო კბილებიანი — ბამბისა და შალის საქსოვად, წმინდა-ხშირკბილებიანი — აბრეშუმისათვის. შესაბამისად არსებობდა 140-160-200 სათვალავიანი სავარცხელი.

ლიტ.: ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957, მსშხი, ტII, ნან. II, 1982.

ლ. მ.

სავარძელი – გამორჩეულად შემკული და მომზადებული საპატიო სკამი. სვანეთში ასეთი იყო საკურცხილი (იხ.), საუფროსო სკამი (რაჭ.) და სხვა. ივ. ჯავახიშვილის აზრით, სავარძელი ქართული სიტყვაა. ამ სიტყვაში „ვერძი"//„ვერძუ" ნიშნავს მამალს, მამალ ცხვარს, რაც იმის მაუწყებელია, რომ იგი უნდა უკავშირდებოდეს კაცს და მისთვის იყო განკუთვნილი. სავარძელი, ანუ საუფროს სკამი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იყო გავრცელებული და მისი საკრალური დანიშნულება ყველგან გამოკვეთილია. სავარძლისთვის დიდ სახლში საგანგებო ადგილი იყო გამოყოფილი. საქართველოში ეს ტერმინი — სავარძელი — დამკვიდრებულია XVI ს. შემდგომ სავარძლის ძველი ქართული შესატყვისია „სელი". ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში ნახსენებია, რომ მეფის მიერ მოწვეული დიდებულნი დასხდებოდნენ სელებზე, ხოლო დანარჩენი მონვეულნი, თუ უწვევნი იდგნენ ფეხზე. ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებში კარგადაა წარმოდგენილი ამ ტიპის ავეჯის სხვადასხვა სახეობანი, განსაკუთრებით ჭედური და ფერნერული ტექნიკით შესრულებულ ხატებში- სვანეთიდან, ბექა ოპიზრის მიერ შესრულებულ ანჩისხატის მოჭედილობაში, ბეშქენ ოპიზრის ბერთის ოთხთავის შემკულობაში, შემოქმედის მაცხოვრის ხატში და ა.შ. საინტერესოა ამ უკანასკნელში მოცემული სავარძელი, რომელიც დგას ხარატულ ფეხებზე, აქვს შესანიშნავად გამოყვანილი საზურგე და საჯდომი, რომლებიც დაფარულა რბილი ბალიშებით. ფაქტობრივად სასხდომის ასეთი ტიპი სრულიად შეესატყვისება დღევანდელი სავარძლის ფორმასა და დანიშნულებას. ზოგადად ისტორიული მასალა ცხადყოფს, რომ ადამიანთა სასხდომი ავეჯის ასეთი ტიპი მთელი ფეოდალური ხანის ხანგრძლივ პერიოდში ინტენსიურად გამოიყენებოდა ყოფაში.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002. ვ. ართილაყვა, XVI-XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1965.

ე. ნ.

სავაჟინე – ღვინის შესანახი ადგილი, საგანგებოდ ამ მიზნისათვის აგებული ნაგებობა. მარნისგან განსხვავებით, სადაც მთელი წლის მოსავალი ღვინო ინახებოდა, სავაჟინეში ხდებოდა ღვინის დახარისხებისა

და სანადიმო მდგომარეობისათვის გასაცემი ღვინის მომზადება. აქვე იყო ღვინის ერთი ჭურჭლიდან მეორეში გადასატანი ხელსაწყოები და ჩაფ-სასმურები. სავაჟინე დამახასიათებელი იყო დიდი ფეოდალური სახლის სამეურნეო სისტემისათვის. ათონის ივერთა მონასტრის აღაპების მიხედვით, სავაჟინე, როგორც ღვინის შესანახი ცალკე ნაგებობა, ჩვეულებრივად არსებობდა ბერ-მონაზვნურ კორპორაციაშიც.

ე.ნ.

საზანდარი – აღმოსავლური სიმებიან საკრავთა ანსამბლი. არის ორგვარი შემადგენლობის: 1) თარი, ქამანჩა, დაირა, ნაღარა (დიპლიპიტო); 2) საზი, ქამანჩა, სანთური, დაირა. ორივე შემადგენლობაში დასარტყამ ინსტრუმენტზე დამკვრელი მღერის. ანსამბლის ძირითადი დანიშნულებაა სიმღერის აკომპანირება ან ცეკვის თანხლება.

გავრცელებულია აზერბაიჯანსა და სომხეთში. საქართველოში შემოვიდა XVII ს-დან. გავრცელდა თბილისის არაქართულ მოსახლეობაში და მოგვიანებით საზანდრის მსმენელთა აუდიტორია ქართველებითაც შეივსო. განსაკუთრებით პოპულარული გახდა არისტოკრატიაში (მაღალი ნოდების მოხელეებსა და თავადაზნაურობაში). სიტყვა „საზანდარი" სპარსული სიტყვიდან „საზენდე" (მუსიკოსი). „საზანდარი" გვაქვს „საზის დამკვრელის" მნიშვნელობითაც.

მ. ბ.

საზედაშე – რელიგიური დანიშნულების თიხის ჭურჭელი (სხვადასხვა ზომის ქილები და ქვევრები). საზედაშეები დამოწმებულია — ქართლში, ქიზიყში, სამეგრელოში, იმერეთში და სხვაგან. ყოველწლიურად ოჯახის უფროსი ამა თუ იმ ხატ-სალოცავის სახელზე ინახავდა ზედაშეს (იხ.). ეს იყო ღვინო, ერბო, ხორბალი, პური. უფრო მეტად ღვინის ზედაშე იყო გავრცელებული. აღმოსავლეთ საქართველოს მთიან სოფლებში კი უმთავრესად ერბოს ამზადებდნენ ზედაშედ. დღეობის დროს ოჯახის წევრები მარანში იკრიბებოდნენ საზედაშე ჭურჭელთან. ცერემონიალის შესრულებამდე საზედაშე ჭურჭლის ახდა იკრძალებოდა. იგი სავსე უნდა ყოფილიყო. თუ ოჯახს ძალიან გაუჭირდებოდა, საზედაშე ჭურს გახსნიდნენ და წმინდანს პატიებას სთხოვდნენ, რომლის სახელზეც იყო ზედაშე გადანახული. ერბოს თავს მოხდიდნენ, შეინახავდნენ, ქილაში დარჩენილს კი გაიხმარდნენ. აღთქმულ დღეს გადანახულ ერბოთი ქადებს დააცხობდნენ, სანთლებს დაანთებდნენ და სალოცავს ესტუმრებოდნენ. ერთდღიანი დღეობისათვის პატარა საზედაშე იყო განკუთვნილი, ხოლო ყველიერისათვის დიდი საზედაშეები ჰქონდათ. საზედაშე ჭურჭელს ხშირ შემთხვევაში ნიშნავდნენ, თუ რომელი ხატისათვის იყო განკუთვნილი. საზედაშე ქვევრს, რომელიც ბარის სოფლებში იყო გავრცელებული, განსაკუთრებით უვლიდნენ. არსებობდა სასოფლო და საგვარეულო საზედაშეები.

მ. ზ.

საზეთე – ზეთის გამოსახდელი ნაგებობა. საქართველოში ზეთის გამოხდის დიდი ტრადიციები არსებობდა და „ზეთის სახლი", ისე როგორც ღვინისა, ამ კულტურის წარმოების ფართო ხასიათზე მიუთითებს. ზეთის სახლში იდგა დიდი ქვის გელაზები (იხ.), რომლის მეშვეობითაც ხდებოდა მისი გამოხდა.

საზელი — თიხის, რომლითაც ზელდნენ სამეთუნეო თიხას. ესაა ტექნიკური მანქანა. საქართველოში ორი ტიპის მიწის საზელი იხმარება; I მარტივი, ფეხით საზელი და II ე.წ. „მექანიკური" საზელი, ფეხის საზელი წარმოადგენს ხის განიერ „ტახტს", რომლის თავი და ბოლო ამოფიცრულია, გვერდები კი ღიადაა დატოვებული და მასზე მზელავი ფეხებით ზელს თიხას.

მეორეა ე.ნ. „მექანიკური" საზელი იგივე „მიწის საზელი მანქანა", რომელსაც ამოძრავებს გამწევი ძალა (ცხენი, ხარები, სახედარი). საზელის ტანს „კოდი" ეწოდება. კოდი შეკრულია „ნაგვერდული" ფიცრებისაგან, არის რკინის ან ცემენტისაც. საზელის კოდი მრგვალია. კოდში ჩაშვებულია რკინის ღერძი, რომელზედაც ე.ნ. „ფრთებია" ჩამოცმული ან შედუღებული. საზელი არის 14-დან 24-მდე ფრთიანი, ე.ი. 7 ან 12 წყვილი.

საზელის ზედა ფრთას „წამღები" ეწოდება, იგი მოხრილია და ხელს უწყობს საზელში მიწის ქვევით წაღებას, „გამომტანი" ფრთა სწორია და ფართო რკინის ღერძს ფრთებიანად ამოძრავებს უღელში შებმული გამწევი ძალა და იზილება მიწა. საზელ მანქანაში კარგად დამბალ მიწას ნიჩბით ყრიან. „ზედა წამღები" ფრთის საშუალებით დასაზელი მიწა საზელის — კოდის შუა ნაწილში ხვდება, ფრთებით ერთმანეთში ირევა, იჭრება, იზილება და კოდის გამოსასვლელიდან გამოდის. გობიდან დაზელილი საჭურჭლე მიწას, წმინდა რომ გამოვიდეს, ორჯერ-სამჯერ ატარებენ საზელში, საჭურე მიწას კი ერთხელ ან ორჯერ.

ლიტ.: ც. კაკაბაძე, საზელები იმერეთში, ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა", 1973, №9.

ც. კ. მ. ზ.



რუმბი



საღვეებელი

საზი — აღმოსავლური სიმებიანი საკრავი, მსხლის ფორმის ღრმაკორპუსიანი, გრძელყელიანი. მზადდება სხვადასხვა ზომისა.

საზი ერთ-ერთი უძველესი ხალხური საკრავია. იხსენიება ნიზამის (XII ს.) პოემებში. საზს წამყვანი ადგილი უკავია ხალხურ საკრავთა ანსამბლში. მასზე შემსრულებლები იყვნენ აშუღები — ხალხური მომღერლები, პოეტი-იმპროვიზატორები, რომლებიც გამოდიოდნენ ბაზრების მოდნებზე, სახალხო შეკრებებზე. მათ რეპერტუარში ნარმოდგენილი იყო საგმირო, ისტორიული, ეპიკურ-სატრფიალო სიმღერები.

საქართველოში გავრცელდა XVIII ს-დან სხვა აღმოსავლურ საკრავებთან და ანსამბლთან ერთად. თბილისში განსაკუთრებით მიღებული იყო აზერბაიჯანულ მოსახლეობაში.

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა (მოკლე ისტორიული მიმოხილვა), ქუთაისი, 1925. მ. შილაკაძე, ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციები და თანამედროვეობა, 1988.

მ. შ.

სათაგველა//სარეგველა (აჭარ. ქართლ.) – თაგვის დასაჭერი ხის ხელსანყო, რომელიც შედგება შემდეგი ნანილებისაგან: ქვედა და ზედა ფიცრისგან, უღლისგან, ფირფიტისა და პალოსგან. ორივე ფიცარი ერთი ზომისაა. ქვედა ფიცარზე გამაგრებულია უღელი — ამ უკანასკნელზე მიმაგრებულია ზევითა ფიცრის ერთი გვერდი და ფირფიტა საჭმლით (რომელიც ჩვეულებრივ შემწვარი კაკალია ან პურის ნატეხი). ფიცრის მეორე გვერდი დაყრდნობილია ქვედა ფიცარზე — ბლაგვკუთხოვან სამკუთხედად. საჭმლის ჩამონევით, ე.ი. ფირფიტის ოდნავი შერხევით ბანარი იხსნება და ზევითა ფიცარი ქვედას ემხობა. არსებობდა სხვადასხვა კონსტრუქციის სათაგურები.

ე. ნ.

სათაო (ხევს.) — საუკეთესო ამორჩეული შესანირი ზვარაკი (სამსხვერპლო ცხოველი). ხატის მინების მოხვნისას ხევსურები კლავენ სათაო საკლავს, მთელი სოფლის ნახირიდან საუკეთესოს, რომელიც წინასწარ იყოს არჩეული ამ დღისთვის (ცხვარი, კურატი).

ლიტ.: ალ. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობები, აღმ. საქ. მთიანეთში, 1991.

ე. ნ.



სათაურა — ხევსური ქალის თავსაბურავის ნაწილი. რკალისებრი. კერავდნენ ბამბის ან შალის ქსოვილისაგან. მოსართავად იყენებდნენ მონეტებს, მძივებს, ღილებს. ქარგავდნენ ფერადი ძაფებით. სათაურა რამდენიმე სახისაა: კავიანი, ყურიანი, საყენ-ყურიანი, საყენიანი და მაღალი. თავხურვას ხევსურეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. გათხოვილი ქალი მანდილის გარეშე გარეთ ვერ გავიდოდა, ვერავის შეეგებებოდა, რადგან ამგვარი ქცევა უზრდელობისა და უპატივცემულობის გამომხატველად ითვლებოდა. გასათხოვარ ქალს კი მარტო სათაურას ტარებაც შეეძლო. ახალ პატარძალს უფლება ჰქონდა მამის სახლში მოეხადა მანდილი, უმანდილოდ იგი ქმარსა და ქმრის ნათესავებს ვერ ეჩვენებოდა. ხევსურმა ქალმა სათაურა-მანდილის ხმარება მოგვიანებით დაინყო, მანამდე კი იგი „ჭანჭიკის ხელსახოცს“ (იხ.) ატარებდა. ხოლო მას შემდეგ, რაც მოკლე თმის ტარება დაიწყეს, ჭანჭიკის ხელსახოცი მანდილს ვეღარ იჭერდა და მის მაგივრად ჩიხტისმაგვარი სათაურა შეუქმნიათ.

ლიტ.: ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935, ც. ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი აღმოსაელეთ საქართველოს მთიანეთში, 1974.

ეკ.

სათითე — თითზე ჩამოსაცმელი. მზადდებოდა სხვადასხვა მასალისგან. იყენებდნენ ხარაზები, დერეფანები, მკერვალები, ანუ ყველა იმ პროფესიის ადამიანები, რომლებთაც უხდებოდათ ტყავისა და ნაჭრის მასალისაგან კერვა.

სათითე მკელის — მკელის აღჭურვილობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. მზადდებოდა რქისაგან, ზოგჯერ ხისგანაც. იცოდნენ როგორც ერთი (კახეთი), ისე ორი ან სამი (ქართლი) სათითის ხმარება.

სათითეებს გამოიყენებდნენ ნამგლით მოცელვისას თითის დაცვის მიზნით. რქას მოხარშავდნენ და ნაცარში დაალბობდნენ. შემდეგ სასურველ ადგილას წააჭრიდნენ თავს და გათლიდნენ, გაასუფთავებდნენ. წვერში ოდნავ მოხრიდნენ, გაუკეთებდნენ საზურგულესა და საოფლე ნაჩვრეტებს. სათითეს მუცელზე ტარის გაგრძელება ჰქონდა, რომელსაც მცირე ნაჩვრეტი გააჩნდა. აღნიშნულ ნაჩვრეტში თასმა იყო გაყრილი მაჯაზე მისაბმელად.

მკაში სათითეების გამოყენების ისტორია საკმაოდ ძველია. ამაზე მეტყველებს არქეოლოგიური განათხარი მასალაც. უძველესი მომკელის სათითეები აღმოჩენილია ურბნისში (I-II სს.), დმანისში (XII ს.). მკელის სათითე ასახულია ჯრუჭის ოთხთავის მინიატურაში. აღსანიშნავია, რომ მკის დროს სათითეების დაცვის მიზნით გამოყენება სხვა ქვეყნებისთვისაც იყო დამახასიათებელი. მაგ., თურქეთში, ირანში. ჩრდ. კავკასიაში, დადასტურებულია სათითე, რომელიც სამი თითისთვის ერთი ფიცრისაგანაა გამოთლილი, ამიტომ, მუშაობის დროს, სამივე თითს დამოუკიდებელი მოძრაობის შესრულება არ შეეძლო, რაც შესაბამისად შრომისნაყოფიერებაზეც აისახებოდა. საქართველოში კი სამკალი სათითეები ხელის თითოეულ თითზე ცალ-ცალკე იცმოდა.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღის ისტორიიდან, 1960. ჯ. სონღულაშვილი, მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, 1964.

მ.ხ.

სათითენი – ცივი იარაღი. სათითენში გაერთიანებულია მცირე ზომის, ბეჭდის მაგვარი კასტეტთა ნაირსახეობანი. ეს იარაღი მეტწილად აღ. საქართველოს მთიანეთში იყო გავრცელებული, უკანასკნელ დრომდე მისი ხმარების ტექნიკა და ილეთები მხოლოდ ხევსურეთშილა შემორჩა, საცერულის სახით. ცალ თითზე წამოსაცმელი სათითე საკმაოდ მრისხანე იარაღია მჭიდრო შერკინებაში. მორკინალი მას საკუთარი ხელწერისა და ოსტატობის შესაბამისად ირჩევდა და ალბათ ამ გარემოებით აიხსნება მისი მრავალგვარობა, მარტო ხევსურეთში საცერულის ათამდე სახეობა არსებობდა. ხევსურთაგან განსხვავებით, მთიულეთში ვხვდებით ორთითიან (საჩვენებელ და შუა თითზე წამოსაცმელ) „საჯიჯგველაებს". თუშეთში კი დამონმებულია ოთხთითა „ღაჯიები". ღაჯია (იხ.) ხევსურული საცერულის ერთ-ერთ სახეობასაც ჰქვია, ოღონდ იგი თუშურისგან განსხვავებით, ცალთითაა. ოთხთითა სათითენი გურიაშიც არის დაფიქსირებული.

სათითეს ხმარება თბილისშიც ყოფილა გავრცელებული. ყეენობის ნინ ქალაქელი ხელოსნები მრავლად ამზადებდნენ საცერე რგოლებს. ამავე დროს, ეს იარაღი მოხმარების იმდენად თავისებურ ცოდნას მოითხოვს, რომ მისი საგანგებოდ შესწავლის სკოლაც უნდა არსებულიყო. 2001 წელს თბილისის წმინდა ორმეოც მონამეთა ტაძრის გათხრის დროს XI-XIII სს. ფენაში აღმოჩნდა სათითე, რომელიც არა საბრძოლო, არამედ საჩვენებელი დანიშნულებისა უნდა იყოს, რადგან დამზადებულია სპილოს ძვლისაგან, სავარაუდოდ აღნიშნული სათითე არა რიგით მებრძოლს, არამედ ორთაბრძოლის ოსტატსა და მასწავლებელს უნდა ეკუთვნოდეს, რაც სათითეების მოხმარების ძირძველ ტრადიციებს უსვამს ხაზს.

ლიტ. ზნენი სამამაცონი, 2001.

მ. ქ.

სათლი — სპილენძის ვედრო.

სათლელი — აქ: ქვის გასათლელი ხელსაწყო, ბრტყელპირა, ბასრი, ხისტარიანი იარაღი, რომლითაც თლიან რბილ ქვას, ზოგჯერ თლისას ქვაზე წარმოშობილ ხაზებსაც ტოვებენ, რაც განსაკუთრებით ეფექტურს ხდის ნამზადს. ქვის სათლელი იარაღების დამზადებას თავისებურად ნაწრთობი ლითონი სჭირდებოდა, რომელიც ქვის ჯიშისა და მისი შედგენილობის გათვალისწინებით იჭედება. სათლელი გამოიყენება ბუხრის პირის, სახლის სვეტებისა და კუთხის ქვების, ქვის კეცების, ფანჯრის კარნიზების, ანუ ისეთი ნამზადის სათლელად, რომლებთაც პრაქტიკული დანიშნულების გარდა სამშვენისის ფუნქციაც აქვთ დაკისრებული.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხოროობა იმერეთში, 2001,ნ.

ე. ნ.

სათოფე (ხევს.) — აქ: თხელი და ფართო პური, რომელსაც ხევსურები მიცვალებულის სახელზე გამართულ რიტუალში იყენებდნენ თოფის სამიზნედ. ასეთ პურებზე გადააკრავენ ნაჭერს, გაიტანენ სასროლ მანძილზე და ვინც რომელ სათოფეს მოარტყამს, ის პურიც მისია.

ლიტ.: ა. ოჩიაური, ქართული ხალხური დღეობები აღმ. საქ. მთიანეთში, 1991.

ე. ნ.

სათოფელა — დიდგულას ტოტისგან გაკეთებული მილი, რომელსაც მოარგებენ ბამბის დგუშს და ბავშვები ისვრიან კუნელის ნაყოფს.

ე. ნ.

სათუთუნე — დაჭრილი თუთუნის შესანახი. არსებობდა სხვადასხვა ფორმის. თუთუნის სურნელებას კარგად ინახავს ხის სათუთუნე, თუმცა ყოველდღიურ ყოფაში სატარებლად ამჯობინებდნენ ტყავისა და ნაჭრის სათუთუნეებს. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ბაგრატიონთა ოჯახიდან შემოსული ვერცხლის სალტეებით შემკული სათუთუნე.

ე. ნ.

სათფური (მთ. გუდ.)//**მეში** (ხევი)//**კალთა** (ფშ-ხევს.) — ცხენის აკაზმულობის ნაწილი. ოთხკუთხა სქელი ტყავები, რაც უზანგის თასმის ზევითაა მოქცეული და იცავს მხედრის მუხლებს ცხენის ოფლისა და ბალნისაგან.

სათხეველი (ძვ.) — სასროლი ბადე, რომლის ბოლოების გასასწორებლად ორკაპა ჯოხს — „ბარამბას“ ხმარობდნენ.

ნ. ჯ.

სათხლე//სამთხლე//ლარპოტი (გურ.) — ხის გრძელტარიანი დიდი ციცხვი, რომლითაც ჭურიდან იღებენ ჭაჭასა და მთხლეს. ზოგჯერ ესაა ტარზე მორგებული ლითონის ოვალური ნაჭერი, ზოგჯერ კი ერთ ხეში გამოჭრილი დიდი კოვზი. გათვალისწინებული ჭურის პარამეტრებისთვის იმ მიზნით, რომ შეძლებისდაგვარად მოსახერხებელი ყოფილიყო ჭურიდან მთხლესა და ჭაჭის ამოღება.

ე. ნ.

საიფქლეები — სახატო მამულები ხევსურეთში, სადაც სარიტუალო ხორბალს მოიწევენ. ესაა წმ. პურის მოსაყვანი ტერიტორია, რომლის მიწებს ხალხი ერთობლივად ამუშავებს. საიფქლეები ყველაზე ადრე, ყველაზე კარგად იხვნება და საუკეთესო თესლით ითესება (ქერი, დიკა).

ე. ნ.



საკარცხული//საკურცხილ (სვან.) — 1. საუფროსო სკამ-სავარძელი სვანეთში. უხუცესი, როგორც ოჯახის სრულუფლებიანი განმგებელი, საკარცხულზე იჯდა. ოჯახში მცხოვრები მამაკაცები მას ემორჩილებოდნენ. საკარცხული ოჯახის უფროსის უფლებების გამომხატველ სიმბოლოს წარმოადგენდა. ეთმობოდა მხოლოდ საპატიო სტუმარს. 2. საუფროსო სკამ-სავარძელი რაჭაში „ბაბუად“ წოდებული. აქაც ოჯახის უფროსის დასაჯდომია. მზადდებოდა სხვადასხვა ხისგან. შეკრული იყო უწებოდ და ულურსმნოდ. ოჯახის საქმეებს ბაბუა ხელმძღვანელობდა. მისი კუთვნილი საპატიო სავარძელი კერასთან თავში უნდა მდგარიყო. ბაბუა, როგორც ოჯახის სრულუფლებიანი განმგებელი, საკარცხულზე იჯდა. მასზე ჯდომა სხვას ეკრძალებოდა. სავარძელი ეთმობოდა მხოლოდ საპატიო სტუმარს. სოციალური თვალსაზრისით საკარცხული ოჯახის უფროსის უფლებების გამომხატველ სიმბოლოს წარმოადგენდა. ტერმინი „საკარცხულ“ X ს. ძეგლებშია დამოწმებული.

ლიტ.: ს. მაკალათია, მთის რაჭა, 1987. ლ.ბედუკიძე, ხის ავეჯი რაჭაში, სსმმ, XII, 1997.

ლ. ბ.

საკეცე - ხის ან ლითონის მაშა, რომელსაც პურის ან მჭადის გამოცხობისას თიხის კეცებს ცეცხლს უფიცხებდნენ. საკაცედ ნედლი თხილისა და ლეღვის ხეს იყენებდნენ. გათლიან ერთ ზომაზე, მერე მოკეცავენ, ცოტას შერუჯავენ, შეახმობენ და მიტყუპებულ ბოლოებს ერთმანეთს გაუსწორებენ. ბუხრის საკაცე უფრო მოკლეა, ვიდრე თონისა.

ე. ნ.

საკვეთელი — 1. სახვნელის ნაწილი (რკინისა), რომელიც ვერტიკალურ სიბრტყეში ჭრიდა ბელტს. საკვეთელი წარმოადგენდა რკინის ყუასქელ დანას, რომელიც ტარით ჩასმული იყო სახვნელის მხარში. პირის კვეთის მიხედვით არჩევენ საკვეთლის ორ ტიპს: ტოლფერდა პირიანს და ცალფერდას. უფრო განვითარებულ ტიპად მიჩნეულია ცალფერდა საკვეთელი,.

ქართულ სახვნელთა საკვეთლების ტიპებად დაყოფის საქმეში მთავარ პრინციპად საკვეთლის სამუშაო პირის სიდიდეა მიჩნეული. ამ მხრივ, მძიმე სახვნელების საკვეთლის სამუშაო პირის სიდიდე ბევრად აღემატება მსუბუქი სახვნელების სამუშაო პირის სიდიდეს. გარდა ამისა, გარკვეული მნიშვნელობა აქვს საკვეთლის მოყვანილობას, რომლის მიხედვითაც იგი ორგვარია: სწორი და მრუდე ფორმისა. სწორტანიანი საკვეთლები დამახასიათებელია მარტივი სახვნელებისათვის, ხოლო მრუდტანიანი—მძიმე სახვნელთათვის (დიდი გუთანი).

საკვეთელი სახვნელის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. ეს მოდგამში (იხ) ხვნადღეების განაწილებაშიც აისახა — საკვეთლის პატრონს ერთი ხვნადღე ერგებოდა.

სახნის-საკვეთს დაპირვა სჭირდებოდა. ქიზიყში ამისათვის მოდგამს აყვანილი ჰყავდა მჭედელი, რომელსაც ყოველ შაბათს უნდა „გამოეწკიპა" სახნის-საკვეთი. ამაში მოდგამი მას ერთ დღეს უხნავდა („მჭედლის ალო"). ქართლშიც იყო ცნობილი მჭედლის ალო, მაგრამ იქ მჭედელს გუთნისდედა უხნავდა ერთ დღეს გუთნისათვის განკუთვნილი ხვნადღეებიდან.გარდა ამისა, თუ მჭედელი სთხოვდა სოფელს, მას უსასყიდლოდაც უხნავდნენ ხოლმე. მჭედლისათვის მუშაობა რაჭაში „კალაფორიას" სახელწოდებით იყო ცნობილი. 2. მარტივი სახვნელი (მიწის გასანერი), რომლის ფუნქცია იყო ნიადაგის დაწერა-დაკვალვა. მის უკან მომყოლ სახნისს უადვილებდა ხნულის გატანას. გამოიყენებდნენ ფერდობი ადგილების ხვნისას.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე. აღმოსავლეთ საქართველოს სამინათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ.., 1960; ნ რეხვიაშვილი. რაჭის ეთნოგრაფიული მივლინების ანგარიში, ენიმკის მოამბე, 1941

თ. გ.

საკვირაო (ხევს.) — საჭვრეთელათი დაჭრელებული ხავინისგულიანი პატარა ქადა.

საკოდე — 1. ცალკე ნაგებობა ან საცხოვრებლის კომპლექსის მყუდრო, ბნელი ოთახი, სადაც ხდება ლუდის ფუება, მისი დადუღება. საკოდეში ლუდის ფუება მიმდინარეობს 6-7 დღეს და ყველა პირობაა შექმნილი იმისთვის, რომ ლუდმა სრულყოფილად „იფუვლოს". 2. საქართველოს მთაში ხატთან არსებული სამეურნეო ტიპის ნაგებობა, სადაც ინახებოდა წმინდა ხორბლეული სარიტუალო პურების გამოცხობისა და ლუდის გამოხდისათვის.

ე. ნ.

საკოდელი.//დიშლა (იმერ). — ბრტყელპირა და თხელტანიანი იარაღი, ქვის მოსასუფთავებელი. არსებობს რამდენიმე კბილიანი საკოდელი.

ლი.: ს. ბედუკაძე, ქვის დასამუშავებელი იარაღები და საშუალებანი, სსმმ. XXII-B, 1961.

ე. ნ.

საკოკე — კოკით წყლის გადაზიდვისათვის მოწყობილი საგანგებო ხის ხურჯინი, ცნობილი იყო ქიზიყში. საკოკე მზადდებოდა ორი წესით: შვინდის ან თხილის ოთხ ტოტს ცეცხლზე შემოატარებდნენ, ქერქს გააძრობდნენ. შემდეგ ტოტების შუა ნაწილს მოხრიდნენ. ერთმანეთზე ჯვარედინად გადადებდნენ და შვინდის ან რცხილის ნნელით შეკრავდნენ. აკეთებდნენ სხვადასხვანაირადაც. შვინდის ხეს ძირში მოჭრიდნენ, ტოტებს მაღლა და შუა წელზე ნნელით კრავდნენ და სახედარს ხურჯინივით გადაპკიდებდნენ. წნელის სიგრძე სახედრის წელის სიგანეზე იყო დამოკიდებული. საკოკე ნახევარ მეტრზე მეტი სიმაღლის არ კეთდებოდა. თითო საკოკეში ერთი დიდი კოკა იდგმებოდა. კოკების ყურები თოკით ერთმანეთზე იყო გადაბმული. იხმარებოდა წყლისა და ღვინის შორი მანძილიდან მოსატანად.

ლიტ.: ნ. სილაგაძე, საპალნე გადაზიდვის საშუალებები აღმ. საქართველოში, სსმმ, ტ. XXIV, 2001.

ნ.ჯ.







სამარილე



სანვრილმანო ყუთი

საკრავები საბავშვო — ჩასაბერ საკრავებზე დაკვრას ბავშვები თვითნაკეთი „საკრავებით" იწყებენ. ასეთებია რბილგულიანი მცენარეები და ფოთლის მსხვილი ღეროები. აჭარაში საბავშვო საკრავია „ჭყიპინა" — დუდგულის ან სხვა მსგავსი მცენარისაგან გაკეთებული, სასტვენივით ერთი ბგერის გამომცემი, 6-7 სმ სიგრძისა. ჩასაბერ ერთ ბოლოს ირიბად ჩასერავენ. ჩაბერვისას გამოსცემს ჭყიპინის მსგავს ბგერებს.

უფრო „რთულია" გოგრის ღეროსაგან დამზადებული ერთ, ორ ან სამთვლიანი „სალამური" — საპუტუნა (გურია), რომელსაც უფროსები უკეთებენ ბავშვებს. ამაზე თვლების რაოდენობის შესაბამისად სხვადასხვა სიმაღლის რამდენიმე ბგერა მიიღება. 7-8 ნლის ყმანვილები ამგვარ „საკრავებს" დამოუკიდებლადაც აკეთებენ.

ლიტ.: ალ. მსხალაძე, ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან, 1969.

მ. შ.

საკრავთა მწყობრი – ორკესტრი, შემდგარი სხვადასხვა ჯგუფის საკრავთაგან. ქართული ინსტრუმენტული ანსამბლი შედგება ორი ტიპის საკრავისაგან. ერთ-ერთი მათგანია სიმებიანი ან ჩასაბერი საკრავი და მეორე — დასარტყმელი, მისი ფუნქციაა ცეკვის თანხლება ან საცეკვაოს ინსტრუმენტული ტრანსკრიპცია. ყოფაში თითქმის არ გვხვდება ორი ან მეტი ერთი და იმავე საკრავის გაერთიანება, უნისონური ანსამბლი უცხოა ქართული სამუსიკო კულტურისათვის.

ლიტ.: მ. შილაკაძე, ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, 1970.

მ. შ.

საკრი — საკრე, ასაკრავი — ვაზის ჭიგოზე დასამაგრებელი, სხვადასხვა მცენარის ტოტების ან კანისგან დამზადებული სახვევი მასალა. მისი ეტიმოლოგია ასე გამოიყურება: საკრი, საკრე, ასაკრავი, გასაკრავი, მარნა, მარნეული, მანეული, კაპიჭი, სვია, სვე, საყელავი, სახვევი, საკონავი, ლაფანი, ხარალი, ხრალი, ქვთელა, ჭონი, ჭილი.

ლიტ.: ლ. ასათიანი, ვაზის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, 1978.

ე. ნ.

საკურატე – საქართველოს მთიანეთში (ხევს.) ხატის კართან არსებული ყორის მიწურბანიანი ნაგებობა, რომელიც ხატის ტყეში იყო გამართული. აქ ხატისთვის შესაწირავი ცხოველები იმყოფებოდნენ. ეს ხვასტაგი საკმაოდ დიდი რაოდენობით იყრიდა ხოლმე თავს და სანამ შეწირვის დრო მოაღწევდა, მანამდე მათთვის ხარის მსახურთ უნდა მოეველოთ. ზამთრობით ცხოველები საკურატეში იზამთრებდნენ, სხვა დროს კი გაშვებული იყვნენ მათზე მინდობილი კაცის მეთვალყურეობით. ხატის კურატები ხატის საძოვრებში ბალახობდნენ და სხვას არავის ჰქონდა უფლება იქ კერძო საქონელი ებალახებინა.

ლიტ.: ალ. ოჩიაური, ქართ. ხალხ. დღეობათა კალენდარი, 1988.

ე. ნ.

სალამური — მუსიკალური ინსტრუმენტი, იგი ორგვარია — უენო და ენიანი. უენო სალამური ამ ტიპის საკრავის უძველესი ფორმაა. გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში (ქართლი, კახეთი, მესხეთი, თუშეთი, ფშავი). აღმოსავლურ ქართულ დიალექტებში „სტვირი" ეწოდება, წარმოადგენს 38-40 სმ სიგრძის მილს. აქვს 5-6 თვალი (ნახვრეტი), ზოგჯერ დამატებითი თვალი უკანა მხარეს.



ენიანი სალამური ბგერა არის გამოკვეთილი, მსტვენავი, მკაფიო და ძლიერი.

ენიანი და უენო სალამური მზადდება რბილგულიანი მცენარისაგან (ლერწამი, ლელი, დუდგულა) აგრეთვე ჭერმისაგან. დამზადების წესი ერთნაირია, ენიანს უკეთდება ენა, რომელიც აუცილებლად ლერწმისაა. სალამური ძირითადად მწყემსის საკრავად ითვლება. მასზე სრულდება მწყემსური და საცეკვაო მელოდიები. საქართველოს ტერიტორიაზე სალამურის ტიპის საკრავები უძველესი დროიდან ჩანს. ძვლის სამთვლიანი სალამური აღმოჩენილია სამთავროში (ძვ. წ. XV ს.), ხოლო უფლისციხეში, საკულტო ნაგებობაში აღმოჩენილი სალამური —ჩვ. წელთაღრიცხვამდე VI ს-ით თარიღდება.

ლიტ.: მ. შილაკაძე, ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, 1970.

მ. შ.

სალესავი//ქასური – სალესავი ქვა, ფართოდ იყო გავრცელებული ქართლ-კახეთში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში და ჩრდილო კავკასიაშიც. ესაა განსაკუთრებული ჯიშის ქვა, რომელიც თავისი ხაოიანი ზედაპირის მეშვეობით კარგად ლესავდა რკინეული იარაღთა პირს. ლესვის დროს ქასურს წყალში ასველებდნენ ან ერბოს ნაუსვამდნენ, რაც იარაღს გადახურებას ს აცილებს. ქასური გამოიყენებოდა განსაკუთრებით პირბასრი იარაღების გასალესად (ნამგალი, ცელი, სამართებელი, სამყნობი დანა, სასხლავი, შალაშინის პირი და სხვა.) და საოჯახო ჭურჭლის (ქვაბები, ტაფები გასახეხად და გასაპრიალებლად). ქასურს იყენებდნენ აგრეთვე საფლავის ქვების დასამუშავებლად, ზედაპირის მოსასწორებლად, რათა ნარწერა თუ ნახატი მკაფიო გამოსულიყო. საფლავის ქვის ამგვარად დამუშავებას გაქასურება ეწოდება.

ქასურ სალესავებს ამზადებდნენ სათანადო მასალის მქონე სოფლებში: სნო, უხათი (ყაზბეგის რაიონი), საფარლო, ბოლნისი, საჩინო (ბოლნისის რაიონი), დმანისი, ჩათახი (დმანისის რაიონი), ატენის ხეობა (გორის რაიონი), ჭერათხევი (ხაშურის რაიონი), შროშა, საქასრია (ხარაგაულის რაიონი), მუხური, კურსები, სალესავის ქედი (ტყიბულის რაიონი).

ქასურ სალესავზე მისი ეფექტურობის გამო დიდი მოთხოვნილება იყო. ქაისხევიდან გასაყიდად გაქონდათ მეჯვრისხევში, სადაც ბაზრობაზე ადგილობრივი მჭედლების ნამგლებიც იყიდებოდა. არქეოლოგიური მასალა (სამთავრო, ბრილი) მონმობს, რომ მეომრებს იარაღთან ერთად სალესი ქვებიც ჰქონდათ საფლავში ჩატანებული.

ტერმინი „ქასური" სალესავი ქვის და განსაკუთრებით ცელის სალესის მნიშვნელობით დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში. ძველ ქართულში სალესავი ქვის აღმნიშვნელად გვხვდება „ქასრი". არის მოსაზრება, რომ სალესი ქვის სახელი მომდინარეობს სოფლის ტოპონიმ ქაისხევიდან. მოგვიანებით „ქასური" სალესი ქვის ზოგად სახელად იქცა, ხოლო გაქასურება გალესვა-გაპრიალების მნიშვნელობა შეიძინა. ტერმინი „ქასური" ასახულია შრომის სიმღერაში „გლესავ და გლესავ ნამგალო, ნამგალო ჩემო რკინაო, ქასური სალესავითა, ნამგალო ჩემო რკინაო".

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშაველები, 2005. ნ. რეხვიაშვილი, ქვის საკოდი იარაღი, სსმმ, XVII, 1953.

ა. გ.

სალტა — ქალის გარეთა სამოსელი აჭარაში. მასალად იყენებდნენ მძიმე ქსოვილებს, მაგალითად, მაუდს. ჩასხნილი გულისპირით, შესაბნევის გარეშე. სალტა შედგება სამი ნაჭრისაგან, რომელთა სარჩულად ჩითი აქვთ გამოდებული. სალტა გაფორმების მხრივაც გამორჩეულია. მორთვის საშუალებად იყენებდნენ ვერცხლისმკედს, რომელიც ზოლებად მიჰყვება როგორც საყელოს, ისე მხრებსა და კალთებს. ორნამენტი მეტნილად გეომეტრიულია. მცენარეულსაც (სამყურა, ყვავილები) იყენებდნენ. სალტის ფორმა მსგავსებას ავლენს წმ. გიორგის სახ. ეკლესიის (ახალქალაქი, XI ს.) ფრესკაზე გამოსახულ პირთა სამოსელთან. მსგავსი თარგისა და სახელწოდების სამოსელი ანატოლიაშიც მოწმდება.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005.

ც.ბ.

სალტე // საკუდე (ხევს.)// **თალა** (მთ. გუდამაყ.)// **ზალტე** (თუშ., ფშ.) — უნაგირის საჭერი თასმა. 2. თხილის ან შვინდის ტოტებისგან შეკრული ნრე, რომლითაც ამაგრებდნენ ყველის დიდ კასრებს.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხის ჭურჭელი, 1988.

სალუდე — საგანგებო ნაგებობა საქართველოს მთიანეთში, სადაც წარმოებდა ლუდის დადუღება. სალუდეში ინახებოდა ყველა ის ინვენტარი, რომელიც საჭირო იყო ამ პროცესის წარმართვისათვის. სალუდე ხატის კომპლექსის ერთ-ერთი საკრალური ნაგებობაა (ხევს). იგი შედის ისეთ სარიტუალო ნაგებობათა რიგში, როგორიცაა დარბაზი, საზარე, ბეღელი.



ე.ნ.

სამანდრო — „ელვარე საჭურველი", თვალ-შეუდგამი. ნმინდის გიორგის: „შემოსილ ხარ ჯაჭვითა სამანდროთა და მორტყმულსა სარტყლითა ოქროსათა"(საბა). როგორც ჩანს სამანდრო ძვირფასი ლითონებით ან ძვირფასი ქვებით მორთულ-შეჭედილი ჯაჭვის პერანგების ნაირსახეობაა. იმერეთის მეფე ალექსანდრის III-ის ჯაჭვის პერანგი სამანდრო ჯაჭვია.

ლიტ.: სულხან საბა, ლექსიკონი. ტII. 1993.

მ. ქ.

სამანი — საზღვარი, სანიშნობელი, რომლითაც გამოყოფილია სხვადასხვა პირთა, თემთა და სოფელთა მიწები. ძირითადად წარმოადგენდა ქვისა და ხის სამიჯნო სვეტებს. შუაფეოდალური ხანის საქართველოში ასეთი სამანების კლასიკური ნიმუშია სტელები, რომლებზედაც გამოსახულია „ხელები" — ფეოდალის საკუთრების სიმბოლო. საგლეხო მიწათმფლობელობაში სამანი უაღრესად გავრცელებული ნიშანია.

ე. ნ.

სამანქანი – ჯაჭვის პერანგის ნაირსახეობა. „სამანქანი არს ჯაჭვის თვალი მრგვალი სამ-ფარეშოსანი, შიგნით ნიკარტოვანი, რბილი, გარდაგრეხით ძნიად გასატეხი."(საბა). სამანქანური ჯაჭვი ყველაზე საუკეთესო ჯაჭვთა რიგს განეკუთვნება, მისი ყოველი რგოლი (ჭიკუ) ფარეშიანია (დამოქლონებული). სამანქანური ჯაჭვი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს მთიანეთში, ხევსურეთსა და სვანეთში უკანასკნელ დრომდე იყო შემონახული, ასეთი ჯაჭვის პოპულარობა ხევსურულ პოეზიაშიც აისახა „ჯაჭვმა თქვა სამანქანურმა, ქაჯმა ამასხა თითითა" და სხვა. (იხ. ჯაჭვის პერანგი).

ლიტ.: კ. ჩოლოყაშვილი — „ქართული საჭურველი ჯაჭვი". სსმმ,ტ.XIX B. 1956. *სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. .II, 1993.*

მ. ქ.

სამარე – მიცვალებულის სამარხი ადგილი. საბას განმარტებით, „მარი" აღნიშნავს ხის საწყაოს. ადვილი შესაძლებელია, რომ შემდგომში მის სახელი გავრცელდა იმ ხის ჭურჭელზე, რომელსაც მიცვალებულის ჩასასვენებლად ხმარობდნენ და ადგილს, სადაც მიცვალებული იმარხებოდა, ეწოდა სა-მარე, ხოლო სასაფლაოს სამაროვანი.

ე. ნ.

სამართი — ნისქვილის ქვების მოსაყვანი ოთხკუთხად გათლილი ხის იარაღი. სამართი არის ორმხრიანიცა და ცალმხრიანიც. შავ ფორმაში გამოჭრილ ქვაზე სამართს დაატრიალებენ, სადაც იმისი გადაქნილი ბოლო მოედება, იმ ადგილს აიღებენ სათლელით, მანამდე სანამ, სამართი ქვაზე ერთი მობრუნებით თავისუფლად არ დატრიალდება. სამართის ორივე მხარე გამოიყენება ქვის გასათლელად. მის ზედაპირს მამალი ქვის ქვედა პირი მოჰყავს, ხოლო ქვედაპირს დედალი ქვის ზურგი.

ე. ნ.

სამარილე//ქუბდე (ფშ. ხევს.) — მარილის ჩასაყრელი ხის ნაირნაირი ყუთები, რომლებიც გამოირჩევიან განსაკუთრებული კონსტრუქციებითა და სანიმუშო ესთეტიკური შემკულობით. სამარილეების საუკეთესო ნიმუშები შემოინახა აღმ. საქართველოს მთიანეთმა. მარილი, როგორც ძვირფასი პროდუქტი საჭიროებდა მომჭირნეობით ხარჯვას და მისი დაცვის აუცილებლობა კარგად აისახა ამ ჭურჭლის აგებულებაში. ხის სამარილეების უმრავლესობას გააჩნია კედელზე ჩამოსაკიდი თოკები, თასმები და მჭიდროდ დამაგრებული სახურავები, რომლებიც მოხერხებულად იკეტება და პიგიენის თვალსაზრისით კარგად არის დაცული. ასეთ სამარილეებს ძირითადად მარილის შენახვის ფუნქცია ჰქონდათ და არა სუფრაზე სახმარი. მარილის, როგორც ძვირფასი და ძნელად მოსაპოვებელი პროდუქტის მნიშვნელობა კარგად აისახა სამარილეთა შემკულობაში, რაც ბრწყინვალედ გამოხატა ხალხურმა ხითხუროობამ.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ე. ნ.

სამასრე//საკვესი//ქირუბი(ქართ.)//**საკფაიები**(კახ.)// **სა-ქილე** (იმერ.)// **გულთათები** (გურ.) — ჩოხის გულისპირზე დაკერებული რამდენიმე ნაწილიანი მასრების ჩასაწყობი ჯიბე. ჯიბის ნაწილთა რაოდენობა სხვადასხვა იყო. ამას აპირობებდა როგორც შიგ ჩასაწყობ მასრათა რაოდენობა, აგრეთვე ჩოხის ფორმაც. ძველებურ ჩოხებზე მასრათა რაოდენობა არცთუ ისე დიდი იყო, შემდგომში ჩერქეზული ტიპის ჩოხაზე მათი რიცხვი 20-მდეც

ადიოდა, ყარაჩოღულ ჩოხაზე კი ამ საჯიბეს მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობა ჰქონდა და სხვათაგან განსხვავებით ცერადაც იყო მიკერებული. ძველად სამასრეს გარშემო შემოაკერებდნენ ჭრელად მოქსოვილ ზონარს — ჩაფარიშის მერე კი ყაითანს. ზოგჯერ მათ ნაცვლად სირმასაც იყენებდნენ.

ლიტ.: მსშხი, ტ.III, ნაწ. I, 1983. ც. ბ.

სამატი — შოლტებისაგან დაწნული ტყავი, რომელიც რვიანივითაა გამოყვანილი და მისი მეშვეობით ურმის ან სახნისის თავი ებმება უღელს.

ე. ნ.

სამაქნელი — ქვის ასაწევი ბერკეტი. ყოფაში დამოწმებულია ნისქვილისა და ხელსაფქვავი ქვების ასაწევად. სამაქნელის ჰორიზონტალურად დადებული მორი ერთი ბოლოთი დაკიდულია მხრებიან ასაზიდზე და ის მხრები ქვის საბჯენებზეა დაყრდნობილი. მხრის აწევას იოლად ახერხებენ პირწამახული „კეტის ადებით" და მხარქვეშ იმ სისქის სოლებს უყენებენ რა სიმაღლეზედაც სურთ სამაქნელის მეორე ბოლოზე დაბჯენილი ქვის აწევა.

ე. ნ.

სამაჯე – სახელოთა ბოლოში ნასაკერებელი პატარა, ბრტყელი და ორპირი ნაწილი. შეუხსნელი ან შეხსნილი და ღილებით შესაკრავი. ამზადებენ კაბის ან ზედატანისათვის განკუთვნილი მასალისაგან, რომელიც ხან ბამბის ქსოვილისაა, ხან კი ქიშმირისა და აბრეშუმის.

ც. ბ.

სამაჯური//დასტანაგი//სალტე//ბრასლეტი — მაჯის სამკაული. სულხან-საბა „დასტანაგს" განმარტავს, როგორც ქალთა სამკლავეს, „სალტეს" კი ქალთა მაჯათა სამკაულად, რომელიც მზადდებოდა ძვირფასი ლითონებისაგან.

სამაჯურის აღმნიშვნელი ძველი ქართულ ტერმინი — „სალტე", დღემდე შემორჩენილია საინგილოში. სამაჯური შეიძლება იყოს მასიური, ღრუ, სახსრიანი, ინკუსტრირებული, გავარსით შემკული, მომინანქრებული და სხვა.

ადრეანტიკური ხანის საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვანაირად შემკული აქემენიდური სტილის ზურგშედრეკილი სამაჯურები. ეს სტილი ირანიდან გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც. გვიანანტიკური ხანიდან გვხვდება სახსრიანი სამაჯურები. შუა საუკუნეებში საქართველოში ძალიან პოპულარული იყო ტიხრული მინანქარი და სამაჯურებს ხშირად ტიხრული მინანქრით ამკობდნენ. ვერცხლის სამაჯურებს რთავდნენ როგორც ფერადი თვლებით, ისე გავარსით. ამ ტიპის სამაჯურებს ბოლო დრომდე ამზადებდნენ დაღესტნელი ოქრომჭედლები. კავკასიაში ვერცხლის ფილიგრანული სამკაულებით და, მათ შორის, სამაჯურებით განსაკუთრებით განთქმული იყო საქართველო. შემკულობის გარდა სამაჯური ისევე, როგორც ბეჭედი, ყელსაბამი, გვირგვინი და დიადემა წარჩინებულობის ნიშნად, ინსიგნიად ითვლებოდა ძველ სამყაროში.

ლიტ.: ი. გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981. ლ. სოსელია, ოქრომჭედლობის შესწავლისათვის მესხეთში, კრ. მესხეთ-ჯავახეთი, 1972.

მ. ბ.

სათაური – თავის დასაჭერი აღვირი

სამზარეულო//სამზადი – საჭმლისა და სხვადასხვა კერძეულის მოსამზადებელი ადგილი. ზოგჯერ სახლის კომპლექსშია განთავსებული, ზოგჯერ ცალკე შენობას წარმოადგენს. დიდ სასახლეებს, როგორც წესი, ცალკე, ვრცელი სამზარეულოები ჰქონდათ. ასევე ცალკე სამზარეულოები გააჩნდათ მონასტრებს (სატრაპეზოებს). ეთნოგრაფიულ ყოფაში სამზარეულოს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ძირითადად ასეთი ობიექტი მოწყობილი ჰქონდათ სახლის პირველ სართულზე, სადაც ენერგიის წყაროსთან ერთად (შუაცეცხლი, ბუხარი, ღუმელი, გაზის ქურა) განთავსებულია განჯინა-თაროები, კარადები — ჭურჭლის, სანელებელთა და სხვადასხვა სამზარეულო იარაღებისათვის. ეთნოგრაფიულ ყოფაში შეძლებულ ოჯახებს ძველადაც და შემდგომაც სამზარეულო სახლები განცალკევებით ჰქონდათ აგებული. ქართული სუფრის მრავალფეროვანი ხასიათი აპირობებდა სამზარეულო სტრუქტურის სირთულეს. სამზარეულოს

ხალხური საექიმო ირაღლები











სავარძელი

პრაქტიკულის გარდა გააჩნდა ესთეტიკური დანიშნულება, რაც გამოკვეთილი იყო მისი ინტერიერის ზოგად გაფორმებაში.

ე. ნ.

სამთვალა — ხის ორიგინალური სასმისი, რომელიც წარმოადგენს სამ ერთმანეთზე მიკრულ განყოფილებას, რომლებიც შიგნით გახვრეტილია და სმის დროს სასმელი ზიარი ჭურჭლის პრინციპით ორიდან ერთ განყოფილებაში გადაედინება. სამთვალას განვითარებული და დახვეწილი ტიპია თიხის მარანი (იხ. მარანი თიხისა). საქართველოს მთიანეთში სამთვალას იყენებდნენ სარიტუალო დღესასწაულების დროს. სამთვალას მსგავს სასმისს რაჭაში კვატუში ერქვა.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

სამკლაური ტყავისა — გამოიყენებოდა სამეურნეო საქმიანობის დროს. ტყავის სამკლაურის დამზადება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა. მას წვრილფეხა საქონლის ტყავისაგან ამზადებდნენ. შესაკერად ადრე ტყავის თასმებს იყენებდნენ. ბოლო ხანებში კი ძაფით ან ბანრით კერავდნენ. სამკლაურს მესაქონლე ხალხი, უფრო მეტად მეცხვარეები ხმარობდნენ. გარდა ამისა, იყენებდნენ მჭედლები, გუთნისდედა და დურგლები.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური ნესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

სამკვდილი — მკელის ტყავის ნინსაფარი. ყანის მკის დროს მომკელი იკეთებს სამკვდილს გულზე, მხრებსა და მკლავებზე, რომ ნამჯამ არ შეანუხოს. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში სამკვდილი მხოლოდ ქიზიყში დასტურდება. მსგავსი ნინსაფარი სხვა ხალხთა ყოფაში არ ჩანს. ქიზიყში ტყავის სპეცტანსაცმლის არსებობას აპირობებდა მეცხოველეობის განვითარების მაღალი დონე, ტყავის დამუშავების საქმის ცოდნა-გამოცდილება. სიღნაღის რაიონში თავმოყრილი ყოფილა ჭონების დიდი რაოდენობა. სამკვდილის ტყავს თრიმლის (იხ.) საშუალებით ამუშავებდნენ. მასალად იყენებდნენ თხის, ცხვრისა და ხბოს ტყავს. სამკვდილი ერთი მთლიანი ტყავისგან შედგებოდა. მას წელზე მიკერებული ჰქონდა ტყავის ფუნჯები, ზედ ჰქონდა მიბმული სამაჯურები, საოფლე, სათითე და მუშა. სამკვდილს ჩაცმის წინ და მუშაობის დასრულების შემდეგ ცხვრის ქონით პოხავდნენ. მკელი მის შიგნით ან არაფერს, ან პერანგს იცვამდა. შეკერვის დროს ნაბალნევი მხარე შიგნით უნდა მოჰყოლოდა ოფლის სანინააღმდეგოდ. იკერება ორი ტყავისგან: ერთ ტყავს შუაზე საყელოს ამოულებდნენ ისე, რომ ნახევარი ტყავი უკან მოექცეოდა და მხრებსა და ბეჭებზე ეფინებოდა, მეორე ნახევარი გულს უფარავდა, სიგრძივ წელის არეში (საქამრეზე) მიაკერებდნენ ტყავს, რაც მუცელსა და ბარკლებს დაუფარავდა. სამკვდილს მარჯვენა ხელისათვის მიკერებული ჰქონდა სამკლავე. იგი გაუკერავია ხელის მოხრა რომ არ შეუშალოს მუშაობის დროს, მარცხენა ხელის მაჯაზე შემოხვეული აქვს ტოლაღი, რომ ნამჯამ მაჯა არ „შეუჭამოს“.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური ნესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

სამკერდული// სამკედური (ქართ.) — საჯდომი ცხენის აღკაზმულობის ნაწილი. იგი ყელისა და გულ-მკერდის სამკაულია. წინა მოსართავზე გამობმულია ტყავის თასმა, რომელიც წინა ფეხებშუა გამოდის და მკერდთან ორ ტოტად იყოფა, სადაც ეკიდება ვერცხლის ბალთა, ორივე ტოტი ყელის მარჯვენა და მარცხენა მხარესაა ამოტარებული და ტახტზე დამაგრებული. მკერდის შემკულობა შეიძლება ყოფილიყო ვერცხლისა, რაც დამოკიდებული იყო ქონებრივ და წოდებრივ მდგომარეობაზე.

ნ. ჯ.

სამკვრე – კვარის დასადები ლითონის ნივთი სახლის გასანათებლად. ამზადებდნენ გრეხილი ლითონისაგან. (იხ. ლამტვარალი).

სამკლავე – 1. მკლავზე წამოსაცმელი, სახელოს მოყვანილობისა, იდაყვიდან თითებამდე სიგრძის. მოქსოვილი ან ნაჭრისგან შეკერილი. იყენებდნენ ზამთარში მკლავების გასათბობად. სამკლავე სვანეთსა და ხევსურეთში საპირესა და სარჩულს შორის ბამბაფენილი და საპირეზე დალიანდაგებულიც უნდა ყოფილიყო. ხევსურული სამკლავე შეხსნილია და ღილებით შესაკრავი. ამასთან, იგი შემკობის მხრივაც გამორჩეულია. კერძოდ, შალისა თუ აბრეშუმის ძაფებით შესრულებულ ნაქარგში ჭარბად იყო გამოყენებული საქართველოს მთის ზოლისათვის ტიპური გეომეტრიული ჭრელი, აგრეთვე გაფორმების აპლიკაციის ნესიც — ფერადი ქსოვილის პატარა ნაჭრებით მორთვას ითვალისწინებდა.



2. სამხედრო შეიარაღებიდან მკლავის დასაცავი ლითონის ფირფიტა. მას იყენებდნენ აგრეთვე ფარიკაობის დროს. (იხ. ხელკავი)

ც. ბ.

სამოსი//სამოსელი//შესამოსელი//ჩასაცმელი//ტალავარი// (ხევს. ფშ. ხევი) — ქალისა და მამაკაცის ჩასაცმელის ზოგადი სახელწოდება. ძველთაგანვე ცნობილი იყო სადიაცო და სამამაკაცო სამოსელი, თუმცა მათ შორის სხვაობა არცთუ დიდად ყოფილა შესამჩნევი და სახელწოდებანიც საერთო ჰქონიათ (კაბა, ჩოხა, ქათიბი, პაჭიჭი, ნინდა და სხვ.). ძველ საქართველოში „მდაბიური"-სა და „შეურაცხადი"-ს საპირისპიროდ გვხვდება „პატიოსანი" და „უმჯობესი" შესამოსელი.

ტანსაცმელი სეზონის მიხედვითაც ირჩეოდა და კვირის დღეების მხრივაც. ეკლესიაში წასვლის ჟამს წამოისხამდნენ ლამაზ ხირღას და ბატონთან მისვლისას კი—ქათიბს. შინ პურის ჭამისას ქუქუნაკი ან ქურქი სცმიათ. ფეხზე საგარეოდ მოიხმარდნენ ნითელ ან მწვანე, მაღალ მაშიებს, შინ კი ქოშებს. თუ ჩვეულებრივ დღეებში ჩით-ლაინის ტანსაცმელი ეცვათ, შაბათ-კვირას ატლასის ან სხვა ძვირფასი ქსოვილებისა.

ადრეულ პერიოდში არსებობდა წოდებისა და სოციალური მდგომარეობით გამორჩეულ პირთა სამოსელი, თუმცა ფორმისა და მოყვანილობის მხრივ ქართული ჩაცმა-დახურვა სხვადასხვა წოდებაში ბევრი არაფრით განსხვავდებოდა. საქართველოს ზოგიერთი კუთხისათვის დამახასიათებელი იყო სხვადასხვა სტილის ჩაცმულობა. მაგალითად, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო მამაკაცის ორიგინალური ტანსაცმელი „ჩაქურა", აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში—ხევსურეთში გავრცელებული იყო მამაკაცის დაქარგული ელემენტებით შედგენილი „ტალავარი". ცალკე იყო ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ტყავის ტანსაცმელი—სამკვდელი (იხ), რომელსაც მკის დროს იცვამდნენ. ძველთაგანვე ერთმანეთს ემიჯნებოდა საშინაო და საგარეო დანიშნულების ტანსაცმელი. ეს უკანასკნელი დაძველებისა ან მოდიდან გასულობის გამოც საშინაო ხდებოდა. ჩვეულებრივ მიღებული ჩასაცმელიდან გამოყოფილი იყო სარიტუალო ჩასაცმელიც, რომელთა შორის სახელდებოდა როგორც საქორწინო, ისე სამგლოვიარო და მიცვალებულის საფლავში გასატანებელი სამოსელიც.

ტანსაცმლის ყოველი ტიპის ერთიან შემადგენლობაში შედიოდა როგორც ზეითი (ზედა) და ქვეშითი (ქვედა), ისე საცვლებიც. მართალია, სამოსელის ზოგადი ტერმინებიდან ბოლო დრომდე „ტანსაცმელი" შემოგვრჩა, მაგრამ მასში იგულისხმება როგორც თავსაბურავი, ისე ფეხსამოს-ფეხსაცმელებიც.

იტ.: ი. ჯავახიშვილი, მქემკი, III-IV, 1962.

ც. ბ.

სამოვარი — ჩაის დასაყენებელი ხელსაწყო. საქართველოში ჩაის დამკვიდრების შემდგომ გავრცელდა სამოვრის გამოყენების კულტურა, რომელიც რუსეთიდან შემოვიდა. სამოვრის გამოყენებამ ფართოდ მოიკიდა ფეხი საქალაქო ყოფაში, განსაკუთრებით საზეიმო შეკრებებისა და საოჯახო დღესასწაულების დროს. XIX ს. „ჩაიზე დაპატიჟება" ერთგვარ მოდურ გატაცებად იქცა, რამაც წინ წამოსწია სამოვრის მოხმარების კულტურა. საუკეთესო სამოვრები საქართველოში შემოდიოდა რუსეთის ქალაქ ტულიდან.

ე. ნ.

სამრელო // სამირეული — ხევსურეთში გავრცელებული ნესის მიხედვით, თვიურის ან მშობიარობის დროს ქალი გადის ცალკე, სახელდახელოდ ნაგებ შენობაში და უაღრესად ძნელ პირობებში ატარებს ამ განსაცდელიან

დროს. ოჯახის წევრები საჭმელსა და წყალს აწვდიან მორიდებით, რათა ისინიც არ გაუწმინდურდნენ. ამ ვითარებაში მყოფი ქალის სამყოფს ეწოდება სამრელო.

ე. ნ.

სამსჭუალი//სამჭვალი – ლურსმნის ძველ ქართული სახელწოდება. სამსჭვალები ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანის მასალებში გეხვდება. ანტიკური ხანის ძეგლებში აღმოჩენილია ძელებითა და მასიური რკინის სამსჭვალებით შეკრული სამარხი ნაგებობები. საგულისხმოა, რომ საქართველოში ინახებოდა ის სამსჭვალები, რომლითაც იესო ქრისტე იყო მილურსმული ჯვარზე.

ე. ნ.

სამტკიცი — წმინდად მოქსოვილი საცერი. სამტკიცით გაიცრებოდა სარიტუალო პურ-ნამცხვრის ფქვილი.

სამურველი – რკინის დაკბილულპირიანი ცხენის საწმენდი, „ცხენთ საფხანი", რომელსაც აქვს ხელის მტევნის გასაყრელი.

სამუხველი (იმერ.) //**ელაიშთე** (სამეგრ.)//**ოგვადო** (გურ.) — აბრეშუმის პარკიდან ძაფის ამოსახვევი ხელსაწყო. ძაფი სამუხველზე იხვეოდა ცხელ წყალში ჩაყრილი აბრეშუმის პარკებიდან. სამუხველი შედგებოდა ბოლოში ვიწრო და შუაში ბრტყელი ფიცრის — „მკლავისა" და ორკაპა ჯოხისაგან. „მკლავი" თავისი ბრტყელი ნაწილით დამაგრებული იყო ორკაპა ჯოხზე. მკლავის ერთ-ერთ მხარეზე გამობმული იყო ძაფი. „მკლავის" ორკაპა ჯოხზე ჩამოდების შემდეგ მარჯვენა ხელით იწყებოდა ძაფის ჯვარედინად დახვევა მკლავის ორივე მხარესა და ორკაპა ვერტიკალურ ჯოხის ნაწილებს შორის. დას. საქართველოში (იმერეთი) სამუხველი ბამბის ძაფის ამოსახვევადაც იყო გამოყენებული.

ლიტ.: ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, 1957.

ლ. მ

სამუხლე – მუხლის ერთგვარი საფარი. იქ, სადაც პაიჭს (იხ.) ხმარობდნენ, სამუხლეც გამოიყენებოდა. ძირითადად პაიჭის დასამაგრებლად და მუხლის სიცივისგან დასაცავად. ძველად სამუხლე ბეწვგაუცლელი ტყავისგანაც უმზადებიათ. ტყავის დამუშავების განვითარებასთან ერთად სამუხლე ბეწვგაცლილი ტყავით შეიცვალა. სამუხლეს ერთი მტკაველის სიგრძე-სიგანის ტყავის ნაჭრისგან ამზადებდნენ. მას ორწვერი მოკლე თასმა აქვს გამობმული და მუხლს უკან იკვანძება. „როცა ჩვენებური მწყემსი ყიზლარში ზამთრობით ცხვარს მოსდევდა, აუცილებლად სამუხლეს იკეთებდა" (სტეფანწმინდა).

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

სამფეხა თიხის — სხვადასხვა ზომის ზედადგარი, საგანგებოდ გამოძერწილი და გამომწვარი თიხის სამფეხა იხმარება ქურაში გამოსანთვავად შეწყობილი მოჭიქული ფიალის, ჯამის, ორჯამიანის და ბადიის ფსკერზე დასადებად, რათა ერთმანეთში ჩანყობილმა ჭურჭელმა სრული გამოწვა მიიღოს. საქართველოში თიხის სამფეხის დამზადება დასტურდება ქართლში, კახეთსა და იმერეთში- სადაც მას „ბორჭყას" ეძახიან. სამფეხა პატარა ზომისაა, რათა ჯამის ფსკერზე კარგად მოთავსდეს. მოჭიქული ჯამები მათ გარეშე ერთმანეთში არ ჩაიწყობა. ჯამში ჯერ ზედადგარი ჩაიდგმება და მის ზემოდან მოქცეული მეორე ჯამის ძირი ზედადგარს დაეყრდნობა (ჯამების ძირი მოუჭიქავია). სხვა ჯამების დაწყობაც (დაახლოებით 10 ერთეული) ამ წესით გრძელდება. სამფეხას წყალობით ჯამებს ცეცხლი კარგად უვლის და თან იცავს მათ ერთმანეთზე მიკერისგან.

საქართველოში გავრცელებული სამფეხას ტიპის ნიმუშები აღმოჩენილია კაპადოკიასა და ხერსონესში. ისინი ზუსტად იმეორებენ საქართველოში დადასტურებული სამფეხა – ზედადგრების ფორმებს.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, 1949. ს. ბედუკიძე, მოჭიქული ჭურჭლის ნარმოებისათვის, მმ, 1953.

მ. ზ.



სამჭედლო//სამჭედური(იმერ.) — სამჭედლო სახლი, ნაგებობა, ქოხი, სადაც ხელოსანი მჭედელი წარმართავს საქმიანობას. ერთი სამჭედლო ყველა სოფელში ფუნქციონირებდა და თითქმის XX ს-ის შუა ხანებამდე შემოინახა თავი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. „სამჭედლო ქოხს“ აქვს ფართო სარკმელი („დარაბა“). შუა ადგილას გამართულია სამჭედლო ქურა საბერველითა და ყველა საჭირო ინვენტარით (გრდემლი, საწრთობი, წყლის ჭურჭელი გეჯა // როფი, მანგანა, ხელკეკერები, მარნუხები, ურო სხვადასხვა ზომის, სანახშირე გოდორი). კედლების გასწვრივ გამართულია თაროები სხვადასხვა იარაღისა და აქ გამოჭედილი მზა ნაწარმის დასაწყობად. სამჭედლო ქოხი ან ფარდული გამართული იყო, როგორც წესი, თვალსაჩინო ადგილას — სამიმოსვლო გზასთან, თემშარასთან, გზაჯვარედინზე, სოფლად — ცენტრში, მაგრამ საცხოვრებელი სახლებიდან მოშორებით, ცეცხლისა და შესაძლო ხანძრის თავიდან ასაცილებლად.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1953. ნ. რეხვიაშვილი, ქართული ხალხური მეტალურგია, 1964.

ა. გ.

სამჭიდობელი — ურმით თივის წაღებისას თივაზე ზემოდან გადაკრული ხის გრძელი ტოტი ან ლარტყა, რომლის ერთი თავი ურმის წინა საბანდშია ამოტარებული, ხოლო მეორე უკან კოფოზეა ბაწრით დამაგრებული. სამჭიდობელი კარგად აკავებს ურემზე დადგმულ თივას.

ე. ნ.

სანაურე—თიხის მოზრდილი ჭურჭელი, რომელშიც აგროვებდნენ მორჩენილ ღვინოს.

სანახი//სელი — კანაფის გაძენძილი თოკი, რომელსაც ხევსურები ხმარობდნენ ჭრილობის მოსაბანად და საფენად. მარილწყალში დაალბობდნენ და ჭრილობაზე დაადებდნენ, რაც აჩერებდა სისხლს, ახდენდა დეზინფექციას, მარილი კი კუმშავდა ჭრილობას. მარილიანი სელის ამოღების შემდეგ ექიმი ჭრილობას „კარაქმდნარით“, ერბოთი ან თაფლით გაპოხილი გაჟღენთილი სელით გატენიდა. ექიმი სელს ჭრილობაში ორი-სამი დღით დატოვებდა და შემდეგ ამოიღებდა.

ლიტ.: ნ. მინდაძე ქართული ხალხური მედიცინა. 1981.

ე. ნ.

სანაყი//როდინი (ქართლი, იმერ., სამცხე-ჯავახ.)//**ფილი** (კახ.)// **ქვიჯა// ქვეჯა//ჩუგა** (გურ.სამეგრ.)//**სანივრია//ყუნჭი**(ხევს.) — როგორც მეტალის, ასევე ხისა. საქართველოს სოფლებში ძირითადად ხის სანაყები იყო გავრცელებული. სანაყები მასში ჩასანაყი პროდუქტის შესაბამისად იყო სხვადასხვა მოყვანილობის. ჩვეულებრივი ზომის სანაყი-როდინები ფართოდაა გამოყენებული სამზარეულო საქმიანობაში. იგი წარმოადგენს მაგარი ხისგან გაკეთებულ წელვიწრო და ფართოპირიან ჭურჭელს, რომლის ძირი მყარია და მასიური, ხანგრძლივ ნაყვას რომ გაუძლოს. სანაყის პირში იყრება დასანაყავი პროდუქტი და ინაყება ხელში კარგად ჩასაბღუჯი ბუნებრივი მოგრძო რიყის ქვით ან ხის კაკვით. სანაყი პრეისტორიული ხანიდან გამოიყენებოდა მარცვლეულის დასაქუცმაცებლად, რომელმაც შემდეგ განვითარება პოვა დიდი ზომის საცეხველებში (იხ.).

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ე. ნ.

სანდალი – ლაზური აფრებიანი ხომალდი, რომლის აგების ტრადიციები XIX ს. ბოლომდე შემორჩა ლაზეთის მოსახლეობაში. დაახლოებით 35-40 მეტრის სიგრძის ხომალდია, რომელსაც რამდენიმე ათასი ფუთი ტვირთის გადატანა და სამასამდე კაცის გადაყვანა შეეძლო. ჰქონდა ორი ანძა (იშვიათად სამანძიანიცაა), სანდალას კიჩოზე საგანგებოდ ყრიდნენ ქვებ,ს ცხვირი რომ აენია და სწრაფად ეცურა.

ლიტ.: კუტალეიშვილი, ზღვაოსნობა საქართველოში, 1987.

ე. ნ.



საზარე



სათაურა

სანდლი — თხელლანჩიანი და ტყავის თასმებიანი ფეხსაცმელი, რომელიც წვივებზე მაგრდება ამ თასმების მეშვეობით. მოგვიანებით სანდლებს შესაკრავად გაუჩნდათ ლითონის აბზინდები.

ე. ნ.

სანერგბილო (ხევს.) — მიცვალებულთა სულებისთვის განკუთვნილი სარიტუალო დოღის დროს გამომცხვარი ხავინისგულიანი მრგვალი პური, რომელიც მხედარს ეძლეოდა. სანერგბილოს მხედარი ორ ნაწილად გაჭრიდა, ნახევარს ცხენის მომრთველ ქალს მისცემდა, ნახევარს თვითონ დაიტოვებდა.

ლიტ.: დ. გიორგაძე, ერთი ტრადიციული ჩვეულება აღმ. საქართველოს მთიანეთში, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. II, 2003.

ე. ნ.

სანთელი – აქ: სარიტუალო სანთელი. საუკეთესოა თაფლის გამოწურვის შემდეგ დარჩენილი ცვილისგან დამზადებული. შუაში ბამბის ძაფის პატრუქით, რომელიც ინვის. ეკლესიის სწავლებით, როგორც ყველაზე სუფთა ნივთიერება, ნიშნავს მორწმუნეთა გულწრფელობასა და სიწმინდეს. როგორც რბილი ნივთიერება, აღნიშნავს მორწმუნის მორჩილებასა და მზადყოფნას ცოდვების მონანიებისთვის, ასევე მორწმუნის არსის განწმენდას ღვთიური ცეცხლით. როგორც მრავალი სახის ყვავილისგან შეკრებილი, აღნიშნავს ყველა ქვეყნის ქრისტიანთა შესანირს. სანთელი ნიშნავს სულიწმინდის მადლს, და ბოლოს, ნივთიერებას, რომელიც ინვის და იძლევა სინათლეს, ამ თვისებათა გამო სანთელი საუკეთესო შესაწირია ღვთისადმი. ცვილისა და ზეთის ქურდობა ისჯებოდა ეკლესიიდან განკვეთით. დიდო ზომის სანთელს კელაპტარი ჰქვია.

ლიტ.: მართლმადიდებლური მცირე ლექსიკონი, 2002. მოკლე განმარტება ლიტურლიისა, შეკრებული დეკ. გრიგოლ მანსვეტოვის მიერ. ჩყნბ წელსა.

ხ. ც.

სანთური — აღმოსავლური სიმებიანი დასარტყმელი საკრავი. ტრაპეციის ფორმის ხის კორპუსიანი, რომელიც ერთმანეთთან მიწებებული ფირფიტებით კეთდება. ტრაპეციის ფუძის გვერდების სიგრძეა 73 და 32სმ, სიმაღლე 27 სმ, გვერდების სიგანე 12 სმ. ზემოდან გაკეთებული აქვს სარეზონანსო ნახვრეტები, განლაგებული ვარსკვლავისებურად. სიმები ლითონისაა და გაბმულია ტრაპეციის ფუძის პარალელურად. სიმები ერთ, ორ და სამგუნდიანია. თითოეულ ჯგუფში შემავალი უნისონურად ინყობა. სიმების ჯგუფები ეყრდნობა ჯორაკებს, რომლებსაც გადააადგილებენ საჭიროების მიხედვით. სიმების რაოდენობაა 16-დან 24-მდე, წყობა ქრომატიული. დიაპაზონი ორ ოქტავამდე. აუღერება ხდება ხის მსუბუქი ჯოხების სიმებზე დარტყმით.

დაკვრის დროს საკრავი უდევთ მუხლზე ტრაპეციის დიდი ფუძით მუცელზე მიყრდნობილი. სანთური გამოიყენება სოლოდ, მაგრამ, როგორც წესი, იგი საზანდარის — აღმოსავლური ინსტრუმენტული ანსამბლის მონაწილეა. სანთური გავრცელებულია აღმოსავლურ ქვეყნებში, საქართველოში, კერძოდ, თბილისში, შემოვიდა საზანდართან ერთად.

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა, ქუთაისი, 1925.

სანიჭარი – 1. ქორწილში შესაწევარი. 2. საერთოდ შესაწევარი, საბოძვარი.

3. (მესხ.) შრომითი დახმარება გასამრჯელოს გარეშე (უკაცო ოჯახისათვის, რაიმე უბედურებისა თუ სხვა გაჭირვების შემთხვევაში, ოჯახის უფროსის ავადმყოფობის დროს და სხვა). თუ ოჯახი მუშახელისა და გამწევი ძალის უქონლობის გამო ვერ ერეოდა რომელიმე საშურ საქმეს (მოსავლის აღება, გადაზიდვა და სხვა), მღვდელი გადასძახებდა სოფელს და შეატყობინებდა ამის შესახებ. „წინაპირი" ხალხი სასწრაფოდ შეიკრიბებოდა და მოეხმარებოდა ოჯახს ამ სამუშაოს შესრულებაში (ს. მუსხი). ოჯახი, რომელსაც ეხმარებოდნენ, შეძლებისდაგვარად უმასპინძლდებოდა დამხმარეებს. თუ სანიჭარი ძალიან გაჭირვებულ ოჯახს ეხმარებოდა, ყველა მონაწილე აგროვებდა სანოვაგეს და თვითონვე აწყობდა ვახშამს. შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა იგივეა, რაც სამადლოდ დახმარება (ერწო-თიანეთი), შებრალებით შველა (მთიულეთი), შემწეობა (გურია), შენნოობა (სამეგრელო).

ლიტ.: ლ. ბერიაშვილი, მინათმოქმედება მესხეთში, 1973. ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953. ს. მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938.

თ. ვ.

საოსტიგნე – სამზარეულო, სასადილო სახლი ან ოთახი ბერმონაზვნურ კომპოზიციაში. ხშირადაა მოხსენიებული ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში, მოგვიანებით მასთან ერთად დამკვიდრდა „სატრაპეზო“.

ე. ნ.

საოფლე//სარბილობელი — ცხენის აკაზმულობის ნაწილი. ნაბადი. ეფინება უნაგირის ქვეშ შიშველ ზურგს ცხენის შეკაზმვამდე, ოფლის შესაშრობად და ცხენის ზურგის დაზიანებისაგან დასაცავად.

ნ. ჯ.

საოქრომჭედლო — ოქრომჭედლის სამუშაოდ განკუთვნილი სახელოსნო. საოქრომჭედლო სახელოსნოს სიდიდე მომუშავეთა რაოდენობაზეა დამოკიდებული. ის შეიძლება ძალიან პატარაც იყოს და შედარებით მოზრდილიც. დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სახელოსნოს ადგილმდებარეობასა და განთავსებას: ა) სახელოსნო გზის პირას უნდა მდებარეობდეს, ადვილად მისაგნებ ადგილას; ბ) სახელოსნო კარგად უნდა იყოს განათებული. პატარა საგნების მკეთებელს ზოგჯერ, ჩვეულებრივი თვალისათვის უჩინარი სამუშაოს შემსრულებელ ოსტატს, უსინათლო ადგილსამყოფელი არ გამოადგება. საქართველოს ერთ-ერთ დაწინაურებულ საოქრომჭედლო ცენტრში-ახალციხეში „ყვინჩებისა“ და ოქრო-ვერცხლის მჭედლების სახელოსნოები ერთმანეთის გვერდით იყო ჩამწკრივებული, ქუჩისაკენ ნათელი დარაბებით, პატარა ფიცრული შენობები, სადაც ხელოსნის მთელი საქმიანობა მიმდინარეობდა, ეს იყო ლითონის ჩამოსხმა, კვერვა, მოვერცხელა, მოოქროვება, რჩილვა და ა.შ.

ამავე დროს, სახელოსნო სავაჭრო დუქნის დანიშნულებასაც ასრულებდა. აქვე ხდებოდა დამზადებული ნივთების გაყიდვა. ხელოსანი დაბლა იჯდა დოშაკზე. წინ გამართული ჰქონდა დაბალი მაგიდა დახლივით, რომელზედაც განლაგებული იყო ხელსაწყო-იარაღები: სხვადასხვა ზომის ჩაქუჩები, ყალმები, მარწუხები, ქალაფთინი, ადიდა, ხიშტაკი თავისი ხოშებით, მაკრატელი, ჩიფთი (მაშა), ქლიბი, ზინდანები, სხვადასხვა სახის მანგანა, რიჯა, ფარგალი, თითბრის თარგები, ფჩა, დარიჯა, სიმქაში, რანდა და როვროვო, ორნამენტის გამოსაყვანი ბრინჯაოს ყალიბები და სხვ. ოქრომჭედელს თავისი მუდმივი საჯდომი ადგილის გვერდით მოწყობილი ჰქონდა ქურა — „ქორუგი“.

მ.ბ.

საოშუალო//ოშუალე — ჰორიზონტალური დაზგის ტიპი. შედგენილი იყო ოთხ-ოთხი ლატნით შეკრული ოთხი ბოძისგან. ზევით გადებულ ჯოხზე ჩამოკიდებული იყო ზინგი (დგიმი) და სავარცხელი. ზინგზე გამობმული იყო ორ-ორი თოკი. ქსოვისას თოკებზე, ფეხის გამოდებით, ძაფები თანმიმდევრობით ზევით და ქვევით აინევ-დაინეოდა. შესაბამისად მაქოც, ძაფების გახსნილ პირში მარცხნიდან მარჯვნივ და პირიქით იქნებოდა გატარებული. სავარცხლით ჩაბეჭილი ნაქსოვი თანდათან ეხვეოდა მრგვალ ჯოხზე. „ოშუალეზე“ იქსოვებოდა აბრეშუმის, შალის, ბამბის, სელის ქსოვილები. გამოთქმულია ვარაუდი, რომ „ოშუალეზე“ სელის ქსოვა, კოლხური სელის ქსოვის ტრადიციებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, რის შესახებაც ცნობებს გვაწვდის ისტორიის მამა — ჰეროდოტე.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, სსმმ, XVIII-B. 1954.

ლ. მ.

საპალნე — 1. საზომი ერთეული. XIX ს-ის მასალებით იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში საპალნის ოდენობა 8-10 ფუთს შეადგენდა (დაახლ. 147 კგ). უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა საპალნე განსხვავებული ზომის იყო. ცხენის, ჯორისა და ხარის საპალნე თითქმის ერთი სიდიდის იყო, ვირის საპალნე კი მათზე 2-2,5-ჯერ ნაკლები.

2. ტვირთი, პალანზედ ასაკიდებელი. ქართულად ნიშნავს ნაკს, კეხს, უნაგირს. ფართოდ იყო გავრცელებული მახლობელ და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. სიტყვა პალანი პირველად მოიხსენიება დაბადების ქართულ თარგმანში აქლემთან დაკავშირებით. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, საპალნე თავდაპირველად აქლემის ტვირთის აღმნიშვნელი ტერმინი უნდა ყოფილიყო, შემდგომში კი ყოველგვარი სახედარი საქონლის ტვირთის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა.

თბილისსა და მის შემოგარენში, XIX ს-ში, საპალნეში 336 ჩარექს, ანუ 42 ჩაფ ღვინოს ანგარიშობდნენ (აქაური ჩაფი 8 ჩარექიანი საწყაო იყო). აქედან ორი ჩაფი შემდგომ დამატებითია. კახეთში საპალნეში 30 ჩაფი ღვინო ჩადიოდა, აქაც ისევე როგორც თბილისში ორ ჩაფს ამატებდნენ და 32-ჩაფიანად ანგარიშობდნენ.

ლიტ.: ჯ. სონღულაშვილი, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის. გ. ჯაფარიძე, ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1974.

მ.ხ.

საპენტი//საპენტელა — ბამბისა და მატყლის საპენტი საშუალება. საპენტელას ხმარობდნენ როგორც დასავლეთის (იმერეთი, რაჭა, ლეჩხუმი), ისე აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში (ქიზიყი, კახეთი, ქართლი, მთიულეთი).

ლიტ.: მსხში, ტ. II 1982.

ლ. მ.

საპირისწამლე — თოფისწამლის (დენთის) სატარებელი ჭურჭელი. მზადდებოდა სხვადასხვა მასალისაგან. ვინაიდან საქართველოში ფითილიანი თოფები არ ინარმოებოდა, შესაბამისად, საპირისწამლეების დამზადების ისტორიაც კაჟიანი თოფების პერიოდიდან იწყება (XVII-XVIIIსს.). საპირისწამლეები კეთდებოდა ხის, რქის, თითბრისა და ვერცხლისაგან. ქართულ და კავკასიურ საპირისწამლეებს ძირითადად მოღუნული, რქისებური ფორმა აქვთ, არსებობდა აგრეთვე გულის ფორმიანი საპირისწამლეებიც. დენთის ჭურჭელს აქვს ძვლის ან რქის ხუფი საკეტით, რომელზედაც დამაგრებულია ძვლის საწყაო (ანუ ერთი დოზა დენთის საზომი, განკუთვნილი ერთი გასროლისათვის). გადმოპირქვავების შემდეგ, როდესაც საწყაო გაივსებოდა დენთით, საკეტით დახურავდნენ ხუფს, რათა ზედმეტი დენთი არ გადმოყრილიყო. საწყაოს ზომას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან დენთის დაკლების შემთხვევაში გასროლა არადამაკმაყოფილებელი იქნებოდა, ხოლო გადაჭარბების შემთხვევაში სავალალოდ დამთავრდებოდა.

მეიარაღე ხელოსნები, როდესაც დაამთავრებდნენ თოფის მორთვა-მოპირკეთებას, მისსავე დეკორატიულ გაფორმებას უკეთებდნენ საპირისწამლეებსაც, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა დენთის ჭურჭელი ცალკე მზადდებოდა, მათ ამ შემთხვევაში სადა მორთულობა ჰქონდათ.

თოფისა და დამბაჩის საპირისწამლეების განსხვავება, შესაბამისად მათ ზომებში გამოიხატებოდა, ხოლო დამზადების ტექნიკით თითქმის ერთნაირი იყო.

ლიტ.: მ. ქაფიანიძე, XV-XIX სს. ცეცხლსასროლი იარაღი, სამაგისტრო ნაშრომი, 2000.

მ. ქ.

სარაჯი//მეკეხე//მეყაიშე – უნაგირისა და ცხენის საკაზმის ოსტატი, სარაჯებს „შორნიკადაც" იხსენიებდნენ. ეს რუსული სიტყვაა და ნიშნავს მეუნაგირეს. XVIII საუკუნეში თბილისელი ხელოსნები უხვად ჰყიდდნენ ცხენის აღკაზმულობას, გარდა იმისა, რომ აკმაყოფილებდნენ ადგილობრივთ და მეზობელ სოფლებს, ამარაგებდნენ კავკასიის სხვა ხალხებსაც მთის ჩათვლით და მეზობელ ირანელებს. იოანე ბაგრატიონმა თავის სახელგანთქმულ „კალმასობაში" აღწერა XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX ს-ის დამდეგის თბილისის უამრავი ხელოსნური ნაწარმით სავსე ბაზრის სახე: „თბილისური ბაზრის ნახვით დაინტერესებულმა პირებმა... რა წაიარეს მცირე, იხილეს სარაჯები, რომელ სავსე აქვნდათ დუქნები ცხენის იარაღებით მზადა". სარაჯები ხარაზების ამქართან იყვნენ გაერთიანებული და ცხენის აღკაზმულობის (იხ.) საჭიროების გამო მათი შემოსავალი ხელოსნობის სარფიან დარგს მიეკუთვნებოდა.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

სარდიონი – სანახელაო ქვა, ქალცედონის ნითელი ფერის სახესხვაობა, არის როგორც ბაცი, ასევე წმინდა, გამჭვირვალე ფერისა. ქართულად სარდიონს აყიყსაც უწოდებდნენ. ანტიკური ხანის საქართველოში ფართოდ ყოფილა გამოყენებული მძივებად, გემმებად, ბეჭდისა და საყურეების თვლებად. მცხეთაში აღმოჩენილ ასპარუგ ერისთავის საბეჭდავ ოქროს ბეჭდის ბუდეში ჩასმულია სარდიონი და ზედ ოსტატურადაა ამოჭრილი პორტრეტული გემმა ახალგაზრდა ქალისა. ზოგადად სარდიონზე ამოჭრილი

გემმები უკვე ძვ.წ. IV ს. ჩნდება და მთელი მომდევნო ეპოქების განმავლობაში ქართულ საიუველირო ხელოვნებაში ყოველთვის აქტიურად გამოიყენებდნენ.

ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ე. ნ.

სარეკელა — გრძელი ჯოხი დამაგრებულია ხვიმრაზე//ნავზე(ხევს.), ბოლოთი ებჯინება წისქვილის ზედა ქვას, რომლის მოძრაობის დროს ჯოხი ხტუნაობს და ხვიმრიდან//ნავიდან მარცვალი იყრება წისქვილის ქვის შუაგულში.

ლიტ.: მსხში, ტ. IV, 1976.

ბ. ბ.

სარეცელი (ძვ.) — საწოლი, საგებელი. „ცხედარი ითქმის შიშველი საგებელთაგან, ხოლო სარეცელად დადგმული და გარდაგებული" (საბა).

სართვიანები — ზოგადი სახელი ისეთი ტიპის ნამცხვრებისა, რომელთა შიგთავსია ყველი, მხალი, ლობიო, ქონი, ნიგოზი, კარტოფილი, ხორცი, სოიო და სხვ. აქედან ყველაზე გავრცელებული იყო ხაჭაპური, ლობიანი, მხლოვანი, ქონიანი, ნიგვზისგულიანი, ბაჭულები, კოტორი, კუბდარი, ჭვიშტარი, ფეტდვიარი და სხვ. ზოგიერთ ასეთ ნამცხვარს გამოკვეთილი მაგიური დანიშნულება ჰქონდა და მასში ნმინდა საკვების საკრალური ფუნქციაა მოცემული. ამ იდეის გამოხატულებას წარმოადგენს რაჭული და სვანური სართვიანების (ლობიანი, კუბდარი) საჭრეთელათი მოჭრელება, რომელთა ფორმაში მზის სიმბოლური გამოსახულებაა ნავარაუდევი. ასეთი პურები სხვადასხვა სამიზეზო მოთხოვნილებათა გათვალისწინებით კეთდებოდა (ავადმყოფის გამოჯანმრთელების, წვიმის გამოწვევის, ბატონების გადალოცვის და სხვა მიზნით), ამავე დროს, სართვიანები ცხვებოდნენ ზებუნებრივი ძალებისადმი ძღვენად მისაგებად, რათა ისინი თავიანთ მიმართ კეთილად განეწყოთ.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. 2007.

ე. ნ.

სარი — ვაზის საყრდენი ხისა. სარს შეუდგამენ ან სარზე მიაკრავენ ვენახს, რათა ვაზი ადვილი მოსავლელი იყოს, ლერწები მიწაზე არ დაიყაროს და ვენახი არ დაზიანდეს. საუკეთესო სარი გამოდის მუხის, ნაბლისა და ეკლის ხისაგან. სარს ამზადებენ საგანგებოდ, მოჭრიან ხეს და დახეთქავენ იმსისხოდ, რომ ხელში ადვილი მოსახერხებელი იყოს, დაოთხილ ნაპობებს კარგად გაასუფთავებენ ნაჯახით, შემდეგ წაუთლიან წვერს და ღრმად მიუსობენ ვენახს. სარისათვის პირის წათლა ხდება 2-3 წელინადში ერთხელ. სარზე აკრული ვენახი ყოველმხრივ დაცულია და მოსავლელად ადვილი. ვენახის შესადგმელად ასევე გამოიყენებდნენ ჭიგოს (იხ.).

ე. ნ.

სარიოში (რაჭ.) — ხის დიდი კათხა, რომელსაც სმურობის დროს მაგიდაზე იყენებდნენ, როგორც ღვინის სათავსს და სასმისებში იქიდან გადაჰქონდათ ღვინო.

სარკვევი — ფრიალა საინის ფორმის ხის ჭურჭელი, რომელსაც პურის გასარჩევად ხმარობდნენ ოჯახში (იმე.).

ბ. ბ.

სარკოფაგი — მიცვალებულის ჩასასვენებელი ქვის ყუთი, სასულიერო მოღვაწეთა და სოციალურად დაწინაურებული მაღალი ფენის წარმომადგენელთა განსასვენებელი. დროთა განმავლობაში ერთ სარკოფაგში შესაძლოა რამდენიმე მიცვალებული დამარხულიყო. სარკოფაგები იდგმებოდა საგვარეულო საძვალეში, ეკლესიის ეკვდერებში ან იმარხებოდა მიწისქვეშ. იტალიის კატაკომბებში მიკვლეულ იქნა ქრისტიანული სიმბოლიკით უხვად შემკული სარკოფაგები, რაც დამადასტურებელია იმისა, რომ ასეთი სარკოფაგები თავიდანვე ადამიანთა სახილველად იყო გამიზნული. საქართველოში სარკოფაგები მიკვლეულია ქვემო ალმეში (აჭარა), სადგერში, თბილისში, ურბნისში, ნიქოზში, კავთისხევში, შულავერში, ბალიჭში, მცხეთაში, სულ 27-ზე მეტი ნიმუში. მათგან უმეტესობას შემკულობა არ გააჩნია, რამდენიმე კი ძუნწადაა შემკული.

საქართველოში აღმოჩენილი სარკოფაგები ბანურსახურავიანი და ორფერდსახურავიანია. ადრეული ქრისტიანობისდროინდელი მცხეთური სარკოფაგები წარმოადგენენ მინისქვეშა სამარხებს, შუაფეოდალური ხანიდან კი იწყება მათი გამოჩენა ღია ადგილებში — ეკლესიებსა და ეკვდერებში. ასეთი სარკოფაგის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს ბალიჭის სარკოფაგი, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი და წარწერა; გვიანფეოდალურ ხანაში სარკოფაგმა მისცა ბიძგი მემორიალურ კულტურაში ასეთი ტიპის საფლავის ლოდების წარმოშობას.

ლიტ.: ე. ნადირაძე, საქართველოს მემორიალური კულტურა, 2001. ვ.ჯაფარიძე, სოფ. ბალიჭის სარკოფაგი, „მაცნე", №2, 1976.

ე. ნ.



სარტყელი — ქალისა და მამაკაცის წელსარტყამი (საბა). კერავდნენ სხვადასხვა სახის ნაჭრისაგან და ასევე ქსოვდნენ შალისა და აბრეშუმის ფერადი ძაფებისაგან. ხმარობდნენ როგორც ვიწრო და მოკლე, ასევე ფართო და გრძელ სარტყლებსაც, რომელთა ჩამოშვებული, ზოგჯერ ფოჩიანი ბოლოები ტოტების როლს ასრულებდნენ (ფშავი, რაჭა, სვანეთი). ასეთი ტიპის ქსოვილის სარტყლებით მამაკაცებიც სარგებლობდნენ. მათ რიგშია მისათვლელი გურიასა და აჭარაში საკმაოდ ცნობილი ჩაქურას კომპლექტში შემავალი თოლაბულუსის სამფერი სარტყელი.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქალები კაბაზე ირტყამდნენ შალის ფერადი ძაფებით დაზგაზე მოქსოვილ ვიწრო და ფოჩებჩამოშლილ სარტყლებს.

შალის ოთხკუთხა სარტყელი ქალის ჩასაცმელის აუცილებელი ატრიბუტი ყოფილა, რომელსაც ქორწილის დროს პატარძალს ძმა შემოარტყამდა წელზე. ქალისა და მამაკაცის ძაფებით დანნულ სარტყელს მოხევეებში „ქარშიკი" ერქვა, აჭარაში კი — „თორ"-ი.

ეკლესიაშიც ატარებდნენ სარტყლებს. დიაკვანი მარჯვენა მხარზე და მღვდელი კი მკერდზე.

სარტყლის შემოხსნა დასჯის ფორმადაც კი იყო მიღებული. ქალთა ნრეში მისი ერთ-ერთი დანიშნულება ავი თვალისაგან დაცვაა. ძველებური რწმენით, სარტყელზე გადაზომვით შესაძლებელი ხდებოდა შეშინებული ადამიანის გამოლოცვაც. სარტყელთა დიდი ნაწილი მზადდებოდა ვერცხლისა და ტყავისაგან. ვერცხლის სარტყელებში სრულყოფილად გამოვლინდა კავკასიის ხალხთა ოქრომჭედლობის თვითმყოფადი საოქრომჭედლო კულტურა. ვერცხლის სარტყლები დანიშნულებით იყო სამამაკაცო და სადიაცო, ბალთების განყობით — ერთიანი, მიჯრით მიწყობილი და „ნაჭრიანი", აგებულებით — ყურუმი (მასიური) და ჭვირული, ანუ ბანდული; მოკაზმულობით—მინანქრიანი, სევადიანი, ოქროცურვილი, გრეხილურ-ცვარული და სხვ. საკინძის მიხედვით გობაკიანი და აბზინდიანი. პირველი დამახასიათებელია აღმოსავლეთ, ხოლო მეორე დასავლეთ საქართველოსთვის. აქედან გამოყენების თვალსაზრისით, უფრო დღეგრძელი გამოდგა აბზინდიანი სარტყელები, რომელიც ნაციონალური ტანსაცმლის განუყრელ ატრიბუტად იქცა. რაც შეეხება გობაკიან სარტყელებს, მათი ყოფიდან გასვლა გამოიწვია იმ პროფესიათა მოშლამ, რომელთა წარმომადგენლებიც ასეთ სარტყელებს ატარებდნენ (მაგ., ქალაქის ამქრის წარმომადგენლები, ყარაჩოღელები და სხვა. ასეთი სარტყელი შედგება: ბალთების, გობაკის, აბზინდის, ენის, ჯინჯილისა და ღვედისაგან.). მეორე რიგის სარტყელებს წარმოადგენდა ე.წ. აბზინდიანი, ანუ იმერული სარტყელები როგორც სადა ასევე ვერცხლის დეტალებით გაწყობილნი. ესაა ტყავის ღვედი, რომელსაც აქვს: აბზინდი, ენა, ხიდი, ღილი, საქონე, საკეესი და სხვა სამშვენისი დეტალები. ქართული ჩოხა ასეთი სარტყელ-ქამრის გარეშე წარმოუდგენელი იყო.

ქალთა სარტყელების განსაკუთრებით გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს ე.ნ. ჭვირული (ბანდული) სარტყელები, რომელიც წმინდა ხელობით იყო ნაკეთები, ასეთი სარტყელებით განსაკუთრებით ცნობილი იყო ახალციხე და ამიტომაც ასეთებს „ახალციხურსაც" უწოდებდნენ. სარტყელებს ძირითადად ამზადებდნენ საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში და დღევანდელამდე შემორჩენილი ნივთიერი მასალების ავტორებიდან ცნობილია: ძაძამიძის, ჯიქიას, ჯანელიძის, იმედაძის, არჩუაძის, ნიკოლაიშვილის, ლაბაძის, ბერუჩევის ნახელავი სარტყელები, ასევე სხვადასხვა ინიციალებით შემკული უამრავი სარტყელი, რომელთა ავტორთა ვინაობა დაუდგენელია.

ტერმინი „სარტყელი" ქამართან ერთად თანაარსებობდა ეთნოგრაფიულ ყოფაში. ივ. ჯავახიშვილს ქამარი მიაჩნდა კავკასიურ ენათა უძველეს სიტყვად და მას უკავშირებდა „ქამარას". სარტყელების უძველესი ნიმუშები აღმოჩენილია ადრეული ბრინჯაოს მასალებში და მის შემდგომ იგი განუწყვეტლივ იხმარება

როგორც კოსტუმის პრაქტიკული საჭიროებისათვის, ასევე სამშვენისის ფუნქციითაც.

ლიტ.: ლ. ბედუკიძე, ლ. სოსელია, მ. ჩართოლანი, სარტყელების კატალოგი, 1967.

ე. ნ. ც.ბ.

სარქველი — აქ: აღმოსავლეთ საქართველოში ქვევრის სახურავი, რომელიც გაკეთებული იყო სიპი ქვისაგან. იმერეთში ასეთ სახურავად ხის მასალა გამოიყენებოდა (იხ. ბადიმი), გურიაში ასეთ სარქველს „როგო" ეწოდება, ხოლო სამეგრელოში — ორგუ. სამეგრელოში სცოდნიათ ჭურ-ქვევრის პირზე ჯერ ბლის ქერქის დაფარება და შემდეგ სარქველისა, ზოგჯერ ეს სარქველი ქვისაც იყო.

ე. ნ.

სარჩეველა – ხის ტარიანი იარაღი, ნალდის ტიპის, რომლითაც სარს ნაუჩეკავენ ნვერს.

სარჩუტა (შ. ქართ.) — ახლად მოსული პატარა ვაზის მისასობი ჯოხი, ჩხირი.

სარცხი//სარცხლი//ორჩხეში (მეგრ.) — ჭურის სარეცხი ხელსაწყო, ბლის ან არყის ხის ოთხკუთხად გამოჭრილი ქერქი, რომლებიც ერთმანეთზე მჭიდროდაა დალაგებული და შიგ გაყრილია ხის ტარი: სარცხი ორი სახისაა „საზედაო", ანუ გრძელტარიანი, ჭურის სიმაღლის შესაფერისი, მრეცხავმა რომ პირდაპირ ჭურისთავიდან რეცხოს და „საქვედაო", ანუ ჩასავალი ჭურის გასარეცხი, რომელსაც აქეთ-იქით მოკლე ხელის ჩასაბღუჯი ტარები აქვს. სარცხის დასამზადებლად ლოპრობის დროს დანით დასერავენ ხის გარეთა მაგარ კანს და ააძრობენ ნაჭრებად, შემდეგ ამ ნაჭრებს სიმძიმის ქვეშ გაასწორებენ. როცა შუაში ქერქები მოდგება ოთხკუთ სატარეებს გამოუჭრიან, ერთმანეთზე მჭიდროდ დაალაგებენ, შიგ თხილის ტარს გაუყრიან, კიდევ დაჭიმავენ და წინასწარ გამზადებულ ნახვრეტში რიკს გაუკეთებენ. დიდი მეურნეობის მქონე მეღვინეს რამდენიმე სარცხი აქვს სხვადასხვა სიდიდს ჭურებისთვის. რეცხვისას სარცხი ხელში შეტრიალებით უნდა ამუშაოს მრეცხავმა, რათა რომელიმე მხარეს ზედმეტად არ გაცვითოს და არაპროპორციული არ გახდეს. სარცხით კარგად გარეცხილი ჭური საიმედოს ხდის ღვინის უნაკლოდ შენახვას.



ე. ნ.

სარწყული ჭურჭელი — წყლის ჭურჭლის ზოგადი სახელი, სადაც ერთიანდება: კუტალი, წურწუმა, მათარა, თასუხა, თულუხი, გოვზაკი, სტამნი, მწარე გოგრისგან დამზადებული ჭურჭელი და სხვა. ამავე რიგში ექცევა ჩაფი, კოკა, თუნგი, ორძირა, კოფა, ჯიმური და სხვა.

გ.ბ.

სასანთლე — 1. ბუხრის ყელის გამონეული კარნიზი, რომელსაც უკეთდება ნიშები და ხშირად შემკულია სხვადასხვა სიუჟეტით. გამოიყენებდა სანთლის ან ნებისმიერი სანათი საშუალების დასაგდმელად. 2. (ხევს.) შესანირავის ერთობლიობა ხევსურეთში. მაგ. რიტუალის დროს ჩამოქნილ სანთლებს, ქადებთან ერთად, თითოეული სალოცავის სახელზე ცალ-ცალკე ჩამოარიგებენ ტაბლაზე. ასეთი სასანთლე შეიძლება იყოს ერთიდან 15 -მდე და უფრო მეტიც. სასანთლე დაიდგმება თითოეული სალოცავის სახელზე. რიტუალის შესრულებისას ხუცესი ერთი მხრიდან მიყვება სასანთლეებს და რომელიც რომელ სალოცავს ეკუთვნის, იმის მიხედვით დაილოცება. 3. სანთლის ასანთები, სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული.

ლიტ.: ა. ოჩიაური ქართ. ხალხ. დღეობათა კალენდარი, 1991.

ე. ნ.

სასანთლე//შანდალი — სანთლის ჩასამაგრებელი ჭურჭელი. გამოიყენებოდა როგორც ერთსანთლიანი, ასევე მრავალშტოიანი//მრავალსანთლიანი. სანთელს გააჩნია ღერო, ძირი, ბუდე, სანთლის



საკოდე



ხელით სამეურნეო საშინაოსოფლები იარაღების ძირითადი ტიპები საქართველოში

1-3 ქარჩის ტიპები. 14. ჩეკი 15. ქარჩი 16 სანაცრი 17-24. ხმის იარაღები 25. ბოსტნის თოხი ოყიდან 26-28 ხმის იარაღები 29 ყელქონი ფრეზიდან 30-32 ადის ანტები 33-35 ბალი ოთოლებში (ფოდგა ხელა,ჩაგა) გამოყენებული თოხები 39-44 რაფელი თოხები 45-46. იმერული თოხები 47-51 ბაგა ღარებში გადაცალებული თოხები 52 ბალია (ბოსტნის ხიბლია) 53-56 იმერეთის ყოველდღიური თოხები 57 ქარიოლში გადაცალებული თოხი 58-59 იმერეთი სიფაცრეში გადაცალებული თოხები 60 ქარიოლ-ეზოში გადაცალებული თოხი 61 ბოსტნის თოხი. 62. ეზოში გადაცალებული თოხი 63 ეზოში გადაცალებული ფეხ-ხელსაცმელი და ხელი) 64 ლიტანური თოხი ნიხელი ოფლისა და ხელი 65-66 ბარი 67. ბარიკის ბარი. 68. ცენაბის ბარი. 69 ტალიანი. ბარი. 70 სანოლოგ ბარი ბარი 71 ?.?

სამეურნეო იარაღები

დასალვენთი ფირიფტა და ზოგიერთ შემთხვევაში სახელური. სასანთლე იყო დასადგმელი, კედელზე დასაკიდებელი და ჭერში ჩამოსაკიდიც. მრავალტოტიან სასანთლეს კანდელაბრი ჰქვია, ხოლო ეკლესიაში გამოსაყენებელ დიდ სანთელს — კანდელი. აქედანაა წარმოებული გვარი, „კანდელაკი" რაც სანთლის ამნთებს ნიშნავს.

ე.ნ.

სასაფეთქლე//ზილფი — სამკაული ოქროსი, ვერცხლის ან სპილენძისა (მოოქროვილი ან მოვერცხლილი) ამ სამკაულს კავებსაც უწოდებდნენ. მათი გავრცელების არეალი სამხრეთით არტანუჯს აღნევდა, აღმოსავლეთით საინგილოსა (ისტორიულ ჰერეთს) და დაღესტანს (წახურელ ლეკებს), სადაც „ყოჩ ბოინზუდ" იწოდება. სასაფეთქლეს მესხეთ-ჯავახეთში გავრცელებული სახელწოდება — „ზილფი" დასახელებულია მე-17 საუკუნის მზითვის წიგნში, სამკაულ „ჯიღას" შემადგენელ ელემენტად. სულხან-საბა ორბელიანთან ზილფი განმარტებულია როგორც „წინამო", „ღულამბარი" და „მაწაკი". ბესიკ გაბაშვილი — ლექსში „ტანო ტატანო" — ზილფებს კავების სინონიმად ხმარობს. სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონში „ზილფ" კულულს, ხვეულს ნიშნავს. სავარაუდოა, სასაფეთქლე საკიდების ქართული სახელი „კავები" — მომდინარეობდეს ქართლ-კახური თავსამკაულის, ე.წ. „კავებიდან".



მ.ბ.

სასაფლაო – მიცვალებულთა სამარხავი საერთო ადგილი, ტერიტორია. სასაფლაოებისადმი თაყვანისცემა წარმართული და ქრისტიანული რელიგიების დამახასიათებელი მოვლენაა. იგი ძალზე გავრცელებული იყო კავკასიის ხალხებში. გამორჩეულ ადამიანთა საფლავები თაყვანისცემის ობიექტად იყო მიღებული, ხოლო წმინდანთა საფლავების ცხოველმყოფელი და განმკურნებელი ძალა აღიარებული იყო ქრისტიანული მრწამსით. ქართულ ისტორიულ ქრონიკებში სასაფალო წარმოგვიდგება ამა თუ იმ მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლის საკუთრების აუცილებელ შემადგენელ ნანილად. საქართველოში ყოველ სოფელს თავისი სასაფლაო გააჩნია, სადაც დადასტურებულა მემორიალური კულტურის სხვადასხვა ტიპის ძეგლები.

ლიტ.: ე. ნადირაძე, საქართველოს მემორიალურ კულტურა, 2001.

ე. ნ.

სასაფუვრე (ლეჩხ.)//**ლასფავრ** (სვან.) — ხის ან თიხის პატარა ჭურჭელი, რომელიც მჟავე ცომის — საფუარის დასამზადებლად და შესანახად იხმარებოდა. ეს ფუნქცია მას გვიან უნდა ჰქონდეს შეძენილი, დაახლოებით იმ დროს, როცა კულტურული პურის რაოდენობა გაიზარდა. თავდაპირველად ამ ტიპის ჭურჭელი გამოყენებული უნდა ყოფილიყო ქერის ფქვილის საზელად, რომელიც ნაკლებად ნელვადია. როცა კულტურული ხორბლეულის მარაგი გაიზარდა, განსაკუთრებით ბარში, სასაფუვრემ დაკარგა თავისი თავდაპირველი მნიშვნელობა და იგი საფუვრის ამოსაყვან ჭურჭლად იქცა. სვანეთში, სადაც ქერის წარმოებას ბოლომდე მისდევდნენ, სასაფუვრეში ხდებოდა ქერის ფქვილით მოზელა, ე.ი. ამ რეგიონში მან შეინარჩუნა თავისი ოდინდელი ფუნქცია.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ე. ნ.

სასიმინდე – სიმინდის ტაროს შესანახ-სახმობი ნაგებობა. ძირითადად გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში. ყველა სასიმინდე აგებულია იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ მასში ჰაერმა იოლად იმოძრაოს და გამოაშროს შემოდგომით მასში შეყრილი სიმინდი.

სასიმინდე ჩვეულებრივ ორი განყოფილებისაგან შედგება. ერთი მონნულია წკნელით, რომ ჰაერმა იოლად იმოძრაოს და სიმინდი გააშროს ხოლო მეორე განყოფილება გათლილი ფიცრითაა ნაშენი, სადაც გამხმარ სიმინდს ფშვნიან, ზოგჯერ ამ განყოფილების იატაკი დახვრეტილია და ტაროს ცეხვა-ფშვნისას სიმინდი დაბლა იყრება. სასიმინდე ზოგჯერ ხულას (იხ.) ელემენტებსაც ითავსებდა და

გვეელინება ორსართულიანად. იგი, როგორც წესი, გამართული იყო ხის ან ქვის ბოძებზე. სასიმინდეებს ჰქონდათ საკეტები და არ უკეთდებოდა მუდმივი კიბე. შქერისა და თხილის წკნელით მონნული სასიმინდეები გამოირჩევა წენის დახვეწილი ხელოვნებით. ასეთი ტიპის სასიმინდეებს ეწოდებათ: ძარული, ლასტური, ჩელტური, გრიგლური, ღომური. გარდა ამისა, არსებობდა ფიცრული სასიმინდეები, რომლის ფიცრები აჟურული ხარატულებით იყო გამოყვანილი. სასიმინდე, როგორც უაღრესად საჭირო პროდუქტის შესანახი ნაგებობა, განანყობდა ადამიანს იგი ესთეტიკურად ელამაზებინა და ამ სურვილის რეალიზაციამ წარმოშვა სასიმინდეთა ულამაზესი ტიპები.

ე. ნ.

სასწორი — მასის ასაწონი მექანიკური ხელსაწყო. სასწორის უძველესი ნიმუშები დასტურდება ძველ ბაბილონსა (ძვ. წ. 2500 წ.) და ძველ ეგვიპტეში (ძვ. წ. 2000 წ.). სასწორი არის ტოლმხარა და არატოლმხარა. XII ს. არაბმა მეცნიერმა ალ ხაზინიმ პირველად აღწერა თეფშებიანი სასწორი. საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება როგორც ტოლმხარა (მისი ყველაზე განვითარებული სახეობაა თეფშებიანი და პინებიანი სასწორი), ასევე არატოლმხარა სასწორები, ამ უკანასკნელის ნიმუშია სამეგრელოში გავრცელებული სასწორი ლაღანკონი//ღაღანაკი.



ლიტ.: ქსე, ტ. IX, 1985 წ.

ე.ნ

სასწორი ყუთით — საოქრომჭედლო სასწორი, რომლის კომპლექსში შედიდოდა თეფში, უღელი, ენა, ტარი, საწონები — სხვადასხვა წონის. მაგ., ერთმისხლიანი, ორმისხლიანი და ა. შ. ან ერთდანგიანი, ორდანგიანი

სასწრაფო – აქ: ჩანთა მასრებისა და ვაზნების ჩასაწყობად. თითო მასრაში ერთი გასროლა წამალი იყო ჩაყრილი; „ჩამოიღო თოფი, სასწრაფო და საპირისწამლე" (ვაჟა).

ნ. ჯ.

სასხლავი — ხელით სამუშაო რკინის ხისტარიანი იარაღი. მისი თავისებურებაა გრძელი, წვერიანი და კაუჭა ცხვირი. ტარისათვის შერჩეულია ხის ისეთი ჯიში, რომელიც ადვილად არ სკდება. გარდა ე.წ. ყურნწიანი სასხლავისა, არსებობს „სარჩოლიანი" და ბრტყელენიანი სასხლავებიც. ამ იარაღის ფუნქცია არის გადაბელვა და გასხეპვა, ჩირგვების მოჩეხვა, წვრილი ნნელის მოჭრა, მაგრამ ძირითადია ბაღის ხეხილის განმენდა და გასხვლა.

სასხლავი გავრცელებულია ბარის რეგიონებში, მთის ზოლში იგი იშვიათობაა.

ლიტ.: ნ.რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1953.

ა. გ.

სატკრციალო//ჭრიალა//საჩხარუნებელი – განეკუთვნება ე.წ. თვითმყღერ საკრავთა ჯგუფს. შედგება 3-4 მართკუთხედის ფორმის ხის ფირფიტისაგან, რომლებიც მოძრავად არიან დამაგრებული სახელურზე. დაკვრის დროს საკრავს იქნევენ და ფირფიტების ერთმანეთზე დარტყმით ხდება აჟღერება. საკრავის დანიშნულებაა ცეკვის რიტმული თანხლება. ამ საკრავის ანალოგიურია ჩრდილო კავკასიის ხალხებში გავრცელებული საკრავები (მაგალითად, ადიღური ფხაწჩ, ყარაჩაელების ხარს, ოსების კარცგანაგ).

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა, 1940; ; К. Вертков, Г. Благодатов, Э. Язовицкая, Атлас музыкальных инструментов народов СССР, М. 1963.

მ. შ.

სატუკელა//სატენელა (რაჭ.) — სანნახელში ყურძნის ჩასატკეპნი თავმსხვილი ჯოხი.

საუბნო ქადა – ხევსურეთსა და მესხეთში საქორწილო ცერემონიალის შესრულების დროს საგანგებოდ გამომცხვარი პური. მის მოსამზადებლად საჭირო იყო 8-9 კგ ფქვილი, 1 ლიტრა ერბო და 2-3კგ ყველი. მას იშვიათად საგვარეულო ქადას (რადგან უბანი ერთ დროს ერთი გვარის მქონე ხალხის სამოსახლო იყო) და

სანესო ნამცხვარსაც უწოდებდნენ.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, 1978.

გ. ა.

საუჭმელო — ნეფე-პატარძლის ჯვრისწერის შემდეგ, საქორწილო ნადიმის დაწყების დროს ნეფე ჩუმად იყო და ხელს არაფერს ჰკიდებდა. ამის გამო ხალხი აყვირდებოდა: „ნეფე იბუტება.საუჭმელო, საუჭმელოო". მაშინ სიდედრი ვალდებული იყო მიერთმია სასიძოსათვის ხალათი, ბაღდადი, ვერცხლის ქამარი ან სხვა რაიმე ნივთი, რომელსაც საუჭმელო ერქვა. ამის შემდეგ ნეფე გამხიარულდებოდა და დაიწყებდა ჭამას.

გ. ა.

საფეხნო // საფიხვნო — ადგილი, სადაც ხევსურები თავს იყრიან და თავიანთ საჭიროებაზე მსჯელობენ. „ფეხონი" ეწოდებოდა სოფლის მამაკაცთა ყრილობას, „საფეხნო" კი ამ კრებულისათვის განკუთვნილ ნაგებობას ან ადგილს. საფეხნოში, გარდა საქმის გარჩევისა და საუბრისა, თავს იქცევდნენ მსუბუქი საოჯახო ხელსაქმით. საფეხნოში ქალს შესვლა აკრძალული ჰქონდა. ტრადიციული საფეხნო იყო გამართული შატილში, რომელიც წარმოადგენდა ყორით ნაგებ ფარდულის ტიპის შენობას, რომელსაც წინა კედელი არ ჰქონდა. საფეხნოში განლაგებული იყო საუფროსო სკამი და ქვის სიპები, რომელზედაც უხუცესები სხდებოდნენ.

საფეხნოს კედელში დატანებული იყო რამდენიმე სიპი ე.წ. „დუქანი" სხვადასხვა ნივთების დასაწყობად. შატილის საფეხნოში ტყავის საზელი ხელსაწყო „ხიმუნი" იყო მოთავსებული. აქ მეტწილად ხელსაქმობის ისეთი სამუშაოები სრულდებოდა, რომელიც კოლექტიურ შრომას მოითხოვდა. საფეხნოში გრეხდნენ მუშს (ხის ქერქის თოკი), ამზადებდნენ ქალამნებს, თოფის წამალს და სხვა.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან ხევსურეთში, მსე ტVII, 1955.

ე. ნ.

საფირონი — ლურჯი ფერის სანახელაო ქვა. ქართველი ლექსიკოგრაფები მას ლურჯ იაგუნდათ განმარტავენ. არქეოლოგიურ ძეგლებში თითქმის არ გვხვდება. ამ ქვით შემკულია შუა საუკუნეების რამდენიმე ხატი. მაგ.: ხობის და მარტვილის ხატები, სიონის ტაძრის საპატრიარქოს მიტრა, საქართველოში ეს ქვა ექსპორტის საგანს წარმოადგენდა.

ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ე. ნ.



საფლავის ქვა – მიცვალებულის სამარხზე დადგმული ქვის ძეგლი. ზოგადი სახელი ყველა ტიპის ძეგლისა, რომელიც ამ მიზნით გამოიყენებოდა. საფლავის ქვის ტიპებია ლოდი, ქვაჯვარი, სტელა, მატური, სახლის, ეკლესიისა და ეკვდერის მინიატურული ასლები, ზოომორფული (ცხვრისა და ცხენის ქანდაკებანი) და ანთროპომორფული (ადამიანის) ქანდაკებანი. საფლავის ქვებისთვის დამახასიათებელია ქრისტიანული სიმბოლოები, მცენარეული და ცხოველური ორნამენტები, სოლარული ნიშნები, სამეურნეო და საბრძოლო იარაღები. უაღრესად მნიშვნელოვანია მათზე დაწერილი ეპიტაფიები. საფლავზე ქვის დადგმის წესის ცხოველმყოფელობამ მნიშვნელოვნად განსაზღვრა ამ დარგის აღმავლობა.

ე. ნ.

საფოთარა — ფრინველის მძლავრი ფრთებისაგან შეკრული კონა, რომლითაც ნისქვილში დაგროვილ ხრილს გადახვეტავდნენ. იყენებდნენ სუფრის ნარჩენების გადმოსახვეტადაც.

ე.ნ.

საფრიელა — ოთხკუთხედად მოწნული სახელურებიანი ჩელტი, რომელსაც ქვემო იმერეთში ხმარობდნენ მარცვლეულის გასანიავებლად.

ლიტ. ქელ.2009

საფუარი ლუდისა// ჭიჭი (ხევს.)// **ჩამა**// (ფშ.)// **ნვერის თხლე** (თუშ.). — ლუდის უცეცხლოდ ასადუღებელი. ესაა ლუდის ფორის—პირველი დუღილისას წამოსული ქაფი — ერთგვარი დურდო, რომელსაც მოხდიან ქაფქირით, ქატოსთან ერთად შეზელენ, გაახმობენ და შეინახავენ. ლუდის საფუებლად ამ მასას სისწვენში გახსნიან და ჩაასხავენ კოდში, სადაც უნდა მოხდეს ლუდის დადუღება. საფუვრის სისწვენში შერევას ხევსურები „შაყრას" უწოდებენ. მესაფუვრე ხევისბერი სისწვენისა და საფუვრის შაყრისას განიბანება, რადგან ფუება გაცოცხლების პროცესადაა აღქმული და მას რიტუალური მნიშვნელობა ენიჭება.

ე. ნ.



საფუხარი — 1. ლითონის სხეპლით ნაქსოვი საბრძოლო ხელთათმანი, ხელის მტევნის დასაცავი. არსებობს ორი სახის საფუხარი, პირველი, — რომელიც წარმოადგენს ნაქსოვი ჯაჭვის ხელთათმანს, რომელშიც გამოცალკევებულია მხოლოდ ცერა თითი, და მეორე რომელიც იმავე ფორმისაა, ოღონდ არა ხელთათმანი, არამედ ტყავზე დამაგრებული ჯაჭვი, რომელიც ზემოდან იცავს ხელის მტევანს. ცერა თითი გაყრილია ტყავის ქვემოთ არსებულ თასმაზე, ასევე თასმითაა დამაგრებული ხელისგულიც. ტყავის დანარჩენი ნაწილი, რომელიც მაჯის ზემოთ ადის, ასევე ტყავის ან ქსოვილის თასმით იკვრება. 2. შალის ხელთათმანი. თითებიანი და უთითებო. ერთთითა საფუხარს ხელმაჯი ჰქვია. ხევსურებში გვხვდება ნაქარგობითა და მძივ-ღილებით შემკული.

ვ. ქ.



საფხაჭი — ერთმანეთზე შეტყუპებული ორი არათანაბარმხრიანი ჯოხი, რომლის ბოლოებზე აქეთ-იქით თავწაჭრილი ლურსმნებია დამაგრებული, მხრები ერთი გრძელია და ერთიც მოკლე, მათი საშუალებით დასამუშავებულ ქვაზე მოიხაზება ის ნაწილი, რომელიც უნდა ჩამოამტვრიან და ქვა ზომაში მოიყვანონ. საფხაჭს ამავე მიზნით ხმარობენ ხის ფიცარზედაც.

ე. ნ.

საქონე — ხის, ლითონის ან ძვირფასი ლითონის ყუთი, ასანთის კოლოფისოდენა, რომელშიც ინახებოდა დათვის, ქათმის ან ბატის ქონი, ხმალ-ხანჯლისა და თოფ-დამბაჩის ფოლადის ნაწილებზე წასასმელად. ვერცხლისაგან დამზადებული საქონე XIX ს-ის უკანასკნელ პერიოდში ჩოხის ქამარ-ხანჯლის სამშვენისად მოგვევლინა.

ვ. ქ.

საქუსალი — ერთგვარი საქსოვი მანქანა, რომელზედაც ქსელი იგებოდა და ქსოვილ იქსოვებოდა.

საყირმუზა – „სამუხლე პოლოტიკი"(საბა),ლითონის ფირფიტა, რომელიც განკუთვნილია მუხლის დასაცავად, საყირმუზას ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ვხვდებით საჩერნესა და ჯაჭვის შარვალზე. (იხ. ჯაჭვი). ძირითადად იგი წარმოადგენს წრიულ ფორმის მუცელშეზნექილ რკინის ფირფიტას, რომელიც იშვიათად მორთულია თითბრის ზარნიშით.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II. 1993.

ვ. ქ.

საცვალი — კაცთა და ქალთა ქვედა, შიდა სამოსი. მისი ძველი შესატყვისებია: ნიფხავი (იხ), პერიკამი, საწმერთული, როპანაგი, მუქასირი, შეიდიში. გვიანშუასაუკუნეების ქალთა მზითვის ნიგნებში ხშირადაა დასახელებული საცვალთა საკმაოდ უხვი ჩამონათვალი.

ე. ნ.

საწინვერი — წერაქვის ნაირსახეობა, რომელსაც წვეროები რკალურად აქვს მოხრილი და გამოიყენებოდა ქანიდან რბილი ქვის ამოსაჭრელად. ასეთ ქვას ძირითადად იყენებდნენ კეცებისთვის. (იხ. კეცი ქვისა).









სამკაული

ქართული სამოსელის გავრცელება

საჭილაოს ნავი — მდინარე რიონზე გავრცელებული ნავის სახეობა, რომელიც ჭალადილურ ნიშს წააგავს. ასეთი ნავების მისადგომი საჭილაოში იყო გამართული და აქედან მიიღო როგორც სახელწოდება.

ა. გ.

საქაჯავი//საქაჩველი — ჭაჭის საწნეხი ხალხური სამეურნეო მანქანა. წარმოადგენს ბერკეტის პრინციპზე მოქმედ ხელსაწყოს. ძალის მოდების საშუალებად მასში გამოყენებულია ოწინარი. ქართულ ყოფაში ცნობილია ორი ტიპი: ოწინარიან-ტვირთიანი და ოწინარიან-უტვირთო.

ა) ოწინარიან-ტვირთიან წნეხში გამოირჩევა ჭაჭის (ხილის) მოსათავსებელი ფიცრით შეკრული სათავსი — კოდი და სამუშაო აპარატის ხის ბოძში — კაცაში ჰორიზონტალურად ჩამაგრებული დირე, მეორე თავისუფალ ბოლოზე რგოლებით ჩამოკიდებული ლილვი—"ქანჩი"//"დათვი" და დათვის რიკზე გამობმულ ბოლოზე მობმული „ასაკიდი ქვა". ლილვში გაყრილი კეტებით ქანჩის დატრიალებით ხდებოდა ქანჩზე თოკის დახვევა და ქვის მაღლა აკიდება, საიდანაც გადაცემული სიმძიმის ძალით ხდებოდა დირის კოდის შიგთავსზე დანოლა და გამოწურული წვენის დინება.

ბ) უტვირთო-ოწინარიან წნეხში წნეხვა ხდებოდა უშუალოდ ოწინარის საშუალებით: ლილვის გარკვეული მიმართულებით დატრიალება იწვევდა დირის დაბლა დაწევასა და ჭაჭის წნეხვას. საქაჯავი//საქაჩველი გავრცელებული იყო შ. ქართლში, იმერეთში, აჭარაში, გურიაში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთში. ჯავახეთში X-XIII ს. კლდის სოფლებში (ჭაჭკარი, ფია, ახჩი) შემორჩენილი ასაკიდი ქვისა და წნეხის ნაშთებიც ამავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს.

ლიტ.: ა. ლეკიაშვილი, ქართული ხალხური ღვინის წნეხები, მსე, XII-XIII, 1963. გ. გაფრინდაშვილი, ვარძიისა და მისი მიდამოების ქვაბები, 1957.

ლ. მ.

საქსოვი დაზგები — სხვადასხვა სახის ქსოვილების (შალი, ბამბა, აბრეშუმი, კანაფი, სელი) დასამზადებელი მანქანები. საქსოვი დაზგების ნაირსახეობიდან გამოირჩეოდა ბეჭ-საშევრიანი და დგიმ-სავარცხლიანი. საქსოვები თავის კონსტრუქციითა და შესაბამისი საქსოვი მასალის მონაცემებით კეთდებოდა როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური აღნაგობის. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ბეჭ-საშევრიანი საქსოვებით („ყდა", „ყდანი" — ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთ-გუდამაყარი, „აკაზმები" — თუშეთი) შალებსა და ფარდაგ-ხალიჩებს ქსოვდნენ. ჰორიზონტალური დგიმ-სავრაცხლიან საქსოვებზე („საფეიქრო" — ქართლი-კახეთი, „სამექსლებო" — გურია, „ოშუალე" — სამეგრელო, „ქსელი"//საფეიქრო — რაჭა, „ლაშჯარ" — სვანეთი) შალისა და ფარდაგების



გარდა იქსოვებოდა აბრეშუმი, კანაფი, ბამბა, სელი. საქსოვი ყდის განსხვავებულ სახეობებზე — „ყდანი" — ხევსურეთი, „ქსელი" — რაჭა, „რობაგი" — სამეგრელო, „ქსელი — აჭარა; შალისა და ფარდაგების გარდა საცრის ძირები და ჭილოფიც (სამეგრელო) იქსოვებოდა. საქსოვი დაზგები მსოფლიო ეთნოკულტურის უძველეს მონაპოვარია. ცნობილია, რომ ძველ ეგვიპტეში სელის ქსოვილების დასამზადებლად ჰორიზონტალური საქსოვი დაზგა იყო გამოყენებული. ბერძენ მწერალთა (ჰეროდოტე, კალიმაქსი) ცნობებით, ძველ ეგვიპტესა და კოლხეთში სელის დამუშავების ერთნაირი წესი არსებობდა. ამ ნიშნით ძველ კოლხეთში სელის საქსოვად დგიმ-სავარცხლიანი დაზგის ნაირსახეობის გამოყენება ივარაუდება. ამ ტრადიციის დამადასტურებელი უნდა იყოს სამეგრელოში უახლოეს წარსულამდე არსებული სელის საქსოვი „ოშუალე". ამავე დროს, ქართული საქსოვი დაზგების თავისებური ტექნიკა — საზედაო ძაფის ზევიდან ქვემოთ ან წინა ლილვისაკენ (თავისკენ) მიბეჭვა, განსხვავებით ბერძნულ-ევროპული დაზგების სანაფეებით დაჭიმული ქსელის ან საზედაო ძაფის ქვემოდან ზემოთ მიბეჭვისა, მიუთითებს ქართულ ჰორიზონტალური დაზგის უძველესობაზე.

ქართული ხალხური საქსოვი დაზგები ახლო და უშუალო კავშირშია კავკასიელი ხალხების ანალოგიურ საქსოვ დაზგებთან და თავისი სანყისი ფორმებით ძველ აღმოსავლეთის კულტურულ მონაპოვართა ნრეში ექცევა.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, სსმმ, XVIII-B, 1954.

ლ. მ.

სალამო (ხევს.) — აქ. ადამიანთა საგებ-სახურავი. ამზადებდნენ ცხვრის ტყავისაგან.

საღდარი (სამეგრ.) — იგივე ოდა სახლი (იხ. ოდა). მოსახლეობის შეძლებული ნაწილის საცხოვრებელი სახლი სამეგრელოში. საღდარი//ოდა შედგებოდა რამდენიმე ოთახისგან, რომელსაც ჰქონდა წმინდად გათლილი ფიცრის ჭერი და იატაკი. ფიცრისთვის გამოიყენებდნენ წაბლის, მუხის, ფიჭვისა და თელის მასალას, რომელსაც უხვად ხარობდნენ სამეგრელოს მთაში. ფიცარი ითლებოდა ცულით, მოგვიანებით კი იხერხებოდა გრძელი ხელის ხერხებით, რაც მოითხოვდა მძიმე და ხანგრძლივ მუშაობას. ოდის მშენებლობას ეწეოდნენ დახელოვნებული ოსტატები. ტიპური მეგრული ოდა წარმოადგენს ოთხოთახიან და აივნიან ნაგებობას, რომლის სვეტები და ფარდები დიდი ხელოვნებითაა მოჩუქურთმებული. ჩვეულებრივი ორსართულიანი ოდების ქვედა სართულს ეწოდება პალატი. ოდაში გამართული იყო ქვის ბუხრები. ოდის სახურავი ოთხფერდიანია და გადახურული იყო ყავრით ან კრამიტით. ოდა წარმოადგენს საცხოვრებლის უაღრესად განვითარებულ ტიპს.

ლიტ.: ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 2006.

ე. ნ.

საღენჭელი — ტყავის დასამუშავებელი ხელსაწყო, ქვის ან ხისა, გავრცელებულია საქართველოს ბარშიც და მთაშიც. ზოგ სოფელში საღენჭელის ქვა სოფლის ცენტრში, ხალხის თავშეყრის ადგილზე მდებარეობდა, მასზე ტყავის გამოქნა-დარბილება ყველას შეეძლო. ხის საღენჭელი ოჯახს ხშირად თავისი საკუთარი ჰქონდა. მასალად ცაცხვის ხე იყო მიჩნეული. ტყავის დამუშავება ასეთი თანმიმდევრობით ხდებოდა: საგანგებოდ შერჩეულ მსხვილფეხა საქონელს (ხარი, დეკეული, ძროხა არ უნდა ყოფილიყო გადაბერებული) დაკვლის შემდეგ სუფთად გაატყავებდნენ ბალანს გააცლიდნენ, ტყავს შოლტებად დაჭრიდნენ, თბილი, უმარილო ქონით გაპოხავდნენ და ამის შემდეგ იწყებდნენ გამოქნა-დარბილებას.

ერთ მამაკაცს დახვეული ტყავი ეჭირა, მეორე კი საღენჭელზე კეტით აწვებოდა. კეტის მაღლა აწევ-დაწევის დროს ტყავს აქეთ-იქით აბრუნებდნენ, სანამ ტყავი არ დარბილდებოდა. ბოლოს ამოიღებდნენ, გაშლიდნენ და გაანიავებდნენ. ძროხის ტყავის გამოქნასს, მთელ დღეს ანდომებდა ორი მამაკაცი. საღენჭელით გამოქნილი ტყავი ძირითადად ფეხსაცმლის საძირეებად გამოიყენებოდა.

სავარაუდოდ, ტყავის დასამუშავებელი ხელსაწყო უნდა არსებულიყო ძველადაც (VIII-XIII სს.) როცა დამუშავებულ ტყავს საწერად ხმარობდნენ. ეტრატის მკეთებელი ხელოსნების შესახებ ცნობები ნაკლებად მოგვეპოვება. მხოლოდ მინიშნებაა იმის თაობაზე, რომ IX საუკუნიდან ცნობილ ქართულ დიდ მონასტრებში ეტრატის მკეთებელი ხელოსნებიც ჰყავდათ.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები. 1973. შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ I, 1982.

ნ.ჯ.

საღლაპუნა — სამეგრელოსა და გურიაში გავრცელებული ბარჯის მსგავსი თევზსაჭერი იარაღი, რომლითაც ღამით ნადირობენ.

საღსალაჯის ხე — თრიმლის საბეგვავი. სხვა ხესთან შედარებით მძიმეა და ამიტომაც მოსახერხებელი იყო თრიმლის დასაბეგვად. თრიმლს ერთდროულად 10-15 კაცი ბეგვავდა.

საყდარ-ტახტი — აქ: საჯდომი ავეჯის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც გამოიყენებოდა მეფეთა, მთავართა და მაღალი სამღვდელო ფენის წარმომადგენელთა საწესო-სარიტუალო სასხდომად. „საყდარი", ტახტის აღმნიშვნელი უძველესი ტერმინია. დიდებულთა საყდარი ხშირად მომთავრებული იყო გუმბათ-გავალაკით, ან დახურული ჩარდახით. საყდარ-ტახტი გვევლინება, როგორც ძალაუფლების სიმბოლო, ასევე სოციალური ადგილის მაჩვენებელი.

ლიტ.: ვ. ართილაყეა, XVI-XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1965.

ე. ნ.

საყელო — აქ: ცხენის აღკაზმულობის ნაწილი. ყელის სამოსი (საბა). იგი შედგებოდა ერთი ან ორპირიანი ტყავისაგან. იმკობოდა ორნამენტებით და ძვირფასი ლითონის თვლებით.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

საყრდენი ვაზისა – ვაზის შესადგამი სარები, რომლებიც სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა

სახელით მოიხსენება: მაგ. სარი, ჭიგო, ჭიღვა, ჭიგვა, ხარდანი, სარჩუტა, პალო, კაკვი, მერქანი, ცილამ-პალი, ჯღა, ჯღარი, ხალახინი, ოლიხი, ქანდარა, ჩანგალი, თალხი.

ე. ნ.

საყურე — ადამიანთა ყურის სამკაული. მზადდებოდა მინის, ოქროს, ვერცხლის, მოვერცხლილი სპილენძის, და ა.შ. მთელს საქართველოში იყო გავრცელებული. მაგრდება სხვადასხვა საშუალებით, ძირითადად კავებითა და ხრახნებით. საყურეები შეიძლება იყოს სხვდასხვა ფორმის. ადრეანტიკური ხანის საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული ე.წ. „სხივანა“ საყურეები. ვანის მდიდრულ სამარხებში საყურეთა რამოდენიმე განსხვავებული ტიპი აღმოჩნდა. ყოველ მათგანს ყურში გასაყრელი რგოლი ვარდულითა და გრეხილიანი ფირფიტით აქვს შემკული. საყურეების დამზადებისას გამოიყენებოდა ყველა ტექნიკური ხერხი: ჭედვა, რჩილვა, გრანულაცია, ფილიგრანი და სხვ. საყურეების უმეტესობა ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვებითაც იყო შემკული, გამოიყენებოდა პასტა და მარგალიტიც. შუა საუკუნეებში პოპულარული იყო საყურეები ტიხრული მინანქრითაც.

ლიტ.: ი. გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981.

მ.ბ.

საშუბლე//საბუზე — აქ: ცხენის შუბლზე ჩამოსაფარებელი. ამზადებდნენ ხარის ტყავისგან და განყობილი იყო სამ მთავარ თასმაზე. უკეთებდნენ ფუნჯებს, ფირუზისფერ მძივებს, ნიჟარებს, ბალთებს. საშუბლე ცხენს იცავდა ბუზებისგან. არცთუ იშვიათად საშუბლე ცხენის სამშვენისს წარმოადგენდა.

საჩეკელა — ხისტარიანი რკინის იარაღი, ნალდის ტიპისა, რომლითაც სარს წაუჩეკავენ წვერს.

საჩერნე — საბარკული, „საწვიეე აბჯარი“(საბა). ჩერნის ანუ წვიეის დასაცავი ჯაჭვი, საჩერნე ფართოდ გავრცელებული თავდასაცავი იარაღია საქართველოს მთიანეთში, იგი წარმოადგენს წარგრძელებული მართკუთხედი ფორმის ნაქსოვ ჯაჭვს, რომელიც წვიესა და ფეხის ბარკალზეც იკვრებოდა თასმებით. საჩერნეს ჯაჭვის რგოლები ხშირ შემთხვევაში ფარეშიანია, ანუ დამოქლონებული.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II. 1993. ალ. ღლონტი, ქკთსკ. 1984.

მ. ქ.

საჩეჩელი — მატყლის საჩეჩი ხელსაწყო. ესაა სამი ხის ფიცარი, რომლებიც სამკუთხედადაა შეკრული. ზედა ნაწილზე ერთ ან ორმწკრივად ჩასმულია ლითონის „კბილები“ (ჩხირები). ჩეჩვის დროს ძირს დგამენ და ფეხებით ამაგრებენ. ერთმწკრივად განლაგებულ ან „ცალკბილა“ საჩეჩელს თიეთიკის დასამუშავებლად იყენებენ. გარეცხილ, გაწენილ მატყლს საჩეჩელის კბილებზე ჩეჩავენ (ბენვი ბუვდება და ერთი მიმართულებით ლაგდება) და ფთილებად ამზადებენ, შემდეგ მას თითისტარით ართავენ და ძახავენ.

ლიტ: ლ. მარგოშვილი, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

საჩითავი — სხვადასხვა ფორმის ხის ყალიბები, რომლითაც ხდებოდა ქსოვილის დაჩითვა საღებავის მეშვეობით. საჩითავ//საბეჭდავებზე გამოყვანილი იყო სხვადასხვა სახის მარტივი და რთული ჭრელები (გეომეტრიული, მცენარეული, ფრინველის, ადამიანის და ა.შ.) საჩითავად ირჩევდნენ მაგარი ჯიშის (მსხალი, მაყალო, პანტა, ბზა) ხეს. საჩითავზე ჭრელი ორი წესით გამოჰყავდათ: ჩაჭრით ან რელიეფური კვეთით. მოჩითვის დროს ერთი წესით საჩითავ ყალიბს ზედაპირზე უსვამდნენ საღებავს, შემდეგ ქსოვილზე დაადებდნენ და ხელით დაწნეხავდნენ. მეორე წესით, საჩითავზე ჩაჭრის წესით დამზადებულ ჭრელს გამღვალ სანთელს ნაუსვამდნენ და ქსოვილზე დაწნეხავდნენ, რის შედეგადაც ჭრელი სანთლიანი სახეები გადაიტანებოდა ქსოვილზე. შემდეგ ქსოვილს შეღებავდნენ, მისი ფონი დაიფარებოდა ფერით, ხოლო სანთლიანი ნაწილები შეუღებავი რჩებოდა, მისი მოცილების შემდეგ შეღებილ ფონზე მრავალფეროვანი ჭრელი ამოვიდოდა. ქსოვილის დაჩითვა ხდებოდა ფერადადაც, რაც უფრო რთულ ტექნოლოგიურ პროცესს მოიცავდა და საჭიროებდა ერთ ნახატზე რამდენიმე საჩითვის დაწნეხვას. ქსოვილის დაჩითვა ხალხური ხელოვნების უძველესი დარგია და უშუალოდ უკავშირდებოდა მღებრობას. დაჩითვის ხალხური ტექნოლოგიის შესახებ კავკასიის ხალხებში ყურადღება აქვს გამახვილებული ჰეროდოტეს, რაც ამ დარგის უძველესობაზე მიუთითებს.

დაჩითვის ხელოვნებას ფართოდ მისდევდნენ საქართველოს ქალაქებში, განსაკუთრებით, ახალციხესა და თბილისში, რომლის კოლორიტულ ნიმუშად წარმოგვიდგება ე.წ. „ლურჯი სუფრა." საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია კავკასიის ხალხთა საჩითავების უნიკალური ნიმუშები.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, საქართველოს მუზეუმის საჩითავები 1961. ჰეროდოტე, ისტორია ნ.I, 1972.

ე. ნ.

საცერი — ფქვილის გასაცრელი. უფრო წმინდა საცერს სამტკიცი ჰქვია. საცერი მზადდება ფართო ტკეჩის მორკალვით, რომელსაც გამოწნული აქვს წვრილი ძირი ან რაიმე მსხვილად ნაქსოვი ნაჭერი აქვს გამოკრული. საცერი პურეული კულტურის ხანგრძლივი მოხმარების დამადასტურებული ნივთია.

საცერული (ხევს.) — ხევსურული საცერული ზოგადი სახელია იმ საბრძოლო იარაღისა, რომელიც ბეჭდის სახითაა წარმოდგენილი და ხელის ცერზე წამოსაგებადაა განკუთვნილი. ხევსურები საცერულს უბეში ინახავდნენ, ისინი ამ იარაღს მაშინ აამოქმედებდნენ, როდესაც სხვა იარაღი თან არ ჰქონდათ. ასეთ მდგომარეობაში ხევსური მაშინ იმყოფებოდა, როდესაც ლხინის წინ მას დიაცები იარაღს ჩამოართმევდნენ და ის უბეში დაფარული საცერულის ამარად რჩებოდა. არსებობს საცერულის რამდენიმე სახეობა — „ღაჯია", „მაღალი აფთარი", „ხერხულა", „წისქვილა" და სხვა.



ლიტ.: გ. ჩიტაია, ხევსურული საცერული, შრომები, ტII, 2000.

მ. ქ.

საცეცხლური – საკმევლის ანთებისა და კმევის დროს საღმრთისმსახურო ჭურჭელი. ლითონის (ჩვეულებრივ — სპილენძის შენადნობი) პატარა თასი, რომელიც ჯვრის დაბოლოებიანი თავსახურითურთ სამ გრძელ ჯაჭვზეა დაკიდებული. მასში ათავსებენ გაღვივებულ ნახშირს, რომელსაც ზემოდან ადებენ საკმეველს. საკმეველი წვისას კეთილსურნელოვან კვამლს გამოყოფს. ღმრთისმსახურების გარკვეულ მომენტებში ხდება დიაკვნის ან მღვდლის მიერ გუნდრუკის კმევა ხატთა, ტაძრის სიწმინდეთა და მრევლის წინაშე საცეცხლურის საშუალებით. კმევისას გუნდრუკის (საკმევლის) კეთილსურნელება ნიშნავს ღმრთისადმი აღვლენილ ლოცვებსა და სულიწმინდის მადლს, რომელიც მლოცველთ ეფინება, საკმევლის სუნი არ უყვართ უწმინდურ ძალებს.

ლიტ.: Скляревская Н.Г. словарь православной церковной культуры, М. 2000 г.

ხ. ც.

საცეხველი//ჩამური//ოჩამური(გურ.სამეგრ.)**//საძიგველი//საბეგველი**(აჭ.)**//დენგი**(ხევს.)**//ჯორგო//როფი** (ლეჩხ.)**//ალახარა** (აფხ.) — მარცვლეულის ცეხვა-ნაყვისათვის გამოყენებული ქვის როფი. იხმარებოდა ხორბლეულის, ღომის, ფეტვის, ასლის, ბრინჯის, გასაცეხვად. სელის, კანაფის, მარცვლის, თრიმლის, თოფის წამლის დასანაყად. ცნობილია საცეხველის სამი ტიპი: ა) ხელის ბ) ფეხის და გ) წყლის. საცეხველის ფორმათა ვარიაციული სახესხვაობა მთელ საქართველოში იყო გავრცელებული — ჩამურის (გურია, იმერეთი, სამეგრელო), ოჩამურეს (სამეგრელო), ჯორგოს სამცეხვლოს (ლეჩხუმი), დენგის, დინგის (ხევსურეთი, სამცხე-ჯავახეთი), როდინის, როფის (იმერეთი), საძიგველის (აჭარა), ფილის (კახეთი), ქვიჯარ (სვანეთი) და სხვა სახელით. სანაყ-საცეხველები უძველესი დროიდან არსებობდა. ისინი ენეოლითური და შუა ბრინჯაოს, ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის ძეგლებშია დადასტურებული. საქართველოში ფეხის საცეხველი დასტურდება ქოროლოს ღვთისმშობლის ეკლესიის (X-XI სს.) ფრესკის მოხატულობაში. ფეხის საცეხველი ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიაში (ჩინეთი, იაპონია, ინდონეზია), ხმარობდნენ ფინეთში, აღმოსავლეთ გერმანიაში, პოლონეთში, იტალიაში, ესპანეთში, უნგრეთში.

ფეხის საცეხველი გამართული იყო ბარჯგებზე. ცეხვის დროს საცეხველთან გამართულ ძელებს შუა გაბმულ თოკზე ხელჩაკიდებული მცეხვავი ძელის ერთ ბოლოზე ფეხის დაკერით ძელს მაღლა აღმართავდა

















სარტყელ-ქამარი













სარტყელ-ქამარი

და თავს ჩამურში ჩაარტყმევინებდა, რასაც შიგთავსის ცეხვა ან ნაყვა მოჰყვებოდა. ეს მოქმედება რითმულად მეორდებოდა ცეხვის დამთავრებამდე. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო წყლის საცეხველი. სამეურნეო საქმიანობის გარდა, საცეხველი რელიგიურ კულტურაშიც გარკვეულ ფუნქციას ასრულებდა მაგ., თედორობის კულტისადმი მიძღვნილ ცერემონიაში (რაჭ. ლეჩხ.) — საცეხველთან ლოცვა და რიტუალური კვერის საცეხველისადმი ზიარება მიმართული იყო მოსავლისა და მარცვლის უდანაკარგოდ ცეხვის დაბევებისადმი. საცეხველი ისეთივე ძველ მონაპოვრად მოჩანს, როგორც მასში მოსაცეხი პროდუქტი. საცეხველი ჩვენში ადგილობრივ, კულტურისა და ქართული სამეურნეო ყოფის მონაპოვრადაა მიჩნეული.

ლიტ.: Г. Читаиа, Этнографические исследования в Грузии. советская этнография, *т.IV, 1948. ჯ. რუხაძე, ხალხური აგროკულტურა დას. საქართველოში, 1970.*

ლ.ბ. ე.ნ.

საცივი — დასავლურ-ქართული სამზარეულო ხელოვნების დიდი მონაპოვარი, რომელსაც ძირითადად ამზადებენ ნიგვზისა და ინდაურის ხორცისაგან. საცივი არის სადღესასწაულო სუფრის აუცილებელი ატრიბუტი, რომლის დამზადება მოითხოვს დიდ გამოცდილებას, რაშიც იგულისხმება სანელებელი მასალის კერძთან სწორი, ზომიერი მისადაგება და ფაქიზი გემოვნება. ნიგვზიანი კერძების მომზადებაა სხვა ხალხთა სამზარეულო ხელოვნებაშიც დიდი ადგილი უჭირავს, მაგრამ საცივის მომზადების სპეციფიკური წესები არსად არა არის ისეთი მასშტაბური, როგორიც საქართველოში, საკვების ამ ტიპმა ჩვენთან შეიძინა ეთნიკური კუთვნილების ნიშანი. კვებითი ღირებულების გარდა, საცივში გამოვლენილია დიდი საგემოვნებო კულტურა, საკვებ-წარმოების ხალხური გამოცდილების მაღალი დონე, მისი, როგორც კულტურის ელემენტის, ფასეულობა და ღირებულება. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, საცივი არის მატერიალური კულტურის საგანი და იგი ასეთივე ეროვნული საგანძურია ქართველი ხალხისათვის, როგორც რომელიმე ხუროთმოძღვრული ძეგლი.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ხალხის კვება და მისი რაციონალიზაციის ამოცანები 1939. გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა, 2007.

ე. ნ.

საძუე — ცხენის აკაზმულობის ნაწილი, „ცხენთ საკუდარი" (საბა). უნაგირზე მობმული ორპირი თასმა, ამოდებული ცხენის კუდის ქვეშ. უნაგირივით მასაც ხელოსნები ძვირფასი ლითონის ბალთებითა და ღილებით რთავდნენ. საძუე ორ ფუნქციას ასრულებდა: ერთი მხრივ, იგი დაღმართზე უნაგირს წინ წაცურებისაგან იცავდა და მეორე მხრივ, ცხენის აკაზმულობას შნო-ლაზათს მატებდა.

ლიტ.: ლ. ლეონიძე, მესაქონლეობის ლექსიკონი, 1925.

ნ. ჯ.

სანანგარო — სამოსანტრო ცხოვრებაში არაერთხელაა დასახელებული, როგორც ფეხსაცმლის წარმოების სახელოსნო.

საწდე – ღვინის შესასმელი ჭურჭლის ზოგადი სახელი. საწდე ჭურჭელში ერთიანდებოდა: ფიალა, ჯამი, თასი, დოსტაქანი, ორთომლი, კვანჩხი, სარიოში, ყანწი, კულა, აზარფეშა: აქედან მომდინარეობს ტერმინი „მწდე", ანუ ღვინის დამსხმელი დიდი სუფრის დროს.

ა. ნ.

საწვიმარი — წვიმის დროს ტანსაცმელზე მოსასხამი. ნახსენებია გიორგის მთაწმინდელის ცხოვრებაში როგორც ძალზე გავრცელებული საცმელი. საწვიმრები ნახსენებია გვიანფეოდალური ხანის ქონების ნუსხებშიც. შეკერილი უნდა ყოფილიყო მსხვილი ტილოს ნაჭრისაგან, რომელსაც წყალი არ უნდა გაეტარებინა. მთაწმინდელის „ცხოვრების" მიხედვით დიდი წვიმის შემდეგ ის ბერები, რომლებთაც საწვიმარი ჰქონდათ, მონასტერში მოვიდნენ „მოლხინებით", ხოლო ისინი ვინც უიმისოდ იყო, „გაჭირვებით". საწვიმარის თავისებურ ტიპს წარმოადგენს ღართი (იხ).

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, 1962.

ე. ნ.

საწიგნე — ქართულ ხელნაწერთა მინიატურებისა და ჩვენამდე მოღწეული ექსპონატების მიხედვით, ჯერ კიდევ XI ს. საქართველოში გვხვდება მაღალი გემოვნებით შესრულებული საწიგნე-სამწერლობო კიდობნები. ზოგიერთ შემთხვევაში საწიგნე კომბინირებულად იყო შერწყმული საწერ მაგიდასთან. საწიგნე იყო როგორც უძრავი, მგალითად კედელში ჩატანებული, ისევე მოძრავი — ხისა. საწიგნეთა ნიმუშები დადასტურებულია სვანეთში: ლამარიას, იენაშის, ჟიბიანის, ლატალის ეკლესიებში. მატერიალური კულტურის ამ ტიპის ნიმუშების განხილვა აშკარად მიანიშნებს წიგნის ხმარების მაღალ კულტურაზე.

ლიტ.: ე. ართილაყვა, XVI-XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1965.

ე. ნ.

საწნახელი — ყურძნის დასაჭყლეტ-დასაწური ჭურჭელი. არსებობს სამი ძირითადი ტიპი: ქვის, ქვიტკირით ნაშენი და ხის. მეღვინეობაში ყურძნის დაწურვას ქვის საწნახელში უძველესი ისტორია აქვს. დღემდე მოღწეულია როგორც კლდეში ამოკვეთილი საწნახლები, ასევე კირ-ხსნარით აშენებული. ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება ერთიან ლოდში ამოკვეთილი საწნახლები. (ქვის საწნახელების საუკეთესო ნიმუშები დასტურდება იმერეთში, განსაკუთრებით ქვის დამუშავებით განთქმულ ცენტრებში; ჭოგნარი, სეფარეთი). ქვის საწნახელები 2-დან 4 მეტრის სიგრძისაა, სიმაღლე — 40-60 სმ, მოყვანილია ხის საწნახელის მსგავსად. აქვს ზურგი, ტანი, გვერდები, წინპირი, ინდური, რომელიც გახვრეტილია ტკბილის გამოსვლისათვის. ქვის საწნახლისთვის საჭიროა საუკეთესო უტალო და უარტაშანო ქვა, რომელიც მოტყდება ურო-სოლის მეშვეობით. ითლება სათლელებით და სატეხებით. საწნახლის კეთება მიმდინარეობს 2-3 თვის განმავლობაში. თავისი მნიშვნელობის გამო იგი იშვიათ ნივთთა რიცხვში ექცევა და იმერეთში „საგანძურსაც“ უწოდებენ (იხ. საგანძური).



ტერმინ „საწნახელში“ ფაქტობრივად გამოხატულია მოქმედება, რომელიც ყურძნის ჭყლეტა-წნეხვას გულისხმობს. პრეისტორიულ ადამიანს ყურძენი ხელით უნდა დაეჭყლიტა და ეს პროცესი ალბათ გრძელდებოდა მანამ, ვიდრე კულტურული ვაზის მეურნეობა არ გაიჩინა. საგულისხმოა, რომ ძველ საქართველოში ყურძნის დაწურვა სცოდნიათ ტყავზე, გოდორში, ვარცლზე, სელის ტომრებში, მაგრამ განვითარებული მეღვინეობისა და მაღალი დონის მეურნეობის მაჩვენებელი საწნახელია, რომლის უძველესი, კლდეში ნაკვეთი ნიმუშები ამიერკავკასიაში IV ათასწლეულით თარიღდება. ასეთი, კლდეში ამოკვეთილი საწნახელები, საქართველოში ამჟამადაც არსებობს უფლისციხეში, ნეკრესში, ვარძიაში, გარეჯში. მათი დამუშავების ხელოვნება და გამოყენების პრაქტიკა, აშკარად მიგვანიშნებს, რომ ამ დროის საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა მაღალ სამეურნეო დონეზეა ასული. საწნახლის მეორე ტიპია — კირხსნარით აშენებული საწნახლები, გავრცელებული საქართველოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით კი ქართლსა და კახეთში. ასეთი საწნახლები ზოგჯერ გაყოფილი არიან ორად, შავი და თეთრი ყურძნისათვის და ორივეს ცალ-ცალკე გააჩნდა წვენის გადმოსასვლელი ინდური — ნახევრად ღია მილი. კირხსნარით აშენებული საწნახლები დიდი მასშტაბური სამეურნეო საქმიანობისათვის იყო განკუთვნილი.

ხის საწნახლისათვის საუკეთესო ხედ ითვლება ცაცხვი. სასაწნახლე ხეს წინასწარ შეიგულებენ, ზამთრის დამდეგს მოჭრიან, ერთ წლამდე ადგილზე დატოვებენ. მერე ნაჯახით გათლიან, გულს ამოუღებენ და საბოლოო დამუშავებისთვის სახლში მიიტანენ. საწნახელი მარანში იდგმება კედელთან, ხის ან ქვის სადგამებზე, ბოლო აწეული აქვს იმდენად, რომ ტკბილი იოლად დაეშვას ინდურისაკენ. საწნახელში ყურძენს დატკეპნიან თავგანიერი ხის ეროთი. მწურავები შიშველი ფეხით ფრთხილად გადაუვლიან საწნახელში ჩაყრილ ყურძნის მასას. მერე ბოლოდან მოჰყვებიან და ნელი წნეხვით იწყებენ თანაბარ ჭყლეტას. როცა ყურძენი აითქვიფება, ნაჭყლეტ მასას მიყრიან საწნახლის უკან, შემდეგ გაუგდებენ ნიჩაბს და ზემოდან შედგებიან. რამდენიმე ასეთი პროცესის გამეორების შემდეგ ჭაჭას მთავარი წვენი გამოსული აქვს და გამზადებულია ნბერში (იხ.) გასატარებლად. საწნახლებში ადრე სცოდნიათ წნელით დაწნული ჩელტების ჩადება, რასაც ზემოდან დააფენდნენ ჩადის//ჩადუნას ფოთლებს, იმ მიზნით, რომ ტკბილს არ გამოყოლოდა წიპწა და ჭაჭა. ჩადუნას ფოთლების მომეტება ზოგჯერ ღვინოს სპეციფიკურ გემოს აძლევდა და აქედან მოდის გამოთქმა „ჩადის გემო აქვსო“. დიდი და გამორჩეული საწნახელი ოჯახის ძლიერების სიმბოლოს წარმოადგენდა. დასავლეთ საქართველოს საახალწლო რიტუალში მარანი და საწნახელი იქცეოდა ერთ უმთავრეს ობიექტად, რომელთა

მეშვეობითაც ადამიანები ღმერთს გამრავლებასა და ბარაქიანობას შესთხოვდნენ.

ე.ნ.



სანოლი//სარეცელი//ცხედარი//თეე//ტახტი//სტივა – ადამიანთა მოსასვენებელი ავეჯი. X ს. ძეგლებში ბერთა საწოლად სარეცელია დასახელებული. ძველ საქართველოში საგებლის გარეშე, საწოლი ავეჯის სინონიმს წარმოადგენდა—ცხედარი. სულხან-საბას განმარტებით,- „ცხედარი ითქმის შიშველ საგებელთაგან, ხოლო სარეცლად დაგებული და გადაგებული". ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში გავრცელებული საწოლის ერთ გავრცელებულ სახეობას ტახტი ჰქვია. საწოლ სარეცელთა ორიგინალური ნიმუშებია მოცემული მამუკა თავაქარაშვილის მოხატულ „ვეფხისტყაოსანში". ეს ავეჯი მეტ-ნაკლები რეალობით უნდა ასახავდეს ფეოდალური საქართველოს საწოლის ტიპებს. საქართველოს არისტოკრატიის საწოლი ავეჯის მაღალგანვითარებულობას ადასტურებს არმაზისხევში აღმოჩენილი სარეცელი, რომლზედაც აკლდამაში შესვენებული მიცვალებულები იყო მოთავსებული.

ლიტ.: ვ. ართილაყვა, XVI-XVIII სს. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1965.

ე. ნ.



სანური — ნივთი, რომელიც იხმარება სამეურნეო საქმიანობაში სხვადასხვა ნივთიერების გასაწურად. მზადდებოდა ხის, თიხის, ლითონისა და მცენარეთა შტოებისაგანაც.

საწყაო – ზოგადი სახელი სხვადასხვა ზომა-წონის შედგენილობის ჭურჭლისა. აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრფიულ ყოფაში დამოწმებულია მარცელეული კულტურების შემდეგი საწყაო ჭურჭელი: ლიტრა, პინა, ჩანახი, ორიანი, სამიანი, ფოხალი, ჩხუტი, გვერდი, ნასამალი, რუბი, კოდი და სხვა. მათ ძირითად საზომ ერთეულს ლიტრა წარმოადგენდა, თუმცა ეს საწყაოები სხვადასხვა ადგილას განსხვავებული მოცულობის იყო მაგ., მცხეთა-თბილისის რეგიონში ლიტრა 10 გირვანქას უდრიდა, ხოლო კოდი 10 ლიტრას შეადგენდა. ფშაური კოდი ათლიტრიანია, ლიტრაში კი 12 გირვანქაა. ხევსურული კოდი 12 ლიტრიანია, ხოლო კახეთის ლიტრა 13 გირვანქას შეადგენდა. უფრო მეტად ხმარებაში იყო 10 გირვანქიანი ლიტრა, რომელიც 4 კგ მარცვალს შეადგენდა. ამის მიხედვით იანგარიშებოდა — ჩანახი, პინა, ფოხალი, კოდი.

დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდში, მრავალგვარი საწყაოები არსებობდა, რომელთაგან აღსანიშნავია: ქილა, ფოხალი, ბათმანი, გვერდი, გოდორი, გუდა, კოდი, ატარი, კაბინი, ნაოთხალი, მენახევრე, კვიდოლი, ოყა, გორო, კვახი, კვერცხი და სხვა. XIX ს. განსაკუთრებით გამოიკვეთა ძირითადი საწყაოები: ქილა, ფოხალი, ბათმანი, რომელთა განსაზღვრა ემყარებოდა ლიტრის ოდენობას, თუმცა ლიტრის ოდენობა ხშირად იცვლებოდა. მაგ., მეგრული ქილა უდრიდა 42 გირვანქა სიმინდს, გურული — 2 ბათმანს. ხის საწყაოები ძირითადად კეთდებოდა მთლიანი ხისგან, ქერქისგან და წნელისგანაც როგორც სახელურით, ასევე უსახელუროდ. ზოგჯერ, ხის საწყაოებს სიმაგრისათვის, თავსა და ბოლოში, რკინის სალტეებს უკეთებდნენ.

ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1975.

მ.ხ.

საწყაო ღვინისა — ღვინის საწყაოებად ქალაქში უფრო მეტად გამოიყენებდნენ სპილენძის კონუსურძირიან საწყაოებს, ერთი ჩარექიდან ორ ფუთამდე. ჩვეულებრივ სოფლად ხმარობდნენ თიხისა

და ნყლის ჩაფებს, რომელსაც მრგვალი პირი აქვს. მიუხედავად საწყლე ჩაფთან მსგავსებისა, მისგან განსხვავებული ჭურჭელია, რადგან იგი ზუსტად დადგენილი, შემოწმებული ღვინის საწყაოა. მისი დამზადება მეჭურჭლისაგან სიზუსტეს მოითხოვს. საწყაოდ დამზადებულ 10 ჩაფიდან არწყვა-შემოწმების შემდეგ საწყაოდ რომ 3-4 მაინც გამოვიდეს ზუსტი, ესეც მეჭრუჭლის დიდ მიღწევად ჩაითვლება.

ჭურიდან ამოღებულ ღვინოს საწყაო ჩაფში ასხამენ, ეს პრაქტიკულიც არის და მოსახერხებელიც. მოსახერხებელია იმიტომ, რომ ჩაფს ფართო, მრგვალი პირი აქვს და ღვინო კარგად ისხმება. პრაქტიკულია იმიტომ, რომ იციან რა რაოდენობის ღვინოს აკლებენ ჭურს.

ჩაფი ღვინის საწყაოდ იმერეთის გარდა გამოყენებულია რაჭაში. რაჭაში ხმარებული საწყაო ჩაფების უმრავლესობა იმერეთიდანაა შემოტანილი. რაჭაში ხშირად გაიგონებთ გამოთქმას „საჩხერული" ფუთიანი, „შროშული ჩაფი" და სხვ. ჩაფს საწყაოდ ხმარობენ ქიზიყში, საინგილოში. ჩაფის ანალოგიური თიხის საწყაოებია: კოკა —(ქართლი, კახეთი, სამეგრელო), დორა, მენახევრე (რაჭა-ლეჩხუმი), „ჭარიკა" (გურია) და ა.შ.

ლიტ.: ც. კაკაბაძე, შროშული კერამიკა, 1982. ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, I, კახური, 1949.

ც. ჯ.

საწყვეტი — კეხის ამოშვერილ ნაწილებზე წინ და უკან ჩაბმული ჰქონდა ხურჯინის დასამაგრებელი ორი თასმა. ამავე დროს, საწყვეტი ეწოდებოდა შოლტის ბოლოს მიბმულ სატყლაშუნო თასმასაც.

საჭე — ხომალდის მთავარი სამართავი მოწყობილობა, რომლითაც შესაძლო ხდება ხომალდისთვის სასურველი მიმართულების მიცემა, ძვ. ქართულში მისი სინონიმია „სარეველი".

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი ნაოსნობა საქართველოში. 1984. (ე. ნ).

საჭვრეთა//საჭრელებელი — ქადების დასაჭრელებელი, ხის საბეჭდავი, რომლის თავი შემკულია სხვადასხვა ხაზობრივი მოტივებით. ᲒᲒამოცხობის წინ საჭვრეთას დააბეჭდავენ სარიტუალო პურს და დააჩნდება. საქართველოში მრავალგან იყო გამოყენებული პურის დაბეჭდვის ამგვარი წესი (იხ. ბიქილა, დასტაგი - დაგი).

ლიტ.: ალ. ოჩიაური, ქართ. ხალხ. დღეობათა კალენდარი, 1988.

ე. ნ.

საჭიკა — თუში ქალის კაბის სარტყელი. მოქსოვილია ფირფიტებით ფერადი ძაფისაგან და გამოირჩევა სიმაგრით. ბილოებში ფოჩით მთავრდება. საშუალო ზომის საჭიკა 1,5 დან 2 მეტრამდეა სიგანით 3-დან 8 სანტიმეტრამდე.

ე. ნ.





სამჭედლო









სასიმინდე

საჭმელი//ჭამადი//საჭამადი//საზრდელი – ადამიანთა საკვები პროდუქტის ზოგადი სახელი. საქართველოში და კავკასიის სხვა ხალხებში შემუშავდა სამჯერადი კვების რეჟიმი, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, როცა სამუშაოს სპეციფიკა საჭიროს ხდის დღიური რაციონის გაზრდას და კვებაც ოთხჯერადი ხდება (თიბვის, მკის მუშა). ძველ ქართულ წყაროებში ქართველთა კვების რეჟიმი სამჯერადაა წარმოდგენილი: დილას სადილება//დილეული//სადილი, „საშუალო დღისაი" — სამხრება// სამხრის ყოფა//სამხრობა და საღამოს — ვახშმობა. საბას მიხედვითაც სადილია „დილის საჭმელი", „შუადღე ჭამადი არს სამხარი", ვახშამია „მწუხრის საჭმელი" და იქვე მიუთითებს, რომ „გლეხურია". მეორეგან „მიმწუხრი ჭამადს" სერობას უწოდებს. დილის საჭმელს, საბას მიხედვით, საუზმეც ეწოდება. თუ ვინმემ ვახშმის შემდეგ „ჭამადი მიიღო" მას „სერის კუდი" ეწოდება. როგორც საბას განმარტებიდან ჩანს, ამ ჯერის (იჯრა, ჯერი — ერთი საჯერო ჭამადი,) ჭამა ჩვეულებრივი მოვლენა არ იყო, „რამეთუ არიან კაცნი მუცელთ მაძოვებელნი, რომელნი ჭამენ ოთხ-ხუთთა ჯერთა". ფშაველ-ხევსურნი და გუდამაყრელნი ყველაზე ნოყიერად დილას მიირთმევდნენ — ცხელ ხინკალს, ხორცს, ყველს; სამხარზე მონარჩენით და მშრალ საჭმელზე (ყველი, პური) გადადიოდნენ. ვახშამიც შედარებით მსუბუქი იყო — კეცეული, რძე ან უბრალო შეჭამანდი. მთიულები სამხარს უფრო ნოყიერად ამზადებდნენ: წვნიანი, ხორცი. დილას პურ-ყველით სადილობდნენ, ვახშმად ხინკალი, ფაფა ან სხვა რამ. მთიულები გაზაფხულამდე სადილ-ვახშმით კმაყოფილდებოდნენ. გაზაფხულიდან სამხარსაც ჩართავდნენ თავიანთ კვებაში. ძირითადად ყოველდღიური სუფრის კერძები დამოკიდებული იყო შეძლებასა და დროზე. ჭამდნენ რაც გააჩნდათ. XIX ს. სადილ-სამხრის „გლეხური" სუფრა, ხშირად პურით, ყველითა და ხახვით მთავრდებოდა. XIX ს. დასაწყისში სპეციალურ სამედიცინო ლიტერატურაში ორგანიზმისათვის ყველაზე სასარგებლოდ მიჩნეული იყო საჭმლის განანილება დღის განმავლობაში სამ ჯერზე. დღეისათვის სამჯერადი კვება წარმოადგენს დადგენილ აუცილებლობას. აქედან ორგანიზმს დღიური რაციონის უდიდესი ნანილი სჭირდება დღის პირველ ნახევარში, ხოლო საღამოს — დასვენების პერიოდში, ადამიანის ყველაზე ნაკლებ ენერგიას ხარჯავს და ულუფაც ამის მიხედვით ჭირდება. ქართველ მთიელთა დღის რაციონი, რომელიც დროთა განმავლობაში შემუშავდა სეზონურად და დღის სხვადასხვა მონაკვეთში შრომის სიმძიმისა და ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, დღევანდელ ნორმებს შეესატყვისება, რაც უდავოდ, საკვები პროდუქტის შერჩევისა და ათვისების დიდ უნარზე, მისი შრომით ცხოვრებაში რაციონალურად გამოყენებაზე მიუთითებს.

ლიტ.: სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1928. გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქ-ში, 2007.

ე. ნ.

სახაბაზო — პურის საცხობი. ძვ. ქართულად „პურის საქმარი" ეწოდებოდა. შენობა-ნაგებობა, სადაც გამართული იყო ფურნე ან თორნე ყველა იმ ატრიბუტებით, რაც პურის გამოცხობას ესაჭიროება (გობები, ასტამები, საკეცეები და სხვანი). სახაბაზო პურის ცხობას წარმართავდა ხაბაზი.

ე. ნ.

სახვნელი – ყველა ტიპის სახვნელი იარაღის ზოგადი სახელწოდება. ტერმინი „სახვნელი" რამდენადმე ადრე უნდა გაჩენილიყო, ვიდრე სახვნელთა სახეობანი და მათი სახელები. გვიან სახვნელმა, როგორც სახვნელის კერძო სახელწოდებამ, ვეღარ დაიტია განვითარების შედეგად სახვნელთა მრავალსახეობა და ზოგად ტერმინად იქცა. მის შიგნით მოხდა სახვნელების სახეობათა მიხედვით სათანადო სახელწოდებათა შექმნა. თუმცა „სახვნელი", როგორც იარაღის კერძო სახელი, მთლად არ დაკარგულა. ზოგიერთ კუთხეში (ხევსურეთი, რაჭა, ლეჩხუმი) იგი შემორჩა სახვნელის კონკრეტული ტიპის აღსანიშნავად.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1930.

თ. გ.

სახვნიელი (ხევს.) – მარტივი სახვნელი იარაღი. შედგებოდა: ქუსლის, მხრის, ვერქვანის, საბეწეოს, სახნისისა და საკვეთლისაგან. ქუსლი სწორად გათლილი ხის ნვერწამახულ ძელს წარმოადგენდა, რომელსაც წამოცმული ჰქონდა სახნისი. ქუსლს უკან ჰქონდა ორი ნაჩვრეტი, რომელშიც ჩაიდგმოდა სახვნელის მხრის ერთი თავი და ერქვანი (სახელური). სახვნელის მხარი ბლაგვკუთხედ მოხრილი ხის ძელი იყო, რომელიც ერთი მსხვილი თავით ქუსლის ნაჩვრეტში იყო ჩადგმული, ხოლო მხარის სნორი თავი წაგრძელებული ჰქონდა უღელზე მისაბმელად. მხარს ორი ნაჩვრეტი გააჩნდა: ერთში საკვეთელი თავსდებოდა, ხოლო მეორეში საბეწვე. შაბეწვე სამალდის გამობმით, სახვნელის გამწვე ძალას უკავშირდებოდა. ერქვანი წარმოადგენდა

მოკლე გაკუთხულ სახელურიან ჯოხს, რომელიც მხვნელისათვის სახელურების დანიშნულებას ასრულებდა. ხევსურული სახვნელის კომპლექსში გარკვეული მნიშვნელობის დეტალია ჯამბარა, რომლის საშუალებითაც სახვნელი უღელზე იყო მიბმული. ჯამბარას ტყავისგან ამზადებდნენ. ხევსურები ამ საქმის კარგი მოხელეები ყოფილან. მეჯამბრეობას მთელი პირაქეთელი ხევსურები მისდევდნენ (იხ. ჯამბარა). სახვნიელში ერთი უღელი ხარი იბმოდა.

ხვნის დროს მიმართავდნენ შრომის ორგანიზაციის მარტივ ფორმას — „მანდავს"II„მონდავს". ერთიანდებოდა ორი ოჯახი თითო ხარით. თითოეული მათგანი თავისი მიწის ხვნისას საკუთარ სახვნელ იარაღს—„სახვნიელს" იყენებდა. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთ მონაწილეს არ ჰქონდა სახვნიელი, ის მეორე წევრის სახვნიელს გამოიყენედა საზღაურის გარეშე. მანდავის წევრები ჯერ ერთთან მუშაობდნენ, მერე მეორესთან. თითოეული ხნავდა იმდენს, რამდენიც სჭირდებოდა. ე.ი. თუ ერთ-ერთ წევრს მეტი ჰქონდა დასახნავი ფართობი, მას მანდავის მუშაობის დროს ხვნადღეების მეტი რაოდენობა ერგებოდა. ზოგჯერ ამ განსხვავებას „ათანაბრებდნენ" —ვისაც ნაკლები ჰქონდა მოსახნავი, იმას შეეძლო თავისი მანდავის ხარი სხვა დროს გამოეყენებინა. მაგრამ ეს არ იყო აუცილებელი და თუ ხდებოდა, აბსოლუტურ სიზუსტეს არ იცავდნენ. თუმცა, ასეთ შეამხანაგებას ეკონომიკური თვალსაზრისით დაახლოებით ერთნაირი მდგომარეობის ოჯახები მიმართავდნენ, რომელთაც მოსახნავი მიწებიც დაახლოებით თანაბრად ჰქონდათ და ამდენად, ფაქტობრივად შრომის შედეგის (ხვნადღეების) განაწილებაში მნიშვნელოვან განსხვავებას ადგილი არ ჰქონდა.

ლიტ: გ.ჯალაბაძე. მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში. თბ., 1963

Читая Г. С. Земледельческие системы и пахотные орудия Грузии – Вопросы этнографии Кавказа 1952

თ. გ.

სახინკლე — აქ. ოვალური ფორმის ტარიანი დაფა, რომელზედაც დააწყობდნენ ხინკალს და მიართმევდნენ სტუმარს. ამ ნივთით ხდებოდა აგრეთვე სარიტუალო დღესასწაულებზე მიცვალებულთა სულებისათვის „ხინკლის დადგმა". სახინკლე შემკული იყო სხვადასხვა სახის ასტრალური გამოსახულებებით, რაც მთიელთა რწმენა-წარმოდგენების გამოძახილია.

ე.ნ.

სახლი — საზოგადოებრივი, სამეურნეო და ადამიანთა საცხოვრისის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი. ძველ საქართველოში საცხოვრისის გარდა არსებობდა: სახლი საქვრივო (გლოვისა), სალხინო, სამდივნო (სასამართლო), ასევე სახლი ნისქვილისა, სახლი რკინისა. პატარა საცხოვრისს სახლაკს უწოდებდნენ.

ე.ნ.

სახლი ბარული — ერთთვლიანი სახლი, გავრცელებული ხევსურეთის ზოგიერთ პუნქტში, რომელიც წარმოადგენს მიწისზედა ნაგებობას და გვიანდელ პერიოდში უნდა იყოს შესული ხევსურეთში.

ე. ნ.

სახლი ბოყვებიანი — ბოყვების მეშვეობით აგებული ხის სახლის ტიპი, რომელიც გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში. ესაა იმავე ბოყვებით აშენებული ოდა (იხ. ბოყვები).

სახლი დუროიანი — საცხოვრებელი სახლის ტიპი მთიან რაჭაში, რომელსაც თავდაცვითი დანიშნულებაც ჰქონდა. ოთხსართულიანი კოშკის მეოთხე სართულს დუროები (სათოფურები) ჰქონდა დატანებული ქვითკირით ნაშენ კედლებში. სახლის პირველ სართულს საქონლის სადგომად იყენებდნენ, მეორე სართულზე ოთახის შუაგულში კერა იყო გამართული და ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ. მესამე სართული წლის სარჩოს და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შესანახად გამოიყენებოდა. სართულები ერთმანეთს შიდა კიბით უკავშირდებოდა.

ლიტ.: გ. ჩიტაია, შრომები, ტ. IV, 2001.

სახლი ერდოიან - გვირგვინიანი — ქართული საცხოვრებლის სახეობა. ცნობილია ასევე „დარბაზისა" და „ერთობის სახლის" სახელწოდებით. დამახასიათებელი იყო საოჯახო თემის, დიდი ოჯახის სპეციფიკისათვის. გავრცელებული იყო ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში. სახელწოდება მიიღო ორიგინალური გვირგვინისებური გადახურვის გამო. ერდო-გვირგვინიანი სახლის მოდიფიცირებული ვარიანტებით გამოირჩევა ამიერკავკასია. საქართველოში მან თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ერდო-გვირგვინიანი სახლი სხვადასხვა ვარიაციებით გავრცელებული იყო ქვემო და შიდა ქართლში, მესხეთ-ჯავახეთსა და თრიალეთში. ჩვეულებრივ ნაგები იყო ქვითა და ტალახით. მკაცრ კლიმატურ რეგიონებში მისთვის დამახასიათებელია მიწაში ღრმად ჩასულობა. ბანი გადახურული იყო ხის კონსტრუქციებით. სახურავი კი დაფარულია თიხატკეპნილით.

ერდო-გვირგვინიანი სახლის კონსტრუქციაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ხის ძელებით ორიგინალურად აგებულ გვირგვინს, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს როგორც შუაცეცხლის კვამლის გასასვლელს, ასევე დარბაზის სინათლის წყაროსაც. გვირგვინის გადახურვა ეყრდნობა თაეხეებსა და უმთავრეს სამაგრს — დედაბოძს. მისი ყელი აცილებულია ბანს.

ერდო-გვირგვინიანი სახლის ცენტრალური ნაწილია დარბაზი, რომლის ფართობი 50-დან — 120 კვ. მ.-ს აღწევდა. შუაგულში გამართული იყო კერა, ზედ დაშვებული რკინის საქვაბე ჯაჭვით. ერდო-გვირგვინიან სახლში დედაბოძს არქიტექტურული მნიშვნელობის გარდა, სიმბოლური დატვირთვაც გააჩნდა — როგორც წესი, მასზე ამოკვეთილია რელიგიურ-აპოთროპეული შინაარსის სიუჟეტები. დარბაზში ადგილები განაწილებული იყო ასაკობრივ-სქესობრივი ნიშნით. ყველაზე გამორჩეული ადგილი (კერა, დედაბოძი) და საგანგებოდ შემკული სკამი ეკუთვნოდა ოჯახის უფროსს.

დარბაზის კედლებში, შიდა მხრიდან, დატანებული იყო ნიშები, სადაც თავსდებოდა ყოველდღიური მოხმარებისათვის განკუთვნილი დგამ-ჭურჭელი.

ერდო-გვირგვინიანი სახლი წარმოადგენს კომპლექსურ ნაგებობას, რომლის ცენტრალურ ნაწილსაც მჭიდროდ ეკვრის სამეურნეო სათავსები: მარანი, ბეღელი, სათონე, ბოსელი, საჯინიბო. ერდო-გვირგვინიანი სახლის მოდიფიცირებულ ვარიანტში, მესხურ-ჯავახურში, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ნახევრად ღია სათავსს — კარაპანს, სადაც აწარმოებდნენ საოჯახო სამეურნეო საქმიანობას.

ლიტ.: გ. ჩუბინაშვილი, ქართლის დარბაზი, 1926; თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, 1967. ე.ნ.

სახლი კათხა (ზ. იმერ.) — ძველებური სახლი, შუაში კერა და ზემოთ ერდო ჰქონდა. შეკრულია მორებით.

სახლი კალოიანი — საცხოვრებლის ტიპი ხევსურეთში. წარმოადგენს ლიტონი ქვისგან აგებულ შენობას. პირველ სართულს ეწოდება სახლი, სადაც განთავსებულია კერა, ადამიანები და საქონელი. მეორე სართულს ეწოდება ჭერხო, რომელიც წარმოადგენს მამაკაცთა თავშესაფარს და ამასთანავე, სამეურნეო მარაგის საცავს, ხოლო მესამე სართულია კალო, ანუ მაღალი ბანი, სადაც ზამთრობით ყინულზე პურს ლეწავენ. აქვე განთავსებულია დახურული სათავსი, სადაც იარაღს ინახავენ. კალოიანი სახლი წარმოადგენს ხევსურეთისთვის ყველაზე დამახასიათებელ საცხოვრისს.

სახლი კოშკური — საცხოვრებლის ტიპი ხევსურეთსა და საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებშიც. მისი პირველი სართული საქონლისთვისაა განკუთვნილი (საძროხე, ბაშტე (თუშ)), მეორესა წვრილფეხა პირუტყვისთვის, მესამე — კერისა და ჯალაბობისთვის, ხოლო მეოთხე — ჭერხო მამაკაცებისა და სამეურნეო მარაგის შენახვისთვის. ასეთი სახლი შეთავსებულია მაღალმთიანი ზოლის სამეურნეო და საცხოვრებელ მოთხოვნილებასთან. იგი წარმოადგენს თავდაცვით ნაგებობასაც და ამ მიზნით არცთუ იშვიათად დატანებული აქვს ჩარდახი და სათოფურები.

ე. ნ.

სახლი ლაზური — დასავლურქართული ოდის ნაირსახეობა. ლაზური სახლი თავისი არქიტექტურული და დეკორატიული სრულქმნილებით სამშენებლო ხელოვნების ძლიერ მიმართულებად გამოიკვეთება. ამასთანავე, ასეთი სტილის სხვადასხვა ვარიაციებით ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. ლაზური სახლის მშენებლები ძირითადად იყვნენ ლაზი ოსტატები, რომლებიც არცთუ იშვიათად გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გათვალისწინებით ქმნიდნენ ლაზური სახლის კომბინირებულ ტიპებს, ამ მხრივ შესაძლოა დასახელებულ იქნეს თრიალეთში გავრცელებული ლაზურის

ტიპის მინურბანიანი ოდები. ლაზური სახლი ხასიათდება ქვითხუროობის დახვეწილი ფორმებით, რაც გამოიხატება აივნის, ბოძების, ფარდებისა და კარ-ფანჯრების მხატვრული ჭრილებით გაფორმებაში. ლაზურ ორნამენტში განსაკუთრებით გამოკვეთილია ზოომორფული, ასტრალური და მცენარეული (სიცოცხლის ხე) მოტივი, რაც, მჭიდრო სიუჟეტურ მსგავსებას ამჟღავნებას მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ სამყაროსთან.

ლიტერატურა.: გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, შრომები, ტ. II, 2000

ე. ნ.

სახლი ოდა — დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ტიპური საცხოვრებელი, დახვეწილი არქიტექტურული ფორმის ნაგებობა, რომლის პირველი სართული წარმოადგენს ქვის ბლოკებით აშენებულ პალატს, მეორე სართული კი მთლიანად ხისგანაა გაკეთებული. ოდასახლისთვის დამახასიათებელია ფართო აივანი, ზოგჯერ მასზე მიმაგრებული გრძელი სკამებით. ტიპიური ოდასახლის მეორე სართული მოიცავს სამ ოთახს, ორი განაპირა საძინებლებისათვის და შუაში დიდი „ზალა", რომელიც ერთმანეთისგან გამიჯნულია ხისავე ტიხრებით. ოდასახლში ზოგჯერ გამართულია ქვის ბუხარი და განსაკუთრებით კარგადაა გამოხატული ქვისა და ხის ერთმანეთთან შერწყმის ხელოვნება. როგორც წესი, ოდასახლის აივნებს უკეთდება ხის აჟურული ფარდები, რაც მას თავისებურ კოლორიტს სძენს. ოდასახლის პალატი განკუთვნილია სხვადასხვა საოჯახო და სამეურნეო საქმიანობისთვის.

ე. ნ.

სახლი საბძური – ქვის ორფერდიანი მინისზედა ნაგებობა, რომელიც გავრცელებული იყო ხევსურეთში, სადაც მას ფშაურ სახლად მოიხსენიებენ.

ე. ნ.

სახლი დარბაზული – ძვ. ქართული საცხოვრებლის ტიპი. მოიცავს მთელ კომპლექსს, რომელშიც შედის კარაპანი, დარბაზი, საკუჭნაო, ბოსელი, საბძელი და ფურნე. მისი საუკეთესო ნიმუშები გავრცელებულია მტკვრისა და ქვაბლიანის ხეობებში.

ე. ნ.

სახლი შუა – შუა სახლი, საცხოვრებლის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც გავრცელებული იყო რაჭასა და ლეჩხუმში. ესაა სქელი ფიცრისგან (ზოგჯერ 10 სმ სისქის) ნაშენი, დაახლოებით 60$მ^2$ ფართობის ნაგებობა, რომელიც ეყრდნობა მინაზე „მორგებულ" ქვებს. კედლის ფიცრები კოტებისა და ჭდეების საშუალებით, ხოლო ფიცრის ჩაჭრილი თავები ერთიმეორეზე მიყოლებით ერთმანეთშია ჩაჭედილი და შეკრულია ქილიქით. სახლი იხურებოდა ყავრით. შუა სახლში გაკეთებულია მინის ტკეპნილი სოხანე და შუა ადგილას გამართულია კერა, რომლის ზემოთ — ჭერში დამაგრებულია კაჩა//კაჩხა და ზედ დაკიდებულია ნაჭა, დაგრეხილი რკინის საქვაბე ჯაჭვი (იხ. ნაჭა). კაჩას გამოიყენებენ შაშხის გამოსაყვანად, სუნელეულობის საშრობად, კვახიწელას გასახმობად და სხვა. კაჩაში გადის კვამლი და ადის საკვამურში, რომელიც სახლისათვის სინათლის წყაროსაც წარმოადგენს. შუა სახლს აქვს მასიური კარები, რომელიც იკეტება ურდულითა და საგდულით. სახლის დირესა და სართულზე ფიცრებია გაყრილი, რომელსაც ქორედს უწოდებენ და ამ ნაწილს გამოიყენებენ სხვადასხვა სამეურნეო პროდუქტების შესანახად. შუა სახლში კედელთან მიდგმულია დიდი საწოლი ტახტი ე.წ. კოჩაბანდი (იხ.) რაზედაც იძინებდა ოჯახის ყველა წევრი, კოჩაბანდთან ერთად ასეთ სახლში საწოლის მოვალეობას ასრულებდა სკამლოგინიც. შუა სახლში წარმოდგენილია „სალარო" — კედლის კუთხეში მიშენებულია ჭურჭლის შესანახი სათავსი და „ბუჯერი" — მაღალი მაგიდა სხვადასხვა სამზარეულო ჭურჭლის დასალაგებლად. შუა სახლის სახურავი დიდადაა გადაცილებული კედლებს და მის ქვეშ წარმოქმნილია წვიმისგან დაცული სივრცე, სადაც ინახავენ სამეურნეო იარაღებს. ადრეულ პერიოდში შუა სახლში ადამიანისა და შინაური საქონლის თანაბინადრობაც დასტურდება.

ლიტ.: ა. კიკვიძე, შუა სახლი რაჭა-ლეჩხუმში, 1940.

ე. ნ.

სახლი ხულა – აჭარლების სადგომი საზაფხულო იალაღებზე (იაილა). ხულა სახლში ქვემო სართული საქონლისთვისაა განკუთვნილი, მეორეზე კი ადამიანები ცხოვრობენ და შედგება სამი განყოფილებისგან: იაზღულის, საცეცხლურისა და სარძიესგან, სადაც რძის პროდუქტებს ამზადებენ და ინახავენ. ხულა სახლის ტიპი გ. ჩიტაიას შეხედულებით, იმეორებს ვიტრუვის მიერ აღწერილ კოლხური სახლის ფორმებს და ქართველთა უძველესი საცხოვრისის განვითარებულ ფორმად წარმოგვიდგება.

ე. ნ.

სახმილი\\ სახუმილი (ძვ.) — ღუმელი, ქურა, ბრძმედი, ცეცხლის დასანთები ადგილი.



სანთელი



ძროხის ნველა (ხევსურეთი)

სახნისი — აქ: სახვნელი იარაღის რკინის დეტალი. საქართველოს ბუნებრივ- გეოგრაფიული ზონების შესაბამისად სახვნელის სხვადასხვა ტიპი არსებობს და ყოველი მათგანი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით არის ჩამოყალიბებული. გამოიყოფა სახნისის სამი ტიპი:

1. მთის ზონის სახნისები — სოლისებური ფორმის, უფრთო. ამგვარ სახნისიან სახვნელს საკვეთელი არა აქვს.

2. მთისწინეთის სახნისი — ორფრთიანი. გვხვდება საქართველოს ყველა რეგიონში. ამ ტიპის ზოგიერთი სახნისი ფრთიანი გუთნის სახნისისაკენ გარდამავალ საფეხურს ასახავს. ასეთი სახნისები ძირითადად სამკუთხედის ფორმისაა, მაგრამ არის სხვადასხვა სიდიდის, პირმომრგვალებული სახნისებიც. (უფრო ხშირად გვხვდება ცენტრალური კავკასიის მოსახლეობაში). იგი ყველაზე დიდი ზომის სახვნელი იარაღის ნაწილია, რომელშიაც არანაკლებ ორი უღელი ხარი იყო შებმული. ამგვარი სახნისი აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთისათვის არის დამახასიათებელი და ბარის დიდი ფრთიანი გუთნის სახნისზე გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს. ასეთ სახნისის მქონე სახვნელ იარაღს საკვეთელიც დიდი ზომის ესაჭიროებოდა (45-47სმ).

3. სახნისის ეს ტიპი ბარული დიდი ფრთიანიგუთნისათვისაა, რომელშიც რვა და მეტი უღელი ხარ-კამეჩი იყოშებმული. სახნისებს ჭედავდა სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი მჭედელი, რომელიც ყოველწლიურად ახდენდა ასევე მათ დაპირვა-დაფოლადებას. ამ სამუშაოსათვის მოდგამისაგან მას ერთი ალო (სამუშაო დღის მანძილზე მოხნული მიწის ფართობი) ეკუთვნოდა. სახნისი იჭედებოდა ერთი მთლიანი რკინის ნაჭრისგან, რომელსაც ჰქონდა საკვეთი ფრთები, ბუდე, ანუ საეშვე ყურები, მუცელი, ზურგი და წვერი. ცნობილია სახნისის დამზადების ორი წესი: 1) ლითონის გახურება-გაწევით სახნისის ფორმის მიცემა და 2) რკინის ნაჭრის ცივად გამოჭრა. სახნისის ცალკეული ფორმები ასახავს სახვნელი იარაღისა და საკუთრივ ამ დეტალის განვითარების სხვადასხვა დონეს — მარტივიდან რთულამდე. მთის, მთისწინეთისა და ბარის სახვნელი იარაღების რკინის დეტალებიც თავის მხრივ განვითარების სხვადასხვა ეტაპებს ასახავს.

ლიტ.: გ.ჩიტაია, საქართველოს სამინათმოქმედო სისტემა და სახვნელი იარაღები შრომები, ტ.1. 1997; თ. გ.

სახოპავი — თევზის საჭერი ბადე, რომელიც გამოიყენება იქ, სადაც მდინარე მდორედ მიედინება. წარმოადგენს ოთხკუთხედ ჯოხებზე მიმაგრებულ ამოსასმელ ბადეს.

ლიტ.: ქელ., 2009.

სახრე — შვიდი მტკაველი სიგრძის, სალოკი თითის სიმსხო შვინდის ჯოხი, გამოიყენებოდა სიგრძის საზომად. მაგ., იტყოდნენ: „სახვნელის რვილა სამი სახრის სიგრძე უნდა იყოს."

გ. ბ.

საჯილდაო ქვა — დიდი ზომის ქვა, რომლის ანევაშიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ძლიერი მამაკაცები. იგი სოფლის გამორჩეულ ადგილას იდო და ვისაც ძალა ერჩოდა, შეეჭიდებოდა.

საჯინიბო — ცხენების სადგომი. ფეოდალურ საქართველოში შეძლებულ ოჯახს, როგორც წესი, ცხენებისთვის ცალკე სადგომი ჰქონდა. ცხენი, როგორც სუფთა ცხოველი და ამავე დროს გამოსაჩენი, თავმოსაწონებელი, განსაკუთრებით ზრუნვის ობიექტი იყო. ამიტომ მისი განცალკევება სხვა საქონლისგან სასურველი იყო. საერთო ბოსელშიც კი იგი გამოყოფილი იყო ხარ-ძროხისგან. საჯინიბოში ინახებოდა ცხენის აღკაზმულობა, რაც კიდევ ერთი პირობა იყო საჯინიბოს სისუფთავისთვის.

სევადა — ვერცხლის ნაკეთობის მოსართავი ნივთიერება. სევადის დასამზადებლად აიღებენ თითო გირვანქა სპილენძს, გოგირდს, ტყვიასა და ხუთ მისხალ ვერცხლს, ერთად შეაზავებენ და დაადნობენ. კარგი დუღილის შემდეგ ჯამში გადმოასხამენ, გაცივების შემდეგ ნადნობისაგან დადგება შავი ნივთიერება — სევადა. საოქრომჭედლო სამუშაობისას მას კარგად დანაყავენ და აქცევენ წმინდა ფხვნილად, იმისათვის, რომ სევადამ კარგად „იმუშაოს", კარგად დაადნეს, ფხვნილს ბორას შეურევენ. ვერცხლის ნაკეთობაზე ამოჭრილ ორნამენტში ასეთი ტექნიკით მომზადებულ სევადას დააყრიან, შემდეგ გაახურებენ და იგი ჩადნება ამონაჭრელში, შემდეგ გაასუფთავებენ და მიიღებენ ფერად, მოშავო ნაზ მხატვრულ სახეებს.

ბ.ბ.

სეილანი — ნითელი ფერის მინერალი, რომელიც გამოიყენებოდა საიუველირო ხელოვნებაში. საკმაოდ დიდი გამოყენება ჰქონდა ელინისტური ხანის გლიპტიკაში. სეილანით შემკული სამკაულები იშვიათად მაგრამ მაინც გვხვდება საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში. სეილანით არის შემკული სხვადასხვა სახის საეკლესიო ნივთები.

ლიტ.: ე. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ე. ნ.

სელი — სატვირთო ტრანსპორტის სახეობა. აგებულების მიხედვით სელი შერეული ტიპის საზიდთა რიგს განეკუთვნება, რადგან მასშიც გორვა-სრიალის შეერთებული პრინციპია მოცემული. იგი ახლო დგას აჩაჩა ურემთან იმ მხრივ, რომ აქაც ურმის წინა ნაწილით ხორციელდება თრევა-სრიალი, ხოლო უკანა ნაწილით — გორვა. აჭარაში სელი ეწოდება როგორც ბორბლიან საზიდს, ისე უბორბლოსაც. თუ აჩაჩა ურემში სასრიალო მოწყობილობა ფჩხილებია, რომელთა ბოლო მიწაზე ეთრევა, ხოლო თავი უღელს უერთდება, ბორბლიან სელში თრევის მოვალეობას ასრულებს ფეხები ანუ საცურავები, შედგმული საზიდის წინა ნაწილში სკამის ფეხის მსგავსად. ამრიგად, სელის ფეხები, როგორც სათრევი ნაწილი, ერთსა და იმავე დროს საზიდისა და გამწევი ძალის შემაერთებელი კი არაა, არამედ გამოყოფილია, როგორც ცალკე შემადგენელი ნაწილი. სელში უღელი ხელნების საშუალებით უერთდება საზიდს.

სელი გავრცელებულია სამხრეთ საქართველოს დასავლეთ ნაწილში. აღსანიშნავია, რომ გავრცელების ამ არეში სამეურნეო-გეოგრაფიული პირობების შესაბამისად სელის კონსტრუქციას კონკრეტული თავისებურება ახასიათებს. აჭარაში საზიდის ეს სახეობა საგრძნობლად პატარა ზომისაა, ხოლო ზემო ქართლში სულ უფრო და უფრო იზრდება და ჩვეულებრივი ქართული ურმის სიდიდეს აღწევს.

ლიტ.: მ. გეგეშიძე, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

სელი — აქ: მცენარე, რომლისგანაც ამზადებდნენ საკვებ ზეთს. სელი უძველესი დროიდან მოჰყავდათ საქართველოში. კოლხებისაგან ნაქსოვ სელს, როგორც საუკეთესოს, ახსენებს ჰეროდოტე. სელი არის როგორც საბოჭკოე, ისე საზეთე მცენარე, მაგრამ მისი ადრეული მოხმარება საბოჭკოე მიზნით წარმოებდა. სელის ზეთი ფართოდ გამოიყენებოდა საკვები პროდუქტების მომზადებისას. სელის ზეთის გამოხდას ბოლო დრომდე მისდევდნენ მესხეთსა და თრიალეთში, რისი დასტურიცაა დღემდე შემორჩენილი სელის ზეთის სახდელი კომპლექსის ისეთი მნიშვნელოვანი დეტალი, როგორიცაა გელაზი (იხ.).

ლიტ.: ლ. მოლოდინი, ხალხური ზეთსახდელი იარაღები, 1963.

ე. ნ.

სენაი//სენე (სვ. ხევს.) — სვანეთში სენაი//სანაის სახელწოდებით სპეციალური დანიშნულების სამეურნეო ოთახს გარდა აღინიშნება სახლის („ქორ") პირველი სართულის („მაჩვიბ") კედლის მცირე ნიში, რომელიც მორწმუნე სვანის ყოფაში განსაკუთრებული დანიშნულების იყო. სვანის რწმენით, ყოველ გვარსა თუ გვარში შემავალ ყოველ ოჯახს თავისი „მეზირი" ჰყავდა ამა თუ იმ უჩინარი ცხოველის სახით: ვერცხლის ან ოქროსფრად მოელვარე თაგვი, ხელიკი, ხბო, ცხენი, კვიცი და სხვა. მეზირი გვარისა თუ ოჯახის მფარველად ითვლებოდა. მისი საცხოვრებელი ბინა სვანური სახლის სენაი//სანაი იყო. „მეზირის" სახელზე ოჯახის უფროსი ქალი სენაისთან აცხობდა ორი სახის პურს — ლემზირს „ქორა ლეგემს" ოჯახის სიუხვისთვის და „კერი ლემზირს" (კერის შესაწირავი პური). პირველს ნიშში შედებდა და იქვე პატარა ჯამით რძეს დადგამდა. მეორე ლემზირი კერასთან მიჰქონდა, კერის მარჯვენა ფეხს მარცხნიდა მარჯვნივ სამჯერ შემოავლებდა ლემზირს და დაჩოქილი ხმადაბალი ლოცვით „მეზირს" ოჯახის კარგად ყოფნას შესთხოვდა.

ხევსურეთის სენეც საგანგებო ადგილია სახლში, სადაც წარმოებდა რძის პროდუქტების დამზადება. ეს უძველესი ტერმინი გვხვდება ნიკორწმინდის სიგელში (XIს.), სადაც ის აღნიშნავს სახლში გამოყოფილ ადგილს ან ცალკე ოთახს, სადაც განსაკუთრებული სამეურნეო საქმიანობა ტარდებოდა. ყველაზე არგუმენტირებული ვარაუდით, აქაც რძის პროდუქტების დამზადება უნდა იყოს ნაგულისხმევი. ტერმინი სენე — სხვადასხვა ვარიაციებით გვხვდება ძველი აღმოსავლეთის უძველეს ხალხთა ენებშიც. ამ ტერმინს იცნობს სვანური და რაჭული დიალექტებიც. ყველა ვარიანტით ტერმინი სენე//სენა — მჭიდროდ უკავშირდება რძის მეურნეობის დარგს და ხაზს უსვამს ორგანიზებული მესაქონლეობის არსებობას.

ნ.ვ. ე. ნ.

სერი//სერა — ერთგვარი სარქველი, რომელსაც სადღვებელზე პირს გადასაკრავად იყენებდნენ

საქართველოს მთაში (მთიულ. ხევს. გუდამ.). ამზადებდნენ მსხვილფეხა საქონლის ფაშვისაგან. გაასუფთავებდნენ, გაფხეკდნენ და გაახმობდნენ. საბას განმარტებით „სერი" ქოთნის პირგადასაკრავია.

ლიტ.: ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1979

სერი//ლიშანი — ხეზე დადებული დამღა, რომელიც კუთვნილ ხეზე პიროვნების ხელდებას ამტკიცებს. საქართველოში ასეთი ნიშნების მრავალსახეობა დგინდება. მაგ.: „თაჯი"-აჭარაში, „დაღარ" — სვანეთში, „ნიშანი" — ბორჯომის ხეობაში, „დაჯვარა" — გურია, „თარჯი" — ქართლი და სხ.

ვ. ვ.

სერკვი// მუხლის ძნა (ხევს.)// **ხუთულა** (ფშ)//**ბულული, ჩერგილი**(იმერ)// **მექვ**(სვ). — თივის უსაყრდენო პატარა ზვინი. ასეთი ზვინები იდგმება სათიბ ადგილებში და ზამთარში მარხილებით ან დაცურებით მოაქვთ სახლში (იხ. ბულული).

სეფა — სანადიმოდ გაშლილი გრძელი სუფრა, ზოგჯერ სახელდახელო გდახურვით.

„სვანი" // შურო // „ძელის სავალი" // „გერდევანი"// „ხალახინი" — ტყეში გამორჩეული ბუნებრივი ღარი, სადაც საგორავებისა და კეტების დახმარებით სატივე მორებს აცურებენ. სვანის შესატყვისი „ძელის სავალი" მოიხსენიება გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის" ცხოვრებაში (XI). ტყეში მოჭრილ მორებს მიათრევენ ასეთ ადგილთან, გაასწორებენ და დაცურებული ხე ჩასრიალდება სატრანსპორტო საშუალებასთან უფრო მოხერხებულ ადგილთან.

ვ. ვ.

სვასტიკა – სვასტიკა უძველესი სიმბოლური ნიშანია, რომელიც არსით ბრუნვის იდეასთანაა დაკავშირებული. სვასტიკა განვითარებულია ბოლოშეხრილი ჯვრებისაგან და ორივენი საფუძველს უქმნიან ბორჯღალას წარმოშობას. სვასტიკის გამოსახულებები დაფიქსირებულია ადრებრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ მასალებზე. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე სვასტიკის საუკეთესო გამოსახულება გვხვდება ზემო ქართლში (საბიდახჩე) მიკვლეულ თიხის ჭურჭლებზე, რომელიც II ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება. სვასტიკის საუკეთესო ნიმუშები დასტურდება ეთნოგრაფიულ ყოფაში განსაკუთრებით დედაბოძებზე, ავეჯსა და სხვადასხვა საოჯახო ნივთებზე. ზოგადად შესაძლებელია ითქვას, რომ ეს ნიშანი კავკასიის ხალხთა ორნამენტში უწყვეტად გვხვდება მთელი სამი ათასწლეულის მანძილზე. ფიქრობენ, რომ სვასტიკა აზიური წარმოშობის ემბლემაა, რომელიც შემდგომში გავრცელდა მთელს მსოფლიოში. სვასტიკაში გადმოცემულია მარადიული ტრიალის პრინციპი, რაც ეთანადება მზის მარადიულობას და შესაბამისად მასში მზის სიმბოლოცაა ნაგულისხმევი. განსხვავებით ჯვრისგან, სვასტიკა ერთი მიმართულებით ბრუნვას გადმოგვცემს და ეტოლება ციურ სხეულთა მოძრაობის მიმართულებას.

სვასტიკა არაერთხელ ყოფილა გამოყენებული პოლიტიკური ძალაუფლების ემბლემად, როგორც მარადიულობისა და ძლიერების ნიშანი. ამ მხრივ შესაძლოა, მაგალითად, ავიღოთ გერმანელი ნაცისტები, რომლებმაც ეს ნიშანი უძველესი კულტურებიდან ისესხეს და გამოიყენეს.

ლიტ.: ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, 1993.

თ. ნ.

სვეტი ქვისა – (აქ. ჭიშკრის სვეტი) საქართველოში ეზო-კარმიდამოს ჭიშკრის გაფორმების დიდი ტრადიცია არსებობდა და ასეთი ნაგებობანი იგებოდა სხვადასხვა მასალისაგან. ჭიშკრის მშენებლობაში ადრიდანვე გამოიყენებოდა ქვა, როგორც ერთ-ერთი საიმედო და მტკიცე მასალა. ჭიშკრების მშენებლობაში განსაკუთრებულ დახვეწას მიაღწია სვეტებმა, რომელთა სრულყოფილი ნიმუშები დასტურდება ქვემო იმერეთსა და სამეგრელოში. აქაური ჭიშკრების უმეტესობა წარმოადგენს ერთიან ლოდში ამოჭრილ საშუალოდ 2-2,5 მეტრის სიმაღლის ოთხკუთხა ქვის მონოლითებს, რომლებიც შემკულია მცენარეული და ცხოველური მოტივებით. ჭიშკრის კომპლექსში სვეტი გვხვდება სამი ცალი და წარმოქმნის ორ გასასვლელს — ერთს პატარას — ადამიანთათვის და მეორეს — დიდს — სატრანსპორტო საშუალებათათვის. სვეტებს შორის ძველად კრამიტით გადახურული ხის ჭიშკრები იყო აგებული, რაც ბოლო ხანს შეცვალა რკინის ჭიშკარმა. ჭიშკრის სვეტების დამზადება წმინდა ხელობის რიგში ექცევა, რაც პირველ ყოვლისა, მის შემკულობაში გამოიხატება. ჭიშკრის ქვის სვეტები ოჯახის ეკონომიკური სიძლიერის მანიშნებელიც იყო.



ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხოვნობა იმერეთში, 2001.

ე. ნ.

სვია//სვე – ლუდის საკაზმი მცენარე, რომელიც ლუდს აძლევს მომნარო და არომატულ გემოს. ლუდის მომზადებაში სვიის გამოყენებამ ახალ ეტაპს დაუდო სათავე. სვიის გამოყენებამდე, საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ადამიანები მოიხმარდნენ მოტკბო ლუდს. საქართველოს მთიანეთში ეს მცენარე ძნელად ხარობს, ამიტომ მთიელები მას ყიდულობდნენ ან თავად ამზადებდნენ, იქ სადაც სვია ხარობდა. სვიას ამზადებენ შემდეგნაირად: მოკრეფენ, დაკეპავენ და დაყრიან წინასწარ კარგად გასუფთავებულ ადგილას. დაფუთნიან და ჩაახურებენ. სამი დღის შემდეგ გაშლიან, გააშრობენ, ჩატენიან ტომრებში და წამოიღებენ. სახლში მას ინახავენ გამომშრალ ადგილას. სვია განურულ სისწვენს დაეყრება იმდენი ჩხუტი, რამდენიც ფორი იყო. ასეთი პროპორციით მიცემული სვია ლუდს „სიმწარესა" და „დათრობას" აძლევს. სისწვენის ადუღებისას სვია მასში ჩაიხარშება, რის შემდეგაც სისწვენს კიდევ ერთხელ გაფილტრავენ სვიის ნარჩენებისგან (განურვა ხდება ჩალაში, ზარფუშის ყელში ან წვრილად მოწნულ გოდორში). სისწვენისთვის სვიის მიცემისა და მისგან გაფილტვრის შემდეგ იწყება ლუდის ფუება.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ქართული ლუდი, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. III, 2007.

ე.ნ.

სვირი — 1. თიხის მილი, საიდანაც გამოდის საბერველიდან დაბერილი ჰაერი ცეცხლის გასაღვივებლად. 2. ხმელი, ადვილად საწვავი შეშა (ქართლ).

სვირიკე — ბლის ქერქისაგან მოქსოვილი, მცირე ზომის კალათა, სახელურებიანი.

ლიტ.: მსშხი, ტ. II. 1981.

სიათა — ფითილიანი თოფის სახეობა (იხ. არკებუზი).

სიმი – სიმებიანი საკრავის მთავარი ელემენტი, ძუისა, ცხოველის შიგნეულის ნაწლავისა (ძალი), ძაფისა (ლარი, ძაფი), ლითონისა (სიმი). სიმი იჭიმება და თითის ჩამოკვრისას გამოსცემს ხმას (იხ. ფანდური).

სიმძაში – ბრტყელტუჩა იარაღი, რომლის მეშვეობითაც იჭერენ ნივთს მუშაობისას (გახეხვა, გახვრეტა, გაჭრა, გაპრიალება).

სინგური – ნითელი ფერის საღებავი, რომლითაც ჩვეულებრივ ძველ ტექსტებში სათაურები და საზეადაო ასოები იწერებოდა. სინგური ფართოდ გამოიყენებოდა წიგნის მინიატურების შესრულებისას. შიო მღვიმისადმი გაცემულ ანდერძზე დავით აღმაშენებელს ხელი სინგურით აქვს მოწერილი.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, 1996.

ე. ნ.

სინი – სამზარეულო ჭურჭელთა რიგს განეკუთვნება. სინი ძირითადად მზადდება სპილენძისა და თითბერისაგან. ფორმით სხვადასხვაგვარია. დამზადების ტექნიკის მიხედვით გამოჭედილია სპილენძის ერთი ან რამდენიმე ფურცლისაგან. ზომების მიხედვით ყოფაში სამი ზომის — დიდი, საშუალო, და პატარა სინი დასტურდება. ყოფაში სინის რამდენიმე სახელწოდება მოწმდება: სინი, ლანგარი, ლანგარდი, თეფში-სინი, ტაბაკ-ხონჩა და სხვა.

სინების განსაკუთრებულ ჯგუფს ქმნიან აღმოსავლური (სპარსული) სინები, რომლებიც რადიკალურად გამოირჩევიან ქართული სინებისაგან, როგორც ზომით, ასევე შემკულობით. სპარსული სინები ხელოვნების თვალსაჩინო ნამუშევრებია, მათი განსაკუთრებული სიდიდე გამოიწვია მუსულმანური ტრადიციული კერძის „ფლავის" საერთო სინიდან ჭამის ჩვეულებამ.

ე.ნ.



სირმა — 1. 96% ვერცხლი, რომელსაც ნივთების გრეხილი შემკულობისთვის ხმარობდნენ. იგი შემდეგნაირად მზადდებოდა: გადმნარ სირმას ვერცხლს რიჯაში ჩაასხამდნენ. მერე ზინდანზე ჩაქუჩით დანაყავდნენ, სიგრძეზე გაწევდნენ და ჰადიდში//ადიდში გაატარებდნენ. ადიდში გატარება იწყება დიდი ნახვრეტიდან და თანდათანობით გადადიან უფრო წვრილებში, რისი მეშვეობითაც საბოლოოდ მიიღებენ სასურველი სისქის მავთულს. სირმის გამოსაწევად ხმარობენ ქალიფთინს (იხ.). მავთულებს წყვილად შეაერთებენ და დაგრეხენ. შემდეგ ცეცხლზე







ხის სანნახელი



ქვითკირისა და ქვის სანნახელი

გამოალბობენ და დაჭრიან სასურველი ზომების მიხედვით და მიადუღებენ ნამზადის სასურველ ადგილებში.

2. ქვითხუროობაში ფანჯრის ჩარჩოს გრძელი ქვა, „უკარა" ჰქვია პატარას. ჩარჩო შენდება ასეთი გათლილი ბლოკების — „სირმა" „უკარას" მონაცვლეობით, ხოლო შუაში ჩაიკეტება „ზანგით."

მ.ბ. ე.ნ.

სირჩა — ბროლის პატარა ჭიქა. მთიულეთ-გუდამაყარში ლუდის ფეხიან სასმელს ჰქვია და სმურობისას პატივისცემის ნიშნად მსმელები ერთმანეთთან გადადიან.

ე. ნ.

სისნვენი//ზისნვენი (თუშ.) — უფუებელი ლუდის მასა, რომელიც დგება ფორისა და წყლის ნარევის ცეცხლზე დუღების შემდეგ. ეს პროცესი შემდეგნარიად მიმდინარეობს: სათანადო პროპორციით შერეული წყლითა და ფორის ნაზავით გავსებული სალუდე ქვაბი, დუღილისას საგანგებო ჯოხით მოწმდება და ვიდრე დანიშნულ ადგილამდე არ ჩადუღდება მანამდე ადუღებენ. როცა დარწმუნდებიან, რომ მასა მოიხარშა, იღებენ ქვაბიდან, ფილტრავენ ხაკის ტომრებში და შემდეგ ამ სისნვენიდან აყენებენ//აფუებენ ლუდს (იხ. ლუდი).

ლიტ.: ე. ნადირაძე, ქართული ლუდი, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. III, 2007.

ე. ნ.

სიქა — სიუჟეტიანი ტვიფარი, რომლითაც იჭრება ლითონის ფული. სიქით ასევე ოქროსა და ვერცხლის ნივთებზე დატანილია ხელოსნობისა და ოქრო-ვერცხლის შემადგენლობის ხარისხი.

სიხმა — ქალის გარეთა სამოსელი (აჭა. სამცხ-ჯავახ.). მასალად გამოიყენებოდა ფაბრიკული ქსოვილები-— ხავერდი, მაუდი, სატინა, ფარჩა. სიხმა წელამდე დასული და ტანზე შემოსალტული ზედაწელია. დასტურდება სიხმას ორი სახეობა: გულამოჭრილი და გულდახურული. პირველს ხმარობდნენ ბარში მცხოვრები ქალები, მეორე კი — მთის მაცხოვრებლები. გულდახურული სხვა მხრივაც იყო გამორჩეული, მას მკერდს ქვემოთ ნაკერები ედგმებოდა, რითაც მისი საკალთე ივსებოდა. წელზე მომდგარ სიხმას უკეთდებოდა განიერი სახელოები, რომლის სიფართე მხართან და მაჯასთან ერთნაირი იყო. ამასთანავე, მხრებთან და მაჯებთან ნაოჭიც აუცილებელია. შესაკვრელად მკერდის ქვემოთ ჩაფრასტებს აკერებდნენ. წელამდე ჩახსნილი სიხმა სათანადოდ იყო გაფორმებული.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005.

ც.ბ.

სკა და გეჯა — მეფუტკრეობა საქართველოში უძველესი და ამჟამადაც მნიშვნელოვანი დარგია. მისი ჩამოყალიბება ველური ფუტკრის მოშინაურებიდან იწყება. ფუტკარი ველურად ცხოვრობდა კლდის ნაპრალებსა და ხის ფულუროში. შესაბამისად მას ტყის ან კლდის ფუტკარს უწოდებდნენ.

ფუტკრის მოშინაურების შემდეგ ადამიანმა თავისი საცხოვრებლის ახლოს მიუჩინა ადგილი, ჩამოყალიბდა საფუტკრის თავისებური ტიპი — ხისგან საგანგებოდ გაკეთებული სადგომი, რომელსაც დღეს სკა ეწოდება.

თანამედროვე სკა ჩვეულებრივ, ფიცრებისგანაა შეკრული და შიგნით მავთულგაყრილი ჩარჩოები აქვს ჩადგმული რომელზედაც ფუტკარი აკეთებს ფიჭას და ასხამს თაფლს. საფუტკრის ამ სახეობამდე ფუტკრის დასაბინავებლად იყენებდნენ გეჯას //ბუკს. გეჯა ორად გაპობილი და გულამოღებული მორია, რომელიც ორკაპა საბჯენებზე დგას. ზოგჯერ საყრდენად გამოყენებულია კუნძები და ქვებიც კი. გეჯები მიწიდან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე იდგმება. მათ გასაკეთებლად საუკეთესო მასალაა მურყანი (თხმელა), თელა, ცაცხვი, წაბლი. ამ ჯიშის ხეთა უპირატესობა ისაა, რომ ადვილი დასამუშავებელია და სითბოსაც კარგად ინახავს. ტყეში მოჭრილი საგეჯე ხეს იქვე მორავდნენ, ანუ შუაზე აპობდნენ. თუ ნაპობი სწორი აღმოჩნდებოდა, სახლში მიჰქონდათ და ხელეწოთი, სატეხითა და ნაჯახით მისგან გეჯას (ბუკს) ამზადებდნენ. გაზაფხულზე გეჯაში ახალ ნაყარ ფუტკარს ათავსებდნენ. ყოველ გეჯას ხის ქერქს აფარებდნენ და ქარს რომ არ გადაეხადა, ზედ თეთრ ქვებს აწყობდნენ. თეთრს იმიტომ, რომ იგი მაგიურ ძალის მქონედ მიაჩნდათ — „საფუტკრეს ავი თვალისაგან იცავსო".

საფუტკრეები იყო როგორც ღია, ასევე გადახურული. იგი ჩვეულებრივ სახლის სიახლოვეს იდგმებოდა და პირუტყვს რომ არ დაეზიანებინა, წნულით ან ფიცრით შემორაგვავდნენ. საფუტკრისათვის საგანგებოდ არჩევდნენ მზიან და ქარისაგან დაცულ, მყუდრო ადგილს.

ა.ვ.



სკამი – სასხდომი ავეჯის ტიპი. ცნობილია სკამის სხვადასხვა ტიპები, რომელთაგან ფუნქციის მიხედვით გამოიყოფა ზურგიანი და უზურგო. სკამთა რიგში შედის საკარძელი, საუფროსო, საკურცხალი, სამფეხა ჯორკო და ა.შ. სკამი დიდ ქართულ ოჯახში სოციალური ფუნქციის მატარებელი იყო. ისტორიულ წყაროებში სკამის ნიმუშები ნარმოდგენილია ხელნაწერთა შემკულობაში. სასხდომი ავეჯის ეს ტიპი ტრადიციულია ქართული ეთნოგრაფიული ყოფისათვის.

ლ.ბ .

სკამი ქვისა — საცხოვრებელ კომპლექსში ქვის მაგიდებთან ერთად დგამდნენ ქვის სკამებს. ეთნოგრაფიულ ყოფაში ფიქსირდება ქვის სკამების ნაირსახეობა.

სკარამანგი – ძვირფასი ქსოვილი, ყვავილოვანი ორნამენტებით მორთულ-მოჩითული, საგანგებოდ ამზადებდნენ დიდებულთა ჩაცმულობისათვის.

სკიპტრა — სამეფო კვერთხი, მეფის ძალაუფლების სიმბოლო, სამეფო ინსიგნიის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთი.

სკუფია — უპირატესად შავი ფერის ქუდი სამღვდელოებისა და ბერ-მონაზვრებისა. პატარა, ზევით მსუბუქად ნამახული ისე, რომ ნაკეცები ჯვრის სახეს ქმნის. ხავერდის იისფერი სკუფია მღვდლებს ეძლევათ როგორც ჯილდო.

ლიტ.: С. Е. Молотков. Практическая энциклопедия православного христианина. С. Пб. 2001.

ხ. ც.

სოინარი//ლარჭემი — ლერწმისაგან დამზადებული მრავალლულიანი საკრავი (იხ. ლარჭემი).

სოლი — ხეთა და ქვათა გასაპობი, ხისა და ლითონის ბრტყელპირიანი ან კუთხოვანთავიანი საგანი. სოლი ქვითხუროობაში არის უძველესი იარაღი, რომლითაც ქვის მოტეხვა ხდებოდა. ქვის გატეხვისას მასივზე წერაქვით პატარა ღარს ამოიღებენ, სოლებს ჩაარჭობენ და მონაცვლეობით ხან წინიდან და ხანაც უკანა მხრიდან ურესცემინებით გააპობენ ქვას. ხის სოლებით ქვის გახეთქვა ქვის მოტეხვის ერთ-ერთი უძველესი წესია: ღრმად ამოწალკატებულ ქვის მასივში მკვიდრად გაჭედავენ ბზის ხის სოლებს, შემდეგ ყოველდღიურად ასხამენ წყალს, დროთა განმავლობაში ხე ყივდება და ისეთი სიდიდით იმატებს, რომ ქვას ხეთქავს. პატარა სოლებს იყენებენ სამეურნეო იარაღის ტარების დაგებისას.

ე. ნ.

სოხანე — მინის იატაკი. ძველ ქართულ საცხოვრისში, მიწატკეპნილი იატაკი ჩვეულებრივი მოვლენა იყო. სასოხანე მიწა, რომელიც საგანგებოდაა შერჩეული, შეპქონდათ ნაგებობაში, კარგად ასწორებდნენ, ხის ურეებით ტკეპნიდნენ. დროთა განმავლობაში სოხანე უნდა გაახლებულიყო.

ე. ნ.

სოხასტერი – ბერის საყუდარი. აღთქმის მიხედვით, ბერები განილტვებოდნენ სამოღვაწოდ ანუ სამეუდაბნოედ ცხოვრებისათვის. კრებულისგან განცალკევება და ქრისტეს სამსახურში ჩადგომის ნაირგვარი ხერხები არსებობდა, რომელთაგან ერთ-ერთს ბერის დაყუდება წარმოადგენდა. სოხასტერი ეს იყო ბუნებრივი ან საგანგებოდ გაკეთებული ნაგებობა, სადაც ბერები მარტოობაში ატარებდნენ ცხოვრების ნაწილს ან მთლიანად ცხოვრებას. მიუხედავად განდეგილობისა, ბერის მოღვაწეობის ხარისხი მონასტრის ხელმძღვანელობის კონტორლით ხორციელდებოდა.

ე. ნ.

სპონდიო// სპონტიკი (იმერ.) — წყალში ნამყოფი სიპი ქვა, რომელსაც მშენებლობისას ლიტონი

კედლების ამოსაყვნად ხმარობდნენ. ოშკის ტაძრის აგებისას 30 ხარ-უღელი ყოფილა გამოყოფილი „სპონდიოს“ საზიდად.

ე. ნ.

სტელა – I. მემორიალური ძეგლის—საფლავის ქვის, ერთ-ერთი ტიპი, რომელიც თავის შიგნით აერთიანებს მრავალ ნაირსახეობას. სტელისებური ძეგლების აღმართვის ტრადიცია მიცვალებულთა საფლავზე უძველესი დროიდან იყო გავრცელებული. სტელისებური ძეგლების საუკეთესო ნიმუშები დასტურდება მცხეთაში, ქვემო ქართლში, ზემო ქართლში. ასეთი ტიპის საფლავის ძეგლები მეტ-ნაკლები ინტენსიურობით ვითარდებოდა ქართულ მემორიალურ კულტურაში და ყველა ეპოქას მოეპოვება მათი დამახასიათებელი ნიმუშები. სტელები და სტელისებური ძეგლები ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ტიპია მემორიალური ძეგლებისა. არცთუ იშვიათად ასეთი ტიპის ძეგლებს „მატურის“ სახელითაც მოიხსენიებენ (იხ. მატური). 2. სალოცავი ობიექტები, რომელთა მრავალნაირი ტიპებია დადასტურებული საქართველოში 3. სამიჯნო სტელები, რომელთა ნანილზე რელიეფით ხელია ამოკვეთილი, როგორც მფლობელის უფლების დამადასტურებელი სიმბოლო.

ე. ნ.

სტემა — სამეფო გვირგვინის ტიპი, თვლებითა და მარგალიტებით შემკული ოქროს ან ვერცხლის ბრტყელი რკალი, რომელსაც გვერდზე თვალ-მარგალიტის ტოტები ახლავს. ხოლო რკალის შუა ნაწილში ჯვარი აქვს მიმაგრებული. ბიზანტიის მეფეების სტემა თეთრი, ნითელი, ლურჯი და მწვანე ფერისა იყო.



ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, 1964.

ე. ნ.

სტვირი — სამ-ოთხ თვლიანი პატარა სალამური.

სუა (სამეგრ.) – ცხენის აკაზმულობის ნაწილი. ტყავები კეხის დაბლა აქეთ-იქით დამაგრებული მუხლების მისაყრდნობად, მხედრის ფეხები კეხის შეხებისგან რომ ყოფილიყო დაცული.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური ნესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

სუდარა // საშიშო // სულის ტალავარი // სამარხი ტალავარი // სასუდრე ტანსაცმელი — მიცვალებულის საფლავში ჩასაყოლებელი სამოსელი. სუდარად გამოიყენებოდა სხვადასხვა ქსოვილი. ძველად, უპირატესობას აძლევდნენ ბამბეულს. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში სასუდარედ ჩვეულებრივ ნახმარ ტანსაცმელს იმზადებდნენ. უხმარი ტანსაცმლის გატანება არ იყო ნესად, სიცოცხლეშივე მის პატრონს ერთხელ მაინც უნდა მოესწრო მისი ჩაცმა. მიცვალებულს განბანვის შემდეგ შესუდრავდნენ. მსუდრავი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში საჩუქრად ან წინდებს ღებულობდა, ან ნაქსოვ ფეხსამოსს. სასუდარე ტანსაცმლის გარდა მიცვალებულის სახელზე უნდა დარჩენილიყო კარგი სამოსის ერთი ან ორი ხელი, რომელთა გამოყენება მიცვალებულის მოგონებასთან იყო დაკავშირებული. ხევსურეთში მიცვალებულს სამ სხვადასხვა ფერის (თეთი, ლურჯი, ნითელი) პერანგში გაახვევდნენ. შემდგომში ამის გამოძახილად უნდა ჩაითვალოს საფლავში სხვა ნივთებთან ერთად სხვადასხვა ფერის პატარა ნაჭრების გატანებაც.

ლიტ.: ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935. ც. ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1974. ც. ბ.

სუზანი — ჭრელი ქსოვილი ტახტზე გადასაფარებელი.

სუთი — სუფთად გათლილი ჩოგანი, ღომის მოსარევ-ამოსაღები. გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოში. ყველგან, სადაც ღომს საკვებად იყენებდნენ.

სუიფი – სასოფლო მოედანი სვანეთში, ხშირ შემთხვევაში აქ იდგა წმინდა ხე, რომლის გარშემო ქვის სკამები იყო მონყობილი. „სუიფი“ გამართული იყო სასოფლო დასახლების ცენტრში, შემაღლებულ ადგილას და გალავნით იყო შემოზღუდული. არსებობს მოსაზრება, რომ სვანური სიტყვა „სუიფ“ ქართული

„სოფელ"//"სუფელის" ნაირსახეობაა და სასოფლო ერის კრების მნიშვნელობას მოიცავს. სუიფის მსგსესი სასოფლო თავშესაყარი ცნობილია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მაგალითად: ხევსურული — საფეხვნო, თუშური — საანჯმო, მოხევური — ერობა, რაჭული — სანახშო, აჭარული — ჯამიკარი და შადრევანი, იმერული — სათემო. ყველა ესენი წარმოადგენდნენ სოფლის საჭირბორორტო საკითხების მოსაგვარებლად მამაკაცთა თავშეყრის, საუბრისა და გართობის ადგილს. სუიფი გენეტიკურად უკავშირდება სოფლის მმართველობის ინსტიტუტს.

ლიტ.: გ. ჩიქოვანი, სასოფლო მოედნები, მაცნე №1, 1983. რ. გუჯეჯიანი, ქართველ მთიელთა მენტალობის ისტორიიდან. 2008.

ე. ნ.

სულგუნი — ყველის სახეობა, რომლის დამზადებით გამოირჩევიან მეგრელები და სვანები. მზადდება ძროხისა და კამეჩის რძისაგან. სულგუნის დამზადებისას ახლად ამოყვანილ „ჩვილ" ყველს ჩაჭრიან რძეში ან თბილ წყალში და ზელენ ხელით ვიდრე არ ამოიწელება. შემდეგ ამ მასას მოაყრიან მარილს, მრგვალ თავებად შეახვევენ, ერთხანს ცივ წყალში ამყოფებენ და მერე შესანახად ჩაყრიან ნათხში. შენახვის ხანგრძლივობით გამოირჩევა შებოლილი სულგუნი, რომელიც მკვრივია და სპეციფიკური სასიამოვნო სუნი და გემო აქვს. სულგუნისაგან ამზადებენ აგრეთვე სხვადასხვა ფორმის „პწნილებს"//ფიგურებს (მაგ., ჩიტი, ხარის უღელი, ჭაპანი, ირემი, ცხვარი და ა.შ.). ეს ფიგურები საახალწლო სარიტუალო პურების მსგავსად ძველი რელიგიური რწმენა-წარმოდგენების კვალობაზეა შექმნილი და ძირითადად ნაყოფიერებისა და გამრავლების იდეას ემსახურებოდა.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. 2007.

ე. ნ.



სურა – მაღალყელიანი, უსახელურო, ლითონისა და თიხის ჭურჭელი. აქვს მრგვალი ძირი, მკვეთრად გამობერილი მუცელი, მაღალი და ნვრილი ყელი. პირი უნისკარტო და მრგვალი. სურები საქართველოში XVII საუკუნეშიც ყოფილა ხმარებაში, რასაც მოწმობს ვახუშტი ორბელიანის ქონების სიაში დასახელებული როგორც ვერცხლის, ისე სპილენძის სურები.

ც. ჯ.

სუფრა – 1. მაგიდაზე ან მიწაზე დასაფენი პურობისას. გარდა ნაჭრისა (იხ. ლურჯი სუფრა) ეთნოგრაფიულ ყოფაში გამოყენებული იყო ტყავისა და ნოხ-ფარდაგის სუფრები (მაგ. ხევსურეთში, დაგრაგნილ ტყავის სუფრას ხევისბერს მისცემდნენ, ხევისბერი სუფრას აიღებდა, დაილოცებოდა, დამსხდარი ხალხის წინ გასტყორცნიდა და გაშლიდა). 2. სუფრამ მეტყველებაში მიიღო პურობის ზოგადი სახელწოდება. შემუშავებულ იქნა სუფრასთან სხდომის წესები. ქართველები სხდებოდნენ ორ მწკრივად. მინდორზე სხდომისას, დღესასწაულის დროს, ფიცრებზე ან ლასტებზე გაშლილი იყო სანოვაგე. სუფრასთან დასხდომა განისაზღვრებოდა სქესისა და ასაკის მიხედვით. საქართველოს მთაში, ხატობისას, კაცნი, ქალნი და ბავშვნი ცალ-ცალკე სხდებოდნენ.

საქართველოს ბარში სუფრის ეტიკეტი და მისი გაწყობის ცერემონიალი გაცილებით დახვეწილი იყო და სხდომის წესიც მეტი დემოკრატიულობით გამოირჩეოდა.

ე.ნ.











 სვანური სახლი





მოხეური სახლი



ტაბაგი//ფიჩქი (სვ.) — სატრაპეზო მცირე სუფრა, რომელსაც აქვს კიდეები.

„ბაგიან"//„ხარხილიან"//„ფარფლიან" ტაბაგზე ხინკალი კარგად ეწყობოდა. ტაბაგი ძირითადად სამფეხა იყო სპეციალური ნახვრეტით, რომელიც მის სიმშრალეს უზრუნველყოფდა. ტაბაგს იყენებდნენ: ხორცის დასაჭრელად, ცხელი პურების დასაწყობად, საქორწინო შესანევარისთვის. სამფეხა მრგვალთავიანი სუფრების საუკეთესო ტიპს ფიჩქ-ი წარმოადგენს. იგი ტაბაგის მოყვანილობისაა. სოციალური თვალსაზრისით საუფროსო-სასტუმრო დგამია. დიდია მისი როლი რიტუალებში. ფიჩქ-ი, მასზე ამოკვეთილი აპოთროპეული დანიშნულების ბორჯღალით, იხმარებოდა „ბარბოლის" სახელზე დაწესებულ წეს-ჩვეულებებში.

ლ. ბ.

ტაბიკი — უღელში ჩასარჭობი ხე, შვინდის ან კოწახურის, გამოთლილი მტკვალნახევარი სიგრძის, ცერის თითის სიმსხო. ტაბიკი იჯდა უღლის სატაბიკე ჭრილში // თვალში. უღელში ჩაყრილი ორი ტაბიკი ხარს დაედება კისერზე და შეიკვრება ტყავის თასმით//აპეურით, ხარმა უღელი კისრიდან რომ არ წაიძროს.

ტაბიკი საქორწილო რიტუალის დამახასიათებელ ატრიბუტსაც წარმოადგენდა როგორც ცოლ-ქმრის ტოლობისა და მეუღლეობის სიმბოლო. იგი უღელთან ერთად ბრინჯაოს ხანის მასალაშია დაფიქსირებული.

ბ.ბ.

ტაბლა — 1. ხისაგან გაკეთებული ფეხებიანი, დაბალი სუფრა. ტაბლა მაგიდის სახელწოდებად იხსენიება ძველ ქართულ წყაროებში. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ტაბლა „ფიცრის სუფრაა ფეხედი". ტაბლა სასულიერო მწერლობაში ევსტათი მცხეთელის მარტვილობაშია (VI ს.) მოხსენიებული, ხოლო საერო საისტორიო წყაროებში XI საუკუნიდან გვხვდება. XVI-XVII საუკუნის ყველა საისტორიო წყაროში სასადილო მაგიდის აღმნიშვნელ ტერმინად ყველგან ტაბლაა ნახმარი. როგორც ჩანს, მაგიდა XVII საუკუნიდან დამკვიდრებულა, ხოლო ტაბლა თავისთავად განაგრძობდა არსებობას.



სვანეთში გავრცელებულ ხის სუფრას „ტაბაკი" ჰქვია, მთიულეთსა და ფშავ-ხევსურეთში „ტაბლა", მოხევეები ხშირ შემთხვევაში ასეთ სუფრებს — „ტაბლა-ხონჩასაც" უწოდებენ. ყველა ეს სუფრა დამზადებულია ხის სქელი ფიცრისაგან, რომლის სიგრძე 2 მეტრს აღწევს, სიგანე კი 36-40 სმ. დგას ოთხ, ხუთსანტიმეტრიანი სისქის ფეხზე, რომელთა სიმაღლე 40 სმ-ს არ აღემატება. ასეთ სუფრებს იყენებდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში და ნადიმისა და ქორწილების დროს. სვანეთში გავრცელებულ სუფრებში მეტად საინტერესოა ხის მრგვალი სუფრა „ფიჩქ", რომელსაც სამი ფეხი აქვს.ი გი მასიური ფიცრისაგან არის გამოთლილი, ფეხების გარეშე აჭარულ ფეშხუმს ჰგავს. ყურადღებას იქცევს ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური სუფრების, კერძოდ, ტაბლების პარალელები. მცხეთის სამთავროს სამაროვანზე აღმოჩნდა თიხის ორი ტაბლისებური მოყვანილობის ჭურჭელი. ერთი ოთხ მინაძერწ ფეხზე დგას, ხოლო მეორე — სამ ფეხზე. პირველი ჭურჭელი დათარიღებულია ძვ.წ. III-IIIსაუკუნეებით, ხოლო მეორე სამარხს, რომელშიც მრავალგანივკვეთიანი სამფეხა ტაბლა იყო, ძვ.წ. X-IX საუკუნეებით ათარიღებენ.

აღმოსავლეთ საქართველოსა და სვანეთის ხალხური ავეჯის შესწავლისას ეთნოგრაფ ლ. ბედუკიძის ყურადღება მიიქცია ტაბლების მრგვალმა მოყვანილობამ და მან შესაძლებლად მიიჩნია მათი ციურ მნათობთა შესახებ არსებულ რელიგიურ წარმოდგენებთან დაკავშირება, რის საფუძველზეც მივიდა დასკვნამდე, რომ ტაბლათა სიმრგვალე უძველეს რწმენა-შეხედულებებს უკავშირდება და სუფრად ხმარებული ტაბლის ფორმაც ასტრალურ მსოფლმხედველობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

2. სარიტუალო პური. 3. სართავი ჯარის ნაწილი. 4. მეჭურჭლის ჩარხის ნაწილი. 5. საჩეჩელის ნაწილი.

ე.ნ.

ტაგლაკი — „მცირე ნაღარა" (საბა). ჩხირებით დასარტყამი.

ტაგლაში (სვ) — კიდობანი, რომელშიც შენახულია პურის ფქვილი ან ხორბალი რელიგიური დღესასწაულისათვის.

ლიტ.: ქელ. 2009.

ტაგანა (ხევს. ფშ.ხევი.) — პატარა კასრის მოყვანილობის ხის ჭურჭელი. ხევსა და ხევსურეთში წყლის მოსატანად ხმარობდნენ (ზურგზე იკიდებდნენ). მას პატარძალს მზითვად ატანდნენ. ტაგანათი სრულდებოდა ხევსურეთში პატარძლის წყალზე გაყვანის წესი: „ჩემო ხელის მომკიდეო, ტაგანაი მომკიდეო." (ხალხ.)

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხის ჭურჭელი, 1988.

გ. გ.

ტაგანი (ფშ. მთ. გუდამაყ.) — ხის სანველი კასრი. მთლიან ხეშია გამოთლილი და ძირჩადგმულია. თუშეთში მას „დურკი" ეწოდება.

ტაგრუცი//გვადრუცი//გუადრუცი — ყუთი, კოლოფი, საფლავის ქვა, საბას განმარტებით, გუადრუცი არის ფიცრის კოლოფი, „დიდი გინა მცირე," ხოლო მეორე მნიშვნელობით — „მაღლა ნაგები საფლავი". ხალხურ მეტყველებაში იგი აღნიშნავს — ყუთს, კიდობანს, სადაც ქალები ინახავდნენ სამკაულებსა და ხელსაქმის იარაღებს. ეს სიტყვა სახარებაში ყულაბის მნიშვნელობითაც იხმარება: იუდას ჰქონდა შენახული პირველ ქრისტიანთა საერთო თანხა; „გუადრუცი იგი მას აქუნდა და შთასადებელი იგი მას ჰკიდავნ" (იოვ. 12:6). ქრისტიანობის განმტკიცების შემდგომ ასეთი ყუთები განსაკუთრებულად დაიხვეწა და ისინი იქცა ძვირფასი რელიკვიების დასაცავ ჭურჭელად. მაგ., გოლგოთაზე მიკვლეულ ქრისტეს ჯვრის ნაწილებს დედოფალმა ელენემ შეუქმნა „გუადრუცი ვერცხლისაადა შთადვა იგი". შემდეგ გუადრუცი იქნა გამოყენებული წმინდა ნაწილების დასაცავ ჭურჭელად და იგი გახდა სინონიმი ლარნაკისა. გიორგი მთაწმინდელმა ექვთიმეს წმინდა ნაწილები „მშვენიერ გუადრუცში" ჩაასვენა და ატარებდა მას ხალხის სანახავად. მოგვიანებით, ტერმინმა ტაგრუცი შეიძინა საფლავის ლოდების მნიშვნელობა, რადგან ასეთი ლოდები მიმსგავსებული იყო ტაგრუცისებრ ყუთებს. ამას ითვალისწინებს საბას განმარტება, როცა ტაგრუცს ნაგებ მაღლა საფლავად წარმოგვიდგენს.



ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. ნ.

ტალავარი – აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში მამაკაცისა და ქალის სამოსელის მთლიანი კომპლექტი. ქართულ მეტყველებაში ჩაცმულობის აღმნიშვნელად გამოიყენებოდა ტერმინები: „სამოსელი", „ტან-ფეხი", „ტანსამოსი", „ტანსაცმელი", „ჩასაცმელი", „ჩასაცვამ-დასახური", „ტანთი" და „ტალავარი" (მოხეურში — „ტარავალი"). ტერმინი „ტალავარი" ლექსიკონებითა და ლიტერატურული ძეგლებით ხშირ შემთხვევაში „საძნე-ჩარდახისა" და „საჩრდილობელი თავსაფრის" მნიშვნელობითაა ახსნილი (სულხან-საბა, ნ. ჩუბინაშვილი). ივ. ჯავახიშვილი იმერეთში ხეივნის მნიშვნელობით ნახმარ ამ სიტყვას ნასესხებად მიიჩნევს. მ. ანდრონიკაშვილი კი მის წარმომავლობას პართულ სამყაროსთან აკავშირებს, სადაც იგი დარბაზსა და სასახლეს აღნიშნავს. აქედან გამომდინარე, ეს ტერმინი განიმარტება, როგორც ადამიანის საჩრდილობელ-საფარველი, რადგანაც სპეციალურ ლიტერატურაში სამოსელისა

და არქიტექტურის საერთო საწყისებია აღიარებული, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქედან მომდინარეობს სამოსელის ზოგად სახელწოდებად „სხეულის სახლის" ან „მოძრავი საცხოვრებელის" დასახელებაც. ამ კვალის მატარებელი უნდა იყოს სვანეთში სამოსელის აღსანიშნავად გამოყენებული ტერმინი „ლერექუ", რომელიც თავის მხრივ ქართულში არსებულ სა-რ-ქუ-ელ-თან ჩანს დაკავშირებული. საინტერესოა ტალავარის საწყისი ნაწილის „ტალას" მნიშვნელობაც. ეს ტერმინი X ს. არაბი მოგზაურის მოსუდის მიხედვით, ჩერქეზეთში დამზადებული სელის ქსოვილის აღმნიშვნელია. აქედან ივარაუდება ტალა-ტილო-ტოლის კავშირიც. „ტალა" აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრები ხალხის მიერ მოხმარებული მუქი ფერის ტანსაცმლის გამომხატველიც იყო.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, ხევსურული ტალავარი, მსე, ტ. VIII, 1956. ც. ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1974.

ც. ბ.

ტალავერი (იმერ.) — თალარი, მაღლარი ვაზი, ხის ბოძებზე დაწყობილ ლატნებზეა გადაშვებული. ხშირად ტალავერის ქვეშ ჭურები ჰქონდათ გამართული და დგამდნენ ქვის მაგიდა-სკამებს სტუმრის მისაღებად.

ე. ნ.

ტალი — მაგარი ჯიშის შედგენილობის ქვა, კაჟი, რომლის კვესზე ჩამორტყმის შემდეგ აინთება აბედი (იხ.). ტალ-კვესის შეთანწყობა აისახა ხალხური მეტყველების ხატოვან თქმაში — ერთიანობის, შეთანხმებულობის მნიშვნელობით.

ე. ნ.

ტალიაქი — ხის ფრიალა თეფში, რომელიც იხმარებოდა რამოდენიმე ჭიქის ერთად დასალაგებლად.

ტალიკი – „აბჯრის შთასადებელი, აბჯრის ბუდე"(საბა). აბჯრის ქვეშ იგულისხმებოდა, მეომრის თითქმის მთლიანი აღკაზმულობა — „ჯაჭვი, ხრმალი, მუზარადი, საბარკული მათი მგვანი"(ვეფხ).

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II. 1993.

მ. ქ.

ტალკი — სანახელაო ქვა. პალეოლითის ხანის საგვარჯილეს მასალებში მიკვლეულია ტალკისაგან გაკეთებული ყელსაკიდები. დომინოს ტიპის თეთრი ტალკის მძივები ნაპოვნ იქნა სამთავროში (მცხეთა). წარმოადგენს ფურცელ-ფურცელ, ანუ ქანებად შედგენილ მინერალს, რომელიც მომწვანო-მოლურჯო ფერსაც გადმოსცემს.

ლიტ.: ე. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ტანტარა — ნვრილი გადაბმული კიბე, რომელსაც ხმარობენ მხატვრები.

ტანტრიაბეჩი//ტანტრაბეჩი – ფრჩიხლების სანმენდი კოსმეტიკური დანიშნულების იარაღი, ჩვეულებრივ ტანტრიაბეჩი, ილარის (ყურის საჩიჩქნი) და აცისკანასთან (პატარა მაშა) ერთადაა წარმოდგენილი და ისინი ერთ რგოლზე არიან ასხმულნი. ეს კომპლექსური კოსმეტიკური იარაღები მზადდება ხის, ძვლისა და ლითონისგან. გ. ჩიტაიას მოსაზრებით, ამ ტიპის იარაღებს პარალელები მოეძებნებათ აღმოსავლეთის უძველეს კულტურებში, რაც ქართული ოქრომჭედლობის სიძველის კიდევ ერთი დასაბუთებაა.

ლიტ.: ნ. მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, 1981.

ე. ნ.

ტარაკუა//ტარაბუა — შულოს ამოსახვევი ხელსაწყო. შედგება კუნძის, ხუნდის, მასში ვერტიკალურად ჩადგმული ოთხკუთხა ბოძისა და მის თავზე ჯვარედინად ჩამოცმული თბეებისაგან. თბეების ბოლოზე — ნახვრეტში ჩასმულია ორ-ორი ჩხირი (სულ რვა). თბეების ხელით დატრიალების შედეგად ხის ხოკერში მოთავსებული გორგლიდან ბანარი ეხვეოდა თბეებზე. ტარაკუა იხმარებოდა შეღებილი-ფერადი შულოების ამოსახვევადაც. ტარაბუა დასაშულოებლად დასტურდება თუშეთში, გურიაში, ქიზიყში,

ჯავახეთში. მისი ბრუნვა//ტრიალის ფუნქციის მიხედვითაა დამკვიდრებული ქართულ მეტყველებაში „თავს ტარაბუას დასხმის"სინონიმური ფორმა.

ლიტ.: ნ. აზიკური, მატყლის ღებვის ტრადიცია, 1999.

ლ.მ.

ტარანი — 1. საგანგებო სახნისებური შვერილი, რომელიც საბრძოლო ხომალდის წინა ნაწილში მაგრდებოდა და გამიზნული იყო დაჯახებისას მოწინააღმდეგის ხომალდის ფერდის შესანგრევ-გასატარნავად. ძველი ქართული სიტყვაა და დადასტურებულია ვეფხისტყაოსანშიც. 2. თევზის ჯიში, რომელსაც ამარილებენ და ახმობენ.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987.

ტარალი — ქვის სათლელი რკინის იარაღი. აქვს სათლელისთვის დამახასიათებელი მასიური, მძიმე შუატანი. უცბად მომთავრებული ბასრი პირი. არსებობს რამდენიმე სახეობა. ტარაღი ძირითადად გამოიყენება წმინდად თლისათვის.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. ნ.

ტარი — 1. აქ: ქვის დასამუშავებელი იარაღის ხის ტარი, რომელიც იარაღზე იგება „ამოცმის" წესით. ტარი უნდა იყოს შერჩეული მაგარი ჯიშის ხის, სატარე ხედ საუკეთესოა ეკალი, რცხილა, კუნელი. სატარე ხე შეირჩევა და მოიჭრება ზამთარში. შემდეგ გათლიან უხეშად. შეინახავენ მშრალ ადგილას. გახმობის შემდეგ ტარს დახვეწენ და რომელ იარაღშიც უნდა გამოიყენონ მისი ყუის რადიუსზე მეტად გაუთლიან ბოლოს. შემდეგ ამოუცვამენ ყუაში და სცემენ ქვაზე სანამ მაგრად არ გაიჭედება: ასეთნაირად დაგებული ტარი, იარაღს არ გასძვრება და დიდხანს შეინარჩუნებს თავის ფუნქციას. ქვის იარაღს, რომელიც „ნიადაგ გარეთ მუშაობს" მზემ და წვიმამ ტარი არ უნდა მოურყიოს. ტარის ამოცმის წესი, რომელიც ხელოსნის გამოცდილებაზეა დამყარებული, ამის საუკეთესო გარანტიას იძლევა. 2. „ქალთ თითისტარი"(საბა). თითისტარი (იხ.) არის ძაფის გამოსაგრეხი უძველესი იარაღი, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ქსოვასა და შესაბამისად მატყლის ტანისამოსის დამზადებასთან. თითისტარზე წამოსაცმელი კვირისტავების ძალზე დიდი რაოდენობაა აღმოჩენილი საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე, რაც მიუთითებს როგორც მეცხვარეობის ინტენსიურ ხასიათზე, ასევე მატყლის ტანსაცმლის გამოყენების პრაქტიკაზე საქართველოში.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. ნ.

ტარკოში — ხის კოვზი, სანდიდან ლუდის ამოსაღები, იხმარებოდა სასმისადაც. კოშიცა და ტარკოშიც კოვზსა და სასმისს შორის შუალედურ ფორმას წარმოადგენს.



ე. ნ.

ტარსიკონი — შეღებილი სამოგვე, ტყავი.

ტაფა — სპილენძისა და რკინის ცეცხლზე სახმარი სამზარეულო ჭურჭელი. ცალყურა, ორყურა, ლულოვანსახელურიანი, ბრტყელძირიანი, მრგვალხელიანი, ცალხელა, უხელო, გრძელტარიანი, მოკლეტარიანი და ა.შ. არის აგრეთვე ე.წ. „ფურნის ტაფა". იგი დიდი ზომის სპილენძის ერთი ფირფიტისგან გამოჭედილი, ღრმა, პირგადაშლილი, ბრტყელძირა ჭურჭელია. ასეთი ტაფა ფურნეში გოჭისა და ბატკნის შესანვავად გამოიყენებოდა. ტაფების (დიდი ზომის) ტარები — სახელურები შემკულია სხვადასხვა ორნამენტით. ნაკაწრი ირიბი ხაზებით, სამკუთხედებად განლაგებული ჩაჭდეული წერტილებით, რომბებით და ა.შ.

ტაფა სამზითვო სპილენძის ჭურჭლეულის ნუსხაშიც შედიოდა. შეძლებული ოჯახები პატარძალს ატანდნენ

ტაშტს (დიდსა და პატარას), თუნგს, ქვაბსა და ტაფას რამდენიმე ცალს, როგორც იტყვიან ხოლმე, „დიდ-პატარას", „უნცროსს-უფროსს", „მორჩილსა" და ა.შ.

ლიტ.: ც. კაკაბაძე, სპილენძის ქართული ჭურჭელი, ეთნოგრაფიული ძიებანი, I, 2000.

ც. კ.

ტაშტი//ტასტი — საყოფაცხოვრებო ჭურჭლის ტიპი. იჭედებოდა სპილენძის სქელი ფირფიტისაგან, შეკერილი იყო რამდენიმე ნაჭრისაგან. არის ღრმა, აქვს სნორი, ოდნავ გადაშლილი კედლები და მრგვალი პირი.

სპილენძის ტაშტი ზომის მიხედვით არის: დიდი, საშუალო და პატარა. დანიშნულების მიხედვით მოიხმარდნენ, როგორც ხელსაბანს, ფეხისაბანს, ტანისაბანს, ანუ სააბანოეს, თავსაბანს, სარეცხისათვის, ცომისათვის, სამურაბეს და ა.შ.

ც. კ.

ტახტი — საწოლ-საძინებელი ავეჯის ტიპი. თუშეთში ტახტი წარმოადგენდა კედლის გასწვრივ გაკეთებულ მაღალფეხიან ხის საწოლს, რომელიც არყის ხის მსხვილი ჯოხებით კედელში იყო გამაგრებული და წნელით ძირგამონნული. მიესადაგებოდა მრავალსულიანი ოჯახის პირობებს. ტახტზე ქერის ბზით გატენილი ლეიბი ეფინა. ზოგჯერ კი მხოლოდ ნაბადი. დასახურად იყენებდნენ „დურა ტყავს" — ტყავის საბანს, კვირტისაგან ნაქსოვ საფენს. თუშეთში ტახტი ორსართულიანიც იყო. მაღლა ბავშვების, ძირს დიდების ან მაღლა საწოლი, დაბლა სახბორე.

ქიზიყური ტახტი წარმოადგენდა დიდი ზომის მაღალფეხიან ხის საწოლს, რომელსაც ჰქონდა მოაჯირიანი გვერდები და ზურგი. თავთან ედო ბალიშიანი „ბარცკალი" ხის თავსადები ასახდელი სახურავით, რომელიც გამოიყენებოდა აგრეთვე წერილმანის ჩასაწყობად. საწოლი განსაზღვრული იყო დიდი ოჯახებისთვის. დღისით ტახტზე ხალიჩის, ფარდაგის ან ჯეჯიმის დაფენა აუცილებელი ყოფილა.

ხევსურული ტახტი ოჯახის დასაძინებელი მაღალფეხიანი ხის საწოლია. ტერმინი „ტახტი" პირაქეთ ხევსურეთშია გავრცელებული. პირიქითში მას ლოგინად იხსენიებენ. იყო უფროსი მამაკაცის ინდივიდუალური საწოლიც, „ქალისთმად" წოდებული ბალახჩაფენილი, ზედ ნაბადჩადებული. ზამთარში საბნად „გუდანურს" (ტყავის საბანი) იფარებდნენ, ზაფხულში თხელ ფარდაგს.

ლიტ.: ლ. ბედუკიძე, ხალხური ავეჯი აღმ. საქართველოს მთიანეთში, 1973.

ლ. ბ.

ტაჯგანაგი – სქელი მათრახი, რომლითაც დამნაშავეს სჯიდნენ შუა საუკუნეების საქართველოში. ამ ტიპისაა ე.წ. „დაზალტული მათრახი", რომელსაც შიგნით ფოლადის მავთული ჰქონდა დატანებული და „ტირილის მათრახადაც" იყო წოდებული (ფშავ.).

ე.ნ.

ტივი – საბას განმარტებით, ტივი არის „ძელნი შეწყობილნი წყალთა სავალად" ე.ი. ერთად შეკრულ-შეკოჭილი დამორილი ძელები, რომლებსაც მდინარეზე აცურებდნენ, ჩაჰქონდათ სასურველ ადგილას, იქ შლიდნენ და ყიდდნენ, როგორც ხის მასალას. არსებობდა სატრანსპორტო და სხვადასხვა სამეურნეო ფუნქციისთვის გამოსაყენებელი ტივები. საქართველოში მეტივეობას მისდევდნენ მდინარეების — მტკვრის, ლიახვის, ცხენისწყლის, რიონის, ხეობებში. რა თქმა უნდა, გამონაკლისები იყო სხვაგანაც. ეთნოგრაფიულ ყოფას უხვად შემორჩა ტივის კულტურასთან დაკავშირებული ემპირიული მასალები: ტივის ხის ჯიშების, მათი შერჩევა-მოჭრის, შეკვრა-შეკოჭვის, ორთაყვირის დასმის, დაცურებისა და „წყლის კაცების", ანუ

მეტივეობის საქმესთან დაკავშირებით. მეტივეობა ძირითადად დაწინაურებული იყო ხე-ტყით მდიდარ რეგიონებში. მეტივეობის კლასიკურ მხარეს წარმოადგენდა ბორჯომის ხეობა, სადაც უხვად მოიპოვებოდა მშენებლობისათვის საჭირო წიწვოვანი ხეები. აქ ტყის კაცები გვარებისა და ნათესაობის მიხედვით გაერთიანებულნი იყვნენ მოდგამში (არტელში) და გაყიდულ მორებში აღებულ თანხას ინაწილებდნენ მათი შრომისა და გამოცდილების გათვალისწინებით. მორების დასამზადებლად გამოიყენებდნენ „სისო ხერხსა" და ე.წ. „მეტიურა ცულს" (იხ.), რომლის ფორმა თითქმის იმეორებს ბრინჯაოს კოლხური ცულების ფორმას.

ხის მოჭრა ხდებოდა მთებში. მორებს აცურებდნენ შუროში//სვანში (ხალახინი, იმერ.). მოაგროვებდნენ მდინარის მდოვრე ადგილას, გაუკეთებდნენ ნაცხვირს, შიგნით ამოუყრიდნენ მაგარ წნელს, გაკოჭავდნენ ერთმანეთში, მიამაგრებდნენ ორთაყვირს, რომელიც მიმართულებას აძლევდა ტივს და დააცურებდნენ წყალზე. თუ მტკვარი მოდიდებული მოდიოდა, ბორჯომელი მეტივეები ერთ დღეში ჩამოდიოდნენ თბილისში, ხოლო ჩვეულებრივ 2-3 დღეს უნდებოდნენ. შუა საუკუნეების არაერთ საბუთში ტივი მოხსენიებულია, როგორც სატრანსპორტო და სურსათის გადატანის საშუალება. XI ს. ბაგრატ IV-ს თბილისის ამირა გაექცა ტივის მეშვეობით. XIX ს. მდინარე მტკვარზე ყოველწლიურად საშუალოდ 1500-დან 1800-მდე ტივს აცურებდნენ. თბილიში ორი სატივე, ანუ „სატიო" იყო, სადაც ძირითადად ხდებოდა მორების გაყიდვა.

თბილისურმა ბოპემამ ტივი თავისი მიზნებისთვის გამოიყენა და ერთ დროს ტივზე ქეიფი და დროსტარება ქალაქის კოლორიტულ ნიშნად იქცა

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, სატივეზე ტივი შევკარ, 2004.

ე. ნ.

ტიკი — ტყავისაგან დამზადებული სითხის მოსაკავებელი ჭურჭელი. განსაკუთრებით გამოიყენებოდა ღვინის გადასატანად. სატიკედ გამოიყენებდნენ თხის ტყავს. ნედლ ტყავს კარგად გაასუფთავებდნენ, გამოიყვანდნენ შაბსა და მარილში და აშრობდნენ ორი კვირის განმავლობაში. ტიკს უკანა ტანში უკეთდებოდა მრგვალი „ხარატული", რითაც მჭიდროდ იხურებოდა ტყავის ეს ნაწილი, შემდეგ მარცხენა წინა ფეხზე უკეთდებოდა ე.წ. „მასრა" — ღვინის ჩამოსასხმელი, დანარჩენი სამი ფეხი კი შიგნიდან მაგარი თოკით ან კანაფით შეიკვრებოდა. ტიკში ღვინო ისხმებოდა კისრის მხრიდან, რომელიც იკვრებოდა ტიკზევე დამაგრებული ტყავის მაგარი თასმით. ტიკისათვის აუცილებელს წარმოადგენდა მოკუპვრა. კუპრი იხარშებოდა თუჯის ქვაბში და ცუდი გემოს გასანეიტრალებლად ხარშვისას მასში ურევდნენ მიხაკ-დარიჩინს, ილს, ყვითელ ყვავილს, შემდეგ გადმოაბრუნებდნენ და შიგა მხარეს კარგად გაუღინთავდნენ ცხელი კუპრით. გაშრობის შემდეგ კვლავ გადააბრუნებდნენ, გაკუპრულ მხარეს შიგნით მოაქცევდნენ, გაბერავდნენ და შეინახავდნენ. როგორც წესი ცარიელი ტიკი ყოველთვის გაბერილ მდგომარეობაში უნდა იყოს, რადგან დაკეცილ-დაფუშული ტიკი მალე ფუჭდება. გამშრალ ტიკს დასალბობად გარედან უსვამდნენ ცხვრის დუმას.

ტიკი უაღრესად მოსახერხებელი ჭურჭელია ღვინისა და არყის გადატანისათვის და იმ პირობებშიც კი როცა მეტალისა და მინის ჭურჭელმა ფართოდ ინყო დამკვიდრება ყოფაში, მას თავისი ფუნქცია არ დაუკარგავს - განსაკუთრებით მწყემსებისათვის.

ე. ნ.

ტკეჩი//პნკალი— ზოგიერთი ხის — თხილის, შინდის, სწორი ნვრილი ტოტის სიგრძივ ანახეთქი. იხმარება გოდრის, გიდელის, ხახალის, კალათის და მისთანათა სუფთად საწნავად.

ტმოშტი (თუშ.) — ქუმელის მოსაზელი ხის მრაგვალი ხონის ტიპის ჭურჭელი (იხ. ხონი). მესაქონლეობის რეგიონებში, სადაც ფქვილის ნაკლებობას განიცდიდნენ, მწყემსების ძირითადი საჭმელი იყო ქუმელის ფქვილისგან დამზადებული ხალი (იხ. ქუმელი). ამიტომ ეს ჭურჭელი მწყემსური ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი. ტმოშტის მსგავსი ხის ჭურჭელი გავრცელებული იყო საინგილოშიც. სადაც მას „კანი"ენოდება. საყურადღებოა, რომ ტმოშტის მსგავსი ხის სამფეხა ჭურჭელი თავისი სახურავით აღმოჩენილია ბედენის II ათასწლეულით დათარიღებულ სამარხში, რაც მის უძველეს წარმომავლობაზე მიუთითებს.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხის ჭურჭელი, 1988.

ე. ნ.



თუმური სახლი



მთიულური სახლი



ძელური სახლი



საჯალაბო სახლი

ტოლაღი — ფეხის კოჭებზე შემოსახვევი გრძელი ნაჭერი, შეკერილი ორპირად. რადგან კოჭთან ფეხი უფრო ნვრილია, ვიდრე ზემოთ და ნინდა არ ჩერდება ფეხზე, კოჭის ირგვლივ ახვევენ ტოლაღს, რის შედეგადაც ფეხი სწორდება და ზემოდან იცვამენ ნინდას. ტოლაღს ქიზიყში მკელები სამკლავეს უწოდებენ და მკის დროს მას მკლავზე ნინდასავით ჩამოიცვამენ.

ლიტ.: სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

ნ. ჯ.

ტოლი – აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (ხევსურეთი, თუშეთი, ფშავი, მთიულეთი) გავრცელებული შინ ნაქსოვი ქსოვილი. ტოლი სამგვარია — ორმაგულა, ნაღმა-უკუღმა და ცალპირა.

ტოლით იკერებოდა ქალის კაბა-სადიაცო, ფაფანაგი, ქოქლო, მანდილი, პერანგი, ჩოხა, შარვალი, პაჭიჭები, წვივსაკრავები (ხევსურეთი), მამაკაცის ქათიბი, ქალის ჩოხა — ჯუბა (თუშეთი). ოჯახში ტოლს იყენებდნენ საბნის, ლეიბის, ბალიშის პირებად.

ლ. ბ.

ტოლომა//ტალმა — ქალის წამოსასხამი. მასალად სეზონის მიხედვით არჩევდნენ, ზამთარში მუქი ფერის მაუდს, ხავერდს, მირინოსს, ზაფხულობით კი ფერად-ფერად აბრეშუმეულობას. ფორმით ორგვარი იყო: გრძელი და მოკლე. მხრებზე მორგებული და ყელთან ერთი სამაგრით დამაგრებული ეს წამოსასხამი უსახელო იყო, საყელოიანი და ნაბდისებურად მოყვანილი, ბოლოსაკენ გაგანიერებული. საზამთროს ბენვი ჰქონდა გამოკრული, სხვა შემთხვევაში ბამბაფენილი და დალიანდაგებული სარჩულით კერავდნენ. საბას განმარტებით, დიდ ტოლომას „გალატონი" რქმევია, ხოლო — პატარას „ქუქუნაკი".

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა (ქალის ჩაცმულობა), ანალები, ტ. I, 1947. ნ. გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან, ქალის ქართული ჩაცმულობა, XIXს. და XXს. დასაწყისი, 1967.

ც. ბ.

ტოლჩა — სანიადაგოდ სახმარი, ხელიანი წყლის ჭურჭელი. მზადდებოდა როგორც ლითონის, ასევე თიხისაგან.

ტომარა ტყავისა – ვაშკარანის ერთ-ერი სახე. მას გუდასაც უწოდებენ. ტყავის ჭურჭელი მონადირეთა და მესაქონლე ხალხების ერთ-ერთ ძირითად სათავსს წარმოადგენდა. ტყავის ტომრები ეგვიპტის ძველ სამეფოში იყო ცნობილი. ეს ნივთი ხალხის ყოფას ნიადაგ სახმარად შემორჩა, როგორც მოსახერხებელი და მსუბუქი, ხმარებაში გამძლე და უმტვრევი.

ნ. ჯ.

ტომარა ხაკის – თხის ბეწვისგან დამზადებული, რომელშიც ალბობენ ლუდის ფორს//ალაოს და რომელშიც წურავენ სისწვენს (იხ.). მომზადებული სისწვენი გაინურება ტომრებში, რომლებიც ჩამოკიდებულია სალუდეს თავხეებზე, ხოლო გაფილტრული სისწვენი ჩაედინება ლათბაში (იხ.).

ლიტ.: ე. ნადირაძე, ქართული ლუდი, ეთნოლოგიური ძიებანი, ტ. III, 2007.

ე.ნ.

ტოპაზი — თეთრი ფერის მინერალი. მიუხედავად იშვიათობისა, ქართულ წერილობით ძეგლებში მას მრავალი სინონიმი მოეძებნება. ტოპაზის მძივები აღმოჩენილია სოფ. არხილოსკალოს ერთ-ერთ სამარხში. ასევე ტოპაზის გემაა აღმოჩენილი მცხეთაში, ტოპაზითვეა შემკული ხატები, მაგ., სიონის ღვთისმშობლის ხატს ამკობს რვა ცალი დიდი ზომის ტოპაზი, ასევე ტოპაზითვეა შემკული მიტრები, პანაღიები. ტოპაზი გამოირჩევა

გამჭვირვალებითა და ელვარებით, რაც განაპირობებდა მის პოპულარობას.

ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ე.ნ.

ტოპკირი (კახ.) — დაწნული ლასტი, რომელიც ყურძნის წურვისას იდებოდა საწნახელში. ყურძნის დაწურვისას მეურნე ცდილობდა რაც შეიძლება წმინდა წვენი მიეღო უჩენჩოდ და უწიპწოდ. ამისათვის საწნახელში მაგარი წნელისაგან მოწნულ ლასტს დებდნენ, ზედ ჩადუნას//ჩადის ფოთლებს აფარებდნენ და მერე ყრიდნენ ყურძენს. ყურძნის დაჭყლეტის დროს წვენი ამ ჩადუნიანი ლასტის წყალობით იფილტრებოდა. ბოლო დროს ხალხურ მეტყველებაში ღვინის დალევისას დამკვიდრდა გამოთქმა „ჩადის გემო აქვს" — რაც გულისხმობს, ფიზიკურ პროცესს და სრულიად დაკიწყებულია ადრინდელი შინაარსი ამ გამოთქმისა. კერძოდ, „ჩადის გემო აქვსო," ძველად იტყოდნენ ისეთ ღვინოზე, რომელიც ასეთი ტექნოლოგიით დამზადდა და ჩადზე მომატებული ყოფნისაგან გარკვეული, სპეციფიკური გემო მიიღო.

ლიტ.: ალ. ლეკიაშვილი, მეღვინეობა კახეთში, მსმ, ტ. XI, 1960. ლ. ფრუიძე, მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში (რაჭა), 1974.

ე.ნ.

ტოში — დასარტყმელი საკრავის, საჩხარუნებლის პროტოტიპი, ტაშიდან დასარტყმელ საკრავზე გარდამავალი ტიპი — ხანჯლის, დანის ან ჯოხის რიტმული ცემა ხის ფიცარზე საცეკვაოების შესრულების დროს (აღმოსავლეთ საქართველოს მთა — ხევსურეთი, ფშავი).

რიტმული საკრავებისა და დასარტყამების ფუნქციას თავდაპირველად ასრულებდა ტაში, რომელიც დღემდე ქართულ საცეკვაო-სათამაშოებსა და საფერხულოებში გვხვდება. დასარტყამი საკრავების წინარე ფორმად მიჩნეულია ორი ქვის ერთმანეთზე რიტმული ცემა. ეს ფორმა საქართველოს ზოგ კუთხეში (კახეთი, თუშეთი, რაჭა) XX ს-მდე შემორჩა.

ლიტ.: მ. შილაკაძე, ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, 1970. გრ. ჩხიკვაძე, ქართველი ხალხის უძველესი სამუსიკო კულტურა, 1948.

მ. შ.

ტრასკანა — ბავშვების სათამაშო თოფი, რომელიც იტენება საზამთროს ქერქით.

ტრიონი — დაბეწვილი სამოსელი. იგი ერთ-ერთი გარედან შესამოსელი ტანისამოსია. „ტრიონი, ფართო სამოსელია ფილასოფოსთა, ბალანთაგან შეურაცხებისათვის იქმოდნენ" (საბა). „აქუს მას ტრიონი სანატრიო სანატრიონი საწმისისაგან სამოსად გარედ" (შავთელი).

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი. III, IV, 1962.

ნ. ჯ.

ტრიკირი — სამსანთელა, ფიგურული შანდალი. სამი, შუაში ლენტით შეკრული კელაპტრით. მღვდელმთავრის მსახურების აუცილებელი ატრიბუტი. ღმრთისმსახურებისას მღვდელმთავარი ერთ ხელში ტრიკირით, მეორეში დიკირით (იხ.) მრევლს უფლის სახელით ლოცავს. ტრიკირი სიმბოლურად ყოვლადწმინდა სამების შეუქმნელ (დაუბადებელ) ნათელს ნიშნავს.

ლიტ.: С.Е. Молотков. Практическая энциклопедия православного христианина. С.ПБ. 2001.

ხ. ც.

ტრიკოლო — ტიკად ტყავის გახდისას, გატყავება ადვილი რომ ყოფილიყო, თხის ტყავს შიგნიდან ბერავდნენ თიხის მილით -- ტრიკოლოთი.

ტუკვი//კობული//ურატა — საწნახელში ყურძნის ჩასაბეგვი ხე, უფრო მეტის ჩატევის მიზნით.

ტყავი//საბენვგარეთო(ხევს.)//**კანძოლა**(. ხევს.)//**მარტყავა**(სნო, ხევი) — ქალის მოკლე ქურქი, საზამთრო სამოსელი, ამზადებენ ჯიხვის, ცხვრისა და თხის ტყავისაგან. ტყავს აქვს: ფარაგი, ნინა და უკანა კალთა, ველი, აზლოტები, ზურგნა, სახელოები და საყელო. უბრალო ჩასაცმელ ტყავს ზოგჯერ თვით მომხმარებელი კერავდა. იყენენ კვალიფიციური მკერავები, რომელთაც „ქურუხჩები" ეწოდებოდათ.

მათ ზუსტად იცოდნენ, რა რაოდენობის ტყავი სჭირდებოდა ერთი ტყავის ჩასაცმელს. მოკლე ტყავის შესაკერად საჭიროა ორი ცხვრის ტყავი და მას ქალები ოჯახშივე კერავდნენ. ტყავის დასამზადებლად ჯერ ტყავის მასალას რამდენიმე ნაწილად ჭრიდნენ თარგის (შიბი) საშუალებით. მას დებდნენ ტყავზე, შემოხაზავდნენ და გამოჭრიდნენ. პირველ რიგში ჭრიდნენ კალთებს, შემდეგ წელს, ფერდებს, სახელოებს, დაბოლოს, საყელოს. გარდა ამისა, საჭირო იყო დამატებითი ტყავი — ჯიბის პირების, შესაკრავი ღილ-კილოებისა და ნვრილი თასმებისათვის. დღესასწაულზე ჩასაცმელი ტყავი განსხვავდება ჩვეულებრივი ტყავისაგან. საზეიმო ტყავის სამოსს მხრებსა და გულისპირზე ფერად ტყავებს აკერებდნენ და ამკობდნენ ვერცხლის სამკაულითა და მონეტებით. წელზე უკან, საყელოსა და სახელოებზე დაუყვებოდა ფერადი ნაჭრის ზოლები; ზურგსა და მხარზე გამოსახული იყო მძივ-ღილით ნაქარგი ჯვრები (ხატები). ტყავი იკერებოდა მოსევადებული ბალთებით. ხშირად ბალთებზე გამობმულ რგოლებზე მონეტებია ჩამოკიდებული. ხევსურული ტყავი გამოირჩეოდა საუკეთესო შემკულობით.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

ტყავი საპირე – საფეხსაცმლე ტყავი. საპირე დაახლოებით ისევე კეთდება, როგორც საძირე (იხ.). დამზადების დრო აქაც ერთი თვეა. საპირე ტყავად ხმარობდნენ ნვრილფეხა საქონელს: თხასა და ცხვარს. საძირესაგან განსხვავებით, საპირე ჯერ კირით უნდა დამუშავებულიყო; თაღარში ჩაყრიდნენ 20 სათლ კირსა და 50 სათლ წყალს და საპირე კირში ორი კვირის მანძილზე ამუშავებდნენ. თბილისელი დაბღები დამუშავებულ ტყავს დაზგაზე „ღულაბით" (იხ.) ჭიმავდნენ. საპირე ტყავს თხის ან ძროხის მუცლის გამდნარ ქონს უსვამდნენ ხორცის მხრიდან, ხოლო ბეწვის მხრიდან ტყავი ჩვეულებრივი ქონით იუღინთებოდა. ბოლო პროცესი ტყავის შეღებვა იყო. ტყავის ავკარგიანობა ფერითაც განისაზღვრებოდა. ყველაზე კარგ ფერად ღია ლიმონის ფერი მიიჩნეოდა. ძველად მედაბღეები ძაღლის პატივს აგროვებდნენ, აშრობდნენ და თბილ წყალში ხსნიდნენ, ნურავდნენ და ნანურს ტყავს უსვამდნენ და მას ყვითელი ფერი ეძლეოდა. საპირე ტყავი ორი სახის იყო: ქოსალა და სამოგვე. ქოსალა ცხენის, ხოლო სამოგვე თხის ტყავის კეთდებოდა. ცხვრის ტყავის მზადდებოდა მეში. მის გამოყენანას იმავე წესით ახდენდნენ, როგორც საფეხსაცმლე საპირეს, იმ განსხვავებით, რომ მეში გამოიყენებოდა საპირის სარჩულად და მას არ სჭირდებოდა გაქონვა და შეღებვა. ასეთივე წესით მზადდებოდა საძირე ტყავიც.

ლიტ.: ნ. აბესაძე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, 1986.

ნ. ჯ.

ტყავი საძირე — საძირე ტყავი დაბახანაში ერთი თვის განმავლობაში მუშავდებოდა, სანამ მას დასათრიმლად თაღარში (იხ.) მოათავსებდნენ, ცემენტის აუზში დაალბობდნენ შემხმარი ნარჩენების მოსაშორებლად. ტყავს ლეშისგან დემურით (იხ.) წმენდდნენ, ერთი დღით ცივ წყალში ამყოფებდნენ. თაღრში, რაც თითოეულ დაბანახაში სულ ცოტა 100 მაინც იყო, კამეჩის 5 ტყავს ჩააგდებდნენ. ნაზავისათვის საჭირო იყო: 2 სათლი, საკიდარი ქვაბი, ქატო, სიმინდის ფქვილისა და 10 სათლი თბილი წყლის ნაზავი. ორი კვირის განმავლობაში ტყავები ორჯერ უნდა დამუშავებულიყო. ხსნარში ტყავს ყოველდღე გადააბრუნებდნენ. შემდეგ „ვარაჩოზე" (იხ.) ბეწვს გააცლიდნენ, რასაც თუქლამიშს უწოდებდნენ. ბეწვისაგან გასუფთავებულ ტყავებს იატაკზე დააწყობდნენ დასაწურად, გამშრალს კი მარილს მოაყრიდნენ. მარილში დატოვებდნენ სამ დღეს. ამას „ნამაქოი"//„ნამაქუ" ეწოდებოდა. შემდგომ ტყავს დანით განკიპავდნენ, რასაც „არუ" ერქვა, ხოლო ორივე პროცესი ერთად „შორად" ინოდებოდა. საძირე ტყავის დამუშავება დათრიმლვით სრულდებოდა. იღებდნენ ორ სათლ თრიმლს და 10 სათლ წყალს, 2-3 საათის შემდეგ ამოიღებდნენ ტყავებს თაღარიდან. საბოლოო შედეგის მისაღებად 5-ჯერ ზედიზედ გამეორდებოდა „ნამქუ" და „არუ". ყოველი „არუს" გამეორებისას თრიმლის რაოდენობა ერთი სათლით იზრდებოდა და თაღარში ტყავის დება ერთი დღით ხანგრძლივდებოდა. თაღარიდან ამოღებულ ტყავებს ჩრდილში, ლატანებზე გადაფენდნენ გასაშრობად, გამშრალს კი ნმენდდნენ, წყალი რომ არ შერჩენოდა ტყავს და არ დაობებულიყო.

ლიტ.: ნ. აბესაძე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, 1986.

ნ. ჯ.

ტყავ-კაბა – სამოსის უძველესი ტიპი. ძირითადად არსებობდა ორი სახის ტყავის სამოსი — ერთი ჩვეულებრივი, ყოველდღიური და მეორე მხოლოდ დღესასწაულების დროს სახმარი. ტყავ-კაბისათვის საჭირო იყო ცხვრის რვა ტყავი. ერთი წელისათვის, ორი ფერდებისათვის, ერთი სახელოებისათვის და ოთხი

კალთებისათვის. ნარჩინებულთა ტყავ-კაბას დამატებით მუქი წითელი ფერის ხავერდი ამშვენებდა, გასათხოვარ ქალს სხვა ნივთებთან ერთად ტყავ-კაბასაც ატანდნენ მზითვად. ქსნის ერისთავის ასულის ანას მზითვის წიგნში მოხსენიებულია — „ტყავ-კაბა ერთი, ხალასად შეკერილი". „ვეფხისყაოსანში" ტარიელს ტყავ-კაბა აცვია: „მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა". ამ ცნობიდან ირკვევა, რომ ასეთი თმიანი ტყავის გარეთ მოქცეული კაბა სამგზავრო სამოსელი უნდა ყოფილიყო. ტყავ-კაბა ქალის საცხენოსნო ტანსაცმლად იყო მიღებული. თეიმურაზ II-ის ცნობით, ჯვარდაწერილ დედოფალს „მორთავდნენ საცხენოსნოთა ტყავ-კაბით". ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ტყავ-კაბა ერთობ გავრცელებული სამოსი ყოფილა.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

ტყაპუჭი//ტყავი(ჩუბ.)//ტყავფუჩი (გურ.) – ცხვრის ტყავის მოქნილი სამოსი; ტყაპუჩი ტყავის ტანსაცმელებში ყველაზე დიდი ზომის ყოფილა. მას ტყავის მოხელე კერავდა. ტყაპუჭებით მეურმეებიც იმოსებოდნენ, მეცხვარეები კი ზამთრობით ნაბდის ქვეშ იცვამდნენ. ხევში მეცხვარეები ცხვარში რომ არ დადიოდნენ და სახლში შინაკაცებად ისხდნენ, გარეთ გამოსვლის დროს (საერობო ადგილას ან სხვაგან) იცვამდნენ ტყაპუჩს.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, ტ., თბ., 1962, გვ. 122 *ნ. ჯ.*

ტყვია – აქ: ცეცხლსასროლის იარაღის ტყვია. მასიურად გავრცელდა XIV საუკუნიდან. მზადდებოდა სხვადასხვა ლითონისაგან. დიდი ხნის განმავლობაში ხელის ცეცხლსასროლი იარაღი თავისი არასრულყოფილების გამო კონკურენციას ვერ უწევდა სხვა სატყორცნ იარაღს, მასით, სიზუსტითა და სწრაფსროლით ბევრად ჩამორჩებოდა მშვილდსა და არბალეტს. მხოლოდ XV ს-ის დასაწყისში გამოგონილმა „მუშკეტებმა" შეძლეს ტყვიის ხვრეტითი ძალით გაესწროთ სასროლი იარაღებისათვის.

მუშკეტის ტყვია სფეროსებრი ფორმის იყო და 50-60 გრ-ს ინონიდა, მის წინაშე ჯავშნით შეჭურვილი რაინდი უკვე უძლური იყო. მოგვიანებით კაჟიანი თოფების ეპოქაში, როდესაც დაკუთხულ ლულებს იყენებდნენ, ტყვიის ფორმაც შეიცვალა და მოგრძო სახე მიიღო. მოგრძო ტყვიის გამძლეობას ფრენის დროს განაპირობებდა ნაჭდევები, რომლებიც ხელს უწყობდა ტყვიის სწრაფ ბრუნვას, ამის შემდეგ სროლის სიზუსტე ძალიან გაიზარდა.

ყალიბის მხრივ დიდი მრავალფეროვნება იყო, ერთ საჯარისო დანაყოფში შეიძლება 40-მდე სხვადასხვა ყალიბის იარაღი ყოფილიყო, რადგან ჯარისკაცი თვითონ ასხამდა ტყვიას თავისი თოფის ყალიბის შესაბამისად.

ფისტონიანი თოფების პერიოდში (XIX ს) გამოიგონეს თვითგაფართოებადი ე.წ. „მენიეს ტყვიები". მას უკანა მხრიდან კონუსური ჩაღრმავება ჰქონდა, რომელიც რკინის მსუბუქი ხუფით იყო დახურული, ტყვია ლულაში თავისუფლად იდებოდა, გასროლის დროს კი განიერდებოდა და მჭიდროდ მიჰყვებოდა ლულის კუთხვილებს. ტყვიის დიამეტრის გაზრდა ხდებოდა დენთის გაზების მიერ კონუსურ ჩაღრმავებაში რკინის ხუფის ჩაჭყლეტით. ასეთი თოფებიდან სროლა 1200 ნაბიჯიდანაც შეიძლებოდა, იმ დროს როცა გლუვლულიანი თოფები 300 ნაბიჯამდე ძლივს აღწევდა.

XVIII ს. ბოლოს, როდესაც შესაძლებელი გახდა თოფის ლულის დატენვა საფალიე მხრიდან (ანუ ლულა იხსნებოდა ბოლოში), გამოიგონეს ქაღალდში ერთად გახვეული ტყვია-წამალი. დატენვისას, ქაღალდს დენთის მხრიდან კბილით გაგლეჯდნენ და ლულას დახურავდნენ, საფალიე ძუძუკს ფისტონს წამოაცმევდნენ, ჩახმახს შეაყენებდნენ და თოფი მზად იყო სროლისთვის.

ტყვიის განვითარების შემდეგი ეტაპი იყო უნიტარული ვაზნის გამოგონება, სადაც დენთი, ტყვია და ფოსტონა ერთ მასრაში გაერთიანდა. უნიტარული ვაზნები პირველად ნემსიან შაშხანებში იქნა გამოყენებული, ხოლო შემდგომ თანდათანობით ისე დაიხვეწა, რომ დღესაც წარმატებით გამოიყენება საბრძოლო ხელოვნებაში.

ლიტ.: მ. ქაფიანიძე, XV-XIX სს. ცეცხლსასროლი იარაღი 2000. А. В. Жук, энциклопедия стрелкового оружия, 1998.

მ. ქ.

ტყლაპი — 1. ქალამნის ტიპი. ქალების ჩასაცმელი. ასეთ ქალამანს ძირი ტყავისა ჰქონდა, პირი





დუროიანი სახლი





სამზადი სახლი

კი ბაწრით მოქსოვილი. ზამთრობით ტყლაპში თომს ან სხვა მშრალ ბალახს ჩაუფენდნენ, ზაფხულში კი შიშველ ფეხზეც იცვამდნენ. 2. მოდუღებული და გაწურული ტყემლის, ქლიავის, ვაშლის ფაფა, რასაც დაასხამენ ფიცარზე ან სუფრაზე და გააშრობენ. შემდეგ ააძრობენ, გაანიავებენ, დაახვევენ და ინახავენ საზამთროდ როგორც ნუგბარს. განსხვავებით სხვათაგან, ტყემლის ტყლაპი გამოიყენება სამკურნალოდ და სანელებლად.

ე.ნ.

ტყრუშული — მსხვილი წნელით დაწნული ღობე.





უბის ფარი (ხევს.) — ხევსურეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია უბის ფარი, რომელიც ჩვეულებრივ ფართან (იხ.) შედარებით მცირე ზომისაა. უბის ფარიც მრგვალი მოყვანილობისაა, (დმ.დაახ. — 20 სმ.) უბის ფარის მასალად მხოლოდ ლითონია გამოყენებული. ფარის ზედაპირზე, შუაგულში დაკრულია ოთკუთხი ფორმის რკინა — „გუმბათის ხატი", რომლის კუთხეები წაწვეტებულია ოთხი „შოლტით". ამ ოთხ შოლტს ზევიდან წრიულად შემოვლებული აქვს ერთი რკალი — „გირგოლი," რომელიც დამაგრებულია სამსჭვალებით. უბის ფარი ზურგიდან ლითონგადაკრულია. მას ჩოხის ქვეშ ატარებდნენ გულ-მკერდის დაცვის მიზნით, მაგრამ საბრძოლველადაც იყენებდნენ: იმ შემთხვევაში, როდესაც მებრძოლს არ გააჩნდა სხვა საბრძოლო იარაღი და მოუხდებოდა ვინმესთან „შუღლი," ამოაძრობდა უბეში საბღუჯით ჩოხისკენ მოქცეულ ფარს და მოწინააღმდეგეს „ჩააფარებდა", შესაძლოა აქედან მომდინარეობდეს ტერმინი „ჩაფარება".

ლიტ.: კ.ჩოლოყაშვილი, ქართული საბრძოლო იარაღი, ფარი, სსმმ. ტ.XVIII16 1954.

მ.ქ.



უზანგი — ცხენის აღკაზმულობის მნიშვნელოვანი დეტალი, რკინის, ფეხთშესაყარი, რომელიც კეხის ფრთაზეა ჩამოკიდებული ისეთ მანძილზე, რომ მასში ფეხგაყრილ მხედარს მუხლი ოდნავ მოხრილ მდგომარეობაში ჰქონდეს. უზანგი ცხენით სიარულის დროს, ფეხის საყრდენის ფუნქციას ასრულებს და ამავე დროს, მხედარს ეხმარება ცხენზე ასვლაში. უზანგის გამოყენებას VI ს. ვარაუდობენ და მის გაჩენას ძველთურქული ტომების სახელს უკავშირებენ. უზანგმა დიდად შეუწყო ხელი მხედრის ხანგრძლივად ცხენზე ჯდომას. საქართველოში უზანგები ძირითადად ქალაქებში მზადდებოდა.

ე.ნ.



უთო — ქსოვილის საუთოო თუჯის ხელსაწყო. ქალაქური ცხოვრების პროდუქტი. ჩვეულებრივ ტიპურ უთოს გააჩნია ტანი (სადაც იყრება ნახშირი), ტარი და სახურავი. გვერდები დაფანჯრული აქვს, რათა ნაკვერჩხალმა ჟანგბადი ზომიერად მიიღოს და სიმხურვალე შეინარჩუნოს.

ე.ნ.

ულო — ძნისა და ჩალის შესაკრავი, საკონავი. ამზადებენ სიმინდის ჩალის, პურისა და ღომის ნამჯის ან დაგრეხილი წნელისაგან. სამეურნეო საქმიანობაში, სამეურნეო პროდუქტების ნარჩენებით შეკონვა უაღრესად რაციონალური მიგნებაა, რითაც მეურნე თავიდან იცილებს სხვა მასალის საკონავების მოძიებაზე ზედმეტ გარჯას.

ე. ნ.

უნაგირი — ცხენის აკაზმულობის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი. არსებობს ორი სახის უნაგირი: კაცისა და ქალის. ქალის უნაგირს-ტახტა გვერდით აქვს მოქცეული, რადგან ქალი გვერდიდან ჯდება და ფეხებიც ერთ მხარეს აქვს ჩამოშვებული.

უნაგირი რთული აგებულებისაა და მრავალი ნაწილისაგან შედგენა. ესენია: კეხი, ტახტა, ბალიში, მოსართავები, ფრთები, უზანგები და სხვ. უნაგირის ძირითადი ნაწილი — კეხი მზადდება ხისაგან. კეხზე ასხმულია ტყავგადაკრული ფრთები. ფრთებზე მობმულია ე.ნ. საძუე, რომელსაც ცხენს კუდის ძირში ამოსდებენ, რომ თავდაღმართში უნაგირი წინ არ ნაჩოჩდეს, ფრთაზევეა მობმული ორი გრძელი თასმა: ერთი წინ და ერთიც უკან. მათ მოსართავები ეწოდება. ერთი მუცელზე ეჭირება, მეორე კი კეხზე ბალიშის დასამაგრებლად. თასმებს ბოლოებზე მიბმული აქვთ ბალთა-აბზინდები.

უნაგირის აქეთ-იქით, კეხის ფრთებზე, ჩამოკიდებულია ფეხის შესადგმელი უზანგები. ზოგ უნაგირს სამკერდული და გულავშარაც აქვს. ბალიში ტყავისაა, ტრადიციულად მასში მოთავსებულია ირმისა და აქლემის ბეწვი, ასევე მატყლი, ბუმბული ან ზღვის ბალახი. ბალიშიც ორგვარია — სადა და ნაოჭიანი. ბალიშის ღირსებას მისი ნაოჭების რაოდენობით განსაზღვრავს.

ცხენს პირში ამოდებული აქვს ლაგამი. ლაგამს აღვირსაც ეძახიან. ულაგამო აღვირს ავშარა ჰქვია. ავშარა ცხენის დასაბმელიცაა. უნაგირს უკანა ტახტაზე საწყვეტებიც აქვს მიმაგრებული ხურჯინის ან დაკეცილი ნაბდის დასაკრავად. აღვირი, სამკერდული, უნაგირის ტახტა და მოსართავები ხშირად შეეერცხლილია, ისევე როგორც მათრახის ტარი.

ცხენს ასეთი თანმიმდევრობით კაზმავენ: ცხენს შიშველი ზურგი რომ არ დაუშავდეს, ჯერ სარბილოს (რაიმე რბილს) დაადებენ, რომელსაც საოფლე ეწოდება, შემდეგ — თოქალთოს (ტყავგადაკრული ნაბდის ნაჭერი). თოქალთოს ზემოდან დაედგმება კეხი, კეხს ბალიში და გადაეჭირება მოსართავები. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცულია მრავალი უნაგირი, რომლებიც კავკასიაში გავრცელებული უნაგირების ჯგუფს განეკუთვნება. დღეისათვის ასეთ უნაგირებს იშვიათად ამზადებენ. ძველად მეუნაგრობა ხელოსნობის ცალკე დარგი იყო და მას გამორჩეული ოსტატებიც ჰყავდა. უნაგირის ოსტატს სარაჯი ერქვა.

ა. გ.

უნჯეთი — ქვის საჩუქურთმებელი, საჭრელებელი იარაღი, რომელსაც აქვს მაღალი ტანი და ჩაქუჩის საცემი თავი.

ურემი ბჯის (სამცხ-ჯავ.) – ბჯის ურემი, ორბორბლიანი სახმელეთო ტრანსპორტის, ქართული ურმის ნაირსახეობა, ნამკალ-ნათიბის საზიდი. ბჯის ურემს აწყობდნენ ჯავახეთში, რითაც გამოირჩეოდა სოფლები ჩუნჩხა და კოთელია.

გ. გ.

ურემი ორბორბლიანი – ქართული ტვირთის საზიდი ტრანსპორტის ტიპი, რომელიც თითქმის მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. აღმ. საქართველოში ორი ქვესახეობითაა წარმოდგენილი საბარო ურემი და საძნე, ანუ ბჯის ურემი. დას. საქართველოში კი ერთი სახეობით — ხელნა ურემი. საძნე ურემს საბარო ურემთან შედარებით მაღალი და წვეტიანი ჭალები აქვს. ურემს გააჩნია უბე, ღერძ-ბორბლები და უღელი. უბე წარმოადგენს ურმის მთლიან ნაწილს, რომელზედაც იდება ტვირთი და აქვს შემდეგი ნაწილები: ხელნები, დანდლები, კოფო, ჭალა, ზეწარი და სხვა. უბე შეკრულია გრძელი ხელნებისგან და ქმნის ტოლფერდ სამკუთხედს, რომელზედაც განთავსებულია ჭალები — ერთგვარი ღობე, რომელიც აუცილებელია ურემზე დადებული ტვირთის დასამაგრებლად. ურმის მნიშვნელოვანი ნაწილია თვლები//ბორბლები, რომლებიც შედგება მორგვის, ფერსოსა და სოლებისგან, სადაც გაყრილია ღერძი. ურმის ღერძზე ერთი თვალი თავისუფლად ბრუნავს, მეორე კი გაჭედილია, რაც ძალზე აიოლებს ურმის ერთ ადგილზე მობრუნებას — ესაა ქართული ურმის ერთი დამახასიათებელი თვისება. ურმის კონსტრუქციაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უღელს (იხ.), რომლის მეშვეობითაც გამწევ ძალას ურემი მოძრაობაში მოჰყავს. ორბორბლიანი ურემი ძირითადად გამოყენებული იყო საქართველოს ბარში.



ლიტ.: მ. გეგეშიძე. ქართული ხალხური ტრანსპორტი, 1956.

ე. ნ.

ურემი ჩოჩიალა//ფრჩხილებიანი – დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ურმის ტიპი, რომელიც თავისი კონსტრუქციით მისადაგებულია მთაგორიან რელიეფს. მისი სინონიმებია ჩოჩიალა, აჩაჩა, ფრჩხილა, მთის, ფიცრული, ხოხიკია, დაბალი,მარხილიანი//მარხილა და ხოხა ურემი. საქართველოს სხვა

კუთხეებში ასეთ ურემს „იმერულს“ უწოდებენ. ფრჩხილებიან ურემში თრევისა და გორვის პრინციპი ორივე ერთადაა გამოყენებული, რითაც ის ბოლოთრიას ემსგავსება (იხ. ბოლოთრია). თუმცა მისგან განსხვავებით — ბოლოთრიას უკანა ნაწილი თუ ეთრევა მიწაზე, აჩაჩას ფრჩხილები შუა ნაწილშია მოთავსებული და ისინი გამუდმებით მიწაზე მისრიალებენ. აჩაჩას ზესადგარი ეყრდნობა ღერძ-ბორბალს არა ცენტრით არამედ უკანა ნაწილით, რის გამოც იგი დახრილია, გარკვეულწილად ეყრდნობა როგორც ბორბლებს, ასევე ფრჩხილებსაც და ტვირთის გადატანა ორივეს მეშვეობით ხორციელდება. ურმის ფრჩხილები დაღმართში სამუხრუჭო საშუალებასაც წარმოადგენს და ამავე დროს, ინაწილებს ტვირთის სიმძიმეს. მიწაზე მოსრიალე ფრჩხილები ასევე ამცირებს ურმის რყევას და უღელი ნაკლებად აწვება ხარებს.

ლიტ.: მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, 1956.

ე. ნ.



ურო – ქვის სამტვრევი მასიური რკინისთავიანი იარაღი. ხის ტარი ამოცმის ნესით აქვს დაგებული. ქვითხუროობაში ურო, ანუ „ვარიოზი“ ქვას ზედმეტ ნაწილებს აცლის. იგი არის მძიმე იარაღი და ხელოსანი მუშაობს ორივე ხელით. ურო//ვარიოზით ქვას „ქერქი“ აეყრება და ხალას პირზე დავა. რის შემდეგ მისი გასნორებასა და სათანადო ფორმის მიცემას დაიწყებენ. ქვის დაუროებისას ხდება ქვის ბრუნება ე.ი. ყოველი მხრიდან გასუფთავება. ურო ქვის დამუშავების პროცესში უნივერსალურ იარაღს წარმოადგენს.

ე. ნ.



უღელი — „ხართა ქედსადები“ (საბა). სამეურნეო პირობებიდან გამომდინარე საქართველოში მრავალი დანიშნულების უღელი დასტურდება. ესენია: სამარხილე, სალაჩქიმე, საკალოე, სააჩაჩე. ასევე, საყევრის, საწკეპი, საჯდომი, საძირე და სხვა. ამათგან გამოიყოფა უღელის სამი ტიპი: დიდი გუთნის, ორხელასი და აჩაჩისა, რომელთაგან პირველი შეესაბამება ბარის, მეორე — გარდამავალი ზოლის (მთასა და ბარს შორის მოქცეულ) და მესამე მთის მიწათმოქმედებას. უღლისთვის საუკეთესოა იფნის ან თელის ხე, რომელიც ფიცხი არაა და ხარს კისერს არ დასნვავს. უღლის ცენტრში კორაა დატანებული საზიდი ხელნების ღვედით მისაკვრელად და დასამაგრებლად. საქედური უღლის ის ნაწილია, რომელიც ხარს ქედზე ადევს სიმძიმის დასაძრავად. საქედური ბოლოებში გახვრეტილია ტაბიკებისთვის, რომლებიც ხარებს კისერზე ჩამოეცმება და ქვემოდან შეიკვრება ტყავის თასმებით (აპეურებით იხ.). დიდ გუთანში 8-10 წყვილი ხარი ებმოდა და მოხერხებულ უღელზე ბევრად იყო დამოკიდებული ხვნის ეფექტურობა. ძველი ცივილიზებული სამყარო იცნობს საქედურიან უღელს. საქართველოში ამგვარი უღლები შუა ბრინჯაოს ხანით თარიღდება. ეტიმოლოგიურად სიტყვა „უღელი“ ინდოევროპული წარმოშობის სიტყვაა და ფიქრობენ, რომ ადრეულ პერიოდში ჩვენში მის აღმნიშვნელად ტერმინი „ყევარი“ იყო დამკვიდრებული. აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში (ფშავი, ხევსურეთი), დასტურდება უღელთან დაკავშირებული საყურადღებო ნეს-ჩვეულება — ე.ნ. „უღელზე დატირება“. საქართველოს შუაბრინჯაოს ხანის მასალებში აღმოჩენილია უღელი, რომელიც მიცვალებულის კულტთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ქართული უღელი, მსე, ტ. XIX, 1978.

გ.გ. ე.ნ.



უღელი ხატისა — ხატის უღელი, სხვადასხვა გასაჭირის დროს, მორწმუნე ხატს რაიმეს ტარებას აღუთქვამდა, მას განსაზღვრულ დრომდე ატარებდა და მერე ხატს შესწირავდა. ამ თვალსაზრისით მთიანეთში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული იყო ხატის უღელი, რომელიც მზადდებოდა რკინისაგან და სხვადასხვა ზომის იყო. ზოგიერთი ასეთ უღელს ორ-სამ წელსაც ატარებდა. დადებული ვადის გასვლის შემდეგ ყელუღელიანი ქალი ან კაცი მივიდოდა შეთქმულ ხატში, მიიტანდა საწირავს











ᲡᲙᲐᲛᲘ













კიდობანი

(ნაზუქები, სანთელ-კელაპტრები), დეკანოზი შეხსნიდა უღელს და ხატის ნიშში შედებდა. ამის შემდეგ ადამიანი ხატის მონობისაგან თავისუფალი იყო. ასეთივე დანიშნულების იყო კისერზე დასადები მძიმე ჯაჭვები (იხ. ჯაჭვი ხატისა).

თ. ნ.

უძირო — წუღა, წაღა, მესტი, თარგზე გამოჭრილი მსუბუქი თხელძირიანი რბილი ფეხსაცმელი, აქვს მაღალი ან დაბალი ყელი. საქართველოში დამოწმებულია სამი ქვეტიპი: 1. ერთნაჭრიანი — დახურული, ფართოენიანი ან პირმოხდილი უენო, 2. სამნაჭრიანი — პირისა, ტერფისა და ძირისაგან შედგენილი და 3. მრავალნაჭრიანი. ამ უძიროს საპირე ერთი ან რამდენიმე ნაჭრისაგან შედგება, ყელი ორნაჭრიანი, მაღალი ან დაბალი აქვს.

უძირო მზადდება ტყავის და სხვადასხვა მასალის (ნაბადი, ქსოვილ გადაკრული ტყავი) კომბინირებით. აფორმებდნენ ფერადი ძაფით მცენარეული ორნამენტით, ფერადი ტყავის აპლიკაციით, ოქრომკედით და სხვ.

ნ.ჯ.

უნუენა – ტაბუირებული „გუიზ"-ის ფქვილისგან გამომცხვარი შესანირავი კვერები, რომელთა ხილვა და შეჭმა აღკვეთილი იყო ოჯახის გარეშე პირთათვის.

ნ. ბ.

უხა — უდედოდ მოზელილი, სიმინდის ტაროთი გაბრტყელებული, მრგვალი, პატარა დაწინწკლული პური. უხა ქორწილში დიდი რაოდენობით ცხვებოდა. მას სუფრის ნევრები ყიდულობდნენ მცხობელებისგან არა მარტო საჭმელად, არამედ ოჯახში წასაღებადაც. ქართლში ქორწილის დროს ჩამოატარებდნენ ხოლმე ასეთ პურებს. ხალხური რწმენით თუ გასათხოვარი გოგონა უხის ნაჭერს დადებდა ბალიშქვეშ — საბედოს ნახავდა.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, 1978.

ბ. ა.

უხდური (ძვ.) — რძის ნაწარმის საერთო სახელწოდება (ხაჭო, რძე, დო, მანონი).



ფადრიჩი — (ოქრომჭ.) ნივთის საწმენდი.

ფაზარი — საბას განმარტებით, ფაზარი არის „ქუა ნაღველთა და ღვიძლთა შინა ცხოველთასა ანუ კლდეთა შინა პოებული, იხმარების სამკურნალოდ, წამლად, რომელსა გალესენ წყალთა შინა და დაალევინებენ მას სნეულსა". ცნობილია არა მარტო ცხოველური წარმოშობის ფაზარი, არამედ მინერალურიც.

ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.

ფათქა — ლითონისა და ხისაგან გაკეთებული ყურიანი სასმისი.

ფალაქა — ხეებია მონყობილი, დამნაშავეს ფეხებს ჩააყოფინებენ, ღვედებით შეუკრავენ და ფეხის გულებზე წკეპლებს დაარტყამენ.

ლიტ.: ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, 1997.

ფალუსტაკი — თაფლით, ფქვილითა და ერბოთი შემზადებული საჭმელი, ახალჯვარდაწერილებს მიართმევდნენ.

ლიტ.: ი. გრიშ. ქალაქური ლექსიკონი, 1997.

ფამფალაკი — სახვნელი იარაღის (დიდი ქართული გუთანი, ჯილღა) ნაწილი. წარმოადგენს ღერძს, რომლის ბოლოებში გაყრილია „გოგორები". საქართველოში ორი ტიპის ფამფალაკი დასტურდება: ტოლგოგორებიანი და სხვადასხვა ზომის გოგორებიანი. ტოლგოგორებიანი ფამფალაკი დამხასიათებელი იყო ჯილღისათვის, ხოლო სხვადასხვა ზომის გოგორებიანი ფამფალაკი დიდი გუთნისათვის. ეს უკანასკნელი შედარებით განვითარებულ სახეობად არის მიჩნეული. ფამფალაკის ერთი ბორბალი („კვალის გოგორა") დიდია, ხოლო მეორე („ველის გოგორა") — პატარა. ხვნის დროს დიდი ბორბალი ნახნავის კვალშია ჩამდგარი, ხოლო პატარა ყამირზე მოძრაობს და მხოლოდ ასეთნაირი მდგომარეობა აძლევს საშუალებას გუთანს განონასწორებული იყოს მიწის ზედაპირთან. ფამფალაკი გუთნეული უიოლებს მიწის ღრმად მოხვნას, იგი გუთანზე ჯამბარის (იხ.) მეშვეობითაა მიმაგრებული.

ლიტ.: გ. ჩიტაია, მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის, სსმმ, V, 1960.

თ. გ.

ფანდური — სამსიმიანი, საქცევებიანი ჩამოსაკრავი ინსტრუმენტი. საქართველოს ყველა კუთხეში იყო მეტ-ნაკლებად გავრცელებული. სხვადასხვა კუთხის ფანდურები ერთმანეთისაგან განსხვავდება გარეგნული ფორმით, საქცევების რაოდენობით (ორიდან შვიდამდე). მთის კუთხეების ფანდურები დიდი ზომისაა, ბარის კუთხეებისა — უფრო პატარა და თანაც უფრო დახვეწილია.



ფანდური გამოთლილია მთლიანი ხისაგან. მისი ტარი (ყელი) და კორპუსი (მუცელი) მთლიანია. ხევსურული ფანდურის კორპუსი ნიჩბისებურია, მასიური, ბრტყელი. სხვა კუთხეებისა — ნავისებური, ოვალური ან მსხლისებური ფორმისა. ფანდურის თავის ფორმა სხვადასხვაგვარია: ნიჟარისებური, ცხვრის ან გველის თავის ფორმისა. თავზე გაკეთებული აქვს სიმების მოსამართი მოქლონებისა (ჩხირები // ყურები // თითები // ჭალები) და საკრავის ჩამოსაკიდი თასმის გასაყრელი ნახვრეტები. ყელზე აქვს საქცევები (მალიკები // ფარდები) — ჭდეებში ჩასმული პატარა ჩხირი ყელის, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს ორ მეზობელ ბგერას. ხევსურულ ტრადიციულ ფანდურს ჰქონდა ორი საქცევი, ბარის კუთხეებისას — 6-7.

ფანდურის სიმების საყენებელს ჯორა ეწოდება, რომელიც სიმებს იჭერს გარკვეულ სიმაღლეზე თავფიცრის ზედაპირიდან. სიმები (ძალი // ალყა // ლარი // ძაფი) თანაბარი სიგრძისა და სისქისაა. ადრე მზადდებოდა ცხვრის ნაწლავებისაგან (ძალი). უკანასკნელ ხანებში ფაბრიკულ ძუას იყენებენ. ფანდურის გვერდები, ყელი, კორპუსი ხშირად ორნამენტირებულია მცენარეული სახეებით.

მუსიკალური ინსტრუმენტის ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული მასალაზე, რისგანაც იგი მზადდება. საქართველოს ყველა კუთხეში ფანდური მზადდება იმ ხისაგან, რომელიც მოცემულ რეგიონში ხარობს. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში საუკეთესო მასალად ითვლება ბეოლი (თუთა//ფურცელი), თავფიცრისათვის — ფიჭვი ან ნაძვი. ხეს ჭრიან ზაფხულში, ითვალისწინებენ მთვარის ფაზებს (სავსე მთვარისას), ექსპოზიციას (მზის მხარე).

ფანდური ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საკრავია საქართველოში. ითვლებოდა საუკეთესო სამახსოვრო ნივთად. ყიდვის დროს მისი ფასი ერთი ცხვრის ფასის ეკვივალენტი იყო. როგორც წესი ხევსურეთში ფანდურს გასაყიდად კი არ ამზადებდნენ, არამედ საჩუქრებად.

ოჯახში ფანდური თვალსაჩინო ადგილას ჩამოკიდებული ინახებოდა. დაკვრის წინ სიმებზე წაუსვამდნენ ნიორს კარგი ულერადობისათვის, განსაკუთრებით ნისლიან ამინდში, რადგან ასეთ დროს სიმებს სუსტი და დახშული ხმა ჰქონდა.

ფანდურზე უკრავდნენ ქალებიცა და მამაკაცებიც. ფანდური ძირითადად სიმღერის თანმხლები საკრავია. მისი თანხლებით სრულდება საგმირო, სატრფიალო, სახუმარო შინაარსის ლექსები. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ძირითადად საგმირო ჟანრის ლექსები იმღერება. ამ სიმღერებში მთელი ყურადღება გადატანილია სიტყვიერ ტექსტზე, ერთსა და იმავე მელოდიაზე სრულიად სხვადასხვა ტექსტი (ლექსები) სრულდება. მთაში სიმღერის ცოდნა ფაქტობრივად ლექსის ცოდნას ნიშნავს.

ფანდური მონაწილეობს იმ წეს-ჩვეულებებში, რომლებიც დაკავშირებულია „ბატონების" კულტთან. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (ხევსურეთი) საინტერესოა ფანდურზე დაკვრის წესი ჯვარში წმინდა ლუდის დალევის რიტუალში. დღეობა, სადაც შეყრილი იყო სოფლის ჯარი (მამაკაცები), შედგებოდა შემდეგი თანმიმდევრული მომენტებისაგან: ჯარის საერთო ლოცვა, მიცვალებულთა „შანდობა", „ფანდურის გატეხა" და წმინდა ლუდის დალევა. ამ უკანასკნელს ახლდა ე.წ. „ფეხზე მღერა" ან „თაოზა და ნამუსი": ერთ-ერთი ზედამდეგი (ახალგაზრდები, რომლებიც ფეხზე მდგარნი ემსახურებოდნენ სუფრას) იღებდა ფანდურს, მოდიოდა სუფრის ბოლოს და ფეხზე მდგომი ან ცალ მუხლზე ჩოქით იწყებდა დაკვრასა და სიმღერას. ეს იყო ძველებური საგმირო სიმღერა, ხოლო დანარჩენი ახალგაზრდები, მდგომარენი იმეორებდნენ გუნდურად თითოეულ სტროფს. ამავე დღეობაზე ერთ-ერთ მომენტს წარმოადგენდა „თასებში მოგონება სახელის ჩამდენი კაცისა". ამ რიტუალური სმის დროს სოფლის ჯარი იგონებდა ამა თუ იმ გვარის წარმომადგენელთ გმირობას. ერთ-ერთი უფროსთაგანი ადგებოდა ადგილიდან, აიღებდა ფანდურს და სუფრის ბოლოს ცალ მუხლზე ჩოქით იწყებდა დაკვრასა და სიმღერას იქ მყოფი რომელიმე გვარის წინაპრის გმირობის შესახებ; როდესაც ტექსტს ნახევრამდე შეასრულებდა, ადგებოდა სხვა „მეთასე", გააგრძელებდა სიმღერას და ლუდით სავსე თასით ხელში მიუახლოვდებოდა დაჩოქოლს, ეს უკანასკნელი სიმღერას უკეთებდა აკომპანემენტს, რომელიც მღერით მიუახლოვდებოდა მას, მიუტანდა თავის თასს პირთან და თავის ხელიდან შეასმევდა სასმელს. როდესაც დაჩოქილი თასს დაცლიდა, „მეთასე" ბრუნდებოდა თავის ადგილას. ახლა ადგებოდა მეფანდურე, ავსებდა თავის თასს ლუდით, მივიდოდა იმასთან, ვინც მას დაალევინა და ეტყოდა: „ჯვარ დაგინერას ღმერთმ!", მობრუნდებოდა უკან, ისევ დაიჩოქებდა და განაგრძობდა შეწყვეტილ დაკვრას და მღერას. „მეთასენი" წარმოთქვამდნენ დროდადრო: „აი დიდხანამც იმღერ!". სიმღერის დასრულებისას მეფანდურე დგებოდა და ხმამაღლა წარმოთქვამდა: „აი თქვენი გამარჯვებისა!". ამის შემდეგ რომელიმე სხვა უფროსთაგან გაემართებოდა სუფრის ბოლოს, დაიჩოქებდა და ფანდურის თანხლებით დაიწყებდა სხვა საგეარო საგმირო სიმღერას. ახლაც იგივე ეტიკეტი განმეორდებოდა და გრძელდებოდა „პატივის მიტანა". საგმირო ლექსებს ფანდურზე ამღერებდნენ დასტურები ხატის // ჯვარის შენობაში, სხვადასხვა რიტუალის მსვლელობისას. მათში მოთხრობილია ხატის ყმათაგან რომელიმეს მიერ ჩადენილ საგმირო საქმეთა შესახებ. ხატში ფანდურის დაკვრა დასტურდება თუშურ ქორბერელაშიც (ქორბელელა ორსართულიანი ფერხულია, სარიტუალო, სრულდება მხოლოდ მამაკაცთა მიერ). ფანდური მწყემსებს მიჰქონდათ ცხვარში, შედარებით თავისუფალ დროს გასართობად. ფანდური თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა. იგი იყო მხიარულების სიმბოლო. მგლოვიარე ოჯახში ფანდურს გადამალავდნენ და „ნლის ხარჯამდე" არ გამოაჩენდნენ. ნლისთავზე, სუფრასთან ოჯახის უფროსი თავად აიღებდა ხელში ფანდურს, ჩამოჰკრავდა თითებს და ვინმეს გადასცემდა. ამის შემდეგ „ლხინი გატეხილი" იყო. ამ წესს ხევსურეთში ლხინის გატეხა // ფანდურის გატეხა ეწოდება. ფანდურის სინონიმად „ჩონგურიც" გვხედება, მაგრამ ეს ხდება მოგვიანო ხანაში. ჩონგური ფანდურის მონათესავე, მაგრამ რამდენადმე განსხვავებული საკრავია (იხ. ჩონგური).

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ხალხური სამუსიკო საკრავების აღნერა და გაზომვა, 1940. მ. შილაკაძე, ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, 1970.

მ. შ

ფანი (სვ.) – რიტუალური პური. შუა დიდმარხვაში — ოთხშაბათს, თითოეული მოსახლე აცხობს ერთ დიდ პურს, რომელსაც „ფანს“ უწოდებენ. ვახშმად ამ პურს დანით იმდენ ნაწილად დაჭრიან რამდენი ყანაც აქვს ოჯახს. ამ დროს მამაკაცი მარცხენა ხელით პურს აჭერს დანას, მარჯვენა ხელით კი მარილის სამტვრევ ქვას ურტყამს დანის ყუას თან ამბობს: ასე გაიჭრას ჩემი ყანების მტერი (დაასახელებს თითოეულს). ფანი მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი საკურთხიც იყო.

ნ. ბ.

ფანჯარა — საცხოვრებელი სახლის კედლებში ჩადგმული საჰაერო და სასინათლო ნყარო. ხალხურ ქვითხუროობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ქვის ჩარჩოიანი ფანჯრები რომელიც აშენებულია გრძელი და მოკლე ქვების მონაცვლეობით, ანუ „სირმა“ — „უკარათი.“ (იხ.) ქვის ასეთი ნაწილები გამიზნულია როგორც ჩარჩოს სიმაგრისათვის, ასევე მის შემამკობლად.



ე.ნ.

ფარაგა — თუში ქალის, პერანგს ზემოდან ასაფარებელი გულისპირი. ქართული საისტორიო მწერლობა მას მონაზვნის სამოსელად იცნობს, მხოლოდ ნ. ხიზანიშვილი ათანაბრებს მას საგულესთან. ფარაგის მასალად გამოიყენებოდა მაუდი, ხავერდი, სატინა. ძველებური ფარაგა ორგვარი იყო: გვამიანი და ზოლტებიანი. ფარაგა ქალის ზედატანს მთლიანად ფარავდა. XIX ს. ბოლოსა და XX ს. თუშეთში ფართოდ გავრცელდა ზოლტებიანი ფარაგა. კისერთან მომდგარი და მუცელს ჩაცილებული კალთები ზურგში ერთმანეთს „ზოლტყურებით“ და „ყულფებით“ უკავშირდებოდა. კისერში დასამაგრებლად დამინანქრებულ ან დასევადებულ ვერცხლის ღილებს ხმარობდნენ. დიდი ყურადღება ექცეოდა ფარაგას მორთულობას. თუ შიგ ჩასაცმელი პერანგის საყელო მოუქარგავი იყო მაშინ საგანგებოდ დაგრეხილი ყაჭით ან ბუზმენტით თუ სხვა ნაქარგით დამშვენებულ მაუდის ან აბრეშუმის პატარა ყელსახვევს — „ყიმჭა“//„ყემჭაი“ გამოიყენებდნენ. შემდგომში იგი ფარაგას ნაწილადაც უქცევიათ. სადა ფარაგა ეკეთა გათხოვილ ქალსა და ქვრივს. გასათხოვარის ფარაგა კი უხვი სამკაულით იყო მორთული. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა გრძლად დაშვებული სხვადასხვაგვარი ძენკვების წყება. მოხმარებული სამკაულებიდან ზოგიერთს მაგიურ-აპოთროპული დანიშნულებაც ჰქონდა.



ლიტ.: გ. ბოყორიძე, თუშეთი, 1993. ც. ბეზარაშვილი, თუში ქალის ტალავარი, კრ. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967.

ც. ბ.

ფარანჯა (თბ.) — ვუალი, ძუის ბადე, რომლითაც ქალები სახეს იფარავენ.

ფარგალი — სიმრგვალის მოსაზომი იარაღი. იყო ხისა და რკინისა. პრიმიტიული ფარგალი წარმოადგენს ორკაპა ჯოხს, რომლის ერთი წვერი მოკლეა და მეორე — გრძელი. წრის მოხაზვისას ქვის შუაგულში დააბჯენენ მოკლე წვერს, გრძელს ნახშირს დაანდობენ, შემოატარებენ ქვაზე და შემოხაზავენ წრეს (მაგ., წისქვილის ქვას). ფარგალადვე გამოიყენება გაჭიმული ბაწრის ბოლოებში ჯოხები. არსებობს საგანგებოდ გამოთლილი ხის ფარგლები, ჩვეულებრივი კლასიკური ფარგლის მსგავსი, რომელსაც წვერობში ლითონის ნემსაკები აქვს და შემოტრიალებისას ქვის ზედაპირზე ავლებს ხაზს.

ე.ნ.

ფარდა — 1. ცხვრის გამხმარი ნანლავი, რომელიც გამოიყენებოდა ჩონგურის სიმად. 2. ქართული ოდის სამშვენისი, აივანზე ხის ბოძებს შუა ჩადგმული ხარატული დეტალი. 3.ფანჯრებზე ჩამოსაფარებელი ნაჭერი.

ე.ნ.













კიდობანი













ᲙᲘᲓᲝᲑᲐᲜᲘ

ფარდაგი — ქსოვილის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც იქსოვებოდა სხვადასხვა ფერის მსხვილად ნაგრეხი, ძირითადად შალის უხაო ძაფით. საქსოვი მასალის ხარისხისა და ქსოვის ტექნიკის მიხედვით განარჩევენ ფარდაგის რამდენიმე სახეობას. დიდ ფარდაგს ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე ქსოვდნენ, პატარა-პატარა საფენ ფარდაგებს კი — ყაისნაღითაც. ყველაზე მარტივი ნესით ჯეჯიმი იქსოვებოდა. არსებობს ერთსახიანი და ორსახიანი ფარდაგი. ერთსახიანის ნიმუშია კვირტულა. კვირტულისა და ჯეჯიმის სახეობის ფარდაგზე ორნამენტის სახე არ არის ქვირით გამოყოფილი. ორნამემტის ქვირით გამოყოფილი ფარდაგები უფრო რთული ტექნიკით იქსოვება და უმთავრესად ბარის რაიონებისათვის არის ნიშანდობლივი.



ფარდაგის ორნამენტში გეხვდება მცენარეული, ზოომორფული და ანთროპომორფული მოტივები. დიდი ადგილი აქვს დათმობილი გეომეტრიულ ჭრელს. ბევრი ფარდაგის სიუჟეტურ მხატვრობას თან ახლავს ხელოსნის ვინაობა და მოქსოვის თარიღი. ქსოვის მრავალფეროვნებითა და ორიგინალობით გამოირჩევა თუშური ფარდაგი. ამ მხრივ ასევე საინტერესო უბანია მთიულეთ-გუდამაყარი, ივრის ხეობა, პატარა ლიახვისა და ქსნის ხეობები, ქვემო ქართლი, ჯავახეთი, აჭარა, ქიზიყი, სამეგრელო და ლეჩხუმი.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

ფარდები — აქ: აივნის ბოძებს შორის მოთავსებული ხის აჟურული ფიცარი, რომელიც დაჭრელებული იყო სისო ხერხის მეშვეობით. ჭრელიდან გამოირჩეოდა „კუნება“, „მთვარე“, „მზე“, „ვარსკვლავისა“ და სხვა.

საქართველოში აივნის მორთულობა, ფარდები, შემდეგი სახელწოდებებით იყო გავრცელებული: ფარდები (ქართ. კახ. თუშ.) // დანდაზი (ქვ. ქართ.) // ფიგურები (რაჭ.) // თაღები (იმერ.) // შაბაქა (ზ. რაჭ.) // დასტანდაზი (კახ.) და სხვ. ფარდების ჭრელის ხელოვნება ერთ-ერთი საუკეთესოა ხალხურ ორნამენტიკაში და იგი ქართული ხითხუროობას განსაკუთრებულ ორიგინალობას ანიჭებს.

გ. გ.

ფარი — თავდასაცავი იარაღი. ქართული ფარები ფორმების მიხედვით ძირითადად მრგვალია, ფარის ასეთი ფორმა ძველთაგანვე მომდინარეობს და საქართველოში არქეოლოგიური მასალითაც დასტურდება. (კაჭრეთის რ-ნში აღმოჩნდა ბრინჯაოს მრგვალი ფორმის ფარი ძვ.წ. აღ. XII—XIV სს.), დამზადების ტექნოლოგიის (მასალის) მიხედვით გამოიყოფა სამი ტიპი: ხის ფარი ტყავგადაკრული, ტყავის ფარი ლითონითვე შეკრულ-შეჭედილი და ლითონის ფარი ლითონითვე შეკრულ-შეჭედილი. ასეთია მაგალითად ხევსურული ფარი, რომლის მასალად გამოიყენებოდა ტყავი და ლითონი. ფარის ტყავ-ლითონი ერთმანეთთან მჭიდროდ



არის მიკრული ლითონის თავკოპლიანი და ბოლოგაბრტყელებული სამსჭვლებით. ფარის დამზადება დიდ დახელოვნებასა და გამოცდილებას მოითხოვდა. ხევსურები ფარის დასამზადებლად იყენებდნენ ხარის გავის „ნეჯების“ ტყავს. არსებობდა აგრეთვე დიდი ზომის ფარი (დელამფარი), რომელიც სხვადასხვა თქმულებებსა და ხალხურ პოეზიაშიც დასტურდება. მაგ., „გადაჯე თავის ლურჯასა, აიღი დელამფარია“. ფარის აღმნიშვნელ ტერმინად ძველ ქართულში გეხვდება „დარაკა“. საბას მიხედვით „ვეშაკაპანიც“ ფარის ერთ-ერთი სახეობაა.

ნაციონალური ფარის ორიგინალურ ნიმუშს წარმოადგენს სვანური ფარი, რომელიც 1925 წელს სვანეთიდან, სოფ. სასაშის ეკლესიიდან ჩამოიტანა გ. ჩიტაიამ. აღნიშნული ფარი XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება. ფარი ტყავისაა, რომელიც ხეზეა გადაკრული. მისი დიამეტრი 50 სმ-ია. ტყავზე სხივთა კონად განლაგებულია ლითონის წვრილი ზოლები, რომლებიც თავს იყრის ფარის ცენტრში, ლითონის გუმბათში, რაც ერთად აღებული მზის სახეს ქმნის. ლითონის წვრილი ზოლები ტყავში Aჩამაგრებულია სამ-სამი სამსჭვალით. სამსჭვლების ადგილი წარმოადგენს ოთხკუთხა ფორმის ფირფიტებს, რომელიც თავის მხრივ ქმნის სამ კონკრეტულ წრეს. ფარს კიდეზე შემოვლებული აქვს ლითონის კოპლები. ფარს შიგნითა მხარეს აქვს ტყავის სახელური — საბღუჯი. ეს ფარი სვანებს ეკლესიის კედელზე ჰქონდათ ჩამოკიდებული და როგორც საკრალურ ნივთს ინახავდნენ, მხოლოდ დღესასწაულებზე გამოჰქონდათ გარეთ და ისარს ესროდნენ. ფეოდალური საქართველოს ოჯახების ცენტრალური კედლის მთავარ მორთულობასაც ფარ-- ხმალი წარმოადგენდა, რაც იარაღისადმი განსაკუთრებულ მოწიწებას უსვამს ხაზს.

შუა საუკუნეების არაბი ავტორები აღმ. საქართველოს ერთ ნაწილში ასახელებენ „ყარაყალღანების“

ტომს (ქართულად — „შავფაროსანი ხალხი"). ხევსურული ფარის დამზადების ტექნოლოგიისა და ფორმის მიხედვით საფიქრებელია, რომ ყარაყალღანების ქვეშ აღმოსავლეთ მთიანეთის მოსახლეობა, კერძოდ ხევსურები, ივარაუდებოდეს. მით უმეტეს, რომ XVII საუკუნეში არაგვის ხეობებში მცხოვრებ ხალხს ყარაყალღანებს უნოდებდნენ.

ლიტ.: კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საბრძოლო იარაღები, მმ. ტ. XVIII, 1954. სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული", 1991. ივ. ჯავახიშვილი, მქემკი. 1964.

მ. ქ.

ფასტია—ერთად აღებული ხუთი საძირე ტყავის სახელწოდება (ქიზ.).

ნ. ჯ.

ფაფანაგი — ხევსური ქალის გარეთი, სახატო ჩასაცმელი. მასალად გამოყენებულია ადგილობრივი, საოჯახო წესით მოქსოვილი მუქი ფერის შალი — „ტოლი". ფორმით ქოქლოს (იხ.) მსგავსია. წინჩახსნილი და ნელში ნაწილობრივ გადაკერილი: შედგება ბეჭებში გაუკერავად ამოღებული წინა მთლიანი კალთებისა („აზლოტები") და ზურგსმობმული, ბოლომდე დაშვებული, თავწვრილი და ბოლოგანიერი, ორმხრივ ირიბი კალთისაგან („გვამის აზლოტი"), აქვს მაღალი საყელო და მხართან სწორად მიდგმული, მოკლე და იღლიამდე შეხსნილი სახელოები. მორთულია ხევსურული სამოსისათვის დამახასიათებელი ქარგულობით, რომელიც შესრულებულია შალის ფერადი ძაფებით („შიბაით დაკერილი"). ჭრელი გეომეტრიულია.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, ხევსურული ტალავარი, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. VIII, 1956.

ც. ბ.

ფაფანაკი — ქართული ქუდის ერთ-ერთი უძველესი სახეობა. ნაბდის ან ტყავის ბრტყელი თავსაბურავია, რომელიც მამაკაცის მხოლოდ თავის თხემს ფარავს. აქვს შეჭრილი ოვალის ფორმა და თასმებით მაგრდება ნიკაპქვეშ. ზოგჯერ ძვირფასი ქსოვილი (მაუდი, ფარჩა) ჰქონდა გადაკრული და დაქარგული იყო. ფაფანაკი „იმერული ქუდის" სახელითაცაა ცნობილი, თუმცა წარსულში უფრო ფართოდ ყოფილა გავრცელებული. ისტორიულ წყაროებში XV ს-დან დასტურდება.

ლიტ.: ლ. მოლოდინი, დასურათებული ლექსიკონი, 2008.

ფაფაყ-ი(ინგ.)//**ფაფახი** — ბეწვიანი ტყავის მაღალი ქუდი, ჩვეულებრივ იხურავდნენ მწყემსები, სხვადასხვანაირია: მურღუზ ფაფაყ, ნულაი ფაფაყ, შიშ ფაფაყ, წუნლუტ ფაფაყ, შიშ ბუხარა ფაფაყ, მანზილა ფაფაყ, ტაჰყა ფაფაყ, აგრეთვე, იხმარებოდა ქსოვლისაგან შეკერილი ფაფახი, საფაფაყეი-საფაფახე. ისევე ხდიდნენ, როგორც საქურქესა და საგუდეს.

ნ. ჯ.

ფაცერი — თევზის დასაჭერი ბრტყელი ლასტი, რომელსაც წყალში დგამენ.

ფაცხა — სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული პრიმიტიული საცხოვრებელი სახლის ტიპი. დაახლოებით 9-10 კვ.მ ფართის მქონე, წნელისაგან მოწნული, რომლის აშენება-მოწვნა თავად მეპატრონესაც შეეძლო. ფაცხის მოწვნისას წინასწარ მონიშნულ ადგილას წრიულად ჩაასობენ ძლიერ მარგილებს და გამოწნავენ წნელით. ფაცხა იყო ორგვარი „კუნჭულა" და „ამხარა". კუნჭულა ფაცხას ჰქონდა მრგვალი და ნოპიანი სახურავი, „ამხარას" კი უფრო დაბალი. ფაცხას ხურავდნენ ისლით, შიგნით და გარეთ გალესავდნენ ტალახით. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული საცხოვრისის ამ ტიპს არ გააჩნდა სარკმელი და ამიტომ შუაცეცხლის ბოლი მხოლოდ კარებიდან გადიოდა. ფაცხა არის დაბალ სოციალურ საფეხურზე მყოფი, უკიდურესად ღარიბი ადამიანების საცხოვრებელი. ზოგიერთ შემთხვევაში ფაცხას იკეთებდნენ მწყემსები დროებითი სარგებლობისათვის.

ლიტ.: ი. ადამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, ტ. II, 1968.
ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 2006. *ე. ნ.*

ფელამუში//**თათარა** — ყურძნის წვენისაგან მომზადებული ფაფა, რომელშიც ჩარეულია პურის

ან მჭადის ფქვილი, ზოგჯერ შერეულიც. ფელამუში მზადდება ჩურჩხელების (იხ.) ამოსავლებად და საზეიმო სუფრაზე მისატანადაც. საჩურჩხელე ფელამუშს ამაზდებენ მხოლოდ და მხოლოდ პურის ფქვილისაგან.

ე. ნ.

ფელუკა – ლაზური ნავი. აღჭურვილი იყო ნიჩბებითაც და აფრებითაც. ყველაზე გავრცელებული საზღვაო ტრანსპორტი იყო საქართველოში. ხომალდის დიდი დატვირთვის მიზნით გვერდებს ზრდიდნენ საგანგებო ხის ჩარჩოებით, რაც, ტაციტუსის ცნობით, კოლხი მენავეების უძველესი ხერხი ყოფილა ოდითგანვე. ფელუკას წინა და უკანა ნაწილი მკვეთრად ამოზიდულია წყლიდან, ხოლო გვერდები დაბალია. ფელუკები ზღვაზე 14-15 მილის სისწრაფით დაცურავდნენ და სიგრძით საშუალოდ 80 ფუტამდე აღწევდნენ. ამგვარი ხომალდით ლაზები უშიშრად გადიოდნენ ზღვაში სათევზაოდ თუ სავაჭროდ და შავიზღვისპირეთში ერთ-ერთ საუკეთესო მეზღვაურებად ითვლებოდნენ. ლაზეთში დიდ ფელუკას „ქოთარა" ჰქვია, რომელსაც 500-600 ფუთი ტვირთის ზიდვა შეეძლო.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987.

ე. ნ.

ფერსო — ურმის თვლის წრიულად შეკრული რკალი, რომელიც სოლებით მორგვთანაა მიერთებული.

ფესი თეფელული — ქალის თავსაბურავი. ირგვლივ მონეტებით შემკული და შალის ძაფისაგან წინდის ჩხირებით ნაქსოვი. სიმაღლის მისაცემად პატარა ბალიშის ფორმის ბამბის ან მატყლის ფენადადებული. ხმარობდნენ მაუდის ფესსაც, რომელსაც მონეტებით მორთავდნენ. ასეთი ფესები მზა სახით შემოდიოდა აჭარაში. ფესი საგანგებო თმის ვარცხნილობას მოითხოვდა, კერძოდ, ნანნავები (2 4 6) და კულულების თავისებურ წყობას. ნახევარსფეროს მსგავს ამ ქუდს გვერდებზე მიამაგრებდნენ საყბეურად სახელდებულ შავი მძიმების ასხმულას, რომელიც ქალს ყბაზე ჰქონდა შემოხვეული.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005.

ც.ბ

ფეშნაქაში — რქის ან თითბრის მეშველი ნულის კალაპოტში ჩასადებად, ასევე ფეხსაცმლის ფეხზე ჩაცმის გაასადვილებლად.

ლიტ.: ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

ნ. ჯ.

ფეშტემალი//სასწრაფო — აჭარელი ქალის წინსაფარი. მასალად იყენებდნენ როგორც შინნამზად, ასევე ფაბრიკულ ქსოვილსაც (შავი სატინა) იყენებდნენ. წელს ქვემოთ დაშვებულ ერთ კალთას, წელთან სამაგრად სარტყელი — „ბაღი" ჰქონდა მოკერებული. წინსაფარს მუდამ ატარებდნენ, მის გარეშე გარეთ გასვლაც კი სირცხვილი იყო. ფეშტემალი საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც იყო გავრცელებული, მაგრამ აჭარული სიგრძითა და სიფართით განსხვავდებოდა. იგი კაბის ქვედა ნაწილს მთლიანად ფარავდა. აჭარელთა ყოფაში დასტურდება როგორც საპატარძლო, ასევე სამუშაო ფეშტემალებიც. საპატარძლო ფეშტემალი სილამაზითა და მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, სამუშაო კი შედარებით დაბალი ხარისხის ქსოვილისაგან მზადდებოდა და წვრილმანი საგნების გადასატანად იყენებდნენ. იგი ხშირად პირსახოცისა და ხელსახოცის ფუნქციასაც ასრულებდა. ფეშტემალს თურქეთში მცხოვრები მკვიდრი და მუჯაპირი ქართველი მოსახლეობაც მოიხმარდა.



ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005.

ც.ბ.

ფეშხუმი — 1. დაბალ ფეხებზე გამართული მრგვალი მაგიდა, უმთავრესად სამფიცრიანი. მას სექვზე (გრძელი ტახტი) დგამდნენ, ოჯახის წევრები გარშემო შემოუსხდებოდნენ და სადილობდნენ. ოჯახში იყო სამი, ოთხი, ხუთი ფეშხუმი. მისი რაოდენობა დამოკიდებული იყო ოჯახის წევრთა სიმრავლეზე. ასეთი ტიპის მაგიდა საქართველოში ყველგან იყო გავრცელებული. 2. სადგარიანი პატარა ლანგარი, რომელზედაც

ლიტურგიის დროს კვეთენ სეფისკვერებს.

ფეჩე//ჩარი (აჭარ.) — ქალის პირსაბურავი, ბადისებურად ნაქსოვი. ჩადრთან ერთად იყო სატარებელი და მიზნად ქალის სახის დაფარვას ისახავდა. უცხო ეთნოგრაფიული გარემოდან არის შემოსული და გავრცელებული მაჰმადიანურ რწმენასთან ერთად.

ლიტ.: ი. სამსონია, ხალხური ტანსაცმელი აჭარაში, ბათუმი, 2005.

ც.ბ

ფეხსაცმელი ნაქსოვი — საქართველოში მოქსოვილი ფეხსამოსის არაერთი ტიპი დასტურდება. ასეთებია, მაგ., კარაჭინი, ჩორაბი, ფაჩუჩი, ფაჩაჩი, მესი, ჩარუხი, ქალამანი, ჩითა (იხ.), ბორაგი, თათი, ფეხა, იყელმაღალაი, ნაბმულაი, ქაჩუჩა, ჩუსტურა, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ნაქსოვ ფეხსაცმელს მოსახლეობაში ფართო გამოყენება ჰქონდა. ნაქსოვი ფეხსაცმლისათვის იყენებდნენ შალს, ბამბას, ტყავს. ფეხსაცმელი იქსოვებოდა ორი და სამწვერი ბაწრით, განსაკუთრებით მჭიდროდ იყო გამოყვანილი სატერფეები, ხმარებაში რომ გამძლე ყოფილიყო. თუშეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ბოლო დრომდე შემორჩა ჩითას ქსოვის ტრადიციები. ჩითას იცვამდნენ ქალებიცა და კაცებიც და შესაბამისად ისინი ინოდებოდა სადიაცო და სამამაცო ჩითას სახელით. საქალო ჩითა, განსაკუთრებით ხანში შესული ქალებისა, მაღალყელიანი იყო. კაცის ჩითები სადა, ქალებისა კი გემოვნებით იყო დაჭრელებული. ჩითაც ძირმოქსოვილია სქლად, ხოლო ყელი მასთან შედარებით თხლად და დახვეწილად. თუ ძირი გაცვდებოდა, მის ყელს ახალ ძირს გამოუქსოვდნენ. ჩითა იყო შინ სახმარი და გარეთ გასასვლელიც, რაც აისახებოდა მის მოჭრელებაშიც. ნაქსოვი ფეხსაცმლის ნაშთები აღმოჩენილია ყაზბეგის განათხარ მასალებში და დათარიღებულია ძვ.წ. IV-III საუკუნეებით, რაც მიუთითებს ნაქსოვი ფეხსაცმელების უძველესი დროიდან გამოყენებაზე საქართველოში.

ლიტ.: ც. ყარაულაშვილი, ნაქსოვი ფეხსაცმელი, მასალები თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის. 1967.

ე. ნ.

ფეხსაცმელი ჭვინტიანი — საქართველოში ფეხსაცმლის ასეთი ტიპი როგორც უყელო, ასევე ყელიანი, გავრცელებული იყო მაღალი წოდების წარმომადგენელი მოქალაქისა და ხელოსნთა ჩაცმულობაში. განსაკუთრებით XIX-XX საუკუნის მიჯნაზე. ცნობები ჭვინტიანი ფეხსაცმლის შესახებ უკვე XVII საუკუნიდან გვხვდება. თუმცა უეჭველია, რომ ფეხსაცმლის ასეთი ტიპი უძველესი დროიდან მომდინარეობს. ქართული ჭვინტიანი ფეხსაცმლის დამზადების ტრადიციები ბოლო დრომდე შემოინახა ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიულ ყოფაში. საქართველოს მუზეუმში დაცულია კავკასიური ჭვინტიანი ფეხსაცმელი — საქორწინო კარაჭინი//ჩითა//ფეხა, რომელიც დედოფლისთვის იყო განკუთვნილი და საბოლოოდ იგი მოხუცებულობის ჟამს საფლავში ჩასატანებლად იყო გამიზნული. ზოგიერთი ასეთი ჭვინტიანი ფეხსაცმელი რიტუალური დანიშნულების იყო და მას საქორწინო რიტუალი საპოთროპული დანიშნულება გააჩნდა. საგულისხმოა, რომ კავკასიურ-ქართულ ჭვინტიან ფეხსაცმელს პარალელები ძველი აღმოსავლეთის ეთნიკურ არეში მოეპოვება, რაც ამ ორი რეგიონის კულტურულ-გენეტიკურ ნათესაობას ათვალსაჩინოებს.



ლიტ.: გ. ჩიტაია, ქართული ჭვიტიანი ფეხსაცმელი, შრომები, ტ. II, 2000.

ე.ნ.

ფთილა – გაჩეჩილი, დასართავად მომზადებული მატყლის ნაწილი.







სკივრი







სკივრი

ფიალა – ღვინის სასმისი. სხვადასხვა ზომისა. აქვს მრგვალი ძირი, პირი ოდნავ გადაშლილი და ფრიალა. ფიალა და თასი ერთი ფუნქციის მატარებელი სასმისებია. თითბრის ფიალები შემკულია მდიდრულად. ამოკაწრულ-ამოღარულია ნადიმის სცენები და მრავალსიუჟეტიანი ორნამენტები. ფიალა მზადდება ოქროს, ვერცხლის, თიხისა და ხისაგან.

ც.ჯ.

ფითი — აღმოსავლური საჭმელი. პატარა ყურიან ქოჭობში ჩაყრიან მუხუდოს, ჩააჭრიან ხახვს, ჩადებენ ცხვრის მსუქან ნაჭერს, ზედ პომიდორს ან ტყემალს დაატანენ და მოხარშავენ ნელ ცეცხლზე. იხარშება თავისივე წვენში, უფრო თათრების საჭმელია. ფითი ძროხის კუდებითაც მზადდება.

ლიტ.: ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი, 1997.

ფილაკავანი — ლოდების სატყორცნი მანქანა ფეოდალური ხანის საქართველოში, რომლის დანიშნულება ციხის კედელთა დაზიანებას წარმოადგენდა.

ე. ნ.

ფილთაქვა — სანაყი, როდინი (იხ.)

ფილი — თიხისა და ხის ჭურჭელი. გამოიყენებოდა რძის, ხაჭოსა და ერბოს მოსაკავებლად. გავრცელებული იყო რაჭაში. ჯამის მოყვანილობისაა, მისი თავდაპირველი სახელწოდება „ჯამფილა" ყოფილა. ფილს ძირითადად ქალები ამზადებდნენ რაჭის სოფლებში — ლაჩთასა და შეუბანში.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კახური კერამიკა, 1947. მ. ზ.

ფილიგრანი – ლითონის ძაფებით გაკეთებული მხატვრული საიუველირო სახე რაიმე ნაკეთობაზე. იგი დამზადებულია გრეხილი ოქროს ან ვერცხლის წვრილი მავთულისაგან. ფილიგრანული ნივთების დასამზადებელი ვერცხლის გრეხილი და მარცვლები მიიღება უმაღლესი ხარისხის ვერცხლისაგან, რომელსაც „თამმაირი" ეწოდება. როგორც ცნობილია, სუფთა ვერცხლი გაცილებით რბილია და მისგან მიიღება უნვრილესი ძაფი, რისთვისაც ვერცხლს გაადნობენ და გადმოასხამენ რიჯაში (იხ.). მას დაჭრიდნენ ვერცხლის ჩხირებად, გრდემლზე გაკვერვით თანდათან გააწვრილებდნენ იმ ზომამდე, ვიდრე არ გატარდებოდა ადიდის (იხ.) პირველ მსხვილ ნაჩერეტში, შემდეგ თანდათანობით უფრო წვრილებში და იქმნებოდა ვერცხლის წვრილი მავთული. შემდეგ ეს მავთული ორწვერად დაიგრიხებოდა ე.წ. მბრუნავი ლილვაკიანი ხრახნით. ვალცში გატარების შემდეგ, საბოლოოდ იღებდა ნანიბურებიან ნაპირებს. ვალცშივე იგლინებოდა ვერცხლის სადა, შედარებით მსხვილი ძაფი, რომლისგანაც თითბრის ყალიბებზე შემოხვევით მზადდებოდა გრეხილის სახეები მანისებური, სპირალური, დაგლინული. გრეხილი მაკრატლით იჭრებოდა სხვადასხვა ზომის ნაწილებად. ვერცხლის მარცვლების მისაღებად, მაღალი ხარისხის სირმას დაჭრიდნენ წვრილად და დანაყილი ნახშირის მტვერში აურევდნენ, მოათავსებდნენ რკინის ჭურჭელში, ცოტა წყალს დაასხავდნენ და ახურებდნენ ქურაზე. ამ დროს ვერცხლი დნებოდა და ნახშირის მტვრის მეშვეობით იღებდა მარცვლის სახეს, გაცივების შემდეგ, ხელოსანი მას მარცვლების სიდიდის მიხედვით ახარისხებდა. ზოგჯერ ამისათვის სხვადასხვა ზომის ნაჩერეტებიან საცერსაც იყენებდა.

ფილიგრანულ სახის გამოყვანა ხდებოდა ცალკეული ნაწილების შეკავშირებით. პირველ რიგში, შედარებით მსხვილი სირმისაგან მიირჩილებოდა ჩარჩო და რელიეფური სახეები, რომლებიც ორნამენტის ძირითად მოხაზულობას ქმნიდა. შემდეგ ხდებოდა ამ ორნამენტული ხაზების ამოვსება პანაწინა გრეხილებით, რომლებსაც ნახშირის ფიცრებზე ჩიეთის (იხ.) საშუალებით აწყობდნენ. სახე იმკობოდა რელიეფური კოპლებით და ფერადი თვლებით. შესაკავშირებელ ადგილებს ბამბით დაასველებდნენ, მოაყრიდნენ ერთ ნილ ბურას (იხ.) ნაერთის ფხვნილს და ორ წილ კავშირს (კავშირის შემადგენლობაში შედის ერთი მისხალი სირმა ვერცხლი და ნახევარი მისხალი თითბერი). ჭრაქის ალს მოხრილი მილით დაუბერავდნენ, ცეცხლს შესაკავშირებელ საგანზე მიმართავდნენ და მიადუღებდნენ. რჩილვის შედეგად გაშავებულ ნივთს სპილენძის თასში მოათავსებდნენ და შაბიამნის ხსნარში ადუღებდნენ ნახევარი საათის განმავლობაში, შემდეგ კი განმენდდნენ სუფთა ნაჭრით.

ლიტ.: ლ. სოსელია, ოქრომჭედლობის შესწავლისათვის მესხეთში, კრ. მესხეთ-ჯავახეთი, 1972.

მ. ბ.

ფინაჩი//მეჯლანე — გაცვეთილი, ფეხსაცმლის შემკეთებელი. ფინაჩობა პროფესიად იქცა, ისინი მდარე ხელოსნები იყვნენ. მუშაობდნენ ქალაქებში, ზოგიერთს თავისი ფარდულიც კი ჰქონდა. ძირითადად ხარაზის სახელოსნოში კუთხეს გამოუყოფდნენ ხოლმე, ან სახელოსნოს წინ მუშაობდნენ, ან ნებისმიერ ადგილას, სადაც სამუშაო გამოუჩნდებოდათ, იქვე ჯდებოდნენ სამუშაოდ. მათ თან დაჰქონდათ ჩანთით სახელოსნო იარაღები. ფინაჩთა დიდი ნაწილი ახლომახლო სოფლებში გადიოდა. რომელიმე ოჯახში იდებდა დროებით ბინას, სადაც საღამომდე რჩებოდა და ისევ ქალაქში ბრუნდებოდა. გასამრჯელოს ნატურითაც ურიგდებოდა შემკვეთს. დასაკერებელ ტყავს უფრო მეტად სანაგვეზე — მტკრვის პირას აგროვებდნენ.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1979.

ნ. ჯ.

ფინჯანი (ქართლ.) — აქ: ქვის სათლელი კბილებიანი რკინის იარაღი. კბილიანი საკოდელის ვარიანტი (იხ. საკოდელი).

ფირუზი — ცისფერი ქვა, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთებისა და სამკაულთა შემკულობაში. ძვ.წ. XIII ს. ხანის სამარხებში გვხვდება ფირუზის მძივები. ფირუზი ამკობს მცხეთაში აღმოჩენილ ნივთებს (მაგ., ზევახისა და ასპარუგის სარტყლებს.). შუა საუკუნეების საქართველოში ფირუზი ფართოდ იყო გამოყენებული ეკლესიის სიწმინდეების მორთულობაში. ხშირადაა მოხსენიებული ფირუზით შემკული ნივთები მზითვის წიგნებში. ფირუზითაა მორთული არაერთი ძველი ხელნაწერის ყდა. მიუხედავად იმისა, რომ ფირუზი იმპორტს წარმოადგენდა მის შემოტანასა და გამოყენებას დიდი ავლა ჰქონდა. ეს ცისფერი ქვა მუდამ იზიდავდა ადამიანს თავისი ფერადოვანი გამითა და რომანტიკულობით.

ლიტ.: ე. ზუბხაია, ქვის კულტ. საქართველოში, 1965. ВА

ე. ნ.

ფირფიტები — აქ: ჩახსაკრავები. (იხ.) საქსოვი საშუალება. საქსოვი ფირფიტები მზადდებოდა საქონლის ტყავის ან ხისგან. ოთხკუთხა ფორმის ფირფიტებს ძაფის გასაყრელად ნაჩვრეტები ჰქონდა გაკეთებული. თითოეული ფირფიტის ნაჩვრეტში გაყრილი ძაფი ორ-ორად იყო განასკვული. შუაში მოქცეულ ფირფიტებზე ასხმული ძაფი, თავსა და ბოლოში ჩამაგრებულ პალოებზე დაიქსელებოდა. ქსოვის პროცესი ფირფიტების ტრიალსა და ძაფში საბეჭი ტყავის//ძვლის დანის გაყრით — ჩაბეჭვით სრულდებოდა. ქსოვას სამი ადამიანი ეწეოდა. შუაში მჯდომს ორივე ხელში განაწილებული ფირფიტები ერთიდან მეორე მხარეს მონაცვლეობით გადაჰქონდა. თავ-ბოლოში მდგომნი მქსოველის მიერ ამოკრეფილ ძაფს ჩაბეჭდავდნენ საბეჭი ტყავით ან ძვლის დანით. ფირფიტებით ქსოვას პარალელი ეძებნება ურარტუს, ბაბილონისა და ეგვიპტის მატერიალური კულტურის ძეგლებში.

ლიტ.: ნ. აბესაძე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, 1980.

ლ.მ.

ფიქალი — 1. სუფთად დამუშავებული, გათლილი ქვა. 2. კლდიდან „აყრილი" ქვა, რომლებიც შრეებადაა ჩანყობილი მასივში.

ფიჩვი — პატარა ფარდაგი, ჯეჯიმის ყაიდაზე მოქსოვილი.

ფინალი — მემინდვრეობის კულტურების ნამჯეულობის ასაღები ხელსაწყო, გააჩნია ტარი და თითები. უფრო ხშირად 3 და 4 თითი. აკეთებდნენ როგორც ხისგან, ასევე რკინისგანაც. ზოგჯერ ფინალი ბუნებრივი ტოტისაგან გამოითლებოდა, უფრო ხშირად ხის მოხელეები და მჭედლები აკეთებდნენ. ფინლის თითები ჩარჭობის ხერხით კარგად იღებს ჩალაბულას, თივას, ნალობიერს და ღობისათვის გამზადებულ ფიჩხის კონებს. ფინლით ხდებოდა კალოზე ძნის ჩაშლა.

ე. ნ.

ფიჩქი — პატარა, მრგვალი და დაბალი მაგიდა, გამოიყენებოდა ინდივიდუალური ტრაპეზისათვის. საწესო სარიტუალო დღესასწაულებზე, სულების „სტუმრობისას," ფიჩქზე იდებოდა საკურთხი და ინთებოდა სანთელი. ფიჩქის სარიტუალო დანიშნულებამ განაპირობა მისი შემკულობის ნაიგვარობა. ფიჩქის, როგორც სარიტუალო მაგიდის,

დანიშნულება განსაკუთრებით გამოკვეთილია სვანეთში.

ე. ნ.



ფლოსტი — ფეხის წასაყოფი, ფარავდა მხოლოდ ფეხის წინა მხარეს. საძირე გამოკერებული ჰქონდა. უქუსლო ფლოსტს (იხ. ქოში) ფერადი ტყავის პირი ჰქონდა. ქუსლიდან შუამდის ტყავის მეორე პირი ედო, ნაპირებზე კი შემოვლებული ჰქონდა რკინა ან ტყავი. ქსოვილის ფლოსტებს ქალები სახლში ამზდებდნენ, ხოლო ტყავის საპირიან ფლოსტებს მამაკაცი ხარაზები. ტყავის საპირე-ძირიანი ფლოსტები შორ გზაზე წასასვლელადაც გამოიყენებოდა. ფლოსტს ლეკები და თათრებიც ეზიდებოდნენ ნუხიდან და ერზრუმიდან.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში. 1973.

ნ. ჯ.

ფოთინები (ახალც.) — ფეხსაცმლის ერთ-ერთი სახე, ქოშების მსგავსი. ახალციხელ ხარაზებს უმზადებიათ ძველად მაღალი წოდების ქალებისათვის. ქუსლზე რკინის ნალები ჰქონდა დაკრული.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში. 1973.

ნ. ჯ.



ფორანი — „ბზის საზიდარი ურემი" (საბა). ერთცხენშებმული ბორბლებიანი ტრანსპორტი. ურემზე გაცილებით მაღალი. დამახასიათებელია საქართველოს ბარული მეურნეობისათვის.

ფორი//ალაო — აქ: სალუდე ფორი, ქერის დანაღერღებული მასა, რომლისგანაც მოადუღებენ ლუდს. სალუდე მარცვალი, რომელიც ინახება ხატის ბეღელში (იხ. ბეღელი ხატისა), ხევისბერის მითითებით გამოაქვათ სადღესასწაულოდ. ჩაყრიან ხაკის ტომრებში (იხ. ტომარა ხაკის) და 2-3 დღის განმავლობაში ამყოფებენ წყალში. შემდეგ დამბალ მასას წაიღებენ, დაყრიან ჭერხოში ერთი ციდის სიმაღლეზე და ზემოდან მშრალი ჩალით დაათბუნებენ. 3-4 დღის შემდეგ ქერი ბუსუსებს გამოიღებს, დაღვივდება („დაკიაპ დება"//„გამაყივდება"//„დაიფორება"). დაღვივებულ ქერს მზისგულზე გააშრობენ, გაცხრილავენ, წისქვილში მსხვილად დაფქვავენ და შეინახავენ ბნელ ადგილას. „ქვაბების დაყრისას" ფორის ფქვილს აწყავენ ხჩუტით და მისცემენ წყალს. როცა წყალი და ფორი ერთმანეთში კარგად აირევა, შეუნთებენ ცეცხლს და იწყება სისწვენის მომზადება.

ლიტ.: ა. ლეკიაშვილი, ქართველ მთიელთა მეურნეობის ისტორიიდან. 1953.

ე.ნ.

ფორკა კაბა — აჭარის ზოგიერთ კუთხეში (ხულო) გავრცელებული ქალის კაბა.

ფორჩა — სელის ტილო. საქსოვ დაზგაზე დარაიასავით ნაქსოვი, მისგან განსხვავებით უფრო ვიწრო განისა. სელის ტილოს იყენებდნენ მამაკაცის საცვლებად, ლოგინის საფარებლად, ქალის წინსაფრებად, პირსახოცებად, ჭაჭის სანურ ტომრებისათვის, მიცვალებულს შინ ნაქსოვ სელის ტილოში ახვევდნენ. სელის ტილოს ქსოვილების დამზადება ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, გურიაში. საქართველოში სელის ტილოს ნაშთი არქეოლოგიური მონაპოვარით თარიღდება განვითარებული ბრინჯაოს პერიოდით (XII-XI სს.). მისი ქსოვის მაღალგანვითარებულობაზე კოლხებთან, საკმაოდ დიდი წარმოდგენისაა „ისტორიის მამა" — ჰეროდოტე.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ქსოვილების დამზადების ისტორიიდან. სსმმ, XIX-—ხ. 1958.

ლ.მ.

ფოტა — ჩაის საყრელი ფუთა.

ფოში — ქალის თავსაბურავი-თავშალი. მასალად გამოიყენებოდა ერთი ან ერთნახევარი სიგრძის აბრეშუმის ქსოვილი. ფოშის მომხმარებლები იყვნენ შეძლებული ქალები. ქალიშვილები მას კათხის გარეშეც ატარებდნენ, პატარძლები კი კათხის ზემოდან. ვაჟს ნიშნობაში ფოში, ანუ „ქალაიალი" უნდა მიეტანა. ქალაიალი აზერბაიჯანული ტერმინია. მას ამზადებდნენ თბილისში აზერბაიჯანელი და სომეხი ხელოსნები. ფოში მესხეთ-ჯავახეთში შესულია XIXს. ბოლოსა თბილისიდან.

ც.ბ

ფოცხი – ძირითადად გათიბული ბალახის მოსაგროვებელი ხელსაწყო. ფოცხებს აკეთებდნენ როგორც რკინისაგან, ასევე ხისაგან. განსაკუთრებით მისი კარგი ნიმუშები მზადდებოდა მთიან რეგიონებში, სადაც ბალახის ინტენსიური დამზადება მიმდინარეობდა. ფოცხს აქვს ტარი, „უღელი"//„ხედი" და „თითები"//"ფრჩხილები". ძირითადად აკეთებდნენ მსუბუქი ხისაგან. ფოცხის უღელში ზოგჯერ თითები უძრავადაა ჩაჭდილი, ზოგჯერ კი უღელის ნახვრეტებში მოძრავადაა ჩასმული.

ე.ნ.

ფოხალი — საწყაო, ჰქონდა გავრცელების ფართო არეალი. XVI ს-ის ბოლოს ფოხალი იმერეთში ღომის საწყაო იყო. XVII ს-ის ხვამლის ეკლესიისადმი შეწირულობის წიგნში იგი ხორბლეულის საწყაოდ მოიხსენიება. მარცვლეულის გარდა ფოხალით წყავდნენ სითხესაც, კერძოდ, ღვინოს. სულხან-საბა ორბელიანი ფოხალს 10-ლიტრიანი კოდის ნახევრად მიიჩნევდა და ქილაკს (იხ.) უიგივებდა. „დასტურლამალის" ანალიზის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა ფოხალი 5 ლიტრით, ე.ი. 15 კგ-თი განსაზღვრა. დასავლეთ საქართველოში საწყაოს უფრო მცირე ტევადობა ჰქონდა, დაახლ. 7,5-8 კგ. XIX ს-ის მასალებით ფოხალი რაჭა-ლეჩხუმში მარცვლეულის საწყაო იყო და ნაოთხალის ნახევარს შეადგენდა. ვინაიდან ნაოთხალი 8-10 კგ-ია, ფოხალი საშუალოდ 4,5 კგ უნდა იყოს. სამეგრელოში ფოხალი ღვინის საწყაო იყო და 6 ლ. ღვინოს იტევდა.



ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973. ნ. ბრეგაძე, მთის მინათმოქმედება დასავლეთ საქართველოში. 1969.

მ.ხ.

ფრანი — საბავშვო ფრიალა, ოთხკუთხედ ჩარჩოზე გაჭიმული თხელი ქაღალდი, რომელსაც კუდი აბია, კანაფით გაუშვებენ ჰაერში, აიტაცებს ქარის ჭავლი და დაფრინავს როგორც ფრინველი.

ფრთედი (თბ.) — გადმოკიდებული ჩარდახი.

ფრცხილი//ონიქსი — ქალცედონის (იხ.) სახესხვაობა, აქატის მსგავსად სხვადასხვა ფერის ფენებისაგან შედგება. ცნობილია მარმარილოს ონიქსი, რომელსაც დაუყვება ფენები. მოვარდისფრო ტონების ონიქსი ფრჩხილს ნააგავს და მისი სახელიც აქედან მოდის („ონიქსი " — ფრჩხილი. ბერძნ.). ქართულ ბიბლიაში ამ ქვას ეწოდება „ანუქიონი" და „ონიხიტო" . საქართველოს არქეოლოგიაში დადასტურებულია ონიქსის ბეჭდები, მძივები, ამულეტები და სხვ. ონიქსის საბადოები არსებობდა საქართველოში; XVIII საუკუნის საბუთით, ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილს ონიქსის მაღარო ჰქონია გამართული არსიანის მთაში და მის ექსპორტს ეწეოდა.

ლიტ.: ე. ზუხბაია, ქვის კულტ. საქართველოში, 1965.ВА

ე. ნ.

სპილენძის ჭურჭელი





თიხისა და საილენძის სურეები

ფსკვნილი — თოკის ან მტკიცე ძაფისგან მოქსოვილი კრიალოსანი, რომელზეც კვანძების (ფსკვნილების) საშუალებით მლოცველი ლოცვის (უპირატესად იესოს ლოცვის: „უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შემინყალე მე ცოდვილი") რაოდენობას განსაზღვრავს. ფსკვნილს აქვს სხვადასხვა რიცხვის ბურთულები (იმის მიხედვით, თუ სულიერებაში განმტკიცების ხარისხის მიხედვით, როგორ ლოცვით კანონს აღასრულებს სასულიერო თუ საერო პირი და ნაქსოვი ჯვრით ბოლოვდება). ბერ-მონაზვნები, როგორც წესი, ფსკვნილს მუდმივად თან ატარებენ.

საერო პირებს ფსკვნილით ლოცვა მხოლოდ სულიერი მოძღვრისგან გამოთხოვილი კურთხევით შეუძლიათ, მაგრამ ტაძარში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სხვათა დასანახად არ უნდა ისარგებლონ. ასევე არ შეიძლება ფსკვნილის ტარება ყელსაბამად ან სამაჯურად.

ლიტ: მართლმადიდებლის მცირე ლექსიკონი, 2002. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2005- 2004.

ხ. ც.

ფუთლუხი (მთიულ.) — წყალგარეულ რძეში მოხარშული ფაფა, რომელიც შეზავებულია ერბოში მოშუშული ხახვით.

ფუნდუკი – ერთგვარი სასტუმრო, სადაც მექარავნენი ისვენებდნენ და აბინავებდნენ საკაჭრო საქონელსაც. ფუნდუკი საქარავნო მაგისტრალების აუცილებელ ნაგებობას წარმოადგენდა, რომელსაც გააჩნდა სათანადო საშუალებანი მექარავნეთა დაბინავებისა და მათი უსაფრთხოების შექმნისთვის.

თ.ნ.

ფურნე — პურის გამოსაცხობი ნაგებობა, რომელსაც ხილის გამოსახმობადაც იყენებდნენ (იხ. ღუმელი).

ფურჩი — ოქრომჭედლობაში ოქროთი დაფერვისას ოქროთი დაფერილი საგნის სანმენდი.

ფუსთანი (სამცხ.-ჯავახ.) — ზედატანი ქალის. მასალად გამოიყენებოდა ორმაგი ქსოვილი, შიგნით უბრალო, გარედან წითელი ხავერდი. ზოგჯერ ზურგიც უბრალო ქსოვილისა ჰქონდა. ხანშიშესულ ქალთა ფუსთანი თალხი იყო, ახალგაზრდებისა — თეთრყვავილიანი, წელსმნედომი და ნინ გახსნილი. ზედატანს უკეთდებოდა გრძელი სახელოები ორმაგი და ვინრო მაჯით დაბოლოებული. ზედატანის საყელო-გულისპირი და მაჯები. ბამბის ძაფებით ნაქარგი ფუსთანის გულისპირი ხევსური სადიაცოს ფარაგის მსგავსად იყო სხვადასხვა სამკაულით მორთული. ძირითადად გამოყენებულია პატარა ბრჭყვიალა ყვითელი ან თეთრი მრგვალი და შუაში დახვრეტილი ე.წ. „ჯინფულებით".

ც. ბ

ფუქსი — საბერველი გუდა სამჭედლოში.

ფუშრუკი — საქართველოს მთიანეთში გავრცელებული საჭმელი. პურის ცომისაგან გაკეთებული თხილისოდენა ბურთულები, რომელსაც ხარშავდნენ ნყალში ან რძეში, შეანელებენ მარილით.

ფჩა — ვერცხლის ნაკეთობის გასანმენდი ფოლადის მავთულების კონა.



ქაბაბი – მანქანაში გატარებული ან წვრილად დაკეპილი და შეზავებული ხორცი, რომელსაც გრძლად წამოაგებენ შამფურზე და შენვავენ, თხელ ლავაშში გაახვევენ, ხახვთან და კონახურთან ერთად.

ქადა — 1. სარიტუალო ნამცხვარი. ყოფაში მისი სხვადასხვა სახეობანია დამონმებული. არის ფენოვანი, ხვეული, გულიანი, ხავიწიანი, (იხ) ტკბილი, ზეთიანი და ა.შ. ხატისათვის შესაწირავ ქადებს ხევსურეთში, „საწინაოებს", „საკვირაოებს", „მასანათოებს", უწოდებდნენ და ძირითადად აცხობდნენ მიცვალებულის „ხარჯებზე". სარიტუალო სუფრებზე გავრცელებული იყო გულიანი დიდი ქადა, რომელიც პურობისას მონაწილეთა შორის შუა ადგილას ჩაიდგმებოდა და თითოეული მათგანი ქადის გვერდებს შეატეხდა, გულში აწებდა და ჭამდა. ესაა კოლექტიური ტრაპეზის უძველესი ჩვეულება და საზოგადოების განვითარების იმ დროს ანარეკლი, როცა ერთი გვარის ან ტომის წევრები საერთო ულუფას თანაბრად ინაწილებდნენ.

2. სადღესასწაულო, სარიტუალო პური ხევსურეთში. ფაქტობრივად ყველა დღესასწაულისა და სარიტუალო ქმედებისთვის აუცილებელი ატრიბუტი. სახატო, ანუ ჯვრის მამულების მოხვნის რიტუალისას დიასახლისი წვრილად დაჭრილ ხორცს, ყველს, ცოტაოდენ ქონს, ერთმანეთში აურევს, ჩადებს ცომში, გულს გაუკეთებს და გამოაცხობს. დიდ ქადებს ჰქვიათ „სასანთლე", პატარებს „საკვირაო". ქადების რაოდენობა ზოგჯერ განსაზღვრული იყო ხევსურთა სალოცავების რაოდენობით ე.ი. ამ სალოცავთა სახელობაზეა გამოცხობილი. სახატო მამულების მოხვნისას გამოაცხობდნენ ხავიწიან ქადას, რომელსაც უღელზე გასაჭრელი ჰქვია. გუთანში შებმული ხარების უღელზე დასტური ქადას დაჭრიდა და ლუდით დაილოცებოდა.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. 2007. ალ. ოჩიაური, ქართ. ხალხ, დღეობები აღმ. საქ. მთიანეთში, 1991.

ე. ნ.

ქავი (თუშ.ხევს.) — გალავნით შემოზღუდული პირუტყვის სადგომი, მოძალადის ხელყოფისაგან დასაცავად, დამცავი ნაგებობა.

ქათიბი — ძვირფასი ბეწვით განყობილი ტანსაცმელი. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ქათიბი არაბულად მწერალს ნიშნავს, რაც მაუწყებელი უნდა იყოს იმისა, რომ იგი თავდაპირველად მოხელეთა ტანსაცმელი უნდა ყოფილიყო. განსაკუთრებით ფასობდა სიასამურის ბეწვით განყობილი ქათიბი, იკერებოდა სხვადასხვა ფერის ატლასისა და ხავერდისაგან. ქათიბი ძვირფას ტანისამოსთა რიგს განეკუთვნებოდა და ძალზე ხშირადაა მოხსენიებული მაღალი სოციალური ფენის მზითვის წიგნებში.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატ. კულტ. ისტორიისათვის. 1962

ე.ნ.

ქალამანი — ფეხსაცმლის ერთ-ერთი გავრცელებული სახე, რომელიც იკერებოდა ან ისხმებოდა ტყავისაგან. ქალამნის მასალის სიუხვე განსაზღვრავდა მისი გამოყენების უაღრესად ფართო ხასიათს, განსაკუთრებით მოსახლეობის ღარიბ ფენაში. საქალამნე ტყავი მზადდებოდა რქოსანი პირუტყვის, ასევე ცხენის, სახედრისა და ღორის ტყავისაგან. ქალამანი კარგი რომ გამოსულიყო, ბეწვგაცლილ ტყავს 5-6 დღე მარილწყალში ამყოფებდნენ, შემდეგ ასუფთავებდნენ, აშრობდნენ და ბლაგვპირიანი ლითონით არბილებდნენ. ამავე მიზნით ზოგან ტყავს ერთი დღე დებდნენ მიწაში. ქალამანი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირად იწოდებოდა, ამოსხმით და მასალის ვარგისიანობის



მიხედვითაც განსხვავებული იყო. ესენია: „თალათნური“, „კვანძური“, „იაფური“, „ჭალური“, „ბაზრული“, „გლეხური“, „ლეკური“, „კოხუჯი“ და სხვ. საქალამნე ტყავებიდან ყველაზე კარგი იყო ხარის ტყავი; კამეჩის ტყავი ადრე ხმებოდა და ამიტომაც უხეში სახმარი იყო. ძველად ქალამნის მასობრივად ჩამცმელი და დამამზადებელ-ამომსხმელი სოფლის გლეხობა იყო. ზამთარში სითბოსათვის ქალამანში წმინდა თივას — თომს აფენდნენ.

ნ. ჯ.

ქალამანი თალათნური – თალათინგაყრილი (თასმაგაყრილი) ქალამანი. ასე შეკერილი ქალამანი კოხტა იყო, მაგრამ არა მკვიდრი. ქალამნის ამ ტიპს არ ხმარობდა გლეხობა. მას უფრო შეძლებულები იცვამდნენ. ტერმინი თალათინი დღესაც იხმარება ქართლში და ნიშნავს მოქნილ ტყავს.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური ნესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

ქალამანი კოხუჯი (ხევი)//**კვანძური** (კახ.)//**ჯღანი** (მთიულ. ხევს.) — ქალამნის ტიპი. ასეთი ქალამნის ამოსხმის დროს საკერავი თასმა ხელში იგრიხებოდა, რათა ხმარების დროს კოპს მეტი სიმაგრე ჰქონოდა. ერთ თვალში გაყრილი კოპი უკანვე ბრუნდებოდა და კოპები გრეხვით ერთმანეთზე იდებოდა. ერთი კოპი ნაჩვრეტში გადიოდა და ასე მეორდებოდა ქალამნის ამოსხმის დასრულებამდე. კახელები უშნოდ ამოსხმულ ქალამანს კოხუჯს უწოდებდნენ.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური ნესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

ქალამანი რკინისა — რიტუალური დანიშნულების მქონე რკინის ფეხსაცმელი. მისი ნიმუშები დაცულია ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ქარელის რაიონის სოფ. ატოციდან, გორის რაიონის გერის წმ. გიორგის ეკლესიიდან, დუშეთის რაიონის ლომისის წმ. გიორგის ეკლესიიდან). ქალამანი გაკეთებულია ოთხკუთხედი ფორმის ბრტყელი და სქელი რკინის ფირიფტისაგან, ტერფის უკანა ნაწილს აქვს ოთხი ნახვრეტი თასმებისათვის ფეხზე დასამაგრებლად. რკინის ქალამანი არქეოლოგიურად დადასტურდა ცხინვალის რაიონის სოფ. დისევის ერთ-ერთ აკლდამაში, რომლის მსგავსი არქეოლოგიაში მანამდე ცნობილი არ ყოფილა. განათხარი რკინის ფეხსაცმელი გვანდელი შუა საუკუნეებით თარიღდება და უკავშირებენ მიცვალებულის კულტს (გრძელი გზის ადვილად გასავლელად). ეთნოგრაფიულ ყოფაში რკინის ქალამანი გამოიყენებოდა რიტუალური დანიშნულებით. მლოცველი მას იცვამს და გაივლის გრძელ გზას საკულტო ადგილამდე. რკინის ქალამანი ქართულ ხალხურ ზღაპრებში გვხვდება როგორც გმირის (პერსონაჟის) ნივთი, რომელსაც იყენებს შორეულ გზაზე წასვლისას. „რკინის ქალამანი“ გვხვდება ხალხურ მეტყველებასა და მხატვრულ ლიტერატურაში. რკინის ქალამნით მიდის მლოცველი სათხოვნელად სალოცავში (ავადმყოფის მორჩენის თხოვნით, უშვილობის შემთხვევაში და სხვ). რკინის ქალამანს სოფელში ადგილობრივი მჭედელი ამზადებდა.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ოქრომჭედლობის ისტორიისათვის საქართველოში, შრომები, I 1997; ა. გოგიაშვილი, ფეხსაცმელი - რკინის ქალამანი, ეთნოლოგიური ძიებანი, II, 2003.

ა. გ.

ქალამანი სვანური — სვანური ქალამანი იყო სქელი კანაფის ძაფით მკვიდრად შეკერილი და ყურიანი. ქალამნის წინა მხარეს „ცერი“ ერქვა, ქუსლს კი „ჰაგვ“. სვანურ ქალამანს მაღალი პირი ჰქონდა და უკან ორი „ყური„ უკეთდებოდა. კლიმატური პირობების გათვალისწინებით სვანეთში საერთოდ ყურიანი დახურული ქალამნები იხმარებოდა და შესაძლოა, ასეთი ქალამანი სხვა კუთხეებში სვანეთიდან იყოს გავრცელებული.

ნ. ჯ.

ქალამანი ნულური (ქვ. რაჭა) — ქალამნის ეს ფორმა მიიღეს კლიმატური გარემოს გათვალისწინებით (სინესტე, ხშირი წვიმები). საქალამნე ტყავს დაალბობდნენ და გამოჭრიდნენ ფეხის ზომაზე, ორ მესამედს გაკერავდნენ — ზედაპირს და ქუსლს. სამეგრელოში კერვას ჭვინტიდან იწყებდნენ, შუა ნაწილს შეუკერავს

დატოვებდენ და შემდეგ ქუსლს ცალკე ამოკერავდნენ. ასევე იკერებოდა ქალამანი გურიაში, ლეჩხუმში, იმერეთში.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

ქალაფთონი//ყალიფთანი — ბრტყელპირიანი მარწუხი, რომლის მეშვეობით ადიდას (იხ.) ნახვრეტში შესულ მავთულს გამოსწევენ და „გაწურავენ". მისი ბრტყელი პირის მეშვეობით მავთულის გაუწყვეტლად გამოღება ნახვრეტიდან უფრო იოლია.

ქალიმბალი – ქალამნების ფეხზე დასამაგრებელი ერთფერი ბანრით დაწნული თოკი, რომლის ბოლოები ფოჩებით და ზოგჯერ ფოჩებზე ასხმული მძივებით იყო დამშვენებული.

ქალმის ჩხირი — რქის სადგისი, აკეთებდნენ თხის რქისაგან. რქას ჩადებდნენ ცხელ ნაცარში ან ცხელ წყალში და როცა დალბებოდა, მას ნაჭრებად დაჭრიდნენ. შემდეგ გამოთლიდნენ ფორმის მიხედვით, თავში გახვრეტდნენ, რათა თასმა გაეყარათ და ქამარზე ჩამოიკიდებდნენ. ქალმის ჩხირი ძველად მეტად საჭირო იარაღი იყო. იყენებდნენ ძირითადად ქალამნების ამოსხმის დროს. აღსანიშნავია, რომ რქის სადგისები საქართველოში გვხვდება ქვის ხანიდან მოყოლებული ფეოდალური ხანის ჩათვლით.

ლიტ.: ჯ. სონღულაშვილი, მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, 1964.

მ.ხ.

ქამანჩა – აღმოსავლური სამ ან ოთხსიმიანი ხემიანი საკრავი. საერთო სიგრძეა 65-90 სმ. კორპუსი მრგვალია, ბურთისებრი, ამოღრუებული. დამზადებულია თუთის ან კაკლის ხის მასალისაგან. კორპუსს გადაკრული აქვს მემბრანა — თევზის ტყავი ან ბუშტი. ყელი მრგვალია, საქცევები არა აქვს. ინკრუსტირებულია სადაფითა და ძვლით. სიმების ქვეშ რკალისებური ჯორაკი დგას. აწყობილია კვარტულად

ხემი — ხის მოღუნული ჯოხია, რომელზედაც თავისუფლადაა მიმაგრებული ძუა, დაკვრის დროს შემსრულებელი ძუას ჭიმავს სათანადო სიმაღლეზე. დაკვრის ტექნიკის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ გადასვლა ერთი სიმიდან მეორეზე ხდება არა ხემით, არამედ საკრავის მოძრაობით. მისთვის დამახასიათებელია ყრუ ჟღერადობა. ქამანჩა პოპულარულია როგორც სოლო საკრავი, ასევე ანსამბლში. ამჟამად აზერბაიჯანში იგი საკონცერტო-საესტრადო ინსტრუმენტია და გამოყენებულია ხალხურ საკრავთა ორკესტრშიც.

ქამანჩის სახეობები გავრცელებულია სომხეთში, აზერბაიჯანში, დაღესტანში, ცენტრალურ აზიაში (თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი), თურქეთში.

საქართველოსა და განსაკუთრებით თბილისში გავრცელდა დაახლოებით XVIII ს-დან სხვა აღმოსავლური საკრავების მსგავსად როგორც ინსტრუმენტული ანსამბლის შემადგენელი, თავდაპირველად ქ. თბილისში და შემდეგ ჯერ მიმდებარე სოფლებსა და რეგიონებში.

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ქართული მუსიკა (მოკლე ისტორიული მიმოხილვა), ქუთაისი, 1925; მ. შილაკაძე, ქართული ხალხური მუსიკალური ტრადიციები და თანამედროეობა, 1988.

მ. შ.



ქამარი ვერცხლისა – წელზე შემოსარტყმელი, არსებობს ნაირგვარი სახეობისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ოქრომჭედლების მიერ დამზადებული ტყავზე აწყობილი ვერცხლის ქამრები, რომელებსაც გააჩნიათ „ნიკარტი"//აბზინდი, ბალთა, ენა, გობაკი, კოპალი, საქონი, უზანიკი. ვერცხლის ქამარს ატარებდნენ როგორც ქალები, ასევე კაცები. ვერცხლის გობაკიანმა ქამრებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თბილისის ხელოსან-ვაჭართა წრეში და მოდური გატაცების გარდა მას გააჩნდა პრაქტიკული დანიშნულება, რადგან საკმაოდ ძვირად ფასობდა და უსახსრობაში ჩავარდნილ ადამიანს მისი გაყიდვით გარკვეული დანაკლისის ანაზღაურება შეეძლო, თბილისური ვერცხლის ქამრები ოქრომჭედლობის განვითარების მაღალი დონის მაჩვენებელია.

ე. ნ.





ხევსურული ტალავარის ტიპები



ხევსურული ტალავარის ტიპები



ხევსურული ჩოხა

ხევსურული ჩოხა

ქანარა — ჩასაბერი საკრავის ტიპი, რომელსაც ნაღარასთან ერთად ბრძოლის დროს გამოიყენებდნენ.

ქანდაკება – აქ: საფლავის ქვის ძეგლი, ერთ-ერთი ტიპი მემორიალური კულტურისა, რომელშიც გარდაცვლილია განსახიერებული. მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლური რწმენით ქანდაკების კვეთა აკრძალული იყო, მემორიალურ კულტურაში ამ დარგმა გარკვეული გზა მაინც გაიარა. ეს განსაკუთრებულად გამოჩნდა ხალხურ ქვითხუროობაში, სადაც ქანდაკების არაერთი საყურადღებო ნიმუშები შეიქმნა. მემორიალურ კულტურაში ხალხური ქანდაკებების კვეთის საფუძვლები ჩამოყალიბდა ქვითხუროობით განთქმულ დასავლეთ საქართველოს ცენტრებში (იმერეთი — ჭოგნარი, ბერეთისა, კაცხი, ლეჩხუმი — ლაილაში, ჩხუტელი, ქვ. სვან. ყვედრეში და სხვა), უფრო იშვიათად აღმოსავლეთშიც. ამ ტიპის ძეგლებს განეკუთვნება საფლავის ქვის ზოომორფული ძეგლებიც, რომლებიც გავრცელებული იყო ზემო და ქვემო ქართლში (იხ. ზოომორფული ძეგლები). ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული საფლავის ქანდაკებანი საინტერესოა ზოგადქართული ქანდაკების ისტორიის კვლევის თვალსაზრისითაც.

ლიტ.: ე. ნადირაძე საქართველოს მემორიალური კულტურა, 2001.

ე. ნ.

ქანდაქი – გამოყვანილი და ნაჭრებად აჭრილი ღორის ტყავი, რომლისგანაც ქალამნებს ასხამდნენ („კანიში ჩაფლა" მეგრ.). ხშირადაა დასახელებული სამეგრელო — აფხაზეთის საბეგრო გამოსაღების სიაში. საქანდაქო ღორი უნდა ყოფილიყო გარკვეულ ფიზიკურ დონემდე მიღწეული, რომ მისი ტყავი ხარისხიანი გამოსულიყო.

ლიტ.: ო. სოსელია, ნარკვევები... ტ. III, 1980.

ე. ნ.

ქანიშკაპი — ფიცრის ამოსაღარავი ხელსაწყო. გამოიყენებოდა ხითხუროობაში. ხის ნაგებობის კედლების ამოყვანისას, ფიცრების ჩასალაგებად იხმარებოდა ბოყვები (იხ.), რომლებიც მთელ სიგრძეზე იყო ამოღარული, რათა კედლის ფიცრების გაემაგრებინა. ასეთი ღარის ამოსაღები იყო ქანიშკაპი.

ქარახსა — გუდასტვირის ნაწილი. ხარის რქის ყანწი-საბერავი. „ქარახსი — დიდი ყანწი" (საბა). რქა მოხრილია, ბოლოში ნახევრამდე გადაჭრილი, მეორე ნახევარი, ე.წ. „ფეხი" აჩერებს რქაში შესულ დედნის ბოლოებს. ის პირქვე მობრუნებულ ყანწს წარმოადგენს, ქარახსის დანიშნულებაა სტვირის ხმის გაძლიერება. ეს ტერმინი დღესაც იხმარება ქართლში და გვხვდება ხალხურ ლექსებშიც: „დაუკრათ, დავინყოთ ქება, ქარასხამ დაკაკუნა". ჩვეულებრივ, ქარახსას ბოლო კიდეზე დამაგრებული აქვს ვერცხლის ფულები, რასაც „ფიფინურები" ეწოდება. სამკაულის გარდა მათ დანიშნულებას შერხევით გამოწვეული ნელი ჟღარუნიც შეადგენდა. ქარახსა შემკულია ნაირფერი შუშის თვლებით, სალტეებითა და სხვადასხვა სიგრძის ძეწკვებით.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938, ნ. ჯიქია, გუდასტვირი ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდის მიხედვით, მ.მ XXXII-B. 1976.

ნ. ჯ.

ქარგა — მრგვალად მორკალული ხე, რომელზედაც გადაეკვრება საქარგავი ნაჭერი და ნემსით იქარგება.



ქარგვა და ნაქარგობა — ქართული ქარგულობა ოდითგანვე იყო განთქმული. საზოგადოდ, მაღალი წრის ქართველი ქალები ქარგვის ხელოვნებაში ეძებდნენ თავიანთი ნიჭის გამოხატულებას. ქარგვაში ჩაქსოვილი ესთეტიზმი ბევრად განსაზღვრავდა ქალის ნიჭისა და გემოვნების სიმაღლეს და ასეთი დამოკიდებულება ყველა ფენისა და წოდების ქალთა ნამუშევრებში შეინიშნება. ქარგვის ხელოვნებას ხელს უწყობდა იმპორტული აბრეშუმის შემოდინება. საქართველო თავადაც

აწარმოებდა აბრეშუმს და ეს გარემოება კიდევ უფრო ახალისებდა ქარგვის პროფესიის ამაღლებასა და დახვეწას. უბრალო ფერად ძაფთან ერთად ქარგულობაში დიდი ადგილი ეჭირა ოქრომკედსა და ვერცხლმკედს. ქარგვის ხელსაქმის ოსტატებში იყვნენ ისეთები, რომელთა ნაწარმი საექსპორტოდ გაჰქონდათა და იყვნენ ისეთებიც, ვინც სასაჩუქრედ ან თავის გამოჩენისათვის ქარგავდა. ქართულმა ქარგულობამ განსაკუთრებულ აყვავებას მიაღწია ფეოდალური ხანის საეკლესიო დაფარნების შემკულობაში, რომლის მსგავსი იშვიათად თუ მოიპოვება ქრისტიანულ ხელოვნებაში.

ე. ნ.

ქარვა — ამ ქვას სპარსულად ჰქვია „ქაჰრუბა“ და ნიშნავს „ჩალის მტაცებელს“, რაც ხახუნით ჩალის ფიორების მიზიდვის თვისებას გამოხატავს. საბას განმარტებით „ქარვა ესე არს ნივთი ყვითელი, რომელი გამოიღების ლიტოვის ზღვიდამი, ვიდრე წყალთა შინა, ლბილ არს და რა გამოიღების განიფიტების “ . ძველი წარმოდგენით, ქარვა — ესაა ღვთაებრივი წარმოშობის იდუმალი, ყვითელი ფისი. საქართველოში ქარვა უცხოეთიდან შემოჰქონდათ და საინტერესოა, რომ იგი გვხვდება ბრინჯაოს ხანის მასალებში, რაც სხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის დადასტურების საბუთადაა მიჩნეული. რადგან მისი სამშობლო ბალტიისპირეთია, შესაძლებელია, ხმელთაშუა ზღვის გაელით იყო შემოსული საქართველოში. ქარვა საკმაოდ გავრცელებულია ანტიკურ პერიოდშიც და იგი გვხვდება მცხეთის, ურეკის, ვანის სამარხებში. XVIII ს. თბილისში კრიალოსნების საკეთებელ ქარხანაში ქარვის მძივებიც უმზადებიათ.

ლიტ.: ვ. ზუხბაია, ქვის კულტ. საქართველოში, 1965.BA

ე. ნ.

ქარვასლა — დიდი სავაჭრო-სახელოსნო სახლი. ვაჭართა განსასვენებელი, მექარავნეთა სრა-სახლი, ქალაქისათვის დამახასიათებელი ნაგებობა. ქარვასლაში შორიდან მომავალი ვაჭრები ისვენებდნენ და მათი საქონელიც დროებით აქ იყო დაცულ-შენახული. მეტ-ნაკლები სიდიდის ქარვასლები საქართველოს ყველა მნიშვნელოვან სავაჭრო ქალაქში არსებობდა. გვიანფეოდალური ხანის საბუთებში მოხსენიებულია ღანბარაშვილის, ნაზარბეგაშვილის, მენთუაშვილის, ანტონას, ოქონასა და სხვათა ქარვასლები. XVIII ს. თბილისში ოთხი დიდი და რამდენიმე პატარა ქარვასლები ყოფილა.

ლიტ.: შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ. II, 1983.

ე. ნ.

ქართა — საქონლის დასამწყვდევი, შემოღობილი ადგილი.

ქართული კაბა — ქართველი ქალის ეროვნული სამოსი. ცნობილია: „სახლართავიანი“, „საგვირგვინო“, „სარტყელ-გულისპირიანი“, „ყურთმაჯიანი“, „წელიანი“, „ბოლოდაშვებული“ ქართული კაბის ტიპები. კაბის კომპლექტში შედის სარტყელი, გულისპირი და სახელოები. მოსასხამად ზამთარში მოკლებეწვიან ხავერდის „ქათიბს“ ხმარობდნენ, ზაფხულში კი მუხლამდე სიგრძის „ტოლომა“, „ტალმა“-ს. ფეხზე ატარებდნენ წინდას და ეცვათ ტყავის ფეხსაცმელი, კაბის ქვეშ აბრეშუმის გრძელ პერანგსა და ტოტებნაქარგ შეიდიშს (იხ.).

ქართული კაბა ორნაწილიანია: წელში გამოყვანილი ქვედა ტანი და ტანზე მომდგრი ზედატანი. კაბის უმთავრეს სამშვენისს ნაქარგი (ხშირად ოქრომკედით) სარტყელი, გულისპირი და სახელოები წარმოადგენს, რომლებიც კაბის ქსოვილისაგან განსხვავებული ფერის ნაჭრით და ფერთა შეხამებით იკერებოდა.

ქართული კაბის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია რთული კონსტრუქციის თავხურვა: თავზე ჯერ ლეჩაქს (იხ.) იფარებდნენ, მერე კი თავსაკრავშემოვლებულ ჩიხტს (იხ.) დაიდგამდნენ. ჩიხტში მოთავსებული იყო რკალის ფორმის კოპი (იხ.), რომელიც ამყარებდა მას. ლეჩაქს ან ბაღდადს ჩიხტზე ქინძისთავებით ამაგრებდნენ. თუ სამოსი მაღალი წრის ან შეძლებულ ქალბატონს ეკუთვნოდა, ქინძისთავები ბრილიანტით ან სხვა ძვირფასი თვლებით იყო შემკული.

თავხურვა შესაბამის ვარცხნილობას მოითხოვდა: ზურგზე უნდ
ხოლო საფეთქლებიდან „კავები".

ქართული კაბის ეს ნიმუში უმეტესად საქართველოს ბარში იყო
სახელწოდებით მოიხსენიებდნენ: წელიანი, ყურთმაჯიანი, სარტყელ
საგარეოდ და საშინაოდ. საქორწინო კაბის მასალად იყენებდნენ ძვირ
აბრეშუმს, გლასი-ორფერი ქსოვილს, ბენგალინის ყვავილიან ქსოვილს,
ფერებს არჩევდნენ, მოხუცთათვის თალხ ფერებს. წმინდა აბრეშუმ
ქართული კაბის ზედატანი — „კანძოლი" (კახ.) 6 ნაჭრისაგან იყო შემ
8-ც აღწევდა: წინ ორი კალთა, უკან ბეჭები და ფერდებში შეს
რომელთა რაოდენობა ხან თითო-თითო იყო, ხან ორ-ორი, მთლიანი ბ
ხოლო ჯეელებისათვის „დანაკვთული"(კახ.). საკისრე ოდნავ ამოღ
„ყუთურმაჯები" (კახ. თუშ.), ხშირად მაჯას ბუდიანი ხრიკებით ან ვერ
ნაპირებს შემოუყვებოდა ვინრო ბაბთის ზოლი „სარჩევი". ზედატანი ტ
იყენებდნენ ძვლის ან რკინის ჯოხისებურ ფირფიტებს.

ზედატანი ქვედასთან მარტო უკანა ნაწილით იყო დაკავშირ
ქვედატანი კუდიანი უნდა ყოფილიყო, ამისათვის ორ გზას მიმართავდნ
ირიბი ნაპირებით შეერთებულ ნაჭრებს. ქართული კაბა ნაციონალურ
ტიპს წარმოადგენს.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა (ქალის ჩაცმულობა), ანალები, ტ. I, 1947. ნ. გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან, ქალის ქართლი ჩაცმულობა. XIXს და XXს. 1967.

ც.ბ. ბ.კ.

ქართული ნაჯახი — საქართველოში გავრცელებულ ხის დასამუშავებელ იარაღებს შორის ე.წ. „ქართული ნაჯახი" სახელოსნო იარაღია. იგი მეტად თავისებური აღ
ხითხუროობის (სადურგლო) საქმიანობის სპეციფიკას. ნაჯახის ძირ
სამშენებლო (საკედლე ფიცარი ან სხვ.), სამეურნეო (სამინათმოქმ
დგამ-ჭურჭელი) თუ სხვადასხვა იარაღ-ხელსაწყოსთვის მასალის დამ
საჭირო იარაღია. საქართველოს გარდა მეტ-ნაკლებად გავრცელებულ
და აზერბაიჯანში. ამ ნაჯახს ქართველი მჭედლები ამზადებდნენ და სა
ტექნიკასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიაც ცხ
„გაზომვა", „გახურება", „გაკვერვა", „გაყვანა", „განევა", „გაკოპიტება", „მოქნა", „მოკეცვა", „დასარჩულება", „შედულება", „შემტკიცება", „გაკაზმვა", „დაყენება", „გალესვა", „ნრთობა", „გაფერვა" და სხვ.

ა.ბ.

ქარიზი — წყალსადენი, წყლის სადენი მილი.

ქარსანი — კოკის მსგავსი ჭურჭელი.

ქარშიკი — სარტყლის ნაწილი.

ქარჩი // ქორჩი — ხელით სამუშაო სამინათმოქმედო
ძირითადად გამოიყენებოდა ახოს დამუშავების ერთ-ერთ ეტაპ
გადამწვარი ტყის საყანედ განკუთვნილი ფართობის ხის ფესვებისა
ცნობილია საქართველოს ყველა კუთხეში, განსაკუთრებით მთაში.

ქარჩის სხვადასხვა ვარიანტი არსებობდა: ცულნერაქვას, ბარ
(ხევსურეთი, მთიულეთი, გუდამაყარი), წალკატის (ლეჩხუმი), თოხუ
კაფიას, თოხნერაქვას (რაჭა), ჩენგის, (სამეგრელო) სახელწოდებით.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამ
რეხეიაშვილი,

ქარხანა — აქ: სახელოსნო სახლი, სადაც ამზადებდნენ გას
შემცველი ტერმინია „სახლი სამსახურებელი", შემდგომში საფარ
კაცები".

ლიტ.: იე. ჯაკ

ავრცელებული და მას სხვადასხვა
ულისპირიანი და სხვ. ხმარობდნენ
ს ქსოვილებს: დიბას, სტავრას, ხარა-
ვერდს და სხვ. საქორწინოდ ნათელი
კაბას მთლიანად ასარჩულებდნენ.
გარი, ზოგჯერ ნაჭერთა რაოდენობა
ენებელი — „მუნდრულები" (კახ.),
ეჭები დიდებისათვის ირიბად აჭრილი,
ული, ღრმადშეხსნილი სახელოები-
ხლის ყუნწიანი ღილებით იკრავდნენ.
ზე მომდგარი მოსნონდათ, ამისათვის
ებული, უკეთებდნენ ნაოჭს, რადგან
ნ: უკანა ნაწილის შუაში ათავსებდნენ
ირი ჩაცმულობის უაღესად დახვეწილ

ითადი დანიშნულებაა: ხის გათლა,
ია იარაღები) და საოჯახო (ავეჯი,
ია ამჟამადაც
ია ჩრდილოეთ კავკასიაში, სომხეთსა
ული, რასაც
ადყოფს: საცულე რკინის „შერჩევა",
„ბოქნა", „მოკეცვა", „დასარჩულება",
ა, „ბოლოობა", „გაფერვა" და სხვ.

ა.ბ.

ა. ბ.

ა. ბ.

*ა.

ქარჯიმი (ხევს.) — ერბოში ამოვლებული პურის ლუკმა. სტუმრობის დროს ხევსურები ცოტას ჭამდნენ, ბევრი ჭამა სირცხვილად ითლებოდა. ამიტომ, მასპინძელი პურობის დამთავრების შემდეგ, პურის ნვრილ ნაჭრებს (ნანვრეთებს) ჩაყრიდა ერბოში და დაძალებით აჭმევდა სტუმრებს. ასე ძალად ხელში მიცემულ ერბოიან ლუკმას ეწოდებოდა „ქარჯიმი".

ე. ნ.

ქასური — მჭრელ იარაღთა გასალესი ქვა. არსებობს ქართული ხალხური სიმღერა „გლესავ და გლესავ, ნამგალო". ეს საგუნდო სიმღერა გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში, უმეტესად ქართლ-კახეთში და სრულდებოდა ყანის მკის დროს. სიმღერის ტექსტის დასაწყისი ასეთია:

„გლესავ და გლესავ ნამგალო, ნამგალო ჩემო რკინაო,
ქასური სალესავითა, ნამგალო ჩემო რკინაო".

ლექსში ხაზგასმულია, რომ ნამგალს ლესავენ ქასური სალესავით. XX საუკუნემდე პურის ყანა ხელით იმკებოდა. ამ სახელწოდებით ცნობილი სალესავი ქვაც საყოველთაოდ იყო აღიარებული ხალხში. მას ხმარობდნენ არა მარტო ქართლ-კახეთში და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, არამედ ჩრდილო კავკასიაშიც. ქასური სალესავს ლესვის დროს წყალში ასველებდნენ ან მცირეოდენ ერბოს უსვამდნენ და ისე უწყობდნენ პირს, ნამგლის გარდა იყენებდნენ სხვა საყოფაცხოვრებო და საბრძოლო იარაღის ასალესადაც. სალესავებს, ბუნებრივია, ამზადებდნენ იქ, სადაც შესაფერისი მასალა არსებობდა. სალესავად ვარგისი ქვის საბადოები მრავლდადაა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში, მაგრამ დიდი უპირატესობით გამოირჩეოდა ქაისხეური ქვა, რომელსაც ადგილობრივ „ქასურ ქვას" უწოდებდნენ, სახელწოდება მომდინარეობს დუშეთის რაიონის სოფელ „ქაისხევის" სახელიდან, სადაც ამ სალესავი ქვის მასალა მოიპოვება. დღესდღეობით ქასური სალესავის გავრცელების არე შემცირდა და სოფლის საჭიროებისათვისლა ამზადებენ, ხოლო თვით სახელი ხალხურმა პოეზიამ შემოგვინახა.

ა. გ.

ქიტი (ფშ. ხევს.) — ფართოპირიანი ხის კოვზი. სხვადასხვა სიდიდისა და მოყვანილობის. იყო ქიტი სადოვე, კალტის მოსაყვანი, სახაჭოე, ნაღების მოსახდელი. პატარა ქიტს „ქიტურასა" და „ცუტუნას" უწოდებენ. ხევსურთა თქმით ქიტი გამოიყენებოდა „სველის სახვეტად" (სახვრეპად).

ბ.ბ.

ქაფასტარი – მეშის თხელი სარჩული. ზოგჯერ ფეხსაცმლის საპირედაც იყენებდნენ.

ქაფი – საომარი ჯავშნის სამხარიღლივე ზონარი. „ქაფი არს აბჯართა შემოსაჭირებელნი,"(საბა). მაგალითად, ქაფით მაგრდებოდა ბეგთარი (იხ.).

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II. 1993.

მ. ქ.

ქაფქირი — დახვრეტილი მრგვალი კოვზი, რომლითაც მოხარშულ ხორცს ქაფს მოხდიან, არის ლითონის და ხისაც.









ტაგრუცი//გვადრუცი//გუადრუცი



გვიანფეოდალური ხანის ქართველი არისტოკრატის ჩაცმულობა

ქაფჩა — კალატოზის მთავარი ხელსაწყო, ხისტარიანი და ფართოპირიანი რკინის, რომლითაც მშენებლობის დროს ხსნარს იღებენ და ასხამენ ასაშენებელ მასალას, ქაფჩითვე ხდება კედელზე ხსნარის მისხმა შელესვის დროს.

ქარქაში — წარმოადგენს დანის, ხანჯლის, ხმლის და მათი მსგავსი ცივი იარაღის ჩასადებელს (ბუდეს). ქარქაშების დასამზადებლად, სიმსუბუქის გამო, ძირითადად ხის მასალას იყენებდნენ. იღებდნენ ხის ორ ნაჭერს და ცივი იარაღის პირის შესაბამისად მონიშნავდნენ და ამოკვეთავდნენ, შემდეგ გადააკრავდნენ ტყავს, ხავერდს ან ლითონს. ქარქაშები ლითონის სალტეებითა და ბუნიკით (იხ.) ირთვებოდა. მასალის ორგანული წარმოშობილობის გამო არქეოლოგიური ქარქაშები შემორჩენილი არაა, ხოლო გვიანფეოდალური ხანის საბრძოლო იარაღის ეს უცილობელი ატრიბუტი მრავლადაა შემორჩენილი.

მ.ქ.

ქევანი — ვირის კურტნის ქვეშ გასაშლელი ჩული.

ქეთლი — ჩაიდანი, სპილენძის ჭურჭელი ჩაისა და ყავის ასადუღებლად.

ქეშაო — ქვის სიმაღლის სიზუსტის საზომი იარაღი. ქეშაო მოყვანილობით ცალმხარნაჭრილ გონიოს მიაგავს.

ქეშელა — 1. მოუკუპრავი ტიკი, თხიერი. იყენებდნენ რძისა, მაწვნის შესანახად. 2. სითხის გადასატანი ტყავის ჭურჭელი, მზადდებოდა მოზვრის ტყავისგან დაახლ. 5-6 ფუთის ტევადობის (იხ. კოლოტი).

ქეჩა — უხეში მატყლისგან გაკეთებული საფენი.

ქვა — აქ: ქვითხუროობაში გამოყენებული ქვის ჯიშები. ქვა, რომელიც ბუნებაში განუყოფელ მასივებადაა მოცემული, მოითხოვს ცალკეულ ნაწილებად მოტეხვას. მაგრამ თუ ქვა დაფარულია მიწით, მას გამოჩენა და გასუფთავება სჭირდება. ქვის მოჭრა წარმოებს უმთავრესად ზაფხულში, რადგან ზამთარში ქვას გული ეყინება და დამუშავებას ნაკლებად ემორჩილება. ქვა ფიზიკური თვისებით სხვადასხვანაირია და შეიძლება იყოს: „ფიცხი", „მამალი", „დანაკაჟიანი", „კაპასი", „შათელილი", „სახსრიანი", „უსახსრო", „ძარღვიანი", „ღრუ", „ტალებიანი", „კასალი", „ლიში", „ლიბერი", „ჩინჩხლებიანი", „ბაღდადი", „თეთრი", „ლურჯი", „ღვინისფერი", „ტრედისფერი", „ვარდისფერი", „კბილმაგარი", „ჩრდილა", „მზვარე" და სხვა. ქვითხურო, რომელსაც უკვე ხელობის გარკვეული ეტაპი აქვს გავლილი, ამ ნიშნებით შეიცნობს ქვის ავკარგიანობას და იყენებს მათ ამა თუ იმ ნივთისთვის. ვიდრე ქვა დამუშავდებოდეს, სჭირდება: მოკარება, შეთვალიერება, დაბურღვა, გაწვერვა, სოლების დაყრა, მოტეხვა, დაპობა, გათლა, მოკაზმვა და ა.შ. საქართველოში უძველესიდან მიკვლეული იყო მრავალი ქვის საბადო, რომლებიდანაც ქვის ამოღება-დამუშავება ხდებოდა საყოფაცხოვრებო სფეროში არსებული სხვადასხვა ნივთიერი საჭიროებისთვის. იარაღის ფუნქციის მიხედვით ნაჩვენებია ქვის დამუშავების პროცესი. მაგ., ქვა არის — გაწალკატებული, წერაქვში მოყვანილი, დაუროებული, დასოლილი, გატარაღებული, მოკოდილი, გაწვერილი.

ხალხურ მეტყველებაში ქვის სხვადასხვა სინონიმი გვხვდება, მაგალითად, კენჭი, ღორღი, ბუტი, ხიჭი, ხურდა, ჭოჭყი, ლოდი, სპონდიო, შირიმი და სხვა.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. ნ.

ქვა ერბოსი – ერბოს ქვა, ნმინდა სალესის ტიპი, რომელსაც იყენებენ რკინის ნაკეთობათა გასალესად.

ქვა კუთხისა//მუხურო (ლეჩხ.) — მშენებლობაში გამოსაყენებელი კუთხის ქვა, რომლის ორი მხარე გამოყვანილია გონიოში, ხოლო უკანა ზურგი, ანუ „კუზი" ბითამად, ე.ი. უხეშად აქვს დატოვებული, რადგან იგი კედელში ექცევა. კუთხის ქვების სიზუსტეზეა დამოკიდებული კედლის სწორად აღმართვა.

ე. ნ.

ქვა მზვარესი – მზვარეს ქვა ეწოდება იმ ქვას, რომელსაც მზე უყურებს, იგი კარგადაა გამომშრალი, საღია და თუმცა დასამუშავებლად ძნელია მისგან გაკეთებული ნივთი საუცხოოდ ითვლება.

ე. ნ.

ქვა საომარი — ქვა, როგორც საბრძოლო და სანადირო საშუალება, უძველესი დროიდან გამოიყენა ადამიანმა. შურდული (იხ.), როგორც უძველესი საომარი იარაღი, უაღრესად ეფექტური იყო შორ მანძილზე სასროლად. არქეოლოგიური მონაცემებით დადასტურებულია, რომ ანტიკური ხანის მცხეთელებს აქტიურად უხმარიათ ქვის მრგვალი ბირთვები. შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელდა ლოდსატყორცნ-ფილაკავანები, რომელთა ეფექტურ მოხმარებას კედლის დაზიანებაც შეეძლო. შუა საუკუნეებში ლაშქარს თან ახლდნენ ქვისმსროლელნი და მეშურდულენი.

ლიტ.: ე. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.ВА

ე. ნ.

ქვა საშენი — კედლის ასაშენებელი უბრალო ქვა, რომელიც ჩვეულებრივ დაუმუშავებელია. მოიპოვებენ ბუნებაში, ანდა ქვის დამუშავების დროს აგროვებენ ქვის კარიერში, ამტვრევენ ურიოებით და იყენებენ საშენებლად.

ქვა ძვირფასი — ზოგადი სახელი იმ ძვირფასი ქვებისა, რომელსაც გამოიყენებდნენ სამკაულებში, ტანსაცმელში, ინსიგნიებში, სოციალური ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში. ძვირფასი ქვები აქტიურად იყო ჩართული მეფე-მთავართა შესამოსელსა და რეგალიებში. (კვერთხი, გვირგვინი). ქართველ მეფეთა ჩაცმულობის შესახებ ბიზანტიელ მწერალს იოანე მალალას აღნიშნული აქვს, რომ ლაზთა უფლისწულ წათეს, როცა იგი მეფედ აკურთხეს, მარგალიტებით შემკული ტანსაცმელი სცმია, რასაც ბიზანტიელ დიდებულთა დიდი ყურადღება დაუმსახურებია. გორგასალს ხურებია ზურმუხტითა და იაგუნდით შემკული გვირგვინი. დავით აღმაშენებლის მემკვიდრეს დემეტრეს გამეფებისას დაადგეს თავზე გვირგვინი" შუენიერი ქვათაგან პატიოსანთა „შემკული. გიორგი III-თამარს დაადგა „გვირგვინი ოქროისა.., აღმკული იაკინთითა, ზმირნითა და სამარაგდოთა მიერ". სამოსელზე ძვირფასი ქვების არსებობას ადასტურებს ჩვენს ტაძრებში გამოხატული მეფე-მთავართა ფიგურები. ამ მხრივ სანიმუშოა ბეთანიისა და გელათის ფრესკები. თამარ მეფის ისტორიკოსის დახასიათებით ქართველ მეფეთა სამეფო ტახტი შემკული ყოფილა ოქრო-ვერცხლითა და უამრავი თვალმარგალიტით. ვახუშტი ბატონიშვილი მაღალი წრის ქართველი ქალის ჩაცმულობის განუყრელ სამშვენისად მიიჩნევს ყბის ქვეშ ჩამოკიდებულ მარგალიტის მძივებს. სომეხი ისტორიკოსის ესაია ჯალალიანცის აზრით: თბილისელების ტანსაცმელი — სამკაულითა და თვლებით მოოჭვილი ფარჩეულობა, დაწყობილი მარგალიტის ბრწინვალება, არ შეიძლება წარმოიდგინოს ადამიანის გონებამ. ძვირფასი ქვები უხვად გამოიყენებოდა საეკლესიო ჭურჭლის მორთულობასა და შესამოსელში. უძვირფასესი ქვებით იყო მორთული ქართველ მღვდელ-მთავართა ბისონები, ტიარები, ომფორები, ენქერები, საბუხარები, ბარტყულები, სტიხრები, საბეჭურები, ოლარები, ქამრები, მიტრები. ძვირფასი ქვები უხვადაა გამოყენებული საეკლესიო დანიშნულების ჭედური ხელოვნების ძეგლებში, განსაკუთრებით ჯვარ-ხატებში, რომელთაგან უდიდესი უმრავლესობა ქართული ოქრომჭედლობის ბაზაზეა შექმნილი. სანიმუშოდ გამოდგება ხახულის ღვთისმშობლის ხატი, ქართული ხელოვნების შედევრი, რომელსაც ასეულობით უძვირფასესი ქვა ამშვენებს ზურმუხტების, ალმასებისა და იაგუნდების ჩათვლით, ანდა სიონის ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც ჩართული აქვს 124 იაგუნდი, 43 ალმასი, 116 ზურმუხტი, 240 ლალი, 52 ტოპაზი, 17 სეილენი, 62 ფირუზი, ათასზე მეტი მარგალიტი და კიდევ სხვა. ძვირფასი ქვა, როგორც ესთეტიკური მოთხოვნილების პროდუქტი, განუყრელადაა დაკავშირებული ქართულ კულტურასთან. შუა საუკუნეების საქართველოს საიუველირო ხელოვნება მსოფლიო მნიშვნელობის შედევრებს მოითვლის, რომელთა სრულყოფილება და ვიზუალური მხარე ძვირფას ქვათა ოსტატური გამოყენებითაცაა განპირობებული.

ლიტ.: ე. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965. В А

ე. ნ.

ქვა ყურის — იხ. ქვა კუთხის.

ქვაბი — სადუღარი სამზარეულო ჭურჭელი. ყოფაში მოწმდება მრავალი სახეობა: კარდალა, კოტო, ქვაბ კარდალა, ქვაბ ქოთანი, წუკალი (მეგრ.), ხელქოთანი, ჩალხანა, თენჯერი, საოტკე//საარყე//ზაოდი, საწესო-სარიტუალო — „ლღენი", „ყინიშ კარდალ" ანუ სულის ქვაბი, ჭანური, იმერული, ქვაბი „საწინდარი" და სხვ.

ფორმის მიხედვით ქვაბებში რამდენიმე ტიპი გამოიყოფა: დიდი ზომის, ჯაბარყურიანი, არყის გამოსახდელი, ფართოძირიანი, „თანგირა", „ტაფა-კასრულები", სნორი, კასრის ფორმის, ვიწროძირიანი „იმერული" ქვაბი, ქვაბქოთნი, „წელში გამოჭირებული", ანუ წელში გამოყვანილი ხუფიანი და უხუფო.

დანიშნულების მიხედვით — ხორცის მოსახარში, საძროხე, საცხერე, საყაურმე, სახინკლე, საფელამუშე, საარყე, საერბოვე, საპომინდვრე-სატყემლე, საშეჭამანდე, რძის ასადუღებელი, საღომე, საფლავე, თევზის მოსახარში, სააბანოვე, საქორწილო-სარიტუალო, სამზითვო და სხ.

ლიტ.: ც. კაკაბაძე, სპილენძის ქართული ჭურჭელი, ეთნოლოგიური ძიებანი I, 2000.

ც.კ.

ქვაბი – აქ: ლუდის მოსახარში სპილენძის ქვაბი. ძირითადად ოვალური ფორმის. 400-500 ლიტრი ტევადობის. „იკერებოდა" ცალკეული ფირფიტებისაგან სპილენძისავე ლურსმნებით. როგორც სალოცავისა და სარიტუალო ლუდის დამზადებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთი განსაკუთრებული მზრუნველობითაა დამზადებული. ზოგჯერ ხატში 2-3 ასეთი ქვაბი ჰქონდათ, რაც ხატიონის ძლიერებას უსვამდა ხაზს. ლუდის ქვაბი მოთავსებული იყო ჯვარის სალუდეში, და მასთან ერთად ინახებოდა ლუდის გამოხდისათვის საჭირო ყველანაირი ტიპის ჭურჭელი. ლუდის ქვაბს მთიელები ადრე თავად ამზადებდნენ, ისინი კარგად იყვნენ დაუფლებულნი მესპილენძეობას. ამ ვითარებას ადასტურებს როგორც ეთნოგრაფიული, ასევე არქეოლოგიური მასალა. ახალ პერიოდში, როცა მთაში სპილენძის დამუშავების წესები დაიკარგა და ამავე დროს, წარმოებაში ფართოდ დაიწყო დანერგვა ქარხნული წესით დამზადებულმა სპილენძმა, ქვაბების კეთების ცენტრები წარმოიქმნა დაბა-ქალაქების სახელოსნოებში, სადაც სპილენძის ქვაბები მზადდებოდა ხატ-სალოცავის მესვეურთა შეკვეთით.

ლუდის ქვაბი სალუდეს საცეცხლეშია ჩაშენებული. ქვეშ იმდენი ადგილი აქვს დატოვებული, რომ სასადუღრე სანათების საჭირო რაოდენობა დაეტიოს. არცთუ იშვიათად სალუდე ქვაბს გაკეთებული აქვს კეტის გასაყრელი ყურები და რკინის ჯაჭვითაა ჩამოკიდებული სალუდეს მსხვილ თავხეზე.

სალუდე ქვაბი წარმოადგენს სარიტუალო ნივთს და ამავე დროს, აუცილებელს ნებისმიერი მოქმედი ჯვარისთვის. შედარებით უფრო პატარა, ინდივიდუალური სალუდე ქვაბები გააჩნდათ ჯვარიონის ცალკეულ წევრებს, რომლებიც ლუდს სახლში ამზადებდნენ.

ლიტ.: ალ. ოჩიაური, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1988. ე. ნადირაძე, ქართული ლუდი. ეთნოლოგიური ძიებანი, III, 2007.

ე. ნ.



ქვაბი საარყე — არყის გამოსახდელი ქვაბი, იკერებოდა სპილენძის ფურცლებისაგან. ფურცლები ერთმანეთთან გადაკერებულია კბილანების შესხმის წესით, გვერდები კი მირჩილულია და დამაგრებულია სპილენძის „მანჭვლებით". ასეთი ქვაბი მუხლგანიერია, პირისკენ მოვიწროებული. აქვს რკინის დიდი ზომის სახელურები — „კოჭყურები". ქვაბს მჭიდროდ ეხურება სახურავი — ხუფი იგივე „ზარფუში" (იხ.) არყის გამოსახდელი ინვენტარი სპილენძისაა. შედგება: 1. ქვაბის 2. ზარფუშის, იმავე სახურავის, 3. გეჯის, 4. მილისა და 5. რკინის სამფეხისაგან. იგი ძვირადღირებული მოწყობილობაა. მისი დამზადება მესპილენძე ხელოსნების საქმეა. არყის გამოსახდელი ქვაბი რამდენიმე სახელითაა ცნობილი: „საოტკე ქვაბი" (იმერეთი), „ლინჯის ზაოდი" (სამეგრელო), „ჰარაყია ცხვადი" (სვანეთი) და ა.შ. საარყე ქვაბის განათხოვრება და გაქირავება მიღებული წესი იყო..

ც. კ.

ქვაჯვარი — აქ: საფლავის ქვის ძეგლი, ერთ-ერთი ტიპი მემორიალური კულტურისა, რომელიც ადრეული ქრისტიანობიდან მოკიდებული, ვიდრე დღევანდელ დღემდე, გამოიყენებოდა და იდგმებოდა გარდაცვალებულის საფლავზე. არცთუ იშვიათად ქვაჯვრებს, მათი უკეთ გამაგრების მიზნით, უკეთდებოდათ

ბუდე — კვარცხლბეკები, ასეთი ქვაჯვრების საუკეთესო ნიმუშები დასტურდება ზემო და ქვემო ქართლში. დიდი სიმბოლური დატვირთვის პარალელურად ქვაჯვართა გამოყენება საფლავის ძეგლად უფრო ხელმისანვდომი იყო მოსახლეობის ფართო ფენებისთვის, თუმცა როგორც სათუთი ძეგლი იოლად ნადგურდებოდა და მათი უძველესი ნიმუშები ცოტაა შემორჩენილი.

ლიტ.: ე. ნადირაძე, საქართველოს მემორიალური კულტურა, 2001

ე. ნ.

ქვევრი — ღვინის დასაყენებელ-შესანახი ჭურჭელი. ქვევრი მთლიანად მეღვინეობის საქმეს ემსახურება. კახეთი და იმერეთი ძველთაგანვე საქართველოს მევენახეობის უმნიშვნელოვანესი ცენტრები იყო, ამიტომ მექვევრეობაც ყველაზე მეტად ამ მხარეებში გავრცელდა. კახეთში მექვევრეობის ცენტრებია — ვარდისუბანი, ახალსოფელი, ყარსუბანი. ზემო იმერეთში კი ტყემლოვანი, ბოსლევი და დიდწიფელა. პატარა და საშუალო ზომის ქვევრებს ამზადებდნენ ქსნის ხეობაში, ლეჩხუმში.

ქვევრი ისე, როგორც სხვა ჭურჭელი, მზისა და ქარისაგან დაცულ ქარხანაში მზადდება, მისი გამოძერწვა ყველგან ხელით სატრიალებელ მორგვზე იწყება. მექვევრე ოსტატი ერთდროულად 10-დან 20-მდე ქვევრის კეთებას შეუდგება და რიგრიგობით ერთი ქვევრიდან მეორეზე გადადის. ქვევრი ერთჯერად არ შენდება, მორგვზე მხოლოდ ქვევრის ძირი შენდება, ძირის შეშრობის შემდეგ მისი შენება „სკამზე", ქვევრის ძირის დასადგამზე გრძელდება. თანდათანობით განსაზღვრულ სიმაღლეზე ამოყვანილი ქვევრი უკვე მიწაზე იდგმება, სადაც მისი შენება მთავრდება.

გამომშრალი ნვევრის გამოსანვავად საქართველოს ყველა მხარეში ოთხკუთხიან და ერთსართულიან ქურას ხმარობენ. ქურაში გამოსანვავად ქვევრის ჩადგმას სპეციალური ღვედებით შეიარაღებული კაცები ასრულებენ. საშუალო ქურაში გამოსანვავად დაახლოებით 6 ქვევრი და 20-მდე ქოცო ეტევა.სითხეჟონვადობის თავიდან ასაცილებლად გაცხელებულ ქვევრს შიგნიდან სანთელს ან ცხიმს უსვამდნენ, ხოლო ქვევრის მეტი გამძლეობის მიზნით გარედან ქვიშისა და კირის ხსნარის სქელი ფენით ფარავდნენ. საქართველოში დამზადებულ ქვევრთა მოცულობა სხვადასხვაა. მცირე მოცულობის — 10-12 ლიტრიან ქვევრს „ქოცოს" უწოდებენ, ხოლო დიდი მოცულობისას (1000-5000 ლიტრის ტევადობის) ჭურს.

ლიტ.: ვ. ჯაოშვილი, კერამიკული მრეწველობა საქ.-ში, 1959. ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა,. 1949.

მ. ზ.

ქვითკირი – ქვისა და კირხსნარისგან აგებული კედელი. ქვითკირით იგებოდა სახლი, სამეურნეო და თავდაცვითი ნაგებობანი.

ქვითხუროობა — ქვის დამუშავების ხელოვნება. ქვითხუროობას საქართველოში მდიდარი ტრადიციები გააჩნია, რის ჩამოყალიბებასაც ხელს უწყობდა სამშენებლო და მოსაჩუქურთმებელი ქვების საუკეთესო ხარისხის საბადოები. ქვითხუროობის მაღალი ხელოვნება სრულყოფილად გამოვლინდა როგორც საერო, ისე საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში, ასევე, საოჯახო ურთიერთობის სფეროში. უაღრესად მნიშვნელოვანია ქვითხუროობის დარგი ისტორიული თვალსაზრისით, რადგან ამ სფეროშიც გამოიკვეთა მოსახლეობის როგორც ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე რელიგიური რწმენა-წარმოდგენების ფართო სპექტრი. ქვითხუროობამ ასახა ისტორიული მოვლენებისა და ეთნოგრაფიული ყოფის საყურადღებო ფაქტები, რომელთა გაანალიზებით მრავალი ისტორიული რეალობის რეკონსტრუქცია ხდება შესაძლებელი. საგულისხმოა, რომ X ს. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების — ოშკისა და ქოროღოს ეკლესიის წარნერებსა და ბარელიეფებში დოკუმენტურადაა ასახული ქვის დამუშავების ეტაპები და სამშენებლო საქმიანობის პროცესები. ამ და სხვა რიგის ისტორიული მასალების გაანალიზებით ცხადი ხდება, რომ

ძველთაგანვე ქვითხუროობის დარგში ჩამოყალიბდა შრომის ორგანიზაციის ფორმები, რაც ნაკარნახევი იყო ფართო სამშენებლო პროცესებით. ირკვევა, რომ ქვითხუროობის მშენებელთა ორგანიზაციას სათავეში ედგა ხუროთმოძღვარი და „ზედამდგომელი", რომლებსაც ევალებოდათ მშენებლობის ზოგადი პროცესების წარმართვა. ხუროთმოძღვარს თანაშემწედ ჰყავდა „კალატოზი", ხოლო დიდი მშენებლობის დროს — „კალატოზთ-უხუცესი", რომელიც უშუალოდ განაგებდა შენების ტექნიკურ მხარეს. შემდეგ ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ „საქმის მოქმედნი", ანუ „მუშაკნი" — დღევანდელი გაგებით მშენებლობის ფიზიკურად შემსრულებელნი, რომელთა სამუშაო პროცესს წარმართავდნენ კალატოზთა და ქვითხუროთა „ზედამხედველნი". ქვის უშუალო დამამუშავებელთ ეწოდებოდათ „ხურონი ქვათა", სადაც ერთიანდებოდნენ: „ქვის მხდელები" (ლოდთა მომტეხნი), „ქვის გამომკვრელნი", „ქვის მომჭრელნი", „ქვის მომჩუქურთმებლები".

ქვითხუროობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვის დასამუშავებელ იარაღებს, რომელთა მაღალხარისხოვანი ნიმუშების შექმნას ხელს უწყობდა, როგორც სამთამადნო წარმოების შესაბამისი ბაზა, ასევე ლითონის დამუშავების უძველესი ტრადიციები, რომლის ჩამოყალიბების სათავეში დგანან ქართველური მოდგმის ტომები: თუბალები, ხალიბები, მოსინიკები.

სხვადასხვა სახის ქვის ჯიშის დამუშავება მოითხოვდა მისთვის შესაფერის რკინა-ფოლადის იარაღს. ამ გარემოებას კარგად იყვნენ დაკვირვებული ქვითხურონი და შესაბამისი პირობების წაყენებით უკვეთავდნენ იარაღებს მჭედლებს.

ქვის დასამუშავებელი იარაღები თავისი ფუნქციის მიხედვით იყოფა ოთხ ძირითად ჯგუფად: I. ქვის გასაპობი და გამოსატეხი II. ქვის საწვერ-სათლელი და საჩუქურთმებელი; III. ქვის სამართ-საზომი და ასანევ-გადასაბრუნებელი და IV. ქვის გადასაადგილებელი. თავის მხრივ, თითოეულ ამ ჯგუფში სხვადასხვა სახის იარაღები ერთიანდება, რომელთა საერთო რაოდენობა ორმოც ერთეულს აჭარბებს.

ქვითხუროობა საქართველოში მეტ-ნაკლებად ყველგან იყო განვითარებული. განსაკუთრებით დაწინაურებული იყო იმერეთში, მესხეთში, ქართლში, მთიულეთში. ქვითხუროობამ თავის განვითარების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია სასულიერო არქიტექტურაში. განვითარებული ქვითხუროობის წყალობით ეკლესია-მონასტრების გაფორმების სტილმა თვითმყოფადი, ეროვნული ხასიათი მიიღო.

ქვითხუროობას დიდი ადგილი ეჭირა სამეურნეო და საყოფაცხოვრებო სფეროში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, ნაირგვარი საფლავის ძეგლები, ნისქვილის ქვები და წისქვილის გვიმები, ბუხრები, წყარო-ნაგებობანი, ჭები, ჭიშკრის მასიური სვეტები, ყორენაგებობანი, ქვაფენილები, სანიაღვრე ღარები. სამეურნეო დანიშნულების საგნები — საცეხველი, საქაჯავი, (ჭაჭის საწნეხი), საწნახელი, საოჯახო მოხმარების ჭურჭელი — ქვის კეცები, ჯამები, ასევე წყლის მოსაკავებელი როფები, მაგიდები, სკამები და ა. შ.

ისტორიული სახის დოკუმენტებსა და ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებული ნივთიერი მასალა თვალნათლივ ადასტურებს ქვითხუროობის ნამზადის სამომხმარებლო მნიშვნელობას როგორც წარსულში, ასევე თანამედროვე პირობებშიაც.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, 1946. ს. ბედუკაძე, ქვის დასამუშავებელი იარაღები, სსმმ, XII B, 1960. ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. ნ

ქვის ბლოკი — ოთხკუთხად გათლილი ქვის ბლოკები, ძირითადად გამოიყენებოდა საზოგადოებრივ მშენებლობაში.

ქვიშინა (რაჭ.) — ღვინის სასმისი ხის ჭურჭელი. აკეთებენ მსხლისა და ლეღვის ხისგან. თავფართოა, კვერცხისებური ბოლოთი. აქვს ტარი და იხმარებოდა კათხიდან ღვინის ამოსაღებადაც. იგი წააგავს აზარფეშას, დიდ ქვიშინაში ერთ ლიტრამდე ღვინო ჩავა.

ე. ნ.

ქვიჯა — სანაყავი სხვადასხვა ნივთიერებისთვის. ხის, რკინის, სპილენძის ქვიჯები ფართოდ იყო გავრცელებული მოსახლეობაში. იხმარებოდა როგორც საოჯახო საქმიანობაში მწვანილეულ-სუნელებლების დასანაყავად, ასევე ოქრომჭედლობაში სხვადასხვა მინერალების დასანაყავად. ქვიჯა წარმოადგენს როდინის (იხ) ნაირსახეობას.

ე. ნ.

ქიბორჯი// ქიბორჯაი (მთიულ.) —1. შვინდის ხის ორკაპი ჯოხი. ხვნის დროს მეხრე გუთნის — „ნერწენას"//ნეწენას დაანვება ქიბორჯის ორკაპით და ამით არეგულირებს ხვნის პროცესს. გ. ჩიტაიას თვალსაზრისით სახვნელი იარაღის განვითარების დასადგენად (იმ შემთხვევაში, როცა პირდაპირი ცნობები არ მოიპოვება) გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი მონაცემები, რაც სახვნელის მუშაობის პროცესთან არის დაკავშირებული. ასეთ შემთხვევეში სამაგალითოდ გამოდგება მთიულური ქიბორჯი. როგორც ცნობილია, საქართველოს მთაში გავრცელებული იყო მოკლემხრიანი სახვნელები, იგი განკუთვნილი იყო მძიმე, ქვიან — რიყიანი მიწის მოსახვნელად. მიწის ხვნისას ქიბორჯი გამოყენებული იყო როგორც გუთნის მოძრაობის დამხმარე საშუალება. ამ თვალსაზრისით იგი უნიკუმს წარმოადგენს, რაც კიდევ უფრო ამტკიცებს დებულებას ქართული სახვნელი იარაღების ორიგინალობისა და სიძველის შესახებ. 2. საშუალო სიდიდის ისარი.

ლიტ.: გ. ჩიტაია, შრომები, ტ. I 1987.

ე. ნ.

ქილა — თიხის ოვალური ფორმისა და სხვადასხვა ტევადობის თიხის ჭურჭელი, რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა სამეურნეო და საოჯახო სფეროში.

ერთსახოვანი, მაგრამ ტევადობით განსხვავებული ქილები, მზადდება საქართველოში კერამიკული ნარმოებით ცნობილ ცენტრებში. ქილები კეთდებოდა როგორც მოუჭიქავი, ასევე მოჭიქული, მცირე და საშუალო ზომისა. ფორმით ქილა იყო როგორც ტუჩიანი, ისე უტუჩო, პირგადაშლილი, პირშეკრული, ქობიანი, უქობო, უყურო, ყურიანი, ორყურა და სხვა.

აღმოსავლეთ საქართველოში სხვადასხვა ზომის ქილები ცნობილია „ქოცო ქილის", „მწნილის ქილის", „ძირის ქილის", „ერბო ქილის", „საზედაშე ქილის", „ორყურა ქილის", „საქალაქო ქილის", „საარაგვო ქილის" სახელწოდებით. დასავლეთ საქართველოში გვხვდება: „სანველული", „სახორბლე", „საფქვილე", „საყველე ქილები".

ქილების უმეტესობისთვის ნიშანდობლივია პირის ქობის დამშვენება „თევზიფხური" ორნამენტით. დიდ ქილებს მხარზე და ძირთან შემოვლებული აქვს თოკისებური გრეხილი. ანალოგიური სარტყლით ჭურჭლის შემკობის წესი დამახასიათებელია როგორც გვიანბრინჯაოს, ისე ადრეფეოდალური ხანის კერამიკისთვის.

მ. ზ.

ქილა საარაგვო — ყველის შესანახი დიდი ზომის თიხის ჭურჭელი. საარაგვო ქილა მზადდებოდა ქსნის ხეობის სოფ. ცხავატში, მასზე განსაკუთრებული მოთხოვნა იყო საარაგვოში (სახელწოდებაც აქედან მოდის).

საარაგვო ქილას პირიც და მუცელიც მეტად ფართო აქვს და ყველის დიდი თავის შესანახად ხელსაყრელია. არაგვის ხეობის მოსახლეობა გასაყიდი ყველის ქალაქში საარაგვო ქილებით ჩამოჰქონდა.

მ. ზ.

ქილა საქალაქო — წყლის მარაგისთვის განკუთვნილი დიდი ზომის თიხის ჭურჭელი. იგი მზადდებოდა ქსნის ხეობის სოფ. ცხავატში. სანამ წყალს გაიყვანდნენ, თბილისში მასზე დიდი მოთხოვნილება იყო. განსაკუთრებით ხელოსანთა რიგში, სადაც წყლის მომარაგება ჩვეულებრივ წესად იყო მიღებული. საქალაქო ქილის მსგავსი ჭურჭელი დამოწმებულია იმერეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში: დერგის, ხალამირსა და საფქვილეს სახელწოდებით. დიდი ზომის თიხის ჭურჭლების დამზდების ტრადიციას ენეოლითში ეყრება საფუძველი. ვარაუდობენ, რომ ასეთი ჭურჭელი უმთავრესად მარცვლეულისა და საკვები პროდუქტების შესანახად გამოიყენებოდა. მათი ნიმუშები აღმოჩენილია თრიალეთში — სოფ. გუნიაყალაში, საჩხერეში, დმანისში და სხვაგან.

მ. ზ.

ქინძისთავი – აქ: გულის ქინძისთავი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სამკაულს, რომელსაც ქალები ხმარობენ. გულის ქინძისთავს აკეთებენ ოქროს, ვერცხლისა და პლატინისაგან, აგრეთვე სხვადასხვა ძვირფასი და ნახევრად ძვირფასი ქვების გამოყენებითა. ქინძისთავის გამოსაყვანად იყენებენ კვერვას, ამოჭრას, ტვიფრვას, აჟურულ ჭრილს, ფილიგრანს, მინანქარს და სხვა. გულის ქინძისთავები

კონფიგურაციისა და სახის მიხედვით გვხვდება: მრგვალი, ოვალური, შტოსებური, ღეროსებური — ყვავილებითა და ნაყოფით, ისრისებური და სხვა. გულის ქინძისთავებს ეკუთვნის აგრეთვე კამეია. ის ოვალურია, იშვიათად მომრგვალო ფორმის რელიეფურად ამოჭრილი ქალის თავის ან სხვა რაიმე გამოსახულებით. კამეას აკეთებენ ოქროს ბუდეში ჩასმულს, ნიჟარის, მარჯნის, აქატის, სარდიონის, ონიქსისა და სხვა. ქინძისთავები იკეტება დამცველიანი ან უდამცველო საკეტით. როგორც გულის, ისე შუბლის ქინძისთავი, საქართველოში ძალზე გავრცელებული სამკაულია. შუბლის ქინძისთავს „ჩიხტზე" იმაგრებდნენ. შედგებოდა თავისა და ნემსისაგან. შუბლის ქინძისთავი ძირითადად მზადდებოდა ოქროსაგან, იყო ერთთვლიანი ან „ბახჩით" შემკული. ერთთვლიან ქინძისთავებში ჩასმული იყო ლალი ან ალმასი, ბახჩა კი ბრილიანტებით ან ალმასებით იყო განყობილი. უფრო გავრცელებული იყო ალმასის ბახჩა. შუბლის ქინძისთავი ქართველი ქალის ნაციონალური კოსტიუმის განუყრელი სამკაული იყო.

ლიტ.: სულივანკინი ს. სერენკო პ. ციპლაკოვი პ. საიუველირო საქონელი და საათები, 1958.

მ. ბ.

ქირაფქა — ჯაჭვის პერანგის ნაირსახეობა. ქირაფქა ჯაჭვის თითოეული რგოლი (ჭიკუ) „არს მობრტყე, ფარეშოვანი, რბილ-ბასრი და უფრორე ბასრი, გადაგრეხით ადვილად გასატეხელი"(საბა). „ქირაფქა ჯაჭვის" ნიმუშები საკმაოდ იყო შემონახული ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში (ხევს), რომელნიც ამჟამად დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში (იხ. ჯაჭვის პერანგი).

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II. 1993.

მ. ქ.

ქისა — 1. სანვრილმანოთა შესანახი, ხელზე სატარებელი, უბეში ჩასადები ან ქამარზე ჩამოსაკიდებელი. აკეთებდნენ ტყავისა და ნაჭრისაგან. რთავდნენ სხვადასხვა ორნამენტით, ოქრომკედით, ფერადი მძივებით, ნაქარგობით, წარწერებით. სულხან-საბას განმარტებით, ქისა, ანუ „კისა" სხვათა ენა ყოფილა, ქართულად კი თალისა რქმეია. ქისისათვის გამოიყენებოდა კარგად დამუშავებული ტყავი, ე.წ. ნატი (იხ), ხავერდი, მსხვილი ძაფი, ქისა ფუნქციის მიხედვით განიყოფებოდა და იყო საფულე, საქაღალდე, სათუთუნე, საეკლესიო დანიშნულების. ქისები ძირითადად მზადდებოდა შინახელოსნური წესით და ფართო მოხმარების საგანს წარმოადგენდა.

საპატარძლოდ მომზადებული ქალები დაინტერესებულნი იყვნენ მომავალი მეუღლისათვის სასაჩუქრო წინდებთან ერთად, ქისებიც დაემზადებინათ. ეს ძღვენი საგანგებო მორთულობას ითვალისწინებდა. ამ მხრივ ქსოვილის ქისები გამოირჩეოდა. რომელთა ზედაპირზე გამოჰყავდათ ნაქარგი სახეები. გრეხილებითა და ზონრებით შემკულებს წარწერებიც ერთვოდა. მაგ.: „მე ვარ ქისა მინანქრისა, მისართმევი მიჯნურისა". უპირატესობა ეძლეოდა მძივებით განყობილ ჭრელ საქალო ქისებს. მიჯნურს გარდა ქისით ასაჩუქრებდნენ ნათლიას, საქმროს, კეთილის მოსურნეთ. საძღვნო დანიშნულებასთან ერთად ზოგი ქისა სამზითვო იყო, ზოგი საბაზრო ხასიათისა.

2. აბანოში მოსახმარი, გასაპნული ნაჭერი, რომელიც გაიბერება და უამრავ ქაფს აყენებს.

ც. ბ.

ქიტურა (ხევს.) — ხის მრგვალთავიანი, საწვნე კოვზი.

ქნარი — არფის ტიპის სიმებიანი საკრავი. ბიბლიურ მეფე დავითს სულიერი მღელვარების ჟამს უყვარდა ქნარის ჰანგების მოსმენა. ეს ვითარება აისახა ბაგრატიონების გერბის სიმბოლიკაში, რომლებიც თავს დავითის შთამომავლებად თვლიდნენ და ამდენად, მათ სამეფო გერბში ქნარის გამოსახულება ამ დამოკიდებულების გამომხატველია.

ე. ნ.

ქობაჩი შალი — ქობაჩი სოფელია ლეკეთში, სადაც ამზადებდნენ საუკეთესო ხარისხის საჩოხე შალს. ფართო გამოყენება ჰქონდა საქართველოში.

ქობინა — სარეცხის საცემი სატყეპელა ჯოხი, რომელსაც ერთი მხარე დაჭდეული აქვს.

ქობობი — ერბოში მოზელილი დიდი პური. მის მოსამზადებლად საჭირო იყო 12-14კგ ფქვილი, 1 ლიტრა ერბო სჭირდებოდა. ვაჟის ოჯახის მიერ ქალის დანიშვნისათვის განკუთვნილ ძღვენს წარმოადგენდა.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, 1978.

გ. ა.

ქობუნა — კრამიტის მოსაჭრელი ყალიბი. ქობუნას ერთი ბოლო ვიწროა, მეორე გაფართოებული. ვიწროს შუაში პატარა წვერი აქვს გამოთლილი, ფართო ბოლოს კი მრგვალად მოყვანილი ტარი. ყალიბში ჩამოსხმულ, ზედაპირგადასწორებულ კრამიტს სველ ხელს მოუსვამენ და ქობუნაზე გადმოიტანენ. ამ დროს მეკრამიტე ქობუნას ტარს მუცელზე მჭიდროდ იკრავს, რათა მან არ იმოძრაოს. გადმოცურების შედეგად ყალიბს თიხა გამოეცლება და ყალიბში დაბრტყელებული თიხა ქობუნაზე დარჩება. კრამიტი ქობუნის მსგავსად მოიხრება და მის ფორმას მიიღებს.

მ ზ.

ქოთანი — საოჯახო თიხის ჭურჭელი. მოხმარება-დანიშნულების მიხედვით არჩევენ: სარძევეს, საწველელს (უყურო, ტუჩიანი, ორყურა), ყველის ამოსაყვანს, ყველის შესანახს, საჭმლის მოსამზადებელს, საჭმლის წასაღებს და ა.შ. ზოგიერთი ქოთანი მისადაგებულია მასში მოსამზადებელი პროდუქტის თვისებას მაგ., ყველის ამოსაყვანი თიხის ქოთანი, ბრტყელძირაა, მკვეთრად გამობერილგვამიანია, დაბალყელა, ფართოდ პირგადაშლილი ყველის ამოყვანისას ხელებმა რომ თავისუფლად იმოძრაონ. საწველელ ქოთანს ორი ყური, კოტიანი პირი და ტუჩი აქვს, რომ შიგთავსი რძე ადვილად გადმოიღვაროს. აღსანიშნავია დახვეწილი, ორიგინალური ფორმის, ე.წ. სალობიე, საშეჭამანდე, ქოთნები. ზოგიერთ ქოთანში, კერძი შუა ცეცხლთან მიდგმით იხარშება. ზოგიერთი კი სამფეხზე იდება. ცეცხლზე სახმარი ჭურჭელი სადაა და მოუჭიქავია, როგორც ხელოსნები აღნიშნავენ „აზრი არა აქვს ასეთი ჭურჭლის გამშვენიერებას, რადგან ცეცხლზე ხმარების შემდეგ სულერთია ჭრელი არ შეიმჩნევა. საინტერესო ფორმა აქვს თიხის ე.წ. „ხელსაქმის ქოთანს", იგი მდიდრულად არის მოხატული, ცნობილია აგრეთვე თიხის „საყვავილე ქოთნების" მრავალფეროვანი ნიმუშები; ბრტყელძირიანი, ოვალურძირიანი, ქუსლიანი, ორსართულიანი, პირგადაშლილი, კოტიანი და ა.შ. საყვავილე ქოთნების უმეტესობა შემკულია მცენარეული ორნამენტით.

ც. ჯ.

ქოთარა — ფელუკას ტიპის, მხოლოდ უფრო დიდი ზომის ნავი, სატვირთო და სათევზაო დანიშნულებისათვის. გავრცელებული იყო ლაზეთში.

ქორალიმზირი (სვან.) — სახლის მფარველის სახელზე გამართული ლოცვა-ვედრება, რომელსაც ქალები მართავდნენ კაცების ფარულად. ქორა ლიმზირის შესრულების დროს ლემზირებს სწირავდნენ მეზირს(იხ) და კერასაც. ამ დანიშნულებისათვის ცხვებოდა კერის შესაწირი კვერი.

მ. ხ.

ქორი//ქორედი — შენობის ნაწილი, მისი ზედა სართული, შესაძლებელია დღევანდელი მანსარდის ტიპის, სადაც ძირითადად ზაფხულში ცხოვრობდნენ. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით, ქორი//ქორედი ასევე შესაძლებელია ყოფილიყო სვეტებიან-კამაროსანი ნაგებობა. ქართულ მეტყველებაში ეს სიტყვა ტოპონიმის ფორმითაა შემონახული. მაგ., „ქორეთი" (სოფელია ზ. იმერეთში).

ე. ნ.

ქოქა — ხევსურული სადიაცოს ფარაგის ქვეშ ჩასაფენი, ყელსადები. მასალად გამოიყენებოდა როგორც ადგილობრივად მოქსოვილი შალის — (ტოლი), ისე ბამბის ქსოვილებიც. ქალის ყელის მხოლოდ წინა ნაწილის დამფარავი ეს ელემენტი ნაჭრის ვიწრო ზოლს წარმოადგენდა, რომელიც უკან, კისერთან მაგრდებოდა და ხშირად მოქარგული და სამკაულებით იყო გაწყობილი. ზოგიერთ მათგანს ყელის გასწვრივ ერთმანეთის მიყოლებით ჩამოსდევდა ბრტყელი და მოკლე, ბოლოში ფუნჯით დასრულებული ნაწილები — „ზინზილები", ვერცხლის შიბებითა და სხვა სამკაულებით მდიდრულად გაწყობილი. ქოქა ერთდროულად ყელსაფენიც იყო და სამკაულის ფუნქციასაც ასრულებდა.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, ხევსურული ტალავარი, 1956.

ც. ბ.

ქოქირა//შავი ჯაჭვი — თუში ქალის სამგლოვიარო ნიშანი. შედგებოდა წვრილი რგოლებისგან დაწნული ჯაჭვისა და მის ბოლოზე მობმული შავი ფოჩებისაგან. ფორმით ვინრო და გრძელ ამ ჯაჭვს კაბაზე უბის გასწვრივ ხან მარჯვნივ იმაგრებდნენ და ხან მარცხნივ. თუ ქალს ჯალაბთ მხრიდა დააკლდებოდა ვინმე, მაშინ ქოქირას კაბის მარჯვენა მხარეზე დაიმაგრებდა, თუ ქმრის ნათესავი გამოაკლდებოდა — მარცხენაზე. გოგონებს გლოვის გამომხატველი ასეთი ფორმის პატარა ნიშანი კაბის ზურგზე ეკერათ. კაბის მხრებიდან დანყებული ქოქირას სიგრძე ქალის წელს საგრძნობლად უნდა დასცილებოდა. ამ ნიშნის ტარება ძველ თუშეთში სავალდებულო ყოფილა სრულწლოვანი მამაკაცისთვისაც. უმეტესად ძმისა და შვილის დაკარგვის დროს. თუშეთში გლოვა ერთიდან სამ წლამდე გრძელდებოდა. გლოვის ამ პერიოდში, ყოველ შაბათს, შავჯაჭვოსანი ქალი ვალდებული იყო მისულიყო მდინარესთან, ჯაჭვის ბაწრიანი ფოჩი წყალში ჩაებერტყა, ეხსენებინა მიცვალებულის სახელი და წყლისთვის გაეყოლებინა სიტყვები: „ღმერთ მიწყალისო". შავების გახდის დრო რომ მოახლოვდებოდა, ჭირისუფალი გამოაცხობდა სამ კოკორს, მოამზადებდა სასმელს, აანთებდა სანთლებს და მიცვალებულს დაიტირებდა. მერე თავისი გვარის ქალების თანხლებით გავიდოდა ჩამდინარე წყალთან, წყალში ამოავლებდა ჯაჭვს, უძმო ქალი მაკრატლით შემოაჭრიდა ჯაჭვს ფოჩებს, დაკუნავდა და მიმალულ ადგილას გადაყრიდა. უფოჩო ჯაჭვს კი უკან მოაბრუნებდა. თუშეთს დამოწმებულ სამგლოვიარო ჯაჭვს თავისებური შეხვედრა აქვს ოსეთში გავრცელებულ აბრეშუმის ზონრებით ამგვარივე დანიშნულებით გამოყენების წესთან.

ლიტ.: გ. ბოჭორიძე თუშეთი, 1993. ც. ბეზარაშვილი თუში ქალის ტალავარი, კრ. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967.

ც. ბ.

ქოქლო //ქოქლუა//კაბურა — ხევსური ქალის გარეთ, ყოველდღიური ჩასაცმელი. მასალად გამოყენებულია ადგილობრივი, საოჯახო წესით სხვადასხვა ფერის მოქსოვილი შალი — „ტოლი". ჩოხისებური მოყვანილობის, შეუკრავი და წელში გადაჭრილი. აქვს მაღალი საყელო და მხრებთან სნორად მიდგმული, განიერი, მოკლე და იღლიის ძირამდე გაუკერავი სახელოები, რომელთა ნაპირები ალაგ-ალაგ გაბმული ზონრებით არის დაკავშირებული. ცალ მხარეს ზოგჯერ ჩაჭრილია საჯიბრეც. ქოქლო გაწყობილია ხევსურული ტალავარისათვის დამახასიათებელი ნაქარგობით, რომელიც შესრულებულია მატყლის ძაფისა („შიბაით დაკერული") ან აბრეშუმის ძაფებით („აბრეშუმის ნაჭრელაი"). მორთვაში ჩართულია აგრეთვე ფერადი ქსოვილების სხვადასხვა ფორმაზე დაჭრილი ნაჭრებიც (აპლიკაცია). ნაქარგობაში უხვადაა ჩართული თეთრი ღილ-მძივი, ვერცხლის სამკაულები, მონეტები. ჭრელში უპირატესი ადგილი ჯვარს უჭირავს, რომელიც ხევსურთა უძველეს რელიგიურ მსოფლმხედველობასთან იყო დაკავშირებული.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, ხევსურული ტალავარი, მსე, ტ. VIII, 1956.

ც. ბ.

ქოში — ქუსლიანი ფეხსაცმელი, ნახევრად ღია. ქოშის ტიპებია: ღრმად ამოღებული, ენიან-საფერხულიანი, ჭვინტიანი და ბლაგვცხვირიანი. უამინდობაში რბილლანჩიან ფეხსაცმელზე იცვამდნენ სადა ქოშებს. ქოში იხმარებოდა როგორც ყოველდღიურად, ასევე გამოსასვლელად. იგი გავრცელებული ფეხთსამოსი იყო მთელს კავკასიაში. მაღალი წოდების წარმომადგენელი ქალები მორთულ ქოშებს ატარებდნენ. კავკასიაში განსაკუთრებით დაღესტანში ქოში ეროვნული ფეხსაცმლის სახეა. ყუბაჩში ქოშებს მზითევში ატანდნენ პატარძალს. ქალის ქოში იკერებოდა ისევე, როგორც მამაკაცისა, მხოლოდ გამოსასვლელი მოიქარგებოდა ოქროსა და ვერცხლის ფერად-ფერადი აბრეშუმის ძაფებით. ქოში დაჭედილი იყო ნალით.

ნ. ჯ.

ქოცო — მცირე ტევადობის თიხის ქვევრი, ღვინის არყისა და ტკბილის ჩასასხმელად. ქვევრზე პატარაა და კოკაზე მოზრდილი — 20-40 ლიტრის ტევადობის. მცირე ტევადობის ქვევრთა რიცხვს მიეკუთვნება აგრეთვე „ყვიბარი", „ლახუტი". (დას. საქ.), „ლაგვანი" —(სამეგრ.), შროშაში 10- 12-ლიტრიანი ქოცოებიც

მ. ზ.

ქოჭი — ხის კეხი დიდი ტვირთის (თივა, ჩალა, შეშა,) საზიდავად. ქოჭს ჩვეულებრივ ადგამდნენ ვირსა და ჯორს. „შენგან დადგმული ქოჭები უნდა ვატარო ვირულად" (ხალხ.), ქოჭებზე ადგამდნენ კოკებს და მოჰქონდათ წყალი შორი მანძილიდან.

მ.მ.

ქოხი (ხევს.) — აქ: ლიტონი ყორით ნაშენი ცალკე მდგარი ჩალით გადახურული შენობა, სადაც ხევსური ქალები მშობიარობდნენ. ქოხში მარტო მშობიარე იყოდა მასთან მიკარება არავის შეეძლო. პურსაც შორიდან გადაუგდებდნენ და წყალსაც ზემოდან ჩაუსხამდნენ, რათა ამით ჭურჭელი არ გაუწმინდურებულიყო (იხ. სამრელო)

ე. ნ.

ქრიზოლითი — მოყვითალო მომწვანო ფერის მოელვარე მინერალი. ძველ საქართველოში „ოქროს ქვის " სახელითაც იყო ცნობილი. გამოიყენებოდა ოქრომჭედლობაში სამკაულთა შესამკობლად.

ლიტ.: ე. ზუხბაია, ქვის კულტურა საქართველოში, 1965.A

ე. ნ.

ქრიჯა//ყოში (ხევს.) — კასრიდან ფქვილის ამოსაღები, ხელიანი ნიჩბისებური კოვზი.

ქსანი — საწონი, საწყაო. წერილობითი წყაროების მიხედვით იხმარებოდა XVII ს-დან როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. ძირითადად გამოიყენებოდა სანთელ-საკმევლის, ნიგვზისა და ერბოს საწონად. საწონი ერთეული ქსანი ლიტრის 1/16-ს აღნიშნავდა. ასე განსაზღვრავდა მას სულხან-საბა ორბელიანი, გიულდენშტედტი და თეიმურაზ ბაგრატიონი. ზოგიერთი მკვლევარი (ნ. ხანიკოვი, ჟ. კარსტი, თ. ბაგრატიონი) ფიქრობს, რომ ტერმინი „ქსანი" ქართულია და ნაწარმოებია სიტყვა ექვსისაგან. დასავლეთ საქართველოში ქსანის წონა უფრო მოზრდილი იყო და 3340 გ-ს შეადგენდა, როგორც საწყაო, ქსანი ნახევარჩარექის ნახევარს წარმოადგენდა და ერთ ჩაის ჭიქით განისაზღვრებოდა. მას ძირითადად არყით ვაჭრობის დროს იყენებდნენ. ქსანი სპილენძისაც იყო და თიხისაც, ჰქონდა ყური. სპილენძის საწყაო პირფართე იყო, თიხისა კი პირვიწრო.

ლიტ.: ჯ. სონღულაშვილი, საქართველოს მეღვინეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის, 1974. გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973.

მ.ხ.

ქსელი — აქ: განსაკუთრებულად მძიმე საგნების საგანგებო საზიდი. ესაა ოთხკუთხად შეკრული ჩარჩო თუშის მსგავსად (იხ. თუში), რომელსაც მიაგორებდნენ მორების მეშვეობით.

ქსენონი — სახლი ავადმყოფთათვის. დავით აღმაშენებლის დროს საქართველოში გამრავლდა ქსენონები, რომელთა ფუნქციონირებას და მასში არსებულ წესრიგს მეფე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა.

ე. ნ.

ქსოვილი სახიანი — ფერადი ნართით ნაქსოვი და ნაირფრად შეღებილი ბამბის, შალის, აბრეშუმისა და სელის ფეიქრული ნაწარმი. მათ განეკუთვნება ზოლიანი (ქართლ-კახ.), ღვედიანი(ლეჩხუმი)// ფორჩხებიანი(გურია).უჯრებიანი// ჭადრაკული//კუბოკრული//ფუთური (იმერ.)//დოლაბდოლაბი (სამცხე-ჯავახ.)//ფოტური (გურ.)//კუპლეტებიანი (ლეჩხ.)//ნახჭიანი (რაჭ.) ქსოვილები. სახიანი ქსოვილებიდან საქართველოს მთიან ნაწილში მზადდებოდა ფარდაგ-ფიჩვი, ხალიჩა, ჯეჯიმი. ბარის ზონის რეგიონებში იქსოვებოდა ზოლიანი, უჯრებიანი-კუბოკრული დაჩითული ბამბის, აბრეშუმის, სელის სახიანი ქსოვილები. ისინი მოიხმარებოდა ლოგინის (ლეიბი, საბანი, ბალიში) გადასამოსავად, ფარდებად, არტახებისათვის, სარტყლებად, წინსაფრებად, ქალის კაბის მასალად და სხვა. სახიან ქსოვილებში სხვადასხვა ფერის ნართი



ხევსურული ტყავი

ტიკი

— საქსელი და მისაქსელი, გარკვეულ ფერთა მონაცვლეობით იყო განლაგებული.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, საქართველოს მუზეუმის საჩითაველი, 1962. მსშხი, ტ. II, ნან. II, 1982.

ლ.მ.

ქუა — მასის საზომი ერთეული ფეოდალურ საქართველოში. ღომის საწყავადაა დასახელებული XVI ს. საბუთში. ეთნოგრაფიულ ყოფაში აღარ დასტურდება.

ლიტ: ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002.

ქუბდია —ხის სამარილე, ერთი ციდა სიამღლე აქვს, ერთ ციდაზე მეტი პირის სიმაღლე.

ქუდი — მამაკაცთა და ქალთა თავსაბურავი. საქართველოში გავრცელებული იყო სხვადასხვა სახის ქუდები, რომლებიც მზადდებოდა ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით. ქართული ქუდის ტიპური ნიმუშებია: კახური ნაბდის ქუდი, იმერული ფაფანაკი და ფარფალა ქუდი, სვანური, ხევსურული და თუშური ქუდები, მოხევური წიწაკა ქუდი და სხვა. ფართოდ გამოიყენებოდა აგრეთვე კრაველის, ყალმუხის, ბუხრის და სხვა ტიპის ქუდები.

XII ს. ბიზანტიელი სასულიერო პირი და ისტორიკოსი ევსტათი თესალონიკელი თავის ერთ-ერთ ისტორიულ შრომაში ახსენებს „იბერიულ ყაიდაზე შეკერილ კვამლისფერ ქუდს", რომელიც დამზადებულია სახიანი ნაკეცებითა და ქობით. ქუდი ხურავს ბიზანტიელ ნარჩინებულს დავით კომნენოსს. სხვათა შორის, ამ ავტორისავე ცნობით ირკვევა, რომ ქუდს სიმბოლური დანიშნულება ჰქონია. კერძოდ, ქუდის კვამლისფერობა გაიგება, როგორც კომნენოსის განზრახვა, კვამლში გაეხვია ყველა მოწინააღმდეგე, ვინც მის ძალაუფლებას არ დამორჩილებოდა. თავსაბურავის ასეთი სიმბოლური დატვირთვა საყოველთაოდ მიღებული წესი იყო როგორც ძველი აღმოსავლეთის, ისე დასავლეთ ევროპის ხალხებში.

ქუდი უძველესიდან ითვლებოდა ადამიანის თანამდებობის, მდგომარეობისა და ღირსების ნიშნად.

ლიტ.: ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. VIII, 1970.

ე. ნ.

ქუდი ბუხრისა//ბუხრის კალამი (ლეჩხ.) — ქვაში გამოთლილი ბუხრის ყელის დამამთვრებელი დეტალი, რომელიც ამაგრებს ბუხრის ყელს და იცავს ბუხარს ქარ-წვიმისგან.

ე.ნ.

ქუდი ტყავის — ქუდი ადამიანებს ერთმანეთისგან განასხვავებდა თანამდებობრივი, ქონებრივი, წოდებრივი და ეროვნულ-ეთნიკური ნიშნითაც კი. ტყავი, როგორც ნედლეული მასალა უძველესი დროიდან იყო გამოყენებული კოსტიუმის ელემენტად და ამ მხრივ, განსაკუთრებულ გაქანებას მიაღწია ტყავის ქუდების დამზადება-მოხმარებამ. ტყავის ქუდები იყო საჩეხიანი ანუ კიდეებიანი და მის გარეშე. საქუდე ტყავის მასალად იყენებდნენ ბატკნის ტყავს, რაც უფრო ახალგაზრდა იყო ბატკანი, ტყავი უფრო ხუჭუჭი და ლაზათიანი გამოდიოდა. დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო წვრილთავიანი, სწორთავიანი და გალიბანდის (ფართო თავიანი) ტიპის ქუდები. ხევში იხმარებოდა „ბოხოხი", „საღამურა" და „ყურიანი" ქუდები. ჩვეულებრივ ბოხოხს საშუალო ასაკის ცხვრის ტყავისას კერავდნენ, თუმცა ბატკნის ტყავი საუკეთესოდ ითვლებოდა. ორგვარი ყოფილა ქუდის „ცა"— ბრტყელი და კონუსისებური. ორივე სახის ქუდს ქსოვილი ჰქონდა გამოკერებული. „ცაბტყელი'' ქუდი ზაფხულში იხმარებოდა, კონუსისებური ზამთარში. მას ქალაქში „წოპნოპიანს" და „ჩობანურს" უწოდებდნენ. ..საღამურას" ღამე იხურავდნენ. ტყავზე ბენვს სანახევროდ კრეჭდნენ და მას კერვის დროს შიგნით აქცევდნენ. ქუდებისათვის საპირე ტყავი ადგილობრივ გამოპყავდათ, ყურიანი ქუდის სასარჩულე მეში თბილისის გარდა კავკავიდანაც შემოჰქონდათ. სვანეთში ნაბდის ქუდთან ერთად ბენვის ქუდსაც ხმარობდნენ, მას „ბობეხს" უწოდებდნენ. ქუდი ნემსითა და ძაფით იკერებოდა. ადრე უთარგოდ, თვალზომით კერავდნენ. მოგვიანებით კი თარგი გამოიყენებოდა. ტყავს ჯერ სარჩულს დაუდებდნენ, რაზეც ძვირფას ქსოვილს ფენდნენ. მას ზომაზე გამოჭრილ მეშს დაადებდნენ. შიგნიდან კი ქობას მიაკერებდნენ და ბოლოს ქუდს „ცას" (ქალა) დაამაგრებდნენ. სეზონის მიხედვით ქუდი ზამთარსა და ზაფხულში სახმარი იყო. XIX ს-მდე ტყავის ქუდი მამაკაცების ჩაცმულობის ატრიბუტია. XVIIIს-ის წყაროებში იგი ქალის თავსაბურადაც გვხვდება მხოლოდ ცხენის მოგზაურობის დროს. სამზეურთან ერთად ქალს ქუდიც სჭირდებოდა. მექუდეობა ხელობის ცალკე დარგი იყო და მათ „ჭონები" ეწოდებოდათ. XVIII საუკუნის ბოლოს თბილისელი ჭონები კავკასიის მთის ხალხებსა და ირანელ

მეზობლებს სხვა ნივთებთან ერთად ქუდებსაც აწვდიდნენ. ქუთაისელი მექუდეების მიერ შეკერილ ბეწვის ქუდებს ადგილობრივ, მის ახლომახლო რაიონების სოფლებსა და ლეჩხუმში სეზონურად მოწყობილ დიდ ბაზრობებზე ყიდდნენ. ამიტომ ტყავის ქუდის წარმოება და მისი მოხმარების ტრადიციები ბოლო დრომდე შეინარჩუნა საქართველოს ყოფამ.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქხმკ, ტ. III-IV, 1968. ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

ქუდურა — რაჭის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით შურდულად ნაბდის ქუდსაც გამოიყენებდნენ, რომელიც ტყავის თასმებით იყო განყობილი. მაგალითად, ლეგენდარულ მეშურდულეს არსენ არჩვაძეს მთაში მდებარე ადგილიდან შეუნიშნავს, რომ სოფლის განაპირას მის ხარს სხვისი ხარი ეჭიდებოდა და სჯაბნიდა. შურდულად არსენას ტყავის თასმებით განყობილი თავისი ნაბდის ქუდურა გამოუყენებია და ნატყორცნი ქვა ხარისათვის რქაში მოუხვედრებია და მოუტეხია, სწორი ხაზით ეს მანძილი 150 მ ყოფილა. ქვის სროლის ასეთი დიდი სიზუსტე შეიძლება მთხრობელის ფანტაზიის ნაყოფია, მაგრამ უდავოა რომ წარსულში საკმაოდ დაოსტატებული მეშურდულე ფალავნები არსებობდნენ..

ლიტ.: ა. გიორგობიანი, სტ. „ქვის კულტი და ქვის საბრძოლო იარაღები", გაზ. „რაეო," 1997.

მ.ქ.

ქულაჯა — მამაკაცის ზედა ტანსაცმელი. XIX ს-ის II ნახევარში გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს ბარსა და იმერეთში. თავადაზნაურები ახალუხს ზემოდან იცვამდნენ. ცხენოსნები ბრძოლის, ჯირითის ან თამაშის დროს უჩოხოდ იცვამდნენ. ქულაჯა წელში გადაჭრილი და ნაოჭასხმული იხმარებოდა. ჰქონდა სწორი, გრძელი, ზოგჯერ იდაყვებამდე დაშვებული სახელოები. კერავდნენ ძვირფასი (უმეტესად ხავერდი) და ფერადი (შინდისფერი, ლურჯი) ქსოვილისაგან. ზამთარში ეცვათ ბეწვსარჩულიანი, სხვა დროს — აბრეშუმის, სატინისსარჩულიანი და ნაპირებზე ბეწვმოვლებული. ქულაჯის შესამკობად იყენებდნენ ოქრომკედის ან სირმა-ქსოვილის ზონრებს, ფერადი აბრეშუმის თუ ტყავის ნაჭრებს, ყაითანს. იკრავდნენ გულისპირთან დაკერებული ღილ-კილოებით, აგრეთვე ყელთან ორმხრივ გამობმული, ბურთულებდაკიდებული ზონრებით. 2. კაცის თბილი ჩასაცმელი ჩოხის თარგისა, უსაქილებო, გულდახურული და მაღალსაყელოიანი. ზოგჯერ ჩოხა-ქულაჯასაც უწოდებდნენ. კერავდნენ მუქი (ყავისფერი, ლურჯი, რუხი) ქსოვილისაგან. ქულაჯის ნაპირებს ამკობდნენ შავი აბრეშუმის გრეხილით, საყელოსა და ჯიბის ნაპირებს — კრაველის ან ცხვრის ფერადი ტყავით. სარჩულად უდებდნენ თბილ ქსოვილს.

ც. ბ.

ქულუნგი — ნერაქვის იდენტური ქვის დასამუშავებელი იარაღი (იხ. ნერაქვი).

ქურა — 1. ლითონის სადნობი. მესპილენძეები მარტივი კონსტრუქციის ორი ტიპის ქურით სარგებლობენ: I სადნობი ქურა და II შემდუღებელი, ანუ გამოსალბობი, იგივე გამწევი ქურა. ჩვეულებრივი, ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული ქურა მინის ზემოთ, ბალავრის გარეშე არის აშენებული. სამ მხარეზე ფიცრებით არის შეჭედილი, მეოთხე მხარე (ზურგი) აგურით, ფილაქვით (სვანეთში) არის ამოშენული. ქურის ცენტრში მოწყობილია ე.ნ. „ქურის ორმო", იგივე სპილენძის სადნობი ბრძმედი. იგი მრგვალი, ჩაღრმავებული, გადაჭრილი ქოთნის ფორმის ცეცხლგამძლე მინით ან ნაცრით ამოლესილი მცირე ზომის ორმოა. სვანურად „ღვიმელი" ეწოდება. აგურის კედელში, იგივე ზურგში, გაყრილია რკინის ან თიხის მილი, ცეცხლის გასაჩაღებლად.

ოდნავ განსხვავებული კონსტრუქციისაა მეორე ტიპის ქურა, სადაც შემდუღებელ ქურაში საბერველის მილის ერთი ბოლო, სადნობი ქურისაგან განსხვავებით, მინაშია ჩაშვებული და გამოსულია „სანახშირეში", ჰაერმა ქვეევიდან რომ დაუბეროს, მილის მეორე ბოლო კი საბერველთან არის შეერთებული. გამოსალღობ

ქურას თავზე ახურავს ე.ნ. „ქოლგა“, კვამლისა და ცხელი ჰაერის გასასვლელად.



2. თიხის ნაწარმის გამოსაწვავი ნაგებობა. საქართველოს კერამიკის წარმოებით ცნობილ კუთხეებში ქურა სხვადასხვა სახელწოდებით არის ცნობილი. სულხან-საბა ორბელიანი თიხის ჭურჭლის გამოსაწვავ ნაგებობას „თუნად“ და „საგზებლად“ იხსენიებს, ხოლო ცეცხლის დასანთებ ნაგებობათა ზოგად სახელად ტერმინ „სახმილს“ მიიჩნევს. დღეს „საგზებელი“ და „სახმილი“ დავიწყებულია. ქსნის ხეობაში თიხის ნაკეთობის გამოსაწვავს „თუნი“ ეწოდება, მცხეთასა და გორში — „ქურა“, კახეთში — „სააგურე“ და „თორნე“, გურიაში — „თორნე“ და „ქურა“, იმერეთში — „სანვავი“ და „ქურა-ქარხანა“, ლეჩხუმში — „თონე“, სამეგრელოში — „თონე-ქურა“, საინგილოში „თუნ.“ სხვადასხვა კერამიკული ნაწარმის გამოწვას მათ შესაფერისად მოწყობილი ქურა ემსახურება. ჭურჭლის, აგურ-კრამიტის, თორნის გამოწვა ორსართულიან ქურაში ხდება, ქვევრის გამოსაწვავი კი ერთსართულიანია. იმერეთში სამი ტიპის ქურა მოწმდება: წითელი ჭურჭლის, ჭურისა და მოჭიქული ჭურჭლის.

ქურა „გლეხურად“, კლდე-სიპი ქვისა და თიხისგან ანდა „უნდილი“ — გამოუწვავი აგურითა და ტალახით (კახეთი) შენდებოდა. იგი შემაღლებულ ადგილას, სახლიდან მოშორებით ფერდობზე იდგმება, რათა მისი სამი მხარე ქარისგან ყოფილიყო დაცული. ქვედა სართული — „ძირის ქურა“, მეორე — „მაღალ ქურად“ წოდებულ სართულთან შედარებით მცირე მოცულობისაა.

პირველი სართული, რომელსაც ერთი ან ორი (ქსნის ხეობა) „სათვალე“ აქვს დატანებული, „შეშის შესართმევად“ — შესაკეთებლად არის განკუთვნილი. მეორე სართული, რომელიც პირველი სართულისგან „თაღით“, „ცით“, „ტახტითაა“ გამოყოფილი, ჭურჭლის დასაწყობადაა განკუთვნილი.

ქურა, რომელიც მიწაში ღრმად ზის, „თავლია“ ქურადაა მიჩნეული. ჭურჭლის ჩალაგება-ამოწყობა ქურის თავიდან ხდება, ხოლო მიწის ზემოდან ნაგებ ქურას შეშის შესაკეთებელი „თვალის“ მოპირდაპირე მხარეს კარები უკეთდება ჭურჭლის შესაწყობად. კარები გამოწვის დროს ამოშენდება, ხოლო გამოწვის შემდეგ იხსნება. ამავე კედელში კვამლის ამოსასვლელი და დაკვირვების საწარმოებლად „დუთქაშები“ (იხ.) ანუ, სათვალეები აქვს დატანებული. ოსტატის ქურაში ჩასვლა-ამოსვლის გაადვილების მიზნით მაღალ სართულს კედელში საფეხურებიც დაპყვება.

მოჭიქული ჭურჭლის ქურა თავშეკრულ მრგვალ ქურად ითვლება. იგი სანახევროდ მიწაშია ჩამჯდარი. ზემოაღწერილი ქურებისაგან განსხვავებით მისი თაღი „თელებით“ არ არის დაფარული. თაღს შუა ადგილას ქვევრის პირის მსგავსი ცეცხლის ამოსასვლელი აქვს ამოჭრილი, ხოლო კედლებზე ბოლის ასასვლელი 4-5 დუთქაში უკეთდება. მაღალ ქურის კედლის მთელი ფართობი ნაჩვრეტებით, ანუ სასულეებითაა მოფენილი. თითოეულ ნაჩვრეტში ორი სოლია გაკეთებული. მოჭიქული ჭურჭლის უმეტესი ნაწილი აღნიშნულ სოლებზე ეწყობა, ხოლო დიდი ჭურჭლის მცირე ნაწილი კალოზე თავსდება.

დახელოვნებულმა ოსტატმა ჭურჭელი ისე უნდა განალაგოს ქურაში, რომ ცეცხლმა თანაბრად დაუაროს. ქურაში ჯერ დიდი ზომის ჭურჭელი იწყობა, შემდეგ წვრილ ჭურჭელს ათავსებენ. დარჩენილ სიცარიელეს დამტვრეული ჭურჭლის ნაწილებით — „ნატეხალათი“ ავსებენ, ამითვე გადაფარავენ მთელ ჭურჭელს, რათა ნიავი აიცილოს და ცეცხლსაც მეტი სიმხურვალე ჰქონდეს.

ქურა ისეთი მასალით იხურება, რომელიც იცავს მას წვიმა-თოვლისგან. ამავე დროს, ადვილი მოსახდელ-გადასატანი იყოს. ქურაში დაახლოებით 100-მდე ჭურჭელი იწვის — 20-მდე დიდი და დანარჩენი პატარა ზომისა.

ჭურჭლის გამოსაწვავად განკუთვნილი შეშა არც ძალიან გამხმარი უნდა იყოს და არც ნედლი. მან კარგად უნდა „იჩუქლოს“. ოსტატთა დაკვირვებით, „ყველაზე ხელსაყრელია წიფლის შეშა. მუხა მაგარია, ვერხვი კი ფიცხი“.

ჭურჭლის გამოწვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თიხის თვისებებზე. გამოწვის პირველ ეტაპს ჭურჭლის გათბობა შეადგენს, რისთვისაც 4-5 საათი ივარაუდება. ამისათვის შეშა ჯერ თუნის გარეთ სათვალეების ახლოს იწვის. ამის შემდეგ ცეცხლს აძლიერებენ, „ცეცხლმოკიდებულ“ ჭურჭელს ორი საათის განმავლობაში შავი ფერის კვამლი ასდის, თანდათან შავი ფერი დაინმინდება ნატეხალი განითლდება ე.ი. ჭურჭელი გამოიწვა და შეშის მიმატება წყდება. გამომწვარი ჭურჭელი განელებამდე ქურაში რჩება. „ჭურჭელი ერთ დღეს იწვის, ერთ დღეს ცივდება და მესამე დღეს გამოლაგდება“.

1980-იანი წლებიდან კერამიკული წარმოების უმრავლეს ცენტრებში შეშით სანვავი ქურების ადგილი ელექტროქურებმა დაიკავა. ისინი კონსტრუქციულად ძველი ქურების იდენტურია. ახალი ქურის კედელზე ელექტროსპირალები შემოუყვება. ელექტროქურის ჩართვა დაბალი ტემპერატურით იწყება, ტემპერატურეს თანდათანობითი გაძლიერება, ელექტროქსელის ხუთჯერადი ჩართვით სრულდება. წვის პროცესი 7 საათი გრძელდება.

უძველესი სამეთუნეო სახელოსნო უბანი აღმოჩენილია ხოვლეს მახლობლად, რომელიც კონსტრუქციით მსგავსია ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული ქურებისა. როგორც არქეოლოგები ფიქრობენ, ხოვლეს მოსახლეობას ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან ძვ. წ. IV საუკუნემდე ემსახურებოდა მეთუნეთა ცალკე გამოყოფილი უბანი. იდენტური ქურები მიკვლეულია კახეთშიც, რომლებიც ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება, მსგავსი ქურები აღმოჩნდა თბილისში, ურბნისში, დმანისში. მსგავსი ორსართულიანი ქურები დასტურდება ძველ ჩინეთში, ბერძნულ-რომაულ სამყაროში, შუა საუკუნეების ევროპაში, ეგვიპტეში.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, 1949. რ.თოდუა, სამეთუნეო ნაგებობანი სამეგრელოში, XX ს. 1979. მ. ზანდუკელი, კერამიკული წარმოება გორში, სსმმ LXI B, 1991.

მ.ზ. ც.კ.

ქუმელი (თუშ.) — მოხალული ქერისა და დიკას ნარევი. ამ ნაერთს ერთად ხალავდნენ საგანგებო ჭურჭელში — „ნალში", მერე დაფქვავდნენ. საჭიროების დროს ცივი წყლით მოზელდნენ და გამოცხობის გარეშეც იჭმებოდა. მარცვლეულის მოსახალ თიხისგან ნაშენ დიდ კამერებს თუშები თავად აშენებდნენ. შემოდგომით მოხალული მარცვლეული ოჯახს გაზაფხულამდე ჰყოფნიდა.

ე. ნ.

ქურთი (ხევს.) — აქ: გამომშრალი ნეხვი, ნივა, რომელსაც დააკალაპოტებდნენ, მზეზე აშრობდნენ, აგებდნენ კოშკისებურად და გამოიყენებდნენ საწვავად.

ქურთუკი — მოკლე თურქული ტიპის კურტაკი.

ქურო — 1.ორივე ხელის საერთო სათბილობელი. მზადდებოდა როგორც ქსოვილისაგან, ასევე შინაური საქონლის ტყავისგან და ცხოველის ძვირფასი ბეწვისგან. მისი უცხოური სინონიმია „მუფტა". 2. თუში ქალის ჯუბის სახელოს მართკუთხა ფორმის შალის ან მაუდის ქსოვილისაგან დამზადებული ასეთი ქუროს ზეაპირი შემკული იყო ფერადი ხაზოვანი აპლიკაციებით.



ნ. ჯ.

ქურქი — ტყავისაგან დამზადებული ზამთრის ჩასაცმელი. ამზადებდნენ ცხვრისა და თხის ტყავისაგან. კარგი ქურქის შესაკერად საჭირო იყო რვა ცხვრის ტყავი. ერთი წელისათვის, ორი ფერდებისათვის, ერთი სახელოებისათვის და ოთხი ცალი კალთებისათვის. საქართველოსა და დაღესტანში დასტურდება ვიწროსახელოებიანი გრძელი ქურქები. ხელები რომ არ ეტევა, მათი სახელოები მხოლოდ სამკაულის სახეს წარმოადგენდა.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

ქუფე (მეგრ.) — იგივე სიმინდის შესანახი მოწნული ძარი.

ქუქანკი — წყალსადენებით წყლის გამომყვანი ხელოსანი შუაფეოდალური ხანის საქართველოში. იგივე წყაროთა მკაზმავნი. ქუქანკი წყლის გამოყვანის საქმისათვის საგანგებოდა განისწავლებოდა და



ნვნის ნიმუში



ურეკი

თავისი მყარად საჭირო პროფესიის გამო გათავისუფლებული იყო სახელმწიფო გადასახადებისაგან.

ლიტ.: ალ. ლოსაბერიძე, ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები, კრებულში: შ. რუსთაველის ეპოქის მატ. კულტურის ძეგლები, 1964.

ე. ნ.

ქუქუმო — ენდროში ნითლად შეღებილი შალის ნაჭერი, რომელსაც ჯუბას შემოაკერებდნენ ბოლოში.

ე. ნ.

ქუჩაბანდი (თბ.) — ვინრო ქუჩა, რომელზედაც აივნებია გადმოკიდებული.



ღამის სამთელო (ხევს.) — შესაწირავთა ნაკრები სარიტუალო პურები. ესაა დიდი ხავიწიანი ქადა (იხ.), ცხრა პატარ-პატარა თხელი უგულო პურები და ოთხი „საკვირაო". დიდ ქადაზე უგულო პურებს აწყობენ, ზემოდან დაადებენ თითო ხავიწიან საკვირაოს. ყველა ეს პური დაჭრელებულია საჭვრეთათი (იხ.) და გაპოხილია ერბოთი. როცა დალოცვის შემდეგ ლუდის სმა გახურდება, „ღამის სამთელოიან" ტაბლას გადმოდგამს ხუცესი, დაილოცება, ჯვარედინად გადაუსვამს დანას და გაჭრის ოთხად, შემდეგ კი უფრო პატარ-პატარა ნაწილებად — „ნაწვრეთებად," დაანაწილებს და მიართმევს ყველას.

ლიტ: ალ. ოჩიაური, ხალხურ დღეობათა კალენდარი, 1988.

ე. ნ.

ღანწვიში (სვ.) — მარტივი სახვნელი იარაღი. შედგებოდა: მხრის („ლაციუ"), ქუსლის („ბერ"), ერქვანის („ქვაჯ"), და სახნისისაგან („მუკრა"). მხარი წარმოადგენდა მოხრილ ხის ძელს, რომელიც ერთი თავით ჩადგმული იყო ქუსლში. მხრის დასამზადებლად ძირითადად იყენებდნენ რცხილას, მუხას, იფანს, მაჟალოს, იშვიათად ფიჭვს. სახვნელის ქუსლი წიფლის ან იფნისაგან მზადდებოდა. იგი სოლისებური ფორმისა იყო და ნვერზე წამოცმული ჰქონდა რკინის სახნისი. ერქვანი დაახლოებით 60 სმ სიმაღლის ჯოხი იყო, რომელიც ერთი თავით ქუსლში იყო ჩადგმული. ერქვანის საშუალებით ხვნის პროცესში მხვნელი (მოღანწუიში) მართავდა სახვნელს. რკინის სახნისი ფოლადით იყო წვერდაპირული. ქვემო სვანეთში, სადაც შედარებით რბილი ნიადაგი იყო, ზოგჯერ, როცა რკინის სახნისი არ გააჩნდათ, უიმისოდაც უხმარიათ სახვნელი. ხშირი ყოფილა სახნისის დანიშნულებით რქის გამოყენება. სვანურ სახვნელში უღელი ხარი იბმებოდა და საჭირო იყო ორი კაცი (მოღანწუიში და ხარისმძღოლი).

სვანური სახვნელით მუშაობა ისევე წარიმართებოდა, როგორც საქართველოს მთის დანარჩენ რაიონებში. ქუსლს ოდნევ გვერდზე დახრილს და ბოლოაწეულად იყენებდნენ. მუშაობას ფერდობებში დაბლიდან მაღლა გარდიგარდმო სვლით წარმართავდნენ. ასეთ მდგომარეობაში მდგარი სახვნელი მიწას ანგრევდა, ფრთაზე აიცურებდა ანგრეული მიწის ბელტებს და ოდნავ გვერდზედაც აბრუნებდა.

სახვნელი იარაღით მუშაობის დროს ცნობილი იყო შრომის ორგანიზაციის ორი მარტივი ფორმა: „ლიმარჯვე" და „ლიმებალი". ლიმარჯვე გულისხმობდა ხარებითა და მუშახელით თანაბარ მონაწილეობას. იარაღით თანაბარი მონაწილეობა არ იყო აუცილებელი. ხვნა-დღეების განაწილება არ იყო რეგლამენტირებული. მას განსაზღვრავდა არა შრომით გაერთიანებაში მონაწილეობა ინვენტარითა და მუშახელით, არამედ ის, თუ ვის რამდენი ჰქონდა მოსახნავი. შრომის ორგანიზაციის მეორე ფორმა „ლიმებალი" წარმოადგენდა ეკვივალენტურ ურთიერთდახმარებას. შრომის ორგანიზაციის ეს ფორმა იგივეა, რაც ხევსურეთსა და თუშეთში ცნობილი „მანდავი". ეს ფორმა ძირითადად ქვემო სვანეთში იყო გავრცელებული. რამდენიმე მეურნე თავისი ხარ-სახვნელით შეიყრებოდა და ერთმანეთთან მუშაობდა დღეების თანატოლ ოდენობას.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობა სვანეთში, კრ. სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1970.

თ. გ.

ღართი — შალის ქსოვილი, მოქსოვილი გაზაფხულის მატყლით. სამეგრელოში ღართს უწოდებდნენ ქსოვილსაც და მისგან შეკერილ ჩოხასაც. რაჭაში ღართი საწვიმარ ნაბადს აღნიშნავდა. ასევე აქვს განმარტებული იგი სულხან-საბა ორბელიანს.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, ქართველი გლეხი მამაკაცის კოსტიუმი XIXსაუკუნისა, სსმმ, ტXIXს1957.

ლ. მ.

ღარი — 1. წისქვილის ღარი, რომელშიც წყალი გადაედინება სათავედან, მძლავრად ეცემა წისქვილის ბორბალს და აბრუნებს მას. ღარის თავი განიერია, წვერი ვიწრო და შედგება სამი გრძელი კარგად გათლილი ფიცრისგან. 2. ხის გრძელი ნახევრადღია ღარები, რომლებიც გამოიყენებოდა მარნებში საწნახელიდან გადმოსული ღვინის პირდაპირ ქვევრში გადადინებისთვის. საუკეთესოა ცაცხვის ხის ღარი, რადგან ცაცხვი სუფთა ხეა და ღვინოს არ დაამიზეზებს. თუ ჭური საწნახელიდან მოშორებულია, ღარებს ერთმანეთს გადააბამდნენ. ამით იყო გამოწვეული, რომ ღარის თავი ბოლოსთან შედარებით უფრო განიერი იყო, რათა ერთმანეთში კარგად ჩამჯდარიყო.



ე. ნ.

ღაჯია — საცერულის სახეობა (იხ. საცეული). გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, უკანასკნელ დრომდე შემოინახა ხევსურეთმა. შედგება სამმაგად ერთიმეორეზე დაკავშირებული თითბრის რგოლებისაგან, თითოეული რგოლი ცალკეა ჩამოსხმული, რგოლის ქვემო ნაწილში აქვს აშია, ხოლო ზემოთ წანვერილი კბილები (5-დან 10მ-მდე). რგოლების კბილები უსწორმასწოროდ არიან განლაგებულნი, რათა მონინააღმდეგეს დარტყმისას მეტი ზიანი მიაყენოს. რგოლებს კბილებთან აქვს მხრები, აშიის ზედაპირს ხშირად ამკობენ ორნამენტებით.



ლიტ.: გ. ჩიტაია, ხევსურული საცერული, შრომები ტ. II, 2000.

მ. ქ.

ღერძკალა – ბარული საზიდი ტრანსპორტის სახეობა, რომელიც ძირითადად აღმ. საქართველოში კერძოდ, მტკვრის შუა წელზე იყო გავრცელებული. ღერძკალა ხის მორების საზიდია. გააჩნია უბე, სამკუთხად შეკრული ხელნები, ღერძ-ბორბლები და უღელი, რადგანაც ამ ტრანსპორტის დანიშნულება მძიმე ხეების ზიდვაა, ამიტომ მისი ბორბლები ჩვეულებრივ ურემთან შედარებით დაბალია, ხოლო ღერძი მოკლეა.

ლიტ.: მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, 1956.

ე.ნ.

ღვარეული — მოთიბული ბალახის ზოლი.

ღვედი – დიდი გუთნის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი. წარმოადგენს ხარის ან კამეჩის ტყავის თასმებისაგან დაწნულ გრძელ საბელს. ღვედზე ასხმულია ე.წ. „საქლეშები" და „ასაკრავები", რომლითაც გამწევი ძალის უღლები იყო ჩაბმული გუთანთან დასაკავშირებლად.

ღვედის ძველი სახელწოდება „ევანი" დაბადების ქართულ თარგმანში დასტურდება. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ევანი იგივე ერქვანთ ღვედია", რომელსაც მეორე სახელი „იმანტაც" ჰქვია: ამ სამი სახელიდან ამჟამად მხოლოდ სახელი „ღვედი" შემორჩა.

ერთი ღვედის (ოთხი უღლის სამყოფი) დაწვნას სამი ხარის ან ორი კამეჩის ტყავი სჭირდებოდა. ღვედის დამწვნელ ოსტატებად ძველთაგან ხევსურები პირველობდნენ არა მარტო საქართველოში, არამედ მის გარეთაც, (იხ. ჯამბარა).

ღვედის დაწვნა ჩვეულებრივ ზამთარში შესასრულებელი საქმე იყო, ამიტომ, ამ დროს, ხევსურები ბარის სოფლებში ჩამოდიოდნენ და გაზაფხულის დადგომამდე რჩებოდნენ. საფასურს ნატურით იღებდნენ. ერთი ღვედის დაწვნაში, უმთავრესად, ერთ კოდ პურს (4 ფუთი — ქართლი) და „ანაგულს (ტყავისაგან დარჩენილი ნაწილი, რომლიდანაც 1 წყვილი ქალამანი გამოდიდოა) ან ფულს 10-15 მან. იღებდნენ. ტყავი, ჩვეულებრივფ, შემკვეთისა იყო. გამზადებული ღვედები 25-30 მან. ღირდა. ღვედის მფლობელი შეძლებულ გლეხად ითვლებოდა.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986.

თ. ბ., ა. ბ.

ღვედიში (მეგრ.)// **ყუთული** — ტყავის დასარბილებელი ხელსაწყო.

ღვლეჭი – დაგრეხილი წნელ-ბაწარი. გასაყიდად გამოტანილ ჭურებს გადააკრავენ ხოლმე ურემზე ღვლეჭებით, რათა რყევისგან ყოფილიყო დაცული.

ღილი — ტანსაცმლის შესაკრავი. ფორმით მრგვალი, ოვალური, ოთხკუთხედი და სხვა. მზადდებოდა მეტალისა (ოქრო, ვერცხლი, თითბერი, სპილენძი) და ნახევრად ძვირფასი ქვებისგან: სადაფი, რქა, სპილოს ძვალი და სხვა. ქართველ ოქრომჭედლებს ის სამკაულად გადაუქცევიათ. ოქრო-ვერცხლის ღილების დამზადებისას იყენებდნენ თითქმის ყველა საოქრომჭედლო ხერხს: ჩამოსხმა, ჭედვა, რჩილვა და ა.შ. ღილებს ამკობდნენ ცვარათი, გრეხილით, ფერადი თვლებით. ამზადებდნენ ჭვირულ ღილებსაც.

ლიტ.: ი. გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981.

მ. ბ.

ღირღიტა — დიდი გუთნის ნაწილი, რვილას თავის დასადები, ფამფალაკის გოგორა. არის ველის ღირღიტა, რომელიც ჩვეულებრივზე პატარაა და ველის მხარეს მიჰყვება გუთანს. ღირღიტას მხარეს დგას მეხრე, რომელმაც გუთანი სწორად უნდა წაიყვანოს (იხ. დიდი გუთანი).

ლიტ.: ქელ. 2009

ღომი — 1. დას. საქართველოში გავრცელებული სამეურნეო კულტურის სახეობა. სიმინდის შემოსვლამდე და შემდეგაც, მოსახლეობის ერთ-ერთი მთავარი საკვები მარცვლეული. ღომს თესავდნენ გვიან გაზაფხულზე. ოგაფათი (იხ.) მოხნულ მიწაში და თოხით სამ-ოთხჯერ მარგლავდნენ. ღომი სამეგრელოში იზრდება მაღალი და ოქტომბერში ნამგლით მომკიდნენ. მომკილი ღომის თავთავებს გამოსაშრობად ჩაყრიდნენ მოწნულ ძარში, რომელიც მაღალ ბოძებზე იყო შემდგარი და ქვეშ შეუნთებდნენ ნელ ცეცხლს, ნებისად რომ გამომშრალიყო, ამის შემდეგ ღომის თავთავებს ფეხით სრესდნენ („ჩაჩუა") და აცილებდნენ ბზესა და ღეროებს („გვადუა") გარჩეული ღომის თავთავებს საცეხველში („ჩამური") ჩაყრიდნენ, რომელიც მთლიანი ხისაგან იყო გამოთლილი და მოკაუჭებული ხის საცეხველით („კაკუტი") ცეხვავდნენ. ღომის ცეხვას („ჩხვარუა") ძირითადად აწარმოებდა სამი ადამიანი, რომლებიც მორიგეობით ურტყამდნენ კაკუტებს ჩამურში ჩაყრილ ღომს. დაცეხვილ ღომს ჩამურიდან ამოიღებდნენ და გაანიავებდნენ („მოხინწუა" ან „ხიორუა") ხოლო ბრელოიან ნარჩენს („ნოყური") ქათმებს გადაუყრიდნენ. ღომის გამცეხვავნი ძირითადად ქალები იყვნენ. ღომისაგან შემდეგ იხარშებოდა ერთგვარი ფაფა. ღომის ნამგლით მომკას „გიმუა" ეწოდებოდა და რადგანაც ეს პროცესი ოქტომბერში სრულდებოდა ამ თვეს მეგრულად „გიმათუთა" დაერქვა.

2. ღომისგან ან სიმინდის ფქვილისგან მოხარშული ფაფა. განსაკუთრებით მიღებული იყო სამეგრელოში. სიმინდის კულტურის ფართოდ გავრცელებამდე ჩვეულებრივ მზადდებოდა ღომის ღომი. სიმინდის დამკვიდრების შემდეგ ღომმა როგორც შედარებით დაბალკალორიულმა და ძნელად მოსაყვანმა კულტურამ თანდათანობით დაუთმო ასპარეზი სიმინდს. სიმინდის ღომს აკეთებენ ღერღილისგან და წმინდა ფქვილისგანაც. ღერღილს მსხვილი საცრით ქატოს მოაცილებენ, წამოადუღებენ და შესქელებას რომ დაიწყებს, მასში ფქვილს ამოუკიდებენ, თან განუწყვეტლივ ზელენ ხის ჩოგნით. ღომი კარგია გამხმარ ყველთან, შაშხთან, ლობიოსთან, საცივთან. მეგრული ოჯახი დღეში ორჯერ მაინც მოხარშავდა ღომს. ჩვეულებრივი ოჯახისთვის ღომი წარმოადგენდა ძირითად საჭმელს. ჭამის დროს ჩოგნით ამოღებული ღომი, თეფშის გარეშე, პირდაპირ ტაბლაზე დაედებოდა სუფრის წევრს. დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთათვის ღომი დღესაც ითვლება კვების რაციონის სასურველ საკვებად.

ლიტ.: ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 2007.

ე. ნ.

ღორეჩო — პირმოხრილი სატეხი იარაღი, ხის ამოსაჭრელი, რომელსაც აქვს მაღალი ტანი და მოხრილი პირი. მისი ნაირსახეობაა „ხელეჩო" და „ფეხეჩო".



ღორუმა — საძნე ურემი, წინა ნაწილი მიწაზე აქვს დადებული. ასეთი ურემი თავქვე არ დაქანდება.

ღუზა რკინის — ნავთა და ხომალდთა წყალზე გასაჩერებელი, რომელიც ჯაჭვით გამოდის გემის კიჩოდან და იძირება ფსკერზე.

ღუზა ქვის – ნავის გასაჩერებელი უძველესი საშუალება. სოფ. ანაკლიაში ნაპოვნია ქვის მოზრდილი



ფარდაგი



სვანური და ხევსურული ფარეგი

ღუზა, რომელიც ანალოგიურია ქუთაისის მუზეუმში დაცული მსხლის ფორმის უძველესი ქვის ღუზისა. ამგვარი ღუზების არსებობა დადასტურებულია ნიჩბიან ხომალდებზე ძვ. წ. VI საუკუნეში. ფაზისის აღწერისას არიანე მოიხსენიებს აქაურ ქვის ღუზას, რომელიც მისთვის უჩვენებიათ, როგორც ერთი საინტერესო ნივთი და საბუთი კოლხური ნაოსნობის დამადასტურებლად.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987.

ე.ნ.

ღუი — სამეურნეო სათავსი, რომლის საუკეთესო ნიმუშები დადასტურებულია თრიალეთში. ღუი წარმოადგენს მიწაში ქვევრისებურად ჩაჭრილ ორმოს, რომლის კედლები კირსილის ხსნარითა და ქვის კედლებითაა ამოშენებულ-ამოლესილი. მისი ყელი ამოცილებულია მიწას და გამოყვანილია ერთი ან ოთხნაწილიანი ქვით, რომელიც შეადგენს მის თავს. ღუის ეფარებოდა დიდი ქვის სახურავი, რომელიც კარგად იყო მოტკეპნილი მიწით და შიგ წყალი არ ჩადიოდა. ასეთი ტიპის სამეურნეო სათავსი თრიალეთში ერთ მოსახლეს 3-4 მაინც გააჩნდა და მასში ძირითადად ინახავდნენ მარცვლეულს, ეს გარემოება აშკარად მაჩვენებელია იმისა, რომ გარკვეულ პერიოდში, თრიალეთის მოსახლეობას კარგი სამეურნეო ორგანიზაცია ჰქონდა და მოსავალს უხვად იწევდა. ერთი ღუი დაახლოებით 200-300 ფუთ მარცვლეულს იტევდა.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, სამეურნეო ნაგებობა ღუი სამხრეთ საქართველოში, სსმ, მოამბე, XVIII B, 1954.

ე.ნ.

ღულაბა — შვინდის ჯოხი, რომლითაც ტყავს ლესავენ.

ღუმელი — აქ: პურის გამოსაცხობი, აგურის ერთკამერიანი ნაგებობა, ქვემოდან ახურებდნენ ცეცხლით.

ღურუკო(რაჭ.)//**სამწყერე** — მწყერის დასაჭერი მახე. შედგება ხის ჯოხისა და თვალისგან. თვალი წარმოადგენს ერთგვარ სასხლეტ მარყუჟს, რომელიც დაგრეხილია 2-3 წვერი ცხენის ძუისგან და მიმაგრებულია ღურუკოს წვერს. მეორე ბოლო მომარყუჟებულია. საღურუკოე ხე უნდა იყოს ცერის სიმსხო და ძალზე სწორი, დაახლოებით 3 მეტრის სიგრძის, იმისათვის, რომ ასეთი ჯოხი კარგად გაიმართოს, მას ჩამოჰკიდებენ რაიმეზე და ბოლოზე შეაბამენ ქვას, 2 კვირა მაინც ასე ტოვებენ, რომ შეხმეს და კარგად გასწორდეს. შემდეგ მკვიდრად მიაბამენ ცხენის ძუისგან დაწნულ მარყუჟს. სანადიროდ გასული მონადირე შეამჩნევს რა განაბულ მწყერს, მიუახლოვდება, მაღლა ქუდის ასროლით ან რაიმე ხერხით მწყერის ყურადღებას გაფანტავს და მოხერხებულად გადააცვამს თავზე მარყუჟს.

ე. ნ.





ყაბალახი — მამაკაცის თავსაბურავის სახეობა, მასალად გამოიყენებოდა ძირითადად შინნაქსოვი შალი, თივთიკი, შალ-აბრეშუმი//დარაია, იშვიათად მაუდი. ქართულ ყოფაში ყაბალახი ბაშლაყის//ბაშლულის სახელითაც იწოდება. აღნიშნულ ტერმინთაგან ბაშლული თურქული სიტყვაა, სადაც „ბაშ" თავს ნიშნავს, „ლული" ფორმანტია დანიშნულების სახელთა მაწარმოებელი. ყაბალახის სინონიმური ფორმაა „ჩაბალახი" ნიკორწმინდის XIს. სიგელის მიხედვით საომარი დანიშნულების თავსაბურავია. ამ დანიშნულებითაა მოხსენიებული არაერთ ისტორიულ წყაროში (ჟამთააღმწერელი, ჯუანშერი და სხვ.) სულხან-საბა ორბელიანი ჩაბალახს საომარ დანიშნულებასთან ერთად მის სხვა ფუნქციასაც აღნიშნავს — „გინა წვიმაში ჩამოსაცმელი". ყაბალახის თარგი ერთგვაროვანია. ყაბალახი იხმარებოდა როგორც დამოუკიდებელი, ისე დამატებით თავსაბურავი. ამ მიზნით მას ბოხოხის ან განიბალდური ქუდის ზევიდან იხურავდნენ. მოხვევის წესებიც სხვადასხვანაირი იყო: მეგრული, გურული, ჩოხური და სხვ.

ყაბალახებს ამკობდნენ ყაითნის ზონრებით, ჩაფარიშით, ოქრომკედისა და სირმის ქარგულობით, რომელიც უფრო ხშირად მცენარეული ორნამენტის მოტივითაა წარმოდგენილი. ამას ემატება თავსაბურავის წვერზე გამობმული აბრეშუმის ძაფით, სირმით ან ოქრომკედით ნაკეთები ფოჩი. ეთნოგრაფიულ ყოფაში დამონმებულია ქალის ყაბალახიც.

ლიტ.: ნ. გურგენიძე, თურქული ენობრივი ელემენტების შესახებ აჭარულ და გურულ დიალექტებში, „მაცნე" 4, 1969

ლ.მ.

ყაბაჩა// ყაბარჩა — (სპ. თურქ.) სპარსულად მოკლე კაბას ნიშნავს. ასეთი ტიპის სამოსი ძალზე გავრცელებული იყო ფეოდალური ხანის საქართველოში. რუსთაველის მიხედვით ყაბაჩა ყოფილა როგორც ქალის, ასევე მამაკაცის საცმელი: მაგ., ფატმანმა ავთანდილს უძღვნა „მრავალი კაბა, ყაბაჩა.., ტურფა პერანგი, წიდნები" და მეორე: ზღუათა მეფემ ქორწილში ნესტან-დარეჯანს ყაბაჩა უძღვნა შემკული „თვალითა, იაგუნდითა წითლითა, ბადახშითა და ლალითა". „ხელმწიფის კარის გარიგებაში" ყაბაჩა დახასიათებულია როგორც ფერადი ქსოვილისაგან შეკერილი სახელოიანი სამოსი, რომელსაც საყელოზე მოვლებული ჰქონია ძვირფას ბეწვიანი ტყავი.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, 1962.

ე. ნ.

ყაბახი — სამიზნედ დადგმული ლითონის თასი. ადგილი, მოედანი, სადაც იმართება შეჯიბრი შუბის სროლაში. ყაბახის შეჯიბრებისას ლითონის თასი დგას მაღალ, გადაჭრილ ბოძზე. შუბით შეიარაღებული მხედარი გამოაჯირითებს ცხენს და თასს შესტყორცნის შუბს, თუ შუბი მიზანს მოხვდება, თასი გადმომგდებლის საკუთრება ხდება.

ე. ნ.

ყავადანი — გვიანფეოდალური ხანის წერილობითი წყაროების მიხედვით „კავის", ანუ ყავის დაფქვის და მოხმარების კულტურა ძირითადად დადასტურებულია საქართველოს ქალაქებში. ყავადანი როგორც ყავის მოსახარში ჭურჭელი ეთნოგრაფიულ ყოფაში გვხვდება როგორც ევროპიდან შემოტანილი, ასევე ადგილობრივ ხელოსნებთან დამზადებული.



ყავარი — ხისგან დამზადებული („გამოხდილი") ფიცრები, სახლის ან რაიმე ნაგებობის დასახურავი. საყავრედ საუკეთესოა ნაძვი. მშრალ ხეს დამორავდნენ, გაჭრიდნენ ოთხად, ნაოთხალს კიდევ 4-ად გაჭრიდნენ და მიიღებდნენ „ბელეშს". ბელეშს ფეხზე დააყენებდნენ, ნაჯახით გაუკეთებდნენ პირს, სადაც ჩადებდნენ

ქალის ყაბალახი



ჩოხის ქილეები

საყავრე დანას, დაარტყამდნენ ხვედას, თან დანას დააწვებიან, მიყოლებენ ხელს და აყრიან ფურცელს. ყავრის სიგრძე 1.5 არშინია, სიგანე ერთი ციდა, სისქე — ნეკა თითი. ერთი ყავარს „ფთა" ერქვა. ასი ფთა ყავარი ერთი კონაა.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხის დამუსავების ხალხური წესები, 1962.

ყავარჯენი — ერთგვარი ტიპის ინსიგნია — წარჩინებულობის, ძალაუფლების მანიშნებელი. პიროვნების თანამდებობის ემბლემა. საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ყავარჯენი ასეთი სახით დადასტურებულია ხევსურეთსა და სვანეთში. ხევსურეთში ყავარჯენი წარმოადგენდა თავხევისბერის ძალაუფლების გამომხატველს. ამ ინსიგნიით დროშასთან ერთად იგი მიუძღოდა მეომრებს სალაშქროდ და მისვე თანხლებით ატარებდა სარიტუალო დღესასწაულს. სვანეთში აღმოჩენილი ყავარჯნები მიჩნეულია ერისთავთა ხელისუფლების ემბლემად. იგი გამოხატავდა მახვშის ძალაუფლების სიმბოლოსაც. ყავარჯენი წარმოადგენს საეკლესიო ხელისუფალის უფლებრივი მდგომარეობის გამომახატველსაც.

ე. ნ.

ყაზაზი — აბრეშუმის ხელოსან-ფეიქარი, ძაფის დამამზადებელი. ის იყო ოსტატი და ამავე დროს მაღაზია-დუქანიც ჰქონდა. მის საქმიანობაში შედიოდა ძაფის ამოხვევა, გრეხა, ძახვა. დამატებით ეწეოდა სხვადასხვა საგნების („ჩაფარიში", „ყაითანი", „ჩახსაკრავი", „ბაფთა", „ბუზმენტ") დამზადებას. ყაზაზებივე ამზადებდნენ ტყავის ან მაგარი ქაღალდის ფირფიტებსაც — ჩაფრებს — ჩახსაკრავების ქსოვისათვის. „აბრეშუმის ხელობის" მცოდნე ყაზაზთა შორის გამოიყოფოდა ე.წ. „სრული ხელობის", ანუ ოქრომკედის ხელობის მცოდნე ოსტატები. ოქრომკედი მზადდებოდა ვერცხლის, სპილენძის ან თითბრის ანათალისაგან ოქროს ვარაყში გატარებით. ოქრომკედი ორი სახისაა: აბრეშუმისა და ბამბის. ძაფის ამოხვევა ხდებოდა სპეციალურ დაზგებზე — „ვილა ლარებზე." ჩარხებზე დაგრეხილი და შულოებზე ამოხვეული ძაფის სოდიან წყალში გამოხარშვას რეცხვა და ღებვა მოჰყვებოდა. შულოებად ამოხვეული ან მუყაოზე დახვეული ძაფი იყიდებოდა ყაზაზისავე მაღაზიაში. ყაზაზთა ამქარში გაერთიანებულები იყვნენ აბრეშუმისა და „სრული ხელოსნობის"— ოქრომკედის ხელობის მცოდნენი.

ლიტ. ნ.აბესაძე, ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, 1986

ლ. ბ. ე. ნ.

ყაითანი — ფერადი ძაფისაგან დაწნული ბრტყელი ზონარი, რომელიც გაკერილებში ედებოდა ტანსაცმელს. იყენებდნენ კაბების ბოლოებისა და გულისპირების მოსაკლებად.

ყაისნაღი — საქსოვი ჩხირი, თავკაუჭიანი. ყაისნაღს აკეთებდნენ ძირითადად ლითონისაგან, მოწმდება ხის ყაისნაყებიც. გამოიყენება ბამბის, აბრეშუმის, მატყლის ძაფის საქსოვად. ყაისნაღით ქსოვენ ქსოვილზე მოსაყოლებელ არშიებს, ქუდებს, კედლის მოსართავებს (აჭარ.), სხვადასხვა ნივთების დასადებ ქსოვილებს, აგრეთვე ტახტისა და ლოგინის გადასაფარებლებს.

გ.ჯ.

ყაიში (დას.საქ.) – ტყავის ქამარი, სარტყელი, ღვედი, აგრეთვე დანის პირის ასალესი.

ყალამი — 1. ქვაზე ჩუქურთმის ამოსაყვანი რკინის ხისტარიანი იარაღი, განკუთვნილია ნატიფი სამუშაოს შესასრულებლად, ამიტომაცაა გაიგივებული მხატვრის ყალამთან, აქვს ოდნავ ოვალური პირი, არსებობს ყალმების ნაირსახეობი. შესაფერისი ტიპის ყალამი გამოიყენებოდა ოქრომჭედლობაშიც, რომელიც წარმოადგენს ხისტარიან ფოლადის წვერწამახულ იარაღს და მისი მეშვეობით ვერცხლის ნაკეთობაზე ამოკანერის წესით ამოჰყავდათ სხვადასხვა სახეები. 2. ფუნჯი, მხატვრის სახატავი ხელსაწყო.



ე. ნ

ყალამქარი (თბ.) — ლამაზი უზორებით დაჩითული აბრეშუმი, საბნის პირებისათვის ხმარობენ.

ყალიონი — თამბაქოს მოსაწევი. საქართველოში ძირითადად გვხვდება ორი სახის ყალიონი: გრძელი

და მოკლე. ორივე ტიპის ყალიონს აქვს ტარი და ჯამი თამბაქოს ჩასატენად. ისინი ერთმანათს შიგნით დატანებული ნახვრეტით უერთდებიან. არსებობს ორიგინალური სახის ყალიონიც, რომელსაც ერთ ტარზე ორი ჯამი აქვს დამაგრებული.

ყალიონი ფართოდ გავრცელებული ნივთი იყო, უმთავრესად ჭარმაგი მამაკაცების წრეში. ყალიონი შეიძლება იყოს ხის, კერამიკის და ლითონის— ზარნიშითა და სევადით შემკული.

ე. ნ.

ყამა — ხანჯლის ტიპის ციცი იარაღი. საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა აჭარული ყამა, რომელიც „ბაბასყამას" სახელწოდებით იყო ცნობილი. ბაბასყამას პირი ფოლადისაგან მზადდებოდა, ცალლესული, ღარიანი. ზომებით მრავალნაირია. ტარი ძირითადად მზადდებოდა რქის, ძვლისა და ხისგანაც. ბაბასყამას ზოგიერთი ნიმუშის ტარის ფორმაზე შეიმჩნევა თურქული იატაგანის (იხ.) გავლენა, რომელიც ორკაპა ფორმით ბოლოვდება. ორკაპთან ვხვდებით ნეკის სათითურს, რომელიც ქარქაშიდან ყამის სწრაფ ამოღებას ემსახურება. ქარქაშები დამზადებულია ხისაგან, რომელზეც ძირითადად შავი ტყავია გადაკრული. ყამის ქარქაშებისთვის დამახასიათებელია ოთხ-ხუთ მწკრივად შემოვლებული სხვადასხვა ფერის (მწვანე, ყავისფერი და სხვ.) ტყავის სალტეები, რომელიც ფრაგმენტულად ჩაწნულია ქარქაშის ტყავში. აჭარულ ბაბასყამას თანამედროვე ქართველი ოსტატები ახლაც ამზადებენ.

მ.ქ.

ყამირი — ერთგვარი ტიპის სამუხლე, ოთხი ღილით იკვრება. თუ სამუხლეს ცხვარში ნასვლისას იცვამდნენ, „ყამირს" ქორწილსა და დღესასწაულებზე. ნეფეს ყამირი ქორწილის ღამეს უნდა შემოერტყა მუხლზე და სამი დღის შემდეგ მოეხსნა (ნოჯა, დუშეთის რ-ნი).

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ყამჩა — ნიკაპთან რამდენიმე წყება მარგალიტის ფარღული, კავებქვეშ ამოდებული და თხემზე ლეჩაქქვეშ შეკრული.

ყანაოზი — აბრეშუმის ფარჩა, თივთისაგან განსხვავებით ჯერ დაართავდნენ და შემდეგ ათეთრებდნენ. ხასიათდება ფერადოვნებით.

ლ.მ.

ყანწი — ღვინის (აგრეთვე არყის) რქის სასმისი. სულხან-საბას განმარტებით დიდ ყანწს „ქარახსას" უწოდებენ. საქართველოში ყანწებს ძირითადად ჯიხვის, ხარის, ძროხის, კამეჩის, გარეული თხისა და ნიამორის რქისაგან ამზადებდნენ. ყანწები განიყოფება ორ სახეობად: „ჯიხვებად", ანუ ღვინის სასმისებად და არყის სასმისებად, ანუ პატარა ყანწებად. დამუშავების მხრივ ყანწები შეიძლება კიდევ ორ ჯგუფად დაიყოს ხელოსნური ყანწები და არახელოსნური. არახელოსნური ყანწები მოკლებულია იმ ხელოსნურ ტექნოლოგიებს, რომელსაც ესა თუ ის რქის ხელოსანი ფლობდა საკუთრად. ასეთ უბრალო ყანწებს ყველა გლეხის ოჯახში ადვილად აკეთებდნენ. ყანწის კეთების საწყის სტადიაზე ჯერ რქას გამოხარშავდნენ. რქა იხარშებოდა გულითაც და უგულოდაც. უკეთესი იყო უგულოდ რქის გამოხარშვა. მოხარშულ რქას თბილ-თბილს გათლიდნენ დანით, შემდეგ ჭოპოსანში გამოიყვანდნენ, გაქლიბავდნენ და შუშით გაფხეკდნენ. გაფხეკილ ყანწს ნახშირიანი ტილოთი კარგად გაწმენდდნენ. შემდეგ ხდებოდა სასმისის დაფერვა. გაქონილ ნაბდის ნაჭერს რქას წაუსვამდნენ, რის შემდეგაც ყანწი პრიალებდა და სასურველ ფერს იღებდა.



ზედა ნანილის დამუშავების შემდეგ ინყებოდა გულის გასუფთავება და ამოხვეწა. ამისათვის ყანწში ჩაასხამდნენ ადუღებულ წყალს და ხვეწით ამოასუფთავებდნენ. გულის ამოღების შემდეგ ყანწს გამდნარ სანთელს გამოავლებდნენ. ასე კეთდებოდა უბრალო ყანწები. მდიდრული ყანწი ოქრო-ვერცხლით იჭედებოდა როგორც სევადით, ასევე ზარნიშის ტექნოლოგიით, ზოგჯერ ყელსა და წვერში ვერცხლისავე ძენკვით









ფარი





ფაფანაკი

გადააბამდნენ. აღსანიშნავია, რომ საქონლის რქებისგან დამზადებული ყანნები სხვადასხვა ზომისა იყო.

არყის სასმისად პატარა ზომის ყანწებს აღმ. საქართველოს მთიანეთში იყენებდნენ. არყის ყანწებიც ორნაირია: ხელოსნური და უბრალო. ძირითადად მზადდებოდა ხარის, ცხვრის, თხის ან შველის რქებისაგან. ხევსურეთში ყანწს ხატსაც სწირავდნენ. ასეთ ყანწს „სალოცავს" უწოდებდნენ. მათ საგანგებოდ რთავდნენ ღილ-მძივებით, ვერცხლის ძეწკვებითა და მონეტებით, წვერი ხშირ შემთხვევაში გველის ან ფრინველის თავის გამოსახულებით იყო დამშვენებული. მთაში არყის ყანნი მიცვალებულისთვის განკუთვნილ სასმისსაც წარმოადგენდა. გარდაცვლილის შესანდობარს პირველად ამ სასმისით სვამდნენ.

ყანწები ძირითადად ქორწილებსა და ნათლობა-დღესასწაულებზე გამოიყენებოდა. პირდაპირი დანიშნულების გარდა, „ჯიხვები" სასტუმრო ოთახებისა და დარბაზების შესამკობად იხმარებოდა. ზოგიერთ ოჯახში დღესაც ინახება უზარმაზარი რქებით შემკული ჯიხვის თავი. ეს რქები, ამავე დროს, სასმისებსაც ე.წ. „ქარახსებს" წარმოადგენს.

საქართველოში ყანწის მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოკვეთა ღვინის კულტმა და ეს აშკარადაა დადასტურებული არქეოლოგიურ მასალებში. ეთნოგრაფიულ ყოფაში რქის დამუშავების კულტურაში ყანწს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა და თითქმის ყველა ოჯახს გააჩნდა ამ ტიპის გამორჩეული სასმელი, რომელიც ყველა ნადიმისათვის განუყრელ საგანს წარმოადგენდა.

მოსახლეობაში მასიურად იყო გავრცელებული სხვადასხვა ზომის რქის შეუმკობელი ყანწები, მაგრამ შეძლებული ოჯახები არჩევდნენ ვერცხლით შეჭედილ ყანწებს. არცთუ იშვიათად სათანადო წარწერებით ყანწი წარმოადგენდა ძალზე მიღებულ სასაჩუქრო — მემორიალურ ნივთს. ქართული ლხინისათვის ყანწი განუყრელ სასმისად ჩამოყალიბდა. დროთა განმავლობაში იგი გადაიქცა მოქეიფე მსმელთათვის ღვინის სმაში ერთგვარი შეჯიბრის საგნად და მისი უტილიტარული დანიშნულება ზედმეტად უტრირებული გახდა.

ვანის არქეოლოგიურ მასალებში აღმოჩნდა ძვ.წ. V ს. ადამიანის ბრინჯაოს ფიგურა, რომელიც თამადის პოზაში ზის სკამზე და ხელში უჭირავს ყანწი. ესაა დოკუმენტური სურათი ქართული სუფრის თამადის 2500-წლოვანი ისტორიისა.

ლიტ.: ჯ. სონღულაშვილი, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის, 1974.
თ. კერესელიძე, ძელის ნივთების კატალოგი, 1979.
ე.ნ. მ.ხ.

ყანწი სანაკვეთო (ხევს.) — ბოლო ყანწი, რომლითაც მასპინძლის სახლში სტუმარი არაყს სვამდა. სანაკვეთო ერქვა იმიტომ, რომ მისი დალევის შემდეგ მეტს აღარ დალევდა.

ლიტ: ალ. ოჩიაური, სტუმარმასპინძლობა ხევსურეთში, 1980.
ე. ნ.

ყარაული — აქ. 30-40 სმ სიგრძის, 5-8 სმ სიგანის და 2-3 სმ სისქის ძალზე სწორად გათლილი ფიცარი. იხმარება ქვის დამუშავებისას. „ქვის დაყარაულება" ნიშნავს მის ზუსტ, საჭირო ზომებში მოყვანას.

ე. ნ.

ყარყარა – ღვინის სასმისი, ყელმოგრეხილი ვერცხლის სურა. ძირითადად გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში. საბა ორბელიანის განმარტებით, ყარყარა არის „სარნყული სმაში ხმის მიმცემელი". მისი სახელწოდება წარმომდგარია სმის დროს წარმოქმნილი „კარ-კარ-კარ" ბგერათა შეთანაწყობით. სასმისის ასეთ თვისებას განაპირობებდა მისი გრეხილი ყელი, რომელიც მსმელს არა ერთბაშად, არამედ ძუნწად ანვდიდა ღვინოს და „სიმშვენიერით მოსილ სანუკვარ სმას" ახანგრძლივებდა. ყარყარას აქვს ტანი, ყელი და ძირი, რომლებიც ნანილ-ნანილ კეთდება და მერე უერთდებიან ერთმანეთს, ყელში შიგნიდან ჩამაგარებული აქვს სამგან გახვრეტილი ფირფიტა, სადაც ღვინო ჩაისხმება და ასევე სმის დროს გადმოედინება. ყარყარა ძირითადად მზადდებოდა ჭედური წესით ვერცხლის ცალკეული ფირფიტებისაგან. ყარყარა არის ჭურჭელი დიდ ნადიმთა დამამშვენებელი და ძველი ქართული წყაროების მიხედვით იგი ექცევა ჭურჭელთა რიგში, რომლებიც იყვნენ „სამსახურებელნი ტაბლათანი ტურფანი და სანადიმონი". ყარყარას ტანი, ხშირ შემთხვევაში დამშვენებულია სხვადასხვა ჟანრის ჭედური წესით შესრულებული რელიეფებით, რომლებიც აღებულია როგორც საქართველოს ისტორიიდან (თამარ მეფე, რუსთაველი) ასევე საყოფაცხოვრებო სფეროდან. ყარაყარას საუკეთესო ხელოსნებად ითვლებოდნენ თბილისელი ოქრომჭედლები.

ლიტ: ი. ბალახაშვილი, ძველი თბილისი, 1951.
ე. ნ.

ყაურმა — წვრილად დაჭრილი ხორცისგან მომზადებული საჭმელი, რომელიც გამიზნულია ხანგრძლივი მოხმარებისათვის. ყაურმის ხორცი, როგორც წესი, მსუქანი უნდა იყოს და შესანახი ყაურმაც წინასწარ დამდნარ ქონში უნდა მოიხარშოს, შემდეგ შენელდება მარილითა და სანელებლებით, ჩაასხამენ ქილებში, ანდა გუდაში და თუ ყველა წესის დაცვითაა გაკეთებული, შეიძლება ერთი წელიც კი გაძლოს. ასეთი საჭმელი განსაკუთრებით მოსახერხებელია სახლიდან გასული ადამიანისათვის (მწყემსებისათვის) და სწორედ ამ მიზეზის გათვალისწინებითაა იგი დამზადებული.

ე. ნ.

ყაფაზა — მიკიტნის დუქნის წინ, სავაჭრო უხუფო თარო, რომელშიც სანოვაგე ყრია.

ყაფთანი (სამცხ.-ჯავახ.) — ქალის კაბა. მასალად მოიხმარებოდა ფაბრიკული ქსოვილები. გათხოვილი ქალის კაბა ფართო უნდა ყოფილიყო და მასალად 3-4 მ ქსოვილი სჭირდებოდა. კაბა გულდახშული და საყელოიანი იყო. მეძუძური ქალებისათვის კი გულჩახსნილი და ღილებით შესაკრავი, ქალიშვილებისათვის ზურგზე იყო ჩაჭრილი და ღილებით შესაკერელი. კაბას ზედატანის წინა მხარე და მხრები ორმაგი ქსოვილისა ჰქონდა. ქვედატანი მრავალნაკეციანი იყო.

ლიტ.: ლ. ბარათაშვილი, მასალები XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან. მსმკი, 1966

ც.ბ

ყალი (თუშ.) — დამარილებული და მზეზე გამომშრალი გამხმარი ხორცი. საყალე ხორცი იჭრება გრძლად, ისე რომ მზის მისაფიცხებლად მისი ხარიხაზე გადაკიდება შეიძლებოდეს. ასეთნაირად შემზადებული ხორცი დიდხანს ინახება და ჭამენ როგორც უმად, ასევე იყენებენ სხვადასხვა ნვნიანი საჭმელების დასამზადებლად. განსაკუთრებით მოსახმარია მწყემსური მომთაბარეობის დროს.

ყანიმი — „ხმლის სამხარიღლივე" (საბა). ვერცხლის ნაწილებით შემკული მხარიღლივ გადაკიდებული თასმა, რომელზედაც ხმლის ქარქაშია ჩამოკიდებული.

ყაჭი — აბრეშუმის ამოხვევის დროს მეორეხარისხოვანი, ნარჩენი პარკიდან ამოხვეული ძაფი. ყაჭის ძაფს შემდეგნაირად ამზადებდნენ: დაალბობდნენ თბილ წყალში, მერე გამოხარშავდნენ, ნაჭერში გამოხვეულ პარკს ხვედით ან ფილთაქვით დაბეგვავდნენ. დანეწილი ყაჭიდან ძაფს თითისტარზე დაართავდნენ, დაძახავდნენ, დახვეწდნენ და გორგლებად ამოახვევდნენ. ყაჭის ძაფი იხმარებოდა ხონჯრების საქსოვად, ჩურჩხელისათვის, ძველმანების დასაკერებლად და სხვა.

ლიტ.: ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957.

ლ.მ.

ყაჯარი — ცხენის აღკაზმულობის დასამშვენებელი. ყაჯარი მოქარგული მაუდი ან ნოხ-ფარდაგია. იგი ფარავს ცხენის ზურგს, აღმოსავლური, განსაკუთრებით თურქულ-სპარსული ყაჯარები გამოირჩევა დიდი ესთეტიკური მშვენიერებით.



ნ. ჯ.

ყდა (ხევს.) — შალის, ტოლის საქსოვი. ვერტიკალური საქსოვი დაზგის ტიპი. ყდის ნაწილებია: ორი ყდა (სვეტი), ორი ლვილვა, ორი ნკეპლა (სათხორე და საშევარი), ორი გარა, სოლები, ორი ქიჩი, ბეჭი (სავარცხელი), ფხინი (გარას ნამყვანი), წიწუ, ცხემლა (მაქო) და თხორნი. ყდის სვეტების თავთან ამოღებულ თვალში გაყრილია ზედა ლილვი, ქვედა ნაწილში ამოჭრილ საქიჩრეებში ჩასმულ ქიჩებზე ჩამოკიდებულია საშევრის გარა, ყდის ძირზე გადგმულია ქვედა ლილვი.

საქსოვ ყდაზე დაჭიმული იყო ქსელი, საშევრის გახსნილ პირში — ქირცში ძაფდახვეული ცხემლა იყო

გადებული. ზევით ქსელის გამყოფი გარა. ქსელის დაქსელვის შემდეგ იწყებოდა ქსოვა: ფხინის საშუალებით გარას მოძრაობის შედეგად ქსლის გახსნილ პირში ცხემლი ძაფის გატარებას ბეჭით ჩაბეჭვა მოპყვებოდა. საშევრის მეშვეობით ძაფების ზევით და ქვევით აწევ-დანევა, ძაფდახვეული ცხემლის მარცხნივ და მარჯვნივ მოძრაობა და ჩაბეჭვა თანმიმდევრული მონაცვლეობით ხდებოდა. ყდაზე დღეში საშუალოდ 60-80 სმ. ტოლი იქსოვებოდა.

ასეთივე ტიპის საქსოვი იყო თუშური „აკაზმები", ფშავში არსებული „ყდა" ხევსურულისგან განსხვავდებოდა. ამ საქსოვებზე შალთან ერთად ხალიჩა-ფარდაგებსაც ქსოვდნენ.

ლიტ: გ. ჩაჩაშვილი, ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, სსმმ, XVIII-B. 1954.

ლ. მ.

ყევარი — ორი უღელი ხარ-კამეჩი.

ყელსაბამი — ყელის სამკაული. სულხან-საბას მიხედვით მას „ფარღული" ეწოდება. ყელსაბამი არის ოქროსი, ვერცხლის, თითბრის, სპილენძის (მოოქრული ან მოვერცხლილი). საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ყელსაბამი აღმოჩენილია თრიალეთში, რომელიც ძვ.წ. XIX ს-ით თარიღდება.



საყოველთაოდაა ცნობილი ვანის, ახალგორის, მცხეთის, ქარელის, დუშეთის და საქართველოს სხვა რეგიონებში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ყელსაბამები: ფრინველთა გამოსახულებით, კუს გამოსახულებით, ლომებიანი, გომბეშოებიანი, გრეხილით, გვარსით და ინკრუსტაციით შემკულნი.

საქართველოში ძალზე ტრადიციული იყო ვერცხლის ყელსაბამებიც. ცნობილია სვანური ყელსაბამი-„კებზარი", მას XX საუკუნეებშიც ამზადებდნენ. კებზარის დამზადების ტექნიკა ტრადიციული და ძველისძველია. ახალციხეში ყელსაბამს „ჯიღ-ჯიღასა" და „ბობღანდს" უწოდებდნენ. ჯიღ-ჯიღა არის ყელსაბამის ქართული სახელი, რომელიც მესხეთ-ჯავახეთში შემოინახა.

ლიტ.: ლ. სოსელია, ოქრომჭედლობის შესწავლისათვის მესხეთში, კრებ.: მესხეთ-ჯავახეთი, 1972

მ.ბ.

ყემჭა//ყემჭაი – თუში ქალის ფარაგის ქვეშ ჩასაფენი სამკუთხა ფორმის, პატარა ყელთან მისაფენი, შვინდისფერი მაუდის ნაჭერი, რომელიც ღილით ან ზორტებით ზურგზე მაგრდებოდა. ამ ნაჭრის საგულდაგულოდ მორთვაც იცოდნენ: გრეხილ-ყაჭებითა და სხვადასხვა სამკაულით. ხშირად იგი ვერცხლის ჯვრითაც იყო შემკული.

ლიტ: გ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1993

ც. ბ.

ყველი — რძისაგან დამზადებული საკვები პროდუქტი, რომლის კეთების დიდი ტრადიციები არსებობს საქართველოში. ყველი წარმოადგენს საკვები რაციონის უდიდეს კულტურულ მონაპოვარს. საგულისხმოა, რომ ყველის დამზადების ხელოვნებას არ ფლობდენ მომთაბარე მეურნეობით დაწინაურებულ ხალხთა დიდი ნაწილი, თვით რუსეთში, რომელსაც მესაქონლეობის უდიდესი ბაზა გააჩნდა, ყველის დამზადების კულტურასაც არ იცნობდნენ. საქართველოს ფლორა თავისი მრავალფეროვნების წყალობით ხელს უწყობდა სხვადასხვა ტიპისა და ხარისხის ყველის გამოყვანას. საუკუნეების განმავლობაში, ცალკეულ კუთხეებში, ჩამოყალიბდა ადგილობრივი ყველის სახეობათა ფორმები, რომლებიც თითოეული მათგანისათვის სამეურნეოდ ცხოვრების მახასიათებლად იქცა ასეთებია: თუშური გუდის ყველი, მეგრული და სვანური სულგუნი, ჯავახური — ჩეჩილი, იმერული — ხელური, აჭარული — ჩლეჩილი//ხელური და სხვა. საქართველოში ყველისაგან აკეთებდნენ ხაჭაპურს, აჩმას, გებჟალიას, ელარჯს, თაშმუჯაბს, ყაიმაღს, სინორს, ბორანოს. მიღებული იყო ყველის გახმობა, რისგანაც შემდეგ ამზადებდნენ ჩახარშოებულ ყველს ბრინჯთან და კვერცხთან ერთად.

ე. ნ.

ყველი გამხმარი — ერთგვარი ხერხით კონსერვირებული ყველი, რომელიც ზამთრის მარაგად გამოიყენება: წათხში გამაგრებულ ყველს ცხრილზე გააშრობენ, შუაგულში გახვრეტენ, ერთ თოკზე მრგვალად ააცვამენ და შუა-შუა ხის პატარა ნაჭრებს დაუტანებენ ერთმანეთს რომ არ მიედონ. შემდეგ

შეიტანენ ისეთ სამეურნეო ნაგებობაში (მაგ., სასიმინდეში), სადაც უფრო მეტი ჰაერაციაა. ყველი უნდა გამოხმეს უმზეოდ, რადგან მზის დაცემა ყველის გამნარებას იწვევს. გამხმარი ყველი საუკეთესოდ ინახება. საჭიროების დროს ასეთ ყველს მსხვილ ნაჭრებად დაჭრიან, ჩაყრიან ქვაბში, მოადუღებენ ბრინჯთან და კვერცხთან ერთად, ჩაახლიან კვერცხებს და შეანელებენ პიტნით.

ე. ნ.

ყველი იმერული — იმერულ ყველთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესები ხანგრძლივი ტრადიციული ემპირიული დაკვირვება-გამოცდილებითაა გაჯერებული. იმერული ყველი მოუხარშავ ყველთა ჯგუფს განეკუთვნება და რადგან იგი ხელით ამოჰყავთ ხელურ, ხელეურ (აჭარ.) ყველს უწოდებენ (მეგრელები და სვანები კი „კაზლა" ყველს). ცნობილია, რომ ყველის წარმოებაში მთავარ მოქმედებას რძის დაკვეთა//შედედება წარმოადგენს, რისთვისაც იხმარება საკიდელი//დვრიტა//სადედი. კარგად იკვეთება ახალმოწველილი თბილი რძე, იმ სითბოთი როგორიც გამოიწველება და ეს სითბო უნდა შეუნარჩუნდეს საკიდელის მოქმედების მთელ პერიოდში. გამოცდილი მეყველე ადვილად საზღვრავს დაკვეთის პროცესს. როცა რძის მასა სათანადოდ შედედდება, ხელს ჩაყოფს, აურევს, მერე იწყებს შეგუნდავებას, ამოყვანას და ორივე ხელით ნელ-ნელა წურვას, რათა გაათავისუფლოს ზედმეტი შრატისგან, მაგრამ ისე რომ შერჩეს საკმაო სისველე, რაც ყველის დამწიფების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. განურულ, მომრგვალებულ ფორმის ყველს ხის ან თიხის ჯამზე დადებენ, სადაც ის აფუვდება. დილით ამოყვანილ ყველს საღამომდე ჯამში ამყოფებენ და მერე მოაყრიან ქვამარილს, რომელიც ბევრად სჯობს ზღვის მარილს. კენჭი ან ხვირიში მარილით ყველის შენელება ქართველი მეურნის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ასეთი ფრაქციის მარილი ყველში ნელ-ნელა, ზომიერად შედის, რაც ყველის დამწიფებასა და თვლების განვითარებას უწყობს ხელს. თიხის ჯამზე შემაგრებული და დამარილებული ყველი ამის შემდეგ გადადის დიდ სათავსოში ხალამში//დერგში//ჯურუკაში და ინახება საგანგებოდ გაკეთებულ წაქეში//წათხში. ყველიან დერგებში არომატიან ყველის მიღების მიზნით ტარხუნის ან პიტნის კონებს ჩადებდნენ. გურიაში ყველის აფუების მიზნით, ზამთრობით დერგში დოლბანდში გამოკრულ ხორბალს დებდნენ. ყველიან დერგებს ინახავდნენ სამეურნეო სათავსში, ბნელ ადგილას, ანდა მიწაში ჩაყრილ ჭურუკებში//ქოცოებში (საერთოდ, სიბნელე და თავდახურულობა ყველის შენახვის ერთ-ერთი გარანტიაა), სადაც ერთ წლამდე გემოშეუცვლელად ინახებოდა. საზამთროდ შესანახ ყველს აგვისტო-სექტემბერში აგროვებდნენ და ყველიერში გაიხმარდნენ.

ლიტ: ნ. თოფურია, იმერული ყველის დამზადების ხალხური ტექნოლოგია, მსმ, ტ. XIX, 1978; А. Калантар. Молочное дело на Кавказе, 1901. *ე. პეტრიაშვილი, რძე და მისი სხვადასხვაგვარი გამოყენება, 1898.*

ე.ნ.

ყველი შეგოლილი — კონსერვირებული, ბოლში გამოყვანილი ყველი. გურია-სამეგრელოში ყველს გასაშრობ-გასახმობად ჩეჩოში შედებენ — ბოლოგანიერ და ყელვიწრო გოდორში (იხ. ჩეჩო). გამოიყვანენ ზომიერ კვამლში, შემდეგ მოათავსებენ ტკეჩის კალათებში და შეინახავენ სამეურნეო ნაგებობაში.

ე.ნ.

ყვერბი (ლეჩხ.) — ცეცხლის სანთები ადგილი ბუხარში, იგივე ტაფა.

ყვიბარი — ღვინის შესანახი მცირე ზომის ქვევრი ლეჩხუმში. ყვივარისა და ქვევრის ტევეადობას ლეჩხუმში დორას (იხ.) მიხედვით საზღვრავენ. სამ დორიანზე პატარა ჭურს ყვიბარს უწოდებენ, უფრო დიდს — ჭურს. სიმაღლე დაახლოებით 80 სმ-მდეა. ლეჩხუმური ყვიბარი და იმერული ქოცო ერთი და იმავე შინაარსის მატარებელი ტერმინია.

მ.ზ.

ყისინა — 1. თხის უხეში ბალნისაგან მოქსოვილი საბანი საქართველოს მთაში, რომელსაც მწყემსები ხმარობდნენ 2. დიდი ტომარა, ხორბლის გადასატანად.

ყორე — ქვის ღობე. ეთნოგრაფიულ ყოფაში გვხვდება მშრალად ნაგები ყორეები, რომელთა მშენებლობის დიდი გამოცდილება არსებობდა. ყორის ქვა, როგორც წესი უსწორმასწოროა და მოიპოვებენ როგორც ქვის კარიერებში, ასევე ჩვეულებრივ. ყორის მშენებლობა გარკვეულ ცოდნას მოითხოვს, ის როგორც უხსნარო ღობე საჭიროებს ქვების ერთმანეთზე მორგების თავისებურ წესებს. საყორე ქვას აქვს კბილები, ზურგი,

კავკასიური ფეხსაცმლის ტიპები



კავკასიური ფეხსაცმლის ტიპები

მუცელი და თითოეული ქვა ერთმანეთს ისე უნდა მოერგოს, რომ მტკიცედ დადგეს. ყორის წინპირი და უკანა მხარე შენდება დიდრონი ქვებით, შუაში კი შიგადაშიგ იყრება და ლაგდება ხიჭები//როჭკები. თითოეული დიდი ქვა მაგრდება პატარა ქვების მეშვეობით და საბოლოოდ იქმნება ერთიანი მტკიცე კედელი. პრაქტიკული თვალსაზრისით ყორე ძალზე ამართლებს, რადგან დროის პირობებს კარგად უძლებს და დარღვეულის შეკეთება იოლადაა შესაძლებელი. ყორის მშენებლობას საქართველოში ყველგან მისდევდნენ. იმერეთში ყორე საკარმიდამო კომპლექსის შემადგენელ ნაწილად იქცა. ამ თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია ჭიათურის რ-ნის სოფ. ჭილოვანში დადასტურებული ყორეები, რომლის შუკებსა და გზების ნაპირებს იმდენად კარგად ნაშენი ყორეები ამშვენებენ, რომ შორიდან ნაქსოვის ფაქტურას იმეორებენ. ასეთი ყორეები განსაკუთრებულ კოლორიტს უქმნიდა სოფელს.

ლიტ-რა: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე.ნ.



ყოში – სახელოთა წაგრძელებული ნაწილი, საბას მიხედვით, „მაჯის გადასაკერებელი". მასალად გამოიყენებოდა იგივე ქსოვილი, რაც სახელოებზე, მხოლოდ სარჩულად იყენებდნენ კარგი ხარისხის ფერად ქსოვილებს გადაკეცვის შემთხვევაში ეფექტის მოსახდენად.

ყოში იყო ხელის მტევნის ზედა ნაწილის დამფარავი. სამკუთხედის მოყვანილობის ეს ნაწილი კერდებოდა როგორც მამაკაცის კაბა-ახალუხებს, ისე დედაკაცის კაბა-ქათიბებს.

ც. ბ.

ყუთი საწვრილმანო – ასეთი ყუთების ზოგადი სახელი ტაგრუცია (იხ.), მაგრამ უფრო პატარებს საწვრილმანო ყუთებს უწოდებენ. ძირითადად მოიხმარდნენ ქალები სახელსაქმო იარაღებისა და კოსმეტიკურ ნივთების შესანახად (მაგ., ილარუ, ტანტრიაბეჩი და სხვ.).

ე.ნ.

ყუთული//ლაიჭვარი//გოგე(სვ.)**//ღვედიში**(სამეგრ.)**//ჩარხი**(ქიზ) — ტყავის დასამუშავებელი ხელსაწყო. ყუთულს ფეხში ჩადგმული ჰქონდა გათლილი ბოძი, მისი ზედა ნაწილი წვრილი იყო და ზემოდან ჩამოცმული ჰქონდა ბოლოებმომრგვალებული მორი, შიგნით ერთი ნახვრეტით. ნახვრეტში შეყოფდნენ ღვედის თავს, დანარჩენი ნაწილი სვეტის გარშემო ეხვეოდა. ჩარხის ორივე მხარეზე ნამოზიდული ნაწილების — „ხელების" — მეშვეობით ტყავს ატრიალებდა და არბილებდა.

ლიტ: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური ნესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

ყულაბა — სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული წვრილი ფულის შესანახი ჭურჭელი.



ყურთბალიში — ბუმბულის პატარა ბალიში.

ყურთმაჯი (კახ. თუშ.) — სახელო, ქალის ქართული კაბის ერთ-ერთი დამატებითი ელემენტი. სახელოებს დასამაგრებლად ზონარი ჰქონდათ მობმული. სახელოთა ნაპირები შემკული იყო ფერადი ზონრებით. მართალია, ჩაცმის შემდეგ

ყურთმაჯი ფართო სახელოთა ქვეშ ექცეოდა, მაგრამ ხელების მოძრაობისას თვალსაჩინო ხდებოდა.

ც. ბ.

ყურიანა (ყურივნები) (რაჭ.) — კერძის დასამზადებლად განკუთვნილი თიხის ჭურჭელი. რაჭაში კერამიკულ ჭურჭელწარმოებასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულები მხოლოდ ონის რ-ნის ორ პატარა სოფელში ლაჩთასა და შეუბანში დასტურდება, სადაც ქალთა ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას მეჭურჭლეობა, ანუ „მეყურივნობა" წარმოადგენდა. რადგან ჭურჭელი თავისი ყურებით გამოირჩევა, მან ასეთი შეფერილობის სახელი მიიღო.

მ. ზ.

ყურუთი (საქ.მთ.) — გამხმარი დო, საჭმელი, ატმის ხელად აკორკოშებული.

ყურშალი-სანელური (სამცხ.-ჯავახ.) — წელსახვევი ქალისა. მასალად გამოიყენებოდა 1 ან 1,5 მეტრი სიგრძის შინნაქსოვი ფერადი შალის ქსოვილი. ატარებდნენ ახალგაზრდები, განსაკუთრებით ორსულობის პერიოდში. სიცივისაგან დაცვის მიზნით კი მოხუცი და ხანშიშესულო ქალებიც მოიხმარდნენ. თურქული ჩვეულებით დაქორწინებიდან ქალიცა და ვაჟიც იწყებს ყურშალის მოხმარებას.

ლიტ.: ლ. ბარათაშვილი, მასალები XIX საუკუნის ქართული ხალხური ტანსაცმლის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან. მსმკი, 1966

ც.ბ.





შაბაქა // ჭია // გველიკუდა — პატარა ხერხის სახეობა. ასეთი ხერხით აჭრელებდნენ აიენის ფარდებსა და მოაჯირებს.

შავები – აქ: სამგლოვიარო სამოსელი. უძველესი პერიოდიდან მიცვალებულთან დაკავშირებით შექმნილ ტაბუაციის რთულ სისტემაში ერთ-ერთ საკითხს სამგლოვიარო სამოსელის ფერის შერჩევა წარმოადგენს (იხ. ძაძა). ძველი დროიდან ფერი სიმბოლური ინფორმაციის წყაროდ იყო მიჩნეული, რომელიც ძლიერ გაელენას ახდენდა ადამიანის ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობაზე. სხვადასხვა ხალხში ფერთა გამას სხვადასხვა დატვირთვა ჰქონდა. საქართველოში სამგლოვიარო სამოსი ძირითად შავი ფერისა იყო, აქედან მომდინარეობს სამგლოვიარო სამოსელის ერთ-ერთი სახელწოდებაც — „შავები". ძველ საქართველოში გლოვის დროს ძირითად შავ ფერთან ერთად გამოიყენებოდა ლურჯი, ყავისფერი (ჯიგარი), იისფერი. სვანეთში და ხევსურეთში დაცული წესებით, შავთან ერთად წითელიც ჩანს გამოყენებული მიცვალებულის სახელზე მოკაზმული ცხენის აღკაზმულობაში, რაც საზეიმო და გლოვის ელემენტების შერწყმას უნდა გულისხმობდეს. სამეგრელოში დაცულია სამგლოვიარო სამოსელის სახეობა — „ონნერალი", რომელიც შვილის, ქმრის და გაზრდილის — „მორდილი"— დაღუპვის დროს იყო გამოყენებული. ეს იყო თეთრი ნარმისგან („ჩენარმა") დამზადებული კაბა. ამაზე „სამწარო" აღარა ყოფილა, მაშინვე შეატყობდნენ, რომ ჩაცმულს ახალგაზრდა ახლობელი ჰყავდა დაკარგული.

ც. ბ.

შალაფი — ფიცრის სახვრეტი. საშუალო ტიპის ბურღი, გავრცელებული იყო ხევსურეთში, ფშაეში და სხვ.

ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, 1962.

მ. მ.

შალაშინი — რკინისპირიანი ხის იარაღი, რომლითაც აშალაშინებენ ფიცრებს. შალაშინი არის მრავალნაირი.

შალთა — თოხის ნაირსახეობა, რომელიც გამოიყენება ბოსტანში სამარგლავად. სულხან-საბა მას ნამგლისებურად მოხრილ პირიან იარაღად მოიხსენიებს. შალთა განეკუთვნება პატარა პირიან თოხების ჯგუფს.

ლიტ.: ქელ. 2009.

შალი//კული — მატყლის ძაფით საქსოვ დაზგაზე, ან ყაისნაღით და წინდის ჩხირებით მოქსოვილი მოსასხამი, საბეჭური შალი. შალის ქსოვილის მოსაქსოვად გამოყენებული იყო: საქსოვი ყდა (ხევსურეთი, ქართლი)//აკაზმები (თუშეთი)//ლაჯშიარ (სვანეთი), საფეიქრო (რაჭა), საქსელე (იმერეთი), საოშუალო (სამეგრელო). შალები იქსოვებოდა ორმაგი და ცალფა ძაფითაც. ძაფის დამუშავების მიხედვით იყო წალმართად და უკუღმართად ნაქსოვი. დამზადების ადგილის მიხედვით ცნობილი იყო: მსხვილად აძახული ძაფით ნაქსოვი, ე.წ. ჯვარული და ონური, ცალფად აძახული ძაფით ნაქსოვი ხონური შალი. ასევე ლეკური, მუხახის შალი, იმერული შალი და სხვა. სახიან შალებს განეკუთვნებოდა: ღვედებიანი, ზოლიანი (რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთი), კუბოკრული//ჭადრაკული (რაჭა, იმერეთი)//კიბოიანი (სვანეთი)//ფუთური (გურული), ირიბზოლიანი ნახჭიანი (ლეჩხუმი), ხარვეზიანი — ზოლსა და ზოლსა შუა დატოვებული ადგილით (იმერეთი) და სხვა. შავი და თეთრი მატყლის შერევით მრთველ-მქსოველები ახერხებდნენ სხვადასხვა ნეიტრალური ფერების მიღებას, რომლითაც ამზადებდნენ სხვადასხვა სახის ჩასაცმელს. შალის ნანარმი, გარდა საკუთარი მოთხოვნისა, გასაყიდადაც მზადდებოდა. კაპიტალიზმის განვითარებამდე საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობა მოიხმარდა შინნამზად შალს. ქართული შალის საუკეთესო ნიმუშები დასტურდება ხევსურეთში.

ლ. მ.

შალი ბუკუნებიანი (ლეჩხ.) — ალაგ-ალაგ თითის ზომის სიგრძეზე გაუჭიმავად ამოზიდული ძაფით მიღებული ზედაპირიანი შალის ქსოვილი. ლეჩხუმში „ბუკუნებიანი შალი" ქალის ჩასაცმელზე იყო მოხმარებული.

ლიტ.: ც. ბეზარაშვილი, ლეჩხუმური ჩაცმულობა, კრებ. ლეჩხუმი, 1985.

ლ. მ.

შალი თივთიკის — ნაზი ქსოვილი, თხის ან ჯიხვის ბეწვის რბილი ბალნით ნაქსოვი: თხას ან ჯიხვს ბალანს რკინის სავარცხლით გამოვარცხნიდნენ და მაკრატლით აჭრიდნენ, საპენტელათი აპენტავდნენ, ცალკბილა საჩეჩელზე — „სავარცხელზე" დაჩეჩავდნენ და თითისტარზე დაართავდნენ. თივთიკის შალით მზადდებოდა ყაბალახი, ჩოხა, კაბა, მხრის შალები, ხალათები, თავშლები. ძველ წერილობით ძეგლებში თივთიკი „თხისურის" სახელითაცაა ცნობილი.

ლიტ.: ც. ყარაულაშვილი, ქსოვილების დამზადების ხალხური წესები. სსმმ. XXXIV, 1976.

ლ. მ.

შამფური — 1. რკინის ან ხის წვეტიანი ჯოხი, ზოგჯერ დაგრეხილი ფორმის, გამოიყენება ხორცის შესანვავად. დიდი სანადიმო სუფრებისათვის საჭირო შამფურებს ლითონისაგან ამზადებდნენ. ასეთ შამფურებზე ზოგჯერ მთლიანად ინვებოდა დაკლული პირუტყვი (ცხვარი, თხა, გოჭი).

2. სადურგლო იარაღი, ხმარობენ ხის გასახვრეტად.

შანა — ლითონის ნივთი, რომელსაც ადამიანი იბამდა ყელზე ავი თვალისაგან დაცვის მიზნით.

შანდალი — სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული სანთლის დამჭერი და ასანთები. ჩვეულებრივ გამოიყენება საცხოვრისში. არის სხვადასხვა ფორმის. რელიგიური დანიშულებით შანდალმა შეიძინა სხვა შინაარსი. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ძველი აღთქმის ებარელთა შვიდტოტიანი შანდალი, რომელიც უნდა ნთებულიყო დღედაღამ, რაც მიანიშნებს ღმერთის ყოვლადმყოფობას, მის მარადიულობას.

ე. ნ.

შანთი — 1. რკინის საზომი ერთეული, აღებმიცემობაში რკინა იზომებოდა შანთობით. შანთი უდრის 35 კგ. რკინას. 2. გრძელი, შამფურისებური რკინა, სხვადასხვა საგანთა სახვრეტად.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, ქვის საკოდი რკინის იარაღი, სსმმ, XVIII B. 1953.

შანკო (გურ.) — თაფლის დასანური ორი გრძელი თანაბარი ზომის ჯოხი, რომლებიც ბოლოებში ერთმანეთზე დამაგრებული არ იყო, გარკვეულ პარალელს პოულობს შნაკვთან (იხ.)

შანჭრაქი — ჭრაქის სახეობა. („შან"-ძაღლი სომხ.) — ძაღლის ჭრაქი. XIX ს. ბოლოს სომხეთიდან თბილისში მოსული სომეხი ლტოლვილები ავლაბარში სახლდებოდნენ. ეს სახელი დაერქვა იმიტომ, რომ ოთახს ძაღლის ქონისგან გაკეთებული ჭრაქებით ანათებდნენ.

ე. ნ.

შარვალი — საქართველოში და უმეტესად, აღმოსავლეთ საქართველოში, შარვლის შემდეგი ტიპები ჩანს გავრცელებული. 1. „ქართული" — მოკლე ტოტებიანი, რომელთა შესაკერად ორი ან ოთხი განი ყოფილა საჭირო. ირიბადაჭრილ სათავეში, რომლის შესაკერად ზოგჯერ ძირითადი მასალის-შალის ნაცვლად ფერად აბრეშუმს (ალიშა, ყანაოზი) იყენებდნენ. შარვლის დასამაგრებლად სათავეში ხვანჯარი იყო გაყრილი. ოთხკუთხი ფორმის უბედ ირიბ ნაჭრებს ხმარობდნენ. თუ შარვალს ერთი განიდან შეკერავდნენ, მაშინ უბე ტოტებიდანვე უნდა შეედგათ. გლეხობაში ქვედა საცვლის ჩაცმა იშვიათად სცოდნიათ. ხამისაგან შეკერილ შარვალს ნიფხავს ეძახდნენ, სხვა ნაჭრისას კი „შალვარს". 2. „ჩერქეზული"-თუ ქართული შარვლის მომხმარებლები ძირითადად გლეხობა იყო, ჩერქეზულს მაღალი ფენის წარმომადგენლები ატარებდნენ. ეს ტიპი შარვლისა სათავისაკენ იყო ხალვათი და ტოტები კი ვიწრო ჰქონდა. შარვლის ამ ტიპებთან ერთად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ჩანს 3. „ნაოჭიანი" („ბუზმა" — მესხეთ-ჯავახეთი) შარვალი. მასალად გამოიყენებოდა შინ ნაქსოვი შალის ქსოვილი. შედგებოდა ორი ტოტის, სათავისა და უბისაგან, რომელიც უკან 5 და წინ 3 მართკუთხედის ფორმის ნაჭრისაგან იყო შედგენილი. მათი შეერთების ადგილას ნაოჭი იყო მოჭრილი. ეს უჯიბო შარვალი ხვანჯრით იკვრებოდა. ნაოჭიანი შარვალი ახალციხეში XIX ს. 70-იან წლებშია გავრცელებული. 4. „ნაკეციანი~ შარვალი ნაოჭიანის შემდგომ შემოულიათ და მას „დუმიანს~ ანუ „ყრმალსაც~ უწოდებდნენ. ეს იყო უბეგანიერი და ვიწროტოტება. უბეს გრძლად დაყოლებული ჰქონდა 10 ხელის დადება დაკეცილი შალის ნაჭრები, რაც შარვლის საჯდომ ადგილას ცხვრის



აფხაზური ფაცხა



ფურნე

დუმის მოყვანილობას აძლევდა. ამაზე ეცვათ წინდები და პაიჭები. 5. „ყაზახური“ შარვალი ხასიათდებოდა ზომიერი უბითა და ვიწრო ტოტებით. შარვალს წინა ნაწილი დახშული ჰქონდა.

ლიტ.: გ. ჩაჩაშვილი, გლეხი მამაკაცის კოსტიუმი XIX ს. სსმმ ტXIX-ა და XXI—ხ. 1957.

ც.ბ.

შარვალი ტყავისა — საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხმარებაში ყოფილა ტყავის შარვალი, რომელსაც იცვამდნენ ცხენოსნები, განსაკუთრებოთ სამეგრელოსა და იმერეთში. ხევში ტყავის შარვლებს მეცხვარეები ატარებდნენ. ტყავის შარვალი ოთხი ნაჭრისგან შედგებოდა და შეკერილი იყო მატყლის ბანრით. თითოეულ ნაჭერს ხის ან ქაღალდის თარგით ჭრიდნენ და მას ქალები ამზადებდნენ. ტყავის შარვალი და პერანგი გამოიყენებოდა მკის დროსაც (იხ. სამკვდილი).

ლიტ: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

შატროვანი — ერთგვარი სახის წამოსასხამი, საბას განმარტებით, ესაა მძიმე ქსოვილისაგან დამზადებული ცხენზე გადასაფარებელი ნაჭერი, თუმცა ჯავახიშვილი ასეთ განმარტებას არ ეთანხმება და შატროვანს მოსასხამად განმარტავს.

ე. ნ.

შაშარი// ნეშტარი — ხმლის წვერი, ორივე მხარეს წამახული.

შაშკა — ხმლის ერთ-ერთი სახეობა. სახელწოდება მომდინარეობს ჩერქეზული სიტყვიდან „საშხო“, საიდანაც წარმოდგა რუსული და ნიშნავს „დიდ დანას“. სავარაუდოდ, მისი სამშობლოც ჩერქეზეთია. წერილობითი ნყაროების მიხედვით, „შაშკა პირველად მოხსენიებული აქვს იტალიელ მოგზაურს ჯოვანი დე ლუკას, ჩერქეზების აღწერილობაში 1625 წ. XVII ს-დან თითქმის მთელს კავკასიაში ძალზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ხან გირეი აღნიშნავდა, რომ „შაშკებს ატარებენ ცეცხლსასროლ იარაღთან ერთად, ვისაც ქონდა იარაღი, მას აუცილებლად ჰქონდა შაშკაც.“ აქედან გამომდინარე შაშკა კავკასიელი მეომრის აღკაზმულობის უცილობელ ატრიბუტად გადაქცეულა. შაშკები საქართველოშიც მზადდებოდა, ისევე როგორც მთელ კავკასიაში. ტერმინი „შაშკა“ ქართულ მეტყველებაში არ დამკვიდრდა, მას როგორც „ლეკურს“ ისე მოიხსენიებდნენ. შაშკა შედგება ტარისა და მოხრილი პირისაგან, ტარი იყო ძვლის, რქის ან მთლიანად ვერცხლის, ან კომბინირებული ნახევარ-ნახევარზე. ტარი ბოლოში მასიური ფორმისაა და ორად გახსნილია, რათა ხმარების დროს ხელიდან არ გასხლტომოდათ. შაშკის პირი ოდნავ მოხრილია, შეიძლება იყოს ერთი, ორი ან სამღარიანი, პირზე ვხვდებით სხვადასხვა ადგილობრივ ან ევროპულს მინაბაძ დამღებს. ქართული შაშკების გამყოფა მთლიანი კავკასიური ვარიანტებიდან, შესაძლებელია ვერცხლზე შესრულებული ორნამენტების, დამღებისა და ქარქაშის მორთულობის მიხედვით. კავკასიური შაშკის ტარი ქარქაშში ნახევრამდე იფარება, ასეთი ფორმით იგი ადვილად გამოსარჩევია სხვა ტიპის ხმლებისგან.

ლიტ.: Э. Аствацатурян, оружие народов кавказа, Москва, 1995.

მ. ქაფიანიძე, ქართული ხმლების ტიპოლოგიისათვის. მ. ქ. სემმ, ტ. I, 46-ბ, 2010

შეიდიში – ქალის შარვალი. მასალად გამოიყენებოდა ფერადი აბრეშუმეულობა (მოვი, მერდინი, შეიდიში, წითელი ყუბაში). შეიდიში შედგებოდა სათაურის, ორი გრძელი და მოკლე ტოტისა და უბისაგან, რომელსაც სხვადასხვა ფორმას აძლევდნენ. ჩვეულებრივი უბე 2 ან 4-ნაჭრიანი იყო. ტოტები წვრილი ნაკეცებით, რომელთა დიდი ნაწილი უკან იყო მოქცეული, ორმაგ სათავეს უკავშირდებოდა. გვერდები ჩახსნილი ჰქონდა და ღილებით იყო შესაკრავი. შეიდიშის დიდი ნაწილი დასარჩულებული იყო. ტოტის ნაპირს შემოპყვებოდა ბუზმენტი, კუნუბებიანი სირმის ჩაფარიში, ან საოჯახო წესით დამზადებული აბრეშუმის არშია-„ბაბთა“ (კახეთი). ტოტის ბოლოები შემკული

იყო ნაქარგით, ოქრომკედითა და ვერცხლის ძაფით გამოყვანილი იყო მცენარეული სახეები, ზოგჯერ ფრინველის ან თევზის გამოსახულებანი. ქალები შეიდიშს საცვლის ზემოდან იცვამდნენ და კაბაში მისი მოქარგული ბოლოს გამოჩენა არ ეთაკილებოდათ. ქალთათვის განსაკუთრებულად მოსახერხებელი იყო ცხენით მგზავრობისას. სახელი ქსოვილის სახეობიდან აქვს მიღებული.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კახური ჩაცმა-დახურვა (ქალის ჩაცმულობა, ანალები, ტ. I, 1947. ნ. გვათუა, ჩაცმულობის ისტორიიდან, ქალის ქართული ჩაცმულობა, XIX ს. და XX ს. დასაწყისი, 1967.

ც. ბ.

შერეული ქსოვილები – სხვადასხვა ძაფისგან (ნართი) დამზადებული ფეიქრული ნაწარმი: მატყლნარეები ბამბის ძაფისა — ბამბა-შალი, ხამშალა; აბრეშუმნარევი მატყლისა — შალ-აბრეშუმი; აბრეშუმისა და ბამბის ძაფით ნაქსოვი — ბამბა-აბრეშუმი, სელისა და აბრეშუმით ნაქსოვი — სელ-აბრეშუმი, ყაჭ-ბამბის ქსოვილი, კანაფისა და ბამბით ნაქსოვი ტილო და სხვა.

შერეული ქსოვილები იქსოვებოდა: ორი სხვადასხვა ერთ წვერად ამოწვერილი ძაფით, სხვადასხვა ძაფის საქსელითა და მისაქსელით ან ერთ თითისტარზე აბრეშუმ-მატყლის საქსელითა და მისაქსელით. ყოფაში შერეულ ქსოვილებს იყენებდნენ სუფთა ქსოვილების სანაცვლოდ.

ლიტ.: მსშხი, ნ. II, ნაწ. II, 1982.

ლ.მ.

შეშა — მესხეთ-ჯავახეთში ხის სინონიმი. მაგ., იტყვიან „შეშის კუტალი", „ურმის სადედნე შეშა". X საუკუნის ძეგლში მითითებულია „ყოველი ჭურჭელი შეშისა", „ხელმწიფის კარის გარიგებაში", მოიხსენიება „უვერცხლო ჭურჭელი სპილენძისა და შეშისა". ტერმინის ამგვარი გაგება ძველი ქართულის კუთვნილებაა.

გ. გ.

შვეული — შუაში ბანარამობმული მრგვალი კონუსური რკინის ან ტყვიის მრგვალი ნაჭერი, რომელსაც ხმარობენ კედლის ზუსტი აგებისთვის.

ე.ნ.

შვიდსანთელა — უეანგავი ლითონისაგან დამზადებული განსაკუთრებული მოწყობილობის კანდელი ერთ მაღალ ფეხზე დამაგრებული შვიდი ტოტით, ანთებენ ნირვა-ლოცვის დროს. შვიდსანთელა მოთავსებულია საკურთხეველში, მაღალ დასაჯდომელსა და ტრაპეზს შორის, ან უშუალოდ ტრაპეზზე სიმბოლურად გამოხატავს სულიწმიდის მადლის ნათელს, რომელიც მორწმუნეებზე ეკლესიის შვიდი საიდუმლოს აღსრულების მეშვეობით „გარდამოდის".

ლიტ.: საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2005.

ხ. ც.

შვილებიანი ლიტრა – იგივე გამბულა ლიტრა. თიხისა, მრავალი ჭინჭილებისგან შემდგარი სარიტულაო დანიშნულების ღვინის ჭურჭელი. შინაარსობრივად ენათესავება სასმის „მარანს", განსხვავება ფორმათა თავისებურებაშია. შვილებიანი ლიტრის დამზადების კერად ითვლება ქსნის ხეობის სოფ. ცხავატი, რომელიც მთელ ქართლში იყო განთქმული თიხის ჭურჭლის ნარმოებით. შვილებიან ლიტრაში ერთი ძირითადი დედა-ლიტრა მოზრდილია და ჩარექა ღვინოს იტევს. დედა-ლიტრის მუცელზე შეზრდილი მცირე მოცულობის ჭინჭილები. ღვინო დედა-ლიტრში ისხმება და აქედან პატარა ლიტრებში ნაწილდება. სითხე ჭინჭილიდან ისმევა და ამ გზით დედა-ლიტრაც იცლება. სასმისში დიდი და მცირე ლიტრების არსებობამ განაპირობა მისთვის სახელწოდება „შვილებიანი ლიტრის" მიკუთვნება. რაც შეეხება მეორე ტერმინს „გამბულა", მისი ხალხში დამკვიდრება ჭურჭლის დამზადების წესის თავისებურებით არის მოტივირებული. ოდნავ შემშრალ ჭინჭილებსა და დედა-ლიტრას პატარა ხვრელები უკეთდება, შემდეგ დედა-ლიტრას მუცელზე ორი სანტიმეტრის დაშორებით გვერდებდახვრეტილ ჭინჭილებს ჩხირებით მიამაგრებენ. დამაკავშირებელი ჩხირები თიხის ფენით იფარება,

თიხითვე იმალება დედა-ლიტრასთან შეხების ნერტილებიც. სასმისს მთლიანად წერნაქით მოაჭრელებენ და გამოსანვავად ქურაში — „თუნში" შედგამენ. გამოწვის დროს ლიტრათა გადამბმელი, დამაკავშირებელი ჩხირები ინვის და მის ადგილზე ღვინის გასასვლელი ხვრელები რჩება.

ვ. ზ.

შიბაქი – ხის მილაკიანი საშარდე რომელიც აკვანში ედგა ბავშვს.

შიბი – აღმ. საქართველოს მთიანეთში გავრცელებული ძენკვების ასხმა, რომელსაც მიკრული ჰქონდა სხვადასხვა სამშვენისები. ხევსურული ქოქომონას განუყრელი ნანილი.

შიბილი//ბეჭილი — ტყავის თასმა, გამოყენებული იყო ნაბდის ყელის გარსშემოსარტყმელად.

ნ. ჯ.

შილა – აქ: ენდროში ნითლად შეღებილი ბამბის ქსოვილი (ხამი, სამოსელი). იხმარებოდა ტანსაცმლის, ნიფხავისა და პერანგების შესაკერად. შილით იცოდნენ პერანგის გულისა და ნიფხვის ტოტებზე გადაკერა. შილა ხევსურული ტანსაცმლის ყველა ელემენტის მოსართავად იყო გამოყენებული. შილის ამ დანიშნულებით მოხმარება აღმოსავლეთ საქართველოთი იყო შემოფარგლული (კახეთი, საინგილო, სამცხე-ჯავახეთი, ფშავი, ხევსურეთი).

ლ. ბ.

შილა-შილაფლავი — საჭმლის ნაირსახეობა, ბრინჯითა და შავი პილპილით შემზადებული ცხვრის წვრილად დაჭრილი ხორცი. აღმოსავლეთ საქართველოში ძალზე მიღებული საჭმელი. განსაკუთრებით საქელეხო ცერემონიალის დროს. სუფრაზე შემოდის ბოლოს და მისი ჩამორიგებისთანავე, ტრადიციული წესის მიხედვით, კიდევ ერთხელ ახსენებენ მიცვალებულს.

ე. ნ.

შიმშა — სახელოსნო ნივთი, დანაყოფებიანი, საზომ-სახაზავი, აკეთებდნენ რკინისა და ხისგანაც.

შნაკვი – პურის თავთავების სამკალ-საკრეფი იარაღი. განსაკუთრებით გავრცელებული იყო სამეგრელოსა და ლეჩხუმში. იგი შედგება ორი, თითსტარის სისქის და 50 სმ სიგრძის ჯოხისაგან, რომლებსაც ერთმანეთის თავები თოკით მოძრავად აქვთ გადაბმული. ეს მარტივი ხელსანყო თავისუფალ ბოლოებში იშლება. მკელი მათ შეუცურებს თავთავებს, მოუჭერს, გვერდზე გადაწევს, გადატეხავს და ჩაყრის იქვე მომზადებულ კალათაში. ასეთი პურეული, რომ ნამგლით მოიმკას, მისი მარცვალი მიწაზე დაცვივა. რაც გამორიცხულია შნაკვით მოკრეფის დროს. შნაკვი გვევლინება იშვიათ სამკალ-საკრეფ იარაღად, რომელიც

უკავშირდება პურეული კულტურების უძველეს სახეობებს. იმისათვის, რომ საქართველო აღიარებულ იქნეს ენდემური პურეული კულტურების ერთ-ერთ უძველეს კერად, შნაკვის არსებობა ძალზე მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს. კერძოდ, ეს გარემოება კარგად გამოიკვეთება ისეთ ძველ პურეულ კულტურასთან კავშირში, როგორიცაა მახა. მახა ორმაგი ბუნებისაა. მასში მოცემულია ერთი მხრივ გარეული პურეულის, ხოლო მეორე მხრივ, კულტურული ხორბლის თვისებები. პირველისთვის დამახასიათებელია თვითცვენადობა, ღეროდ მტვრევადობა და თვითთესვადობა. მეორესთვის კი პოლიპლოიდობა და პოლიგენომობა. აქედან ნათელი ხდება, რომ ეს ჯიში ველურიდან კულტურულზე გარდამავალი ჯიშია და ამდენად, პურეულის აკულტურაციის პროცესის ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი რგოლია, რაც დამამტკიცებელია იმისა, რომ

პურეული კულტურის განვითარების ევოლუცია ხდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე.

ლიტ. გ. ჩიტაია, შრომები, ტ. I, 1997.

ე.ნ

შოთი — პურის სახეობა, გრძელი და რკალისებური ფორმის. აქვს სქელი ყუა, თხელი პირი და ნაწვეტებული ბოლო. განსაკუთრებით გრძელი და მოხრილი ხმლისებური შოთები იციან კახეთში, ქართლში კი შედარებით მოკლე შოთებს აცხობენ. სახელწოდება „შოთი" წარმართულ ღვთაებასთან, მთვარესთან უნდა იყოს დაკავშირებული. ძველ საისტორიო წყაროებში საწირველად პურიცაა დასახელებული, ამასთან, ყოფითმა ტრადიციამ შემოინახა ხორბლის ზედაშეები, რისგანაც სარიტუალო პურებს აცხობდნენ. შოთი დღესაც განსაკუთრებით სადღესასწაულო დანიშნულებით გამოიყენება.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. 2007.

ე. ნ.

შოლტი – მათრახის (იხ.) ერთ-ერთი სახეობა. სამ-ოთხ-ღერიანი მათრახი (საბა), შოლტი მათრახთან შედარებით გრძელია. მას იყენებდნენ მეცხვარეები და მეურმეები. შოლტის დასამზადებლად ხმარობდნენ 4-5 წლის საქონლის ტყავს. ტყავის „კოპით" შოლტის დაწვნა შემდეგი წესით ხდებოდა: ჭუჭყის, ნარჩენებისა და კუნთოვანი ნაწილებისგან განთავისუფლების შემდეგ ტყავს შიდამხრიდან 1კგ მარილს მოაყრიდნენ, დაკეცავდნენ 8 ფენად და ინახავდნენ ჩრდილში 3 დღის განმავლობაში. წვენგამოშვებულ ტყავს ჩხირებზე ჭიმავდნენ და 3 დღეს მზეზე აშრობდნენ. შემდეგ „შოლტებად" ჭრიდნენ. საგულედ იყენებდნენ კამეჩის ტყავის თასმას ან ცხენის ძუას, გამოაბამდნენ ხეზე და მათრახის ანალოგიურად დაწვნას შეუდგებოდნენ. კამეჩის ტყავის თასმა ან ერთად აღებული რადმენიმე ცალი ცხენის ძუა იმავე „გულს" წარმოადგენდა. ერთ-ერთს დააბამდნენ ლითონის რგოლზე და ხეზე დაამაგრებდნენ. შოლტის დაწვნა 16 წვერით ხდებოდა. მათრახის დარად ფუნჯებს შოლტსაც უკეთებდნენ.

ლიტ.: სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

შრეში – წებო. ამავე სახელწოდების მცენარის ფესვებისაგან მზადდება ფხვნილი, რომელიც გამოიყენება წებოს გასაკეთებლად. იხმარება ტყავისა და ქსოვილის დასაწებებლად.

ლიტ.: ქეგლ, ტ. VII, 1962.

ნ. ჯ.

შტახი — სურნელოვანი მცენარეა, რომლისგანაც ამზადებენ მურს და ნელსაცხებლებისთვის ხმარობენ.

შუბი – საძგერებელი იარაღი. „ვისრამიანის" ქართველ ავტორს შუბი ამგვარად აქვს განმარტებული: „შუბები შანფურსა გუანდა, მწუადისა ნაცულად კაცი ეგის"-ო. ვეფხისტყაოსანში შუბი რამდენიმეჯერაა გამოყენებული. მაგ. „შუბი ვსთხოვე ხელი ჩავყავ მუზარადის დასარქმელად". ტერმინი „შუბი" უძველეს ძეგლებში არ გვხვდება. იგი გავრცელებული ჩანს XII საუკუნიდან. ამ დროს უკვე ისე გაბატონებულა, რომ წინანდელი „ჰოროლი" დაუჩრდილავს. შუბი შედგება: შუბის პირისა, წვერის და შუბის ტარისაგან. საქართველოში გვიანფეოდალური ხანიდან „შუბი" ყველაზე გავრცელებულ ტერმინად გვევლინება როგორც სალიტერატურო ენაში, ასევე ეთნოგრაფიულ ყოფაში. აღსანიშნავია, რომ ყველა იმ ტერმინის ნაცვლად, რომელიც საძგერებელ იარაღს (ჰოროლი, ლახუარი, გმური, ლიბანდაკი, წათი და სხვ) გამოხატავდა, დამკვიდრდა ტერმინი „შუბი".

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი — მქემკი. ტ. III-IV 1962.

სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I , 1991.

მ. ქ.

ქალი ქათიბში და კაცი ქულაჯაში



ქალამნის ტიპები

შუკუნაი (ხევი) — მცირე ზომის ნიში, ამოჭრილი საცხოვრებლის — „სამყოფოს“ აღმოსავლეთის კედელში. გამოიყენებოდა ჯვარ-ხატების განსათავსებლად. შუკუნაი „საწმინდაო“ ანუ წმინდა კუთხეს და ფუძის ანგელოზის საბრძანისს წარმოადგენდა. ყოველ შაბათ საღამოს ოჯახის უფროსი — ფუძის ანგელოზს სანთლებს უნთებდა და იქვე, კედელში დამაგრებულ ქვაზე ან დედაბოძზე მიაკრავდა. მოხევეთა რწმენით, ფუძის ანგელოზი, გვარისა და ოჯახის მფარველად ითვლებოდა. რელიგიურ დღესასწაულებზე გვარის უხუცესი მის გვარში შემავალ ოჯახებს ჩამოუვლიდა და ფუძის ანგელოზს სანთელ ანთებული ევედრებოდა მათ კარგად ყოფნას. სხვა დროს კი, შაბათობით, ფუძის ანგელოზის სახელზე ლოცვას ოჯახის უფროსი აღავლენდა. ფუძის ანგელოზის საბრძანისთან დედაკაცის მისვლა იკრძალებოდა.

ლიტ.: ვ. ითონიშვილი, მოხეველების საოჯახო ყოფა, 1970.

ლ. ბ.

შულო – ძაფის ხვეული.

შუმი – უჭაჭოდ დაყენებული ღვინო, შუმი ზოგან ეწოდება საწნახელში დადულებულ ღვინოსაც. შუმად დაყენებისას წვენს//ტკბილს უჭაჭოდ ჩაასხავენ ჭურში, შემდეგ დაგლესენ და „მოგუდავენ“. მხოლოდ პატარა სასულეს დაუტოვებენ დუღილისთვის. ამ დროს დუღილი მთელი ძალით არ მიმდინარეობს და ღვინო ტკბილი და ფუცხუნა დგება. ლეჩხუმში ასეთნაირი წესით დაყენებულ ღვინოს „ფეთქი“ ერქვა.

ლიტ.: ლ.ფრუიძე, მეღვინეობა საქართველოში, 1974.

ე.ნ



შურდული – ქვის სატყორცნ იარაღთა ერთ-ერთი უძველესი სახეობა, რომელსაც თავის დროზე თითქმის ყველა ხალხი იყენებდა. შურდულით გასროლილი ქვა დიდ მანძილზე მიექანებოდა და გასროლის სიძლიერითაც გამოირჩეოდა. შურდული საკმაოდ ცნობილია ქართველი ხალხის ძველ საომარ საშუალებათა შორის. შუა საუკუნეების საქართველოს ლაშქარში მეშურდულეთა საგანგებო ნაწილების არსებობას მრავალი ისტორიული წყარო აღნიშნავს. მაგ., თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობაში მითითებულია: „წამოდგეს ბანთა და შუაკართა ზედა ისრის მსროლელნი და ქვის მტორცნელნი.“ შურდული მარტივი იარაღია, იგი სამი მთავარი ნაწილისაგან შედგება — საქვე, და ორი მანა. საქვეს ბოლოების გაგრძელებას წარმოადგენს ერთსა და იმავე მასალისაგან დაწნული ორი მანა.

შურდულის დასამზადებლად იყენებდნენ ლაფანს (თელის, ტირიფის, თუთის და სხვა), ტყავს, შალის ქსოვილს, ძუასა და ქალის თმას. საშურდულედ უმთავრესად დეკეულის ან მოზვრის, ზოგჯერ კი ძროხისა და ხარის ტყავს ხმარობდნენ. ხევსურთა გადმოცემით შურდულს ქალის თმისაგან წნავდნენ. აღსანიშნავია, რომ ქალის თმის გამოყენება საშურდულე მასალად სხვა ხალხებშიც დასტურდება.

საშურდულე ლაფანსა და ძუას ხელით წნავდნენ, ბაწარს კი ყაისნაღით ქსოვდნენ. ქვის მიზანში სროლისათვის შურდულის მანა ოთხპირა ბაწრით უნდა დაწნულიყო, ვინაიდან სამი ბაწრით გასროლილ ქვას არასწორი მიმართულება ეძლეოდა. დაახლოებით 50 სმ სიგრძის მანებს წვრილად წნავდნენ, შემდეგ მის ერთ ბოლოს მსროლელის საჩვენებელი თითის გასაყრელად გამონასკვავდნენ. ქვის ჩასადებს — საქვეს საგანგებოდ ჩაღრმავებულს ქსოვდნენ ანდა ტყავისას აკეთებდნენ. გარდა შურდულისა, არსებობდა აგრეთვე ქვის შორს გასროლის ისეთი საშუალებაც, როდესაც ქვა ბანარგამობმული იტყორცნებოდა, მას „კუდბანარას“ უწოდებდნენ.

როგორც ცნობილია, ბაგრატიონები თავს მიიჩნევდნენ ებრაელთა მეფის დავითის შთამომავლებად, რომელმაც შურდულით დაამარცხა გოლიათი. ამ დამოკიდებულების ილუსტრაციაა ბაგრატიონთა სამეფო გერბში შურდულის გამოხატვის ფაქტი.

ლიტ.: კ. ჩოლოყაშვილი, „შურდული“, მეცნიერება და ტექნიკა,“ №1, 1958.

მ. ქ.

შუფრა — ხარაზების იარაღი, ტყავის გასაფხეკ-გასაქერქი.

შხიფი – ხის ტარზე შუბივით წამოცმული კბილებიანი რკინის იარაღი, რომელსაც ღამით მაშხალებით თევზზე ნადირობისას ხმარობენ.

შხუნა — აფრიანი ნავი ორი ან სამი ანძით.





ტყავის ქამრები

ტყავის ქამრები



ჩაბალახი – საბრძოლო თავსაბურავი. „ლიტონი ჯაჭვია“(საბა). ჩაბალახი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს მთიანეთში (ხევს), ჩაჩქანისაგან (იხ. ჩაჩქანი) განსხვავდება იმით, რომ არა აქვს პოლოტიკი).

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II. 1993.

მ. ქ.

ჩადი//ჩადუნა — ერთგვარი მცენარეა, რომელსაც ყურძნის დანურვამდე საწნახელში ჩადებულ მოწნულ ლასტებზე დააფენდნენ, რათა ტკბილი წვენი ნიპწისგანა და ჩენჩოსგან გაეფილტრათ, ზოგჯერ თუ მომეტებული იყო ჩადის ფოთლები, ღვინოს თავისებურ, სპეციფიკურ გემოს აძლევდა (იხ. ტოპკირი).

ე.ნ.

ჩადრი//„ჩადირ“ (სპარს) //აჯილა//ზენარი//თერისტო — ქალის მოსაბურავ-მოსაბლარდნელი. მასალად გამოყენებული იყო ყალამქარი, ტილო, მიტკალი, მარმარი, მადარფაკი, ჩადრა და სხვა. ოთხკუთხა მოყვანილობის ჩადრი სწორი და გრძელი ქსოვილისგანაა დამზადებული. ამ ფართე მოსასხამის ქვედა ნაპირი გარკვეული წესით იყო შემომრგვალებული. შიგა თავსაბურავზე დამაგრებული და მთელი სხეულის დამფარავი ჩადრიდან ქალს მხოლოდ თვალები მოუჩანდა. პრაქტიკული თვალსაზრისით მისი გამოყენებით ტანსაცმელი დაცული იყო მტვრის, მზისა და წვიმისგანაც. ჩადრის ტარების ძველი წესი არაბებს სპარსელთაგან გადმოუღიათ. შემდგომში მაჰმადს იგი გაუთხოვარი ქალისათვის სავალდებულო წესად უქცევია. აბასიდთა ხალიფობის ხანაში კი საბოლოოდ დამკვიდრდა ყველა მუსულმანი ქალისთვის. ქართული ისტორიული წყაროები და ლიტერატურული ძეგლები ადრეული პერიოდიდან გვაწვდიან ცნობებს ქალის მოსაბურავის შესახებ. წამოსასხამის მნიშვნელობით გვხვდება „ვისრამიანში“ და „ვეფხისტყაოსანში“. ამ უკანასკნელში „აჯილაც“ არის ნახსენები. გვიანფეოდალურ ხანაში „ჩადრი“ გვხვდება ანა დოლენჯიშვილის მზითვის სიაში (1876ნ.), ბარბარე მანუჩარ თუმანიშვილის ასულის მზითვის სიაში (1808ნ.), „ყალამქრის ჩადრი“ მოხსენიებულია იოსებ ორბელიანის ასულის ნინოს მზითევში (1827ნ.) და „მარმარის ჩადრი“ მჭედელ გოგია ხოსრუას შვილის მეუღლის ქონების ანგარიშში (1815ნ.) და სხვა. ჩადრი საქართველოში გამოიყენებოდა, როგორც ჩვეულებრივი თავსაბური და არა როგორც სახის დასაფარი საშუალება როგორც ეს მუსლიმებთან იყო მიღებული.



ლიტ.: ნ. გვათუა ჩაცმულობის ისტორიიდან, ქალის ქართული ჩაცმულობა XIX-XX სს. 1967.

ც. ბ.

ჩათანი (მესხ.) — ძეწნის წკეპლებისაგან მოწნული დიდი გოდორი სიმინდის გადასაზიდი და შესანახი ჭურჭელი.

ლიტ. ქელ. 2009.

ჩათო — ნაბლის ნკნელებისგან ან ცაცხვის კანისგან დაწნული შოლტის მაგვარი მსხვილი თოკი. გამოიყენება დიდი ზომის გამოუწვავი ქვევრების ასაწევად და ქურაში ჩასადებად. ჩათოს ერთი ბოლო შოლტის წვერივით არის გაწვრილებული, მეორე ბოლოზე კი ყულფი — ყური აქვს გაკეთებული. ქვევრის აწევას სხვადასხვა სიგრძე-სიგანის ჩათოები სჭირდება. პატარა ჩათოების, ანუ ხელჩათოების რიცხვი ქვევრის სიდიდით ისაზღვრება. ზოგიერთი ქვევრი 10-12 ხელჩათოს დახმარებით აინევა, ზოგისას კი უფრო მეტი ხელჩათო სჭირდება. ოსტატები გრძელ ჩათოზე პატარა ჩათოებს აასხამენ-ააგებენ და ხელჩათოებით დიდ ჩათოს ქვევრების ძირს შემოუჭირებენ (ქუსლიდან დაახლოებით ერთი არშინის დაშორებით), ირგვლივ შემორტყმული მსხვილი ჩათოს წვერს მის მეორე ბოლოზე გაკეთებულ ყულფში გაუყრიან და მაგრად შეკრავენ. გრძელ ჩათოზე ასხმულ ხელჩათოებს, „როგორც კეცი გაიმართება“, იმ ზომაზე დააყენებენ, ისე რომ ქვევრი აწევის დროს მომუშავეებმა ერთმანეთს არ დაუშალონ: თითოეული თითო ხელჩათოს წვერს

დაიკავებს და „ციმციმ“ ასწევენ ქურაში შესატანად.

იმერეთში ჩათოს ბოლოებს, ერთი მეტრის დაშორებით, ერთმანეთის პარალელურად, ხის სახელურებით აკავშირებენ. ჩათოზე „დასვენებული“ ჭური რამდენიმე კაცს შეაქვს ქურაში. ჩათო თავისი ბუნებრივი სირბილის გამო კარგად ეხამება კერამიკული ნანარმის თანდაყოლილ სიმყიფეს და ზიანს არ აყენებს ნივთს.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, ქართული კერამიკა, I, 1949.

მ. ზ.

ჩაიდანი — წყლის ასადუღებელი სპილენძის ჭურჭელი. ცივად კვერვის ტექნიკით გამოჭედილი. ჩაიდანი წყლის (ჩაის) ასადუღებელია, თითბრის კი ჩაის ფერის დასაყენებელი. ზომით რამდენიმეა: დიდი, საშუალო, პატარა, ძირი მოკალული აქვს, მრგვალი და ბრტყელი ან ქუსლიანი, გვერდები სწორი ან გამობერილი. გააჩნია ხუფი, სახელური და მილაკი. თითბრისა ანუ ჩაის ფერის გამოსაყვანი ჩაიდანი, დახვეწილი ფორმის, ორნამენტებით შემკული.

ჩაიდნები მზადდებოდა სპილენძის, თითბრის, ვერცხლის, ფაიფურისა და თიხისაგანაც კი. ჩაის მოხმარებამ განსაკუთრებით გაამრავალფეროვნა ჩაიდნების ფორმები და მათი შემკულობა.

ც. კ.

ჩალიჩი — 1. თასმების, თივისა და მისთანებისაგან დაგრეხილი თოკი. 2. ლახტი, ლახტაობა.

ჩალმა — გრძელი ნაჭრის თავსაბურავი, რომელსაც მუსულმანები იხვევენ თავზე. გავრცელებული იყო ქართველ მუსულმანთა შორისაც.

ჩალქი — ზუთხის დასაჭერი ანკესი ბასრი წვერითა და მასიური ტანით.

ჩალხანა — 1. ცეცხლზე ჩამოსაკიდებელი მომცრო, თუჯის ან სპილენძის ყურიანი ქვაბი. 2. ხის კოდი რძის ჩასასხმელად.

ლიტ.: ქელ. 2009.

ჩამა — ხისგან გაკეთებული სახელურიანი დიდი კოვზი, იმ ზომის, რომ ადამიანმა დაუბრკოლებლად მოიხმაროს. ჩამათი ქვაბიდან ამოაქვთ ადუღებული სალუდე მასა, ასხამენ ჩხუტებში, რომლიდანაც ჩაისხმება ხაკის ტომრებში და გაიწურება. ჩამაში ამზადებნენ ლუდის საფუარსაც.

ე.ნ.

ჩამიჩი — შემჭკნარი, ჩვეულებრივ თონეში შემწვარი ყურძენი, ქიშმიშის მსგავსი.

ჩამური — იგივე საცეხველი. დას. საქართველოში ფართოდ გამოიყენებოდა მექანიკური ჩამური, რომელიც წყლის საშუალებით მოდიოდა მოძრაობაში და უაღრესად ამსუბიქებდა ცეხვის მძიმე პროცესს. წყლის ჩამურების საუკეთესო ნიმუშები დასტურდება გურიასა და სამეგრელოში.

ჩამჩა — საწვნე დიდი კოვზი, რომელსაც აქვს გრძელი ტარი და გამოიყენება კერძიდან ნვენის ამოსაღებად. არცთუ იშვიათად ჩამჩის ტარებს ამკობდნენ მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტებით.

ც. კ.



ჩანა — ხის დიდი ჭურჭელი, რაშიც დაბღები ტყავებს ანყობდნენ დასალბობად და სხვა პროცედურის

ქართული კაბა ქათიბით



ქვითხუროობის იარაღები

ჩასატარებლად. ჩანების შემოღებამდე ტყავს ალბობდნენ მდინარეში. ამ მხრივ საუკეთესო იყო თბილისის ცხელი წყლების ბაზაზე მოწყობილი დაბახანები და დიდი ჩანები.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.



ჩანახი — 1. მასის საზომი ერთეული ფეოდალური ხანის აღმ. საქართველოში, გამოიყენებოდა მარცვლეულის საზომად. 2. ერთგვარი საჭმელი, რომელიც მზადდება ცხვრის ხორცის, ბადრიჯნისა და პომიდვრის ჩაშუშვით.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002.

ჩანგალი — 1. სადილობისას საჭმლის მისართმევი. 2. კბილებიანი ნიჩანგალი, ანკესისებრი, დიდი თევზის დასაჭერად. 3. სახლის კოჭების ერთმანეთთან დამაკავშირებელი, უღლისებური, რკინისა. 4. მდუღარედან დიდ ხორცთა ამოსაღები.



ჩანგი — არფისებური სიმებიანი საკრავი, შემორჩენილია მხოლოდ სვანეთში. საკრავის კორპუსი შედგება ჰორიზონტალური (თარაზული) და ვერტიკალური (შვეული) ნაწილებისაგან.

ჰორიზონტული ნაწილი (კოლეფ) ნახევარცილინდრის ფორმისაა. ზემოდან დაკრული აქვს დაახლოებით 4 მმ სისქის თავფიცარი, რომელიც შუა ადგილას ოდნავ ამობურცულია და გაკეთებულია ნახვრეტები ღილაკებისათვის, რაზედაც სიმების ერთი ბოლოებია მიმაგრებული. ვერტიკალური ნაწილი (კუნთ) სწორი და ბრტყელია, გაკეთებული აქვს ნახვრეტები მოქლონებისათვის (ჭკვარერ), რომელთა დანიშნულებაა სიმების მოჭიმვა სათანადო სიმაღლეზე ანყობის დროს. სიმების რაოდენობა სხვადასხვა ჩანგზე სხვადასხვაა, ექვსიდან თოთხმეტამდე. ვერტიკალური ნაწილი, როგორც წესი, ორნამენტირებულია, საკრავის დიაპაზონი დამოკიდებულია სიმების რაოდენობაზე. ჩანგს ამზადებენ ძირითადად წიწვიანი ჯიშებისაგან (ნაძვი, ფიჭვი, იშვიათად სოჭი). წიწვიანების საუკეთესო აკუსტიკური თვისებები აღიარებულია. საქართველოში სიმებიანი საკრავების დამზადების დროს თავფიცრისათვის ყოველთვის ეს მასალაა გამოყენებული. ჩანგს აქვს ძუის სიმები. ყველაზე მოკლე სიმი, ამავე დროს, ყველაზე წვრილია — შედგება 6 ძუისაგან. დანარჩენი სიმების სისქე თითო ძუით მატულობს, ყველაზე გრძელი სიმი ამავე დროს ყველაზე სქელია

ჩანგი სააკომპანემენტო საკრავია. ინსტრუმენტული ჰანგები ფაქტობრივად საფერხულო სიმღერების ტრანსკრიპციას წარმოადგენს. ჩანგი ანსამბლად ჭუნირთან ერთიანდება.

სვანური ჩანგის სახით საქმე გვაქვს უძველესი სიმებიანი საკრავის — არფის ტიპთან. ამ ტიპის საკრავის არსებობა დასტურდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულიდან წინა აზიის უძველესი მოსახლეობის — შუმერების (და მათი მემკვიდრეების) კულტურაში. წინა აზიის უძველესი მოსახლეობის მუსიკალური ტრადიციის გაგრძელებად განიხილება — მესაკრავის ბრინჯაოს ქანდაკება ყაზბეგიდან მესაკრავისა ხუთსიმიანი საკრავით ხელში და ნიღბოსანი მესაკრავის თიხის ფიგურა ნიღბოსანი მესაკრავისა უფლისციხიდან, რომლებიც თარიღდება ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნით. სახელწოდება „ჩანგი~ წერილობთ წყაროებში X-XI საუკუნიდან ჩნდება და იგი შუმერული და ბაბილონური ენებიდან მომდინარეობს. ამ სამუსიკო ინსტრუმენტის სახელწოდებისა და კონსტრუქციის მსგავსება ქართულთან, სხვა მონაცემების გვერდით მხარს უჭერს დებულებას ქართველთა წინაპრებისა და წინა აზიის უძველესი მოსახლეობის მჭიდრო და ხანგრძლივი კულტურულ-ისტორიული კავშირების არსებობის შესახებ.

ლიტ.: დ. ალავიძე, ნ. რეხვიაშვილი, ჩანგი, „საბჭოთა ხელოვნება", №6, 1964.

ვ. ვ.

ჩანთა — ნივთთა სატარებელი. მასალად იყენებდნენ დარაიას, შალს, მაუდს და სხვა. ზედაპირს ქარგავდნენ ფერადი ძაფებით ან ამკობდნენ ბისერებითა და კილიტებით. სულხან-საბას განმარტებით, ჩანთა სხვათა ენაა, ქართულად ხილინდარი ეწოდება. ჩანთა დანიშნულებით სხვადასხვა ზომის ნივთების სატარებელია, რომელიც სამგზავროდ მეტად მოსახერხებელია. შესაძლოა ჩანთის წინამორბედად ჩაითვალოს ძველ ყოფაში გავრცელებული აბგა (იხ.) და ბოხჩა (იხ.). საქართველოს მუზეუმის ქსოვილების ფონდში დაცულია მეტად საინტერესო კოლექცია ხევსურული ჩანთებისა. მასალად გამოყენებულია ტოლი. ჩანთები ფორმისა და ზომის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება, მათზე გამოყვანილი ჯვრული და ნაირსახოვანი ხევსურული ორნამენტები ზოგჯერ ძაფებითა და ბისერებითაა ნაქარგი. ხევსურული ჩანთა ძირითადად საშუალო ზომისაა, აქვს გრძელი სამხრეული. ზომისა და ფორმის მიხედვით საკმაოდ ახლოს დგას თანამედროვე ჩანთასთან.

გ.კ.

ჩარდახი — 1. (ძვ). სასახლის ბანის სვეტზე დადგმული და გუმბათით გადახურული ნაწილი. 2. სვანური კოშკის საბრძოლო დანიშნულების სართულზე, კედლის ოთხივე მხარეს მიშენებული დახურული კონსტრუქცია, რომელიც ქვემოთ ღია იყო და აქედან ქვებსა და თოფს ესროდნენ კოშკზე მომდგარ მტერს. 3. სამეურნეო ინვენტარის შესანახი, გადახურული ადგილი. 4. ფარდაგით გადახურული ურემი, ხატობაზე მლოცველები ოჯახთან ერთად ჩარდახიანი ურმებით მიდიოდნენ.

ლიტქელ. 2009.

ე.ნ.

ჩარექა — ღვინის საწყაო ჭურჭელი, თიხისა, ერთი ან ორჩარექიანი ტევადობის. ჩარექას პატარა ტუჩი „ჭოჭი" უკეთდება ღვინის ჩამოსასხმელად, აღნაგობით ხელადის მსგავსია. მასზე დიდი მოთხოვნილება იყო სოფლად თუ ქალაქად. მედუქნეები ღვინოს ამ საწყაოთი აწვდიდნენ მყიდველებს. ჭურჭელი იმდენი ღირდა, რამდენი ჩარექა ღვინოც ეტეოდა მასში. რაჭაში ჩარექასა და ლიტრას თანაბარი ოდენობის საზომ ჭურჭლად მიიჩნევენ. ძველი ჩარექა კილოგრამზე პატარა ყოფილა (ფუთში 20 ჩარექა ჩადიოდა). ხუთჩარექიან საღვინე დოქს „თუნგიანს" უწოდებდნენ.

ლიტ.: ლ. ფრუიძე, მეღვინეობა და მეღვინეობა საქართველოში, 1974.

მ. ზ.

ჩარექი — წონის ერთეული, ქართულად ნიშნავს მეოთხედს. გამოიყენებოდა როგორც საწონად, ასევე საწყაოდ, მანძილის და ფართობის საზომად.

წონის საზომად ჩარექი საქართველოში X ს-ის მეორე ნახევრიდან დასტურდება. შეადგენდა ლიტრის მეოთხედს და ამდენად, მისი ოდენობა ლიტრის სიდიდეზე იყო დამოკიდებული. სულხან-საბას მიხედვით: „სპარსნი ლიტრის ნაოთხალსა ჩარექს უხმობენ, რომელსა სომხურად ნუკი და ქართულად გვერდი, გინა ნაოთხალი ეწოდების, ხოლო გვერდისა ნაოთხალსა ქსანი ეწოდება".

XIX ს-მდე ჩარექის, ისევე როგორც ლიტრის წონა თანაბრად იზრდებოდა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. XV-XVI სს-ში ჩარექი შეადგენდა 446 გრ-ს, XVIII ს-ში — 828 გრ-ს. XIX ს-ში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩარექის წონის სხვადასხვა მონაცემებია დაფიქსირებული, რაც ლიტრის წონის სხვდასხვაობით იყო განპირობებული. მაგ.: ქართლში ჩარექი იწონიდა 921 გრ-ს, კახეთში — 848გრ-ს, დასავლეთ საქართველოში —1 კგ-ს.

საწყაოთა სისტემაში ჩარექი თუნგის მეოთხედს შეადგენდა და სითხის საზომად გამოიყენებოდა. მასიურად, საწყაოდ ჩარექი XVIII ს-დან გავრცელდა. აღმ. საქართველოში ჩარექი თიხისა და სპილენძისაგან დამზადებული ღვინისა და არყის საზომი საწყაო იყო. სპილენძის ჩარექი გამოიყენებოდა მარნებში, სირაჯის სარდაფებში, დუქნებსა და ბაზრებში, თიხის ჩარექას კი ძირითადად სუფრებზე, ღვინის დალევისას ხმარობდნენ.

სიგრძის საზომად ჩარექი ხშირ შემთხვევაში მტკაველის ნაცვლად გამოიყენებოდა. ზომით იგი ადლის მეოთხედს შეადგენდა. როგორც ფართობის საზომი, ჩარექი დაკავშირებული იყო დღიურთან და შეადგენდა მის მეოთხედს, ე.ი. 0,125 ჰ-ს.

ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973.

მ.ხ.



ქვითხუროობის იარაღები



ᲫᲘᲚᲐ

ჩარხი — აქ. მეთუნის ხელსაწყო, რომელზედაც შენდება სამეთუნეო ნაწარმი. მეთუნეობაში ჩარხის შეხსნა ნიშნავდა ხელოსნისათვის ჩარხზე მუშაობის დროებით აკრძალვას. ამქრის წესების დარღვევის შემთხვევაში წესად ჰქონდათ შემოღებული ფულადი ჯარიმა, რომელიც შეადგენდა სალაროს შემოსაელის ერთ-ერთ წყაროს. უმაღლესი სასჯელი იყო ამქრიდან გარიცხვა, მანამდის კი დროებით ჩარხზე მუშაობის აკრძალვა, რასაც „ჩარხის შეხსნა" ერქვა.

მეჭურჭლესთან მივიდოდა ამქრის წარმომადგენელი, ჩარხის თავს (ზედა ნაწილს) მოუხსნიდა და წაიღებდა. ჩარხის თავის შეხსნით დასჯა ამქრის კრებას უნდა გადაეწყვიტა.

მ.ზ.

ჩაფარა — კოკალიდან ერთკან გამოცვლილი აბრეშუმის ჭიის გადასალაგებელი. მოლობილი ბჟოლის, რცხილის, თხილის, ბრონეულის წნელის ან სიმინდის გამხმარი ღეროებისაგან. ჩაფარა გავრცელებული იყო ძირითადად გურია-სამეგრელოში.

ლიტ.: ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957.

ლ. მ.

ჩაფარიში — ერთგვარი ფერადი ზონარი, იხმარებოდა ჩოხის და საერთოდ ყოველგვარი ტანსაცმლის შიგნითა ნაკერების დასამაგრებლად და დასამალავად. მაგ., საჩოხე შალის ნაკერებში ჩაფარიში თუ არ დაედება, ამოიძებნძება და დაიშლება, ჩაფარიშს უკეთებდნენ ქალის კაბებსაც. ჩაფარიშები იყო სახიანი, ყვავილიანი, ჭრელი, ოქრომკედის, მოქარგული და სხვ.

ლიტ.: ნ. აბესაძე, თბილისელი ფეიქრები, „მაცნე", 1965, №5.

ე. ნ.

ჩაფი — 1. ღვინისა და წყლის სათავსი, თიხის მოზრდილი ჭურჭელი. გავრცელებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. ჩაფი, ხელჩაფი, ჩაფურა და ქუთათური — ძველად, საღვინე ჭურჭელად ითვლებოდა. ჩაფი 10-15 ლიტრს იტევს, ხელჩაფა, ჩაფურა და ქუთათურის ტევადობა 2-3 ლიტრა. დასახელებული ჭურჭლები ფორმით ერთსახოვანია, ტევადობით განსხვავებული. სითხის მოსაკავებელი თიხის ჭურჭელთა შორის ჩაფი ყელისა და პირის მოყვანილობით განსხვავდება. რაჭაში ღვინის საწყაო ჩაფს „მენახევრეს" უწოდებენ. ბოლო ხანებში „მენახევრეს" ცვლის ტერმინი „ფუთიანი", რაც საწყაოს ახალი ზომის გამომხატველია. ჩაფი რაჭაში იმერეთიდან შეჰქონდათ, მას ზემო რაჭის სოფლებშიც (შეუბანი, სომინო) ამზადებდნენ, თუმც მომხარებელი იმერულ ნაკეთობას ამჯობინებდა. სამთავროში აღმოჩენილ კერამიკულ ნივთთა შორის გვხვდება ჩაფის ანალოგიური სახის ჭურჭელი.

2. საწყაო. გავრცელებული იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით ტერმინი — „ჩაფი" პირველად XIII ს-ში შედგენილ ვანის ქვაბთა შეწირულობებში მოიხსენიება. XVI ს-დან იგი ფართოდ ვრცელდება მთელს საქართველოში. სულხან-საბა ჩაფს კოკის ნაოთხალად თვლის და მას გუერდის და დორაკის ტოლფას საწყაოდ მიიჩნევს. XIX ს-ის მონაცემებით ჩაფი შეიცავდა 3 თუნგსა და 12-თუნგიანი კოკის მეოთხედს შეადგენდა. უფრო მოგვიანებით ჩაფს 1-თუნგიან ჭურჭლადაც მოიხსენიებენ. ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ არსებობდა ჩაფი, რომელიც 12,3 ლიტრს იტევდა. აღმ. საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში სპილენძის ჩაფიც დასტურდება და ძირითადად გამოიყენება ქვევრიდან ღვინის ამოწყვის დროს. კარგად გაწყობილ მარანში, როგორც წესი საწყაო ჩაფი აუცილებელი ნივთი იყო.

ლიტ: ლ. ფრუიძე, მეღვინეობა საქართველოში, 1974. ჯ. სონღულაშვილი, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის, 1974. გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973.

მ.ზ.

ჩაფლა//სარმუზა//ჩაფლარ//(სვ.) — ქალამნის ტიპი. მსგავსად დღევანდელი კალოშისა, მოგვზე იცვამდნენ.



ჩაფრასტი — ქალის კაბის მკერდის სამკაული, ერთმანეთთან დაკავშირებული ვერცხლის ღეროები, რომლებიც აქეთ-იქით იყო დაკერებული კაბაზე. გავრცელებული იყო სვანეთში და ზოგადად ჩრდ.კავკასიაში.

ე.ნ.

ჩაფხუტი — საბრძოლო თავსაბურავი. „არს მსგავსი ქუდისა უზარადო, საცხვირე გრძელი" (საბა). ჩაფხუტი მუზარადის (იხ.) მსგავსი თავსაბურავია, ოღონდ მას არა აქვს ზარადი და ნოპი.

ლიტ.: სულხან-საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. II 1993.

მ. ქ.

ჩაქალოზი — (გურ). დიდი თოფი, რომელიც საგანგებო დაზგაზეა დაკრული და ისე ისვრიან. გამოიყენებდნენ ციხის კედელთა შესანგრეველად.

ლიტ.: ქელ. 2009.

ჩაქი//ყურები//სამხედროები (ხევს.) — ჩოხის დეტალი, უმეტესად მამაკაცის ჩოხა-ახალუხზე გეხვდება, ესაა პატარა ცრუ კალთები, კეთდებოდა სილამაზისათვის, ამიტომ ამკობდნენ ნაქარგობით. ჩვეულებრივად ჩოხას 2-3 ჩაქი ჰქონდა, ყარაჩოღული ექვსჩაქიანი იყო.

ც. ბ.

ჩაქურა — მამაკაცის ტანსაცმლის კომპლექტი, რომელიც გავრცელებული იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, გურია-აჭარასა და სამეგრელოში. ამ ტიპის ტანსაცმლისათვის დამახასიათებელია ჩოხა-ახალუხის უჩვეულო სიმოკლე, რომელთა სიგრძე მამაკაცის წელს ეთანასწორება.

მასალად გამოიყენებდნენ როგორც ადგილობრივი, ისე ფაბრიკულ ნაწარმს, კერძოდ, საჩოხე შალეულს, ახალუხებისათვის კი აბრეშუმის ტილოს ან ბამბის ქსოვილების, ელეგისათვის შალს და მაუდს. ამავე მასალისაგან ამზადებდნენ შარვლებს. სარჩულად იყენებდნენ ატლასს, სატინას, ნარმას.

კომპლექტის ძირითადი ელემენტებია: მოკლე, ნინჩახსნილი, მასრებიანი ჩოხა — „ჭონია" // „კვარტუა" (იხ.), მოკლე, ორჯიბიანი, საყელოიანი და გულდახურული ახალუხი — „ზუპუნა" (იხ) და მის შიგნით ჩასაცმელი უსახელოებო ზედატანი — „ელეგი" (იხ), განიერუბიანი შარვალი „ჩაქურა", რომლის სახელწოდება შემდგომ კომპლექტის აღმნიშვნელიც გამხდარა, ამ ტიპის კომპლექტის თავსაბურავში შედის ცხვრის ტყავისა და ქეჩის ქუდები, ასევე ყაბალახი და ფაფანაკი, ფეხზე წინდა-პაიჭებთან ერთად ქალამანი, მესტები, ჩექმები. ჩაქურიან მამაკაცებს წელზე ერტყათ ჭრელი აბრეშუმის ფართე და გრძელი „თოლაბულუხის სარტყელი" და ტყავის ქამარი — „ბელყაიში", რომელზედაც ეკიდათ ან გაჩრილი ჰქონდათ იარაღი (მოკლე სატევარი, დამბაჩა — „ფიშტო" და სხვადასხვა ნივთები (სავაზნე, საქონე, მათარა, ქისა და სხვ.).

ც. ბ.



ჩაძურა

ჩაქურაი – აჭარული შარვალი, რომელსაც აქვს გამორჩეულად დიდი უბე. შედგება სათავის, ორი ტოტისა და უბისაგან. უბე რამდენიმე ნაჭრისაგანაა შეკერილი. ზოგჯერ 2 და 4 ნაჭრიანიც იკერებოდა. მისი ქვემოთა მხარე ხან სნორია და ხანაც ოვალური. ტოტები ზემოთ განიერი და ქვემოთ მოვიწროებულია, რომელთა ბოლოში გამობმულია ზონარი — პაჭანიკი რითაც შარვალი ფეხზე მაგრდება. შარვალი იკერება სათავეში გაყრილი ლარით ან მოქსოვილი ხონჯრით, რის შედეგადაც შარვლის ზემოთა ნაწილი ნაოჭს იყრის, ჩანაკერებზე მიუყვება შავი ან ფერადი კანტები.

ლიტ: დ. ბარათაშვილი, მასალები XIX ს. ქართული ხალხური ტანსაცმელის ისტორიისათვის მესხეთ-ჯავახეთიდან, 1966.

ც.ბ.

ჩაქუჩი — რკინისთავიანი და ხისტარიანი სახელოსნო იარაღი. ხელობის პროფილიდან გამომდინარე არსებობს ჩაქუჩთა ნაირსახეობა, მაგ., ქვის სამტვრევი, ლურსმნის დასაჭედებელი, რკინის გასაბრტყელებელი, საოქრომჭედლო და ა.შ. პატარა ჩაქუჩს „კვერი" ეწოდება.

ჩაქუჩ-კვერი — მესპილენძეობაში გამოყენებული მცირე ზომის რკინის ჩაქუჩი. კვერი ორნაირია: მაღალთავიანი და დაბალთავიანი. რკინის ჩაქუჩთან ერთად მესპილენძეები ხის ჩაქუჩითაც სარგებლობენ. ხის ჩაქუჩი ქვაბისა და თუნგის ზედაპირის გასასწორებლად გამოიყენებოდა: გადაკერებული ადგილების შესამჭიდროებლად. ყოველ ხელოსანს 4-5 ცალი კვერი და ამდენივე რაოდენობის ხის ჩაქუჩი აქვს. ყველა მათგანს თავისი ფუნქცია გააჩნია და სახელწოდებაც ფუნქციის შესაბამისი აქვს. ასე მაგალითად: საცალხელო ჩაქუჩი ყალიბიდან ზოდის გადმოსაღებად იხმარება, ხის ჩაქუჩი-გადაკერებული ადგილების გასასწორებელია. რკინის კვერი კბილანების ჩასასმელია. არის აგრეთვე ორმნამენტის გამოსაყვანი კვერი, ძირის გამოსაყვანი ჩაქუჩი, მოსაყვანი ჩაქუჩი, გვერდების გასასწორებელი და ა.შ.

კვერი — ჩაქუჩების ფუნქცია კარგად ჩანს ჭურჭლის დამზადების პროცესში. ამ იარაღიდან არის ნაწარმოები ტერმინი „კვერითხურო", ანუ „მჭედელი კუერის მცემელი."

ე.ნ. ც. კ.

ჩალანა — ძალებიანი საკრავი ქამანჩას და ჭიანურის ტიპის. აქვს პატარა- მრგვალი მუცელი და გრძელი ყელი. უკრავენ მშვილდივით მოხრილი ძუისძალიანი მშვილდაკით (ხემი). ეთნოგრაფიულ ყოფაში არ დასტურდება.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002.



ჩაჩანაკი — რკინის ორი რგოლი, რომლებიც ერთმანეთზე მოძრავადაა გადაბმული. საქონელს უკეთებენ საყელოზე, რათა ბალახობისას საბელი არ დაიგრიხოს და ყელში არ ამოედოს.

ე.ნ.

ჩაჩქანი — საომარი თავსაბურავი. ძველ ქართველებს ჩაჩქანისათვის მასალად ხე და ტყავი, ხოლო მოგვიანებით ბრინჯაო, სპილენძი და რკინა. ქართულ საბრძოლო თავსარქმელი ძირითადად ოთხი სახისაა: ჩაჩქანი — ჯამის ფორმის, კვერცხისებური, ფაფანაკის ფორმის და ჩაბალახი — ლიტონი ჯაჭვით ნაქსოვი. ქართულ ჩაჩქანს დაბალი ჯამის (ლამბაქის) ფორმა აქვს, რომელზედაც შემოვლებულია ჩაჩქნის ზარადი (ჯაჭვის ნაქსოვი ბადე). ზარადი შესაძლოა იყოს ფარეშიანი, უფარეშო ან დადუღებული, ის იცავს სახეს, კისერს და შუბლს. გერდებზე ჩამობმული აქვს ტყავის დანნული თასმა, რომელსაც მეომარი ბრძოლის დროს ყბის ქვეშ ამოიდებდა. არსებობდა ჩაჩქნის მეორე სახესხვაობაც, გრძელ — პირბადიანი, რომელსაც სამზერად მხოლოდ სათვალეები ჰქონდა ამოჭრილი, დანარჩენ პირსახეს ჯაჭვი ფარავდა.

ჩაჩქანის დამზადების ტექნოლოგია უკანასკნელ დრომდე მხოლოდ ხევსურეთმა შემოინახა, მჭედელი ჩაჩქნის ჯამის რკინას გრდემლზე კვერით გაასნორებდა, შემდეგ ხის ფარგლით შემოხაზავდა და თარგის საშუალებით მრგვალ საჩაჩქნეს გამოჭრიდა, რომელსაც რკინის მორგვზე კვერის დარტყმით თანდათან მისცემდა ჯამის ფორმას. ამის შემდეგ ჩაჩქანს გარე წრესთან სახვრეტათი დახვრეტდა, ჯაჭვის სხმულის (ზარადის) ჩასამაგრებლად. ზოგ ჩაჩქანს ზევიდან გადააკრავდნენ ვერცხლის არშიას და შუაში უკეთებდნენ „უსმარს" (სამსჭვალს).

ჩაჩქნის დახურვა შიშველ თავზე არ იყო გამართლებული, რადგან ასეთ შემთხვევაში, მონინააღმდეგისაგან მოხვედრილი იარაღი, მებრძოლს სასიკვდილოდ თუ არა, ისე მაინც „დაუეჟავდა". ამიტომ საჭირო იყო ჩაჩქნის ქვეშ ნაბდის დაგება. აღმოსავლეთ საქართველოში ჩაჩქნის ნაბდად, თუშურ ქუდსაც ხმარობდნენ. ქართულ ხალხურ პოეზიაში ხშირად არის ნახსენები ჩაჩქანი, მაგ.: „ელვა დგას ჩაჩქნებისაო", ან „საჩქაროდ გადაიხურა ჩაჩქანი ზარადიანი". ტერმინი „ჩაჩქანი" ქართული უნდა იყოს, ვინაიდან ზმნა „ჩეჩქვასთან" არის დაკავშირებული. მსოფლიოს თითქმის ყველა კულტურულ ხალხს გააჩნია თავისი საკუთარი ფორმის საბრძოლო თავსაბურავი.

ასეთი დაბალჯამიანი ფორმის ჩაჩქანი ტიპურია საქართველოსათვის და მისი გავრცელების სათავეც აქაა საგულვებელი.

ლიტ.: კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საჭურველი, მ.მ. ტXIX-A, XIX-B. 1957. ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, ტIII-IV 1964.

მ. ქ.

ჩაჭილე (ლეჩხ.) — მარცვლის გადასაზიდი ერთ ხეში ამოღებული ხის ჭურჭელი, პატარა საწნახელის მსგავსი, რომელსაც თავსა და ბოლოში გამოყენებული ჰქონდა ფიცრები.

ჩახვი//თოფრა (გუდ. მთ. ხევს.) — პარკი ტყავისა, რომელსაც ცხენს ჩამოჰკიდებდნენ თავზე და შიგ ჩაუყრიდნენ საკვებს.



ჩახსაკრავი — პაიჭზე შემოსაკრავი ბამბის, შალისა და აბრეშუმის ფერადი ან ჭრელით დამშვენებული ზონარი, ზოგჯერ მასზე რაიმე ფრთიანი გამოთქმა ან ლექსი იყო ამოქარგული მაგ., „ტანად ალვა, პირად მზე ვარ, მოსართმევი ვარ ლომისა" ანდა „სალხინოთ მოხმარდეს ალექსი ზამუკაშვილს". ჩახსაკრავი იჭერს წვივზე მომდგარ პაიჭს ჩაცურებისაგან და ამავე დროს, გარკვეული სამშვენისის მოვალეობასაც ასრულებს. ოჯახში მიღებული იყო რძლისაგან მამამთილისა და მაზლებისათვის ლამაზი ჩახსაკრავების დამზადება, რაც ერთგვარი პატივისცემების ნიშანს წარმოადგენდა. წვივსაკრავისა და ლეკვერთხებისაგან განსხვავებით, რომლებთაც ტყავისაგანაც ამზადებდნენ, ჩახსაკრავი მხოლოდ აბრეშუმის ან შალისაგან მზადდებოდა. ჩახსაკრავები იქსოვებოდა „ფირფიტების ქსოვის" ტექნიკით, რომელიც საქართველოში შემოსული უნდა იყოს ძველი შუამდინარეთის კულტურული სივრციდან.

ლიტ: ნ. აბესაძე, თბილისელი ფეიქრები, „მაცნე", 1965, №5.

ლ.მ.

ჩეთე — საქართველოში გავრცელებული სამხედრო ხომალდი, აფრებითა და ნიჩბებით, სწრაფი მანევრირების გამო მოულოდნელი თავდასხმისათვის მოსახერხებელი იყო, მდინარის დელტაშიც ადვილად მოქმედებდა.

ლიტ: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987

ე. ნ.

ჩეკი — წერაქვის იდენტური ქვის დასამუშავებელი იარაღი, შედარებით მომცრო ზომის.

ჩეკია — ბოსტნის იარაღი. ერთი პირი ფართო აქვს, მეორე ვიწრო. იხმარება ლობიოს საბუდნად და ბოსტნეულის სამარგლავად.

ჩელთი — ფარის ნაირსახეობა. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით ჩელთი ფარია „ოთხკუთხი" ან



კავკასიური ქუდი



ქართული ქუდი

„კვერცხებრი" ფორმის. ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ჩელთი აღარ გვხვდება, არსებობს „ჩელტი" (რაჭ. იმერ.) — წნული, ლასტი, წნულისაგან დაღობილი გრძელი და ოთხკუთხა, აბრეშუმის ჭიის დასასმელი (ალ. ღლონტი). თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველი ბერძნული წყაროების მიხედვით ქართველურ ტომებს წნელისგან მოწნული და ტყავგადაკრული ფარები ჰქონდათ, მაშინ სავარაუდოა, რომ ეთნოგრაფიული ტერმინი „ჩელტი", შორეულ წარსულში ფარადაც ანუ ჩელთად გამოეყენებინათ, რასაკვირველია, უფრო მჭიდროდ მოწნული და საბღუჯით აღჭურვილი (იხ. საბღუჯი).

ლიტ.: ალ. ღლონტი —ქკთსკ, 1984. იკ. ჯავახიშვილი, მქემკი, ტ.III-IV, 1962.

მ. ქ.

ჩელტი — წკნელისაგან მოწნული ლასტი, რომელიც გამოიყენებოდა აბრეშუმის ჭიის პარკის გამოყვანისათვის, სანნახელში ჩასაფენად (იხ. ტოპკირი), ხილის გასახმობად. ქვ. იმერეთში ჩაფარასაც უწოდებენ.

ე.ნ.

ჩემხვა — რძეში ჩახარშული სიმინდის ფქვილი, იზილება როგორც ღომი, გავრცელებული იყო სამეგრელოში.

ჩეო (ლეჩხ.) — წკნელისგან მოწნული მომცრო ბარი (ხვირი), ხმარობდნენ ნაკელის გასატანად.

ჩექთურა — საჭაპანე ნავი, რომელსაც ნაპირიდან თოკებით ეწევიან.

ჩექმა — „სხვათა ენაა ქართულად მოგვი ჰქვია" (საბა). მაღალყელიანი, ლანჩიანი ტყავის ფეხსამოსი, მოგვიანებით ლანჩების ძირების და ქუსლების შეჭედვა ლურსმნებით დაიწყეს. არის ჩექმის სხვადასხვა სახეობა თავისი ცალკეული სახელებით. მაგ., ჩექმა ქართული, ჩექმა — ცხვირმოკაუჭებული, ჩექმა — თავადური, ყაითნით, ბუზმენტებითა და ფუნჯებით მორთული, ჩექმა სირაჯული — უფუნჯო, ჩექმა რუსული, მკვიდრად შეკერილი, ტლანქი ფორმისა, რომელიც რუსული არმიის იმპერიული ძლევამოსილების სიმბოლოდ იქცა.

ე. ნ.

ჩეჩილი — მოხდილი ყველის სახეობა, ძირითადად ამზადებდნენ მესხეთში, აჭარასა და ქვემო ქართლში. ქართველებთან ერთად ყველის ამ სახეობის დამზადების ტრადიცია აქვთ საქართველოს ხსენებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ სომხებს, რაც იმის მაუწყებელია, რომ ჩეჩილის დამზადების კულტურა მათ ქართველებისაგან აქვთ შეთვისებული.

ე. ნ.

ჩეჩო (გურ.) — ყველის შესაბოლად განკუთვნილი ბოლოგანიერი, აყვანილი და შეწვერილი გოდორი. ქვემოთ გამოჭრილია ყველის შესანყობად. ჩეჩოს კვამლთამ ახლოს დაპკიდებენ, გვიმრის ფოთლებს ფენა-ფენა ჩაუფენენ და ზედ ყველს დაალაგებენ, რათა გვიმრამ ზედმეტი ბოლისგან დაიცვას პროდუქტი. დაახლოებით ერთ თვეში ყველი ზომიერად შეიბოლებოდა.

ლიტ: ნ. თოფურია, იმერული ყველის დამზადების ხალხური ტექნოლოგია, მსე, 1978.

ე. ნ.

ჩიბუხი//ყალიონი — თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა, რომელიც შედგება მუნდშტუკის (ბოლის შესასუნთქი) და მცირე ზომის ჩაღრმავებული ჭურჭლისაგან (თუთუნის ჩასაყრელი). ჩიბუხი საქართველოში აღმოსავლეთიდანაა შემოსული. ძველად ჩიბუხს მაღალი წრის მამაკაცები ეწეოდნენ, შემდეგ კი იგი ფართო მოხმარების საგნად იქცა. ჩიბუხს ძირითადად ამზადებდნენ ხისა და თიხისაგან, ზედაპირს ზოგჯერ აპირკეთებდნენ სადაფის ქვითა და ვერცხლით.

ბ.კ.

ჩივთი — პატარა მახვილებილებიანი პინცეტი, რომლითაც ოქრომჭედელი ნაკეთობაზე ანყობს გრეხილის ნაწილებს, რათა მერე შეადუღოს.

მ.ბ.

ჩითა//ჩითები – თუში ქალისა და კაცის ნაქსოვი ფეხსაცმელი. მასალად გამოიყენებდნენ შალის ფერად ძაფებს. საშინაოდ ხმარობდნენ ორნვერი ბაწრით მოქსოვილს, რომ ჩითა მსხვილი და გამძლე გამოსულიყო. საქალო და საკაცო ჩითა ქსოვის ტექნიკით ერთნაირია, განსხვავება შეინიშნება შემკულობაში. საკაცო სადაა და წერტილხაზებითაა ამოყვანილი, სადიაცო კი — ზოლიანი და ჭრელი. ჩითას ქსოვას ზედაპირის ნვერიდან იწყებდნენ და ქუსლის მიმართულებით აგრძელებდნენ. საპონწყალში გარეცხვის მერე მოქსოვილ ჩითას, ჯერ კალაპოტზე გამოაშრობდნენ, მერე კი „ხის ფეხზე" ჩამოაცმევდნენ, რომ კოჭის ხაზზე გადაჭრილი ჩითასთვის სრულყოფილი სახე მიეცათ. ქვეშ უხეში მატყლის ძაფისგან საქსოვ დაზგაზე მოქსოვილ ნაჭერს დაუდებდნენ. გარშემო ჯაჭვის მსგავსი ნაკერით — „შიბით" შემოუვლიდნენ და „თიკვს" ამოუხვევდნენ. ჩითას ნაწილებია: ნვერი, ტერფი, კოჭი, ყელი. ტერფის ყველაზე ფართე ნაწილს ეწოდება „ხომი". ჩითა ფორმით სამგვარია, მაღალყელიანი — „ყელმაღალა", დაბალყელიანი — „ქაჩუჩა" და უყელო — „ჩუსტურა". აქედან ყელმაღალი საქალო იყო, ყელდაბალი — საკაცო, უყელო კი ორივესთვის მისაღები. თუშეთში დიდი მარხვის შუა კვირაში ოთხშაბათს, ბედის ნახვის დღეს, ძილის წინ, დედები ქალიშვილებს მათ მიერვე მოქსოვილ საკაცო ჩითებს ამოუდებდნენ ბალიშის ქვეშ იმ იმედით, რომ სიზმარში თავის მომავალი საბედო ენახათ.

ლიტ.: გ. ბოჭორიძე, თუშეთი, 1993. ც.ბეზარაშვილი, თუში ქალის ტალავარი, კრ. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967.

ც. ბ.

ჩიკა-სავარძელი (თუშ. ხევს.) — ოჯახის უფროსისათვის განკუთვნილი. იყო როგორც ოთხფეხიანი, ისე სამფეხა. ოთხფეხიანი ჩვეულებრივი ზურგიან-გვერდებიანი სკამ-სავარძელი იყო. ჩიკა-სავარძელი როგორც ოჯახის უფროსის უფლებრივი ატრიბუტი, კერის თავში უნდა მდგარიყო. მის მარჯვენა მხარეზე, ერთ ან რამდენიმე გრძელ სკამზე, სხდებოდნენ დანარჩენი კაცები უფროს-უმცროსობის მიხედვით.

ლიტ.: ლ. ბედუკიძე, თუშური ავეჯი. კრებ. თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1967.

ლ. ბ.

ჩიკა სკამი (თუშ.) — კერასთან დასაჯდომი უზურგო სამფეხა სკამი. საქართველოში ცნობილია კერის სკამის სახელნოდებით, გამოიყენებოდა ტრაპეზის დროსაც. სვანეთში გავრცელებული რწმენით, თუ „თედორობას" საქონელი გარეთ დარჩებოდათ, იცოდნენ სამფეხა სკამზე თოკის შემოხვევა — —მგელს პირი შეეკვრებაო".

ლიტ.: ს. მაკალათია, ხევსურეთი, 1935.

ლ. ბ.

ჩიკორი — ბზრიალა. ხისგან გამოთლილი, კონუსური ფორმის, ყმაწვილთა სათამაშო.

ჩირალი საქორწინო — ლითონის ხვეულტარიან სანათი, პქონდა ტოტები სანთლის ჩასადებად, ზედ ინთებოდა ზეთის კანდელიც.

ჩირეხი – ნაძვის ხის კვარიანი ნაწილები, რომლებსაც საგანგებოდ ამზადებდნენ საქართველოს მთაში და სანათად გამოიყენებდნენ.

ჩირი — ზოგადი სახელია საზამთროდ გამხმარი ხილისა. ჩირისათვის საუკეთესოა ვაშლის, მსხლის, ქლიავის, ატმის, ლეღვისა და სხვათა ნაყოფი. გაკურკულ-გასუფთავებულ პროდუქტს ახმობდნენ როგორც ძაფზე აცმულს, ასევე ფიცრებზე და მონწულ ლასტებზე. წერილობით წყაროებში დადასტურებულია ჩირის გამოყვანა თონესა და ფურნეში. ჩირი გამოიყენებოდა როგორც საზამთრო საჭმელად, ასევე სამკურნალოდ.

ე.ნ.



ᲫᲝᲗᲘ







სამეთუნეო ქურა

ჩიქილა — ქალის თავსაბურავი. იგივეა რაც ლეჩაქი (იხ), მანდილი.

ჩიჩილაკი – საახალწლოდ მორთული ფურფუშელებიანი ხე. ჩიჩილაკისთვის შეარჩევდნენ თხილის ტოტს. კალანდობამდე რამდენიმე დღით ადრე მოჭრიდნენ და შეინახავდნენ. წინა დღეებში ოჯახის უფროსი იწყებდა მის დამზადებას. საჩიჩილაკე ჯოხს ცეცხლზე გარუჯავდნენ, მერე მის დარბილებულ და სათლელად გაიოლებულ ტანს დაუწყებდნენ ათლას ქვევიდან ზევით და ამ ხუჭუჭა ანათალებს, ანუ „წილამურებს" ზედვე ტოვებდნენ. წარმოიქმნება ხუჭუჭად გამოყვანილი ოვალური ხის იმიტაცია. ჩიჩილაკს თავი ოთხად ჰქონდა შეხეთქილი, სადაც ჯვარედინად იყო ჩამაგრებული ჯოხები — ზედ დამაგრებული სანთლებით. ჩიჩილაკს ამკობდნენ ტკბილეულით, ხილით, ჩურჩხელებით, მარადმწვანე ფოთლებით, ნითელნაყოფიანი კურკანტელით, აბრეშუმის ძაფებითა და სამკაულებითაც. დაძინების წინ ოჯახის უფროსი ჩიჩილაკსა და ხონჩას (იხ.) სახლიდან გაიტანდა მარანში ან ბეღელში და თვითონაც იქ დაიძინებდა. ახალი წლის დილას, გამთენიისას გაეშურებოდა წყაროზე, ხელპირს დაიბანდა, წაიღებდა ჩიჩილაკს, ხონჩაზე აანთებდა სანთლებს, დაილოცებოდა, შემოუვლიდა კარ-მიდამოს, საქონლის სადგომებს და გამრავლებას ინატრებდა, მერე მიადგებოდა საცხოვრებელ სახლს და ოჯახის წევრებს მიულოცავდა ახალ წელს. წყალკურთხევამდე (6 იანვარი) ჩიჩილაკს ოჯახში ინახავდნენ, შემდეგ შემოაცლიდნენ ტკბილეულს, ცეცხლში გარუჯავდნენ და ბოსტანში ჩაფლავდნენ — „ბოსტანს ჭია-მატლი ვეღარ გააფუჭებსო". მიჩნეულია, რომ ჩიჩილაკის რიტუალში ხის თაყვანისცემის უძველესი ჩვეულებაა ასახული.

ლიტ.: ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 2006.

ე. ნ.

ჩიხორა — ქალის ქვედატანი. მზადდებოდა მატყლის, აბრეშუმისა და შალის ქსოვილისაგან. ჩიხორას სწორი განები ჰქონდა, მისი მორთვა აუცილებელი იყო. ბოლოზე მაქმანებით გააწყობდნენ, ზოგჯერ ორ ან სამრიგად ნაოჭასხმულ ფურჩალს შემოაკერებდნენ. ამ ტიპის განსხვავებულ ვარიანტს დაბამბული ჩიხორა შეადგენდა, რომელსაც ორპირი უბრალო ნაჭერი სჭირდებოდა და შიგ ჩაფენილი ბამბის თხელი ფენა, ბამბის დამაგრების მიზნით ზემოდან დაალიანდაგებდნენ. სილამაზისთვის დალიანდაგებულ ჩიხორას ზემოდან კარგ ქსოვილს გადააკერებდნენ. ნაქსოვი ჩიხორასათვის ქვედატანის ორივე კალთა ცალ-ცალკე უნდა მოექსოვათ. მოქსოვილ კალთებს ერთმანეთს ააბამდნენ და სალტედ რეზინით ნაქსოვ ბრტყელ ზონარს მიაკერებდნენ. ჩიხორა პერანგს ზემოდან ეცვათ. თხელი ქსოვილების ჩიხორა ზაფხულობით ემოსათ, ხოლო ზამთარში შალისა.

ლიტ.: ნ. გვათუა., ჩაცმულობის ისტორიიდან, ქალის ქართული ჩაცმულობა XIX ს. და XX ს. დასაწყისი. 1967. ც. ყარაულაშვილი, ქსოვის ხალხური ნესები კახეთში, ჩხირებით ქსოვა, 1985.

ც. ბ.



ჩიხრიხი — 1. ხის ხელსაწყო, რომელიც ბამბას აცლის კურკებს. საშუალო ზომის ჩიხრიხი ნახევარი მეტრი სიმაღლისაა. ესაა ორი ბოძი, რომელთა ზემო ნაწილში გაყრილია ორი მრგვალი სახელურიანი ჯოხი, ჩიხრიხზე მუშაობს ორი კაცი, რომლებიც აქეთ-იქიდან ატრიალებენ ჯოხებს და მათ შუაში მჭიდროდ მოქცეულ ბამბას. ასეთი ტრიალის შედეგად სცვივა კურკები. განმენდილი ბამბა იპენტება ხის ჯოხით. 2. თხის ბალნის დასართავი იარაღი. შედგებოდა კისერზე ჩამოსაკიდებელი მოხრილი გირკალისაგან. მის ქვედა ნაწილში გატარებული იყო ჯოხი. ჯოხის მეორე ბოლო გადიოდა ორ გადაჯვარედინებულ ბრტყელი ჯოხების ცენტრში. ჯოხის ხელის გულებით დატრიალებისას მინაზე დაფენილი ბალანი ჩიხრიხის ჯოხზე ეხვეოდა. ჩიხრიხის ბალნის დასართავად გამოყენებას მისდევდნენ კახეთსა და მთიულეთში.

ლ. მ.

ჩიხტა//ჩიხტი – გათხოვილი ქალის თავზე დასადგამი თავსაბური. მასალად გამოიყენებოდა ერთმანეთზე დაწებებული ქაღალდების წყება ან ხის თხელი ბწკალი, რკალისებურად მოყვანილ და თავზე მორგებულ ამ თავსარქმელს უკანა განიერი ნაწილი შედარებით ბრტყელი ჰქონდა და დაქანებულიც.

ნაპირებს ქობად შემოსდევდა თალხი ფერის ნაჭერი — „კიდურისსადები", რომელთა შორის თავსაკრავს ათავსებდნენ. ჩიხტას ზემოდან ეფინებოდა ლეჩაქი, რომელიც ჩიხტში ჩადებულ კოპზე ქინძისთავებით მაგრდებოდა. ქართული თავხურვის ეს ელემენტი XIX ს. საქართველოში ორი ფორმითაა ცნობილი: ა. მაღალი ჩიხტა ბ. დაბალი, ანუ „კახური ჩიხტა", თუ მაღალი ჩიხტას მომხმარებლად მაღალი წოდების ქალები ჩანან, დაბალი ჩიხტა მასობრივად იყო გავრცელებული. გათხოვილი ქალები სახლშიაც თავდახურულები იყვნენ. ჩიხტას საოჯახო პირობებში ამზადებდნენ.

ც. ბ.

ჩოგანი — 1. „საბურთალი კავი" (საბა) გამოიყენებოდა ცხენბურთისას. წარმოადგენს გრძელ ჯოხს, რომელსაც ბადიანი რკალი აქვს გაკეთებული ბურთის წასაღებად. 2. ღომის საზელი თხელპირა კოვზი.

ე. ნ.

ჩოგი (თუშ.) – გაზელილი ყველი ქუმელის შესატანებლად. ახლად ამოღებულ ყველს სამ დღეს უმარილოდ ინახავენ, ყველი ფუვდება და მჟავდება, მერე ხელით ჭყლეტენ, მარილში გაზელენ და გუდაში ინახავენ.

ლიტ.: ს.მაკალათია, თუშეთი, 1933.

ნ. ჯ.

ჩონგური//ჩანგური – ოთხსიმიანი ჩამოსაკრავი ინსტრუმენტი, გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ბარის კუთხეებში: სამეგრელო, გურია, აჭარა, იმერეთი. გვხვდება აფხაზეთში „აჩამგურის" სახელწოდებით. სხვადასხვა კუთხის ჩონგურები კონსტრუქციულად ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ფორმით შუაზე გაჭრილი— მსხლისებურია. მუცელი დამზადებულია ერთმანეთზე შეწებებული 2 მმ სისქის ბჟოლის ტკეჩებისაგან, თავფიცარი — 2-3 მმ სისქის ნაძვის ფირფიტისაგან. მასზე გაკეთებულია 2-3 მმ დიამეტრის რამდენიმე სახმო ნახვრეტი. ტარი (თავი და ყელი) კაკლის ხისაა. თავი ნიჟარისებურია, ყელზე, შუა ადგილას, გაკეთებულია ნახვრეტი სიმის მოქლონისათვის. სიმები აბრეშუმის ძაფებია. სამი თანაბარი სიგრძისაა, მეოთხე (ზილი) — მათზე 1/3-ით მოკლე. იგი მდებარეობს I და II სიმებს შორის. გაბმულია ტარის შუა ნაწილიდან. მისი სიმოკლე განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ მან ერთი სიმაღლის ყველაზე მაღალი ბგერა უნდა გამოსცეს. ამისათვის მას არ უნდა შეეხოს დაკვრის დროს მარცხენა ხელის თითები, რაც ძნელად მოხერხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ისიც დანარჩენი სიმების სიგრძისა იქნებოდა. ხოლო მაღალი ბგერის მისაღებად სიმის სიმოკლე გამართლებულია. დაკვრისას გამოიყენება სიმის მოზიდვისა და სიმებზე თითების ჩაკვრა-ამოკვრის ხერხი.

ჩონგურს რამდენიმე წყობა აქვს. სხვადასხვა სიმღერა სხვადასხვა წყობაში სრულდება, მაგრამ ყოველი მათგანი თავიდან ბოლომდე ერთ წყობაშია.

ტემბრი საკრავისა რბილი და ლამაზია რასაც სიმების მასალაც (აბრეშუმის დაგრეხილი ძაფი) განსაზღვრავს. ჩონგურზე უკრავენ ქალებიც და მამაკაცებიც. მაგრამ უფრო მეტად მასზე შემსრულებლები ქალები იყვნენ. ჩონგური ოჯახისათვის წარმოადგენდა ძვირფას ნივთს. ჩონგურის თანხლებით სრულდება სოლო ერთხმიანი, ორ და სამხმიანი სიმღერებიც. ტრადიციულ საჩონგურო რეპერტუარს ერთხმიანი სატრფიალო და სახუმარო ლექსები წარმოადგენს. საჩონგურო ლირიკული სიმღერების ტრადიცია სამეგრელოში საყოველთაოდ ცნობილია.

ჩონგური ტრადიციულად არ ერთიანდება ანსამბლად სხვა რომელიმე საკრავთან. ამასთანავე, თუნდაც ორი ჩონგურის ერთდროულად ანსამბლში გამოყენებაც არ ხდებოდა. ჩონგურის თანხლებით სრულდებოდა საწესო სიმღერები. მაგალითად, „ბატონებიან" ავადმყოფთან „ბატონებო მოუოხეთ"//„საბოდიშო" (გურიაში) — ულამაზესი საგალობელი, სითბოთი და ლირიზმით სავსე. სამეგრელოში დამოწმებულია ასეთი წესი: თუ ავადმყოფს ჩაეძინება, ყველანი გაჩუმდებიან და ჩონგურს ავადმყოფის ახლოს, კედელზე ჩამოჰკიდებენ. ამბობენ, ბატონები თავის მხრივ ჩუმად უკრავენ ჩონგურზე. ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებულ რიტუალში ძეობის სიმღერა „მზე შინა და მზე გარეთა" სამეგრელოსა და გურიაში სრულდებოდა ჩონგურის თანხლებით.

ჩოხა

ქულაჯა

ჩონგური ფანდურთან შედარებით განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე დგას. ეს გამოხატულია ჩონგურის კონსტრუქციულ სრულყოფილებაში (სარეზონანსო კორპუსის მოცულობა, დახვენილობა, კედლების სისქე, სიმების მასალა) და აქედან გამომდინარე, ტემბრის ხარისხში.

ლიტ.: დ. არაყიშვილი, ხალხური სამუსიკო საკრავების აღნერა და გაზომვა, 1940; ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, ტფ., 1938.

მ. შ.

ჩორაბდარი (სამცხ.-ჯავახ.) — ერთგვარი წინდა. მასალად გამოიყენებდნენ თეთრ ან შავ გრძელბენვიან ძაფს. საქალო დაბალყელიანი წინდები ნაკლებსახიანი იყო. მამაკაცები მაღალყელიან წინდას ხმარობდნენ, ჭრელს. არსებობდა რამოდენიმე სახის ჩორაბდარი: სადა, გრეხილიანი (ყელიდან მთელ სიგრძეზე ერთი გრეხილით), ნაოჭიანი, „ყაბარალი" — უჯრებიანი (ყელი იყო უჯრებიანი), ჭრელი — საქუსლეები და სათითეები სქლად ჰქონდა მოქსოვილი. მესხეთ-ჯავახეთში კარგად ნაქსოვი ჩორაბდარები საჩუქრის საგნადაც ქცეულა. გასათხოვარი ქალები წინასწარვე ამზადებდნენ დიდი რაოდენობით, როცა ქმრისიანები რძლის წასაყვანად ეწვეოდნენ ოჯახს. სტუმრად მოსული ყოველი მამაკაცი წყვილი წინდით — და პატარძლის ნაქარგი ცხვირსახოცით დასაჩუქრდებოდა. განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა აბრეშუმის წინდები და პაიჭები, რომელთაც ფერადი სახეებით აჭრელებდნენ და ამკობდნენ ოქრომკედის არშიებითა და კუნუბებით.

ც.ბ

ჩოტი//ჩოტილა — პატარა ხის ან ლითონის ნიჩაბი (იხ. ლაფარა).

ჩოჩია — მარხილის ტიპის საზიდი. მცირე საოჯახო საქმეთა შესასრულებლად. ჩოჩიაში ებმებოდა ერთი ხარი ან ვირი.



ლ.ლ..

ჩოღრათო — ვერცხლის დიდი კულა, ყელდაგრეხილი, ტარივით გაშვერილი სასმელი ღარით. ეთნოგრაფიულ ყოფაში აღარ დასტურდება.

ჩოხა// ფიჩვ// ღართი (სამეგ.)// **ვოსარ** (სვან.) — ადრეფეოდალური ხანის საქართველოში საბერო ტანსაცმელს ეწოდებოდა. გვიანფეოდალურ ხანაში კი მამაკაცისა და ქალის ძალზე გავრცელებული სამოსია. ახალუხთან შენყვილებით, ჩოხა მამაკაცის კოსტიუმის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი იყო მთელ კავკასიაში. საქართველოში ჩოხის არაერთი ტიპი იყო გავრცელებული, რომლებიც ერთმანეთისგან მრავალი ნიშნით განირჩეოდა: სიგრძით, წელზე განყობით, ზურგსმობმული კალთით, გვერდებზე არსებული ქიმების რაოდენობით თუ გვერდების შეხსნილობით და ა.შ. არსებობს ჩოხის რამდენადმე გამოკვეთილი ტიპები: 1. ქართული, ანუ გლეხური მოკლე ჩოხა, მუხლამდე სიგრძისა, ნაოჭიანი ან ჩაქიანი, ხშირად 2 ჩაქიანი და 16-კალთიანი. გვერდებში შეხსნილი. გულმკერდზე 5-6 სამასრეებით. ამ ტიპის ჩოხის თავისებურ ვარიანტს ქმნიდა კახური ჩოხის ანალოგიით შექმნილი ხევსურული ჩოხა, მისი თავისებურება ისაა, რომ ჩოხის გულისპირის კალთები და ზურგი დაფარული იყო ნაქარგობით. XX ს. პირველ ათეულში მოკლე ჩოხა უმეტესად საქართველოს მთიანეთში იყო შემორჩენილი. 2. ჩერქეზული, ანუ თავადური ჩოხა 4-ჩაქიანი. ორი მაღალი ჩაქი გვერდებთან უკეთდებოდა და ორი დაბალი კი უკან. მხრებში აუჭრელს წინ მთლიანი კალთები ჰქონდა და უკან ზურგსმობმული კალთა. მთლიან კალთებს „ბედენებს" უნოდებდნენ. მიკერებულ კალთებს „ბღარტებს". როგორც წესი, ჩოხას ჰქონდა განიერი სახელოები და გულისპირზე დაკერებული „სამასრეები"//საქილეები" (იმერეთი). სამასრეებში რქის, სპილოს ძვლის ან ვერცხლისთავიანი მასრები

ეწყოთ, ზოგჯერ ზედ გამობმული ვერცხლის ძეწკვებით — „ყანიმებით". ჩოხა იკვრებოდა ღილ-კილოებით და წელზე შემოსაკვრელი ტყავის ვერცხლის ნაწილებიანი ქამრით, რომელზედაც ხმალ-ხანჯალი ეკიდათ. 3. ქალაქური, ანუ ყარაჩოღული ჩოხა, ფეხის კოჭებს მწვდომ ამ ჩოხას მრავალ (2-16) „ყურებს"//ჩიბუხს//ჩაქს" უკეთებდნენ. გულმკერდზე ცერად აკერებდნენ დეკორატიულ სამასრეებს. ჩოხის ყველა ნაპირს აბრეშუმის გრეხილი ან ყაითნის ზონარი შემოევლებოდა. ყაითნისავე იყო შესაკრავი ღილ-კილოები. ჩოხის შიდა ნაკერების დაცვის მიზნით ჩაფარიშებს ხმარობდნენ. ჩოხის ფერების შერჩევას სოციალური მდგომარეობა და სპეციალობაც განსაზღვრავდა. ასე მაგალითად, ოთხჩაქიანი ჩოხები თავადაზნაურობის საცმელი იყო, რვაჩაქიანს ყარაჩოღელები ხმარობდნენ. „ჩოხა" თუშეთსა და ფშავში ქალის ზედა სამოსელსაც ერქვა, ხევსურეთში „ჩოხის ძველს" დაგლეჯილ ჩოხას უწოდებდნენ, ხოლო შუაფეოდალური ხანის საქართველოში ბერ-მონაზვნური ტანსაცმლით მოსილს „ჩოხოსანი" ეწოდებოდა. მასრა-ქილებიანი ჩოხა ზოგადკავკასიური ტანსაცმლის ტიპია, მისი აქტიური გამოყენება საქართველოში იწყება XVIII ს-დან.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, III—IV, 1962. გ. ჩაჩაშვილი, ქართლელი გლეხის კოსტიუმი XIX საუკუნისა, სსმმ, ტ. XIXA-XIXB, 1957.

ც. ბ.

ჩრაქვი — გამხმარი არყის ხის ქერქი, რომელსაც მთაში ხმარობენ სანათად (იხ. ლამტვარალი).

ჩუთი (ქართლ.) — მიწის მარტივი სახვნელი იარაღი. ჩუთი ისევე, როგორც სხვა მსუბუქი სახვნელი იარაღები, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში მძიმე სახვნელი იარაღების პარალელურად მოქმედებდა და მეორე რიგის სამუშაოებს ასრულებდა. ჩუთით შესრულებულ მუშაობას აჩუთვას, აოშვას და აკავებას უწოდებდნენ. როგორც ვარაუდობენ, ჩუთი გუთნის გაჩენამდე ძირითადი სახვნელი იარაღი უნდა ყოფილიყო, გუთნის გაჩენის შემდეგ კი ჩუთის ფუნქცია ვიწროვდება და იგი ძირითადი იარაღიდან დამხმარე სახვნელის ადგილზე ინაცვლებს.

ჩუთის ანალოგიური სახვნელების გავრცელების არეალი საკმაოდ დიდია. იგი ოდნავ სახეცვლილი გვხვდება როგორც საქართველოს სხვა კუთხეებსა და საერთოდ კავკასიაში, ისე წინა აზიის, შუა აზიის და ევროპულ ქვეყნებშიც. ტიპოლოგიურად იგი ენათესავება ბაბილონში დამონმებულ სახვნელებს.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზურობა აღბულაღის რაიონში, სსმმ, 1928.ტ. IV. გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამინათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960.

თ. გ.

ჩული – ცხენის გადასაფარებელი, უნაგრის მოხსნის შემდეგ გაოფლიანებულ ზურგზე გადააფარებდნენ მკერდამდე ჩულს, რომ ცხენი ნებისად გამშრალიყო.

ჩურჩხელა — ფელამუშში (თათარა) ამოვლებული ხილის აცმა (კაკალი, თხილი, ჩირი), რომელსაც დასავლეთ საქართველოში გოზინაყს და ჯანჯუხს უწოდებენ. განსაკუთრებით განთქმულია კახური ჩურჩხელა - ნიგვზის დაჭრილი ლებნების აცმა, რომელიც რამდენჯერმეა ამოვლებული თათარაში. კახეთშივე იციან მთლიანი ლებნების ჩურჩხელა, რომელსაც „კუკრუჭანასა" და „გორგომიჭელს" უწოდებენ. ჩვეულებრივთან შედარებით ასეთი ჩურჩხელა მსხვილია და უფრო გემრიელი. იმერული გოზინაყი და გურული ჯანჯუხი მხოლოდ ერთხელ ამოივლება ფელამუშში და ხარისხით ბევრად ჩამოუვარდება კახურ ჩურჩხელას. ჩურჩხელა უაღრესად კალორიული პროდუქტია და სატარებლად იოლი. ამიტომ, ძველად, სალაშქროდ გასული ქართველისათვის ჩურჩხელა ყოველდღიურ საკვებთა რიგში შედიოდა.

ე. ნ.

ჩუსტი//მესტები — ფეხსაცმლის ტიპი. ქალებისა და მამაკაცების სატარებელი. ზოგიერთ შემთხვევაში ძირი ტყავის ჰქონდა პირი კი ქსოვილის.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.



თიხის საზელი



თიხის საზელი

ჩქუთი — ნახევარწრისებური რკინის ოვალურპირიანი და ხისტარიანი სატეხი. საბას მიხედვით ჩქუთი „ძელთ ამოსათლელი", პირმოხვეული სატეხია, გამოიყენებოდა კოდების, ჩანახების, ციცხვების და ა.შ. გასათლელად.

ბ. ბ.

ჩხირები — 1. ნართის საქსოვი ჩხირები, იხმარებოდა ხის და ლითონის ჩხირებიც. არსებობს სხვადასხვა სისქისა და სიგრძის ჩხირები, რაც დამოკიდებულია საქსოვ მასალასა და მოსაქსოვი ქსოვილის საგანზე. საქსოვი ჩხირების გაუმჯობესებულ ვარიანტს, ისევე როგორც ლითონის ჩხირებს, დღესაც იყენებენ ქსოვისას. 2. ხისაგან გამოთლილი, რომლითაც მედოლეები უკრავენ. განსაკუთრებით „საჭიდაოს" შესრულებისას.

ე. ნ.

ჩხუტ-ბრუნელი//(თუშ.)//**ჩხუტ-ბარნელა**(ფშ.)//**ჩასარევაი**//**ყუიკა** (ხევს.) — ვერტიკალური ტიპის ნაღების სადღვებელი, რომელიც გავრცელებული იყო აღმ. საქართველოს მთიანეთში. ჩხუტ-ბრუნელი ორი ნაწილისგან შედგება, ჩხუტი — მთლიანი ხისგან გამოთლილი ძირჩადგმული ცილინდრული ფორმის ძირგანიერი და პირვიწრო ჭურჭელი და შესადღვები ჯოხი — ბრუნელი//ბარნელი, დაბოლოებული ხის ჯვარედინი ფირფიტებით და ზედ შემოგრეხილი ნნელით, რომლის მოძრაობითაც ხდება რძის დღვება. მცხეთა-სამთავროს ბრინჯაოს ხანის სამარხებში აღმოჩენილი თიხის სადღვებლები მსგავსია საქართველოს მთიანეთში გავრცელებული სადღვებლებისა, რაც ნათლად მიუთითებს რძის პროდუქტის ტექნოლოგიის უწყვეტობისა და მისი დამუშავების მაღალ კულტურაზე.

ე. ნ.

ჩხუტი — ლუდის ხალხურ წარმოებაში გამოსაყენებელი ტუჩიანი და სახელურიანი ჭურჭელი. ამზადებდნენ ხისგან და სპილენძისგანაც. აქვს მაგარი სახელური, მძიმე სამუშაოებს რომ გაუძლოს. ზოგჯერ ჩხუტი ერთ ხეშია ამოღებული, ე.ი. მთლიანია და მხოლოდ ძირი აქვს გამოყენებული. ჩხუტი ძირითადად 10-15 ლიტრის ტევადობის ჭურჭელია, მაგრამ არსებობს პატარა ჩხუტებიც. ჩხუტი ზოგჯერ შემკული იყო რაიმე სიმბოლური მოტივით და საგვარეულო დამღით.



ე.ნ.



ცალუღი — ხის ოვალური, ტყავგადაკრული რგოლი, რომელიც ცხენს ჩამოეცმება კისერზე. ცალუღზე მაგრდება ეტლის, ურმის, სახვნელის, ფორნის ხელნები და მისი მეშვეობით ხდება ცხენისაგან ტრანსპორტისა და სახვნელის მოძრაობაში მოყვანა.

ე. ნ.

ცახი — მეაბრეშუმეობაში გამოყენებული სხვადასხვა ხის ტოტებისაგან ან ბალახოვანი მცენარეებისაგან (გვიმრა, ჯაგრცხილა, სატაცური, გვირილა, ღომის ჩალა, მინდვრის ცოცხა და სხვ.) შეკრული კონები. იხმარებოდა ჩელტებიდან მეოთხე ასაკის აბრეშუმის ჭიის გასათავსებლად. ცახის ცოცხზე ზრდადამთავრებული აბრეშუმის ჭია იწყებდა პარკის ახვევას. დახვეული ცახიდან მოცილებული პარკები დაირჩეოდა და დახარისხდებოდა.

ლიტ.: ნ. აბესაძე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957.

ლ. მ.

ცელი — ხის გრძელტარიანი რკინის იარაღი, რომელიც გამოიყენებოდა პურეული კულტურებისა და ბალახის სათიბად. ცელი წარმოადგენს ბასრპირიან, ოდნავ წელში გახრილ იარაღს. ყუაზე აქვს კოპი, რომელიც მაგრდება ხის ტარში და უკეთდება რგოლი. რგოლსა და ტარს შუა ედება პატარა ხის სოლები, ცელის ყუა მათ შუა იჭედება და მყარად ერგება ტარს.

ახალ ცელს რკინის გრდემლზე პირს პატარა ჩაქუჩით გამოუკვერავენ, ხოლო შემდეგ გალესავენ სალესით. ცელს, როგორც წესი, უკეთდება სახელური — თიბვისას მცელავმა მყარად რომ დაიჭიროს ხელში. პურის თავთავის მკისას ცელის ტარზე ამაგრებენ ფინალს, რაც ხელს უწყობს მოცელილი მასის მწყობრად დაწყობას ნაწვერალში. ცელი არის სხვადასხვა ზომის, იმ სამუშაოთა და ადგილის გათვალისწინებით, სადაც უნდა ემუშავათ. მაგ., მთის ცელი მოკლეა, ხოლო ბარისა უფრო გრძელი. როგორც წესი, ცელს ამზადებდნენ სოფლის მჭედლები. ცელი წარმოადგენს ნამგლის განვითარებულ ნაირსახეობას. იგი ძველი დროიდანვე იხმარებოდა საქართველოში.

ე. ნ.



ცვარა//გავარსი — ქართული ოქრომჭედლობისათვის დამახასიათებელი ხერხია და ნიშნავს ნივთის შემკობას, ზედ დარჩილული ოქროს ან ვერცხლის ნვრილი ბურთულებით. მსგავსად ფერადი თვლებით შემკობისა, ლითონის ლითონითვე შემკობაც, ინკრუსტაციის სახესხვაობას წარმოადგენს. იმ მხატვრულ არსენალში, რომელიც ადრეული რკინის ხანის ქართული საოქრომჭედლო სკოლის თავისთავადობას ქმნის, უმთავრესია გავარსი და მისი დაწყობის წესი, რაც უხვადაა წარმოდგენილი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ ძვ.წ. VII-VI სს-ის საკიდებსა და საყურეებზე, რომელთა პირდაპირი მემკვიდრეა ადრეანტიკური ხანის ქართული სამკაული, კერძოდ, სხივებიანი საყურეები. განსაკუთრებით საყურადღებო და საინტერესოა ვანში აღმოჩენილი ოქროს გავარსიანი ნივთები, რომლებიც ადგილობრივი ქართული ნახელავია. არასოდეს არც მანამდე და არც ადრეანტიკური ხანის შემდეგ არ უკეთებიათ საქართველოში ასეთი გავარსი — 0,1-0,2 მმ დიამეტრის მქონე ბურთულებით. მხატვრული თვალსაზრისით, გავარსი პოლიქრომიის შემცველია და ოქრომჭედლობაში იმავე როლს ასრულებს, რასაც ფერადი ინკრუსტაცია. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აღმოჩენილი ამავე და ცოტა უფრო მოგვიანო ხანის (ძვ.წ. V-IV სს.) ოქროს სამკაულის საუკეთესო ნაწილიც გავარსიანია. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალგორის განძის ცხენის გამოსახულებებიანი სასაფეთქლე საკიდები და საყურეები, აგრეთვე გომბეშოებიანი ყელსაბამი. სწორედ ამგვარ ნაწარმოებში ჩანს ქართული ოქრომჭედლობის ნამდვილი სახე და ინდივიდუალობა.

ტექნიკური პროცესი ცვარას, ისევე როგორც გრეხილის, დამზადებისა მრავალი საუკუნის განმავლობაში უცვლელი იყო.

ლიტ.: ი. გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981.

მ.ბ.



ციბრუტი//ციბრუნდი — სახვრეტი იარაღი. არსებობს მისი სხვადასხვა სახეები და ძირითადად გამოიყენებოდა ხის, ქვისა და ლითონის სახვრეტად.

ციდა — უძველესი ქართული საზომი. მოიხსენიება „დაბადების" ქართულ თარგმანში. ამ ერთეულს „ქართულ ლექსიკონში" ასახელებს სულხან-საბა, თუმც არ იძლევა მის მიმართებას სხვა ზომებთან. ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით, ციდა იყო მანძილი სალოკ თითსა და ცერს შორის. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, ციდა ჩარექის ნახევარია. მეტრულ სისტემაში ის 12,65 სმ შეადგენდა.

ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973.

მ.ბ.

ცირიხერხი — დიდი საფიცრე მორების საჭრელი ხერხი. გამოიყენებდნენ ნავმშენებლები.

ციხე — აქ: ერთად დაწყობილი ყავარი, რომელიც იტევს 1000 ცალს, ანუ ათ „ფთას".



ცული — უძველესი სამეურნეო იარაღი. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ქვის ხანის ადამიანს კაჟის ქვის ცული უხმარია. შემდეგ სპილენძისა და ბრინჯაოს ცულები თიხის ყალიბებში ჩამოუსხამს, ხოლო როცა რკინის ეპოქა დამდგარა, ცულების მოყვანილობა და დანიშნულება გამრავალფეროვნებულა.

ბრინჯაოს ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ტომები ცულს იყენებდნენ როგორც საბრძოლო, ასევე სამეურნეო იარაღად. ბრინჯაოს ხანაშივე ადამიანებს მიაჩნდათ, რომ ლითონის ამ მრისხანე იარაღს დიდი ჯადოსნური ძალა ჰქონდა. სხვანაირად ვერ აიხსნება, თუ რატომ ამზადებდნენ ყელზე ჩამოსაკიდებელ პატარა ბრინჯაოს ცულებს, რომელთა სიდიდე 2 სმ-ს არ აღემატება. ჩვენი წინაპრების აზრით ისინი პატრონს ავი თვალისაგან იფარავდა. ეს რწმენა ჩვენში გვიანდელამდე შემორჩა. XIX ს-ის 70-იან წლებში ქართველი მჭედლები მოსახლეობის დაკვეთით სამჭედლოში სხვების შეუმჩნევლად შედიოდნენ, ქურას უმძრახად გაალვივებდნენ და რკინის ავგაროზებს (პატარა ცულებს, ნალებს, ნალდებს) ამზადებდნენ, რომელთაც ან აკვანზე, ან სახლის კარიბჭეზე ჰკიდებდნენ, ან ბავშვს ყელზე შეაბამდნენ.

ძველად ოჯახის წევრი შინ გვიან თუ დაბრუნდებოდა, კართან დადებულ ნალდზე ან ცულზე უნდა გადაებიჯებინა, რომ სახლში ავი ძალა არ შეჰყოლოდა. აკვანში მწოლიარე ბალღებს თავქვეშ ან აკვნის ქვეშ ნალდუნას უდებდნენ ბოროტისაგან დასაცავად.

ეთნოგრაფიულ ყოფაში რკინის ნივთთან დაკავშირებული მაგიური წეს-ჩვეულებები ჩვენში ლითონის დამუშავების, ე.ი. მეტალურგიის სიძველეზე მეტყველებს. ქუთაისის მუზეუმში ინახება ცული, რომელიც 3300 წლის (33 საუკუნის) წინათ უხმარიათ ჩვენს წინაპრებს, როგორც ამულეტი.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, დასურათებული ლექსიკონი, 2008.



ცული სოლა — ცულ-ნაჯახების ერთ-ერთი სახეობა. სოლა ცული, ანუ სოლა ნაჯახი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში წარმოქმნილი და ფართოდ გავრცელებული, ე.წ. „ქართული ცულის" ნაირსახეობაა, რომლის სახელწოდება სრულად გამოხატავს მის აღნაგობასა და სამეურნეო დანიშნულებას. აღნაგობით სოლს წააგავს. სხვა ცულ-ნაჯახებისგან განსხვავებით, მას აქვს ვინრო და მაღალი პირი. ეფექტურია ხის მოჭრისას და მორის გასაპობად. აგრეთვე კარგად ასრულებს სოლის დანიშნულებას.

სოლა ცული ძირითადად გავრცელებულია მთიან აჭარაში, ასევე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოშიც.

ლიტ.: ნ. კახიძე, მაჭახლის ხეობა, ბათუმი, 1974.

ა.გ.

ცული ქართული — გამორჩეული ტიპის იარაღი, რომელსაც შეძენილი აქვს ისეთი ინდივიდუალური ფორმა, რომელიც მხოლოდ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი.



ქართული ცულის დამზადების წესის ძირითადი ეტაპებია: საცულე რკინის შერჩევა, მოზომვა, მოკვეთა, გახურება და „მოთელვა". ამის შემდეგ გრძლად გაბრტყელებული რკინის შუაგულიდან მჭედელი აძლევს მიახლოებით ფორმას, უკეთებს „სატარეს", ანუ ყუას, შემდეგ ცულის ტანს ქურაში ცეცხლზე დაამუშავებენ. ცულის პირის სათანადო დამუშავების შემდეგ, რასაც მჭედელი ატყობს (ცეცხლის ალისფერით, ნაპერწკლით), იწყება კვერვა, რის შედეგადაც ცულის ტანი სათანადო ფორმას იღებს. კვერვის შემდეგი პროცესია „გაწკიპვა" — უსწორმასწორო ადგილების მოსწორება, რაც საგანგებო იარაღით — „ლიპით" ხორციელდება (ლიპი — სწორი და ბრტყელთავიანი ხელკეერი), ამის შემდეგ ცული უნდა გაილესოს, იწრთოს, დაიფეროს და უკვე მზად ითვლება. ქართულ ცულს ტარი ეგება ყუაში ამოცმით, რაც ცულის ტარიდან წაძრობას გამორიცხავს.

ქართული ცულის ძირითადი თავისებურებებია: ვიწრო ტანი, დაქანებული „შუბლი", კუთხედი, ტრაპეციის ფორმის სატარე, ოდნავ მომრგვალო პირი...

ეთნოგრაფიულ ყოფაში რკინის ნივთთან დაკავშირებული მაგიური წეს-ჩვეულებები ჩვენში ლითონის დამუშავების სიძველეზე მეტყველებს.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1953.

ა. გ.

ცულ-ქარჩი – ორმხრივი, ყამირი მიწის დასამუშავებელი რკინის იარაღი, ორი ფუნქციის მატარებელი (ცულის და ქარჩის). ძირითადად გამოიყენება ახოს აღების დროს, ხის ფესვების ამოსაძირკვად. ამ ტიპის იარაღი საქართველოში ტყიანი რაიონების გავრცელების ზოლში ფიქსირდება.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986.

ა. გ.

ცხავი — ხორბლეულის საცხრილავი, მისი ძირი არყის ხის ტკეჩისგან კეთდებოდა, ქერისათვის განკუთვნილი ცხავის ძირი „ფაცხატად", ანუ დიდი „თვლებით" ინვნოდა, ხორბლეულისათვის კი პატარა „თვლებით". ცხავის ტანზე ზემოთ და ქვემოთ დანით „ამოჭდეული" იყო „სათითნიკა" თითების ადგილი, რათა ადამიანს მტკიცედ დაეჭირა ხელში.

გ. მ.

ცხემადი (სვ.) — კონდახიანი მშვილდის ნაირსახეობა.

ცხრილი – მარცვლეულის საცხრილავი. იხმარებოდა კალოობისას, ლეწვის დროს პურეულის საცხრილავად. სანამ ხვავს კალოდან აიღებდნენ, ხორბალს ჯერ ცხავში გაატარებდნენ, მას მსხვილი თვალები აქვს და მარცვალი გადის ცხავში, დიდი ნარჩენები კი შიგ რჩება. ცხრილს ნვრილი თვალები აქვს, გაცხრილვის დროს ხორბლის მარცვალი შიგ რჩება, ქვეშ გადის წვრილი ნარჩენი, მიწა. ხის ცხრილი მზადდებოდა თხმელის ან თხილის ტკეჩისაგან, ინვნოდა იმ ზომის თვლებით, რომ შიგ მარცვალი არ გავარდნილიყო. ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებულია ორი სახის ტყავის ძირიანი ცხრილი: გამოწნული ტყავის თასმებით და დაჩვრტილი სამეურნეო კულტურების გასაცრელ-გასაცხრილავად. ორივე ტიპის ტყავის ცხრილი ხის სალტეზე იყო გამოკრული. ტყავის ცხრილების დამზადების ტრადიცია ეთნოგრაფიულ ყოფაში არ დასტურებდა. ხის ცხრილებს კი ამჟამადაც აკეთებენ და ბაზრობებზე მათი საუკეთესო ნიმუშებია გამოტანილი.



ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში.

ნ. ჯ.

ქანდაკება – საფლავის ძეგლი

ქანდაკება – საფლავის ქვაგლი



ᲫᲐᲑᲠᲘ — სითხის გადასაღები ფართოპირიანი და ვიწროყელიანი ნივთი. მზადდებოდა მეტალისგან, თიხისგან. მეღვინეობაში გავრცელებული იყო მწარე კვახის ძაბრები, რისთვისაც საგანგებო ჯიშიც კი ჰქონიათ გამოყვანილი. ზრდის პროცესში ნაყოფს ისეთ მდგომარეობას შეურჩევდნენ, ძაბრს რომ დამსგავსებოდა. შემდეგ ნაყოფს ძირს გადაუჭრიდნენ, გაასუფთავებდნენ, გამოხარშავდნენ და იყენებდნენ სათანადო საქმიანობისთვის. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია ხის ტყავგადაკრული დიდი ზომის უნიკალური ძაბრი რომელიც გამოიყენებოდა რუმბში (იხ.) ღვინის ჩასასხმელად.



ე. ნ.

ᲫᲚᲐᲧᲘᲜᲘ — მძლავრი რკინის კეტი. ერთი თავი წვეტიანია, მეორე — ფართო. იმერეთში „ლომს“ უწოდებენ.

ᲫᲐᲠᲘ// ᲮᲕᲘᲠᲘ (იმერ.) — 1. მოწნული სათავსი, რომელიც იდება ურემზე და გამოიყენება სხვადასხვა სამეურნეო პროდუქტების გადასატანად. 2. სიმიდის საწყაო უდრის 5 კოდს. 3. გოდორივით მოწნული, წვრილფეხობის დასამწყვდევად. 4. მოწნული სასიმინდე, ნალია.

ლიტ.: ქელ. 2009

ᲫᲐᲚᲐ — ხარაზის სახმარი სამღებრო მასალა. წარმოადგენდა სპეციალური შავი მინისა და შაბის ნაზავს, რომელიც გახსნილი იყო წყალში. უსვამდნენ ფეხსაცმლის საძირეს გარშემო და საპირეს ზევიდან შავი ფერის მისაღებად. ტყავის გაშავება ძველად ხარაზებსა და მეჩემქმეებს ანწლის წვენითაც სცოდნიათ.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ᲫᲐᲫᲐ — ქალის სამგლოვიარო სამოსელი. XIX ს. საქართველოში მგლოვიარე ქალები ერთი წლის ვადით შავი ფერის ჩასაცმელს ხმარობდნენ. აუცილებელი იყო თავზე დიდი ზომის შავი თავსაფრის დაბურვაც. სამეგრელოში მგზავრობის დროს გამოყენებული ჩანს მთელ ტანზე მოსახური, ნაბდის მსგავსი — „ანაფორა“.

„ძაძა“ ძირითადად ღაზლის ქსოვილია, სამეგრელოში დაცული „ძანძა“ კი კანაფისა და სელის ქსოვილების ზოგადი სახელწოდებაა. სამგლოვიარო სამოსელთან დაკავშირებით საქართველოში ბევრი ძველქართული წესია შემორჩენილი, განსაკუთრებით სვანეთსა და სამეგრელოში, სადაც გლოვის ყველაზე ხანგრძლივი ვადებია დაფიქსირებული.

მეგრელთა რწმენით, ძაძა თავგანწირულთა სამოსელია და მას მაშინ იყენებენ, როცა ახლობელი დაეღუპებათ. ასხვავებენ ძაძის ორგვარ სახეობას: დაკბილულნაპირებიანი სამოსი და ფოჩებჩამოშლილი, დაწესებული იყო მათი ტარების ვადებიც, 7 ან 40 დღე.

ძაძის განახლება თითქოს სხვის სიკვდილს იწვევდა, მის დაკერებასაც კი ერიდებოდნენ. ნახმარ ძაძას ეზოს გარეთ გაიტანდნენ დასაწვავად, ან ჩამდინარე წყალს გაატანდნენ.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გლოვისას ტანსაცმელზე გულსაფარს აიკრავდნენ, რათა მისი მოქარგული ნაწილები დაეფარათ. აქვე შემოინახა ერთი ძველი წესიც, მიცვალებულის სახელზე თმების მოკვეცისა და საფლავში გატანებისა. ხევსურეთში ამ წესს უმცროსი ძმის სიკვდილის შემთხვევაში მიმართავდნენ.

ძმის გამო გლოვა სხვა მხრივაც იყო გამოხატული, თუ გაუთხოვარ ქალს უცოლშვილო ძმა მოუკვდებოდა, მთელი სიცოცხლის მანძილზე ტანსაცმლის ნაქარგიდან უნდა ამოეღო თეთრი, ყვითელი, ცისფერი, ნითელი ძაფები, სირმა, სამკაული და მძივები, აღარ იცეკვებდა და აღარც ილექსებდა, ზოგიერთი უძმოდ დარჩენილი ქალი მთელ თავის სიცოცხლეს სულ შავებში გაატარებდა.

თუშეთში ღრმა მწუხარებისას ქალი კაბის უბეზე ერთი არშინის სიგრძის ლითონის ჯაჭვს დაიკიდებდა, რომელსაც ბოლოზე შავი ბაწრის ძაფებით ეკიდა ფოჩებჩამოშლილი „ქოქირაი" (იხ.). გლოვის დასასრულსჯაჭვის ბაწრიან ნაწილებს დაკუწავდნენ და ჩამდინარე წყალს გაატანდნენ.

საქართველოში გლოვის სხვა წესებთან ერთად აღსანიშნავია ხევსურეთში მანდილის კანჭის ჩამოშვებისა და თუშეთში მანდილის ორივე ყურის ყელზე შემოხვევის წესები. მგლოვიარეს არც სახლში შეეძლო უთავსაბურად ყოფნა, იგი შავ დიდ თავსაფარს რამდენჯერმე დაკეცილი თავსახვევით იმაგრებდა.

სამგლოვიარო ტანსაცმელს არ ატარებდნენ ერთ წლამდე ბავშვის სიკვდილის, მეხდაცემულის, „ბატონებით" გარდაცვლილისა და სულით ავადმყოფის დაღუპვის დროს. მგლოვიარე ქალი დროებით აკრძალვებსაც უნდა დამორჩილებოდა. ვისაც ოჯახში პატარა ჰყავდა, დიდხანს გლოვა არ შეეძლო. დროებით უნდა გაეხადათ სამგლოვიარო ტანსაცმელი დიდი დღესასწაულების პერიოდში, ასევე ნიშნობა-ქორწილებში, „ბატონების" სტუმრობისა და ლოცვის დროს.

ლიტ.: ც. ბეზარაშვილი, სამგლოვიარო ტანსაცმელი ქიზიყში —„ძაძა-ფლასი", სსმმ, ტ. XLII-B, 1997.

ც. ბ.

ძაძა-ფლასი — ქალის სამგლოვიარო ჩასაცმელი. საქართველოს კუთხეებიდან XX ს. პირველ ათეულ წლებში ქიზიყსა და გურიაში ჯერ კიდევ ახსოვდათ სამგლოვიარო ჩასაცმელის აღსანიშნავად გამოყენებული ძველი სახელწოდება „ძაძა-ფლასი". საქართველოში ტერმინი „ძაძა" სამგლოვიარო სამოსელის ზოგად სახელწოდებადაა ცნობილი. ქიზიყში დადასტურებული ეს სახელწოდება კი განსხვავებული შინაარსის მატარებელია — „ძაძა" თავზე მოსახური, ბამბის დაუძახავი ძაფისგან მოქსოვილი და ნაპირებჩამოშლილი თავსაფარია. საბასთან ძაძა შალის უხეში ღაზლის ქსოვილადაა განმარტებული, ხოლო ფლასი თხის ბალნისაგან დამზადებულს ჰქვია. ორივე ფორმისათვის ნიშანდობლივია სისადავე და კაბის ნაპირების შეუკეცავობა. გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ ზოგჯერ ამგვარი კაბების შემოკეცვაც შეეძლოთ, მაგრამ ძაძა-თავსაფარი, რომელსაც საგარეოდ მოიხმარდნენ, შემოუკეცავი უნდა გაეცვითათ. გურიაში ყველაზე მეტად ქმრისა და შვილის დაკარგვის გამო გლოვობდნენ. ქვრივს აუცილებლად ძაძა-ფლასი უნდა ეტარებინა, რომელიც იმ პერიოდში გავრცელებული სამოსის ფორმა იყო, მაგრამ უბრალო მასალისაგან ულაზათოდ შეკერილი და თანაც შემოუტეხავი. ძაძა-ფლასში გახვეულებს საცვლებიც შავი უნდა სცმოდათ, ასევე ფეხშველა უნდა ევლოთ და ლოგინის გარეშე, ხმელ ჭილოფზე უნდა დაეძინათ. ეს ტანსაცმელი თავისით უნდა გაცვეთილიყო, ეკრძალებოდათ საკერავის დადება და განახლება. ძაძა-ფლასის ტარების ვადად ძირითადად 40 დღე იყო.

ლიტ.: ც. ბეზარაშვილი, სამგლოვიარო ტანსაცმელი ქიზიყში — „ძაძა-ფლასი", სსმმ, ტ. XLII-B, 1997.

ც. ბ.

ძელბარი — მთლიანი ხისაგან გამოთლილი პირგრძელი ბარი, რომლითაც იმერლები აყალოს ახდიან ჭურისთავს. ხმარობენ გაყინული მიწის საბარავადაც.

ე.ნ.

ძელური — იხ. სახლი ძელური.

ძელყორე — 1. ძვ. ქვითა და ძელით ნაგები გალავანი 2. მორებით გამაგრებული ადგილი, რომელიც ქვებითაა ამოვსებული.

ძენკვი — მირჩილული და მიურჩილავი რგოლებით შედგენილი სამკაული, რომელსაც ამზადებდნენ ოქროს, ვერცხლის, პლატინის, თითბრის, სპილენძის მოოქროვილი ან მოვერცხლილი მეტალისგან. ძენკვები იხმარება ჯვრების, კულონების, მედალიონების, საათების, ლორნეტების, სათვალეების და სხვა ნაწარმის სატარებლად. მსხვილი ძენკვი შეიძლება დამოუკიდებელი სამკაულიც იყოს. რგოლების ფორმის მიხედვით არის ჯავშნისებური, ღუზისებური, ხვეული და სხვა. ძენკვს აქვს საკეტი.



ᲨᲣᲒᲚᲘᲡᲐᲥᲠᲐᲕᲘᲡ ᲢᲘᲞᲔᲑᲘ



ჩანთა

საქართველოში ძეწკვები გავრცელებული იყო ჯერ კიდევ ადრეანტიკურ ხანაში. ძვ.წ. IV-V სს-ში ძალიან პოპულარული იყო ფანტასტიკური ცხოველების თავებით დაბოლოებული ძეწკვები. საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებში აღმოჩენილია სხვადასხვა სტილით ნაკეთები უბრწყინვალესი ხელოვნებითდ დამზადებული ძეწკვები. ადგილობრივ დამზადებული ძეწკვების გარდა ფართოდ იხმარებოდა უცხოური (ბერძნულ-რომაული) ძეწკვებიც. XIX ს-ში დიდი რაოდენობით ძეწკვები შემოდიოდა რუსეთიდან და ევროპიდან.

ლიტ.: ს. სელიუანკინი, პ. სერენკო, პ. ციპლაკოვი, საიუველირო საქონელი და საათები, 1958.

მ. ბ.

ძეხვი//(ქართლ.კახ.)**შიგნით**//**შიგნითადი**(თუშ.)//**ძეხვი**//**მძეხვი**(ფშ.)//**ჭიჭნაგური** (ინგ. ჭან.)//**კუპატი** (იმერ.). — გასუფთავებულ, მსხვილ ნაწლავებს გადმოაბრუნებენ, გაბერავენ და მზეზე გააშრობენ. შემდეგ ცოტათი დაასველებენ და ჩატენიან მასში წინასწარ გამზადებულ დაკეპილ ხორცსა და ქონს, შენელებულს მარილით, მწვანილებითა და ხახვით, თავბოლოს მოუკრავენ, მოკეცავენ ორად და გააშრობენ მზეზე, ან კერის თავზე. კარგად გაკეთებული შიგნითა 3-4 წელი ძლებს. საჭიროების დროს მოხარშავენ ან შეწვავენ. სისხლშერეული შიგნეულისა და ხორცის ძეხვს ეწოდება „ქუმფასი“.

ნ. ჯ.

ძიქვა — სალოცავი ქვა, რომელთანაც რძეგამშრალი ქალები ან უშვილო დედაკაცები მიდიოდნენ, ატარებდნენ სათანადო რიტუალს და თავიანთ სათხოვარს შესთხოვდნენ. ძიქვასადმი ყველაზე დახვეწილი რიტუალები შიდა ქართლშია დადასტურებული.

ე.ნ.

ძნა — მომკული და გაულეწავი პურის კონა, რომელიც შედგება ხელეურებისაგან. ნამგლით მკისას მკელი მოსამკელი პურის თავთავებს ერთი ხელით ბღუჯავს, ხოლო მეორეთი ძირში ჭრის. რაც ერთ მოჭრაზე ხელში დაეტევა, იმას ეწოდება ხელეური. 10-15 ხელეურისაგან შეიკვრება ერთი ძნა. თავთავის გალეწვისას ძნებს კალოზე მიიტანენ, იქ დაშლიან და დაყრიან, რათა კევრით გალეწონ.

ე.ნ.



ნათი — საჩხვლეტ-საძგერებელი იარაღი. საბას განმარტებით, „ წათი აფთ-შუბაა, ხოლო აფთი მახვილია ბრტყელი და ტანგრძელი." წათი — საჭურველთა შორის მხოლოდ უძველეს ძეგლებში გვხვდება.

წათის ისევე როგორც მახვილის ხელში მქონებელს, რიგით ადამიანს თუ ჯარისკაცს წათოსანი ან მახვილოსანი ეწოდებოდა.

სულხან-საბა — ლექსიკონი ქართული, ტ. II, 1993.

მ. ქ.

ნათხი — ყველის შესანახი სითხე, მზადდება მარილწყლის, ძმრისა და მცირეოდენი შაქრის შერევით.

ნალდი — რკინისპირიანი და ხის ტარიანი იარაღი, რომლის მრავალნაირი ფორმა არსებობს. ნალდის გამოყენების ხანგრძლივ, უწყვეტ ტრადიციას ადასტურებს არქეოლოგიური მასალა (ბრინჯაოს ნალდები). გავრცელებულია საქართველოს ყველა რეგიონში. ნალდი არის სანიადაგო იარაღი ტოტებისა და ბუჩქნარების საკაფავად. ძირითადად გავრცელებულია ორი ტიპი: ნისკარტიანი-ტოტების მოსაწევად და უნისკარტო სათლელ-საკეპად. ფართოდ გამოიყენებოდა საყანე ადგილის მომზადებისას ჩირგვების, ბუჩქნარების, ბარდების გამოსაკაფად. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ნალდებს ყუა ზემოდან უკეთდება, სადაც ჩაესმებათ ტარი, ხოლო დასავლეთში ნაჯახისებური ყუა და გრძელი ტარი აქვთ. ნალდი საქართველოს ფარგლებს გარეთ გვხვდება ჩრდილო კავკასიაში, ჩერქეზეთში, ლეკებში, ჩეჩნეთში, ინგუშეთში, თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეულ ლაზეთსა და შავშეთში, აზერბაიჯანის ქართულ მოსახლეობაში (საინგილო)



აკად. გ. ჩიატაიამ ყურადღება მიაქცია ადიღეური ნალდის სახელწოდებას — „სალდა"-ს, რომელიც ქართული ნალდის სახენაცვალ ფორმად მიიჩნია. არის მოსაზრება, რომ ნალდის ეს ტიპი გენეტიკურად კოლხური კულტურის მონაპოვარია. ეთნოგრაფიული მასალებითაც დასტურდება, რომ ნალდი აღმოსავლეთ საქართველოში რაჭა-იმერეთიდანაა გადმოსული.

ლიტ.: ნ. რეხვიაშვილი, მჭედლობა რაჭაში, 1953. გ. ჩიტაია, შრ. ტ. V, 2001.

ა. გ.

ნალდუნა — ნალდუკა//სასხლავი, ხელით სამუშაო იარაღი. ტანის მოყვანილობით ნალდის მსგავსი. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ცნობილია სახელწოდებით: ნალდუნა (ქართ.), ნალდუკა, სასხლავი (იმერ.), ხელნალდა (გურ.), სასხლავა (ლეჩხ.), ცხემლარი (სამეგ.). ნალდის ამ ტიპს უფრო დანის მოყვანილობა აქვს, ოდნავ მოკაუჭებული წვერით. იხმარებოდა ახალგაზრდა ხე მცენარეების და მაღლარი და დაბლარი ვაზის გასასხლავად.

ა.გ.

ნალკატი — ქვის დასამუშავებელი ორწვერა იარაღი (იხ. ნერაქვი).

ნალო — ფარდებჩამოფარებული თახჩა. გამოიყენებოდა ლოგინის დასაწყობად.

ნამოსასხამი — აქ: ხევსური ქალის გარეთი, რიტუალური სამოსელი. მასალად გამოყენებულია ადგილობრივი, საოჯახო წესით დამზადებული შვინდისფერი შალი — „ტოლი". კალთების ბოლოები და ნაკერის თითქმის ყველა ადგილი დაფარულია ოქროსფერი ძაფის ყაითნით ან ბრტყელი სირმით, თეთრი ღილებითა და ფერადი მინის მძივებით. წელის გასწვრივ, აქა-იქ შემორჩენილია წვრილი მძივების მცირე აცმა, რომელზედაც მსხლის ფორმის ყვითელი ლითონის სამკაულები კიდია. ცრუსახელოებით შედგენილი

ეს ნამოსასხამები ფორმითა და დანიშნულებით ნათესაობას ამჟღავნებს საქართველოში, მცხეთასა და ატენში გამოვლენილ ქანდაკებათა (VI-VII სს.) სამოსელთან.

ლიტ.: ც. ბეზარაშვილი, ხევსური ქალის ორი ნამოსასხამი, მსე ტ. XXVI, 2004.

ც. ბ.

ნანდილი — ხორბლისაგან დამზადებული ფაფის ტიპის საკვები. ადრე ყოველდღიურ საჭმელად მზადდებოდა. უფრო მოგვიანებით ძირითადად სარიტუალო (მიცვალებულის სახელობის) საკვებად იქცა. ნანდილად მოხარშავენ გარჩეულ, კანგაცლილ, კარგი ჯიშის ხორბალს, შეკაზმავენ თაფლით, ნიგვზით, ქიშმიშით და ჭირის სუფრაზე ჩადგამენ ჯამებით. ვინც მიცვალებულის პატივისცემითაა მისული სუფრაზე, ნანდილი ყველამ უნდა იგემოს, რადგან ამ შემთხვევაში მიუვა მას. რელიგიური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ხორბალი საიქიოს ჯეჯილად ამოდის და გარდაცვლილის მარადიული სიცოცხლის სიმბოლოდ აღიქმება.

ლიტ.: გ. გოცირიძე, კვების ხალხური კულტურა და სუფრის ტრადიციები საქართველოში. 2007.

ე. ნ.

ნაღა//ნული — ფეხსაცმლის ტიპი. გავრცელებული იყო მთელ კავკასიაში. წარმოადგენს უბრალო, რბილლანჩიან ფეხსაცმელს. ნაღებს თუშეთში „ყურიან ჩუსტებსაც“ უწოდებდნენ. ზოგიერთს, ქუსლის ზევით, ჩასაცმელი ყურები ჰქონდა გაკეთებული. ნული ტიპებია: კილიტებიანი, მოხდილი, ყურიანი, თასმებიანი, მაღალპირიანი. ქალაქში გავრცელებული იყო ე.წ. „სირაჯული ნაღაც,“ რომელსაც მოღუნული ნვერი აქვს, ქუსლზე ნალი აკრავს და ყელი ფუნჯიანი ყაითნით ეკვრება.

ნ ჯ.

ნბერი//ხარხიმი — ყურძნის საწური ხალხური სამეურნეო საშუალება. გაწყობილი იყო ცალმხრიანი ბერკეტის პრინციპზე. ნნეხვისათვის ძალის მოდებას ემსახურებოდა ხრახნი//ხრახნილი. საქართველოში ნბერის//ხარხიმის ორი სახეობა იყო ცნობილია: ხრახნიან-ტვირთიანი და ხრახნიან უტვირთო. ნბერი// ხრახნი შედგებოდა სამუშაო ნაწილისა და დასაწნეხი ყურძნისათვის განკუთვნილი ფიცრის ჭურჭლის-კოდის//ჩალანგარისაგან. ტვირთიანი წნეხის სამუშაო ნაწილს შეადგენდა ხრახნლი —მიწაში ჩამაგრებული მუხის ან თელის ხის კაპა, მის თავში დამაგრებულია სხვადასხვა ხის (გარდა ცაცხვისა) ორკაპა დირე და ვაშლის ხის ქანჩი//დავთი//ქუდი, დავთში გაყრილია, ე.წ „ძივა ისარი“ და მის ბოლოზე ჩამოცმულია ქვის კვირისტავი. ქვის თავზე — ხრახნში გაყრილი კეტის საშუალებით ხდებოდა ისარის ხრახნის ამოძრავება ზევიდან ქვევით და პირიქით. გადაცემული ძალით ხდებოდა კოდიდან ნაბერის დინება. ნბერი-ხარხიმი უმეტესად გავრცელებული იყო რაჭა-ლეჩხუმში, იმერეთში, გურია-სამეგრელოში.

ლიტ.: ა. ლეკიაშვილი, ქართული ხალხური ღვინის ნნეხები, მსე. ტXII-XIII, 1969.

ლ.მ.

ნებაში — ზემო სვანეთში მარხილისა და უღლის გადასაბმელი საქონლის ტყავისაგან დამზადებულ ღვედი.

ნ. ჯ.

ნერაქვი — ორნვერიანი ქვის დასამუშავებელი იარაღი. იხმარება ქვის მოსამტვრევად, გასაკოპიტებლად, გასანვერად. მისი ტანი მძიმეა და კუთხოვანი მოყვანილობის — ქვაზე ძალა რომ მიიტანოს. ქვის დამუშავების პრაქტიკაში ერთ-ერთი სანიადაგოდ სახმარი იარაღია. ხალხურ მეტყველებაში ნერაქვის მრავალი სინონიმია დაცული. მაგ., ნერაქვა, ნალკატი, ორნვერი, ნვერო, ნერექო, სანინვერი. ამავე ტიპის, მხოლოდ, უფრო მასიურია ქართლში დამონმებული ქულუნგი. გვხვდება აგრეთვე კომბინირებული სახის ნერაქვი, რომლის ერთი ნვერი საკვეთია, ხოლო მეორე სათლელის ან ჩაქუჩის მოვალეობას ასრულებს.



ქანიდან რბილი ქვის ამოხდისათვის იხმარება შედარებით გრძელწვერიანი და მოხრილი ნერაქვები (იხ. ნერექო). ნერაქვში ყველა ვარიანტში მოქცეულია მისი ძირითადი ფუნქციის – ნვერით ქვის დამუშავების შემცველი შინაარსი. ქართულ წერილობით ძეგლებში წერაქვი და ნალკატი ერთმანეთისგან განირჩევა. საბას განმარტებით, ნერაქვი „ესე არს ცალგანით სათხროლი აქვნდეს კლდეთა დასარღვევად, ნალკატი — არს ორგნით საკეეთი აქვნდეს ქვათა სათლელად". ამჟამად ასეთი დაყოფა არ შეინიშნება და ნერაქვი უფრო ზოგადი სახელწოდებაა ამ ტიპის ყველა იარაღისა.

ლიტ: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. .ნ.

ნერექო (იმერ.) — ნერაქვის იდენტური იარაღი. ძირითადად იხმარება საკეცე ქვის მადნის ამოკაფვისთვის. იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში გავრცელებული იყო და ნაწილობრივ ახლაც მისდევენ ქვის კეცების დამზადებას. ნერექოს ორივე ნვერი ჩვეულებრივ ნერაქვთან შედარებით უფრო გრძელია და უფრო მეტად მოხრილი. კარიერში ჩასული ხელოსანი შეარჩევს საკეცე ქვის მონაკვეთს და ნრიულად 8-10 ადგილას ურტყამს ნერექოთი, სანამ მისი პირი არ დაიმალება. როცა ყველა ნახვრეტი სათანადო სიღრმეს მიიღებს, შემდეგ ერთ-ერთში ჩაარტყამს ნერექოს წვერს, მოსწევს ფრთხილად და ამოტყდება ქვის კეცისთვის საჭირო მადანი. ნერექოს ნვერი იმიტომაა გრძელი, რომ ქანში, რომელიც რბილია და იოლად ითლება ღრმად ნავიდეს და კეცისთვის შესაფერისი სისქის მასალა ამოიკაფოს.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ქვის კეცების დამუშავება იმერეთში, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა", 1973, №3.

ე. ნ.



ნერნაქი (ქართ., კახ.)//**ნარნაქი** (ზ.იმერ.)// **ნანაქო** (ლეჩხ.) — ერთგვარი მინა, გამოიყენება თიხის ჭურჭლის მოსახატად. აღმოსავლეთ საქართველოში ნერნაქის საბადოებად მიჩნეულია კასპის რ-ნში ფაშიანის გორა, რომელსაც ახალქალაქელი მეჭურჭლეები იყენებდნენ, ქიზიყელი მეჭურჭლეები კი კარდენახის მთაში მოიპოვებდნენ. შიდა კახეთის ოსტატები გარე კახეთიდან — მარტყოფ-ლილო-პატარძეულის მიდამოებიდან ეზიდებოდნენ. მცხეთელებისათვის ნერნაქის ბუდედ ბებრისციხის შემოგარენი ითვლებოდა. შროშელ (იმერელ) მეჭურჭლეებს იგი ზესტაფონის რ-ნის სოფ. კვალითიდან მოჰქონდათ.

ნერნაქი ბუნებაში სამი სახითაა წარმოდგენილი: 1. კლდეშია, საიდანაც ხელით გამოიღებენ. 2. მინდორშია მიმობნეული და 3. ფიქალ ქვებს შორისაა მოქცეული. იგი არსებობს ფხვნილის ან „კაკლისტოლა კორხების" სახით. მეჭურჭლეთა გადმოცემით, ნერნაქის გამოჩენა ახალ მთვარეს უკავშირდება — „ნერნაქს ზაფხულში გამოყრის, სიცივეში არა". ცნობილია, რომ ახალი მთვარის გამოჩენას ახლავს ამიდნის ცვლა, ნვიმები. მინის ჟანგი„ ანუ ნერნაქი კი მნიშვნელოვანი ტენიანობის პირობებში წარმოიქმნება. ნერნაქის მომზადებისას გარკვეული რაოდენობის მინას თიხის ჯამში ყრიდნენ, დაასხამდნენ ნყალს ისე, რომ „მასა არც თხელი ყოფილიყო და არც სქელი". ნერნაქი შემშრალ ჭურჭელს გამოწვის წინ ესმევა. დასაწყისში იგი მინის ფერისაა, გამონვის შედეგად ნითლდება. შიდა კახეთის მეჭურჭლეები ჩარხზე მდგომ ყურშეუბმელ ნედლ ჭურჭელს ფუნჯით აჭრელებენ. შემშრალი ჭურჭელი ოსტატს ხელში უჭირავს და ნერნაქის ხსნარში ამოვლებული ფუნჯით აჭრელებს.

ნერნაქის გამოყენებას ქართულ კერამიკაში უძველესი ტრადიციები აქვს. ამის დადასტურებაა ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღებული მონერნაქებული ჭურჭელი თრიალეთის ყორღანებიდან.

ძველ საქართველოში, ნერნაქს, სახლის ნანილების მოსახატავადაც იყენებდნენ. დასავლეთ საქართველოში გასულ საუკუნეში ამ საღებავს ზანდუკების დასაჭრელებლად ხმარობდნენ.

მ. ზ.

ნვეტი კვერი (მთიულ.) -- იგივე ნერაქვი, რომლის მეშვეობით მოსატეხი ქვის მასივი გაიღარება, რათა მასში სოლებმა მოიკიდოს პირი. მთიულეთში ამას „სოლების ჩაკვრას" უწოდებენ.

ე.ნ.

ღვინის საწყაო



დასავლურქართული მარანი

ნვივსაკრავი — პაიჭზე შემოსაკრავი თოკი. უფრო სადა და უბრალო, ვიდრე ჩახსაკრავია, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მუხლსაკრავსაც უნოდებენ.



ნიგნი — ქართულ ნერილობით ძეგლებში წიგნის შექმნასთან დაკავშირებით მდიდარი ინფორმაციაა დაცული. ფაქტობრივად ნიგნის შემქმნელი//მკაზმველი იყო ცალკე პროფესია, რაც საკმაოდ შრომატევად პროცესს მიცავდა, თუ წიგნი ტყავის//ეტრატისგან იყო გაკეთებული, მაშინ ძალიან დიდი ხელოვნება ესაჭიროებოდა მის საწერ მასალად გაკეთებას (იხ. ეტრატი), რაც შეხება ქაღალდს იგი უკვე XI-XII X-XI საუკუნეებში გვევლინება ეტრატის და ჭილის შემცველად. წიგნის გადაწერის შემდეგ ხდებოდა შეკერვა და შემოსვა, ანუ შეკაზმვა, მმოსველნი წიგნებს კინძავდნენ ფურცლების ანუ კეფის მიხედვით, რვა ფურცელი კეფი ერთ რვეულს ჰქმნიდა და რამდენიმე რვეული ერთ წიგნად იმოსებოდა. წიგნის გარეკანი ქაღალდის (ქაღალდის ნაცვლად ალბათ მუყაო ჯობია) მაგარი ყდით ან ძროხის ტყავისაგან მზადდებოდა, არცთუ იშვიათად წიგნის გარეკანი ყდა ჭედური ხელოვნებით კეთდებოდა.

ლიტ.: შ. მესხია, საისტორია ძიებანი ტ I, 1982.

ნიგნის შეკერვა — ძვ. იგივე აკინძვა. ასეთ ხელობას ასრულებდნენ „მმოსველნი", ანუ წიგნის შემკერელნი. მონასტრებში წიგნის შეკერვის საგანგებო ოსტატები არსებობდნენ.

ნივა — მსხვილფეხა პირუტყვის მზეზე გამომშრალი ნაკელი. მთიან ადგილებში (მაგ., ჯავახეთი), სადაც შეშის ნაკლებობაა, საქონლის ნაკელს მოაგროვებენ, დააკალაპოტებენ და გააშრობენ. ნივას ზამთარში იყენებენ როგორც ენერგეტიკურ წყაროს.

ე.ნ.

ნილამურები — ჩიჩილაკის (იხ.) ბურბუშელა, გრძელი ლენტებივით.

ნინდა — ფეხსამოსი. ქსოვენ მატყლის, ბამბის, ყაჭისა (იხ.) და აბრეშუმის ძაფისაგან. წინდა ორი სახისაა: მაღალყელიანი (მუხლამდე, ზოგჯერ მუხლსაც ფარავდა, და დაბალყელიანი (წვივს ფარავდა). მაღალყელიან წინდას მხოლოდ ქალები ხმარობდნენ, დაბალყელიანს კი — ქალიცა და კაციც. ძირითადად იცოდნენ „თეთრი" და „ჭრელი" წინდების ქსოვა. ახალგაზრდის წინდა მეტად მრავალფერადი და რთულსახიანი იყო, ვიდრე ხანშიშესულისა. ერთმანეთისაგან განირჩეოდა საქორწინო-სამგლოვიარო და საშინაო-საგარეო წინდებიც.

ლიტ.: ც. ყარაულაშვილი, ქსოვის ხალხ. ნესები კახეთში, 1985.

ვ.კ.

ნინსაფარი — სხვადასხვა სამუშაოთა შესრულებისას ტანსაცმლის დასაცავი ტყავის ან სქელი ნაჭრის საფარი, ხშირად ჯიბეებდაკერებული. აქვს კისერზე ჩამოსაკიდებელი და ნელზე შესაკრავი ზონრები. წინსაფარი ხელოსნის ჩვეულებრივ ატრიბუტს წარმოადგენდა. არსებობს წინსაფრის სხვადასხვანაირი ტიპები (იხ. ფეშტემალი).

ნინნანაქარი — ცხარე, თავი არაყი, პირველად რომ გადმოვა.

ნისქვილა — საცერულის (იხ.) სახეობა. გავრცელებული იყო ხევსურეთში. მზადდებოდა რკინისაგან, ჩამოსხმით, გვერდი ირიბია და ნიბოვანი. ნისქვილას განსაკუთრებით მოხუცები ხმარობდნენ.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ხევსურული საცერული, ძრ. ტ. II, 2000.

მ. ქ.

ნისქვილი — მარცვლეული კულტურების დასაფქვავი სამეურნეო ნაგებობა. არსებობს წყლის ნისქვილის ორი სახეობა — ჰორიზონტალურბორბლიანი, ანუ აზიური ნისქვილი და ვერტიკალურბორბლიანი, რომელიც საქართველოსთვის იშვიათობას წარმოადგენს და გავრცელებული იყო თბილისში, მდ. მტკვარზე. საქართველოს დანარჩენ კუთხეებში ძირითადად გავრცელებული იყო ჰორიზონტალურბორბლიანი ნისქვილი, რომლის ზოგადი სახელი ვრცელდებოდა მთელი შენობისა, სადაც გამართული იყო მფქველი ქვებისგან შემდგარი მანქანური ტიპის მოწყობილობა და მოძრაობაში მოდის წყლის მეშვეობით. ნისქვილის გამართვისათვის აუცილებელ იყო წყალი, რომელიც გამოჰყავდათ საგანგებოდ გაკეთებული სათავის მეშვეობით. სათავიდან წყალი ჩაედინება 2-3-მეტრიან ხის ღარში, რომელიც მიმართულია ბორბლისკენ. ბორბალს გააჩნია ფრთები და ღერძი, რომელიც მოძრაობაში წყლის ჭავლის მეშვეობით მოდიოდა. ნისქვილის იატაკიდან ღერძი ამოდის მფქველი ქვების გულში. ძირა, დედალი ქვა უძრავია, ზედა მამალ ქვას კი აბრუნებს მოძრავი ღერძი, რომელიც რკინის არქეთი გაჭედილია მამალი ქვის ფოსოში. დასაფქვავი მარცვლეულის სათავსს წარმოადგენს დაყირავებული პირამიდისებური ხის ყუთი — ხვიმირა, რომლის წვერიდანაც გამოდის მარცვლეული და იყრება დოლაბის ყელში. მარცვლეულის გადმოყრას ხვიმირადან (კრიჭა) არეგულირებს რკინის ნაჭერი — სარეკელა, რომელიც ქვაზეა დადებული და მისი მოძრაობა გადაეცემა ხვიმირის ყელს. მეცნიერებაში გამოთქმული შეხედულების თანახმად, ნისქვილი დასავლეთის სამყაროში მცირე აზიიდან იქნა შეტანილი, ამ არეალში ექცევა ამიერკავკასია და განსაკუთრებით საქართველო, სადაც ყველა პირობა არსებობდა სრულყოფილი ნისქვილის შესაქმნელად (დაქანებული მდინარე, ხორბლეული კულტურა, რკინა-მჭედლობის ტრადიციები), ამიტომ საქართველო მიჩნეულია ნისქვილის მოხმარების უძველეს კერად.

ლიტ.: ს. ბედუკაძე, წყლით მზრუნავი ნისქვილები არაგვის ხეობაში, 1964. ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. ნ.

ნისქვილის არქი — რკინის ნაწილი, რომელიც ნისქვილის ქვის საარქეში შედის და აბრუნებს ქვას. სხვადასხვა კუთხეში მისი სინონიმებია: ყავარზენი (ზ. სამეგრ.), გულა, ნისქვილის არქა (იმერ.), თოხი (მესხ.), გურდალი (სამეგრ.). გარდა რკინისა, იხმარებოდა მაგარი ჯიშის ხისგან გამოთლილი არქებიც.



ნისქვილი გვიმიანი — მისი წარმოშობა ნაკარნახევია მცირედებეტიანი წყლის პირობებით. როცა თვითდინებით მომდინარე წყალი ვერ აბრუნებს ნისქვილის ფრთას, მაშინ აკეთებენ საგანგებო რეზერვუარს — გვიმს, რომელშიც მოკავებული წყლის წნევით, მოქმედებაში მოჰყავთ ნისქვილის ბორბალი. გვიმი თავისი აგებულებით რადიკალურად განსხვავდება ხის ღარისგან. იგი წარმოადგენს 2,5-3 მეტრი სიმაღლის ცილინდრული ფორმის ქვის მილს, რომელიც შედგება ნრიულად (კოდისებურად) გულამოღებული ქვის ნაწილებისგან. ქვედა ქვის რადიუსი 20-30 სმ-ია, ხოლო სულ ბოლო ზედასი 18-20 სმ. თითოეული ასეთი ნაწილის სიმაღლე 40-50 სმ-ია და ისინი გათლილია დიდი სიზუსტით, რომ ერთმანეთს კარგად მოერგოს და წყალი არ გაატაროს. ყოველი კონუსურად გათლილი თავი მომდევნოს ძირის ტოლია, ისინი თანდათანობით განიერდება ბოლოში და წარმოქმნის ერთიან ძაბრისებურ დიდ მილს. პირველ ქვას, რომელიც ყველაზე მასიურია, გახვრეტილი აქვს საფშტვირე და მიმართულია ნისქვილის ბორბლებისკენ. როცა გვიმი ბოლომდე გაივსება ფშტვირიდან გამოაგდებენ ხის საცობს, დიდი ნნევით გამოსული წყალი ბორბალს ეცემა და აამუშავებს. როცა გვიმი დაიცლება, ნახვრეტს კვლავ დაკეტავენ და ახლიდან ინყება რეზერვუარის შევსება. ლეჩხუმური მასალით გვიმიანი ნისქვილის შემადგენელი ნაწილებია: ბელღარა, გვიმი, ლემაქანია, მეჯა, ფურცხვი//საცორელა, კინტი, ბორბალი, მურგვი, ფრთები, ღერძი, ცულა, რგოლი, გუგულა, ქვაბი, ხვიმირა, ლაკორა, სარეკელა, მანჭო, ჩიბე, ჩოტი, კარბა. გვიმიანი ნისქვილი გავრცელებული იყო გურიასა და ლეჩხუმში. სოფ. ლაილაშში ოქრონიშის წყაროს წყალზე გამართული იყო 20-მდე ასეთი ნისქვილი. გვიმიანი ნისქვილი საფქველი მანქანის განვითარებულ ნიმუშად უნდა მივიჩნიოთ, სადაც კარგადაა წარმოჩენილი ქართველი მეურნის გერგილიანობა და გონებამახვილობა.

ლიტ.: გ. ჩიტაია, შრომები, ტ. V, 2001; ე. ნადირაძე, გვიმიანი ნისქვილი ლეჩხუმიდან, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა", 1981, №8.

ე. ნ.



ფინუშ ლობური
(ლიანდა)



ჯვუნჯვიშ ლობური
(ვინოლობილ)



ლანიშ ლობური
(ჩრხინა გოდეკრილი)



ხახხიშ ლობური
(ხახხამი)

ქუნცრიშ ლობური
(ფაკილ ლობური)



ქუაშ ლობური
(ხიბილ ლობური)

ჩფყილი ლობური
(ნოჩფყი)

ლობის ტიპები საქართველოში



ყაბა

ნისქვილის დაქნა — ნისქვილის ქვის გათლა-დამუშავების ერთ-ერთი ეტაპი, რაც გულისხმობს მოსაფქვავი პირების მოსწორებას თარგის, ანუ სამართის (იხ.) მეშვეობით.

ნისქვილის მკაზმავი (ძვ.) — ნისქვილის გამწყობი, სადაც იგულისხმება ქვების დადგმა, მორგება, სარეკელას, ხვიმირს, ალას, ჩიბეს ბორბლის და საერთოდ გამართვა მთელი საფქვავი მოსწყობილობისა.

ნისქვილის მოკოდვა — გავცეთილი ქვებისათვის ახალი სამუშაო პირების გამოჩენის მიზნით ქვების მოკოდვა ხდება ნერაქვით//წალკატით. მოკოდვას ინყებენ გულიდან ნაპირისკენ და მთლიანად ილებენ გაცვეთილ ზედაპირს. მოკოდვისას ზედა ქვა გადმოაქვთ, ხოლო ქვედა, რომელიც უძრავადაა ჩასმული ბუდეში, ადგილზე იკოდება. როცა მოკოდილ ქვებს კვლავ გამართავენ, დააყრიან მარცვლეულს და ამუშავებენ, რათა პირველმა მუშაობამ ქვას გამოაცალოს რბილის ქანები, გამოაჩინოს „კბილები" და გარეთ გამოიტანოს ზედმეტი ნარჩენები.

ე.ნ.

ნისქვილის სახლი — ერთიანი ჩამოყალიბებული სამეურნეო ნაგებობა, სადაც გამართულია მფქველი ქვები, მენისქვილის პატარა ოთახი, ბუხარი, ტაბლა, ნისქვილის მუშაობისათვის საჭირო ინვენტარი. ნისქვილის სახლში იგულისხმება მთელი კომპლექსი თავისი ქვებითა და სახლით. არცთუ იშვიათად ნისქვილის სახლს უკეთებენ გადახურულ დერეფანს. შესაძლოა ნისქვილის სახლს ჰქონდეს მარცვლეულის შესანახი ბეღელიც.

ე. ნ.

ნისქვილის ქვა// დედალი ქვა//მამალა ქვა//საზედაო და საქვედაო (იმერ.ლეჩხ.) — მარცვლეულის საფქვავი განსაკუთრებული ჯიშის ქვა, რომელიც გამოირჩევა მაგარი შედგენილობით. დედალი ქვა ნისქვილის კომპლექსში უძრავია, მამალი კი მოძრავი, რომელიც ქვედა ქვაზე ტრიალებს ღერძის მეშვეობით. ნისქვილის ქვას მოიპოვებენ ამ მიზნისათვის შერჩეულ სათანადო საბადოში. ქვას არჩევენ სიმაგრის, სიფიცხის, ნაპერწკლიანობის, კაჟიანობისა და მჭრელი კბილების მეშვეობით. ქვას განარჩევენ ფერითაც და ადგილმდებარეობითაც. ქვის მოპოვებისას კარგად გაასუფთავებენ კლდის მასივს, მოტეხავენ ეროთი და რკინის სოლებით (თავისებური ნესით სრულდებოდა ხის სოლებით მოტეხვაც). მოტეხილ ლოდს შემოხაზავენ ფარგლით, შემოთლიან ნრიულად, დაიყვანენ სისქეზე, ამოუჭრიან საგულეს// თვალს და გამოიყვანენ თარგში, ანუ სამართში (იხ.), რომელიც წარმოადგენს ნისქვილის ქვისათვის სათანადო სისწორის მიმცემ იარაღს. სამართი არის ოთხკუთხად გათლილი ხის მხრებიანი ჯოხი, რომელსაც შუაში აქვს უღელი, ანუ თვალზე ჩამოსაგები, შავ ფორმაში გამოთლილ ქვაზე სამართს დაატრიალებენ, სადაც მისი გადაქნილი ბოლო მოედება იმ ადგილს აიღებენ სათლელით მანამადე, სანამ სამართი ქვაზე არ დატრიალდება. ზომისთვის სამართის ორივე მხარეს იყენებენ. ზედა მხარე მამალი ქვის ქვედა პირის მომყვანია, ხოლო ქვედა — დედალი ქვის ზედაპირისა. სამართით გათლილ ქვებს შუაგულში „თარალი" (იმერ.) ე.ი. მცირე ადგილი//ხანი აქვს, საიდანაც ხდება მარცვლეულის შეთრევა ქვებს შორის, მისი მსხვილად დანაღერღება და გატანა „საწმინდაოზე" იქ, სადაც ორივე ქვა მჭიდროდ ეკერის ერთმანეთს. დიდი ხნის ნამუშევარ ქვას კბილები უცვდება და საჭირო ხდება მისი მოკოდვა, ანუ ახალი სამუშაო კბილების გამოჩენა. მოკოდვისას ზოგიერთ ადგილას ქვას უკეთებენ ღარებს, რაც ფქვილს იცავს სიმშრალისაგან და თავის პირვანდელ ბუნებას უნარჩუნებს. ახლად მოკოდილ ქვას გამოსუფთავებისთვის და ახალი სამუშაო კბილების გამოჩენისთვის 10-15 კგ. მარცვლეულია საჭირო. ნისქვილის ქვების გათლა და მათი ერთმანეთზე მორგება დიდ გამოცდილებას მოითხოვდა და ამიტომ ნისქვილში ქვების დამდგმელის საგანგებო პროფესია ჩამოყალიბდა, რომლებიც მხოლოდ ამ მიმართულებით იყო დაოსტატებული. საუკეთესო საწისქვილე ქვებით დასავლეთ საქართველოში განთქმული იყო სოფ. მუხურა (ტყიბულის რ-ნი), ასევე ჟონეთი და ნიფლავაკე (ხარაგაულის რ-ნი), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ალგეთისა და არაგვის ხეობის საწისქვილე მადნები. ნისქვილის ქვები განირჩეოდნენ სიდიდის მიხედვითაც: დოლაბი — დიდი ქვაა, ბუჭულა — საშუალო, ხოლო კორჩიოტა — პატარა.

ლიტ.: ს. ბედუკაძე, წყლითმბრუნავი ნისქვილები არაგვის ხეობაში, 1960. ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. ნ.

ნისქვილი ხელის — მარცვლეული კულტურების საფქვავი მოწყობილობა. სასრეკ-სანაყების შემდეგ ხელნისქვილი კაცობრიობის უძველესი მონაპოვარია. საქართველოში ხელნისქვილები ყველგან იყო გავრცელებული. დიდი ნისქვილების არსებობის პირობებშიც კი შენარჩუნებული ჰქონდათ ხელნისქვილები მცირე მასშტაბიანი საფქველი სამუშაოების შესასრულებლად. საქართველოს მუზეუმში დაცულია ხელნისქვილების რამდენიმე ეგზემპლარი. ერთი მათგანი წარმოადგენს ოთხ ფეხზე გამართულ და ხის ორ ნაჭერზე დამაგრებულ ქვას, რომელიც უძრავადაა გაჭედილი ხის ჩარჩოში და შუაში ჩამაგრებული აქვს მრგვალი რკინა, შესაბამისად მამალ ქვაში ჩამაგრებულია რკინის არქე, რომელიც ჩამოეცმება მას იმისათვის, რომ მოძრაობისას ქვა აქეთ-იქით არ გაიქცეს. მამალ ქვას გაკეთებული აქვს ხის სახელური, რომლის მეშვეობითაც მოჰყავთ მოძრაობაში. ფქვილის გამოსასვლელთან გაკეთებულია ალა//ჩიბე// საფქვილე, სადაც ზედა ქვის დატრიალების შემდეგ ფქვილი იყრება.

ე. ნ.

ნიფხა — საწყაო მარცვლისა და ფქვილისათვის. გავრცელებული იყო და დღემდე დასტურდება ლეჩხუმელთა ეთნოგრაფიულ ყოფაში. ნიფხას ცაცხვის ან თელის ქერქისაგან აკეთებდნენ და ტკეჩით შეკრავდნენ. მასში თავსდებოდა 2-4 კგ ფქვილი ან მარცვალი.

ლიტ.: ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დას. საქართველოში, 1969.

მ.ხ.

ნიწანი — ხის პატარა ჯამისებური სასმისი ფშავში.

ნმიდა ჭურჭელი —1. ჭურჭელი, რომელიც გამოიყენება ევქარისტიის საიდუმლოს აღსრულებისას: ბარძიმი, ფეშხუმი, ვარსკვლავი, დაფარნები, ლახვარი, კოვზი, ღრუბელი, სამირონე, სანანილე, საცეცხლური ნახშირით და საკმევლითურთ. მათთან შეხება არ შეუძლია ერისკაცს და დაბალ სასულიერო პირს. ზოგადი მნიშვნელობით, ეს არის საეკლესიო ღვთისმსახურებისას გამოსაყენებელი ჭურჭელი და საგნები. მაგალითად, ზემოჩამოთვლილს სამღვდელმთავრო მსახურებისას ემატება ტიკირი და დიკირი, რიპიდები. გარდა ამისა, ტრაპეზზე აუცილებლად ასვენია ოდიკი, ნმიდა ნაწილითურთ, სახარება, ჯვარი.

ლიტ.: მართმადიდებლის მცირე ლექსიკონი, 2002. მოკლე განმარტება ლიტურგიისა, 1998.

ხ. ც.

ნნეხი — აქ: ჭაჭის საწნეხი ტექნიკური მანქანა. ეთნოგრაფიულ ყოფაში ცნობილია საქაჯავის, საქაჩავის, საქანჩველის, ნბერის, ნკბერის, საწბერავის, ხარხინის სახელწოდებით. ნნეხის უმთავრესი დანიშნულებაა ახლად დაწურული ყურძნის ჭაჭის დაწნეხვა წვენის მაქსიმალური გამოწბერვის მიზნით. საწნახელში ყურძნის ფეხით დაწურვის შემდეგ ქვევრებში დასადუღებლად ჩასხმულ ტკბილს ეყრება მხოლოდ ჭაჭის ნაწილი, ხოლო დანარჩენ ჭაჭას ნნეხით დაწნეხენ. მეორე შემთხვევაში ნნეხი უშუალოდაა დაკავშირებული ხალხურ მეღვინეობაში გავრცელებულ საწნახელში დაყენებული მაჭრიანი ჭაჭის გამოწნეხვასთან. ამ წესის მიხედვით ღვინის დადუღება წარმოებს ჭაჭის მთელ რაოდენობაზე, რომელიც მიმდინარეობს საწნახელში. დუღილის დამთავრების შემდეგ ღვინო ქვევრში გადააქვთ, ხოლო ღვინით გაჯერებულ ჭაჭის მთელ მასას საწნახელში გამოწურავენ.

ჭაჭის საწბერი ნნეხები წარმოადგენენ ცალმხრივი ბერკეტის პრინციპზე მოქმედ მანქანებს და იყოფიან სამ მთავარ ჯგუფად 1. ხრახნიანი ნნეხები 2. ოწინარიანი ნნეხები 3. მარტივი ნნეხები (უოწინარო და უხრახნო). ხრახნიანი და ოწინარიანი ნნეხების დეტალებია: გობი, კოდი, კვირისტავი, უღელი, კაცა, დირე, ხმალა, დათვა, ხრახნი, სარქველი, ისარი, ქალაბანი და ღვედი. ქართული საწნეხების ნაირსახეობა და მათი დახვეწილი ტიპები ხაზს უსვამს ხალხური მეღვინეობის მაღალ დონეს.

ლიტ.: ლ. ფრუიძე, მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში (რაჭა), 1974. ალ. ლეკიაშვილი, ყურძნის საწნეხი საშუალებები საქართველოში, მსე, ტ. XII-XIII, 1963.

ე. ნ.

ნურნუმა — მილაკიანი წყლის ჭურჭელი. ფორმით „იბრიღ//იბრეხ//იბრელ"-ის იდენტური. ნურნუმა კეთდებოდა სპილენძის ფირფიტებისაგან. არის მოკალული და მოუკალავიც. ნურნუმის დამახასიათებელია ლამაზად გამოყვანილი მილი. ძირი ქუსლიანი ან ბრტყელი აქვს, მუცელი — მრგვალი ან მსხლისებური, ყელი მაღალი, ძირში განიერი, პირისკენ ვიწრო. ჭურჭლის ტანზე და პირთან დამაგრებულია სპილენძის სამჭვალეებით ნურნუმა აღმოსავლური ჭურჭელია. მას ძირითადად იყენებდნენ ვარდის წყლის დასაყენებლად,

ხელ-პირის დასაბანად, რიტუალური დანიშნულებით ხმარებაში იყო აგრეთვე წურნუმა-სურა, თუნგი-ნურნუმა. წურნუმა საქართველოსთვისაც ტრადიციული ჭურჭელი ყოფილა, რაც *XIX ს.* არქეოლოგიური გათხრებითაც დასტურდება. მას პარალელები თიხის ჭურჭელთან ეძებნება.

ტ. ჯ.



წყარო — ჰიდროტექნიკური სისტემის დამამთავრებელი ნაგებობა, დასახლებული ადგილის წყლითსარგებლობის ძირითადი ობიექტი. ძველი ქართული საისტორიო საბუთების მიხედვით, ჰიდროტექნიკური სისტემების მაშენებლებსა და მომვლელებს „წყლის მკაზმავები" ეწოდებოდათ (რომლებიც თავიანთი პროფესიის დიდი მნიშვნელობის გამო გათავისუფლებული იყვნენ სახელმწიფო გადასახადებისაგან), ხოლო იმ ადგილს, სადაც წყალი გადმოედინებოდა „წყაროს თუალნი" და „ავაზანიც" ეწოდებოდათ. „რაზომცა ციხენი და ქალაქნი აღაშენა ყოველგან წყაროს თვალნი გამოადინა" (ვისრამიანი), „მტილ-სამოთხენი, თვალთ სამოთხენი, ზედ ავაზანთა შექმნილობანი" (აბდულმესია). წყარონაგებობანი თავიანთი აგებულებით ერთ რომელიმე არქიტექტურულ სტილს არ ემორჩილებიან, მაგრამ მათი საერთო ნიშანი ქართული ხუროთმოძღვრული იერის მატარებელია, რომელიც ყველაზე მეტ მსგავსებას ამჟღავნებს საეკლესიო არქიტექტურასთან. ეთნოგრაფიული მასალით დგინდება, რომ წყარონაგებობის მშენებლობა სოფლისათვის პრესტიჟულ საქმიანობას წარმოადგენდა და მასში ყველა მოსახლე თანაბრად მონაწილეობდა. წყლის გაყვანისა და წყარონაგებობის მშენებლობას ხელმძღვანელობდა საგანგებოდ არჩეული პირი, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის გადაჭრა. განსაკუთრებით წყარონაგებობის ამშენებელი ქვითხუროს შერჩევა. ტიპური დასრულებული წყარო ნაგებობა ორი აუზისაგან შედგება, რომელთაგან ერთში სასმელად საჭირო წყალი ჩაედინება, ხოლო მეორე სხვადასხვა საჭიროებისათვისაა განკუთვნილი. წყარონაგებობათა მშენებლობაში უმეტესად გათვალისწინებულია მისი ჰიგიენურად დაცულობის პრინციპი. წყარო თავისი აუცილებელი საჭიროების გარდა, წარმოადგენდა სოფლის საკრებულოს, სათემო თავშეყრის ადგილს და ფართო სოციალური ფუნქციის მატარებელი იყო.

ე.ნ

წყაროს მკაზმავნი // მეწყაროე//ქუქანკი — წყალსადენთა გამომყვანნი და გამოსავალი ნაგებობის მაშენებელი ოსტატები, მათი საქმიანობის მნიშვნელობის გამო გათავისუფლებული იყვნენ ზოგიერთი მნიშვნელოვანი გადასახადისგან.

წყრთა — უძველესი ქართული სიგრძის საზომი. პირველად მოიხსენიება დაბადების ქართულ თარგმანში. შინაარსობრივად წყრთა გამოხატავდა მანძილს იდაყვიდან შუა თითის ნვერამდე. რაჭა-ლეჩხუმში წყრთა//მცხლა, როგორც საზომი ეთნოგრაფიულ ყოფაში დღემდე დასტურდება.

სულხან-საბას განმარტებით, წყრთა ნახევარადლი იყო, ე.ი. საშუალოდ 50,6 სმ. ამ ზომის წყრთა XVI ს-დან არის სავარაუდო. განსხვავება უძველეს და შედარებით გვიანდელი ხანის (XVI ს.) წყრთებს შორის მხოლოდ 14 მმ-ა. ქართულ საზომთა სისტემაში მტკაველს სიდიდით მოსდევდა წყრთა, წყრთას კი ადლი.

საქართველოში ადრეულ ხანაში ნაგებობათა მშენებლობის დროს (ბაგინეთი, უფლისციხე, გორისციხე) მშენებლები იყენებდნენ განზომილების განსაზღვრულ ერთეულს, რომელიც უტოლდება 52 სმ-ს. ირ. ციციშვილმა გამოარკვია, რომ ეს ერთეული არის წყრთა.

ლიტ.: გ. ჯაფარიძე, ნარკვევები ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973.

ვ.ხ.



ჭა — წყალმომარაგების მიწისქვეშა ობიექტი, ძირითადად, ინდივიდუალური სარგებლობისათვის. საქართველოს ბარში მეტ-ნაკლებად ყველგან იყო გავრცელებული. განსაკუთრებული განვითარება პოვა დასავლეთ საქართველოში. ჭა ჩვეულებრივ ამოშენებულია ქვით, მაგრამ გვხვდება ამოუშენებელი ჭებიც (მაგ., გურიაში). ჭის მშენებლობა პროფესიულ ხელობათა რიგში ექცევა, ამიტომ ამ ცოდნას საგანგებო დაუფლება სჭირდება. ჭა იჭრება წერაქვითა და ნიჩბით. ჭის მშენებლობის დაწყებიდან 1,5 მეტრის სიღრმის შემდეგ, იდგმება ხის ოწინარი, რომლის მეშვეობით ამონათხარი მინა ამოაქვთ მაღლა, ხოლო სამშენებლო ქვები ჩაეწოდება მიწის სიღრმეში მომუშავე ხელოსანს. როგორც კი ჭის ძირზე წყალი ამოხეთქავს, ხელოსანი იწყებს მის ამოშენებას ქვით. ჭა შენდება როგორც საგანგებოდ მოტეხილი, ასევე რიყის ქვითაც. ჭის მშენებელი კარგად უნდა ფლობდეს ქვების ერთმანეთზე „კბილებით" მორგების წესებს, რადგან ქვამ ქვა უნდა გაამაგროს. შენება მიმდინარეობს წრიულად და საბოლოოდ წარმოიქმნება 40-50 სმ. დიამეტრის ქვის მილი, რომლის სიღრმე ზოგჯერ 20 მეტრსაც აღწევს. ამოშენებულ მილს მიწის ზედაპირზე უკეთდება გვიმი (იხ.) ქვის, ხის ან თიხის. ჭა საცხოვრებელი ნაგებობის კომპლექსის შემადგენელი ნაწილი იყო. ამიტომ მის ესთეტიკურ გაფორმებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ჰიგიენის დაცვის მიზნით ჭის გვიმსაც უკეთებდნენ თავსახურს და ხურავდნენ მაღალ ბოძებზე დამყარებული სახურავით. ჭასთან, როგორც წესი, იდგმებოდა ქვის გეჯები, შინაური ცხოველების დასარწყულებლად. ჭიდან წყლის ამოღების გაიოლების მიზნით ჭას უკეთდებოდა ოწინარები და მექანიკური გორგოლაჭიანი და სახელურიანი სატრიალებელი. 2-3 წელიწადში ერთხელ მაინც ხდებოდა ჭების ამორეცხვა-ამოსუფთავება. ჭა, როგორც წყლით მომარაგების ეფექტური ჰიდროტექნიკური ობიექტი, სავსებით აკმაყოფილებდა იმ მოთხოვნილებას, რაც ოჯახს ესაჭიროებოდა ყოველდღიური საქმიანობისთვის.

ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. ნ.

ჭადი\\მჭადი — სიმინდის ფქვილის ნამცხვარი.

ჭადპურა — ხორბლისა და სიმინდის ფქვილის ნარევია, ჭარბობს პურის ფქვილი (ხევს., ქს. ხეობა). ფშავში ქერისა და სვილის ფქვილში ურევენ სიმინდის ფქვილს და ისე აცხობენ ჭადპურას. დიდხანს ინახება, ბარაქიანი გამოდის ცხობაში და ობიც გვიან ეკიდება. სვანეთში ხორბლისა და სიმინდის ფქვილს ცერცვსა და ქერსაც ურევენ. მისგან გამომცხვარ პურს „კოკორას" უწოდებენ. „სათავისოდ" ხმარობენ, სტუმარს არ აკადრებენ.

ნ. ჯ.

ჭალა// ჭალი — აქ: ურმის ხელნებში ჩასმული ნვერნამახული პალოები, რომლებზედაც სიმაგრისთვის ჩამოცმულია ზეწრები. ჭალა წარმოადგენს ერთგვარ სამაგრ ზღუდეს, რომლის მეშვეობით ტვირთი ურემზე მაგრდება.

ე.ნ.

ჭალადიდური ნიში — დიდი ზომის ნავი, რომელიც XX ს. შუა წლებამდე იხმარებოდა რიონსა და ხობზე. ნავის ეკიპაჟი 8-10 კაცისგან შედგებოდა, რომელთაგან ერთი მესაჭე იყო, ერთი ჭოლოკინით ნავის თავში იდგა, ხოლო დანარჩენები ნიჩბებთან ისხდნენ. ამგვარ ნავებს ერთი აფრაც ჰქონდა, მაგრამ მას ნაკლებად იყენებდნენ. ჭალადიდური ნიში 12-15 მ სიგრძის ნავს წარმოადგენდა და იტევდა 200-300 ფუთ ტვირთს. ტერმინი „ნიში" მეგრული ნისორიდანაა შემოსული, რომელიც თავდაპირველად ერთ ხეში ამოღებულს ნიშნავდა.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987. *ე. ნ.*





ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ



ყველის ნაირსახეობა

ჭანჭიკის ხელსახოცი (ხევს.) — თავისებური სათაურა (იხ.), რომელიც მანდილზე ადრე გამოიყენებოდა ხევსური ქალის თავსაბურავად. მისი მოხმარება განსაკუთრებული ვარცხნილობით იყო შეპირობებული. ეს იყო ბრტყლად დაკეცილი ბამბის ხელსახოცი, რომლის შუბლის ნაწილი საგანგებოდ ირთვებოდა შალის ფერადი ძაფებითა და მძივ-ღილებით. ძველად ხევსურეთში ქალები გრძელთმიანები ყოფილან. გაზრდილი თმებისაგან რამდენიმე ნაწნავი — „ნაჭაპნი" უნდა დაწნათ. ყურებთან ორ-ორს გრძელს დაიტოვებდნენ, ლოყების გასწვრივ კი სამ-სამს დაახვევდნენ და შუბლთან გადაიჯავრედინებდნენ. ამ ვარცხნილობაზე ჯერ თავშალს — „ჩიქილას" გადაიფარებდნენ და შემდგომ ხელსახოცით თავზე დაამაგრებდნენ, ისე რომ შუბლთან თმები გამოჩენილიყო და ხელსახოცის მორთული ნაწილიც. ხელსახოცს უკან შეიკრავდნენ და მის ფუნჯებით განყობილ ბოლოებს კი მხრებზე გადმოუშვებდნენ. „ჭანჭიკის ხელსახოცს" უკავშირდება შემდგომში ხევსური ქალის თავსარქველად საკმაოდ ცნობილი „სათაურას" განვითარების გზა.

ც.ბ.

ჭაპანი — ღვედისებური, მაგრამ ღვედზე მოკლე, დაწნულია რამდენიმე წვერი თასმისაგან. გამოიყენება ყევარი ხარის ჩასაბმელად, მაშინ, როცა გუთანში ან ურემში ერთ უღელ ხარს მეორე უღელს (ყევარს) უმატებენ, მძიმე ტვირთის ადვილად გასანევად ჭაპანი უფრო მოხერხებულია. ჭაპნის დასამზადებლად ერთი ხარის ტყავია საჭირო.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამინათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, 1960.

ა. ბ.

ჭარიკი — 1. სითხის საზომი ერთეული ფეოდალური ხანის საქართველოში, რომელიც საბა ორბელიანის განმარტებით, შეადგენს ნახევარ კოკას. ქ. წყლის ჭურჭელია გურიაში, კოკისე

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002.

ჭახრაკი — ჭაჭის საწბერი მანქანა (იხ. საწბერი).





ჭვილთი — სათევზაო ბარჯი.

ჭვინტი — ფეხსაცმლის მოხრილი წვერო, ესთეტიკური სამშვენისი, პიროვნების წარჩინებულობის ერთგვარი გამომხატველი ძველ სამყაროში.

ჭიანური (რაჭ. თუშ. ხევს. გურ.) // **ჭუნირი** (სვ.) — ერთ-ერთი არქაული საკრავი ქართულ ინსტრუმენტარიუმში. იგი ყველაზე ცოცხლად სვანეთშია შემონახული. რაჭული ჭიანური ორსიმიანია, სვანური და თუშური — სამიანი. სვანური ჭუნირი კორპუსი (კარვა // საცერი) წარმოადგენს რკალს, რომელსაც თავფიცრის ნაცვლად გადაკრული აქვს მემბრანა — საქონლის ფაშვი და ქვემოდან ღიაა. სახელური ბრტყელია, თავზე გაკეთებული აქვს ნახვრეტები. სიმები (ჯილარ) ძუისაა. ხემი მშვილდისებურია. რაჭაში მთლიანი ხისაგან გამოთლილი კორპუსის მქონე ჭიანურიც გვხვდება, რომელიც ნავისებური ფორმისაა. ზემოდან გადაკრული აქვს ტყავი (რაჭ. შეირა), თავი მომრგვალებულია, ხემი (რაჭ. კაკვი) — მშვილდისებური.

სვანური ჭუნირის სიმებს სიმღერის ხმების სახელები აქვთ: კივ (მაღალი ხმა), მაჟოლ (დამწყები), ბან (ბანი).

დაკვრის წინ ხემის ძუას გაუსვამენ ფისზე, რომელიც საკრავის კორპუსზე არის წასმული, რათა ხემმა

ხრინწიანი ბგერები არ გამოსცეს. ულერადობის გასაუმჯობესებლად საკრავს დაკვრის წინ მზეზე ან ცეცხლთან ათბობენ.

დაკვრის დროს შემსრულებელს საკრავი მუხლებს შორის ვერტიკალურ მდგომარეობაში უჭირავს.

ჭუნირს ფართო ადგილი ეჭირა სარიტუალო პრაქტიკაში. ამ მხრივ აღსანიშნავია სვანეთში დამონმებული „სულის დაჭერის" წესი: როცა ვინმე სახლიდან შორს გარდაიცვლებოდა და გვამს სახლში მიიტანდნენ, იწყებოდა ზრუნვა მისი სულის დაბრუნებაზეც. ძველი რწმენით, სული რჩება სიკვდილის ადგილას. ნათესავები მოინვევდნენ ჭუნირის კარგ დამკვრელს, სახლიდან წაიყვანდნენ მამალს და წავიდოდნენ იმ ადგილას, სადაც მათი ნათესავი დაიღუპა. დაიწყებდნენ დაკვრას და უკრავდნენ მანამ, ვიდრე სულის პოვნის რაიმე ნიშანს არ მიიღებდნენ. ანალოგიური რიტუალი სრულდებოდა რაჭაში ზვავით გატანილის სულის მოსაძებნად და სახლში დასაბრუნებლად. ხემიანი საკრავის კავშირი მიცვალებულის კულტთან მის სიძველეზე მეტყველებს.

ლიტ.: მ. შილაკაძე, ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, 1970. ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, 1938.

მ. შ.

ჭიბონი//თულუმი — მუსიკალური საკრავი, გუდასტვირის ნაირსახეობა. გავრცელებული იყო აჭარაში, მესხეთში, ლაზეთსა და შავშეთ-იმერხევში. სახელწოდება „თულუმი" თურქულია. წერილობითი წყაროების საფუძველზე ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობდა ამ საკრავის გავრცელებას საქართველოში ჭიბონი // ჭიმონის სახელწოდებით. აჭარული ჭიბონის გუდა თხის (იშვიათად ცხვრის) ტყავისაა. ითვლება, რომ თხის ტყავი ადვილი დასამუშავებელია და დიდხანსაც ძლებს (10-15 წელიწადს). გუდას ბეწვიანი მხარე შიგნით აქვს. გუდის უკანა კიდურები და ყელი მაგრად არის შეკრული, ისე, რომ ჰაერი არ გამოვიდეს. ყელის ადგილზე „სილამაზისათვის" ჩადგმულია სარკე. ერთ-ერთ წინა კიდურში იდგმება საბერავი, საიდანაც ივსება ჰაერით გუდა.

საბერავი მზადდება დიდგულისაგან, იშვიათად ნიფლის ან ნაძვისაგან და უკეთდება სატუჩე. საბერავს გუდაში ჩამაგრებული ნაწილის ბოლოს მილთან მიმაგრებული აქვს მეში — ტყავის პატარა ნაჭერი, რომელიც გუდაში ჩასულ ჰაერს უკან აღარ ატარებს (რაჭაში ჰქვია „პეპელა"). ჭიბონის ხის ნაწილი ე.წ. „ნავი" (რაჭაში „სტვირის ბუდე") მზადდება ლეკის, თხმელის, ცაცხვის ან კაკლისაგან. ნავის სიგრძეა 20-25 სმ. მასში ჩასმულია დედნები, ორი ლერწმის მილი, რომელზედაც გაკეთებულია ნახვრეტები. ხმის დასარეგულირებლად ბანის დედანზე ნახვრეტს საჭიროების შემთხვევაში სანთლით ამოლესავენ. დედნებში ჩასმულია ლერწმის ორი პატარა მილაკი.

ჭიბონი საკმაოდ პოპულარული საკრავი იყო. პროფესიონალი მეჭიბონეები სასურველი სტუმრები იყვნენ ქორწილში, წვეულებებსა და ხალხურ დღესასწაულებზე. თუ ორი ან მეტი მეჭიბონე ერთად აღმოჩნდებოდა, მათ შორის შეჯიბრიც იმართებოდა. ქორწილში მიღებული იყო მეჭიბონისათვის გასამრჯელოს მიცემა — დამკვრელის წინ დაფენილ „მანდილზე" ფულის დადება. იყო შემთხვევები, როცა მეჭიბონეს ოჯახი წინასწარ საგანგებოდ იწვევდა და გასამრჯელოსაც აძლევდა. მეჭიბონეები ნახევრად პროფესიონალები იყვნენ. ჭიბონი იშვიათად სიმღერის თანმხლებიც იყო. აჭარაში გავრცელებული წესით, მეჭიბონე უკრავდა და სიმღერას სხვა ასრულებდა (განსხვავებით რაჭულისაგან, სადაც მესტვირე თავად მღერის). არც ის იყო უჩვეულო, როცა მეჭიბონე ერთდროულად უკრავდა, მღეროდა და ცეკვავდა.

ლიტ.: ვ. ახობაძე, ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები, ბათუმი, 1961.

მ. შ .

ჭიგო // ჭიგვა//ჭიღვა//ჭირღვა —ვაზის შესადგმელი პატარა სარი. თუ სარს საგანგებო ხეებისგან ამზადებდნენ (მუხა, ნაბლი, ეკალი), ჭიგო ყველა ხისგან შეიძლება დამზადდეს (კოპიტი, რცხილა, იფანი). ზოგჯერ იგი არაა გათლილი და ამ ხეთა ტოტს წარმოადგენს. თითო ვაზს, ისე როგორც სარს, თითო ჭიგოს შეუდგამენ. ჭიგოს უფრო ახალშენი ვენახებისთვის ხმარობენ.

ე.ნ.

ჭიკუ — ჯაჭვის პერანგის შემადგენელი რგოლი. ჭიკუ შეიძლება ყოფილიყო რკინის ან ფოლადის, ჭიკუს თავების შეკვრის წესის მიხედვით განასხვავებენ ჯაჭვის პერანგის ტიპებს (იხ.ჯაჭვის პერანგი).

მ. ქ.

ჭილობი\\ ჭილოფი — ჭილისგან მოქსოვილი საფენი, გამოიყენებდნენ დასაგებად, საფენად, საწოლად, წნავდნენ სხვადასხვა სახის სამეურნეო ნივთებს.

ჭინჭილა — ღვინის სასმისი. მზადდებოდა როგორც თიხისგან, ასევე ხისგანაც (ბზა, კაკალი, ძელქვა). მუცლიანი და ყელიანი პატარა სასმისია. შავ ფორმებში გამოთლის შემდეგ მუცელს ძირიდან შეყეებიან და გამოიღებენ პატარა ხვენებით, შემდეგ ყელს გახურებული შანთით ჩახერეტენ და ძირში ხეს გამოუყენებენ. თიხის ჭინჭილები გვხვდება როგორც მოჭიქული, ასევე მოუჭიქავიც. აქვთ თითის გასაყრელი სახელური — ყური. ჩარხზე გამოთლილი ხის ჭინჭილები ერთობ ლამაზი შეხედულებისაა. თავისი კოპნია მუცლებითა და ლამაზად გამოყვანილი სატუჩეთი. ღვინოს ძუნწად ანვდის და ღვინოს მონყურებულ ადამიანს სმის სიამოვნებას უხანგრძლივებს.

ე. ნ.

ჭირნილი — დაჭედილი ლაზური ნავი სათევზაოდ.

ჭიფხუ (მეგრ.) — მატყლისგან დაგრეხილი თოკი, რომელსაც ფხვიერი მასისგან დანაყულ საღებავში ამოავლებენ და სანავე ფიცრის სწორად გახაზვაში იყენებდნენ.

ჭიქური — თიხის ჭურჭლის შესაღებად განკუთვნილი ნივთიერება — ტყვიის, კალის, თაგვმარილას, შუშისა და შავი ქვის (მარგანეცის) ნაერთი. მოჭიქული ჭურჭელი ორჯერ გამოინვის. პირველ გამონვას „წითლად დანვას" ეძახიან, მეორედ კი — „ქაშანურად დანვას". საქართველოში მოჭიქული ჭურჭლით სახელგანთქმულია კახეთი, ქართლი, იმერეთი. ჭიქურით ძირითადად წვრილი ჭურჭელი იღებება, მსხვილი ჭურჭლიდან კი 3-5-ხელადიანი ჩაფურა-გოზაურები და ქილები. მოჭიქულ ჭურჭელს ხალხი მოკალულ, ჩინურ, ქაშანურ, წამალგადასმულ და ინგლისურ ჭურჭელს უწოდებს. სამეცნიერო ლიტერატურაში უპირატესობა მონიჭებული აქვს ტერმინ „მოჭიქულ ჭურჭელს", რაც განპირობებულია ჭურჭლის მოჭიქვის ტექნოლოგიური შინაარსით — საჭიქურე „წამალში" საკუთრივ ჭიქა (მინა, ბროლი) 50%-ზე მეტია.

ჭიქურის მისაღებად მეჭურჭლენი კალამოჭარბებულ ჭიქურის კაზმს ხმარობდნენ და მოკალულ ჭურჭელსაც ამ ნიშნის მიხედვით უწოდებდნენ. ტერმინი — „ჩინური" და „ქაშანური" ჩინეთიდან და სპარსეთიდან შემოტანილი მაღალი წოდების წრეებში ხმარებული ჭურჭლის მიმსგავსებითაა განპირობებული. „წამალგადასხმული ჭურჭელი" მეჭურჭლეთა მიერ მისადაგებული სახელწოდებაა, რადგან ისინი ჭიქურის კაზმს „წამალს" ეძახიან. ტერმინი „ინგლისური ჭურჭელი" დაკავშირებული უნდა იყოს ჭურჭლის „განგლესა", „განგოზვასთან".

საოჯახო ყოფაში მოჭიქული ჭურჭელი გამოიყენება მწნილეულის, ყველის, მურაბების, განურული დოსა და მანვნის, მუუუჟის და სხვა პროდუქტების შესანახად.

სადა ჭიქურით უმეტესად ქოთან-ქილები და ჯამ-ლანგრები მზადდება, რომლებიც ყოველთვის შიგნიდან და გარედანაა მოჭიქული, სითხის დასაყენებელ-შესასმელი ჭურჭლები გარემოჭიქულობით მშვენდებოდა და მეტწილად თეთრ ჭიქურს ქვეშ მწვანედაა მოხატული. ნითლად გამომნვარი ჭურჭელი ჯერ თოგალით (იხ.) დაჭრელდება და შემდეგ მოჭიქურდება.

ჭიქურის კაზმის ანუ წამლის შემადგენელი ნივთიერებანი ტყვია, კალა, თოგალი და თაგვმარილა ჯერ ცალ-ცალკე უნდა შემზადდეს—დაინვას, შუშა და კვარციანი მინა კი უნდა დაინაყოს და გაიცრას, შემდეგ სათანადო პროპორციით ერთმანეთში აირიოს და ხელის ან წყლით მბრუნავ წამლის ნისქვილზე (იხ. წამლის ნისქვილი) დაიფქვას.

ხალხური ჭიქური მდიდარი ფერებით გამოირჩევა: ცისფრად ან მწვანედ მოჭიქული ჭურჭელი უმეტესად სადა — მოუხატავია, თეთრად, ნაცრისფრად და ყვითლად მოჭიქული კი თითქმის ყოველთვის თოგალითაა მოხატული, ჭურჭელზე ხატავენ: კლაკნილს, კორკორას, კუნუბებს, ღილაკებს, მცენარეებს, ბადიებსა და ლანგრებზე ფრინველთა და ცხოველთა გამოსახულებებს. ჭურჭელთა უმეტესობა გეომეტრიული ორნამენტებითაა დაფარული.

მოხატული ჭურჭელი სწრაფად შრება და მაშინვე ინყება მისი მოჭიქვა. ჭურჭლის მოჭიქვა ხდება ჭიქურის შემოსხმით მის გარე ზედაპირზე. ჭურჭელი უჭირავთ მარცხენა ხელით თავდაყირა, თაღარიდან ჯამით ამოღებულ ჭიქურს ხელოსანი მარჯვენა ხელით შემოასხამს ან ჩაასხამს ჭურჭელში. ჭიქურში გაელებული ჭურჭელი მაშინვე ეწყობა ქურაში.

ჭიქურით იმოსებოდა არა მხოლოდ ჭურჭელი, არამედ სამშენებლო მასალებიც (მაგ., კრამიტი, კარნიზი, ფილა და ა.შ.).

მოჭიქული ჭურჭელი საქართველოში აღმოჩენილია სამთავროში, ბაგინეთში, არმაზისხევის სამაროვანში, რაც მიუთითებს საქართველოში მოჭიქული ჭურჭლის ნარმოების უძველეს ტრადიციებზე.

ლიტ.: ს. ბედუკიძე, მოჭიქული ჭურჭლის ნარმოებისათვის შიდა ქართლში, მმტXIX-A XXI-B, 1957.

მ. ზ.

ჭიშკარი — ტრადიციული ქართული საცხოვრებელი ეზო — კარის შესასვლელი, სხვადასხვა ტიპის და მასალისგან აგებული ნაგებობა. არსებობდა ტიპური ჭიშკრების მარტივი და რთული ფორმები. მარტივი ჭიშკარი პატარაა, რთული ჭიშკრები დიდია და ხუროთმოძღვრულ ყაიდაზე შესრულებული. ჭიშკრებში მთავარი ფუნქცია ეკისრება ცენტრალურ, წინა ეზოს შესასვლელ ჭიშკარს და ვხვდებით როგორც გადახურულ, ასევე გადაუხურავს. გადახურული ჭიშკრების უმეტესობა ორქანობიანია და დახურულია კრამიტით ან ყავრით. ზოგჯერ ჭიშკრების სახურავქვეშ აწყობდნენ სხვადასხვა სამეურნეო სათავსს. ჭიშკრის მასალად გამოყენებული იყო ხე, ქვა, რკინა. განსაკუთრებით საინტერესოა ხის ჭიშკრები, თავიანთი ხარატული სამშვენისებითა და ანთროპომორფული და ზოომორფული მოტივებით. დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული ქვის სვეტებიანი ჭიშკრები. ერთ ჭიშკარში განთავსებული იყო სამი სვეტი, რომლებიც ქმნიდნენ ორ გასასვლელს, ერთს — პატარას — ადამიანთათვის და მეორეს დიდს — ტრანსპორტისათვის. ქვის სვეტების შემკულობაში დიდი ადგილი უჭირავს სხვადასხვა ტიპის ორნამენტებს, სიცოცხლის ხეს, ვაზს, ირმისა და ლომის გამოსახულებებს, ნარნერებს და ა.შ. ქვის სვეტებიანი ჭიშკრები ოჯახის შეძლებაზე მიანიშნებდა. ასეთი მიდგომა აპირობებდა ხელოსნური დონის ამაღლებას და მაღლა სწევდა მის ფასს.



ლიტ.: ე. ნადირაძე, ხალხური ქვითხუროობა იმერეთში, 2001.

ე. ნ.

ჭიჭი (ხევს.)//**ჩამა** (ფშ)//**ნვერის თხლე** (თუშ.) — ლუდის უცეცხლოდ ასადუღებელი საფუარი, პირველი ადუღებისას ლუდზე წამოსული ქაფი, ერთგვარი დურდო, რომელსაც მოხდიან ქაფქირით (მოქა-ფავენ), ქატოსთან ერთად შეზელენ, გაახმობენ და შეინახავენ მომავლისათვის. სისწვენის დუღებისათვის ამ მასას გამთბარ სისწვენში, ცალკე ჭურჭელში გახსნიან და მისცემენ კოდებში საფუებლად გამზადებულ გაფილტრულ სალუდე მასას (ზისწვენს//სისწვენს).

ე.ნ.

ჭიჭნაუხტი — ძველ ქართულში აღნიშნავდა აბრეშუმს. მოგვიანებით შეცვალა სპარსული ენიდან შემოსულმა „აბრეშუმმა". ტერმინი გვხვდება V საუკუნიდან.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი, 2002.

ჭობოსანი//ჭოპოსანი — რკინის, ხისტარიანი იარაღი, იხმარებოდა ნაკეთობის გასასუფთავებლად. ქლიბისებურია, „ტანზე კბილები აყრია".

ე. ნ.

ჭოგრიტი — დურბინდის ადრეული ტექნიკური ნაირსახეობა. გამადიდებელი ლინზების მეშვეობით ახლოს მოაქვს საგნები. აქვს მხოლოდ ერთი გასახედი. აქტიურად გამოიყენებოდა საბრძოლო და საზღვაო პერიპეტიებისას. სანუკვარ საგანს წარმოადგენდა სვანი მონადირეებისათვის.



ჭოთი — ბამბის ძაფით ნაქსოვი ქსოვილი, სიმაგრისათვის პურის ფქვილის ფაფით იყო გახამებული. ხმარობდნენ ლეიბების გადასაპირავად. დაჩითული ჭოთით ქალის კაბებიც იკერებოდა.

ლ. ბ.





ნვივსაკრავი//ჩახსაკრავი





ჩითა

ჭონი — ბეწვეულის „მკერვალი", მექუდე. ჭონების ამქრული გაერთიანებები არსებობდა საქართველოს ქალაქებში და მათ ჰქონდათ თავიანთი ამქარი მისთვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტით.

ლიტ.: მენთეშაშვილი სტ., ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

ჭონია//კვარტუა — მოკლე ჩოხა. მამაკაცის სამოსელის კომპლექტის — „ჩაქურას" (იხ.) ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი. მასალად გამოიყენებოდა შავი, წითელი, ყავისფერი, ცისფერი შინნაქსოვი შალი, ასევე მაუდი და ატლასი, სარჩულად უდებდნენ ბამბის ქსოვილებსაც. ჰქონდა: წინა კალთები, საგულე, ზურგი, ანუ მხარი, სახელოები-სამკლავე, მაჯები, სამასრე ჯიბეები//გულთათები (გურია).

წინგახსნილი ზედატანი წელზე იყო მოყვანილი. დასამკუთხებული გულისპირის კალთები გვერდებში თითო ხელის დადებაზე იყო შეხსნილი. გულისპირზე დაკერებულ გულთათებში ხშირად ხისთავიანი მასრები ეწყოთ, წარჩინებულთ კი სპილოს ძელისა, ან ვერცხლით მოჭედილი და სევადიანი.

მაჯები და ზურგი ხშირად ორპირი ქსოვილისა იყო, ზოგჯერ სახელოებს იდაყვის ქვემოთა ნაწილზე მეში ჰქონდა წაკერებული. კალთა-სახელოთა ნაპირები ყაითანშემოვლებული და ზოგჯერ სირმითაც იყო დამშვენებული.

ჩოხას იკერავდნენ აბრეშუმის ძაფის ღილ-კილოებით ან ყინჩების მიერ დამზადებული ლითონის (თითბერი, ვერცხლი) ღილებითაც. კალთების ბოლოზე ეკერათ შალის ძაფის დაგრეხილი ზონარი, რომელსაც უკან შემოტარებით წინ შეიკრავდნენ. ჭონიაზე ერტყათ სამფერი აბრეშუმის გრძელი და განიერი „თოლაბუსის სარტყელი".

ტ. ბ.



ჭრაქი — გასანათებელი, სანათი. ამზადებდნენ ცეცხლგამძლე მასალისგან: თიხა, ლითონი და იშვიათად, მინა. შედგება საკუთრივ ჭურჭლისაგან, რომელშიც სანვავს — ქონს, ზეთს ან ნავთს ასხამდნენ და პატრუქისგან, რომელსაც ცეცხლს უკიდებდნენ. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ჭრაქებიდან ყველაზე ადრეულია რიონის ქვემო წელზე აღმოჩენილი თიხის ჭრაქები (ძვ.წ. VI-V სს.). ისინი პატარა ჯამის ფორმისაა, მოუჭიქავია, უსახელურო და სახმარად პრაქტიკული.

შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელდა მოუხატავი, ჭიქურით შემკული ჭრაქები. თბილისის კერამიკული სახელოსნოს გათხრებმა გამოაელინა ნიჟარისებური, შიგნით სამმხრივად გვერდებჩაკეცილი, ბრტყელძირა ჭრაქები, გვერდებს შორის პატარა საპატრუქეთი და მოპირდაპირე მხარეს — სახელურით. ამ ჭრაქების შიგა ზედაპირი დაფარული იყო ფერადი (ცისფერი, სოსანისფერი, ღვიძლისფერი) ჭიქურით. აქვე აღმოჩენილ იქნა კოჭობის ფორმის, თიხის, მილნისკარტიანი ორი ჭრაქი, ძირზე სამი პატარა ფეხით (IX-VIII სს.).

გვიანი შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელია ჭრაქის უფრო განვითარებული ტიპი: სოკოსებური ფორმის, ცალყურა, რომელიც ჭრაქის ტანთან განუყოფელ ბრტყელ ლამბაქზე დგას.

ადრე შუა საუკუნეებიდან საქართველოს ტერიტორიაზე დასტურდება მინის მოხდენილი ჭრაქები. შუაფეოდალურ ხანაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ფართოდ გავრცელდა მწვანე და მომწვანო ტონის ფერის ჩამოსაკიდი ლამპრები. დასადგმელთან შედარებით ჩამოსაკიდი ლამპრით შესაძლებელი იყო ინტერიერის უფრო დიდი ფართობის განათება. დავითგარეჯში ნათლისმცემლის განათხარ მასალებში აღმოჩნდა საწვავჩამხმარი ჭრაქები, რომლის ქიმიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ აქაური ბერები საწვავად იყენებდნენ ნავთობის მასალას.

ლითონისგან დამზადებული ჭრაქებიც ფართოდ იყო გავრცელებული ყოფაში და მათ მჭედლები ამზადებდნენ. დროთა განმავლობაში ლითონის ჭრაქის ფორმები და შემკულობაც იხვენებოდა და ზოგიერთი მათგანი ხელოვნების ნამდვილ ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს.

ჭრაქის ასანთებად საჭირო იყო საწვავი: ზეთი (სელის, კანაფის), ცხოველური ცხიმი (მესაქონლეობით დაწინაურებულ რეგიონებში), თევზის ქონი (შავისზღვისპირა ზოლში).

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედიდან საქართველოში ნავთობისა და ნავთის შემოტანა დაიწყეს ბაქოს ნავთობსარეწებიდან. ჭრაქს უკვე სოფლადაც ნავთით ანთებდნენ, მაგრამ მისი სიძვირის გამო მოსახლეობის მხოლოდ შეძლებული ფენისთვის იყო ხელმისაწვდომი.

საპატრუქედ იყენებდნენ ბამბის დაძახულ მსხვილ ძაფს, კანაფის თოკს ან ქსოვილის დაგრეხილ ნაჭერს.

ჭრაქმა, ყოფაში გამოსაყენებელმა ამ მეტად საჭირო ნივთმა, არსებობა პრიმიტიული ფორმით დაიწყო და დროთა განმავლობაში ხელოსნობის განვითარებასთან ერთად უფრო დახვეწილი და სრულყოფილი გახდა. რა თქმა უნდა, იცვლებოდა მისი დასამზადებელი და სანვავად გამოსაყენებელი მასალაც და მაინც, მიუხედავად ელექტროფიკაციისა, XX საუკუნის ბოლოსაც კი, ენერგეტიკული კრიზისის პირობებში საქართველოს ბევრ რეგიონში კვლავაც გამოიყენებოდა.

ლიტ.: მ. მინიშვილი, მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში, 1979. მ. ჩხატარაშვილი, მინის ჭურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში, 1978. ნ. კიღურაძე, ჭრაქები, დიდი პიტიუნტი, II, 1977.

ხ. ც.

ჭუკია — თიხის ჭურჭლის გამოსაწვავ ქურაზე ცეცხლის შესანთები „თვალი". ტერმინი გავრცელებულია ლეჩხუმის რაიონში, ხოლო მისი შესატყვისი „სათვალე", „შეშის შესართმევი" დასტურდება თიხის ჭურჭლის კეთებით ცნობილ ყველა ცენტრში. ქურის წინა ნაწილზე — სიგანეზე ერთიმეორისაგან განცალკევებული ცეცხლის შესანთები ოთხი ჭუკია მოთავსებული. ასეთივე სამი ჭუკი-კვამლის გასასველად და დაკვირვების საწარმოებლად ქურის უკანა კედელშია დაყოლებული. ქურაში ქვევრ-ჭურჭლის შეწყობამდე და ცეცხლის დანთებამდე უკანა ჭუკები ნამჯით ამოივსება და შეილესება. ცეცხლის გაძლიერების დროს, უკანა კედლის ჭუკიებიდან შელესილი მინა ჩამოიფხიკება, იქიდან გამოწვის დამთავრების მომასწავებელი ნაპერწკლები ამოცვივა და შეშის შეკეთებაც შენყდება.

ლიტ.: ფ. გარდაფხაძე, მეჭურჭლეობა და მექვევრეობა ლეჩხუმში, მმ.ტ. XIVB, 1947.

მ. ზ.

ჭურა — დიდი მწარე კვახისაგან გაკეთებული მაშველი. წარმოადგენდა გამოსუფთავებულ და მჭიდროდ თავდაცულ კვახს, რომელსაც მდინარეზე გადამსვლელი წელზე მიიკრავდა და თუ წყალში ჩაინთქმეოდა, ჭურა ამოაფირფიტებდა ზედაპირზე.

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987.

ე.ნ.

ჭური // ქვევრი — ღვინის შესანახი დიდი ზომის თიხის ჭურჭელი. ჭურის მკეთებელ ხელოსანს „მეჭურე", ხოლო დარგს „მეჭურეობა" ეწოდებოდა. ხელოსანი ჭურის ძირს ასე ერთ მტკაველამდე „მორგვზე" აშენებს. შემდეგ საგანგებო სადგამზე გადააქვს. 70 სმ სიმაღლის ამოყვანის შემდეგ ხდება მშენებარე ჭურის „დაკუტება-დაბინავება" ცალკე ადგილზე, სადაც ხდება მისი ეტაპობრივი შენება-ამოყვანა თიხის ფთილების ან „სორსოლებისაგან".

ჭურის შენებას სჭირდება გათითვა, გალესვა, შებეჭვა, შეყელვა, დაფარფლა და ა.შ. ეს შრომატევადი სამუშაო პროცესები ზუსტი თანმიმდევრობით მეორდება ყოველი ჭურის აშენებისას.

ჭური დასავლეთ საქართველოში მხოლოდ დიდი ზომის ჭურს ეწოდება. ტერმინი ჭური, აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული იდენტური ჭურჭლის-ქვევრის სინონიმია. დიდი ჭურის გასარეცხად კაცი შიგ უნდა ჩავიდეს, ამიტომ მას ჩასავალსაც უწოდებენ. ჭურის ტევადობა ოცფუთიანიდან-სამასფუთიანამდეა. შროშული მეჭურეები დღეისათვის მხოლოდ „კუნჭულოიან" ჭურებს აკეთებენ. კახელი მექვევრეები „კუნჭულოს" შესატყვისად „ქუსლს" ხმარობენ; საირმელი (ლეჩხუმი) ხელოსნები — „მუჯოროს"; გურული (სოფ. აცანა, აკეთი) — „ჭურის ნიჟურს" // „კუშტურს" უწოდებენ და ა.შ. საგანგებოდ ამზადებენ ე.წ. „საზედაშე" და „საღვთო" ჭურებს.

ც. ჯ.

ჭურჭელი — აქ: სპილენძის სამზითვო ჭურჭელი, რაც სოციალურ ურთიერთობაში გამოკვეთილადაა წარმოდგენილი. მზითევი ქალისათვის მამის ოჯახიდან გატანებული ქონებაა. მზითევის გატანება წესად იყო ყველა წოდებისა და მდგომარეობის ქალისათვის. სამზითვო სპილენძის ჭურჭელია: ტაშტი, თუნგი, ქვაბი, ტაფა, ავგარდანი და ა. შ. მდიდარ ოჯახებს არყის გამოსახდელი ქვაბიც კი გაუტანებიათ მზითევში. გამზითვების დროს წინასწარ ხდებოდა გარიგება თუ რა სპილენძის ჭურჭელს მისცემდნენ პატარძალს. აჭარაში საქორწილო საჩუქრებში ყველაზე ფასეული სპილენძის ჭურჭელი ყოფილა. ხოლო „ავგარდანი"-ს (ბანაობისას წყლის დასასხმელი ჩამჩა) ნაცვლად მდიდარი ოჯახები იმავე დანიშნულებისთვის

ატანდნენ „ტაშტ-ნურწუმას", ანუ „ალთაფას" ტოლჩით.

სამზითვო ჭურჭელს შეკვეთით ამზადებდნენ, უკეთავდნენ ყველაზე კარგ ხელოსანს — ოსტატს. ხელოსანიც დაინტერესებული იყო სანიმუშო ჭურჭელი დაემზადებინა. ჭურჭლის ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელია ფორმის დახვეწილობა, ყოველი მათგანი შემკულია ლაკონიურად და ქართული ხალხური ხელობის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს. მათზე შესრულებული წარნერებით დასტურდება სპილენძის ჭურჭლის მზითვად გატანების აღნიშნული ნესებიც.

ლიტ.: მ. იაშვილი, მასალები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის (მზითვის წიგნები), 1974.

ც. კ.

ჭურჭელი ნნული — ნნული ჭურჭელი საკმაოდ გავრცელებული იყო სოჯახო ყოფაში. განსაკუთრებული სიუხვით გვხვდება მევენახეობითა და მეხილეობით დანინაურებულ რეგიონებში. ნნული ჭურჭლის ზოგად სახელწოდებას ძველ ქართულში გამოხატავს ტერმინები „სფირიდი" და „შარაგული". საბას განმარტებით სფირიდში შედის ბალახოვანი მცენარეებისგან (ჭილი, ბაია) უსაყრდენოდ მოქსოვილი ნივთები და ჭურჭელი, რასაც ზამბილიც ეწოდება. ხოლო შარაგულში შედის ნნელისგან დამზადებული ნაწარმი, რაც საყრდენის საშუალებით იწვნება ამ კლასიფიკაციაში შედის ჭურჭელი თხზული. ესაა ძველი ტერმინი და ამჟამად მხოლოდ აჭარულ დიალექტშია დაცული. რაც შეეხება „შარაგულს", იგი დაკავშირებულია ზემო იმერულში შემორჩენილ რაგვასთან, რაც აქ ნვნას აღნიშნავს. საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ტერმინ „ნვნას" ხშირად ენაცვლება ტერმინი „ქსოვა". ნვნის ხერხებიდან დასტურდება სპირალურ-ჩალიჩური, გადაბმული, ჭილობისებური, ნაწნავისებური, საყრდენიანი, ანუ ჩარჩოიანი ნვნა და ა.შ. ნნული ჭურჭელი მეურნეობის ძირითად დარგებთანაა დაკავშირებული და იყოფა მარცელეულის, მევენახეობა-მეღვინეობის, მეხილეობის, მესაქონლეობის დარგში გამოსაყენებელ სხვადასხვა აგებულების ისეთ ნივთებად, როგორიცაა — გოდორი, ლასტი, ჯინი, კალათა, კოკონცხა, ხვირი და სხვა. ნნული ჭურჭელი გამოირჩევა პროდუქტის შენახვის საუკეთესო თვისებებით, იოლად მოსაპოვებელი და მოსახმარია, გამოირჩევა სიმსუბუქითა და უაღრესად დახვეწილი „ესთეტიკური" თვალსაზრისით.

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართულ ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ე. ნ.

ჭურჭელი ხისა — საქართველოს საოჯახო და სამეურნეო ყოფაში უდიდესი როლი ეჭირა ხის ჭურჭელს, რომელიც პრეისტორიული ხანიდანვე ყველაზე ხელმისაწვდომი იყო ადამიანისთვის. საქართველოში, როგორც ხის დამუშავებით განთქმულ ქვეყანაში, ხის ჭურჭლის ნაირგვარი სახეობა შეიქმნა, რომელთა უტილიტარული დანიშნულების პარალელურად წარმოიშვა მათი შემკობის უდიდესი ტრადიციები. საკვები პროდუქტის მნიშვნელობამ და მისმა სარიტუალო დანიშნულებამ განაპირობა ამ ჭურჭელთა მორთვის ასეთი მაღალი დონის ხელოვნება და თანამედროვე ყოფას დღემდე შემორჩა ეს ძირძველი ტრადიციები. ჭურჭლის ფორმასა და ხარისხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, რადგან მისი წარმოშობა-განვითარება ბევრად განსაზღვრავს ხალხის კულტურულ დონეს. საქართველოში გავრცელებული ჭურჭელი ფუნქციის მიხედვით შესაძლებელია დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: ა) მარცვლეულისა და ფქვილის შესანახი — კოდი, კასრი, ხოკერი. ბ) ცომი მოსაზელი — ვარცლი, ხონი, ტმოშტი, გობი. გ) რძის პროდუქტები დასამზადებელი და შესანახი — სადღეებელი//ვარია//ჩხუტ-ბრუნელი, სანველელი — დურკი, კასრი, ნაღების შესაგროვებელი — საზეური, ნაღების მოსაყენებელი — ბაკანი// პინა, სანალბე, კარაქის მოსაკავებელი ერბოს ჩასადები — ბაზუნა (აღმ. საქართველო). დ) სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი. პირველში ერთიანდება: ხონჩა, სანაყი//როდინი//ფილი, ხელხონა, სამარილე// ქუბდა, ტაგანი, კოვზები. საფაფენი, ფოცხვი, ციცხვი, ქაფქირი. სუფრის ჭურჭელს განეკუთვნება: ჯამი — საჯალაბო, საკაცო, საქალო, საბალღო, ნიწანი, ტაბაკი, ხონჩა, თუშურა, ქიტი, კონჩხა, კოში, ტარკოშა, სუფრის კოვზები და ა.შ. ე) წყლის ჭურჭელი — კასრი, ტაგანი, ნურნუმა, კოკა და სხვა. ხის ჭურჭლის რიგში ექცევა აგრეთვე ხის ქერქის ჭურჭელიც, რომლის ზოგადი სახელი აღმ. საქართველოს მთიანეთში „ხოკერია" (იხ.)

ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართულ ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ე. ნ.

ხავინი — მთიელთა საჭმელი. ხავინის მოსამზადებლად გაადნობენ ერბოს, აადულებენ, დააყრიან ფქვილს და ნელ-ნელა შეზელენ ერთმანეთში, სანამ კვლავ არ წამოდუღდება. შემდეგ გადმოდგამენ ცეცხლიდან. ცოტა რომ შეიყინება, ანყავენ სპილენძის ჯამით — ჩანახით და ჩაკალაპოტებენ. გაციებულ ხავინს გადმოაპირქვავებენ ფიცარზე და დაჭრიან სათანადო ზომაზე. ასეთნაირად მომზადებული ხავინი დიდხანს ინახება. სადღესასწაულო ქადებს გულად ხავინს ჩაურთავენ ხოლმე. ხარისხიანია ის ქადა, რომელსაც ბარაქიანხავინიანი გული აქვს.

ნ. ჯ.



ხათრითი —საშამფურე, გულღრუიანი ნაჩვრეტებიანი თიხის ჭურჭელი. დადასტურებულია ლეჩხუმსა და სამეგრელოში. გამოიყენებოდა მწვადის შეწვისას შამფურის (იხ.) წვერების შესაყოფად. ხრათითის მეგრული სახელწოდება ბარჯგია.

ხალა — კაკლის საბერტყი გრძელი ჯოხი

ხალათი — ერთგვარი მოსასხამი, ეს პარსული ტერმინი ქართულ წერილობით ძეგლებში ჩნდება XVII საუკუნიდან. დროთა განმავლობაში ხალათი ოსმალთა და სპარსი მებატონეების წყალობის საგნად იქცა, რაც ქართველმა მეფეებმაც გადაიღეს და თავიანთ ქვეშევრდომებს პატივისა და წყალობის ნიშნად უბოძებდნენ ხოლმე. ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძის სიტყვებით, ყაენმა „რაც საქართველოს კაცნი: იმერელნი, ქართველნი და კახნი ტყვეთ იყვნენ... აპატივეს და ყველას ხალათი ჩააცვეს". XVIII ს. შუა ნლების ქრონიკაში საქმროს სამოსლად ხალათია დასახელებული, რომელსაც სიდედრი უგზავნის სიძეს პატივისცემისა და დაფასების ნიშნად.

ლიტ: ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1962. ე. ნ.

ხალამი თიხის — იგივე დერგი, მოზრდილი თიხის ჭურჭელია. არის მოჭიქულიც და მოუჭიქავიც, დაჭრელებული ან დაუჭრელებელი; სახურავიანი ან უსახურავო. იხმარება ყველის შესანახად. მზადდება საჭურჭლე მიწისაგან, ამზადებენ წითელი ჭურჭლის მკეთებელი ხელოსნები. მას იყენებენ აგრეთვე ფქვილისა და სხვა პროდუქტების შესანახად, ანყობენ ხილს, ანნილებენ მწნილს და ა.შ. დიდი ზომის დერგში ინახავდნენ სიმინდს, პატარაში — ლობიოს.

ც. კ.

ხალენი (ძვ.) — მატყლის უხეში ქსოვილისგან დამზადებული მოსასხამი.

ხალთა — ტყავის აბგა. ხალთა, როგორც ფქვილის გადასატანი ჭურჭელი მთელს საქართველოში იყო გავრცელებული. ხალთას ამზადებდნენ ცხვრის, თხისა და ხბოს ტყავისაგან. აქედან საუკეთესოა ხბოს ტყავის ხალთა, რომელიც უფრო გამძლეა, სუფთა და უსუნო. ოთხში ამოღებულ ცხოველის ტყავს საგულდაგულოდ გაასუფთავებენ, შემდეგ თივით გატენიან და უმზეო ადგილას გაჰკიდებენ. 10–14 დღის შემდეგ თივას ამოყრიან, გასანთლული ბაწრით ფეხებს გამოუნასკვავენ, გაუკეთებენ სამხრეულებს. ხალთა ძალზე მოსახერხებელია შორ მანძილზე ფქვილის გადასატანად. ხალთა და მისი მსგავსი ჭურჭელი ფართოდ იყო გავრცელებული მთელ საქართველოში. მათი ზოგადი სახელწოდებაა „ვაშკარანი".

ე. ნ.



ჩიხტიკოპი

ჩიხტიკოვი

ხალი – აქ: მოხალული ქერის ფქვილი. ამზადებდნენ ასევე იფქლის, შერიის, სიმინდის, სვილის, ცერცვის, ქერშვილის, სიმინდნარევი ქერისგანაც. ყველაზე კარგი სიმინდშერეულია. ხალი ძირითადად მწყემსების საჭმელია და მთაში იგი პურის მაგივრობას სწევს. მიუხედავად იმისა, რომ კახეთის ბარში ქერის მოსავალი უფრო უხვი იცის, თუშები არჩევენ თუშურ ქერს, რადგან მისი ხალი უფრო ტკბილი და გემრიელი გამოდიოდა. ხალის მომზადებისას სახალე მარცვალს მოხალავდნენ ღუმელში, რომელსაც მარცვლის „სატყრობი" ისე აქვს მოწყობილი, რომ ქერის მარცვლები თანაზომიერად გაფიცხდეს და ქერქი შემოასკდეს. თუ ამზადებენ ნარევი მარცვლის ხალს, ჯერ ქერი, მერე იფქლი და ბოლოს სიმინდი „უნდა შაინვეს". ასარევად ფლასზე დაყრიან, დაცხრილავენ და დასაფქვავად მოამზადებენ. დაფქვილს გუდებში ინახავენ. ხალის მომზადებისას ფქვილს გაცრიან, წყალს ან რძეს დაასხამენ, ხელით მოზელენ გუნდებად და სუფრაზე მიიტანენ.

სამგზავრო ხალი კვერებად, გუნდებად კეთდება. როდესაც მწყემსს დრო არა აქვს დასაჯდომად, რადგან ცხვარს მისდევს, ფეხზე ზელს გუდაში ხალს//ქუმელს. ხალში იციან ერბოს ან კალტის გარევა, რის მიხედვითაც ასეთს ეწოდება ერბო-ხალი//ერბოიან ყვაი, ან კალტიან ყვაი. კალტსა და ყვალს ერთად მოზელილს თუში მეცხვარეები „ნახელას" უწოდებენ. პირიქითა ხევსურეთში (შატილი, არხოტი, ჯუთა, არდოტი, ხახაბო) იცოდნენ ერბოში გაზელილი ხალის სამი „ბურკვის" გაკეთება, სამი „ფეხი" სანთლის ანთება და შესახელება ხახმატის ხატისათვის, როგორც მონადირის მფარველი ხატისათვის. მთა-თუშეთში ხატის მიწების გარდა, საერთო ნაკვეთი ყოფილა „სახალე", რომელსაც სოფლურად ამუშავებდნენ და მიღებულ ქერს კომლურად ინაწილებდნენ. როგორც ხალი, ისე სასოფლო სახალე მინა, მინის სათემო სარგებლობის ერთი ძველი გადმონაშთია.

ლიტ.: ივ. ბუქურაული, ტბათანიდან წოვათამდინ, 1897. ალ. ჭინჭარაული, ხევსურეთის თავისებურებანი, 1960.

ნ. ჯ.



ხალიჩა — მხატვრულ-დეკორატიული ნაწარმი, რომელიც ხასიათდება მხატვრული ორნამენტებით. ხალიჩების წარმოება უძველესი დროიდანაა ცნობილი. ხელნაქსოვი ხალიჩებისათვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი ორნამენტული კომპოზიცია, რომელიც განთავსებულია ცენტრალურ ნაწილში და გარშემორტყმულია არშიით. ხელით ნაქსოვი ხალიჩების მთავარი მხატვრული ღირებულებებია: ორიგინალური სურათი და კოლორიტული სტილი. ხელნაქსოვი ხალიჩების ძირითადი მასალაა ცხვრის მატყლი, ასევე თხისა და აქლემის მატყლიც. გარდა მატყლისა, ფართოდ გამოიყენება ბამბა, სელი და ზოგ შემთხვევაში აბრეშუმიც.

ხალიჩების ღირსების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია მისი ქსოვის ხარისხი, რაც კვანძების რაოდენობაში გამოიხატება, კვანძების რაოდენობა შეიძება იყოს 1 კვ. მ ფართობზე 75 ათასიდან 800 ათასამდე. სწორედ ამით განისაზღვრება ხალიჩის ხარისხი. საშუალოდ 90-დან 175 ათასამდე ნასკვი ერთ კვ. მეტრზე და 175 ათასიდან ზევით, ეს უკვე არის მაღალი ხარისხის ხალიჩები.

თ. ნ.

ხამი//სამოსელი//ხამივნი//ხამიჩე//ჩეში (სამგრ.) — ბამბის ქსოვილი. იქსოვებოდა „საქსელოში", ორდგიმში, ცალფა ან ორმაგი ძაფით. სიმინდის ან პურის ფქვილის ფიფინაში გახამებული ბამბის ძაფით. ძირითადად თეთრი ფერისა იყო. ქსოვდნენ სხვადასხვა დანიშნულებისათვის. ხამს ხმარობდნენ უბრალოსაც და სახიანსაც, საბნისა და ლეიბის თეთრეულად, პირსახოცებად, საცვლებისა და ახალოხის შესაკერად.

ლიტ.: ც. ბეზარაშვილი, ქალის ქვეშითი სამოსელი საქართველოს მთიანეთში, სსმმ XXXII — B, 1982.

ლ. ბ.

ხამლი — უყელო ფეხსაცმლის ძველქართული სახელწოდება, ყოველდღიური ჩასაცმელი, რომელიც იკვრებოდა თოკით.

ხანულობა (შიდა და ქვემო ქართლი, გარე კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი) — ძროხების პატრონთა შეამხანაგება ჯერობით რძის საწველად. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ გაერთიანებული იყო ხუთი

მეზობლის თითო ძროხა, თითოეული მონაწილე ოჯახის დიასახლისი ხუთი ძროხის ნაწველს იღებდა ერთ წველაზე. ხანულებს შორის დაცული იყო ურთიერთობის მტკიცე ნორმები.

ხანულობა გამონაკლისი იყო საქონლის სიმცირით საქართველოს ბარში. საქართველოში ბარული მესაქონლეობის საერთო დამახასიათებელ ნიშნად მეურნეობის ამ დარგის შეზღუდული ხასიათი არის მიჩნეული. მცირე მასშტაბის ბარული მესაქონლეობა სამეურნეო-ეკონომიკური და ორგანიზაციული გაძღოლის თვალსაზრისით ორგანულად იყო დაკავშირებული ძირითად სამეურნეო ბაზებთან და წლის განმავლობაში ადგილობრივი სასოფლო საძოვრებისა, სახნავ-სათესი სავარგულებისა, ხოლო ზამთარში საკვები მარაგის ბაზაზე გადიოდა, რომელთა რაციონალური გამოყენება ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, ხელსაყრელ კლიმატურ პირობებში კი ზამთრის გარკვეულ პერიოდშიც, თანმიმდევრული სისტემით იყო ჩამოყალიბებული. ხანულობა დადასტურებულია შიდა და ქვემო ქართლში, გარე კახეთში. მისი არსებობა დაფიქსირებულია მესხეთის ბარის იმ სოფლებში, საიდანაც მეწველ საქონელს მთაში არ მიერეკებოდნენ და სოფლისპირა საძოვრებზე ჰყავდათ გადენილი. შრომის ორგანიზაციის ანალოგიური ფორმაა ჯერში ჩასვლა ცხვრის წველის დროს ქსნის ხეობაში. ხანულობის ინსტიტუტის წარმოშობა საქართველოს ბარში დიდი ოჯახის რღვევასთან არის დაკავშირებული,როდესაც ცალკეულ კომლთა განკარგულებაში არსებული პირუტყვი არ აღმოჩნდა საკმარისი რძის მეურნეობის დამოუკიდებლად წარმართვისათვის.

ლიტ.: ვ.შამილაძე. ბარული მესაქონლეობის ზოგიერთი თავისებურების შესახებ საქართველოში. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, IV, თბ., 1978. თ. ცაგარეიშვილი. მესაქონლეობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1987

თ. გ.

ხანჯალი — საბრძოლო იარაღი. დიდ ხანჯალს სატევარი ეწოდება. ხანჯალი შედგება ტარის, პირისა და ქარქაშისაგან, ხანჯლის ტარი უმეტეს შემთხვევაში დამზადებულია ძვლისაგან ან რქისაგან (ორი, ან სამი გობაკით). ფოლადის პირი შეიძლება იყოს ერთღარიანი (ცერგასმული), ორღარიანი ან სამღარიანი, არის უღაროებიც ე.წ. ქედიანი ხანჯლები. ქარქაში უმეტეს შემთხვევაში ტყავგადაკრულია, ერთი სალტით და ბუნიკით, არსებობს მთლიანად ვერცხლის ტარ-ქარქაშებიც, არის აგრეთვე ძვლის ფირფიტებით გაწყობილიც. ხანჯლები და სატევრები ირთვება თეთრი ან შავი სევადით, ოქროზარნიშით, ვარაყით, ძვალზე კვეთით, ფილიგრანული ტექნიკით, ცვარათი და სხვ.

ჯერ კიდევ III ათასწლეულში, მელითონეობის გარიჟრაჟზე, სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღებს შორის ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი სწორედ სატევრის ფორმის, ფართოპირიან, ორლესულ, მოკლე მახვილებს ეკავა, რადგან მასალის სირბილე გრძელი ფორმის იარაღის დამზადების საშუალებას არ იძლეოდა. შემდგომში ფოლადის დამკვიდრებასთან ერთად, მახვილიც დაწვრილდა და გაიზარდა სიგრძეში, მაგრამ მისი წინამორბედი იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ კიდევ ორი ათასი წელი იარსება როგორც დამოუკიდებელმა სახეობამ და ჩვენამდე სატევრის სახით მოაღწია.

სატევარი და ხანჯალი დღევანდელი ტერმინოლოგიური დატვირთვით ერთმანეთისაგან მხოლოდ ზომებით განსხვავდება. სატევარი უფრო დიდი ზომისაა, ვიდრე ხანჯალი, ხოლო ხანჯლის ძმა კიდევ უფრო პატარა, ხანჯლის შვილი (ხანჯლისშვილა) კი იმდენად მცირეა, რომ სატევრის ქარქაშის უკან ბუდეში ჯდება.

XVIII-XIX სს-ში ამიერკავკასიაში მაღალ დონეზე იდგა ხმალ-სატევრების წარმოება. ამ მხრივ განსაკუთრებით თბილისი გამოირჩეოდა, საიდანაც ასეთი იარაღებით მარაგდებოდა როგორც კავკასიის სხვა მთის ხალხები, ასევე ირანი და სხვა აღმ. ქვეყნები. ეს არცაა გასაკვირი, რადგან თბილისი იმდროინდელი კავკასიის დედაქალაქს წარმოადგენდა და დამკვეთიც და შემსრულებელიც ერთ ადგილას იყრიდა თავს. თბილისში მოღვაწეობდნენ როგორც ქართველი, ასევე დაღესტნელი, ჩერქეზი, სომეხი და სხვ. მეიარაღე-ოქრომჭედლები. XIX ს-ის I ნახევარში, მეიარაღეთა შორის ყველაზე ცნობილი იყო ელიზარაშვილების ოჯახი (მამა — გიორგი, იაგორი; შვილები—ეფრემი და ყარამანი), მათი დამზადებული ბულატის ფოლადის ხმალ-სატევარი განთქმული იყო როგორც კავკასიაში, ასევე ირან-თურქეთ-რუსეთის კარზეც. რუსეთის იმპერატორის დავალებით ელიზარაშვილებმა (ეფრემმა და ყარამანმა) 1828-1832 წწ. გასცეს ბულატის ფოლადის ხმალ-სატევრის დამზადების საიდუმლო და სანაცვლოდ ოქროს მედალი (ანას ლენტით) და 1000 ჩერნოვეცი (ოქრო) მიიღეს.

გარდა თბილისისა, საქართველოს მასშტაბით, ხანჯალ-სატევრების დამზადება ფართოდ იყო



ჩოხა



ჩოხა ქილეგიანი



ჩოხა ჩაქეგიანი



ჩოხა ხევსურული



ჩოხა სვანური (ქალის)

გავრცელებული ზუგდიდში, ოზურგეთში, ქუთაისში, ბათუმში, ახალციხეში, გორში, სიღნაღში, თელავში და სხვ. ქართული მეიარაღე—ოქრომჭედლობის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს ქართველი ოსტატების ძაძამიძის (ძაძამია-ზუგდიდი), ზაქარაიას, კვატაშიძის, ჯღამაძის, ჯიქიას, გიორგაძის და სხვათა ნახელავი შედევრები.

საერთოდ, ხელოსანის ვინაობისა და დამზადების ადგილის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს ხანჯლის პირზე არსებულ დამღებსა და წარწერებს. ხშირად ტარისა და ქარქაშის ვერცხლის ფირფიტებზე გამოსახულია სევადით შესრულებული ხელოსნის ან პატრონის გვარები და დამზადების თარიღები.

დამღებისა და წარწერების გარდა, ხანჯალ-სატევრები ფორმისა და მორთულობის მიხედვითაც შეიძლება გაირკვეს თუ რომელ ეთნოკულტურულ გარემოშია დამზადებული. აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და მთლიანად კავკასიაში, მესატევრეობის ფართოდ განვითარების ერთ-ერთ პირობად, კავკასიური კოსტიუმის (ჩოხის) თავისებურება წარმოადგენდა, რომლის უცილობელ ატრიბუტს ხანჯალი წარმოადგენდა. ეთნოგრაფიული მასალით ცნობილია, რომ კავკასიელი მამაკაცი ხანჯალს სიყმანვილის ასაკიდან ატარებდა და შეიძლება ითქვას, მასთან ერთად იზრდებოდა. ამიტომაც ითვლებოდა ხანჯალი ყველაზე პოპულარულ იარაღად, რომლის ხარისხსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა თავმოყვარე კავკასიელისთვის. მოგვიანებით ხანჯალმა მხოლოდ კოსტუმის სამშვენისის დატვირთვა მიიღო და ძირითადი აქცენტი მის დეკორატიულ გაფორმებაზე გადავიდა.

ლიტ.: კ. ჩოლოყაშვილი, ბულატის თბილისელი ოსტატები, ჟურ. „მეცნიერება და ტექნიკა" N5, 1956. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ტ. II, 1991. Э. Аствацатурян. оружие народов кавказа. 1995.

მ. ქ.

ხარაგი ანუ ხარაია — კალოზე გამშრალი მოჭრილი აგურის—ალიზის დაწყობა-გაფენა. ახლად მოჭრილ, კარგად გამშრალ აგურს მეაგურეები დაახარავებდნენ.კალოზე, განსაზღვრული სიგრძის ადგილზე, რა სიგრძის ხარაიაც აქვთ ნავარაუდევი, გამომნვარ აგურებს ან ფიცრებს დაალაგებდნენ, „რათა ხარაიას ქვეშ წვიმის წყალი არ წაუდგეს". ფეხზე მდგომ აგურებს ერთმანეთის გვერდით დაანყობდნენ, აგურებს შორის თავისუფალი ადგილი უნდა დარჩეს, რათა „ნიავმა იმუშაოს". ამგვარად გამნკრივებული აგურების თავზედაც აგურების მეორე პირს დაანყობენ და ხარაიას 5-7 პირად დადგამდნენ. წვიმის საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, ზემოდანაც ფიცრებს დააფარებენ. როცა აგური თეთრ ფერს მიიღებდა, ე.ი. გამომხმარი იყო და, მას გამოსაწვავად გაამზადებდნენ.

ლიტ.: ლ. ბოჭორიშვილი, კახური კერამიკა, 1947.

მ. ზ.

ხარაზი — ქალისა და მამაკაცის აზიური ფეხსაცმელების (წუღა, ჩუსტი, მესტი, ქოში, ფლოსტი, ჩექმა, ქალამანი) მკერავ-ხელოსანი. ხარაზები იყვნენ როგორც სოფლებში, ისე ქალაქებში. ქალაქელ ხარაზებს ჰქონდათ თავისი ამქარი და ყველა ის ატრიბუტი, რომელიც ამქრული ორგანიზაციისათვის არის დამახასიათებელი.

ნ. ჯ.

ხარაილა — სამკაული ქალის. ამზადებდნენ ვერცხლის რამდენიმე ძენკვის გრეხილისაგან. განსაკუთრებით ფასობდა სვანური ხარაილა. გარდა სვანეთისა, ხარაილას ჩრდილო კავკასიაშიც ამზადებდნენ სხვადასხვა ვარიაციით.

ვ.ქ.

ხარალი — ცაცხვის ლაფნის შიდა ფენა. ხარალს სველ, ჭაობიან ადგილებში ალბობდნენ. 2-3 კვირის შემდეგ მიღებულ დაშლილ წერილ ძაფებს „მუშს" უწოდებდნენ. თუშეთში ძველად ამ ძაფებით მოქსოვილ კაბას „ხარალის კაბის" სახელით იხსენიებდნენ, მისგან საბელებსაც გრეხავდნენ.

ლიტ.: ც. ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი აღმ. საქართველოს მთიანეთში, 1974.

ლ. ბ.

ხარატი — მეავეჯე ხითხური, იყენებს მექანიკურ იარაღებსაც.

ხარკალი — ერთგვარი სამეთუნეო ხის დანა, რომელიც გამოიყენება „სახელავზე" მოზელილი თიხის ნაჭრებად დასაჭრელად. ხარკალით დაჭრის პროცესს ლეჩხუმში კალაპოტის გამოყვანა ეწოდება. კალაპოტს გურიასა და იმერეთში თიხის ნაჭერი ჰქვია, იმერეთში ასევე დადასტურებულია ტერმინები — „გვარგვალა" და „გუნდა". კალაპოტებას აღ. საქართველოს კერამიკით ცნობილ კერებში „ალაფებას" უწოდებენ.

ლიტ.: ფ. გარდაფხაძე, მეჭურჭლეობა და მექვევრეობა ლეჩხუმში, სსმმ, ტ. XIV-B, 1947.

მ. ზ.

ხარხენი // ხარხინი — ჭაჭის გამოსანური სამეურნეო მანქანა. ივ. ჯავახიშვილის აზრით ტერმინი მომდინარეობს სიტყვა „ხრახნილისაგან". ამ მანქანაში მთავარი დეტალია ბერა, რომელსაც აქვს ხრახნები და მისი მეშვეობით ხდება სიმძიმის მაღლა აწევა, რაც იწვევს ჭაჭის ნბერვასა და წვენის გამოქაჩვას (იხ. საწბერი/ საქაჩავი).

ე.ნ.

ხასი — დახვენილი, წმინდა აბრეშუმი.



ხაფანგი — ნადირ-ფრინველთა და მღრღნელთა საჭერი. ეთნოგრაფიულ ყოფაში დასტურდება მრავალგვარი ფორმის ხაფანგი.

ხაში — მოხარშული საქონლის ფაშვი და ჩლიქები, რომელიც თავის წვენთან ერთად კეთდება ნივრით. ძირითადად გავრცელებული იყო თბილისელი ხელოსნების წრეში.

ხაჩირი — 1. გადაწინდვით გაშენებული ვენახი ლეჩხუმში. 2. ხუროს იარაღი. ერთგვარი თოკები, რომლითაც ადგენენ კუთხის სისწორეს.

ხაჭაპური — ყველიანი ქადა, შესაძლოა ადრე ხაჭოს შერევით მზადდებოდა (აქედან სახელწ.). არსებობს სხვადასხვა სახეობის (იმერული, მეგრული, აჭარული, გურული და სხვ.) განსაკუთრებით ცნობილია იმერული ხაჭაპური. ხაჭაპური ნაციონალური საკვები კულტურის მონაპოვარია. ხაჭაპურის ნაირსახეობას წარმოადგენს თუშური „კოტორი".

ხახალი — მრგვალად მოწნული სინი ხორაგეულის სუფრაზე მისატანად. ხახალზე დაანყობენ მოხარშულ თევზსაც გასაციებლად.

ხელადა — წყლის დასალევი თიხის ჭურჭელი. კახეთში იგი ცნობილია, როგორც „თუშურ ორხელადიანი" და „დუქნური" ხელადა. ასეთი ხელადა ძირითადად მუშახელისათვის იყო გამოსაყენებელი. იგი დაჰქონდათ სამუშაოდ წყლის დასალევად. დასავლეთ საქართველოში ხელადა სუფრაზე მისატან ჭურჭლადაც ითვლება. ხელადის ყელი ძირში ვიწროა და პირისაკენ გაფართოებული. იგი ტუჩიანია და უქუსლო — სწორი ძირით. ქუსლიანი, ანუ „დუქნური" ხელადა უმეტესად პირგადაშლილი და ტუჩიანია, მისთვის დამახასიათებელია ყურს ზემოთ ყელზე შემოვლებული რკალი. კახეთში გავრცელებული ყოფილა ძირგანიერი ხელადა, რომელსაც „დაჯდა ხელადას" უწოდებენ. (იხ. დაჯდა ხელადა).

მ. ზ.

ნახ. 90





ნინდა

ხელეჩო — ხის დასამუშავებელი ხელჭურჭელი. აქვს პირი — წინა და უკანა, და ხის ტარი. იყენებენ ჯამების, ხონჩების, გობებისა და სხვადასხვა რიგის ხის ჭურჭელთა სახვეწად, ამოსათლელად, „სადაც ცული ვერ უდგება, იქ ხელეჩო მუშაობს".



ლიტ.: გ. გასიტაშვილი, ხის დამუშავების ხალხური წესები, 1962.

ბ.ბ.

ხელთათმანი//თათმანი//ხელჯაგი//საფუხარი (ხევი, ხევს.) — საბას განმარტებით, ხელთათმანი ესაა „ჩასაცმელი რამე ხელთა ზედა სითბოსათვის". საქართველოს მთამ მოგვცა ხელთათმანების ულამაზესი ნიმუშები, რომლებიც იქსოვებოდა მატყლისა და ბამბის ძაფისაგან, ხმარებაში იყო ტყავის ხელთათმანებიც. ხელთათმანი, როგორც წესი, იქსოვებოდა ჩხირებით. ხელთათმანი იყო მთლიანი, სათითურებიანი, მოკლეთითებიანი. იყო აგრეთვე სამონადირეო ხელთათმანი ერთი სათითით, რომელიც თოფის სასხლეტის გამოსაკრავად იყო გამიზნული. საფუხარი (იხ) უფრო რკინის სხეპლისაგან დაწნულ ხელთათმანს ეწოდებოდა.



ე. ნ.

ხელნავი — მეომრის ზედაკიდურების დასაცავი. წარმოადგენს ნავისებური ფორმის რკინის ან ფოლადის ფირფიტას, რომელიც მეომრის ხელს იცავს მაჯიდან იდაყვამდე. მაჯასთან ხელნავი შედარებით ვიწროა და იკვრება ჯაჭვითა და ლითონის ფირფიტებით გაწყობილი სალტით. უკანასკნელ ფირფიტაზე მიმაგრებულია ორი ენიანი ბალთა, რომელშიც ეყრება ხელნავზე დამაგრებული ტყავის თასმები და იკვრება. ხელნავის გაფართოებულ ადგილზეც იდაყვთან, ერთ მხარეს დამაგრებულია ტყავის თასმა, ხოლო მეორე მხარეს ენიანი ბალთა. საქართველოში ხელნავებს თითქმის ყველა კუთხეში გამოიყენებდნენ და ამზადებდნენ კიდეც. ხშირად ხელნავები ირთვებოდა ვერცხლით, ოქროზარნიშით და სევადით.

ბ. ქ.

ხელსაფქვავი — მარცვლეულის დასამუშავებელი (დასაქუცმაცებელი, დასაფქვავი) ქვის იარაღი. მისი დამზადების წესების სიძველე და არქეოლოგიური მასალები — ადასტურებს, რომ მას დიდი ხნის ისტორია აქვს.



ცნობილია ხელსაფქვავის ორი ძირითადი ტიპი: 1) მრგვალი და ბრტყელი 2) მრგვალი და მაღალი, კონუსური ფორმის მძიმე ხელსაფქვავი. პირველი ტიპი, რომელიც ორი სახისაა: 1) მარგილიანი, ანუ უთოხო და 2) თოხიანი, გარეგნულად ერთმანეთისგან არ განსხვავდება. მარგილიანი, ანუ უთოხო ხელსაფქვავი წარმოადგენს ერთმანეთზე შედგმული თანაბარი დიამეტრისა და თითქმის ტოლი სიმაღლის ორ მრგვალ ბრტყელ ქვას. მამალი ქვა და დედალი ქვა. ზედა ქვას საბრუნებლად ჩასმული აქვს ხის ტარი. ხელსაფქვავის ქვები მოსაფქვავი ზედაპირით ერთმანეთს ემთხვევა. ქვედა ქვის მოსაფქვავი პირი კიდისკენ უფრო დაბალია, ცენტრისკენ კი ამაღლებული. თოხიანი ხელსაფქვავი გარეგნულად ისეთივეა, როგორც უთოხო. მისი არსებითი განმასხვავებელი ნიშანია ე.წ. თოხი//არქი, ეს არის რკინის დეტალი, მიმაგრებული ქვედა ქვაზე.

ხელსაფქვავის დამზადების ტრადიციები XX საუკუნის შუა წლებამდე ცოცხლად შემორჩა — ალგეთში (თეთრიწყაროს რ-ნი), ქაისხევი (დუშეთის რ-ნი), მოლითი (ხარაგაულის რ-ნი), ჟონეთი (წყალტუბოს რ-ნი), მუხურა (ტყიბულის რ-ნი), თრიალეთი, ჭერემი (გურჯაანის რ-ნი), იყალთო (თელავის რ-ნი), აკეთი (ლანჩხუთის რ-ნი), ზომლეთი, ვანი (ჩოხატაურის რ-ნი), გორისფერდი (ოზურგეთის რ-ნი). განსაკუთრებით სახელგანთქმული ყოფილა იმერეთის მუხურა და ჟონეთი, სადაც იყო სანისქვილე ქვის საბადოები.

ხელსაფქვავის წინამორბედად ითვლება ქვის სასრესები და სანაყები. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხელსაფქვავები თარიღდება ძვ.წ.აღ.-ის I ათასწლეულით (ბრინჯაოს ხანა, XIII-IX სს.ფლავისმანი, გორის რ-ნი) და ადრეული რკინის ხანით VII-VI სს.

ხელსაფქვავები მოპოვებულია მცხეთის (ბაგინეთი, არმაზი), კოლხეთის, შიდა ქართლის, რუსთავის, უჯარმის, რაჭის ტერიტორიაზე.

ხელსაფქვავის ის ტიპი, რომელიც საქართველოშია ცნობილი, ითვლება დაწინაურებულ ტიპად, რომლის ბაზაზეც უძველესი მანქანა — წყლის ნისქვილი განვითარდა.

ლიტ.: ს. ბედუკაძე, საფქველების განვითარების ისტორიისათვის. ხელწისქვილები. სსმმ., XIX-B, 1956.

ა.ბ.

ხელჭურჭელი (იმერ.) — ზოგადი სახელია სახელოსნო იარაღებისა, რომელიც ხელოსანს მიაქვს სამუშაოდ.

ხემი — ლარგაბმული მოხრილი ჯოხი (ქამანა), რომლითაც უკრავენ ჭუნირს.

ხერხი ბენვა — წვრილკბილებიანი და მახვილწვერიანი ხერხი, რომელიც იხმარება აივნის ფარდების ჭრილისა და სხვადასხვა ფიფურების ამოსაჭრელად.

ხერხი ბირდაბირი — ფართოპირიანი გრძელი ხერხი, რომელსაც თავბოლოში ტარები აქვს ჩაბმული და ორი კაცის მეშვეობით განევ-გამოწევის პრინციპით მუშაობს.

გ.გ.

ხერხი გაბმული//სისო — ხითხუროს იარაღი, რომელიც საკმაოდ რთული კონსტრუქციით გამოირჩევა. ხერხს გააჩნია პირი და უღელი, რომლებიც ჩაბმულია მხრებში. ხერხის სიმჭიდროვეს არეგულირებს გრეხილი ბაწარი. ხერხის პირს მიმართულებას აძლევს საგანგებო სახელური. ხერხის ასეთი ფუნქცია ხელოსანს საშუალებას აძლევს, მისი პირი სასურველი კუთხით დააყენოს. გაბმული ხერხი ხალხური ხითხუროობის მაღალგანვითარებულობის დამადასტურებელია.



გ.გ.

ხერხი საზედაო//ხიზარი (გურ.) — ფიცრების სახერხი ხერხი, რომელსაც ორი ადამიანი ამუშავებს. ამ გრძელ ხერხს ესაჭიროება მაღალი დაზგა-ხარაჩო, რომელზედაც გასახერხი მორი დევს 1.5-2 მეტრის სიმაღლეზე. ხერხვის დროს ერთი მხერხავი მინაზე დგას, მეორე კი ხარაჩოებზეა გასული და მორის თავიდან ბოლოსაკენ მოჰყვება ხერხვით.

გ. გ.

ხერხულა — საცერულის (იხ.) სახეობა. გავრცელებული იყო ხევსურეთში და მთლიანად აღ. საქართველოს მთიანეთში. ასხამდნენ თითბერისაგან. ხერხულა წარმოადგენს თითბერის რგოლს, რომელსაც მოკლე და გლუვი კბილები აქვს, კბილების რაოდენობა არ არის განსაზღვრული. საცერულის ამ სახეობას უფრო ხშირად ყმაწვილები ხმარობდნენ.



ლიტ.: გ. ჩიტაია, ხევსურული საცერული, შრ. ტ.II, 2000.

მ. ქ.

ხეჩანი (თუშ.) — აკვანში ჩასაწვენი ბავშვის დასახვევი, თხელი და რბილი შალის ქსოვილი. იქსოვებოდა ბატკნის მატყლისაგან. ხეჩანს ორად მოკეცავდნენ და ბავშვს გულმკერდზე შემოახვევდნენ, ისე, რომ ხელებიც დაფარული ჰქონოდა. სასთუმლად მატყლის ბალიშს უდებდნენ. ხეჩანში გახვეულ ბავშვს აკვანში, ჩვილთა საგებელზე (თივის, ჩალის, ბატკნის მატყლის ლეიბზე) აწვენდნენ.

ლიტ.: ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, 1961.

ლ. ბ.



ნურნუმა





ნისქვილი

ხვავი — მონეული მოსაელის გროვა. აქედანაა სიტყვა „დახვავებული."

ხვედა — ხის ურო.

ხვეულა — საცერულის (იხ.) სახეობა. გავრცელებული იყო ხევსურეთსა და მთლიანად აღ. საქართველოში. ხვეულა წარმოადგენს ორ ან სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ ან სპირალურად დახვეულ რგოლს. თითეული რგოლის გვერდი საკმაოდ ამონანიბურებულია, თუმცა უფრო გლუვია, ვიდრე ბასრი. ხვეულას თითბერისაგან ამზადებდნენ და პირზე ორნამენტებსაც უკეთებდნენ. შიდა დიამეტრის დასაპატარავებლად და ცერზე მოსარგებლად ხევსურები ხმარობდნენ „დგინდგელ"-ს (მზადდება ფიჭვისაგან), რომელსაც ხვეულას შიგნიდან უსვამდნენ. ხვეულა თავისი კონსტრუქციით არა საკაწრავი, არამედ საცემარი იარაღია. „ხვეულა მოწინააღმდეგეს ეეჟავს, ხოლო „მაღალი" და ღაჯია ფხაჭნის." ერთ-ერთი ვერსიით ხვეულა გამოიყენებოდა ასევე თოფის ჩახმახის მოსამართად და ზუმბის ამოსაღებად.

ლიტ.: გ. ჩიტაია, ხევსურული საცერული. შრ. ტ.II. 2000.

მ. ქ.

ხვეწი — აქ: ხალხურ მედიცინაში ძვლის საფხეკი იარაღი, რკინის ოთხკუთხატანიანი იარაღი, რომლის ერთი თავი მოხრილია და ალესილი. დასტაქრები ხვეწს ხმარობდნენ ოპერაციის დროს ძვლების გასასუფთავებლად. ხევსურები მისი საშუალებით ახორციელებდნენ თავის ქალის ტრეპანაციას.

ხვიანდაგი (ქართლ.) — მათრახის ენა, წვერი, რომელსაც ფოჩებივით აქვს ჩამოშვებული ბოლოები.

ხვითო — ქვების განსაკუთრებული სახეობა, რომელთა ნალეს ფხვნილს ჭრილობათა სამკურნალოდ ხმარობდნენ. საქართველოს მთაში ასეთ ქვებს „მარგალიტადაც" მოიხსენიებენ და მიიჩნევენ, რომ მათი ნახვა მხოლოდ რომელიმე ფრინველის ან ცხოველის კუჭშია შესაძლებელი. ხვითო—მარგალიტით წამლობა საკმაოდ ძვირად ფასობდა. მისი ერთი ჩამონაფხეკი, ერთი ცხვარი ღირდა, ამიტომ ამ ნაფხეკს მხოლოდ სახის ჭრილობისათვის ხმარობდნენ. ქვებით მკურნალობა მთელს კავკასიაში გავრცელებული ჩვეულება იყო. ლაბორატორიული კვლევები ადასტურებს, რომ ასეთ ქვებს მართლაც გააჩნიათ სამკურნალო თვისებები.

ლიტ.: პ. ფირფილაშვილი, ქვის გამოყენება სამკურნალო მიზნით, მაცნე №2, 1972.

ე.ნ



ხვიმირა — წისქვილის სამარცვლე, მარცვლის ჩასაყრელი. ძაბრისებური პრინციპით მოწყობილი. ამზადებენ ხის ფიცრებისაგან. ზოგიერთგან იცოდნენ წნელით მოწვნაც.

ე. ნ.

ხვირი (იმერ) — 1. წნელით მოწნული ოვალური ფორმის სათავსი, რომელიც იდება ურემზე და გამოიყენება სხვადასხვა ტვირთის გადასაზიდად (მარცვლეული, ყურძენი და სხვ.).

ხიზი — 1. საქონლის ცხიმისა და ნაცრის ნაზავი, რომლითაც იცოდნენ ხის ჭურჭლის გახიზვა — წასმა, რათა არ დამსკდარიყო. 2. გატეხილი ჭურის დასაგლესი. დაინაყება კრამიტის ნატეხი, გაატარებენ სამტკიცეში, შემდეგ ქონში ამოსვრილ ბამბას შეზელენ ამ გამტკიცულში და დაუსვავენ ჭურს გაბზარულ

ადგილას. იცოდნენ ქვევრის მთლიანად გახიზვა. ამ ხელობის მხიზავები ერქვათ.

გ.ბ.



ხითხურო — ხის ხელოსანი ოსტატი. ძირითადად ხის სახლების ამგები. ხითხუროები ფლობდნენ სახლის აგება-გაწყობისა და მოჩუქურთმება-მოხარატების დიდ ემპირიულ ცოდნას. ქართულ ხითხუროობაში დიდი წვლილი შეიტანეს ლაზმა, რაჭველმა, იმერელმა, მეგრელმა და გურულმა ხითხუროებმა. მათი ნახელავი სახლები ქართული ხითხუროობის უნიკუმს წარმოადგენს.



ხიმე — ნაპობი ძელის ღობე. ერთმანეთზე მჭიდროდ და ირიბად მილაგებული.

ხიმუნი//ხიმური — ტყავის მოსაქნელი ხელსაწყო. შატილის საფიხვნოში (ხევსურთ თავშესაყარი ადგილი) სხვა ინვენტართან ერთად ბოლო დრომდე შემორჩა ორი ხიმური, ერთი მოქმედი და ერთი გაუქმებული. ხიმური იჭრებოდა ცაცხვის მთლიანი კუნძიდან, გულს სიგრძით ამოულებდნენ და მასში მოათავსებდნენ მრგვლად გათლილ ხის ტარს — კედის წვერს. ღარის ნაპირებში რკინის რიკები იყო გაყრილი, რაც კედის მოძრაობის დროს ღარიდან ამოვარდნას ხელს უშლიდა. ღარის ნაწიბურები და კედის შუა ტანი დაკბილულია ჭდეებით, რაც ხელს უწყობდა უკეთ მოზელვას და ხელს უშლიდა ტყავის გადაცურებას.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1979.

ნ. ჯ.

ხინკალი — აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული საჭმელი. ხინკალი წარმოადგენს დაკეპილ ან მანქანაში გატარებულ ხორცს, რომელიც გახვეულია თხელი პურის ცომის მასაში და მოხარშულია წყალში. ხინკალი კეთდება როგორც ახალი, ასევე დამარილებული ხორცისაგან. სახინკლე ხორცს აზავებენ ხახვით, ქონდრით, პილპილით, შემდეგ დაასხამენ წყალს და კარგად აზელენ. სახინკლე ცომი ძარღვიანი უნდა იყოს. ხარშვისას იოლად რომ არ გასკდეს, თორემ ხინკალში წყალი შევა და გაფუჭდება. სახინკლე ცომი იზილება ცივი წყლით, რადგან თბილი წყლით მოზელილი იოლად სკდება. რაც უფრო თხელი ცომი აქვს ხინკალს, მით უკეთესია. სახინკლე ხორცს დადებენ ერთ ზომაზე მოჭრილ თხელი ცომის ფირფიტაზე და ამოახვევენ ნაოჭებად. როცა მარილჩაყრილი წყალი კარგად ადუღდება, ხინკალს ჩაყრიან და ცოტა ხნის შემდეგ ქვაბსაც შეანჯღრევენ, რომ ხინკალი მის ძირზე არ დაჯდეს, 10-15 წუთის დუღილი საკმარისია, რომ ხინკალი მოიხარშოს. კარგად გაკეთებული ხინკალი გამოყოფს გემრიელ წვენს და მჭამელი უნდა ცდილობდეს თავისი უგერგილობით იგი არ დაღვაროს. ამიტომ ხინკლის ჩანგლით ჭამა გამართლებული არაა. ხინკალი არის ქართული სამზარეულოს ერთი მიღწევათაგანი. მთაში ხორცის ხინკლის გარდა აკეთებენ მხალეულის, ყველის, ხაჭოსა და კარტოფილის ხინკალსაც.

ე.ნ.

ხიორი — „საქალო და სავაჟო თავსახურავი" (საბა), ესაა გვირგვინისებური თავსახურავი. ქართულ წყაროებში ხიორის შემცვლელად ზოგჯერ ნახმარია — ვარჯის სადგმელი.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, 1962.

ე.ნ.

ხირიმი — ცეცხლსასროლი იარაღი (კაჟიანი თოფის ტიპი). საქართველოში XVII ს-იდან იარაღის წარმოების სფეროში უცხოეთის გავლენა უფრო გაძლიერდა, ინდოეთსა და ხვარაზმული იარაღის მაგიერ XVIIსაუკუნიდან ინტენსიურად იწყება ევროპული იარაღის გავრცელება. დასავლეთ ევროპიდან იარაღი, ოსმალეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, ძნელად მაგრამ მაინც შემოდიოდა ყირიმის მეშვეობით, რაც ხალხურ



ნისქვილები მტკვარზე





ხელნისქვილი

მეტყველებაში აისახა, ყირიმული თოფის გაგებით. ყირიმის გზით შემოსული ევროპული ლულების გარდა, საქართველოში XVIII-XIX სს-ში უშუალოდ ყირიმში დამზადებული დამასკური ფოლადის ლულებიც შემოდიოდა. ქართველი ხელოსნები ცეცხლსასროლი იარაღის დასამზადებლად სნორედ ყირიმულ ლულებს ირჩევდნენ, საიდანაც მომდინარეობს მისი სახელწოდებაც „ყირიმი", ანუ „ხირიმი". ყირიმული ლულები ძირითადად რვანახნაგიანია, არსებობდა გლუვნედაპირიანებიც, შიდა სივრცით 6-8-ღარიანია, ყალიბი — 13-15 მმ. ორნამენტად გამოყენებულია მცენარეული და გეომეტრიული მოტივები, რომელიც შესრულებულია წერილი ოქროს მავთულით და ჩაჭდეულია ლულის ამოკანრულ ზედაპირზე. ოქროს მავთულის გარშემო კიდეები მორთულია რელიეფური კომპოზიციებით. ყირიმული ლულებისათვის დამახასიათებელია ორი დამღა, ერთი ლულის ზედა ნახნაგზე (5-კუთხიანი, შესაძლოა მრგვალიც), რომელიც ეკუთვნის ხელოსანს, ხოლო მეორე — ლულის გვერდითა ნახნაგზე (ფოთლისებური ფორმის), რომელშიც არაბულად წერია „იმტიხან", რაც ნიშნავს, რომ ლულამ გამოცდა გაიარა (ე.ი. მისი ხარისხი დამაკმაყოფილებელია). ხშირ შემთხვევაში დამღებთან ერთად ლულაზე გამოსახულია ოქროზარნიშით შესრულებული არაბული წარწერაც „ის, რაც სურს ღმერთს" და სხვ. ასეთი ლულები ძირითადად თარიღდება XVIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედით, ხოლო XIX ს-ის დასაწყისით დათარიღებული ლულები ძალზედ იშვიათია, რაც, სავარაუდოდ, მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ყირიმის რუსეთთან შეერთების შემდეგ ადგილობრივად ლულების წარმოება შენყდა.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი ტ. III-IV, 1962. კ. ჩოლოყაშვილი, თოფი ქართული წარწერით, სსმმ XVII ნ, 1953.
Э. Аствацатурян. оружие народов кавказа. *1995.*

მ. ქ.

ხირლა — უხეში ქსოვილისაგან დამზადებული მოსასხამი.

ხიშტაკი — თითბრის ხელსანყო. მის ზედაპირზე სხვადასხვა სიდიდის პაწანინა ორმოებია ამოჭრილი. იხმარება ვერცხლის ცვარას დასამზადებლად.

მ.ბ.

ხიშტი — საძგერებელი იარაღი. საბას განმარტებული აქვს ცალკე „ხიშტი — პირგრძელი ლახვარი" და ლახუარის ქვეშაც „ხიშტი არს ლახვარი პირ-გრძელი, ძგიდემახვილი, ტარ-კოტა." ხიშტი XI-XIIს-ის თხზულებებში მოგვეპოვება, მანამდე იგი არ ჩანს. ძველი ძეგლების მიხედვით ეს სპარსული სიტყვაა. ქართული ძეგლების განმარტებით, მას თოფის საჩხვლეტის მნიშვნელობა აქვს, ისეთი, როგორიც დღეევანდელი დატვირთვით. მართალია ხიშტი საჩხვლეტი იარაღი იყო, მაგრამ თოფისაგან სრულიად დამოუკიდებელი, თოფს იგი ბოლო ხანებში „მიაკერეს." ხიშტი ცეცხლსასროლი იარაღის განვითარების ისტორიაში XVI-XVII საუკუნეებიდან, ანუ კაჟიანი თოფების ეპოქაში აქტიურად ჩნდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ფითილიანი თოფების პერიოდშიც ფიქსირდება მისი არსებობა. XIX საუკუნიდან კი თითქმის ყველა საბრძოლო თოფს გააჩნია ხიშტის დასამაგრებელი მონყობილობა.

მ. ქ.

ხმალი — მკვეთელი, საბრძოლო იარაღი. ხმლის შემადგენელი ნაწილებია — პირი, ტარი და ქარქაში. ხმლის პირს აქვს — ნესტარი (წვერი), შაშარი (ორლესული წვერი), ფხა (ალესილი პირი), გნდე (ყუა, აულესავი პირი) და ღარი (ან ღარები); ტარი შედგება — კოტასაგან (საკუთრივ ხეტარი, ან რქა, ან ლითონი), ვადაჯვარისაგან (ვადა-პირისა და ტარის შეერთების ადგილი, სადაც განთავსებულია ჯვრის ფორმის მტევნისდამცავი, ანუ ვადაჯვარი), ვაშლისაგან (ტარის მოხრილი ბოლო, ანუ ქუდი) და დვარისაგან (მოქლონი, რითაც დამაგრებულია ხეტარი პირზე); ქარქაში მზადდება ხის ორი ფირფიტისაგან, რომელიც ერთმანეთთან დაკავშირებულია პირის ფორმის შესაბამისად და გარედან გადაკრული აქვს ან ტყავი, ან თითბრის სალტეები. თითბრის სალტეებიან ხევსურულ ქარქაშებს აქვს „საცევეთებიც", რომელნიც ქარქაშს კიდეებზე სიგრძივად დაუყვება. ქარქაშზე დამაგრებულია ყანიმების (ყანიმი —

ხმლის სამხარიღლიე) დასამაგრებელი სალტეები. ქარქაშის ბოლოში კი წამოცმულია ლითონის ბუნიკი.

სულხან-საბა ახასიათებს საუკეთესო ხმლის თვისებებს და ასახელებს მხოლოდ ორი ხმლის სახეობას გორდასა (იხ.) და კალდიმს (იხ.), რომელთაც „ქართველნი ჰყვარობენ". ქართული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალით კი დასტურდება ხმლის ისეთი ნაირგვარობა, როგორიცაა დავითფერული, მისრული, დაშნა, შიშნა, ნიჩბა, ჭოლაური, ლეკური, გველისპირული, თუშური ორლესული, უნგრული, ფრანგული და სხვ. თითოეული მათგანი განსხვავდება ერთმანეთისგან ტარის, პირისა და ქარქაშის ფორმა-მოყვანილობის მიხედვით.

საქართველოში ხმლები ადგილობრივად მზადდებოდა, მაგრამ შემოდიოდა ევროპული იარაღიც, რომელთა სადამღო ნიშნებს ქართველი ხელოსნები აქტიურად იყენებდნენ თავიანთ ნახელავ იარაღზე.

ხევსურეთში ევროპული ხმლების საერთო სახელად ფრანგული იყო მიღებული, არჩევდნენ დედალ და მამალ ფრანგულს. გერმანიიდან და ავსტრიიდან შემოსულ ხმლებს დედალ ფრანგულს ეძახდნენ, ხოლო იტალიურს — მამალ ფრანგულს. თავისთავად დედალი ფრანგულიც დაბალი ღირსების ხმალს არ გამოხატავდა. მაგ., ძალზედ იყო გავრცელებული გერმანული წარმოების ხმლები, რომელზედაც იყო დამღა მგლის სტილიზებული გამოსახულებით. ამ დამღას XIVს-ის პასაუელი ხელოსნები ხმარობდნენ, ხოლო XVIIIს-დან ზოლინგენის ხელოსნები. იმის დასამტკიცებლად, რომ ხმალი ადგილობრივია (ქართული) და არა გერმანული, მეტყველებს ის ფაქტი, რომ ცხოველი გამოსახულია არა სტილიზებულად (9-11 შტრიხით), როგორც ეს ევროპულ ვარიანტშია, არამედ მთლიანი ტანის კონტურით, სადაც აქცენტირებულია სახეც და ბალანიც კი, მაშასადამე, საქმე გვაქვს ქართულ ან თუნდაც კავკასიურ მინაბაძებთან. ჩვენ ქვეყანაში ასევე დიდი პოპულარობით სარგებლობდა XVI ს-ის იტალიელი ოსტატების ანდრეა და ჯანდონატო ფერარების მიერ დამზადებული ხმლის პირები (იხ. დავითფერული), პოპულარული იყო ასევე იტალიური, გორდას (იხ.) დამღიანი ხმლის პირებიც და სხვ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ადგილობრივი ქართველი ხელოსნები ამ დამღების გამოყენებით არ ცდილობდნენ თავიანთი შემოქმედება ევროპულად გაესაღებინათ, ისინი უბრალოდ პოპულარულ დამღას იყენებდნენ თავიანთ ნახელავ ხმლებზე, თორემ ფოლადის დამზადების ტექნოლოგია, ტარისა და ქარქაშის მორთულობა მთლიანად ქართული იყო და უმაღლესი ხარისხის.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, ტ.III-IV, 1962. გ. ჯალაბაძე, საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიული ფონდების გზამკვლევი, 1979.

მ.ქ.

ხმალიკა (ხევს.) — 1. იარის მოსაფხეკი და ჩირქის მოსაწმენდი. მაგარი ჯიშის ხისგან გამოთლილი დანისებური იარაღი. 2. ხმალიკა-ბორწკალი კომბინირებული იარაღია, გამოთლილი მაგარი ჯიშის ხისგან, გლუვზედაპირიანი, ერთი ბოლო წარმოადგენს ბორწკალს-მაშას, რომელიც კარგად ასრულებს საოპერაციო დამჭერის ფუნქციას, მეორე ბოლო კი საფხეკია.

ლიტ.: ნ მინდაძე, ქართული ხალხური მედიცინა, 1981.

ხმიადი — უსაფუვროდ გამომცხვარი პური. ძირითადად აცხობდნენ რიტუალისათვის.

ხოკერა — ხის ქერქისგან დამზადებული და ძირგამოყენებული ჭურჭელი, იყენებდნენ სხვადასხვა პროდუქტის შესანახად.

ლიტ.: ქელ 2009

ხოლიხი — წვრილი თევზის საჭერი ბადე.

ხომალდი — დიდი ზომის აფრებიანი ნავი.

ხონი — (თუშ.) ცომის მოსაზელი პირგადაშლილი, ოდნავ ღრმა ტაბაკი, რომელსაც გააჩნდა სამი

ნურნუმა ხის









წყარო

ფეხი და სახურავი, თუშები ქუმელის მოსაზელადაც იყენებდნენ. ხონი ქალთა სუფრის მოვალეობასაც ასრულებდა და მასზე გამოცხვარ პურსაც ინახავდნენ.

ლიტ.: მ. ხაზარაძE, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ე.ნ..



ხონჩა — მოგრძო ტაბაკი, ხის ლანგარი ოდნავ ნაპირებშემოფარგლული, ზოგჯერ ოვალური, ზოგჯერ კუთხოვანი ნაპირებით. იხმარება სხვადასხვა პროდუქტის დასაწყობად და სუფრაზე მისატანად. ბატონების გადალოცვის დროს ხონჩაზე დააწყობენ წითელ-ყვითელ ნაჭრებს, ტკბილეულს, ნიგოზს....ნაიყვანენ ავადმყოფს და სახლიდან მოშორებით გადაულოცავენ ბატონებს.

ე.ნ.

ხონჯარი // ხვანჯარი — შარვალ-საცვალის სათავეში გასაყრელი მსხვილად მოქსოვილი ზონარი, იქსოვებოდა ფირფიტებით. ხონჯარს ანალოგი ეძებნება ეგვიპტურ და ბაბილონურ მატერიალურ კულტურაში. ქსოვის ასეთი ტექნოლოგია გვიანობამდე შემორჩა საქართველოს ქალაქებში.

ე.ნ.

ხორგო (ლეჩხ.) — დიდი საწნახელი.

ხორცი შებოლილი — ერთგვარი საზამთრო მარაგი, რომელსაც საგანგებო წესით ამზადებდნენ. ხევში გუდად გატყავებულ ცხვრის ხორცს ერთ კვირამდე ამ ტყავგუდაშივე ჩაამარილებდნენ, ხოლო შემდეგ აყარზე დაჰკიდებდნენ, რომ კვამლში გამოსულიყო. ახალ//აპატენა//ალალ(ხევსურეთი) ხორცზე მეტად შემჭვარტლულს სცემდნენ პატივს. „ხორცი რომ დაისვენებს და მაღლა გამოშრება უფრო გემრიელია" (მთიულეთი). „კაი გემო ჰქონდა შემჭვარტლულს, როგორც ჭერნი ისე გაშავდებოდა"(ფშავი). ნელ შებოლვას დიდხანს აყოვნებდნენ, რომ უფრო კარგად გამოსულიყო კვამლში. შებოლილ ხორცსა და ქონს მთიელთ ყოფაში უაღრესად დიდი და საპატიო ადგილი ეჭირა. სვანეთში მარილის ნაკლებობის გამო წარსულში მიმართავდნენ ნაცრით დაშახშვის ხერხსაც. საინტერესოა ხალხში დაგროვილი დიდი ცოდნა, „კომლში გამოყვანა" — დამარილებასთან დაკავშირებით. დასამარილებლად დაჭრილი ხორცის ნაჭრები სქელი არ უნდა ყოფილიყო, რომ მარილს კარგად შეეღნია სიღრმეში. შებოლილი ხორცის მაღალი ხარისხით დამზადებისათვის იცავდნენ ყველა წესს, საუკუნეთა მანძილზე გამოცდილებამ რომ აჩვენა. საჭირო იყო გარკვეულ სიმაღლეზე მოთავსება და ტემპერატურის დაცვა. ძალიან რომ არ გამომშრალიყო, ყურადღება ექცეოდა შეშის შერჩევასაც. თელისა და მუხის კვამლი სასიამოვნო გემო-სუნს აძლევდა, ნივაზე შებოლილი კი უფრო ნაკლები ხარისხის გამოდიოდა.

ნ.ჯ.

ხორცნვენი — კერძი. ახალდაკლულ საქონლის ხორცს გაურეცხავს მოხარშავდნენ წყალში. შეანელებდნენ ხახვით, წიწაკა-მარილით და კარტოფილით. თუ ხორცი დამარილებული ან ყაღია (იხ.), იმას ჯერ გარეცხავდნენ, შემდეგ მოხარშავდნენ და შეანელებდნენ.

ნ. ჯ.

ხოტი — ლუდის გამოხდისას, განურული ნვენის ნარჩენი. ხაკის ტომრებში დარჩენილი უხეში ფორის მასა. აჭმევენ ცხოველებს.

ე.ნ.

ხოფი — დიდი ნიჩაბი, რომელიც ზოგჯერ ორ ადამიანს მოჰყავდა მოძრაობაში, გამოიყენებოდა აფრიან გემებზე, მაშინ როცა სასურველი ზურგის ქარი არ უბერავდა.

ე.ნ.

ხონი\\ხვენი — ღვედის პრინციპით მოძრავი რკინისპირიანი იარაღი, რომლის მეშვეობით ხითხურო

ხვენდა სხვადასხვა ნივთს — თეფშებს, ჯამებს, სამარილეებს, შანდლებს, რიკულებს და ა.შ. საგანთა შესაბამისად ხოწს ჰქონდა სხვადასხვა სიდიდისა და ფორმის კბილები.

ბ.ბ.



ხოჭიჭი — ამოღრუბული ფიცარი, სადაც აკვანში გადაყვანამდე ანვენდნენ ჩვილს.

ხრიკოლა (რაჭა) — ქვის სატყორცნი საშუალება. გავრცელებული იყო დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, ძირითადად რაჭაში. ხრიკოლა წარმოადგენს ხის გახვრეტილ მილს, ცილინდრს, რომლის ერთ ბოლოში წამოცმული იყო ქვის ან ლითონის კვერი, ხოლო მეორე დახურულ ბოლოსკენ გამოჭრილი იყო ღარი, რომელიც სათითეთი ბოლოვდებოდა. მილში წინასწარ იწყობოდა დაკალიბრებული ქვები, ბოლოს წინა ფიქსირდებოდა ცერა თითით, ხოლო ბოლო ქვა კი დაქნევით გაიტყორცნებოდა, შესაძლებელი იყო ორი ან რამდენიმე ქვის ერთად გასროლაც. კვერიანი ხრიკოლას უპირატესობა ის იყო, რომ ახლო ბრძოლაში მისი ჩუგლუგად გამოყენება შეიძლებოდა. არსებობს აგრეთვე უკვერო ხრიკოლაც, რომელსაც წინა მხარეს კვერი არ ეგო, ამიტომ მხოლოდ ქვების სატყორცნად გამოიყენებოდა.

ლიტ.: ა. გიორგობიანი, სტ. ქვის კულტი და ქვის საბრძოლო იარაღები, გაზ. „რაეო", 1997.

მ.

ქ.

ხულა — მარცვლეულისა და სხვადასხვა სამეურნეო პროდუქტების შესანახი ნაგებობა, პატარა ბეღელი, რომელსაც აქვს მაღალზღურბლიანი კარი და დაგმანულია იმის გათვალისწინებით, რომ მღრღნელებმა ვერ შეაღწიონ.

ე.ნ

ხულიხი — წვრილი თევზის საჭერი ბადე.

ხურდუმი — გათლილი ქვების გროვა, თუნდაც გაუთლელისაც. ხელოსნები ქვებს თლიან და „ხურდუმ-ხურდუმ" დგამენ, სანამ შემკვეთი წაიღებს.

ე. ნ.

ხურო — ხის ხელოსანი (იხ. ხითხურო), ძველ ქართულში გვხვდება ტერმინები „ხურონი ქვათანი" და „ხურონი ხისანი", რაც იმის დამადასტურებელია, რომ „ხურო" ორივე დარგის ხელოსანთა საერთო სახელი ყოფილა. მოგვიანებით, უფრო ხისხუროს მანიშნებლად იქცა.

ე.ნ.

ხურჯინი — მხარსა და ცხენის უნაგირზე გადასაკიდებელი სურსათ-სანოვაგის სატარებელი ორთვლიანი აბგა. ამ ტიპის ხალიჩური ნაწარმი, როგორც სანიადაგო ნივთიც შემკულია ორნამენტებით, გამოირჩევა ფერადოვნებით და ზოგადად, ესთეტიური თვალსაზრისით ძალზე კარგადაა შესრულებული.

ე.ნ.



ჯაბადარი (ძვ.) — ჯავშან-საჭურვლის მნე, გამგებელი. აქედანაა გვარი „ჯაბადარი".

ჯაბახანა — არსენალი, საჯაბადრო, სადაც ამზადებდნენ თოფისწამალს, ტყვიას, თოფს, ზარბაზანს. აქედანაა გვარი ჯაბადარი — ზედამხედველი ჯაბახანისა. საქართველოში, კერძოდ, თბილისში ერთ-ერთი უკანასკნელი ჯაბახანა (XVIII ს-ის ბოლო) ისაია თაყუაშვილს ეკუთვნოდა, სადაც თოფისწამალს აკეთებდნენ.

ჯაგანი — წერილ ტოტზე ჩამოკიდებული ან მანეულის გრეხილში ყუნწით ჩატანებული ყურძნის მტევნების ასხმა, რომელიც საზამთროდ ინახებოდა. საჯაგნე ყურძენს (ბუდეშური, თითა, განჯური, ქვიშხური, ცხენის ძუძუ და სხვა) საგანგებოდ გადაარჩევდნენ, დიდ მტევნებს დაბლა ჩამოჰკიდებდნენ, უფრო მომცროებს მაღლა და მაღლა, შემდეგ მოათავსებდნენ დაცულ ადგილას. ჯაგნის გარდა ქართლ-კახეთში გავრცელებული იყო ყურძნის თონეში დაჩამიჩება, რომელიც დიდხანს ინახებოდა.

ე. ნ.

ჯავშანი — გულმკერდის საცავი იარაღი. სულხან-საბას განმარტებით, „ჯავშანი არს აბჯარი რკინისა, ტანსაცვამი ჯაჭვი" და ჩამოთვლის ჯაჭვის პერანგების (იხ. ჯაჭვის პერანგი) ნაირსახეობებს. ბოლოში კი აღნიშნავს „ხოლო თორნი არს მთელი რკინა პოლოტიკი, ტანს საცმელი." მაშასადამე, ჯავშანი არის ტანის დასაცავი საბრძოლო იარაღი, რომელშიც ერთიანდება როგორც ჯაჭვის პერანგი, ასევე თორნიც, ბეგთარიც და სხვ.

ლიტ.: სულხან-საბა — ლექსიკონი ქართული, ტ. II. 1993.

მ.ქ.

ჯალამბარი — სამშენებლო საქმეში სიმძიმეების მაღლა ასატანი ხელსაწყო. ფეოდალური ხანის მასალებში ასეთ ტექნიკურ მანქანას „აზარმაცი" ეწოდება.

ე.ნ.

ჯამბარა — 1. ტყავის საბელი, რომლის საშუალებითაც სახვნელი უღელზე იყო მიბმული. 2. ტყავისაგან დაწნული ბაგირი. დიდი ფრთიანი გუთნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი. მისი დამზადების ორი წესი არსებობდა: დაწნული და შეგრეხილი. მზადდებოდა ხარისა და კამეჩის ტყავისაგან. მოგვიანებით ტყავის ჯამბარა რკინის ჯაჭვმა შეცვალა. ჯამბარის ძირითადი დანიშნულება გუთნის ყელის ფაფმფალაკზე მობმა იყო. ჯამბარის საშუალებით (დამოკლება-დაგრძელებით) ხდებოდა ხნულის სიღრმის და კვალის სისწორის დარეგულირება. დაწნული ჯამბარის დამზადება პროფესიულ დაოსტატებას მოითხოვდა და კარგადაც ფასობდა. ამ საქმის კარგ მოხელეებად ხევსურები ითვლებოდნენ. ხევსური მეჯამბრეები ქართლ-კახეთის ბარის სოფლებში და სომხეთშიც კი დადიოდნენ. ამას „ჯამბარობაზე" წასვლას უწოდებდნენ.

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში, 1986.

თ. გ. ა. გ.

ჯამე — მუსლიმანთა სალოცავი შენობა. საქართველოში საუკეთესო ჯამეები აშენებულია აჭარაში. ერთ-ერთი მათგანი ექსპონირებულია თბილისში, ღია ცის ქვეშ მუზეუმში და ქართულ ხითხუროობის უნიკუმს წარმოადგენს.

ჯამი თიხისა — ყოველდღიურად სახმარი ჭურჭლის უძველესი სახეობა, რომელიც გამოიყენებოდა სხვადასხვა დანიშნულებისათვის.

ჯამები მზადდებოდა ხისგან, თიხისა და ძვირფასი მეტალებისაგან. ჯამი არის ღრმა, პირგადაშლილი, დიდი, საშუალო, პატარა. ჯამს გამოიყენებდნენ ღვინის, წყლის, რძის, ყველის (ნასვრეტებიანი), სხვადასხვა პროდუქტისა და სახელოსნო საქმიანობისათვის. სანადიმო სუფრისათვის ამზადებდნენ აგრეთვე მოჭიქული ჯამებს, რომლებიც შემკულნია სხვადასხვა მცენარეული და ცხოველური მოტივებით. ჯამი თავისი მარტივი ფორმის გამო იოლად კეთდებოდა და საოჯახო ყოფის განუყრელ ნივთს წარმოადგენდა. საქართველოს არქეოლოგიურ მასალებში ნაირფეროვანი ჯამების დიდი რაოდენობაა მიკვლეული და ეს მასალები კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა ეპოქისათვისაა დამახასიათებელი.

ე.ნ.

ჯამი ხის — ხის ჭურჭლის ნაირსახეობა. საბას განმარტებით, ჯამი „ნნოანთა“ ზოგადი სახელია და აერთიანებს შემდეგ სახეებს: ბადია, ლოდაკი, უსკურა, პინაკი, ფილჯამი. ეთნოგრაფიულ ყოფაში ხის ჯამების სახეობანი გაცილებით მეტია და საჭმელთან დაკავშირებული ამ ჭურჭლის სახეობანი ერთ კლასიფიკაციაში ექცევა. საგულისხმოა, რომ ჯამი იყო როგორც ფეხიანი, ასევე უფეხოც. საქართველოს მთიანეთში გავრცელებული იყო დიდი საფაფე ჯამები, საიდანაც სამი-ოთხი კაცი ერთდროულად ჭამდა თავისი კოვზით. ჯამები ნაწილდებოდა ასაკისა და სქესის მიხედვით. მაგ., საჯალაბო, საკაცო, საქალო, საბალღო, რომლებიც განირჩევიან სიდიდითაც. სამეურნეო და სამზარეულო საქმეშიც სხვადასხვანაირი ჯამები იყო გავრცელებული. მაგ., ჯამი — ქუმელის საზელი (თუშ.), საკუსე — ყველის დასადები (ხევს.), ჯამი ნაოთხალი, ხომიკა, საჩაჩიქულე (ხევს.), წინანი (ფშ.), ცუტუნი (თუშ.), ხონურა (ფშ.), სალობიე, საფაფე და ა.შ. ჯამი იმდენად გავრცელებული ნივთი იყო, რომ დროთა განმავლობაში ჭურჭელთა ზოგადი სახელწოდება მიიღო. სამზარეულოს უფროსს ძველ საქართველოში „მეჯამეთუხუცესი“ ეწოდა. ყოფასა და წერილობით წყაროებში გავრცელებული კომპოზიტები — ჯამ-ბუნაგი, ჯამ-ჭურჭელი, ჯამ-ტაბაკი, ჯამ-ჭიქნი, ჯამ-თასი ამ ჭურჭლის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ე. ნ.

ჯამი სპილენძის — იჭედებოდა სპილენძის ერთი, იშვიათად ორი ფირფიტისაგან ცივად კვერვის წესით; მასში გამოყენებულია გადაკერების სხვადასხვა ხერხი. სპილენძის ჯამი უმეტესად ქუსლიანია. აქვს დაბალი ან მაღალი, სწორი ან გადგმული ქუსლი, რომელიც მორჩილულ-მიმაგრებულია ჯამის ტანთან. ფორმის მიხედვით ჯამი არის დიდი, პატარა, ღრმა, პირგადაშლილი, პირმოხვეული, ფარფლიანი, შიპიანი, მრგვალპირიანი, მუცელგამობერილი სადა-ორნამენტოც და ორნამენტებით (გეომეტრიული, ყვავილოვანი, ცხოველების სქემატური გამოსახულებებით) შემკული. ქართულწარწერიანი და ა.შ. წარწერები შესრულებულია ლამაზი მხედრულით, ამოღარვა-ამოკანვრის წესით, რომლებიც გვამცნობენ პატრონის ან გამკეთებლის ვინაობას, საქმიანობას, გაკეთების თარიღს, სურვილებს და ა.შ. წარწერა ჯამზე ყოველთვის თვალსაჩინო ადგილზეა და ხშირად ორნამენტის მოვალეობას ასრულებს.

ჯამის ფუნქციური დანიშნულებაა: საღვინე, საწყლე, საწვნე-საშეჭამანდე, სარიტუალო, სამზითვო და ა.შ. სუფრის ჭურჭლეულიდან საქართველოში ყველაზე მეტად ხმარებაში იყო საღვინე ჯამი. როგორც ცნობილია, სპილენძის გარდა ჯამი მზადდებოდა ოქროს, ვერცხლის, თიხის, ბროლის და „შეშის“, ანუ ხისაგან. შემთხვევითი არ არის, რომ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ ცალკეა მოხსენებული „მეჯამეთ-უხუცესის“ საქმიანობა.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, ჯამი ქართულ წერილობით წყაროებში უკვე XI ს-ში იხსენიება, როგორც საღვინე და საკერძე ჭურჭელის სახეობა. გარკვეულ ეპოქაში ჯამი სანყაოსაც წარმოადგენდა.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მსმკი, 1964.

ც.ჯ.

ჯანაგვირი — წნელისგან დაწნული გოდრისებური ჭურჭელი, რომელიც ნახევარს ზემოთ მოწნული არ იყო და მხოლოდ წნელის საყრდენი მხრები იყო თავგადაქობილი იმისათვის, რომ სხვადასხვა ზომის შეშა და ჯირკები კარგად მოთავსებულიყო.

ლიტ.: ქელ. 2009.









ჭიშკარი



ხანჯალი

ჯარა//ჯარანი(თუშ.)//**ჭახრაკი**(სამცხ.ჯავახ.) — მატყლის ბამბის დასართავ-დასაძახი. ჯარის მთავარ ნაწილს შეადგენდა ფრთიანი ბორბალი//მორგვი, მასზე წამოდებული იყო ლამბი. ძაფის სართავ-საძახი თითისტარი — ჯარა-ტარი ბორბლის წინ გარდიგარდმო დოლებში იყო ჩასმული. თუშეთში ჯარას სამი ტიპი იყო თბილებიანი, ბორბლიან-ფერსოიანი და მირგვალი // მრგვალი.



ხელით სატრიალებელ ჯარას გარდა არსებობდა წყლით სატრიალებელი ჯარაც. ჯარა სართავ-საძახად ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს ბარისა და მთის მოსახლეობაში (ქიზიყი, ქართლ-კახეთი, ხევსურეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, მესხეთი, საინგილო, იმერეთი).

ლიტ.: მსშხი (ქსოვა, ღებვა, ქარგვა), ტ. II, ნაწ. II, 1982.

ლ.ბ.

ჯარგვალი — პრიმიტიული საცხოვრებელი სახლის ტიპი სამეგრელოში. ფაცხისაგან (იხ.) განსხვავებით ჯარგვალის კედლები ნაგები იყო გრძელი გაჩორკნილი ძელებით, იყო ოთხკუთხედი ფორმისა, მინურიატაკიანი და ორფერდასახურავიანი ისლით გადახურული. სოციალურად დანინაურებული მოსახლეობის ფენებში ჯარგვალი გეხვდება ოდის კომპლექსთან და შეძლებული მეპატრონის უნარის მიხედვით მისი ფორმები და შენების ხარისხი უფრო დახვეწილად და მკვიდრად გამოიყურება.



ე. ნ.

ჯაფა — ტყავის მოსაქნელი იარაღი. ხმარობდნენ ჭონები. წარმოადგენს რკინის, ოთხკუთხა მოყვანილობის, სამგვერდა ნივთს. ერთი მხარე შიგნით ნამგალივით აქვს მოხრილი, ჯაფა გვერდებით ჩაჯდება სვეტში. ნამგალივით მოხრილ პირში ტყავს გამოატარებენ და მოქნიან ხახუნით.

ლიტ.: ი. ნანობაშვილი, ტყავის დამუშავების ხალხური წესები საქართველოში, 1973.

ნ. ჯ.

ჯაში - ოხონალი (სამეგრ.) — მარტივი სახვნელი (მინის საწერი იარაღი). შედგებოდა: მხრის, საკვეთელისა და სახელურისაგან. იყენებდნენ ბალახმორეული ნიადაგის გასაღარ-დასანერად. ჯაში — ოხონალში უღელ ხარს აბამდნენ. იგი ისეთივე მარტივი აგებულებისა იყო, როგორც სვანური „ლაღრავი" (იხ.), თუშური „საკვეთელი" (იხ.), ხევსურული „კაენერა", „სანერა" (იხ.). ამ ტიპის იარაღს ანალოგები ევროპაშიც მოეპოვება. იგი სახვნელთა შორის ყველაზე მარტივი და ადრეული ტიპის იარაღია.

ჯაში-ოხონალი არ იყო დამოუკიდებელი სახვნელი იარაღი, ამ იარაღით დაღარვის შემდგომ უკვე მეორე სახის სახვნელს — ოგაფას გაატარებდნენ. ჯაში — ოხონალის გამოყენებით მის მიმყოლ ოგაფას უადვილდებოდა მინის გაპობა, რადგან ოგაფას სახნისს, რომელიც ჰორიზონტალურ სიბრტყეში ჭრიდა ბელტს, წინდანინ უკვე ვერტიკალურ სიბტყეში გაჭრილი სახნავი ფენა ხვდებოდა. ორი სხვადასხვა სახვნელი იარაღის კომპლექსური მუშაობა სახნის-საკვეთლიანი სახვნელის ფუნქციას ასრულებდა.

როგორც ჯაში-ოხონალით, ისე ოგაფით მუშაობისას ხშირად მიმართავდნენ დროებით შრომით გაერთიანებას (იხ. ოგაფა).

ლიტ.: გ. ჯალაბაძე, მინათმოქმედება სამეგრელოში, კრ. მასალები სამეგრელოს ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, 1979.

თ.ვ.

ჯაჭვი რკინის — სხვადასხვა ფუნქციის მქონე ნივთი რომელიც ფართოდ გამოიყენებოდა სამეურნეო საქმიანობაში. კერძოდ, პირუტყვის დასაბმელად, მძიმე საგნის გადასატანად, ტყიდან მორების გამოსაზიდად, გუთნის ყელის ფამფალაკზე დასამაგრებლად და სხვ.

ჯაჭვი წარმოადგენს ერთმანეთზე გადაბმული რგოლებისაგან შემდგარ საბმელს, რომლის ერთ ბოლოზე სოლისებური დეტალია (კოტა), მეორეზე — რკალის ფორმის დეტალი (საჭედური). შედგება მსხვილი, მასიური, ოვალური ფორმის რგოლებისაგან. მათი რაოდენობა და ზომები სხვადასხვა ჯაჭვზე სხვადასხვაა. თავსა და ბოლოში აუცილებლად აქვს გამოსაბმელი.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულია რამდენიმე ჯაჭვი, რომელთა სამეურნეო დანიშნულებით გამოიყენება შეუძლებელია. თითო-თითო რგოლი დაწახნაგებულია, რისი გაკეთებაც მჭედლისაგან დიდ ოსტატობასა და ცოდნას მოითხოვს. ჩანს, რომ გამოყენებულია ტრადიციული მეთოდები და ტექნიკური ხერხები (ჭედვა, შედუღება და სხვ.). ეს ჯაჭვები შემოტანილია ეკლესიებიდან და მათ მხოლოდ რიტუალური დანიშნულება უნდა ჰქონოდათ. (იხ. ჯაჭვი სარიტულო).

ლიტ.: ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1940.

ა.გ.



ჯაჭვის პერანგი — მეომრის თავდასაცავი აღკაზმულობა. ჯაჭვის პერანგში რგოლის — „ჭიკუს" თავების შეკვრის წესით გამოიყოფა სამი მთავარი ჯგუფი: „ფარეშიანი" (ანუ თავები შეკრულია რკინის მანჭვალით), „უფარეშო", ანუ უბრალოდ მიახლოებულია ერთმანეთთან და „დადუღებული".

სამივე ტიპის ჯაჭვის ყოველი შემადგენელი რგოლი — „ჭიკუ" — ჩასმულია ოთხი მხრივ მსგავს რგოლში, ზევით და ქვევით, მარჯვნივ და მარცხნივ. გარდა ჯაჭვის კიდურა რგოლებისა, რომლის ყოველი რგოლი ერთმანეთთან ჩამაგრებულია ორი მეზობლად მდგომი რგოლით. ჯაჭვის კალთების შუაში, ოდნავ აჭრილი ადგილების განაპირა რგოლები ორმაგია — ნყვილ-ნყვილადაა ერთმანეთში ასხმული. ჯაჭვის საყელო დუგმებით იკვრება.

ჯაჭვი საქართველოში ძველთაგანვე იყო ცნობილი: კლდეეთში აღმოჩენილია ბრინჯაოს ჯაჭვის ნაშთი, რომლის ყოველი რგოლი ფარეშანი თვლებითაა შეკრული, რაც მეტად მნიშვნელოვანია. II-III სს-ში ჯაჭვის დამზადების ტექნიკას საქართველოში უმაღლესი საფეხურისთვის მიუღწევია, რადგან ის უკვე ფარეშანია.

ჯაჭვები არა მარტო რგოლების შეკავშირებით, არამედ თარგითაც განირჩევა. უფარეშო ჯაჭვის პერანგები წინ გულგახსნილია, ხოლო ფარეშანი და დადუღებული ტიპი კი ჯაჭვის თავგასაყრელ სახეობას წარმოადგენს. თავგასაყრელი პერანგის სახეობა უფრო დაწინაურებულია, რადგან ბრძოლის დროს მებრძოლის მკერდი მკვიდრადაა დაცული. საინტერესოა, რომ ხევსურები დადუღებულ ჯაჭვს მიიჩნევდნენ კარგ ჯაჭვად, რომელიც იქ ძველად ხუთ ძროხად ფასობდა. გარდა ამ ტიპოლოგიურად დალაგებული ჯაჭვის სახელწოდებებისა, საქართველოში არსებობდა აგრეთვე ჯაჭვის სხვადასხვა სახელებიც, რომელნიც მომდინარეობდა სახელთა ცნების და ქვეყნების მიხედვით, სადაც მას აკეთებდნენ, მაგ.,ლ სამანქანი, ზეიდალი, ხოსროვანი, ქირაფქა, ჯაბალა.

მასალის მიხედვით ჯაჭვის პერანგები უმეტესწილად ფოლადისაგან მზადდებოდა. ფოლადის სხეპლისაგან კრავდნენ ჯაჭვის თვალს. ჭიკუს ფორმა ნებისმიერი შეიძლება ყოფილიყო: ნვეტიანი, უნვეტო, ბრტყელი და სხვ. ერთი ჯაჭვის მოსაქსოვად საჭირო იყო დაახლოებით 15-20 ათასი რგოლი, ჯაჭვთა რგოლების რაოდენობა დამოკიდებული იყო ასასხმელი ჯაჭვის მოცულობაზე.

ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით დადასტურებულია, რომ ოქრომჭედლის საქმიანობაში (სვანეთი, რაჭა, ხევსურეთი) ქალები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, ხოლო ხევსურეთში ქალებიც ქსოვდნენ ჯაჭვის პერანგებს, თავისი მამების, ძმებისა და სწორფერებისათვის. ჯაჭვის პერანგს საბრძოლო ფუნქციის გარდა ესთეტიკური დანიშნულებაც ჰქონდა. განსაკუთრებით მეფე-მთავრებისა და მთავარსარდალთა აღკაზმულობაში.

ცეცხლსასროლი იარაღის დამკვიდრებასთან ერთად მთელს მსოფლიოში ჯავშნისა და ჯაჭვის პერანგის წარმოება თანდათან დავიწყებას მიეცა, მიუხედავად ამისა, საქართველოს მთამ, კერძოდ ხევსურეთმა, სხვა კუთხეებთან შედარებით ყველაზე უკეთ შემოგვინახა, ჯაჭვის დამზადების ტექნოლოგია.

ლიტ.: კ. ჩოლოყაშვილი, ქართული საჭურველი, სსმმ, ტ. XVII-B 1956. ივ. ჯაფარიძეული, მქემკი, ტIII-IV 1964.

მ. ქ.



ჯაჭვი სარიტუალო — აღმ. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, დადასტურებულია ფაქტები: ყელზე ჯაჭვით მლოცველი ტაძარს ხოხვით სამჯერ შემოუვლის, მას ღვთის წინაშე აღთქმა აქვს დადებული, ერთი კონკრეტული სურვილი რომ შეუსრულოს ღმერთმა.

ჯაჭვი აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ხატ-ჯვარის შესაწირავსაც წარმოადგენდა. მისი გამოყენება ყველა მლოცველს შეეძლო. ჯაჭვი, როგორც სარიტუალი საგანი და

მასთან დაკავშირებული ნესები, ნინაქრისტიანული რელიგიური რწმენებიდან მომდინარეობს.

ლიტ.: ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, I. ფშავი. 1974. ა. გ.

ჯაჭვი ტუსალის — ადამიანთა დასაბორკილებელი-დასაბმელი საშუალება. ქართველ ფეოდალთა სადამსჯელო სისტემაში დამნაშავეთა ჯაჭვით დაბმა ფართოდ გავრცელებულ ადმინისტრაციულ სასჯელს წარმოადგენდა.

ე.ნ

ჯეჯიმი — აბრეშუმნარევი ზოლებიანი ქსოვილი (უფრო მუთაქებისათვის), ნმინდად ნაქსოვი.



ჯვარი — სამკაულის ერთ-ერთი სახე. შუა საუკუნეების ქრისტიანულ ქვეყნებში სამკაულთა შორის საპატიო ადგილი დაიკავა ჯვარმა, როგორც ქრისტიანული რელიგიის სიმბოლომ. ჯვრის დასამზადებლად გამოიყენებოდა ოქრომჭედლობის ყველა ძირითადი ხერხი: ჭედვა, ჩამოსხმა, რჩილვა და სხვ. ჯვარს ამზადებდნენ, როგორც სადას, ისე თვლებითა და ტიხრული მინანქრით შემკულს. გულსაკიდი ჯვარი ქართველი ქალის სამკაულის აუცილებელი ელემენტი იყო.

ლიტ.: ი. გაგოშიძე, ქართველი ქალის სამკაული, 1981. მ.ბ.

ჯვარი//ვარსკვლავი — აქ: თავთავისაგან გაკეთებული ჯვარი, რომელიც თავთავებისაგანვე დაწნულ გვირგვინშია მოქცეული. ზაფხულში კალოობისას წინა ნელს დამზადებულ ასეთ ჯვარს დაშლიდნენ და კალოზე გაფენილ ძნებში მიმოაბნევდნენ ბარაქიანი მოსავლის დაბევების მიზნით. გვიან პერიოდში, სოციალიზმის ბატონობის ჟამს, რიტუალი კვლავ მოქმედებდა, ოღონდ ჯვარს ვარსკვლავის ფორმა მისცეს და სახელიც „ვარსკვლავით" შეუცვალეს. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ამ უნიკუმის ერთადერთი ნიმუშია დაცული.

ე. ნ.

ჯვალო — უხეში, სელის ან შალ-ბამბის ტლანქი ქსოვილი, რომლისგანაც ქსოვდნენ ტომრებს, ჯვალოს სამოსს. ატარებდნენ დერვიშები, ქრისტიანი ბერები, მგლოვიარენი.

ჯვრის პური — საქორწილო რიტუალური პური ქართლში. იგი შეიძლება იყოს: 1. ჯვრის ფორმის, სადა ან მძივებით მორთული; 2. მრგვალი, რომელზეც ხელის ნაჭდევით გამოყვანილია ჯვარი; 3. ხის ჯვარ ჩასობილი, რომელსაც ნვერზე ვაშლი აქვს ჩამოცმული და 4. ასტრალური ორნამენტებით დაჭრელებული. მას საქორწილო რიტუალურ პურებს (ნეფის კვერი) შორის ცენტრალური ადგილი უკავია.

ჯვრის პურს ამზადებდნენ რძისა და შაქრისგან, ზემოდან უსვამდნენ კვერცხს. ის ჩვეულებრივ ქართულ პურზე (იხ.) დიდია და ჯვართან ერთად, ზოგჯერ მორთულია იმავე ცომისგან დამზადებული სხვადასხვა ფორმის ჩიტებით, ასევე ხილითა და ტკბილეულით. როდესაც ოჯახი საქორწილო ლხინისთვის მზადებას შეუდგებოდა, პურის ცხობას 2-3 დღით ადრე ინყებდნენ. გადმოცემით, „კარგ" ქორწილში უნდა გამოეცხოთ 12 ფუთი ლიკან-ლავაში, ან შოთი, ერთი ფუთი „უხა" (იხ.) და „ჯვრის პური". ქორწილის დაწყების წინ ჯვრის პური, მცხობელ ქალებს მეჯვარისთვის მიპქონდათ. მას მეჯვარე „დიდი ვაჭრობის" შემდეგ ყიდულობდა.

საინტერესოა ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული ჯვრის პურის კიდევ ერთი ფორმა, რომელზეც ცხენზე მჯდომი ბიჭია გამოსახული მათრახით ხელში. ხალხი მას ვაჟიანობის მომასწავებლად თვლიდა.

ვ. ბარდაველიძის აზრით, ჯვრის პური მზისა და ხარის კულტის შერწყმის შედეგად არის მიღებული. ჯვრის გამოსახვა საქორწილო რიტუალურ კვერზე ხარის კულტიდან მომდინარეობს, ხოლო მრგვალი კვერი

მზის ამსახველ ემბლემას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ჯვრის პური სიცოცხლის ხის გამომსახველიცაა, როდესაც ის სანთლებით გაჩირაღდნებული და ვაშლებით მორთული ხის ჯვარითაა წარმოდგენილი. ასე მორთული რიტუალური კერი ძალიან ახლოს დგას ჩიჩილაკთან და ის ხის კულტს უკავშირდება.

ლიტ.: ნ. მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, 1978.

გ. ა.

ჯილა — ტყვიაჩასხმული კოჭი ან კაკალი, რომელსაც ესვრიან მწკრივში ჩამწკრივებულ კოჭებს ან კაკლებს. მძიმე როცაა მიზანში კარგად მიდის. ვინც ჯილით ერთ კოჭს გაიტანს, დანარჩენიც მისია. ჯილას ეძახიან ტოლებში გამორჩეულ ჭაბუკსაც.

ე.ნ.

ჯილღა (მესხ.) — ფამფალაკიანი სახვნელი. ჯილღამ თავი, ბოლო დრომდე შემოინახა მესხეთში, სადაც იგი წარმოადგენდა ძირითად სახვნელ იარაღს. ჯილღის გარდა აღნიშნულ კუთხეში ხმარებაში ყოფილა აგრეთვე დიდი გუთანი და მსუბუქი სახვნელი არონა. დიდი გუთანი იშვიათად, უმთავრესად ყამირის მოსახნავად გამოიყენებოდა, არონა — მოხნულის ხელმეორედ გადასახნავად. რაც შეეხება ჯილღას, ის წარმოადგენდა იმ უნივერსალურ სახვნელს, რომელიც გამოიყენებოდა როგორც საანეულო, ისე საგაზაფხულო ხვნის დროს და კარგად იყო შეგუებული ადგილობრივ პირობებთან, კერძოდ, ზეგანის მინათმოქმედების საანეულო სისტემასთან, რომელიც არ მოითხოვდა ღრმად ხვნას.

ჯილღა შედგებოდა ტოლგოგორებიანი ფამფალაკისაგან, მხრის, ერქვანის, ქუსლის, ხმალასა და სახნისისაგან. მასში 4-5 უღელი ხარი იბმებოდა. ჯილღას საკვეთელი არ გააჩნდა, თუმცა ვარაუდობენ, რომ მას ადრე საკვეთელიც უნდა ჰქონოდა. ამას ადასტურებს საფლავის ქვებზე გამოსახული საკვეთლიანი ჯილღები. ფამფალაკის შემწეობით ჯილღა თავისებური კონსტრუქციის გუთანი იყო.

ჯილღა ცალკეული კომპონენტების მეშვეობით უახლოვდება დიდი გუთნის კონსტრუქციას და ამავე დროს, გუთნისაგან განსხვავებულ ელემენტებს შეიცავს. ის ერთგვარი შუალედური რგოლია ქართული სახვნელების განვითარების ეტაპებზე და ერთგვარად გარდამავალ საფეხურს წარმოადგენს შედარებით მარტივიდან რთული იარაღისაკენ. ჯილღა საქართველოში ერქვანის სახელწოდებით V საუკუნიდანაა ცნობილი.

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, 1930.
გ. ჩიტაია, მასალები საქართველოს სახვნელი იარაღის ისტორიისათვის, სსმმ., ტ.V, 1928.
ლ. ბერიაშვილი, მინათმოქმედება მესხეთში, 1973.

თ. გ.

ჯინი//ხვირი(ფშ.)**//ჩაფი** (ხევ., ხევს.) — 1. გრძელი მოწნული ჭურჭული, რომელიც ტვირთისა და სხვათა გადასაზიდად გამოიყენებოდა. იდებოდა მარხილსა და ურემზე. 2. თხილის წნელისაგან დაწნული საწოლი საქართველოს მთაში. ჯინის საწოლად ხმარებას, ხალხის დაკვირვებით, პრაქტიკული საფუძველი გააჩნდა. წნული კედლები ხელს უწყობდა ჰაერის მოძრაობას და მასში ჩაგებული ქვეშსაგებლის მშრალად შენახვას. 3. ბარი// ხელგათი//ჩეო (ლეჩხ.), ჩავ (სვან.), ჯანაბერი, ჯოჯობინა (რაჭ.) — პატივის გასატანი მოწნული სათავსი, გვხვდება როგორც მარხილსა და ურემზე დასადები, ასევე ზურგით საზიდი. თუშეთში ჯინი მოწნულ საწოლს ჰქვია, ხოლო ზემო ქართლში სიმინდის დასაცავს. ძირითადად მაინც პატივის გასატანად ხმარობდნენ და ერთგვარად მის სანყაოსაც წარმოადგენდა. იგი მოგრძო ოვალური ფორმისაა, წინ ვიწრო, უკან უფრო ფართო, რაც მარხილისა და ურმის ფორმით არის განპირობებული.



ლიტ.: მ. ხაზარაძე, ქართული ხალხური ხის ჭურჭელი, 1988.

ე.ნ. ლ.ბ.

ჯინჯიბახი — ხის ბოძი, რაიმეს შესაყენებლად.

ხალიჩების ბაზარი



ხმალი



ხევსურული ხმალი









ხმალი

ბიბილაკი



ხრიკა



საფლავის ჯვარი



ჯიღ-ჯიღა (გულსაკიდი)

ჯირგვინი (თბ.) — ღარი ეზოში, სადაც წვიმისა და სხვა ნარეცხი წყალი გაედინება.

ჯიღ-ჯიღა — ვერცხლის აჟურული ქალის სამკაული სამცხე-ჯავახეთში.

ჯოლგორდი (ძვ.) — ისრის მთლელი და ზოგადად მშვილდ-ისრის მკეთებელი.

ჯორა — ფანდურის ალყი. სიმების დასაცალკავებელი და გამჭიმავი.

ჯუბა — 1. აქ: უბიანი ჩოხა (თუშეთი) — თუში და ფშაველი ქალის კაბა. მასალად გამოიყენებოდა სახლში მოქსოვილი შალი — „ტოლი" („ორმაგულა" და „ცალპირა"). საქორწინო ჯუბა ზოგჯერ საქმროს ოჯახიდან გამოგზავნილი მატყლით მზადდებოდა. თუშური ჯუბის თარგს ქმნიდა მთლიანი შალის მასალიდან ბეჭებში გაუკერავად ამოღებული „წინაობა" და „უკანაობა". წინაობაში შედიოდა „სათავე", „უბე", „წინა გვამი"//წინა ბოლო, ხოლო უკანაობაში — „ბეჭები" და „უკანა გვამი". გვერდებში აყენებდნენ „შამბებს" ანუ „ჩაქებს", წერილსა და ირიბ კალთებს. ჯუბას უკეთდება სწორი და ვიწრო „სახლები". ჯუბის ბოლოს წინა მხრიდან შეკეცავდნენ, ნაწიბურიანი უკანა მხარე კი ფერადი ძაფებით იყო გალამაზებული („ქუქუმო"). სიმაგრისათვის ნაპირზე ბაწრის გარემოსაც შემოაკერებდნენ. ჯუბა ქალის ტანს მთლიანად ფარავდა. წინ საკმაოდ დიდი მონაკვეთი იყო გულისპირის — „ფარაგას" (იხ.) მოსათავსებლად. ნაპირებს ჩამოპყვებოდა ჩამცმელის ასაკისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით განსაზღვრული ბრტყელი, ხავერდის ან მაუდის ფერადი ძაფით დამშვენებული და ვერცხლის სამკაულებით მორთული ნაჭრები, რაც დროთა განმავლობაში თუშური ტანსაცმლის ყველაზე ნიშანდობლივ ელემენტად იქცა. ჯუბაზე იკეთებდნენ ფერადი ძაფებისაგან მოქსოვილ სარტყლებს (იხ. საჭიკა). ფშაველი ქალის ჯუბის მასალად შინნაქსოვ შალს იყენებდნენ. თუშური ჯუბისაგან განსხვავებით, ფშაური გამოირჩეოდა სისადავით. მის შესაკერად ორად მოკეცილი შალიდან ბეჭებში გადაუჭრელ ტანს ამოიღებდნენ. ჯუბა უსაყელო იყო და თავზე გადასაცმელად წინ ცოტაზე ჩახსნიდნენ. ნაპირებს გრეხილს შემოაკერებდნენ და ღილით ან ბაწრით დააკავშირებდნენ. ჯუბას მოკერებული ჰქონდა სწორი და ვიწრო „საფლები", ზოგჯერ სახელოთა მასალად ფართალიც გამოუყენებიათ. ვიწრო და ტომარასავით ამოკერილ ფშაურ ჯუბას გვერდებში უყენებდნენ პატარა „აზღოტებს", თუ ქალი ტანმსხვილი იქნებოდა „აზღორტის" სიგრძე იღლიამდე ადიოდა. ბოლოზე მოაყოლებდნენ ენდროში შეღებილ ქუქუმოს, რომელიც შალის ფერადი ძაფებით — „შობაით" ან „კავწყვეტილათი" ირთვებოდა. ჯუბის სამაგრად ფარჩის განიერ და გრძელ სარტყელს ხმარობდნენ.

2. „ჯუბა"//„ჯუბაჩა" — ძველ საქართველოში ზევიდან საცმელ, მოკლე და სახელოებ დაკვეთილ კაცის ქურთუკს ეწოდებოდა.

„ვეფხისტყაოსნის" მიხედვით ჯუბა ყოფილა როგორც საზეიმო, ასევე მწუხარების დროს ჩასაცმელი, რაც მის ფერში გამოიხატებოდა. არსებობდა ჯუბაჩაც, ანუ მოკლე ჯუბა, რომელიც კაბაზე მოსაცმელ, მოკლესახელოებიან სათბილოს წარმოადგენდა.

ლიტ.: გ. ბოჭორიშვილი., თუშეთი, 1993.

ც. ბეზარაშვილი, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1974.

ცბ.

ჯუნდა — სპეციალური ხის რგოლი, კოლხურ ხომალდზე, რითაც ანძაზე აფრების გაშლა-ჩამოშვება ხდებოდა.

ჯუში — ნივთიერება. ოქრომჭედლობაში ვერცხლის ოქროთი დაფერვისას იყენებენ. მზადდება გოგირდის შაბისა და მარილის ნარევისგან, რომელთაც თასში ჩაყრიან, ძმარს დაასხამენ და ადუღებენ, რომ ნახარშში ამოვლებულმა მოოქროვილმა ნივთმა კარგი ფერი მიიღოს.

მ.ბ.

ჯღა//ჯღარი — ტოტებიანი სარი, რომელსაც ვენახს შეუდგამენ — ჯღა სარივით არის და ზედ აქვს თითები, ზოგან ჯღა და ხარდანი გაიგივებულია.

ე. ნ.

ჰაგდანი//აგდანი — ეწოდება თაღარს ან ორმოს, რაშიც ცხვრის ტყავს ყრიდნენ დასამუშავებლად, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ტყავს კირწყალს წაუსვამდნენ, დაკეცავდნენ და ბალნის გასაცლელად შეახურებდნენ. მთელ ამ პროცესს რახტის ქნად მოიხსენიებდნენ, ტყავის მოქნას კი ხეშვა ერქვა.

ლიტ.: სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, 1943.

ნ. ჯ.

ჰალვა — ტკბილეული, რომელიც მზადდება დანაყილი ნიგვზით ან მზესუმზირის შაქართან ერთად.

ჰამბახი (ლაზ.) — ნავში საგანგებო ადგილი, სადაც ინახავდნენ თევზსაჭერ მოწყობილობებს, საკვებს, წყალს, ტანსაცმელს და დაჭერილ თევზსაც.

ჰასკამ//სასკამი//ბეროლა სკამი — სარიტუალო სკამი. კეთდებოდა „ლიფანალის" — მიცვალებულთა სულებისთვის განკუთვნილი დღეობისთვის. ჰქონდა საუფროსო სავარძლის სიმაღლე, ზურგსაბჯენი ფიცარი და ოთხი ფეხი. მიცვალებულთა მოსაგონარ სარიტუალო წესს სვანები „სანათლიღებოდ" ასრულებდნენ. იწყებოდა 5 იანვარს და გრძელდებოდა პირველი კვირის ორშაბათამდე. თუ ლიფანალი გარდაცვლილის ოჯახს წლამდე მოუსწრებდა, სულის მოსახსენებელი ცერემონიალისთვის საკურცხილის მაგივრად ჰასკამ//სასკამო//ბეროლა სკამს იყენებდნენ. მასზე დადებდნენ მიცვალებულის კუთვნილ ტანსაცმელს და, როგორც წესი, სუფრასთან ახლოს დადგამდნენ. ჰასკამს ორმოცი დღის შემდეგ წვავდნენ ან ეკლესიას სწირავდნენ.

ლიტ.: ლ. ბედუკაძე, სვანური ავეჯი (ფიჩქი, ჰასკამი) სსმმ XXVI, 1982.

ლ. ბ.

ჰებეჩა — თურქული წყაროების მიხედვით ქართული საზღვაოსნო აფრებიანი ხომალდი. გამოირჩეოდა სწრაფი მანევრირებით. აჭარელი და ლაზი მეზღვაურები შორ მანძილზე ასეთი ტიპის ხომალდით დაცურავდნენ. ტერმინის წარმომავლობა უნდა მომდინარეობდეს ქართული „ხეჭეპადან".

ლიტ.: ზ. კუტალეიშვილი, ნაოსნობა საქართველოში, 1987.

ე.ნ.

ჰინა — უნაბისფერი საღებავი, მზადდება მცენარისგან. მისით იღებავენ ფრჩხილებსა და თმას.

ჰოვია — ოქრომჭედლობაში ნივთების კალით შესაკავშირებელი.

ჰოროლი — შუბისმაგვარი საძგერებელი იარაღი. აქვს ტარი, ანუ ბუნი, მასრა და ორკაპა წვერი რომლითაც ჩხვლეტდნენ. ტანი გრძელი უნდა ყოფილიყო. ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, ჰოროლი ძველ წერილობით წყაროებში გვხვდება. აღსანიშნავია, რომ „ჰოროლი" და „ოროლი" ქართული „ვისრამინისა" და „ვეფხისტყაოსნის" ავტორებს არც ერთხელ არა აქვთ ნახმარი, რაც იმის დასტურია, რომ ეს ტერმინი XII ს-ის სასაუბრო ენის ცოცხალ განძეულს უკვე აღარ ეკუთვნოდა. შემდეგდროინდელ ძეგლებში ჰოროლი აქა-იქ გვხვდება. ეთნოგრაფიულ ყოფაში არ ფიქსირდება, მის მაგივრად გამოიყენება ტერმინი „შუბი".

ლიტ.: ივ. ჯავახიშვილი, მქემკი, ტ. III-IV. 1964

მ. ქ.

ჯაჭვის პერანგი



სამეფო ჯაჭვის პერანგი

შემოკლებანი

მსე — მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის
ქკთსკ — ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა
მსმკი — მასალები საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის
სსმმ — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის „მოამბე"
ქსე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
ენიმკ — ენის ისტორიისა და მატერიალური კულტურის „მოამბე"
მმ — მუზეუმის „მოამბე"
სემმ — საქართველოს ეროვნული მუზეუმის „მოამბე"
სმეელ — საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი
მსშხი — მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის
ძმ — ძეგლის მეგობარი
ივჯელ — ივანე ჯავახიშვილის ენციკლოპედიური ლექსიკონი
მქემკი — მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის
დლ — დასურათებული ლექსიკონი
ქელ — ქართული ეთნოლოგიური ლექსიკონი
ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
ძქეგლ — ძველი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ნაშრომში გამოყენებულია მხატვრებისა და არქიტექტორების:
ტ. ამბრიაშვილის, ლ. ბერიშვილის, ნ. ბრაილაშვილის, გ. გაგარინის, გ. გეგელიას, ა. ვარაზაშვილის, ნ. ველიაშვილის, მ. ივანიშვილის, ნ. თოფურიძის, ნ. თენეიშვილის, ვ. კანდელაკის, რ. კიკნაძის, ო. კონიაშვილის, ნ. ლომიძის, გ. მეტრეველის, გ. ოშაყმაშვილის, გ. რაზმაძის, ნ. რახმანინოვას, ა. სავინის, გ. საბუცკის, თ. სოსელიას, მ. ტილკეს, გ. ტონიას, ი. ქავთარაძის, ს. ქობულაძის, ი. შარლემანის, ლ. შერვაშიძის, ვ. ნილოსანის, ტ. ჭუბაბრიას, ა. ხაბულიანისა და ზ. ჯიბღაშვილის ნამუშევრები.

ფოტოები:
ა. როინიშვილი, დ. ერმაკოვი, მ. კილაძე, გ. ჯალაბაძე, გ. ბუმბიაშვილი, ე. ნადირაძე.

თარგმანი:
ნ. ჯაფარაშვილი (ინგ.), **კ. ბრეგაძე** (გერმ.), **დ. იაშვილი** (ფრანგ.), **მ. ბულეიშვილი** (რუს.).

სარჩევი

შესავალი 10
ა 17
ბ 50
გ 78
დ 105
ე 137
ვ 145
ზ 148
თ 161
ი 183
კ 192
ლ 227
მ 246
ნ 292
ო 303
პ 320
ჟ 329
რ 330
ს 335
ტ 407
უ 422
ფ 428
ქ 446
ღ 478
ყ 484
შ 499
ჩ 513
ც 542
ძ 547
წ 552
ჭ 564
ხ 576
ჯ 601
ჰ 618
შემოკლებანი 621